ჩვენი საქართველო

V–VI კლასები

მასწავლებლის წიგნი

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

ჩვენი საქართველო

V-VI კლასები

მასწავლებლის წიგნი

ჩვენი საქართველო

V–VI კლასები

მასწავლებლის წიგნი

2018 წელი

სარჩევი

ნაწილი I.
1.1. კონცეფცია....5
1.2. „ჩვენი საქართველო“....7
1.3. შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა....19
1.4. შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა (V კლასი)....26
1.5. შეფასება....37
1.6. შეფასების ცხრილების (რუბრიკების) ნიმუშები....39
1.7. გაკვეთილის სცენარებში გამოყენებული ინტერაქტიური მეთოდები....45
1.8. ბლუმის ტაქსონომია....47
1.9. მოსწავლის წიგნის აგების პრინციპები....48

ნაწილი II. V კლასი
2.1. სახელმძღვანელოს გაკვეთილების სანიმუშო სცენარები....50
2.2. მეთოდური მითითებანი შემაჯამებელი გაკვეთილებისთვის....64

ნაწილი III. VI კლასი
3.1. სახელმძღვანელოს გაკვეთილების სანიმუშო სცენარები....69
3.2. მეთოდური მითითებანი შემაჯამებელი გაკვეთილებისთვის....81

ნაწილი IV. ექსკურსიების დაგეგმვა და განხორციელება
4.1 მეთოდური მითითებანი....88
4.2. საექსკურსიო მარშრუტების აღწერა....99
4.3. სხვა წყაროები ექსკურსიების დასაგეგმად....137

ნაწილი V. დამატებითი მასალები
დამხმარე მასალების თემატური სტრუქტურა და განმარტება....138

საქართველოს ბუნება
საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის მოკლე ისტორია....139
საქართველოს ცხოველთა სამყარო....143
გოდერძის ნამარხი ტყე....151
ხევის ბუნებისა და კულტურის ღირსშესანიშნაობები....152
აფხაზეთის მდინარეები....156
უნიკალური ბუნების ძეგლები....161
მღვიმე და ადამიანი....169
ცოცხალი ბუნების ძეგლები....178
საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები....182
ადგილთა ვინაობა....189
სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ....191

ენა, არქეოლოგია და საქალაქო ყოფა
ქართული დამწერლობა....207
ქუთაისის სახელწოდების შესახებ....209
წყალქვეშ მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები....209
ძველი ქალაქი – არქეოპოლისი ნოქალაქევი....211
ციხე გოჯი-ნოქალაქევი....212
ქალაქი ბათუმი....213
თბილისის ზოგიერთი ტოპონიმი....214
არგონავტები და კოლხეთი – მითი და სინამდვილე....223
ძველი თბილისის ყოფა....229

რას მოგვითხრობენ კულტურის ძეგლები?
ძველი ქართული არქიტექტურა....236
საქართველოს ძველი ხიდების მთავარი სახეები....237
სვეტიცხოვლის აგების ისტორია....240
გელათის მოზაიკა....241
ქვემო-ქართლის ზოგიერთი ციხე-სიმაგრე....242
ჰუჯაბი....243

მეტი ყურადღება ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსს 244
ქვის თაღიანი ხიდები – ძველი ქართული არქიტექტურის უმშვენიერესი ძეგლები 245
ნიკორწმინდის ტაძრის ისტორიისთვის 246
თბილისის საკულტო ნაგებობების მრავალფეროვნება 247
თბილისური აივნები 250
ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო 251
თეატრის შენობა ასი წლისაა 251

საქართველოს ყოფა-ცხოვრების მოზაიკა

გელაზი 258
ტერასული სოფლის მეურნეობა სამცხე-ჯავახეთში 259
მესხური დარბაზი 262
ქართული სამოსი 263
ქართლელი ქალის ჩაცმულობა (XIX ს). 266
ქართული ჭილობი 270
ფილი და როდინი 271
ლეგენდა და რეალობა 273
ჭურის თავდახურვის წესები იმერეთში 274
„რუ“ და „რუსხმული“ XVII-XVIII სს ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში 275
ჭივჭაველი გუთნისდედა 276
უშგულის კოშკები 278
სვანური ქუდი 279
ქართული ვაზი 280
მეაბრეშუმეობა საქართველოში 291
თუშეთი 294
რაჭა-ლეჩხუმი 296
გურია 303
მემინდვრეობა კახეთში 306
ქსოვის ტრადიცია 308
ქართული სახვნელი იარაღის გუთნის დანიშნულება 310
პურეულის ქართული ჯიშები მისი სამკალი იარაღი შნაკვი 310
პურეულის სალეწი იარაღი – კევრი 311
ზეთის გამოხდის ტარადიცია 311
ყურძნის საწური ჭურჭელი – საწნახელი 313
ღვინის შესანახი სათავსი – მარანი 313

გამოჩენილი მოღვაწენი

მეფე ფარნავაზი 314
ვახტანგ მეექვსე 314
ვახუშტი ბაგრატიონი 317
დავით სარაჯიშვილი 320

სამოქალაქო აქტივობები

რა უნდა გაკეთდეს სამეწარმეო საქმიანობის წარმატებისა და საერთოდ, ქვეყნის
სამეურნეო დაწინაურებისათვის? 322
პასუხისმგებლობის გაცნობიერება 323
როგორ უნდა დავიცვათ ჰიგიენის წესები? 323
თბილისის აბანოები 325
ჰიგიენის წესების დაცვა სკოლაში 325
არჩევნები 327
სახელმწიფო საზღვარი 329
მოქალაქეობრივი ვალის შესრულება 332

დანართები

დანართი 1. საქართველოს მუზეუმები 333
დანართი 2. სასარგებლო ბმულები 339
დანართი 3. ვიდეოები, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები 340
დანართი 4. ვიდეოები, რეკომენდირებული ლიტერატურის მოკლე სია 346
დანართი 5. მოკლე ცნობები სახელმძღვანელოშიდამოწმებული ავტორებისა და
წყაროების შესახებ 349

ნაწილი I.

1.1. კონცეფცია

მოსწავლის წიგნი

V-VI კლასების მოსწავლის წიგნი აგებულია მხარეთმცოდნეობის პრინციპით. მასში მოსწავლე გაეცნობა გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, ისტორიის სამეცნიერო დარგებში დაგროვილი ცოდნის იმ მცირე ნაწილს, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტითაა გათვალისწინებული.

გაკვეთილის აგების ჩვენეული თავლსაზრისი შემდეგია: ვინაიდან სახელმძღვანელოს მომხმარებელი 10-11 წლისაა, ჩვენ ვთვლით, რომ იგი, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს მარტივი ენით დაწერილი, ასევე არ უნდა იყოს ვრცელი და არ უნდა შეიცავდეს უამრავ ინფორმაციას. ამის გამო ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ თითოეული გაკვეთილი არ აღემატებოდეს 2 გვერდს. ეს ორი გვერდიც უნდა იყოს ერთი გაშლა, რაც ნიშნავს: ერთი გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეს არ უნდა უხდებოდეს მისი შლა და ერთი დახედვით უნდა აღიქვამდეს მთელ გაკვეთილს.

ეს პრინციპი – რომ არ გადაეშალა წამდაუწუმ სახელმძღვანელო, ჩვენ თითოეულ თემას წინ **მხარის რუკა** წავუმძღვარეთ, რომელიც იქნება გადასაკეცი და მოსწავლე მას გაკვეთილის სწავლისას გადაშლის და ფაქტობრივად მესამე გვერდიც ექნება თვალწინ გადაშლილ, ანუ ტექსტში მოცემული მასალა და რუკა მას ერთდროულად ექნება თვალწინ. თუმცა რუკაზე დატანილი ობიექტები კითხვადი და ადვილად მოხმარებადი რომ გამოსულიყო, მოგვიწია რუკის ფორმატის გაზრდა. წიგნს მოცილებული ცალკე ჩანართი რუკების იდეა დავიწუნეთ, რადგანაც იგი შეიძლება მოსწავლეს დაეკარგოს. ეს მით უფრო მოსალოდნელია წიგნის გამოცემის მომდევნო წლებში.

სახელმძღვანელოს ორივე კლასში დასაწყისში ერთვის საქართველოს რუკები (ფიზიკური რუკა, მხარეების) – ასევე დიდ ფორმატში. მხარის რუკები უფრო მეტად არის გეოგრაფიული ობიექტებით დატვირთული, ვიდრე საქართველოს რუკა. ამ უკანასკნელს უფრო საორიენტაციო, ზოგადი აღქმის მნიშვნელობა აქვს და ცალკეული ობიექტების ნახვა მხარის რუკას ეკისრება.

ჩვენ ჩვენი სახელმძღვანელოს მომხმარებელ მასწავლებელსა და მოსწავლეებს ვთავაზობთ, რომ სწავლის დაწყებისთანავე, როცა განხილული იქნება წელთაღრიცხვის საკითხი, შეადგინონ „მოვლენების ცხრილი“ და მასზე მთელი წლის მანძილზე იმუშავონ ორივე კლასში. მათ დიდი ფორმატის ფურცელზე მოსწავლეებს უნდა დაატანინონ დროის ხაზი და გააკრან საკლასო ოთახში კედელზე. ვერტიკალზე მათ საქართველოს სხვადასხვა მხარე უნდა დაიტანონ. ყოველი მხარე კი ერთმანეთისაგან ჰორიზონტული ხაზით გამოყონ. ყოველ გაკვეთილზე, სადაც რაიმე თარიღზე იქნება საუბარი, ან დავალება „აღნიშნე დროის ხაზზე“, უნდა დაიტანონ ამ ფურცელზე. წლის ბოლოს კი მათ თავიანთი ნამუშევარი შეუძლიათ შეაჯამონ.

მასწავლებლის წიგნი

V-VI კლასების მასწავლებლის წიგნი გადმოსცემს სახელმძღვანელოს კონცეფციას, მეთოდურ რეკომენდაციებს და დამატებით მასალებს, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება გაკვეთილის უკეთ დაგეგმვასა და ჩატარებაში. მასწავლებლის წიგნი დაყოფილია 5 ნაწილად.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია გაკვეთილების სანიმუშო სცენარები. შემოთავაზებულია *გაკვეთილების თემატიკის შესაბამისი მასალების* გამოყენების მეთოდური მითითებანი, თუ როგორ დაგეგმოს და გამოიყენოს მასწავლებელმა ესა თუ ის აქტივობა. თუმცა მასწავლებელს თვითონაც შეუძლია ახლებურად დაგეგმოს და ჩაატაროს ესა თუ ის აქტივობა. ჩვენ ვთავაზობთ ამ აქტივობების ჩატარების რამდენიმე ვარიანტს:

- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს აქ მოცემულ მასალას ან მის ნაწილს (მისი შეხედულებისამებრ) და თემატიკის შესაბამისად აძლევს დავალებას;
- ზოგიერთ აქტივობას შეიძლება დაეთმოს ცალკე გაკვეთილი. ამით მასწავლებელს ვაძლევთ საშუალებას, რომ მან თავისი შეხედულებისამებრ სტანდარტით გათვალისწინებული აქტივობები (ექსკურსია, კვლევითი პროექტი, დისკუსია და სხვ.);
- ზოგიერთი მასალა იმდენად ვრცელია, რომ შეუძლებელია მასწავლებელმა იგი მთლიანად გააცნოს მოსწავლეებს. ასეთ შემთხვევაში სასურველია ჯგუფური მუშაობა. მასწავლებელი

წინასწარ ამზადებს ამ მასალების ქსეროასლებს და მათ ანაწილებს მოსწავლეთა ჯგუფებს შორის. თითოეული ჯგუფი დამოუკიდებლად მუშაობს ამ მასალაზე და წარადგენს კლასში. ამგვარად, შესაძლებელია ვრცელი მასალის მთელი კლასისათვის გაცნობა და, რაც მთავარია, ამას თვით მოსწავლეები აკეთებენ.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია ექსკურსიების დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდური მითითებანი და საექსკურსიო მარშრუტების აღწერა. ასევე დამატებითი მასალა, რომლის საფუძველზე მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს ახალი გაკვეთილი, მოამზადოს და განახორციელოს აქტივობა, მათ შორის ექსკურსია.

დანართის სახით მოცემულია რეკომენდირებული ლიტერატურის სია, ინტერნეტრესურსები, წიგნში გამოყენებული წყაროებისა და ავტორების ცნობარი.

1.2. „ჩვენი საქართველო“

ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამის წინამდებარე ნაწილში მოცემულია V და VI კლასების წლიური პროგრამები საგნისთვის „ჩვენი საქართველო“. ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს კონკრეტული სასწავლო თემების სწავლებისას სტანდარტის შედეგების დამუშავებაში პედაგოგების დახმარებას.

წლიური პროგრამები სქემების სახითაა წარმოდგენილი (იხ. სქემა 1). თითოეული სქემა თითო სასწავლო თემას შეესატყვისება. პროგრამაში წარმოდგენილია სამი სქემა თემებისთვის: „საქართველოს მხარე“, „თბილისი – საქართველოს დედაქალაქი“, „სახელმწიფო – ჩვენი საქართველო“. თემისთვის – „საქართველოს მხარე“ – წარმოდგენილი პროგრამა სანიმუშოა საქართველოს 11 მხარისთვის. V კლასში მოსწავლეები შეისწავლიან საქართველოს რომელიმე ხუთ მხარეს, ხოლო VI კლასში კი ექვს სხვა მხარესთან ერთად შეისწავლიან თემებს: „თბილისი – საქართველოს დედაქალაქი“, „სახელმწიფო – ჩვენი საქართველო“.

სქემა 1.

1	სტანდარტის შედეგები	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
2		შეკითხვები:
3		ცნებები:
	რეკომენდაციები:	
4	საკლასო აქტივობები:	
5	დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:	
6	შემაჯამებელი დავალებები:	

N1 – ამ გრაფაში წარმოდგენილია საგან „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტის შედეგები. ისინი პირობითად საგნობრივადაა (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) დაჯგუფებული.

წლიურ პროგრამაში სამ თემასთან („საქართველოს მხარე“, „თბილისი – საქართველოს დედაქალაქი“, „სახელმწიფო – ჩვენი საქართველო“) მიმართებაში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ შედეგების დამუშავება;

N2 – გრაფაში მოცემულია სასწავლო თემის (მაგალითად, „საქართველოს მხარე“) სტანდარტის კონკრეტულ შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები. ისინი *არ წარმოადგენენ* შეკითხვებს, რომლებიც პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა დაუსვას. საგაკვეთილო პროცესი მათ პროვოცირებას უნდა ემსახურებოდეს. გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვების პროვოცირება საგან „ჩვენი საქართველოს“ 4-5 ან კიდევ უფრო მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს;

N3 – სქემის ამ ნაწილში მოცემულია საკვანძო ცნებები, რომელთა დამუშავებასაც სტანდარტის კონკრეტული შედეგების დასაძლევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს;

N4 – გრაფაში ნაჩვენებია, თუ რა საკლასო აქტივობების განხორციელებაა რეკომენდებული სტანდარტის კონკრეტული შედეგების მისაღწევად;

N5 – გრაფაში ნაჩვენებია, თუ რა ტიპის საშინაო დავალებების მიცემა არის რეკომენდებული მოსწავლისთვის სტანდარტის კონკრეტული შედეგების მისაღწევად;

N6 – გრაფაში ნაჩვენებია, თუ რა ფორმით შეიძლება შესრულდეს შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებები კონკრეტული თემის შესწავლის შემდეგ.

V—VI კლასები

თემა: საქართველოს მხარე

1. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა; **საზ.მეც.დაწყ.(II).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).6.** ქვეყნის განვითარებისთვის ვაჭრობის, სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება; **საზ.მეც.დაწყ.(II).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/ მოვლენების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);	**შეკითხვები:** • რა ვიცით საქართველოსა და მისი მხარეების შესახებ? • რა შეიძლება გავიგო საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით (რესურსი, ძეგლი, ბრძოლის ადგილი, ქალაქი, მდინარე, ტბა, მთა, ბარი)? • რატომ არის საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ესა თუ ის ტრადიციული საქმიანობა და მეურნეობის დარგი? • როგორ იცავენ თავს საქართველოს ამა თუ იმ მხარის მაცხოვრებლები სტიქიური მოვლენებისგან? რა განაპირობებს სტიქიური მოვლენების წარმოქმნას? • რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში? **ცნებები:** გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა, საზღვარი; ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები; ლანდშაფტი (ბუნებრივი, ანთროპოგენული); ეკოლოგია/გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი მოვლენები, საგანგებო სიტუაციები, ეროვნული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე; პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობების მაგალითები:

- საქართველოს ამა თუ იმ მხარის რუკის აგება;
- ფოტოების საშუალებით საქართველოს ამა თუ იმ მხარის მთიანი და დაბლობი ადგილების პეიზაჟების პრეზენტაცია და საცხოვრებელი სახლების ტიპებთან მათი დაკავშირება;
- საქართველოს ამა თუ იმ მხარის სხვადასხვა პუნქტში რუკის საშუალებით სიმულაციური მოგზაურობა.

დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- კვლევის ჩატარება/მასალის მოძიება, თუ რა სტიქიური მოვლენები და საგანგებო სიტუაციები აწუხებს საქართველოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობას და კვლევის შედეგების ელექტრონული პრეზენტაცია;
- ნახატების გამოფენა თემაზე: წყალი ყველაზე ძვირფასი სიმდიდრეა;
- მოთხრობის დაწერა საქართველოს ამა თუ იმ მხარეში მცხოვრები მოსწავლის/თანატოლის შესახებ, რომელშიც აისახება ამ მხარის ყოფა, რესურსები, მეურნეობის დარგები, როგორ მონაწილეობს ჩემი თანატოლი ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში (მაგ., თუშეთზე თხრობისას შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს მთიანი მხარეა, აქ მეურნეობის ისეთი დარგია გავრცელებული, როგორიცაა მესაქონლეობა, კერძოდ მეცხვარეობა. ჩემი თანატოლი პაპას ეხმარება დოლის დროს ცხვრის გაკრეჭაში, ხოლო მისი და – ბებიას მატყლის დართვაში და სწავლობს წინდის ქსოვას, რომლითაც ტურისტები ინტერესდებიან).

2. სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსთან; **საზ.მეც.დაწყ.(II).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება. **საზ.მეც.დაწყ.(II).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა.	**შეკითხვები:** • რას და როგორ მოგვითხრობს ისტორიის შესახებ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში შემორჩენილი ძეგლები? • რომელი მნიშვნელოვანი პიროვნებები, მოვლენები, მითები და ლეგენდები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიას? • რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში? • რატომ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვადასხვა ნიშნით (მაგ.: ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) ერთმანეთისგან? • რატომ ცხოვრობენ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები? • ისტორიულად რომელი ცნობილი მოგზაურები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარეს? **ცნებები:** ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია; საუკუნე, წელთაღრიცხვა; ერი, ეთნიკური ჯგუფი; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობების მაგალითები:

- საქართველოს მხარის ისტორიიდან სხვადასხვა ეპიზოდის ქრონოლოგიურ სკალაზე დატანა;
- პურის მისაღებად საჭირო პროცესის თანმიმდევრულად წარმოჩენა (მიწის დამუშავებიდან დაწყებული) ცხრილის სახით; ძველი და ახალი (ტექნოლოგიური ძვრების წარმოჩენით) მეთოდების შედარება;
- მხარეთმცოდნეობით მუზეუმში / მუზეუმ-ნაკრძალში სტუმრობა და საკუთარი მხარის ეთნოგრაფიული ყოფის შედარება საქართველოს ამა თუ იმ მხარესთან;
- დოკუმენტური ფილმის განხილვა „ანანურთან“ / „ბოლნისის სიონი“ (გამომცემელი „სასწავლო სატელევიზიო ცენტრი“).

დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- საქართველოს მხარის ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდთან დაკავშირებით ჯგუფური პრეზენტაციების მომზადება;
- ნახატის დახატვა, რომელიც საქართველოს ამა თუ იმ მხარის ყოფით თავისებურებებს წარმოაჩენს;
- კომიქსის დახატვა საქართველოს ერთ-ერთ მხარესთან დაკავშირებული ისტორიული ეპიზოდის შესახებ;
- ფოტოალბომის გაკეთება საქართველოს მხარის უმნიშვნელოვანეს კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე.

3. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა. **საზ.მეც.დაწყ.(II).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/ მოვლენების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).7.** ინიციატივის გამოვლენა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).10.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას; **საზ.მეც.დაწყ.(II).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას); **საზ.მეც.დაწყ.(II).12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (დემოკრატიის პრინციპების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გარემოს დაცვის, შემწყნარებლობის) მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის; **საზ.მეც.დაწყ.(II).15.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მის გარშემო წარმოდგენილი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გაცნობიერება.	**შეკითხვები:** • როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური პრობლემების (მაგ.: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ეკომიგრანტები, დევნილები, განათლების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის არცოდნა) გადაჭრაში? • როგორ შემიძლია მშვიდობიანი გზით დავიცვა ჩემი და ჩემი თანატოლების უფლებები და რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო საზოგადოებისთვის საზიანო ძალადობრივი ქცევის შესაჩერევლად? • რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს მხარეს ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებებმა და მოვალეობების იგნორირებამ? • რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გოგონებმაც და ბიჭებმაც დაიცვან ჯანსაღი ცხოვრების წესი და როგორ გვეხმარება საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ტრაციდიული სპორტული სახეობები ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებაში? **ცნებები:** საზოგადოება; პასუხისმგებლობა; ჯანსაღი ცხოვრების წესი; მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება; კანონი, კონფლიქტი; ეთნიკური, რელიგიური უმრავლესობა/უმცირესობა, დისკრიმინაცია (ჩაგვრა, ძალადობა); არჩევნები, სიმბოლიკა, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, თანასწორობა, კულტურული მემკვიდრეობა; მუზეუმი (სახლ-მუზეუმი, მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი), ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობების მაგალითები:

- საკლასო დისკუსია თემაზე: უნდა იცოდნენ თუ არა საქართველოს ამა თუ იმ მხარეში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა თანატოლებმა ქართული (სახელმწიფო) ენა;
- „პრობლემების ხის“ გამოყენებით მხარისთვის აქტუალური პრობლემების განხილვა (მაგ. გარემოს დაბინძურება, სასმელი წყლის პრობლემა, რეკრეაციული, დასასვენებელი ან სპორტული მოედნების არარსებობა);
- კლასში სოციალური მუშაკის / საჯარო მოხელის / არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოწვევა, რომელიც მხარისთვის აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე ისაუბრებს.

დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის: • შერჩეულ მხარეზე ინფორმაციის მოძიება ინტერნეტით ან უფროსების გამოკითხვის გზით – რა პრობლემები აქვს საქართველოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობას; შედეგების პრეზენტაცია; • მაკეტების შექმნა საქართველოს ორი მხარის ერთმანეთთან შედარების მიზნით; • საკლასო აქტივობის ფარგლებში რომელიმე საჯარო სტრუქტურაში (მაგ.: საკრებულო, გამგეობა) სტუმრობისა და მათი ფუნქციების გაცნობის შემდეგ შთაბეჭდილებების გაზიარება პრეზენტაციების გზით – როგორ გაიგეს ან როგორ ესახებათ საჯარო სტრუქტურის მოვალეობები.
შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები: • საქართველოს ამა თუ იმ მხარეში (მაგალითად, ქართლის) ექსკურსიის გზით კვლევის ჩატარება (ისტორიულ-გეოგრაფიულ-სოციალურ პრობლემებზე) და მისი შედეგების პრეზენტაცია; • საქართველოს მხარის პატივსაცემად რაიმე ღონისძიების გამართვა, რომელშიც ისტორიული და გეოგრაფიული მონაცემები იქნება ასახული; ასევე წარმოჩინდება მიმდინარე სოციალური საკითხები; • საქართველოს მხარის ისტორიიდან რომელიმე ეპიზოდის შესახებ წარმოდგენის დადგმა; • ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა მისი ღირსშესანიშნაობების შესასწავლად; • საქართველოს მხარის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა; • საქართველოს მხარისთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება.

თემა: საქართველოს დედაქალაქი

1. სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსთან (მაგ.: სახელმწიფო, ისტორიული მემკვიდრეობა); **საზ.მეც.დაწყ.(II).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება; **საზ.მეც.დაწყ.(II).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა.	**შეკითხვები:** • როგორ იცვლებოდა ქვეყნის დედაქალაქის მდებარეობა დროთა განმავლობაში? როგორ დაარსდა თბილისი? როგორ იქცა იგი საქართველოს დედაქალაქად? როგორი იერსახე ჰქონდა მას ისტორიულ წარსულში? • რას და როგორ მოგვითხრობს შემორჩენილი ძეგლები თბილისის ისტორიაზე (მაგ.: ნარიყალა, მეტეხი)? • როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) თბილისის ისტორიასა და ყოფაზე? • როგორ მოგვითხრობს ნახატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე? • რატომ აქვს თბილისის უბნებს სხვადასხვა იერსახე (არქიტექტურა, მოსახლეობის ყოფა)? • როგორ აისახება თბილისის კოლორიტი ხელოვნებასა და მწერლობაში? (მაგ. ფიროსმანი, გრიშაშვილი). **ცნებები:** ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია; კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა; ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე.

რეკომენდაციები
საკლასო აქტივობების მაგალითები: • მუზეუმში სტუმრობა ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ყოფის (ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) შესასწავლად; • ლიტერატურული ნაწარმოების (მაგალითად, ადაპტირებული ნაწყვეტი იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან"; იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ბოჰემა" განხილვა, რომლებიც ძველი თბილისისთვის დამახასიათებელ პროფესიებსა და ყოფაზე მოგვითხრობს. მისი შედარება თანამედროვეობასთან); • ისტორიული წყაროს – „თბილისის აღება დავით აღმაშენებლის მიერ" – განხილვა, რომელიც ომისა და მშვიდობის შედეგებს, ამავე დროს, თბილისისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებას აჩვენებს; • გამოფენის მოწყობა თემაზე: „რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება თბილისში".
დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის: • ინფორმაციის მოძიება, რა სახელი ერქვა ადრე თბილისის ამა თუ იმ ქუჩას/უბანს? როდის და რატომ შეიცვალა მათი სახელწოდებები? • კონკურსისთვის ფოტოკოლაჟის / ვიდეორგოლის შექმნა თბილისის რომელიმე უბნის შესახებ; • იმ ისტორიული პერსონაჟების შემდგომი თავგადასვლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომელთა სახელებსაც თბილისის უმთავრესი ისტორიული ნაგებობები უკავშირდება (მაგალითად, დემეტრე თავდადებული – მეტეხის ტაძარი); • ნახატის/ქაღალდის მაკეტის შექმნა, რომელიც თავისუფლების მოედანსა და რუსთაველზე მდებარე კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობის ცენტრებს წარმოაჩენს.

2. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები)	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები**
საზ.მეც.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/გამოვლენა; **საზ.მეც.დაწყ.(II).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების (გეომეტრიული, ფართობლივი და ხაზობრივი ნიშნების) საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას).	**შეკითხვები:** • როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ქალაქის გეგმაზე ასახული პირობითი ნიშნები თბილისში ორიენტირებისთვის? • როგორ მოგვითხრობს ნახატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე? • რით არის განპირობებული სხვადასხვა საქმიანობისა და პროფესიის მრავალფეროვნება თბილისში? **ცნებები:** გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა, საზღვარი, ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი, ანთროპოგენული), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი; ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე); პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა; ტრანსპორტი და კომუნიკაციები.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • სიმულაციური მოგზაურობა თბილისში რუკის ან ადგილის გეგმის გამოყენებით;	

- კონტურული და რელიეფური რუკის შექმნა, რომელზეც თბილისი, მისი მიმდებარე მხარეები და მათი დამაკავშირებელი გზები იქნება ასახული;
- SWOT ანალიზით რისკების შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება საფრთხის შემცველ ადგილას შენობა-ნაგებობის აშენებისთვის და „ნებართვის“ სახით მისი შედეგების წარმოდგენა;
- თბილისისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირება და კლასგარეშე გაკვეთილის სახით სამოხალისეო აქტივობის დაგეგმვა (დასუფთავება, ხეების დარგვა, ნაგვის ურნების დადგმა), რომელიც გარემოს დაცვაზე იქნება ორიენტირებული (ეს აქტივობა თბილისს გარეთ მცხოვრებმა მოსწავლეებმა შეიძლება თავიანთ რეგიონში განახორციელონ).

დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გამოკითხვის ჩატარება თემაზე: „რა არის თბილისისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა“ და მისი შედეგების პრეზენტაცია (აქტივობის განსახორციელებლად შესაძლებელია სოფლის/რეგიონის რომელიმე სკოლის დამეგობრება თბილისის ერთ-ერთ სკოლასთან და შემდგომ მოსწავლეებს შორის კონტაქტის დამყარება ინტერნეტის (სკაიპის) საშუალებით ან ტელეფონით);
- დროის ხაზის გამოყენებით ფოტოკოლაჟის გაკეთება თემაზე: „როგორ გამოიყურებოდა თბილისის სხვადასხვა უბანი ძველად და ახლა“;
- მარტივი კვლევის ჩატარება უფროსი ასაკის ადამიანებთან (ბებია-ბაბუებთან, მშობლებთან) და თანატოლებთან თემაზე: „რომელი პროფესია იყო (ძველი თაობისთვის) და არის (ახალი თაობისთვის) ყველაზე მეტად პოპულარული თბილისში (ან რეგიონში)“ და კვლევის შედეგების განხილვა;
- თბილისის ტურისტულ-რეკრეაციულ ადგილებში (მაგ.: პარკებში, სკვერებში) მყოფი ადამიანებისგან ინტერვიუს აღება თემაზე: „რატომ ვსტუმრობ ამ ადგილს?“ და ინტერვიუს შედეგების პრეზენტაცია (ეს აქტივობა თბილისს გარეთ მცხოვრებმა მოსწავლეებმა შეიძლება თავიანთ რეგიონში განახორციელონ).

3. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას; **საზ.მეც.დაწყ.(II).12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (დემოკრატიის პრინციპების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შემწყნარებლობის, გარემოს დაცვის) მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის; **საზ.მეც.დაწყ.(II).13.** საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა; **საზ.მეც.დაწყ.(II).14.** ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.	**შეკითხვები:** • რატომ ცხოვრობენ თბილისში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები? • რატომ წარმოადგენს რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი თბილისის ცენტრს (კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით)? • როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის ტურისტულ-რეკრეაციული ზონები? **ცნებები:** საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი; მოხალისეობა, მონაწილეობა; სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ეთნიკური, რელიგიური უმრავლესობა/უმცირესობა, დისკრიმინაცია (ჩაგვრა, ძალადობა); არჩევნები, სიმბოლიკა; ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, თანასწორობა, კულტურული მემკვიდრეობა;

	მუზეუმი (სახლმუზეუმი, მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი); ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა; ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობების მაგალითები:

- თემატური ექსკურსია რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურაში (მაგ.: საკრებულო, პოლიცია, მერია);
- დოკუმენტური ფილმის „ბედნიერების მტრედები“ განხილვა (ორგანიზაცია: „ადამიანი გაჭირვებაში“);
- სტუმრის (მაგალითად, უბნის ინსპექტორის, სკოლის ექიმის) მოწვევა, რომელიც მოსწავლეებს ნარკოტიკებისა და თამბაქოს მავნე ზემოქმედების შედეგებზე გაესაუბრება;
- საკლასო თოქშოუს მოწყობა თემაზე: „ტოლერანტობა თბილისში“.

დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- დაკვირვება სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენი ადამიანი დაარღვევს მოძრაობის წესებს;
- პლაკატის / სლოგანის შექმნა, რომელიც თბილისისთვის აქტუალურ რომელიმე სოციალურ პრობლემას (ნარკომანია, ჩაგვრა) ეხმიანება;
- ერთი დღით მანდატურის როლის მორგება და მოსწავლეთა ანტისოციალურ ქცევებზე დაკვირვება. დაკვირვების შედეგების პრეზენტაცია;
- საკონკურსოდ მოთხრობის დაწერა საკვანძო სიტყვების (მაგ.: პრობლემა, თბილისი, მოხალისეობა, მრავალფეროვნება) გამოყენებით, რომლებიც თბილისისთვის აქტუალური რომელიმე პრობლემის სპეციფიკას უჩვენებს.

შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები:

- თბილისის პატივსაცემად რაიმე ღონისძიების გამართვა, რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლებისთვის აქტუალური მასალა აისახება;
- დრამის დადგმა, რომელიც თბილისის ისტორიის რომელიმე მოვლენას ან მისთვის დამახასიათებელ თანამედროვე სოციალურ პრობლემას ეძღვნება;
- მაკეტების საშუალებით თბილისის შედარება საქართველოს რომელიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესთან;
- თბილისისთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება;
- თბილისში მცხოვრებ თანატოლებთან თანამშრომლობით (სკაიპის, ტელეფონის ან სხვა საშუალებების გამოყენებით) დედაქალაქის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მოძიება და გადმოცემა;
- თბილისის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;
- ექსკურსია ძველ თბილისში რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნების შესასწავლად.

თემა: სახელმწიფო – ჩვენი საქართველო

1. სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსთან (მაგ.: სახელმწიფო, ისტორიული მემკვიდრეობა); **საზ.მეც.დაწყ.(II).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება. **საზ.მეც.დაწყ.(II).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/გამოვლენა.	**შეკითხვები:** • როდის და როგორ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა? • როგორ იცვლებოდა ქვეყნის საზღვრები (სამაჩაბლო, აფხაზეთი)? • რატომ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება? • რატომ ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციები? **ცნებები:** ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია; კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა; სახელმწიფო, მმართველობის ფორმები, დამწერლობა, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობები:

- ჯგუფური მუშაობის გზით პლაკატის შექმნა, რომელიც ქვეყნის მრავალფეროვნებას გაუსვამს ხაზს;
- დისკუსია რომელიმე ისტორიული ძეგლის აღდგენის საჭიროებასთან და ფორმებთან დაკავშირებით;
- როლური თამაში, რომლითაც ერთიან საქართველოში სავაზიროს დარბაზობის კოსტიუმირებული ინსცენირება იქნება წარმოდგენილი (რომელშიც სახელმწიფოს სხვადასხვა მოხელე: მეფე, მეჭურჭლეთუხუცესი, ამირსპასალარი მიიღებენ მონაწილეობას);
- როლური თამაში, რომელიც საქართველოს თანამედროვე პარლამენტის/მინისტრთა კაბინეტის სხდომას წარმოადგენს.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- მსგავსება-განსხვავებების პოვნის მიზნით საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების რომელიმე დღესასწაულის შესახებ ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია;
- ნახატების ან ფოტოების საშუალებით საქართველოსთვის დამახასიათებელი საცხოვრისის ტიპების წარმოჩენა;
- გამოკითხვის ჩატარება თანატოლებში: დაასახელეთ სამი, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს ისტორიიდან. გამოკითხვის შედეგების შეჯერება და პრეზენტაცია;
- რევაზ ინანაშვილის მოთხრობის – „ლოჭინში“ – საფუძველზე შემდგომი ისტორიის დაწერა.

2. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა; **საზ.მეც.დაწყ.(II).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების (გეომეტრიული, ფართობლივი და ხაზობრივი ნიშნები) საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);	**შეკითხვები:** • რა შეიძლება გავიგო საქართველოს შესახებ სხვადასხვა ტიპის რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით? • რატომ არის ჩემი მოვალეობა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა? **ცნებები:** გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა, საზღვარი, ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი, ანთროპოგენული), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები, ისტორიულ მხარე); პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობები:

- რუკის შესწორება, რომელზეც ობიექტები არასწორი პირობითი ნიშნებითაა გამოსახული;
- ფაზლების საშუალებით, რომლებიც საქართველოს მხარეებსა და მის მეზობელ ქვეყნებს წარმოადგენენ, საქართველოს ადმინისტრაციული რუკის აგება (ჯგუფური სამუშაო);
- დოკუმენტური ფილმის განხილვა საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ (დაცული ტერიტორიების სააგენტოს საიტი).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- „ასოციაციური რუკის“ დახატვა, რომელზეც 12 სამხარეო ერთეული ფოთლებიანი ყვავილის სახითაა წარმოდგენილი. ბუნებრივი რესურსების რუკის საშუალებით განსაზღვრა იმისა, თუ რომელი რესურსითაა მდიდარი საქარველოს ესა თუ ის მხარე;
- სხვადასხვა ფერის პლასტელინით სახლის გამოძერწვა, სადაც ცნება ეკონომიკა წითელ ფერთან იქნება გაიგივებული. იმის მიხედვით, თუ სახლის რომელი ნაწილი (საძირკველი, სახურავი, ფანჯარა) იქნება შეფერადებული წითლად, მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რა როლი აქვს ეკონომიკას ქვეყნის განვითარებისთვის;
- გამოკითხვის ჩატარება მშობლებთან, ბებია-ბაბუებთან, უფროსი ასაკის ადამიანებთან იმის შესახებ, ახსოვთ თუ არა განსაკუთრებული მოვლენა რომელიმე ბუნებრივ მოვლენასთან მიმართებაში;
- ლოკალური გარემოსთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის T დიაგრამის შედგენა. მათი გავრცელების სავარაუდო მიზეზების მოკვლევა.

3. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
საზ.მეც.დაწყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა. **საზ.მეც.დაწყ.(II).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; **საზ.მეც.დაწყ.(II).10.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას; **საზ.მეც.დაწყ.(II).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას); **საზ.მეც.დაწყ.(II).12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (მაგ.: დემოკრატიის პრინციპების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შემწყნარებლობის, გარემოს დაცვის) მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის; **საზ.მეც.დაწყ.(II).15.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მის გარშემო წარმოდგენილი სოციოალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გაცნობიერება.	**შეკითხვები:** • რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს ქვეყანას ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებამ და მოვალეობების იგნორირებამ? • როგორ შევიტანოთ წვლილი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში არსებული გამოწვევების ფონზე (მაგ.: ცხოვრების ჯანსაღი წესი, განათლების ხელმისაწვდომობა, ქალთა და ბავშვთა დისკრიმინაცია, ძალადობის (ბავშვზე ძალადობა) პრობლემა, სახელმწიფო ენის არცოდნა)? • როგორ ზრუნავს ძირითადი სახელმწიფო და სოციალურ-კულტურული ინსტიტუტები ჩვენი უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე (მაგ.: პარლამენტი, სასამართლო, სამინისტრო, უნივერსიტეტი (განათლების უფლება), ოპერის თეატრი, მუზეუმი)? • როგორ ზრუნავს სახელმწიფო ჩვენს სამოქალაქო უსაფრთხოებაზე? • როგორ მივაწვდინო ხმა ხელისუფლებას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით? **ცნებები:** საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი; მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ეთნიკური, რელიგიური უმრავლესობა/უმცირესობა, დისკრიმინაცია (ჩაგვრა, ძალადობა); არჩევნები, სიმბოლიკა; ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, თანასწორობა; კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმი (სახლმუზეუმი, მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი), ტრადიცია/ ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები.

რეკომენდაციები

საკლასო აქტივობების მაგალითები:

- „გონებრივი იერიში“ თემაზე: რა უფლებები აქვს მოქალაქეს. შემდეგ კი განხილვა, თუ როგორ იცავს სახელმწიფო ამ უფლებებს;
- ვიზიტი რომელიმე საჯარო სტრუქტურაში (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, რეგიონული სახანძრო-სამაშველო სამსახურები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, იუსტიციის სახლი). მათი ფუნქციების გაცნობა;
- ჯგუფური დავალების სახით პეტიციის დაწერა ქვეყნისთვის აქტუალურ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით;

დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- თემის დაწერა: ჩემი და ჩემი თანატოლების მოვალეობები ქვეყნის წინაშე;
- მასალის მოგროვება სხვადასხვა ადამიანის მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული სამოქალაქო აქტივობების შესახებ (ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ქველმოქმედება, მოხალისეობა);
- ქართველი სპორტსმენების ოლიმპიურ წარმატებებზე ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია;
- საკვანძო სიტყვების (მაგ.: პრობლემა, სახელმწიფო) გამოყენებით თემის დაწერა: რას გამოვასწორებდი ჩემს ქვეყანაში.

შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები:

- როლური თამაშის სახით დრამის დადგმა, რომელიც საქართველოს ისტორიის რომელიმე საკვანძო მოვლენას ეძღვნება;
- როლური თამაშის სახით დრამის დადგმა, რომელიც საქართველოსთვის აქტუალურ თანამედროვე სოციალურ პრობლემას ეძღვნება;
- საქართველოსთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება;
- სკაიპის, ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქართველოში მცხოვრები მათი თანატოლების პრობლემების შესწავლა, მათი განზოგადება და პრეზენტაცია;
- საქართველოს შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის / ვიდეორგოლის შექმნა;
- ექსკურსია საქართველოს რომელიმე მხარეში / მუზეუმში ქვეყნის მრავალფეროვნების შესასწავლად, შედეგების პრეზენტაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №182/ნ – ვებგვერდი, 03.01.2017წ.

1.3. შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა
V კლასი

ქართ.	არაქართ.	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა
			სემესტრი			სემესტრი
			I	II		II
5	6	ჩვენი საქართველო	2	2		3

VI კლასი

ქართ.	არაქართ.	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა	შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
			სემესტრი			სემესტრი	
			I	II		I	II
5	6	ჩვენი საქართველო	3	3		2	3

თავი XV. საზოგადოებრივი მეცნიერებები – ზოგადი ნაწილი და სტანდარტები

მუხლი 72. საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი დაწყებით საფეხურზე – „ჩვენი საქართველო“

შესავალი

საგანი „ჩვენი საქართველო“ საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს. მის ფარგლებში მოსწავლე, ასაკის შესაბამისად, საქართველოს მხარეების (მაგ.: ქართლის, კახეთის, გურიისა და ა.შ.) გეოგრაფიას, ისტორიას, ეთნოგრაფიულ თავისებურებებსა და თანამედროვე მდგომარეობას შეისწავლის.

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს ცნობისმოყვარეობა გაუღვივდება ქვეყნის წარსულისა და აწმყოს მიმართ; მხარის გეოგრაფიას დაუკავშირებს ისტორიას, კულტურას და ეთნოგრაფიას. გაუჩნდება მოტივაცია, საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადო პრობლემების გადაჭრაში. ეს მას სამშობლოს სიყვარულის გრძნობას გაუღვივებს და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

მიზნები

საგანი „ჩვენი საქართველო” მიზნად ისახავს მოსწავლეს:

- დაეხმაროს საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში;
- გაუღვივოს ცნობისმოყვარეობა ქვეყნის წარსულისა და თანამედროვეობის მიმართ;
- გააცნობიერებინოს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა;
- ჩამოუყალიბოს მზრუნველი დამოკიდებულება თავისი რეგიონისა და ქვეყნის მიმართ;
- დაეხმაროს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წევრად თავის აღქმაში;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში;
- დაეხმაროს სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაში;
- განუვითაროს სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- განუვითაროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში სიტუაციების შეფასებისა და საგანგებო ვითარებაში ადეკვატურად მოქმედების უნარი.

V-VI კლასების სტანდარტი

ა) VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება
დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **საზ.მეც.დაწყ.(II).1.:**
„საზ.მეც“- მიუთითებს საზოგადოებრივ მეცნიერებებს;
„დაწყ“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;
„(II)“ — მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V- VI კლასებს;
„**1“-** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

„ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: დრო, სივრცე და ცვალებადობა**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).1.	ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობასთან;
საზ.მეც.დაწყ.(II).2.	ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება;
საზ.მეც.დაწყ.(II).3.	საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა;
საზ.მეც.დაწყ.(II).4.	რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;
საზ.მეც.დაწყ.(II).5.	საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა;
	2. მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).6.	ქვეყნის განვითარებისთვის ვაჭრობის, სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება;
საზ.მეც.დაწყ.(II).7.	ინიციატივის გამოვლენა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა;
	3. მიმართულება: სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
საზ.მეც.დაწყ.(II).8.	მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა.
საზ.მეც.დაწყ.(II).9.	საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების გააზრება ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში; საკუთარი ჩართულობით მათი გამოსწორების მექანიზმების გაცნობიერება;

საზ.მეც.დაწყ.(II).10.	გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას;
საზ.მეც.დაწყ.(II).11.	უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);
საზ.მეც.დაწყ.(II).12.	ღირებულებების – მაგ.: დემოკრატიის პრინციპების, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გარემოს დაცვის, შემწყნარებლობის – მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებისთვის;
საზ.მეც.დაწყ.(II).13.	საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
საზ.მეც.დაწყ.(II).14.	ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.
საზ.მეც.დაწყ.(II).15.	მის გარშემო წარმოდგენილი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გაცნობიერება.

ბ) შინაარსი

სასწავლო პროცესი შემდეგი ცნებითი კატეგორიებისა და თემების დამუშავების საფუძველზე უნდა წარიმართოს:

ცნებები და ტერმინები

საგან „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი გულისხმობს ჩამოთვლილი ცნებების იმპლიციტურ და არა ექსპლიციტურ დამუშავებას:

1. პიროვნება, საზოგადოებრივი ჯგუფები;
2. დრო, უწყვეტობა და ცვლილება (ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია, კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა);
3. ხალხი, მდებარეობა, გარემო (გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა; საზღვარი; ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე);
4. ეკონომიკა (პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები);
5. სახელმწიფო და მოქალაქე (საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ძალადობა), არჩევნები, სიმბოლიკა).
6. კულტურული მრავალფეროვნება (ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმი, ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები).

V-VI კლასებისათვის სავალდებულო თემები
საქართველოს მხარეები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაყოფა): 1) ქართლი; 2) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ერწო-თიანეთი); 3) სამეგრელო; 4) აჭარა; 5) იმერეთი; 6) კახეთი; 7) გურია; 8) სვანეთი; 9) რაჭა-ლეჩხუმი; 10) აფხაზეთი; 11) სამცხე-ჯავახეთი; 12) საქართველოს დედაქალაქი – თბილისი; 13) სახელმწიფო- ჩვენი საქართველო.

V კლასში გათვალისწინებულია საქართველოს ხუთი მხარის შესწავლა: ქართლი, სვანეთი, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი. VI კლასში კი საქართველოს დანარჩენ ექვს მხარესთან ერთად ისწავლება თემები: თბილისი – საქართველოს დედაქალაქი და სახელმწიფო – ჩვენი საქართველო.

თემა V — VI კლასებისთვის

საქართველოს მხარის მოცემული მატრიცა უნივერსალური ნიმუშია, რომლის მიხედვით უნდა აიგოს მასალა ყველა მხარის ირგვლივ, რა თქმა უნდა, მხარეთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

თემა	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:**
საქართველოს მხარე	რა ვიცით საქართველოსა და მისი მხარეების შესახებ **(საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4)** რა შეიძლება გავიგო საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით (რესურსი, ძეგლი, ბრძოლის ადგილი, ქალაქი, მდინარე, ტბა, მთა, ბარი)? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 4)** რას და როგორ მოგვითხრობს ისტორიის შესახებ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში შემორჩენილი ძეგლები? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 4, 14)** რომელი მნიშვნელოვანი პიროვნებები, მოვლენები, მითები და ლეგენდები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიას? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 12)** ისტორიულად რომელი ცნობილი მოგზაურები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარეს? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 6)** როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიასა და ყოფაზე? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 9, 12)** როგორ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვადასხვა ნიშნით (მაგ.: ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) ერთმანეთისგან და რამ განაპირობა ეს? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13)** რამ განაპირობა, რომ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობენ? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 13)** რატომ არის საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ესა თუ ის ტრადიციული საქმიანობა და მეურნეობის დარგი? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 6)** რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 5)**

საქართველოს მხარე	როგორ იცავენ თავს საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის დამახასიათებელი სტიქიური მოვლენებისგან? რა განაპირობებს სტიქიური მოვლენების წარმოქმნას? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 5, 11)** როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური პრობლემების (მაგ.: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ეკომიგრანტები, დევნილები, განათლების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის არცოდნა*) გადაჭრაში? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 12, 14)** ***ამ ჩამონათვალიდან უნდა გამოვყოთ და მიმოვიხილოთ კონკრეტული მხარისთვის დამახასიათებელი სოციალური პრობლემა.*** როგორ შემიძლია მშვიდობიანი გზით დავიცვა ჩემი და ჩემი თანატოლების უფლებები და რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო საზოგადოებისთვის საზიანო ძალადობრივი ქცევის შესაჩერებლად? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 10, 12)** რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს მხარეს ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებებმა და მოვალეობების იგნორირებამ? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 10, 14)** რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გოგონებმაც და ბიჭებმაც დაიცვან ჯანსაღი ცხოვრების წესი და როგორ გვეხმარება საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ტრადიციული სპორტული სახეობები ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებაში? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 10)** რატომ იყო და არის საჭირო საქართველოს სხვადასხვა მხარეში სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების არსებობა (მაგ.: სკოლა, აკადემია, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი) წარსულსა და თანამედროვეობაში? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 6, 15)**
თბილისი – საქართველოს დედაქალაქი	როგორ დაარსდა თბილისი? როგორ იქცა იგი საქართველოს დედაქალაქად? როგორი იერსახე ჰქონდა მას ისტორიულ წარსულში? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 13)** როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (მაგ.: ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) თბილისის ისტორიასა და ყოფაზე? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 12)** რას და როგორ მოგვითხრობს შემორჩენილი ძეგლები თბილისის ისტორიაზე (მაგ.: ნარიყალა, მეტეხი?) **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 14)** როგორ განსხვავდება ისტორიული და თანამედროვე თბილისი? როგორ მოგვითხრობს ნახატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3, 6, 14)** რატომ აქვს თბილისის უბნებს სხვადასხვა იერსახე (არქიტექტურა, მოსახლეობის ყოფა)? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 5, 15)** რატომ წარმოადგენს რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი თბილისის ცენტრს (კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით)? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 15)** რით არის განპირობებული სხვადასხვა საქმიანობისა და პროფესიის მრავალფეროვნება თბილისში? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 6, 13, 15)** რატომ ცხოვრობენ თბილისში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 3, 12, 13)** როგორ აისახებოდა/აისახება თბილისი ხელოვნებასა და მწერლობაში? (მაგ. ფიროსმანი, გრიშაშვილი და სხვა) **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 3)** როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ქალაქის გეგმაზე ასახული პირობითი ნიშნები თბილისში ორიენტირებისთვის? **(საზ.მეც.დაწყ.(II).4)** რატომ დგას თბილისში მწვავედ გარემოს (ეკოლოგიის, ჰაერის დაბინძურების) დაცვის პრობლემები? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 9, 14)** როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის ტურისტული და დასასვენებელი (რეკრეაციული) ზონები? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 10)**

სახელმწიფო – ჩვენი საქართველო	როდის და როგორ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 14)** რა მნიშვნელობა აქვს და რატომ შეიძლება იცვლებოდეს სახელმწიფოს საზღვარი? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 1, 2, 4)** რა შეიძლება გავიგო საქართველოს შესახებ სხვადასხვა ტიპის რუკებისა და მათზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით? **(საზ.მეც.დაწყ.(II).4, 5)** რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს ქვეყანას ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებამ და მოვალეობების იგნორირებამ? **(საზ.მეც. დაწყ.(II). 8, 12)** როგორ შევიტანოთ წვლილი ჩემი ქვეყნის განვითარებაში არსებული გამოწვევების ფონზე (ეკოლოგიური პრობლემები, საგზაო უსაფრთხოება, ცხოვრების ჯანსაღი წესი, განათლების ხელმისაწვდომობა, ძალადობის პრობლემა, სახელმწიფო ენის არცოდნა და სხვა)? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 9, 10, 12)** რატომ არის ჩემი მოვალეობა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 9, 14)** რატომ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 3, 13)** რატომ ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციები? **(საზ.მეც.დაწყ.(II).1, 3, 13)** როგორ ზრუნავს სხვადასხვა ინსტიტუტი ჩვენი უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე (მაგ.: პარლამენტი, სასამართლო, სამინისტროები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, თეატრი, მუზეუმი)? **(საზ.მეც.დაწყ.(II). 15)** როგორ ზრუნავს სახელმწიფო ჩვენს სამოქალაქო უსაფრთხოებაზე? **(საზ.მეც.დაწყ. (II). 11)** როგორ მივაწვდინო ხმა ხელისუფლებას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით **(საზ.მეც.დაწყ.(II). 7, 8, 9, 12)**

ქვეპუნქტი 4. შეფასება

საგნის „ჩვენი საქართველო“ სწავლა-სწავლებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მისი ამოცანები საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის ზოგად ნაწილშია ჩამოყალიბებული.

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში, მიმდინარე შეფასების კომპონენტში, მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შეიძლება შეფასდეს შემდეგი ტიპური აქტივობებით:

1. **რუკაზე მუშაობა** (რუკის შექმნა (მათ შორის, ფაზლით), რუკაზე არსებული შეცდომის შესწორება, სიმულაციური მოგზაურობა რუკაზე და სხვა);
2. დიაგრამების, **სკალების** (დროის სკალა) შექმნა;
3. ინფორმაციის, ფოტომასალის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება, გამოფენის მოწყობა;
4. მოთხრობის, ანიმაციური/მხატვრული/დოკუმენტური ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის, ლიტერატურული ნაწარმოების, წყაროს **განხილვა.**
5. **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა** (პლაკატის, ნახატის, კომიქსის, ფლაერის, ესეის, მოთხრობის, ბუკლეტის, კედლის გაზეთის, მაკეტის, ემბლემის, ვიდეორგოლის, ფოტოალბომის, ფოტოკოლაჟის (დროის სკალის გამოყენებით), სლოგანის შექმნა);
6. **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება, ქცევის წესები („კონსტიტუცია“), დღის რეჟიმი, „მეგობრობის დღიური“, გამოფენა);
7. **დოკუმენტების** (საკლასო „კონსტიტუცია“, დღის რეჟიმი, პეტიციის და სხვა) შექმნა;
8. **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა);
9. საქველმოქმედო, საგანმანთლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული **პროექტების** დაგეგმვა და განხორციელება;
10. **ექსკურსია;**
11. **დისკუსია** (დებატი, თოქშოუ);
12. **როლური თამაში** (საჯარო სტრუქტურის იმიტაცია, სიმულაციური სასამართლო და სხვა).

აღნიშნულ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა უნდა შეფასდეს შეფასების რუბრიკებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ამოწმებს მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, მეორე მხრივ კი — სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის ხარისხს (ცოდნის სამ კატეგორიას — დეკლარატიულს, პროცედურულს, პირობისეულს).

შემაჯამებელი დავალება წარმოდგენილი უნდა იყოს კომპლექსური დავალების სახით. კომპლექსური დავალება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

1. საქართველოს ამა თუ იმ მხარის (მაგალითად, ქართლის) რომელიმე პუნქტში ექსკურსიის გზით **კვლევის ჩატარება** (ისტორიულ-გეოგრაფიულ-სოციალურ პრობლემებზე) და მისი შედეგების **პრეზენტაცია**;
2. საქართველოს ამა თუ იმ მხარის პატივსაცემად რაიმე **ღონისძიების გამართვა,** რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მონაცემები აისახება;
3. **როლური თამაშით** საქართველოს ამა თუ იმ მხარის რომელიმე ისტორიული მოვლენის ეპიზოდის წარმოდგენა;
4. **მაკეტების შექმნა** საქართველოს ორი მხარის მახასიათებლების ერთმანეთთან შედარების მიზნით;
5. ეთნოგრაფიულ **მუზეუმში სტუმრობა** მისი ღირსშესანიშნაობების შესასწავლად;
6. საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;
7. სკაიპის, ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ თანატოლებთან დაკავშირება, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და თანატოლების პრობლემების ირგვლივ მოგროვილი ინფორმაციის განზოგადება;
8. საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური **მარტივი სამოქალაქო პროექტების** (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა უნდა ახლდეს თითოეულ ტესტურ კითხვას);
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №182/ნ – ვებგვერდი, 03.01.2017წ.

1.4. შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა (V კლასი)*

№№	გაკვეთილი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
		იმბ. ფაქტორები და მოსავლიანობის ქოთანთ

აგიერ ყოლიფები ბოლიარული-ჟულტურული ბარგმა და იმბოლოდა და ბაზრები ფიზიკურ-ჟულტურული ბარგმა და იმბოლოდა მეგზეკიდლოსაბალთან | ლეგზალბორია და ბოთლები, ფნითვენლოვანი იმბოლოდა მოვლენლენია და პოთლენლენია ლოლა დაკავშირებია; ქვეყნის ბარგმა ბარგმა პოთლენლენია ლოლა ბარგმა | ბარგმა ბმბარლენლენის ბენლენბარგია და ბოლიფალურ-ჟულტურული ბმბარლენლენია ბენლენბარგია; ფაქტორ ლენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ფაქტორ ლენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა | ბარგმა ბენლენ ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა ბენლენ ბარგმა |
		ჩვენი საშუალო														
1	მითი და არგონავტებზე	●	●		●											
2	შავი ზღვა	●		●	●	●					●	●				
3	უხსოვარი დროიდან	●													●	
4	სოფელი და ქალაქი				●		●			●						

* მოსწავლის წიგნში მოცემული გაკვეთილები თემის ფარგლებში ზოგჯერ შესაძლოა ერთნაირი სისრულით არ ასახავდნენ ყველა მისაღწევ შედეგს. მაგრამ მასწავლებლის წიგნში მასალების დიდი სპექტრია, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია თავისი შეხედულებებით დაამგმოს გაკვეთილი და მიიღოს სასურველი შედეგი.

5	მთები და მდინარეები			●	●	●				●					●	
6	ერთიანობის საფუძველი			●		●		●							●	
7	საქართველოს მხარეები			●	●			●							●	
8	ენა და მეტყველება	●		●			●			●		●	●	●	●	
9	შემაჯამებელი გაკვეთილი			●												
იმერეთი																
		1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**	**11**	**12**	**13**	**14**	**15**
10	მდებარეობა და ბუნება			●	●		●								●	
11	დასახლება და მოსახლეობა	●		●	●								●	●	●	
12	უძველესი ქალაქი	●		●	●		●									●
13	მეურნეობა			●			●									
14	მანგანუმი და ქვანახშირი	●		●	●		●									
15	გარემოს დაცვა	●		●	●		●	●	●	●	●	●	●		●	
16	კულტურის ძეგლები	●	●	●	●				●	●			●		●	●
17	ტრადიცია და თანამედროვეობა	●		●									●	●	●	
18	შემაჯამებელი გაკვეთილი		●													

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
შიდა ქართლი																
19	მდებარეობა და ბუნება	●		●	●	●	●					●			●	
20	დასახლება და მოსახლეობა	●		●	●	●	●						●	●	●	
21	ქართული სულიერების საგანძური	●	●	●	●		●						●	●	●	●
22	მავთულხლარ-თების მიღმა	●		●	●			●	●	●			●	●	●	●
23	მეურნეობა			●	●	●	●	●	●	●						
24	ხორბალი	●	●	●		●	●									
25	გარემოს დაცვა	●		●	●	●	●	●	●	●		●	●		●	
26	კულტურის ძეგლები	●	●		●								●		●	●
27	ტრადიცია და თანამედროვეობა	●	●	●							●		●	●	●	●
28	შემაჯამებელი გაკვეთილი			●	●											
ქვემო ქართლი																
29	მდებარეობა და ბუნება			●	●											
30	დასახლება და მოსახლეობა	●		●	●	●	●	●					●	●	●	
31	ლორე-ტაშირი	●		●	●		●						●	●	●	
32	ქართული მეტალურგიის ცენტრი	●		●	●		●									●
33	სოფლის მეურნეობა	●		●	●	●	●						●	●		

34	გარემოს დაცვა			●	●	●	●			●			●		●	●
35	ნარჩენები			●		●	●	●	●	●		●	●			●
36	კულტურის ძეგლები	●			●								●	●	●	●
37	ტრადიცია და თანამედროვეობა	●	●										●	●	●	
38	შემაჯამებელი გაკვეთილი										●		●			
სვანეთი																
		1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**	**11**	**12**	**13**	**14**	**15**
39	მდებარეობა და ბუნება	●		●	●	●										
40	დასახლება და მოსახლეობა	●		●	●	●									●	
41	მეურნეობა	●	●	●	●		●								●	
42	გარემოს დაცვა			●	●	●		●	●	●		●	●		●	
43	მთამსვლელობა და ტურიზმი	●	●	●	●	●	●		●		●	●	●		●	
44	კულტურის ძეგლები	●		●					●				●	●	●	●
45	ტრადიცია და თანამედროვეობა	●		●									●		●	
46	შემაჯამებელი გაკვეთილი					●										
სამეგრელო																
47	მდებარეობა და ბუნება			●		●						●				
48	დასახლება და მოსახლეობა	●		●								●			●	

49	საქართველოს კარიბჭე	●	●	●	●		●						●			
50	მეურნეობა			●		●	●			●			●	●		
51	გარემოს დაცვა				●	●		●	●		●	●		●	●	
52	კულტურის ძეგლები	●		●						●			●	●	●	●
53	ტრადიცია და თანამედროვეობა	●	●	●				●	●					●	●	
54	შემაჯამებელი გაკვეთილი					●		●	●	●	●					●
								აჭარა								
		1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**	**11**	**12**	**13**	**14**	**15**
55	მდებარეობა და ბუნება			●	●	●		●							●	
56	დასახლება და მოსახლეობა				●		●						●	●		
57	ძველი და ახალი ბათუმი					●		●	●						●	
58	მეურნეობა					●		●	●						●	
59	გარემოს დაცვა				●	●		●	●	●		●				
60	კულტურის ძეგლები	●		●	●				●				●	●	●	●
61	ტრადიცია და თანამედროვეობა	●		●					●	●	●		●	●	●	●
62	ლაზეთი	●		●			●	●								
63	შემაჯამებელი გაკვეთილი									●			●		●	●

შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა (VI კლასი)

№№	გაკვეთილი		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
			ინტ. ფაქტორია და ფიზიკური ქონებრივი ურთიერთობა ერთმანეთს ბაზრებისა და გაღრმავება. ბალი დაკავშირება ადამიანურ-ეკონომიკურ ბენეფიციალურობასთან და ინტერესი	ფაქტორია და ეფექტიანობა ინტერესი ეკონომიკურ-ეკონომიკურ ბაზრებისა	ბაზრის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეკონომიკურ-ეკონომიკურ ბაზრებზე	ბაზრის ფუნქციონირების ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ბაზრის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ბაზრის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ინფორმაციის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ინფორმაციის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ინფორმაციის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ინფორმაციის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ინფორმაციის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ინფორმაციის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა	ინფორმაციის ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა
1	მდგებარეობა და ბუნება		●									●				●	
2	დასახლება და მოსახლეობა			●	●	●		●	●	●				●	●		●
3	მეურნეობა				●	●		●	●	●	●					●	
4	გარემოს დაცვა						●	●		●			●	●		●	
5	კულტურის ძეგლები			●				●	●					●		●	●

6	ქართული ხალხური თამაშები	●		●				●	●		●	●			●	
7	ტრადიცია და თანამედროვეობა	●		●			●	●	●				●	●	●	
8	შემაჯამებელი გაკვეთილი										●					
სამცხე-ჯავახეთი																
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
9	მდებარეობა და ბუნება			●	●									●		
10	დასახლება და მოსახლეობა				●			●	●				●	●		●
11	მეურნეობა	●		●		●	●	●	●	●						
12	გარემოს დაცვა			●				●	●	●		●		●	●	
13	კულტურის ძეგლები	●	●	●	●	●			●				●	●	●	●
14	საზღვარსიქითა მესხეთი	●		●												
15	ტრადიცია და თანამედროვეობა			●			●	●	●		●		●	●	●	
16-17	შემაჯამებელი გაკვეთილი													●		
კახეთი																
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
18	მდებარეობა და ბუნება			●	●	●										
19	დასახლება და მოსახლეობა	●							●				●	●	●	
20	საინგილო	●			●				●				●	●		●

21	მეურნეობა	●				●	●				●	●				
22	ვაზი	●	●				●								●	
23	გარემოს დაცვა			●		●		●	●			●	●		●	
24	კულტურის ძეგლები	●	●	●	●				●	●					●	●
25	ტრადიცია და თანამედროვეობა	●	●	●					●	●				●		
26	შემაჯამებელი გაკვეთილი						●	●								
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი																
		1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**	**11**	**12**	**13**	**14**	**15**
27	მდებარეობა და ბუნება			●	●							●				
28	დასახლება და მოსახლეობა			●										●		
29	მეურნეობა				●	●	●	●							●	
30	გარემოს დაცვა			●		●		●		●		●				
31	კულტურის ძეგლები	●	●	●										●	●	●
32	ხატობა	●	●	●			●		●				●	●	●	●
33	ტრადიცია და თანამედროვეობა	●	●			●		●	●	●	●		●	●	●	
34-35	შემაჯამებელი გაკვეთილი						●	●								

რაჭა-ლეჩხუმი																
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
36	მდებარეობა და ბუნება			●	●	●		●			●	●			●	
37	დასახლება და მოსახლეობა			●	●					●						
38	მეურნეობა			●			●									
39	ნადირობა	●		●			●		●	●						
40	გარემოს დაცვა			●		●								●		
41	კულტურის ძეგლები	●	●	●									●	●	●	●
42	ტრადიცია და თანამედროვეობა			●			●		●	●			●	●	●	
43-44	შემაჯამებელი გაკვეთილი						●	●		●						
აფხაზეთი																
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
45	მდებარეობა და ბუნება	●	●	●	●						●	●				
46	დასახლება და მოსახლეობა	●		●	●		●									
47	ხიდს გაღმა							●	●	●		●		●		
48	მეურნეობა						●							●	●	
49	გარემოს დაცვა			●		●			●	●				●		●
50	კულტურის ძეგლები			●	●									●	●	●

51	ტრადიცია და თანამედროვეობა	●	●	●									●	●	●	
52-53	შემაჯამებელი გაკვეთილი												●	●		
თბილისი																
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
54	ლეგენდა და სინამდვილე	●	●				●		●						●	
55	ბუნება			●	●	●									●	●
56	დასახლება და მოსახლეობა		●		●	●							●	●	●	●
57	მრავალეროვანი ქალაქი	●					●		●				●	●		●
58	თბილისური ეზოები და სახლები												●	●	●	●
59	თბილისური ამქარი						●						●	●		
60	მრეწველობა	●		●			●		●	●		●	●		●	●
61	გარემოს დაცვა	●		●	●	●	●		●	●		●	●		●	●
62	თბილისური აბანოები	●												●		●
63	კულტურის ძეგლები	●	●										●	●	●	●
64	თბილისური დღესასწაულები	●					●		●		●		●	●	●	
65-66	შემაჯამებელი გაკვეთილი									●						●

		სახელმწიფო														
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
67	ფარნავაზი	●	●		●				●				●			
68	მწიგნობრობა ქართული	●	●												●	●
69	სახელმწიფო საზღვარი	●		●	●					●			●		●	●
70	დედაქალაქი	●	●										●		●	●
71	სახელმწიფოს სიმბოლიკა		●										●		●	
72	საქართველოს კონსტიტუცია	●							●	●		●	●			●
73	არჩევნები და ჩემი უფლებები	●	●						●				●	●		
74	მოქალაქე და მოქალაქეობა								●				●			
75	ემიგრანტები								●	●			●	●		
76	შემაჯამებელი გაკვეთილი								●	●			●	●		●
77	პროექტი	●		●			●	●	●	●		●	●		●	●

1.5. შეფასება

სკოლაში ძირითადად მიღებულია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. როდესაც მასწავლებელი ნიშანს უწერს მოსწავლეს და მხოლოდ ამით შემოიფარგლება, ამით იგი განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს დასახულ მიზანთან დამოკიდებულებაში. ხოლო, როცა მასწავლებელი ისეთ ფორმას მიმართავს, როცა მოსწავლეს ეხმარება მიღებული ცოდნის განვითარებაში, განმავითარებელ შეფასებასთან გვაქვს საქმე. ამის ნიმუშია კომენტარები, რომლებიც აღწერს ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ასევე შეიცავს ხარვეზის გამოსწორების გზებს. ამ თვალსაზრისით განიხილება შეფასების ცხრილების გამოყენებაც.

საგანმანათლებლო პროცესში ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს შეფასების ეს ორივე სახე, ისე რომ განმავითარებლის შეფასების წილი მეტი იყოს.

გამოყენების დრო	განმსაზღვრელი	განმავითარებელი
მიმდინარე	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიაც ნიშანი იწერება.	ყოველდღიური დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი ან სხვა, რომელშიაც ვუხსნით მოსწავლეს, თუ როგორ გაიუმ-ჯობესოს შედეგები.
შემაჯამებელი	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექ-ტის ბოლოს მიღებული ნიშანი.	რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული ნიშანი.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მოსწავლის ნიშანი მხოლოდა და მხოლოდ მის მიერ საგნის შეწავლის ხარისხიდან უნდა გამომდინარეობდეს. შეფასება ხდება სასკოლო და საშინაო დავალებების შესრულების ხარისხის მიხედვით.

1. სასკოლო დავალებები

ფასდება შემდეგი უნარ-ჩვევები:

– პრობლემის გააზრება
– ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
– კავშირებისა და მიმართებების დადგენა
– კომუნიკაცია
– თანამშრომლობა
– პრობლემის გადაჭრა
– შემოქმედებითობა
– ისტორიული დროის გაგება
– გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
– კვლევა
– სივრცეში ორიენტაცია
– ისტორიული ეპოქის განცდა

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

– ახსნილი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებითა და გამოყენებით
– მოვლენებისა და პროცესების განხილვისას საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება
– დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხი
– განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობა და ანალიზი
– დასმული პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბება
– პრეზენტაცია
– დროის ლიმიტის დაცვა
– დისკუსიაში გამოთქმული მოსაზრებები და არგუმენტები
– ნამუშევრის ორგანიზების ხარისხი
– ნამუშევრის ენობრივი გამართულობა

2. საშიანო დავალებები

ფასდება შემდეგი უნარ-ჩვევები:

– პრობლემის გააზრება
– ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
– კავშირებისა და მიმართებების დადგენა
– კომუნიკაცია
– თანამშრომლიბა
– პრობლემის გადაჭრა
– შემოქმედებითობა
– ისტორიული დროის გაგება
– გარემოზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა
– კვლევა
– სივრცეში ორიენტაცია
– ისტორიული ეპოქის განცდა

უნარჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

– ახსნილი ცნებებისა და ტერმინების განმარტება და გამოყენება
– მოვლენებისა და პროცესების განხილვისას საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება
– განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობა და ანალიზი
– დასმული პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბება
– ნამუშევრის ორგანიზების ხარისხი
– ნამუშევრის ენობრივი გამართულობა.

1.6. შეფასების ცხრილების (რუბრიკების) ნიმუშები

პრეზენტაციის რუბრიკა

ამ რუბრიკაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულას, რომელიც 10-ს უდრის, მათი ჯამი ქმნის.

კრიტერიუმები	მოსწავლის სახელი და გვარი							
საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)								
კვლევის/ნაშრომის წარმოჩენის უნარი								
შემოქმედებითი უნარი								
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება								
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)								
საუბრის გამართულობა								
თვალსაჩინოების გამოყენება								
აუდიტორიასთან კონტაქტი								
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)								
დროის ლიმიტის დაცვა								
ჯამი								

რეფერატის შეფასების რუბრიკა

ყველა კრიტერიუმი ფასდება 0 ან 1 ქულით, გარადა მე-3 და მე-5 კრიტერიუმებისა, რომელებიც ფასდება 0 ან 2 ქულით.

კრიტერიუმები	მოსწავლის სახელი და გვარი							
მიზანი/თეზისი — კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა								
რეფერატის ორგანიზება								
შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა								
ენობრივი გამართულობა								
კვლევა								
ილუსტრაციები / თვალსაჩინოებები								
შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება								
დასკვნები								
ჯამი								

ჯგუფური მუშაობის ცხრილი

ამ რუბრიკაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულას, რომელიც 10-ს უდრის, მათი ჯამი ქმნის.

კრიტერიუმები	მოსწავლის სახელი და გვარი							
ჯგუფის ყველა წევრს შეაქვს წვლილი დავალებების შესრულებაში								
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს და იცავენ რიგითობას								
უცვლიან ერთმანეთს იდეებსა და ინფორმაციას								
ჯგუფის წევრები მხოლოდ საკითხის ირგვლივ მუშაობენ								
ჯგუფის წევრები კარგად თანამშრომლობენ (არც ერთი არ წარმართავს დისკუსიას, აზრის გამოხატვის თანაბარი პირობებია შექმნილი)								
ჯგუფის წევრები საგნობრივად მართებულად ართმევენ თავს დავალებას								
ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩენენ ნამუშევრის მთავარ იდეებს								
კრიტიკულ შეკითხვებს თავს ართმევენ								
პრეზენტაციის დროს იცავენ დროის ლიმიტს								
საჭიროების შემთხვევაში ქმნიან და იყენებენ ისტორიულ საშუალებებს								
ჯამი								

დისკუსიის რუბრიკა

კონკრეტულ მოსწავლეს თითოეული კრიტერიუმის გასწვრივ ენიჭება შესაბამისი ქულა. ჯამდება ყველა კრიტერიუმში მიღებული ქულები და იყოფა ექვსზე ანუ გამოითველება საშუალო არითმეტიკული.

კრიტერიუმები	III დონე (8-10 ქულა)	II დონე (5-7 ქულა)	I დონე (1-4 ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	იშვიათად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალებით, ჟესტების, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს

მონაწილეობა	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემებს
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრებების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

პროექტის შეფასების განმაზოგადებელი რუბრიკა

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება მოგროვილი ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა.

კრიტერიუმები	**ელემენტარული** **1 ქულა**	**მისაღები** **2 ქულა**	**ოსტატური** **3 ქულა**
მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი
ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/ მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტიანობას
შინაარსის კორექტულობა	გვხვდება ხშირი შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია, შეყავს შეცდომაში მკითხველი/ მსმენელი	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო (ავტორიტეტული კვლევები და მოპოვებული მასალები საველე კვლევებიდან) და ანალიზი სიღრმისეულია

თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან არის, მაგრამ ერთფე-როვანია, გამოიყენება მოძიებული და ჯგუფის მიერ შექმნილი	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები და ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩინებაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალურობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
კავშირები საგანთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	არის მოსაზრებების კავშირი ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს მრავალი მიმართულებით ჯგუფის კომპენტენტურობაზე
დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი კვლევასთან და ჩამოყალიბებულია მკაფიოდ
პრეზენტაცია	ეფექტიანად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხის გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული პროექტის არსი, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეები გაშლილია, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

წყაროზე მუშაობის შეფასების მოდელი

ნიშანი	1-2	3-6	6-7	8-10
დოკუმენტის ანალიზი	უბრალოდ აღნიშნავს ერთ ან ორ ფაქტს დოკუმენტიდან	ჩანს, რომ ესმის დოკუმენტის შინაარსი; გვთავაზობს დოკუმენტის მინიმალურ ანალიზს	გამოაქვს დოკუმენტიდან ზუსტი ინფორმაცია; ასხვავებს ფაქტს და ავტორისეულ მოსაზრებას ერთმანეთისაგან	იძლევა დოკუმენტის ღრმა ანალიზს და ინტერპრეტაციას: ასხვავებს ფაქტს და ავტორისეულ მოსაზრებას ერთმანეთისაგან, ადგენს ავტორის სანდოობას, მსჯელობს წყაროს ტენდენციურობაზე
ისტორიული კონტექსტის ცოდნა	თითქმის არ ამჟღავნებს ეპოქის ცოდნას	ამჟღავნებს ეპოქის გარკვეულ ცოდნას, თუმცა უშვებს ზოგიერთ უზუსტობას	იყენებს ეპოქის ცოდნას წყაროში განხილული საკითხების ანალიზის დროს	ამჟღავნებს ეპოქის ღრმა ცოდნას; უკავშირებს წყაროს იმ სპეციფიკურ ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც შეიქმნა იგი

წყაროს მთავარი საკითხის (საკითხების) და ავტორის მიზნების განსაზღვრა	არ ცდილობს განსაზღვროს წყაროს მთავარი საკითხი	ზოგადად აღწერს ერთ-ერთ საკითხს, რომელსაც ეხება წყარო	განსაზღვრავს მთავარ საკითხს და ცდილობს იმსჯელოს ავტორის მიზნებზე	განსაზღვრავს მთავარ საკითხს, ესმის ავტორის მიზნები, გამოაქვს წყაროდან მეორადი ინფორმაცია
სალიტერატურო ხერხების განსაზღვრა	არ მსჯელობს ავტორის მიერ გამოყენებულ სალიტერატურო ხერხზე	არ მსჯელობს ავტორის მიერ გამოყენებულ სალიტერატურო ხერხზე	აღნიშნავს ავტორის მიერ გამოყენებულ სალიტერატურო ერთ ან ორ ხერხს, მაგრამ არ აკეთებს არავითარ დასკვნას	აანალიზებს ავტორის მიერ გამოყენებულ სალიტერატურო ხერხებს, როგორიცაა მაგალიტად ირონია, ანალოგია ან სარკაზმი

შემაჯამებელი ნაშრომის შეფასების რუბრიკა[1]

ნიშანი	1-2	3-6	6-7	8-10
1. სათაური	ძალიან ზოგადია	მკაფიოდ არ პასუხობს თემას	კონკრეტულია	კონკრეტულია
2. თეზისი[1]	არ არის ჩამოყალიბებული	არადამაჯერებელია	კარგადაა ჩამოყალიბებული	კარგადაა ჩამოყალიბებული
3. შინაარსი	გაუმართავია	ფაქტები და მაგალითები არასაკმარისი რაოდენობითაა მოცემული	ფაქტები და მაგალითები კარგად ვერ ამყარებს თეზისში ჩამოყალიბებულ იდეას	ფაქტები და მაგალითები კარგად ამყარებს თეზისში ჩამოყალიბებულ იდეას
4. დასკვნა	არ აქვს დასკვნა	დასკვნა არასრულია, არის მხოლოდ თხრობა	დასკვნაში გამეორებულია მხოლოდ თეზისი	დასკვნაში შეჯამებულია თეზისი
5. სამეცნიერო აპარატი 2	არ აქვს	არ აქვს	გამართულია	გამართულია
6. ენობრივი გამართულობა	გაუმართავია	არის ენობრივი შეცდომები	გამართულია	გამართულია

1 მასწავლებელს შეუძლია, შეაჯამოს ექვსივე კრიტერიუმში მის მიერ დაწერილი ქულები და მიღებული რიცხვი გაყოს ექვსზე. ამ შემთხვევაში მოსწავლის ნაშრომი ფასდება მიღებული რიცხვით. ნიშანის გამოყვანისას მასწავლებელს ასევე შეუძლია, რომელიმე კრიტერიუმს ან კრიტერიუმებს (მაგ.: მეორე და მესამე კრიტერიუმს) მიანიჭოს მეტი მნიშვნელობა.

არგუმენტირებული ისტორიული თემის შეფასების რუბრიკა[2]

ნიშანი	1-2	3-6	6-7	8-10
თეზისი	არ არის თეზისი	თეზისი არის ბუნდოვანი	თეზისი კარგადაა ჩამოყალიბებული	თეზისი კარგადაა ჩამოყალიბებული
თეზისი გამყარებული არგუმენტებითა და მაგალითებით	არ არის არგუმენტები და მაგალითები	არის ერთი ან ორი არგუმენტი, მაგრამ ისინი არ ამყარებს თეზისს	არის არგუმენტები, რომლებიც ამყარებს თეზისს, მაგრამ არ არის მოყვანილი შესაბამისი მაგალითები	თეზისი გამყარებულია არგუმენტებითა და მაგალითებით
საწინააღმდეგო მოსაზრების განხილვა	არ არის ნახსენები არც ერთი საწინააღმდეგო მოსაზრება	ნახსენებია საწინააღმდეგო მოსაზრება, მაგრამ არ არის ახსნილი იგი	განხილულია საწინააღმდეგო მოსაზრების მიზეზები, მაგრამ არ არის ახსნილი, თუ რატომ არის საკუთარი შეხედულება სწორი	ამომწურავად განხილულია საწინააღმდეგო მოსაზრების მიზეზები და ახსნილია, თუ რატომ არის საკუთარი შეხედულება სწორი
თემის ორგანიზება	თემა არ არის ორგანიზებული	თემა ორგანიზებულია, მაგრამ ხანდახან სცილდება საკითხს; ხანდახან აბზაცები არ არის გამოყოფილი	თემას აქვს ერთმანეთისაგან კარგად გამიჯნული შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა; აბზაცები, როგორც წესი, გამოყოფილია	თემა კარგად არის ორგანიზებული: შესავალი აღძრავს მკითხველის ინტერესს, შესავალშივე გადმოცემულია თეზისი, აქვს ძირითადი ნაწილი, რომელშიც აბზაცები კარგად არის გამოყოფილი; აქვს დასკვნა, რომელშიც შეჯამებულია თემის ძირითად ნაწილში განხილული არგუმენტები
ენობრივი მხარე	არის ბევრი გრამატიკული შეცდომა; წინადადებები ხშირად გაუმართავია	არის გრამატიკული შეცდომები; წინადადებები ზოგჯერ არ არის კარგად გამართული	არის ზოგიერთი გრამატიკული შეცდომა; პუნქტუაცია არ არის ყოველთვის დაცული	არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები; წინადადებები არის კარგად გამართული; თითქმის არ არის პუნქტუაციური შეცდომები; სიტყვები კარგად არის შერჩეული; არ ვხვდებით ბევრ ჟარგონსა და ხატოვან გამოთქმას

2 მასწავლებელს შეუძლია, შეაჯამოს ხუთივე კრიტრიუმში მის მიერ დაწერილი ქულები და მიღებული რიცხვი გაყოს ხუთზე. ამ შემთხვევაში მოსწავლის ნაშრომი ფასდება მიღებული რიცხვით.
მასწავლებელს ნიშნის გამოყვანისას ასევე შეუძლია, რომელიმე კრიტერიუმს ან კრიტერიუმებს (მაგ.: პირველ, მეორე და მესამე კრიტერიუმებს) მიანიჭოს მეტი მნიშვნელობა.

1.7. გაკვეთილის სცენარებში გამოყენებული ინტერაქტიური მეთოდები

1. **გ.ი. — გონებრივი იერიში.** ამ მეთოდით მასწავლებელი სასწავლო მიზნის შესაბამისად ახდენს თემის წინასწარ შერჩევასა და შეკითხვის ჩამოყალიბებას.

2. **ვ.დ. — ვენის დიაგრამა**. მეთოდის სახელი მოდის ინგლისელი მათემატიკოსის ჯონ ვენის სახელიდან. ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან და იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას.

3. **დ.დ. — დროის დიაგრამა**. მეთოდი გამოიყენება ფაქტებისა და მოვლენების დროსთან დასაკავშირებლად. იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თვალსაჩინოდ დაამუშავონ ისტორიული ფაქტების, მოვლენების შემცველი ტექსტები და საკითხები.

4. 3-2-1 სტრატეგია. მეთოდი გამოიყენება ტექსტის წაკითხვის, თვალსაჩინოების დათვალიერების, ფილმის ნახვის, პროექტების დასრულების შემდეგ. მეთოდის გამოყენება შემდეგი სახით ხდება: ტექსტის ან/და წყაროს გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებ 2-3 წინადადებით ჩამოწერონ:

- 3 რამ, რამაც დამაინტერესა;
- 2 რამ, რის შესახებაც მინდა გავიგო;
- 1 რამ, რის შესახებაც სიამოვნებით ვიმსჯელებდი.

ეს მეთოდი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას გაკვეთილის პროცესში. მისი მიზანია განწყობა საგაკვეთილო პროცესისადმი და თემის მიმართ ინტერესის გაღვიძება. იგი ხელს უწყობს აზრის მობილიზებასა და სხარტად გამოთქმის უნარის გამომუშავებას.

5. **კ.ნ.ს. — კითხვა ნიშანთა სისტემით**. მეთოდი გამოიყენება ახალი გაკვეთილის ტექსტზე მუშაობისას, ხელს უწყობს მასალის ათვისებას, ააქტიურებს საკითხის შესახებ არსებულ ცოდნას, ავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის დახარისხების უნარს. მეთოდის აღწერა:

მოსწავლეები ტექსტის კითხვისას კიდეებზე აკეთებენ აღნიშვნებს (სასურველია – უბრალო ფანქრით): „✓“ – თუ ინფორმაცია ნაცნობია, „+“ – თუ ინფორმაცია ახალია, „–“ თუ ინფორმაცია მათი აზრის საპირისპიროა, „?“ – თუ არ ეთანხმებიან ან გაუგებარია. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ სქემა:

✓	+	–	?

- რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?
- რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამ გასწავლათ?
- რა იყო ისეთი, რისი საპირისპიროც იცოდით (ან რასაც არ ეთანხმებით)?
- რა შეკითხვები დაგებადათ?

6. **თ-სქემა** — გამოიყენება საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად, ინფორმაციის დასახარისხებლად.

7. **ვ.მ.ვ. — ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე**. მეთოდი გამოიყენება საგაკვეთიოლო ტექსტზე მუშაობისას. გვიჩვენებს, რა ისწავლა მოსწავლემ ამ ტექსტით, აძლიერებს ტექსტის კითხვისა და მასზე მუშაობის მოტივაციას, ავითარებს კითხვის დასმისა და წერითი მეტყველების უნარს.

8. **ა.კ.რ. — ასოციაციური კავშირის რუკა.** დაფის ან ფურცლის ცენტრში, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, იწერება სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც ლოგიკურად უკავშირებენ იმას, რის ასოციაციასაც გამოიწვევს იგი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ხელს უწყობს ინფორმაციის შეკრებისა და დაჯგუფების, თემის გააზრების, დასკვნების გაკეთების, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

9. **შეკითხვები – ღია ან დახურული ტიპის.** დახურული კითხვა მოითხოვს მხოლოდ „დიახ“ და „არა“ პასუხს. იგი გამოიყენება, ძირითადად, ცოდნის შესამოწმებლად და ფაქტის კონსტანტაციისათვის. ღია შეკითხვა მოწოდებულია სხვადასხვა აზრის გამოსავლენად, საკამათოდ. იგი შეიძლება დავყოთ

ჯგუფებად: ჰიპოთეტური, განსჯითი, წამახალისებელი, მასტიმულირებელი, შემაჯამებელი, კვლევითი, შემათანხმებელი.

ჰიპოთეზური – „რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ, თუ... ?“ ასეთი მეთოდი მოსწავლეს ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში, მიმართავს მის გონებას ფიქრისა და განსჯისაკენ.

განსჯითი – „როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას?“

წამახალისებელი – „საინტერესოა, რა მოხდა შემდეგ?“ მოსწავლე ადგენს შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გააზრებას.

მასტიმულირებელი – „რა აზრის ხარ?“ მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია.

კვლევითი – „რატომ ფიქრობ ასე? ხელს უწყობს მოსწავლეს, დაუფიქრდეს საკითხს, შეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთება.

შემაჯამებელი – მოსწავლეებს ეძლევათ შეასაძლებლობა გააანალიზონ მეგობრის მოსაზრება, განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას. „რატომ ფიქრობთ ასე?“

შემათანხმებელი – „ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას? ამ შეკითხვით შეიძლება კამათის პროვოცირება ან კამათის დასრულება. მასწავლებელი უნდა ეცადოს კონსენსუსის მიღწევას ან, თუ ეს შესაძლებელია, ახდენს განსხვავებული აზრის დაფიქსირებას და საკითხს ტოვებს ღიად. მეორე შემთხვევაში ამას ახდენს შეკითხვით – „შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს**?“**

10. **დისკუსია** – იწყება მოტივაციით, რომელიც გულისხმობს პრობლემის ან კონკრეტული შემთხვევის აღწერას, გათვალსაჩინოებას. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდებოდა, რომ? რამ იქონია გავლენა? არის თუ არა ალტერნატივა? ტრადიციული მეთოდით სწავლებისაგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ სათუო მხარეს შეიცავს.

11. **როლში ჩაყენება**. მეთოდი გულისხმობს მოსწავლის ჩაყენებას გარკვეული პერსონაჟის ან მკვლევრის როლში საკითხის უკეთ გათავისების, გაგების მიზნით.

12. **დებატები –** აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ თითოეული ჯგუფიდან. კამათში მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგ-რიგობით.

13. **ინტერვიუ –** მის ჩასატარებლად საჭიროა წინდაწინ მომზადება: მიზნის დასახვა და კითხვების შედგენა. იგეგმება ტექნიკური მხარეც. ინტერვიუს აღება შესაძლებელია ოჯახის წევრების, მეზობლის, უბრალოდ ნაცნობის ან უცნობისაგან. მისი ჩატარება შეუძლია ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს. აუცილებელია შედეგების განხილვა და შეჯამება.

1.8. ბლუმის ტაქსონომია

ბლუმის ტაქსონომია არის აზროვნების სისტემა დაბალი დონის აზროვნებიდან მაღალი დონის აზროვნებისაკენ, რომელიც ცნობილია პედაგოგიური ტაქსონომიის სახელწოდებით. მას სათავე დაუდო ამერიკელმა მეცნიერმა ბენჯამენ ბლუმმა. იგი აზროვნების განმავითარებელი ექვსსაფეხურიანი მოდელია.



1. **ამოცნობა-გახსენება**: ამ ეტაპზე მოსწავლე გონებაში აღიდგენს საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებულ მისთვის ნაცნობ ინფორმაციას. პასუხობს კითხვებზე: ვინ? რა? რამდენი? სად? კითხვებზე სავარაუდოდ გამოსაყენებელი ზმნებია: გაიმეორე, გაიხსენე, აღწერე, ჩამოთვალე, დაასახელე.
2. **გაგება**: ამ ეტაპზე მოსწავლე ახალ მასალას იძენს და ცოდნის შემეცნებას ახდენს (მასალის არსში წვდომის უნარი). პასუხობს კითხვებზე „როგორ?“ კითხვებზე სავარაუდოდ გამოსაყენებელი ზმნებია: განმარტე, ახსენი, ჩაანაცვლე, მიაკვლიე, გადმოეცი დედააზრი, განასხვავე, შეცვალე ფრაზა.
3. **გამოყენება**: ეს კატეგორია მიუთითებს შესასწავლი მასალის გამოყენების უნარზე კონკრეტულ პრობებში და ახალ სიტუაციებში. კითხვებია: რომელი? როგორი? გამოსაყენებელი ზმნებია: დაამტკიცე, დაადგინე, გამოთვალე, მოამზადე, გადაწყვიტე, აჩვენე, დააკავშირე, აღმოაჩინე, მიუსადაგე, გარდაქმენი, დაალაგე.
4. **ანალიზი**: ეს კატეგორია მიუთითებს მთლიანი მასალის სტრუქტურულ ელემენტებად დაშლის უნარზე. აქ იგულისხმება ერთი მთელიდან ნაწილების გამოყოფა, მათ შორის ურთიერთკავშირების დადგენა, მთელის ორგანიზაციის პრინციპების დანახვა. კითხვაა: რატომ? გამოსაყენებელი ზმნებია: გააანალიზე, დაყავი, გამოყავი ძირითადი, დაარწმუნე, დაახასიათე, იპოვე, შეაპირისპირე, განსაზღვრე.
5. **სინთეზი**: ეს კატეგორია მიუთითებს ელემენტების კომბინირების ისეთ უნარზე, როცა ხდება ახალი მთლიანობის შექმნა. ასეთი ახალი პროდუქტი შეიძლება იყოს მოხსენება, მოქმედებათა გეგმა ან მონაცემთა მოწესრიგებული სქემა, პროექტი და ა.შ. კითხვებია: რა მოხდება, თუ...? როგორ შეამოწმებ ამ შეხედულებას? როგორ შეადგენ ცხრილს? კიდევ როგორ შეიძლება პრობლემის გადაწყვეტა? როგორ დააჯგუფე? გამოსაყენებელი ზმნებია: განაზოგადე, შეადგინე, გადააჯგუფე, შეაჯამე, გაამთლიანე, შეამოწმე, დაახარისხე, გაამარტივე, დაასრულე.
6. **შეფასება**: ეს კატეგორია გულისხმობს ამა თუ იმ მასალის მნიშვნელობის შედარებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მოსწავლის მსჯელობა უნდა ემყარებოდეს მკაფიო კრიტერიუმებს. შეფასების დონე გულისხმობს ყველა წინა სასწავლო მიზნის მიღწევას პლუს შეფასებითი მსჯელობა. კითხვებია: როგორ შეაფასებდი ... საქციელს? რამდენად სამართლიანია ... გადაწყვეტილება? რა დასკვნების გამოტანა შეიძლება? შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო? გამოსაყენებელი ზმნებია: შეაფასე, იმსჯელე, აწონ-დაწონე, გამოიტანე დასკვნა, გააკრიტიკე, უარყავი...

1.9. მოსწავლის წიგნის აგების პრინციპები

სტანდარტით განსაზღვრულია, რომ V კლასში მოსწავლეები გაეცნონ და შეისწავლონ საქართველოს შემდეგი 5 მხარე: იმერეთი, ქართლი, სვანეთი, სამეგრელო, აჭარა, ხოლო VI კლასში – გურია, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, თბილისი – საქართველოს დედაქალაქი. დაბოლოს, სახელმწიფო – ჩვენი საქართველო.

ვინაიდან ამ სასწავლო საგნით V კლასის მოსწავლეები განხილული თემების უმეტესობას პირველად ეხებიან და მათ ფაქტობრივად არ იციან რიგი იმ საკითხებისა, რომლებიც საჭიროა, როგორც საფუძველი, საქართველოს ცალკეული მხარეების გასაცნობიერებლად და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, აუცილებლად ვცანით თავდაპირველად წარმოგვეჩინა საქართველო ერთ მთლიანობაში. აქ თავმოყრილია ის საკითხები (ლეგენდიდან რეალობისაკენ რაკურსით), რომლებიც მოსწავლეებს საქართველოს მთლიანობაში გააცნობს და რაც ასევე მთავარია, დაეხმარება მათ სწორად გააცნობიერონ ჩვენი ქვეყნის მხარეებად დაყოფის უმთავრესი განმსაზღვრელი პირობები. ასეთი მიდგომა არის ასევე საშუალება მოსწავლეებმა ადეკვატურად აღიქვან საქართველოს ეთნიკური, რელიგიური, კულტურული მრავალფეროვნება.

ამ მიზნით ჩვენ შესავალ ნაწილში, რომელსაც ვუწოდეთ „ჩვენი სამშობლო“ ზოგადი საკითხები წარმოვადგინეთ. გავითვალისწინეთ რა მოსწავლის ასაკი, დაახლოებით 10 წელი, ჩვენ ვეცადეთ შეგვერჩია ისეთი თემა, რომელიც იქნებოდა, ერთი მხრივ, ძველი და საინტერესო და, მეორე მხრივ, იგი მოგვცემდა საშუალებას მას მრავალჯერ დავბრუნებოდით და ახალი ცოდნისა და საქართველოს ერთიანობის აღქმაში დაეხმარებოდა მოსწავლეებს. ასეთად ჩვენ **არგონავტების მითი** ვცანით. იგი სიუჟეტის მქონეა და ადვილად მოსაყოლი, რომელიც მრავალ საკითხს (ბუნებრივი პირობები, ნაოსნობა, მიწათმოქმედება, სამშენებლო ხელოვნება, მეტალურგია და სხვა) მოიცავს. ამ მითით ჩვენ არა მარტო უძველესი პერიოდიდან დავიწყეთ თხრობა, არამედ ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიულ მდებარეობაზეც მივანიშნეთ და მისი **ბუნებრივი და უცვლელი საზღვარი** მოვნიშნეთ. ესაა შავი ზღვა. შემდეგ განვავითარეთ სხვა თემატიკა (როგორ ჩამოყალიბდა დასახლებები და განვითარდა მეურნეობა სოფელსა და ქალაქში, რა ბუნებრივმა გარემოებებმა შეუწყო მას ხელი). აქვე მივანიშნეთ საქართველოს ერთიანობის საფუძველზე (გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები) და იმ ფაქტორებზე, რომლებიც ქმნის ამ ერთობას – ჩვენ საქართველოს. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში მოსწავლეები ეცნობიან საქართველოს მხარეებს – მათ მდებარეობას, ერთიანი ქართული ფუძეენის დაყოფას დიალექტებად. ამით შევეცადეთ მოგვემზადებინა ნიადაგი ცალკეულ მხარეებზე გადასასვლელად.

ვინაიდან არგო მდინარე ფასისში (რიონი) შეცურდა და აღმა აუყვა დინებას კოლხეთის დედაქალაქისაკენ, ჩვენც ვარჩიეთ აქედან დაგვეწყო საქართველოს მხარეებზე საუბარი. მართალია, კოლხეთის დედაქალაქად ძველ ბერძნულ წყაროებში ხან აიაა მოხსენიებული და ხან კუტაია, მათი ლოკალიზაცია დღემდე ზუსტად განსაზღვრული არაა. მეცნიერებაში იმაზეც კამათობენ აია ქალაქი იყო თუ სახელმწიფო? მიუხედავად ამისა, ჩვენ გამოვიყენეთ გამოთქმული სამეცნიერო შეხედულება, რომ მითში მოხსენიებული „კუტაია“ შეიძლება იყოს დღევანდელი ქუთაისი. ამ სხვადასხვა შეხედულების გაცნობა მოწაფეს მომდევნო კლასებში უკეთ შეეძლება. აქ კი იგი ერთ-ერთ ვერსიადაა მოხმობილი და მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – მითოსური სიუჟეტით მოწაფემ საქართველოს მხარეებში იმოგზაუროს და მისი ცნობისმოყვარეობა გააძლიეროს. ამიტომ ჩვენც იმერეთი ავირჩიეთ ასეთ საწყის მხარედ.

რომ გვეჩვენებინა მოსწავლისათვის საქართველოს მხარეებს შორის ბუნებრივი და ყოფითი განსხვავებულობა, ჩვენ ისევ კოლხეთის ტერიტორიაზე კი არ დავრჩით, არამედ იმერეთისთვის აღმოსავლეთიდან მოსაზღვრე ლიხს იქითა მხარე ქართლი ავიღეთ. მით უფრო, რომ ქართველების პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები იყო: კოლხეთი (ეგრისი) დასავლეთ, ხოლო იბერია (ქართლი) – აღმოსავლეთ საქართველოში.

ქართლი ჩვენ ორ ნაწილად წარმოვადგინეთ. ამის მიზეზი შემდეგია: ისტორიული ქართლი ვრცელი ტერიტორიაა და მოიცავს: შიდა ქართლს, ქვემო ქართლსა და ზემო ქართლს ანუ მესხეთს. ეს უკანასკნელი, სტანდარტის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის სახით ცალკე განიხილება. მაგრამ ქართლის დარჩენილი ორი ნაწილიც – შიდა და ქვემო ქართლი, ასევე ვრცელი და მრავალფეროვანია თავისი ბუნებრივი პირობებით, მოსახლეობით, ყოფით, და საერთოდ, კულტურით. ამიტომ ის ორად წარმოვაჩინეთ – შიდა და ქვემო ქართლად. ამით სტანდარტის მოთხოვნაც დაცულია და ამ მხარეების თავისებურებებიც უკეთაა წარმოჩენილი.

რადგანაც სტანდარტი V კლასში იმერეთისა და ქართლის გარდა, აჭარას, სვანეთსა და სამეგრელოს ითვალისწინებს, ჩვენ იმერეთისა და ქართლის გაცნობის მერე საჭიროდ ვცანით ახლა ბარიდან მთაზე გადავსულიყავით, რომ მხარეთა განსხვავებულობა კიდევ უფრო გამოგვეკვეთა. ამიტომ მათ

შემდეგ სვანეთი წარმოვადგინეთ. სვანეთის შემდეგ კი სამეგრელოს განვიხილავთ – მხარეს, სადაც მთა და ბარიც ერთდროულადაა წარმოდგენილი, აქედან კი აჭარაში გადავდივართ. ამით მთავრდება V კლასი.

VI კლასს ვიწყებთ აჭარის მეზობელი მხარით – გურიით, აქედან კი კვლავ სამხრეთ საქართველოს მთიანეთს მივსდევთ სამცხე-ჯავახეთის სახით, შემდეგ კი – კახეთს, რომელსაც კავკასიონზე ავყავართ, აქედან კი – აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და ბოლოს – აფხაზეთს. ამით ერთგვარ რკალად შემოვხაზავთ საქართველოს.

VI კლასში სტანდარტით კიდევ ორი თემაა მოცემული „თბილისი – საქართველოს დედაქალაქი“ და „სახელმწიფო – ჩვენი საქართველო“. მათ ამავე თანამიმდევრობით აფხაზეთის შემდეგ განვიხილავთ.

ვფიქრობთ, რომ ამ თანამიმდევრობის აზრი მოსწავლეებმა შეიძლება ვერ შენიშნონ, მაგრამ მათზე სასურველია, რომ სხვადასხვა გაკვეთილზე მასწავლებელმა გაამახვილოს ყურადღება.

ახლა, რაც შეეხება თავად **საქართველოს მხარეების სტრუქტურას** – გაკვეთილების თანმიმდევრობას. თითოეული მხარის განხილვისათვის 6 თემაა საერთო: „მდებარეობა და ბუნება“, „დასახლება და მოსახლეობა“, „მეურნეობა“, „გარემოს დაცვა“, „კულტურის ძეგლები“ და „ტრადიცია“. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობდით შემდეგი მოსაზრებით: ჯერ ვიწყებთ მისი **მდებარეობით** და აქვე **ბუნების განხილვით** (რელიეფი, ჰავა, შიგა წყლები, მცენარეული საფარი), ვინაიდან ყველა ეს საკითხი ყველა მომდევნოს საფუძვლეთ საფუძველია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მხარეების მდებარეობა არ გვაქვს მოცემული ნარატივში და იგი უმთავრესად რუკაზე მუშაობით შემოიფარგლება. ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო პირობითი ნიშნების გამოყენებით მოსწავლეები თვითონ კითხულობენ რუკას და ადგენენ ამა თუ მხარის ლოკალიზაციასა და მოსაზღვრეობას. მსგავს მიდგომას ვიყენებთ სხვა საკითხების განხილვის დროსაც და იგი მრავლადაა გაბნეული ორივე კლასის სახელმძღვანელოში.

შემდეგ წარმოვაჩენთ: **დასახლებასა და მოსახლეობას, მეურნეობას**, **გარემოს დაცვას**, **კულტურის ძეგლებსა** და **ტრადიციას**. ამ 6 თემაში ვცდილობთ ჩავატიოთ მხარის გეოგრაფიაც და ისტორიაც – წარსულიც და დღევანდელობაც შესაბამისი სამოქალაქო აქტივობით. მაგრამ ზოგჯერ განსაკუთრებული სპეციფიკური საკითხები წამოვწიეთ წინ, მაგალითად, იმერეთში წიაღისეულის თემა, ქვემო ქართლში – ნარჩენების თემა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – ხატობის თემა და ა.შ. მათ ჩვენ საგანგებოდ ვუთმობთ ცალკე გაკვეთილს.

ნაწილი II. V კლასი

2.1. სახელმძღვანელოს გაკვეთილების სანიმუშო სცენარები

გაკვეთილი 1. მითი არგონავტებზე.

განსავითარებელი უნარები: დროსა და სივრცეში ორიენტაცია; ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია; თვალსაჩინოების გამოყენება. ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება; სწავლის უნარი, მსჯელობის უნარი.

რესურსები: მსოფლიოს ფიზიკური ან პოლიტიკური რუკა (კედლის).

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ასოციაციური კავშირების რუკის შექმნით. წერს წრეში სიტყვას „არგონავტები“ და სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ თუ იციან რაიმე არგონავტების შესახებ.

შემდეგ მოსწავლეებს სთავაზობს კითხვა-ნიშანთა სისტემის გამოყენებით იმუშაონ ტექსტზე და კიდეებზე უბრალო ფანქრით გააკეთონ აღნიშვნა – „✓“ – თუ ინფორმაცია ნაცნობია; „+“ – თუ ინფორმაცია ახალია და „?“ – თუ ინფორმაცია გაუგებარია ან არ ვეთანხმები.

მუშაობენ წყარო 1-ზე და ვირტუალურ მასალას უსადაგებენ ტექსტში არსებულ ინფორმაციას.

მასწავლებელს ყურადღება გადააქვს რუკაზე, აჩვენებს საბერძნეთს და საქართველოს და მოსწავლეებს სთავაზობს „გაიარონ“ ისტორიული მარშრუტი რუკაზე დაყრდნობით.

ერთ-ერთი მოსწავლე გამოდის რუკასთან, მასწავლებლის დახმარებით აჩვენებს საბერძნეთის ქალაქ იოლკოსს (დღევანდელი ვოლოსი) და საქართველოს ქალაქ ფოთს (ფაზისს). ამით კლასი ხედავს სივრცეთა მანძილს იმ ორ პუნქტს შორის, რომელიც დაფარეს არგონავტებმა. ამის შემდეგ იწყებენ „მოგზაურობას“ შემდეგი მარშრუტით: საბერძნეთის ქალაქი იოლკოსი – ეგეოსის ზღვა, ბოსფორის სრუტე – შავი ზღვა; გაუყვება შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს და მივა ქ. ფოთამდე.

ეცნობიან წყარო №2-ს. ადარებენ „არგოს“ თანამედროვე ხომალდს.

მოსწავლეები ტექსტში და წყაროებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე უპასუხებენ კითხვას: რაზე მეტყველებს ბერძნული ნივთების აღმოჩენა კოლხეთში?

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ტერმინზე „ისტორიული წყარო“, ესაუბრება ისტორიულ წყაროთა მრავალფეროვნებაზე, რომლებიც ისტორიკოსს ეხმარებიან ისტორიის შექმნაში; აღნიშნავს, რომ მითიც ისტორიული წყაროა, რომელშიც ზღაპრულ ამბებთან ერთად სინამდვილეცაა გადმოცემული. ამის შემდეგ მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და სთხოვს, შეასრულონ ჩარჩოში მითითებული სავარჯიშოები. მოისმენენ ყველა ჯგუფის მოსაზრებებს, შეადარებენ ერთმანეთს და გააკეთებენ დასკვნას – რა არის მითში სინამდვილე, რა – გამონაგონი.

სახლში სამუშაოდ მიეცემათ პარაგრაფის ბოლოს არსებული დავალება.

გაკვეთილი 2. შავი ზღვა

რესურსები: მსოფლიოს ფიზიკური რუკა, პოლიტიკური რუკა. საქართველოს ფიზიკური რუკა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მსოფლიოს ფიზიკურ რუკაზე აჩვენებს საქართველოს და ეკითხება მოსწავლეებს. რომელ ზღვაზე აქვს გასასვლელი საქართველოს? პასუხის მოსმენის შემდეგ სვამს კითხვას: რომელი მხრიდან ესაზღვრება შავი ზღვა საქართველოს?

მასწავლებელი რუკაზე აჩვენებს იმ სრუტეებს, რომლებითაც შავი ზღვა უკავშირდება სხვა ზღვებსა და შემდეგ ოკეანეებს.

მასწავლებელი სვამს კითხვას: ზღვასთან სიახლოვემ შეიძლება თუ არა გავლენა იქონიოს კლიმატზე (ჰავაზე), აქედან გამომდინარე, სად უფრო მეტი ნალექი მოდის – საქართველოს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ნაწილში? (პასუხი დაასაბუთონ!).

წყარო №2-ის, წყარო №3-ის გაცნობის შემდეგ აღნიშნავენ, რა სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის ზღვასთან სიახლოვეს.

წყარო №4-ის განხილვის შემდეგ მასწავლებელი სვამს ჰიპოთეზურ კითხვას: – „შენი აზრით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ზღვაში ნავთობის ჩაღვრას?“

სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ უპასუხებენ წყარო 4-ის ქვეშ მოთავსებულ კითხვებს.

აკვირდებიან წყარო №5-ს და უპასუხებენ წყაროს ქვეშ არსებულ კითხვას.

შემდეგ კლასი დაიყოს ჯგუფებად. იმსჯელონ შავი ზღვის როლზე:

I-მა ჯგუფმა – იმსჯელოს კლიმატის ჩამოყალიბებაში;

II ჯგუფმა – სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე (კერძოდ, ჩამოთვალონ ის ქვეყნები, რომელთაც საქართველო უკავშირდება შავი ზღვით);

III ჯგუფმა – რჩევების უზრუნველყოფა;

IV ჯგუფმა – დასვენება-გართობაზე.

ამის შემდეგ შეავსონ ცხრილი.

გაეცნონ ზღვაზე უსაფრთხოების წესებს და იმსჯელონ მათ შესახებ.

გაკვეთილი 3. უხსოვარი დროიდან

განსავითარებელი უნარები: დროსა და სივრცეში ორიენტაცია, თვალსაჩინოების გამოყენება და შექმნა, ინფორმაციის მოპოვება, პრობლემის გააზრება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით. მოსწავლეებს ეკითხება, რა იციან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უძველეს ადამიანებზე. პასუხების მოსმენის შემდეგ საქართველოს ფიზიკურ რუკაზე მონიშნავს დმანისს და მინი-ლექციით გააცნობს დმანისის აღმოჩენას, ხაზს უსვამს ამ აღმოჩენის მნიშვნელობას. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ წყარო №2-ს. უხსნის, როგორ ტარდება არქეოლოგიური გათხრები და როგორ მუშაობენ არქეოლოგები. რისთვისაც მოსწავლეებს გააცნონ წყარო №3, როგორც არქეოლოგების მიერ მოპოვებული ნივთების ნიმუშები.

მოსწავლეები წყარო №2-ზე გამოსახულ დმანისელ ადამიანებს ადარებენ თანამედროვე ადამიანებს და აღნიშნავენ მათ განმასხვავებელ ნიშნებს.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეები იმსჯელებენ განსხვავების გამომწვევ მიზეზებზე (მაგ., ყბების განსაკუთრებულობას რა განაპირობებს).

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მათ „ასაკზე“ – ისინი აქ 1 მილიონ 800 ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ (ასაკი დადგინდა ძვალზე ჩატარებული ანალიზით!).

რადგანაც შევეხეთ წლების რაოდენობას, შეიძლება უკვე მოსწავლეთა ყურადღება მივმართოთ წელთაღრიცხვაზე. მასწავლებელი განმარტავს – წელთაღრიცხვა წლების თანამიმდვრობაა; რომ სხვადასხვა ხალხები წელთაღრიცხვას სხვადასხვა ამბებიდან იწყებდნენ; ზოგი – ამა თუ იმ ქალაქის დაარსებიდან, ზოგი – რომელიმე მეფის ზეობიდან.

სვამს კითხვას: გამოიწვევდა თუ არა წელთაღრიცხვის ასეთი მეთოდი სირთულეებს?

მოსწავლეები მსჯელობენ მასწალებელთან ერთად და მიდიან დასკვნამდე, რომ დროის ათვლის ასეთი ხერხი დიდ გაუგებრობას გამოიწვევდა. ამიტომაც გახდა საჭირო ერთიანი წელთაღრიცხვის შემოღება.

ქრისტიანულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ მათი წელთაღრიცხვის სათავე ყოფილიყო იესო ქრისტეს შობის პირობითად მიჩნეული წელი. მაგრამ ქრისტეს დაბადებამდეც ხომ ცხოვრობდნენ ადამიანები, ხდებოდა მოვლენები. ამიტომ ამ პერიოდს უწოდეს ქრისტეს შობამდე პერიოდი ანუ ძველი წელთაღრიცხვა. აღნიშნული მოსწავლეებისათვის ნათელი რომ გახდეს, გაეცნონ წყარო №4-ს. ქრონოლოგიაში უკეთ გარკვევისათის დაიყონ ჯგუფებად და შეასრულონ გაკვეთილის ბოლოს მოცემული დავალებები.

კარგი იქნება, თუ მასწავლებლი ყურადღებას გაამახვილებს საუკუნის ჩაწერის, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის აღნიშვნის კულტურაზე.

მოსწავლეების მოტივაცია გაიზრდება, თუ მოცემული გაკვეთილი ჩაუტარდებათ ეროვნულ მუზეუმში.

ცნობისათვის – შეიძლება მოსწავლემ იკითხოს, როგორ გამოთვალეს დმანისელი ადამიანების ასაკი. ავუხსნათ, რომ არსებობს **აბსოლუტური დათარიღების მეთოდი – C_{14}-ის მეთოდი.** C_{14} ბუნებრივი ნახშირბადის ერთ-ერთი იზოტოპია, რომელსაც ადამიანის და ცხოველის ძვალი შეიცავს. ის არასტაბილურია – სანამ ორგანიზმი ცოცხალია, C_{14}-ის რაოდენობა აღდგება, მაგრამ როდესაც ცოცხალი არსება კვდება, C_{14}-ის რაოდენობა მცირდება. 5730 წლის შემდეგ ორგანიზმში რჩება C_{14}-ის ატომების საწყისი როდენობის ნახევარი, იგვე ხდება მომდევნო 5730 წლის განმავლობაში და ა.შ. არქეოლოგები სწორედ ამ მეთოდს იყენებენ დათარიღებისათვის.

გაკვეთილი 4. სოფელი და ქალაქი

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინილექციით. საუბრობს, რომ დროთა განმავლობაში ადამიანმა თვითონ დაიწყო მიწის მოხვნა, თესვა, მოსავლის მოყვანა, ანუ გახდა მიწათმოქმედი. მიწათმოქმედ ადამიანს კი გაუმჯობესებული შრომის იარაღები სჭირდებოდა, რათა უფრო უკეთესი და უხვი მოსავალი მიეღო. ძველ დროში ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ნივთები ხელით მზადდებოდა. იმ დროს არ იყო ფაბრიკა-ქარხნები. ამ ნივთებს კი ამზადებდნენ ხელოსნები.

შემდეგ დაფის ცენტრში წერს სიტყვას „ხელოსნობა“ და ა. კ. რ. მეთოდის გამოყენებით განაგრძობს მუშაობას. მოსწავლეებს ეკითხება, რის ასოციაციას იწვევს მათში ეს სიტყვა.

პასუხების მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, მოძებნონ ტექსტში ხელოსნობის ცალკეული დარგების აღმნიშვნელი ტერმინები. აქვე სვამს კითხვას, თუ იციან ხელობის აღმნიშვნელი გვარები? (მაგ., მჭედლიშვილი, დურგლიშვილი, მეპურიშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ხაბაზი, ხარაზი და ა.შ.).

წყაროების (1,2,3) გამოყენებით უპასუხონ აქტივობის სვეტში მოცემულ კითხვებს.

მასწავლებელი განაგრძობს თხრობასა და საუბრობს, როგორ იქმნებოდა ქალაქები სოფლიდან წამოსული მოსახლეობის ხარჯზე. მოსწავლეებს უსვამს კითხვას: „თქვენი აზრით, რა საქმიანობას მისდევდნენ ქალაქის მცხოვრებლები?“

სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ მიუთითებს, რომ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა იყო ხელოსნობა და ვაჭრობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობასა და ხელოსნობასთან ერთად ჩნდება ფულიც.

მოსწავლეები ეცნობიან №4,5,6,7,8 წყაროებს, იყოფიან ჯგუფებად და ვენის დიაგრამის გამოყენებით ერთი ჯგუფი ადარებს №5-ს და №6-ს,

მეორე ჯგუფი წყარო №7 და წყარო №8.

შემდეგ ახდენენ ნამუშევრის პრეზენტაციას.

შინ სამუშაოდ ეძლევათ გაკვეთილის ბოლოს მოცემული დავალება.

კარგი იქნება მოსწავლეთა წაყვანა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში.

გაკვეთილი 5. სოფელი და ქალაქი, მთები და მდინარეები

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის I და II აბზაცებს. ამოიწერენ ტექსტში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებს — კავკასიონის ქედი, სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, მთათაშორისი ბარი, ლიხის ქედი, შავი ზღვა და მასწავლებლის დახმარებით მოძებნიან რუკაზე ამ ობიექტებს.

I და II აბზაცის განხილვის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რა ფაქტორები მოქმედებს საქრთველოს ჰავის ჩამოყალიბებაზე (კავკასიონის ქედი აფერხებს ცივი ჰაერის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის გავლენით ჰავა ნოტიოა, ლიხის ქედი ნოტიო ჰავის გავრცელებას აფერხებს...).

მოსწავლეები აგრძელებენ ტექსტზე მუშაობას. ეცნობიან საქართველოს მდინარეებს. მასწავლებელი მიუთითებს, რომ ლიხის ქედი წყალგამყოფია შავი და კასპიის ზღვის აუზის მდინარეებისათვის. რუკის დახმარებით მსჯელობენ, რა გავლენას ახდენს რელიეფი მდინარეთა დინების სიჩქარეზე.

რუკაზე მოძებნიან მდინარეებს და მასწავლებლის დახმარებით დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში ანაწილებენ შავი ზღვის აუზისა და კასპიის ზღვის აუზის მდინარეებად:

შავი ზღვის აუზის მდინარეები	კასპიის ზღვის აუზის მდინარეები

მოსწავლეები აკვირდებიან მოცემულ ფოტოწყაროებს და საუბრობენ მდინარეთა გამოყენების შესაძლებლობებზე.

მასწავლებელი სვამს კითხვას: დადებითთან ერთად, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოუტანოს კაშხალის მშენებლობამ ბუნებას?

პასუხები შეიძლება განათავსონ სქემაში:

კაშხლის დადებითი მხარე	კაშხლის უარყოფითი მხარე

ბოლოს მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენება გონიერებასა და სიფრთხილეს მოითხოვს.

გაკვეთილი 6. ერთიანობის საფუძვლები

განსავითარებელი უნარები:

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს პარაგრაფის დასაწყისში მოცემული კითხვებით. ამავდროულად, პასუხების მოსმენისას მოსწავლეები საქართველოს ფიზიკურ რუკაზე აჩვენებენ დასახელებულ ქედებს (მითითებული იქნება დანართ №).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ ტექსტს. ტექსტის განხილვისას რუკაზე მოინიშნავენ ელდარის დაბლობსა და ივრის ზეგანს. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საქართველოში ყველაზე ცხელი ადგილი ივრის ზეგანი, ხოლო ყველაზე მშრალი ანუ გვალვიანი ადგილია ელდარის ველი (ზეგნის განმარტება – მთიანი რელიეფის ფორმა, რომლის ზედაპირიც მოსწორებულია).

ნალექების სიუხვით გამოირჩევა მტირალას მთა აჭარაში. ყველაზე დაბალი ტემპერატურა კი დაფიქსირებულია სტეფანწმინდის მეტეოსადგურში (–42^{0}C).

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, როგორ მოქმედებს კლიმატური პირობები მეურნეობის დარგების განვითარებაზე.

იმის თვალსაჩინოდ, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა მასალა, მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე აგროკულტურის სახელწოდებას: მზესუმზირა, ხორბალი, ჩაი, ლიმონი, კივი და სთხოვს მოსწავლეებს მიუთითონ, რომელ კულტურას მოიყვანდნენ დასავლეთ საქართველოში, რომელს – აღმოსავლეთ საქართველოში (პასუხი დაასაბუთონ!).

შემდეგ ყურადღებით განიხილავენ წყარო №5-ს და უპასუხონ, როგორ ივსებდნენ ცალკეული კუთხეები იმ პროდუქტების დანაკლისს, რაც მათთან არ იწარმოებოდა.

წყარო №8-ის განხილვის შემდეგ მასწავლებელმა მიუთითოს, საქართველოს რომელი მხარე გამოირჩევა მეცხვარეობით (რუკაზე ჩვენებით). ასევე აჩვენოს მარშრუტი, რომელსაც გადის ცხვრის ფარა ზამთრის საძოვრებისაკენ.

გაკვეთილის ბოლოს აყალიბებენ აზრს: სხვა ფაქტორებთან ერთად რა შეიძლება იყოს ქვეყნის ერთიანობის საფუძველი.

იყოფიან ჯგუფებად, მუშაობენ ცხრილებზე.

გაკვეთილი 7. საქართველოს მხარეები

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელმა შეიძლება გაკვეთილი დაიწყოს ასეთი შეკითხვით: საქართველოს რომელი მხარის მკვიდრნი არიან?

დაფაზე დაწერენ მიღებულ პასუხებს.

შემდეგ სვამს მორიგ შეკითხვას – თუ შეგიმჩნევიათ, რით განსხვავდებიან ეს მხარეები ერთმანეთისაგან?

სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ სადისკუსიოდ სვამს კითხვას: რა შეიძლება იყოს ამ განსხვავების გამომწვევი ფაქტორები?

განიხილავენ წყარო №1-ს, მუშაობენ ჯგუფებად ცხრილის შევსებაზე საქართველოს მხარეების რუკის გამოყენებით (აქვე მიუთითოს მასწავლებელმა, რომ ლიხის ანუ სურამის ქედით საქართველო იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ!).

შინ სამუშაოდ ეძლევათ პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება.

გაკვეთილი 8. ენა და მეტყველება

განსავითარებელი უნარები: წყაროზე მუშაობა, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ წყარო 2-ს, ყურადღებას ამახვილებს ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე და მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება: სახელმწიფო ენის შესახებ.

პასუხების მოსმენის შემდეგ შეაჯამებს მათ ნააზრევს და განუმარტავთ, რომ ქართული სახელმწიფო ენა წარმოადგენს საქართველოს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და ის ყველა მოქალაქის საერთო-სახელმწიფოებრივი კუთვნილებაა. ქართული ენა ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა.

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან წყარო 1-ს, დროის ხაზზე დაიტანენ სვანურისა და მეგრულ-ჭანურის საერთო ქართველური ფუძეენიდან გამოყოფის სავარაუდო პერიოდებს; აღნიშნავენ, რომელი უფრო ადრე გამოეყო საერთო ქართველურ ენას. მასწავლებელი სვამს კითხვას: ამ სამი ენიდან, რომელიც სქემაზეა მოცემული, რომელ ენაზე შეიქმნა დამწერლობა?

მოსწავლეები განაგრძობენ ტექსტზე მუშაობას, ეცნობიან დიალექტის განმარტებას და თვითონაც მოჰყავთ დიალექტების მაგალითები.

განიხილავენ წყარო 6-ს და უპასუხებენ წყაროს ქვემოთ არსებულ კითხვებს.

მსჯელობენ, ხომ არ ანაგვიანებს ქართულ ენას უცხო ენიდან შემოსული სიტყვები, როცა მისი შესატყვისი თვითონ ქართულ ენაში არსებობს. თუ შეუძლიათ, მოიყვანონ ამის მაგალითები.

იმერეთი

გაკვეთილი 10. მდებარეობა და ბუნება

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი საქართველოს ფიზიკურ რუკაზე აჩვენებს ლიხის ქედს და იმერეთს.

რუკის დახმარებით მოსწავლეები ასახელებენ იმერეთის მოსაზღვრე მხარეებს, მოინიშნავენ იმერეთის მთავარ მდინარეს – რიონს, მის მარჯვენა და მარცხენა შენაკადებს.

წყაროებსა და რუკაზე დაკვირვებით აღწერენ იმერეთის ბუნებას.

შემდეგ განიხილავენ წყარო №4-ს, რუკაზე მონიშნავენ ფოთი-თბილისის სარკინიგზო მარშრუტს და ამ გზაზე არსებულ მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძებს.

უპასუხებენ წყაროს ქვეშ დასმულ შეკითხვებს.

გაკვეთილი 11. დასახლება და მოსახლეობა

განსავითარებელი უნარები: წყაროზე მუშაობა, არგუმენტირებული მსჯელობა, ინფორმაციის მოპოვება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ ტექსტსა და წყარო №1-ს.

განიხილავენ წყარო № 2-ს. მოსწავლეები წყაროში მოინიშნავენ ოჯახში ურთიერთობის ამსახველ ადგილებს, ადარებენ დღევანდელ ურთიერთობებს და მსჯელობენ, რამდენად არის დაცული ტრადიცია დღევანდელ ყოფაში; მისაღებია თუ არა მათთვის ცხოვრების ტრადიციული წესი.

ადარებენ კერასა და ბუხარს და მსჯელობენ, რატომ იკავებს კერა ოთახის ცენტრალურ ნაწილს. მასწავლებელი მოუსმენს მათ და უხსნის: კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა – მარადიული სიცოცხლის სიმბოლო. ამიტომ დიდი ყურადღება სახლის იმ ადგილს ექცეოდა, სადაც კერა, ცეცხლი იყო მოთავსებული. სწორედ კერასთან ტარდებოდა სხვადასხვა რიტუალიც. ავალებს შეასრულონ წყაროს ქვემოთ არსებული დავალება.

წყარო № 4-ის და წყარო № 5-ის განხილვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაა-კავშირონ სახლების არქიტექტურა გეოგრაფიულ გარემოსთან; იმსჯელონ, რა ფაქტორებმა გამოიწვია, რომ ოდა სახლი ქვის ბოძებზე დგას, სამშენებლო მასალად კი ხეა გამოყენებული.

გაკვეთილი 12. უძველესი ქალაქი

გაკვეთილის მსვლელობა: გაკვეთილის დაწყებისას რუკის გამოყენებით მოსწავლეები აღნიშნავენ, რომელია იმერეთის ყველაზე დიდი ქალაქი და რომელი მდინარის ნაპირებზეა იგი გაშენებული. აქვე გაიხსენონ, რა ერქვა ამ მდინარეს ძველად, არგონავტების მოსვლისას.

გაკვეთილი გრძელდება კ. ნ. ს.-ით. მოსწავლეები ტექსტის კითხვისას კიდეებზე აკეთებენ აღნიშვნებს: სათანადო ნიშნებით „✓" – ინფორმაცია ნაცნობია; „+" – ინფორმაცია ახალია.

განიხილავენ წყარო №1-ს, წყაროდან გამოყოფენ უძველეს და ედუარდ აიხველდისდროინდელ ქუთაისს, ადარებენ ერთმანეთს. აღნიშნავენ ძველი ქუთაისის უპირატეს ნიშანს.

განაგრძობენ წყაროებზე მუშაობას, განიხილავენ წყარო №3-ს, ადარებენ წყაროებზე დაყრდნობით, ქუთაისს სხვადასხვა ეპოქაში და გამოთქვამენ ვარაუდს, რას უნდა გამოეწვია ქალაქის სავაჭრო მნიშვნელობის დაქვეითება.

გაკვეთილის მსვლელობისას მუშაობენ დროის ხაზზე.

შინ სამუშაოდ ეძლევათ პარაგრაფის ბოლოს მოცემული დავალება.

გაკვეთილი 14. მანგანუმი და ქვანახშირი

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს საქართველოს ფიზიკური რუკის გამოყენებით დაადგინონ, რომელ წიაღისეულს მოიპოვებენ იმერეთში. სამუშაოს შესრულების შემდეგ მოსწავლეები ტექსტში მოიძიებენ ინფორმაციას ქვანახშირისა და მანგანუმის გამოყენების შესახებ. საქართველოს ფიზიკურ რუკაზე მონიშნავენ ქვანახშირისა და მანგანუმის საბადოებს.

რუკაზე მოინიშნავენ ჭიათურა-ფოთის მონაკვეთს, სადაც ხდებოდა მანგანუმის მოპოვება და საიდანაც ხდებოდა მისი გატანა ევროპაში.

შემდეგ ეცნობიან წყაროებს (№ 1,2,3) და უპასუხებენ კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა სარგებლობა შეიძლება მოეტანა მანგანუმის წარმოებას იმერეთის მოსახლეობისათვის?

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს ფრაზაზე – „მტაცებლური მოპოვების გამო" და უთითებს, რომ ბუნებრივ რესურსებს გაფრთხილება სჭირდება.

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და წყარო №4-ის და წყარო №5-ის განხილვის შემდეგ ასრულებენ ასეთ დავალებას: T სქემის გამოყენებით იმსჯელონ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

გაკვეთილი 16. კულტურის ძეგლები

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: რუკაზე მოძებნიან იმერეთის კულტურის ძეგლებს და ჩამოწერენ დაფაზე.

შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ წყაროებს (№1, 2, 3) და საუბრობენ გელათისა და მისი ღირსშესანიშნაობების შესახებ. ვენის დიაგრამის საშუალებით ადარებენ წყარო №1-ს და წყარო №5-ს. მოსწავლეები რუკაზე აკვირდებიან შორაპნის ციხე-ქალაქის მდებარეობას და გამოთქვამენ ვარაუდს, რატომ მიიღო შორაპანმა ციხე-სასახლის სახელწოდება.

შემდეგ მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და მუშაობენ წყარო №8-ზე და აწარმოებენ ჯგუფურ მუშაობას.

მომდევნო ეტაპზე I ჯგუფი მუშაობს წყარო №9-ზე. განიხილავს და წყაროში მონიშნავს იმ ადგილებს, სადაც ჩანს, რა ზიანი მიაყენა ძველი ეკლესიის დანგრევამ კულტურის ძეგლს.

II ჯგუფი მუშაობს წყარო №9-ზე. განხილვის შემდეგ მიუთითებს შესაბამის ღონისძიებებს, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ემსახურება.

გაკვეთილის ბოლოს ასრულებენ მომდევნო აქტივობას. ასევე მუშაობენ ლექსიკონზე.

გაკვეთილი 17. ტრადიცია და თანამედროვეობა

განსავითარებელი უნარები: ინფორმაციის მოპოვების, მსჯელობის, დისკუსიის, შედარების, ლოგიკური დასკვნის გაკეთების.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის ტე-

ქსტს და ყურადღებას ამახვილებენ „ტრადიციის“ განმარტებაზე. ტექსტში მოძებნიან იტალიური სიტყვის ქართულ შესატყვისს, ასახელებენ ქართული წეს-ჩვეულებების რამდენიმე მაგალითს.

განიხილავენ წყარო № 8-ს, ჩამოთვლიან იმერელთა ტანისამოსის ნაწილებს, ხიფთანი, სერთუკი, ქუდი; ფეხსამოსს – ჩექმები. საბრძოლო იარაღს – ხმალი, დამბაჩა, ხანჯალი (შესაძლებელია ეს დავალება ჯგუფებად დაყოფილებმა შეასრულონ). წერილობით წყაროში მოცემულ ინფორმაციას ადარებენ წყარო №1 და წყარო №2-ით (ფოტომასალით) წარმოდგენილ ჩაცმულობას. მასწავლებელი მოსწავლეებს სადისკუსიოდ უსვამს კითხვას: რატომ წააგავს იმერული ტანსაცმელი ნაწილობრივ სპარსულს?

სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ კვლავ ეკითხება მოსწავლეებს: ფოტომასალის მიხედვით, არის თუ არა ჩაცმულობა მათი სოციალური მდგომარეობის ამსახველი?

წყარო № 9-ის გაცნობის შემდეგ მოწავლეებს მოჰყავთ მაგალითები ზოგადად ქართულ სტუმართმოყვარეობაზე. რამდენად ეთანხმებიან ფრაზას: ქართველები სტუმარს „ღვთის კაცად სთვლიან“.

შიდა ქართლი

გაკვეთილი 20. დასახლება და მოსახლეობა

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი საქართველოს ფიზიკურ რუკაზე მიუთითებს შიდა ქართლის მდებარეობას და აღნიშნავს, რომ შიდა ქართლი ისტორიული ქართლის ერთ-ერთი ნაწილია.

შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ წყარო № 1-ს და ეკითხებათ – რისი თქმის საშუალებას აძლევთ კლდეში ნაკვეთი ქალაქი? რამ შეუწყო ხელი შიდა ქართლის დაწინაურებას (სავაჭრო გზების სიახლოვემ, მნიშვნელოვანმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ).

მოსწავლეები ტექსტსა და წყაროებში მოიძიებენ ინფორმაციას შიდა ქართლის ეთნიკურ შემადგენლობაზე და თითოეულს უკავშირებენ ტრადიციულ საქმიანობას.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საქართველოში ოდითგანვე არსებობდა კლდეში ნაკვეთი დასახლებები, რომლის კლასიკური ნიმუშია უფლისციხე. ის საქართველოში კლდეში არსებული დასახლებებიდან ყველაზე ძველია. მასწავლებელი აქვე სვამს კითხვას: თუ იციან, დაასახელონ საქართველოში არსებული კლდეში ნაკვეთი დასახლებები (ვარძია, დავითგარეჯი).

შემდეგ მოსწავლეები გამოთვლიან, რამდენი საუკუნის დასახლებაა უფლისციხე, თუ ის ძვ.წ. VI ს-ში უკვე საქალაქო ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა.

რუკაზე მონიშნავენ იმ სავარაუდო გზას, რომელსაც სავაჭრო ქარავანი გადიოდა სურამიდან ფაზისამდე (სიმულაციურად იმოგზაურონ, როგორც ვაჭრებმა) და უპასუხებენ კითხვას: რატომ აირჩიეს სომხებმა და ებრაელებმა საცხოვრებლად დაბა სურამი? (მათი საქმიანობიდან გამომდინარე).

მოსწავლეები განიხილავენ წყარო № 4-ს, სამშენებლო მასალას, ასახელებენ საცხოვრებლის ტიპებს:

მიწური, ქვიტკირის სახლი, დარბაზი;

ადარებენ შიდა ქართლსა და იმერეთში გავრცელებულ საცხოვრებელ სახლებს ვენის დიაგრამის საშუალებით.

გაკვეთილი 22. მავთულხლართებს მიღმა

განსავითარებელი უნარები: გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ლექსიკონში მოძებნონ „ოკუპაციის“ განმარტება და თუ სმენიათ ცნება საქართველოსთან მიმართებაში. პასუხების მოსმენის შემდეგ საქართველოს ფიზიურ ან ადმინისტრაციულ რუკაზე მიუთითებს შიდა ქართლის იმ ნაწილს, რომელიც დღეს ცხინვალის რეგიონად იწოდება.

გაკვეთილი გრძელდება ვ.მ.ვ (ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე) მეთოდით.

წყაროების (№ 1, 2, 3, 4) გაცნობის შემდეგ მსჯელობენ, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ომმა ქვეყანას. შემდეგ მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, განიხილავენ წყარო № 5-ს, ტექსტსა და წყაროებში მონახავენ ყველა იმ შემთხვევას, რომელმაც დაარღვია ჰააგის კონვენციის აღნიშნული მუხლები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

სასურველია მასწავლებლის დახმარებით დაუკავშირდნენ დევნილ თანატოლებს, ერთად იმუშაონ პროექტზე „საქართველო ჩემი სამშობლოა“ და ერთობლივად მოაწყონ პროექტის პრეზენტაცია.

გაკვეთილი. 23. მეურნეობა

განსავითარებელი უნარები: ტექტზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, მსჯელობა, თვალსაჩინოების გამოყენება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გ.ი.-ით. მოსწავლეები უპასუხებენ პარაგრაფის დასაწყისში არსებულ კითხვებს. შემდეგ ეცნობიან ტექსტს, ამოიწერენ ტექსტში დასახელებულ აგროკულტურებს, თითოეულს მიუსადაგებენ სოფლის მეურნეობის შესაბამის დარგს, მაგალითად: ყურძენი – მევენახობა, ხილი – მეხილეობა, ბოსტნეული – მებოსტნეობა.

განიხილავენ წყარო № 1-ს. წყაროში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, მიუთითებენ შიდა ქართლისათვის არსებულ პრობლემას XIX ს-ში და ტექსტიდან მიღებული მასალის საფუძველზე ასახელებენ პრობლემის გადაჭრის გზას.

მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეები ტექსტსა და წყაროებში მოიძიებენ ინფორმაციას შიდა ქართლში ნედლეულის გადამამუშავებელ ქარხნებზე და ჩამოთვლიან მათ. მსჯელობენ, დღესდღეისობით რომელი პრობლემის გადაჭრა შეიძლება ქვეყანაში ქარხნების არსებობით (უმუშევრობის). შიდა ქართლის რუკაზე მოიძიებენ და ასახელებენ აქ არსებულ სასარგებლო წიაღისეულს.

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ტექსტსა და წყაროებში არსებული მასალის საფუძველზე აკეთებენ სქემას:



გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოკლე ინფორმაციას აწვდის ვახუშტი ბაგრატიონის შესახებ: ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ვაჟი, რომელმაც დაწერა თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იგი იყო გეოგრაფი, ისტორიკოსი, გეოგრაფიული რუკების შემდგენელი.

გაკვეთილი 24. ხორბალი

განსავითარებელი უნარები: ინფორმაციის დახარისხება, ინფორმაციის შეკრება და დაჯგუფება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი ტექსტზე მუშაობას იწყებს კ.ნ.ს. მეთოდით. მოსწავლეები კიდეებზე ფანქრით აკეთებენ აღნიშვნებს: „✓ “ – ინფორმაცია ნაცნობია, „+“ – ინფორმაცია ახალია, „–“ – ინფორმაცია მათი აზრის საპირისპიროა, „?“ – ინფორმაცია გაუგებარია ან არ ეთანხმებიან.

შემდეგ მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები შეადგენენ ა.კ.რ. (ასოციაციურ კავშირების რუკას). მასწავლებელი დაფის ცენტრში წერს სიტყვას – „ხვნა“, მოსწავლეები კი ლოგიკურად უკავშირებენ ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას.



წყარო №1-ის გაცნობის შემდეგ მოძებნიან მითში ტექსტთან შესაბამის ინფორმაციას (ფოლადის გუთანი, ხარი). აქვე მასწავლებელმა უნდა მიუთითოს, რომ ძველად საქართველოში ხარი ოჯახის მარჩენალად ითვლებოდა, მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ.

წყარო №1-ის გაცნობის შემდეგ უპასუხებენ კითხვას: დიდი ქართული გუთანი მთაში გამოიყენებოდა თუ ბარში? (პასუხი დაასაბუთონ!).

კარგი იქნება მასწავლებელმა სქემის სახით მოსწავლეებს წარუდგინოს ხორბლის მოყვანა-დაბინავების პროცესი:

მოხვნა → თესვა → მკა → ლეწვა → განიავება

„მკა ყანის მონამგვლა არის“ – აღნიშნავს სულხან-საბა ორბელიანი. ხორბლის თავთავების მოჭრა ხდებოდა ნამგლით.

მოჭრილი თავთავები კალოზე ილეწებოდა. კალოობა და ლეწვა სინონიმებია. ლეწვა კევრით ხდებოდა. კევრის გასაცნობად მუშაობენ წყარო №8-ზე. კევრი ძირითადად ისეთი ჯიშის ხისგან მზადდებოდა, რომელიც გამძლე იყო, ადვილად არ ლპებოდა. ასეთი იყო ფიჭვის ხე.

მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რატომ აქვს კევრს წვეტიანი ქვები ჩასმული? (რათა მოხდეს თავთავებიდან მარცვლის გამოდევნა).

განიხილავენ წყარო №5-ს და მისი გაცნობის შემდეგ უპასუხებენ წყაროს ქვემოთ არსებულ შეკითხვებს. მასალის უკეთ გაცნობისათვის სასურველია გაკვეთილი ჩატარდეს ეთნოგრაფიის მუზეუმში.

გამოიყენონ ნინო ბრაილაშვილის ალბომი – „ასეთი მახსოვს საქართველო“ (ეთნოგრაფიული ჩანახატები).

ქვემო ქართლი

გაკვეთილი 31. საზღვრისიქითა ქვემო ქართლი

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, შედარება, არგუმენტიებული მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: ქვემო ქართლის თანამედროვე რუკაზე მოსწავლეები უბრალო შავი ფანქრით მოხაზავენ ქვემო ქართლის სამხრეთ საზღვარს; დაასახელებენ მწვერვალებს, უღელტეხილებსა და მდინარეებს, რომელთა აუზშიც მდებარეობს დღეს ქვემო ქართლი.

შემდეგ განიხილავენ წყარო №1-ს, ადარებენ წყარო № 2-ს.

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ადარებენ წყაროებით მოპოვებულ ინფორმაციას.

რუკაზე დაკვირვებით ასახელებენ დასახლებებსა და მდინარეებს, რომლებიც აღარ შემოდის, ან ნაწილობრივ შემოდის ქვემო ქართლის საზღვრებში.

წყარო № 4-ის გაცნობის შემდეგ ასახელებენ მიზეზს, რის გამოც მეფე ერეკლე II-მ XVIII ს-ში ანატოლიიდან საქართველოში გადმოასახლა ბერძენი ხელოსნები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიფიქრონ, რა სარგებლობა შეიძლება მოეტანა ქვეყნისათვის ვერცხლისა და ოქროს მადნის მოპოვებასა და დამუშავებას. გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი განმარტავს, რომ ტერიტორია, რომელიც იყო და ახლა აღარ შემოდის საქართველოს შემადგენლობაში ისტორიულ ტერიტორიად იწოდება. ხოლო იმის დასტურად, რომ ნამდვილად ქართული ტერიტორიაა, გამოგვადგება რუკები, კულტურის ძეგლები, ადგილის სახელები.

გაკვეთილი. 32. ქართული მეტალურგიის ცენტრი (ქვემო ქართლი)

განსავითარებელი უნარები: ტექსტზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწვლებელი მინილექციით მოსწავლეებს აცნობს, რომ ლითონის დამუშავებას დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში.

ქართველთა წინაპრები ძველთაგანვე აღიარებულნი ყოფილან საუკეთესო მეტალურგებად. „ბიბლიაში“ დასახელებულია თუბალი (ობელ-თობელი), რომელიც იყო მჭედელი „რვალისა და რკინისა“. თაბალთა ტომი კი, რომელიც ასე დახელოვნებული ყოფილა რკინისა და სპილენძის დამუშავებში, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველ ტომთა, იბერთა წინაპრად არის მიჩნეული. თვით ქართველ მჭედლებში ძველთაგანვე არსებობდა გადმოცემა ქართველ ტომთა განსაკუთრებული დამსახურების შესახებ ლითონის დამუშავებაში, მეტალურგიაში.

მოსინიკური სპილენძი, ხალიბური რკინა და სვანური ოქრო იმ დროს საქვეყნოდ იყო განთქმული. აქვე მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს გონებრივი იერიში და მოსწავლეებისაგან მიიღოს ინფორმაცია, როგორ აისახა მითში „არგონავტების შესახებ“ მეტალურგიული წარმოების არსებობა ძველ კოლხეთში (რკინის გუთანი, სპილენძისჩლიქიანი ხარები).

საქართველოში მეტალურგიის განვითარებას ხელს უწყობდა ბუნებრივად მდიდარი საბადოების არსებობა, რომელთა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ქართლის საბადოები. დღეს ლითონის დამუშავების უძველეს ტრადიციებს აგრძელებს ქალაქი რუსთავი.

მოსწავლეები ეცნობან ტექსტს, მუშაობენ წყაროებზე და მსჯელობენ, რამ განაპირობა რუსთავის აღორძინება და სამრეწველო ქალაქად ჩამოყალიბება.

გაკვეთილი 34. გარემოს დაცვა

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, მსჯელობა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინილექციით. მოსწავლეებს ესაუბრება, რომ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა უძველესი დროიდან იწყება. ადამიანმა არა მარტო გამოიყენა ბუნების ნობათი, არამედ მისი გარდაქმნაც დაიწყო თავის სასარგებლოდ: მოხნა მიწა, გაიყვანა გზები, მოიპოვა სასარგებლო წიაღისეული, რასაც სიკეთესთან ერთად ბევრი „არასასურველი“ შედეგიც მოჰყვა, კერძოდ: დაბინძურდა წყალი, ჰაერი, ნიადაგი, გაიჩეხა ტყეები და ა.შ. ბუნების იშვიათ ძეგლებს კი დაცვა და გაფრთხილება სჭირდება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ტექსტს და შემდეგ T სქემის გამოყენებით ისაუბრონ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, I ჯგუფი განიხილავს წყარო № 2-ს, II ჯგუფი – წყარო № 3-ს. თითოეული ჯგუფი მისთვის შერჩეული წყაროდან ასახელებს ტბას, აჩვენებს რუკაზე და აღნიშნავს, რა ნიშნით არის გამორჩეული.

ეცნობიან წყარო № 4-ს, მსჯელობენ ალგეთის ეროვნული პარკის მნიშვნელობაზე (მონიშნავენ რუკაზეც!).

წყარო №5 განხილვის შემდეგ უპასუხებენ კითხვას: რაზე მეტყველებს სამშვილდეს კანიონის ნაპირზე გამოქვაბულების არსებობა? (აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდა ადამიანი).

ლექსიკონში ეცნობიან „ვოკლუზის“ განმარტებას და წყარო №7-ის განხილვის შემდეგ საუბრობენ ბერთას ვოკლუზის მნიშვნელობაზე.

რუკის საშუალებით შეისწავლიან მდ. მტკვრის აუზს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, ასახელებენ ამ მდინარეებს, მოინიშნავენ მდინარე მაშავერას და მსჯელობენ, რა სახის ზიანი შეიძლება მიაყენოს მდინარემ ტერიტორიას, სადაც ის გაივლის.

მოსწავლეები მსჯელობენ გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების გზებზე.

მოსწავლეები ერთხმად აღიარებენ – გარემოს დაცვა ყველას ვალია!

მომდევნო გაკვეთილში („ნარჩენები და მათი მართვა“) უფრო დაწვრილებით გაეცნობიან გარემოს დაბინძურების მაგალითებს და ამ პრობლემის გადაჭრის გზებს.

სვანეთი

გაკვეთილი 39. მდებარეობა და ბუნება

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, დაკვირვება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: გაკვეთილი იწყება რუკაზე მუშაობით. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რუკის მიხედვით დაადგინონ სვანეთის მდებარეობა, მისი მოსაზღვრე მხარეები და ქვეყნები. მოძებნონ სვანეთის ქედი და მიუთითონ, რამდენ ნაწილად იყოფა სვანეთი ამ ქედით. დაასახელონ სვანეთის მდინარეები, ქედები, მწვერვალები, უღელტეხილები. მოპოვებული ინფორმაცია შეიტანონ ცხრილში:

მდინარეები	ქედები	მწვერვალები	უღელტეხილები	მოსაზღვრე მხარეები	მოსაზღვრე ქვეყნები

შემდეგ ეცნობიან ტექსტს და გამოთქვამენ ვარაუდს, რატომ მიდიოდნენ სვანი მამაკაცები ჩრდილოეთ კავკასიაში სამუშაოდ?

მსჯელობენ,

დღეს კიდევ დგას ეს პრობლემა თუ არა?

თუ დგას, როგორ მოაგვარებდით?

წყაროების (№ 1,2,3) გაცნობის შემდეგ მსჯელობენ, კიდევ რა დანიშნულებით შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა მდინარეები?

წყარო №4-ის განხილვის შემდეგ უპასუხებენ კითხვას: თქვენი აზრით, მეურნეობის რომელი დარგის განვითარებას შეუწყობდა ხელს ასეთი ბუნებრივი პირობები? მოსწავლეები აკვირდებიან ფოტომასალას (წყარო №5) და თანამიმდევრობით ალაგებენ მთაში ასვლისას როგორ ენაცვლებიან, ერთმანეთს ტყე, ალპური ბუჩქები და ალპური მდელოები.

გაკვეთილი 41. მეურნეობა

განსავითარებელი უნარები: ტექსტზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, დახარისხება, არგუმენტირებული მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები აკვირდებიან რუკას და გამოთქვამენ მოსაზებას, მეურნეობის რომელი დარგი არის წამყვანი სვანეთში.

შემდეგ მუშაობენ ტექსტზე. ტექსტის გაცნობის შემდეგ აკეთებენ სქემას:

სოფლის მეურნეობა	**მრეწველობა**
↓	↓
მესაქონლეობა	ხე-ტყის წარმოება
მემარცვლეობა	დარიშხანის მოპოვება
მეფუტკრეობა	ოქროს მოპოვება
მებოსტნეობა	მარმარილოს მოპოვება
მეცხვარეობა	

მასწავლებელი მიუთითებს, რომ ძველად ნადირობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო სვანეთში.

წყარო №4-ის განხილვის შემდეგ მსჯელობენ ვაჭრობის ხელისშემშლელ ფაქტორებზე.

კლიმატური სხვაობა ზემო და ქვემო სვანეთს შორის საგრძნობია. წყარო №7-ის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, სწორად არის თუ არა ახსნილი ვაზის გავრცელების არეალი ლეგენდის მიხედვით.

გაკვეთილი 43. მთასვლელობა და ტურიზმი

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის შეგროვება, დახარისხება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაკვირვებით დაათვალიერონ საქართველოს ფიზიკური რუკა და მიანიშნონ მხარეები, სადაც მთასვლელობა, იგივე ალპინიზმი იქნება განვითარებული. შემდეგ მოსწავლეები ასახელებენ სვანეთის კავკასიონის მწვერვალებს სიმაღლეთა ჩვენებით (თეთნულდი, აილამა, გისტოლა, უშბა, შხარა, შხელდა); შეიძლება (თუ დააინტერესებთ) აუხსნას მათი სახელწოდებები: „შხარა“ – თეთრ ზოლს ნიშნავს სვანურად, „უშბა“ – ქარიშხლიან მთას, „თეთნულდი“ – „თეთნე“ – თეთრს. განიხილავენ წყარო № 1,2-ს და ვენის დიაგრამით ადარებენ ერთმანეთს.

სვანეთში არსებული მწვერვალების სიუხვე არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ მთასვლელებსაც იზიდავს. ასევე მიმზიდველია მისი ჰაერი და სათხილამურო ტრასები. სვანეთში განვითარებულია მეურნეობის ერთ-ერთი დარგი – ტურიზმი. ამ მცირე ინფორმაციას მასწავლებელი მიაყოლებს კითხვებს:

ა) რა ტიპის კურორტებია სვანეთში? (სამთო-სათხილამურო)

ბ) რა სარგებელი მოაქვს ქვეყნისათვის ტურიზმს?

სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ ეცნობიან წყარო № 4-ს.

მოსწავლეები მსჯელობენ, რა უნდა იზიდავდეს ალპინისტებს ასეთი სარისკო, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი სპორტის სახეობისაკენ? სასურველია მოსწავლეებმა ჯგუფებში მოამზადონ მასალა ქართველ ალპინისტებზე და 1 კვირის შემდეგ წარუდგინონ კლასს.

გაკვეთილი 45. ტრადიცია და თანამედროვეობა

განსავითარებელი უნარები: წყაროზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, დახარისხება, ლოგიკური მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით და მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ ტრადიციის ცნება. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი ერთხელ კიდევ განუმარტავთ, რომ ტრადიცია დინამიკურია, იგი განიცდის ცვლილებას, განვითარებას.

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი ახასიათებს სვანების ტრადიციულ სამოსს და ადარებენ თანამედროვე სვანის ჩაცმულობას (წყარო №8).

წყვილებში განიხილავენ წყარო №6-ს და მსჯელობენ, რა ცვლილება განიცადა საქორწინო ტრადიციამ.

წყარო №7-ს გაცნობის შემდეგ მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები წყაროში მონიშნავენ იმ ფრაზას, რომელიც ქალისა და მამაკაცის უფლებრივ გათანაბრებაზე მიანიშნებს, რაც ასე იშვიათი იყო ძველად საქართველოში.

ამავე წყაროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე უპასუხებენ კითხვებს:

ა) თქვენი აზრით, მახვში შეიძლება შევადაროთ პარლამენტის თავმჯდომარეს?

ბ) წყაროში მოხსენებული საზოგადო ყრილობა, თქვენი აზრით, რომელ სახელმწიფო ორგანოს შეიძლება შევადაროთ?

მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ მახვშის თანამდებობა არჩევითი იყო და მისი არჩევის უფლება ყველა სრულწლოვანს ჰქონდა.

გაკვეთილის ბოლოს მსჯელობენ, რატომ ინახავდა მთა ტრადიციას დიდხანს ბართან შედარებით.

სამეგრელო

გაკვეთილი 48. დასახლება და მოსახლეობა

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, წყაროებზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, მსჯელობა, კვლევა

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები საქართველოს ფიზიკურ ან ადმინისტრაციულ რუკაზე მოხაზავენ სამეგრელოს და მსჯელობენ, საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით რა უპირატესობას ანიჭებს ზღვასთან სიახლოვე სამეგრელოს.

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და თავიანთ ვარაუდებს ადარებენ ტექსტში არსებულ მასალას.

მასწავლებლის თხოვნით კლასი იყოფა ჯგუფებად და იწყებენ წყაროებზე მუშაობას. თითოეული ჯგუფი განიხილავს წყაროებში დასახელებულ საცხოვრებლის ტიპს. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მისთვის განსახილველი წყაროდან ასახელებს საცხოვრისს და მისი მონაცემები შეაქვს დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში:

ნაგებობის ტიპი	მასალა	ფართობის განაწილება და დანიშნულება
ფაცხა		
ჯარგვა		

ცხრილში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ადარებენ საცხოვრებლის ტიპებს.

წყაროების ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის შემდეგ მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ ბუნებრივი პირობები განსაზღვრავს საცხოვრებლის ტიპს.

მოსწავლეები ეცნობიან არქანჯელო ლამბერტის ცნობას სამეგრელოს შესახებ და უპასუხებენ

წყარო 6-ის ქვემოთ დასმულ კითხვებს.

კომენტარი: არქანჯელო ლამბერტი – იტალიელი კათოლიკე ბერი. 1633-1649 წწ-ში იმყოფებოდა საქართველოში, ოდიშის (სამეგრელო) მთავრის, ლევან დადიანის კარზე. სამშობლოში დაბრუნებისას მან დაწერა მოხსენება, სადაც დეტალურადაა გადმოცემული სამეგრელოს სამთავროს ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალურ-კულტურული ყოფის, ბუნებრივი რესურსების შესახებ ინფორმაცია.

გაკვეთილის ბოლოს

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კვლევით პროექტს და თანხმობის შემთხვევაში იწყებენ მასზე მუშაობას (გვ.117).

სასურველია, გაკვეთილი ჩატარდეს ეროვნული მუზეუმის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში.

გაკვეთილი 53. ტრადიცია და თანამედროვეობა

განსავითარებელი უნარები: ტექსტსა და წყროებზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება და მსჯ-ელობა

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ტექსტზე მუშაობით. ტექსტიდან ამოიწერენ მეგრულ ტრადიციულ კერძებს, ტრადიციულ ხალხურ თამაშებს. შემდეგ უპასუხებენ ტექსტის ბოლოს დასმულ შეკითხვებს.

მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ წყარო №1 და წყარო №2-ზე. მიუთითებენ თითოეულ წყ-არაში რომელი ტრადიციის შესახებაა საუბარი;

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ ნადის შესატყვისი ტერმინი, რომელიც იგივე შინაარსის შემცველია, ოღონდ საქართველოს სხვა კუთხეში სხვა საქმიანობის დროს იხმარებოდა (ნადი//მოდგამი).

წყარო №5-ის გაცნობის შემდეგ გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს ლამბერტის ცნობასთან დაკავშირებით; მსჯელობენ, რამდენად რეალურია ლამბერტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

მსჯელობის დასრულების შემდეგ უპასუხებენ კითხვებს.

აჭარა

გაკვეთილი 57. ძველი და ახალი ბათუმი

განსავითარებელი უნარები: ტექსტსა და წყაროებზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, დასკვნის გაკეთება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გკვეთილს იწყებს მინილექციით. მოსწავლეებს ესაუბრება აჭარის ავტონომიასა და მისი დედაქალაქის – ბათუმის წარსულის შესახებ: 300 წლის განმავლობაზში ეს მხარე მოწყვეტილი იყო დედასამშობლოს და ოსმალთა იმპერიას ექვემდებარებოდა. 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარა ბათუმითურთ გათავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან და კვლავ საქართველოს შეუერთდა.

მოსწავლეები მუშაობენ წყაროებზე. წყარო №6-ში მოცემულ ბათუმის აღწერილობას (1873 წ. ბათუმი), ადარებენ წყარო №8-ში გადმოცემულ ბათუმის მდგომარეობას და მსჯე-ლობენ მეურნეობის რომელი დარგის განვითარებამ გამოიწვია ბათუმის გამოცოცხლება.

შემდეგ ეცნობიან ფოტომასალას, მისი გამოყენებით ადარებენ ძველ და ახალ ბათუმს და აღნიშნავენ ძირითად განსხვავებას,

ტექსტში მოძებნიან ინფორმაციას, რომელიც ბათუმის მნიშვნელობის გაზრდაზე მეტყველებს (ბაქო-ბათუმის ნვთობსადენი).

აკეთებენ დასკვნას, რომ ბათუმის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა მისი მნიშვნელობა.

გაკვეთილი 61. ტრადიცია

განსაკუთრებული უნარები: წყაროზე და ტექსტზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, გამოყენება, დასკვნის გაკეთება.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში და ეცნობიან ტექსტებს. ტექსტში მოძებნიან აჭარის მოსახლეობის განმასხვავებელ ნიშნებს (ყოფითს, რელიგიურს, ტრადიციულს) და, შეძლებისდაგვარად, აღნიშნავენ, რა ფაქტორებმა გამოიწვია განსხვავება.

განიხილავენ წყაროებს 2-ს და 4-ს. ადარებენ აჭარელთა ჩაცმულობას. მსჯელობენ, რატომ არის განსხვავებული ფოტომასალაზე წარმოდგენილი აჭარელი მამაკაცის ჩაცმულობა.

ასევე წყარო №6-ზე წარმოდგენილ ქალის ჩაცმულობას ადარებენ საქართველოს სხვა მხარის ქალის ჩაცმულობას და მიუთითებენ განსხვავების გამომწვევ მიზეზს (რელიგიურს).

შემდეგი წყაროს გაცნობით აღნიშნავენ, რატომ სჭარბობს ცხიმი ერბოს სახით აჭარელთა კერძებში. ამოიწერენ აჭარული კერძების სახელწოდებებს.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას: აჭარელთა სამეურნეო საქმიანობას, ტრადიციას, ჩაცმულობას, საკვებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გეოგრაფიული გარემო და ისტორიული წარსული.

2.2. მეთოდური მითითებანი შემაჯამებელი გაკვეთილებისთვის

გაკვეთილი 9. შემაჯამებელი გაკვეთილი (ჩვენი სამშობლო)

სტანდარტის შედეგი: (II).3; (II).4.

მიზანი: განვლილი მასალის შეჯამების საფუძველზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესახებ. აღიქვან საქართველოს მდებარეობა გეოგრაფიულ სივრცეში.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის მოპოვება, დახარისხება, მსჯელობა, დასკვნის გაკეთება.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
ინსტრუქცია, როგორ შეასრულონ დავალება	5
I ეტაპი. ინფორმაციის შეგროვება და პრეზენტაცია	10
II ეტაპი. სიმულაციური მოგზაურობა	10
III ეტაპი. მსჯელობა შავი ზღვის მნიშვნელობის შესახებ	10
IV ეტაპი. დასკვნის გაკეთება	10

ორგანიზაციული ფორმა: ჯგუფებში მუშაობა, წყვილებში მუშაობა

რესურსები: მასწავლებლის წიგნი, რუკა.

გაკვეთილი 18. შემაჯამებელი გაკვეთილი (იმერეთი)

სტანდარტის შედეგი: (II).1; (II).2.

მიზანი: განვლილი მასალის შეჯამების საფუძვლეზე პიროვნებათა როლის შეფასება და შედეგების სათანადო ილუსტრირება.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლე ამჟღავნებს ინფორმაციის მოძიებისა და, ამოცანის შესაბამისად, საჭირო ცნობების შერჩევის უნარს, მუშაობს წყაროებზე, გამოხატავს საკუთარ აზრს და ადარებს მათ სხვა მოსაზრებებთან, ახდენს მიღებული შედეგების ილუსტრირებას და აკეთებს დასკვნებს.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი. ინფორმაციის შეგროვება და გაერთიანება	10
II ეტაპი. კიდევ რა ვიცი?!	10
III ეტაპი. პიროვნებათა წვლილის ინდივიდუალური შეფასება	10
IV ეტაპი. დასკვნითი მოსაზრებების გამოხატვა	10

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

გაკვეთილი 28. შემაჯამებელი გაკვეთილი (შიდა ქართლი)

სტანდარტის შედეგი: (II).2; (II).3; (II).4.

მიზანი: მარტივი რუკა-სქემის შედგენის დაუფლება და მისი ანალიზი.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლე ამჟღავნებს რუკის კითხვის უნარს და შესაბამისი პირობითი ნიშნების გამოყენებით ადგენს რუკა-სქემას, აკეთებს მის სივრცით ანალიზს;

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	5
რუკა-სქემის შედგენა	20
შედგენილი რუკის ანალიზი	10
ვირტუალური მოგზაურობა ინტერნეტ-რესურსებით	5
დასკვნების გაკეთება	5

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, რუკა დაფა, სახაზავი/მზომი ფარგალი, საწერი საშუალებები, მცხეთის მიდამოების რუკის ქსეროასლი.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლე ფლობს ფაქტობრივ ინფორმაციას	5-7
მოსწავლე ადგენს რუკა-სქემას და აკეთებს მის ანალიზს	6-8
სხვადასხვა წყაროის ურთიერთშედარების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა	8-10

გაკვეთილი 38. შემაჯამებელი გაკვეთილი (ქვემო ქართლი)

სტანდარტის შედეგი: (II).1; (II).2.

მიზანი: განვლილი მასალის შეჯამების საფუძვლეზე პიროვნებათა როლის შეფასება და შედეგების სათანადო ილუსტრირება.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ჩართულობის გაზრდა იზრუნონ გარემოზე, ადგილის შესწავლა და მთავარი პრობლემისა და საკუთარი შესაძლებლობების დადგენის უნარის განვითარება.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავ-ლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი. ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი	30
II ეტაპი. ფუნქციების განაწილება	10
III ეტაპი. აქციის განხორციელება	კლასგარეშე

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ჯგუფებად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, დასუფთავებისა და გამწვანებისათვის საჭირო ინვენტარი (ხელთათმანები, პარკები ნარჩენებისათვის, ნერგები, ბარი, თოხი).

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	8-10

გაკვეთილი 46. შემაჯამებელი გაკვეთილი (სვანეთი)

სტანდარტის შედეგი: (II).1; (II).3; (II).4; (II).6; (II).7.

მიზანი: განვლილი მასალისა და წყაროდან მიღებული ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე შეაფასონ სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მასთან დაკავშირებული თავისებურებები.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეს შეუძლია რუკის კითხვა და გამოყენება, წყაროზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება და მისი გადმოცემა სხვა საშუალებებით (სვეტური დიაგრამა); შეუძლია დააკავშიროს გეოგრაფიული ობიექტები დასახლების ტიპებთან; შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
ინსტრუქცია დავალების შესრულების შესახებ	5
I ეტაპი. წყაროზე მუშაობა	5
II ეტაპი. სვანეთის მდებარეობა და კლიმატური პირობების თავისებურებების განსაზღვრა	5
III ეტაპი. სვეტოვანი დიაგრამის აგება სვანეთის მწვერვალების სიმაღლეების გათვალისწინებით	10
IV ეტაპი. სვანეთის მეურნეობის დარგები	10
V-VI ეტაპები. დასახლება და საცხოვრებელი ტიპები სვანეთში	5
VII-VIII ეტაპები. სვანეთის ტურისტული პოტენციალი	5

ორგანიზაციული ფორმა: ინდივიდუალურად, წყვილებში.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, საქართველოს ფიზიკური რუკა.

შეფასება	
	ქულები
I დონე. ზედაპირულად განიხილავს დასმულ საკითხებს, ვერ გამოაქვს დასკვნები	1-4
II დონე. არ შეუძლია ერთი სახით მოცემული ინფორმაციის სხვა სახით გადმოცემა, არ ავლენს კრიტიკული აზროვნების უნარს, ნაკლებად შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობა	5-7
III დონე. შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და მისი გამოსახვა სხვადასხვა საშუალებებით, ავლენს ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს, საუბრობს გამართულად, გამოაქვს დასკვნები და ასაბუთებს მათ არგუმენტებით.	8-10

გაკვეთილი 54. შემაჯამებელი გაკვეთილი (სამეგრელო)

სტანდარტის შედეგი: (II).8; (II).9; (II).10.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლე ამჟღავნებს ინფორმაციის მოძიებისა და ამოცანის შესაბამისად, საჭირო ცნობების შერჩევის უნარს, მუშაობს წყაროებზე, გამოხატავს საკუთარ აზრს და ადარებს მათ სხვა მოსაზრებებთან, შეუძლია ესეის დაწერა, ახდენს მიღებული შედეგების ილუსტრირებას და აკეთებს დასკვნებს.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი. წყაროს გაცნობა	5
II ეტაპი. საგაზეთო სტატიის მომზადება	20
III ეტაპი. გაზეთის გაფორმება	15

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, ფურცლები, ფორმატის ფურცელი, საწერი საშუალებები.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	8-10

გაკვეთილი 63. შემაჯამებელი გაკვეთილი (აჭარა)

სტანდარტის შედეგი: (II).9; (II).12, (II).14.

მიზანი: კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობის გააზრება.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლე ამჟღავნებს ინფორმაციის მოძიებისა და ამოცანის შესაბამისად, საჭირო ცნობების შერჩევის უნარს, მუშაობს წყაროებზე, გამოხატავს საკუთარ აზრს, ახდენს მიღებული შედეგების ილუსტრირებას და აკეთებს დასკვნებს.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავ-ლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი. წყაროს გაცნობა-ანალიზი	10
II ეტაპი. პროექტის შედგენა	30
III ეტაპი. პროექტის განხორციელება	კლასგარეშე
IV ეტაპი. პროექტის პრეზენტაცია	კლასგარეშე

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს მოსწავლე ამზადებს შემოქმედებით პროდუქტს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	8-10

ნაწილი III. VI კლასი

3.1. სახელმძღვანელოს გაკვეთილების სანიმუშო სცენარები

გურია

გაკვეთილი 2. დასახლება და მოსახლეობა

განსავითარებელი უნარები: რუკაზე დაკვირვება, ინფორმაციის მოპოვება, დახარისხება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეები აკვირდებიან გურიის რუკას, მოინიშნავენ საცხოვრებლად ხელსაყრელ ადგილებს და აღნიშნავენ, რატომ არის ხელსაყრელი აქ დასახლება.

შემდეგ ეცნობიან ტექტსა და ფოტომასალას. წყარო №4-დან ამოიწერენ საცხოვრებლის ტიპებს და ალაგებენ თანამიმდევრობით: ფაცხა → ჯარგვალი → დოლი სახლი → ოდა სახლი.

მოსწავლეები ვენის დიაგრამის გამოყენებით ადარებენ გურულ ოდა სახლს იმერულ საჯალაბო სახლს.

ეცნობიან წყარო №6-ს და უპასუხებენ კითხვას: რატომ აკეთებდნენ ოდას ფიცრებისაგან და რატომ დგას იგი ქვის ბოძებზე.

წყარო №7-ის გაცნობის შემდეგ ასახელებენ გურიაში სარწმუნოებრივი განსხვავების გამომწვევ მიზეზებს, მსჯელობენ ადამიანის თანასწორობაზე განურჩევლად რასისა, კანის ფერის, ეთნიკური კუთვნილებისა.

მოსწავლეებს შეიძლება მივაწოდოთ მცირე ინფორმაცია 1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შესახებ. ომმა საქართველოს დადებითი შედეგი მოუტანა – 300 წლის წინ დაკარგული მიწა-წყალი კვლავ საქართველოს შეუერთდა.

გაკვეთილი 3. მეურნეობა

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, წყაროებზე მუშაობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, როგორი ჰავის ტიპის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ზღვასთან სიახლოვე. პასუხების მოსმენის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი აგროკულტურები შეიძლება მოიყვანონ გურიაში.

კლასი იყოფა ჯგუფებად (3 ჯგუფად). I ჯგუფი განიხილავს წყარო №1-2-ს; II ჯგუფი – წყარო №4-ს; III ჯგუფი – წყარო №5-ს. წყაროების გაცნობის შემდეგ თითოეული ჯგუფი ასახელებს წყაროში ნახსენებ აგროკულტურას და მიუთითებს, სოფლის მეურნეობის რომელი დარგი შეესაბამება (ჩაი – მეჩაიეობა, ღომი – მემარცვლეობა; ...). ასევე ავსებენ წყარო №5-ის ქვემოთ მოთავსებულ ცხრილს.

წყარო №5-ის განხილვისას მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკის ერთ-ერთი დარგის – ვაჭრობის განვითარებაზე გურიაში. მოსწავლეებს სთხოვს, მოიფიქრონ, რატომ იყო თავდაპირველად ვაჭრობა ლაზების ხელში.

წყარო №5-ის გაცნობის შემდეგ აკვირდებიან გიდელს, ასახელებენ მასალას, რისგანაც მზადდება გიდელი და გამოთქვამენ ვარაუდს, რატომ აქვს გიდელს ასეთი ფორმა. სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი განუმარტავთ, რომ ასეთი ფორმის ყურძნის საკრეფი მაღლარი ვაზის ფოთლებსა და ტოტებს არ დააზიანებს აწევა-ჩამოშვების დროს.

სამცხე-ჯავახეთი

გაკვეთილი 10. დასახლება და მოსახლეობა

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ტექსტსა და წყაროებზე მუშაობა, მსჯელობა, დასკვნის გაკეთება.

გაკვეთილის მსვლელობა: კარგი იქნება, მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისში გამოიყენოს სადემონსტრაციო (კედლის) რუკა – საქართველო XVIII ს-ის ბოლოს. მასზე მონიშნოს ისტორიული მესხეთის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დღეს საქართველოს საზღვრებშია მოქცეული. შემდეგ

მინი-ლექიის საშუალებით მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს, რომ მესხეთი, იგივე ზემო ქართლი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საერთო სახელწოდებაა. იგი მოიცავდა მდ.მტკვრის აუზის ზემო ნაწილს – სამცხეს, ჯავახეთს, არტაანს, ერუშეთს, კოლას და მთლიანად მდ.ჭოროხის აუზს – აჭარას, კლარჯეთს, შავშეთს, ტაოს, სპერს. ამ მიწა-წყალზე უძველესი დროიდან სახლობდნენ ქართველები. მესხეთი საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა აგრესორთა შემოტევის ობიექტი იყო.

აქვე მოსწავლეებს მიუთითებს რუკაზე (ამჯერად ფიზიკურ რუკაზე) და აღნიშნავს, რომ ბუნებრივი ზღუდეების არარსებობამ გავლენა მოახდინა მხარის თავდაცვითუნარიანობაზე.

XVI ს-ის დამდეგიდან საქართველო მაჰმადიანურ გარემოცვაში მოექცა. 1555 წ. დადებული ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს. ცოტა ხანში კი მესხეთი მთლიანად დაიკავა ოსმალეთმა. მესხეთის ისტორიაში უმძიმესი ხანა დაიწყო. ეს ტერიტორია ახალციხის საფაშოდ იწოდა. დაიწყო მოსახლეობის იძულებითი ისლამიზაცია.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. ამის შემდეგ რუსეთის იმპერიამ ერთიმეორეზე მიყოლებით თავის გამგებლობაში მოაქცია საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებიც. 1828-29 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ განთავისუფლდა სამცხე-ჯავახეთი. რუსეთთან შეერთების შემდეგ მაჰმადიან ქართველთა ნაწილი თურქეთში გადასახლდა. მათ საცხოვრებელზე ოსმალეთიდან დევნილი ქრისტიანი სომხები დასახლდნენ. შეიქმნა ეროვნულად და სარწმუნოებრივად ჭრელი მოსახლეობა.

XIX ს. 60-იანი წლებიდან ზემო ქართლში რუსეთიდან გადმოასახლეს რუსი სექტანტები – **„დუხობორები“**.

დუხობორების სექტა XIII ს-ში ჩაისახა რუსეთში. ქართულად ნიშნავს „სულისათვის მებრძოლს“. დუხობორები უარყოფდნენ მართლმადიდებლური ეკლესიის რთულ დოგმატებს. მათი რიტუალები ძალზე გამარტივებულია. ძირითადი ყურადღება გადასულია ფსალმუნების კითხვაზე. ცარიზმი და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია დევნიდა დუხობორებს. 1841-50 წწ. მათი ნაწილი ამიერკავკასიაში გადმოასახლეს.

მინილექციისა და ტექსტის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ადვილად უპასუხენებ, რამ განაპირობა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური მრავალფეროვნება.

დუხობორებთან დააკავშირონ წყარო №4.

შემდეგ იწყებენ წყაროების საშუალებით საცხოვრებლის გაცნობას. აღწერენ ტრადიციულ საცხოვრებელს – დარბაზს (მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წყაროში მოძებნონ ბუნებრივი რესურსი, რომელიც მესხეთში ძალიან მცირეა.

ვენის დიაგრამის საშუალებით ადარებენ მესხურ დარბაზს ოდა-სახლს.

სასურველია, გაკვეთილი ჩატარდეს ეროვნული მუზეუმის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში. აქ მოსწავლეები შეძლებენ არა მარტო მესხური დარბაზისა და ოდასახლის შედარებას, არამედ მესხური და ქართლური დარბაზების მსგავსება-განსხვავების დადგენას.

გაკვეთილი 15. ტრადიცია და თანამედროვეობა

განსავითარებელი უნარები: წყაროებსა და ფოტომასალაზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, მსჯელობა, დასკვნის გაკეთება.

გაკვეთილის მსვლელობა: წინა გაკვეთლებიდან მიღებული ინფორმაციით მოსწავლეები ასახელებენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნოსებს, განიხილავენ წყაროებს №1-5 და ჩამოთვლილ ეროვნებებს განასხვავებენ ჩაცმულობის მიხედვით.

მოსწავლეები ეცნობიან წყარო №6-ს და მსჯელობენ, რა გავლენას ახდენს სარწმუნოება ტრადიციულ სამოსზე, ქცევის ნორმებზე.

წყარო №8-ის განხილვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, რამდენად ახდენს გავლენას ისტორიული წარსული ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. წყაროდან მოიყვანონ მაგალითები, რომლებიც მათ ვარაუდს განამტკიცებს.

მოსწავლეები განაგრძობენ მუშაობას წყარო №9-ზე, ასახელებენ მიზეზს, რატომ მიირთმევენ ჯავახეთში ძალიან ცხიმიან საკვებს; რა განაპირობებს ერბოს სისტემურ გამოყენებას კვების რაციონში.

გაკვეთილის ბოლოს აკეთებენ დასკვნას: კლიმატი, ისტორიული წარსული, სულიერი კულტურა მნიშვნელოვნად განაპირობებს ამა თუ იმ მხარის ტრადიციებს.

გაკვეთილი 18. მდებარეობა და ბუნება

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, წყაროებზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საქართველოს ფიზიკურ რუკაზე მონიშნონ კახეთი, დაასახელონ კახეთის მოსაზღვრე მხარეები, სახელმწიფოები.

მოსწავლეები რუკის გამოყენებით მსჯელობენ კახეთის რელიეფის მრავალგვარობაზე, ასახელებენ რელიეფის ფორმებს – ვაკე, ზეგანი, დაბლობი; რუკაზე მონიშნავენ კახეთის უმთავრეს მდინარეებს.

შემდეგ ეცნობიან ტექსტს; მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ადარებენ ტექსტში არსებულ მონაცემებს.

განიხილავენ წყაროებს (№3, №4) და ვენის დიაგრამის გამოყენებით ადარებნ ალაზნის ვაკეს და ივრის ზეგანს. მსჯელობენ, მეურნეობის რომელი დარგის განვითარებას შეუწყობდა ხელს ალაზნის ვაკის რბილი ჰავა.

გაკვეთილი 20. საინგილო

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, წყაროებზე მუშაობა, მსჯელობა, დასკვნის გაკეთება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინილექციით. მოსწავლეებს აცნობს, რომ საინგილო ისტორიული ქართული მიწის – ჰერეთის ნაწილია, რომელიც საუკუნეების მანძილზე კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ის ქვეყნის აღმოსავლეთ კარიბჭეს წარმოადგენდა. ამიტომაც ათასი ჯურის მომხვდური ცდილობდა მის დასაკუთრებას.

ოსმალთა ძლიერების პერიოდში მათგან წაქეზებული დაღესტნელები ჩრდილოეთიდან თავს ესხმოდნენ კახეთს. მათ ხელში ჩაიგდეს კახეთის სოფლების ნაწილი. ქართველი გლეხობა გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა: მათ იძულებით მიაღებინეს ისლამი. ამიერიდან ისინი ინგილოებად მოიხსენიებოდნენ. „ინგილო“ ახლად გამაჰმადიანებულს, სჯულშეცვლილს ნიშნავს.

ოსმალთა დასუსტების შემდეგ იმძლავრა ირანმა და 1735 წლიდან კახეთის ეს ნაწილი ირანის ხელში აღმოჩნდა.

შემდეგ მუშაობენ წყაროებზე და წყაროდან მიღებული ინფორმაციით ასახელებენ საინგილოში არსებულ მეურნეობის დარგებს.

წყარო №9-ის გაცნობის შემდეგ მსჯელობენ, რატომ არ ჰყავდათ ინგილოებს ღორები ან ღორის ხორცის მირთმევით რომელი სარწმუნოების ტრადიციას ემსახურებოდნენ ინგილოები.

გაკვეთილი 22. ვაზი

განსავითარებელი უნარები: ტექსტზე მუშაობა, აზრის გამოხატვა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს აზრობრივი რუკით (ასოციაციური კავშირების რუკა).

წრის ცენტრში წერს სიტყვას „ვაზი“ და სთხოვს მოსწავლეებს, მასთან დააკავშირონ ის ცნებები, რის ასოციაციას იწვევს ვაზი.



მოსწავლეები ეცნობიან წყაროებს. წყარო №4-ის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: თუ გსმენიათ, ძველად რაში წურავდნენ ყურძენს? სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ

აცნობთ, რომ ძველად ყურძენი იწურებოდა საწნახელში, რომელიც ცაცხვის ან წაბლის ხისგან ან ქვისგან კეთდებოდა. საწნახელში ყურძენს ფეხით წურავდნენ. მასწავლებელი განაგრძობს საუბარს. აღნიშნავს, რომ მევენახეობის მფარველ ღვთაებად ქართველების ხალხურ სარწმუნოებაში აგუნა იყო მიჩნეული. ღვინო ღვთის შესაწირი იყო. როდესაც მეზვრე ვენახს მოკრეფდა და დაწურავდა, ერთ ქვევრ ღვინოს ზედაშედ დათქვამდა რომელიმე წმინდანის სახელზე, უფრო ხშირად წმ.გიორგის სახელზე. საზედაშე ქვევრს კი საყდრის ეზოში ჩააგდებდნენ ან მარანში ჩაფლავდნენ ხოლმე.

საქართველოში იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა ვაზის კულტურას, რომ იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა მევენახეობა, მეღვინეობა.

ეცნობიან წყარო №7-ს. მოსწავლეები შეძლებისდაგვარად ასახელებენ ღვინის ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს (თუ სმენიათ!). მასწავლებელი ასახელებს: არასასურველი ფერის ღვინოს ფერნაცვალს უწოდებენ, უსიამოვნოდ დასალევ ღვინოს ძელგი ერქვა.

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ ვაზს ჩვენი წინაპრები გამოსახავდნენ ტაძრების კედლებზე. მაგალითისათვის – ვაზი ამოკვეთილია ანანურის ტაძრის კედელზე, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

გაკვეთილი 27. მდებარეობა და ბუნება

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ფოტომასალას და აღნიშნონ, როგორ გეოგრაფიულ გარემოს ასახავს მოცემული ფოტოწყაროები.

პარაგრაფის სათაურიდან გამომდინარე მოსწავლეები განსაზღვრავენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მდებარეობას, ასახელებენ მის მოსაზღვრე მხარეებს და მოსაზღვრე ქვეყანას. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს, ადგენენ ორსვეტიან ცხრილს. ერთ სვეტში განათავსებენ კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარე მხარეებს – ხევი, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი; მეორე სვეტში – სამხრეთ ფერდობზე მდებარე მხარეებს – მთიულეთ-გუდამაყარი, ერწო-თიანეთი, თუშეთი, პირაქეთა ხევსურეთი.

საქართველოს ფიზიკურ რუკაზე მონიშნავენ კავკასიონის მთავარ ქედს, ჯვრის უღელტეხილს და ასახელებენ ქვეყანას, რომელსაც საქართველო სამხედრო გზით უკავშირდება.

მოსწავლეები წყარო №3-ის გაცნობის შემდეგ რუკაზე მონიშნავენ დარიალის ხეობას, აკვირდებიან მის მდებარეობას და წყაროდან მიღებულ ინფორმაციას საკუთარი დაკვირვებით ადასტურებენ – კლდეებით შემოსაზღვრული ხეობა საქართველოსთვის შესანიშნავი ბუნებრივი დამცავი ზღუდე იყო.

განაგრძობენ წყაროზე და რუკაზე მუშაობას; მონიშნავენ აღ. საქართველოს უმაღლეს მწვერვალს – მყინვარწვერს, მყინვარებს – გერგეტი, დევდარაკი, აბანო, დენკარა.

მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები თუშეთიდან აბანოს უღელტეხილით „გადადიან“ კახეთში. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ აბანოს უღელტეხილი ყველაზე მაღლა მდებარე სამანქანო გადასასვლელია.

მოსწავლეები განიხილავენ წყარო №6-ს, რუკაზე ეძებენ ხევსურეთისა და ფშავის არაგვს, მონიშნავენ მათი შეერთების ადგილს.

გაკვეთილი 31. კულტურა

განსავითარებელი უნარები: დაკვირვება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ეცნობიან ფოტომასალას და აღნიშნავენ ამ არქიტექტურულ თავისებურებებს, რითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი გამოირჩევა საქართველოს სხვა მხარეებისაგან.

განიხილავენ წყარო №3–№4-ის ფოტოებს. მასწავლებელი სთხოვთ, გაიხსენონ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მდებარეობა და იმსჯელონ, რამ განაპირობა საცხოვრებლის ციხე-სახლად გადაქცევა, სალოცავის მიუვალ კლდეზე განთავსება. ყურადღება მახვილდება სამშენებლო მასალაზე.

შემდეგ კითხულობენ ტექსტს და ადარებენ ტექსტში არსებულ ინფორმაციას საკუთარ მოსაზრებებს.

მასწავლებელს შეუძლია მიაწოდოს კლასს მოკლე ცნობა: ძნელბედობის ხანაში სახელმწიფოს ყოველთვის უჭირდა გეოგრაფიულად ძნელად მისადგომი ადგილების კონტროლი. ამის მაგალითად შეიძლება მოიყვანოს ერთი ფაქტი, კერძოდ: მონღოლთა ბატონობის ხანაში, როცა ქვეყანაში უმძიმესი ვითარება იყო, აღმოსავლეთ საქართველოს მთამ არაკანონიერი, უკეთური ქმედებებით მიიქცია ქვეყნის მეთაურის გიორგი V ბრწყინვალეს ყურადღება. მათი თვითნებობის აღსაკვეთად მეფემ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის შეადგინა სპეციალური კანონთა კრებული „ძეგლისდება“.

ეცნობიან ლეგენდას გერგეტის სამების შესახებ. მასწავლებელი მიუთითებს, რომ იგი XIV ს-ის ძეგლია.

წყაროში მოიძიონ, რით არის გამორჩეული გერგეტის სამება ხევში არსებული ტაძრებისაგან. ავსებენ წყარო №7-ის ქვემოთ მოცმულ ცხრილს.

რაჭა-ლეჩხუმი

გაკვეთილი 36. მდებარეობა და ბუნება

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, დახარისხება.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეები საქართველოს ფიზიკურ რუკაზე მოძებნიან რაჭა-ლეჩხუმს, ასახელებენ მის მოსაზღვრე მხარეებს და ქვეყანას; რაჭა-ლეჩხუმის მდინარეებს, ქედებს, უღელტეხილებს და მოპოვებული ინფორმაცია შეაქვთ ცხრილში:

მოსაზღვრე მხარე	მოსაზღვრე ქვეყანა	მდინარე	ქედი	უღელტეხილი

წყარო №1-ის გაცნობის შემდეგ ასახელებენ რაჭა-ლეჩხუმის ტყეების სახეობას (წიწვოვანი, ფოთლოვანი).

წყარო №2-ზე დაკვირვებით ადარებენ მდინარე რიონის ზემო და ქვემო დინებას და ასახელებენ განსხვავების სავარაუდო მიზეზს.

რუკაზე მოძებნიან შაორის წყალსაცავს და წყარო №6-ის გამოყენების შემდეგ მსჯელობენ, დადებითთან ერთად, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს წყლსაცავის შექმნამ.

წყარო №7-ის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ რაჭა-ლეჩხუმის განვითარებისათვის, აქ მცხოვრები მოსახლეობის დასასაქმებლად რა სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებდნენ, რა რესურსებს გამოიყენებდნენ საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის.

მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები „მოგზაურობენ“ ქ.ქუთაისიდან სოფელ უწრაში საავტომობილო გზით, ჩამოთვლიან მგზავრობის სირთულეებს და ადარებენ ძველად არსებულ სიძნელეებს.

წყარო №6-ის საფუძველზე ავსებენ ცხრილს:

	ძველი მდებარეობა	ახალი მდებარეობა
კურორტთან მისასვლელი გზა		
აბანოს შენობა		
აბანოს შიდა სივრცე		
მჟავე წყალი		
სურსათი		

აქვე უნდა აღინიშნოს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ბუნებრივი რესურსის არაგონივრულ გამოყენებას (უცოდინარ გლეხებს მჟავეში უბრალო წყალიც შეურევიათ, რამაც მჟავე წყალს წინანდელი თვისება დაუკარგა).

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს რაჭა-ლეჩხუმის ძველ სახელწოდებას – მას თაკვერი ერქვა.

გაკვეთილი 39. ნადირობა

განსავითარებელი უნარები: აზრის გამოხატვა, მსჯელობა, მუშაობა.

გაკვეთილის მსვლელობა: გაკვეთილი იწყება ტექსტზე მუშაობით. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტსა და წყარო №5-ს, მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე ადარებენ სამონადირეო წესებს ძველად და ახლა. გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას ნადირობის წესთან დაკავშირებით.

წყარო №2-3-ის გაცნობის შემდეგ ასახელებენ რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებულ გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს. მასწავლებელი სთხოვთ, თუ სურვილი აქვთ, მოიძიონ მათგან რომელია შესული „წითელ წიგნში“.

ფრანსუა გამბას მონათხრობის მიხედვით მასწავლებლის დახმარებით მსჯელობენ რაჭის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მოსწავლეები ადარებენ ნადირობის დანიშნულებას ძველად და ახლა. სასურველია, გამოიყენონ ვენის დიაგრამა.

აფხაზეთი

გაკვეთილი 46. დასახლება და მოსახლეობა

განსავითარებელი უნარები: ტექსტსა და წყაროებზე მუშაობა, აზრის გამოხატვა, ცხრილებზე მუშაობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მინილექციას იწყებს ძველი ბერძნული კოლონიზაციის მოკლე მიმოხილვით. მოსწავლეებს უსახელებს ბერძნების მიერ დაარსებულ სავაჭრო დანიშნულების დასახლებებს: დიოსკურია (სოხუმის მახლობლად), პიტიუნტი (ბიჭვინთა), გიენოსი (ოჩამჩირე).

თუ რამ გამოიწვია აფხაზეთში ეთნიკური სიჭრელე, ამის ასახსნელად მასწავლებელი კვლავ განაგრძობს საუბარს: აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ (1864 წ.) გახშირდა აფხაზი ხალხის ბრძოლა რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყებების ჩახშობის შემდეგ დაიწყო აფხაზების იძულებითი მიგრაცია ოსმალეთში. სამშობლოდან განდევნილებს მუჰაჯირებს უწოდებდნენ („მუჰაჯირი“ არაბულად „გადასახლებულს“ ნიშნავს). აფხაზთაგან დაცლილ სოფლებში კი რუსულმა ხელისუფლებამ ჩაასახლა ბერძნები, სომხები, რუსები, რათა თავისი ეროვნული დასაყრდენი ჰყოლოდა.

მოსწავლეები რუკაზე მონიშნავენ ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარე ქალაქებს. ეცნობიან ტექსტს და ასახელებენ ძველად აფხაზეთში გავრცელებულ საცხოვრებლის ტიპებს: ფაცხა, ოდა-სახლი (აკუასკა).

განიხილავენ წყარო №5-ს და ასახელებენ სავაჭრო საქონელს, რომელიც აფხაზეთიდან გაჰქონდათ (თაფლი, ცვილი, შალი; მონებიც გაჰყავდათ).

მოსწავლეები ეცნობიან „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ თედო სახოკიას წერილს და გამოთქვამენ აზრს, რამ მიიზიდა სხვადასხვა ეროვნების ხალხი აფხაზეთში.

ამავე თედო სახოკიას მონაცემების მიხედვით ასახელებენ აფხაზეთში მცხოვრებ ეთნოსებს, მათ წილს აფხაზეთის მოსახლეობაში და ავსებენ ცხრილს.

გაკვეთილი 47. ხიდს გაღმა

განსაკუთრებული უნარები: მსჯელობა, დასკვნის უნარი.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი საქართველოს ფიზიკური რუკაზე მოხაზავს აფხაზეთს და შემდეგ იგივე ტერიტორიას მიუთითებს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რუკაზე. მოსწავლეები ხედავენ, რომ ეს ისტორიულად საქართველოს მიწა-წყალია და მისი დედასამშობლოდან მოწყვეტა დანაშაულია.

შემდეგ ეცნობიან ტექსტსა და წყაროებს, გაიაზრებენ დევნილთა მდგომარეობას და მსჯელობენ ტრაგედიაზე, რაც აფხაზეთის ომმა მოუტანა ჩვენს ქვეყანას. გამოთქვამენ მოსაზრებას, როგორ შეიძლება გამოსწორდეს კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზიანი, რა გზით შეიძლება დავიბრუნოთ აფხაზეთი.

გაკვეთილი 48. მეურნეობა

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეები მსჯელობენ, ზღვასთან სიხლოვე როგორი ჰავის ტიპის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. შემდეგ დაასახელებენ იმ აგროკულტურებს, რომლებიც ნოტიო ჰავის პირობებში კარგად ხარობენ. მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს ადარებენ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას.

ტექსტიდან მოიძიებენ ინფორმაციას, რა უშლის ხელს მესაქონელობისა და მიწათმოქმედების განვითარებას. რუკის გამოყენებით ამოიწერენ რვეულში აფხაზეთში არსებულ ბუნებრივ რესურსებს და აფასებენ მათ როლს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

თბილისი – საქართველოს დედაქალაქი

გაკვეთილი 57. მრავალეროვანი ქალაქი

განსავითარებელი უნარები: ტექსტსა და წყაროებზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება, დახარისხება, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები მუშაობენ ტექსტზე. ტექსტიდან ამოიწერენ თბილისში მცხოვრებ ეთნოსებს. აგრძელებენ წყაროზე მუშაობას (წყაროები №№ 1,2,3,4,5), მიუთითებენ რელიგიურ სიჭრელეზე; თითოეულ ეროვნებას შეუსაბამებენ რელიგიურ კუთვნილებას, მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებით მოსწავლეები ავსებენ ცხრილს:

ეროვნება	რელიგია	საკულტო ნაგებობა

შემდეგ დროის ხაზზე დაიტანენ თბილისში არსებული ტაძრების აგების დროს, გამოარჩევენ ყველაზე ძველ და ყველაზე ახალ ნაგებობას.

ფოტომასალის გამოყენებით მოსწავლეები არქიტექტურული თვალსაზრისით ადარებენ საკულტო ნაგებობებს.

განიხილავენ წყარო № 7-ს, ასახელებენ პროდუქტებს, რითაც ვაჭობდნენ ძველ თბილისში და მსჯელობენ, რამდენად იყო განვითარებული ვაჭრობა, რატომ თვლის მორიც ვაგნერი ბაზრის მოედანს თბილისის ყველაზე ღირსშესანიშნავ ადგილად. წყარო № 8-ის განხილვის შემდეგ მსჯელობენ წყაროს ქვემოთ მოთავსებული კითხვის ირგვლივ.

მასწავლებელი სთხოვთ, დაასახელონ ბარბარიზმები (თუ იყენებენ თვითონ ან მათი ოჯახის წევრები).

მასწავლებელმა შეიძლება მიუთითოს, რომ ებრაელთა რელიგია იუდაიზმია, რომლის მთავარი პრინციპია იაჰვეს რწმენა, ებრაელები საქართველოში ძვ.წ. VI ს-დან ცხოვრობდნენ (აქვე შეიძლება დავუსვათ კითხვა: რამდენი საუკუნის წინ მოსულან ებრაელები საქართველოში?).

„ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილი ებრაელების ნაწილი ქართლში შემოვიდა. მათ მცხეთის მამასახლისს თავშესაფარი სთხოვეს. მამასახლისის ნებართვით ებრაელები მცხეთის მიდამოებში დასახლდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ებრაელთა ნაწილი მესხეთში, იმერეთში, გურიასა და კახეთშიც დასახლდა. ებრაელები საქართველოს თავიანთ მეორე სამშობლოდ მიიჩნევენ.

ლუთერანობა პროტესტანტიზმის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც XVI ს-ში გამოეყო კათოლიციზმს.

თავისი სარწმუნოების საფუძვლად ლუთერანობამ მხოლოდ „ბიბლია" გამოაცხადა.

ლუთერანობამ უარი თქვა სამღვდელოებაზე, როგორც შუამავალზე ღმერთსა და ადამიანებს შორის. წინა პლანზე ადამიანთა პირადი რწმენა წამოსწია. 7 ქრისტიანული საიდუმლოებიდან უარყვეს 5 (მირონცხება, სინანული, მღვდლობა, ქორწინება და ზეთის კურთხევა) და დატოვეს 2 (ნათლისღება და ზიარება).

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აღნიშნავს, რომ მიუხედავად მრავალეროვნებისა და რელიგიური სიჭრელისა, თბილისი ერთ-ერთ მშვიდ და ტრადიციულ ქალაქად ითვლება!

გაკვეთილი 58. თბილისური ეზოები და სახლები

განსავითარებელი უნარები: დაკვირვება, მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოხატვა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მინილექციით მოსწავლეებს ესაუბრება ქართულ ტრადიციულ საცხოვრებელზე – დარბაზზე და სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ საქართველოს რომელ მხარეში შეხვდათ დარბაზული სახლები.

შემდეგ განიხილავენ წყარო № 6-ს და ადარებენ მათთვის ცნობილ დარბაზულ ნაგებობებს.

მოსწავლეები იწყებენ ტექსტზე მუშაობას. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ტექსტის იმ ნაწილზე, სადაც საუბარია ევროპულ სიახლეებზე. მიუთითოს, რა ცვლილებებს განიცდის ქვეყანა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობით, რომ ეს ცვლილებები შეინიშნება არქიტექტურაში, ჩაცმულობაში და ა.შ. ტექსტის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ თბილისური ეზოების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ფოტომასალაზე დაკვირვებით ძველთბილისურ საცხოვრებელს ადარებენ თანამედროვეს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ, როგორ შევუნარჩუნოთ თბილისს ძველებური ხიბლი ისე, რომ გავითვალისწინოთ დროის მოთხოვნებიც.

სასურველია გაკვეთილი ჩატარდეს ძველი თბილისის რომელიმე უბანში, სადაც კარგად ჩანს ყველა ნიშანი, რითაც თანამედროვესაგან გამოირჩევა.

საქართველო – ჩვენი სახელმწიფო

გაკვეთილი 67. ფარნავაზი

განსავითარებელი უნარები: ინფორმაციის მოპოვება, სქემის შედგენა, მსჯელობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით. მოსწავლეებს ეკითხება – რას უკავშირდება სახელი ფარნავაზი.

მოსმენილი პასუხების შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილის ტექსტს. ტექსტიდან ამოიწერენ დასახელებულ ისტორიულ პიროვნებებს და დააჯგუფებენ მოკავშირე და მოწინააღმდეგე ბანაკის წევრებად.

ეცნობიან წყარო № 3-ს, სადაც მოცემულია ფარნავაზის პერიოდის ქართლის სამეფო, წყაროში მოპოვებული მასალის გამოყენებით ადგენენ სქემას – ქართლის (იბერიის) სახელმწიფო მმართველობა.



შემდეგ ადგენენ საქართველოს ჯარის სქემას:



შემდეგ ეცნობიან საქართველოს კონსტიტუციის მუხლებს და მსჯელობენ, არის თუ არა ყოველი მოქალაქის მოვალეობა საქართველოს დაცვა.

გაკვეთილი 68. მწიგნობრობა ქართული (სახელმწიფო)

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მინილექციით – მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ანბანური დამწერლობის შესახებ: ანბანური დამწერლობის შექმნა ფინიკიელების დამსახურებაა. შემდეგ სხვადასხვა ხალხებმაც შეითვისეს და შექმნეს საკუთარი ანბანური დამწერლობა. დღეს მსოფლიოში 14 ანბანია, მათ რიცხვშია ქართული ანბანიც. 14 ანბანს იყენებს მსოფლიოში უამრავ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ქართული ანბანით კი მხოლოდ ქართველები ვსარგებლობთ. სხვა თავისებურებებთან ერთად ქართული ანბანი ერთი განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩევა – თითოეულ ფონემას შესაბამისი გრაფო აქვს ანუ თითოეულ ბგერას შესაბამისი მოხაზულობა აქვს.

ქართული ანბანის შექმნა მეფე ფარნავაზს მიეწერება, თუმცა მას პირვანდელი სახით არ მოუღწევია.

შემდეგ მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და მუშაოებნ წყაროებზე:

I ჯგუფი განიხილავს წყარო №1-ს

II ჯგუფი – წყარო №2-ს

II ჯგუფი – წყარო №3-ს

წყაროების გაცნობისა და ვიზუალზე დაკვირვების შემდეგ აკეთებენ სქემას:



ადარებენ ანბანის სამივე სახეს.

აგრძელებენ წყაროებზე მუშაობას, აფასებენ ვახტანგ VI-ის ღვაწლს ქართული მწიგნობრობის საქმეში.

გაკვეთილი 69. სახელმწიფო საზღვარი

განსავითარებელი უნარები: რუკაზე მუშაობა, მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოხატვა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ტერიტორია. ეს ტერიტორია მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიისაგან გამიჯნულია საზღვრით. საზღვრი კი ბუნებრივმა პირობებმაც შეიძლება შექმნას.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ საქართველოს ფიზიკურ რუკას და იმსჯელონ, ბუნებრივი ზღუდეებით საქართველო რომელი მხრიდან იქნებოდა დაცული; რომელი მხრიდან გაუადვილდებოდა მტერს საქართველოში შემოჭრა. მოსწავლეები ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს.

მოსწავლეები მუშაობენ წყაროებზე, რუკაზე მონიშნავენ წყაროებში მოცემულ გეოგრაფიულ ობიექტებს და მიუთითებენ მათ მდებარეობას ჰორიზონტის მხარეების მიხედვით.

მოსწავლეები უპასუხებენ კითხვას: რომელი მხრიდან არის უცვლელი საქართველოს საზღვარი?

წყარო № 8-ის გაცნობის შემდეგ უპასუხებენ წყაროს ქვემოთ არსებულ კითხვებს.

გაკვეთილი 70. დედაქალაქი

განსავითარებელი უნარები: ტექსტზე მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს. მათთვის ნაცნობ ინფორმაციას აღნიშნავენ ნიშნით „✓“, ხოლო რაც მათთვის სიახლეა „+“ ნიშნით. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციით ჩამოწერენ დაფაზე სხვა მიზეზებთან ერთად რა გეოგრაფიულმა ფაქტორებმა გამოიწვია თბილისის დაწინაურება (1. სავაჭრო გზებთან ახლოს მდებარეობა და მათი კონტროლი; 2. კარგი ბუნებრივი პირობები და სხვ.).

შემდეგ მასწავლებელი მინილექციით მოსწავლეებს ესაუბრება, რატომ ჰქონდა თბილისს დაკარგული დედაქალაქის ფუნქცია საუკუნების განმავლობაში (ჯერ არაბების ხელში იყო, შემდეგ თურქ-სელჩუქებმა შეუზღუდეს ლიხს აქეთ საქართველოს მეფის ხელისუფლება). მხოლოდ XII ს-ის I ნახ-სი თბილისს დავით IV-მ დაუბრუნა ძველი ფუნქცია — თბილისი ამ დროიდან დღემდე საქართველოს დედაქალაქია.

მოსწავლეები აკვირდებიან ფოტოწყაროებს და ეცნობიან თითოეული ნაგებობის დანიშნულებას. დაფაზე ხაზავენ ცხრილს, სადაც მიუთითებენ (ჩაწერენ) საქართველოს ხელისუფლების ცალკეული ორგანოს დანიშნულებას.

პარლამენტი	პრეზიდენტი	პრემიერ-მინისტრი	მინისტრები

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ქალაქის თვითმმართველობაზე და მოსწავლეებთან ერთად აკეთებს სქემას.

გაკვეთილი 71. სახელმწიფოს სიმბოლოები

განსავითარებელი უნარები: მსჯელობა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადმოცემა, ვიზუალურად მოცემული მასალის გამოყენება.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს „სიმბოლოს" მნიშვნელობას: „სიმბოლო" ძველ საბერძნეთში ეწოდებოდა დანაწევრებული ფირფიტის იმ ნატეხებს, რომელთა შეერთებითაც ერთმანეთი უნდა ამოეცნოთ ქონების მემკვიდრეებს ან ფარულ თანამოაზრეებს. ასე რომ, სიმბოლოს უნარია ყველასთვის გასაგებ ენაზე მოკლედ გამოხატოს აზრი. დროშა, გერბი და ჰიმნი სახელმწიფოს სიმბოლიკაა.

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და იწყებენ ტექსტზე მუშაობას:

I ჯგუფი ტექსტიდან მოიძიებს ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ

II ჯგუფი – სახელმწიფო გერბის შესახებ

III ჯგუფი – საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

თითოეული ჯგუფი მსჯელობს სიმბოლოების მნიშვნელობაზე (უძებნიან ახსნას) და საკუთარ ნააზრევს გააცნობს კლასს.

განიხილავენ წყარო №4 და 5-ს და უპასუხებენ წყაროს ქვემოთ მოთავსებულ კითხვებს.

გაკვეთილი 72. საქართველოს კონსტიტუცია

განსავითარებელი უნარები: წყაროებზე მუშაობა, მსჯელობა, აზრის გამოხატვა, სქემის შედგენა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით. დაფაზე წრეში წერს სიტყვას:

და მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან მოსაზრება ამ სიტყვის ირგვლივ. მასწავლებელი დაფაზე ინიშნავს. მოსწავლეები ტექსტში მოძებნიან კონსტიტუციის განმარტებას და ადარებენ თავიანთ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

მასწავლებელი განუმარტავთ, რომ სახელმწიფოს თავისი ფუნქციის შესასრულებლად სხვადასხვა ორგანო სჭირდება, კერძოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო.

მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლები სქემატურად გამოსახავენ ხელისუფლების დანაწილებას:



მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენი აზრით, რატომ არის საჭირო ხელისუფლების დანაწილება?

მოსმენილი პასუხების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე განათავსებს ცხრილს, რომელსაც ბოლოში ახლავს სიტყვები: პრეზიდენტი, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი.

საკანონმდებლო ხელისუფლება	აღმასრულებელი ხელისუფლება	სასამართლო ხელისუფლება

მოსწავლეები ცხრილის შესაბამის უჯრაში წერენ ჩამოთვლილ ცნებებს (მათ ეს უკვე იციან გაკვეთილი 55-დან პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის მოვალეობებზე).

შემდეგ მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს მეფე გიორგი V-ს მეფობის პერიოდს. განიხილავენ ჟამთააღმწერლის ცნობას და მსჯელობენ, რამდენად შეესაბამება სასჯელის ზომა ჩადენილ დანაშაულს.

ეცნობიან წყაროს საგზაო მოძრაობის შესახებ და უპასუხებენ წყაროს ქვემოთ არსებულ კითხვებს.

გაკვეთილი 73. არჩევნები და ჩემი უფლებები

განსავითარებელი უნარები: შემოქმედობითობის განვითარება, ინფორმაციის გაცვლა, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეძენა, ქცევის წესების გამომუშავება.

გაკვეთილის მსვლელობა: გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელი სვამს კითხვას: ვინ არის საქართველოში პირველი პირი? პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი კვლავ ეკითხება მოსწავლეებს: როგორ მოხვდა პრეზიდენტი ამ თანამდებობაზე – მამამისიდან გადაეცა მემკვიდრეობით თუ არჩევნების გზით?

პასუხების მოსმენის შემდეგ მოსწავლეები ვენის დიაგრამის გამოყენებით ადარებენ პრეზიდენტს და მეფეს:

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება არჩევნების შესახებ: არჩევნები უშუალო დემოკრატიის ფორმაა. არჩევნებით მოქალაქეები ქმნიან სახელმწიფო ხელისუფლებას. არჩევნებს ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მის დაქვემდებარებაში მყოფი საოლქო-საარჩევნო კომისიები.

არჩევნები საყოველთაოა, თანასწორია, პირდაპირი (ხელისუფლებას პირდაპირ ირჩევენ) და ხორციელდება ფარული კენჭისყრით.

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ხმის მიცემისათვის საჭირო პროცედურების თანამიმდევრობას. იყენებს აქტივობის ერთ-ერთ მეთოდს – როლურ თამაშს. უნდა აირჩიონ კლასის პრეზიდენტი. შემდეგი გაკვეთილისათვის ამზადებენ სარჩევნო ბიულეტენებს, ამომრჩეველთა სიას, ყუთს, საარჩევნო პლაკატებს (ამისათვის კლასი იყოფა ჯგუფებად).

თამაშის დასრულების შემდეგ მონაწილეები ასახელებენ, რა ისწავლეს აღნიშნული თამაშის საშუალებით.

გაკვეთილი 74. მოქალაქე და მოქალაქეობა

განსავითარებელი უნარები: დაკვირვება, ინფორმაციის მოპოვება, სქემაზე მუშაობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს საქართველოს ორგანულ კანონს მოქალაქეობის შესახებ: „მოქალაქეობა არის ადამიანისა და სახელმწიფოს სამართლებრივი კავშირი, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ერთმანეთის წინაშე".

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებითა და საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე მსჯელობენ მოქალაქის უფლება-მოვალეობებზე; აღნიშნავენ, რა შეიძლება ჩაითვალოს მოქალაქის შეუფერებელ საქციელად.

სქემის საშუალებით გამოსახავენ მოქალაქის უფლება-მოვალეობებს:



განიხილავენ გაკვეთილში მოცემულ წყაროებს, აღნიშნავენ პირადობის მოწმობასა და აიდ-ბარათს შორის მსგავსება-განსხვავებას.

შემდეგ განაგრძობენ წყაროებზე მუშაობას და უპასუხებენ ტექსტის ბოლოს არსებულ კითხვებს.

გაკვეთილი 75. ემიგრანტები

განსავითარებელი უნარები:

გაკვეთილის მსვლელობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით. დაფაზე წერს სიტყვას „მიგრაცია" და მოსწავლეებს სთხოვს, საკუთარი მოსაზრება გამოხატონ მიგრაციის შესახებ.

მოსმენილი პასუხების შემდეგ მოსწავლეები ტექსტში მოძებნიან მიგრაციის განმარტებას და ადარებენ საკუთარ მოსაზრებებს.

მასწავლებელი განუმარტავთ, რომ ემიგრაცია მიგრაციის ერთ-ერთი ფორმაა. ემიგრაცია მოსახლეობის სხვა ქვეყანაში გადაადგილებაა, სამშობლოდან მოწყვეტაა, რომელსაც პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მიზეზები განაპირობებს.

კლასი იყოფა ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი განიხილავს ემიგრაციის თითო მაგალითს ტექსტიდან და აღნიშნავენ თითოეულ შემთხვევაში ემიგრაციის გამომწვევ მიზეზს.

შემდეგ ეცნობიან ფოტომასალას. წყარო №7-ის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან სკუთარი მოსაზრება კოკი დადიანის საფლავის ქვაზე არსებულ წარწერაზე.

იძულებითი ემიგრაციის ნიმუშად შეიძლება ვაჩვენოთ რეპროდუქცია სახელწოდებით „სამშობლოდან მოწყვეტა". ასევე ნაწყვეტები მხატვრული ფილმიდან „გიორგი სააკაძე", „მამლუქი".

3.2. მეთოდური მითითებანი შემაჯამებელი გაკვეთილებისთვის

გაკვეთილი 8. შემაჯამებელი გაკვეთილი (გურია)

სტანდარტის შედეგი: (II).10; (II).1; (II).3.

მიზანი: განვლილი მასალისა და დამატებითი ინფორმაციის მოძიებით გურიის, როგორც სპორტული ცხოვრებით გამორჩეული კუთხის, უკეთ შესწავლა.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეს ინტერესი უჩნდება გურიაში არსებული სპორტული თამაშობების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. შესრულებული დავალებები მოსწავლეებში აყალიბებს მიღებული ცოდნის ადრე შესწავლილ მასალასთან დაკავშირების უნარს. აგრეთვე, ახალისებს დამოუკიდებელ აზროვნებას, კანონზომიერების დანახვასა და შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა (შენიშვნა: I–III ეტაპებისთვის მომზადება ხდება წინასწარ. უშუალოდ გაკვეთილის დროს კი ხდება შეგროვებული ინფორმაციის პრეზენტაცია).	5
I ეტაპი. ინფორმაციის შეგროვება და გაერთიანება	10
II ეტაპი. წარმატებული გურულები.	10
III ეტაპი. არსებული მდგომარეობა.	10
IV ეტაპი. საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.	10

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: ინტერნეტი, მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

გაკვეთილი 16-17. შემაჯამებელი გაკვეთილი (სამცხე-ჯავახეთი)

სტანდარტის შედეგი: (II).3; (II).12; (II).13.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლე ამჟღავნებს ინფორმაციის მოძიებისა და ამოცანის შესაბამისად, საჭირო ცნობების შერჩევის უნარს, მუშაობს წყაროებზე, გამოხატავს საკუთარ აზრს და ადარებს მათ სხვა მოსაზრებებთან, ახდენს მიღებული შედეგების ილუსტრირებას და აკეთებს დასკვნებს.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი	20
II ეტაპი	15
III ეტაპი	5

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ჯგუფებად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, ალბომი, ფურცლები, საწერი საშუალებები.

.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

გაკვეთილი 26. შემაჯამებელი გაკვეთილი (კახეთი)

სტანდარტის შედეგი: (II).3; (II).4; (II).6; (II).7.

მიზანი: გაკვეთილებიდან მიღებული ცოდნისა და რუკის საფუძველზე მოამზადონ მასალა კახეთის ბუნებრივი მრავალფეროვნების გამომწვევი მიზეზებისა და მეურნეობის დარგების შესახებ. მოაწყონ სიმულაციური მოგზაურობა შედგენილი საექსკურსიო მარშრუტის მიხედვით კახეთის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეს შეუძლია რუკის კითხვა და გამოყენება, ახასიათებს მხარეს ბუნებრივი რესურსების მიხედვით და მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
ინსტრუქცია დავალების შესრულების შესახებ	5
I ჯგუფი – მოამზადებს მასალას კახეთის ბუნების მრავალფეროვნებაზე და გააცნობს კლასს	10
II ჯგუფი – მოამზადებს მასალას: ალაზნის ველი – კახეთის მეურნეობის დოვლათიანობის საფუძველი, წარდგენა კლასის წინაშე	10
III ჯგუფი – ნავთობის წარმოება კახეთში: მასალის მომზადება და პრეზენტაცია	10
IV ჯგუფი – საექსკურსიო მარშრუტის შედგენა კახეთის ღირსშესანიშნაობების გასაცნობად – მასალის მომზადება	10

ორგანიზაციული ფორმა: ჯგუფებში მუშაობა.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, საქართველოს ფიზიკური რუკა.

შეფასება	
	ქულები
I დონე – სუსტად ორგანიზებულია, არ შეუძლია კრიტიკული აზროვნება, დასკვნის გაკეთება	1-4
II დონე – მხოლოდ ზედაპირულად პასუხობს არსებულ საკითხებს, არ ავლენს მასალის ღრმა ცოდნას	5-7
II დონე – ორგანიზებულია, ავლენს განვლილი მასალის ცოდნას, შეუძლია მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, მეტყველებს ნათლად და მკაფიოდ, იყენებს შესაბამის ტერმ ინოლოგიას	8-10

გაკვეთილი 34-35. შემაჯამებელი გაკვეთილი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი)

სტანდარტის შედეგი: (II).3; (II).6; (II).7.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	10
I ეტაპი. სამეწარმეო საქმიანობის იდეის ჩამოყალიბება	5
II ეტაპი. სამეწარმეო საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი	15
III ეტაპი. სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვა	5
IV ეტაპი. სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია	10

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, რუკა, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი რესურსების ცხრილი (სარეკომენდაციო)

სამშენებლო ქვები	მინერალური წყაროები	ბუნების ღირსშესანიშნაობები	კულტურის ძეგლები
▪ არშის ანდეზიტი ▪ სტეფანწმინდის ანდეზიტი ▪ სტეფანწმინდის მთის ბროლი	▪ ქეთერისის წყარო	▪ აბანოს ტბა ▪ თრუსის ტრავერტინი ▪ როშკის ლოდები ▪ სახიზარის კლდე ▪ ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინი	▪ ანანურის ციხე ▪ ანატორიის ჯვარი ▪ არშის ციხე ▪ ბეთლემის გამოქვაბული ▪ გერგეტის სამება ▪ გუდანის ჯვარი ▪ დართლოს ციხე-კოშკები ▪ დიკლო – ციხე-სოფელი ▪ კესელოს ციხე ▪ მუცოს ციხე-სოფელი ▪ შატილის ციხე-სოფელი ▪ შენაქოს ეკლესია ▪ და სხვა

გაკვეთილი 43-44. შემაჯამებელი გაკვეთილი (რაჭა-ლეჩხუმი)

სტანდარტის შედეგი: (II).3; (II).6; (II).14; (II)15.

მიზანი: რაჭა-ლეჩხუმის მიმართ დამატებითი ინტერესის გამოვლენა.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეებს უმუშავდებათ საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და სისტემატიზაციის უნარი. ეჩვევიან კლასის წინაშე თემის პრეზენტაციასა და საკუთარი აზრის გამოთქმას.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი. საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა (დავალება სრულდება წინასწარ, შესაძლებელია მასწავლებელთან კონსულტაცია).	
II ეტაპი. პრეზენტაცია	25
III ეტაპი. დისკურსია	15

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: კომპიუტერი, ინტერნეტი, მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

გაკვეთილი 52-53. შემაჯამებელი გაკვეთილი (აფხაზეთი)

სტანდარტის შედეგი: (2).9; (II).12; (II).14.

მიზანი: განვლილი მასალის შეჯამების საფუძველზე აფხაზეთის მოსახლეობასთან დაახლოების გზების შეფასება.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლე დამატებით ინფორმაციას იღებს აფხაზებისა და დანარჩენი ქართველი ხალხის კონფლიქტის შესახებ, დამოუკიდებლად ეცნობა საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და აკეთებს დასკვნას კონფლიქტის მოსაგვარებლად სახალხო დიპლომატიის როლის შესახებ.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი. მხატვრული ფილმის კონკრეტული მონაკვეთის გაანალიზება	15
II ეტაპი. არსებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია	10
III ეტაპი. თემის შეჯამება	15

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები, კომპიუტერი, ინტერნეტი.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

გაკვეთილი 52-53. შემაჯამებელი გაკვეთილი (თბილისი)

სტანდარტის შედეგი: (II).8; (II).12, (II).15.

მიზანი: მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაცნობიერება.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლე ამჟღავნებს ინფორმაციის მოძიებისა და ამოცანის შესაბამისად, საჭირო ცნობების შერჩევის უნარს, მუშაობს წყაროებზე, მსჯელობს და გამოხატავს საკუთარ აზრს, ადარებს მათ სხვა მოსაზრებებთან, ახდენს მიღებული შედეგების ილუსტრირებას და აკეთებს დასკვნებს, შეუძლია ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
გაკვეთილის მიზნის ახსნა და ინსტრუქციები როგორ შეასრულონ მოსწავლეებმა აქტივობა	5
I ეტაპი. წყაროს გაცნობა და მის ირგვლივ მსჯელობა	15
II ეტაპი. სასამართლოს ჩატარებისათვის ფუნქციების განაწილება და თითოეულის უფლება-მოვალეობების გაცნობიერება	25
III ეტაპი. სიმულაციური სასამართლოს ჩატარება	35
IV ეტაპი. დისკუსია და მოსაზრებების გამოთქმა	10

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

სასურველია აგრეთვე: სამოსი მოსამართლისათვის), თემიდას გამოსახულება (თუნდაც ქაღა;ლდზე გამობეჭდილი და კედელზე გაკრული), ქვიშის საათი, სასამართლოს ატრიბუტიკა – მოსამართლის ჩაქუჩი.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

გაკვეთილი 76-77. შემაჯამებელი გაკვეთილი (სახელმწიფო – ჩვენი საქართველო)

არჩევნების სიმულაცია უნდა ჩატარდეს 2 ნაწილად ანუ უნდა გაიწეროს 2 გაკვეთილად. პირველ დღეს მოხდება მხოლოდ საარჩევნო დებულებების შემუშავება, ხოლო II დღეს – ყველა დანარჩენი.

დროის განაწილება	
გაკვეთილის მსვლელობის ეტაპები	დრო (წუთები)
ჯგუფების მიერ წინადადებების მომზადება	15
სარედაქციო კომისიის შექმნა	5
დებულების დამუშავება სარედაქციო კომისიის მიერ	15
დებულების საბოლოო რედაქციის განხილვა	5
დებულების მიღება	5
საარჩევნო ოთახის მომზადება	10
არჩევნების ჩატარება	20
არჩევნების შედეგების დათვლა და გამოცხადება	10
საჩივრების განხილვა	5

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ გამოავლინა ინტერესი და აქტიურად ჩაერთი მასში	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	8-10

გაკვეთილი 78-80. პროექტი: სასკოლო მუზეუმი

სტანდარტის შედეგი: (II).2; (II).5; (II).12; (II).13; (II).14, (II).15.

მიზანი: საკუთარი მხარის ბუნებისა და ისტორიის უკეთ გაცნობა.

მოსალოდნელი შედეგები: მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერება, ეთნიკური და კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება, ბუნებრივი და ისტორიული გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა, სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების ფუნქციების გაცნობიერება.

ორგანიზაციული ფორმა: მთელი კლასი, ინდივიდუალურად, ჯგუფებად.

რესურსები: სამუზეუმო ექსპონატები, სტენდები და ვიტრინები, მოსწავლის წიგნი, დაფა, ფურცლები, საწერი საშუალებები.

შეფასება	
	ქულები
მოსწავლემ შეძლო ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება და ფლობს მათ	5-7
მოსწავლე სწვდება მასალის ძირითად არსს	6-8
მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და აკეთებს შედარებებს	7-8
მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა და გამოხატავს საკუთარ აზრს	9-10

ნაწილი IV. ექსკურსიების დაგეგმვა და განხორციელება

4.1 მეთოდური მითითებანი

სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორად დაგეგმილ ექსკურსიებს.

ექსკურსიის მიზანია გართობისა და დასვენების გზით მოსწავლეებმა განიმტკიცონ მათთვის უკვე ცნობილი ინფორმაცია და ამავე დროს მიიღონ ახალი ცოდნა, განივითარონ გარკვეული უნარ-ჩვევები და გამოიმუშავონ გარემოსადმი სწორი დამოკიდებულება. ყველაფერი ეს ხდება მოსწავლეთათვის გაუცნობიერებლად, ბუნებრივად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია წინასწარ მოემზადოს ექსკურსიისათვის და დაგეგმოს იგი როგორც გაკვეთილი. მას შეუძლია მხოლოდ თვითონ გასწიოს ექსკურსიამძღოლობა, ან ამისათვის გამოიყენოს სხვა ადამიანური რესურსები (ექსკურსიაზე თან წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ან ისარგებლოს მუზეუმებსა და სხვა ადგილებში მყოფი გიდების მომსახურებით). თუმცა ყველა შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა შეითავსოს ექსკურიამძღოლის ფუნქცია, რომელიც ასწავლის და გადასცემს ცოდნას გარკვეულ კონკრეტულ თემაზე და ცდილობს განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რაც ეხმარება მას სწავლების მისაღწევი შედეგების მიღწევაში.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ექსკურსიები კომპლექსური ხასიათისაა და ატარებს **მხარეთმცოდნეობით ხასიათს**. ამასთან არსებული ცოდნის განმტკიცებისა და ახალი ცოდნის მიწოდების გარდა, თითოეული ექსკურსია ემსახურება გარკვეულ აქტივობებს და ამის საფუძველზე იგი ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის კონკრეტული შედეგების მიღწევას. მაგალითად, მოსწავლეები ეცნობიან და აკვირდებიან ადგილზე გაგნების ხერხებს, სწავლობენ ადგილის გეგმების შედგენას, უკვე არსებულ რუკაზე დააქვთ მათ მიერ ადგილზე ნანახი ობიექტები.

გარდა ამისა, თითოეული ექსკურსია ითვალისწინებს **3 ეტაპს**:

1. წინასწარ მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც გათვლილია მასწავლებლისა და მოსწავლეების წინასწარ მომზადებაზე. მასწავლებელი წინასწარ ეცნობა საექსკურსიო მარშრუტს და შეისწავლის მას. ამ მარშრუტს აცნობს მოსწავლეებს რუკაზე ჩვენებით და მოუწოდებს მათ მოიძიონ ინფორმაციები მარშრუტის გასწვრივ მდებარე ობიექტების შესახებ, ნახონ ვიდეოები და ფილმები მარშრუტის გასწვრივ მდებარე ობიექტების შესახებ. სასურველია ექსკურსიის დაგეგმვაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მშობლებიც. (მარშრუტის შერჩევა, შესაძლო ხარჯების დადგენა, დროის დაგეგმვა, საკვების შერჩევა და სხვ.).
   ამ ეტაპზე მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ექსკურსიის მიზანს; საბოლოოდ დადგენილ მარშრუტს; იმ აქტივობებს, რომელიც ჩატარდება; მასალები, რაც უნდა წამოიღონ (ფურცლები, ფერადი ფანქრები და სხვა).
2. ექსკურსის ჩატარება. ცოდნის შეძენის გარდა, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ დასვენების, ერთმანეთთან ურთიერთობის, გარემოს დამოუკიდებლად შეცნობისა და გააზრების დრო და საშუალება.
3. ექსკურსიის შემდგომი ეტაპი, როცა ხდება ექსკურსიაზე მიღებული შთაბეჭდილებების ურთიერთგაზიარება, მოპოვებული მასალის განმტკიცება და დისკუსიების მოწყობა ნასწავლისა და ნანახის ურთიერთშედარების საფუძველზე.

ექსკურსია კარგ შესაძლებლობას იძლევა გამოყენებული იქნეს სწავლების პრინციპი: „ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“, რომელსაც ცხრილის სახით მოსწავლეები ავსებენ ექსკურსიამდე („ვიცი – მინდა ვიცოდე“) და მის შემდეგ („გავიგე“).

ამასთან მეტად მნიშვნელოვანია ექსკურსიების დაგეგმვა სწორად შერჩეული **ადგილისა და დროის** მიხედვით. აქ იგულისხმება 2 მნიშვნელოვანი გარემოება: 1) ექსკურსია ამა თუ იმ ადგილას უნდა მოეწყოს იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს უკვე გავლილი და ათვისებული აქვთ შესაბამისი მასალა ამ მხარის შესახებ. მაგალითად, ექსკურსია ქუთაისიდან მდ. წყალწითელის ხეობაში უნდა მოეწყოს მას შემდეგ, რაც საქართველოს ეს მხარე მოსწავლეებს ნასწავლი ექნებათ; 2) კონკრეტული თემის შესწავლის, ან მასზე დაკვირვების მიზნით, ექსკურსია უნდა ჩატარდეს მაშინ, როცა ეს თემა აქტუალურია. მაგალითად, თუ გვინდა, რომ მოსწავლეებს გავაცნოთ და ვასწავლოთ დაკვირვება ფრინველთა სეზონურ გადაფრენებზე, ექსკურსი უნდა მოეწყოს მხოლოდ გადაფრენის სეზონზე. იგივე შეიძლება ითქვას, ამა თუ იმ მხარის ტრადიციული დღესასწაულების გაცნობაზეც, კერძოდ, თბილისობის, ალავერდობის ან სხვა დღესასწაულის გაცნობა-მონაწილეობა უნდა განხორციელდეს მაშინ, როცა ეს დღესასწაულები ტარდება.

საქართველოს მასშტაბით ჩვენს მიერ შემოთავაზებულია რამდენიმე საექსკურსიო მარშრუტი, რომლებიც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. თითოეული მარშრუტის ხანგრძლივობა განსხვავებულია. არის 1 და 2-დღიანი მარშრუტები. დაგეგმილია აგრეთვე მარშრუტების გასწვრივ შეჩერება ე.წ. საკვანძო წერტილებზე. მათი რაოდენობა დამოკიდებულია თვით მარშრუტის სიგრძეზე, აგრეთვე თვით ადგილის შესახებ მისაწოდებელი მასალის მრავალმხრივობასა და მათ მნიშვნელობაზე.

არც მარშრუტები, არც ექსკურსიის ხანგრძლივობა და არც საკვანძო წერტილები არ არის სავალდებულო. მასწავლებელს შეუძლია, მისი შეხედულებისა და სკოლის რესურსების შესაბამისად, შეამციროს ისინი და დაგეგმოს ექსკურსიის ოპტიმალური ვარიანტი ექსკურსიის მასშტაბებისა და საკვანძო წერტილების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. მაგალითად, ჩვენს მიერ დაგეგმილი ექსკურსია: „მცხეთა-სტეფანწმინდა“ 2-დღიანია, მასწავლებელს შეუძლია იგი 1 დღემდე დაიყვანოს, მაგრამ შეამციროს მარშრუტის სიგრძე („მცხეთა-ფასანაური“, ან „მცხეთა-ჯვრის უღელტეხილი“).

ამასთან მასწავლებელს მოუწევს თვითონ გადააწყოს მარშრუტები. ეს აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ექსკურსიებს გეგმავს საქართველოს მხარის სხვადასხვა სკოლა და შეუძლებელია ერთ წიგნში (ამ შემთხვევაში „მასწავლებლის წიგნში“) მოექცეს ჩვენი ქვეყნის ყველა მიმართულებიდან მომავალი მარშრუტების აღწერა. ამიტომ მასწავლებელმა, მოსწავლეთა ჩართულობით, უნდა ააწყოს ჩვენს მიერ შემოთავაზებული მარშრუტები. მაგალითად, მარშრუტი „მცხეთა-ჯვრის უღელტეხილი-სტეფანწმინდა“ მთლიანად ემთხვევა მცხეთიდან მომავალი სკოლისათვის, მაგრამ ისინი, ვინც მოემართებიან ვთქვათ, ხაშურიდან, მათ სხვა მარშრუტების გამოყენებაც დასჭირდებათ.

ადგილის ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული თავისებურებების გაცნობის გარდა, თითოეული ექსკურსიისას სასურველია გარკვეული აქტივობების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს. ეს აქტივობები მასწავლებლის წიგნში ჩართულია მეთოდურ მითითებებში და არა უშუალოდ საექსკურსიო მარშრუტებთან. თუმცა აქვე მითითებულია, თუ რომელი აქტივობის გამოყენება არის სასურველი ამა თუ იმ საექსკურსიო მარშრუტისას.

მეთოდური მითითება № 1. ბუნებაში ქცევის წესების გაცნობიერება

კლასი იყოფა 4 ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს მასზე დაკისრებული დავალება ნაწერის სახით. პირველი ორი ჯგუფი მუშაობს ბუნებაში ქცევის წესებზე (მაგალითად, ყველამ უნდა იაროს ერთად, უნდა უსმინონ მასწავლებელს, გაითვალისწინონ მისი რჩევები, არ შეიძლება მღვიმეში ნაღვენთი ფორმების მოტეხვა და ა.შ.), ხოლო მეორე ორი ჯგუფი მუშაობს იმ სავარუდო ქცევა-რეაგირებაზე, როცა ბუნებაში რაიმე საფრთხე წარმოიქმნება (მაგალითად, კოცონის ადგილზე ცეცხლის წარმოქმნა, სხეულის დაზიანება, წყალში ჩავარდნა, ნადირთან შეხვედრა და ა.შ.).

ექსკურსიაზე თითოეული ჯგუფის წევრები ცდილობს ჩაინიშნოს ყველა ის ქმედება, როცა მოსწავლეები არღვევენ მათ მიერვე შემუშავებულ წესებს, ან არასწორად რეაგირებენ ბუნებაში არსებულ რაიმე საფრთხეზე. ბოლოს მსჯელობენ, რა იყო სწორი და რა არა, მოძებნონ უკეთესი გამოსავალი. მსჯელობის გაგრძელება შეიძლება კლასშიც.

კლასში დაბრუნების შემდეგ ხდება ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოს ურთიერთშეჯერება. მოსწავლეები ჯამურად (და არა ცალკეული მოსწავლის) აფასებენ მთელი კლასის ყოფნას ექსკურსიაზე. მათ პასუხი უნდა გასცენ შემდეგ შეკითხვებს: რამდენად იყო მთელი კლასი აქტიური და დაინტერესებული შეემუშავებინა ქცევის ნორმები? ხომ არ მიადგა რაიმე ზიანი გარემოს (ბუნებას, ისტორიულ ძეგლს და ა.შ.)? რამდენად სწორ გადაწყვეტილებას იღებდნენ საფრთხის შემთხვევაში? და ა.შ.

მოსწავლეები ატარებენ ფარულ გამოკითხვა-არჩევნებს და თავიანთ ყოფნას ექსკურსიაზე აფასებენ 10-ქულიანი სისტემით, შემდეგ გამოიანგარიშებენ საშუალო არითმეტიკული. ეს შეფასება უნდა დაიტანონ ფურცელზე და საერთო შედეგი გამოაკრან საკლასო ოთახში (ფურცელზე მითითებული უნდა იყოს ექსკურსიის თარიღი, მარშრუტი, მოსწავლეთა რაოდენობა). და ასე ყოველი ექსკურსიის შემდეგ. ამით მოსწავლეები აფასებენ რა თავიანთ ყოფნას ექსკურსიებზე, ასევე, ავლენენ რამდენად იცვლება მათი ქცევის წესები და რამდენად სწორი მიმართულებით ყალიბდება მათი დამოკიდულება გარემოსადმი.

მეთოდური მითითება № 2. ადგილზე გაგნება

ადგილზე გაგნება ანუ ორიენტირება ნიშნავს ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრას სხვადასხვა ხერხით. ეს შეიძლება განხორციელდეს მზის, მთვარის, ვარსკვლავების, საათის და ბუნებაში არსებული მრავალი ობიექტის მიხედვით. ორიენტირებისათვის მეტად მოსახერხებელია კომპასი, ტოპოგრაფიული რუკა, ადგილის გეგმა და კოსმოსური სურათი.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ადგილზე გაგნების ზოგიერთ წესს და მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს ბუნებაში თავიანთ ადგილმდებარეობას.

ადგილზე გაგნების მრავალი ხერხი არსებობს. ზოგიერთი ხერხი მოსახერხებელია ერთ სიტუაციაში, ზოგიერთი – მეორე სიტუაციაში. ამ მიზნით საუკეთესოდ მიჩნეულია რუკა, ვინაიდან მისი მეშვეობით შესაძლებელია ვითარებაში სწრაფი გარკვევა და ინფორმაციის მიღება დიდ ტერიტორიაზე. მაგრამ ხშირად, ვთქვათ, ერთფეროვან ტერიტორიებზე, უღრან ტყეში, უდაბნოში, იგი საუკეთესო საშუალება ყოველთვის როდია. ამ მხრივ, შეუცვლელია და თითქმის ყველა ვითარებაში გამოსადეგი – ხელსაწყო-დანადგარები.

ქვემოთ მოცემულია ადგილზე გაგნების ზოგიერთი ის ხერხი, რომელიც შეიძლება განისაზღვროს ბუნებაზე დაკვირვებით. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ის ხერხი, რომელიც მოცემული მომენტისათვისაა შესაფერისი. მაგალითად, მზის მიხედვით ადგილზე გაგნება დღისითაა მხოლოდ შესაძლებელი, ხოლო თუ მზე არ არის – ცალკე მდგომი ხის მიხედვით – თუ ასეთი არსებობს.

ექსკურსიებზე საკვანძო წერტილებზე გაჩერებისას, მასწავლებელმა ყოველ ჯერზე მოსწავლეებს ადგილზე გაგნების შეძლებისდაგვარად სხვადასხვა ხერხი უნდა გამოაყენებინოს.

ადგილზე გაგნება მზის მიხედვით. ცნობილია, რომ მზე ამოდის აღმოსავლეთდან და ჩადის დასავლეთით. მაგრამ მზის მიხედვით ორიენტირება დიდი სიზუსტით შეიძლება მხოლოდ ბუნიობას (დღეღამსწორობის პერიოდში) – 21 მარტსა და 23 სექტემბერს. ამ დღეებში მზე ზუსტად აღმოსავლეთიდან (ნამდვილი აღმოსავლეთი) ამოდის და ზუსტად დასავლეთისაკენ (ნამდვილი დასავლეთი) ჩადის. დანარჩენ დღეებში კი მზის ამოსვლისა და ჩასვლის ადგილები გადაწეულია. ამ ხერხის უარყოფითი მხარე იმაშიც მდგომარეობს, რომ მზეზე დაკვირვება მხოლოდ მზიან ამინდში შეიძლება.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, დაუკვირდნენ საით არის მზე და დღის რომელი ნაწილია – დილა, შუადღე, თუ საღამო. დილით მზე აღმოსავლეთ მხარესაა, შუადღით – სამხრეთ, ხოლო საღამოს – დასავლეთ მხარეს.

ადგილზე გაგნება ჯოხით. ღია, დაუჩრდილავ და სწორ ზედაპირზე მოსწავლეები მიწაში ამაგრებენ პატარა ჯოხს ვერტიკალურად. ამ მიზნით გამოყენებულ ჯოხს გნომონს ეძახიან. მოსწავლეები უნდა დაუკვირდნენ ჯოხის ჩრდილის გადაადგილებას. ზუსტად შუადღისას, 12 საათზე ჯოხის ჩრდილი უმოკლესია, რომლის მიმართულებაც გვიჩვენებს ჩრდილოეთის მიმართულებას. ასეთი დაკვირვება წლის ყველა პერიოდშია შესაძლებელი, თუ რა თქმა უნდა, მზიანი დარია.

ადგილზე გაგნება მთვარის მიხედვით. როცა ცაზე სავსე მთვარეა, მოსწავლეები უკვირდებიან მას სადილის და საღამოს 7 საათზე.

საღამოს 7 საათზე აღმოსავლეთითაა, დილის 7 საათზე კი – დასავლეთით.

თუ მთვარე პირველ მეოთხედშია, მაშინ ღამის 1 საათზე იგი დასავლეთითაა, ხოლო ბოლო მეოთხედში – აღმოსავლეთით.

ადგილზე გაგნება პოლარული ვარსკვლავის მიხედვით. ღამით, როცა ცაზე ვარსკვლავებია, მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ დიდი დათვის თანავარსკვლავედი, რომელიც ციცხვს მოგვაგონებს. ციცხვის უკიდურეს ორ ვარსკვლავზე წარმოსახვით გაატარონ ხაზი და მასზე 5-ჯერ გადაზომონ იმდენი მანძილი, რაც ამ ორ ვარსკვლავს შორისაა. გადაზომილი მანძილის ბოლოში კაშკაშა ვარსკვლავია – პოლარული ვარსკვლავი. იგი პატარა დათვის თანავარსკვლავედის კიდურა ვარსკვლავია. პოლარული ვარსკვლავი ყოველთვის ჩრდილოეთ პოლუსის თავზეა. ამიტომ იგი უტყუარი მაჩვენებელია.

ადგილზე გაგნება მცენარეული საფრის მიხედვით. მოსწავლეები უნდა დაუკვირდნენ რომელი მხრიდან აქვს ხავსები და სოკოები ხეებს, დიდ ქვებსა და შენობებს. ხავსი და სოკო ჩრდილისა და ტენის მოყვარულებია, ამიტომ ისინი სახლდებიან ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ მთის ფერდობზე.

ადგილზე გაგნება ცალკე მდგომი ხის მიხედვით. მოსწავლეები უნდა დაუკვირდნენ ცალკე მდგომ ხეს. მას ტოტები და ფოთლები ერთ მხარეს უფრო მეტი აქვს. ეს სამხრეთისაკენ მიმართული მხარეა. ამ მხარეს იგი მეტ სითბოს იღებს და უკეთაც ვითარდება. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს გაბატონებული ძლიერი ქარების მიმართულებაც. ზოგჯერ ხეებს მცირე ტოტები და ფოთლები აქვთ ქარპირა და პირიქით, ძლიერ განვითარებული – ქარზურგა მხარეს.

ადგილზე გაგნება თოვლის წოლის მიხედვით. მოსწავლეები უკვირდებიან თოვლის საფარს, რომელიც უფრო მეტხანს დევს ხეების, ლოდების ჩრდილოეთ მხარეს. სამხრეთ ფერდობებზე თოვლი უფრო სწრაფად დნება.

ადგილზე გაგნება ხის გადანახერით. მოსწავლეები უკვირდებიან ხის წლიურ რგოლებს და შეამჩნევენ, რომ რგოლებს შორის მანძილი განსხვავებულია. ეს მანძილი შედარებით უფრო მცირეა ჩრდილოეთისაკენ, ხოლო უფრო მეტი სამხრეთისაკენ მიქცეულ მხარეს. აქაც გასათვალისწინებელია გაბატონებული ძლიერი ქარების მიმართულება.

ადგილზე გაგნება ჭიანჭველების ბუდეების მიხედვით. მოსწავლეები უნდა დაუკვირდნენ ჭიანჭველების ბუდეს, რომელიც მიწის ზედაპირზე ქმნის მცირე ბორცვებს. ამ ბორცვის ერთი მხარე დამრეცია. ეს სამხრეთის მხარეა. გარდა ამისა, ჭიანჭველები ბუდეებს იკეთებენ ხეებთან და ლოდებთან სამხრეთის მხრიდან.

მეთოდური მითითება № 3. ადგილმდებარეობის განსაზღვრა

ექსკურსია საუკეთესო შესაძლებლობაა იმისათვის, რომ მოსწავლეები დაეუფლონ ადგილმდებარეობის განსაზღვრის ხერხებს. მოსწავლეებმა ასევე უნდა გააცნობიერონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილმდებარეობის სწორად განსაზღვრას.

ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის უნდა მიეთითოს ორიენტირები, ანუ საორიენტაციო ობიექტები. ორიენტირები უნდა იყოს მეტ-ნაკლებად მდგრადი ობიექტები, რომლებიც არ გადაადგილდება და ნაკლებად ემუქრება გაქრობა. მაგალითად, მისაღებია ობიექტების ადგილმდებარეობის განსაზღვრა რომელიმე შენობასთან მიმართებაში და დაუშვებელია მდინარის ნაპირას მდებარე რომელიმე, თუნდაც დიდი ზომის ლოდის მიმართ.

ორიენტირები მრავალგვარია. ეს შეიძლება იყოს: ოროგრაფიული (რელიეფური), ჰიდროგრაფიული და სხვ.

- ოროგრაფიული ერთეულებზე (ქედი, სერი, მთა, ქვაბული, პლატო, ვაკე და ა.შ.) მდებარეობით მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ ამა თუ იმ რელიეფის ფორმის რომელ ნაწილში მდებარეობს დასაკვირვებელი ობიექტი:
  – ჰორიზონტის მხარეების მიხედვით (ჩრდილოეთ, ჩრდილო-დასავლეთ, თუ რომელ მხარეს);
  – ფერდობის ქვედა, შუა, ზედა ნაწილში, თუ თხემზე, თხემისპირას;
  – ცენტრალურ, თუ პერიფერიულ ნაწილში;
- ჰიდროგრაფიული ერთეულების (ზღვას, მდინარეს, ტბას და ა.შ.) მიმართ მდებარეობით. მოსწავლეები აღნიშნავენ მის რა ნაწილში მდებარეობს:
  – ზღვის, უბის, სრუტის სანაპიროზე მდებარეობა;
  – მდინარის მარჯვენა თუ მარცხენა მხარეს, მის ქვემო, შუა და ზემო წელში;
  – ტბის, წყალსაცავის სანაპიროზე მდებარეობა, მის რომელ მხარესაა (ჩრდილოეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის და ა.შ.);
- დასახლებული პუნქტის (ქალაქი, დაბა, სოფელი, საზაფხულო სადგომი), ნასახლარების, ისტორიული ძეგლების (ეკლესიები, ციხე-კოშკები და ა.შ.) და სამეურნეო დანიშნულების ობიექტების (ქარხანა, თბოელექტროსადგური, კარიერი და ა.შ) მიმართ მდებარეობა:

ამ ობიექტებიდან ჰორიზონტის რომელ მხარესაა;

ან ობიექტების რომელ ნაწილში მდებარეობს;

- კომუნიკაციების (გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენები, გზაჯვარედინი, ხიდი და ა.შ.). მიმართ მდებარეობა;
- ტყის მასივების ან ბუნებაში არსებულ სხვა ობიექტების მიმართ მდებარეობა. თუმცა ეს უკანასკნელი ჩამოთვლილთაგან ყველაზე არამყარ ბუნებრივ ორიენტირად ითვლება.

მოვიყვანოთ მაგალითი. ქ. რუსთავი მდებარეობს ქ. თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის ორივე მხარეს, ქვემო ქართლის ცენტრალურ ნაწილში, იაღლუჯის მაღლობის აღმოსავლეთით.

მეთოდური მითითებანი № 4. ადგილის გეგმის შედგენა

მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რისთვის არის საჭირო ადგილის აგეგმვა და მისი წაკითხვის ცოდნა. მოვუყვანოთ მაგალითები:

მაგალითი 1. როცა უცხო ადგილას ჩავდივართ ტურისტად, ამ ადგილზე უკეთ გაგნებისათვის, უნდა ვიცოდეთ ადგილის გეგმის წაკითხვა. იგი გვეხმარება მოვინახულოთ ჩვენთვის სასურველი ობიექტები. ამის ცოდნა განსაკუთრებით ღირებულია დაუსახლებელ ადგილებში, სადაც არავინ არის, ვინც სწორ გზას მიგვასწავლის.

მაგალითი 2. საკუთარი მანქანით გადაადგილებისას ასევე მნიშვნელოვანი ვიცოდეთ ქალაქის, გარეუბნის და სასოფლო დასახლებისათვის შედგენილი გეგმებისა და საგზაო რუკების წაკითხვა. მისი მეშვეობით შევძლებთ გადაადგილებას და დანიშნულ ადგილამდე დროულად მისვლას.

მაგალითი 3. ახალი მიკვლეული ობიექტების გეგმაზე/რუკაზე დასატანად ასევე აუცილებელია მათი სწორი კითხვის ცოდნა. ამის გარეშე შეუძლებელია ელექტრონული რუკებზე (მათ შორის Google Earth) ნავიგაცია.

ადგილის გეგმა დედამიწის ზედაპირის მცირე მონაკვეთის ნახაზია, რომელიც შედგენილია გარკვეული მასშტაბით. მისი მასშტაბი 1:10 000-ზე (1 სმ-ში 100 მ) მსხვილია. გეგმა არც რუკაა და არც სურათი. რუკის მასშტაბი უფრო წვრილია (10 000-ზე უფრო წვრილი). სურათი გადაღებულია გვერდიდან, გარკვეული კუთხით. ამის გამო თუნდაც დიდი ზომის შორს მდებარე ობიექტები უფრო მცირედ გამოიყურება, ვიდრე ახლო მდებარე პატარა ობიექტები. გეგმაზე კი ადგილი ნაჩვენებია ზემოდან და დაცულია ობიექტების რეალური ზომები, ანუ ისე როგორც ისინი ბუნებაში არსებობენ.

გეგმის შედგენას **ადგილის აგეგმვა** ეწოდება.

თანამედროვე პერიოდში ადგილის გეგმებს ხელსაწყო-დანადგარებით ადგენენ. ასე შედგენილი გეგმები საკმაოდ მაღალი სიზუსტისაა და დეტალურად ასახავს გარემოს რეალურ სურათს. თუმცა მეტად ერთმანეთის მიმართ განლაგებული ობიექტების ურთიერთმოსაზღვრეობისა და განლაგების, მანძილის განსაზღვრის უნარს.

ადგილის გეგმა მოსწავლეებმა შეიძლება შეადგინონ მარტივი ხერხით. ამისათვის აუცილებელია პლანშეტი (მყარი დაფა, რომელზეც მაგრდება ფურცელი ადგილის გეგმის/რუკის შესადგენად). ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ობიექტი, რომელიც დაგვაქვს გეგმაზე, გარკვეული პირობითი აღნიშვნებით უნდა დავიტანოთ. სასურველია ისარგებლოთ სახელმძღვანელოში მოცემული რუკების პირობითი აღნიშვნებით. თუ ისეთი აღნიშვნა არ არის აქ მოცემული, მაშინ თვითონ მოსწავლეებმა უნდა შემოიღონ ასეთი აღნიშვნები, თან უნდა შეეცადონ ეს აღნიშვნები გარეგნულად გამოხატავდენ გეგმაზე დასატანი ობიექტის შინაარსს. მაგალითად, ხის დასატანად შეიძლება ხისებრი გამოსახულება დავიტანოთ მწვანე ფერით, დენის ბოძისათვის – ჩვეულებრივი ვერტიკალური ხაზი შავი ფერით ან ნაცრისფრად და ა.შ.

ასაგეგმად უნდა შეირჩეს ისეთი ადგილი, სადაც სხვადასხვა ტიპის ობიექტებია (ცალკე მდგომი ხე, ბუჩქნარები, შენობა, გზა და ა.შ.) და არ არის ობიექტების დიდი სიმრავლე. სასურველია, რომ აგეგმვა შესრულდეს ღია ადგილას და არა ვთქვათ, დაბურულ ტყეში. ასაგეგმ ტერიტორიად შეიძლება შეირჩეს სკოლის ეზო, მისი მიმდებარე ტერიტორია, ან რაიმე სხვა ადგილი ბუნებაში.

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. ერთი ჯგუფი (პირობითად მათ ვუწოდოთ „მხაზველები“) მუშაობს პლანშეტთან, ხოლო მეორე ჯგუფი („მზომელები“) ზომავს მანძილებს ადგილზე. სასურველია, რომ რამდენიმე ობიექტის აგეგმვის შემდეგ, ჯგუფები ერთმანეთს შეენაცვლონ. ამგვარად, ყველა მოსწავლეს მოუწიოს სხვადასხვა სახის საქმიანობის შესრულება.

ადგილის აგეგმვისათვის საჭირო ინვენტარი: ფურცელი, პლანშეტი, სამფეხა ან რაიმე სადგამი პლანშეტის განსათავსებლად, ფერადი ფანქრები, საშლელი, სახაზავი, კომპასი, მანძილმზომი (რულეტი, ან 5/10 მ-იანი თოკი).

ადგილის აგეგმვის დაწყებამდე, უნდა მოვნიშნოთ ფურცელზე ხაზოვანი მასშტაბი, მიმართულების ისარი და ჩვენი დგომის წერტილი (ამ საქმიაობას ორივე ჯგუფი ასრულებს ერთდროულად):

- ფურცლის ქვედა კიდეზე ვხაზავთ ხაზოვან მასშტაბს: ვავლებთ ჰორიზონტალურ ხაზს და მასზე ყოველი 1 სმ-ის მანძილზე დაგვაქვს ნიშნულები;
- რუკის ზედა ერთ-ერთ კუთხეში კი დაგვაქვს ჩრდილოეთის მიმართულების მაჩვენებლი ისარი;
- დავდოთ კომპასი ფურცელზე, რომლის ისრის მიმართულება (ჩრდილოეთის მაჩვენებელი) უნდა ემთხვეოდეს;
- მოვნიშვნოთ ის ადგილი, სადაც ვდგავართ. თუ ჩვენ ვდგვარათ რაიმე ობიექტთან – ხე, შენობა, ბოძი, მაშინ ისინი დაგვაქვს შესაბამისი პირობით აღნიშვნით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი დგომის ადგილი დავიტანოთ ფურცლის ისეთ ადგილას, რომ ასაგეგმი ტერიტორია დაგვეტიოს. კერძოდ, თუ უნდა ავგეგმოთ ჩვენი დგომის წერტილიდან წინ მხოლოდ გადაშლილი სივრცე, მაშინ იგი დაგვაქვს ფურცლის ქვედა კიდესთან.

ადგილის აგეგმვის თანამიმდევრობა:

- „მხაზველები“ დებენ სახაზავს ფურცელზე ისე, რომ მისი ერთი ბოლო ეხებოდეს ჩვენი დგომის წერტილს, მეორე ბოლოს უმიზნებენ ახლომდებარე რაიმე ობიექტს (ობიექტი A) და ფურცელზე ავლებენ სწორ ხაზს. „მზომელები“ გაზომავენ მანძილს დგომის წერტილიდან ობიექტი A-მდე და იგი დააქვთ შესაბამისი მასშტაბისა და პირობითი აღნიშვნის დაცვით გეგმაზე;
- შესაბამისი პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დაგვაქვს გეგმაზე ობიექტი A-ს მარცხნივ და მარჯვნივ მდებარე გარემო (ბუჩქნარი, მინდორი, გუბურა, გზა, გაზონი და ა.შ.). ამავე ხერხით შეიძლება გეგმაზე დავიტანოთ სხვა ახლო მდებარე ობიექტებიც (ობიექტები A, B და სხვა);
- შემდეგ გადავაადგილდებით გეგმაზე მონიშნულ რომელიმე ობიექტთან და აქედან ვაგრძელებთ აგეგმვას;
- უნდა გაიზომოს ხაზობრივი ობიექტების (მდინარე, გზა, ბილიკი, მილსადენი და ა.შ.) სიგანე და მასშტაბით დავიტანოთ ისინი გეგმაზე. მდინარის სიგანის განსაზღვრა შეიძლება მასზე გამავალი ხიდით. მდინარეზე დავიტანოთ მისი დინების მიმართულება პატარა ზომის ისრით.

შემოვავლოთ ჩარჩო შედგენილ გეგმას და თავზე გავუკეთოთ წარწერა ადგილის სახელის მითითებით. ჩარჩოს ქვემოთ კი მივაწეროთ სკოლის სახელწოდება, მოსწავლეთა გვარები, ვინც შეასრულა სამუშაო, მასწავლებლის გვარი, შედგენის ადგილი და თარიღი. გამოვაკრათ კლასში.

ასევე შეიძლება მოსწავლეებს შევადგენინოთ რომელიმე ისტორიული ძეგლის, მუზეუმის ეზოს, დაცული ტერიტორიის გეგმაც.

მეთოდური მითითება № 5. რუკაზე ობიექტების დატანა

ექსკურსიამდე მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ საველე რუკები სახელმძღვანელოში ჩართული რუკების საფუძველზე. ექსკურსიის მარშრუტის შერჩევის შემდეგ, უნდა ამოიბეჭდოს ამ მარშრუტის ამსახველი რუკები

ექსკურსიაზე კი მოსწავლეები აღნიშნავენ ყველა ობიექტს, რომელსაც შენიშნავენ და მოინახულებენ. იმ ადგილებში, სადაც გაჩერდნენ, გადაიღეს ფოტოები პირობით აღნიშვნას უნდა შემოავლონ წრიული ხაზი. შესაბამისად, ჩანაწერი გააკეთოთ ბლოკნოტში, რომ ამა და ამ ადგილას შეასრულეს შემდეგი სამუშაოები (აღწერეს ობიექტი, შეაგროვეს ჰერბარიუმი, გადაიღეს ფოტოები და ა.შ.). თუ რუკის მასშტაბი არ იძლევა საშუალებას დაიტანონ ობიექტების სახელწოდებები, მაშინ ისინი დააქვთ ნუმერაციით და ლეგენდაში მიუთითებენ, თუ რა ობიექტებია გამოსახული ამა თუ იმ ნომრით.

მეთოდური მითითება № 6. შეჯიბრი ობიექტებს შორის მსგავსებებისა და

განსხვავებების გამოვლენაში

მასწავლებელი აძლევს მოსწაველეებს დავალებას დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია ექსკურსიის მარშრუტის გასწვრივ მდებარე ობიექტების შესახებ. მათ აჩვენებს რუკაზე.

ექსკურსიაზე მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ ბლოკნოტები და პასტები და გააკეთონ ჩანაწერები. რომ თითოეული ნანახი ობიექტის შესახებ ჩაიწერონ მასწავლებლის მონათხრობიც და გააკეთონ დამოუკიდებელი ჩანაწერებიც. ისინი უნდა შეეცადონ მაქსიმალურად დეტალურად აღწერონ ყოველივე. მაგალითად, ბუნების აღწერისას მიუთითონ როგორი მისასვლელია ობიექტამდე, ხოლო ისტორიული ძეგლის აღწერისას – მათი მდებარეობა და გარეგნული იერსახე.

ექსკურსიის ბოლო ეტაპზე ეწყობა შეჯიბრება და გამოვლინდება გამარჯვებულები. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე წარმოაჩენს მოპოვებულ მასალას. ერთი ჯგუფი ადარებენ მაგ. გელათსა და ბაგრატს, მეორე – კათოლიკურ ეკლესიასა და სინაგოგას, მესამე – კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს და მეოთხე – კურსებისა და გელათის საბადოების მიდამოებს.

ჯგუფები ასახელებენ ამ ორ-ორი ობიექტის მსგავს და განსხვავებულ ნიშნებს. თითოეული ჯგუფი უნდა შეეცადოს მაქსიმალურად მეტი მსგავსი/განსხვავებული ნიშანი დაასახელოს, რაც დადებითი ქულებით ფასდება. მაგალითად, პირველმა ჯგუფმა დაასახელა 10 მსგავსი/განსხვავებული ნიშანი, ისინი შეფასდებიან 10 ქულით. მაგრამ თუ სხვა ჯგუფის წარმოადგენელი დაამატებს კიდევ სხვა მსგავს/განსხვავებულ ნიშანს (მაგალითად, 3 ნიშანს), ამ პირველ ჯგუფს დაეწერება 3 ქულა მინუსით, და საბოლოო ჯამში პირველი ჯგუფის შეფასება იქნება 7 ქულა. შემდეგ შეჯიბრში მეორე და სხვა ჯგუფების ჯერი დგება.

გამარჯვებულად ვლინდება ის ჯგუფი, ვინც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, გამარჯვებულია ის, ვისაც მეტი დადებითი ქულა აქვს დაგროვებული. და თუ ამ შემთხვევაშიც სითანაბრეა, მაშინ ორივე ცხადდება გამარჯვებულად.

მეთოდური მითითება № 7. ჰერბარიუმის შეგროვება და შენახვა

ქანთა ნიმუშები, ფერადი ქვები
უცნაური ფორმის ხის ტოტები, გირჩები და სხვა.

ჰერბერიუმი საგანგებოდ შეგროვებული და სათანადო წესით გამშრალი მცენარეთა კოლექციაა. მოსწავლეთა მიერ შეგროვებული ჰერბარიუმი უნდა გამოიფინოს სკოლის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში, სადაც განთავსებული იქნება სკოლის მოსწავლეების მიერ შეგროვებული მშობლიური მხარის ბუნების, ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნიმუშები.

საჭირო ინვენტარი: საჰერბარიუმე ჩანთა/მუყაოს ყდა, საშრობი ქაღალდი/გაზეთი, ქაღალდი ეტიკეტებისათვის, ფანქარი/პასტა.

ბალახოვნების, ბუჩქნარებისა და ხემცენარეების ნიმუშების შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა საჭრელი ან სათხრელი იარაღი. სასურველია ავიღოთ ერთი და იგივე მცენარის არა ერთი, არამედ რამდენიმე ნიმუში.

ბალახოვნების შესაგროვებლად აუცილებელია თან გვქონდეს სათხრელი იარაღი, ვინაიდან მცენარე ფესვიანად უნდა ამოვიღოთ. სასურველია, რომ მცენარე ისეთ დროს ამოვიღოთ, რომ მას კარგად ჰქონდეს შენარჩუნებული ფესვი, ღერო, წიწვი, ფოთოლი, გირჩი, ყვავილი ან ნაყოფი.

ბუჩქოვანი და ხემცენარეების ნიმუშების შესაგროვებლად გამოიყენება სეკატორი ან სასხლავი დანა. უნდა მოიჭრას მხოლოდ ტოტები, ფოთლები, ყვავილები ან ნაყოფი.

ჰერბარიუმის შეგროვება-შენახვა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

- ექსკურსიის დრო მოსწავლეები **აგროვებენ** მცენარეებს და მათ ათავსებენ საჰერბარიუმე ჩანთაში ან მუყაოს ყდაში. თითოეულ მცენარეს შორის უნდა ჩავდოთ საშრობი ქაღალდისაგან ან გაზეთისაგან გაკეთებული ერთგვარ „პერანგებს“ და შიგ ვაწყობთ მცენარეებს, რათა ისინი ერთმანეთში არ აირიოს;
- თითოეულ მცენარეს ვუკეთებთ **ეტიკეტს**: სადაც მითითებულია მცენარის დასახელება; ადგილი, საიდანაც ამოვიღეთ (ადმინისტრაციული ერთეული); ოროჰიდროგრაფიული ობიექტი (მთის კალთა, ჭალა, თხემი და აშ.); თარიღი. თუ არ ვიცით მცენარის სახელი, მისი დადგენა უნდა მოხდეს მოგვიანებით სპეციალური კატალოგების ან შესაბამისი დარგის სპეციალისტის დახმარებით;
- ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ მცენარეებს აშრობენ. ორად მოკეცილ მშრალ ქაღალდში ათავსებენ მცენარეს, რომლის ყველა ნაწილი გასწორებულია. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ფოთოლსა და ყვავილს, რომ გაშრობის შემდეგ მათ მაქსიმალურად შეინარჩუნონ დამახასიათებელი ფორმა. შემდგომ ქაღალდებში ჩალაგებულ მცენარეებს ვალაგებთ სპეციალურ საჰერბარიუმე ბადეში და მაგრად ვკრავთ მას თოკით. 1-2 დღეში ვხსნით ბადეს, ვაცილებთ დანოტიავებულ ქაღალდებს და სიფრთხილით ვცვლით მათ ახლით და კვლავ იმგვარადვე ვკრავთ. ეს უნდა გავიმეორეთ მანამ, სანამ მცენარეები მთლიანად არ გაშრება.

მეთოდური მითითება № 8. მოსახლეობის გამოკითხვა-ანკეტირება

ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა და ანკეტირება ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომლის დროსაც ხშირად უნიკალური და გამოუქვეყნებელი ცნობების შეგროვებაცაა შესაძლებელი. იგი არა მარტო დღეს არსებული, არამედ უკვე მივიწყებული და აქა-იქ შემორჩენილი ტრადიციების, მოსახლეობის მიგრაციის, ბუნებრივი სტიქიური პროცესებისა და სხვათა შესახებ გვაწვდის საინტერესო ცნობებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ კვლევის ამ ხერხის მნიშვნელობა.

მოსწავლეები ასევე შეიძლება მივიყვანოთ ადგილობრივ უწყებებში დაცული დოკუმენტური მასალების გასაცნობად და მათგან ძირითადი ინფორმაციის ამოწერა-სისტემატიზაცია გავაკეთებინოთ.

მოსახლეობის გამოკითხვა სხვადასხვანაირად შეიძლება ჩატარდეს: წინასწარ შედგენილი შეკითხვები შეიძლება დაესვას ცალკეულ რესპოდენტს, ან რესპონდენტთა ჯგუფს და ჩანაწერები გააკეთონ თვით მოსწავლეებმა, ან გამზადებული ანკეტები შეავსებინონ მოსახლეობას. უმჯობესია, რომ მოსწავლეებმა თვითონ შეავსონ ანკეტები, ვინაიდან ამგვარად ისინი უფრო აქტიურად არიან ჩართულნი გამოკითხვის პროცესში და ცნობებს იღებენ უშუალოდ რესპოდენტიდან.

გთავაზობთ, ანკეტების რამდენიმე ვარიანტს. თითოეული ანკეტა ეძღვნება გარკვეულ თემას, ვთქვათ, მოსახლეობის მიგრაციებს, ეკოლოგიურ პრობლემებს, ტრადიციებს და ა.შ. მასწავლებლის წიგნში ანკეტები მოცემულია იმგვარად, რომ შესაძლებელია მათი ასლის შექმნა და ამ ასლზე შემდგომ მუშაობა.

მოსწავლეები გამოკითხვას ატარებენ თავიანთ მშობლიურ მხარეში (ქალაქი, დაბა ან მათი უბანი, სოფელი). ამასთან მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, როგორ შეარჩიონ რესპოდენტები. კერძოდ, თუ ისინი გამოკითხვას ატარებენ ტრადიციებზე, უმჯობესია გამოკითხონ ხანდაზმულები, ხოლო თუ გამოკითხვა შეეხება ეკოლოგიურ პრობლემებს, აქ შეიძლება ჩართულნი იყვნენ ნებისმიერი ასაკის ადამიანები. ზოგადი შინაარსის შეკითხვები (თარიღი, გამოკითხვის ადგილი და სხვა) საერთოა ყველა ანკეტისათვის (იხ. ანკეტები).

ანკეტა 1. შევისწავლოთ მშობლიური მხარის ბუნება და მისი ღირსშესანიშნაობები

თარიღი
გამოკითხვის ადგილი
რესპოდენტის სახელი და გვარი (სურვილის შემთხვევაში)
რესპოდენტის ასაკი და სქესი
რესპოდენტის პროფესია
ანკეტის შემვსებლის სახელი, გვარი, კლასი, სკოლა
სოფელსა და მის მიდამოებში მდებარე **ბუნების ღირსშესანიშნაობა**:
სახელწოდება

რატომ დაერქვა ეს სახელი?
მდებარეობა
მისასვლელი
აღწერეთ ბუნების ღირსშესანიშნაობა (ფორმა, სიდიდე და სხვა)
თანამედროვე მდგომარეობა (დაზიანება)
თუ არის დაცული?
ლეგენდები და მითები

დაასახელეთ და აღწერეთ **ამინდის ამოცნობის ტრადიციული ხერხები**
როდისაა მოსალოდნელი წვიმა, თოვლი, სეტყვა?
როდისაა მოსალოდნელი ძლიერი ყინვა?
როდისაა მოსალოდნელი ძლიერი სიცხე?
როდისაა ძლიერი ქარი?

ანკეტა 2. დავიცვათ მშობლიური მხარის ბუნება

თარიღი
გამოკითხვის ადგილი
რესპოდენტის სახელი და გვარი (სურვილის შემთხვევაში)
რესპოდენტის ასაკი და სქესი
რესპოდენტის პროფესია
ანკეტის შემვსებლის სახელი, გვარი, კლასი, სკოლა

სოფელსა და მის მიდამოებში გავრცელებული **ბუნების სტიქიური მოვლენები** (წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, გრიგალი, თოვლის ზვავი, მიწისძვრა და სხვა):
დაასახელეთ ბუნებრივი სტიქიური მოვლენა
რამდენად ხშირად მეორდება და წლის რომელ პერიოდში?
რა არის გამომწვევი მიზეზები?
რას აზიანებს?
დაასახელეთ ყველაზე მძლავრი მოვლენა (მიუთითეთ დრო, ადგილი, გამომწვევი მიზეზები, რა დააზიანა)
როგორ იცავდნენ ძველად ადამიანები თავს ბუნებრივი ამ სტიქიური მოვლენისაგან?
როგორ ავიცილოთ თავიდან იგი დღეს?

სოფელსა და მის მიდამოებში დაბინძურებულია თუ არა **ჰაერი**?
რა არის მიზეზი?
რა გამოიწვია ამან? (ცხოველთა სამყაროს განადგურება, ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესება და ა.შ.)
რით შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა?

სოფელსა და მის მიდამოებში დაბინძურებულია თუ არა **წყალი** (მდინარე, ტბა, წყალსაცავი, ჭა, არხი)?
რა არის მიზეზი?
სად არის ყველაზე დიდი დაბინძურება?
რით შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა?

სოფელსა და მის მიდამოებში დაბინძურებული და დაზიანებულია თუ არა **ნიადაგი**?
დაბინძურებულია თუ არა ნიადაგი შხამქიმიკატებით?
რა სასუქებს იყენებდნენ ძველად (30 წლის წინ) და რომელი აგროკულტურისათვის?
რა სასუქებს იყენებს მოსახლეობა დღეს და რომელი აგროკულტურისათვის? ჩამოთვალეთ.
სასუქის გამოყენება ან არგამოყენების შემთხვევაში როგორია მოსავალი?
ხელოვნურ სასუქებს იყენებს ყველგან, თუ მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთის გარეთ?
ხომ არ აზიანებს მოსავალს რაიმე მავნებელი? დაასახლეთ ის და რას აზიანებს?
რა ხერხებს მიმართავს მავნებლების წინააღმდეგ? რამდენად სწორად მიაჩნია ამ ხერხის გამოყენება?

სოფელსა და მის მიდამოებში არსებული **ნაგავსაყრელი**:
სად ყრის მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს?
მისაწვდომია თუ არა ეს ნაგავსაყრელი ცხოველებისათვის (ძაღლი, კატა და სხვა)?
მისაწვდომია თუ არა ეს ნაგავსაყრელი ბავშვებისათვის და ხომ არ გადაადგილდებიან და თამაშობენ ისინი მის სიახლოვეს?
შეწუხებულია თუ არა მოსახლეობა ნაგავსაყრელებით და რაში გამოიხატება ეს?
ხომ არ ყოფილა გავრცელებული რაიმე დაავადება, რომელიც უკავშირდება ნაგავსაყრელს?
ყოველდღიურად თუ გააქვთ ნაგავი ნაგავსაყრელებიდან?
დადგმულია თუ არა სხვადასხვა ფერის ნაგვის ვედროები სხვადასხვა სახის ნაგვის გამოსაყოფად ერთმანეთისაგან?

ანკეტა 3. შევისწავლოთ მშობლიური მხარის მოსახლეობა

თარიღი
გამოკითხვის ადგილი
რესპოდენტის სახელი და გვარი (სურვილის შემთხვევაში)
რესპოდენტის ასაკი და სქესი
რესპოდენტის პროფესია
ანკეტის შემვსებლის სახელი, გვარი, კლასი, სკოლა

სოფლის **სახელწოდება** და **ლეგენდები:**
როდის შეერქვა სოფელს სახელი და რატომ?
რა ერქვა ძველად სოფელს? რატომ შეიცვალა მისი სახელი?
ლეგენდა/მითი სოფლის შესახებ

მოსახლეობის **რიცხოვნობა**:
რამდენი მოსახლე/კომლია სოფელში?
როდის დასახლდნენ აქ? საიდან მოვიდნენ?
ხომ არ ტოვებს მოსახლეობა სოფელს?
უფრო მეტად რა ასაკისა და სქესის მცხოვრებნი ტოვებენ სოფელს?
რა არის ამის მიზეზი?
სად მიდიან ისინი უმთავრესად და რისთვის?

მოსახლეობის **ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა**:
ხომ არ ცხოვრობენ სოფელში სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის წარმომადგნლები?
რომელი ეროვნება/რელიგიის წარმომადგენელი სოფლის რა ნაწილში ცხოვრობს? როდის დასახლდნენ ისინი აქ?
განსხვავებული არის თუ არა მათი სამეურნეო საქმიანობა, წეს-ჩვეულებები? აღწერეთ ისინი.
მოყევით სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლებს შორის მეგობრობისა და სიყვარულის გამოხატვის მაგალითები.

ცნობილი ადამიანები:
დაასახელეთ ცნობილი ადამიანები თქვენი სოფლიდან?
რა დამსახურების გამო გახდნენ ცნობილნი?
რა არის მათი ამჟამინდელი საქმიანობა?
თუ არის სოფელში ცნობილი ადამიანების სახლ-მუზეუმები?
რა მდგომარეობაშია ისინი?

ანკეტა 4. შევინარჩუნოთ მშობლიური მხარის ისტორიული ძეგლები

თარიღი
გამოკითხვის ადგილი
რესპოდენტის სახელი და გვარი (სურვილის შემთხვევაში)
რესპოდენტის ასაკი და სქესი
რესპოდენტის პროფესია
ანკეტის შემვსებლის სახელი, გვარი, კლასი, სკოლა

სოფელსა და მის მიდამოებში მდებარე ისტორიული ძეგლები (ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, სასახლეები, საცხოვრებელი სახლები, ხიდები და სხვა):
სახელწოდება
მდებარეობა
მისასვლელი
რატომ დაერქვა ეს სახელი?
როდის აიგო და როდის გადააკეთეს (რესტავრაცია)?
ვის სახელს უკავშირდება მისი აგება?
როგორია შენობის შიგა სივრცე (მოხატულობა)?
აღწერეთ ისტორიული ძეგლი (ფორმა, სიდიდე, აგების მასალა და სხვა)
თანამედროვე მდგომარეობა (დაზიანება)
თუ არის დაცული?
ლეგენდები და მითები

ანკეტა 5. შევისწავლოთ მშობლიური მხარის ტრადიციები

თარიღი
გამოკითხვის ადგილი
რესპოდენტის სახელი და გვარი (სურვილის შემთხვევაში)
რესპოდენტის ასაკი და სქესი
რესპოდენტის პროფესია
ანკეტის შემვსებლის სახელი, გვარი, კლასი, სკოლა

დღესასწაული/ხალხური შეჯიბრი, რომელსაც ზეიმობდნენ ძველად და დღეს მივიწყებულია:
სახელწოდება
სად აღნიშნავდნენ?
როდის ზეიმობდნენ?
რასთან დაკავშირებით?
ვინ იღებდა მონაწილეობას?
ხომ არ იღებდნენ მონაწილეობას ცნობილი ადამიანები (თუნდაც ერთი შემთხვევა)?
აღწერეთ დღესასწაულისათვის მზადება და მისი მიმდინარეობა.
ხომ არ გსმენიათ, რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევის შესახებ ამ დღესასწაულზე? გვიამბეთ მის შესახებ და როდის მოხდა?
რა მოსწონს და არ მოსწონს ამ ტრადიციაში?

დღესასწაული/ხალხური შეჯიბრი, რომელსაც ზეიმობდნენ ძველად და დღესაც:
სახელწოდება
სად აღნიშნავდნენ და სად აღნიშნავენ დღეს?
როდის ზეიმობდნენ და ზეიმობენ დღეს?
რასთან დაკავშირებით?
ვინ იღებდა მონაწილეობას და დღეს ვინ იღებს მონაწილეობას?
ხომ არ იღებენ მონაწილეობას ცნობილი ადამიანები (თუნდაც ერთი შემთხვევა)?
აღწერეთ დღესასწაულისათვის მზადება და მისი მიმდინარეობა.
ხომ არ გსმენიათ, რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევის შესახებ ამ დღესასწაულზე? გვიამბეთ მის შესახებ და როდის მოხდა?
რა შეინარჩუნეს ძველი ტრადიციისაგან?
რა გაქრა ძველი ტრადიციისაგან?
შეეცადეთ ახსნათ ამ ცვლილების მიზეზები.
რა მოსწონს და არ მოსწონს ამ ტრადიციაში?
ქორწილის გადახდის ტრადიციები:
როგორ პატიჟებენ სტუმრებს?
რამდენკაციან სუფრას იხდიან ჩვეულებრივ?
როდის იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი?
რა წეს-ჩვეულებებს ასრულებენ ამ დროს?
ხომ არ გსმენიათ რაიმე ძველი წეს-ჩვეულება ამ დღესთან დაკავშირებით?

ქელეხის გადახდის ტრადიციები:
როგორ პატიჟებენ სტუმრებს?
რამდენკაციან სუფრას იხდიან ჩვეულებრივ?
როდის იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი?
რა წეს-ჩვეულებებს ასრულებენ ამ დროს?
ხომ არ გსმენიათ რაიმე ძველი წეს-ჩვეულება ამ დღესთან დაკავშირებით?

ტრადიციული საკვები:
ხომ არ შეიცვალა კვების რაციონი? როგორ შეიცვალა?
როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ეს?
დაასახელეთ ტრაციული კერძი, რომელსც ამზადებდნენ ამა თუ იმ დღესასწაულისათვის.
შეეცადეთ აღწეროთ მისი მომზადების წესი.

მეთოდური მითითება № 9. ანკეტების დამუშავება-ანალიზი

გამოკითხვის დასრულების შემდეგ, უკვე გაკვეთილზე, მოსწავლეები იწყებენ ანკეტების დამუშავებასა და გაანალიზებას, გარკვეული დასკვნების გაკეთებას. მოსწავლეები იყოფიან 5 ჯგუფად. მოპოვებული მასალებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე, თითოეული ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას ერთი კონკრეტული ანკეტის მიხედვით და წარმოადგენენ მცირე ნარკვევს ანკეტების სათაურების მიხედვით, კერძოდ, „შევისწავლოთ მშობლიური მხარის ბუნება და მისი ღირსშესანიშნაობები“, „დავიცვათ მშობლიური მხარის ბუნება“ და ა.შ.

ქვემოთ მოცემულია ის ინსტრუქციები, რომელზეც მიდევნებით მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი და დასკვნების გაკეთება.

მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს. ეს შეკითხვები ძირითადად ორგვარია: ზოგადი ხასიათის, რომელიც საერთოა ყველა ანკეტისათვის და სპეციფიკური, რომელიც მხოლოდ კონკრეტული თემისათვისაა გათვალისწინებული.

ზოგადი ხასიათის შეკითხვები, რომელზეც პასუხი უნდა გასცენ მოსწავლეებმა ანკეტების გაანალიზებისას:

- რამდენი ანკეტა შეივსო?
- რამდენი ქალი და კაცი იქნა გამოკითხული?
- როგორია რესპოდენტთა ასაკობრივი შემადგენლობა?

ამ მიზნით, რესპოდენტები მათ უნდა დააჯგუფონ ასაკის მიხედვით და შეავსონ ცხრილი.

20 წლამდე	20-40 წლის	40-60 წლის	60 წლის ზემოთ

- რა პროფესიის ადამიანებმა მიიღეს მონაწილეობა?

ამ მიზნით, მათ უნდა ჩამოწერონ რესპოდენტთა პროფესიები და შეავსონ ცხრილი.

20 წლამდე	20-40 წლის

სპეციფიკური შეკითხვები, რომელზეც პასუხი უნდა გასცენ მოსწავლეებმა ანკეტების გაანალიზებისას:

- ***მდებარეობა და მისასვლელი.*** მოსწავლეებმა რუკაზე უნდა მოძებნონ მითითებული ადგილი, რუკის მიხედვით დააზუსტონ მისი მდებარეობა და განსაზღვრონ მისასვლელი გზის სირთულე (ციცაბო ფერდობები, წყალსატევები და ა.შ.).
- ***ობიექტის ფორმისა და სიდიდის განსაზღვრა.*** მოსწავლეებმა უნდა შეადარონ ობიექტი სხვა, სახელმძღვანელოში მოცემულს და ისაუბრონ მათ მსგავსებებსა და განსხვავებებზე. შესადარებელ ობიექტს ისინი ირჩევენ მასწავლებლის მითითებით.
- ***ობიექტის თანამედროვე მდგომარეობა (დაზიანება).*** მოსწავლეები მსჯელობენ ობიექტის დაზიანების შესახებ და ეძებენ გზებს, რა შეიძლება გაკეთდეს მათ დასაცავად (ფლაერების გავრცელება მოსახლეობაში ობიექტის მნიშვნელობის შესახებ, ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება და საზოგადოებისადმი მიმართვა დახმარებისათვის, ხეების დარგვა, ადგილის დასუფთავების აქციის მოწყობა და სხვა).
- ***ლეგენდები და მითები.*** მოსწავლეები ერთმანეთისაგან მიჯნავენ სინამდვილესა და გამონაგონს და ავსებენ ცხრილს.

სინამდვილე	გამონაგონი

- ***გამომწვევი მიზეზები და შედეგები.*** მოსწავლეები ცდილობენ გააანალიზონ ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი მიზეზები და შედეგები, ცდილობენ თვითონაც გააფართოვონ ჩამონათვალი.
- ***გარემოს დაბინძურება.*** მოსწავლეები მსჯელობენ გარემოს დაბინძურებაზე და რით შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა.
- ***მოსახლეობის მიგრაციები.*** მოსწავლეები ჩამოთვლიან იმ მიზეზებს, რის გამოც შეიძლება შეიცვალონ საცხოვრებელი ადამიანებმა. ადგენენ რომელია უმთავრესი განმსაზღვრელი მიზეზი, რამაც განაპირობა მოსახლეობის მიგრაცია მათ მშობლიურ მხარეში.
- ***ტრადიციები.*** მოსწავლეები მსჯელობენ ტრადიციების დადებით და უარყოფით მხარეებზე, ცდილობენ განსაზღვრონ, რომელ ტრადიციას შეარულებდნენ სიამოვნებით, და რომელს – არა, ან რას შეცვლიდნენ არსებულ ტრადიციაში.

4.2. საექსკურსიო მარშრუტების აღწერა

მარშრუტი 1. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მშობლიურ მხარეში

საქართველოს ყველა მხარეში არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, სადაც დაცულია ამ მხარის ბუნების, ისტორიისა და კულტურის ამსახველი ექსპონატები (ნიმუშები, ხელნაწერები და ა.შ.). თითოეულ ამ მუზეუმში საკმაოდ მდიდარი კოლექციებია. მათი გაცნობა მდიდარ წარმოდგენს შეუქმნის მოსწავლეებს მშობლიური მხარის შესახებ. ამიტომ ერთ-ერთი პირველ ექსკურსიად სწორედ ეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მონახულება უნდა დაიგეგმოს. ასევე მიზანშეწონილია სახლ-მუზეუმების მონახულებაც, ვინაიდან მემორიალური ნივთების გარდა, ასეთ მუზეუმებში მხარის ბუნების, ისტორიის, ეთნოგრაფიის ნიმუშებიცაა ასახული.

მოსწავლეები უნდა გაეცნონ და შეისწავლონ მუზეუმის მდიდარი კოლექცია იმ მრავალფეროვნების გათვალისწინებით, როგორც ამას თვით მუზეუმი გვთავაზობს. ამ მიზნით, კლასი უნდა დავყოთ ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს უნდა დაევალოს კონკრეტული საკითხის შესწავლა და შემდეგ მისი პრეზენტაცია.

სავარაუდოდ, ეს ჯგუფები შეიძლება იკვლევდნენ:

– ბუნებას;
– ყოფა-ცხოვრებას;
– ხელოვნებას;
– არქეოლოგიურ მონაპოვარს;
– დოკუმენტებს;
– მემორიალურ ნივთებს.

შესაძლებელია ამ ჯგუგების სიის გაზრდა, ჯგუფების გაერთიანება ან კიდევ უფრო მეტად მათი დანაწევრება. ეს დამოკიდებულია თვით მუზეუმში დაცულ ექსპონატთა სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე. მაგალითად, მთასვლელობასთან და ალპინისტთან დაკავშირებული ექსპოზიცია არ არის ყველა მუზეუმში და ის მხოლოდ მაღალმთიან მხარეებშია დაცული. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ჯგუფის დამატება.

მუზეუმში ნანახი ესპოზიციის საფუძველზე მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციას და წარმოადგენენ მათ კლასში.

ზოგიერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია, დაზიანებულია შენობა, ექსპოზიცია განსაახლებელია. სასურველია, თუ მოსწავლეები დაიწყებენ ფიქრს, თუ რა შეიძლება გააკეთონ მათ მშობლიური მხარის მუზეუმებისათვის.

მუზეუმების შესახებ ინფორმაცია (ადგილმდებარეობა, ცნობები დაცული ექსპონატების შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია) იხილეთ დანართში.

მარშრუტი 2. მდ. წყალწითელის ხეობა (ქუთაისი-გელათი-კურსები)

ექსკურსიის მიზანია ქუთაისისა და მისი მიდამოების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა, ლეგენდებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება, აგრეთვე ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა.

ამ მარშრუტის გასწვრივ მოსწავლეები უნდა გაეცნონ მდ. წყალწითელას ხეობას – მის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ტერიტორიის ათვისებისა და თანამედროვე მეურნეობის განვითარების დონეს, კულტურის ძეგლებს, გავრცელებული ლეგენდების რეალურობას, ტოპონიმების დაკავშირებას გარემოსთან. მოსწავლეები ნახავენ და ერთმანეთს შეადარებენ ქრისტიანულ ეკლესიებსა და ებრაულ

სინაგოგას, გააცნობიერებენ და შეაფასებენ იმ როლს, რომელიც შეასრულა ებრაელმა მოღვაწემ ბორის გაპონოვმა ქართული კულტურისათვის.

შემოთავაზებული მარშრუტი 1-დღიანი. დაგეგმილია 7 საკვანძო ნაკვეთზე შეჩერება.

მარშრუტის აღწერა

ექსკურსია იწყება ქ. ქუთაისის ცენტრალური უბნების გაცნობით.

ქალაქი ქუთაისი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს – იმ ადგილას, სადაც მდ. რიონი ვიწრო და ღრმა ხეობიდან გამოდის ფართო ვაკეზე. იგი კოლხეთის დაბლობისა და მიმდებარე მთისწინეთის მიჯნაზე მდებარეობს. ქალაქი ძველად თითქმის თანაბრად განაშენიანებული იყო მდ. რიონის ორივე მხარეს, მაგრამ XX საუკუნის შუა წლებში სამრეწველო მშენებლობის გამო უფრო მეტად განვითარდა მარჯვენანაპირეთი.

ქალაქის ყველაზე დაბალი ადგილი მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია, სადაც კოლხეთის დაბლობი მდებარეობს. ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლე თანდათან მაღლდება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც აბსოლუტური სიმაღლე ოკრიბის პლატოზე 300 მ-საც კი აღწევს. ასეთი დიდი სიმაღლითი ცვლილების გამო ქალაქის სხვადასხვა უბნისათვის განსხვავებული კლიმატია დამახასიათებელი.

ქალაქის მდებარეობა და მრავალფეროვანი ბუნება ძველთაგანვე ხელს უწყობდა გაცვლა-გამოცვლისა და ხელოსნობის განვითარებას. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, დასავლეთ საქართველოში თავისი ცენტრალური მდებარეობის წყალობით ქუთაისი ყველაზე უფრო მოხერხებული პუნქტი იყო საქართველოს მხარეების – იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, გურია-აჭარისა და აფხაზეთის ერთმანეთთან დაკავშირებისათვის. მართალია, შუა საუკუნეებში ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს შესუსტებული იყო ეს კავშირები, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავდა სამეურნეო ურთიერთობებს.

თანამედროვე პერიოდშიც მეტად მნიშვნელოვანი მდებარეობა აქვს ქალაქს, რაც გამოიხატება მის სასარგებლო წიაღისეულის საბადოებთან და სამრეწველო ცენტრებთან სიახლოვით. კერძოდ, ქუთაისთან ახლოს მდებარეობს ტყიბულის ქვანახშირის საბადო, მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვების საბადოები და სხვა. ამასთან მდ. რიონს დიდი ჰიდროენერგეტიკული რესურსი გააჩნია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალაქის ირგვლივ მრავალი დასახლებაა, საკმაოდ მჭიდროდ განლაგებული. აქაურ მოსახლეობას შეუძლია უზრუნველყონ მუშახელითა და სხვა საჭირო კადრებით ქალაქი. მით უმეტეს, რომ სოფლებში მაღალი სიმჭიდროვეა და სოფლის მცხოვრებნი ქალაქისაკენ მიილტვიან.

ქუთაისი და მისი შემოგარენი ხასიათდება ნოტიო და სუბტროპიკული ჰავით. წარსულში აქ ფართოდ იყო განვითარებული კოლხური მცენარეულობა. დღეს კი მათი ადგილი დასახლებებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია.

ქუთაისი – საქართველოს სიდიდით მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრია. იგი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქიცაა. იყო დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს) დედაქალაქი.

ქალაქსა და მის შემოგარენში მრავლადაა ისტორიული და ბუნების ძეგლები. მაგალითად, გელათისა და ბაგრატის ტაძრები, მოწამეთას სამონასტრო კომპლექსი, გეგუთის სასახლე, ძველი ხიდები, სათაფლიის, ყუმისთავის მღვიმეები. გელათის მონასტერი და ბაგრატის ტაძარი შედიოდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, თუმცა ამჟამად სიიდანაა ამოღებული.

საკვანძო წერტილი 1: თეთრი ხიდი

XIX საუკუნის შუა წლებში, როცა ქალაქი ქუთაისი გაფართოვდა, საჭირო გახდა ახალი გზებისა და ხიდების აგება. დაიწყო კიდეც მდ. რიონზე ხიდის აგებისათვის მზადება. მდინარეში ჩაიდგა ქვის სვეტები, რომელზეც გაიდო ხის ხიდი ხის მოაჯირებით. 1852 წელს ხიდის მშენებლობა დამთავრდა და მასზე დაიწყო მიმოსვლა. ხიდი აიგო სამხედრო ინჟინრის ვიტეს პროექტით. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზის პატივსაცემად მას ნიკალაევსკის ხიდი ეწოდა. იმდროისათვის ის საკმაოდ დიდი ხიდი იყო და აკმაყოფილებდა იმდეროინდელი ქუთაისის სატრანსპორტო მოთხოვნებს. მაგრამ 1859 წელს ადიდდა მდ. რიონი და ხიდს საძირკველი გამოაცალა, რის გამოც 1861 წელს იგი ჩაინგრა. გადაწყდა ახალი ხიდის აგება, რომელიც მხოლოდ 1872 წელს გახდა შესაძლებელი. სახაზინო სახსრების გარდა, ხიდის აგებისათვის ქუთაისელებმაც გაიღეს თავიანთი თანხა. სამხედრო ინჟინრის ზეზემანის პროექტით აიგო ახალი ხიდი, რომლის ლითონური კონსტრუქცია თეთრად შეღებეს. ხიდმა სწორედ აქედან მიიღო სახელი. ხიდის თეთრი ფერი ორგანულად შეეფერება მდ. რიონის ხეობის ამ მონაკვეთზე მიმობნეულ თეთრ ქვებს. ხიდის მოაჯირები ლონდონიდანაა ჩამოტანილი. მასზე დაამაგრეს ოთხკუთხა სვეტები განათებისათვის. ძველად ნავთის სანათურებს იყენებდნენ ამისათვის. ხიდზე მიმოსვლა ფასიანი იყო. ამ მიზნით სპეციალური ჯიხურებიც კი იდგა ხიდის მიმდებარედ.

თეთრმა ხიდმა უდიდესი როლი შეასრულა ქალაქის განვითარებაში, თუმცა მოგვიანებით მისი

ეს როლი თანდათან შემცირდა და მან დაკარგა ცენტრალური მაგისტრალის ფუნქცია, ვინაიდან ქუთაისში სხვა ხიდებიც აიგო.

უფრო მოგვიანებით ხიდი იქცა ახალგაზრდა ქუთაისელების თავშეყრის ადგილად. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხიდიდან გადახტომაში. ნამდვილი ქუთაისელობა ამით განისაზღვრებოდა. ხალხში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ხიდიდან გადახტომის ტრადიცია უკავშირდება ჯერ კიდევ იმ პერიოდს, როცა მდ. რიონის მარცხენა მხარეს ქალთა, ხოლო მარჯვენა მხარეს ვაჟთა გიმნაზიები იყო. ვაჟები სიყვარულის დასამტკიცებლად ხიდიდან წყალში ეშვებოდნენ და ასე უმტკიცებდნენ თავიანთ სატრფოებს ერთგულებასა და სიყვარულს. ხიდი შეყვარებულთა შეხვედრის ადგილადაც იქცა. ხიდიდან გადახტომის ტრადიცია ერთ-ერთ ქართულ ფილმ „არაჩვეულებრივ გამოფენაშიცაა“ ასახული. პატარა ბიჭი ზის ხიდის ლითონის მოაჯირზე და წყალში გადახტომას ვერ ბედავს. ბოლოს კი, ის მაინც ეშვება წყალში და მისი ორი წამქეზებლის ქუდებსაც თან წაიყოლიებს. „პიკასოს ბიჭი“ – ასე მონათლა ეს ბიჭი ფილმის ერთ-ერთმა გმირმა. 2006 წელს კი მის სახელზე ხიდზე „პიკასოს ბიჭის“ ქანდაკება დაიდგა. მრავალი ტურისტი მოდის და ფოტოებს იღებენ ამ ქანდაკებასთან. საერთოდ, თეთრ ხიდს ბევრი ტურისტი სტუმრობს და იგი ქალაქის ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც იქცა. ხიდიდან მშვენიერი ხედი იშლება. მოჩანს ქალაქის ძველი უბანი და ბაგრატის ტაძარი.

დღევანდელი ხიდი უფრო ფართოა, ვიდრე ის ზეზემანმა დააპროექტა. 1948-1949 წლებში ქალაქის განვითარებამ მისი გაფართოება მოითხოვა.

ხიდთან დაკავშირებით ასეთი ამბავიცაა გავრცელებული. ერთხელ, როცა რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი თეთრ ხიდზე მიდიოდა, დაუნახავს როგორ ხტებოდა ხიდიდან ყმაწვილი ბიჭი. ეს იყო დიდი რეჟისორისა და შემდგომში ასევე დიდი მსახიობის გიორგი შავგულიძის პირველი შეხვედრა.

საკვანძო წერტილი 2: ბაგრატის ტაძარი

მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, ქ. ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, უქემერიონის, ანუ ოხამერიონის კლდოვან ბორცვზე მდებარეობს ბაგრატის ტაძარი. ქუთაისი ძველად ორ ნაწილად იყოფოდა: ზედა და ქვედა ნაწილად. ბაგრატის ტაძარი მდებარეობდა ქალაქის ზედა ნაწილში.

მეცნიერთა ერთი ნაწილი უქემერიონის სახელს უკავშირებს ბერძნულ სიტყვას „ხიმას“, რაც ზამთარს ნიშნავს. მეორე მოსაზრებით კი იგი ქართული სიტყვა „ოხუა“-დან უნდა მომდინარეობდეს, ისევე როგორც სიტყვები: საოხი, საოხებელი და სხვა. ე.ი. იგი უნდა ნიშნავდეს ადგილს სასაყდრეს, საღმრთოს, საევედრებელს, საოხს.

ბაგრატის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული XI საუკუნეში ბაგრატ III-ის მეფობაში და სახელიც მას უკავშირდება.

საკვანძო წერტილი 3: კათოლიკური ეკლესია

ქუთაისში, მდ. რიონის მარცხენა მხარეს, ებრაელთა უბნის მიმდებარედ არსებობდა „ფრანგების უბანი“ – ასე უწოდებდნენ იმ დასახლებას, სადაც კათოლიკეები ცხოვრობდნენ. დღეს აქ ვითარება შეცვლილია და კათოლიკეები აქ თითქმის აღარც არიან.

შუა საუკუნეებში საქართველოში ჩამოდიოდნენ კათოლიკე მისიონერები. კათოლიკე მისიონერები კარგად ფლობდნენ სააფთიაქო და სამკურნალო საქმეს, რის გამოც მათ ადგილობრივების დიდი ნდობაც ჰქონდათ. ისინი ხშირად უფასოდაც კი მკურნალობდნენ ხელმოკლე ავადმყოფებს.

კათოლიკეების ქუთაისში და საერთოდ, საქართველოში ჩამოსახლებას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ქუთაისში ისინი XVII საუკუნეში სამცხე-ჯავახეთიდან უნდა გადმოსახლებულიყვნენ.

1644-46 წლებში ქუთაისში იმოგზაურა იტალიელმა მისიონერმა დონ კრისტოფორო დე კასტელმა. ის ესტუმრა აგრეთვე გურიასაც. კასტელმა გააკეთა მრავალრიცხოვანი ჩანახატი, სადაც ასახულია იმდროინდელ საქართველოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარება.

1705 წლის ერთ ისტორიულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „***მე იმერთა მეფე, ძე არჩილის, სოლომონ დავითიანი წყალობის წიგნს გიწერ ქუთაისს მდგომ პატრებს, აქ მყოფს და მომავალს. მათი უმაღლესობის, ბატონის ბიძის ჩემისაგან, ბრძანება გქონებოდათ საყდარი გედგათ და შემდგომად მისსა მეც წყალობა გიყავი და გიბოძე, ახლა რომ საყდარი გიდგია, ის ადგილი***“. ეს ჩანაწერი მიუთითებს, რომ კათოლიკური ეკლესიების მშენებლობა ჩვენში დიდი ხანია, რაც დაწყებულა და მათ ქართველ მეფეთა თანადგომაც ჰქონიათ.

XIX საუკუნის დასაწყისში კი სოლომონ II-მ მათ სიგელით უბოძა ადგილი ქუთაისში და ეკლესიის აგების უფლებაც მისცა. 1819 წელს დაიწყო კიდევ კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 1862 წელს დასრულდა. საბჭოთა პერიოდში ეს ეკლესია დაიხურა. დღეს კათოლიკეებს ქუთაისში ახალი სამლოცველო აქვთ.

ქუთაისში მოღვაწე კათოლიკეებმა დიდი როლი შეასრულეს ქალაქის და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ეს მოღვაწეები არიან: პეტრე და იოსებ ოცხელები, პავლე კოკოჩაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი და სხვანი.

იოსებ ოცხელი იყო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსებაში. აქ მრავალი ცნობილი ადამიანი აღიზარდა. მისი ძმისშვილი იყო პეტრე ოცხელი – ქართული თეატრის მხატვარი. მან მხატვრულად გააფორმა ქუთაისსა და თბილისში არაერთი სპექტაკლის დეკორაცია.

კათოლიკეებმა კარგად იცოდნენ მკურნალობის და წამლების დამზადება და თავიანთ ცოდნას ქუთაისელებსაც გადასცემდნენ. მათგან მიიღო ცოდნა ივანე კოკოჩაშვილმაც, რომელმაც შეადგინა „ბოტანიკური ლექსიკონი“ ლათინურ, არაბულ. ოსმალურ, სომხურ და რუსულ ენებზე. პეტრე-პავლე კოკოჩაშვილმა გახსნა პირველი აფთიაქი ქუთაისში და საერთოდ, მთელ ქუთაისის გუბერნიაში. ამ ქუჩას შემდეგ აფთიაქარის ქუჩა (შემდგომ ლერმონტოვს ქუჩა) უწოდეს.

საკვანძო წერტილი 4: ქუთაისის სინაგოგა

XIX საუკუნეში ქუთაისში ცხოვრობდნენ ქართველი ებრაელები. ამ უბანს, რომელიც მდ. რიონის მარცხენა მხარეს, ბორის გაპონოვისა და მწვანეყვავილას დასახლებას შორის მდებარეობდა ებრაელთა უბანსაც ეძახდნენ. ერთ დროს აქ 30 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა, დღეს კი მათი რიცხოვნობა ძლიერ შემცირებულია. ებრაელთა უბანი მდებარეობდა მდ. რიონის მარცხენა მხარეს, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ბორის გაპონოვი იყო ებრაელი ლექსიკოგრაფი, რომელიც გარკვეული პერიოდი ქუთაისში ცხოვრობდა. მან ებრაულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ქუთაისში 3 სინაგოგაა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ აქ ებრაელთა რიცხოვნობა არც ისე მცირე უნდა ყოფილიყო. პირველი სინაგოგა 1852 თუ 1853 წელს ააგეს მწვანეყვავილაზე. დღეს იგი უმოქმედოა. შემდეგ, 1886 წელს ააგეს სინაგოგა, რომელიც 350 მლოცველზე იყო გათვლილი. ეს სინაგოგა დღესაც მოქმედია. შენობა კვადრატული ფორმისაა. მოპირკეთებულია თლილი ქვით. შიგა სივრცე ერთდარბაზიანია. კარადაში დევს თორა – წმინდა წერილის წიგნი, ანუ ბიბლიის ძველი აღთქმა. ფანჯარაზე ჩამოკიდებულია ძვირფასი ფარდა და მას გადაწევენ მხოლოდ მაშინ, როცა თორა (ძველი აღთქმის წიგნი) უნდა გამოაბრძანონ და თებაზე, ანუ კათედრაზე დააბრძანონ წასაკითხად. ამავე ეზოში 1912 წელს ააგეს კიდევ ერთი სინაგოგა, შემდგომ მას მეორე სართული დააშენეს. ეზოში დგას სხვა შენობებიც სხვადასხვა რიტუალების ჩასატარებლად.

საკვანძო წერტილი 5: მოწამეთის მონასტერი

ქუთაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით გზა გასდევს მდ. წყალწითელის მარჯვენა მხარეს. ხეობა აქ კანიონისებრია. მიდამოები კოლხური ტყითაა შემოსილი.

ლეგენდის თანახმად, ეს სახელი მდინარეს მიუღია ხრესილის ომის (1757 წ.) დროს, რადგან სისხლისაგან წყალი წითლად შეღებილა. სინამდვილეში კი, როცა მდინარე დიდდება, ის წითელ ფერს იღებს, ვინაიდან წითელი ფერის ქანებს რეცხავს, რომლითაც აგებულია მდინარის გასწვრივ ხეობა. აქ მრავალი მინერალური წყაროს გამოსავალია და სამკურნალო თვისებებს ძენს მდინარის წყალს. მდინარეში მრავლადაა თევზი (კალმახი, წვერა, ჭანარი, მურწა, ქაშაყი და სხვა), მდინარის ნაპირებზე კი წავი და ნუტრია ბინადრობს.

მარშრუტი აღწევს მოწამეთის მონასტერს. იგი აგებულია არგვეთის ერისთავთა დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელის უკვდავსაყოფად. VIII საუკუნეში არაბთა ლაშქართან ბრძოლაში დამარცხდა ქართული ლაშქარი. არაბთა სარდალმა მურვან ყრუმ ქრისტეს რჯულის უარყოფა მოსთხოვა შეპყრობილ ერისთავებს, მაგრამ მათ არ დათმეს თავიანთი სარწმუნოება. განრისხებულმა სარდალმა ისინი ჯერ 10 დღე აშიმშილა, შემდეგ აწამა. გადმოცემის მიხედვით, სწორედ იქ, სადაც აწამეს ძმები, აგებულია მოწამეთა. აქედან მიიღო მონასტერმაც სახელი. ამბავი დავით და კონსტანტინეს წამების შესახებ მოთხრობილია უცნობი ავტორის თხზულებაში „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“. მონასტერში ყოველწლიურად, 15 ოქტომბერს იმართება სახალხო დღესასწაული მოწამეთობა. აქ ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა: სურვილის ჩაფიქრების შემდეგ, მომლოცველები გაივლიან საძვალის ქვეშ. მათი რწმენით, ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად აუხდებათ.

საკვანო წერტილი 6: გელათის მონასტერი

მარშრუტი კვლავ მდ. წყალწითელის კანიონისებრ ხეობას მისდევს. გზიდან ხელმარჯვნივ, გელათის ხიდია, საიდანაც ჯერ სოფ. გელათში და შემდეგ გელათის მონასტერში შეიძლება მოხვედრა. მონასტერი დაარსებულია XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის თაოსნობით. ლეგენდის მიხედვით, დავით აღმაშენებელიც მუშაობდა გელათის მშენებლობაზე. ორი უზარმაზარი ქვა მდინარის ხეობიდან ტაძრამდე მას მარტო ამოუტანია.

მთავარი ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანია. იგი დაცულია მოზაიკით, რომელიც გელათის მოზაიკის სახელითაა ცნობილი. აქ ისტორიულ პირთა პორტრეტებია, მაგალითად, დავით აღმაშენებლის. აქ იყო სამეფო საძვალე. აქვეა დაკრძალული დავით აღმაშენებელიც, დემეტრე I, გიორგი

III, სოლომონ I და მრავალი სხვა. თამარის ისტორიკოსის ცნობით, აქ უნდა იყოს დასაფლავებული თამარ მეფეც.

როგორც ფიქრობენ, სიტყვა „გელათი“ უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „ღენიჰს“, ანუ „გენას“, რაც ნიშნავს შობას. ე.ი. ეს სიტყვა უკავშირდება ღვთისმშობლის შობას. აქედან უნდა შემოსულიყო ის ქართულში სახეცვლილი ფორმით – „გენეტოს“, შემდეგ კი იცვალა სახე ამგვარად – „გაენატოს“. ქუთათური მღვდელმთავრები დღეს ატარებენ გაენათელის ტიტულს (ქუთათელ-გაენათელი). სიტყვა „გაენათი“ წამოსულია „გენა“-დან.

საკვანძო წერტილი 7. კურსების ტეშენიტის საბადო

იმერეთი მდიდარია მოსაპირკეთებლი და საშენი ქვებით. იგივე ითქმის ქ. ქუთაისის მიდამოებზეც. მდ. წყალწითელის ხეობაში ორი საბადოა: გელათის ქვისა და კურსების ტეშენიტის. გელათის ქვის საბადო მდ. წყალწითელის მარჯვენა მხარეს, ხიდთან ახლოს მდებარეობს, ხოლო ტეშენიტის საბადო კიდევ უფრო ჩრდილოეთით, სოფ. კურსებთან. აქაური ტეშენიტი მაღალი ხარისხისაა და ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა შენობათა მოსაპირკეთებლად. აქვე მუშაობს ფილების დამამზადებელი ქარხანა.

მარშრუტი 3. ქუთაისი-წყალტუბო-პრომეთეს მღვიმე

ექსკურსიის მიზანი დაახლოებით იგივე, რაც წინა მარშრუტისათვის იყო განსაზღვრული. მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ქუთაისისა და მისი მიდამოების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლები, აგრეთვე ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა.

ამ მარშრუტის გასწვრივ მოსწავლეები უნდა გაეცნონ საქართველოს პარლამენტს, ქალაქ წყალტუბოსა და მისი მიდამოების ბუნებრივ სიმდიდრეებს, ტერიტორიის ათვისებისა და თანამედროვე მეურნეობის განვითარების დონეს, კულტურის ძეგლებს, გავრცელებული ლეგენდების რეალურობას, მღვიმეებსა და მათი წარმოშობის პირობებს. მოსწავლეები ნახავენ და ერთმანეთს შეადარებენ ქრისტიანულ და კათოლიკურ ეკლესიებს, გააცნობიერებენ მათ.

შემოთავაზებული მარშრუტი 1-დღიანი. დაგეგმილია 5 საკვანძო ნაკვეთზე შეჩერება.

მარშრუტის აღწერა

საკვანძო წერტილი 1. საქართველოს პარლამენტი

2012 წლამდე საქართველოს პარლამენტი თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე მდებარეობდა. დღეს იგი ქ. ქუთაისშია (თუმცა პარლამენტის საკომიტეტო სხდომები ისევ თბილისში, ე.წ. ძველი პარლამენტის შენობაში ტარდება) მდ. ოღასკურის (რიონის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე. ძველი პარლამენტის შენობა XX საუკუნის შუა წლებში აიგო და მის გაფორმებაში გამოყენებულია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მოტივები. ქუთაისში მდებარე ახალი შენობა კი თანამედროვე სტილზეა აგებული, რომელიც ესპანელებმა დააპროექტეს. მას აქვს მინის დიდი კამარა, რომელიც შუაზე გაყოფილია ბეტონის ფართო თეთრი სარტყლით. მისი ბოლოები გრძელდება მიწაზე, სადაც შენობაში შესასვლელებია მოწყობილი.

საქართველოს პარლამენტი განახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას და აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას, მათ მიერ კანონების აღსრულებასა და უფლება-მოვალეობების დაცვას.

საკვანძო წერტილი 2: გუმბრინის საბადო

ქუთაისიდან ჩრდილო-დასავლეთით გზა მიემართება სოფ. გუმბრისაკენ. იგი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. მისი მიდამოები მთლიანად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია. სოფლის მიდამოებში მდებარეობს მათეთრებელი (ბენტონიტური) თიხების – გუმბრინის საბადო. იგი აღმოაჩინა ჯერ კიდევ 1916 წელს ალექსანდრე თვალჭრელიძემ. საბადოს ექსპლუატაცია კი დაიწყო 1930 წელს.

გუმბრინს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. უპირველესად კი ნავთობის მრეწველობაა მისი მომხმარებელი. გარკვეული რაოდენობის თიხის ნავთობში ჩაშვებით ხდება მისი გაწმენდა მინარევებისაგან. ამავე დანიშნულებით იყენებენ მას ღვინის წარმოებაშიც. მას ასევე იყენებენ სპირტების გასაწმენდად. მისგან მზადდება საპონი, შამპუნი, კაუჩუკი. მას იყენებენ მეტალურგიაში ყალიბების დასამზადებლად, გასათეთრებლად ქაღალდის წარმოებაში და ა.შ.

საკვანძო წერტილი 3: წყალტუბოს მინერალური წყაროები

მარშრუტი მიემართება კვლავ ჩრდილო-დასავლეთისაკენ. გზა კვლავ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შორისაა მოქცეული. იზრდება განაშენიანებული ადგილების ფართობიც და იგი აღწევს ქ. წყალტუბომდე.

წყალტუბო ბალნეოლოგიური კურორტია, რომლის სამხრეთი ნაწილი კოლხეთის დაბლობის, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი – სამგურალის ქედის მთისწინეთშია. კურორტი ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ იგი გახსნილია შავი ზღვიდან მოსული ნოტიო ჰაერის მასებისათვის, ხოლო ზამთარში ცივი ჰაერის მასების აქ შემოღწევას აფერხებს კავკასიონი. ძველთაგანვე ცნობილია აქ არსებული მინერალური წყაროები, რომელთაც სამკურნალო ღირებულება აქვს. წყლის ტემპერატურა 33-35^0-ია – ადამიანის სხეულის ტემპერატურის მსგავსი, ამიტომ წყალს გათბობა არ ჭირდება და პირდაპირ მიეწოდება აბაზანებს. ასეთი ტემპერატურის წყლებს თერმულს უწოდებენ. წყალი სუფთა და უსუნოა.

მას იყენებენ სააბაზანო პროცედურებისათვის რამდენიმე ათეული დაავადების სამკურნალოდ – საყრდენ-მამოძრავებელი, კარდიოლოგიური, კანის ზოგიერთი დაავადების და სხვათა სამკურნალოდ. კურორტი ფუნქციონირებს მთელი წლის მანძილზე. საკურორტო ზონაში რამდენიმე აბაზანაა მოწყობილი. იგი გარემოცულია სხვადასხვა ჯიშის მრავალწლოვანი ხეებით. აქვეა ხელოვნური ტბა, რომლიც 1930-იან წლებში მდ. წყალტუბოს ჩახერგვით წარმოიქმნა..

უახლოეს წარსულში ყოველწლიურად 120 ათასი დამსვენებელი ჩამოდიოდა, მაგრამ 1990-იან წლებში ვითარება ძლიერ შეიცვალა. აქ აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა შეასახლეს.

დღეს კურორტი კეთილმოწყობილია.

საკვანძო წერტილი 4: პრომეთეს მღვიმე

მარშრუტის შემდეგი მონაკვეთი კვლავ ჩრდილოეთისაკენ მიემართება. სოფ. ყუმისთავთან მდებარეობს პრომეთეს მღვიმე. მას სხვადახვა სახელითაც იხსენიებენ – წყალტუბოს, ყუმისთავის, ან ღლიანის მღვიმე. იგი აღმოაჩინეს 1984 წელს. აქ 17 დარბაზია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება სიდიდითა და ნაღვენთის ფორმებით. მღვიმური სისტემის საერთო სიგრძეა 35 კმ. მღვიმეს მრავალი განშტოება აქვს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი. აქ მიედინება მიწისქვეშა მდინარე, არის ტბაც. ჰაერის ტემპერატურა აქ უცვლელია, ზამთარ-ზაფხულ 14^0-ია. ჰაერის ტენიანობა მაღალია. მაგრამ მნახველები უჰაერობისაგან არ წუხდებიან, ვინაიდან გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით. ერთ-ერთ დარბაზში ღამურების კოლონიაა.

მღვიმე კეთილმოწყობილია. ტურისტული მარშრუტის სიგრძე 1 კმ-ზე მეტია, ამიტომ მის გავლას დაახლოებოთ 1 საათი სჭირდება. მღვიმეში 6 დარბაზია, საფეხმავლო გზის გარდა 380 მ სიგრძის სანაოსნო გზაა მოწყობილი. აქ არის ხელოვნური განათება, ლაზერშოუ. მღვიმის დათვალიერება კლასიკური მუსიკის ფონზე მიმდინარეობს.

მარშრუტი 4. ბათუმი – პალიასტომის ტბა – ნოქალაქევი

მარშრუტის აღწ ერა

საკვანძო წერტილი 1: ქ. ბათუმი

მარშრუტი იწყება ქ. **ბათუმთან**. ეს ადგილი უძველესი დროიდანაა დასახლებული. ანტიკურ პერიოდში კი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, სადაც გაცხოველებული იყო ვაჭრობა. ხელსაყრელი მდებარეობის გამო შემდეგ საუკუნეებში ბათუმი კიდევ უფრო დაწინაურდა და იგი საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად და ნავსადგურად ჩამოყალიბდა, სადაც მრავალი უცხო ქვეყნის გემები შემოდიოდა. ბოლო წლებში ბათუმი განახლდა. აიგო ახალი შენონები, რამაც განსაკუთრებით გაზარდა ტურისტთა რაოდენობა. აქ საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებები ტარდება.

სიტყვა „ბათუმი“ ბერძნულია – „ბათოს“ ნიშნავს ღრმას.

ქალაქის სამხრეთით გონიოს ვაკე და მდ. **ჭოროხის** შესართავია. მდინარე სათავეს იღებს თურქეთში, ოქუს-ბადადაღის მთებში და მიედინება აღმოსავლეთ პონტოსა და ჩრდილოეთ ტავრის მთებს შორის. სოფ. კირნათთან შემოდის საქართველოს ფარგლებში და ერთვის შავ ზღვას ქ. ბათუმის სამხრეთით. საქართველოს ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანი შენაკადებია: აზარისწყალი, მაზახელისწყალი. ვახუშტი ბაგრატიონი ჭოროხს ისპირის მდინარის სახელწოდებით მოიხსენიებს. ეს სახელი მიუღია მის ხეობაში მდებარე ქალაქ ისპირიდან. ქართული მატიანე კი მას სპერის სახელით მოიხსენიებს. სპერი იყო ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი მხარე. ბაგრატიონების სამეფო დინასტია წარმოშობით ამ მხარიდან იყვნენ. ძველ ქართულში სიტყვა ჭოროხი ზოგადი სახელი იყო. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მიხედვით, ჭოროხი არის „მდინარისაგან შეყრილი ქვიშა“. ეს სიტყვა შემდგომ საკუთარ სახელად ქცეულა. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძველ დროშიც ცოდნიათ, რომ მდინარეს დიდი რაოდენობით ნაშალი ჩამოაქვს. ეს ნაშალი სანაპიროზე ლაგდება და ამით ნარჩუნდება აჭარის სანაპირო. უკანასკნელ წლებში მდ. ჭოროხზე, თურქეთში არაერთი კაშხალი ააგეს, რამაც ძლიერ შეამცირა ნაშალის ჩამოტანა. ამან საშიშროება შეუქმნა აჭარის სანაპიროს.

საქართველო-თურქეთის საზღვარზე სოფელი და საბაჟო-გამშვები პუნქტი **სარფია**. 1921 წელს უცნაურად გადაწყდა სოფლის ბედი. ყარსის ხელშეკრულებით, რომელიც თურქეთსა და ამიერკავკასიის (მათ შორის საქართველოს) რესპუბლიკებს შორის დაიდო ქ. ყარსში (თურქეთი) სოფელი ორად

გაიყო: ერთი ნაწილი მოხვდა საქართველოში, მეორე კი – თურქეთში. საზღვარი გატარდა სოფელში გამავალ პატარ მდინარეზე – ტიბაშისხევზე. სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა ლაზებია.

საკვანძო წერტილი 2: ბათუმის ბოტანიკური ბაღი

მარშრუტი ქ. ბათუმიდან ჩრდილოეთით, ზღვის სანაპიროს გასდევს. აქ მდებარეობს საქვეყნოდ ცნობილი კურორტი მახინჯაური და **ბათუმის ბოტანიკური ბაღი** – მწვანე კონცხზე. იგი დაარსდა 1912 წელს და მას სათავე დაუდო ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრეი კრასნოვმა. აქვეა მისი საფლავიც.

ბაღის რელიეფი მთაგორიანია. აქ დარგულია კოლხური, ხმელთაშუაზღვიური, ახალზელანდიური, ჩრდილოეთ და სამხრეთამერიკული ფლორის წარმოადგენლები. სულ 5000-ზე მეტი სახეობის მცენარე. ბაღის სრულყოფილ დათვალიერებას 1 დღეს არ ჰყოფნის, მაგრამ ბაღის თუნდაც ერთი კუთხის ვიზიტიც კი მრავლისმთქმელია და არაერთი საინტერესო ინფორმაციის გაგება შეიძლება აქ მომუშავე გიდის მეშვეობით.

საკვანძო წერტილი 3: ქობულეთის დაცული ტერიტორია

ბოტანიკური ბაღის შემდეგ კვლავ კურორტებია: ჩაქვი, ციხისძირი, ქობულეთი. სწორედ ქობულეთიდან იწყება **კოლხეთის დაბლობი.** მისი უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ცენტრალური ნაწილი, ბრტყელია, ან ჩადაბლებულია და უმნიშვნელოდაა დახრილი შავი ზღვისაკენ. ატმოსფერული ნალექების სიუხვეს და რიგ სხვა გარემოებებთან ერთად, ეს ხელს უწყობს დაჭაობებას. ქალაქის მიდამოებში ჭაოქობულეთის დაცული ტერიტორიაა. იგი დაარსდა ჭარბტენიან ტერიტორიაზე (ჭაობებში) ფრინველებისათვის საბინადროდ ვარგისი ადგილის არსებობის გამო. ეს ადგილი მცენარეთა მრავალფეროვნებითაცაა გამორჩეული. იგი აღიარებულია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ადგილად, ანუ შესულია რამსარის სიაში. რამსარი ქალაქია ირანში, სადაც 1971 წელს ხელი მოეწერა საერთაშორისო კონვენციას, საქართველო კი მას 1996 წელს შეუერთდა.

ჭაობების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, მასში თავმოყრილია დიდი რაოდენობის მტკნარი წყალი, იგი დატბორვისა და წყალდიდობისაგან იცავს მიმდებარე ტერიტორიებს, იცავს ნიადაგს ეროზიისაგან და ინარჩუნებს მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნებას. აქ თავს იყრის უამრავი გადამფრენი ფრინველი, რომლებიც ზამთარში ჩრდილოეთ ევროპიდან თბილი ქვეყნებისაკენ მიფრინავენ, ხოლო ზაფხულში – უკან ბრუნდებიან. ამიტომ იცავენ კოლხეთის ჭაობებსაც. თუმცა ახლო წარსულში მას აშრობდნენ და სასოფლო-სამეურნეო სავარგულად აქცევდნენ.

კოლხეთის ჭაობების ათვისების ისტორია XIX საუკუნეს უკავშირდება. თუმცა ამ დროს ტორფის მოპოვება მეტად შეზღუდული იყო. გაცილებით მეტი აქცენტი სხვა წიაღისეულის მოპოვებაზე კეთდებოდა, ნავთობზე, როგორც მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნედლეულზე. ტორფის საბადოთა შესწავლა-ათვისება საქართველოში დაიწყო 1930-იან წლებში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი კი ტორფის მოპოვებამ 1950-იანი წლებიდან მიიღო. ჭაობების ამოშრობამ დადებითი როლიც შეასრულა. მალარია – საშიში ინფექციური დაავადება, რომელიც მუსრს ავლებდა ადგილობრივებს, თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა.

მდ. ოჩხამურთან ახლოს საწრეტი არხების მთელი სისტემაა მოწყობილი. ამ არხებითაა დაფარული კოლხეთის დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მდ. ჩოლოქის შესართავიდან გურიაში შევდივართ, ვკვეთთ მდ. ნატანების შესართავს და გავივლით კურორტ **ურეკს**. მისი დაარსება უკავშირდება სამკურნალო თვისებების ქვიშიანი პლაჟების არსებობას. მდ. სუფსის გადაღმა, მის მარჯვენა მხარეს კურორტი **გრიგოლეთია**, ასევე მაღალი სამკურნალო ღირებულების ქვიშებით. გადმოცემის მიხედვით, ურეკი ტყიან და გაუვალ ადგილს ნიშნავს. ამ მოსაზრებას მეცნიერთა ნაწილი იზიარებს.

მარშრუტი აღწევს სოფ. წყალწმინდას, სადაც 1999 წელს გაიხსნა **სუფსის ტერმინალი**. სწორედ ამ წლის ზაფხულში დაიტვირთა აქ ნავთით პირველი ტანკერი. ეს არის ბაქო-სუფსის ნაბთობსადენის ბოლო წერტილი. აქ ნავთობის რამდენიმე რეზერვუარია, რომელიც 160 000 ტონა ნავთობის ტევადობისაა. შავი ზღვა ყველაზე მეტად ჭუჭყიანდება ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით, რომლებიც ტანკერების ავარიებისა და სანაპიროს მახლობლად განლაგებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ნარჩენების სახით ხვდება წყალში. იგი ზღვის ზედაპირზე წარმოქმნის თხელ აპკს, რაც ძლიერ აფერხებს მზის სხივისა და ჟანგბადის შეღწევადობას წყლის სიღრმეში. ეს კი დამღუპველად მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმებზე, ხოლო ნავთობის წყალში დიდი რაოდენობით მოხვედრის შემთხვევაში, იღუპება წყალმცენერეები და თევზები. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სუფსის ტერმინალიდან მოხდეს ნავთობის ისეთი სახით გადაზიდვა, რომ ის ზღვის წყალში არ ჩაიღვაროს.

საკვანძო წერტილი 4. პალიასტომის ტბა

მდ. სუფსის გადაკვეთის შემდეგ კურორტი **გრიგოლეთია**, ასევე მაღალი სამკურნალო ღირებულების ქვიშებით. კიდევ უფრო ჩრდილოეთით კი **პალიასტომის ტბაა**. საქართველოში იგი სიდიდით მესამე ტბაა (ფარავნისა და კარწახის ტბების შემდეგ). მისი მაქსიმალური სიღრმე 3 მ-ია. ზაფხულში

ტბის წყალი თბილია, ხოლო ზამთარში – ცივი. ცივ ზამთარში ჩნდება ყინულნაპირისი. დამახასიათებელია წყლის დონის მკვეთრი ცვალებადობა წლის მანძილზე, აგრეთვე ძლიერი ღელვები. ეს მოვლენა აღწერილია ეგნატე ნინოშვილის „პალიასტომის ტბაში“: „***თითქო შავ ზღვას უმზითვებია ამ პატარა თავისი ნათესავისთვის შფოთიანობა, გახელება, ადამიანის მტრობა, როცა ქარი ამოიზრება, პალიასტომიც გაშავდება, გაპირკუპრიანდება, წამოიქოჩრება, პირზე თეთრ ღრუბელს მოიყენებს და ცასა და ქვეყანას ჩაყლაპვას უპირებს ეს პატარა ვეშაპი***“. ტბაში ჩაედინება პატარა მდინარეები: ფიჩორი, შავწყალა, თხორინა, ხოლო მისგან გაედინება და შავ ზღვას უერთდება მდ. კაპარჭინა. 1924 წელს ტბის სამხრეთ-დასავლეთი ნაპირიდან გაიყვანეს არხი ზღვისაკენ. ამით ტბის წყლის დონე გაუთანაბრდა ზღვისას. მაგრამ 9 წლის შემდეგ, ძლიერი ზვირთცემის შედეგად, არხი სრუტედ გადაიქცა. ამის გამო ზღვის მლაშე წყალი შემოიჭრა ტბაში და მისი მარილიანობა გაიზარდა. ამ გარემოებამ ცუდად იმოქმედა მტკნარი წყლის თევზებზე.

საქართველოს ტბებს შორის პალიასტომის ტბა ყველაზე მდიდარია თევზით, თუმცა დღეს მისი პროდუქტიულობა შემცირებულია. აქ ცხოვრობს 50-მდე სახეობის თევზი, რომელთაგან სარეწაო მნიშვნელობა აქვს: ფარგას, კობრს, კაპარჭინას, კეფალს და სხვ. მტაცებელი თევზებიდან აქ გვხვდება ლოქო და ქარიყლაპია (იგივე წერი). ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებს თევზებით სიმდიდრეზე: „***კვალად ფოთის სამხრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიატომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღვას მდინარე ამისივე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსვენებისათვის. იპყრობის თევზნი სხვადასხვანი მას შინა ურიცხვნი***“.

შორეულ გეოლოგიურ წარსულში პალიასტომის ტბა შავი ზღვის უბე იყო, ხოლო ისტორიულ პერიოდში იგი გამოეყოფა მას და ტბად ქცეულა. ამჟამად იგი ზღვისაგან 2 კმ სიგანის ქვიშიანი ზოლითაა გამოყოფილი. არსებობს მოსაზრება, რომ ზღვის ამ უბეში ჩაედინებოდა მდინარეები: რიონი, ენგური, ხობი, სუფსა და სხვ. ტბის სახელწოდებაც აქედან უნდა მოდიოდეს. ბერძნულად „პალეო“ ნიშნავს „ძველს“, ხოლო „სტომა“ – „პირს“, „შესართავს“. მდინარეების მიერ უბეში უხვად ჩატანილი მყარი ნაწილაკებით ამოვსებულა იგი და ზღვასთან კავშირი შეწყვეტილა. ტბის წარმოქმნასთან დაკავშირებით ლეგენდაც არსებობს. კვლავ გავიხსენოთ ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა“ და იქ მოთხრობილი ლეგენდა, რომელიც გავრცელებული იყო გურიაში: „***ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ, თურმე, ხმელეთი იყო, ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს „პავლიას ტომს“ ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია ერთ ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაფარა***“.

ტბასთან მდებარეობს **ქ. ფოთი**. ადამიანი ამ ადგილას უხსოვარი დროიდანაა დასახლებული. არქეოლოგებმა აქ მრავალ ნასახლარს მიაკვლიეს. როგორც ფიქრობენ ეს დასახლებები იმ დროს უნდა გაჩენილიყო, როცა შავი ზღვის დონე, თანამედროვესთან შედარებით, უფრო დაბლა იყო. ამის გამო აქ ხელსაყრელი გარემო იყო დასახლებისათვის. ადგილობრივი წარმოშობის ნივთების გარდა, აქ სხვა ქვეყანაში დამზადებული კერამიკის ნიმუშებიც იქნა მიკვლეული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ დასახლებებში ვაჭრობა იყო განვითარებული.

როგორც მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, ფოთის ძველი სახელი ფასისია. ამ სიტყვიდან კი მოდის ხობის ლათინური სახელიც. დღეს ფოთი საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქი და ნავსადგურია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპა-აზიის კორიდორში ტვირთების გადაზიდვაში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ფოთი-ილიჩევსკ-ვარნის სარკინიგზო ბორანი, რომელიც ფოთს (ისევე როგროც ბათუმს) შავი ზღვის ევროპულ ქვეყნებთან აკავშირებს.

საკვანძო წერტილი 5. ნოქალაქევი

ქ. ფოთიდან მარშრუტი კვეთს მდ, რიონს და საავტომობილო გზა კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში მიემართება. აქედან უკვე სამეგრელოს ტერიტორიაა. მიდამოები თითქმის მთლიანადაა ათვისებული: დასახლებები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საწრეტი არხებია ირგვლივ გადაშლილი. გზის გასწვრივ მდებარეობს სოფლები: პატარა ფოთი, საბაჟო (ყოფილი ჭალადიდი), ახალსოფელი, ბულიში და სხვა. მარშრუტი აღწევს **ქ. სენაკს**. იგი მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს. საბჭოთა პერიოდში იგი მიხა ცხაკაიას სახელს ატარებდა. ცნობილია, რომ ჩვენს უახლოეს წარსულში, საბჭოთა პერიოდში არაერთ ძველ ქართულ ტოპონიმს შეეცვალა სახელი, მათ შორის ქ. სენაკიცაა. იგი საბჭოთა რევოლუციონერისა და პოლიტიკური მოღვაწის სახელით მოინათლა. 1990-იანი წლებში მან აღიდგინა პირვანდელი სახელი.

მდ. ტეხური სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ ფერდობზე და რიონს ერთვის ქ. სენაკის სამხრეთით. მდინარის წყალი ანკარაა, თუმცა წყალდიდობისას იგი ძლიერ იმღვრევა, ვინაიდან ახდენს მთების გადარეცხვასა და ნგრევას. ნაშალი მასალა მდინარეს უხვი რაოდენობით მოაქვს. ეს მოვლენა ძველ დროში შეუმჩნევიათ ადგილობრივებს. ვახუშტი ბაგრატიონი მდინარის სახელწოდების წაროშობასაც კი ამ მოვლენას უკავშირებს: „***იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა თუ სხვასა რაის***“. მდინარის წყალს იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად და წისქვილებისათვის. მრავლადაა მინერალური წყლების გამოსავლებიც. მათ შორის გამოირჩევა ლებარდე (ზემო წელში) და ნოქალაქევი (შესართავთან ახლოს).

მდ. ტეხურის აყოლებით სოფლებია: ძველი სენაკი, კოტიანეთი, გახომელა. გზა კვეთს მდ. ტეხურს და მის მარცხენა ნაპირს მისდევს. სწორედ ამ ადგილას, იქ, სადაც მდინარე გამოდის კლდოვანი ხეობიდან, მდებარეობს ისტორიული ციხე-ქალაქი **ნოქალაქევი** (ქართულ წყაროებში – ციხეგოჯი, ქუჯის ციხე, რომაულ და ბიზანტიურ წყაროებიში – არქეოპოლისი), რომელიც ძველად ეგრისის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი და დედაქალაქი იყო. სახელწოდება ნიშნავს ადგილს, სადაც ძველად ქალაქი ყოფილა – ნაქალაქარი. ტეხური აქ ისეთ მუხლს აკეთებს, რომ ქალაქი სამი მხრიდან მდინარით იყო შემოფარგლული. ერთ მხარეს კი კლდე იყო აღმართული, რის გამოც იგი კარგად დაცული იყო. აღმოსავლეთ ნაწილში აგებული იყო 3 გალავანი. ეს კი მეტად ართულებდა მის აღებას. ციხეგოჯი საკმაოდ გამაგრებული ქალაქი ყოფილა. ადრეულ საუკუნეებში სპარსელებს მასზე იერიში სამჯერ მიუტანიათ და მხოლოდ მესამე მცდელობაზე მოუხერხებიათ მისი აღება. VIII საუკუნეში იგი მურვან ყრუს გაუნადგურებია. ქალაქი თანდათან დაკნინდა და სოფლად იქცა. XVI საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა აქ ჩადგა სასახლე და შემდგომში იგი დადიანთა რეზიდენციად იქცა.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ნოქალაქევის ადგილას მდებარეობდა მითიური ქალაქი აია, საიდანაც იასონმა, მედეამ და არგონავტებმა ოქროს საწმისი მოიტაცეს და საბერძნეთში წაიღეს. არქეოლოგებმა აქ უამრავი უძველესი ნივთი აღმოაჩინეს, რომელთა შორის უძველესი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ეს ნივთებია: ცხვრის, ცხენის, ღორის კერამიკული ქანდაკებები; ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის, მინის მძივები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები. არაადგილობრივი თიხის ჭურჭლის აღმოჩენა კი ვაჭრობის აქ ადრეულ საუკუნეებში დაწინაურებაზე მიგვანიშნებს. აქ ასევე მიკვლეულია სასახლეები, ქრისტიანული ტაძრები, აბანოები, წყალსაცავი, გვირაბი და სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები.

საკვანძო წერტილი 6. მარტვილის კანიონი

ნოქალაქევიდან ერთი გზა ჩრდილოეთით მიემართება მდ, ტეხურის აყოლებით, რომელსაც სოფ. **სალხინომდე** მივყავართ. აქ მდებარეობს დადიანისეული სასახლე – საზაფხულო რეზიდენცია. იგი ცნობილი იყო დიდი მარნით, სადაც ჩაშენებული იყო ქვევრი და მდიდრულად გაფორმებული ბუხარი. ნოქალაქევიდან მეორე გზა აღმოსავლეთით მიემართება – მდ. აბაშისაკენ . აქ იგი გაივლის სოფლებს: ჯიხასა და ლებაღათურეს. გზა გასდევს მდ. აბაშის მარჯვენა მხარეს. გზა მიუყვება სოფლებს: ჯოლევს, აბედათს, სერგიეთს, ბობოთს და აღწევს ქ. **მარტვილს**. ისევე როგორც სენაკს, საბჭოთა პერიოდში ისიც პოლიტიკური მოღვაწის – ალექსი(საშა) გეგეჭკორის სახელს ატარებდა. 1990-იან წლებში კი კვლავ ძირძველი სახელი დაუბრუნდა.

ქალაქში მაღალ ბორცვზე დგას შუა საუკუნეების **მარტვილის მონასტერი**. ძველად ამ ტერიტორიაზე მდგარა მუხის უზარმაზარი ხე. იგი ნაყოფიერების, გამრავლებისა და ოჯახის კეთილდღეობის მფარველ სალოცავად იყო მიჩნეული. ადგილობრივები მას თაყვანს სცემდნენ. შემდგომ კი მუხის ადგილას ანდრია პირველწოდებულის სახელზე ააგეს ეკლესია – იმ ადამიანის სახელზე, ვინც პირველად იქადაგა სამეგრელოში ქრისტიანობა. VII საუკუნეში კი უკვე მარტვილ-ჭყონდიდის ტაძარი ააგეს. გადმოცემის მიხედვით, მისი სატრაპეზო მოჭრილი მუხის ფესვებს დაეფუძნა. ტაძარი არაერთხელ დააზიანა შემოსეულმა მტერმა. მონასტრიდან არაჩვეულებრივი ხედი იშლება. ხელის გულზე მოჩანს თითქმის მთელი სამაგრელო და იმერეთი.

ქ. მარტვილის ჩრდილოეთით მდ. აბაშა ვიწრო ხეობაში მიედინება. მარტვილიდან 5-დე კილომეტრში იგი ქმნის კანიონს, რომლის სიგრძე 2 კმ-ზე მეტია, სიგანე – 5-10 მ, ხოლო სიღრმე – 20-30 მ.ერთგან კანიონი აღწევს 50-70 მეტრის სიღრმეს, სიგანე 5-6 მეტრია. ამ ადგილებში აგებულია ჰიდროელექტროსადგური. არის 10 მ-ზე მეტი სიმაღლის ჩანჩქერიც. სილამაზით განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი ადგილი ოფუცხოლე, რომელიც „დადიანების საბანაოს“ სახელითაა ცნობილი. მიდამოები შემოსილია კოლხური ტყეებით.

მარშრუტი 5. ბორჯომის ხეობა – ხერთვისი – ვარძია

მარშრუტის აღწერა

საკვანძო წერტილი 1: სოფელი ტაშისკარი

ბორჯომის ხეობა იწყება სოფ. ტაშისკართან (ეკუთვნის ხაშურის მუნიციპალიტეტს) და გრძელდება სოფ. აწყურამდე (ახალციხის მუნიციპალიტეტი). იგი მოქცეულია აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედებს შორის. სოფ. **ტაშისკარი** ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს.

1609 წელს ქართლში ოსმალთა და ყირიმელ თათართა ჯარი შემოიჭრა. მათ ააოხრეს და გაძარცვეს სოფლები, ამოჟლიტეს და ტყვედ წაიყვანეს მოსახლეობა.

ოსმალებმა სცადეს შეჭრილიყვნენ სოფ. ცხირეთში (შიდა ქართლი) განლაგებულ მეფის ბანაკისაკენ, სადაც მეფე ლუარსაბ II ეგულებოდათ. მათ სოფ. კველთის მღვდელი თევდორე შეიპყრეს

და მეგზურობა მოსთხოვეს. მღვდელმა მტერი მოატყუა და სხვა მიმართულებით წაიყვანა. ამით ისარგებლეს ქართველებმა. მათ შეკრიბეს ლაშქარი გიორგი სააკაძისა და ზაზა ციციშვილის სარდლობით სოფელ ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაზე, მტერი უკუაქციეს. გორისაკენ მიმავალ მტერს ხიდი აყრილი დახვდა, ამიტომ მათ პირი ახალციხისაკენ იბრუნეს, სოფ. ტაშისკართან დაბანაკდნენ. ქართველთა ლაშქარმა კი მათ ახალციხისაკენ მიმავალი გზა გადაუჭრეს და განთიადისას მოულოდნელად თავს დაესხნენ კიდეც. მტერი თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

ტაშისკარიდან საავტომობილო გზა მიუყვება მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. **მდ. მტკვარი** სათავეს იღებს თურქეთში, კოლას ტაფობში. როგორც ფიქრობენ, სახელწოდება უკავშირდება კოლას. ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ წყაროებში „მტკვარი“ ამავე სახელწოდებით, უთარგმნელადაა მოხსენიებული, განსხვავებით იმ ტრადიციისა, რომელიც დამკვიდრებული იყო ძველად. თუ ტოპონიმის მნიშვნელობა ცნობილი იყო ბერძნებისათვის, მაშინ ისინი მას თარგმნიდნენ, ისევე როგორც ვარდციხე თარგმნეს როდოპოლისად, ცხენისწყალი ჰიპოსად. სწორედ ამიტომ ვარაუდობენ, რომ მტკვრის მნიშვნელობა იმ ძველ დროშიც უცნობი უნდა ყოფილიყო.

ტაშისკარიდან აწყურამდე აქ მდებარეობს დასახლებული პუნქტი ახალდაბა, სოფლები: ზანავი, რველი, ყვიბისი და სხვა.

ახალდაბასთან, გზიდან ხელმარცხნივ მტკვარს უერთდება მდ. **ნეძვისწყალი**, ნეძურა. მდინარის ხეობაში გაბატონებულია კოლხური რელიქტური სახეობების სიმრავლით გამოირჩეული წიფლნარი და წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყეები, რითაც იგი განსხვავდება თრიალეთის ქედის დანარჩენი, მისგან აღმოსავლეთით მდებარე ნაწილისაგან. იგი უფრო მეტ მსგავსებას იჩენს დასავლეთ საქართველოს მცენარეულ საფართან. წიფლის გარდა, აქ გვხვდება წაბლი, უხრავი, ურთხელი და სხვ. მარადმწვანე ქვეტყიდან დამახასიათებელია შქერი, წყავი და სხვ. ხშირია ლიანებიც.

მდინარის ზემო წელში მდებარეობს **ნეძვის მონასტერი** (IX ს.). იგი ნაგებია რუხი ფერის ქვით. ეკლესიის თავდაპირველი გეგმით გამოვლინდა, რომ იგი საქართველოში დღემდე ცნობილ სამეკლესიან ბაზილიკათა შორის უდიდესი ყოფილა. მონასტერი დააარსა გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთმა მოწაფემ – თედორემ: „***პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორÀ ვანსა ნეძÀ ხოლო ქრისტეფორÀსა კÀრიკე-წმიდაÀ და მოწაფენი დაუტევნეს***“. მონასტრის შესასვლელში ჩამოკიდებულია ზარი მხედრული წარწერით. შემორჩენილია ნანგრევები. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს სიტყვა „ნაძვი“-დან, ვინაიდან იგი მდებარეობს ნაძვნარში. 1060 წელს აქ უცხოვრია ათონის ლავრიდან ჩამოსულ გიორგი მთაწმინდელს.

ბორჯომის ხეობა მოქცეულია სოფლებს ტაშიკარსა და აწყურს შორის. იგი შიდა ქართლის ვაკეს აკავშირებს ახალციხის ქვაბულთან. როგორც ფიქრობენ, სახელწოდება „ბორჯომი“ წარმოქმნილი უნდა იყოს სიტყვა „ბორჯ“-დან, რაც განტოტვილს ნიშნავს, მაგალითად, ფესვს, რქას, ხეს. ასე ამბობენ ხოლმე ბორჯღლიანი ხე, რქებ-ბორჯღალა ირემი. ეს სახელი ამ ადგილს იმიტომ უნდა შერქმეოდა, რომ აქ გზები იტოტება, გზასაყარია. „ომ“ სუფიქსი მრავლადაა გამოყენებული ძველ თუ თანამედროვე ქართულ ტოპონიმიკაში, როგორიცაა ბათომი, თორთომი, ცხომი და სხვ. მეორე მოსაზრებით, ეს სახელი უწოდეს მდ. ურავლის ხეობიდან – სოფ. ბორჯომიდან (ამჟამად ნასოფლარი) გადმოსახლებულებმა. სახელწოდება „ბორჯომის ხეობა“ პირველად გვხვდება 1819 წლის საბუთში. მანამდე იგი სადგერის ხეობის სახელით იყო ცნობილი.

საკვანძო წერტილი 2: ქალაქი ბორჯომი

გეოლოგიურ წარსულში აქ არაერთი ლავური ღვარი ჩამოედინებოდა. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია ბაკურიანის ლავური ღვარი, რომელიც აღწევს მდ. მტკვრის ხეობამდე და ქ. ბორჯომამდე. ადამიანს ბორჯომის ხეობაში უძველესი დროიდან უცხოვრია. II – IV საუკუნეში აქ თორის საერისთავო დაარსდა, XV ს-ში – ავალიშვილთა სათავადო, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“ ხეობა შედიოდა პეტრეს ლივაში, XVI ს ბოლოს – ოსმალეთმა მიიტაცა, XVIII ს ბოლოს – გაუკაცრიელდა, 1829 წლიდან – დაიწყო ხეობის ხელახლა დასახლება, 1871 წლიდან – მიხეილ რომანოვის საუფლისწულო მამულია.

ქ. ბორჯომში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდოვან მაღალ ბორცვზე აღმართულია **პეტრეს ციხე** (აგებულია შუა საუკუნეებში, განახლდა XVI- XVIII საუკუნეებში). იგი ნაგებია ქვებითა და დუღაბით. ვახუშტი ბაგრატიონი ციხის შესახებ წერს: „***არს ფრიად მაგარი და შეუვალი მტრისაგან***“. შემორჩენილია აღმოსავლეთის კედელი, რომელსაც დატანებული აქვს სათოფურები და 3 ჩარდახი. ციხის აგებას მიაწერენ პეტრე ავალიშვილს, მის ძმას – გოგიას კი მეორე ციხის – „გოგიას ციხეს“ აგებას. შემორჩენილია: დარბაზის კედლები, ორნამენტებიანი ქვები, მარცვლეულის ხარო. ეკუთვნოდა ავალიშვილების ფეოდალურ სახლს. 1739 წელს ავალიშვილებს პეტრეს ციხესთან დაუმარცხებიათ უსუფ-ფაშას ლეკ-ოსმალთა ჯარები. წაურთმევიათ ზარბაზნები და სურსათი. 1770 წელს მეფე ერეკლე II-სა და ტოტლებენს ამ ციხესთან გაუმართავთ აღლუმი.

ბორჯომის ხეობა კურორტების სიმრავლით გამოირჩევა. აქ მდებარეობს მრავალი კურორტი

და მინერალური წყლების გამოსავალები. მათ შორის გამოირჩევა კურორტი და მინერალური წყალი „ბორჯომი“. ქალაქ **ბორჯომის** დაარსება განაპირობა სწორედ მინერალური წყლის აქ არსებობამ. ძველად ბორჯომის ადგილას მდებარეობდა რამდენიმე სოფელი, მათ შორის სოფელი ნუა, ფაფა და ჭალა. დღეს ისინი ბორჯომმა შეიერთა. აქ ქრის მთა-ხეობათა სუსტი ქარები, რაც უზრუნველყოფს ხეობის კარგ ვენტილაციას. მთავარი სამკურნალო ფაქტორია სასარგებლო კლიმატი და მინერალური წყლები. წყლები გამოიყენება სასმელად და სააბაზანო პროცედურებისათვის.

ქალაქში მდებარეობს **ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი**. იგი ყოფილი რუსეთის საიმპერატორო ოჯახის – რომანოვების ბორჯომის მამულის კანცელარიის შენობაშია განთავსებული. შენობა აგებულია 1890 წელს. მუზეუმი კი დაარსდა 1926 წელს. აქ დაცულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, გამოყენებითი ხელოვნებისა და ბუნების იშვიათი ნიმუშები, აგრეთვე რომანოვების პირადი მემორიალური ნივთები. მუზეუმში 37 ათასზე მეტი ექსპონატია, მათ შორის ძვ.წ. ათასწლეულის სამკაულები და იარაღები, აგრეთვე ევროპული და აზიური ჭურჭელი, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები.

ბორჯომის ხეობა ოდითგანვე მაღალი ტყიანობით გამოირჩეოდა, თუმცა მისი ფართობი დღეს შემცირებულია. ტყეების მნიშვნელოვანი განადგურება აქ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. მაგალითად, 1830 წელს ბორჯომის ხეობაში ააგეს შუშის ქარხანა, რომლის ფუნქციონირებისათვის ტყის დიდი მასივები იჩეხებოდა. ბორჯომის ხეობა მოქცეულია **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის** ფარგლებში. იგი ერთ-ერთი უდიდესი პარკია ევროპაში. მოიცავს ბორჯომის ეროვნულ პარკსა და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალს. სანაკრძლო ტერიტორიის აქ დაარსება უკავშირდება ამიერკავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის სახელს, რომელიც რუსეთის იმპერატორის – ალექსანდრე II-ის ძმა იყო და რომელმაც ბორჯომის ხეობა მიიღო ძმისგან საზაფხულო რეზიდენციად. 1871 წელს საზეიმოდ გაიხსნა სასახლე. მას ესწრებოდა რუსეთის იმპერატორიც, რომელმაც ძმას საჩუქრად გადასცა ბორჯომის ხეობა. მიხეილ რომანოვმა ტყის დიდი მასივი შემოღობა, ჩამოაყალიბა ეგერთა რაზმი, ააშენა მონადირეთა სახლები ბანიხევში, თორში, ლიკანში, ლომისის მთაზე და სხვაგან. გამგებლად გერმანიიდან მოიწვია ბუნებისმეტყველი იუტნერი, რომლის სასახლე დღესაც დგას ქ. ბორჯომის ცენტრში. სწორედ მისი ინიციატივით გაუშვეს ბორჯომის ხეობაში ევროპიდან შემოყვანილი ციყვები – ე.წ. „დანიელკები“, ხოლო მდ. ცოფიანღელეს ბორჯომ-ბაკურიანის ტყე-პარკის ტერიტორიაზე – ლაგოდეხიდან ჩამოყვანილი ჯიხვი. ორივე კარგად გამრავლდა. 1935 წელს რომანოვების კუთვნილი მამული ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა, ხოლო 1995 წელს იგი საქართველოში პირველ ეროვნულ პარკად – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკად იქცა.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე უხვადაა ისტორიული ძეგლები. პარკში შექმნილია ტურისტული ბილიკები. ბუნება აქ მრავალფეროვანია. პარკის უდიდესი ნაწილი ტყეს უკავია, რომელიც მდიდარია ნადირ-ფრინველით. ცხოველთა სამყაროს თვალსაზრისით ნაკრძალი საკმაოდ მდიდარია. აქ გვხვდება: ირემი, შველი, არჩვი, გარეული კატა, ფოცხვერი, მურა დათვი, წავი, კვერნა და სხვ.

აქაური ტყეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ნაძვის ლაფანჭამია – მავნებელი მწერი. იგი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ბორჯომის ხეობის წიწვიან ტყეებში XX საუკუნის II ნახევარში. მან დიდი ზიანი მიაყენა ბორჯომის ხეობის და საერთოდ, საქართველოს ნაძვნარებს. მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენეს მისი ბუნებრივი მტერი, ენტომოფაგი, რომელიც შემოიყვანეს იმდროინდელი ჩეხოსლოვაკიიდან. მისი აქ ჩასახლებით მავნებლის რიცხოვნობა მავნეობის ზღვარს დაბლა დაეცა. მრავალი დაზიანებული ხე მოჭრეს და გაიტანეს ხეობიდან, მაგრამ სამაგიეროდ ამან გამოიწვია ტყეში ხის გასატანი გზების წარმოქმნა. აქაურ ტყეებს ასევე მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა 2008 წლის ხანძარმა, რაც რუსეთ-საქართველოს საომარ მოქმედებებთან იყო დაკავშირებული. თავდაპირველად ხანძარი გაჩნდა დაბა წაღვერთან. რთული ოროგრაფიული და ანომალიური კლიმატური პირობების გამო, როცა ჰაერის საშუალო ტემპერატურა აგვისტოში ნორმას 30 %-ით აღემატებოდა, ხოლო ატმოსფერული ნალექების ჯამი 46 %-ით მცირე იყო, ხანძრის გავრცელებას შეეწყო ხელი. საშიშროება შეექმნა „საქართველოს წითელ წიგნში“ (1982 წ.) შესულ ფლორისა და ფაუნის მრავალ წარმომადგენელს. ასევე დიდი პრობლემები შეუქმნა ხანძარმა და საქართველოს სხვა მხარეებშიც 2017 წლის ზაფხულში ანომალიურმა სიცხეებმა. აქ ხანძრის გაჩენის რამდენიმე ათეული შემთხვევა აღირიცხა და დაიწვა 100 ჰექტარზე მეტი ტერიტორია. დაზიანდა ის ტყეებიც, რომლებიც 2008 წლის ხანძრის შემდეგ განაახლეს.

საკვანძო წერტილი 3: გადასახვევი ბაკურიანისაკენ

ბორჯომიდან გზა მდინარეების გუჯარეთისწყლისა და ბორჯომულას წყალშუეთში მიემართება. ამ გზას შევყავართ **გუჯარეთში**. ეს მხარე უძველესი ხანიდანაა დასახლებული, რასაც მოწმობს მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი: კოლხური ცული, ზოდები, ყალიბი, თოხები და სხვ. ძველად შედიოდა თორის მხარეში, მონღოლთა ბატონობის პერიოდიდან დაკნინდა, XIV საუკუნეში სამეფო

მამული იყო, XVI საუკუნის ბოლოს ოსმალებმა დაიკავეს. გუჯარეთი მდიდარია ღირსშესანიშნაობებით: თოთხამის, მომწვარას, უზნარიანისა და სარბიელას ციხეები, დაბის, მაღალჯვარის, ტიმოთესუბნისა და სხვა ეკლესიები, გამოქვაბულ-სახიზარები.

სოფ. **ტიმოთესუბანში** (იგივე კიმოთესუბანი) შემორჩენილია სამონასტრო კომპლექსი (XI-XVIII სს.). მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია (XII-XIII სს.), რომელიც გამორჩეულია კედლის მხატვრობით (XIII ს.). იგი ნაგებია მოვარდისფრო აგურით. სოფლის სიახლოვეს, მიუვალ კლდეებში გამოკვეთილია სახლები. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს სოფლის მიდამოებს „***გუჯარეთის სოფელს ქუეით კიმოთისმანამდე, თორის წყალზედ, აქათ და იქით, არს კლდე, რომელი აიყრების დიდ-დიდი ფიცარი ფიქალ-ფიქალი შავი, და ბურვენ მით სახლებსა***“. 1899 წელს მოეწყო კიმოთესუბნის გლეხთა (მონაწილეობდნენ წაღვერლებიც) აჯანყება მიხეილ რომანოვის წინააღმდეგ, რომლის საუფლისწულო მამული იყო ბორჯომის ხეობა და რომელმაც აქაურ მკვიდრთა მდგომარეობა გააუარესა.

გუჯარეთი მდიდარი იყო და დღესაც მდიდარია მერქნიანი მცენარეებითა და სამშენებლო ქვით. ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებს აქ ქვის მოპოვებაზე, რომელსაც თურმე ნაგებობათა გადასახურავად ხმარობდნენ. ის ფაქტი, რომ ხე-ტყე იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ყოველდღიური საჭიროება, ამის დასტურია სოფ. გუჯარეთის შესახებ შემორჩენილი ინფორმაცია: „***სააღმშენებლო მასალა, სითბო და სინათლე საცხოვრებლებში, სამუშაო იარაღები, ყოველდღიური მოხმარების საგნები (ლასტი, გოდორი, კალათი), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საკვების ნაწილი (ნანადირევი, ტყის ხილი), ყველაფერი ეს აქ ტყესთან იყო დაკავშირებული. ტყეებში ნახშირს ამზადებდნენ, რომელიც აუცილებელი იყო მჭედლობაში***“. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია დაბის, მაღალჯვარის, ტიმოთესუბნისა და სხვა დიდი თუ მცირე ეკლესია-სამლოცველო; თოთხამის, მომწვარის, სარბიელის, უზნარიანის ციხეები; გამოქვაბული-სახიზრები. გუჯარეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სამიმოსვლო გზები, რომლებიც ჯავახეთსა და თრიალეთს აკავშირებდა.

გუჯარეთში მინერალური წყაროების გამოსავალებია, სადაც არაერთი კურორტია დაარსებული: ცემი, დაბა, წაღვერი, მზეთამზე, ტიმოთესუბანი, მიტარბი და სხვა. განსაკუთრებით ცნობი ლია ზამთრის დაბა და კურორტი **ბაკურიანი**. დაბა დაარსდა 1910 წელს კოხტაგორის დასავლეთ კალთაზე, 1937 წელს კი იგი გაშენდა ახალ ტერიტორიაზე. აქ რამდენიმე სათხილამურო ტრასა ფუნქციონირებს.

ძირითადი დანიშნულებაა კავკასიის მაღალმთიანეთის მცენარეების ინტროდუქცია და მათი ბიოეკოლოგიურ თავისებურებათა დადგენა. მის ტერიტორიაზე არის მცენარეთა საცდელი ნაკვეთები და კოლექციები. მეცნიერებმა ბაკურიანის ნაკრძალ-მეურნეობაში გამოიყვანეს მელიის ახალი ჯიში, რომელსაც ბაკურიანის თეთრი მელა უწოდეს. აქვს თოვლივით თეთრი ბეწვი, შავი ყურები და შავი ზოლები ზურგზე. ძვირფასბეწვიანია. მასზე ნადირობა აკრძალულია.

საკვანძო წერტილი 4: აწყურის ციხე

გზა კვლავს ბორჯომის ხეობას მისდევს, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. ხეობის კალთები კვლავ ზოგან კლდოვანი და ზოგან ტყიანია. გაივლის ჭობისხევს, დვირს, ქვაბისხევს და აღწევს სოფ. **აწყურს**, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე, აბანოსღელის შესართავთან. როგორც ფიქრობენ, მტკვრის ორივე მხარეს მდებარეობის გამო შერქმევია სახელი „აწყური“, რაც ნიშნავს „წყლიან ადგილს“. ისტორიულ წყაროებში აწყური პირველად იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“. აქ მოთხრობილი ამბის მიხედვით, ანდრია მოციქული ქადაგებს საქართველოში. სასულიერო ტრადიციის მიხედვით, ითვლება, რომ ანდრია მოციქულმა აწყურში დატოვა ღვთისმშობლის ხატი. სწორედ მას შემდეგ აწყური მარიამ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ადგილსამყოფელად მოინათლა.

აწყური ისტორიულ წყაროებში პირველად XI საუკუნეში იხსენიება. იგი ოყო სამცხის პოლიტიკური ცენტრი და სამძივართა ფეოდალური საგვარეულოს ადგილსამყოფელი, XII – XVI საუკუნეებში – სამცხის საეკლესიო ცენტრი. XVI საუკუნეში დაიკავეს ოსმალებმა, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ, ადრიანოპოლის ზავით გათავისუფლდა ოსმალთაგან და შევიდა ახალციხის მაზრაში. სოფლის ის უბანი, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარესაა, შედარებით მცირეა და გაღმა აწყურის სახელითაა ცნობილი. ვახუშტი ბაგრატიონი აწყურის შესახებ წერს: „***თიხრევის-ჴევის ზეით, მტკვრის კიდეზედ, სამჴრით არს აწყვერი, ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი – მოჰმადიანნი. აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენიერად ქმნული, გუნბათიანი, ყოვლადწმიდის ღვთის-მშობლისა***“.

სოფ. აწყურსა და მის მიდამოებში შემორჩენილია მრავალი ისტორიულ-კულტურული ნაგებობა: ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, 3 მცირე სამლოცველო, 3 სინაგოგა, ციხეები (აწყურის, სლესის, წრიოხის). არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აწყურის მიდამოებში მიკვლეულ ერთ-ერთ სამარხში აღმოაჩინეს ოქროს საკიდი ხატი, შემკული ტიხრული მინანქრით და შიგ ჩასმული იასპის ქვით, რომელზეც ჯვარცმის სცენაა გამოსახული. აქვე მიკვლეულია მარანი, საწნახელები და ქვევრები,

რაც წარსულში ვაზის კულტურის ფართოდ გავრცელებაზე მიგვანიშნებს. ერთ-ერთი ქვევრის ტევადობა 800 ლიტრია, ხოლო საწნახელის სიგრძე – 11 მ. 1950-იან წლებში სოფელში შემორჩენილი იყო ვაზი სამარიობოსა და ხარისთვალა თეთრის ცალკეული ეგზემპლარები. ფართოდ იყო გავრცელებული ვაზი ხარისთვალა თეთრი.

სოფლის სიახლოვეს, აბანოსღელის შესართავთან შემორჩენილია უკედლო ტერასები, რომელიც **აწყურის ტერასების** სახელითაა ცნობილი. დღემდე შემორჩენილია მრავალსართულიანი დაბაქნებული ადგილები და მესხეთის ადგილობრივი ვაზის უძველესი ჯიშები: როკეთულა, ხარისთვალა, ბეჟანა.

სოფელში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს დგას **აწყურის ეკლესია** – ღვთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ეკლესია (X-XIII სს.). მასში ორი სამშენებლო ფენა გამოიყოფა – X-XI და XIII-XIV საუკუნეების. სიდიდით იგი სვეტიცხოველსაც კი ჭარბობდა. მიწისძვრებმა და ოსმალთა ბატონობამ ძეგლი ძლიერ დააზიანა. შემორჩენილია ნანგრევები. აქ საეპისკოპოსო ტაძარი ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში არსებობდა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ: მწიგნობრები, კალიგრაფები, მკაზმავები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია IX-X საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე, აწყურის ეპისკოპოსი და მწერალი გიორგი მაწყვერელი (IX-X სს.), გაბრიელ კოტაი (XI ს.), იოაკიმე მაწყვერელი (XVI ს., მაწყვერელი ეპისკოპოსი), სვიმონ კარგარეთელი, იერემია მაწყვერელი (XVI ს., მაწყვერელი ეპისკოპოსი). გიორგი მაწყვერელის ლიტერატურულ ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ცნობები მის შესახებ შემოგვინახა გიორგი მერჩულისა და ბასილ ზარზმელის თხზულებებმა.

სოფელთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ და ძნელად მისადგომ კლდეზე აღმართულია **აწყურის ციხე** – ციხესიმაგრე (შუა სს.). დაუდგენელია მისი აგების დრო. ისტორიულ წყაროებში, როგორც დასახლებული პუნქტი, პირველად იხსენიება IX საუკუნეში. ამ დროს აქ საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. სავარაუდოდ, ციხეც ამ დროს უნდა იყოს აგებული. XIII საუკუნეში იგი სამცხის მთავრების – ჯაყელების რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. ციხე მოქმედი იყო XVIII საუკუნეშიც. ძველად ციხის ტერიტორიას დიდი ფართობი ეკავა. იგი მეტად რთული ნაგებობაა, კლდეში გამოკვეთილი ვიწრო გვირაბებით. იმდენად ძნელად მისადგომია ციხის შიდა ნაგებობა, რომ გვირაბში შეჭრის შემდეგაც ვერ იმორჩილებდა ხოლმე მას მომხდური. თუმცა სხვადასხვა დროს არაერთმა დამპყრობმა დაიპყრო იგი. 1283 წლის ძლიერმა მიწისძვრამაც ძლიერ დააზიანა. ციხე მრავალჯერ გადაუკეთებიათ. შემორჩენილია ნანგრეევები. 2013 წელს ციხეს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.

საკვანძო წერტილი 5: წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი

სოფ. აწყურთან მთავრდება ბორჯომის ხეობა და თანდათან მივემართებით ახალციხის ქვაბულისაკენ. გზა კვლავ მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს მიუყვება. ქვაბულის ეს მონაკვეთი, სადაც მდ. მტკვრის ორივე მხარეს გაშენებულია სოფლები: ტყემლოვანა, აგარა, ზიკილია, საყუნეთი, მუგარეტი, გიორგიწმინდა, წნისი, კლდე, საკმაოდ ციცაბო ფერდობებით ხასიათდება, რომლებიც თითქმის მთლიანად მოკლებულია ხემცენრაეებს. მდინარისპირა ტერასებზე კი გადაჭიმულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

სოფ. წნისთან მდებარეობს წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი (ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“), სადაც 4 ჰექტარზე მეტ ფართობზე მოჰყავთ გადაშენების პირას მყოფი აგროკულტურები. ნაკვეთზე ითესება და მრავლდება მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ადგილობრივი ჯიშები, გაშენებულია ადგილობრივი ჯიშის ხეხილის ბაღი და სანერგე, კენკროვანი კულტურები. მარცვლოვანი კულტურებიდან აქ ითესება ის ჯიშები, რომელთაც ოდითგანვე თესავდა ქართველი გლეხი და მათი ფქვილისაგან გემრიელ და სურნელოვან პურს აცხობდა. მესხეთი ხომ ძველად განთქმული იყო ახალციხის (მესხური) წითელი დოლით, დიკათი, ქერშველით. პარკოსნებიდან კი აქ ითესება მუხუდო, ცერცვი, ცულისპირა, ოსპი, ძაძა. ამ პარკოსნებისაგან ოდითგანვე მზადდებოდა გემრიელი კერძები: ცერცვის ბაკლა, მუხუდოს სისირი, ცულისპირას შეჭამანდი, ძაძას შეჭამანდი და სხვ. ნაკვეთზე ასევე ითესება საზეთე კულტურა, გადაშენების პირას მისული სელი, რითაც ძალზე განთქმული იყო სამცხე-ჯავახეთი საუკუნეების მანძილზე. ნაკვეთზე გაშენებულია ხეხილის ვაშლის ადგილობრივი ჯიშები: თურაშაული, აბილაური, რძევაშლი, ერბოვაშლი, მსუქანა, რაკრაკა, შაქარნაბადა, მზის სხივი, ხვინწა, თათენა და მსხლის ადგილობრივი ჯიშები: სოსელო, ინჟირა, ყაბაყარმუდი, ნენე მსხალი, ნანაძირი. კენკროვანი კულტურებიდან კი აქ წარმოდგენილია წითელი და შავი მოცხარი, ჟოლო, ხურტკმელი. მნიშვნელოვანია, რომ აგროკულტურების მოყვანა აქ ბიოლოგიური (და არა ქიმიური) ხერხების გამოყენებით ხდება.

საკვანძო წერტილი 6: ქ. ახალციხე და რაბათი

სოფ. წნისის შემდეგ გზა აღწევს ქ. ახალციხემდე, რომელიც ახალციხის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.

ახალციხის ქვაბული მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში მდებარეობს. ქვაბულის ყველაზე დაბალი ადგილი სოფ. აწყურთანაა. სამხრეთის მიმართულებით ის თანდათან მაღლდება. პერიფერიულ ნაწილში კი რელიეფი ბორცვიან-სერებიანია. ახალციხის ქვაბულის ჰავა საკმაოდ მშრალია, მხოლოდ ფერდობები ხასიათდება ზომიერად ნოტიო კლიმატით. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 400-600 მმ, რითაც იგი განსხვავდება მცირე კავკასიონის ყველა სხვა უბნისაგან. ამდენად, ახალციხის ქვაბული მცირე კავკასიონის ყველაზე მშრალი ადგილია საქართველოში. ძირითადი მდინარეული არტერიაა მტკვარი და მისი შენაკადები: ფოცხოვისწყალი ქვაბლიანით, ურაველი, ძინძე, წინუბნისწყალი და სხვ. ტბებიდან აღსანიშნავია წუნდა და სათახვე (ყარაგელი). ოდესღაც მთელი ეს მიდამოები – ქვაბულის ფსკერის ჩათვლითაც კი ტყეებითა და ბუჩქნარებით დაფარული ყოფილა. დღეს კი მათი ადგილი ტყე-ველებს, ან ველებს უკავია.

ქვაბულის მიდამოებში მრავლადაა მინერალური წყაროები. მათგან აღსანიშნავია წყაროები აბასთუმანში, ახალციხეში, ასპინძაში, ურაველში და სხვაგან. ახალციხის ქვაბული, რომელიც მდებარეობს ზ.დ. 1000-2500 მ სიმაღლით დიაპაზონში, ხასიათდება კლიმატური და ნიადაგური მრავალფეროვნებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას მევენახეობა-მებაღეობიდან – მესაქონლეობამდე. ახალციხის ქვაბულში, განსაკუთრებით მის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში მთის კალთები ძლიერაა ჩამორეცხილი და ეროზირებული.

ქ. ახალციხე, ძველი **ლომსია** საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომლიც მდებარეობს მდ. ფოცხოვის ხეობაში. იგი ძველთაგანვე ყოფილა დასახლებული. წყაროებში პირველად იხსენიება XII საუკუნეში. IX-X საუკუნეებში იგი ციხე-ქალაქია. სტრატეგიულმა მდებარეობამ, სადაც თავს იყრიდა რამდენიმე მიმართულების გზა, ის სამცხის ცენტრად აქცია. აქ აგებული ციტადელიდან გზა საიდუმლო გვირაბით ჩადიოდა მდ. ფოცხოვის ნაპირისაკენ. ძეგლი არაერთხელ იქნა დანგრეული და განახლებული. მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო აქ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ოსმალები და ირანელები. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, 1829 წელს ადრიანოპოლის (თურქეთი) ზავით, მთელ სამცხე-ჯავახეთთან ერთად, იგი განთავისუფლდა ოსმალური გავლენისაგან. ქალაქის, განსაკუთრებით რაბათის არქიტექტურაში, აშკარად შეიმჩნევა ქართული და მუსლიმანური კულტურის გავლენა.

იგი მდიდარია კულტურულ-ისტორიული ძეგლებით: რაბათის ციხე-ანსამბლი, სარგის ჯაყელის ციხე-კოშკი (XIV ს.), ციხის ეკლესია (გვიანდ. შუა სს.), სასახლე (XVIII ს.), აბანო (XVI-XVII სს.), ქარვასლა (გვიანდ. შუა სს.), დარბაზი (XIX ს.), თამარ მეფის ძეგლი და გვიანდელი შუა საუკუნეების სხვა ნაგებობები. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მას: „***არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად, ვინათგან, ისახელების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია“***. პლატონ იოსელიანს მიაჩნდა, რომ ლომსია მას შეერქვა 1637 წელს. ზოგიერთის მოსაზრებით, იგი იგივე „ლომსიანთა“ უნდა იყოს.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი – მუზეუმი ქ. ახალციხეში, რაბათის ტერიტორიაზე დაარსდა 1923 წელს როგორც სამაზრო მუზეუმი, რომელიც 1937 წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმად გადაკეთდა, 1972 წელს კი მას ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. მუზეუმში დაცულია ძველი ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეპიგრაფიკული, ეთნოლოგიური და ფოტოდოკუმენტური მასალები. განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ლაპიდარულ ნიმუშებსა და ხალიჩა-ფარდაგებს. ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანასთან დაკავშირებით, 2009 წელს მუზეუმს შეემატა ახლად აღმოჩენილი ექსპონატები. მუზეუმში სულ დაცულია 25 ათასზე მეტი ექპონატი.

ახალციხე კურორტიცაა. მისგან ჩრდილოეთით მოჩანს აჭარა-იმერეთის ქედის, ხოლო სამხრეთით – ერუშეთის მთიანეთის კალთები. ბარიერული ქედების გამო იგი თითქმის იზოლირებულია შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასების გავლენისაგან, რის გამოც მცირეა ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა და დაბალია ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა. ზაფხული თბილი და ზომიერად მშრალია, ზამთარი – გრილი და მცირეთოვლიანი. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია თერმული მინერალური წყლები. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს ახალციხეს: „ჰავით არს მშვენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულის არა ეგდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი“.

საკვანძო წერტილი 7: გადასახვევი აბასთუმნისაკენ

მთავარი გზა ქ. ახალციხიდან სამხრეთისაკენ, ვარძიის მიმართულებით მიდის. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ქალაქიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზა. ეს გზა გასდევს მდ. ფოცხოვის მარცხენა მხარეს და გაივლის სოფელს სხვილისს, საიდანაც გზა მიემართება სამხრეთისაკენ, ერუშეთის მთიანეთისაკენ და აღწევს ქალაქ **ვალეს**. იგი სამრეწველო ქალაქია, რომელიც მურა ნახშირის მოპოვებასთან დაკავშირებით შეიქმნა. დღეს საბადო არ ფუნქციონირებს. ქალაქის მიდამოები უტყეოა. ქალაქში დგას სამნავიანი ბაზილიკური ეკლესია (XVI ს.).

ვალეს ეკლესია ღვთისმშობლის სახელობის სამნავიანი ბაზილიკაა (X ს. დღევანდელი სახე მიიღო XVI ს.-ში). თავდაპირველად კი გუმბათიანი ეკლესია ყოფილა, მაგრამ XVI საუკუნეში აღდგენის შემდეგ სამნავიანი ბაზილიკის სახე მიუღია. ნაგებია ანდეზიტის ქვით. შემორჩენილია ლაპიდარული წარწერები, რელიეფური გამოსახულებები, ცხოველების თუ უცნაური ნიღბების სახით. ვალეში დგას უფრო გვიანი პერიოდის კათოლიკური ეკლესიაც, რომლის აგებაც აქ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას უკავშირდება.

კიდევ უფრო დასავლეთით, იქ, სადაც მდ. ფოცხოვს აბასთუმნისწყალი (იგივე ოცხე) უერთდება, გზა ჯერ ჩრდილო-დასავლეთისაკენ, შემდეგ კი – ჩრდილოეთისაკენ, აჭარა-იმერეთის ქედის კალთებისაკენ მიდის. გზა გასდევს მდ. აბასთუმნისწყლის მარცხენა მხარეს და გაივლის სოფლებს ბენარა, უნწა, ვარხანი, ხევაშენი. მთელ ამ მონაკვეთზე მდინარე უტყეო ხეობაში მიედინება, სადაც მოვაკებულ ადგილებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია. სოფ. **ბენარასთან**, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, „ზადენ გორაზე“, ქვიშაქვებში აღმოჩენილია ძველი, უკვე გადაშენებული ფაუნის ნამარხები: მარტორქის, ანტილოპის, ჟირაფის, ღორების წინაპრის, ხმელეთის გიგანტური კუს და სხვ.

სოფ. ვარხანის ზემოთ მდებარეობს დაბა და კურორტი **აბასთუმანი**, რომლის განაშენიანება მდინარის აყოლებით სიგრძეზეა გადაჭიმული. რაც უფრო ჩრდილოეთით მივიდივართ, მით უფრო მატულობს ხემცენარეები და ბოლოს, თითქმის ხელუხლებელი ტყით შემოსილ ხეობაში ვხვდებით. ძველად იგი ოძრხეს, ოძრახეს, ოცხეს სახელით იხსენიებოდა. მას „კავკასიის მარგალიტს“ უწოდებდნენ. მდ. აბასთუმნისწყალი კურორტს ანაწილებს 3 ძირითად უბნად: ცენტრალური უბანი, რომელსაც უკავია ხეობის ძირი და პლატოებ:ი არაზინდო და აღობილი. კურორტის მიდამოები შემოსილია ძირითადად წიწვიანი ტყეებით – ნაძვი, სოჭი და ფიჭვი, რის გამოც აქ სუფთა და გამჭვირვალე ჰაერია. მრავალი წლის მანძილზე კურორტი ტუბერკულიოზით დაავადებულთა მთავარი სამკურნალო ცენტრი იყო. ცნობილია აბასთუმნის მინერალური წყლები.

კურორტი ფუნქციონირებს XIX საუკუნის შუა წლებიდან. აბასთუმანში დგას რომანოვების ზაფხულის სასახლე (XIX ს). ხით აგებული შენობა აგებულია ულურსმნოდ. უკანასკნელ წლებში აქ წმ. პანტელეიმონ მკურნალის დედათა მონასტერი (აბასთუმნის დედათა მონასტერი) იყო განთავსებული. 2008 წლის ხანძრის შედეგად სასახლის შენობა ძლიერ დაზიანდა. მის გვერდით ახალი შენობა აშენდა.

აბასთუმანში შემორჩენილია შუა საუკუნეების ხიდი მდ. აბასთუმნისწყალზე, შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, ფასადზე გამოსახული დიდი ზომის რელიეფური ჯვრით და ოძრხეს ციხე. დაბის ცენტრში დგას „ახალი ზარზმა“ (1899-1902 წწ.) – გუმბათიანი ეკლესია და სამრეკლო, რომელიც რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის მემკვიდრისათვის აუგიათ.

აბასთუმანთან, ყანობილის მთაზე მდებარეობს **აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია**. ყანობილის მთაზე 200 დღე მოწმენდილია, რაც ციურ სხეულებზე დაკვირვების კარგ შესაძლებლობას იძლევა. ობსერვატორიამდე გაყვანილია სამანქანო, საფეხმავლო და საბაგირო გზები.

საკვანძო წერტილი 8: გადასახვევი გოდერძის უღელტეხილისაკენ

სოფ. ბენარიდან გზა არა მარტო ჩრდილოეთით, აბასთუმნისაკენ, არამედ დასავლეთისაკენაც – გოდერძის უღელტეხილისაკენ მიემართება. ეს გზა მთლიანად მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს მისდევს. აქ ხეობა უტყეოა. გზიდან ხელმარცხნივ, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სოფლები არალი და უდე. ორივეგან შემორჩენილია კათოლიკური ეკლესიები.

სოფ. **უდეში** დგას ღვთისმშობლის სახელობისა და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები, შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები („შუშან ქალი“, „წყისი“, „ხვანი“ და სხვ.), ხანდაკის ციხე.

ადამიანის დასახლების კვალი აქ ქვის ხანიდანაა მიკვლეული. სოფლის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში აღმოჩენილია ძვ.წ. XII-XIII სს. – უდის განძი. სოფელში აღმოჩენილია მიწაში ჩაფლული დიდი ტევადობის ქვევრები. სოფლის ერთ-ერთი უბანი, რომელიც მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ქვაბლიანის მარცხენა მხარეს, ძირითადი დასახლების გადაღმა მდებარეობს, მეიდნის სახელითაა ცნობილი. ძველად აქ იმართებოდა შეჯიბრებები – ჯირითობა. სახელიც აქედან მიუღია სოფლის ამ უბანს. როგორც ფიქრობენ, სოფლის სახელწოდება მომდინარეობს კოლხურ-ზანური სიტყვისაგან „ყუდე“ ნიშნავს სახლს, ბინას. დროთა განმავლობაში სიტყვამ დაკარგა თავკიდური თანხმოვანი და მივიღეთ „უდე“.

გზიდან ხელმარჯვნივ სოფელში ბოლაჯური, დიდი და პატარა სმადა, ხელმარცხნივ – კახარეთი, ლელოვანი, ყარათუბანი და სხვა. გზა აღწევს დაბა ადიგენს. მისგან დასავლეთით კი სოფლები მლაშე და ზარზმაა. მდ. ძინძეს ქვაბლიანთან შეერთების ადგილას მდებარეობს სოფ. **ზარზმა.** სოფელში დგას **ზარზმის მონასტერი**. ვახუშტი ბაგრატიონი ზარზმის მონასტრის (XIV-XVI სს.), სამწირველო, სამრეკლო (XIV ს.)შესახებ წერს: „***ყუელს ზეით, მთაში, არს ზარზმას მონასტერი გუმბათიანი, კეთილ-***

შენი, შვენიერს ადგილს და აწ უქმი". ზოგი ნაგებობა დანგრეულია. ნაგებია ანდეზიტის ქვით. სხვა სამონასტრო შენობები (ბერების საკნები, სატრაპეზო და სხვა) არ შემონახულა. მონასტერი დააარსა სერაპიონ ზარზმელმა (IX ს.). ის იყო მისი პირველი წინამძღვარი. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. სერაპიონ ზარზმელისათვის დიდი დახმარება გაუწევია ადგილობრივ მთავარს, გიორგი ჩორჩანელს, რომელმაც მონასტერს შესწირა სოფლები. იმდროინდელ ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია. ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV საუკუნეში სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის მიერ. სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. კედლის მხატვრობამ შემოგვინახა სამცხის მთავრების – ჯაყელების და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის პორტრეტები. შემორჩენილია X საუკუნის წარწერა ერთ-ერთ სამლოცველოს თაღში, რომელიც უფრო ადრინდელი ნაგებობიდან უნდა იყოს გადმოტანილი. წარწერა მოგვითხრობს ტაოს მეფის, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი დავით II დიდი კურაპალატის გალაშქრებას ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. ზარზმა განთქმული იყო ფერისცვალების ხატით (886 წ.), რომელიც ოსმალეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობის გამო, აქედან გურიაში, სოფ. შემოქმედში გადაუსვენებიათ და იქ ტაძარი აუგიათ. ამჟამად ხატი დაცულია ხელოვნების მუზეუმში. მესხეთიდან გურიაში ხალხთა გადასახლებაზე ხალხური ლექსიც მეტყველებს.

,,ჩვენ სამნი ძმანი ვიყავით:
მოსე, ენუქი, ელია.
ზარზმის საყდარი დავაგდეთ,
შევიქმენთ ერკეთელია. (ერკეთი სოფელია გურიაში)

ზარზმა ოდითგანვე იყო განათლებისა და კულტურის ძლიერი კერა, სადაც მრავალი ხელნაწერი წიგნი შეიქმნა და გადაიწერა. მათ შორისაა ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება".

სოფლის მახლობლად არის შუა საუკუნეების „თამარის წყარო".

არსიანის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ძინძეს ხეობაში ნამარხი ტყეა, რომელიც ცნობილია **გოდერძის ნამარხი ტყის, ძინძეს ხეობის ნამარხი ტყის სახელით.** ამ ადგილს ხალხმა უტყვისუბანი შეარქვა. წარსულში აქ ტროპიკული ტყე ყოფილა გავრცელებული, წარმოდგენილი როგორც მარადმწვანე (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია), ისე ფოთოლმცვენი (ლეღვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრნი, წიფლისებრნი) სახეობებით, ასევე ბუჩქნარებით, ლიანებით და გვიმრისნაირებით. რამდენიმე მილიონი წლის წინ, ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე, ვულკანურმა ღვარმა და ფერფლმა გადაფარა აქ არსებული მძლავრი და სახეობრივად მრავალფეროვანი გაუვალი ტროპიკული ტყე. მესამეული ფლორის ნაშთები წარმოდგენილია ხის გაქვავებული ღეროებით, ტოტებით, ფოთლების ანაბეჭდებით. ზოგიერთ ხეს შენარჩუნებული აქვს ვერტიკალური მდებარეობა, წრიული განამარხებული ხის ფრაგმენტები, მდ. ძინძეს ხეობა ზრდის რგოლები (მიკროსკოპში მოჩანს). იგი უიშვიათესი და უნიკალური ბუნებრივი ძეგლია, თუმცა დღეს იგი იძარცვება. ამ ტყის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მაშინდელი კლიმატი გაცილებით უფრო თბილი ყოფილა, დაახლოებით ისეთი, როგორც დღეს ტროპიკულ ტყეებშია. ამჟამად აქ დადგენილია 90-მდე სახეობის მცენარე. მათ შორისაა მარადმწვანე ხეები (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია), ფოთოლმცვივანი ხეები (ლეღვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრი, წიფლისებრი), სხვადასხვა სახეობის ბუჩქნარები, ლიანები, გვიმრის-ნაირები და ბალახოვნები. ზოგიერთი ეს სახეობა (ან მისი მონათესავე) დღეს გავრცელებულია თბილი კლიმატის პირობებში იაპონიაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში.

მეორე გზა სოფელ მლაშედან დასავლეთით, გოდერძის უღელტეხილისაკენ მიემართება, რომელიც მდებარეობს არსიანის ქედზე, აჭარაში.

მდ. ქვაბლიანის ხეობა ძველად თითქმის მთლიანად ტყით იყო დაფარული. ამან ხელი შეუწყო აქ მეტივეობის განვითარებას. მეტივეობა განვითარებული იყო თორშიც. ამ ხეობების ტყიანობის გარდა, ამ დარგის განვითარებისათვის ხელშემწყობი იყო აგრეთვე ისიც, რომ ან ტყის ფართობების სიმცირით, ან სრულიად უტყეობით გამოირჩეოდა მათი მოსაზღვრე შიდა ქართლის ბარი. ხე-ტყის დეფიციტს განსაკუთრებით განიცდიდა ქალაქები გორი, მცხეთა და თბილისი. ამასთან მეტივეობის განვითარებას ხელს უწყობდა მდ. მტკვრის ვარგისიანობა ხე-ტყის დასაცურებლად. ტივი მტკვარზე აქ რამდენიმე ადგილას იკვრებოდა. განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა აგარის, აწყურის, ახალდაბის, ახალციხის, ბორჯომის, დვირის, ლიკანისა და ყვიბისის სატივეები. იქ, სადაც ტივის შეკვრა შეუძლებელი იყო, მაგალითად, მდ. ქვაბლიანზე, ხეები პირდაპირ იყრებოდა მდინარეში, შეკვრის გარეშე. ტივს სხვა დანიშნულებითაც იყენებდნენ. ტივით გადაადგილდებოდნენ მექორწილეებიც. მისი მეშვეობით გადაჰქონდათ სავაჭრო პროდუქტი (ხილი, მარცვლეული და სხვ.) დიდი დასახლებული პუნქტებისაკენ. „კარგი წყლის შემთხვევაში" ტივი ახალციხიდან თბილისამდე დღენახევარში, ხოლო ბორჯომიდან თბილისში 1 დღეში აღწევდა.

საკვანძო წერტილი 9: გადასახვევი ურავლის ხეობაში

ახალციხიდან მთავარი გზა ვარძიისაკენ ჯერ აღმოსავლეთის, შემდეგ კი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიემართება. იგი გაივლის ჯერ სოფელ ჭაჭარაქს – მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს და ხიდის გავლის შემდეგ – სოფ. მინაძეს – მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. ეს ადგილები ძველად უკედლო ტერასებით იყო გარემოცული.

სოფ. მინაძიდან ერთ-ერთი გზა ერუშეთის მაღლობისაკენ, მდ. ურავლის მარცხენა მხარეს მიემართება. მდინარე აქ ციცაბო უტყეო ხეობაში მიედინება.

მდ. ურაველს სათავე აქვს მთა გუმბათის ჩრდილოეთ კალთაზე და მდ. მტკვარს ერთვის სოფ. მინაძესთან. ხეობის ზედა წელში სუბალპური და ალპური მდელოებია, ხოლო ქვედა ნაწილში – ტყეები მუხის, ფიჭვის, არყის ხისა და წიფლის მონაწილეობით. ვახუშტი ბაგრატიონი მას ცუნქისÃუვის სახელით იხსენიებს: „ახალციხისწყლისა მტკვრის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის ცუნქისÃუვი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის“.

გზიდან ხელმარჯვნივ, ტყიან ფერდობებისაკენ გზა **საფარის მონასტრისაკენ** მიდის. იგი შუა საუკუნეების ქართული მონასტერია. იყო ჯაყელების – სამცხის მფლობელთა რეზიდენცია და საძვალე. უმთავრესი ნაგებობებია: მიძინების ერთნავიანი ეკლესია მშვენიერი კანკელით (ფრაგმენტები, შემკული რელიეფური ქანდაკებებით, დაცულია ხელოვნების მუზეუმში), წმ. საბას სახელობის გუმბათიანი ეკლესია (არუგვიანეს X ს.), სამრეკლო, სამლოცველოები (XIV-XVI სს.) და თლილი ქვით მოპირკეთებული სასახლე (შემორჩენილია ნაშთები).

წმ. საბას ეკლესია ნაგებია ანდეზიტის ქვით. შემორჩენილია კედლის მხატვრობა, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. მონასტერი მძლავრი სამეცნიერო კერა იყო, სადაც მოღვაწეობდნენ: ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი არსენ I (კათალიკოსი), იგივე არსენ დიდი, ანუ დიდი საფარელი (IX ს.), ქართველი ოქრომჭედელი გაბრიელ საფარელი (X-XI სს.) და სხვ. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს: „***შვენივრად დიდშენი, გუნბათიანი, ყოვლადწმიდისა შემკული ყოვლითა საეკლესიოს და წმიდათა ნაწილებითა***“. მოგვიანებით მონასტერი სრულიად გავერანდა. 1893 წელს აქ რუსული მონასტერი დაარსებულა, რომელმაც საბჭოთა პერიოდამდე იარსება. 1988 წელს მამათა მონასტერი განახლდა. ამჟამად იგი მოქმედია. 1989-1990 წლებში აქ გაიხსნა ახალციხის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია.

მდ. ურავლის ზემო წელის აუზში კიდევ რამდენიმე სოფელია: ანდრიაწმინდა, მუსხი, ურაველი, ხეოთი. აქვეა უამრავი ნასახლარიც. სოფ. ურაველთან მინერალური წყაროს გამოსავალია, რომლის ბაზაზეც ფუნქციონირებს კურორტი. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყალი, გამოიყენება სააბაზანო პროცედურებისათვის.

საკვანძო წერტილი 10: ხიზაბავრა

მტკვარი ციცაბოფერდობებიან ხეობაში მიედინება. ფერდობები მთლიან უტყეოა. სოფ. იდუმალას შემდეგ გზა შედის დაბა **ასპინძაში**. იგი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ოთის შესართავთან მდებარეობს. აქ შემორჩენილია X-XII სს. ხუროთმოძღვრების ძეგლები. სახელწოდება „ასპინძა“ სპარსულია და ნიშნავს სასტუმროს, დასასვენებელ ადგილს. ძველ ქართულ წყაროებში XI საუკუნიდან იხსენიება. IX საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. 1770 წელს ასპინძასთან გაიმართა ცნობილი ასპინძის ბრძოლა – მეფე ერეკლე II-ს მეთაურობით ოსმალეთის ლაშქრის წინააღმდეგ. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

ასპინძიდან მდ. მტკვარი კანიონისებრ ხეობაში მიედინება. აქ მდებარეობს სოფლები: აწყვიტა, ხიზაბავრა, სარო, ტოლოში. სოფ. **აწყვიტასთან** ამავე სახელწოდების ნასოფლარიცაა, სადაც შემორჩენილია დარნები, რომელიც წარმოადგენს მრავალრიცხოვან გასასვლელებისა და ოთახების კომპლექს. აქ არის გამოქვაბულები (ერთ-ერთს „ძერი ბუდეს“ უძახიან) და მაღაროები („დადეშის მაღარო“, „თეთრი კლდის მაღაროები“, „ნაჭრის მაღარო“, „როკეთის მაღაროები“).

სოფ. **ხიზაბავრაში** 6 ეკლესიაა, რომელთაგან 4 რესტავრირებული და მოქმედია. შემორჩენილია ხიზაბავრის დარბაზული ეკლესია, ღართის ეკლესია, დარბაზული ტიპის ერდოიანი საცხოვრებელი სახლები და სხვ. სოფელს ჰქონია თავისი ციხეც, რომელიც XX საუკუნემდე არსებობდა. კათოლიკობის გავრცელების შემდეგ, სოფელში აიგო კათოლიკური სალოცავები. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ეს XVI საუკუნის მიწურულს უნდა მომხდარიყო, როცა აქ ამ რელიგიის სალოცავი „ჯვართ ამაღლება“ აიგო. მოგვიანებით ააგეს აგრეთვე „მღვთის მშობლის“ ეკლესია (1828 წ.) და „იესოს გულის“ ეკლესია (1900), სადაც სამრეკლოს ქვაზე ქართულად და ლათინურად წარწერაა: „აღაშენა ეს რომის კათოლიკეთა ტაძარი „იესოს გულისა“, მოღვაწეობითა მღვდლის მიხეილ ვარძელაშვილისა და შემწეობითა ხიზაბავრელ, რუსეთელ და კავკასიელ კათოლიკეთა. წელსა უფლისას 1898-სა“.

წარსულში სოფელში განვითარებული იყო ტერასული სოფლის მეურნეობა. ხეხილთან ერთად აქ ვაზიც მოჰყავდათ. ამაზე ხალხური ლექსიც მეტყველებს. სოფლის მიდამოებში ქვისკედლიანი ხე-

ლოვნური ტერასებია. სოფელი მაღლა მდებარეობს, ხოლო ტერასული ბაღები და ვენახები გაშენებული იყო ქვემოთ, ფერდობის დაბალ ადგილას, სოფლის შემოგარენში, მეტწილად მის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში. სერგი მაკალათიას მოწმობით „***ძველად მტკვრის ხეობაში, ხერთვისის ზემო არტაანამდის ვენახებიც ყოფილა. ვაზი მესხეთში დღესაც ხარობს, განსაკუთრებით ხიზაბავრაში, სადაც წინათ ბევრი ვენახები ჰქონიათ და ღვინოსაც კარგს აყენებდნენ***“.

სოფლის სამხრეთით, ქვავნარში მდებარეობს ხიზაბავრის „საცივი“, ხიზანის სამყინვარო. ყინული და თოვლი აქ გვიან ზაფხულამდე არ დნება. მას სამკურნალო და სამეურნეო თვალსაზრისით იყენებდნენ ძველად.

გადმოცემის მიხედვით, სოფლების – ხიზისა და ბავრისაგან გადასახლებულებმა დააარსეს და სახელიც აქედან მიუღია. ხიზაბავრაში 884 წელს აშოტ კურაპალატს დაუმარცხებია არაბი სარდალი ხალილა. ეს ცნობა შემონახულია სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის მიერ, რომელიც ხიზაბავრას ხოზაბირშის სახელით იხსენიებს. 1770 წელს, ხიზაბავრის ეკლესიაში, გადაიხადა მეფე ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების პარაკლისი, ხოლო ადგილობრივებმა, თურმე, გამარჯვებულ მეფეს დიდი ნადიმი გაუმართეს.

სოფელში არის ბაზალტისა და ანდეზიტის საბადოები. მიდამოები უტყეოა. ძველად აქ ქართული სტამბაც ფუნქციონირებდა. იგი დაარსებული იყო 1836 წელს ხიზაბავრელი მკვიდრის, კათოლიკე მღვდლის იოსებ ხუციშვილის მიერ, რის გამოც იგი „მესხ ჰუტენბერგად“ მონათლეს. 1838 წელს სტამბა ქ. ახალციხეში გადაუტანიათ, სადაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ფუნქციონირებდა. იმ პერიოდში იგი სამცხე-ჯავახეთის ერთადერთი ქართული სტამბა იყო.

ხიზაბავრა განთქმული ყოფილა ფალავნებითაც. ხიზამბარელობა – ასე უწოდებდნენ აქაურ ქართველი ფალავნებს. ეს ფალავნებია: გიორგი, დათა, ზაქარია ხიზამბარელები და სხვანი. მოგვიანებით ეს სიტყვა ძლიერების აღმნიშვნელ ტერმინადაც კი იქცა მთელ საქართველოში. აი, რას წერდა 1888 წელს გაზეთი „ივერია“ დათა ხიზამბარელის შესახებ: „***საქართველოში ბევრი გამოჩენილი ფალავანი ყოფილა, მაგრამ ხიზამბარელივით კი სახელი არავის გაუთქვამს. თითქმის სახალხო გმირად გადაიქცა. ხელობით მეტივე იყო. ჯმუხი, ცოტათი მოხრილი და დათვურად ნაკვეთი. ტანზე, სადაც არ უნდა მოგევლო ხელი, იტყოდი თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორცი. ზეზე კისრული იცოდა და რაღა-კი წამოიღებდა, იტყოდა ხოლმე „ახლა თუ გინდათ ხარ-კამეჩიც მოუბით, ვეღარ შეიმაგრებთ, გადავიტანო***“.

საკვანძო წერტილი 11: ხერთვისის ციხე

მდ. ფარავნის მტკვართან შეერთების ადგილას, სოფ. ხერთვისთან, მაღალ კლდოვან მთაზე აღმართულია ხერთვისის ციხე. იგი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეა და გადაჭიმულია 100 მ სიგრძეზე. ციხე კეტავდა ორ ხეობას – მტკვრისა და ფარავნის. ამიტომ ოდითგანვე ცდილობდნენ მის გამაგრებას. საუკუნეების მანძილზე ციხემ არაერთხელ იცვალა სახე. X საუკუნეში საკმაოდ მტკიცე ციხე ყოფილა. ქვის ერთ დაზიანებულ წარწერაში იკითხება „მეფეთ-მეფე“ და თარიღი 985 წელია. XVI საუკუნეში აქ ოსმალები გაბატონებულან, ხოლო 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დადებული ადრიანოპოლის (ამჟამად ედირნე, თურქეთი) ზავით, რუსეთის ხელში გადავიდა სამხრეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად, ხერთვისის ციხეც. საქართველოში შემორჩენილ ციხეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახულია. შემორჩენილია ციხიდან მდინარისპირას ჩამავალი გვირაბი, 20 მ სიმაღლის კოშკი ციხესიმაგრის ცენტრში.

ლეგენდის თანახმად, ხერთვისის ციხე ალექსანდრე მაკედონელს მოუნახულებია. სახელწოდება უკავშირდება მის მდებარეობას – ფარავნის მტკვართან შეერთების ადგილს. ე.ი. იგი „ხერთვის“ ზმნისაგან წარმოიქმნა. როგორც ცნობილია, ძველად (VIII საუკუნემდე) ზმნას პირის ნიშნად „ხ“ ერთვოდა (ხანმეტი). დროთა განმავლობაში ხანმეტობა გაქრა ქართულ ლექსიკაში, თუმცა ტოპონიმმა დღემდე შემოგვინახა ამ ზმნის ძველი გრამატიკული ფორმა.

სოფ. ხერთვისის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილია კედლიანი ტერასები. ალექსანდრე ფრონელი ხერთვისის ტერასებზე წერდა: „***ადამიანი განცვიფრდება, ხერთვისის ბაღებს რომ ნახავს. ბაღები კლდე-კლდე მიდიან და გარეგანი სახით ძველ ბერძენთა ამფითეატრს წააგავან. ბაღებს ასე აშენებენ: ჯერ მოჩეხავენ კლდეს, შემდეგ ქვემოდან გაუვლებენ კედელს ისეთი დიდრონ-დიდრონი ლოდებით, რომ ზოგის წონა 10,000 ფუთი იქნება. სწორედ გასაოცარია, რა ხელმა და მარჯვენამ მიაგორა ეს უშველებელი ლოდები კედლის ამოსაყვანად? როცა კედელს გაავლებენ და ადგილს მიასწორ-მოასწორებენ, ზურგით აზიდავენ მიწას, მოფენენ, შემდეგ დაყრიან პატივს და მხოლოდ ამის შემდეგ დარგავენ ხეს, ან დათესენ თესლს. დიდი ჯაფა და შრომაა საჭირო ამისთანა ბაღის გაშენებისათვის***“.

საკვანძო წერტილი 12: თმოგვის ციხე

სოფ. ხერთვისიდან გზა მდ. მტკვრის კვლავ კანიონისებრ ხეობაში მიემართება. გაივლის სოფლებს ნაქალაქევსა და თმოგვს.

სოფ. თმოგვი, (იგივე ძველი თმოგვი, მარგასტნი) მდ. მტკვრის მარჯვენა მხარესაა. იგი იყო ქართველ დიდგვაროვანთა საგვარეულოს – თმოგველების ადგილსამყოფელი. შემორჩენილია შუა საუკუნეების თმოგვის ციხე. მიდამოებში არის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები – ბერისხევი და ბერთაყანა.

სოფლის მოპირდაპირედ, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, კი მიუდგომელი კლდის ქიმზე აღმართულია შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი – **თმოგვის ციხე**. ციხესთან მდ. მტკვრის კანიონის სიღრმეა 400-500 მ. ციხის აშენების თარიღი უცნობია. ისტორიულ წყაროებში კი პირველად მოხსენიებულია 914 წელს არაბთა შემოსევების დროს. ციხის ზედა და ქვედა ნაწილები ერთმანეთს საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა, წყლით მარაგდებოდა მტკვარზე ჩამავალი გვირაბით. შემორჩენილია ნაგებობათა ნანგრევები: ეფრემის ეკლესია (კლდეში გამოკვეთილი), ეკლესია (XIII ს.) კედლის მხატვრობის ფრაგმენტებით, ნასოფლარები მდ. მტკვრის ორივე მხარეს, სასახლეთა ნანგრევები, ხიდის ბურჯების ნაშთები (ერთი ხიდი აკავშირებდა სასახლეებს, მეორე ხიდი კი ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა). ციხე-ქალაქი რამდენიმეჯერ დააზიანა ძლიერმა მიწისძვრამ 1088, 1283 და 1319 წლებში. განსაკუთრებით დააზიანა იგი 1088 წლის 22 აპრილის მძლავრმა მიწისძვრამ. ამ მოვლენის შესახებ ცნობები შემორჩენილია „ქართლის ცხოვრებაში“: „***შეძრა ქუეყანა საფუძვლითურთ, ესოდენ სასტიკებითა, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნნეს საფლავ მტკვრის კანიონი თმოგვის ციხესთან მას შინა მკვიდრთა. რომელთა თანა თმოგჳცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიიასი ცოლითურთ. და განგრძელდა ესევითარი იგი რყევაჲ ქუეყანისა საშინელი ვიდრე განსრულებამდე წელიწადისა, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ მძლე რიცხვსაი***“. როგორც ირკვევა, ქალაქი თმოგვი მთლიანად დაინგრა.

რამდენიმე საუკუნეა ციხე აღარ ფუნქციონირებს. ერთ დროს კი აქ იღწვოდა ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი სარგის თმოგველი (XIII ს.), რომელიც მიჩნეულია საგმირო-სათავგადასავლო პოემის „დილარგეთიანის“ (ჩვენამდე არ მოუღწევია) ავტორად და სპარსელი პოეტის გორგანის სამიჯნურო პოემის, „ვისრამიანის“ ქართულად მთარგმნელად. არსებობს მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველი ქაჯეთის ციხედ, ერთ-ერთი ვერსიით, თმოგვს მოიაზრებდა.

საკვანძო წერტილი 13: ვარძიის მონასტერი

მარშრუტი კვლავ მისდევს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. მიმდებარე კალთებზე ნასახლარები, ციხე-სიმაგრეების ნანგრევებია. მათი მხოლოდ ნაწილი მოჩანს გზიდან.

გზიდან ხელმარცხნივ, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს ვანის ქვაბების გამოქვაბულია, ხოლო გზიდან ხელმარჯვნივ, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს – ვარძიის მონასტერი.

ვანის ქვაბების გამოქვაბული, ანუ როგორც მას უწოდებენ ხოლმე ვანის ქვაბები, ვაჰანის ქვაბები გამოქვაბულთა კომპლექსია (VIII-XVI სს.). აქ 200-მდე კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულია, სხვადასხვა დროის ეკლესია. მრავალი ნაგებობა 1088 წლის მიწისძვრისას დანგრეულა და დაზიანებულა. შემორჩენილია 3 ტრასის წყალსადენი და წყალსაცავის ნაშთი. კედლებზე წარწერებია, მათ შორის არის „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი – პოემის ხელნაწერის ყველაზე ადრეული ნიმუში.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, ანუ ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, „ქვაბთა ქალაქი!“ – კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლია (XII სს.). აერთიანებს ფრიალო და მიუვალ კლდეში გამოკვეთილ ასეულობით ქვაბს, დიდ და მცირე დარბაზს, ანტიკური პერიოდის ნაქალაქარს, კლდის სოფლებს, ყორღანული ტიპის სამარხებს, მარნებს და სხვ. რამდენიმე იარუსად განლაგებული ქვაბები ერთმანეთს დერეფნებით, ბაქნებითა და კიბეებით უკავშირდება. გამოქვაბულებს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა – საკულტო, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი. ყველაზე გამორჩეულ გამოქვაბულს თამარის ოთახს უწოდებენ. როგორც ფიქრობენ ვარძიის აგება გიორგი III-ს დაუწყია და თამარ მეფეს დაუმთავრებია: „***დიდმან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შესწირნა მრავალნი და დიდროვანი სოფელნი და შეუმზადა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი და პატიოსანნი, რომლისა ყოვლისაÀმოთხრობაÀძნელ არს. თუ ვინმე ჰნებავს ამისგანაცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი, ქმნულნი და ნაშენი ქუაბ ქმნილნი***“. გადმოცემის მიხედვით, ვარძიის სახელწოდებასაც თამარ მეფის სახელს უკავშირებენ. პატარა თამარი დაიკარგა და მის საძებნელად წამოსულებისათვის ასე მიუმართავს: „აქ ვარ ძია“-ო. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სახელი შეიძლება ვერძს – ძველ საკულტო საქმიანობას უკავშირდებოდეს. სხვა მოსაზრებით, იგი ტომობრივი სახელია, ისევე როგორც ალბანია, ივერია, გურია და სხვ. ძველ ქართულში სიტყვა „ვარძია“ გამოქვაბულს ნიშნავს და შესაძლებელია ეტიმოლოგიურად სწორედ ამაზე მიგვანიშნებდეს. ვარძიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მეორე ეკლესია-სამლოცველოცაა – „ანანაური“.

ვარძიის ერთ-ერთ გამოქვაბულში კლდეში გამოკვეთილია 20X22 სმ ზომის მქონე კუბური შეღრმავებები, „უჯრები“, თახჩები. მათი დანიშნულების შესახებ განსხვავებული აზრია გამოთქმული. ზოგიერთი თვლის, რომ მათ სააფთიაქო დანიშნულება ჰქონდათ. თახჩების ზომა განსხვავებულია.

ზოგიერთ მათგანს სამკურნალწამლო ნედლეულის მასალის შესანახად, ზოგიერთს კი წამლის შესანახად იყენებდნენ. ასევე უნდა ყოფილიყო თახჩები ხატების დასაბრძანებლად და იარაღების შესანახად განკუთვნილი. იატაკზე ამოკვეთილია ერთნაირი სიღრმისა (14 სმ) და ზომის (რადიუსი 10 სმ) ორმოები. მათ სავარაუდოდ იმ თიხის ჭურჭლების ჩასადგმელად იყენებდნენ, სადაც სამკურნალო ნედლეული იყო განთავსებული. განსხვავებული აზრი გამოთქვა ლევან მარუაშვილმა და კობა ხარაძემ. მათი აზრით, ვარძიის თახჩები სამტრედეებს წარმოადგენდა, რასაც ძველად საფოსტო კავშირისათვის იყენებდნენ. მეორე სამტრედე მდებარეობს ვარძიიდან დაახლოებით 120 კმ მანძილზე, მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, სოფ. წინარეხთან. როგორც ჩანს, ამ ორი სამტრედის არსებობით შესაძლებელი იყო საფოსტო კავშირი დაემყარებინათ ბასიანის საბრძოლო ასპარეზიდან პირდაპირ ქართლის შუაგულში. ეს კი, ცხადია, დიდ როლს შეასრულებდა საბრძოლო მოქმედებების წარმატებით დამთავრებაში. საქართველოში სამტრედეების ორად-ორი ადგილსამყოფელია: ვარძია და წინარეხი. ვარძიაში იგი კლდეშია გამოკვეთილი, ხოლო სოფ. წინარეხთან – უხეშად დამუშავებული ქვებითაა აგებული. აღსანიშნავია ისიც, რომ მტრედის ნაკელს (სკორეს) იყენებდნენ მონასტრების ბაღ-ბოსტნების მიწების გასანოყიერებლად.

1283 წელს ვარძია ძლიერ დააზიანა მიწისძვრამ, XVI საუკუნეში კი იგი დაარბია სპარსელებმა (შაჰ-თამაზი). წაიღეს მრავალი საგანძური. ვარძიაში კი სიცოცხლე ჩაკვდა. . ვარძიაში ძველად დაწინაურებული ყოფილა მევენახეობა-მეღვინეობა, რაზეც მრავალი ფაქტი მეტყველებს: საწნახელები, მარნები, დიდი ტევადობის ქვევრები, მათ შორის დიდი „სალხინო მარანი“ (XII-XIII სს.), ზოგიერთი მათგანი კლდეშია გამოკვეთილი. ამჟამად აქ ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალია (1938-დან).

ვარძიის სიახლოვეს, დაახლოებით 3 კმ მანძილზე მდებარეობს ვარძიის კლდის სვეტები – ვულკანური წარმოშობის კლდის სვეტები. ისინი სხვადასხვა ფორმისა და მოყვანილობისაა.

გზას თუ კიდევ სამხრეთით გავუყვებით, მივალთ იმ ადგილამდე, სადაც მდ. მტკვარი შემოედინება საქართველოში – ერუშეთის მთიანეთსა და ჯავახეთის ზეგანს შორის, ზ.დ. 1360 მ სიმაღლეზე. აქაც ხეობა ღრმა, კანიონისებრი და უტყეოა. საზღვართან სიახლოვეს მდებარეობს სოფლები: გოგაშენი, აფნია, მირაშხანი და მრავალი ნასოფლარი.

XX საუკუნის შუა წლებში **სოფ. აფნიასთან** გააშენეს ხელოვნური ფიჭვნარები. ამ ადგილს მერენიის ტყე უწოდეს. შემორჩენილია დარბაზული ეკლესია და დარბაზული ტიპის ერდოიანი საცხოვრებელი სახლები. 1933 წელს ნ. ბერძენიშვილს მიუკვლევია ოთხკუთხედი ქვა, რომლის ოთხივე მხარეს ქანდაკებები ჰქონია გამოსახული: ფოთლის, ყვავილის, ირმისა და ჯვრის. სოფელში ძველთაგანვე მისდევნენ ტერასულ სოფლის მეურნეობას. როგორც ნ. კეცხოველი წერს „***ჯავახეთის სოფლებს აფნიას და გოგაშენს და სხვებს ბაღები ჰქონდათ ვარძიის მიდამოებში, მის პატარა ხევებში და საერთოდ მტკვრის გასწვრივ. ეს ვენახები ფრიად საინტერესონი არიან თავის არქიტექტურით, ბევრი მათგანი ციცაბო კლდეზეა გაშენებული, მაგრამ კლდე ფრიად ოსტატურად არის დატერასებული. ტერასის შუბლი ამოყვანილია ქვის კარგი კედლით. ტერასის უკანა მხარეზე დარგულია ხეხილი: თუთა, ჭანჭური, ღოღნოშო, ქლიავი, მსხალი, ვაშლი, წინამხარეზე ვაზი – ერთი მწკრივი დაბლარი, მეორე – ხეხილის მწკრივზე (მაღლარი) გაშენებული. ვაზებს შორის ფართობი გამოყენებულია მწვანილის მოსაყვანად, კლდის პირით ტერასამდე მიყვანილია სარწყავი არხი. ეს ერთი-ერთი ტიპია მრავალსართულიანი ბაღვენახ-ბოსტნისა“***.

საქართველო-თურქეთის საზღვარზე, ოდნავ აღმოსავლეთით მდებარეობს **კარწახის ტბა**, იგივე ხოზაფინის ტბა. იგი ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია. მცირე სიღრმის ტბაა, მაქსიმალური სიღრმეა 1 მ. სიდიდით მეორე ტბაა საქართველოში (ფარავნის ტბის შემდეგ), თუმცა ზედაპირის ფართობის მხოლოდ 53% შემოდის საქართველოს ფარგლებში. მარაგდება პატარა ნაკადულებისა და ფერდობებზე ჩამომდინარე ზედაპირული წყლებით. გაუდინარი ტბაა. ერთადერთი ტბაა ჯავახეთში წყლის მაღალი მინერალიზაციით. ასევე განსხვავდება სხვა ტბებისაგან რეჟიმით – წყლის ყველაზე მაღალი დონეა ივლის-აგვისტოში.

წყლის ზედაპირი დაფარულია წყალმცენარეებით. ტბის მიდამოებსა და მის შემოგარენში, მხოლოდ აქ საქართველოში გვხვდება Dasiphora fruticosa – ვარდისფერთა ოჯახის წარმომადგენელი. ტბის მიდამოებში მრავლადაა ხუჭუჭა ვარხვი (Pelecanus crispus). ტბის სამხრეთ ნაწილში მდებარე მცირე კუნძულზე (თურქეთი) მრავალი გადამფრენი ფრინველი სტუმრობს. ტბის ნაპირზე დგას ყოფილი საბჭოთა კავშირის დროინდელი შეიარაღებული ძალების სათვალთვალო კოშკი, საიდანაც შეიძლება ფრინველებზე დაკვირვება. თურქეთში კარწახის ტბა მოიხსენიება ქანარაბელისა და ხოზაფინის სახელებით, რადგანაც აქვე მდებარეობს ამ სახელწოდების სოფლები. ქართული სიტყვა კარწახი უნდა ნიშნავდეს ხრიოკ, მოუსავლიან ადგილს. ჯავახეთში კარწახის ტბის მიდამოებიც გამორჩეულად ხრიოკია. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ტბა კარწახისა, დიდი და აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“. კარწახის ტბაში სცადეს კიდეც თევზის მოშენება,

მაგრამ ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.კარწახის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ხშირ რაყებს ქმნის მთის გლერძიანები ფორმაციები (Astragalus mycrocephalus-ის დომინანტობით). ისინი ხანგრძლივი გვალვების შემდეგ ხანძრის განვითარების მძლავრ კერას წარმოადგენენ. ტბასა და მის შემოგარენში მთის სტეპებსა და გასტეპებულ მდელოებზე 2004 წელს აღმოაჩინეს საქართველოს ფლორაში აღწერილი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელი. სასაზღვრო ზოლში მდებარეობის გამო, აქ ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ანთროპოგენური ზემოქმედება (თუ არ ჩავთვლით ყარს-ახალქალაქის სარკინიგზო და საავტომობილო გზების მშენებლობას).

ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს **კარწახის ჭაობის აღკვეთილი** – სოფლებს კარწახსა და ფილიპოვკას შორის. იგი მარაგდება მცირე ზომის ნაკადულებით. წყლის გამოდენა ჭაობიდან ხდება ხელოვნური არხით, რომელიც სოფ. კარწახის გავლით, ჩაედინება კარწახის ტბაში. აღკვეთილში მრავალი გადამფრენი ფრინველია, განსაკუთრებით შემოდგომაზე, მიგრაციების პერიოდში.

ჯავახეთის ზეგანი ვულკანური ზეგანია, რომელიც მდებარეობს ზ.დ. 1500-2200 მ სიმაღლეზე. ზეგნის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს ახალქალაქის პლატოს, რომელიც ბრტყელი ზედაპირით ხასიათდება. რელიეფი გართულებულია ტაფობ-ქვაბულებით, მდინარეთა კანიონისებრი ხეობებითა და სერებით. ჰაერის ტემპერატურის მაღალი დღეღამური ამპლიტუდის გამო, დღისით მიწის ზედაპირი გადახურებას განიცდის, ხოლო ღამით, პირიქით – გაცივებას. ეს ხელს უწყობს გამოფიტვის პროცესების ინტენსიურ განვითარებას, რაც ეხმარება კარკალების დიდი რაოდენობით დაგროვებას. ჰავა გარდამავალია ზომიერად ნოტიოდან მთიანეთის მშრალი კლიმატისაკენ. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 600-750 მმ. ზამთარი ცივი და მცირეთოვლიანია. წლის ცივი პერიოდი აქ უფრო დაბალი ტემპერატურებით ხასიათდება, ვიდრე ამავე სიმაღლეებზე მდებარე ქვეყნის სხვა რეგიონები. ამიტომ უწოდებენ ჯავახეთის ზეგანს „საქართველოს ციმბირს“. გერმანელმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა კი მას „ჰაერითა და წყლით მდიდარი, გრილი კუნძული“ უწოდა. ძირითადი მდინარეული არტერიაა მტკვარი და მისი შენაკადები: ფარავანი, კოდალო, ოთა და სხვ. მნიშვნელოვანი ტბებია: კარწახი, მადათაფა, საღამო, ტაბაწყური, ფარავანი, ხანჩალი და სხვ. მათი უმეტესობა მტკნარია, მხოლოდ კარწახის ტბის წყალია მომლაშო. ცნობილია, რომ ჯავახეთის ზეგნის ტბები ამ ტერიტორიაზე ოდესღაც (მეოთხეულის დასაწყისში) არსებული ვრცელი წყალსატევების ნაშთებია. ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ბარალეთის ტბა – მდ. ფარავნის აუზში) ამჟამად მთლიანად გამქრალია. გვხვდება ლავური ვოკლუზები, რომლებიც დიდი დებიტით, დაბალი ტემპერატურითა და მტკნარი წყლით ხასიათდებიან. ჯავახეთის ზეგნის მდინარეული ქსელის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება ხეობების შებრუნებული პროფილის არსებობაა. არსად სხვაგან საქართველოში ასეთ ვრცელ ფართობზე მსგავს მოვლენას ადგილი არა აქვს. აქ მდინარეთა ზემო წელის აუზი ბრტყელი ზედაპირით ხასიათდება და წყლის დინება მდოვრეა, ხოლო ქვემო წელის აუზი (ზეგნიდან ვაკე რელიეფზე გადასვლის გამო) საკმაოდ ციცაბო ფერდობებით გამოირჩევა და მდინარეები სწრაფი და ჭორომიანი ნაკადებით ხასიათდება.

მარშრუტი 6. კახეთი: უჯარმა – შუამთა – ალავერდი – თელავი – გრემი – ნეკრესი

ექსკურსიის მიზანია მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს ერთ-ერთ მხარეს–კახეთს, მის კულტურის ძეგლებს. ექსკურსია დაგეგმილია 2 დღეზე.

საკვანძო წერტილი 1: მარტყოფი

მარშრუტი იწყება ქ. თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და მისდევს საგურამო-იალნოს ქედის მთისწინეთს.

გავივლით ქ. თბილისის აღმოსავლეთ ნაწილს, რომელიც სამგორის ველზე გადის და ლილოს შემდეგ გავდივართ მდ. ლოჭინის ხევზე, აქედან უკვე იწყება კახეთი. მარჯვნივ გამოჩნდება ისტორიული სოფელი ვაზიანი, მარცხნივ სოფ. საკაძე და მარტყოფი.

მარტყოფი – მას ძველად აკრიანი ერქვა, VI საუკუნეში აქ მოვიდა 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი – ანტონი, რომელმაც სოფლის ახლოს დაიდო ბინა და მარტოდმარტომ გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები, ამიტომაც შეარქვეს მარტყოფი.

XVII საუკუნის დასაწყისში, კახეთის განადგურების შემდეგ ირანის მბრძანებელი შაჰ-აბას I ქართლის განადგურებასაც შეეცადა. ამ მიზნით 1625 წლის გაზაფხულზე დიდი ჯარი გამოაგზავნა ყარჩიხა-ხანის სარდლობით, მათთან იყო გიორგი სააკაძეც.

მტერი მარტყოფის ველზე დაბანაკდა. გიორგი სააკაძემ და ზურაბ არაგვის ერისთავმა მოახერხეს ქართველებთან საიდუმლო გზებით დაკავშირება და აჯანყების მომზადებას შეუდგნენ.

25 მარტის გარიჟრაჟზე, ხარების დღესასწაულზე (მტერი არ ელოდა, რომ ამ ბედნიერ დღეს ქართველები ბრძოლას დაიწყებდნენ) ყიზილბაშთა ბანაკში მყოფმა სააკაძემ და რამდენიმე მისმა

თანამებრძოლმა მოწინააღმდეგეების სარდლები გაწყვიტეს. უცებ გარს შემომდგარმა ქართველებმაც შეუტიეს მტერს და 30 ათასი მომხვდურიდან 3 ათასმა ძლივს უშველა თავს გაქცევით.

მარტყოფის ბრძოლა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია.

შევუდგებით აღმართს და გავივლით მდ. ივრის ზეგანის დასავლეთ ფერდობს და ზემოდან მოვექცევით მას. აქ, პოლიციის საგუშაგოდან გზა მარცხნივ მიდის, გომბორის უღელტეხილის გავლით, რაც უმოკლესი გზაა თბილისიდან თელავამდე.

საკვანძო წერტილი 2: უჯარმა

უჯარმა, ისტორიული კახეთის უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი, მისი დაარსება მიეწერება მეფე ასფაგურს (III ს.-ში), შემდეგ ის ხდება მეფე ვახტანგ გორგასლისა და მისი შვილის – დაჩის – ერთ-ერთი რეზიდენცია. მისი აღზევება გამოიწვია სტრატეგიულმა მდებარეობამ. ის ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარს. აქვე იყო ცხვრის გადასარეკი გზა. გარდა ამისა, ის მდებარეობდა იმ სავაჭრო მაგისტრალზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიას (ალვანეთი, ჰერეთი) მცხეთასთან და თბილისთან (გომბორის გზით, სწორედ ამ გზაზე მდებარეობს საკურორტო სოფელი უჯარმა).

გომბორის უღელტეხილის სიმაღლე ზღვის დონიდან 1616 მეტრია. აქვე, მდინარე ივრის ხეობაში, (საქართველოს ერთ-ერთი უგრძესი მდინარე – 357 კმ.) მდებარობს ექსკურსიის პირველი გაჩერება – ციხესიმაგრე უჯარმა. ციხეს მაღალი გალავანი აქვს. აქვეა ეკლესია – ჯვარი პატიოსანი. ციხე შედგება ზედა და ქვედა უბნებისაგან. ზედა უბანში ძირითადად სამეურნეო ნაგებობებია. ციხეს ჰქონდა საიდუმლო გვირაბი, რომელიც მდინარე იორთან ჩადიოდა. ციხის ქვედა უბნის კედლებში ჩატანებულია ოთხკუთხა კოშკები (რაც მის სიძველეზე მეტყველებს). სწორედ ამ ციხე-ქალაქში აღესრულა V საუკუნის მიწურულს ივრის სანაპიროზე ირანელებთან ბრძოლაში მოღალატის ხელით დაჭრილი ვახტანგ გორგასალი.

ვაგრძელებთ გზას. სოფელ სასადილოსთან გზები ორად იყოფა, ერთი მიდის ბოჭორმის ციხესიმაგრისაკენ, რომელიც უჯარმასთან ერთად, უძლიერეს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, ჩვენ მივდივართ მარჯვნივ სოფ. ასკილაურისაკენ.

გავცდებით გომბორის უღელტეხილს და ჩვენ თვალწინ გადაიშლება კახეთის ულამაზესი ხედები, შორს კი კავკასიონის მარადყინულოვანი მთები (თუ კარგი ამინდია), რამდენიმე სოფლის გავლის შემდეგ ვეშვებით თეთრ წყლებთან (აქ ჩასახლებულია ხევსურები), მალევე, გზიდან მარჯვნივ შუამთის სამონასტრო კომპლექსია.

საკვანძო წერტილი 3: შუამთა

ძველი შუამთა – თელავიდან დაახლოებით 11 კმ-ზე მდებარეობს. აქ 3 ეკლესიაა, რომლებსაც 3 მხრიდან მთები აკრავს, თვითონ კი მთათაშუა ვაკეზეა აგებული. ის ალაზნის ველის ზემო კალთაზეა შეფენილი. ყველაზე ძველი 3-ნავიანი ბაზილიკა აგებული უნდა იყოს VI საუკუნეში, ერთ-ერთი ასურელი მამის მიერ.

როგორც ძირითადაც კახეთშია მიღებული, ეკლესიის ფასადები მსხვილი რიყის ქვით არის აგებული, სახურავი კრამიტით არის გადახურული, ის ჰარმონიულად არის შერწყმული გარშემორტყმულ ტყის ფონთან. შუამთის მონასტერი აღწერილი აქვს აკაკი წერეთელს თავის „ბაში-აჩუკში“.

ახალი შუამთა – დედათა მონასტერია, რომელიც ხახულის ღვთისმშობლის სახელზეა აგებული, ცივგომბორის მთის ულამაზეს კალთაზე, ეს ცენტრალურგუმბათოვანი ტაძარი XVI ს.-ს II ნახევარშია აგებული კახეთის მეფე ლევანისა და მისი მეუღლის – გურიელის ასულის – თინათინის მიერ. მონასტრის დაარსებათან დაკავშირებით არსებობს საინტერესო გადმოცემა: ახალჯვარდაწერილ მეფე ლევანსა და დედოფალ თინათინს იმ ადგილზე შემოაღამდათ, სადაც ახლა მონასტერია აგებული. მეფის ამალა გურიიდან მოასვენებდა ხატს, რომელიც დედოფალს განუშორებლად თან დაჰქონდა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ღამისთევისას ერთი შინდის ხის ქვეშ დაუბრძანებიათ. მეორე დღეს, როდესაც გამგზავრება გადაწყვიტეს, ხატი ადგილიდან ვერ დაძრეს, სანამ დედოფალმა არ აღუთქვა ამ ადგილზე ეკლესიის აგება.

ტაძარში ფრესკები კარგადაა შემონახული (მეფე-დედოფალი თავიანთ ვაჟთან – ალექსანდრესთან ერთად, „ამაღლება“ და სხვ.).

ტაძარში დაკრძალულია მრავალი გამორჩეული პიროვნება, მათ შორის პოეტი – ალ. ჭავჭავაძე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მონასტერი დაიხურა და ბავშვთა სახლად გადაკეთდა. აქ წირვა-ლოცვა XX ს.-ს 90-იან წლებში აღდგა.

შუამთიდან სოფ. ვარდისუბნის გავლით მივემგზავრებით იყალთოში. მანძილი დაახ. 10 კმ-ია. იყალთოსთან გადმოჩქეფს წყარო, რომელსაც 1966 წელს, შოთა რუსთაველის იუბილის წლებში, შოთას წყარო შეარქვეს.

საკვანძო წერტილი 4: იყალთო

იყალთო, მდებარეობს თელავიდან 6 კმ. დაშორებით, ის აუგია ერთ-ერთ ასურელ მამას – ზენონს.

XI-XII საუკუნეებში ის საქართველოს ერთ-ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. ამ პერიოდში საქართველოში დაბრუნდა ცნობილი ფილოსოფოსი, მწიგნობარი, არსენ იყალთოელი, რომელმაც მონასტერში აკადემია დააარსა. აქ მიიღო სწავლა-განათლება შოთა რუსთაველმაც. ეს იყო ერთადერთი აკადემია მსოფლიოში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა ისწავლებოდა.

ამჟამად მონასტრის გალავნის ეზოში დგას 3 ეკლესია, აკადემიის შენობის ნანგრევები და სატრაპეზოს ნაშთები.

ძეგლის გაწმენდის დროს აღმოაჩინეს ქვევრები, რაც მევენახეობის არსებობის დადასტურებაა.

იყალთოს შემდეგ გეზს ვიღებთ ქართული კულტურის კიდევ ერთი შესანიშნავ ძეგლ – კვეტერასაკენ (კვეტარი, კუეტერი). ახმეტასთან ვუხვევთ მარცხნივ თიანეთისკენ და (ახმეტიდან დაახლოებით 10 კილომეტრში) ფეხით 1 კმ-ის გავლის შემდეგ მივადგებით მთის მაღალ მწვერვალზე გაშენებულ ერთ დროს დიდებულ ციხე-ქალაქ კვეტერას ნაშთებს. (სასურველია ექსკურსია მოეწყოს შემოდგომაზე, ამ დროს კვეტერასაკენ მიმავალ გზაზე ბუნება კიდევ უფრო ლამაზია, ყვითელ, ოქროსფერ, მწვანე ფერებში, ანუ როგორც იტყვიან „გვაქვს უთვალავი ფერითა“). ის მატიანეებში პირველად XI საუკუნიდან იხსენიება (თუმცა ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებით კვეტერა უფრო ადრე არსებობდა), როდესაც კახეთის მეფე კვირიკე III-მ კახეთ-ჰერეთი 7 საერისთავოდ დაჰყო ერთ-ერთი მათგანი იყო კვეტერის საერისთავო (თუმცა, სამწუხაროდ აქ საქალაქო ცხოვრების კვალი XIII საუკუნიდან ისპობა).

ძლიერი ფეოდალური ციხე-ქალაქი კვეტერა მდებარეობდა მდ. ილტოს ხეობაში მთის მაღალ მწვერვალზე, ისტორიული კახეთის მთისა და ბარის შესაყარზე და საკმაოდ დიდ ტერიტორიას აკონტროლებდა. ის შემოზღუდული იყო რიყის ქვით ნაგები გალავნით. ყველაზე მაღალი ადგილი უჭირავს ზედა ციხეს, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილია დარბაზული და გუმბათიანი ეკლესიები, სასახლე, დამხმარე ნაგებობებით და წყალსაცავის ნაშთებით.

ორსართულიანი სასახლე, რომელიც ქვითაა ნაგები, X-XI საუკუნეებს განეკუთვნება. პირველი სართული ძირითადად დამხმარე დანიშნულებისა ყოფილა, აქვეა ბუხარიც. მეორე სართული კი საპატიო სტუმრების მისაღებად იყო გათვალისწინებული.

ქვედა ციხის ფართობი დაახლოებით 25 000 კვ. მეტრია, გალავნის სიგრძე 540 მ. კედლების სისქე 1,1 მ. გალავნის შემორჩენილი კედლების სიმაღლე 4,5 მეტრია. კარიბჭის წინ კლდის ქარაფებია, საიდანაც მტერი ვერ შემოიჭრებოდა. გალავნები და ციხის ბურჯები ქონგურებით სრულდება.

1968 წელს კვეტერაში არქეოლოგ გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა გათხრები, რომლის შედეგადაც გამოვლინდა ძველი ეკლესიის ნაშთი, მთავარი კარიბჭე, წყალსადენი, მინის ჭურჭლები, სამაჯურები, სპილენძის მონეტები და სხვა.

საინტერესოა, რომ კვეტერის დასუფთავება-აღდგენაში პირველად მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მაშინ, საბჭოთა ხელისუფლების დროს სტუდენტები შრომით სემესტრში მიჰყავდათ რუსეთის ფედერაციაში, ყაზახეთში და სხვაგან, და აი მოხდა იმ დროისათვის მეტად უჩვეულო ფაქტი, ქართველი სტუდენტები ქართული კულტურის ძეგლის აღსადგენად წავიდნენენ და არა უცხოს. (ამის შესახებ იხილეთ გაზეთი „ჩვენი მწერლობა“. 2003წ. 15-21 აგვისტო.) კვეტერას ციხე-ქალაქი „გააცოცხლა“ კ. გამსახურდიამ თავის დიდებულ რომანში – „დიდოსტატის მარჯვენა“.

კვეტერადან ვბრუნდებით უკან და მივდივართ ალავერდის დიდებულ ტაძრისაკენ, რომელიც ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

საკვანძო წერტილი 5: ალავერდი

ალავერდი – მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნის დასაწყისი საქართველოსთვის ძნელბედობის ხანად ითვლება, სწორედ ამ დროს იგება საქართველოში ბრწყინვალე ტაძრები: ბაგრატის ტაძარი დასავლეთ საქართველოში, სვეტიცხოველი ქვეყნის შუაგულში – ქართლში და ალავერდი ქვეყნის აღმოსავლეთში – კახეთში. ის საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის ყველაზე მაღალ ტაძრად ითვლებოდა (დაახლოებით 52-54 მ).

ტაძრის აგება უკავშირდება ერთ-ერთი ასურელი მამის – იოსებ ალავერდელის სახელს VI ს.-ში. (მისი საფლავი ტაძარშია).

თეთრი გედივით ყელმოღერებული ტაძარი მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში, თელავიდან 20-მდე კმ.-ში, ალაზნის ველზე, კავკასიონის მთების ფონზე.

ალავერდის წმ. გიორგის დიდი საკათედრო ტაძარი XI ს.-ში ააგო კვირიკე კახთა მეფემ.

ალავერდის სამონასტრო ანსამბლი შედგება შემდეგი ნაგებობებისაგან: ეპისკოპოსის სასახლე, სატრაპეზო, სამრეკლო, აბანო, გალავანი და დიდი ტაძარი.

ალავერდის ტაძართან უამრავი ისტორიული ფაქტია დაკავშირებული. 1104 წელს, როდესაც დავით აღმაშენებელმა ერთიან საქართველოს კახეთიც შემოუერთა, ალავერდის საეპისკოპოსო ტაძარი სრულიად საქართველოს სამსახურში ჩააყენა. 1616 წელს შაჰ-აბასმა კახეთის აოხრების შემდეგ ტაძარი ცხენების თავლად გადააკეთა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ყიზილბაშებმა ტაძარი თავიანთ ციხე-სიმაგრედ გადააქციეს, მაგრამ 1659 წლის კახეთის აჯანყების შემდეგ (რაც აღწერილი აქვს ა. წერეთელს „ბაში-აჩუკში“) ალავერდი მომხვდურთაგან გათავისუფლდა. შემდგომში ტაძარს არბევდნენ ლეკები. 1742 წელს ტაძარი მიწისძვრამ დააზიანა.

XIX ს.-ში რუსეთის ხელისუფლებამ ტაძარი შელესა და შეათეთრა. საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1931 წელს აქ მეღორეობის ფერმა გახსნეს. სექტემბრის ბოლოს სისტემატურად ტარდებოდა ალავერდობის დღესასწაული. გურამ რჩეულიშვილმა მას მიუძღვნა მოთხრობა „ალავერდობა“.

ალავერდის ტაძარი აგებულია რიყის ქვით, თავდაპირველად კედლები მოპირკეთებული იყო შირიმის თლილი ფილებით. დაზიანებების შემდეგ აღდგენილი ნაწილი აგურისაა. დღეს ალავერდი მოქმედია და იქ წირვა-ლოცვა აღევლინება.

საკვანძო პუნქტი 6: თელავი

თელავი არის კახეთის ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი. მისი სახელი უკავშირდება მცენარე – თელას. ქალაქი მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ძირას, ალაზნის ნაყოფიერ ვაკეზე, ზღვის დონიდან 550-800 მ. სიმაღლეზე. გარკვეული დროის განმავლობაში ის იყო კახეთის სამეფოს დედაქალაქი (ზოგჯერ ამ ფუნქციას გრემი ასრულებდა). ქალაქის ცენტრში დგას მ. ბერძენიშვილის მიერ შესრულებული ერეკლე II-ის ქანდაკება, აქვეა ერეკლეს წყარო და 800-850-წლოვანი ჭადარი – ბუნების უნიკალური ძეგლი (სიმაღლე 36 მ. გარშემოწერილობა – 12 მ). ბატონის ეზოთი ცნობილ გალავანში დგას კარის ეკლესია და მეფეთა სასახლე, რომელიც არჩილ მეფემ ააშენა XVII ს.-ში. აქვეა მუზეუმი და სამხატვრო გალერეა. მეფეთა სასახლეში დაცულია ოთახი, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე II (1720-1798). სასურველია ღამის თელავში გასეირნება, მნახველს თვალწინ ჯადოსნური სამყარო გადაეშლება.

აქვე მიედინება მდინარე ალაზანი, რომელიც როგორც კახეთის მეორე მდინარე იორი, ბორბალოს მთიდან იღებს სათავეს. ამ მდინარეებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. მათი მეშვეობით ირწყვება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ქალაქში ფუნქციონირებს ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საკვანძო წერტილი 7: წინანდალი

თელავიდან გეზს უკვე გურჯაანისკენ ვიღებთ, კისისხევის გავლით შევდივართ ისტორიულ სოფელ წინანდალში, რომელიც არის ცნობილი ქართველი პოეტის – ალექსანდრე ჭავჭავაძის – სამშობლო. სოფელში დაცულია მისი სახელობის სახლ-მუზეუმი, სადაც ინახება პოეტისა და მისი ოჯახის წევრების მემორიალური ნივთები. აქვეა დიდებული ტყე-პარკი, სადაც დაცულია უიშვიათესი მცენარეები. მისგან დასავლეთით დგას ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესია.

წინანდლიდან ვბრუნდებით თელავში და მივდივართ გრემში (ყვარლის მუნიციპალიტეტი).

საკვანძო წერტილი 8: გრემი.

ისტორიული კახეთის ძველი დედაქალაქი გრემის აგება უკავშირდება კახეთის მეფის– ლევანის (1520-1574 წწ.) სახელს. ქალაქი ნაშენი იყო აგურითა და რიყის ქვით. ქალაქს ეჭირა დაახლოებით 50 ჰექტარი. გრემის მთავარი კომპლექსი ამაღლებულ ადგილზე მდებარეობს, იქ ასასვლელად ქვის კიბის 80-დე საფეხური უნდა ავიაროთ, ამიტომ ბავშვებს ვაფრთხილებთ ყურადღებით იარონ. ვათვალიერებთ ეკლესიას და შემდეგ სამრეკლოს, აქედან კარგად მოჩანს ალაზნის ველი. აქ ქალაქის ჩამოყალიბება იწყება ჯერ კიდევ XV საუკუნიდან, როცა ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი VIII-მ (1446-1466) დაკარგა ტახტი, გადავიდა კახეთში და საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოს (1466 წლიდან). გორაკზე მდგარი მთავარანგელოზის ეკლესია გვიან შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის დიდებული ნიმუშია. ეკლესია დიდოსტატურადაა მოხატული. ქალაქის კედელი საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა, ამ ქალაქის სახელი დაკავშირებულია მეფეების– გიორგი I-ის (კახეთის მეფე), ლევანის, ალექსანდრე II-ის, თეიმურაზ I-ის, აგრეთვე ქეთევან დედოფლის და სხვა გამოჩენილი ქართველების სახელებთან. გრემი საუკუნოდ უკვდავყო ლევან გოთუამ თავის რომან – „გმირთა ვარამში“. სამწუხაროდ ქალაქმა რამდენიმე ათეული წელი იარსება. 1614-1617 წლებში შაჰ-აბასმა გაანადგურა ის. ამის შემდეგ კახეთის დედაქალაქი გახდა თელავი.

ვაგრძელებთ გზას ყვარლისკენ და ავდივართ ნეკრესში.

საკვანძო წერტილი 9: ნეკრესი

ნეკრესში სამგზავრო ავტობუსით ვერ ახვალთ. მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან დადის ავტობუსები, რომელთა მომსახურება ფასიანია, შეიძლება ფეხით ასვლაც, რომელსაც, ალბათ, 1 საათი დასჭირდება.

მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, მთის თხემზე შეფენილი ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის დაარსება უკავშირდება VI ს.-ში მოღვაწე ცნობილ ასურელ მამას – აბიბოს ნეკრესელს, თუმცა კომპლექსში შედის IV საუკუნის პატარა ეკლესია – ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ნაგებობა საქართველოში. ნეკრესი, კახეთის სხვა საეპისკოპოსოებთან (ალავერდი, ბოდბე, ნინოწმინდა) ერთად, ერთ-ერთი კულტურულ-რელიგიური ცენტრი იყო. კომპლექსში შედის ეპისკოპოსის ორსართულიანი სასახლე, რომელიც ალაზნის ველს გადმოჰყურებს, გარდა ამისა, აქვეა სხვადასხვა დამხმარე ნაგებობა, მარნები, ქვევრები. გვიანდელი ხანის ნაგებობებს შორის აღსანიშნავია ოთხკუთხა კოშკი (სავარაუდოდ, XVI საუკუნე). ნეკრესის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქართული ასომთავრულწარწერიანი ფილა, სავარაუდოდ, IV საუკუნით თარიღდება.

საინტერესოა ერთი ეპიზოდი – ქვაზე გამოსახულია მღვდელი, რომელიც ცეცხლზე ასხამს წყალს, ამით გადმოცემულია შემდეგი ისტორია: როდესაც აბიბოს ნეკრესელი, ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, კახეთში ჩამოვიდა (VI საუკუნე) ქრისტიანობის გასავრცელებლად, მაშინ აქ გავრცელებული იყო ცეცხლთაყვანისმცემლობა. აბიბოს ნეკრესელმა ხალხს ჰკითხა, თუ რატომ სცემდნენ თაყვანს ცეცხლს, მათ უპასუხეს, რომ ცეცხლი ყველაზე ძლიერიაო. მაშინ აბიბოსმა აიღო სურა და წყლით ჩააქრო ცეცხლი. ამ მაგალითით მან დაუმტკიცა მოსახლეობას, რომ ცეცხლი არ არის ყველაზე ძლიერი ძალა. ამის შემდეგ ხალხმა უარყო კერპთაყვანისმცემლობა და მიიღო ქრისტიანობა.

ნეკრესთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ეპიზოდიც, სალოცავებისთვის ჩვენი წინაპრები სწირავდნენ სხვადასხვა ცხოველს (ცხვარს, ძროხას, თხას...) ამ მხრივ გამონაკლისია ნეკრესი, სადაც არსებობს ღორის შეწირვის ტრადიცია. ლეგენდის თანახმად, მუსლიმანებით გარშემორტყმულმა ნეკრესის დამცველებმა დაჰკლეს ღორები და მტერს თავზე დააყარეს, ზოგიც გალავანზე გადმოკიდეს. მუსლიმანებმა, რომლებიც ღორს უწმინდურ ცხოველად სთვლიდნენ, მოხსნეს ალყა და გაიქცნენ. ამის შემდეგ, ტრადიციულად, ნეკრესში, სხვა ცხოველებთან ერთად, ღორსაც სწირავდნენ.

აბიბოს ნეკრესელი, რომელიც აწამეს სპარსელებმა, დაკრძალულია სამთავროში.

ნეკრესიდან მივდივართ ყვარელში, სადაც ვათვალიერებთ ილია ჭავჭავაძისა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმებს.

საკვანძო წერტილი 10: გურჯაანის ყველაწმინდა

ვაგრძელებთ გზას და შევდივართ კახეთის სიდიდით მეორე ქალაქ გურჯაანში. ის არის მეღვინეობის უმთავრესი რეგიონი საქართველოში. აქვეა კურორტი ახტალა, სადაც მიწიდან ამოდის ვულკანური წარმოშობის ტალახი, მისი მეშვეობით მკურნალობენ სახსრებს, კანსა და სხვადასხვა დაავადებას. ქალაქშია მ. ბერძენიშვილის ქანდაკება – ჯარისკაცის მამა. გურჯაანის შემდეგ, დაახლოებით ორ კილომეტრში მდებარეობს VIII საუკუნის, საქართველოში ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარი – გურჯაანის ყველაწმინდა, რომელიც მაღლობზე, ულამაზეს ტყეშია.

გურჯაანიდან გავივლით ისტორიულ სოფელ ვეჯინს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ აღნიშნული გიორგი II-სთან დაკავშირებით. ვაგრძელებთ გზას სოფელ ბაკურციხემდე. აქედან იყო XIII ს.-ის ცნობილი მოღვაწე ეგარსლან ბაკურციხელი. აქ გზა ორად იყოფა, მარცხნივ კარდანახ-წნორლაგოდეხისკენ და მარჯვნივ – საგარეჯო-თბილისისკენ. გავივლით სოფლებს: ჩალაუბანს, ბადიაურს. გავივლით ისტორიულ სოფელ მანავს. სოფელს ზემოდან დაჰყურებს ძველი ციხის ნანგრევი, ფერდობზე მანავის ტაძარია აგებული. ირგვლივ ზვრებია გაშენებული. აქ მზადდება საყოველთაოდ ცნობილი არომატული ღვინო „მანავის მწვანე“.

გავცდებით საგარეჯოსაც და მალე მივადგებით სოფ. ნინოწმინდას. სწორედ აქ შეჩერებულა ნინო კაბადოკიელი, როცა კახეთის ქრისტიანობაზე მოსაქცევად გაემგზავრა. აქვეა მის სახელზე აგებული ეკლესია.

გავივლით საქართველოს მგოსნის, გოგლა ლეონიძის მშობლიური სოფლის – პატარძეულის – გადასახვევს. სოფლის ცენტრში პოეტი აკადემიკოსის მემორიალური სახლ-მუზეუმი მდებარეობს. სოფელ სართიჭალის გავლით ვბრუნდებით თბილისში.

მარშრუტი 7. შიომღვიმე – ქვათახევი – უფლისციხე – ატენი – გორი

თბილისიდან მცხეთის გავლით მივდვართ შიომღვიმეში, რომელიც მდებარეობს ქ. მცხეთის დასავლეთით 9-10 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სხალტბის სერის სამხრეთ ფერდობზე.

საკვანძო წერტილი 1: შიომღვიმის კომპლექსი

შიომღვიმის სახელი უკავშირდება ერთ-ერთ ასურელ მამას შიო მღვიმელს, რომელიც აქ VI საუკუნეში ჩამოსულა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბნელ და ღრმა (12 მ სიღრმის) მღვიმეში გაუტარებია. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც „მღვიმელი“.

არსებობს ლეგენდა, რომ აქ მამა შიოს მარანი ჰქონია და მასთან მისულ მლოცველებს იგი ღვინით უმასპინძლდებოდა. სასწაულის ძალით კი ქვევრები კვლავ ღვინით ივსებოდა. აქედან წარმოიშვა ხალხში გავრცელებული გამოთქმა: „შიოს მარანი“, რაც ულევ სიმდიდრეს, სიუხვეს, დიდ ქონებას ნიშნავს. ქართლში სხვა ლეგენდაც იყო გავრცელებული – ვითომ 7 მაისს (მათივე რწმენით ამ დროს იწყებოდა მაისის წვიმა) შიომღვიმის მონასტრის კლდეებში მიცვალებულთა ხელები გამოჩნდებოდა ხოლმე, რაც ადგილობრივების რწმენით უხვმოსავლიანი და ჭირნახულსავსე წელიწადის მომასწავლებელი იყო.

კომპლექსში შედის ტერასებად განლაგებული სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობანი: მღვიმე-ეკლესია (შიოს თავდაპირველი სამყოფელი), იოანე ნათლისმცემლის ეკლესია სხვადასხვა დროის მინაშენებით, სამრეკლო, შიოს სასაფლაო-ეკლესია, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი კოშკით, სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი მღვიმეები, წყარო, წყალსადენი, გალავანი, ჯვრის ამაღლების ეკლესია.

XI ს.-ს შუა წლებში შიომღვიმე თურქ-სელჩუკებმა დაარბიეს. მონასტერი აღდგა ბაგრატ IV-ის დახმარებით. XII ს.-ში დავით აღმაშენებელმა აქ ღვთისმშობლის დიდი ტაძარი ააგო. 1202 წელს თამარ მეფის შეწევნით სოფელ სხალტბიდან წყალსადენი გაიყვანეს.

XIII ს.-ს შუა ხანებში მონასტერი ხვარაზმელებმა დაარბიეს, მაგრამ მისი ძლიერება მალევე აღდგა. შიომღვიმემ გადაიტანა შაჰ-აბასის შემოსევებიც. შემდგომში, სხვადასხვა დროს, მონასტერს აოხრებდნენ ოსმალები და ლეკები.

XI-XIV სს-ში შიომღვიმეში მაღალ დონეზე იდგა სამეცნიერო-მწიგნობრული მოღვაწეობა. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში შიომღვიმის მონასტერში უძველესი ხელნაწერები იყო დაცული („ათ ურემზე ძლივს დაეტეოდაო“). მრავალმა მათგანმა დღევანდლამდეც მოაღწია.

ვბრუნდებით მცხეთაში. ნიჩბისისა და წინარეხის გავლით მივდივართ ქვათახევისკენ. წინარეხიდან შევდივართ კავთურის ხეობაში. აქ, გზიდან მარცხნივ, XII ს.-ში აგებული, ლამაზი ჩუქურთმებით გამორჩეული „მაღალაანთ ეკლესია“ შემოგვხვდება. იქვეა 1678 წელს აშენებული კოშკი.

საკვანძო წერტილი 2: ქვათახევი

ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხიდან 4-5 კმ-ში, მდ. კავთურის ულამაზესი ხეობის სიღრმეში, სოფლებიდან დაშორებით. მთავარი ნაგებობა XII-XIII ს.-ს მიჯნაზე აგებული ჯვარგუმბათოვანი ეკლესიაა. XIV ს.-ში თემურ-ლენგის შემოსევათა დროს გაძარცვეს და დააზიანეს; მე-6 შემოსევის დროს აწამეს და დახოცეს მონაზვნები. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: ,,მიიწივნეს მუნით ქვაბთა-ხევს და შეიპყრეს მუნ მყოფნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი, და შეამწყუდიეს ტაძარსა წმიდისა ქვაბთა-ხევისა ღვთის მშობლისასა და შეუგზნეს ცეცხლი შინაგან ეკლესიისაი. თითქმის განადგურდა მოხატულობა. მიუხედავად დაზიანებებისა, ხელუხლებლად გადარჩა კედლების პერანგის დიდი ნაწილი და გუმბათის ყელი მაღალხარისხოვანი ჩუქურთმებით.

მონასტერი საკმაოდ მდიდარი ყოფილა. 1601 წელს სიმონ მეფის თურქთა ტყვეობიდან გამოსასყიდად მონასტერს უამრავი ოქრო და ვერცხლი გადაუხდია.

1854 წელს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის – შვილიშვილმა იოანე თარხან-მოურავმა ტაძარი საფუძვლიანად შეაკეთებინა. 1854-74 წწ. მონასტერი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა.

ქვათახევიდან ვბრუნდებით წინარეხში და მივემართებით უფლისციხისაკენ.

საკვანძო წერილი 3: უფლისციხე

საქართველოში არსებულ კლდეში გამოკვეთილ ნაგებობათაგან (უფლისციხე, დავით გარეჯი და ვარძია) ყველაზე ადრინდელია **უფლისციხე.** ის მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს. ის იყო ქართლის სამეფოს უძველესი ციხე-ქალაქი. სახელწოდება მიუთითებს იმაზე, რომ აქ ძველად ქართლის გამგებლის – უფლის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. მეცნიერების ვარაუდით უფლისციხე ქალაქად ძვ.წ.-ის VIII-VI ს-ში ჩამოყალიბდა, თუმცა არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით, აქ მოსახლეობა დაახლოებით 3000 წლის წინ დამკვიდრდა.

უფლისციხე გამოკვეთილია კვერნაქის ქედის (სერის) სამხრეთ ფერდობზე, ადვილად დასამუშავებელ ქვიშაქვის მასივში.

ქალაქი ბუნებრივად კარგად იყო დაცული დასავლეთიდან, ნაწილობრივ სამხრეთიდანაც, რაც შეეხება ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთის მხარეს, რომლებიც საჭიროებდა ხელოვნურ დაცვის ხაზს,

კლდეში მთელ სიგრძეზე გავლებული იყო ღრმა და განიერი თხრილი. პარალელურად ქალაქის მხარეს მაღალი და სქელი კედელი იყო აღმართული, რადგანაც ქალაქი ქვეყნის ცენტრში მდებარეობდა და მასზე მრავალი გზა გადიოდა, ბუნებრივია, ეს გზებიც დაცული იყო ბუნებრივი კლდეკარებითა და ხელოვნური გამაგრებებით. ქალაქი იარუსებად იყო გაშენებული. უფლისციხე ქართლის დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა არა მხოლოდ ანტიკურ ხანაში, არამედ IX-X საუკუნეებიდანაც, მანამ, სანამ თბილისი არაბებს ეპყრათ.

კომპლექსში დღემდე შემორჩენილია წარმართული ტაძრის ფრაგმენტები (რომელიც შემდგომ ქრისტიანულ ტაძრად გადაუკეთებიათ), მეფეთა დარბაზი (რომელსაც თამარ მეფის დარბაზსაც უწოდებენ), თეატრის ნაგებობა, აფთიაქის ნაშთები, სურსათ-სანოვაგის შესანახი სათავსოები, სატუსაღო და სხვ. ზოგიერთი ნაგებობის ინტერიერში წარმოდგენილია ორნამენტიანი კედლები, რომლებიც ბერძნულ-რომაული სტილის გავლენას განიცდიან.

ქალაქს არ ჰქონდა წყალი, ამიტომაც წყლით მომარაგება მტკვრიდან ხდებოდა. ამ მიზნით ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გაუჭრიათ მაღალი და განიერი გვირაბი, რომელიც დღემდე კარგადაა შემორჩენილი. ქალაქში იყო კლდეში ამოკვეთილი რეზერვუარები, სადაც წყალს იმარაგებდნენ.

VI საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამოუკვეთიათ დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც ერთადერთია მთელ საქართველოში. IX-X სს-ში ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში აგურით ააგეს კიდევ ერთი ტაძარი.

უფლისციხეს მომხვდურთა გარდა, ერთმანეთს ეცილებოდნენ ქართველი მეფე-მთავრებიც. ყველას შეგნებული ჰქონდა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა, იცოდნენ, ვის ხელშიც იქნებოდა ქალაქი, ის მოიპოვებდა უპირატესობას საქართველოს გაერთიანების საქმეში. ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ სწორედ უფლისციხე აქცია თავის დასაყრდენად (975 წელს) და ამის შემდეგ დაიწყო მისი აღმავლობა.

როდესაც დავით აღმაშენებელმა საქართველოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა, უფლისციხე თანდათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას. ის ძლიერ დააზიანა მონღოლთა შემოსევებმა. XIII-XIV საუკუნეების შემდეგ უფლისციხე, როგორც ქალაქი, აღარ არსებობს.

უფლისციხეს და მის გმირ დამცველებს მიუძღვნა გ. რჩეულიშვილმა მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „უსახელო უფლისციხელი“.

როგორც ჩანს, უფლისციხე უძველესი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, რადგან აქ არქეოლოგებმა გამოავლინეს კლდეში ნაკვეთი საწნახელები, ვაზის სასხლავი დანები, რკინის სახნისი, კევრები, რიტუალური დანიშნულების ნივთები; ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, ქვის, თიხის სამკაულები, ქანდაკებები და სხვა ხელოსნური ნაწარმი, რომელიც შესრულების საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა.

კვერნაქის ქედი, კვერნაქის სერი, კვერნაქები – ბორცვიან-დაბალმთიანი სერი (ქედი) აღმოსავლეთ საქართველოში. მოქცეულია ტირიფონ-მუხრანის ვაკესა და მტკვრის შუა ხეობას შორის. უმაღლესი მწვერვალია ზეგარდა (1114 მ). იგი გადაჭიმულია 70 კმ მანძილზე, მდინარეების არაგვისა და ფრონის ხეობებს შორის. მისი სამხრეთი კალთა ციცაბო და ფლატიანი, ხოლო ჩრდილოეთი დამრეცია და ნაზი რელიეფით ხასიათდება. მდინარეების დიდი ლიახვის, ლეხურისა და ქსნის ხეობების მიერ დაყოფილია ცალკეულ მასივებად: რუისის სერი, საკუთრივ კვერნაქები, წლევი-თხოთისა და სხალტბის სერები.

რუისის სერი, ანუ დასავლეთ კვერნაქები გადაჭიმულია მდინარეების ფრონისა და დიდი ლიახვის ხეობებს შორის. იგი სერის ყველაზე დაბალი მასივია (878 მ). სახელწოდება „რუისი“ მომდინარეობს სიტყვა „რუ“-დან. ამ სერის მიმდებარე შიდა ქართლის ვაკე, ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში, სამიწათმოქმედო რაიონი უნდა ყოფილიყო, აქ არხებიც ყოფილა გაყვანილი: „***რუის მთის სამხრეთის მინდორი... ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლათივე მრავალნი***“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

რუისის სერსა და საკუთრივ კვერნაქებს შორის, მდ. ლიახვის გამკვეთ ხეობაში, ქ. გორის ფარგლებში მდებარეობს ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე – გორის ციხე. იგი ცნობილია ნაგებობის სიმტკიცით. სწორედ ამიტომ გავრცელდა ხალხში გამოთქმა: „ეგ არის და გორის ციხე“, რაც ნიშნავს მტკიცე, მაგარ, კარგად გაკეთებულ საქმეს.

საკუთრივ კვერნაქები მოქცეულია მდინარეების დიდი ლიახვისა და ლეხურის ხეობებს შორის. იგი ყველაზე მაღალია (მ. ზეგარდა – 1114 მ, მ. კვერნა – 1074 მ). სერის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს ნადარბაზევის ტბა – წყალსაცავი. ოდესღაც აქ მლაშე ტბა ყოფილა, რომელიც შემდგომ დამშრალა. მდ. მტკვრიდან კი წყალი აქეთ გადმოუსროლიათ. ამიტომ მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ტბას, ან როგორც წყალსაცავს. საკუთრივ კვერნაქების სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ხელოვნური გამოქვაბულების კომპლექსი – უფლისციხე.

წლევი-თხოთის სერი გადაჭიმულია მდინარეების ლეხურისა და ქსნის ხეობებს შორის. უმაღლესი მწვერვალია წლევი (1097 მ). ფაქტობრივ იგი ორი სერია, რომლებიც ერთმანეთისაგან უღელტეხილითაა გამოყოფილი.

სხალტბის სერი მოქცეულია მდინარეების ქსნისა და არაგვის ხეობებს შორის. უმაღლესი მწვერვალია სხალტბა (1091 მ). მისი სამხრეთი ფერდობი საკმაოდ ფლატიანია, სადაც ფეოდალური ხანის ხელოვნურ გამოქვაბულთა კომპლექსია – შიომღვიმე.

კვერნაქის სერის კალთები შემოსილია ჯაგეკლიანი ბუჩქებით (ძეძვი, შავჯაგა, ქონდარა ნუში, ჯაგრცხილა). ზოგან, ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ტყის ფრაგმენტები (მუხა, რცხილა, შინდი) გვხვდება, ხოლო სამხრეთ კალთაზე (ქ. მცხეთასა და სოფ. ძეგვს შორის) – არიდული ნათელი ტყეები (ღვია, საკმლის ხე, აკაკი, ბერყენა, თრიმლი). მდინარეთა ხეობების გასწვრივ ვრცელდება ზალის ტყეებიც. ოდესღაც ქედის კალთები ტყით ყოფილა შემოსილი. ამჟამად იგი სიმშრალისმოყვარული მცენარეებითაა დაფარული. ტყეების აქ გავრცელებაზე მიუთითებს ადგილობრივი ტოპონიმებიც. მაგალითად, სოფ. უფლისციხის (გორის მუნიციპალიტეტი) ჩრდილოეთით არის ადგილი „მუხები“, თუმცა იგი ამჟამად ჯაგეკლიანი ველითაა შემოსილი.

უფლისციხიდან სოფ. ხიდისთავის გავლით მივდივართ ატენის ხეობისაკენ.

საკვანძო წერილი 4: ატენი

ატენის სიონი – VII საუკუნის I ნახევრის ძეგლი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ატენის განაპირას, მდინარე ტანას ხეობაში. ნაგებობის სტილით ის ყველაზე ახლოს დგას მცხეთის ჯვრის ტაძართან, თუმცა, არქიტექტურული თვალსაზრისით აქ დიდი მიგნებები არა გვაქვს. სიონის ფასადები მდიდარია ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული რელიეფებით. უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს XI საუკუნის ფრესკები, ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლთაგანი. თუმცა ზოგან კედლის ბათქაშის ჩამოცვენის შედეგად უფრო ადრინდელი (VIII ს.-ს) ფრესკების კვალიც აღმოჩნდა. კედლებზე გამოსახულია საკულტო შინაარსის სცენები, მათ შორის, ეპიზოდები ღვთისმშობლის ცხოვრებიდან. ერთ-ერთ კედელზე გამოსახულია საერო პირები, მეფე-მთავრები, სავარაუდოდ დავით აღმაშენებელი, ბაგრატ IV და სხვ.

დიდად საინტერესოა სიონის მრავალრიცხოვანი ქვაზე ნაკვეთი და საღებავებით შესრულებული წარწერები ქართულ და უცხოურ ენებზე. აღმოსავლეთ მხარეზე გამოსახულ ხარების სცენის კუთხეში წარწერებია, რომლებიც ლექსის სტროფებს წარმოადგენენ – სავარაუდოდ ჰიმნოგრაფიის უძველესი ნიმუში. ბევრი მათგანი მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობას შეიცავს (მაგ: ბუღა-თურქის ლაშქრობის შესახებ 853 წელს, IX საუკუნის მეორე ნახევარში ბაგრატ IV-ის დროს ატენში ქალაქისა და ქულბაქების (დუქნები) აშენების შესახებ და სხვ.

ფეოდალური საქართველოს ეს ქალაქი მდ. ტანას ორივე ნაპირზე იყო გაშენებული. ქალაქსა და ხეობაზე გამავალ გზებს იცავდა და სამეფო ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენი იყო ატენის, ვერეს და სხვ. ციხეები. XIII-XVII სს. ატენი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, მაგრამ XVIII ს-დან დაკნინდა მტერთა განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად და სოფლად იქცა.

ტანა მდინარეა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მტკვრის მარჯვენა შენაკადი. მტკვარს ერთვის ქ. გორის მახლობლად. საზრდოობს მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე, წყალმოვარდნა – ზაფხულში. თუმცა ადრე მდინარისათვის არ იყო დამახასიათებელი წყლის დონის ძლიერი მომატება. საქმე იმაშია, რომ დროთა განმავლობაში აქ გაუჩეხიათ ტყეები. ამიტომ ძლიერი წვიმების დროს ხრიოკი ადგილებიდან ჩამორეცხილი წყლები ხეობაში იყრის თავს და იწვევს წყალდიდობას. ამაზე უთქვამთ: „***ადიდებულა ტანაო, მთები თან მოიტანაო***“.

მდინარის წყალს იყენებენ სარწყავად. მდინარის ზემო ხეობა შემოსილია წიფლნარი და მუხნარ-რცხილნარი ტყეებით, ხოლო ქვემო ხეობა – ურიანი, ვაციწვერიანი და ჯაგეკლიანი სტეპებით.

სახელწოდება „ტანა“, „ატენი“ დაკავშირებული უნდა იყოს სიტყვა „კლდესთან“. ტინი ეს პიტალო კლდეა. როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს „***ტინი არს კლდე დიდი, მაგარი და დაუმშბალველი***“.

ატენის ხეობა **თრიალეთის ქედის** ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. ეს ქედია მცირე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, თეთრი წყაროს, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქ. თბილისის კუთვნილი მიწების ფარგლებში. უმაღლესი მწვერვალია შავიკლდე (ყარაყაია – 2850 მ).

იგი გადაჭიმულია 144 კმ მანძილზე ბორჯომიდან თბილისამდე. მისი ორივე ბოლო იტოტება ცალკეულ განშტოებებად. დასავლეთის შტოქედებს შორის მოქცეულია თორის ქვაბული, ხოლო აღმოსავლეთის ტოტებს შორის – მდინარეების დიღმისწყლისა და ვერის ხეობები. მთავარი განშტოებებია: გვირგვინა, საბადური, ჭობარეთი, საწკეპელა, თელეთი. ჩრდილოეთ ფერდობზე გვხვდება სხვადასხვა სიმაღლეებზე მდებარე მოსწორებული ზედაპირები.

ზ.დ. 1200-1300 მ სიმაღლემდე ქედის კალთები შემოსილია მუხნარი და მუხნარ-რცხილნარი ტყეებით, ხოლო მთისწყნეთი – ჯაგრცხილნარ-მუხნარი ტყეებითა და ჯაგეკლიანი ბუჩქნარებით. ტყის ზედა საზღვარი წიფლნარებსა და წიფლნარ-მუქწიწვიანებს უკავიათ. ნაძვი საკმაოდ აღმოსავლეთით ვრცელდება (მდინარეების ალგეთისა და დიღმისწყლის სათავეებში). გვხვდება ფიჭვიც. წიფლნარ-

მუქწიწვიან ტყეებში ხშირია კოლხური მარადმწვანე ბუჩქები: ბაძგი, წყავი, არის ლიანებიც (სურო). მთებში კოლხური მცენარეულობის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთი არეალი სწორედ აქ, თრიალეთის ქედზე გვხვდება. ამით იგი განირჩევა მცირე კავკასიონის უფრო აღმოსავლეთით მდებარე რეგიონებისაგან. აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დაბა ბაკურიანისა და სოფ. ციხისჯვრის მიდამოები (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც ბუნებრივად იზრდება ნამდვილი საკალათე ტირიფი – მანეული.

ქედის თხემისპირა ფერდობები და თხემი შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით. გაჩეხის, გაძოვებისა და ხანძრების შედეგად ბევრგან ტყის ადგილი მეორეულ მცენარეულ საფარს უკავია. მესხეთის ქედთან შედარებით მცენარეული საფარი აქ უფრო მეტად არის შეცვლილი. ახლო წარსულში აქაურ ტყეებში მრავალი ცხოველი ყოფილა. აი, როგორ აღწერს მას ვახუშტი ბაგრატიონი: „***თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა***“.

მნიშვნელოვნი მწვერვალებია: არჯევანი (2759 მ), ქვაჯვარი (2290 მ). მნიშვნელოვანი უღელტეხილია ცხრაწყარო (2462 მ), რომელზეც გადის ბორჯომ-ახალქალაქის დამაკავშირებელი საავტომობილო გზატკეცილი.

ქედის თხემური ზოლის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების თეძმისა და ალგეთის წყალგამყოფზე, ზ.დ. 2000 მ სიმაღლეზე მდებარეობს კლდეკარი. გადმოცემის მიხედვით, იგი გაუკვეთიათ თამარ მეფის ზეობის პერიოდში. ამ კლდეკარს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია ქვეყნისათვის, ვინაიდან იგი უმოკლესი გზით აკავშირებდა შიდა და ქვემო ქართლს.

სოფელ დიდი ატენიდან მივდივართ ქალაქ გორში.

საკვანძო წერტილი 5: გორი

გორი – ქალაქი გორი მდებარეობს შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში, მდინარეების: ლიახვისა და მტკვრის შესართავთან. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, აქ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე უნდა არსებულიყო ქალაქის ტიპის დასახლება.

შუა საუკუნეებში ქალაქი შეფენილი იყო **გორის ციხის** ფერდობებზე, რომელიც, ისტორიულ წყაროებში პირველად ჯუანშერთან (XI ს.) მოიხსენიება VII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. კლდოვან ბორცვზე განლაგებული ციხე მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე იყო. მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას მთელ შიდა ქართლზე.

დღევანდელი სახე გორის ციხემ ერეკლე II-ის მეფობის დროს, 1774 წელს მიიღო. ციხეს ჰქონია თავისი გვირაბი მდინარიდან წყლის ამოსაზიდად და წყალსაცავი.

ლიახვი – მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა შენაკადი. იგი წარმოიქმნება მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის შეერთების შედეგად. მტკვარს ერთვის ქ. გორთან (იხ. დიდი ლიახვი).

სახელწოდების წარმოშობის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, „ლუო“, „ლოა“ მომდინარეობს ჩაჩნური სიტყვისაგან, რაც „თოვლს“ ნიშნავს, ხოლო „ხი“ – „წყალს“, ე.ი. „თოვლ-წყალს“. მეორე მოსაზრების მიხედვით, იგი ნაწარმოებია სიტყვა „ლიანღვი“-დან, რომელიც ლეჩხუმშია გავრცელებული და „ნიაღვარს“ ნიშნავს.

მარშრუტი 8. თხოთის მთა – სამთავისი – წრომი – სამწევრისი – ყინწვისი – ურბნისი

თბილისიდან მივდივართ გორის მიმართულებით. იგოეთამდე ხელმარცხნივ გამოჩნდება თხოთის მთა.

საკვანძო წერტილი 1: თხოთის მთა – წმინდა ნინოს ეკლესია

თხოთის სერი საქართველოს სინამდვილეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს უკავშირდება. IV საუკუნეში ქართლის მეფე მირიანი სანადიროდ „თხოთის მთაზე“ წასულა, როცა „დაბნელდა მის ზედა მზე და იქმნა ღამე უკუნი ბნელი ფრიად“. მეფემ ხსნისათვის წარმართ ღმერთებს არმაზსა და ზადენს მიმართა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ წმინდა ნინოს ჭეშმარიტი ღმერთისადმი აღვლენილი ვედრების შემდეგ „მყის მოფინა ნათელი და განანათლა ბნელი მეყსეულად“ („ნინოს ცხოვრება“). თხოთის მთიდან ჩამოსულმა მეფემ იწამა ქრისტეს რჯული და 326 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქართლში.

საკვანძო წერტილი 2: სამთავისი

სამთავისი – იგოეთიდან მარჯვნივ ერთ კილომეტრში, კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. ლეხურას მარცხენა მხარეს განფენილია სოფ. სამთავისი. სოფლის შუაგულში მდებარეობს სახელგანთქმული

საეპისკოპოსო ტაძარი, XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი. სამთავისის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ახალი ისტორიული ეტაპის დამწყებია გეგმისა და ფასადის მორთულობის სისტემის მხრივ (ფაქტობრივად, მისი ასლია ქაშვეთის ეკლესია თბილისში). იგი გამოირჩევა ვირტუოზული ხელოვნებით შექმნილი ჩუქურთმებითა და მორთულობით, რასაც გაოცებაში მოჰყავს მნახველი. აქ მდებარეობდა ამილახვართა საგვარეულო სასაფლაო.

„კალმასობის" მიხედვით, აქ თავდაპირველად ტაძარი აუგია ვახტანგ გორგასალს (იქედან არაფერია შემორჩენილი), ხოლო ვახუშტის ცნობით, „ქმნული არს იგ (ე.ი. 13) მამათაგანისა ისიდორესაგან, და დაფლული არს იგი მუნვე".

XI ს.-ის ტაძრის მაშენებელი იყო ილარიონ ვაჩეს ძე სამთავნელი, რომელიც მოხსენიებულია ულამაზესი მთავრული ასოებით შესრულებულ აღმოსავლეთ ფასადის წარწერაში. აშენების თარიღი – 1030 წელი – მითითებული იყო ერთ წარწერაში, რომელიც ახლა დაკარგულია. ძეგლი ძლიერ დაზიანდა დროთა განმავლობაში, მათ შორის, 1393 წელს თემურ ლენგის ლაშქრობის შედეგად. XV საუკუნეში კვლავ აღადგინეს. შენობას ეტყობა XIX საუკუნის შეკეთებათა კვალიც, მათ შორის, დასავლეთის ფასადის.

საბედნიეროდ, უცვლელად შემორჩა აღმოსავლეთის ფასადის რელიეფები, რომლებიც ვირტუოზული ბრწყინვალეებითაა შესრულებული.

სამთავისის ახლოს, სოფელ ქვემო ჭალის ჩრდილო-აღმოსავლეთით მაღალი მთის კალთაზე მდებარეობს **სხვილოს(ცხვილოს)** ციხე-დარბაზი, რომელიც მატიანეში X საუკუნიდან იხსენიება. ციხის სახელს ბევრი ბრძოლა უკავშირდება. ციხე ყველაზე მეტად XVII ს.-ში დაზიანდა. ციხე კარგად მოსჩანს ცენტრალური მაგისტრალიდანაც.

ლეხურა, რეხულა – მდინარე შიდა ქართლში, მტკვრის მარცხენა შენაკადი. სიგრძეა 43 კმ, აუზის ფართობი 285 კვ.კმ. სათავე აქვს ხარულის ქედის სამხრეთ ნაწილში (მ. ცხრაწყაროს კალთებიდან), შემდეგ მიედინება შიდა ქართლის ვაკეზე, საკუთრივ კვერნაქებისა და თხოთი-წლევის ქედებს შორის. მტკვარს უერთდება ქ. კასპთან. ხეობა უმთავრესად შემოსილია წიფლის ტყეებით. მდინარის წყალს იყენებენ სარწყავად. მისგან გაყვანილია 5 არხი.

სახელწოდება „ლეხურა" უნდა მომდინარეობდეს მდინარის ხეობაში არსებული დაბის „რეხის" სახელიდან. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც ნაკლებად არის მიღებული. მდინარეს წყალდიდობისას მეტად მშფოთვარე ხასიათი აქვს. იგი გაშმაგებული ნაკადის სახით მოედინება და თან მოაქვს ქვა-ღორღი, სახლის ნანგრევები, ხეები, რითაც მდინარე ნაპირებს „ჩარეხვავს" ხოლმე. აქედან წარმოიშვა „რეხულა", შემდეგ „ლეხურაც".

მდ. ლეხურის ხეობაში მდებარეობს **ჯვარპატიოსნის ეკლესია**, სადაც დასვენებული იყო საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ჯვარი. ამ ჯვრის შესახებ სხვადასხვა გადმოცემა არსებობს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, იგი დამზადებული ყოფილა იმ ხისაგან, რომელიც ამოსულა მცხეთაში, ქრისტეს კვართის ადგილას.

სამთავისიდან ვბრუნდებით ცენტრალურ ტრასაზე და მივემგზავრებით ხაშურისაკენ. სოფელ ოსიაურთან ვუხვევთ მარცხნივ, სოფ. წრომის მიმართულებით.

საკვანძო წერტილი 3: წრომი

წრომის ტაძარი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში, ქ. ხაშურის აღმოსავლეთით 15 კმ-ზე, სოფელ წრომში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ უკვე IV ს.-ში ყოფილა ეკლესია, რომლის ნანგრევებზე 626-34 წ.წ.-ში სტეფანოზ ერისმთავარმა ააგო ტაძარი. მხატვრული ღირსებით იგი შეიძლება, მცხეთის ჯვარსაც კი გავუტოლოთ, ამავე დროს, იგი უკვე შეიცავს ბევრ ისეთ ნიშანს, რომლებიც ქართული საეკლესიო არქიტექტურის მომავალ განვითარებას დაედო საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის მდებარეობა და გარემო მოკლებულია რაიმე რომანტიკულობას, ტაძარი ღრმა და ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ის საუკუნეთა განმავლობაში ძლიერ დაზიანდა, ბოლოს 1940 წლის მიწისძვრის დროს და აღარც გუმბათი ჰქონდა და აღარც კამარები. მას შემდეგ იგი აღადგინეს; მისი კონქის მოზაიკის ფრაგმენტები გადატანილია თბილისში, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

სოფ. წრომი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთით.

შიდა ქართლის ვაკე – საქართველოს მთათაშორისი ბარის ნაწილი შუა მტკვრის აუზში, კავკასიონის, ლიხის, თრიალეთისა და ქართლის ქედებს შორის. მდებარეობს შიდა ქართლში, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, ზ.დ. 500-800 მ სიმაღლეზე. მოიცავს მდ. მტკვრის ორივე მხარეს. წარმოდგენილია ტირიფონ-მუხრანის ვაკითა და შუა მტკვრის ხეობით, რომლებიც ერთმანეთისაგან გამიჯნულია კვერნაქის სერით. ჩვეულებრივ ალუვიურ ვაკეებზე დიდი არ არის ალუვიონის სიმძლავრე (ერთ-ორი ათეული მეტრი). შიდა ქართლის ვაკე, ამ მხრივ, გამონაკლისია – აქ ალუვიონის სიმძლავრე 100-200 მ-ით განისაზღვრება. ეს მიუთითებს ინტენსიურ ტექტონიკურ დაძირვაზე.

ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 500-700 მმ. დასავლეთიდან, ლიხის ქედის მხრიდან აქ ქრის ფიონური ქარი, რომელსაც „ზენას" (გაიხ-

სენეთ, „ზენას“ კოლხეთის დაბლობზე დასავლეთის ქარს უწოდებენ) უწოდებენ. თუკი კოლხეთის დაბლობზე იგი დადებითი მოვლენაა და ჭარბ ტენს აცილებს ნიადაგს, აქ იგი უარყოფითია, ვინაიდან ნიადაგში ტენის დეფიციტს იწვევს. ამასთან უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობა-ზეც. ამიტომ უთქვამს ქართლელ კაცს: „***ზენაქარო, არც შენი მოტანილი მინდა, ნურც რას წაიღებო***“. ვაკის დასავლეთი ნაწილისათვის გაზაფხულზე დამახასიათებელია ცივი და ძლიერი ქარი, რომელიც ღამით ქრის ხოლმე სოფ. ტაშისკარიდან (ხაშურის მუნიციპალიტეტი) ქ. ცხინვალისაკენ. მას დიდი ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის. ქარის ასეთი სიძლიერის გამო უთქვამთ: „***თუ ქვიშხეთში ვერ მნახო, მეძებე ცხინვალშიო***“.

შიდა ქართლის ვაკეზე გაბატონებულია სტეპისა და ტყესტეპის მცენარეულობა, მდინარეთა ხეობების გასწვრივ კი – ჭალის ტყის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ბუნებრივ მცენარეულობას ძლიერ აქვს შეცვლილი თავდაპირველი სახე. აქ დიდ ფართობზეა გავრცელებული ხეხილის ბაღები, რომლითაც შიდა ქართლი წინა საუკუნეებშიც იყო ცნობილი. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი აღნიშნავდა, რომ არსად სხვაგან ევროპაში არ არის აქაურ ვაშლსა და მსხალზე უკეთესი ხილიო.

წრომიდან მივემართებით ქარელისკენ. შევჩერდებით სამწევრისთან.

საკვანძო წერტილი 4: სამწევრისი

სამწევრისის ეკლესია (წმ.ჯვარი, წმ. გიორგის ეკლესია) მდ.ძამის მარცხენა ნაპირზე, მდ.-ების მტკვრისა და ძამის წყალგამყოფი სერის აღმოსავლეთ ბოლოზე მდებარეობს. ის აგებულია VII ს.-ს I ნახევარში. მიეკუთვნება ძველი ქართული ხელოვნების შედევრთა რიგს. ,,სამწევრისი აოცებს და მართლაც ატყვევებს მნახველს თავისი უბრალო და ნათელი სილამაზით. მისი ლაკონიური ფორმები არაჩვეულებრივად მეტყველია, პროპორციები უნაკლო, ტექნიკური შესრულება დიდად ოსტატური, საკვირველია სიმკაცრისა და სინატიფის ასეთი შეხამება“ (ვ. ბერიძე).

ეკლესია 1940 წელს მიწისძვრამ სანახევროდ დაანგრია, მაგრამ მთლიანად აღდგენილ იქნა ძველებური სახით 1950-1953 წლებში. ძეგლის გვერდით XVI ს.-ს პატარა აკლდამაა – ფანასკერტელ-ციციშვილების საძვალე.

ამჟამად აქ მამათა მონასტერია.

ცოტა მოშორებით, ქვემოთ, ციციშვილების დიდი ციხე-დარბაზია, რომლის ტერიტორიაზეც მოგვიანო ხანის ეკლესიაა. აქ ამჟამად დედათა მონასტერია.

სამწევრისიდან გეზს ვიღებთ სამხრეთით – ყინწვისისკენ.

საკვანძო წერტილი 5: ყინწვისი

ყინწვისი – XII-XIII საუკუნეების საეკლესიო კომპლექსი ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყინწვისის აღმოსავლეთით 2-3 კმ-ზე, მდ. ძამის ხეობაში მდებარეობს. კომპლექსში შედის აგურით ნაშენი წმ. ნიკოლოზის სახელობის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია. ყინწვისის ეს ტაძარი განსაკუთრებით ცნობილია თავისი შესანიშნავი ფრესკებით. ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულნი არიან ქართველი მეფეები: გიორგი III, თამარ მეფე და ლაშა-გიორგი. ამავე კედლის ანგელოზის ხატება მთელი ქართული ფერწერის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. საკურთხევლის კონქში ღვთისმშობლის ფრესკაა. ამავე ეკლესიაშია შემონახული ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის პორტრეტი.

ძამა – მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, ქარელის რაიონში. სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ზ.დ. 2140 მ სიმაღლეზე და ერთვის მტკვარს ქ. ქარელთან. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე. წყალს იყენებენ სარწყავად.

ვბრუნდებით უკან და ჩავდივართ ქარელში. მივემართებით თბილისისკენ.

საკვანძო წერტილი 6: ურბნისი

ურბნისის ნაქალაქარი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შიდა ქართლის ვაკეზე, ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, სოფელ ურბნისის ტერიტორიაზე და მის განაპირას. აქ ადამიანის მოღვაწეობის კვალი ძვ. წ.აღ. III ათასწლეულიდან შეიმჩნევა, ძვ.წ.-ის IV საუკუნისთვის ურბნისი უკვე ქალაქად მოიხსენიება.აქ მოქმედებდა წარმართული ტაძარი და ებრაელთა სამლოცველო. ჩრდილოეთის მხრიდან კერამიკული მილებით გამოყვანილი იყო სასმელი წყალი, ხოლო მდ. ლიახვიდან კი 25 კილომეტრიანი არხით სარწყავი წყალი. ანტიკური ხანის ეს საინტერესო ნაგებობა დღესაც მოქმედებს. მემატიანეები ურბნისის აშენებას მცხეთოსის შვილს – უფლოსს მიაწერენ. ნაქალაქარში შედის: გალავანი (ადრეფეოდალური ხანის), აბანო, მარანი, წყალსადენი, სარწყავი წყლის არხები. გალავანი და ქალაქი განადგურდა VIII საუკუნეში, მურვან-ყრუს შემოსევის დროს. ამის შემდეგ ურბნისი ქალაქად აღარ იხსენიება, აქ რჩება საეპისკოპოსო რეზიდენცია. ქრისტიანული ნაგებობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია VI საუკუნის დიდი ბაზილიკა – ურბნისის სიონი. ის იყო საეპისკოპოსო ტაძარი. საქართველოს გაერთიანების ხანაში ურბნისის საეპისკოპოსოს თვალსაჩინო ადგილი ეკავა. დავით აღმაშენებელმა 1104 წელს რუისისა და ურბნისის მიდამოებში მოიწვია საეკლესიო კრება.

მარშრუტი 9. მცხეთა – ჯვრის უღელტეხილი – სტეფანწმინდა

ექსკურსიის მიზანია მოსწავლეები გაეცნონ ბუნებრივი პირობების იმ მრავალფეროვნებას, რასაც ადგილი აქვს საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ და უნდა დაუკავშირონ ეს ცვლილებები ადგილობრივების თანამედროვე ყოფას, ტრადიციებს, ცალკეული მხარეების განსხვავებულ ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას. ექსკურიას აქვს მხარეთმცოდნეობითი დანიშნულება.

შემოთავაზებული მარშრუტი 2-დღიანია და მარშრუტის გასწვრივ დაგეგმილია 10 საკვანძო ნაკვეთზე შეჩერება.

საქართველოს სამხედრო გზა იწყება ქ. თბილისიდან და მდინარეების არაგვისა და თერგის ხეობების გასწვრივ აღწევს დაბა სტეფაწმინდამდე, აქედან კი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით – ვლადიკავკაზამდე (რუსეთი). ექსკურსია უნდა მოეწყოს ამ გზის მხოლოდ საქართველოს მონაკვეთზე. საქართველოს უმეტესი კუთხიდან ამ გზაზე მოხვედრა საავტომობილო გზით შესაძლებელია ქ. მცხეთის გავლით, ამიტომ მარშრუტს აღვწერთ მცხეთიდან, ხოლო მცხეთამდე მისასვლელი სხვა მარშრუტის აღწერა მოცემულია შესაბამის ადგილას.

საქართველოს სამხედრო გზის საერთო სიგრძეა 210 კმ (თბილისი-ვლადიკავკაზი). აქედან უდიდესი ნაწილი (174 კმ) მოდის საქართველოზე. გზა იწყება ქ. თბილისის ფარგლებში – დიღმის მასივის ტერიტორიაზე. გზა გასდევს კავკასიონის ორივე ფერდობს და კვეთს მთავარ წყალგამყოფ ქედს. აქ წარმოდგენილია მეტად ნაირგვარი ბუნება.

ძველად აქ ვიწრო სასაპალნე გზა იყო, რომელიც მთათა ლაბირინთებში იკარგებოდა. ხეობაში მიმოსვლა საკმაოდ რთული იყო, ზამთარში კი თოვლის ზვავებისა და ღვარცოფული ნაკადობის გამო – სახიფათოც. მიუხედავად ამისა, ამ გზის მეშვეობით ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ სამხედრო მისიები საქართველოსა და რუსეთს შორის და არა მარტო მათ შორის. ამავდროულად იგი იცავდა საქართველოს ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან, ვინაიდან საჭიროების შემთხვევაში ადვილი იყო კლდეებით შეზღუდული ხეობის დაკეტვა. გზის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა XIX საუკუნეში, როცა აქ გზა დაიგო. გზის მშენებლობა დამთავრდა 1817 წელს. ამის შემდეგ გზა თანდათან უფრო კეთილმოწყობილი გახდა.

მცხეთიდან ს. ანანურამდე გზა გაივლის **საქართველოს მთათაშორის დაბლობს**, ს. ანანურიდან ჯვრის უღელტეხილამდე – **კავკასიონის სამხრეთ ფერდობს**, აქედან კი **კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობია**. გზის გასწვრივ ჯერ ვაკისა და მთისწინეთის ველებია, რომელიც ძლიერ გარდაქმნილია და მისი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ჭალის ტყეები მხოლოდ ფარგმენტების სახითაა შემორჩენილი. უფრო მაღლა მას ტყე მოსდევს, უმეტესად რცხლისა და წიფლის მონაწილეობით და კიდევ უფრო მაღლა მდელოებია გაბატონებული. ასეთმა მრავალფეროვანმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება: დაბალ ადგილებში უფრო მიწათმოქმედებაა, ხოლო მაღლა მესაქონლეობაა (უპირატესად მეცხვარეობა) დაწინაურებული. გზის გაყოლებით მრავალი კურორტი და საკურორტო ადგილია. მრავალგანაა მინერალური წყლების გამოსავალებიც.

მცხეთიდან ანანურამდე მონაკვეთი შიდა ქართლის ვაკეა. აქ გაბატონებულია ველის ბალახოვნები და ბუჩქნარები. არაგვის მტკვართან შეერთების ადგილას მდებარეობს მცხეთა – საქართველოს ძველი სატახტო ქალაქი. მტკვრის ხეობა აქ გადაჭიმულია განედურად და მოქცეულია ჩრდილოეთიდან **მცხეთისა** (ქლევის ქედის სამხრეთი განშტოება) და **სხალტბის** (კვერნაქის ქედის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი) **ქედებს** შორის.

საკვანო წერტილი 1: ქალაქი მცხეთა და სვეტიცხოვლის ტაძარი.

მარშრუტი მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისაკენ და მიუყვება მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირს.

გზიდან დასავლეთით სხალტბის სერია, რომლის კალთები შემოსილია ჯაგეკლიანი ბუჩქებითა (ძეძვი, შავჯაგა, ქონდარა ნუში, ჯაგრცხილა) და ზოგან არიდული ნათელი ტყეები (ღვია, საკმლის ხე, აკაკი, ბერყენა, თრიმლი). ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ტყის ფრაგმენტები (მუხა, რცხილა, შინდი) გვხვდება. გზის მარცხნივ კი მოჩანს ქართლის ქედის სამხრეთი ნაწილი.

მდ. ნარეკვავის მტკვართან შეერთების ადგილიდან იწყება **მუხრანის ვაკე** (შიდა ქართლის ვაკის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც კვერნაქის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს). ამ ადგილას კარგად მოჩანს კვერნაქის სერის მუხრანის ვაკეში თანდათანობითი გადასვლა. აქ მდებარეობს სოფლები: წეროვანი, გოროვანი, ჩარდახი, ძველი ქანდა და სხვ. მათკენ საქართველოს სამხედრო გზიდან ხელმარცხნივ მიდის საავტომობილო გზა. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა აქ სარწყავი მიწათმოქმედებაა. მუხრანის ვაკის კლიმატი ზომიერად მშრალია. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობაა 450-550 მმ. ძველად აქ ტყეები იყო გაბატონებული, სადაც ქართული მუხა იყო წამყვანი. დიდი ხნის წინ ტყე გაჩეხეს და დღეს აქ ბუჩქნარები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია (ბოსტნეული, ხეხილის ბაღები, ვენახები, მარცვლეული და სხვ.). მხოლოდ ადგილ-ადგილაა შემორჩე-

ნილი ასწლოვანი მუხები. აღმოსავლეთით მუხრანის ვაკიდან, მდ. არაგვის გასწვრივ, ჩანს ჭალის ტყის ნარჩენები.

სოფ. ნატახტართან წყაროების საკმაოდ მძლავრი გამოსავალებია. 1933 წელს აქ ექსპლუატაციაში გაუშვეს პირველი უნიკალური სიფონური წყალსადენი. არაგვის ხეობაში მოჩანს ტბორები, რომელიც ჩართულია ქ. თბილისის წყალმომარაგებაში. აქვე გადის ნატახტარის ახალი წყალსადენი, რომელიც ააგეს 1982 წელს.

ჩრდილოეთის მიმართულებით გზა თანდათან მაღლდება და აღწევს **სოფ. მისაქციელს**. მარცხნიდან მოჩანს მუხრანის არხი, რომელიც მიემართება ჩრდილოეთსაკენ, მდ. არაგვის გაყოლებით და აღწევს სოფ. ბულაჩაურს. არხს სათავე სწორედ აქ აქვს და აქედან ჩამომავალი წყლით ირწყვება მუხრანის ვაკე.

გზიდან ხელმარცხნივ, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოჩანს **ბაზალეთის პლატოს** სამხრეთი ფერდობი, რომელიც შემოსილია ბუჩქნარებით. სწორედ ბაზალეთის პლატოს ძირში, მუხრანის ვაკეზე მდებარეობს სოფლები: წილკანი, ახალუბანი, ძალისი. პლატო ბუნებრივად შემოსილი იყო ფართოფოთლოვანი ტყით, უმთავრესად ქართული მუხითა და აღმოსავლური წიფლით, მაგრამ ამჟამად პლატოს დიდი ნაწილი უჭირავს აგროკულტურებს, ხოლო ნაწილი – მეორად ბუჩქნარებს, სადაც ჭარბობს ჯაგრცხილა. შედარებით მშრალ ფერდობებზე ჯაგეკლიანებია.

სოფელ მისაქციელთან მთავრდება მუხრანის ვაკე. აქედან გზა მიემართება დაბალმთიანეთში, მდ. არაგვის შედარებით ვიწრო ხეობაში. ლანდშაფტებს შორის საზღვარი აქ მკვეთრია – ვაკის ლანდშაფტიდან მთის ლანდშაფტისაკენ. სოფ. მისაქციელიდან ჩრდილოეთით კი გზა მდ. არაგვის უფრო ვიწრო ხეობაში შედის, რომლიც მოქცეულია ალევისა (დასავლეთიდან) და ქართლის (აღმოსავლეთიდან) ქედებს შორის აქედან მოყოლებული კლიმატი ზომიერად ნოტიო ხდება და ტყეებიც დიდ ფართობზეა გადაჭიმული. აქ გზის გასწვრივ მდებარეობს სოფლები: აღდგომელაანთკარი, ნაოზა, წითელსოფელი.

საკვანძო წერტილი 2: გადასახვევი ბაზალეთის ტბისაკენ.

მდ. ლაზვიანთხევის (საკრამულისხევის) შესართავთან გზიდან გადასახვევია, რომელიც მიემართება **ბაზალეთის ტბისაკენ**. იგი მდებარეობს ბაზალეთის პლატოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩადაბლებაში. ტბა გზიდან არ მოჩანს. ზამთარში ტბის ზედაპირი იფარება ყინულის ფენით, რომლის სისქე ზოგჯერ 0.5 მეტრსაც აღწევს. ზაფხულში კი წყლის ტემპერატურა მაღალია. ტბის სამხრეთი და დასავლეთი სანაპირო შემოსილია ლელქაშით. ზედაპირი დაფარულია წყლის მცენარეებით, განსაკუთრებით დუმფარათი, რომელსაც ვეებერთელა მოტივტივე ფოთლები და დიდი ყვავილები აქვს. ტბის წყალი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

ბაზალეთის ტბას არაერთი ლეგენდა უკავშირდება. ილია ჭავჭავაძემ მას ლექსიც („ბაზალეთის ტბა“) მიუძღვნა. 1626 წელს ბაზალეთის ტბასთან გაიმართა ბრძოლა გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I-ის ჯარებს შორის. ბრძოლა დიდი მოურავის დამარცხებით დამთავრდა. ეს ძმათამკვლელი ბრძოლა სამარცხვინო ფურცელია საქართველოს ისტორიაში.

ამჟამად ბაზალეთის ტბის მიდამოებში გააშენეს ტყეები. აქ იმართება სპორტული შეჯიბრებები. ტბასთან აგებულია სასტუმროების კომპლექსი, სადაც მოწყობილია ხეივნები, ფანტანი. აქ აგებულია თეთრსვეტებიანი კოლონადა, რომელიც მიეძღვნა ქართველებისა და ებრაელების 2500-ნლიან მეგობრობას.

გზიდან ხელმარჯვნივ, მდ. არაგვის მარცხენა მხარეს მოჩანს სოფელი **ბულაჩაური,** იგი მდიდარია წყაროებით, რომლებიც ნატახტართან ერთად, წყლით ამარაგებს ქ. თბილისს. ბულაჩაურის წყალსადენი, რომელიც ექსპლუატაციაში 1951 წელს შევიდა, მდ. არაგვის ორივე მხარესაა.

საკვანო წერტილი 3: ბოდორნის სვეტი

სანამ გზა ქალაქ დუშეთის გადასახვევამდე მივა, სოფ. ბოდორნასთან, გზიდან 70-80 მ მანძილზე დგას **ბოდორნის სვეტი** (ბუნების ძეგლი). იგი 15 მ სიმაღლის კლდის სვეტია. ძირთან მისი დიამეტრია 4 მ, რომელიც ზემოთ თანდათან მცირდება. იგი ბუნებრივად შეცემენტებული რიყნარებითაა აგებული. სვეტის თავი ბუჩქნარებითაა დაფარული. სვეტის აღმოსავლეთ მხარეს ძნელად მისადგომი 2-ოთახიანი გამოქვაბულია გამოკვეთილი, რომლებსაც ძველად, ადრექრისტიანულ ხანაში საკულტო დანიშნულებით იყენებდნენ. შემდგომ აქ მოღვაწეობდნენ ბერები. ასეთ ადგილებში მოღვაწე ბერებს მესვეტეებს ეძახდნენ. სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 200 მ მანძილზე კლდეში მრავალი გამოქვაბულია, კლდის თავზე კი დგას ბოდორნის ეკლესია (XVIII ს.).

მარშრუტი გრძელდება კვლავ ჩრდილოეთის მიმართულებით. მდ. დუშეთისხევზე გადებული ხიდის გადაკვეთის შემდეგ, გზიდან ხელმარცხნივ გადასახვევია ქალაქ დუშეთისაკენ.შუა საუკუნეებში იგი არაგვის ერისთავთა რეზიდენცია იყო. აქ მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია

შემორჩენილი: ეკლესიები, ციხე-დარბაზები და სხვა. დღეს დუშეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მნიშვნელოვანი ცენტრია. აქ არის წილკნის ეპარქიის რეზიდენცია.

სახელწოდება „დუშეთის“ შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულების მიხედვით, საქართველოს ასაოხრებლად მოსულ თემურ-ლენგს დასასვენებლად მოსწონებია აქაური გაშლილი სივრცე და უბრძანებია: „დუშ ათ“, ე.ი. „შევაყენოთ ცხენები“-ო. მეორე შეხედულების მიხედვით კი, ჩერქეზებს ცხენები ჩამოჰყავდათ ხოლმე გასაყიდად საქართველოში. მაღალმთიანი კავკასიონის გადმოლახვის შემდეგ თანამედროვე დუშეთის მიდამოები მათთვის კარგი მოსასვენებელი და სავაჭრო ადგილი იყო. ამასვე ნიშნავს ჩერქეზულად „დი შეთ“. არსებობს ამ სახელწოდების წარმოშობის ქართული ვარიანტიც. სიტყვა „დუშეთი“ მომდინარეობს „მთუშეთიდან“, ე. ი. „მთათა შორისი“ ადგილიდან. ამრიგად, დასახელებული სამივე ვარიანტიდან „დუშეთის“ სახელწოდება დაკავშირებულია მოსწორებულ, ბრტყელ ადგილთან.

შემდგომ მარშრუტი კვლავ მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირს გასდევს და გაივლის სოფლებს არაგვისპირს და აღწევს **დაბა ჟინვალს**. ამ ადგილას ძველად ქალაქი არსებობდა. ვახუშტი ბაგრატიონიც იხსენიებს მას „ძველ ქალაქად“. შემდეგ ქალაქი დაკნინდა და სოფლად იქცა. 1971 წელს კი, როცა მდ. არაგვზე დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, იგი დაბად ჩამოყალიბდა.

საკვანო წერტილი 4: ჟინვალის წყალსაცავი და ანანურის ციხე

ჰესის მშენებლობის გამო სოფელ ჟინვალის ტერიტორია უნდა დატბორილიყო, ამიტომ მოსახლეობა აქედან გადავიდა. მათი ნაწილი დასახლდა სოფლებს არანისსა და ბიჩნიგაურთკარს შორის, ანუ იქ, სადაც დღეს დაბა ჟინვალია.

მდინარეების მთიულეთის არაგვისა და ფშავის არაგვის შეერთების ადგილას 1985 წელს აიგო **ჟინვალის წყალსაცავი**. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქ თბილისის წყლით მომარაგების საქმეში. 1985 წელს აგებული წყალსაცავისათვის მოწყობილია 102 მ სიმაღლის მიწის კაშხალი. წყალსაცავი თბილისს ამარაგებს სასმელი და სამეურნეო წყლით.

წყლის ქვეშ მოექცა ისტორიული ძეგლები. მაგალითად, ჯვარპატიოსანის ეკლესია (XII ს.), რომელიც ნახევარი წელი წყლითაა დაფარული.

მარშრუტი გასდევს ჟინვალის წყალსაცავის სამხრეთ-დასავლეთ კიდეს და აღწევს **სოფ. ანანურს**. იგი სავაჭრო გზებზე მდებარეობდა, რამაც ხელი შეუწყო მის დაწინაურებას. კერძოდ, აქ გადიოდა მდინარეების მთიულეთისა და ფშავის არაგვიდან მდ. თერგის გასწვრივ მიმავალი გზა. ანანურიდან მიემართებოდა ასევე გზა დუშეთისაკენ. აქ სამეფო საბაჟოც ყოფილა და განვითარებული იყო მეურნეობის სხვადასხვა დარგი (მეჭურჭლეობა, მაუდის წარმოება და სხვ.).

წყალსაცავის ნაპირზე, სოფელში დგას **ანანურის ციხე**.

თუ სოფ. ანანურამდე მდ. არაგვის ხეობა ფართო და ტერასებიანია, აქედან მოყოლებული მდ. მთიულეთის არაგვის ხეობა საკმაოდ ვიწროა. ხეობის მიმდებარე ფერდობებზე მუხნარ-რცხილნარი ტყეები თითქმის უწყვეტ ზოლს ქმნის. კიდევ უფრო ჩრდილოეთით არის სოფლები: ციხისძირი, პავლეური, მენესო, ჭართალი, ბუჩაანი, ხამუშა (მთიულთკარი), ბიბილიანი. აქ, ხეობის გასწვრივ და მდ. მთიულეთის არაგვის შემდინარეთა ხეობებში მრავალი ეკლესია, ან ციხე-კოშკის ნანგრევია შემორჩენილი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ წარსულში ეს ადგილები მჭიდროდ ყოფილა დასახლებული.

ხეობის მთელი ეს მონაკვეთი, მოქცეული ალევისა და ქართლის ქედებს შორის, ხასიათდება ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი კლიმატით. ცხადია, მიმდებარე ფერდობებზე, სიმაღლის მატებასთან ერთად, კლიმატი უფრო ცივია ზამთარში და უფრო გრილი ზაფხულში. მთის კალთები შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყეებით, სადაც უფრო მეტი წილი უკავია წიფელს.

მდინარეების– მთიულეთის არაგვისა და გუდამაყრის არაგვის შესაყართან გზა ორად იყოფა: მარცხენა გზა მიემართება დაბა ფასანაურისაკენ, ხოლო მარჯვენა – გუდამაყრისაკენ. XIX საუკუნეში, როცა საქართველოს სამხედრო გზა გაჰყავდათ, მდ. გუდამაყრის ხეობის გასწვრივ იყო დაგეგმილი ამ გზის გაყვანა (ბურსაჭირის უღელტეხილის გავლით). მაგრამ ჯერ კიდევ 1847 წელს, ახლანდელ ტრასასთან შედარებით რთული რელიეფური პირობების გამო, გზის მშენებლობა ამ მიმართულებით შეწყდა და იგი მდ. მთიულეთის არაგვზე გადაიტანეს.

გუდამაყრიდან, სოფ. ჩოხიდან იყო წარმოშობით მწერალი და კინორეჟისორი **გოდერძი ჩოხელი** (1954-2007).

საკვანო წერტილი 5: დაბა ფასანაური

დაბა **ფასანაური** მთიულეთის ცენტრია. ძველად აქ სავაჭრო ცენტრი იყო. აქ მდ. გუდამაყრის ხეობიდან მომავალი გზა გადიოდა. გადმოცემის მიხედვით, აქ მდებარეობდა საგუშაგო, სადაც გამვლელ-გამოვლელებს ბაჟს, **ფასს** ახდევინებდნენ და ამიტომაც უწოდებიათ მისთვის „ფასანაური“.

დაბა ფასანაური და მისი მიდამოები კარგი სააგარაკო ადგილია. დამსვენებლები ამოდიან ზაფხულშიც და ზამთარშიც. მრავლადაა მინერალური წყლების გამოსავალებიც. დაბის შემოგარენის

ფერდობები შემოსილია წიფლის, მუხის, ნეკერჩხლის, რცხილის ტყეებით. ტყე მდიდარია ქვეტყით (თხილი, კუნელი, ჩვეულებრივი მუშმალა, შავი ანწლი, ასკილი და სხვ.).

დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით იწყება მაღალმთიანი მხარე, სადაც ტყე უფრო შეზღუდულადაა წარმოდგენილი და მას თანდათან ბუჩქნარები და მდელოები ენაცვლება. ზოგიერთ უბანზე აქ გაცილებით მრავლადაა გამოზიდვის კონუსები (ნაშალი მასალის დანაგროვების ფერდობის ძირას). მცირე წვიმაც კი ზოგჯერ იწვევს დროებითი ნაკადების ჩამოყალიბებას და გზაზე ნაშალის ჩამოტანას. ამის გამო აუცილებელი ხდება გზის გამწმენდი სამუშაობების ჩატარება.

შავი თიხაფიქლების გაბატონების გამო, რაც მდ. გუდამაყრის არაგვის წყალს შავ ელფერს აძლევს, მდინარეს „შავ არაგვს“ უწოდებენ. მდ. მთიულეთის არაგვთან შეერთებისას, ეს კარგად ჩანს – ერთმანეთს უერთდება „თეთრი“ და „შავი“ წყალი.

გზა მიუყვება მდ. მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს. დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით, დაახლოებით 5-6 კმ მანძილზე, მდ. არაგვის ხეობა შედარებით უფრო განიერია. აქ მდებარეობს სოფლები: ჩოხელი, მანასეული, სალაჯური, ნაღვარევი, ქვეშეთი, არახვეთი. მთის კალთებზე ტყეში ზოგან გვხვდება ფიჭვიც. მდელოები სულ უფრო და უფრო მეტ ფართობზეა გადაჭიმული.

კავკასონის ქედიდან სოფ. ქვეშეთამდე ეშვება **კაიშაურის ლავური ღვარი**.

სოფ. ქვეშეთიდან ჩრდილოეთით მდ. არაგვის ხეობა კლდოვან ხეობაში მიედინება. განსაკუთრებით ციცაბო კლდეებია მდინარის მარცხენა მხარეს. ამ ფრიალო ფერდობის სიმაღლე თანდათან მატულობს 50-70 მ-დან რამდენიმე ასეულ მეტრამდე. იგი მაქსიმუმს აღწევს კურორტ გუდაურთან ახლოს. იგი „ამირანის კლდის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ვინაიდან ადგილობრივი გადმოცემით, აქ ყოფილა მიჯაჭვული ამირანი.

სოფლებს **არახვეთსა** და **მლეთას** შორის ზედაპირზე შიშვლდება ლავურ ქანები. მოჩანს გამომწვარი ნიადაგი და არაერთი გამოქვაბული, სადაც ალაგ-ალაგ იხსნება დიდდებიტიანი წყაროები. მლეთის ხიდის ჩრდილოეთით, 1-2 კმ მანძილზე, მოწყობილია შადრევანი, საიდანაც ჩანს ჰესი, რომელიც თვით ს. მლეთას ემსახურება.

იწყება **მლეთის აღმართი,** რომელი ძლიერ მიხვეულ-მოხვეული გზით ხასიათდება.

საკვანო წერტილი 6: კურორტი გუდაური

კურორტი **გუდაური** ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მაღლაა. ზამთარში აქ მრავალი დამსვენებლი ჩამოდის. სათხილამურო სეზონი დეკემბრიდან აპრილამდეა. სათხილამურო ტრასის სიგრძეა 16 კმ. აქ კეთილმოწყობილი სასტუმროებია: „მარკო პოლო“, „გუდაური“. აქ მოწყობილია ჩოგბურთის კორტები, ბოულინგის ცენტრი, საცურაო აუზი, ბარი და დამსვენებლებისათვის სხვა საინტერესო ადგილები.

საქართველოში მრავალი ტოპონიმი იწყება ,,გუდა“–თი, მაგ. გუდა–მაყარი, გუდა–ვა, გუდა–რეხი, გუდა–ნი და სხვა. ადრე საქართველოში უსწორმასწორო, ,,ავადსავალ“, ოღროჩოღრო გზას ეწოდებოდა ღუდა, ღადა-ღუდა გზა. ღ-სა და გ-ს ფონეტიკური შენაცვლების გზით მივიღეთ გუდაური. აქ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსულმა ენამაც. არაა გამორიცხული, რომ გუდის ქვეშ, ზოგადად მთის, გორაკის, ბორცვის აღმნიშვნელი ტერმინიც იმალებოდეს (მაგ. გამობერილი ქუთუთოების მქონე თვალებს გუდალა თვალებად მოიხსენიებენ).

არაგვის ხეობის მარცხენა ფერდობზე, ჯვრის უღელტეხილამდე ტყე, ჭრისა და ძოვების შედეგად, სრულიად განადგურებულია. ტყის წარსულში არსებობაზე მიუთითებს ტყის ნარჩენები, რომლებიც შემორჩენილა „წმინდა ტევრების“ სახით მდ. არაგვის ზემო წელში და მდ. ხადისხევის ხეობაში, სოფ. გუდაურიდან ჯვრის უღელტეხილამდე მონაკვეთში, ალევის ქედის თხემური ნაწილის ჩრდილო კალთაზე.

სოფ. გუდაურიდან ჯვრის უღელტეხილამდე მონაკვეთში, დასავლეთის ჰორიზონტზე იშლება **ყელის ვულკანური ზეგნის** ხედი. მასზე აღმართულია ვულკანური წარმოშობის 9 კონუსისებრი მწვერვალი. მწვერვალების ასეთი განლაგების გამო ადგილობრივებმა მას „ცხრაძმულა“ უწოდეს. იგი „შვიდი ძმის მთის“ სახელწოდებითაცაა ცნობილი. მათ შორის ყველაზე მაღალი კონუსი **დიდი ნეფისკალოა**.

ყელის ზეგანზე მდებარეობს **ყელის ტბა**. იგი არ მოჩანს გზიდან. ტბის ქვაბული წარმოიქმნა თითქმის მილიონი წლის წინ ლავური ნაკადის შეგუბებით. დაახლოებით 10 ათასი წლის წინ ქვაბული განთავისუფლდა მყინვარისაგან და მის ადგილზე წარმოიშვა ტბა. საქართველოს მნიშვნელოვან ტბებს შორის იგი ყველაზე მაღლა მდებარე ტბადაა მიჩნეული. თუმცა მაღალმთიან ზოლში, 3000 მ-ის ზემოთ, არსებობს პატარ-პატარა მყინვარული წარმოშობის ტბებიც. ტბის უდიდესი სიღრმეა 63 მ. ტბა გადაჭიმულია მერიდიანულად და მოიცავს ორ ქვაბულს: ჩრდილოეთისა (სიღრმე 63 მ) და სამხრეთის (30 მ). მათ შორის მდებარეობს სრუტე, რომლის სიღრმე მხოლოდ 13 მ-ია. ტბიდან გამოედინება მდ. ქსანი. წლის ცივ პერიოდში, 7-8 თვის განმავლობაში ყელის ტბა იფარება ყინულის

სქელი ფენით. წყალი მტკნარია, მაგრამ მასში თევზი არ არის. ტბა და მისი მიდამოები პერსპექტიულია ტურიზმისათვის.

საკვანო წერტილი 7: ჯვრის უღელტეხილი

გუდაურიდან გზა მიემართება **ჯვრის უღელტეხილისაკენ**. იგი სხვა სახელითაცაა ცნობილი: ხევის ყელი, გუდაურის უღელტეხილი, ჯვართა ვაკე, ჯორთვაკე, ჯვართა ყელი, ჯვრის ყელი, ძირ ვაკე. უღელტეხილი აკავშირებს მდინარეების ბიდარისა (თერგის მარჯვენა შენაკადი) და მთიულეთის არაგვის ხეობებს. გზის ეს მონაკვეთი ყველაზე მაღალი ადგილია მთელი საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ.

ჯვრის უღელტეხილი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ცენტრალური კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადასასვლელებს შორის. იგი საკმაოდ ღრმა და ვრცელი უნაგირისებრი ჩაზნექილობაა, რომელიც ძველი მდინარის (პალეომდინარის) ხეობის ნაშთია. ჯვრის უღელტეხილი მდებარეობს ზ.დ. 2395 მ სიმაღლეზე. იგი ვაკე რელიეფით ხასიათდება. უღელტეხილის მიდამოები შემოსილია მაღალი მთის მდელოებით.

მდ. ბაიდარის ხეობაში ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი სხვადასხვა შეფერილობის ნაფენები, რომლებიც წარმოქმნილია მინერალური წყაროების გამოსავალების შედეგად.

სახელწოდება „ჯვრის უღელტეხილი“ მომდინარეობს იქიდან, რომ მრავალი საუკუნე ამ ადგილზე ქართველი მეფეები დგამდნენ ხის ჯვრებს. 1824 წელს აქ გრანიტის ჯვარი დაუდგამს რუსეთის იმპერიის მთავარსარდალს საქართველოში – ალექსი ერმოლოვს. ამ ჯვრის ნაშთი დღესაცაა შემორჩენილი. ამჟამად, უღელტეხილის უმაღლეს ადგილზე დგას ობელისკი წარწერით: „ჯვრის გადასავალი 2395 მეტრი“.

უღელტეხილთან ახლოს, 2-3 კმ მანძილზე მდებარეობს ხევში ცნობილი სახლი, რომელიც ამჟამად უკაცრიელია. აქ, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ საგზაო დარაჯები – ბიდარაშვილების რამდენიმე თაობა. ისინი ზარს შემოჰკრავდნენ ხოლმე და ამით უამინდობისას გზააბნეულ მგზავრს მიმართულებას აძლევდნენ. ზარის ხმა 2 კმ მანძილზე ისმოდა და ვინ იცის მან რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა ზვავისა და ღვარცოფისაგან.

აქვე, მთიულეთის არაგვის ხეობაში მდებარეობს ე.წ. „ეშმაკის ხეობა“. მისთვის დამახასიათებელია ძლიერი ქვათაცვენები, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა მას „ქვიან ქაოსს“ უწოდებს. არსებობს ლეგენდა, რომ აქ ცხოვრობდა ყოვლისშემძლე მოხუცი (გუდი), რომელიც თავისი კეთილი საქმეებით მეტად განთქმული ყოფილა. მას შეჰყვარებია მშვენიერი მთიელი ქალი ნინო, მაგრამ მისი სიყვარული უპასუხო დარჩენილა. ნინოს ჩხუბი მოსვლია თავის შეყვარებულ ახალგაზრდა მწყემსთან. ამით ძლიერ გაუხარია მოხუცს. მისი ხარხარით მთები შეძრულა და ქვა-ღორღს ცვენა დაუწყია. ეს ქვათაცვენა დღესაც გრძელდება ამ ხეობაში.

საკვანო წერტილი 8: გადასახვევი თრუსოს ხეობისაკენ

ჯვრის უღელტეხილის შემდეგ ვეშვებით კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე. იქ, სადაც მდ. ბაიდარა უერთდება თერგს, გზა ორად იყოფა. მთავარი გზა ჩრდილოეთისაკენ – სტეფანწმინდისაკენ მიემართება. მარცხენა გზა კი აუყვება მდ, თერგის ზემო წელის აუზს. აქ იგი **თრუსოს ხეობის** სახელითაა ცნობილი. ეს ხეობა კავკასიონის მთავარ ქედსა და ხოხის ქედს შორისაა მოქცეული. გადაჭიმულია 25 კმ სიგრძეზე. ხეობის უდაბლესი ადგილია სოფელ კობთან და იგი ზ.დ. 2000 მ სიმაღლეზეა. მრავლადაა მინერალური წყლების დიდდებიტიანი გამოსავლები. ხეობა მოკლებულია ხემცენარეებს და შემოსილია მდელოებით. თუმცა წარსულში ტყეები საკმაოდ დიდ ფართობზე იყო გავრცელებული. ამის დასტურია ტრავერტინებში არსებული ცილინდრული ფორმის სიღრუვეები, რომლებიც წარმოქმნილი უნდა იყოს გახრწნილი ხეების ღეროებისა და ტოტებისაგან. მხოლოდ ზოგან, აქა-იქ შემორჩენილია არყისა და ცირცელის ბუჩქნარები.

სოფ. კობიდან დასავლეთით 2-3 კმ-ზე ჩანს **კასარის ვიწრობის** დასაწყისი, წარმოშობილი თერგის მიერ ხურისარის ლავური ღვარის გარღვევით.

აქ რამდენიმე ლავური ღვარია: ს. კობის ჩრდილოეთით ჩანს მნადონის ლავური ნაკადის გაშიშვლება, მყინვარწვერის ამოფრქვევის შედეგი; აღმოსავლეთით – კაბარჭინის ვულკანი და პატარა ვულკანური კონუსი; ჩანს ტყარშეთის მწვერვალიდან დაშვებული და 60-80 მ სიმაღლის გაქვავებული ლავური ღვარი მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, ს. კობის ქვემოთ.

კასარის ვიწრობიდან სოფ. სიონამდე მდ. თერგი მიედინება ფართო ჭალაში, უფრო ქვემოთ რამდენიმე ვიწრო კანიონია. აქ მდებარეობს სოფლები: ხურთისი, გორისციხე, ვარდისუბანი, სიონი, ტყარშეთი, გარბანი, არშა, აჩხოტი.

ჯვრის უღელტეხილიდან დაბა ყაზბეგამდე მცენარეულობა მდელოებითაა წარმოდგენილი. სოფ. სიონთან შემორჩენილია ტყის კორომი – ფიჭვის, არყის, ვერხვის, ცირცელის მონაწილეობით. ეს ადგილი ამ მხარის ერთ-ერთ საუკეთესო საკურორტო ადგილად ითვლება.

საკვანო წერტილი 9: დაბა სტეფანწმინდა

დაბა სტეფანწმინდასთან ახლოს მდ. თერგის ხეობა ვიწროვდება.

დაბამ სახელწოდება რამდენჯერმე შეიცვალა. თავდაპირველად მას სტეფაწმინდა ერქვა, მოგვიანებით ყაზბეგი დაერქვა. ახლა კი კვლავ სტეფანწმინდაა. გადმოცემის მიხედვით, ეს სახელწოდება უკავშირდება ბერი სტეფანეს სახელს, რომელმაც აქაურ მცხოვრებლებს ურჩია, ზვავებისაგან დაცვის მიზნით, დასახლება „ცოფიანი ღელედან" უფრო სამხრეთისაკენ გადაეტანათ. ასეც მოქცეულან ისინი და სოფელი გადარჩენილა. ბერის პატივსაცემად სოფლისათვის „სტეფანწმინდა" შეურქმევიათ.

მყინვარწვერის მეორე სახელწოდება „ყაზბეგი" მოდის რუსეთის იმპერიისდროინდელი სასაზღვრო მეთვალყურეების – ყაზიბეგების სახელწოდებიდან. მათ ევალებოდათ მტვირთავებითა და სახედრებით მგზავრთა მომსახურება, აგრეთვე გზებისა და ხიდების მდგომარეობის მეთვალყურეობა. სიტყვა „ყაზბეგი" ხევის მოურავ ყაზბეგ ჩოფიკაშვილის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მას დარიალის დაცვას ავალებდა, რის გამოც მოურავი პრივილეგიებით სარგებლობდა. მოურავის შვილმა გაბრიელ ჩოფიკაშვილმა აზნაურობა მიიღო და უარი თქვა თავის გვარზე. ამიერიდან იგი და მისი შთამომავლობა ყაზბეგის სახელით მოიხსენიებოდა. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ყაზიბეგები ყაბარდოელები იყვნენ, რომლებიც ყაბარდოდან გამოქცეულან და საქართველოს მეფისათვის უთხოვნიათ თავშესაფარი.

დაბა სტეფანწმინდიდან მდინარის აყოლებით რელიეფში აქა-იქ შემორჩენილია ხელოვნური ტერასების ნაშთები. იგი საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა – ადგილობრივები ტერასებს ქვებისაგან ათავისუფლებდნენ, ხოლო ხეობიდან ნოყიერი მიწები ამოჰქონდათ. ასეთი თავდაუზოგავი შრომის შედეგად გახდა შესაძლებელი აქ ხორბლის, ქერისა და კარტოფილის მოყვანა.

გზიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს სოფ. გველეთი, საიდანაც მყინვარწვერისაკენ მიემართება უმთავრესი ალპინისტური მარშრუტები. სოფელში დგას არაერთი არქიტექტურული ძეგლი. მათ შორისაა სუჯაშვილების სახლი, რომელსაც სამეთვალყურეო დანიშნულება ჰქონია. მტრის გამოჩენისას ამ სახლის მკვიდრნი საიდუმლო გვირაბით სოფლის შუაგულში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და ამით მტერს მზადყოფნაში ხვდებოდნენ. სუჯაშვილების სახლის გარე კედელზე ორი უზარმაზარი გველის რელიეფური გამოსახულებაა, რაც უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ გველს ადგილობრივები მაგიურ თვისებებს ანიჭებდნენ, თითქოს იგი კერიის მფარველი ყოფილიყოს. თუმცა არსებობს სხვა ვარაუდიც, რომ სოფლის ადრინდელი სახელწოდებაა „გელათი". მთავარი გზის მარცხნივ 0,5 კმ.-ზე გადმოჩქეფს გველეთის მშვენიერი ჩანჩქერი. გველეთის ხიდიდან იწყება **დარიალის ხეობა**.

იგი მდ. თერგის მონაკვეთი დაბა ყაზბეგის ჩრდილოეთით იწყება მდ. ჩხერის (თერგის მარცხენა შენაკადი) შესართავიდან და მთავრდება სოფელ ზემო ლარსთან (ჩრდილოეთ კავკასია). გადაჭიმულია 11 კმ სიგრძეზე. ხეობა ციცაბო, ფლატიანი ფერდობებით ხასიათდება. ამაზე უთქვამს მოხევეს: „ტიალა დარიალაო, კლდენი ხარ ცარიალაო". დარიალის ხეობაში ქრის სამხრეთის ძლიერი ქარი, რომელსაც ადგილობრივები „დევქარს" უწოდებენ. გაზაფხულზე მას თბილი ჰაერი მოაქვს, ამიტომაც ფერდობებზე სწრაფად დნება თოვლი.

დაბა ყაზბეგთან მდებარეობს ხევი, რომელიც ცნობილია „ცოფიანი ღელის" სახელწოდებით. ეს სახელი ხალხს შეურქმევია, ვინაიდან დიდი წვიმების დროს იგი დიდ ნაკადად იქცევა ხოლმე და თან მოაქვს ღორღი და უზარმაზარი ლოდები. თავისი მძვინვარებით იგი ზოგჯერ მდ. თერგსაც აჭარბებს და უკეტავს მას გზას. ამ დროს თერგის წყალი გუბდება და მატულობს მისი წყლის დონე. რამდენიმე საათის შემდეგ კი კვლავ მდ. თერგი „სჯაბნის" ხოლმე ცოფიან ღელეს და „იერიში მიაქვს" მასზე.

სიტყვა „დარიალანი" სპარსულია, რაც ალანების, ოსების კარს ნიშნავს. ძველად საქართველოში კი მას „არაგვის კარს" უწოდებდნენ, ვინაიდან მდ. თერგსაც წინათ არაგვი ერქვა. ალბათ, ძნელად თუ მოიპოვება სხვა გეოგრაფიული ობიექტი, რომელსაც იმდენი სახელი ჰქონოდეს შერქმეული, როგორც დარიალის ხეობას. ქართულ თუ უცხოურ წყაროებში იგი სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. ესენია: დარიალანი, დარიელა, დარიალსკი, იბერიის კარი, კავკასიის კარი, კასპიის კარი, სარმატიის კარი, კუმანია, ხევის კარი, ოვსთა კარი და სხვ. უძველეს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „შუშანიკის წამებაში" კი იგი მოხსენიებულია „ჩორის" სახელით: „პიტიახში ჩორდ წარემართა". იოანე საბანისძის „აბოს წამებაში" კი ვკითხულობთ, რომ ნერსე ერისთავი 300 კაციან ამალასთან (მათ შორის იყო აბოც) ქართლიდან ხაზარეთში გადავიდა: „განვლო მან კარი იგი ოვსეთისაი, რომელსა დარიალან ერქმის". ზოგიერთმა მკვლევარმა სიტყვა „დარიალის" წარმოშობის შესახებ სრულიად განსხვავებული აზრი გამოთქვა. კერძოდ, „დარიალი" ზოგადი სახელია და კლდეს, კლდის ნაპრალს ნიშნავსო. როგორც ვარაუდობენ, ეს ტერმინი, როგორც კლდის სინონიმი, ადრე გავრცელებული ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოში.

საკვანო წერტილი 10: გერგეტის სამება და მყინვარწვერი

დაბა ყაზბეგიდან დასავლეთით მიემართება გზა **გერგეტის სამებისაკენ**. იგი დაბა სტეფანწ-მინდიდან დასავლეთით მდებარეობს. იგი გუმბათიანი ტაძარია. იქვე დგას სამრეკლო. აგებულია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, ზ.დ. 2170 მ სიმაღლეზე. მონასტერი აშენებულია კარგად დამუშავებული ანდეზიტის ქვით და მდიდრულად არის მორთული ორნამენტებით. ეს ტაძარი ყველა მხრიდან მოჩანს. ამასვე ასახავს ხალხური სიმღერაც „გერგეტულა“: „დიდია წმინდა სამება, ცისკიდურამდე ელავსო“.

ტაძრის აგების ისტორია ლეგენდის შარავანდედით არის გარემოცული. აი, რას მოგვითხრობს ეს ლეგენდა: ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებს დავა მოსვლიათ სად აეშენებიათ სამების ტაძარი. ერთ მცხეთელ ბერიკაცს ურჩევია ფურბერწი დაჰკალით და მისი მენჯის ძვალი სოფლის ბოლოს დააგდეთო. მოვა შავი ყორანი და სადაც ძვალს წაიღებს და გამოხრავს, ტაძარიც იქ ააშენეთო. მეფენიც ასე მოქცეულან. მართლაც, მოფრენილა შავი ყორანი, ძვალი აუღია და გაფრენილა. თავდაპირველად იგი ანანურის თავზე დაფრენილა (აქ სამების ნიში აუგიათ), შემდეგ ბიდარის მთაზე (აქ, ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში მრავალი ჯვარი აღუმართავთ), ბოლოს გერგეტისაკენ გადაფრენილა და ძვალი იქ გამოუხრავს. სწორედ ამ ადგილას აუგიათ ტაძარი. მაგრამ ამჯერადაც მოსვლიათ მეფეებს დავა იმაზე, თუ ვის ჩაეყარა პირველად საძირკველი. ერთ კაცს ურჩევია, ბიდარის მთიდან ვინც პირველი მოვა დანიშნულ ადგილზე, იმან ჩაყაროს საძირკველიო. ასეც მოქცეულან. მრავალს უცდია ბედი ფეხით თუ ცხენით, პირველობა კი სოფ. ხურთისის (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) მკვიდრს, კოზლ ბახჩიძეს ერგო. იგი ცხენოსნებზე ადრე მისულა დანიშნულ ადგილზე, ვინაიდან სხვებისათვის უცნობი უმოკლესი ბილიკით უვლია. ტაძრის საძირკველიც ამ ბახჩიძეს გაუჭრია. ტაძრისათვის ქვებს სოფ. ხურთისიდან ზიდავდნენ, ხოლო წყალს – გერგეტის წყაროდან. ამ წყაროს დღესაც „კალატაის წყაროს“ უწოდებენ. გერგეტის სამება გამოირჩევა იმით, რომ იგი ერთადერთი გუმბათიანი ტაძარია ხევში. იგი ხევის უმთავრესი სალოცავი იყო.

გერგეტის სახელს მრავალი საინტერესო ამბავი უკავშირდება. იქნებ ამიტომაც იქცა იგი მასობრივი ტურიზმის ობიექტად. სწორედ აქ გადის მყინვარწვერისაკენ მიმავალი სამი მარშრუტი და სტეფანწმინდის მეტეოროლოგიურ სადგურზე ასასვლელი გზა.

გერგეტის სამებიდან **მყინვარწვერის** მშვენიერი ხედი იშლება. მას ძველად ყაზბეგსაც უწოდებდნენ. იგი ვულკანური მასივია ხოხის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოსა და რუსეთის საზღვარზე. მისი სიმაღლეა 5047 მ. იგი დაღარულია წრიულად მდინარეთა ხეობების მიერ. აქ ლავური ღვარები სამი მიმართულებით მიემართება: სამხრეთის (მნას ღვარი), აღმოსავლეთის (ჩხერის ღვარი) და ჩრდილო-აღმოსავლეთის (გველეთის ღვარი).

მყინვარწვერზე მდებარეობს მყინვარები: დევდარაკი, დენკარა, გერგეტი, აბანო და სხვ. მათ შორის ყველაზე დაბლა (2257 მ) მთელ აღმოსავლეთ კავკასიონზე ჩამოდის მყინვარ დევდარაკის ენა. მასივის ქვედა, მყინვარებისაგან თავისუფალი ადგილები შემოსილია ალპური მდელოებითა და დეკიანებით. მდინარეთა ზოგიერთ ხეობაში გვხვდება ტანბრეცილი ტყეებიც ცირცელისა და არყის ხის მონაწილეობით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია იწინასწარმეტყველოს თუ როგორი ამინდია მოსალოდნელი. ამას ახერხებენ ე. წ. „მყინვარწვერის ქუდის“ მიხედვით. საქმე ისაა, რომ ნოტიო აღმავალი ჰაერის მასები მწვერვალის თავზე წარმოქმნიან ღრუბლებს, რომელთა გამოჩენაც თოვლის ან წვიმის მოსვლის მაუწყებელია.

უნდა აღინიშნოს ის საინტერესო მოვლენაც, რომელიც აქ არის დამახასიათებელი და ცნობილია „ბროკენის მოვლენის“ სახელით. 1923 წელს მყინვარწვერზე პირველი ქართული ასვლისას (გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით) მთამსვლელები მეტად საინტერესო ფაქტის მოწმენი გახდნენ: მათი ჩრდილები ღრუბლებში გამოისახა. აი, რას წერდა გ. ნიკოლაძე თავის დღიურებში: „ჩვენი ჩრდილი, ცისარტყელის შარავანდედით მოცული, მახლობელ ღრუბელზე დაიხატა. ყოველი ჩვენგანი მხოლოდ თავის ჩრდილს ხედავდა და დანარჩენებისას კი ვერა“. ამ თითქოსდა უცნაურ მოვლენას, თავისი მეცნიერული ახსნა აქვს. მაღალი იარუსის ღრუბლების კრისტალურ ყინულებში ხდება სინათლის სხივის გარდატეხა და არეკვლა. ეს ანარეკლი კი ღრუბლებზე გიგანტური აჩრდილების, ე.წ. „ბროკენის აჩრდილების“ სახით გამოიხატება.

მყინვარწვერს ორი მწვერვალი აქვს: დასავლეთისა და აღმოსავლეთის. ეს უკანასკნელი უფრო მაღალია. მის აღმოსავლეთ ფერდობზე მცირე ზომის ვაკე ზედაპირია, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია კლდეებით, სადაც ზამთარ-ზაფხულ თოვლი არ ჩერდება და შორიდან მყინვარწვერის თეთრ კალთაზე შავი გველეშაპივით მოჩანს. ამიტომ ხალხმა მას „გველეშაპის მთა“ უწოდა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ როცა ღმერთმა გაკადნიერებული ამირანი მთას მიაჯაჭვა, გველეშაპმა მოინდომა მასზე თავდასხმა. მაგრამ წმინდა გიორგიმ ის იქვე გააქვავა.

მყინვარწვერი ქართული ალპინიზმის აკვანია. 1923 წელს აქ ორი ალპინისტური ექსპედიცია მოეწყო: გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით. მყინვარწვერის

პირველი დამპყრობი ქართველი იყო, თუმცა გარკვეულ ხანს გავრცელებული იყო აზრი, რომ მწვერვალზე პირველად (1868 წელს) განთქმული ინგლისელი მთამსვლელი დუგლას ფრეშვილდი ასულა. მაგრამ ისტორიული წყაროები გვატყობინებენ, რომ 1799 წელს ხევ-მთიულეთში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით იქ ასულა ს. ერედვის (გორის მუნიციპალიტეტი) მკვიდრი ვინმე იოსებ მოძღვარი (ფავლენიშვილი), რომელსაც თვით გამოუკვეთავს საყდარი და თითქმის 20 წლის მანძილზე ყაზბეგელ დიმიტრი ფიცხელაურთან ერთად იქ უცხოვრია და უმოღვაწია. თუმცა არსებობს ადგილობრივი თქმულება, რომლის მიხედვითაც, იოსებ მოხევეზე ადრე, მყინვარწვერზე მამუკა ბერი ასულა. სხვა ადრეული ცნობები მწვერვალზე ასვლის შესახებ არ მოიპოვება.

მყინვარწვერი ცნობილია იმითაც, რომ აქ მდებარეობს **ბეთლემის გამოქვაბული**. თქმულების მიხედვით, გაკადნიერებული ამირანი ღმერთმა აქ, გერგეტის მყინვარზე, კლდეზე მიაჯაჭვა და „დაბმულს ამირანს ზედ თოვლ-ყინულიანი გერგეტი და ყაზიბეგის მთა დაახურა“. ხალხში დიდი ხანია არსებობს ლეგენდა, რომ ციცაბო კლდეზე გამოკვეთილია ბერის გამოქვაბული კელია, რომელშიც შესაძლებელია მოხვედრა მხოლოდ დაკიდული ჯაჭვის მეშვეობით. ეს გამოქვაბული შემთხვევით იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი 1948 წელს ცნობილი ალპინისტების ა. ჯაფარიძისა და ლ. სუჯაშვილის მიერ.

ლეგენდა ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძის პოემას „განდეგილი“.

სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მდებარეობს დაბა სტეფანწმინდაში. ის შენობა რომელშიც ახლა მუზეუმია მოთავსებული ეკუთვნოდა ალექსანდრე ყაზბეგის მამას. მუზეუმის ეზოში დგას ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი-ბიუსტი. მუზეუმი წარმოდგენას იძლევა ხევის ბუნებაზე, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ თავისებურებებზე. აქ გამოფენილია არქეოლოგიური მასალა, რომელიც მიგვანიშნებს ამ მხარის საკმაოდ უძველეს კულტურაზე. აქ ინახება ბეთლემის გამოქვაბულში მიკვლეული ნივთებიც.

1933 წელს, მყინვარწვერზე, გერგეთის მყინვარზე, 3657 მ სიმაღლეზე აშენდა **ყაზბეგის მაღალმთის სადგური** ფიცრული შენობა, სადაც 1940 წელს ახალი შენობა აიგო. აქ მეტეოროლოგიური დაკვირვებები მიმდინარეობს.

4.3. სხვა წყაროები ექსკურსიების დასაგეგმად

ექსკურსიის დაგეგმვა-განხორციელება:

http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/eqskursiis-momzadeba-eqskursiis-chatareba.pdf

საექსკურსიო მარშრუტების რუკები:

გეოლენდი. http://www.geoland.ge/ge/free-maps

GoogleEarth მარშრუტები:
https://www.google.com/maps/d/viewer?mid=1n2sp-gOL_gWYIh2z0bQX5s48d4U&hl=en_US&ll=41.948672165019595%2C42.79630792382818&z=1

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია http://travelingeorgia.ge/tours/

ნაწილი V. დამატებითი მასალები

დამხმარე მასალების თემატური სტრუქტურა და განმარტება

დამხმარე მასლებად გამოვყავით ვრცელი ამონარიდები მრავალფეროვანი ლიტერატურიდან, რომლებიც სასწავლო პროცესში პედაგოგს შეიძლება დასჭირდეს. იგი გარკვეულწილად ქრესტომათიას მოგვაგონებს, სადაც აუცილებელი წყაროებია მოთავსებული. მაგრამ ჩვენს მიერ თავმოყრილი მასალები ქრესტომათიიდან იმით განსხვავდება, რომ წარმოდგენილი მასალები შესასწავლი თემებთან სინქრონულად არაა დაკავშირებული. მაგალითად, ავიღოთ თბილისის თემა. თუ ქრესტომათიული პრინციპს გავყვებოდით, მაშინ მოსწავლის წიგნში განხილული თემების შესაბამისი მასალების უფრო ვრელი ვარიანტი უნდა წარმოგვედგინა. ეს შესაძლოა არ ყოფილიყო ცუდი, მაგრამ ამით მასწავლებლის წიგნი ერთი ორად და მეტადაც გაიზრდებოდა. ჩვენ სხვა გზით წავედით: მოვიტანეთ მხოლოდ ზოგიერთი მასალა სანიმუშოდ და იქვე რეკომენდირებული ლიტარატურისა და ელექტრონული რესურსების სიაც დავურთეთ. დაინტერესებულ პედაგოგს, თუ კი მოეწონება ჩვენეული მეთოდური რეკომენდაცია, ანალოგიურ მასალას თავადაც ადვილად მოიძევს.

წარმოდგენილი დამხმარე მასალის თემატური სტრუქტურა შემდეგნაირია:

1. საქართველოს ბუნება და ბუნების ღირსშესანიშნაობები
2. ენა, არქეოლოგია და საქალაქო ყოფა
3. რას მოგვითხრობენ კულტურის ძეგლები?
4. საქართველოს ყოფა-ცხოვრების მოზაიკა
5. სამოქალაქო აქტივობები
6. გამოჩენილი მოღვაწენი
7. დანართები

„ბუნება და ბუნების ღირსშესანიშნაობების“ რუბრიკაში ვაერთიანებთ შემდეგ საკითხებს: რელიეფს, ჰიდროლოგიურ ობიექტებს, ფლორას, ფაუნას, ბუნების ღირსშესანიშნაობებს და ტოპონიმიკურ მასალებს.

ერთი შეხედვით, ეკლეკტურია მეორე რუბრიკა „ენა, არქეოლოგია და საქალაქო ყოფა“, მაგრამ აქ თავმოყრილ მასალებს საფუძვლად უდევს ჯერ კიდევ უხსოვარ დროში ჩამოყალიბებული კატეგორიები, როგორიცაა ენა და მეტყველება, საქალაქო დასახლება და მასთან დაკავშირებული ყოფა.

მესამე რუბრიკაში კულტურის ძეგლებს წარმოვადგენთ და ვიძლევით გარკვეულ მეთოდურ რეკომენდაციებს მათი ამეტყველებისათვის.

მოცულობით ყველაზე მეტი ადგილი მეოთხე რუბრიკას უჭირავს. ესაა ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ელემენტები. ვინაიდან მოცემული სახელმძღვანელო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულია მხარეთმცოდნეობითი თემატიკით, ამ რუბრიკის მოცულობაც ამითაა განპირობებული.

ვინაიდან საზოგადოების ყოფას თავად ადამიანი ქმნის, ძალზე მცირე ოდენობთ, რამდენიმე გამორჩეული პიროვნების ბიოგრაფიაც ჩავრთეთ, როგორც მხოლოდ სასწავლო პროცესში დამატებითი ნიმუში. ამისათვის ჩვენ ყველასათვის ცნობილ მოღვაწეებს გვერდი ავუარეთ და დიდი მოღვაწეები, მაგრამ შედარებით ნაკლებად ცნობილები შევარჩიეთ.

რადგანაც სტანდარტით სამოქალაქო აქტივობებიცაა განსაზღვრული, ჩვენც შესაბამისი მასალაც წარმოვადგინეთ.

ბოლოს კი, ვასრულებთ დანართების რუბრიკით, სადაც შედის შემდეგი თემები: საქართველოს მუზეუმების სია და მათი ვებგვერდები, რეკომენდირებული ლიტარატურისა და ინტერნეტრესურსების სია, მოსწავლის წიგნში გამოყენებული წყაროებისა და ავტორების მოკლე დახასიათება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ მასალებს ყველას არ ერთვის მეთოდური რეკომენდაციები. ასეთი მითითებებით მხოლოდ ნაწილია აღჭურვილი. ვფიქრობთ, რომ პედაგოგს მათი გამოყენება ანალოგიური მასალისათვის ადვილად შეეძლება. მეორე მხრივ, კი პედაგოგს ეძლევა თავისუფლება, ჩვენი შეთავაზები მან სხვაგვარად გაიაზროს და სრულიად ახალი მიდგომით გამოიყენოს მოცემული მასალა.

საქართველოს ბუნება

საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის მოკლე ისტორია

წყარო: ელიზბარაშვილი ნ., მაჭავარიანი ლ., ნიკოლაიშვილი დ., მელაძე გ. და სხვ. თბ., 2000.

საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ისტორია 5 პერიოდად იყოფა.

I. **ანტიკური პერიოდი.** ძვ.წ. V საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნის ჩათვლით. კავკასია და მათ შორის საქართველოს ტერიტორია მოქცეული იყო ხმელთაშუაზღვიური ცივილიზაციის სფეროში.

ანტიკური პერიოდი იყოფა ბერძნულ და რომაულ ეპოქებად.

ბერძნულ ეპოქაში (ძვ.წ. VI – ძვ.წ. II სს.) ელადელი მეცნიერები გაცილებით უკეთ იცნობდნენ შავიზღვისპირა ტერიტორიებს. აღმოსავლეთ საქართველოზე მათ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. იმდროინდელ ავტორთა მონათხრობი საქართველოს შესახებ ისტორიული ან ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის იყო.

საქართველოს შესახებერთ-ერთ პირველ გეოგრაფიულ ნაშრომად ითვლება ისტორიკოსისა და გეოგრაფის **ჰეკატეოს მილეტელის** (ძვ.წ. VI-V სს.) „მიწის აღწერა". ნაშრომი ორი წიგნისაგან შედგება: „ევროპა" და „აზია". აქ იგი იხსენიებს კოლხებს, კავკასიონს, კასპიისა და პონტოს ზღვებს. მოგვიანებით **ჰეროდოტე** აღნიშნავდა, რომ ამ ნაშრომს თან ახლდა ხმელეთის იმდროინდელი დასახლებული ტერიტორიის (ოიკუმენის) რუკა. მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

„მედიცინის მამად" წოდებულის – **ჰიპოკრატეს** (ძვ.წ. V-IV სს.) ნაშრომში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ",დახასიათებულია კოლხები, მეგრელები. ნახსენები აქვს მდ. ფასისი. კოლხეთის დახასიათებისას მას აღწერილი აქვს ქარი „კენქრონი", რომელიც ფიონს შეესაბამება.

ქსენოფონტე (ძვ.წ. V-IV სს) იყო ისტორიკოსი, სწავლული და მხედართმთავარი, რომელმაც იმოგზაურა ბაბილონიდან ტრაპიზონამდე, მოინახულა შავიზღვისპირა ბერძნული ქალაქები. მოგზაურობის საფუძველზე შექმნა ნაშრომი „ანაბასისი" („ზევით სვლა"), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან წყაროს. ნაშრომი აგრეთვე შეიცავს მონაცემებს საქართველოს ბუნებრივი პირობების შესახებაც.

ისტორიკოსმა და მოგზაურმა, „ისტორიის მამად" წოდებულმა **ჰეროდოტემ** (ძვ.წ. V ს.) იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში (ეგვიპტეში, მაკედონიაში, ფინიკიაში, არაბეთში, სკვითიაში, კოლხეთში და სხვ.), მოინახულა შავიზღვისპირეთიც. საკუთარი დაკვირვებების, ლიტერატურული წყაროების და გამოკითხვის საფუძველზე მან აღწერა ამ ქვეყნების ბუნებრივი პირობები, ადათ-წესები და რელიგია (თხზულებაში „ისტორია"). განსაკუთრებით საინტერესოა ჰეროდოტეს მონაცემები შავი (ევქსინოს პონტოს) და კასპიის ზღვების შესახებ.

აპოლონ როდოსელის ნაშრომში „არგონავტიკა" საქართველო აღწერილია გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული კუთხით. მასში მოხსენებულია კუტაია (ახლ. ქუთაისი) – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. აღწერილია უძველესი ქართველი ტომები. – ავტორი კოლხეთის დაბლობს კირიკიის ვაკის სახელწოდებით მოიხსენიებდა.

რომაულ ეპოქაში (ძვ.წ. II – ახ.წ. III სს.) საქართველოს გეოგრაფიულმა შესწავლილობამ შემდგომი აღმავლობა განიცადა. ამ ეპოქაში შექმნილ ნაშრომებში აღწერილია არა მარტო კოლხეთი, არამედ იბერია და მისგან აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებიც. მათში მოცემულია უხვი და ზუსტი გეოგრაფიული მასალები.

ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის **სტრაბონის** (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) ნაშრომში „გეოგრაფია" აღწერილია ხმელთაშუა ზღვისპირეთის ცივილიზებული ერებისათვის ცნობილი დასახლებული ტერიტორიები. საკუთარი დაკვირვებებისა და მრავალრიცხოვან წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი ეს ნაშრომი წარმოადგენს იმდროინდელი გეოგრაფიული ცოდნის ნაკრებს. აქ აღწერილია კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სომხეთი, კასპიანე, სარმატია. ეს ნაშრომი საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. აღსანიშნავია ის, რომ ბერძნულ წყაროებში იბერია აქ პირველად არის მოხსენიებული. სტრაბონი მას ქალაქებითა და დაბებით კარგად დასახლებულ ტერიტორიად მოიხსენიებს. იბერიის ქალაქებიდან აღნიშნავს წიწამურსა და არმაზციხეს. იბერიის ტერიტორიაზე იგი ოთხ დიდ მაგისტრალს წარმოაჩენს – მომავალს კოლხეთიდან, არაგვის ხეობიდან, ალბანეთიდან და არმენიიდან. დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან ახასიათებს: პიტიუნტს (ახლ. ბიჭვინთა), დიოსკურიას (ახლ. სოხუმი), სარაპანს (ახლ. შოპარანი), ფასისს (ახლ. ფოთი). მდინარეებს შორის ასახელებს კირუსს (მტკვარი), არაგს (არაგვი), ალაზონიუსს (ალაზანი).

ბერძენი მეცნიერის **კლავდიოს პტოლემეს** (II ს.) ნაშრომში „გეოგრაფიის სახელმძღვანელო" აღწერილია მესხეტას (ახლ. მცხეთა), არმასტიკას (არმაზი) და არტანისს (არტანუჯი). ცნობილია, რომ

პტოლემეს მიერ არის შექმნილი კავკასიის პირველი ზუსტი და დაწვრილებითი გამოსახულება, რომელიც იმჟამინდელი მსოფლიო რუკის ნაწილია.

II. **შუა საუკუნეების პერიოდი** მოიცავს IV-XVI საუკუნეებს, ანტიკურ პერიოდში შექმნილ გეოგრაფიულ ცოდნასა და აზროვნებას თითქმის ვერაფერი შემატეს ბიზანტიელმა, არაბმა და დასავლეთ ევროპელმა სწავლულებმა. თუმცა ზოგიერთი მათგანი საქართველოს შესახებ მაინც იძლევა გარკვეულ ინფორმაციას.

ბიზანტიელი ისტორიკოსი **პროკოპიუს კესარიელი** (V-VI სს.) თავის შრომებში მოიხსენიებს კავკასიონს, მდ. ფაზისს, არქეოპოლისს (ნოქალაქევი), კოტიაიონს (ქუთაისი უქიმერიონის ციხითურთ). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროპასა და აზიას შორის საზღვარს იგი მდ. ფაზისის ხეობაზე ატარებს.

VII საუკუნის სომეხმა ფილოსოფოსმა, მათემატიკოსმა, კოსმოგრაფმა და გეოგრაფმა **ანანია შირაქაციმ** თავის ნაშრომში მოგვცა ამიერკავკასიის საკმაოდ დეტალური პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული აღწერა. თუმცა ეს ნაშრომი ძირითადად ადრეული წყაროების (განსაკუთრებით პტოლემეს ნაშრომების) ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენს. ა. შირაქაცი მოიხსენიებს ქალაქებს, ციხეებს, მთებს, მდინარეებს, ტბებს, ბუნებრივ და კულტურულ მცენარეულობას, ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს.

XIII საუკუნეში განსაკუთრებით იზრდება ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების – ინდოეთის, ჩინეთის, მონღოლეთის მიმართ. ისინი იზიდავდნენ ევროპელ ვაჭრებს. ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები ზოგჯერ კავკასიის ყელზე გადიოდა. ზოგიერთი ვაჭარი ამავდროულად მოგზაურიც იყო, აღწერდა ნანახსა და გაგონილს. ასე აღწევდა ინფორმაცია კავკასიის შესახებ ევროპაში.

იტალიელი მოგზაურის **მარკო პოლოს** (XIII-XIV სს.), ჩინეთისაკენ მიმავალი გზა ამიერკავკასიაზე გადიოდა. მარკო პოლოს ნაამბობის საფუძველზე პიზელ რუსტიჩანომ შექმნა ნაშრომი („მარკო პოლოს წიგნი“), რომელიც შეიცავს საკმაოდ ძვირფას ინფორმაციას საქართველოს გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. აქ მოცემულია ხალხური თქმულებები, ლეგენდები, ზღაპრები; აღნიშნავს ქალაქებისა და ციხეების სიმრავლეს, ახასიათებს ქალაქ თბილისს. როგორც ვარაუდობენ, იგი საქართველოში უშუალოდ არ ყოფილა და მას სხვისი ნაამბობის მიხედვით აღწერს.

III. **აღორძინების პერიოდი** მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს და წარმოადგენს გეოგრაფიული კვლევის აღმავლობის ხანას. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს გეოგრაფიულ შესწავლილობაზეც. ამ პერიოდში, გეოგრაფიულ კვლევებში მონაწილეობენ როგორც დასავლეთევროპელი და რუსი, ისე ქართველი სწავლულები. იზრდება საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო გზების მნიშვნელობა, რომელიც კავკასიის ყელის გავლით ევროპას აკავშირებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ დროიდან მოყოლებული კავკასიურ გზებს პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებათ.

ვენეციელმა დიპლომატმა **კონტარინიმ**, რომელიც გაგზავნილი იყო სპარსეთში, მოინახულა კავკასიის შავიზღვისპირა სანაპირო და ქალაქები ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, გორი და თბილისი. იმოგზაურა გურიაში, სამეგრელოში და ლორეში. ამ ადგილების შესახებ მან მოგვცა მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობები. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილი.

XVI-XVII საუკუნეებში რუსეთის სახელმწიფოს არაერთი წარმომადგენელი ესტუმრა კავკასიას დიპლომატიური მისიით. მათ მიერ შედგენილი ანგარიშები საკმაოდ საგულისხმო ცნობებს შეიცავენ. მაგალითად, XVI საუკუნის ბოლოს, **სიმონ ზვენიგოროდსკი** გაგზავნილ იქნა კახეთში. მან თავის „მუხლობრივ სიაში“ დეტალურად აღწერა გავლილი გზა – დარიალის ხეობიდან კახეთამდე. XVII საუკუნეში კახეთში ელჩად იმყოფებოდა **ფეოდორ ვოლკონსკი**, რომელიც კვლავ დარიალის ხეობის გავლით ჩავიდა კახეთში, მოინახულა თუშეთიც. მის ნაშრომში მოცემულია გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სხვა სახის მონაცემები.

XVII საუკუნის შუა ხანებში იმერეთში ელჩებად იმყოფებოდნენ **ტოლოგანოვი** და **იევლევი**. მათ გადაკვეთეს კავკასიის ერთ-ერთი ურთულესი გეზევცეკის უღელტეხილი (3452 მ), დაუყვნენ მდ. რიონის ხეობას, გადაკვეთეს შაორის ქვაბული და ნაქერალას უღელტეხილი, მოინახულეს ტყიბული და ქუთაისი. ტოლოგანოვმა და იევლევმა „მუხლობრივ სიაში“ დეტალურად აღწერეს მათ მიერ განვლილი გზა. ნაშრომში მოცემულია მდინარეების რიონისა და ყვირილის აღწერა, დახასიათებულია იმერეთის ფლორა და ფაუნა, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვადასხვა ბუნებრივი სიმდიდრეები.

თუკი XVIII საუკუნემდე კავკასიის გეოგრაფიული აღწერები ტარდებოდა სხვადასხვა საქმიანობის (სავაჭრო, დიპლომატიური) მიზნით, ამიერიდან გამოიკვეთა მეცნიერული ინტერესებიც. ასეთი იყო ფრანგი ბოტანიკოსის **ჟოზეფ ტურნეფორის** (1656-1708) მოგზაურობა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, თურქეთსა და ამიერკავკასიაში. სწორედ იგი ითვლება იმ პირველ მოგზაურად, რომლის უპირველესი მიზანი მეცნიერული კვლევა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ექსპედიცია ითვალისწინებდა საფრანგეთის დაინტერესებას აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივ-ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, ჟ. ტურნეფორის მოგზაურობას უმნიშვნელოვა-

ნესი მეცნიერული ღირებულება ჰქონდა. თავისი გამოკვლევებით მან საფუძველი ჩაუყარა კავკასიის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ შესწავლას.

ჟან შარდენი (1643-1713) იყო ფრანგი მოგზაური, იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე, რომელმაც იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თავის თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში" მან საკმაოდ ვრცლად აღწერა საქართველო. ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს სხვა სამეცნიერო წყაროებიც (ბერძნული, რომაული, სპარსული და სხვ.). აღსანიშნავია ის, რომ ჟ. შარდენმა პირველად მოგვცა თბილისის გრაფიკული ჩანახატი.

IV. **ახალი პერიოდი** მოიცავს XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისს. ამ დროისათვის საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და იგი აღარ გვევლინება სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების ასპარეზად. თუმცა გეოგრაფიული კვლევები საუკუნის შუა წლებამდე მაინც ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

XIX საუკუნის შუა წლებიდან გეოგრაფიული გამოკვლევები სისტემატურ ხასიათს იღებენ. იხსნება არაერთი სპეციალური დაწესებულება, სადაც ტარდება საქართველოს ამა თუ იმ ნაწილის დეტალური შესწავლა. კერძოდ, იხსნება ტფილისის ობსერვატორია (1844), ტფილისის ბოტანიკური ბაღი (1845), რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1851), კავკასიის მუზეუმი (1866), კავკასიის სამთო სამმართველო და სხვ. ქვეყნდება პერიოდული გამოცემები. დაიწყო ქვეყნის ტერიტორიის ზუსტი გეოდეზიური აგეგმვები. გამოიცა ათვერსიანი, ხუთვერსიანი, ერთვერსიანი და ნახევარვერსიანი მასშტაბის რუკები. დაიწყო ტერიტორიის ჰიფსომეტრიული აგებულებისა და კავკასიონის მყინვარების ინტენსიური შესწავლა. განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა დევდარაკის მყინვარი, რომელმაც არაერთხელ დააზიანა საქართველოს სამხედრო გზა.

ამ პერიოდის მკვლევრებიდან უნდა აღინიშნოს **ჰ. აბიხ**ის, **გ. რადეს**, **ვ. ლევინსონ-ლესინგის, ა. ვოეიკოვ**ის, **ი. ფიგუროვსკის**, **კრასნოვის**, **ვ. დოკუჩაევის**, **ს. ზახაროვის**, **ნ. ალბოვის ა. რეინჰარდის** და სხვათა შრომები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი.

გეოლოგმა **ჰერმან აბიხმა** კავკასიაში თითქმის 40 წელი იცხოვრა და გამოაქვეყნა შრომები კავკასიის გეოლოგიური აგებულების შესახებ. მან პირველმა მოგვცა კავკასიის ოროგრაფიის ზოგადი სქემა. კავკასიის მცენარეული საფარი შეისწავლა ბიოგეოგრაფმა **გუტავ რადემ**, რომელმაც დააარსა კავკასიის მუზეუმი. მას ეკუთვნის პირველი ბიოგეოგრაფიული შრომები კავკასიის შესახებ.

ვ. დოკუჩაევმა შეისწავლა ამიერკავკასიის ნიადაგური საფარი, რის საფუძველზეც შექმნა მოძღვრება ნიადაგ-გეოგრაფიული ჰორიზონტული და ვერტიკალური ზონალობის შესახებ. ნიადაგების მიხედვით მან კავკასია დაჰყო სამ უმსხვილეს ნაწილად. ესენია: კოლხეთის დაბლობი, მტკვრის ქვაბული და ამიერკავკასიის ზეგანი.

საქართველოში ბოტანიკურ კვლევებს ატარებდა **კრასნოვი**, რომელმაც ბათუმში დააარსა ბოტანიკური ბაღი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამიერკავკასიაში სუბტროპიკული კულტურების შემოტანასა და გავრცელებაში.

V. **უახლესი (თანამედროვე) პერიოდის** მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გეოგრაფიული კვლევები იძენენ ორგანიზაციულ და გეგმაზომიერ ხასიათს. მუშავდება კვლევის მეთოდური საფუძვლები და ისინი მეტ პრაქტიკულ დანიშნულებას იძენენ. იხსნება ახალი გეოგრაფიული ცენტრები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1918), გეოგრაფიის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, სამთო მეტყევეობის, ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. გეოგრაფიულ გამოკვლევებში აქტიურად მონაწილეობენ რეგიონების წარმომადგენლებიც.

საქართველოს მთელი ტერიტორისათვის შეიქმნა 1:200000-1:10000 მასშტაბის ახალი ტოპოგრაფიული რუკები. 1964 წელს გამოდის საქართველოს ატლასი.

თანამედროვე გეოგრაფიულ კვლევებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გეოგრაფიულმა პროგნოზირებამ, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრობლემატიკამ, გეოგრაფიული გამოკვლევების სოფლის მეურნეობაში დანერგვის საკითხებმა და სხვ. დაიწყო აერო- და კოსმოსური სურათების პრაქტიკული გამოყენება. უხვი გეოგრაფიული ინფორმაციის დამუშავებისა და ელექტრონული რუკა-ატლასების შედგენისათვის XX საუკუნის ბოლოს აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნიკა და პერსონალური კომპიუტერები. იქმნება მონაცემთა გეოგრაფიული ბაზები, საქართველოსა და კავკასიის გეოინფორმაციული სისტემები, ცალკეული რეგიონებისათვის – ექსპერტული სისტემები. XX საუკუნის ბოლოს შეიქმნა საქართველოს კომპიუტერული ატლასი.

გეოლოგიურ კვლევეში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მინერალური რესურსების გამოყენების, გზათა მშენებლობისა და მეურნეობის სხვა დარგების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მხრივ, გამოირჩევა **ვ. რენგატენის**, **ა. გერასიმოვის**, **ი. კუზნეცოვის**, **ალ. ჯანელიძის**,

პ. გამყრელიძის, **ალ. თვალჭრელიძის**, **ა. ცაგარელის**, **გ. ძოწენიძის**, **ნ. სხირტლაძისა** და სხვათა შრომები. მათთან ერთად უნდა აღინიშნოს გეომორფოლოგების – **ი. შჩუკინის**, **ბ. დობრინინის**, **ნ. დუმიტრაშკოს**, **ა. ჯავახიშვილის**, **ლ. მარუაშვილის**, **ნ. ასტახოვის**, **შ. ყიფიანის**, **ზ. ტატაშიძის**, **შ. ცხოვრებაშვილისა** და სხვათა შრომები.

საქართველოს ტერიტორიის კლიამატური პირობები შეისწავლეს **ა. ბალაბუევმა**, **მ. კორძახიამ**, **ი. ქურდიანმა**, **თ. დავითაიამ**, **გ. სულაქველიძემ**, **შ. ჯავახიშვილმა**, **ა. კოტარიამ** და სხვ. რესპუბლიკის მდინარეების, ტბებისა და სხვა ჰიდროლოგიური ობიექტების სრულყოფილი შესწავლა განახორციელეს **ბ. ყავრიშვილმა**, **ი. შაქარაშვილმა**, **ლ. ვლადიმიროვმა**, **გ. სვანიძემ**, **გ. გიგინეიშვილმა**, **გ. გრიგოლიამ**, **დ. კერესელიძემ**, **ო. ხმალაძემ** და სხვ.

სოფლის მეურნეობის განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო მეტად იზრდება ნიადაგ-გეოგრაფიული გამოკვლევები. შეიქმნა საქართველოს ნიადაგების რუკა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა **ს. ზარახოვის**, **მ. საბაშვილის**, **დ. გედევანიშვილის**, **გ. ტარასაშვილის**, **თ. ურუშაძის**, **მ. შევარდნაძისა** და სხვათა შრომები.

საქართველოს ბიოსამყაროს შესწავლას აწარმოებდნენ და აწარმოებენ: **დ. სოსნოვსკი, ა. გროსჰეიმი**, **ა. კოლაკოვი**, **ნ. კეცხოველი**, **ა. დოლუხანოვი**, **მ. სახოკია**, **ი. თუმაჯანოვი**, **ვ. გულისაშვილი**, **გ. ნახუცრიშვილი**, **ა. ჯანაშვილი**, **ა. გეგეჭკორი და სხვ**.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს ბუნებრივი პირობების კომპლექსურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ლანდშაფტურ კვლევებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა ალ. ჟავახიშვილის, ბ. დობრინინის, ნ. გვოზდეცკის, ლ. მარუაშვილის, დ. უკლებას, მ. სანებლიძის, ქრ. ჟაყელის, ნ. ბერუჩაშვილის, ზ. სეფერთელაძის ნაშრომები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. მარუაშვილის „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ (1964, 1969-70), „კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია“, დ. უკლებას „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები“ (1974), „საქართველოს ანთროპოგენური ლანდშაფტები“ (1983), ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული „ამიერკავკასიის ფიზიკური გეოგრაფია“ (1983), მ. ხარატიშვილის „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ (1990), ნ. ბერუჩაშვილის „კავკასია: ლანდშაფტები, მოდელები, ექსპერიმენტები“. აღნიშნული მონოგრაფიები გამოიყენება არა მარტო როგორც ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევები, არამედ როგორც სახელმძღვანელოები საქართველოს და კავკასიის გეოგრაფიული შესწავლისათვის.

ეკონომ-გეოგრაფიულ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებრივი რესურსების შეფასებას მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის,ეკონომიკის ძირითადი დარგების განლაგება-განვითარების თავისებურებების შესწავლას, აგრეეთვე, საქართველოს ტერიტორიის რეგიონული სხვაობების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევას. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს გ. გეხტმანის,გრ. ძარდალაშვილის, დ. დონდუას, ვ. ჯაოშვილის, რ. კვერენჩხილაძის, ე. კობახიძის, რ. გაჩეჩილაძის, ვ. გუჯაბიძის და სხვ. შრომები. არაერთი წელია ვ. ჯაოშვილის „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეეოგრაფია“ (1996) გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და გეოგრაფიული შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილია გ. გეხტმანის, ლ. მარუაშვილის, გრ. ძარდალიშვილის, კ. ხარაძის ნაშრომები.

საქართველოს ბუნების კომპონენტების, მოსახლეობის, ეკონომიკის ცალკეული დარგებისათვის შედგენილია სხვადასხვა მასშტაბის რუკები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „საქართველოს სსრ ატლასი“ (1964) და „საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი“ (1992). ორივე საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

საქართველოს ცხოველთა სამყარო

წყარო 1. ნ. ღამბარაშვილი, ვ. ბურჯანაძე. საქართველოს ნადირ-ფრინველები. თბ.: ნაკადული, 1968

კავკასიური დომბა

დიდი გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ფაუნის ჩლიქოსნების ზოგიერთი სახეობა, რომელიც ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინ [ე.ი. XX საუკუნის დასაწყისში] საქართველოს ბუნების დამამშვენებელი იყო, ამჟამად თითქმის მთლიანად გადაშენებულია. ასეთთა შორის პირველ რიგშია უნდა მოვიხსენიოთ კავკასიური დომბა.

კავკასიური დომბა, რომლის ძირითადი ადგილსამყოფელი საქართველოს დასავლეთ კავკასიონის ქედი იყო, XIX საუკუნის დასასრულს ძლიერ შემცირდა. შემდგომ მთლიანად გადაშენდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დომბა უკვე გაქრობის გზაზეა მთელ მსოფლიში.

გადაშენებული კავკასიური დომბა მკვრივი ტანის ცხოველი იყო. სხეულის წინა ნაწილი უკანასთან შედარებით, უფრო ფართო და მაღალი ჰქონდა. თავისი მოკლე კისრით თავი ტანთან აქვს შეერთებული, რქები მოკლე. ზრდასრული მამრის სიგრძეა 3 მეტრი და მეტი, ხოლო სიმაღლე – 2 მეტრამდეა. დომბის ტანი გრძელი ბეწვით იყო დაფარული. ზაფხულში ბეწვი წაბლისფერი ხდებოდა. ჰქონდა ღია წაბლისფერი ფაფარი. არცერთი სხვა ცხოველი – არც გარეული და არც შინაური არ ჭამს გვიმრას, ერთადერთი – დომბა.

ქურციკი

გარეულ ჩლიქოსანთა შორის ულამაზესია ქურციკი. იგი საქართველოს ველების სიამაყედ ითვლებოდა. ახლა კი ჩვენში თითქმის სრული გადაშენების პირასაა მისული. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „არს ველი დიდი ყარაიისა, სავსე ქურციკითა, რომელსა მონადირებდნენ მეფენი წლითი წლად“. ამჟამად საქართველოში ქურციკის შენარჩუნებისა და მომრავლების საქმე უიმედოა. კლებულობს მისი რაოდენობა აზერბაიჯანშიც.

1920-იანი წლებიდან ქურციკზე ნადირობა აკრძალულია ჩვენშიც და აზერბაიჯანშიც. მიუხედავად ამისა, ბრაკონიერები მაინც ყველა საშუალებით – მანქანებით, მორეკვითა და ჩასაფრებით ცდილობენ მათ მონადირებას. სწორედ ეს არის ქურციკის რაოდენობის საგრძნობლად შემცირების მიზეზი.

ქურციკის საყვარელი ადგილი უმთავრესად ნახევრად უდაბნოები და ველებია. იგი ბორცვიანი მთების კალთებზეც ადის, მაღალ მთებს კი ერიდება. ქურციკი მომთაბარე ცხოველია. მისი მომთაბარეობა სხვადასხვა მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული: ბალახეული საფარის გადახმობა ზაფხულში და სხვა. ზამთარს ქურციკი უფრო დაბლობებში ატარებს, ვინაიდან წლის ამ დროს აქ საკმაოდ არის საკვებიც და წყალიც, ზაფხულობით კი ისევ მთის კალთებს უბრუნდება და ზოგჯერ მთებშიც ადის. მომთაბარეობას იწყებენ შემოდგომაზე. ქურციკის, ისევე როგორც უდაბნოს ყველა ჩლიქოსნის, საკვები უდაბნოს დამახასიათებელი მცენარეულობისაგან შედგება. ის წყურვილსაც დიდხანს ითმენს, ზოგჯერ კი მლაშე წყალსაც სვამს.

ქურციკი დღის ცხოველია. საძოვრად და წყლის დასალევად განთიადისას ან საღამო ხანს გამოდის. როცა ძალიან ცხელა, იგი ხშირ მცენარეულობას აფარებს თავს და იცოხნის. ქურციკს საუკეთესო სმენა და მხედველობა აქვს. კარგად აქვს განვითარებული ყნოსვაც. ოდნავ ხმაურზეც კი გაქცევით შველის თავს. იგი მეტად მარდად დარბის, საათში 60-68 კილომეტრს გადის. განაბული ქურციკის შემჩნევა მეტად ძნელია. იგი კარგად არის შეხამებული უდაბნოს ბუნებასთან.

არჩვი (ფსიტი)

არჩვი მაღალი მთების ბინადარია. იგი ცხოვრობს მაღალი მთის მდელოების ზონაში, თუმცა ზაფხულობით იგი უფრო ზევითაც შეუმჩნევიათ. საერთოდ კი, არჩვის მთავარ საბინადროს წარმოადგენს ტყის ზედა ზონა, სადაც უფრო მეტია ტყიან-კლდოვანი ადგილები. არჩვები საძოვარზე დილაობით და საღამოობით გამოდიან. მათი უმთავრესი საკვები სუბალპურ და ალპური ზონის ბალახეულია.

არჩვი მეტისმეტად ფრთხილი ცხოველია, ძოვის დროს ხშირად ზვერავს მიდამოს. თუ რაიმე საეჭვო შეამჩნია, ქანდაკებასავით გაშეშდება და დიდხანს ასე დგას. ხიფათის შემჩნევისას საგანგაშოდ სტვენს. მაშინ მთელი ფარა სხვადასხვა მხარეს იფანტება და გაქცევით შველის თავს. ზოგჯერ არჩვები ჯიხვებთან, ან ირმებთან ერთად ძოვენ. არჩვი ლამაზი და მოხდენილი ცხოველია. მის ხორცს საკვებად იყენებენ, ხოლო ტყავს – სამეურნეო მიზნისათვის და იატაკზე დასაგებად.

არჩვის რაოდენობა, დაცვითი ღონისძიების გაუმჯობესების შედეგად, ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. ჩვენში არჩვი ამჟამად ბინადრობს ახმეტის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, თიანეთის, დუშეთის, სტეფანწმინდის, მესტიის, საჩხერის, ბორჯომის, ბაღდათის, ოზურგეთის, ვანის, მარტვილის რაიონების, აგრეთვე აფხაზეთის, აჭარის მაღალმთიან ადგილებში.

ნიამორი

ნიამორი საკმაოდ მოიპოვება კავკასიონზე, უმთავრესად თუშეთსა და ხევსურეთში.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში თუში და ხევსური მონადირეები არცთუ ისე იშვიათად ხვდებოდნენ ნიამორს. ამ უკანასკნელი ათეულ წლების მანძილზე კი სულ რამდენიმეჯერ ნახეს იგი აქ. ნიამორი ითვლება ჩვენი შინაური თხის წინაპრად. ფშავ-ხევსურეთში მას წმინდა ცხოველად თვლიან და ყველას უკრძალავენ მასზე ნადირობას.

ვაცს რქები ძალიან დიდი აქვს, სიგრძით 80 სანტიმეტრამდე, შავი ნამგლისებური ფორმის, დაკბილული. აქვთ გრძელი წვერი. დედალი ნიამორის რქები მოკლე, წვრილი და დაუკბილავია. აქვთ მოკლე წვერი, ან სრულიად დაუკბილავი. ნიამორი უმთავრესად მთების კლდოვანებში ბინადრობს, მხოლოდ უფრო ქვედა ზონაში, ვიდრე ჯიხვი. ხნიერი ვაცები უფრო მაღლა ადიან, ვიდრე დედლები და ნამატი. მთის სხვა ცხოველთა მსგავსად, ნიამორებიც ზაფხულობით მაღალ მთებს ესტუმრებიან ხოლმე, ხოლო ზამთრობით ისევე ქვევით ჩამოდიან. თოვლის დადების შემდეგ უფრო მთების სამხრეთ ფერდობებზე იმყოფებიან. ნიამორის უმთავრესი საკვები ბალახეული და ნეკერია. ალპურ საძოვრებზე იშვიათად ადის. ნიამორს კარგად აქვს განვითარებული მხედველობა, სმენა და ყნოსვა.

ჯიხვი

ჯიხვი დიდი რაოდენობით არის ლაგოდეხის ნაკრძალში, ფშავსა და ხევსურეთში, შედარებით მცირერიცხოვანია სვანეთსა და აფხაზეთში. კავკასიის გარდა, ჯიხვი არსად სხვაგან მსოფლიოში არ გვხვდება.

ჯიხვზე ნადირობის სიძნელეებმა და მისი საბინადრო ადგილების მიუდგომლობამ ნაწილობრივ დაიცვა ეს ცხოველი განადგურებისაგან. ჯიხვს ისიც შველის, რომ იგი მეტისმეტად ფრთხილი ცხოველია, კარგად აქვს განვითარებული ყნოსვა და მხედველობა. ჯიხვების საკვები ზაფხულობით სუბალპური და ალპური ბალახეულია. ზამთარში კი ისინი გამხმარ ბალახს ძოვენ. ჯიხვები ძლიერ ეტანებიან მლაშე წყლებსა და ხელოვნურ სამარილეებს. საინტერესოა, რომ ჯიხვები თანაცხოვრობენ ხოლმე შურთხებთან, რომლებიც უფრო ფრთხილნი არიან და აგებინებენ ჯიხვებს საშიშროების შესახებ. სამაგიეროდ ზამთრობით შურთხები იკვებებიან ჯიხვების მიერ თოვლის საფარქვეშ აღმოჩენილი ხავსითა და მათივე ნაკელით. ჯიხვი ცხოვრობს და მრავლდება მხოლოდ კავკასიონზე. აქვს მეტად გემრიელი ხორცი. მისი რქები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ყანწებად, ხოლო ტყავი – საქალამნედ.

კავკასიური ირემი

კავკასიური ირემი წინათ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, მაგრამ არაწესიერმა ნადირობამ, ტყეებისა და ამ ნადირის თავშესაფარი ადგილების გაჩეხამ, შეამცირა ირმის რაოდენობა, ზოგიერთ ადგილში კი სრულიად მოსპო. ირემი მარდი ტანადი, ლამაზი ცხოველია, განსაკუთრებით ხარირემი, რომელსაც სხეულის იშვიათ მოხდენილობასთან ერთად, ამშვენებს ლამაზი რქებიც.

ირემს კარგად აქვს განვითარებული სმენა და ყნოსვა. ადამიანის, მტაცებელი ან რომელიმე სხვა ცხოველის ტყეში გაჩენას იგი მალე გრძნობს და გაქცვით შველის თავს.

ირმის მყვირალობა იწყება სექტემბერში და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. დასაწყისში ხარირემის ყვირილი ჯერ წყნარია, ხოლო შემდეგ იმდენად ძლიერდება, რომ იგი 6-7 კილომეტრის მანძილზე ისმის. ირემი უმთავრესად ბალახით, ფოთლით, წიწვით, მარცვლეული მცენარეებითა და ნაყოფით იკვებება. უყვარს მლაშე ტბორები და წყაროები. ეტანება ხელოვნურად მოწყობილ სამარილეებსაც. ირემი ძველად ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, ახლა კი მისი არეალი შემცირდა, ირმის მოზრდილი ჯოგები მხოლოდ რამდენიმე ადგილას გვხვდება. დღეს უმთავრესად არის დუშეთისა და მცხეთის ტყეებში, საგურამოს ნაკრძალში, ბორჯომის ხეობაში, ლაგოდეხის მიდამოებში. აქედან გავრცელდა სხვაგანაც. ირმის რქებს იყენებენ საკიდარსამკაულად, ტყავს – სამეურნეო მიზნებისათვის, ხორცს – საჭმელად.

შველი

შველი გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გავრცელებულია ორი სახეობა – ევროპული და კავკასიური. საქართველოს უმეტეს ადგილებში ევროპული სახის შველია, კავაკსიური კი – აფხაზეთში, ზემო სვანეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში.

ისევე როგორც ირემს, რქები აქვს მხოლოდ ვაცს, რომელსაც იგი ყოველწლიურად იცვლის – ნოემბრიდან იანვრამდე პერიდოში. შველი ტყის ბინადარია, მაგრამ ერიდება უღრან, მიუვალ ტყეებს, უფრო მეჩხერ ადგილებს ეტანება. იზიდავს ქვეტყის მცენარეულობით მდიდარი უბნები, რომელიც მისი საძოვარ-სანავარდო ადგილია. შველიც იმავე საკვებს ეტანება, რასაც ირემი. მასაც უყვარს მლაშე წყლები, იყენებს ხელოვნურ სამარილეებს და მისთვის საგანგებოდ მომარაგებულ თივას.

შველი უნდა დავიცვათ ბრაკონიერობისაგან. გარდა ამისა, ნაკლებად უნდა ვჩეხოთ და ვამციროთ ტყეების ის ფართობები, რომელიც საუკეთესოა შველის არსებობა-განვითარებისათვის. ტყის ექსპლუატაციის გამო, შველი მკვეთრად შემცირდა. მაგალითად, აჯამეთის ტყეში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში საკმაო რაოდენობით იყო შველი. მაგრამ აჯამეთის მუხანრებისა და ძელქვნარების გაჩეხამ მოსპო მისთვის საჭირო საბინადრო პირობები. მას შემდეგ, რაც შველზე ნადირობა აიკრძალა, მისმა სულადობამ იმატა.

გარეული ღორი

რუსთავიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე, მტკვრის გასწვრივ მდებარე ჭალებში დიდი რაოდენობით ბინადრობდა გარეული ღორი. იგი საკმაო რაოდენობით იყო აგრეთვე ალაზნის პირას მდებარე ჭალის ტყეებშიც. განსაკუთრებით კი ჭიაურში და მის ქვემოთ, აღმოსავლეთისაკენ. დასავლეთ საქართველოში გარეული ღორის კოლტებით განთქმული იყო აფხაზეთის სანადირო ადგილები, განსაკუთრებით მდიდარი იყო აღმოსავლეთ გუმისთის ჭალები, ჭალადიდი და სხვა.

წინანდელთან შედარებით, დღეს გარეული ღორის რაოდენობა საქართველოში ძლიერ შემცირებულია, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება საკმაო რაოდენობით აღდგენა. ამისათვის უმთავრესია მისთვის თავშესაფრის, გაუვალ ეკალ-ბარდისა და ტყეების დაცვა, საკვებით უზრუნველყოფა და ბრაკონიერობის აღმოფხვრა. გარეგნობით გარეული ღორი მის შინაურ შთამომავალს ჰგავს. მას დიდი, წაგრძელებული თავი აქვს წვრილი დინგითა და დიდრონი ეშვებით. ამიტომ ძველად საქართველოში გარეულ ღორს „ეშვსაც“ უწოდებდნენ. მისი წონა 300 კილოგრამამდეა, ნეზვები უფრო ნაკლები წონისანი არიან.

გარეული ღორის საყვარელი ადგილებია: მდინარის ლელიანი ნაპირი, შერეული ტყეები ბუჩქნარებითა და ეკალ-ბარდებით. ზაფხულობით იგი მაღლა მთებშიც ადის. მკაცრ ზამთარში კი ისინი მთის კალთებიდან დაბლა ეშვებიან და მდინარისპირებს მიაშურებენ. გარეული ღორი იკვებება მცენარეებითა და ცოცხალი ორგანიზმებით. მოზრდილ ტახს არ ეშინია არცერთი ჩვენებური მტაცებლის, მათ შორის მგლისაც. მხოლოდ მგლის ხროვა ბედავს ზრდასრულ ტახტთან შებმას. განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის გარეულ ღორებს გადამდები სნეულება – ღორის ჭირი, რომელიც სწრაფად ვრცელდება და მუსრს ავლებს მათ. ამ სნეულებისაგან დაიღუპნენ ღორები ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში მდინარეების – ხრამის, დებედისა და მტკვრის შესართავებთან ჭალებში.

დასახლებულ ადგილებში ღორი ნათესების, მეტადრე სიმინდის, კარტოფლისა და სხვა მარცვლეული კულტურების მტერია. გარდა იმისა, რომ იგი ჭამს ამ კულტურების ნაყოფს, მით უმეტეს ნაწილს თელავს და აფუჭებს. ღორი სასარგებლო ცხოველია არა მარტო თავის გემრიელი და უხვი ხორცით, იგი მრავალ მღრღნელს, კალიასა და სხვა მავნე მწერს ანადგურებს, ჩიჩქნის და აფხვიერებს ტყეებში ნიადაგს, რითაც ნაწილობრივ ხელს უწყობს ტყის ბუნებრივ განახლებას.

ჩვენში ღორზე ნადირობის ხანგრძლივმა აღკვეთამ და მის დაცვა-გამრავლებისათვის სათანადო ღონისძიებების გატარებამ უკვე დადებითი შედეგები მოგვცა. იმატა გარეული ღორის საერთო სულადობამ, განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონში (გარდაბნის, სიღნაღის, ლაგოდეხის და სხვა). თუ ასე გაგრძელდა, ეს ძვირფასი სანადირო-სარეწაო ცხოველი კვლავ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს საქართველოს სასარგებლო ფაუნის შემადგენლობაში.

მურა დათვი

დათვი საქართველოს ტყეების (უმთავრესად ტყის) ბინადარია. იგი დიდი რაოდენობით გვხვდება კავკასიონის კალთებზე (ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის, დუშეთის, საჩხერის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ბაღდადის რაიონებში), აგრეთვე შიდა ქართლში, ზემო სვანეთში, აფხაზეთსა და აჭარაში. დათვი უმთავრესად მცენარეული ნაყოფით იკვებება. ამიტომ ჩვენში იგი ისეთ ტყეებში ცხოვრობს, სადაც ბევრია გარეული ხილი, პანტა, მაჟალო, შინდი და სხვა. განსაკუთრებით ეტანება თაფლს. არ იწუნებს ჭიანჭველების ჭუპრებს, ჭიაღუებს.. ეტანება სიმინდის, პურის, ქერის, ჭვავისა და სხვათა ნათესებს. დათვი, რომელიც ცივ ქვეყნებში ზამთრის განმავლობაში ძილქუშს ეძლევა, ჩვენში უმთავრესად ფხიზლობს და საკვების მოსაპოვებლად დაძრწის. საერთოდ მშიშარა ცხოველია, ერიდება ადამიანს, ხიფათის დროს კი შეუპოვარია, განსაკუთრებით საშიშია იმ შემთხვევაში, თუ დაჭრილია.

მგელი

მგელს დიდი მავნებლობა მოაქვს. იგი ყოველი ცოცხალი არსების უბოროტესი მტერია. იგი ჩვენ მეცხოველეობასა და სამონადირეო მეურნეობას დიდი ზარალს აყენებს. დაახლოებითი გაანგარიშების მიხედვით, საქართველოში ამ ბოლო ხანში წელიწადში სულ მცირე 500-600 მგელი მაინც ნადგურდება, ცოცხალი რჩება დაახლოებით 3000 მგელი.

მგელი ტყის ბინადარია. მას ვხვდებით როგორც მთიან ზოლში, ისე დაბლობში, ეკლიან შამბნარებში, კლდეებსა და ლელიანებში. იგი განმარტოებულ, წვიმისა და ქარისაგან დაცულ, მიუვალ ადგილას იკეთებს ბუნაგს. ბუნაგიდან ახლომდებარე წყლის ნაპირამდე მიემართება მგლების მიერ გატკეპნილი ბილიკი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მისი ბუნაგის აღმოსაჩენად. მგელს განსაკუთრებულად აქვს განვითარებული სმენა და ყნოსვა. საკმარისია მონადირემ ოდნავ გაიხმაუროს, რომ ის იმ ადგილიდან დაუყონებლივ გაიპარება. შემჩნეულია ხვადი მგლის განსაკუთრებული ერთგულება თავისი ძუსადმი. გადმოცემის თანახმად, ერთხელ არჩეულ ძუს ხვადი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულებს და დიდ მზრუნველობას იჩენს შთამომავლობის აღზრდის საქმეშიც. მგლებზე მორეკვით ნადირობის მთავარი პირობაა მგლების გამორეკვა ქარის მიმართულებით, ვინაიდან მაშინ ისინი ყნოსვით ვერ გრძნობენ ჩასაფრებულ მონადირეებს, რომელთა მხარისაკენ უბერავს ქარი და იმ მიმართულებით ლამობენ გაქცევას, საიდანაც მათი აზრით საფრთხე არ მოელით.

მელა

ჩვენში მობინადრე ჩვეულებრივი მელა უმთავრესად ბაცი-მოყვითალო, ხან ნაცრისფერი ბეწვითაა შემოსილი. ბინადრობს ტყეებსა და ჭაობებში. გავრცელებულია ზღვისპირეთიდან ალპურ ზონამდე. უტყეო, მარცვლეული კულტურებით დაფარულ ფართობებზე მელას დიდი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის – ანადგურებს თაგვებსა და თაგვისებრ მღრღნელებს. იგი იძლევა ძვირფას ბეწვს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბეწვეულის დამზადების საქმეში. მიუხედავად სარგებლობისა, მელა პოტენციურად მავნებელია სანადირო-სარეწაო ცხოველებისათვის, განსაკუთრებით სანადირო მეურნეობებში.

ზოლებიანი აფთარი

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ზოლებიანი აფთარი საკმაო რაოდენობით მოიპოვებდა თბილისის ახლოს მდებარე უდაბურ ადგილებში, გარდაბნის დაბლობ ადგილებში, შირაქის ველზე, მდინარეების – ივრისა და მტკვრის ხეობებში. გასული საუკუნის II ნახევარიდან ჩვენში იწყება აფთრის რაოდენობის საგრძნობი შემცირება. აფთარი იკვებება უმთავრესად სხვადასხვა სახის მღრღნელებით, ლეშით, ზაფხულში კი ნაწილობრივ ქვეწარმავლებითა და კალისებრი მწერებით. იგი ჩვეულებრივ თავს არ ესხმის შინაურ პირუტყვს, ხოლო თუ გარეულ ცხოველებს სადმე მოიხელთებს, არ ზოგავს მათ.

ჯიქი

ჩვენი ქვეყნის მთიან ადგილებში წინათ საკმაო რაოდენობით ყოფილა გავრცელებულ ჯიქი. ჯიქი ტყით დაფარულ მაღალ მთებში ბინადრობს, ზამთრობით კი ზოგჯერ მთების კალთებზედაც ჩამოდის. ბუნაგს იკეთებს მრავალ ადგილებში. ჯიქი უმთავრესად ჩლიქოსანი გარეული ცხოველებით იკვებება. ჯიქი მამაცი და ამავე დროს ფრთხილი მტაცებელია. ადვილად ადის ხეზე, მოქნილია და გულადი. ამჟამად საქართველოში ჯიქი დიდი იშვიათობაა. რამდენიმე წელია ჩვენში ჯიქი აღარ შეუმჩნევიათ.

ფოცხვერი

ფოცხვერი გავრცელებულა ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ჩვენში უმთარესად ფოთლოვან ტყეში ბინადრობს. ხშირი ქვეტყე, ან გაუვალი შამბნარი მისთვის მეტად ხელსაყრელი ადგილია. ბუნაგს ქვებში ან კლდეებში ხშირ შამბნარებსა და დიდი ხეების ღია ფესვებქვეშ იკეთებს. ფოცხვერი ღამის ცხოველია. მაგრამ ზოგჯერ მას დილითაც შევხვდებით. იგი ანადგურებს არა მარტო მცირე ზომის ძუძუმწოვრებს, არამედ ისეთ სასარგებლო ცხოველებსაც, როგორიცაა შველი, გარეული ღორი, გოჭები და სხვა. შინაურ ცხოველებს იშვიათად ეტანება. ფოცხვერს კარგად აქვს განვითარებული სმენა და მხედველობა, ყნოსვა კი – სუსტად. იგი ფრთხილი ცხოველია. მსხვერპლს ნელა ეპარება, რომ ბოლოს რამდენიმე ნახტომით დაიჭიროს. ამჟამად ჩვენში ფოცხვერის რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. თუ ჩვენი მონადირეები ამ ხუთი-ათი წლის წინ საქართველოში ყოველწლიურად ხოცავდნენ ასზე მეტ ფოცხვერს, ახლა ეს რაოდენობა ძლიერ შემცირდა.

ხოხობი

ლეგენდებში (საქართველოში არგონავტების მოგზაურობაზე, ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსებაზე) ხოხბის ხსენება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ იგი, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ჩვენი ფაუნის საუკეთესო წარმომადგენელია. ამასთან ხოხობს დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან იგი მისი გავრცელების არეალში მცხოვრები მოსახლეობის ულუფაში განსაზღვრულ როლს ასრულებდა. ჩვენში ეს ფრინველი ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედშიც დიდ რაოდენობით იყო. საქართველოში ხოხბის გავრცელების დღევანდელი არეალი საგრძნობლად შემცირდა და მისმა რაოდენობამაც, წარსულთან შედარებით მეტად იკლო. წინათ ხოხობით მდიდარი იყო კახეთის მდინარეების ტყიანი ნაპირები, განსაკუთრებით კი მდინარე ალაზნის ჭალები. დიდი რაოდენობით გვხვდებოდა აგრეთვე ივრის, მტკვრისა და ხრამის ნაპირებზე.

ხოხბის არსებობის ერთ-ერთ მთავარ კერად კოლხეთის დაბლობი ითვლებოდა. აფხაზეთში ხოხბით განთქმული იყო გალისა და ოჩამჩირის რაიონები, განსაკუთრებით კი მდინარე ენგურის ნაპირები. მაგრამ ეს იყო წარსულში, როგორია დღევანდელი მდგომარეობა? უნდა აღვნიშნოთ, რომ სრც ისე სავალალო, როგორც ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად ჩვენში ხოხბის რაოდენობამ იმატა. ეს ჩვენი ფაუნის საერთო მდგომარეობის დადებითი მხარეა, მაგრამ საჭიროა, რომ ხოხობი თავის სამშობლოში, საქართველოში, უფრო მრავალრიცხოვანი იყოს. პირველი და უმთავრესი მიზეზი, როგორც ყველა გარეული ცხოველის შემცირებისა, ისე ხოხბის რაოდენობის მკვეთრად დაკლებისა და ზოგან სრულიად გადაშენებისა, მდგომარეობს გარემოს ბუნებრივი პირობების იმ კომპლექსების დარღვევაში, რომლებიც აუცილებელია ხოხბის ნორმალური არსებობა-განვითარებისათვის.

როგორც ცნობილია, ხოხბის საბინადრო ადგილს წარმოადგენს წყლის პირთან ახლოს ველური ხეხილითა და კენკროვანი მცენარეებით დაფარული წვრილმანი ტყე, ნაყოფიანი ბუჩქნარი. მრავალი ადგილის დასახელება შეიძლება დასავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით კოლხეთში, სადაც ამოძირკულმა და გადახნულმა სანახებმა ეკალ-ბარდის და შამბნარის მაგივრად, გული ჩაის ბუჩქებსა და ციტრუსებს გაუხსნეს. ასე მოისპო ხოხბის საბუდარი და თავშესაფარი ადგილები და მასთან ერთად თვით ხოხობიც.

ძველად ბერძნებს ჩვენი კოლხური ხოხობი ევროპაში შეუყვანიათ და მრავალ ქვეყანაში გავრცელებულა, მაგალითად, საბერძნეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუმინეთში.

წყარო 2. ჩვენი ღირსებანი. წიგნი მეორე. თბ., 2012.

კავკასიური კეთილშობილი ირემი

ფურ-ირემი პატარაა. რქები მხოლოდ მამრებს აქვთ, სიგრძით 80-150 სმ. ირემი რქებს ყოველ წელს, მარტში იცვლის და ყვირილობისას კი, რომელიც იწყება სექტემბერში და ნოემბრამდე გრძელდება, ეზრდება. ირემი აგრეთვე იცვლის ბეწვს, ზაფხულში მოწაბლისფროა, ზამთარში — რუხი, რქების ზრდა-განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს დაავადებები და მინერალური საკვების უკმარისობა. ირემი ძალიან ფრთხილია; მას საუცხოო მხედველობა, ყნოსვა და სმენა აქვს. ორ კილომეტრზე ამჩნევს ადამიანს, გრძნობს საფრთხეს. საუკეთესოდ ეგუება და ბინადრობს ტყე-ველიან საძოვრებით მდიდარ და გამეჩხერებულ, მაყვლიან ადგილ-სამყოფელში, სადაც წყალი, საბანაოები, ლაფი და ბუნებრივი სამარილეები, — „ვეძები“ მოიპოვება.

ირემი თავს ტყეს აფარებს; საძოვრად დილა-საღამოს გამოდის ველებში; სეზონის მიხედვით იცვლის ადგილს: ზაფხულში სუბალპურ ზონაშია, ზამთარში ტყის ქვედა საზღვრებამდე ჩამოდის. ვრცელდება ვერტიკალურად ზღვის დონიდან 3000 მ-მდე. შემოდგომასა და ზამთარში ჯგუფურად ცხოვრობს.

ჯერზე 15-20 კგ. საკვებს მოიხმარს, ზამთარში საჭიროებს დამატებით საკვებს. ნუკრები იბადებიან მაის-ივნისში. დედა ნუკრს პირველ ხანებში თან არ დაატარებს. ბალახებში მალავს. ნუკრი ხალიანობით ეხამება ყვავილოვან გარემოს. დედა მასთან ხშირ-ხშირად მიდის და აწოვებს. ნუკრი ზოგჯერ დედას აღარ უცდის, ხეტიალს იწყებს. დედა მას ველარ პოულობს, ეკარგება და მტაცებლის, ძირითადად, მგლის მსხვერპლი ხდება, ან შინაურ პირუტყვს ეკედლება. ის ადვილად ეჩვევა მომვლელს და მასთან მეგობრობს.

ხარ-ირემი ადვილად იხედნება, მაგრამ უცხო პირთათვის საშიშია, შეიძლება რქებზე წამოაგოს. ფურ-ირემიც წიხლავს ადამიანს. ცოცხლობს 20 წლამდე.

ეკოტურისტისათვის ირმის ყვირილობა დაუვიწყარი სანახაობაა. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

ქურციკი

ქურციკს ირანულად „ჯეირანს“ უწოდებენ. სულხან-საბას განმარტებით: „ჯეირანი სხვათა ენაა, ქართულად ქურციკი და გარეთხა ეწოდების“. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში.

წარსულში, მთელ ივრის ზეგანსა და გარდაბნის ველზე, თბილისამდე ვრცელდებოდა. 1960-იან წლებში, ზაფხულობით 7-12 სულიღა შემოდიოდა მინგეჩაურის და ბულაყების მიდამოებში; საქართველოს ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 800 მ-მდე ვრცელდებოდა. ამჟამად მინიმუმამდეა შემცირებული აზერბაიჯანის სალინის ნაკრძალსა და ხარლარის ქურციკის სამონადირეო მეურნეობაშიც.

შეფერილობით ჟღალი, უდაბნოს ქვიშის ან ბალახის ფერია; თავსა და კისერზე ბალანი შედარებით მოკლეა; მდედრებს ფუნჯები ან 5 სმ. სიგრძის რქები აქვთ წამოზრდილი, მუცელზე და კიდურებზე თეთრი ზოლები დაჰყვება, რომელიც გავა-ტლოკვებზე გადადის და „თეთრ სარკეს“ ქმნის. ქურციკი მნახველის ყურადღებას იპყრობს მოხდენილი, ულამაზესი პატარა, ცქვიტი ტანითა და მკვირცხლი მოძრაობით. აღმოსავლურ პოეზიაში მას კეკლუცი ქალის სიმბოლოდ მიიჩნევენ, ამბობენ: „ჯეირანივით ყელმოღერებული დადისო“, ის გაცილებით კარგი სანახავია სირბილის დროს. როცა მათი ჯგრო 80 კმ/სთ. სისწრაფით მიჰქრის, როგორც ცის ლაჟვარდზე ატყორცნილი ისრები.

ქურციკი ველებისა და ნახევრად უდაბნოს მობინადრეა. მისი მსგავსი სხვა ველური ჩლიქოსანი არ მოგვეპოვება, შეგუებულია კარგად გარემო პირობებს. მას საუცხოო სმენა და მხედველობა აქვს. თავს იცავს გაქცევით, ერიდება ტყესა და ღრმა ხეობებს. იკვებება ბალახით, ნეკერით, მღიერებით, ეფემერული მცენარეებით. ჯერზე 2-4 კგ. საკვებს საჭიროებს.

ქურციკი ცხოვრობს ჯგუფურად: ფარაში 100-120 სულია. ცოცხლობს 10-15 წელი. ძვირფასი სარეწაო ცხოველია, გვაძლევს ხორცს, ტყავს, ქონს, რქებს; გარდა ამისა მას ეკოტურისტული სანახაობითი ღირებულებაც აქვს. მისი გადარჩენა მოშენებისათვის კარგი იქნებოდა დავით-გარეჯთან არანაკლებს ათასჰექტარიანი ნახევრად ვოლიერული სამონასტრო-სასაზღვრო აღკვეთილის დაარსება. ქურციკზე ნადირობა აკრძალულია. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

არჩვი

არჩვი თხების ქვეოჯახის და არჩვების გვარის წარმომადგენელია. არჩვის ათამდე ქვესახეობიდან საქართველოში გავრცელებულია **კავკასიური არჩვი.** მას დამახასიათებელი თავისებური სტვენის გამო „ფსიტსაც“ უწოდებენ. შეფერილობის გამო კი „შავ თხად“ მოიხსენიებენ. ხორციც შავი აქვს, ქონი კი, ანტილოპებისნაირთა მსგავსად, სწრაფად ცივდება და იყინება. საქართველოში გვხვდება მთავარსა და სამხრეთ კავკასიონის სუბალპურ და ალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 35000 მ-მდე სიმაღლეზე, სადაც კლდეებს დიდი ფართობი უკავია; ხანდახან ტყის ქვედა და შუა სარტყელშიც ბინადრობს.

არჩვის სხეული მთა-კლდიან რელიეფსაა შეგუებული; წინა კიდურები 10-15 სმ-ით დაბალი და სუსტი აქვს. სამაგიეროდ, უკანა კიდურები გრძელი, სქელკუნთოვანი და კლდეებზე სახტომადაა მომართული. ამიტომ ის, ერთი შეხედვით, კუზიანი ჩანს. თავდაღმართზე სირბილი უჭირს, სამაგიეროდ, აღმართსა და კლდეებზე მოძრაობაში ბევრი ვერ შეედრება. კლდეზე მოძრაობას შეგუებულია. მისი ფხიანი, წვეტიანი ჩლიქები და ბალიშები საიმედოდ ეჭიდება ყინულიან ლოდებსაც. ბინადრობს ჯგუფურად, 7-15 სული ერთად. საკვებად დილა-საღამოს ველში გამოდის. თავშესაფრად ტყესა და გამოქვაბულებს იყენებს. მას დიდ ზიანს აყენებს ფოცხვერი, მგელი, კრავიჭამიას არწივი და თვით მისი ხასიათიც, რადგან მტაცებელს თავიდან არ გაურბის, გაშტერებით აკვირდება და ახლოს უშვებს. იკვებება ბალახით, ხე-მცენარეთა ნაყოფით და ნეკერით. ხასიათდება მობინადრეობით, ვერ იტანს ტყვეობას.

ცოცხლობს 20 წლამდე. არჩვი ძვირფასი ეკოტურისტული სანახაობითი ცხოველია. მასზე ნადირობა აკრძალულია. შეტანილია **„წითელ ნუსხაში“.**

ჯიხვი

ჯიხვი მთის თხების გვარის ტიპური სახეობაა. კავკასიონის ქედის ენდემია. გავრცელებულია ფიშტას მთიდან (კრასნოდარი) ბაბადაგის მთამდე (აზერბაიჯანი) 500 კმ. სიგრძისა და 15-25 კმ-ის სიგანის ზოლში, ზღვის დონიდან 1800-4000 მ-მდე სიმაღლეზე.

საქართველოში, ძირითადად, ორი გეოგრაფიული ქვესახეობის და მათ შორის შუამავალი ჰიბრიდულ-ეკოლოგიური ქვეფორმებითაა წარმოდგენილი. ესენია: აღმოსავლეთ-კავკასიური, ანუ დაღესტნური ჯიხვი; დასავლეთ-კავკასიური, ანუ ყუბანური ჯიხვი და თებერდულ-კოდორული ჯიხვი. აღმოსავლეთ-კავკასიური ანუ დაღესტნური ჯიხვი შედარებით სრულყოფილად ჩამოყალიბებული ფორმაა; მისთვის დამახასიათებელია დაბალი, უხეში, სქელკუნთოვანი, მრგვალი ტანი; სქელი, ბორბალა, გლუვი რქები; ნიკაპზე წვერი არა აქვს. დასავლეთ კავკასიური ანუ ყუბანური ჯიხვი ნაკ-

ლებად ჩამოყალიბებული და მრავალფორმიანია. მისთვის დამახასიათებელია: თხელი, მაღალი ტანი, სწორად აღმართული, მოკლე, ღრმა ნაჭდევიანი რქები და გრძელი 20-25 სმ-მდე წვერი ნიკაპზე, ან გადაშლილი, სუსტი, ნაკლებად ნაჭდევებიანი, წვრილი რქები და 15-18 სმ-დე სიგრძის წვერები. თებერდულ-კოდორული ჯიხვი საშუალო სიდიდისა; მაღალი ტანით, გაშლილი, სქელი რქებითა და მოკლე წვერით.

ჯიხვი სუბალპური და ალპური ზონის ჯოგური მობინადრეა; ქმნის 50-100 სულიან ფარებს და ამით წარმატებით იცავს თავს; ძალიან ფრთხილია, აქვს მახვილი სმენა, მხედველობა და ყნოსვა. წინასწარ, ინტუიციით გრძნობს საფრთხეს, ამინდის შეცვლას და სხვა საშიშროებას. საძოვარზე ღამით გამოდის, დღისით კი მიუდგომელ, სალ კლდესა და ტყის თავშესაფარშია შეხიზნული. იკვებება ბალახით, ნეკერით, მღიერებითა და ხავსით. აქვს მარილის დიდი მოთხოვნილება. მარილის მოსაპოვებლად ხშირად იცვლის ადგილს, აგნებს მინერალურ გამონაჟონებს, — „ვეძებს“ და ლოკავს დამლაშებულ ნიადაგს. გამრავლების უნარი ხარჯიხვებს უვითარდებათ სამი, ხოლო მდედებს ორი წლის ასაკში.

ცოცხლობს 18-20 წლამდე. ჯიხვი ძვირფასი ტურისტულ-სანახაობითი ცხოველია. ადვილად შინაურდება, მეგობრობს ადამიანებთან, შინაურ პირუტყვთან. ეჯვარება შინაურ თხებს. ჰიბრიდი ჯიხვ-თხაც ნაყოფიერი და კლდიანი რელიეფის გამომყენებელია. იძლევა მაღალი ხარისხის ხორცს, ქონს, ტყავს, თივთიკს. შეტანილია **„წითელ ნუსხაში“.**

ნიამორი

ნიამორი მთის თხების გვარის ტიპური წარმომადგენელი, შინაური თხების წინაპარია. გრძელწვერიანობის გამო მას „წვეროსან თხასაც“ უწოდებენ. გავრცელებულია საბერძნეთის არქიპელაგზე, მცირე აზიაში, ირანში, ბალკანეთში, ინდოეთში, თურქმენეთში. კავკასიური ფორმა ბინადრობს სომხეთში, დაღესტანში, საქართველოში, კერძოდ, — თუშეთში (დიკლო, ჩიღო), შატილში (არიშკა) და აჭარაში, ხიხანის მთაში; ვერტიკალურად ზღვის დონიდან 3000 მ-მდე სიმაღლეზე ვრცელდება. შეფერილობით ზაფხულში მოწაბლისფრო-ჩალისფერია, ზამთარში კი — ღია მოყავისფრო; ვაცებს ზურგი შავზოლიანი აქვთ, მკერდი, მუცელი და კიდურები — თეთრი; მდედრები და ახალგაზრდები ღია მოყავისფრო შეფერილობისანი არიან.

დღეს ამ იშვიათი ცხოველის ორი სახეობა არსებობს: კავკასიური და თურქმენული ნიამორი. საქართველოში მობინადრე ქვესახეობა შედარებით დიდია. ის ჩვენი ბუნების წყალობითაა გადარჩენილი, რადგან სალ კლდეს, მწირ-ტყიან სავარგულსაა შეხიზნული და შეგუებული, — იქ სადაც მგელი ფეხს ვერ იკიდებს, ვერ შედის, კლდიან ფიჭვნარებში არწივისგანაც ადვილად იცავს თავს. ამიტომ თავშესაფრიდან გამოსვლის საშუალება ნაკლებად აქვს, ღია ადგილებში საძოვრად გამოსვლას მხოლოდ დიდი ვაცები ბედავენ. მუდმივად უხეში საკვებით, — ნეკერით, კლდის ხავსითა და მღიერებით კვების გამო „კუჭქვებიანი“ გახდა, ამიტომ უწოდებენ მას „კუჭფაზრიან თხას“. მის ამ ქვებს ხალხურ მედიცინაში იყენებენ.

ბინადრობს ჯგუფურად. თავშესაფრად იყენებს კლდეს, ტყეს და კლდის გამოქვაბულებს. კერშილობს ნოემბერ-დეკემბერში, მაკეობა ხუთ თვემდე გრძელდება, თიკნები (1-2) აპრილ-მაისში ბეწვით შემოსილები იბადებიან. პატარა მაშინვე დგება ფეხზე და დედას დაჰყვება. ამას უდიდესი ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს სახეობის გადასარჩენად. ცოცხლობს 18 წლამდე. ძვირფასი სამეურნეო ცხოველია; იძლევა ხორცს, ტყავს, რქებს. ეჯვარება შინაურ და გარეულ თხებს, მათ შორის — ჯიხვსა და ციმბირულ თხასაც. თაობა ნაყოფიერია. მასზე ნადირობა აკრძალულია. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

გარეული ღორი

გარეული ღორი ღორების ოჯახისა და გვარის ტიპური წარმომადგენელია.

გავრცელებულია ჩრდილო ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა, აზიასა, სამხრეთ ციმბირში, ამურის პირამდე, კავკასიასა და საქართველოში. საქართველოში გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლური გარეული ღორი. დღეს ის აქ შემორჩენილია მხოლოდ აჭარა-ახალციხის მტკვრის ჭალაში, გარდაბნის აღკვეთილში, ივრისა და ალაზნის ჭალებში, ვაშლოვანისა და ლაგოდეხის ნაკრძალებში; ერთეულები შემოდიან მიგრაციით არღუნის ხეობიდან არაგვის სათავეებში; ზღვის დონიდან 2700 მ-მდე სიმაღლეზე.

ტახი ნეზვზე ბევრად დიდი და ძლიერია, მთელ კოლტს იცავს; სადაც დიდი ტახები არიან, იქაურობას მტაცებელი ვერ ეკარება; ტახი ეშვის ერთი დარტყმით კლავს მგელს, ძაღლს, ჯიქს, ფოცხვერს და დათვსაც კი. ამიტომაც მას ყველა ერიდება. ეშვებთან ერთად გარეულ ღორს იცავს მკერდის ფარის შეკირული ქონის ფენა, რომელშიც ტყვია ვერ ატანს; შეიძლება ითქვას, რომ გა-

რეული ღორის მოდგმა სიძლიერემ, ერთად დგომამ და ერთმანეთის ქომაგობამ გადაარჩინა და შემოუნახა კაცობრიობას ეს უძვირფასესი ცხოველი. გარეული ღორი საქართველოში წმინდა სახით ნაკლებად გვხვდება.

ღორს ჭალის ტყეების ტიპური ბინადარია, მთის ტყეებში მისი გადანაცვლება იძულებითია; სადაც წყალი, თავშესაფარი, ბუჩქნარ-ჩალიანი და საკვების მომცემი მუხნარია, იქ ღორი მუდმივად ბინადრობს და ადგილსამყოფელს არ იცვლის. ყველაფერს ჭამს; იკვებება როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური საკვებით; განსაკუთრებით უყვარს ხე-მცენარეთა კალორიული ნაყოფი: რკო, წაბლი, თხილი, კაკალი, წიფლის წიწიბო, პანტა, ტყემალი, შინდი; თხის ძირხვენების ფესვებს; ხალისით მიირთმევს ჭიაყელებს, ლოკოკინებს, ლოქორებს, ხოჭოებს. ხანდახან იჭრება სოფლის ნათესებში და დიდ ზარალს აყენებს მოსახლეობას.

ცოცხლობს 24 წლამდე. ძვირფასი ეკოტურისტული, სამეურნეო, ახალი ჯიშების მომცემი ცხოველია. იძლევა უმაღლესი ხარისხის ხორცს, ქონს, ტყავს, ჯაგარს; ჩლიქებისაგან ამზადებენ ღილებს, ეშვებისაგან — სუვენირებს.

კავკასიური ჯიქი

კავკასიური ჯიქი მტაცებელთა რიგის, კატისებრთა ოჯახის და გვარის ყველაზე ლამაზი, მოუთვინიერებელი და დაუოკებელი მტაცებელია. გავრცელებულია აფრიკაში, მცირე-წინა-შუა-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში. ის, ძირითადად, მთის ტყე-კლდიან ლანდშაფტში ზღვის დონიდან 2000-3500 მ-ის სიმაღლის ფარგლებში ბინადრობს, იქ სადაც მისი საკვები, — ჯიხვი, არჩვი და ნიამორია გავრცელებული.

სმენა და მხედველობაც კარგად აქვს განვითარებული. თუმცა, ხაფანგის ყულფს არ ერიდება და ამის გამო ხშირად ადვილად ებმება შიგ. მშიერი უფრო გამბედავია: შედის სოფლებში და შინაურ პირუტყვს იტაცებს. იკვებება ცხოველებითა და ფრინველებით. საკვების ძებნისას ტყის ქვედა საზღვრამდე ჩამოდის. ვერ იტანს სხვა მეტოქე-მტაცებლებს; განსაკუთრებით მტრობს ძაღლსა და მგელს. სოროს არ თხრის; მძუნარობს იანვარ-თებერვალში. მაკეობის ხანგრძლივობა გრძელდება 98-104 დღემდე. ბუნაგს გამოქვაბულში იკეთებს და მაის-ივნისში შობს უსუსურ, ორიდან ხუთამდე ბოკვერს; ისინი თვალებს 12 დღეში ახელენ. ბოკვერები შეიძლება ნოემბერ-დეკემბერშიც შეგხვდნენ. პირველ ხანებში ისინი, ძირითადად, დედის რძით საზრდოობენ. 2 თვის ასაკში იწყებენ ნადირობას; მათ აღზრდაზე ორივე მშობელი, უფრო კი დედა ზრუნავს; დედა შვილებს უყურადღებოდ არ ტოვებს, ბუნაგის კარზე ეთამაშება და იქაურობას სხვას არ აკარებს. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

ფოცხვერი

ფოცხვერი, რომელსაც მთიულეთსა და ფშავ-ხევსურეთში „კინდოლს“ ეძახიან, კატების ოჯახისა და გვარის წარმომადგენელია. ის ორნაირი პოპულაციით გვხვდება: აღმოსავლური, ანუ კავკასიური ფოცხვერი, რომელიც დიდი, ნათელი ფერისაა და შავხალებიანი, უფრო სამხრეთ კავკასიონის მთის ტყეებში ბინადრობს; აზიური მოდგმის ჩვეულებრივი ფოცხვერი, რომელიც პატარაა და რუხი ფერისა, მკრთალად შესამჩნევი ხალებიანი, ძირითადად, კავკასიონისა და ბარის ტყეებშია გავრცელებული. ის გავრცელებულია ევროპის მთის ტყეებსა და კავკასიაში. საქართველოში გვხვდება როგორც ჭალის, ისე მთის ტყეებში: გარდაბნის სატყეო აღკვეთილში, ივრის, ალაზნის, თერგის ხეობებში ზღვის დონიდან 3500 მ-მდე სიმაღლეზე, სადაც კი მისი საკვები, — შველი, არჩვი, ჯიხვი, კურდღელი, ირემი, ღორი და ფრინველები ბინადრობენ.

ფოცხვერი ვერაგი მტაცებელია. მუდამ ხეზე ან კლდეებშია ჩასაფრებული და იქიდან უთვალთვალებს მსხვერპლს. თავს ესხმის შინაურ პირუტყვსაც, მაგრამ მსხვილჩლიქოსანს ვერ იმორჩილებს. ფოცხვერი არ ერიდება ადამიანის სამოსახლოსაც, ღამით შედის სოფელში და ხეზე დაბუდებულ ფრინველს იტაცებს. ფოცხვერი სოროს არ თხრის. თავს კლდის ნაპრალებში ქვისა და ხის ძირებს აფარებს იქ, სადაც საკვებს დაიგულებს და ადვილად მოიპოვებს; იცის ბუნაგის დროებით ამოჩემება. გამრავლების დროსაც მარტივ ბუნაგს იკეთებს, ხისა და ლოდის ძირებში მშობიარობს; თუ ადგილი ხელსაყრელი არ აღმოჩნდა, ბუნაგს იცვლის. ამ დროს პატარები პირით გადაჰყავს. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

მურა დათვი

კავკასიური მურა დათვი გავრცელებულია კავკასიის ტყეებში. საქართველოში, მეტ-ნაკლებად, თითქმის ყველგანაა გავრცელებული, გარდა კოლხეთის დაბლობისა. უფრო მეტად ისეთ ტყეებში ბინადრობს, სადაც უხვადაა მისი საკვები: წაბლი, რკო, წიწიბო, თხილი, პანტა, მაჟალო, შინდი და ზღმარტლი. სიარულისას დათვი ტერფს მთლიანად ეყრდნობა და ამიტომაც „ტერფითმავალს“

უწოდებენ; იცის ბუქნით სირბილი; სწრაფი სირბილი აღმართზე უჭირს, დაღმართზე კი 4-5 მ-ის სიგრძის ნახტომებს აკეთებს. თოვლზე ნელი სიარულისას მისი ნაკვალევი შორიდან ადამიანისას წააგავს. საკვების მოსაპოვებლად ადგილს ხშირად იცვლის და მომთაბარეობს. ზღვის დონიდან 4000 მ-მდ სიმაღლეზე ადის; იცის ამოჩემება ბუნაგისა, რომელსაც ტყის ზედა საზღვარზე, მიუდგომელ, მყუდრო ტყე-კლდოვან ადგილას აწყობს; ზოგჯერ მზამზარეულ გამოქვაბულებშიც შედის. შემოდგომაზე ნაკლებად მოძრაობს, სუქდება, იწმენდს კუჭს და დეკემბრის დამდეგს შედის დასაძინებლად. ხშირად მასთან ერთად ბუნაგში მოზრდილი ბელებიც შედიან, მაგრამ მათ დედა მშობიარობის დროს ზამთარში, ძირითადად იანვარ-თებერვალში ბუნაგიდან აძევებს. ცოცხლობს 40-50 წლამდე. დათვი ძვირფასი სამეურნეო ცხოველია; იძლევა ხორცს, ტყავს, სამკურნალო ქონსა და ნაღველს. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

შავარდენი

შავარდნის ცნობილი 22 ქვესახეობიდან საქართველოში გავრცელებულია კავკასიური შავარდენი, რომელიც საშუალო ზომის ფრინველია. კავკასიური შავარდენი მობინადრეა. საქართველოში მცირერიცხოვანია. შედარებით მრავლადაა ზღვისპირეთის სანაპირო ადგილებში: ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, გურია-აჭარასა და აფხაზეთში მომთაბარეობს. ბინადრობს ტყე-კლდიანი ველების ნაპირებში, სადაც მისი საკვები მრავლად მოიპოვება. მსხვერპლს იჭერს უსწრაფესი ფრენით. მონოგამია; ბუდობს კლდეებზე, ციხის ნანგრევებზე. მარტ-აპრილში დებს ორ-სამ კვერცხს; კრუხობს დედალი, მამალს მოაქვს საკვები. საინკუბაციო პერიოდი 29 დღემდე გრძელდება. გაწვრთნილ შავარდენს ფრინველებზე სანადიროდ იყენებენ. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

ხოხობი

ქართული ხოხობი გავრცელებულია მცირეთოვლიან, რბილი კლიმატის ზოლში; კერძოდ: პალეარქტიკის სამხრეთ ნაწილში, მთავარი კავკასიონის დაბლობში, წინა აზიის შავი ზღვის სანაპიროდან შუა აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიებზე. ბინადრობს ავღანეთსა და ირანში, მონღოლეთში, ჩინეთში, კორეასა და მანჯურიაში, აკლიმატიზებულია ევროპასა და ამერიკაში. გამოყვანილია ორმოციდან სამოცამდე კვერცხის მდებელი ჯიში, რომელსაც ინკუბატორებში ამრავლებენ და ნაჩეკს სამი თვის შემდეგ უშვებენ ბუნებაში. კოლხური მოდგმის (ნახევრად თეთრსაყელოიანი და საყელოიანი ხოხობი) ნახევრად ველური ხოხბის ჯიშებია: სემირეჩიული კოლხური ხოხობი, კოლხური ხოხობი, კოლხურ-თალიშური, კოლხური-აბუდარიული, მურღაბული ხოხობი და სხვა. დღეს საქართველოში ხოხობი მხოლოდ ჭალისპირა ტყეებშია შემორჩენილი. ხოხობი საქართველოს ბუნებას გენეტიკურად მორგებული, პოლიგამიური, უძვირფასესი ესთეტიკური სარეწაო ფრინველია. აქვს გემრიელი ხორცი და განსაკუთრებულად ლამაზი ბუმბული; იკვებება სოფლის მეურნეობისათვის მავნე ვაზის ლოკოკინებით, ლოქორებით, წრუწუნებითა და მწერებით. ეს ორივე ქვესახეობა შეტანილია „წითელ ნუსხაში“, როგორც „ამიერკავკასიური ხოხობი“.

გოდერძის ნამარხი ტყე

წყარო: ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ლ., ლაღიძე ლ., ტრაპაიძე., ნანობაშვილი თ. სამცხე-ჯავახეთი. ცნობარი. თბ., 2016.

გოდერძის ანუ ძინძეს ხეობის ნამარხი ტყე მდებარეობს მდ. ქვაბლიანის აუზში, ძინძეს ხეობაში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, გოდერძის უღელტეხილის აღმოსავლეთით. ხეობაში შემორჩენილია მესამეულის განამარხებული ფლორა – „გოდერძის ფლორა“. ამ ადგილს ხალხმა უტყვისუბანი შეარქვა. წარსულში აქ ტროპიკული ტყე ყოფილა გავრცელებული, წარმოდგენილი როგორც მარადმწვანე (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია) ისე ფოთოლმცვენი (ლეღვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრნი, წიფლისებრნი) სახეობებით, ასევე ბუჩქნარებით, ლიანებით და გვიმრისნაირებით. რამდენიმე მილიონი წლის წინ, ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე, ვულკანურმა ღვარმა და ფერფლმა გადაფარა აქ არსებული მძლავრი და სახეობრივად მრავალფეროვანი გაუვალი ტროპიკული ტყე. მესამეული ფლორის ნაშთები წარმოდგენილია ხის გაქვავებული ღეროებით, ტოტებით, ფოთლების ანაბეჭდებით. ზოგიერთ ხეს შენარჩუნებული აქვს ვერტიკალური მდებარეობა, წრიული ზრდის რგოლები (მიკროსკოპში მოჩანს). იგი უიშვიათესი და უნიკალური ბუნებრივი ძეგლია, თუმცა დღეს იგი იძარცვება. რამდენიმე

მილიონი წლის წინ, ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე, ვულკანურმა ღვარმა და ფერფლმა გადაფარა აქ არსებული მძლავრი და სახეობრივად მრავალფეროვანი გაუვალი ტროპიკული ტყე. ამ ტყის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მაშინდელი კლიმატი გაცილებით უფრო თბილი ყოფილა, დაახლოებით ისეთი, როგორც დღეს ტროპიკულ ტყეებშია. ამჟამად აქ დადგენილია 90-მდე სახეობის მცენარე. მათ შორისაა მარადმწვანე ხეები (პალმები, ქაფურის ხე, დაფნისებრი, მაგნოლიები, არაუკარია), ფოთოლმცვივანი ხეები (ლეღვი, ნეკერჩხალი, მუხა, ხეჭრელი, რცხილა, არყის ხე, ტირიფისებრი, წიფლისებრი), სხვადასხვა სახეობის ბუჩქნარები, ლიანები, გვიმრისნაირები და ბალახოვნები. ზოგიერთი ეს სახეობა (ან მისი მონათესავე) დღეს გავრცელებულია თბილი კლიმატის პირობებში იაპონიაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში.

ხევის ბუნებისა და კულტურის ღირსშესანიშნაობები

წყარო: კ. ხარაძე. ხევის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები. თბ., 2011.

თრუსოს ხეობა

მდ. თერგის ხეობას, სათავეებში სოფ. კობამდე, თრუსოს ხეობას უწოდებენ. იგი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილო კალთაზეა, ხეობის მონაკვეთი 25 კმ-მდეა (სათავიდან სოფ. კობამდე). ყველაზე დაბალი ნაწილი ზღვის დონიდან 2000 მ-ზეა, ხოლო სათავეებში 2450 მ-ზეა.

თრუსოს ხეობა მაღალმთიური გასწვრივი ხეობაა. აგებულია ქვედა და შუაიურულ ფიქალ-ქვიშაქვების ძლიერ დანაოჭებული შრეებით, ზედაიურული კარბონატული წყებებით. ფართოდაა გავრცელებული ზედაპლიოცენურ-პლეისტოცენ-ჰოლოცენური ეფუზივები, მინერალური წყლებიდან დალექილი ტრავერტინები, მყინვარული და მდინარეული ნაფენები. ირგვლივ გავრცელებულია თანამედროვე მყინვარები – სუათისი, მნა, რესი და სხვ. კარგადაა გამოხატული ძველი გამყინვარების ნაკვალევი – ტროგები, ცირკები, მორენები. ხეობა შემოსილია სუბალპური და ალპური მცენარეულობით.

აბანოს მინერალური ტბა

მინერალური წყლების შემცველი ტბა მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზეა, რომელსაც აბანოს მინერალურ ტბას უწოდებენ, თუმცა, ზოგჯერ მას უძირო ტბის სახელითაც მოიხსენიებენ. იგი კობიდან 12 კმ-ზე მდებარეობს თრუსოს ხეობაში, ზღვის დონიდან 2300 მ-ზე.

ნახშირორჟანგიანი აღმავალი წყარო, ზედაიურული კარბონატული ქანებიდან, ზედაპირზე ქმნის პატარა ტბას, რომელიც ხმაურით წარმოქმნის ბუშტებს. წყალი მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიან ტიპს. აირის წნევის გამო წყალი აიტყორცნება 10-15 სმ. სიმაღლეზე. წყლის დებიტი 2,5 მლნ. ლიტრია დღე-ღამეში.

უქარო ამინდის დროს, ჰაერის ქვედა ფენებში, გროვდება ნახშირორჟანგი, რაც მასთან მიახლოებისას იწვევს პატარა ცხოველების გაგუდვას. ტბიდან წყალი ბუნებრივი არხით გადმოედინება და უერთდება მდ. თერგს. ამიტომ ეს ზიგზაგი ზოლი დაფარულია ნარინჯისფრად. თვით ტბის ერთადერთ ფერდობზე დარჩენილია ზრდაშეწყვეტილი ტრავერტინები.

აბანოს მინერალურ ტბასთან მიახლოება შემოვლითი გზით შეიძლება, რადგან მდ. თერგის წყალში გავლა არც ისე ადვილია.

თრუსოს ტრავერტინები

თრუსოს (თერგის) ხეობაში, კასრისხევის ვიწრობის ზემოთ, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 2100-2200 მ. სიმაღლეზე, ფართოდ არის გავრცელებული ტრავერტინები. ტრავერტინების „მინდვრებს“ გამჭვირვალე წყალი თხელ ფენად ეფინება და აჩენს უამრავ მოკამკამე პატარა მორევს. ეს ფორმები ძალზე ფაქიზია და მათ ცხვრის ფარების მოძრაობა აზიანებს.

თრუსოს ხეობის ტრავერტინები ზედაიურული პერიოდის კარბონატულ წყებასთან არის დაკავშირებული. აქ არსებულ ტრავერტინებში მცენარეთა ანაბეჭდები მოწმობენ, რომ წარსულში ამ მიდამოებში ტყის მცენარეები არსებობდნენ. ამჟამად ტრავერტინების ნაწილი, სხვადასხვა ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, დაზიანებულია.

თრუსოს ხეობის ნასოფლარები

თრუსოს ხეობაში ბევრი ნასოფლარია, სადაც შემორჩენილია როგორც ძველი საცხოვრებელი სახლების ნანგრევები, ასევე ეკლესიებისა და თავდაცვითი ნაგებობათა ნაშთები. ძველი ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი დასახლებულ პუნქტებსა და ნასოფლარებში.

თრუსოს ხეობაში ეს ნაგებობები აქ მცხოვრებ ქართველებს ეკუთვნოდათ, ხოლო ოსების აქ დასახლების შემდეგ ისინი აითვისეს და ნაწილობრივ ახალი ნაგებობებითაც შეცვალეს.

სოფელ შევარდენში დარჩენილია ეკლესიისა და კოშკების ნანგრევები. სუათისში არის, დაახლოებით X საუკუნის, პატარა დარბაზული ეკლესია. სოფელ ზაკაგორის მოპირდაპირე მთაზე შემორჩენილია X-XI საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია. აქვეა XVI-XVIII საუკუნეების თავდაცვითი ნაგებობები (ხუთსართულიანი კოშკი) და საცხოვრებლები.

ძველი ნანგრევებია სოფელ ოქროყანაშიც, სადაც ხუთ და ოთხსართულიანი კოშკებია.

ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინები

ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში, დიდი მაიორშას ვეძასთან – უღელტეხილსა და სოფ. კობს შორის მრავლადაა ჰიდროკარბონატული ტიპის მინერალური წყლების გამოსავლები, სწორედ ეს წყაროები ლექავენ კიროვან ტუფს.

ჯვრის უღელტეხილი, იგივე ხევისყელი, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზეა, მდინარეებს შთასავლისა (ბიდარის, თერგის მარჯვენა შენაკადი) და მთიულეთის არაგვის წყალგამყოფზე, ზღვის დონიდან 2250-2299 მ. სიმაღლეზე. აგებულია მეოთხეული ეფუზივებითა და ინტრუზიული დიაბაზებით.

ჯვრის უღელტეხილის კიროვანი ტუფები ვრცელი „მინდვრების“ სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც წყაროებით არის დალექილი. ისინი ზოგან თოვლივით სპეტაკია, ზოგან კი რკინის მარილების მინარევებით ნარინჯისფრად არის შეღებილი.

უღელტეხილის მიდამოებში სუბალპური და ალპური ლანდშაფტებია. მასზე გადის საქართველოს სამხედრო გზა. სამხრეთ კალთაზე მოწყობილია გუდაურის ზამთრის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.

ჯვრის უღელტეხილის მიდამოები მდიდარია ჰიდროკარბონატული ტიპის მინერალური წყლების გამოსავლებით, რომელთაც დიდი დებიტი აქვთ.

ჯვრის უღელტეხილის გუდაურ-კობის მონაკვეთის გზის გაფართოებასთან დაკავშირებით, 2013 წლის მაისში, მშენებლებმა ტრავერტინების გზისპირა ნაწილიც ჩამოაცალეს და ხელყვეს ბუნების ეს ღირსშესანიშნაობა. ამის შემდეგ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ იგი, სხვა რამდენიმე ძეგლთან ერთად, დაცვის ობიექტად შეიტანა.

მთის ბროლი

მთის ბროლი კვარცის უფერო, წყლისებრ გამჭვირვალე, მინარევებს თითქმის მოკლებული მინერალებია. იგი ძირითადად ექვსწახნაგოვანი პრიზმების სახით გვხვდება, რომლებსაც წაწვეტებული პირამიდებისებური ბოლოები აქვს. ცალკე ინდივიდების გარდა, იგი ხშირად გვხვდება დრუზების სახით, სადაც კრისტალთა ერთი ბოლო საერთო ფუძეზეა მიმაგრებული.

მთის ბროლის კრისტალები ზოგჯერ დიდ ზომას აღწევს – ერთ მეტრამდე. 1914 წელს ყუროს მთაზე (ყაზბეგის მუნიციპ-ი) ნაპოვნი მთის ბროლის დრუზის სიგრძე 94 სმ-ია, სიგანე 72 სმ. ცალკეული კრისტალების სიმაღლე – 75 სმ. მთის ბროლის მოპოვებული საუკეთესო ნიმუშები დაცულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში.

სახელწოდება „ბროლი“ არაბულია; ძველმა ბერძნებმა მას „კრისტალი“ უწოდეს, რაც ყინულს ნიშნავს. ძველ ქართულში კი ქარწიბა ერქვა, ასევე ხმარებაში იყო „დამანის“ სახელწოდებაც.

ჯუთის ლოდები

სოფელი ჯუთა და მისი მიდამოები სნოსწყლის სათავეებშია (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), აქ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ამართულია კლდოვანი პიკების კრებული – ჭაუხი, რომლის უმაღლესი მწვერვალი 3940 მ აღწევს. ოციათასი წლის წინათ ჭაუხი გამყინვარების მძლავრ კერას წარმოადგენდა; მის კალთებზე ჩამოწოლილი იყო სამი მოზრდილი მყინვარი. ერთ-ერთი მათგანი ჯუთისწყლის მყინვარი იყო.

ჭაუხი აგებულია მაგმური ქანით (დიაბაზი). ყინვითი გამოფიტვის პროცესში ეს ქანი მსხვილ ლოდებად იშლება. გამყინვარების ეპოქაში, როდესაც ჰავა დღევანდელთან შედარებით ბევრად მკაცრი იყო, მთის ფერდობები და თხემები ინტენსიურად ინგრეოდა. მყინვართა გადნობის შემდეგ ლოდებმა მოძრაობა შეწყვიტეს და ნამყინვარევი ხეობის ფსკერი და გვერდები ე. წ. ერატიკული მასალით მოი-

ფინა. ერატიკული ლოდები – ჭაუხის დიაბაზური მასალა სოფ. ჯუთამდე და ჯუთისწყლის ხეობის გაღმა ფერდობზედაც ადის, დაახლოებით 70-80 მ. შეფარდებით სიმაღლეზე. საფიქრებელია, რომ ძველი მყინვარი ღობავდა ჯუთისწყლის ხეობას და შესაძლებელია, კიდევაც აგუბებდა მდინარეს. ჯუთის ერატიკული ლოდები 4-5 მ. სიდიდისაა. მართალია, ისინი კარგი სამშენებლო მასალაა, მაგრამ მათ დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნიათ, ამიტომ არიან დაცვის ობიექტები. ამასთან, ისინი ადამიანთა ესთეტიკური ნახვის ობიექტიცაა.

ჯუთის ტრავერტინები

მდ. ჯუთისწყლის (სნოსწყლის შენაკადი) მარცხენა ფერდობზე, სოფ. ჯუთასთან, ზღვის დონიდან 2380-2400 მ. სიმაღლეზე გავრცელებულია ჰოლოცენური პერიოდის ტრავერტინები. ისინი გვხვდება გვიანპლეისტოცენურ ცირკში, სადაც არის მორენული მასალის დანაგროვები. ტრავერტინების გამოსავლებთან მიმოფანტულია დიაბაზის ლოდები. კარბონატული ქანების გამოსავლების უქონლობის მიუხედავად, სოფ. ჯუთის ზემოთ, ტრავერტინების დანაგროვებში გვხვდება ფოთლის ანაბეჭდები – ვერხვის, არყის, ასკილის და სხვ.

სნოს ციხე

მდ. სნოსწყლის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1760 მეტრზე, სტეფანწმინდიდან 8 კილომეტრზე, მდებარეობს ერთ-ერთი ულამაზესი სნოს ციხე. იგი კლდოვან გორაკზე შუა საუკუნეებშია აგებული. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ციხე XVI საუკუნის მიწურულში უნდა იყოს აგებული. ისტორიულ წყაროებში ციხე მოხსენიებულია XVIII საუკუნის 30-იან წლებში, როცა მას დაღესტნელთა ლაშქარი მოადგა. ეს ციხე კონტროლს უწევდა ხევიდან მიმავალ მოკლე გზას – ხევსურეთზე, ფშავზე და გუდამაყრის ხეობით მთიულეთზე. გადმოცემით, სნოს ციხე ეკუთვნოდა შიოლა ღუდუშაურს, რომლისთვისაც არაგვის ერისთავს აზნაურობა უბოძებია.

სნოს ციხე შედგება კოშკისა და წრიული გალავნისაგან. გალავნის ქვედა ნაწილში სათოფურები და სარკმელებია, ზედა ნაწილში – სალოდეები. გალავანი მრავალ თავდაცვით ელემენტს შეიცავს. კოშკის სიმაღლე 20 მ.-მდეა. პირველ სართულზე ერთადერთი შესასვლელი აქვს. კოშკი და ციხის გალავანი ნაგებია ადგილობრივი კლდის ქვით. ამიტომ იგი შეხამებულია გარემო პირობებთან.

არსებობს თქმულება, რომ შიოლა ღუდუშაურის გააზნაურებას მოხელეები ალმაცერად უყურებდნენ. შიოლამ შეიფერა აზნაურობა და ადგილობრივ მოსახლეობას ჩაგვრა და ძარცვა დაუწყო. თემმა გადაწყვიტა მისი დაჭერა, მაგრამ იგი გამაგრებული იყო ციხესიმაგრეში. თემმა მოისყიდა ხევსური მირეხელი, რომელიც ძმადნაფიცი ყოფილა სოფელ ახალციხეში გათხოვილ შიოლას დისა. ხევსურს ძღვენის მიტანისას უნდა მოეკლა შიოლა, მაგრამ იგი ვიღაცამ გასცა. მორეხელი აჩხოტში სანადიროდ მიმავალ შიოლას შეეყარა. მორეხელს ცხენი წაართვეს, მაგრამ მშვილდ-ისარი ვერ აართვეს და შიოლას შიგ გულში გაუყარა. მხედრები დაედევნენ და ხევსური სახლში მოკლეს. ეს იყო ოჯახის დიდი შეურაცხყოფა და ოჯახის უფროსი სნოს მიუხტა ცოლეურებს, დამხვდურთაგან ორი მოკლა და თვითონაც ზედ შეაკვდა.

ციხე ადრე ღუდუშაურების სახელით ყოფილა ცნობილი, ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „აქა არს ციხე ღუდუშაუროსა მცირე, არამედ ფრიად არი“.

სტეფანწმინდა

დაბა სტეფანწმინდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ცენტრია, რომელიც მდ. თერგის ნაპირებზე ზღვის დონიდან 1740 მ-ზე მდებარეობს.

სახელწოდება სტეფანწმინდა, გადმოცემით, უკავშირდება სტეფანე (ღრუბელა) ბერს, რომელიც ოდესღაც სტეფანწმინდის აღმოსავლეთით მდებარე „წითელ“ ეკლესიაში ცხოვრობდა. ახლა ამ ადგილას მხოლოდ საკურთხევლის ნაშთია შემორჩენილი.

სტეფანწმინდაში დაცულია ალექსანდრე ყაზბეგის მამისეული ორსართულიანი სახლი, რომელშიც ახლა მხარეთმცოდნეობის მუზეუმია მოთავსებული (1934 წლიდან). სახლის წინ მწერლის საფლავი და ბიუსტია. ცენტრში კი აღმართულია ალექსანდრე ყაზბეგის მონუმენტი (ბრინჯაო, 1959 წ., მოქანდაკე ი. ოჩიაური, არქიტექტორი ი. ლეჟავა). სტეფანწმინდაში არის 1809 წელს აგებული კარის ეკლესია სამრეკლოთი და XVII-XVIII საუკუნეების ორი კოშკი.

სტეფანწმინდაში შემორჩენილია ჩოფიკაშვილების კოშკები. ორივე მათგანი კვადრატული გეგმისაა. შესასვლელი მაღლა აქვთ და კამაროვანი გადახურვითაა, ხოლო კედლებში სათოფურებია დატანებული. ერთი კოშკი ქვითკირითაა ნაგები, მეორე მშრალი წყობითაა აშენებული. ეს კოშკები ემსგავსებიან ერთმანეთს გეგმით (კვადრატული), გარეგნული ფორმით და შინაგანი სტრუქტურით. ორივე მათგანის შესასვლელი მაღლაა, პირველი სართული კამაროვანი გადახურვითაა და კედლებში

სათოფურებია დატანებული. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველი მათგანი – „ზალიეთ ციხე“ (ზალიენ ჩოფიკაშვილის გვარის ერთი ნაწილია) ქვითკირითაა ნაგები, ხოლო მეორე – „გუგეთ ციხე“ (გუგუნი ჩოფიკაშვილის გვარის ნაწილია) მშრალი წყობითაა ნაგები.

ღვთისმშობლის ეკლესია და სამრეკლო დგას დაბის ცენტრში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გვერდით, საგვარეულო სასაფლაოზე. დასავლეთის ფასადის წარწერის მიხედვით ეკლესია აგებულია 1809 წელს გაბრიელ ყაზბეგის მიერ. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და ნაგებია მოყვითალო-მოყავისფრო ქვის კვადრატით. აქვს თაღოვანი შესასვლელი. ეკლესიას კონქით გადახურული პატარა ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ეკლესიაში ექვსი დიდი სარკმელია. აფსიდის კონქში გაჭრილია ეკლესიის სახურავზე დადგმულ სამრეკლოზე ასასვლელი ხვრელი. სამრეკლოს სახურავს ექვსწახნაგა პირამიდული ფორმა აქვს.

ბეთლემის ბერი

დენუდაციის შედეგად წარმოქმნილი სვეტისებური ფორმა – ბეთლემისბერი მდებარეობს მყინვარწვერის აღმოსავლურ ფერდობზე, მდ. ჩხერის აუზში, ზღვის დონიდან 3100 მ-ზე.

ბეთლემისბერის კლდის სვეტი ვულკანური ნგრეული ქანის შთენილია. სვეტისებური დენუდაციური მოწმე დასავლეთის მხრიდან ბერის ფიგურასავით გამოიყურება, რის გამოც მას ბეთლემისბერი შეარქვეს. სვეტის სიმაღლე 12 მ-მდეა, რომელიც არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ვაკეზე ყოველი მხრიდან შორიდან ჩანს.

ბუნების ამ ძეგლთან მისვლა სტეფანწმინდიდან ფეხითაც შეიძლება და საღამოს უკან დაბრუნებაც. ასევე შეიძლება მისვლა გერგეტის (ორწვერის) მყინვარი ქვემო ბოლოდან ლონდარ-ღორღნალითა და ალპური მდელოების გადალახვით.

აქვე, ახლოს მდებარეობს ბეთლემის ხელოვნური გამოქვაბული, მყინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლურ კონტრფორსზე, რომელშიც მისმა პირველმა მკვლევარმა – სახელოვანმა მთამსვლელმა ალექსანდრე ჯაფარიძემ 1948 წელს შუა საუკუნეთა ისტორიული ნაშთები აღმოაჩინა. ბეთლემს დიდმა ილიამ უკვდავი პოემა „განდეგილი“ მიუძღვნა.

სახელწოდება ბეთლემი მომდინარეობს ქრისტიანთა წმიდათაწმიდა ადგილის – ბეთლემის გამოქვაბულისაგან (იერუსალიმში), სადაც იშვა იესო ქრისტე.

ღამურას გამოქვაბული

ტურისტებს შორის ძველთაგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ღამურას გამოქვაბული“, რომელიც მდ. თერგის მარცხენა მხარეზე, დარიალის ხეობაში, ზღვის დონიდან 1550 მ-ზეა. სტეფანწმინდიდან 5-6 კმ-ით არის დაშორებული. საავტომობილო გზიდან 100 მ-მდე სიმაღლითი გავლაა საჭირო, რომ მოხვდეთ გამოქვაბულში. შესასვლელის სიმაღლე-სიგანე 5X5 მ-ია მარჯვნივ კიდევ 5 მ-მდე ფართოვდება, ხოლო სიგრძე 15 მ-ია.

სახელწოდება მიღებულია მისი მოყვანილობის მიხედვით, შორიდან ფრთებგაშლილ ღამურას მოგვაგონებს. გამოქვაბულის ჭერი მეოთხეული ანდეზიტ-ბაზალტური ლავით არის წარმოქმნილი. იგი გაციების პროცესში ექვსწახნაგა პრიზმებად, ანუ სვეტებად დამსკდარა. ლავის „სვეტისებური განწევრება“ სხვა ადგილებშიც არის დამახასიათებელი. აღნიშნული გამოქვაბულის თავზე განვითარებული ლავური სვეტები მარაოსებრად არიან განლაგებული, რაც მას ორიგინალობას და სილამაზეს ანიჭებს.

თვით გამოქვაბული შექმნილია ლავის ქვეშ მდებარე ფხვიერ დელუვიონში (ღორღში) გამოფიტვის შედეგად და ადამიანის ჩარევით (აქ ცხვრის ფარებს ღამეს ათევინებდნენ).

დარიალის კლდეკარი

მდ. თერგის ვიწრობი იწყება მდ. ჩხერის შესართავთან და მთავრდება ზემო ლარსთან. კლდეკარის სიგრძე 11 კილომეტრია. განსაკუთრებით ვიწრო და კლდოვანი ხეობაა მდინარეების ყაბახისა და ხდის შესართავებს შორის. ხეობა 1000 მ. სიღრმეზეა ჩაჭრილი. აგებულია პალეოზოური პერიოდის გრანიტოიდებით, გნეისებით, კრისტალური ფიქლებით. ცხადია, ციცაბო ფერდობები მოკლებულია ნიადაგ-მცენარეულ საფარს.

სახელწოდება მიღებულია დარი ალანისაგან, რაც ალანთა კარს ნიშნავს. ამასთან, ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში იგი სხვადასხვა სახელითაა ცნობილი – დარიელა, არაგვის კარი, სარმატის კარი და სხვ. აქ გადიოდა უძველესი გზა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში.

დარიალის ვიწრო შთამბეჭდავ სანახაობას ქმნის. ამიტომაც ბევრს წერდნენ მასზე ქართველი და უცხოელი მწიგნობარნი, ბევრ ფუნჯის ოსტატსაც დაუხატავს მისი პეიზაჟი.

დარიალის ციხე

ციხესიმაგრე აგებულია დარიალის კლდეკარში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირის მაღალ კლდოვან მთაზე. იგი მიუდგომელი ციხეა – ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მხარე კლდოვანია, ხოლო დასავლეთი მხრე კედლებით არის გადაკეტილი. დარიალის ციხის სამშენებლო ფენა ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანისაა. გარდა ამისა, შემორჩენილია გვიანდელი ფეოდალური ხანის ნაშთიც. ციხიდან სამხრეთ მხარეს მდინარეზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბიც არსებობდა. მოგვიანებით, დასავლეთიდან გაუყვანიათ წყალსადენი. გალავნისა და კოშკების გარდა ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთი.

დარიალის ციხე საქართველოს ჩრდილო საზღვართან ჩამკეტი პუნქტი იყო. მემატიანის აღნიშვნით, ეს ხეობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში ყოფილა გადაკეტილი მაგარი კედლებით, რომელსაც რკინის კარი ჰქონია შებმული.

ქართული საისტორიო ტრადიციით ციხე V საუკუნეში ვახტანგ გორგასალს აუგია: „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცელნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალანისად...“ ამ შემთხვევაში ვახტანგ გორგასალს ციხე გაუფართოებია.

დარიალის ციხე (ერთ-ერთ კოშკს), ხალხი თამარის ან დავითის ცოხეს ეძახის. ვახუშტი ბაგრატიონის აღნიშნავს – დავითის ციხე დგას „არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა“. ციხე კლდის მოსწორებულ ბაქანზეა აგებული, რომელიც ამ ხეობას კეტავდა. საავტომობილო გზიდან იგი მთელი პანორამით დგას, ხოლო მასთან ახლოს მისვლა, მიუდგომლობის გამო, ძალიან გაძნელებულია. ნაგებობათა შეფარდებითი სიმაღლე მდინარის დონიდან დაახლოებით 70 მ-მდეა.

აფხაზეთის მდინარეები

წყარო: დ. უკლება. ჩვენი სამშობლოს ცისფერ გზებზე. თბ., 1964

მდინარე კოდორი

თვალწარმტაცი და მრავალფეროვანია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის – აფხაზეთის ბუნება. მართლაც, რომ განუმეორებელი სილამაზით გამოირჩევა მისი მდინარეები, რომლებიც „აფხაზეთის ალპებიდან“ ღრმა ხეობებითა და ვიწრობებით დასერილ სამხრეთ ფერდობზე უზარმაზარი ლოდებით ამოვსებულ კალაპოტში დიდი ხმაურით მიედინებიან და ანკარა, აქაფებულ წყალს შავ ზღვას უერთებენ. მაგრამ არანაკლებ ლამაზია მიწისქვეშა სამყარო. აფხაზეთი ხომ კარსტული უფსკრულების, მიწისქვეშა მდინარეების ქვეყანაა.

აფხაზეთის ყველაზე წყალუხვი, დიდი მდინარეა ***კოდორი***. იგი ყოველმხრივ საინტერესოა და გასაკვირი არაა, რომ მას დიდი ხნიდანვე იცნობდნენ. მაგალითად, რომის კათოლიკური ეკლესიის მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ თავის წიგნში, რომელიც ქ. ნეაპოლში გამოაქვეყნა, სამეგრელოს მდინარეებთან ერთად მდ. კოდორიც დაახასიათა, სხვათა შორის, ლამბერტი აღნიშნავს, რომ „კოდორი ცნობილია ძველი მწერლების ნაწერებში კორაქსის სახელწოდებითო“.

მდ. კოდორი ორი მდინარის – საკენისა და ღვანდრას შეერთებით იქმნება. ეს მდინარეები კავკასიონზე მწვერვალ ღვანდრას რაიონში, მყინვარებიდან იღებენ სათავეს. მდინარეთა კალაპოტი ლოდებითა და ქვებით არის დაფარული, რომლებზედაც მდ. საკენი და ღვანდრა გამაყრუებელი ხმაურით მოედინება ვიწრო და ღრმა ხეობაში, რომლის ზოგან ფრიალო, ტიტველი, ზოგან კი ციცაბო, მაგრამ დიდებული ტყით შემოსილი ფერდობები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. სოფ. მარცხენა გენწვიშთან საკენი და ღვადრა ზღვის დონიდან 750 მ სიმაღლეზე ერთდებიან. აქედან იწყება მდ. კოდორი. შესართავის ცოტა ზემოთ, საკენის ხეობაში გაშენებულია სოფ. საკენი, ხოლო ღვანდრას ხეობაში სოფ. ღვანდრა. არაჩვეულებრივი სანახავია თოვლივით თეთრად აქაფებული ჩანჩქერები, რომლებიც ღვანდრასა და საკენის ხეობათა ფერდობებზე ეშვებიან.

საკენისა და ღვანდრის შეერთების შემდეგ მდინარე წყალუხვი ხდება და სწრაფად მიედინება შედარებით ფართო ხეობაში სოფ. გენწვიშის ცოტა ქვემოთ კოდორის ხეობა ისევ ვიწროვება სოფ. აჟარამდე, აქ კი იგი ისევ გაშლილია და თითქმის ხელუხლებელია, დაბურული ტყითაა შემოსილი. სოფ. გენწვიშიდან ჩხალთამდე კოდორს რამდენიმე მდინარე და პატარა ნაკადული უერთდება, სოფ. ბრამბადან ორიოდ კილომეტრზე მოშორებით კოდორს მარცხნიდან ერთვის მდ. ბარამბა, რომელიც

ხოჯალის მთის დასავლეთ ფერდობზე იღებს სათავეს. მის პირდაპირ დასავლეთით, თითქოს ბრამბის გაგრძელებაზე, ჩხალთის ქედსა და კავკასიონს შორის მოედინება საკმაოდ მოზრდილი მდინარე ჩხალთა (აწგარა), რომელიც სოფ. ჩხალთასთან მარჯვნიდან უერთდება კოდორს.

კოდორის ხეობა ჩხალთის შესართავის ქვემოთ გარდიგარდმო ჰკვეთს საკმაოდ მაღალ ქედს და კვლავ ვიწროვდება, შემდეგ ისევ ფართოვდება, სოფელ ქვედა ლათასთან კოდორი კირქვების სქელ ფენებს ჰკვეთს და ისე ვიწრო ხდება, იმდენად ვიწრო, რომ მის მარჯვენა და მარცხენა ნაპირას ატყორცნილი მაღალი ხეები თავიანთი რტოებით ერთმანეთს გადახვევიან და მდინარე სრულიად დაუჩრდილავთ. უფრო ქვემოთ კოდორს მარჯვნიდან მოზრდილი მდინარე ჯამპალი ერთვის. აქვე ახლოს მდებარეობს ***მდ. ამტყელი***.

მეტად საყურადღებო ისტორია აქვს ამტყელს. არც თუ ისე შორეულ წარსულში, სულ რაღაც 72 წლის წინათ, ამტყელი ჯამპალს უერთდებოდა, მაგრამ მოხდა საინტერესო მოვლენა და იგი ჯამპალს წყალს აღარ აწვდის. ეს ასე მოხდა: 1891 წელს ამტყელის შუა წელში ვეებერთელა ზვავი ჩამოწვა, რომელმაც გზა გადაუღობა მდინარეს. დაგუბდა ამტყელის წყალი და წარმოშვა საკმაოდ დიდი ტბა (შემდეგ ***ამტყელის ტბად*** წოდებული). პანიკამ და შიშმა მოიცვა სოფ. ამტყელის მცხოვრებნი, ვაი, თუ ტბის წყალმა გაარღვიოს ნაზვავი და სოფელი წალეკოს, ან კიდევ წყლით დაფაროსო, მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა. ტბის წყალმა, რომელიც უხვად იჟონებოდა ნაზვავში, თანდათან მიწისქვეშა სადინარი წარმოქმნა. ნაზვავის ქვეშ გაჟონილმა წყალმა შექმნა ნაკადული, რომელიც ამტყელის ხეობაში მიედინება და ბოლოს ჩაიჟონება ხეობის ლამაზ კალთაზე მდებარე ძაბრისებრ სასულეში, მერე უკუნეთში მიედინება, ამტყელი გაივლის რა საკმაოდ დიდ მანძილს მიწისქვეშ, იგი კვლავ ზედაპირზე გამოდის მდ. ჯამპალის შესართავის ახლოს, ბევრი ასეთი მიწისქვეშა მდინარეებია აფხაზეთში.

მიჰყვებით კოდორის ლამაზ ხეობას დაღმა და თქვენს თვალწინ იშლება შესანიშნავი სანახაობა – ***ბაგატის კლდეები***, კირქვიანი ციცაბო ფლატე, რომელიც კოდორის კალაპოტიდან 400-500 მეტრის სიმაღლეზე არის აღმართული. კლდის ძირში ადრე ვიწრო, საშიში გზა გადიოდა, მაგრამ ახლა აქ გვირაბი გაჭრეს და საიმედო გზა გააკეთეს. ბაგატის კლდეებთან შენდება მძლავრი ჰიდროელექტროსადგური „ბაგატჰესი“.

სოფ. ნაას ქვემოთ კოდორი ***სამურზაყანოს დაბლობზე*** გამოდის. აქ იგი უკვე თითქოს „დაღლილ-დაქანცული“, დასუსტებული, ზანტად მიიკვლევს გზა შავი ზღვისაკენ, გზადაგზა აჩენს მცირე კუნძულებს. მეტად ლამაზია კოდორის ქვემო წელის ხეობა. ციტრუსოვანი კულტურები და ჩაის პლანტაციები შერწყმული ჯერ კიდევ შემორჩენილ ბუნებრივ ტყეებთან განსაცვიფრებელ სილამაზეს ანიჭებს კოდორის ამ მონაკვეთს.

შესართავში კოდორი იტოტება და ვეებერთელა დელტას ჰქმნის. ამ დელტაზე სამიოდე პატარა ტბა მდებარეობს. დელტის რაიონის ნაწილი დაჭაობებულია და ძნელად გასასვლელი, განსაკუთრებით წვიმის დროს. ლამაზია კოდორის შესართავის მიდამოები: მშვენიერი პლაჟი, ლურჯი ცა, ზღვისპირა საუცხოო ტყე, ხიბლავს დამსვენებელსა და გამვლელ-გამომვლელთ, შორს კი ჩრდილოეთით მოჩანს კავკასიონის ქედის დიდებული პანორამა.

შესართავიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე კოდორზე აგებულია გრანდიოზული ხიდი, რომელზეც თბილის-სოხუმის ფართო, ასფალტირებული გზა გადის. ხშირად ნახავთ აქ შავკანიან ადამიანებს – ზანგებს, რომლებიც დიდიხნიდანვე ცხოვრობენ ***სოფ. აძიუბჟაში***. შეუთვისებიათ აქაური ზნე-ჩვეულება, ენა და ქართველ ხალხთან ერთად ჩაბმულან ცხოვრების ფერხულში. აძიუბჟა ერთადერთი სოფელია, სადაც ასე კომპაქტურად ცხოვრობენ ზანგები.

მეთოდური მითითებანი.

მასწავლებელი გააცნობს წყაროში მოცემულ მასალას. მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ რუკაზე მდ. კოდორი და მისი აუზის მდინარეები: ამტყელი, ჯამპალი, საკენი, ღვანდრა, ჩხალთა, აგრეთვე ამტყელის ტბა.

მათ შეუძლიათ შეასრულონ 3 ტიპის დავალება:

1. წყაროში მოცემული ტექსტის მიხედვით, დაყონ მდ. კოდორის ხეობა რამდენიმე ნაწილად. თოთოეული ეს ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავებული უნდა იყოს ბუნებრივი პირობებითა და ტერიტორიის ათვისების დონით. ჩამოწერონ დაფაზე (ცხრილის სახით) თითოეული ეს მონაკვეთი და თითოეულის გასწვრივ მიაწერონ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ქვემოთ მოცემულია ნიმუში.

კოდორის მონაკვეთები	თავისებურებანი
საკენისა და ღვანდრის ხეობები	ხასიათდება ჩქარი ნაკადით ხეობა მოფენილია ლოდებით ხეობა ვიწრო და ღრმაა კლდეები ენაცვლება ტყეებს
ჩხალთის შესართავამდე	ვიწრო ხეობა წყალუხვი სწრაფი ნაკადი შემოსილია ხელუხლებელი დაბურული ტყეებით
სამურზაყანოს დაბლობამდე	ხეობა ზოგან ფართოა, ზოგან ვიწრო
შესართავამდე	ფართო ხეობა ნელი დინება შესართავთან იტოტება დიდ ფართობზეა გადაჭიმული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები

2. რუკებისა და წყაროს ტექსტის მიხედვით, მოსწავლეები ადგენენ მდ. ამტყელის ხეობის ძველ და ახალ რუკა-სქემას.

თავდაპირველად რუკის მიხედვით დაფაზე ხაზავენ მდინარეების ამტყელისა და ჯამპალის ხეობებს, ამტყელის ტბას. შემდეგ ტექსტში მოცემული აღწერილობის მიხედვით, ხაზავენ იგივე ტერიტორიას ამტყელის ტბის წარმოშობამდე. აქ შესაბამისი პირობითი ნიშნებით დააქვთ მდ. ამტყელის სავარაუდო გადინებისა და ნაზვავის ადგილი.

3. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება: მოიძიონ ინფორმაცია აფხაზეთში ზანგების დასახლების შესახებ და პრეზენტაცია წარადგინონ კლასში.

სასარგებლო ბმულები:
https://www.kvirispalitra.ge/history/7650-ambavi-zangi-afkhazebisa.html
http://gza.ambebi.ge/qveyana/istoriis-labirinthebi/634-qzangi-afkhazebiq-da-shavi-monathvatcroba-saqarthveloshi.html

მდინარე ბზიფის აუზი

საქართველო ლამაზ მდინარეთა ქვეყანაა, მაგრამ ყველა მდინარესა და ხეობას ხომ ერთნაირი სილამაზე არა აქვს. ზოგიერთის სილამაზის აღწერა შეუძლებელია, ამას მხოლოდ მაშინ წარმოიდგენ, როცა თვითონ ესტუმრები, დაათვალიერებ და დატკბები მისი მშვენიერებით. ასეთია აფხაზეთის სიდიდით მეორე მდინარე ***ბზიფი***. მას სათავე აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე აქვს, იგი ზღვის დონიდან 2639 მ სიმაღლეზეა და ზღვასთან შეერთებამდე 115 კილომეტრ მანძილს გაივლის. ბზიფის სათავეში რამდენიმე მყინვარია, რომელნიც მას ნადნობი წყლით ასაზრდოებენ თბილ პერიოდში. ხეობა ზემო წელში ღრმაა და ბევრ ადგილას ძლიერ დაქანებული, ციცაბო ფერდობები ხელუხლებელი დაბურული ტყითაა შემოსილი. ხშირად ხეობის ციცაბო ფერდობები ძლიერ უახლოვდება ერთმანეთს და თვალწარმტაც კლდეკარებს ჰქმნიან, რომლის ქვა-ლოდნარიან ფსკერზე ანკარა ბზიფი მიიკლაკნება. ერთი მხრივ (მარჯვნივ) ბუმბერაზი კავკასიონია, ხოლო მეორე მხრივ მარცხნივ, ბზიფის ქედი თავზე დასცქერის მდინარის ხეობას. ხეობის ფერდობებიდან მრავალი ჩანჩქერი მოჩქეფს, რომელიც კიდევ უფრო ალამაზებს ისედაც მშვენიერ, ტყით მოსილ ხეობის კალთებს. განსაკუთრებით თვალწარმტაცია ე.წ. ***გრიბზას ჩანჩქერი***, რომელსაც ბზიფის მარჯვენა შენაკადი მდ. გრიბზა ჰქმნის. ზოგან ძალზე ვიწროვდება ბზიფის ხეობა. აქ ხეობის წამოშვერილი კლდეები ისე ახლოა ერთმანეთთან, რომ თითქმის მთლიანად უღობავს გზას მდინარეს. კალაპოტი ვეებერთელა ლოდებითაა მოფენილი, რომელზეც მდინარე დიდი ხმაურით მიედინება და ქაფმორეული მიიკვლევს გზას ქვემოთ, ზღვასთან შესაერთებლად.

უფრო ქვევით, სოფ. ფსხუს მიდამოებში მდ. ბზიფის კალაპოტი ფართოვდება და მდინარეც შედარებით ნელა მიედინება. აქ, მდ. ბზიფის და ბავიუს შეერთების ზემოთ ხეობა ქვაბურს მოგაგონებთ. ირგვლივ ტყით მოსილი მაღალი მთებია, ძირს, ქვაბურის ფსკერზე კი რამდენიმე პატარა სოფელია: სანჩარი, აგურიფსთა, ფსხუ, სერებრიანოე. ყოველ მხრივ, მაღალი ქედებით შემოფარგლული ეს მიდამო, გარე სამყაროს „მოწყვეტილია“. ვერც რკინიგზა, ვერც საავტომობილო და

ვერც საურმე გზა ვერ აღწევს ფსხუმდე. ვინ იცის, რამდენი მაღალი მთა და გადასასვლელი უნდა გადალახო იმისათვის, რომ სოხუმიდან ამ ქვაბურში მოხვიდე, მაგრამ ამის მიუხედავად, ფსხუში ყოველთვის შეგიძლიათ წაიკითხოთ ახალი გაზეთი, მიირთვათ ზღვის პირას მოწეული ახალი მწვანილი და ხილი. სოხუმიდან ფსხუში კარგ ამინდში ყოველდღე შეიძლება მოხვედრა, მაგრამ ზამთარში, უამინდობის დროს, ფსხუ „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ" იქცევა.

სოფ. რიკზასთან ბზიფის მარჯვნიდან უერთდება მოზრდილი მდინარე ბავიუ, რომლის შეერთების შემდეგ ხეობა კვლავ ვიწრო და ღრმა ხდება. ალაგ-ალაგ ვიწრობის განი 4-5 მ უდრის. ხეობის ციცაბო შიშველი კირქვიანი ფერდობები ასეული მეტრის სიმაღლის შვეულ კედლებად დასცქერის თავზე მდინარეს, გზას უღობავს მისგან მზის სხივებს.

ბზიფს შუა წელში მარჯვნიდან ერთვის მდ. გეგა, რომელიც ბზიფის ხეობაზე არა ნაკლებ ლამაზია. ბზიფისა და გეგას სილამაზის შესადარებლად ხშირად იტყვიან და წერენ კიდეც, რომ „მდინარე გეგა ლამაზი ზურმუხტისფერია, ბზიფი კი ფირუზისფერიო".

მდინარე გეგა თავის შემდინარე იუფშარათი ბზიფის ყველაზე მძლავრი შენაკადია. იგი გაგრის ქედის ჩრდილო ფერდობზე იწყება და სიგრძით 25 კმ აღწევს. ზემო წელში გეგა ჩანჩქერებად ეშვება ვეებერთელა ლოდებზე, რომლითაც მოფენილია მდინარის კალაპოტი. მერე კი, ***არაბიკას მასივის*** ძირში, ღრმა და ვიწრო ხეობას ჰქმნის. მაგრამ კიდევ უფრო ვიწრო ხდება იგი, როცა სამხრეთისაკენ მოუხვევს. აი, აქედან გეგას გრანდიოზული კანიონი აქვს გამომუშავებული, რომელიც ქვემოთ ***იუფშარას კანიონს*** უერთდება. ამ ვიწრო, ტყით მოსილ ხეობაში დიდი დიდწრაფით მიედინება ანკარა გეგა, ლოდიდან ლოდს, კლდიდან კლდეს ეხეთქება და აქაფებული ბზიფს უერთდება. თვალწარმტაცია ეს ხეობა. მილიონობით ადამიანს უმოგზაურია ამ ხეობით რიწა-ავადჰარასკენ და აღფრთოვანება გამოუთქვამთ გეგასა და იუფშარა-ლაშიფსეს ხეობათა სილამაზის შესახებ. ბევრი უცხოელი განცვიფრებულა ბუნების ამ სილამაზითა და სიდიადით, რითაც დაჯილდოვებულია გეგას, იუფშარას და ლაშიფსეს ხეობები. როცა მიჰყვებით კეთილმოწყობილ გზას, რომელიც მდ. ბზიფს, მერე გეგას და ბოლოს იუფშარა-ლაშიფსეს ხეობებს გასდევს, მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ გზა გაგრძელდეს და დიდხანს უცქირო ბუნების ამ სიმშვენიერეს.

ქვემო წელში გეგას მარცხნიდან იუფშარა ერთვის, რომლის ზემო წელი ***ლაშიფსეს*** სახელითაა ცნობილი. ლაშიფსე თოვლ-ყინულოვან კავკასიონის ფერდობზე იწყება და მდ. ავადჰარას შეერთებამდე ვიწრო ხეობაში მოედინება, აქ კი ხეობა ფართოვდება. სწორედ ამ ადგილზე, რიწიდან 16 კმ დაშორებით მდებარეობს კურორტი ავადჰარა (ავადხარა), რომელიც შეიქმნა საუკეთესო მინერალური-სამკურნალო წყლისა და მთის მაცოცხლებელი, ჯანსაღი კლიმატის ბაზაზე. ეს სამკურნალო წყაროები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებნი „სიახალგაზრდავის წყაროებს" უწოდებენ, თავისი სამკურნალო თვისებებით ბორჯომისა და ვიშის (საფრანგეთშია) წყლებს არ ჩამორჩება. გემოთი იგი ბორჯომის მინერალურ წყალს ჰგავს.

დაუყვებით ლაშიფსეს ლამაზ ხეობას და თავზე წაადგებით კავკასიის ბუნების ერთ-ერთ უმშვენიერეს ობიექტს – ***რიწას ტბას***, რომელიც ირგვლივ ვეებერთელა მთებით გარშემორწყმულ ქვაბურში მდებარეობს. აქ ამთავრებს თავის გზას მდ. ლაშიფსე. მერე კი ტბიდან გამოედინება იუფშარა. იუფშარის ხეობა ერთ-ერთი ულამაზესი ხეობაა მთელ კავკასიაში. ის წარმოადგენს ძლიერ ღრმა და ვიწრო კანიონს, რომლის ციცაბო ფერდობებზე, ნაპრალებში იზრდება ბუჩქნარები და ცალკეული ხეები, ხოლო ფსკერზე მშვენიერი ტყე. იუფშარას ხეობა დაახლოებით შუა ადგილზე ძალზე ვიწროვდება, სადაც კანიონის ფრიალო კლდეების სიმაღლე 500-600 მეტრს აღწევს. აიხედავთ ზევით და შორს მოჩანს ცის ვიწრო ლურჯი ზოლი, ხოლო ქვევით, გზის გასწვრივ, ხმაურიანი აქაფებული იუფშარა. ამ ადგილს ***იუფშარის ჭიშკარსაც*** უწოდებენ. ამ ღრმა „ნაპრალში" ძლივს-ძლივობით აღწევს მზის სხივები, ამიტომაც აქ ყოველთვის სიგრილეა და სინესტე. მდინარის კალაპოტის მშრალი ადგილები ბზის მშვენიერ ბუჩქებს დაუფარავს, ხოლო ხეობის შვეულ კედლებზე, რომელზეც ბევრგან წყალი ჩამოედინება სუროს ფარდებია ჩამოკიდებული.

მდინარე გეგას შესართავს ცოტა ქვემოთ, მდ. ბზიფი ზუსტად სამხრეთისაკენ მიედინება, შედარებით ფართო ლამაზ ხეობაში, რომელიც შენაკადებს მოკლებულია. სოფ. ბზიფთან მდ. ბზიფი მიმართულებას იცვლის, უხვევს სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ზღვას უერთდება: სოფ. ბზიფიდან იგი ტიპური ვაკის მდინარეა – ფართო ხეობით, ნელი დინებით, კუნძულებით. შესართავთან, რომელიც ბიჭვინთის კონცხის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, იგი ვრცელ დელტას ჰქმნის. მაგრამ უფრო ადრე მის მიერ აქ შექმნილია ვეებერთელა დელტა, ***ბიჭვინთის კონცხით.***

შავი ზღვის სანაპიროზე ძნელად შეხვდებით ისეთ ლამაზ ადგილს, როგორიც ***ბიჭვინთაა*** („პიცუნდა"). მდინარე ბზიფის ჩამონატანით შექმნილი ტერიტორია, რომელიც ზღვაში საკმაოდ შორს არის შეჭრილი, დაფარულია შესანიშნავი ფიჭვის ტყით. ტყის ფართობი 200 ჰექტარს აღწევს. შავი ზღვის სანაპიროზე ასეთი ფიჭვი გვხვდება ცალკეულ ეგზემპლარებად გაგრის რაიონში, მიუსერას მიდამოებში და ანაპის ახლოს (შავი ზღვის სანაპირო, რუსეთი). განსაკუთრებით ლამაზია ბიჭვინ-

თის კონცხზე მდებარე ***ინკითის ტბის*** მიდამოები, სადაც ფიჭვნარი ტყის გვერდით დგას ბზის ტყე, რომელშიც ხეების სიმაღლე 10-12 მ აღწევს. ბიჭვინთის კონცხი საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისითაც. აქ ძველად გაშენებული ყოფილა ***ქალაქი ბიჭვინთა***, რომლის ნაშთსაც დღესაც პოულობენ არქეოლოგები. საუკეთესო პლაჟი, ფიჭვნარი ტყე, თავისი დამათრობელი სასიამოვნო სურნელებით და სამხრეთის მაცოცხლებელი მზის სხივები, აი ის პირობები, რომელიც ბიჭვინთაში იზიდავს ათასობით დამსვენებელს, ბიჭვინთასთან ახლოს, მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს ***მიუსერის მაღლობი***, რომელიც აგრეთვე ერთ-ერთ მშვენიერ საკურორტო ადგილს წარმოადგენს აფხაზეთში. ადგილის სახელწოდება – მიუსერა შეიქმნა აქ გამდინარე პატარა მდინარე მიუსერის მიხედვით, რომელიც უშუალოდ ერთვის ზღვას.

წყალუხვია ბზიფი თავის შენაკადებით. წყალდიდობა დამახასიათებელია აპრილ-ივნისში. გაზაფხულის წყალდიდობა, რომელიც თოვლის დნობითა და წვიმებითაა გამოწვეული, ჭარბობს ზაფხულის წყალდიდობას.

მეთოდური მითითებანი.

მასწავლებელი მდ. ბზიფის აუზის შესახებ ცნობებს მოსწავლეებს აცნობს შერჩევით. მასალის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები მსჯელობენ, რა მსგავსებები და განსხვავებებია მდინარეებს კოდორსა და ბზიფს შორის. დაფაზე ხაზავენ ცხრილს და ავსებენ.

მსგავსებები	განსხვავებები

მოსწავლეებმა პასუხები უნდა გასცენ შემდეგ შეკითხვებს:

- *რატომ ასაზრდოებს მდ. ბზიფის სათავეში მდებარე რამდენიმე მყინვარი მას ნადნობი წყლით, ასაზრდოებს წლის მხოლოდ თბილ პერიოდში?*
- *როდესაც მდ. ბზიფის ხეობაში მდგარი ტექსტის ავტორი ამბობს: „ერთი მხრივ (მარჯვნივ) ბუმბერაზი კავკასიონია, ხოლო მეორე მხრივ (მარცხნივ) ბზიფის ქედი თავზე დასცქერის მდინარის ხეობას“, პირით რა მიმართულებით დგას (დასავლეთის თუ აღმოსავლეთის)? ახსენით.*
- *რატომ ამბობს ტექსტის ავტორი, რომ ზამთარში, უამინდობის დროს, ფსხუ „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ იქცევა ხოლმეო?*
- *რა თავისებურებებით ხასიათდება ტიპური ვაკის მდინარე? მსგავსი თავისებურებები ხომ არ იყო აღნიშნული მდ. კოდორის შემთხვევაშიც? მოიყვანეთ არგუმენტები.*

ბზიფსა და კოდორს შორის მოქცეული მდინარეები

მდინარე კოდორსა და ბზიფს შორის საკმაოდ ბევრ მდინარეთა ლამაზი ხეობებია გაშლილი. თუმცა ეს მდინარეები უშუალოდ წყალგამყოფ კავკასიონზე არ იწყებიან, მაინც მთის მძლავრ მდინარეებს წარმოადგენენ. ამათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ***კელასური***, გუმისთა, ააფსთა და ხიფსთა. მდ. კელასური სათავეს იღებს ალპურ ზონაში. აქ ის მწვერვალ ხიმსას ახლოს მდებარე მყინვარიდან იწყება. ზემო წელში კელასური დაბურული ტყით შემოსილ მომცრო ქვაბულში მოედინება. ქვემოთ კი ღრმად იჭრება ქედის ფერდობში და ვიწრო ხეობას ჰქმნის, ზოგან კი, სადაც ის კირქვებით აგებულ ქანებს ჰკვეთს, უზარმაზარ კანიონებს აჩენს, რომლის ფსკერზე შხუილით იკვლევს გზას ლოდებიდან ლოდებზე მორბენალი კელასურის ანკარა წყალი. მთელ 40 კმ მანძილზე, სათავიდან შესართავამდე, კელასური ტყით შემოსილ ლამაზ ხეობაში მოედინება, რომლის ორთავ მხარეზე, შუა და ქვემო წელში, აფხაზეთის კოპწია, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში ჩაფლული სოფლებია განლაგებული. შესართავიდან დასავლეთით, ოთხი-ხუთიოდე კილომეტრით დაშორებით, გაშენებულია საქართველოსა და მთელი შავიზღვისპირა სახელმწიფოების ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი-ბაღი – ***სოხუმი***. სოხუმიდან დაახლოებით 20 კილომეტრის დაშორებით, კელასურის ხეობაში მდებარეობს კარსტული მღვიმე, რომელიც საინტერესო ტურისტულ ობიექტს წარმოადგენს.

სოხუმიდან დასავლეთით საავტომობილო გზით რომ გაემგზავრებით, თქვენს თვალწინ გაიშლება მდ. ***გუმისთის*** ხეობა. მართლაც, რომ ფართოდ იშლება აქ გუმისთა, იტოტება, კუნძულებსაც აჩენს, მაგრამ ეს მეტად მცირე მონაკვეთზეა. ძირითადად იგი მთის მდინარეა, მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნებით. მდ. გუმისთა ორი მდინარის შეერთებით იქმნება – აღმოსავლეთ და დასავლეთ გუმისთის. ორივე გუმისთის აუზი დაუსახლებელია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ აღმოსავლეთ გუმისთის პირას „სუხუმჰეს 1“-ის მშენებლობასთან დაკავშირებით შექმნილ პატარა დასახლებას და სამიოდე სოფელს გუმისთების შეერთების ადგილზე.

აფხაზეთის საკმაოდ მოზრდილი მდინარეა ***ღალიძგა***, რომელიც კოდორის ქედზე მწვერვალ ხოჯალის ახლოს იწყება. ზემო წელში ის მთის მდინარეა, ხოლო ქ. ტყვარჩელის ქვემოთ მისი დინება თანდათან ნელდება და ბოლოს კოლხეთის დაბლობზე ტიპური ვაკის მდინარის ხასიათს იღებს. ღალიძგა ცნობილი მდინარეა ჩვენში მაგრამ არა მისი წყლიანობით, არამედ აუზის სიმდიდრით.

ღალიძგის ზემო წელში მდებარეობს ***ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო***. საბადოს ბაზაზე დაარსდა ***ქალაქი ტყვარჩელი***. მდ. ღალიძგა ქ. ოჩამჩირესთან ერთვის შავ ზღვას.

ჩვენი ქვეყნის მდინარეთა შორის ყველაზე დასავლეთით ***ფსოუ*** მდებარეობს. რუსეთს რომ მიემგზავრებით, გასცილდებით თუ არა სოფ. ლესელიძეს, მატარებელი ერთ პატარა მდინარეზე აგებულ რკინის ხიდზე გადაგიყვანთ, ეს მდინარე ფსოუა, რომელზეც გადის სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. ფსოუ მთის მდინარეა. მწვერვალ აგეფსთას დასავლეთ ფერდობზე იწყება და ტყით დაბურულ ვიწრო ხეობაში მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მდინარეს სამხრეთიდან თავზე დაჰყურებს ***გაგრის ქედის*** ლამაზი მწვერვალები. მრავალი პატარა ნაკადული ერთვის ფსოუს ამ მონაკვეთზე, ზოგჯერ ისინი ჩანჩქერებით ეშვებიან ციცაბო ფერდობებზე. მდინარის მეორე ნახევარი ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიემართება. ხეობის ეს მონაკვეთი ფართოა და დასახლებული. სოფ. ლესელიძის დასავლეთით ფსოუ შავ ზღვას უერთდება. სოფელი ***ლესელიძე*** (წინათ მას ერმოლოვსკი ერქვა) შავი ზღვის საუკეთესო საკურორტო ადგილს წარმოადგენს, სადაც საკურორტო სეზონის განმავლობაში აუარებელი ხალხი ისვენებს.

მეთოდური მითითებანი

ტექსტის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები ადგენენ მდინარეთა მსგავს და განსხვავებულ ნიშნებს. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ხელმეორედ უკითხავს ტექსტის საჭირო ფრაგმენტებს. მოსწავლეები დაფაზე ხაზავენ ცხრილს და ავსებენ ჯგუფურად.

ყველასათვის მსგავსი ნიშნები	რამდენიმე მდინარისათვის მსგავსი ნიშნები	განსხვავებული ნიშნები

უნიკალური ბუნების ძეგლები

წყარო: სიმონ ჯაფარიძე, „ძეგლის მეგობარი", 1987, №3, გვ. 52-59.

საქართველოს ეროვნული საუნჯის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ ის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლები, რომლებსაც გააჩნიათ როგორც ისტორიულ-შემეცნებითი, ასევე ესთეტიკური ღირებულება.

ურბანიზაციის თანამედროვე პირობებში, ეკოლოგიური პრობლემების გამძაფრებისა და გააქტიურების ვითარებაში, როცა ძირფესვიანად გადაფასდა აქამდე არსებული შეხედულებანი და დამოკიდებულება ბუნებასთან, უფრო მეტად ინტერესდებიან ადამიანები იმ „პირველყოფილი არქიტექტურით" (ა. დიუმა–მამა), სადაც სულ პირველად ბინა დაიდო და თავი გადაირჩინა ადამიანმა, სტიქიათა შემოტევებისაგან, მტაცებელთა თუ თავისსავე მსგავსთა თავდასხმებისაგან, არსებობისათვის უკომპრომისო ბრძოლაში.

ბუნების ძეგლები ინახავენ ვრცელ ინფორმაციას წარსულის შესახებ და ავსებენ საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

ისინი მოგვითხრობენ შორეულ გეოლოგიურ პროცესებზე, რელიგიურ-საკულტო მოვლენებზე, სტრატეგიულ-თავდაცვითს ვითარებაზე, მათი არსებობა წარმოშობდა და ამდიდრებდა ზეპირსიტყიერებას. ბუნების ძეგლებთან დაკავშირებული ტოპონიმები გვევლინებიან ზოგიერთ სახელთა თუ ტერმინთა ეტიმოლოგიურ საფუძვლად; ისინი წარმოადგენდნენ სხვადასხვა დროის ისტორიულ თუ ლიტერატურულ პერსონაჟთა ლიტერატურულ ასპარეზს.

ამდენად, თითოეული ამგვარი ბუნების ძეგლი დღეს განიხილება არა მხოლოდ როგორც შემადგენელი და შემავსებელი ობიექტი გარემო-ლანდშაფტისა, არამედ, როგორც განუყოფელი ნაწილი ქვეყნის წარსულისა.

კაცხის სვეტი და ძველი პუბლიკაციის ერთი ფურცელი.

„ძეგლი მეგობრის" 1986 წლის პირველ ნომერში, სადაც კაცხის სვეტის კვლევის საკითხებს ვეხებოდით, აღვნიშნავდით: „მეცხრამეტე საუკუნეში, მწერალ გიორგი წერეთელსაც შეუნიშნავს სვეტის თავზე ნანგრევები, მაგრამ იქ ასვლა ვერც მაშინ გაუბედავს ვინმეს".

მოვიძიეთ პირველწყარო დამოწმებული ტექსტისა, რომელიც 1895წ. № 40 გაზეთ „კვალში" არის გამოქვეყნებული სათაურით „კაცხის სვეტი" და დართული აქვს ფოტო სვეტისა.

„ერთ ქვეყნის საკვირველებათაგან – წერს გ. წერეთელი – წარმოადგენს კაცხის სვეტი, რომელიც ბუნებით კლდეა, სვეტათ აყვანილი, სიმაღლე ამ სვეტისა უნდა იყოს არა ნაკლებ ოცი სა-

ჟენისა, სვეტის თავზე მოჩანს ეკლესიის ნანგრევი. ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ რანაირათ აშენდა ამ სვეტის თავზე ეს საკვირველი შენობის ნანგრევი, ვინ აიტანა იქ საშენებელი მასალა, როცა ასავალი სვეტს არსაიდან უჩანს? ადგილობრივი მებატონეები ამბობენ, ვითომ ამ სვეტის თავიდან ჩამოვარდნილიყოს რამდენიმე ვერცხლის ნივთები. ზეპირგადმოცემა კაცხის მცხოვრებთა მოგვითხრობს, ვითომც ამ სვეტის თავზე გაეტარებინოს თავისი უკანასკნელი დღეები სვიმეონ მესვეტეს, დღემდის ხალხში დარჩენილა ამბათ, ვითომც ორი კაცი შესულიყოს ამ სვეტის თავზე და იქ სვიმეონ მესვეტის ხატი ენახოსო. იმათ აღუთქვეს არავის ვუთხრათ ეს ამბავიო. როცა ჩამოსულან გაუმხელიათ და ამის გამო კიდეც დაბრმავებულან. მიუცილებლად როდესმე უნდა ყოფილიყო ამ სვეტზე ასასვლელი კიბე, რომელიც ალბათ ჩამოქცეულა. ადგილობრივი მცხოვრებნი გლეხნი მოდებაძენი ამტკიცებენ, ვითომც იმათ ეკლესიაში დასვენებული სვიმეონ მესვეტის ხატი იმ სვეტიდან იყოს ჩამოსვენებული. სვეტის ძირში ბევრი ძველებური ნანგრევებია და ერთიც ეკლესია არის თავისი სამრეკლოთი".

1895 წელს გადაღებულ ფოტოზე კარგად მოჩანს გ. წერეთლის წერილში აღნიშნული მცირე ზომის ეკლესია და სამრეკლო. სამრეკლო დაახლოებით იმ ადგილზე მდგარა, სადაც 1973 წელს დიდხნოვანი ცაცხვის წაქცვის შედეგად შემთხვევით გაიხსნა ხის ფესვებს ქვემოთ არსებული აკლდამა.

სამწუხაროდ აკლდამის შესასწავლად მოგვიანებით ჩასულმა არქეოლოგებმა ვერ შესძლეს რაიმე მნიშვნელოვანი მასალის მოპოვება, ვინაიდან არქეოლოგიური ძეგლის კულტურული ფენა საფუძვლიანად იყო გადათხრილი ადგილობრივი „ენთუზიასტების" მიერ.

სამაგიეროდ საინტერესოდ მოგვითხრობს 1944 წლის კაცხის სვეტის შემსწავლელი პირველი ექსპედიციის მწერალი ლევან გოთუა სვეტის თავზე არსებული აკლდამის შესახებ „როცა გამოვწმინდე და მოვთხარე, ადამიანის ჩონჩხს, წავაწყდი მუხის ერთი ჩონჩხია ძლიერ გამოფიტული, თავის ქალა სრულიად დაშლილა, სჩანს, თავი გასავლისაკენ, ე.ი დასავლისაკენ ჰქონია, იქვე თიხის ჯამის ნამსხვრევი ვნახეთ, ალბათ უკანასკნელი მესვეტის ჩონჩხია და მას დამარხვა აღარ ჰღირსებია. სიკვდილის მოახლოების ჟამს, თავად თუ შესულა აკლდამაში, იქ მიწოლილა სიკვდილის სარეცელზე და ისევ დაგვხვდა, იქნებ ათას წელიწადს შემდგომ, მუხის ფესვებში ჩახლართული და ჩაჭედილი".

გ. წერეთლის წერილში მოტანილი, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არსებული ზეპირი გადმოცემა, რომ „ვითომ ამ სვეტზე გაეტარებინოს თავისი უკანასკნელი დღეები სვიმეონ მესვეტეს", ლეგენდის ჩარჩოებს არ უნდა სცილდებოდეს: შეიძლება ეს იმ დიდი ურთიერთობის მიმანიშნებელი-ფაქტის გამოძახილია, რაც ქართველ მოღვაწეებს ჰქონდათ სირიელ მეუდაბნოეებთან.

სვიმეონ მესვეტე უფროსისა (356-459) და მისი საქმის მიმდევარის სვიმეონ მესვეტე უმცროსის (521- 592) სახელებმა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთათვის მოწესის მაგალითს წარმოადგენდნენ და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ ქრისტიან მორწმუნეთა შორის– სათანადო გამოხატულება ჰპოვა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების ისტორიის შემდგომ პერიოდშიც.

გოდერძის უღელტეხილის გაქვავებული ტყე.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ინიციატივით მოეწყო გასვლა ადიგენის რაიონში გოდერძის უღელტეხილის გაქვავებული ტყის პასპორტიზაციის მიზნით.გამსვლელ ჯგუფში შედიოდნენ: ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ჯაფარიძე, ბუნების ძეგლთა განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები ს.ჯაფარიძე და ნ. გამცემლიძე.

ბათუმ-ახალციხის გზის მშენებლობის დროს 130-132-ე კილომეტრზე წარმოქმნილი გაშიშვლება, სარმატული ასაკის ვულკანოგენურ-დანალექ ქანებს წარმოადგენს იგი ზღვის დონიდან 200 მ. ხოლო მდინარის დონიდან 150-200 მეტრ სიმაღლეზეა განლაგებული.

ლანდშაფტი მეტად მრავალფეროვანია და მიმზიდველი, გაშიშვლების თავზე ნაძვნარია, ქვემოთ შერეული ტყე.

ბუნების ძეგლის მიმნიშნებელი ნაშთები ვრცელდება დაახლოებით 2 კილომეტრის მანძილზე, ქანებში ჩანს ნამარხი ფოთლების ანაბეჭდები, ადგილ-ადგილ შემორჩენილია მერქნის გაქვავებული ნაშთები.

იქ, სადაც დღეს ბათუმი-ახალციხის სამანქანო გზა გადის, რამდენიმე მილიონი წლის წინათ მიდამო სუბტროპიკული ტყით იყო დაფარული, სადაც ხარობდა მარაოსებურად გაშლილი პალმები, დაფნის, ქაფურის ხეები, რომელთა მსგავსი ხეები დღეს სამხრეთ იაპონიასა და კანარის კუნძულებზე, ინდოეთსა და სამხრეთ ჩინეთში გვხვდება. აქ თბილი ჰავისა და ხშირი წვიმების გამო ტყეებს თითქმის გაუვალს ხდიდა ლელი და ლაქაში, გვიმრების და ბუჩქნარების საფარველი.

ვულკანური მოვლენების შედეგად ტყე, თავისი უზარმაზარი ხეებით, ფერფლისა და ტალახის სქელ ფენაში ჩაიმარხა. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში, ბათუმ-ახალციხის გზის მშენებლობის დროს, ადამიანთა თვალწინ მოულოდნელად გამოჩნდა ბუნების ეს საკვირველება,

რომელსაც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში „გოდერძის ფლორას“ უწოდებენ. იგი, როგორც ბუნების საოცარი ძეგლი, ნაკრძალად არის გამოცხადებული და სახელმწიფო იცავს ხელყოფისა და დაზიანებისაგან.

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ ახალი საოცარი აღმოჩენით გაამდიდრა საქართველოს უძველესი წარსულის ისტორია.

ნასოფლარ ძინძეს მიდამოებში, გაშიშვლებულ ქანებში, გეოლოგებმა შეამჩნიეს მიყვითალო ფერის გაქვავებული ხის საკმაოდ სქელი, გადახრილი ნაწილი, რომელიც ერთი შეხედვით გარეგნულად გარეული ვაზის ღეროს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე სხვა რომელიმე მცენარეს, რაც კი აქამდე ნაპოვნი, ცნობილი და შესწავლილი ყოფილა გოდერძის წყებაში. „გაქვავებული ხე“ გიგანტური ვაზის ღერო აღმოჩნდა.

ნაპოვნმა ნიმუშმა დაადასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 15 მილიონი წლის წინათ არა თუ მცირე ზომის, არამედ გიგანტური ვაზიც ხარობდა.

სამწუხაროდ, ამ უნიკალურ ძეგლს ბევრი დამზიანებელი გაუჩნდა, გაქვავებული ხის ნაშთებს იყენებენ კუსტარული საგნების დასამზადებლად და ეწევიან კერძო ვაჭრობას.

საჭიროა ბუნების ძეგლთა დაცვის ორგანოებთან ერთად მეტი აქტიურობა გამოიჩინოს ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ამ უიშვიათესი ძეგლის გადასარჩენად.

ილიას განდეგილი და ბეთლემის მღვიმე.

ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ 1883 წელს შეიქმნა. პოემის სიუჟეტად ავტორმა ხევში გავრცელებული თქმულება გამოიყენა და ნაწარმოების პერსონაჟთა მოქმედებაც ბეთლემის მიდამოებში განავითარა.

პოემა ილიას სიცოცხლეშივე გახდა კამათისა და მსჯელობის საგანი.

თანამედროვეთა განსაკუთრებულ ინტერესს, ნაწარმოების ღრმა ფილოსოფიური და მხატვრული სიძლიერით რომ იყო განპირობებული, აორკეცბდა ინტერესი– რამდენად უკავშირდებოდა იგი სინამდვილეს.

ზოგიერთი თვლიდა, რომ ილიას, პოემაზე მუშაობისას შეეძლო ესარგებლა ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „მყინვარსა კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინის, გადმოკიდებული ქბაბიდამ, და მით აღვლეს, იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამისა კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ, კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცალიერი”.

ამასვე ადასტურებს იოანე ბატონოშვილის „კალმასობაში“ აღწერილი ამბავი მღვდელი იოსებ მოხევის შესახებ, რომელიც ყოფილა „ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითვა სათნოება ამის. ესე ნებითა ღვთისათა ღვიდა მყინვარისა მთასა სინა, კაცთაგან მიუვალსა და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრამისა მამამთავრისა, რომელ ლერეთცა არავინ არსრულ არს მთასა მასა, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარვისა რომელი და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულთმოქმედებისასა და ესრედ უფლისად დაიძინა.”

გავრცელებული ლეგენდებისადმი დაინტერესების გამოძახილად, ჭეშმარიტების დასადგენად გადადგმულ პირველ ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ 1913 წლის 15 დეკემბერს ჟურნალ „ ი ს კ რ ა “ № 49 -ში გამოქვეყნებული მასალა სათაურით –„წმინდა ნინოს“ ტაძარი, რომელშიც ვკითხულობთ: „კავკასიის მთიელთა შორის – ინგუშებსა და ხევსურებში დიდი ხანია დადის ხმები, რომ ყაზბეგის მწვერვალზე, მის მიუვალ კლდეებსა და მუდმივ ყინულებში არის რომელიღაც ძველი ტაძრის ნანგრევები. ამ მონათხრობს, ფანტაზიის სფეროს აკუთვნებდნენ და უკანასკნელ დრომდე არ სჯეროდათ, მიუხედავად იმისა, რომ მთიულები მწვერვალზე შესანიშნავ ჯვარს მიუთუთებდნენ და ამ ადგილს „წმინდასა“ და „ბეთლემს“ უწოდებდნენ. მხოლოდ მიმდინარე ზაფხულს, ყაზბეგის მყინვარების გამოკვლევას რომ აწარმოებდა, რუსეთის სამთო საზოგადოების, ვლადიკავკაზის განყოფილების საბჭოს წევრმა ა. ი. დუხოვსკიმ შესძლო ამ ადგილზე, 12700 ფუტის სიმაღლეზე, ნამდვილად აღმოეჩინა ძველი მონასტრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, დაუარსებია საქართველოს განმანათლებელს წმინდა ნინოს. ნანგრევები გერგეთის მყინვარის უშუალო სიახლოვეს არის. შემონახული საძირკვლის მიხედვით, აქ იყო რვა სენაკი და საყდარი. ძველი ტაძარი, უთუოდ დაანგრია არა დრომ, არამედ კატასტროფამ (ყინულის ან კლდეების ჩამოზვავებით), ასე რომ შენობის ხის ნაწილიც კი შემონახულია.

ადგილობრივი პირობების სირთულის გამო, მისასვლელად სამი ასვლა დასჭირდა. პირველი ასვლა მოხდა ივლისში, ბოლო კი სექტემბერში: ჯერ მხოლოდ ადგილის დათვალიერება ჩატარდა, გათხრები კი მომავალი წლისათვის გადაიდო”.

წერილთან ერთად დაბეჭდილია ფოტოები მონასტრის ნანგრევებისა და მასიური კლდის თავზე აღმართული ქვის ჯვარისა (ამჟამად მომტვრეულია).

ხალხის ფანტაზიამ ბეთლემის იდუმალებით მოსილ ისტორიას არაერთი საინტერესო დეტალიც დაუკავშირა, „ბეთლემის ბერი“ –ასე შეურქმევიათ ვულკანოგენური ნგრეული შთენილი ქანის 12 მეტრიანი სიმაღლის სვეტისათვის, რომელიც მყინვარწვერის აღმოსავლეთ ფერდობზე ზღვის დონიდან 3100 მეტრზეა აღმართული. დასავლეთის მხრიდან იგი მართლაც განდეგილი ბერის ფიგურას განასახიერებს – ისახება კუზიანი ზურგი, წვერი, ცხვირი თავზე დახურული კუნკულით (იგი, როგორც ბუნების იშვიათი ძეგლი, აღრიცხულია და საქართველოს წითელ წიგნშია შეტანილი).

ას წელზე მეტი გავიდა პოემა „განდეგილის“ შექმნიდან. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ლეგენდებისა და თქმულებების შეჯერებით მიღებულ დასკვნებზე უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა სინამდვილე.

ბეთლემის მღვიმის აღმოჩენამ სავსებით დაადასტურა პოემაში აღწერილი ადგილების რეალობა, ხოლო ამ აღმოჩენებით ბიძგი მიეცა ბეთლემისა და მისი შემოგარენის ათვისებას უკვე მეცნიერული კვლევის საფუძველზე.

პირველი ექსპედიცია მღვიმის ადგილზე შესწავლის მიზნით მოეწყო 1948 წელს, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

„გამოქვაბული მდებარეობს – წერდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ალ. ჯაფარიძე, – მწვერვალ ყაზბეგის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდოვანი ქედის ფერდობზე, დაახლოებით 4000-4100 მეტრის სიმაღლეზე, მისი გარეგანი სახე მეტად საინტერესოა: გამოქვაბულის კარი გამოკვეთილია თითქმის 400 მეტრის სიმაღლის შვეულ, მართლაც „ფრიალოსაებრ ჩამოთლილ“ კლდეზე. კლდე შორიდანვე განირჩევა თავისი მოწითალო ფერით და სრულიად მიუვალად ეჩვენება თვალს. მანძილი კლდის ფუძიდან კარამდე დაახლოებით 300 მეტრი იქნება, ხოლო კარიდან კლდის წვერამდე 100 მეტრი.

ნანახი ზედმიწევნით დაემთხვა ბეთლემის სანახების ილიას მიერ აღწერილ სურათს.

ექსპედიციის წევრებს განდეგილის სენაკი წარმოუდგათ შემდეგი სახით: მღვიმე ხელითაა დამუშავებილი და მომრგვალებული ფორმისაა, კარის ზემოთ მოთავსებულია სარკმელი, საიდანაც სენაკში დღის სინათლე შედის, რკინის კარზე გადაკრულია ორი მილიმეტრის სისქის რკინის ფურცელი, მარცხენა ბოძის ძირში, შიგნით დამაგრებულია ერთმეტრიანი ჯაჭვი, რომლითაც, ალბათ შიგნიდან იკეტებოდა კარი. შუა კარზე მიმაგრებულია 5,5 მეტრის მსხვილი ჯაჭვი რკინისა, რომელსაც ბოლოში გამობმული აქვს ნალისებური რგოლი ხელის მოსაკიდებლად

ნივთები რომელიც ამ სენაკში დახვდათ პირველ ამსვლელებს (ჭედური ხატი-დროშა ,დაახლოებით მეცამეტე საუკუნის, სამფეხა ბრინჯაოს შანდალი, ისრისპირი, ეჟვანი, 10 ცალი ძველებური ვერცხლის ფული და სხვა – სულ 20 საგანი), სათანადო მეცნიერული დასკვნის შემდეგ, ამჟამად ექსპონირებულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ბუნებრივია, პირველთაგანნი რომელთაც ამ აღმოჩენის შემდეგ ინტერესი გაუჩნდათ ილიას ლიტერატურულ გმირთა საასპარეზო ადგილების მონახულებისა, იყო ქართველ შემოქმედთა დიდი ჯგუფი, რომელსაც გამოჩენილი მწერალი, მთასვლელი, ისტორიულ ძეგლთა მოამაგე და ბუნების მესაიდუმლე – ლევან გოთუა ჩაუდგა სათავეში.

ექსპედიცია მოეწყო 1957 წლის სექტემბერში, ბეთლემის აღმოჩენის 10 წლის შემდეგ და მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლის იუბილეს. მასში შედიოდნენ ა. ჯაფარიძე, ა. გეწაძე ზ. შერაზადაშვილი, ო. კუპრავა, ე. ყიფიანი, ზ. ლორთქიფანიძე, გ. ქავთარაძე, რ. ინანიშვილი, ე. ქურდიანი, ვ. მიხაილოვი, ჯ. ლოლუა, ჯ. ჩარკვიანი, გ. თიკანაძე, გ. ყალაბეგიშვილი, ნ. შამანაძე, ლ. სუჯაშვილი, 2 კინოოპერატორი და რადიოკომიტეტის 2 თანამშრომელი. ასვლა მიუხედავად უამინდობისა წარმატებით დამთავრდა.

მწერალი ე. ყიფიანი, რომელიც ბეთლემიდან დაბრუნების შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს ნაწარმოებში „მთაწმინდიდან მყინვარამდე”, – აღნიშნავს: „ჩვენ ავაჟღარუნეთ ილიას განდეგილისეული ჯაჭვი, წავიკითხეთ ლექსები და ვიწყეთ უკან ჩამოსვლა; პატივცემული ალექსანდრა გვიჩვენებს შორს, მთათა შორის ამაღლებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალს....

ბეთლემის კომპლექსმა, რომელსაც ჩამოსცილდა ლეგენდების ბურუსი, ახალგაზრდა მკვლევარებიც მიიზიდა.

1978 წლის 14-დან 21 ოქტომბრამდე ბეთლემის მიდამოებს ეწვია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მიერ ორგანიზებული ჯგუფი, ექსპედიციამ შეძლო დაემოწმებინა 1913 წელს ა. დუხოვსკის მიერ აღნიშნული 10 ნაგებობის ნანგრევები და ისინი ბეთლემის მიდამის ტოპოგრაფიულ სქემაზე დააფიქსირა.

1980 წელს უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ პ. მარგველაშვილის ხელმძღვანელობით კვლავ მოაწყო კომპლექსური ექსპედიცია ბეთლემის მიდამოების შესასწავლად., რომელშიც მიწვეული იყო ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქეოლოგიის განყოფილების გამგე ბ. მჭედლიშვილი. ამ ექსპედიციამ ახალი საინტერესო მასალები მიაკვლია მყინვარის ფერდობზე არსებული სამონასტრო კომპლექსის შესახებ და შექმნა იმის გარანტია, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგას ლეგენდიდან სინამდვილისაკენ.

სოფელ ილმაზლოში (მარნეულის მუნიციპ-ი) შემორჩენილი იყო ლავურლი მოწმე, ვულკანური ქანის – დოლერიტის პატარა მასივი. იგი გარშემორტყმული იყო ალუვიური ვაკით. აქვე ახლოს კი ლავის ამონთხევის არავითარი ცენტრი არ არსებობს. მაშ, საიდან მოხვდა აქ ეს მოწმე? მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ილმაზლოს ლავა იყო ბოლო უზარმაზრი ზედაპალიოცენური ლავური ღვარის ნაშთი, რომელიც ჯავახეთის ქედიდან ჩამოვიდა მდინარე მტკვრამდე. ამას მოწმობდა მისი შემადგენლობა. რა დაემართა ლავური ღვარის შუალედურ ნაწილს? გადაირეცხა? არა! ჭაბურღილებით დადგინდა, რომ მარნეულის ვაკეს 100-150 მეტრის სიღრმეში დოლერიტული ლავა უფენია. მაშასადამე, პლიოცენის ბოლოდან დღემდე ვაკე დაიძრა მინიმალურად 100-150 მეტრით.

ილმაზლოს ლავურ მოწმეს მეცნიერებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, ამ მოწმეს მოსახლეობა საშენ მასალად იყენებდა. გახსნილი იყო კარიერები. ამიტომაც, 1982 წელს გამოცემულ „საქართველოს წითელ წიგნში“ იგი შევიტანეთ როგორც ბუნების ძეგლი, რათა დაცულ ყოფილიყო სრული განადგურებისაგან. წიგნში ვწერდით: „ილმაზლოს დოლერიტს ადგილობრივი მოსახლეობა საშენ მასალად იყენებდა, ამიტომ აქ დარჩენილია დოლერიტის კარიერები. თუ ზომები არ იქნა მღებული, დოლერიტის გამოსავლები შეიძლება განადგურდეს და მოისპოს გეოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი ძეგლი. ამ მიზნით უნდა აიკრძალოს დოლერიტის შინამრეწველურად გამოყენება და გატარდეს ღონისძიება მისი ხელოვნური ჭრილის გაკეთების, კეთილმოწყობისა და დაცვისათვის“ (საქართველოს წითელი წიგნი, თბილისი, 1982, გვ. 219).

მიუხედავად იმისა, გულთან ახლოს არავინ მიიტანა, ყურად არავინ იღო და ამჟამად ბუნების ძეგლი და წარსულის უტყუარი მოწმე მეცნიერებისათვის მოისპო!

ილმაზლოს ლავური მოწმე კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განადგურდეს ბუნების ძეგლი!

წლების განმავლობაში ნადგურდებოდა **ხარისარის** (ყაზბეგის მუნიციპ-ი) კლასიკური ლავური ღვარი. მაშინდელი ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და გაზეთების მეშვეობით, ჩვენი არაერთი მიმართვის საფუძველზე, გასული საუკუნის 80-ანი წლების მეორე ნახევარში აიკრძალა ხორისარის ლავური ღვარის კარიერები. აქ მოიპოვებდნენ ანდეზიტს და უმეტესად რესპუბლიკის გარეთ გაჰქონდათ ძვირფას საშენ მასალად. ამჟამად მისი მოპოვება და დამუშავება არ მიმდინარეობს, მაგრამ ბუნების ეს ძეგლი ძალზე დაზიანებულია და თავდაპირველი სახე შენარჩუნებული აღარ აქვს.

უმოწყალოდ ნადგურდებოდა მთლიანად აგებული ერთადერთი **მთა ჭიქიანი** (წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპ-ები). მას იყენებდნენ რკინიგზისა და საავტომობილო გზების მოსაკირწყლად, სხვადასხვა ნაკეთობათა დასამზადებლად და სხვ. მისი ფერდობები გადათხრილი და სხვადასხვა ფერის ობსიდიანის ლოდებით იყო მოფენილი; ამჟამად, საბედნიეროდ შეწყვეტილია მისი მოპოვება და დამუშავება.

შ. ყიფიანი. საქართველოს კარსტი

ანტიკური მწერლების ცნობები კავკასიის გამოქვაბულებზე

რელიეფის ფორმათა შორის კარსტული გამოქვაბულები საცხოვრებლად ყველაზე უფრო მოსახერხებელ ბუნებრივ ადგილებს წარმოადგენდა პირველყოფილი ადამიანებისათვის. და მართლაც კარსტული გამოქვაბულები პირველ რიგში იყო მათ მიერ გამოყენებული. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალა, რაც მოპოვებულია სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებში.

ცხადია, რომ პირველყოფილ ადამიანთა შეხედულებანი კარსტულ გამოქვაბულებზე პრიმიტიული იყო, მაგრამ მათ უკვე შეეძლოთ გაერჩიათ ისინი საცხოვრებლად კარგი, თუ ცუდი პირობების მიხედვით. წერილობითი ცნობები პალეოლითელი ადამიანის ამ შეხედულებებზე არ დაგვრჩენია და, რა თქმა უნდა, არც შეიძლება გვქონდეს. ამ წარმოდგენებს ჩვენამდე შეიძლება მხოლოდ მითური თქმულებების სახით მოეღწია მარტო მას შემდეგ, რაც ადამიანი განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე ავიდა და თავის განცდები და ნახული მოვლენები სიტყვიერად შეეძლო გამოეხატა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ძველი ბერძნების თქმულება ჩრდილოეთის ქარზე – ბორეას-ზე, რომლის სამშობლოს ურალის მთებს და თვით დასავლეთ კავკასიონსაც კი გულისხმობენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ **არგონავტების კოლხეთში** ლაშქრობის შესახებ არსებულ თქმულებაში (ძვ. წ. ა. III ს-მდე) მოხსენიებულია მშრალი გამოქვაბულებიც და სხვა.

ამგვარად, ანტიკურ ხანაში ძველმა ბერძნებმა უკვე კარგად იცოდნენ, რომ დასავლეთ კავკასიონში არსებობდა ცივი და მშრალი გამოქვაბულები და ზოგ მათგანში ცხოვრობდა ტროგლოდიტები. მაგრამ ამ გამოქვაბულთა მდებარეობა ზუსტად არ არის მითითებული და არც სხვა ცნობებია მოყვანილი. ცხადია, რომ ისინი ბუნებრივ გამოქვაბულებად უნდა ჩავთვალოთ და დასავლეთ კავკასიონის პირობებისათვის ისინი კარსტული იქნებოდნენ.

ისტორიულ ხანაში ადამიანი თავდაცვის მიზნით არა მარტო ბუნებრივ გამოქვაბულებს იყენებდა, არამედ აფართოებდა მას და ახალსაც ქმნიდა. ამ უკანასკნელთა შესანიშნავ ძეგლებს ვაჰანის, ვარძიის, შიომღვიმის, უფლისციხისა და სხვა ხელოვნურ გამოქვაბულთა კომპლექსები წარმოადგენენ. მათ შესახებ, აგრეთვე ბუნებრივ ან ნაწილობრივ ხელოვნურად გაფართოებულ გამოქვაბულებზე, ძვირფასი ცნობები მოიპოვება ქართულ ისტორიულ მატიანეებში და ისტორიულ ძეგლებში. ძველად ამ გამოქვაბულებს ქვაბებს ან ქვაბოვანებს, ანდა ქუაბებს და ქუაბოვანებს უწოდებდნენ. მაგალითად, ლეონტი მროველი აღნიშნავს „ქუაბს“ დიღმის მიდამოებში, „ჯურღმულს“ (ე.ი. წყლიან ორმოს, „უფსკრულს“ (217), გვ. 74 და 96. ვახტანგ გორგასლის ქ. პონტოზე ლაშქრობასთან დაკავშირებით, ჯუანშერი მოიხსენიებს ამ ქალაქის „ქუაბებს“, აგრეთვე მცხეთის დასავლეთით ადგილ მღვიმეს მიდამოებში – „ქვაბი კლდისა გამოკვეთილი“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აგრეთვე მოხსენიებული აქვს „ქუაბი“, გვ. 327. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში ლაპარაკია ვარძიის გამოქვაბულის აგებაზე, გვ. 91.

ხვამლის გამოქვაბულის, როგორც მეფეთა განძთსაცავის შესახებ პირველ ცნობებს გვაწვდის უცნობი ისტორიკოსი – ჟამთააღმწერელი. იგი აღწერს რა XIII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს სამეფოს ორად გაყოფას გიორგი (IV) – ლაშას მემკვიდრეებს – დავით V (გიორგი ლაშას ძესა; ულუ-დავითად, ე.ი. უფროს დავითად წოდებული) და დავით IV (რუსუდანის ძესა; ნარინ-დავითად, ე.ი. უმცროს დავითად წოდებული) შორის, ჩერდება ხვამლის გამოქვაბულში არსებული განძის განაწილებაზეც. იგი წერს: „გარნა ხუამლსა ქუაბსა რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს, და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს“.

უკვდავი შოთა რუსთაველი (XII ს.) თავის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ტარიელისა და ასმათის თავშესაფრად ქვაბი ან ქვაბნი, ანდა ქვაბოვანი აქვს მითითებული, რომელიც „კლდეთა შიგან“ მდებარეობს.

შოთა რუსთაველის მიერ აღწერილი ქვაბი ან ქვაბნი, ანდა ქვაბოვანი და მისი მიდამოები ძლიერ ჰგავს საქართველოში ასე ფართოდ გავრცელებულ კარსტულ გამოქვაბულებს და მათ მიდამოებს. ეგების დიდ შოთას სწორედ საქართველოს კარსტული ერთ-ერთი მხარე ჰქონდა მხედველობაში, როცა თავის სათაყვანებელი გმირის ტარიელის სადგომის აღწერის პოეტურ ფორმებში აყალიბებდა. მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ასეთ ობიექტად უფრო შესაძლებელია გამხდარიყო ზემო იმერეთის ტერიტორია, კერძოდ ჩხერიმელას ხეობაში გავრცელებული ერთ-ერთი გამოქვაბული და სხვ. ასეთ შესაძლებლობაზე მიუთითებს გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტები ს. ჩხერელი და კორნელი. მაგალითად, ს. ჩხერელი 1886 წელს წერდა: „ამ სოფლის (ე.ი. ჩხერიმელას ხეობაში არსებული) მახლობლად სამის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს სოფელი „თეთრა წყარო“. ამ სოფელში, აზნაურ წულუკიძეების მამულში არის ერთი გამოქვაბული კლდე, რომელსაც სიგრძე ნახევარი ვერსის ოდენი ექნება, სიმაღლე ხუთ საჟენამდე და სიგანე ათ საჟენამდე ცოტა მეტი. ეს კლდე ძალიან გვაგონებს იმ კლდეს, რომელიც უკვდავ შოთა რუსთაველსა აქვს აღწერილი „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ვეფხისტყაოსნის ორმა გმირმა, ავთანდილმა და ტარიელმა ერთმანეთი ნახეს. კლდის წინ იგივე შამბნარია, ტყე და პატარა ხევი, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“ ნათქვამი. გამოქვაბულ კლდეს მცხოვრებლები უწოდებენ „დევის სადგურსა“. ეს კლდე მე თვითონ ვნახე ამ ცოტა ხანში და სწორედ შესანიშნავია თავის მოყვანილობით და ღირსია ჩვენი არქეოლოგების ყურადღებისა“. სხვათა შორის ეს გამოქვაბული დევისხვრელი უნდა იყოს, რომელიც გ. ნიორაძის არქეოლოგიური გამოკვლევების წყალობით ასე ფართოდაა ცნობილი პალეოლითელ ადამიანის სადგომთა შორის. გაზ. „ივერიის“ მეორე კორესპონდენტი კორნელი 1887 წელს აღწერს რა სოფ. ძევრის მიდამოებს, განსაკუთრებით კი მდ. ძევრულას სათავეებში არსებულ გამოქვაბულებს, აღნიშნავს, რომ „საზოგადოთ ეს ადგილი ძალიანა ჰგავს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ ტარიელის სადგომს; ამას ისიც დავუმატოთ, შენიშნავს ავტორი, რომ ხალხი ერთ გამოქვაბულთაგანს პირდაპირ ტარიელის სადგომს უწოდებს“, გვ. 3.

ამავე ლიტერატურულ ძეგლში მოხსენიებულია აგრეთვე შემდეგი ტერმინებიც: ქვესკნელი, გვირაბი და ხვრელი.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ფეოდალურ საქართველოში, სახელდობრ XI-XVII სს. ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში დაცულია ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა უმთავრესად ხელოვნურ გამოქვაბულებზე, რომელთაც ამ ხანაში თავშესაფრად, ციხესიმაგრეებად ან სხვა მიზნით იყენებდა ქართველი ხალხი. ამავე მიზნით ნაწილობრივ-იყენებდნენ ბუნებრივ, კერძოდ კარსტულ გამოქვაბულებსაც: მაგალითად, ხვამლის გამოქვაბული ცნობილია როგორც მეფეთა განძსაცავი.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ხანაში ცნობილი იყო სხვა კარსტული გამოქვაბულებიც, რომელთა ნაწილსაც ზემოაღნიშნული მიზნით იყენებდნენ. მაგრამ ამ გამოქვაბულთა შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობები აღმოჩენილი არ არის. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ დასახელებულ და სხვა ძეგლებში შემორჩენილია კარსტმცოდნობითი ბევრი ტერმინი, რომელსაც დღესაც ხმარობენ, ან მომავალში შეიძლება იქნას გამოყენებული.

არქ. ლამბერტის ცნობები სამეგრელოს კარსტის შესახებ (XVII საუკუნის 50-იანი წლები).

როგორც ცნობილია, იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ 1654 წელს გამოაქვეყნა შრომა სამეგრელოს აღწერა. ეს შრომა შედგენილია სამეგრელოში მოგზაურობისა და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, 1633-1649 წწ. იგი ახასიათებს რა ოდიშის (სამეგრელოს) რელიეფს, წერს: „ფიქრობენ, რომ მიწაში მრავალი მღვიმე არისო, რადგან მრავალ ადგილას, როცა ცხენი გარბის, მიწას ჟღერის ხმა გააქვს, რისი ახსნაც მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ძირს მღვიმეები უნდა იყოს“. არქანჯელო ლამბერტის აზრითვე შავსა და კასპიის ზღვებს შორის მიწისქვეშა კავშირი არსებობს. ამის შესახებ იგი წერს: „საზოგადო აზრით, ამის მიზეზი (ე.ი. კასპიის ზღვის წყალი მარილიანია და მასში წყლის რაოდენობა არ მატულობს, მიუხედავად მდინარეთა შერთვისა – შ.ყ.) ის არის, რომ მისი წყალი ერთვის შავი ზღვის წყალს მიწისქვეშეთის არხებით. ამის უარყოფა შეუძლებელია, თუმცა არავის არ გამოუკვლევია, თუ სად არის ეს არხები. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ზოგი ასეთი არხი კოლხიდაში უნდა იყოს. ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ კოლხიდაში მე მრავალ ადგილას შემინიშნავს, განსაკუთრებით მინდვრებში, როცა ცხენი მიჭენებს, მიწისქვეშ რაღაც გუგუნი ისმის, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ იქ დიდი ცარიელი სივრცე უნდა იყოს. ეს სიცარიელე უეჭველი ნიშანია, რომ მისი შემწეობით ორსავე ზღვას კავშირი აქვს ერთმანეთთან. ამას ამტკიცებს ის გარე-მოება, რომ ორივე ზღვაში მრავალი თევზია ერთის და იმავე ჯიშისა“.

რა თქმა უნდა შავ და კასპიის ზღვებს შორის მიწისქვეშა არხების საშუალებით კავშირი არ შეი-ძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ არქანჯელო ლამბერტის მითითება სამეგრელოში მიწისქვეშა სიცარი-ელეების არსებობაზე სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა არა ისეთი მნიშვნელოვანის სიდიდისა, რო-გორც იმას იგი გულისხმობდა. არქანჯელო ლამბერტის მიერ მითითებული მიწისქვეშა სიღრუეები, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ის კლასტოკარსტული გამოქვაბულები, რომლებიც ამ ბოლო დროს გახდა გაცხოველებული კვლევის ობიექტი. ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ არქანჯელო ლამბერტისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ზოგიერთი ასეთი გამოქვაბული, თუმცა იგი ამას არ აღნიშნავს.

ქართველ მეცნიერ-სწავლულთა და უცხოელ მოგზაურთა ცნობები კარსტზე (XVIII საუკუნის 20-40-იანი და 80-იანი წლები).

ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანი ცნობილ შრომაში, – „ლექსიკონი ქარ-თული“, რომლის შედგენა მან XVIII საუკუნის პირველ მეოთხედის ბოლოს დაასრულა, მოიპოვება მთელი რიგი კარსტოლოგიური ტერმინი და მოცემულია მათი სათანადო განმარტება, მაგალითად: ბაქანი, ბელღოჯი, გვიმი ან გჯმი, დარანი, ეხი, მთხრებლი. მათ შორის: მღვიმე ან მღჯმე, ორმო, ჭა, ჴნარცჯი, ჯურღმული, პარესი, სასულე, სორო, ქვაბი, ღრუ, ღრუდო და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში შეტანილი ამ ტერმინების ნაწილი დღესაც იხმარება, ხოლო დანარჩენი საჭიროა აღდგენილ იქნას. ამასთან ეს ლექსიკონი გვეხმარება ზოგი-ერთი ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებაში, მაგალითად, მღვიმისა და გამოქვაბულის და სხვ. (იხ. ქვემოთ).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ თხზულებაში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართ-ველოს გეოგრაფია), რომლის შედგენა 1745 წელს დასრულდა, ვხვდებით აღმოსავლეთ საქართ-ველოში ასე ფართოდ გავრცელებულ ხელოვნურ გამოქვაბულთა აღწერასთან ერთად, დასავლეთ საქართველოს კარსტულ გამოქვაბულებზე და, როგორც ჩანს, ზოგიერთ კარსტულ მოვლენაზეც მეტად საინტერესო ცნობებს. ეს ცნობები შეეხება ხვამლის, ყვირილის ხეობის, ძევრის და მღვიმევის კარსტულ გამოქვაბულებს და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვახუშტის თხზულებაში აღნიშნული ის გამოქვაბულები, ყინულოვანი ჭები და სხვა, რომლებიც დასავლეთ საქართველოს კარსტულ ზოლშია გავრცელე-ბული; ასეთები ვახუშტის რამდენიმე აქვს დასახელებული და მოკლედ დახასიათებული; სახელდობრ შემდეგი: 1. „გელათის სამჴრით, აქავ მთაში, აქავ მთაში, არს ქუაბნი, გამოკუეთილნი კლდესა შინა, მრავალნი, განშორებულთათჳს, და აწ ცარიელ არს“; 2. „ძევრის წყალზედ, ჴიდს ზეით, არიან ქუაბნი დიდ-დიდნი, გამოკუეთილნი, მრავალნი, კლდესა შინა, დასავლით, და არს ქუაბი ერთი დიდ-ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირვებლად. ამ ქუაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადული წყ-

აროდ, და არს მას შინა კალმახნი მრავალ. ამ ძევრულას, ამ ქუაბს ზეით, ერთვის ჴევი, ქუევრულა“; 3. მღვიმევის გამოქვაბულის – ქვაბის შესახებ იგი წერს, რომ: „ქუაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი“; 4. „სუერის წყლის შესართავიდამ მღჳმე, – საჩხერამდე, ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქუაბნი მრავალნი, გამოკუეთილნი სახიზრად და შეუალი მტრისაგან, და საკვირველი, თუ ვითარ უქმნიათ“; 5. „რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არს ხომლისკლდე, ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არს ქუაბი გამოკვეტილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“.

რაჭაში, შაორის გამოქვაბულის მიდამოებში ვახუშტი მიუთითებს ყინულოვანი ჭის არსებობაზე. იგი წერს: „ამ ჴევზედ (ვახუშტით „სხოვისხევზე“; სხვავისხევზე – შ.ყ.) არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ გაჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სუას მრავალმან კაცმან, გარნა თუ შთავიდეს კაცი უცხო, თჳნიერ მუნ მყოფისა, აცივებს წელს ერთსა“.

ვახუშტი ბუჯის ხეობაში, ხრეითს ქვემოთ მიუთითებს წყაროს არსებობაზე, რომელიც მისი აღწერის მიხედვით კარსტულ წყაროს – ვოკლუზს უნდა წარმოადგენდეს. იგი წერს: „ბუჯაზედ არს, ქვა-ციხეს მდინარის კიდურზედ, წყარო გამომდინარე, რომელსა გაზაფხულს მოუდგამენ გოდორსა და აღივსების წურილის თევზითა, წყაროდან გამომავალითა, ვითარ ვერ მოასწრებენ აღმოღებასა. სამ თთუე ოდენ ესრეთ, მერმე არღარა, და უწოდებენ ამას ღრუდოსა“ (გვ. 735, 12-16).

ამგვარად, შედარებით ზუსტ, იმ დროისათვის მეცნიერულ ცნობებს საქართველოს კარსტის შესახებ პირველად ქართულ წყაროებს შორის ვახუშტის შრომებში ვნახულობთ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობები ეხება დასავლეთ საქართველოს კარსტულ ზოგიერთ ფორმის, განსაკუთრებით გამოქვაბულების მორფოგრაფიულ დახასიათებას (აგრეთვე განსაზღვრულია და გაშუქებულია მათი მდებარეობა და მნიშვნელობა) და ყურადღება არ ექცევა მათ გენეზისს, ამ ცნობებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიის მნიშვნელობა, როგორც პირველ წყაროს. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ქვეყნის მეცნიერული აღწერა მაშინ სწორედ ასეთნაირად წარმოებდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ხელოვნურ გამოქვაბულებს – ქუაბებს ვახუშტი ჰყოფს სიდიდის, რაოდენობის, კლდოვანების, სიმაღლითი გავრცელების, მისადგომების, გამოყენებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. მაგალითად: 1. „ქუაბი“; 2. „ქუაბნი გამოკუეთილნი“; 3. „ქუაბნი გამოკუეთილნი მრავალნი“ ან „გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალდიდნი“ ; 4. „ქუაბნი კლდისანი და კოშკოვანი“; 5. „ქუაბნი, გამოკუეთილნი კლდისაგან, მრავალნი“; 6. „ქუაბნი გამოკუეთილნი მაღალსა კლდესა შინა მრავალნი“ ან „კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა“; 7. „დიდს მაღალს კლდესა შინა, ქუაბნი გამოკუეთილნი დიდ-დიდნი“ 8 „გამოკუეთილნი კლდესა შინა ქუაბნი მრავალნი სახიზრად“; 9. „ქუაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკუეთილნი სახიზრად“; 10. „კლდესა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი დიდ-დიდნი სახიზრად“; 11. „ქუაბნი კლდისა გამოკუეთილნი, ფრიად მაგარნი და შეუალნი“; 12. „ქუაბნი გამოკუეთილნი, დიდ-დიდნი; კლდესა შინა და აწ უქმნი“; 13. „მაღალსა კლდესა შინა ქუაბნი მრავალნი, და მას ქუაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი ძუელნი, არამედ კაცთა აუსვლელობით უჴმარ არიან“; 14. „ქუაბნი კლდისა, რომელ არს ზამთარ თბილ, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმინდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათჳს“.

გარდა ქვაბებისა, ვახუშტი ასახელებს აგრეთვე გვირაბებს, დარანებს – „დარანნი დიდ-დიდნი“ და მღვიმეებს.

XVIII საუკუნის მე-3 მეოთხედში, სახელდობრ 1771-1772 წლებში, ახალგაზრდა გერმანელმა მეცნიერმა ექიმმა და ბუნებისმეტყველმა იოჰან ანტონ გუილდენშტედტმა საქართველოში იმოგზაურა. ამ მოგზაურობის შედეგად ი. გიულდენშტედტმა შეადგინა ვრცელი მონოგრაფია, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, პირველად სანქტ-პეტერბურგში გამოიცა 1787 და 1791 წწ. პ. პალასის ხელმძღვანელობით ორ ტომად; შემდეგ აღნიშნული შრომა ქვეყნდება რუსულ ენაზეც 1809 წელს სანქტ-პეტერბურგში და გერმანულ ენაზე ი. კლაპროთის მიერ 1815 წელს ბერლინში. ეს შრომა 1962 წელს გამოსცა გ. გელაშვილმა ქართული თარგმანითურთ და შენიშვნებით. ჩვენ ძირითადად ამ ბოლო გამოცემით ვსარგებლობთ.

I. გიულდენშტედტს **რაჭაში, იმერეთსა და სამეგრელოში** მოგზაურობის აღწერისას მოჰყავს ამ მხარეში გავრცელებულ კარსტულ ფენომენებზე საინტერესო, განსაკუთრებით მორფოგრაფიული და ნაწილობრივ გენეტიკური ხასიათის ცნობები. მათ შორის აღსანიშნავია რაჭის შესახებ მოყვანილი ცნობები, მაგალითად: 1. ხოტევის ქვემოთ დამდგარი ტბის შესახებ; 2. სოფ. აგარის ახლომდებარე ტბაზე და 3. შაორის გამოქვაბულის შესახებ, კერძოდ მდ. შაორის დაკარგვაზე კირქვიან ხეობაში და მის გამოსასვლელზე – შარაულაზე; აქ არსებულ გამოქვაბულთა სტალაქტიტებზე; ამასთან მიუთითებს, რომ წყალი აქ ორ ადგილას გამოდის და უფრო მეტია, ვიდრე გაჟონვის ადგილზე შაორას აქვსო.

II. გიულდენშტედტი აგრეთვე მიუთითებს, რომ იმერეთში მდ. წყალტუბო სათავეს ღებულობს კირქვიან კლდის ჰორიზონტალურ ნაპრალიდან და იძლევა ამ ნაპრალის ზომებს. ამასთან აღნიშნავს, რომ ეს მხარე უწყლობით ხასიათდებაო.

გარდა ამისა, ი. გიულდენშტედტი ასახელებს კირქვიან ქედებს ან კლდეებს, მაგრამ მათ სხვა თავისებურებაზე არაფერს ლაპარაკობს. მათ შორის აღნიშნულია: 1. კახეთში, სოფ. ლალისყურის ახლო ჩრდილოეთით ახლო ჩრდილოეთით კირქვიანი კლდე; 2. რაჭაში კლდე მდ. ჯეჯორის ხეობაში 3. კირქვიანი კლდე ამბროლაურის რაიონში, რაც მდინარე რიონის შევიწროებას იწვევსო და კირქვიანი მთები აღწერილი აქვს სოფ. სხარტალის მიდამოებში; 4. იმერეთში, ქალაქ ქუთაისის მიდამოებში, მდ. რიონის ხეობა შევიწროვებულია გვერდით ჯირქვიანი ქედითო და რომ რიონი ფიქალიანი მთებიდან შედის კირქვიან მთიანეთში, ხოლო შემდეგ ბარზე გამოდისო; 5. მონასტერი გელათი დგას კირიანი კლდეების მწვერვალებზე, რომელიც ალაგ-ალაგ სრულიად გაშიშვლებულია. მდინარე წყალწითელა კირიან მთებიდან გამოდისო; 7. კირიან მთებს აღნიშნავს იგი ქუთაისის დასავლეთით; 8. კირქვიანი მოვაკებული მაღლობი აღნიშნული აქვს მდ. წყალტუბოს აღმოსავლეთით. 9. მდ. ბუჯა და ძუსა, ძევრულა და ჭიშურა მოედინება ქუთაისთან ალპების კირქვიან მთებიდან; 10. რომ ოკრიბის მხარე მდებარეობს ფიქალოვანი და კირქვიანი მთების სამხრეთ კალთაზე); 11. სამეგრელოს, სამხრეთ-დასავლეთით კირქვიანი მთები გამოყოფენ ლეჩხუმისგანო; 12. დანგრეული ციხე სკანდესთან კირქვიანი მთის ძირას ვრცელდებაო.

I. გიულდენშტედტის შემდეგ, 1830-იან წლებში საქართველო ინახულა შვეიცარიელმა მეცნიერმა ფრედერი დიუბუა დე მონპერემ (1834). ამ მოგზაურობის შედეგები პარიზში 1839-1843 წლებში ექვს ტომად იქნა გამოცემული ატლასის დართვით (1415). ამ შრომაში ფრ. დიუბუა დე მონპერე აღწერს რიგ კარსტულ ფორმებს, მაგალითად: 1. წყალწითელას ხეობაში არსებულ იაზონის გამოქვაბულს და ადგენს გეგმას; 2. მღვიმევის გამოქვაბულს და ადგენს მის გეგმას; 3. ყინულოვან გამოქვაბულს ხოტევთან; 4. მდ. შაორის დაკარგვის ადგილს და ადგენს ადგილ ხერგის გეგმას; 5. აღნიშნავს საირმის კირქვიან სვეტებს და სხვ. დასახლებული ობიექტების მორფოგრაფიულ აღწერასთან ერთად, იგი ნაწილობრივ ჩერდება მათ გენეზისზეც.

II. მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ პირველი ცნობები კავკასიის გამოქვაბულების შესახებ ანტიკური მწერლების თხზულებებში მოიპოვება. რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს გამოქვაბულებს, ამ მხრივ პირველ წყაროს ჯერჯერობით ქართლის ცხოვრება და შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს.

მღვიმე და ადამიანი

წყარო: ზ. ტინტილოზოვი. მღვიმე და ადამიანი. თბ., 1966.

ქვის ხანის ეპოქიდან კოსმიურ აღმოჩენებამდე

მარადიული წყვდიადით მოცულ მიწისქვეშა სამყაროსთან – მღვიმეებთან – ადამიანი უხსოვარი დროიდან არის დაკავშირებული.

ცნობილია, რომ ჩვენი შორეული წინაპრები ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ღია ცის ქვეშ, დახეტიალობდნენ შიშველ-ტიტველნი, იკვებებოდნენ შემთხვევით მოპოვებული მცენარეული და ცხოველური პროდუქტებით, ერთი სიტყვით, არაფრით გამოირჩეოდნენ ცხოველებისაგან. თავშესაფრისაკენ მათი ლტოლვა მაშინ გაიზარდა, როცა, დაახლოებით მილიონი წლის წინ, ყინულის სქელმა ფენებმა დაჰფარა ამერიკის, ევროპისა და აზიის მატერიკების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ დიდმა და მკაცრმა ზამთარმა, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში მძვინვარებდა, ტყის მნიშვნელოვანი მასივები და მრავალი ცოცხალი არსება მოსპო. გადარჩენილებმა პირი იბრუნეს სამხრეთისაკენ, სადაც ისინი საუკეთესო თავშესაფარს პოულობდნენ მღვიმეების სახით. არსებობისათვის ბრძოლა ახალი ძალით გამწვავდა, რადგანაც ბუნების მზამზარეულ „სასახლეებში“ – მღვიმეებსა და კლდოვან ფარდულებში დამკვიდრებულიყვნენ ცხოველთა სამყაროს მრისხანე წარმომადგენლები – მღვიმური ბანჯგვლიანი დათვი (თანამედროვე მურა დათვზე სამჯერ-ოთხჯერ უფრო დიდი), მღვიმური ლომი, მრისხანე აფთარი და სხვა. ვინ იცის, რა ხანგრძლივად გრძელდებოდა ეს უთანასწორო ბრძოლა და როგორ უჭირდათ თავდაცვა ჩვენს შორეულ წინაპრებს, ვიდრე მათ ხელში არ აღმოჩნდა პირველი პრიმიტიული „იარაღები“ – მზამზარეული ხელკეტები და ქვები, თაობები თაობებს ცვლიდა და აი, ადამიანის შორეულმა წინაპრებმა შრომას, შრომის იარაღების დამზადებას მიჰყო ხელი. იგი ხის მორსა და ქვებს სასურველ ფორმას აძლევდა, იარაღების დამზადებაში საათობით შრომობდა. ამ რევოლუციური აქტით იგი საბოლოოდ გაეთიშა ცხოველთა სამყაროს.

პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელი სადგომები, მათში დაცული არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნაშთებით, ბევრ ქვეყანაშია მიკვლეული, უმთავრესად კი მღვიმეებში. მერე და რა ხანგრძლივად, რამდენ ათას წელს აფარებდნენ თავს ადამიანები მღვიმეებს! ასე მაგ., ზოგიერთ მათგანში ე.წ. კულტურული ნაფენების დიდი სისქე იმის უტყუარი საბუთია, რომ მღვიმეებში მრავალი თაობა ცხოვრობდა.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა, ქვის ხანის ადამიანს მზამზარეული საკვები – გარეული ხილი, მცენარის ფესვები და სხვა – აღარ აკმაყოფილებდა; მან იწყო ნადირობა, თევზაობა; ისწავლა ცეცხლის მოპოვება, შემწვარი ხორცის გემოსაც ეზიარა და ბოლოს, ასე განსაჯეთ, ხელოვნების „მოთხოვნილებაც“ კი გაუჩნდა. ამის მაჩვენებელია მღვიმის კედლებზე მოხატული ნაირ-ნაირი სურათები და თიხის იშვიათი ქანდაკებები, რომელთა შექმნას მეცნიერები მაგიურ მოტივებს უკავშირებენ.

საქართველოში მიკვლეულია ქვის ხანის როგორც ადრეული ეპოქის, ისე გვიანი ფეოდალური ხანის რამდენიმე ათეული ძეგლი. დროის ეს პერიოდი დაახლოებით 500 ათას წელს მოიცავს, საკაჟიას, დევის ხვრელის, გვარჯილასკლდის, მღვიმევის, ჯრუჭულას, ქვაჭარას, წონას, კუდაროს, აბრსკილისა და სხვა მღვიმეებში დაცული ნაფენების შესწავლამ შუქი მოჰფინა გარდასულ საუკუნეებში ჩვენი შორეული წინაპრების ყოფა-ცხოვრების ბევრ მხარეს. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ადრე ამიერკავკასიაში საერთოდ უარყოფდნენ ქვის ხანის ადამიანის ცხოვრების ფაქტს. ეს მცდარი წარმოდგენა გააქარწყლა საკაჟიას მღვიმის შესწავლამ, რომელშიც კავკასიაში პირველად მიაკვლიეს პალეოლითის ეპოქის საკმაოდ კარგად დაცულ არქეოლოგიურ და პალეონტოლოგიურ ნაშთებს (კაჟისა და ძვლის იარაღები, ადამიანის თავის ქალის ნაწილები, მღვიმური დათვის, ლომის ძვლები და სხვ.). ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა, ჯერ ნაწილობრივ გამოკვლეული წონისა და კუდაროს (სამხრეთ ოსეთი) მაღალმთიანის სადგომები, აგრეთვე ჯრუჭულასა და სამგლეკლდის (ზემო იმერეთი) მღვიმეები, რომლებიც წინა ისტორიული ხანის მდიდარი და კარგად შემონახული ნაშთებით გამოირჩევიან.

შრომამ შექმნა ადამიანი. შრომამ გამოიყვანა იგი პირველყოფილი ველური მდგომარეობიდან, შრომამ და მხოლოდ შრომამ შესაძლებელი გახადა რევოლუციური აღმოჩენები მეცნიერებაში. შრომამ ადამიანი მოსწყვიტა მშობლიურ დედამიწას და გასტყორცნა კოსმოსის უსაზღვრო სივრცეში. მართლაცდა რა კოლოსალური ნახტომია ქვის ხანის ეპოქის მღვიმეთა ნახევრად ბნელი თაღებიდან კოსმიურ აღმოჩენებამდე!

საიდუმლოებათა სკივრი

საკმაოდ ხანგრძლივმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც მღვიმური გარემოცვიდან ადამიანმა კომფორტულ სასახლეებში ამოჰყო თავი. სიველურე, ძრწოლვა, შიში და უმწეობა, რაც თან სდევდა მაშინდელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას, მხოლოდ წარმოდგენის საკუთრება გახდა. მაგრამ, დიდი ხნის წინათ მიტოვებულ მღვიმე-გამოქვაბულებს კვლავ მიაშურა ადამიანმა. არა, ეს ქვის ხანისაკენ დაბრუნების წყურვილით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური უკულმართობის, ავაზაკური თავდასხმების – ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრის – და ამის ნიადაგზე ერის ფიზიკური განადგურებისა და მატერიალურ-კულტურულ ფასეულობათა იძულებითი დაცვის ერთადერთი საშუალება გახლდათ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მტრების მრავალგზის შემოსევებით განაწამები ქართველი ხალხი საგანგებოდ აგებდა მიუვალ გამოქვაბულებს და ქვაბთა ქალაქებს, მათში იხიზნებოდნენ და მალავდნენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებს, ხელოვნებისა და კულტურის მნიშვნელოვან ქმნილებებს და განძსაც კი. რამდენი ჭირ-ვარამის მომსწრეა ვარძიის სახელგანთქმული ქვაბთა ქალაქი, რამდენი ოფლი და სისხლი დაღვრილა მის მშენებლობასა და მისადგომებზე. ვარძია ქართველი ერის სიამაყე, ერის შეუდრეკლობის სიმბოლო, თავისი მიწა-წყლის დიდი სიყვარულისა და მტრებისადმი უსაზღვრო სიძულვილის ხელთუქმნელი ძეგლია და განა მარტო ვარძია, რომელიც გვაოცებს ქვაში შესრულებული ხუროთმოძღვრული სამუშაოების მასშტაბებით.

უკანასკნელ წლებში ქართველი მთამსვლელებისა და არქოლოგების გაბედულმა ექსპედიციებმა ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას. მაგალითად, თრეხვის გამოქვაბულში (ქარელის რ-ნი) აღმოაჩინეს ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავი ძეგლი, ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი ისტორიკოსის ლეონტი მროველის წარწერა; იგი მოგვითხრობს, რომ გამოქვაბული აუშენებიათ 1066 წელს, საქართველოში თურქი სელჯუკების შემოსევის მძიმე პერიოდში. შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე ქობთავის გამოქვაბულში (მდ. იორის ხეობა) მიკვლეული ხელნაწერთა ფრაგმენტები და აბუხალოს გამოქვაბულის (მდ. ძამის ხეობა) უაღრესად საინტერესო ფრესკული მოხატულობა.

შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა ლეგენდარული ბეთლემისა და ხვამლის მიუვალი გამოქვაბულების დაპყრობა, რაც განხორციელდა და-ძმა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების ხელმძღვანელობით. პირველი ზღვის დონიდან 4100 მ სიმაღლეზე 400-მეტრიან შვეულ კლდეშია გამოკვეთი-

ლი, ხოლო მეორე – 250-მეტრიან ფლატის შუაგულში. ორივე გამოქვაბულში ფრიად საყურადღებო მასალა აღმოჩნდა.

ქართველმა ალპინისტებმა სხვა მიუვალი გამოქვაბულებიც დაიპყრეს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ არაფერი ვთქვათ „ვეფხისტყაოსნის“ დაკარგულ დედნებსა და დედნის პირებზე, ვინ მოთვლის იმ ზღვა დანაკლისს, რაც საქართველომ განიცადა ლანგ-თემურის, შაჰ-აბაზისა და აღა-მაჰმად-ხანის ურდოების შემოსევების შავბნელ ხანაში. მასობრივ გაჩანაგებასთან, განძეულობასა და ქვეყნის დოვლათის გატაცებასთან ერთად, რამდენი ეროვნული ღირებულების დოკუმენტი გაჰქრა უგზო-უკვლოდ! უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრი მათგანი გამოქვაბულებშია გადამალული და ელის თავის აღმომჩენს.

ვის შეუძლია უარყოს, რომ მღვიმე-გამოქვაბულები საიდუმლოებათა ნამდვილი სკივრი არ არის. თქმულის საუკეთესო დამადასტურებელია სენსაციური აღმოჩენები ყურმანის მღვიმე-გამოქვაბულებში, მკვდარი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, უძველეს ქალაქ იერიქონის მიდამოებში. ამ აღმოჩენების მოკლე ისტორია ასეთია: 1947 წელს ბედუინი მუხამედ ედ-დიზი იერიქონის გარეუბანში, კლდოვანი ქარაფების რაიონში დაკარგულ თხებს ეძებდა. სრულიად შემთხვევით მან კლდეში მოზრდილი ხვრელი შენიშნა და გაიფიქრა, მოდი, ქვას შევაგდებ და თუ თხები მასში იმალებიან, დაფრთხებიანო. მწყემსმა მღვიმის შესასვლელში ქვა ისროლა და თხების კიკინის ნაცვლად შემოესმა ხმა, რამაც ჭურჭლის დამტვრევა აუწყა... მუხამედს გული აუფართხალდა და ფეხაკრეფით გაემართა მღვიმის შესასვლელისაკენ. მიწისქვეშ რომ შეძვრა, მან ნახა ხუფით დახურული ამფორები, რომლებშიც სელის ქსოვილებში გახვეული გრაგნილები ეწყო. გრაგნილების დამწერლობა მისთვის გაუგებარი იყო. აქ სულ შვიდი გრაგნილი აღმოჩნდა. ბევრი ხელნაწერი კარგად იყო დაცული, მიუხედავად ამისა, რომ ისინი თითქმის ცხრამეტი საუკუნე ერთსა და იმავე ადგილზე ელაგა. ახლა მათ ლიტერატურაში მკვდარი ზღვის ანუ იუდეველთა უდაბნოს მანუსკრიპტების სახელწოდებით მოიხსენიებენ.

შემდეგში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა, რადგან ხელნაწერები პალესტინის ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი ბიბლიური ტექსტები აღმოჩნდა. ისინი აშუქებენ უდაბნოში განმარტოებულ და იქ კოლექტიურ საწყისებზე მცხოვრები (II – I სს. ჩვ. ერამდე) ოპოზიციური სექტის სოციალურ ურთიერთობას, ყოფას და იდეოლოგიას. ამ სექტის არსებობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა „საერთო საკუთრება, საერთო აუცილებელი შრომა, კოლექტიური მოხმარება და კოლექტიური ყოფა-ცხოვრება“.

მეცნიერთა აზრით, ყურმანის მღვიმე-გამოქვაბულებში მოპოვებული ხელნაწერები უძვირფასესი მასალაა სოციალურ მოძღვრებათა და უძველეს დროში ხალხთა მასების მოძრაობის შესწავლისათვის. მან ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას. ქრისტიანობის ჩასახვის ისტორიის ზოგიერთი რთული საკითხის გარკვევაშიც. ამ აღმოჩენამ არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია არა მარტო სამეცნიერო წრეებში. გამდიდრების წყურვილით შეპყრობილმა საქმოსნებმა გრაგნილები ჩუმად წაიღეს აშშ-ში და უოლ-სტრიტის ბანკის ერთ-ერთ სეიფში ჩაკეტეს, მას დაადეს ზღაპრული ფასი – მილიონ დოლარზე მეტი. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მკვდარი ზღვის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო გაცხოველებული საექსპედიციო რაიონი გახდა. ათეულობით უცნობ მღვიმე-გამოქვაბულში მოპოვებულ იქნა ტონობით არქეოლოგიური მასალა, მათ შორის განძიც. ასე მაგ., შესანიშნავ შედეგებს მიაღწია 1963 წლის კომპლექსურმა ექსპედიციამ, რომელიც 250 კაცს აერთიანებდა; მიუხედავად ამისა გათხრების წარმოებაში ექსპედიციას არმიის ქვეგანაყოფებიც კი ეხმარებოდნენ.

ყურმანის მღვიმე-გამოქვაბულებისა და მათი შემოგარენის კვლევა გრძელდება.

შესანიშნავი აღმოჩენები ყურმანის მიდამოების მიწისქვეშეთში გვიღრმავებს რწმენას, რომ საქართველოს მღვიმე-გამოქვაბულები ჯერ კიდევ არ ალაპარაკებულა მთელი ხმით.

მღვიმეები სახალხო სამეურნეო სამსახურში

ცივილიზებული კაცობრიობა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა მღვიმე-გამოქვაბულებისადმი. გაბედული ექსპედიციები მიწის წიაღში, რომელიც სისტემატურად ეწყობოდა და ეწყობა, სწავლობენ მიწისქვეშა სიღრუეების ტოპოგრაფიას და მათში გამდინარე ნაკადების რეჟიმს მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მიწისქვეშეთშიც არ რჩება „ვალში“, რადგან იქ გამდინარე წყალუხვ ნაკადებს ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება რიგი რაიონების მორწყვის, ქალაქების წყალმომარაგებისა და ენერგეტიკული მიზნებისათვის. ამგვარი მაგალითები, შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს სინამდვილიდანაც მრავლად შეიძლება დავასახელოთ: ჭიათურის, ახალი ათონის, გაგრის და ზოგიერთი სხვა ქალაქის მოსახლეობა სასმელი წყლით უმთავრესად კარსტული წყლებით მარაგდება. ბეთლემის, რეჩხის, ჯირხვისა და სხვა მიწისქვეშა ნაკადების ბაზაზე წარმატებით მუშაობენ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები. ფართოდ არის ცნობილი შავწყლის კალმახების მეურნეობა, რომელიც მოწყობილია საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მიწისქვეშა მდინარის – შავწყალას (მჭიშთას) – გამოსასვლელების რაიონში, ასევე კარსტულ მასივებთანაა დაკავ-

შირებული კისლოვოდსკისა და სოჭი-მაცესტის სახელგანთქმული კურორტების წყლები, მიწისქვეშა წყაროებს კიდევ უფრო ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთ. მაგ., საფრანგეთის სამხრეთით, ე.წ. „ვოკლუზის“ ცნობილი წყაროების ბაზაზე, ორი ათასი ჰექტარი მიწა ირწყვის და ორასზე მეტი ქარხანა მუშაობს. მიწისქვეშა წყლებს მეურნეობის სხვადასხვა მიზნისათვის დიდი გამოყენება აქვს იუგოსლავიისა და, საერთოდ, კირქვებით აგებულ მხარეებში.

მღვიმეების შესწავლას პრაქტიკული დანიშნულება ენიჭება ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისათვის, როგორიცაა კაშხლებისა და ჰიდროელექტროსადგურების, რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობა, წიაღისეულის დამუშავება და სხვ. ლიტერატურაში აღწერილია არა ერთი შემთხვევა, როცა კარსტული სიცარიელეების დეტალური კვლევის უგულებელყოფას სავალალო შედეგები მოჰყოლია. მაგ., ესპანეთში, ანდალუზიაში, ძლიერ ნაპრალოვან კირქვებში აიგო 72 მ სიმაღლის მონტეს-აკეს თაღოვანი კაშხალი. მშენებლობის დამთავრების შემდეგ, როცა წყალსაცავში წყლის დაგროვებას შეუდგნენ, შეამჩნიეს, რომ ნაბზარებსა და ნაპრალებში წყალი დიდი რაოდენობით იკარგებოდა. უფრო მეტიც, წყალსაცავის ფსკერზე გაჩნდა ახალი წყალმშთანთქმელი ხვრელები. ამან შეუძლებელი გახადა წყალსაცავის მთლიანი ავსება. ესპანეთშივეა კირქვებში აგებული კამარაზის ცნობილი კაშხალი, რომლის სიმაღლე 100 მეტრია. აქაც წყალსაცავის ავსებისას შეამჩნიეს წყლების ინტენსიური შთანთქმა, რაც აღწევდა 11 მ-სეკ-ში. ანალოგიური მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების სინამდვილესთან.

აქ აღარ შევუდგებით მაგალითების მოყვანას, როცა სიცარიელეების თავზე გაყვანილი რკინიგზები და გზატკეცილები მწყობრიდან გამოდიან.

თქმული სრულებითაც არ ნიშნავს კარსტულ მხარეებში სამრეწველო და სატრანსპორტო მშენებლობის შეუძლებლობას. შეიძლება დავასახელოთ ბევრი ქვეყანა, სადაც კარსტვად ქანებში აგებული ჰიდროელექტროსადგურების, გზატკეცილებისა და რკინიგზების ექსპლოატაციაში არსებითი შეფასებები არ შეინიშნება. ეს იმის შედეგია, რომ აღნიშნული ობიექტების მშენებლობის დაწყებამდე დაკარსტულ ტერიტორიებზე ჩატარდა დეტალური გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სპალეოლოგიური კვლევა, განხორციელდა პროფილაქტიკური (ნაპრალების ცემენტაცია, ბიტუმინიზაცია და სხვ.) ღონისძიებები.

მღვიმეებს იყენებენ სამაცივრო მეურნეობისათვის და სამხედრო მასალების საწყობებად, თავშესაფრებად, მაღაზიებად, ხოლო ამერიკის კონტინენტებზე მათში პატიმრებს ამწყვდევდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს მღვიმეებს თავს აფარებდნენ პარტიზანული რაზმები, აწყობდნენ სამხედრო შტაბებს და აგებდნენ ქარხნებს.

ტურიზმი მიწისქვეშ და ჩვენი პლანეტის უდიდესი მღვიმეები

ვინ არ ოცნებობს იდუმალებათა და წყვდიადით მოცულ, სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით ზღაპრულად მორთულ მიწისქვეშა სასახლეებში მოგზაურობაზე!

მსოფლიოში ახლა ბევრია „ცივილიზებული“ მღვიმე, რომელსაც ყოველწლიურად ასეული ათასობით მნახველი ჰყავს. მხოლოდ პატარა ჩეხოსლოვაკიაში მათი რაოდენობა 22-მდე აღწევს. აქაურ ტურისტულ გზამკვლევებში ხშირად ნახავთ ასეთ სიტყვებს: „თქვენ მთლიანად არ გექნებათ დათვალიერებული ჩეხოსლოვაკია, თუ არ ნახავთ მის მიწისქვეშა განძს – მორავიის მღვიმეებს. მორავიის მღვიმეები ჩეხოსლოვაკიის მარგალიტებია“. იუგოსლავიაში ფართო პოპულარობით სარგებლობს შკოციანისა და პოსტოინის კარსტული მღვიმეები. შკოციანი მნახველს აოცებს დარბაზების გიგანტურობით, რომელთა სიმაღლე 100მ აღემატება. მასში გრგვინვა-გრიალით მიედინება მდინარე ნოტრანსკა. პოსტოინაში კი (სიგრძე 15 კმ) ტურისტები 2,5 კმ მანძილზე ჯერ მინიატურული ელექტრომატარებლით სეირნობენ, შემდეგ კი ამდენივე მანძილს ფეხით გადიან. მღვიმურ მდინარე პოიკზე გაკეთებულია ხიდები, მდინარისპირა ვიწრო კარნიზებსა და ფლატეებზე – საცალფეხო ბილიკები და მოიჯარები, დარბაზები მდიდრულად არის მორთული გიგანტური სტალაგმიტებით. სხვათაშორის, სპალეოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესი 1963 წელს გაიხსნა აღნიშნული მღვიმის ე.წ. „საკონცერტო დარბაზში“, რომელმაც ამიერიდან „საკონცერტო დარბაზის“ სახელწოდება მიიღო. მასში რამდენიმე ათასი კაცი ეტევა, პოსტოინას მნახველთა რაოდენობა ყოველწლიურად 300 ათას კაცს აღწევს, თუ მხედველობაში მივიღებთ მღვიმეში შესასვლელი ბილეთის არცთუ მცირე საფასურს, გასაგები იქნება ის დიდი ეკონომიური სარგებლობა, რასაც კეთილმოწყობილი მღვიმეები აძლევს სახელმწიფოს. უნგრეთში ბევრი მნახველი ჰყავს აპენზაპტის სტალაქტიტოვან მღვიმეს, სადაც ბობოქრობს ერთ-ერთი უდიდესი 60 მეტრის სიმაღლის მიწისქვეშა ჩანჩქერი. უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფარგლებში ვრცელდება დომიცა-ბრადლიას (აგტელუის) მღვიმური სისტემა (სიგრძე 21 კმ), რომელიც გამოირჩევა გიგანტური სტალაქტიტ-სტალაგმიტებით. ბევრია კეთილმოწყობილი მღვიმე საფრანგეთის ტერიტორიაზე. საფრანგეთი ხომ მღვიმეებისა და უფსკრულების ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა. საკმარისია აღინიშნოს, რომ უღრმესი უფსკრული დედამიწის ზურგზე, რომელიც ლიტერატურაში „ბერჟეს“ სახელწოდებითაა ცნობილი, ვერკორის მასივზეა, ალპებში.

მისი სიღრმე 1122 მეტრია. ჰორიზონტალური მღვიმეებიდან შეიძლება დავასახელოთ 16 კმ სიგრძის დანდე-კროლისა (იზერში) და 13,2 კმ სიგრძის ენ-გორნერის სისტემები.

იტალიაში 6000-მდე მღვიმე-უფსკრულია აღრიცხული. მათ შორის აპუანის ალპებში მდებარე ანტრო დელ კორჩიას უფსკრული (სიღრმე 805 მ) მხოლოდ ბერჟეს უთმობს პირველობას. აქაურ ჰორიზონტალურ მღვიმეთაგან უგრძესია კასტელ ჩივიტა-კონტრონე (4,2 კმ).

ესპანეთში უფრო მეტად ჰორიზონტალური მღვიმეებია, მათ შორის უდიდესია პალომერის სისტემა (12 კმ), რომელიც ოთხ მღვიმეს აერთიანებს. ამ სისტემის მთავარ მაგისტრალში გამდინარე მღვიმური ნაკადი გუარენია აჩენს ჩანჩქერებსა და ღრმა ტბებს. მღვიმურ წყალსატევებში ცხოვრობს ბრმა, უფერული, გამჭვირვალე თევზები.

პოლონეთში 900-ზე მეტი მღვიმე-უფსკრულია აღრიცხული. მათგან უდიდესია ტატრას მღვიმეები – ჩერნა (სიგრძე 4,5 კმ) და ზიმნა (3,9 კმ), აგრეთვე უფსკრული სნეჟნა (სიღრმე 620 მ).

რუმინეთში 1000-ზე მეტი მღვიმეა ცნობილი და მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი გამოკვლეულია. უგრძესია (10330 მ) ტოპოლნიცას მღვიმე მეხადინცის პლატოზე. აქვე შეიძლება მივუთითოთ, რომ მსოფლიოში პირველი სპელეოლოგიური ინსტიტუტი დაარსდა 1920 წ. ქ. კლუჟში, რომელიც დამაარსებლის ვ. რაკოვიცის სახელს ატარებს.

ბულგარეთის 2000-ზე მეტ მღვიმე-უფსკრულიდან აღსანიშნავია დევატეშსკაია, რომლის სიგრძე 4,5 კმ-მდეა.

მღვიმეები ცნობილია აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნებშიც – ირლანდიაში, ინგლისში, ბელგიაში, შვეიცაში, ნორვეგიაში, შვეიცარიასა და ავსტრიაში. ბევრი მათგანი კეთილმოწყობილია.

მსოფლიოს უდიდესი მღვიმური სისტემა ამჟამად შვეიცარიის ტერიტორიაზეა. ეს არის ფართოდ ცნობილი ჰელლოხის მღვიმე, რომლის სიგრძე 82 კმ აღწევს., 1904 წლისათვის ის გამოკვლეული იყო 9 კმ-ზე, 1952 წლისათვის – 25, 1953 წლისათვის – 37, 1956 წლისათვის – 61, 1960 წლისათვის – 78, ხოლო 1965 წლისათვის – 82 კმ სიგრძეზე, მღვიმეში გვხვდება ტბები, ჩანჩქერები და იშვიათი სილამაზის კალციტის ნაღვენთები, ჰელლოსი ტოპოგრაფიულად დეტალურად აგეგმილი მღვიმეების რიცხვს განეკუთვნება. მის შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის შვეიცარიის ალპური კლუბის ექსპედიციებს გამოჩენილი მეცნიერის ა. ბეგლის ხელმძღვანელობით. აისრიზენველტის მღვიმე (სიგრძე 42 კმ), ავსტრიის ტერიტორიაზე (ზალცბურგში), სიგრძით მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში. მისი მაქსიმალური სიღრმე 407 მ აღწევს. ეს მღვიმე წინა ნაწილში, დაახლოებით 2 კილომეტრზე, მორთულია ყინულის ნაირფეროვანი წარმონაქმნებით, რის გამოც მას „გიგანტური ყინულოვანი სამყარო“ („აისრიზენველტი“) ეწოდება. ზალცბურგშივე აღსანიშნავია აგრეთვე ტანტალისა და მამონტის (დახშტეინის რაიონი) სისტემები, რომელთა სიგრძე შესაბამისად 16 და 15 კმ აღწევს. საერთოდ კი ავსტრიის ტერიტორიაზე 1000-ზე მეტი მღვიმე-უფსკრულია ცნობილი.

კეთილმოწყობილი და ფართოდ ცნობილი მღვიმეებიდან უნდა აღინიშნოს მამონტისა და კარლსბადის მღვიმური სისტემები აშშ-ს ტერიტორიაზე. მამონტის მღვიმე 170 წლის წინ იქნა აღმოჩენილი და უკანასკნელ პერიოდამდე მას მსოფლიოს უდიდეს მღვიმურ სისტემად მიიჩნევდნენ. გეომორფოლოგიურ, სპელეოგიურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებში ამ მღვიმური სისტემის ჯამურ სიგრძედ 240-300 კმ მიუთითებდნენ. მამონტის მღვიმე (კენკუტის შტატი) ხუთსართულიანი სისტემაა. ეს სართულები ერთამენთთან დაკავშირებულია 225 გასასვლელით (ტალანით), მათში გაედინება სამი მოზრდილი მდინარე, რომლებზეც რვა ჩანჩქერია აღრიცხული. მღვიმეში 77 დიდ დარბაზს ითვლიან, მათგან უდიდესის ე. წ. „ტაძრის“ სიგრძე 163 მეტრია, სიგანე – 87 მ, ხოლო სიმაღლე – 38 მ. მღვიმე კეთილმოწყობილია 5 კმ-ზე.

უახლესი გამოკვლევებითა და გაზომვებით დადგინდა მამონტის მღვიმური სისტემის ჭეშმარიტი ჯამური სიგრძე, რაც მხოლოდ 72 კმ-მდე აღწევს.

აშშ-ში სიდიდით მეორე ადგილზეა მღვიმური სისტემა ფლინტის ქედის რაიონში (კენტუკის შტატი), რომელიც ცნობილია „კრისტალნაიას“ სახელწოდებითაც. მისი ჯამური სიგრძეა 65 კმ. ნიუ-მექსიკოს შტატში ფართოდ არის ცნობილი კარსლბადის კეთილმოწყობილი მღვიმე, გიგანტური დარბაზებით. მასში რომ მოხვდე, საკმარისია ჩაჯდე სწრაფმავალ ლიფტში; დროის უმცირეს მონაკვეთში, ზედაპირიდან 300-320 მ სიღრმეზე თქვენ აღმოჩნდებით ვეებერთელა სტალაგმიტებით შემკობილ მიწისქვეშა დარბაზებში.

ამერიკის კონტინენტზე მღვიმეები ცნობილია ბრაზილიაში, ვენესუელაში, მექსიკაში, კუბასა და სხვ. გაცხოველებული სპელეოლოგიური კვლევა მიმდინარეობს კუბაში, სადაც მეცნიერებათა აკადემიას სათავეში უდგას გამოჩენილი სპელეოლოგი ა. ჰიმენესი. ასე, მაგალითად, კარსტული მღვიმე სანტო-თომასი (კუბა) ჯერჯერობით 16 კმ მანძილზეა გამოკვლეული და მე-13 ადგილზეა მსოფლიოს უდიდეს მღვიმეებს შორის.

მნიშვნელოვანი მღვიმეები და უფსკრულები გაბნეულია ჩინეთში, ინდოჩინეთში, იაპონიის კუნძულებზე, აფრიკაში, ავსტრალიის კონტინენტზე და სხვ. მაგ., იაპონიაში აკიოსის მღვიმეს ყოველწლიურად 400 ათასამდე მნახველი ჰყავს. გაცხოველებული საექსკურსიო ობიექტია აგრეთვე ჩინეთის უდიდესი მღვიმე ჩისინიანი (სიგრძე 2,5 კმ).

ჩვენს ქვეყანაში კეთილმოწყობილი მღვიმეები ჯერჯერობით არ გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უხეიროდ განათებულ სათაფლიას და კუნგურის მღვიმეს (ურალი), რომლებიც მიწისქვეშეთის შთამბეჭდავი პეიზაჟებით სრულებით ვერ შეედრებიან საზღვარგარეთის „გაკულტურებულ“ მღვიმეებს. ანაკოფიისა და აბრსკილის კეთილმოწყობის შემდეგ ეს ხარვეზი რამდენადმე გამოსწორდება.

აქვე შეიძლება გაკვრით მივუთითოთ ჩვენი ქვეყნის უდიდეს მღვიმეებსა და უფსკრულებზე.

ჩვენი ქვეყნის ჰორიზონტალურ მღვიმეთაგან უკანასკნელ დრომდე პირველობას ინარჩუნებდა ე. წ. „წითელი მღვიმეები“ (ყირიმი), რომლის ჯამურმა სიგრძემ დაზუსტებული მონაცემებით 12515 მ მიაღწია, იგი მრავალსართულიანი მღვიმური სისტემაა მდინარეებით, ტბებით, სიფონებითა და კალციტის ნაირ-ნაირი ნაღვენთებით.

უკანასკნელი პერიოდის სპელეოლოგიური გამოკვლევებით ჩვენი ქვეყნის უგრძესი მღვიმური სისტემა დასავლეთ პოდოლიაში, ტერნოპოლის ოლქში, აღმოჩნდა. ეს არის მღვიმე „ოზიორნაია”, რომლის ჯამური სიგრძე 26360 მეტრია. ჩვენი პლანეტის უგრძესი მღვიმეების სიაში იგი მეხუთე ადგილზეა. აქვე ცნობილია მეორე დიდი მღვიმე „კრისტალნაია“ (18775 მ) ერთიც და მეორეც თაბაშირში გაჩენილი[1] მსოფლიოს უდიდესი მღვიმეებია. „ოზიორნაია“ და „კრისტალნაია“ ვიწრო და დაბალი ხვრელების სისტემებს ქმნიან. მაგ. „კრისტალნაიაში“ დერეფნების საშუალო სიგანე 2, ხოლო საშუალო სიმაღლე 2,7 მ არ აღემატება. ამავე ოლქში შეიძლება მივუთითოთ დიდი მღვიმეები მლინკა (9750 მ) და ვერტება (7820 მ).

ჩვენს ქვეყანაში 1703 წლიდან არის ცნობილი ყინულოვანი მღვიმე ქ. კუნგურის მახლობლად, მდ. სილვას მარჯვენა ნაპირზე. მასში აღრიცხული 58 დარბაზის საერთო სიგრძე 5 კმ-მდეა. კუნგურის კეთილმოწყობილი მღვიმის უმთავრესი ღირსშესანიშნაობაა ყინულის ნაირ-ნაირი კრისტალები, სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კოლონები, კედლებისა და ჭერის შემოყინვის ქერქი, ზეწრული ყინული და სხვ. დაახლოებით ასეთივე სიგრძისაა ვორონცოვის მღვიმური სისტემა კუდეფსტის სათავეებში (ადლერის რ-ნი). საქართველოში, მღვიმეებისა და უფსკრულების ერთ-ერთ კლასიკურ მხარეში, სისტემატური სპელეოლოგიური კვლევა 1958 წლიდან დაიწყო, როცა მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია. დღესდღეობით ეს ლაბორატორია დასავლეთ საქართველოს კირქვულ ზოლში სადაზვერვო-საგამოკვლევო სამუშაოებს ატარებს. 1965 წლის ბოლოსათვის გამოკვლეულ მღვიმეთა რაოდენობა 300 აღემატება. შედგენილია დასავლეთ საქართველოს კარსტულ მღვიმეთა პირველი კადასტრი.

საქართველოს მღვიმეთაგან ჯერჯერობით უდიდესია აბრსკილი (ს. ოტაპი, ოჩამჩირის რ-ნი), რომლის ჯამური სიგრძე 3 კმ-მდეა. აბრსკილი შეიძლება კავკასიის უგრძეს მღვიმედ ჩაითვალოს, ვინაიდან კუდეფსტის სათავეებში 5 კმ სიგრძის ერთიანი მღვიმური სისტემის არსებობა პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული; აბრსკილი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი მღვიმეა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ანაკოფიის უფსკრული, ახალი ათონის მიდამოებში, რომელიც 1961-1965 წლებში აღმოაჩინა და შეისწავლა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციებმა. 183 მ სიღრმეზე ვერტიკალური და დახრილ-ფსკერიანი ჭები და დერეფნები ებმის გიგანტურ დარბაზებს, რომელთაც ბადალი არ მოეპოვებათ ჩვენს ქვეყანაში. აქ სულ რამდენიმე დიდი დარბაზი გამოიყოფა – „ქართველ სპელეოლოგთა“, „თიხების“, „თბილისი“, „სოხუმი“, „ტაძარი“ და სხვ.

ანაკოფიის უფსკრულის დარბაზების მასშტაბზე თვალსაჩინო მასალას გვაძლევს ასეთივე მარტივი შედარება: მასში შეიძლება „გამოიჭრას“ დაახლოებით 11 ისეთი მღვიმე, როგორიცაა ყირიმის „წითელი მღვიმეები”. ერთიც და მეორეც სიგრძით მნიშვნელოვნად აღემატება ანაკოფიას. ანაკოფიის მღვიმური სისტემების ჯამური სიგრძე ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაზუსტებული. ჩვენი ვარაუდით იგი 3 კმ-ს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს.

ახლა გაცხოველებული სამუშაოები მიმდინარეობს ანაკოფიის უფსკრულის კეთილმოსაწყობად. უახლოეს მომავალში მას პირველი ექსკურსანტები ესტუმრებიან. ბუნების ამ საინტერესო ძეგლზე გადაღებულ იქნა ფერადი დოკუმენტური ფილმი.

ჩვენს ქვეყანასა და, კერძოდ, საქართველოში მღვიმეების სისტემატურ კვლევას, როგორც აღინიშნა, დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ პირველხარისხოვანი სპელეოლოგიური ობიექტები, რომლებშიც წყალუხვი მიწისქვეშა მდინარეები გაედინებიან (მჭიშთა, რეჩხი, თურჩუ-ტობი და სხვ. მრავალი), ჯერ სრულებით შეუსწავლელია.

ჩვენი ქვეყნის ვერცერთ კარსტულ პროვინციაში ვერ შეხვდებით კირქვის ესოდენ მძლავრ წყებებს, როგორსაც დასავლეთ საქართველოში. აქედან და ჰიდრო-გეოლოგიური ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება მტკიცედ ვივარაუდოთ ჩვენი კირქვული მასივების წიაღში ღრმა უფსკრულების არსებობა. მაგრამ ამ მიმართულებითაც ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული. ჩვენი

1 ჩვენი პლანეტის უდიდესი მღვიმეები კირქვებშია გაჩენილი.

ქვეყნის უღრმესი უფსკრული, ე. წ. ნაზაროვის შახტი დას. კავკასიონზე, ხოსტის სათავეებში, 368 მ სიღრმისაა.

საქართველოში სპელეოლოგიური კვლევის მდიდარ პერსპექტივებს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

მღვიმეები და მედიცინა

იქნებ ბევრ თქვენგანს სმენია ე. წ. „ღვთიური ქვის“ და „ღვთისმშობლის რძის“ შესახებ, რომელთაც ეკლესიის მსახურნი მაგიურ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ და მამასისხლის ფასად ყიდდნენ.

ეს იყო შორეულ წარსულში. ურალზე საბრალო გლეხი სასტიკად დაჩეჩქვა და დაკაწრა. ეკლესიის მსახურებმა ღია ჭრილობებს ბლომად დააყარეს „ღვთიური ქვის“ ფხვნილი, ხოლო შემდეგ იარებს დრო და დრო „ღვთისმშობლის რძესაც“ უსვამდნენ. ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა და ბოლოს ჭრილობებიც შეუხორცდა.

– ხომ რწმუნდებით, რა ძალა აქვს ღვთის ნაბოძებ „წმინდა წამლებს. ეჩიჩინებოდნენ ქურუმები გაუნათლებელ ხალხს და ხალხიც მდაბლად ჰხრიდა თავს. „კეთილი“ და „ყოვლისშემძლე“ მამაზეციერის წინაშე.

მაშინ, რა თქმა უნდა, ბევრს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს „ღვთიური ქვა“ ჩვეულებრივი სტალაქტიტი იყო, ათასეულობით რომ იზრდება მღვიმეებში და შედგება ნახშირმჟავა კალციუმის მარილებისაგან. უკანასკნელი კი კარგ ანტისეპტიკად ითვლება. მინერალის ამ თვისებას იცნობდნენ კულტის მსახურნი, რასაც ისინი თავიანთი ბინძური საქმიანობისათვის იყენებდნენ. სწავლულებმა „ღვთისმშობლის რძეც“ შეამოწმეს; იგი აღმოჩნდა წმინდად დაფქვილი სტალაქტიტისა და წყლის ნაზავი.

უკანასკნელ ხანს მღვიმეების სამკურნალო მიზნით გამოყენებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

მიწისქვეშ ადამიანს შეუძლია არა მარტო კარგად დაისვენოს, არამედ წარმატებითაც იმკურნალოს კიდეც. საამისო პირობებს ქმნის იდილიური მყუდროება, სუფთა ჰაერი, საუკეთესო სასმელი წყალი, თანაბარი ტემპერატურა დღე-ღამისა და წლის განმავლობაში და სხვ. წყვდიადით მოცული ორიგინალური პეიზაჟები ადამიანს თიშავს ყოველდღიური „მიწიერი ფიქრებისაგან”, უბრუნებს სულის სიმშვიდეს, მატებს ხალისსა და ენერგიას.

პირადი დაკვირვებებითაც მიწისქვეშა ჰაერი ფრიად კეთილმყოფლად მოქმედებს ადამიანის სასუნთქ არტერიებზე. ჯანსაღ ადამიანს მღვიმეში მშვიდად ძინავს (უშფოთველად, უსიზმროდ). ძილისა და დასვენების დროს გული ადვილად გრძნობს ჰაერის სუფთა ჭავლების რიტმულ შემოსვლას.

ექსპერიმენტული დაკვირვებებით დადასტურდა, რომ ჩვენი მღვიმეების ჰაერი ბაქტერიების რაოდენობით უახლოვდება ტყეებისა და ატმოსფეროს ზედაფენის ჰაერს.

მიწისქვეშა წყლებს მღვიმეებში შეაქვთ ნახშირბადის რადიოაქტიური იზოტოპები, ისინი აიონებენ ჰაერს, სპობენ მიკრობებს.

უნგრელი ექიმები აგტელიკის მღვიმეს დიდი ხანია იყენებენ სასუნთქი გზების დაავადებულთა სამკურნალოდ, ხოლო კლუტერის მღვიმის სტაციონარში (ვესტფალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) წარმატებით მკურნალობენ ისეთ მძიმე დაავადებას, როგორიცაა ბრონქიალური ასთმა. უნგრეთში აგტელეკის გარდა სამკურნალოდ იყენებენ ტავას მღვიმეს, მასში მოთავსებული თერმული ტბები დიდი რაოდენობით შეიცავს რკინის, სპილენძის და მძიმე ლითონების იონებს. ამ წყლებით მკურნალობა კეთილმყოფლად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე, ხოლო რადიუმის ემანაციით გამდიდრებული მღვიმის თბილის ჰაერი – მთელს ორგანიზმზე. მაგდენბურგის (გდრ) მარილის გამონამუშევრებში წარმატებით მკურნალობენ უბაქტერიო მარილიანი ჰაერით, მუდმივი ტემპერატურით და ჰაერის უფრო მაღალი ატმოსფერული წნევით. იტალიის თერმულ მღვიმეებში მკურნალობენ რევმატიზმით, ბრონქიალური ასთმით, ჰიპერტონიით, ნიკრისის ქარით შეპყრობილთ და გინეკოლოგიურ დაავადებებს. ამავე ქვეყნის ზოგ მღვიმეში ორთქლის აბაზანებით მკურნალობენ ნევრალგიით, ქრონიკული ნეფრიტით, ურემიით, დერმატოზით, სიმსუქნით და ნიკრისით დაავადებულებს. დასავლეთ ევროპაში შეიქმნა მედიცინის განსაკუთრებული დარგი – სპელეოთერაპია.

სხვათაშორის, ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს პრესაში საინტერესო ცნობამ გაიელვა: კაპის მღვიმეში (ურალზე) ოთხი დღე-ღამე გაატარა უფელმა პროფესორმა და მალარიისაგან განიკურნა, ხოლო მისი თანამგზავრი სტუდენტი |– ქრონიკული ანგინისაგან. ამ ცნობებს უნდა ვერწმუნოთ.

მრავალწლიანი კვლევის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მღვიმეში ადამიანი არ ცივდება. უკანასკნელი წლების განმავლობაში ათეულობით მღვიმე და უფსკრული მოგვინახულებია, მიწისქვეშაც ხანგრძლივად დავრჩენილვართ (1964-1965 წელს ანაკოფიის უფსკრულში ერთხელ 8, ხოლო მეორედ 14 დღე-ღამე დავჰყავით), ცივ მდინარეებსა და ტბებში სველი სამოსით საათობით გვიტოპია, 9-გრა-

დუსიან წყალში ბევრჯერ გვიბანავია და ავადმყოფობის ერთი შემთხვევაც არ გვქონია, პირიქით, მღვიმეში რამდენჯერმე შევსულვართ მსუბუქად გაცივებული და ყოველთვის განკურნებულები გამოვსულვართ, ჭრილობები და ნაკაწრები მიწისქვეშ ხომ გაცილებით სწრაფად ხორცდება, ვიდრე ზედაპირზე!

ასეთია ფაქტები, მაგრამ ამ ფაქტებს რატომღაც ჩვენი მედიკები უყურადღებოდ ტოვებენ.

მღვიმეები რელიგიის სამსახურში

რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ მღვიმეებსა და მიწისქვეშ მოჩუხჩუხე ანკარა წყაროებს რელიგიურ ცრურწმენასა და ზებუნებრივ წარმოდგენებთან? ამ ასპექტით ახლა ჩვენ გვინდა ზოგიერთი საინტერესო ცნობა მივაწოდოთ მკითხველს. ვინც მცირე ხნით მაინც მიწისქვეშეთის აბსოლუტური წყვდიადის გარემოცვაში მოხვედრილა, ადვილად რწმუნდება, თუ რატომ სძულთ ადამიანებს შავი ფერი, ფერი სიბნელისა და წყვდიადისა, ღამესთან დაკავშირებული ყოველგვარი მოვლენა და არსება. შავი ფერი ხომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გლოვის ფერადაც ითვლება!

სიბნელე! აი რა აშინებს ხშირად ადამიანს იმოგზაუროს მიწისქვეშ.

მორაკრაკე ნაკადულს, წვეთების ვარდნას, ქარის ზუზუნს, ღამურების წრიპინს და მათი ფრთების მოძრაობით გამოწვეულ გუგუნს ბევრჯერ დაუფრთხია ადამიანი მიწისქვეშ. ადრე ხომ ეს ხმები ათასგვარ გრძნეულ არსებათა ხმებად მიაჩნდათ და სწორედ ამის გამოც მღვიმეებს ავი სულების – ეშმაკების, დემონების, ქაჯების, ჭინკების – თავშესაფრად აცხადებდნენ. ამას ადასტურებს ჩვენში გავრცელებული მღვიმეთა სახელწოდებანი – „საჭინკია", „საქაჯეკარი", „კუდურებისკლდე" და სხვ. მღვიმეებში ზებუნებრივი ძალების არსებობის რწმენა ფართოდ არის გავრცელებული ამერიკის კონტინენტის რიგ რაიონებში. ამ მხრივ კალიფორნია გამოირჩევა.

„მოლაპარაკე ეხები" უამრავია. მათი თავისებურება დამოკიდებულია წყლის ნაკადის ან ჰაერის მოძრაობაზე. თუმცა იდუმალ ხმებს ზოგჯერ ქურუმების თანაშემწე ან ბერი გამოსცემდა, რომლებიც ჯურღმულებში იმალებოდნენ.

კასტერეს ცნობით, ასეთ მოლაპარაკე მღვიმეებს" მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ ისტორიაში. მაროკოში ახლაც არის მღვიმეები, სადაც ხალხი ღამეებს ათევს „წინასწარმეტყველური" ხმების გასაგონად. ეს კი ჩვეულებრივი, ბუნებრივი ხმებია. მას გამოსცემს წყლის ნაკადების „ჩურჩული" და ქარი.

ანაკოფიის უფსკრულისა და დასავლეთ საქართველოს სხვა მღვიმეთა დარბაზებში ჩვენ არა ერთხელ მოგვისმენია ვარდნილი წვეთების „მელოდიები". ბევრჯერ დავნაღვლიანებულვართ ჩანჩქერებისა და მდინარეების „კვნესა-გოდებით", აღფრთოვანებულვართ „მუსიკალური" სტალაქტიტების ნაზი ჟღერადობით. ხშირად ეს ხმები მკაცრად განსაზღვრულ ინტერვალში მეორდება, მაგრამ ზედაპირზე თოვლდნობისა ან წვიმის შემთხვევაში ინტერვალები წვეთის ვარდნებს შორის მცირდება, ამ დროს წვეთები და ჭავლები სხვა „ნოტებზე მღერიან".

სხვათაშორის, წვეთის მელოდიები ჰაერის შეკუმშვის შედეგია, რასაც იწვევს დიდი სიმაღლიდან წვეთების ვარდნა თიხიანი ზედაპირების ნახვრეტებში. ამასთანავე, თუ მიწისქვეშა დარბაზი ვრცელია, ჟღერადობის ეფექტი გასაოცარია.

კასტერეს ცნობით, გარგასის მღვიმეში (ზემო პირენეებში) ფირფიტისებრ სტალაქტიტებზე ხის ჯოხით ზარებს რეკავენ. ზარის ხმის ტალღები დიდხანს ირხევა მღვიმის თაღებქვეშ. ასეთი სამრეკლოები ამერიკის ბევრ მღვიმეშიცაა გამართული. მათი ხშირი სტუმრები ღვთისმოსავი ადამიანები არიან. რელიგიური მიზნებისათვის გამოყენებული მღვიმეები და მისანი წყაროები ჩვენშიც საკმაოდ ბევრია. ჩვენ მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე გაბნეულ ზოგიერთ ძეგლს დავასახელებთ. ასეთია, მაგალითად, ე. წ. წმ. იპატის მღვიმე ძველი და ახალი გაგრის გამყოფ მშრალი ხეობის მარჯვენა ფერდობზე, რომელსაც XIX ს. ბოლოს ძალიან ბევრი „კლიენტი" ჰყავდა.

ღვთისმოშიშებმა განდეგილი ცხოვრებისათვის მჭიშტისა და კელასურის მღვიმური მონასტრები აირჩიეს. პირველი გუდაუთიდან 22 კმ დაშორებით, მჭიშტის ვოკლუზური წყაროების თავზე, მიუდგომელ ფლატეზეა, ხოლო მეორე – სოხუმიდან 13 კმ დაშორებით, მდ. კელასურის მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს. ერთშიც და მეორეშიც ბერ-მონაზვნები ცხოვრობენ.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ახალი ათონის მიდამოები, რომელიც XIX ს. ბოლოს კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი უმსხვილესი რელიგიური ცენტრი ხდება (სხვათაშორის, 1888 წელს ამ „წმინდა ადგილს" მეფე ალექსანდრე III ეწვია). აქ ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა. შესანიშნავი რეკლამის მეოხებით, რაც ახლად აგებულ მონასტერს გაუკეთეს, ახალი ათონისაკენ დაიძრა ღვთისმოსავთა უდიდესი არმია. საგულისხმოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ სპეციალური ნებართვის გარეშე „წმინდა რაიონში" ჩამოსულებს სამ დღეზე მეტი დარჩენის უფლება არ ჰქონდათ. საეკლესიო მიზნებისათვის აქ სხვა ძეგლებთან ერთად გამოყენებული იყო სიმონ კანანელის მღვიმეც, რომელიც მაანიკვარის ვოკლუზური წყაროების მახლობლად მდებარეობს. ადგილო-

ბრივმა მონაზვნებმა ბუნებრივი მღვიმის შესასვლელს მოაჯირებიანი კიბე მიუშენეს, შიგნით ხატები ჩამოკიდეს და, რა თქმა უნდა, შესაწირთა სპეციალური ყულაბის(!) დადგმაც არ დაივიწყეს. ეს იყო წარსულში. თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ბერ-მონაზონთა შთამომავალთ, მათ მიმდევრებს, ახლაც საკმაოდ შეხვდებით ახალ ათონში.

ანაკოფიის უფსკრულის კვლევისას რამდენჯერმე მოვხვედრილვართ ადგილობრივ ღვთისმოსავთა გარემოცვაში. ჯერ უნდობლად, ზოგჯერ ფარული ზიზღითაც გვიყურებდნენ, ჩვენგან შორიახლოს ჯდებოდნენ, შემდეგ ჩვენთან პირისპირ შეხვედრას აღარ გაურბოდნენ, პირიქით, დაგვიახლოვდნენ და საუბარშიც კი „ჩაგვითრიეს", რა თქმა უნდა, მათთვის საინტერესო საკითხებზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი ათონის ღვთისმოსავებს ფანატიკური რწმენა აქვთ, თითქოს მიწისქვეშეთში ეკლესიები იყოს გადამალული.

– მართალი გვითხარით, მიწისქვეშ გადამალული ეკლესიები ხომ ნახეთ? რა მდგომარეობაშია ახლა ისინი, თქვენ ხომ რაიმე ზიანი არ მიგიყენებიათ? გნომებს თუ შეხვდით – ჯუჯა ხალხს? მართალია, რომ მათ აქვთ გრძელი წვერი და მომღიმარი პატარა თვალები. ახურიათ მაღალი მახვილწვეტიანი ქუდები? გაგვიგონია, – გვიამბობდნენ ღვთისმოსავები, – მათ დიდი შრომის მოყვარეობასა და საქმიანობაზე. ისინი მიწისქვეშ ციხე-კოშკებს აშენებენ, უცნაურ კოლონადებს აქანდაკებენ, ხოლო სალი კლდეებიდან მოპოვებულ ოქროს საგულდაგულოდ ინახავენო სპეციალურ საცავებში. მათ, ვინც ამ ქონდრისკაცებს მოეწონებათ, ოქროს საუნჯისაკენ გზა ხსნილი აქვთო.

ეს კითხვები ჩვენში ღიმილს იწვევდა, მაგრამ ცრურწმენით შეპყრობილებს სრულიად სერიოზულად და მშვიდად ვპასუხობდით: ანაკოფიის უფსკრულის დარბაზებში არავითარი ეკლესიები არ არის და არც შეიძლება იყოს! არავითარი ქონდრისკაცები არ ცხოვრობენ და არც შეიძლება ცხოვრობდნენ! მაგრამ განა ირწმუნეს „ურწმუნო" ხალხის პასუხი? თვალებჩაცვენილი და გაფერმკრთალებული სახეები ერთმანეთს ირონიულად გადახედავდნენ, რითაც გვაგრძნობინებდნენ, რომ მათ არ სწამდათ ჩვენი ნათქვამი.

მაგონდება ერთი პატარა ამბავიც: უფსკრულში ერთ-ერთი ჩაშვების დროს 38-40 წელს მიღწეულმა ქალმა, რომელსაც მარიას ეძახდნენ, ბოთლი მოგვცა და შეგვევედრა, მიწისქვეშეთიდან წყალი ამოგვეტანა. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავალება შევუსრულეთ. ძნელია აღვწერო ის სიხარული, რაც სუფთა წყლით სავსე ბოთლმა გამოიწვია მარიასა და მის თანამოაზრეებში. ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. ახალი ათონის მიდამოებში მიწისქვეშეთიდან მოჩუხჩუხე წყაროებს მაგიურ ძალას, განმწმენდ ან მოსანანიებელ თვისებას მიაწერენ, აპკურებენ მორწმუნეთა შეკრებას და სხვ. რამდენჯერ გვინახავს, ახალი ათონისა და აფხაზეთის სხვა რაიონებში მიწისქვეშა წყლების გამოსასვლელების სიახლოვეს მოფუსფუსე და ცივ წყალში მყვინთავი ღვთისმოსავები. ერთ-ერთი ასეთი „წმინდა ადგილი" ე.წ. კამანის წყაროებია, სოხუმიდან 12 კმ-ზე, გუმისთის ხეობის ქვაბულში.

ერთხელ, როცა კამანის წყაროებს ვესტუმრეთ, ჩვენი ყურადღება „წმინდა წყალში" მყვინთავმა ყმაწვილმა მიიპყრო, იგი დრო და დრო წყალში უჩინარდებოდა, პეშვით კენჭები ამოჰქონდა, მათში რაღაცას არჩევდა და, სხვათაშორის, უფრო მეტს ჰყრიდა... ძნელია ამ დროს ცნობისმოყვარეობის დაძლევა და ჩვენც „მყვინთავ ღვთისმოსავს" მივუახლოვდით. იგი კენჭების მორიგ პარტიას ახარისხებდა. ჩვენთვის ნამდვილი გამოცანა იყო, თუ რას ეძებდა ყმაწვილი. ცივ წყალში ხშირი ჩაყვინთვით იგი მთლად გალურჯებულიყო და ცხადად ჩანდა, უბრალო გართობისათვის როდი „იკლავდა თავს". ყმაწვილს მორიდებით ვკითხე, რას ეძებდა ცივ წყალში. მან კენჭებით სავსე პეშვი გამომიშვირა და სრულიად სერიოზულად მიპასუხა.

– აი, ხედავთ, ამ პაწაწკინტელა ქვებს სისხლის ლაქებით! ეს „წმინდა" ქვებია და ძვირად ფასობს საეკლესიო ბაზარზე. ეს ფერადი წინწკლები კი იოან ზლატოუსტის სისხლია (ადგილობრივ გავრცელებული წარმოდგენით, თითქოს კამანის ტერიტორიაზე განისვენებს იოან ზლატოუსტი – ეკლესიის ერთ-ერთი მამათაგანი). გამოირკვა, რომ ყმაწვილი „წმინდა ქვების" მოსაპოვებლად დრო და დრო სოხუმიდან დადიოდა.

– არ გაგიკვირდეთ, – გვეუბნება იგი, – ამ ქვებისათვის აქ საიდან არ ჩამოდიანო.

რამდენიმე „წმინდა" ქვა ავკრიფე და „სისხლის ლაქებს" დავაკვირდი. ეს „ლაქები" ჩვენში ირონიულ ღიმილს იწვევდა. ყმაწვილს კი, რა თქმა უნდა, არ უნდოდა იმის გაგონება, რომ „სისხლის წვეთები" სხვადასხვა მინერალის ჩვეულებრივი ჩანაწინწკლებია და სხვა არაფერი. იგი, როგორც ჩვენ მოგვეჩვენა, დაავადებული იყო არა იმდენად რელიგიით, რამდენადაც ბიზნესით.

უგუნურ ფანატიზმს საკმაოდ ხშირად თვით ადამიანიც კი ედება სამსხვერპლოდ. ატომისა და კოსმოსის ერაში, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს ეს სიტყვები, ფანატიკურად მორწმუნე ადამიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეიძლება შევხვდეთ.

ცოცხალი ბუნების ძეგლები

წყარო: თ. ცაგარეიშვილი, „ძეგლის მეგობარი", 1983, №64

უთხოვარი

უთხოვარი – ურთხელი. მესამეული პერიოდის ერთ-ერთი იშვიათი რელიექტიკური სახეობაა. იგი გავრცელებას პოულობს მსოფლიო მასშტაბით: მცირე აზიაში, ევროპაში, ჩრდ. ამერიკაში, ხმელთაშუაზღვაში, კავკასიაში, შორეულ აღმოსავლეთში პატარ-პატარა ბუჩქებისა და ერთეული ხეების სახით.

საქართველოში უთხოვარი გვხვდება თითქმის ყველა კუთხეში: რაჭა-ლეჩხუმ იმერეთსა და გურიაში ურთხმელას; აჭარაში – მადა, ურთხმელა სატილიას; ქვ. რაჭაში – წუთულის; ქართლში – ურთხლის: სამეგრელოში – ურთხელის; სვანეთში – ურთხელ, შაჟრა, – აღმ. საქართველოს მთიანეთში – მთიულეთ-გუდამაყარში ურთხლის, ფშავში – უთხოვრის სახელწოდებით.

მსოფლიო მასშტაბით, უნიკალურია კახეთში, ალაზნის ზემოდინების შენაკადის – ბაწარას ხეობაში უთხოვრის დიდი მასივი, რომელსაც 800 ჰა. ფართი უჭირავს.

უთხოვრის მცირე კორომები გვხვდება ალგეთის, ბზიფის ხეობებში, მტირალა და ნამწვავი ხევის უთხოვრები აჭარაში.

არაგვის ხეობაში უთხოვარი პატარ-პატარა ჯგუფების სახით მაღაროსკარის გარდა გვხვდება ს. თვალივში, ს. კაწალხევში. ერთეული ძირების სახით მიგრიაულთაში, ტბანი, ხომის ხეობაში, ვანხეურაზე. ახალმოზარდები ს. ხილიანის, კუჭეჭის, გუდარახისა და ყოფჩის ტყეებში.

უთხოვარი იზრდება დაჩრდილულ ტენიან ადგილებში 1800 მ. სიმაღლეზე, ზღ. დ. ციცაბო ფერდობების თხელ ნიადაგებზე, რცხილნარ და წიფლნარ ტყეებში. მიეკუთვნება წიწვოვან მცენარეს. ღეროები წვერხმელი და მრავალწლიანია, კორომის ქვეშ განახლებას არ იძლევა. მრავლდება თესლით. ახასიათებს აღმოცენის ძნელად განვითარება და მცენარის ნელი ზრდა. ამის მიზეზად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ თესლს იძლევა გვიან 20-30 წლის შემდეგ.

სპეციალისტთა გამოკვლევით ხნიერი უთხოვრის ასაკი 1200-2000 წლამდე აღწევს, საშუალო 500-900 წ. და მოზარდის 20-80 წლებში მერყეობს.

უთხოვარი, როგორც მცენარეულის იშვიათი სახეობა, შეტანილია საქ. სსრ წითელ წიგნში და სახელმწიფოებრივ მოვალეობადაა გამოცხადებული მისი დაცვა.

საინტერესოდ გამოიყურება ხალხური დაკვირვება უთხოვრის ხის ჯიშის თვისებების თავისებურებების შეცნობის და მისი მოხმარების აღკვეთის ხაზით, ფშავის საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

ხალხური დაკვირვებით, უთხოვრის სახელი წარმოდგება მისი იშვიათობით, შეუფასებლობით „არ ითხოვების სიძვირის, სიმდიდრის, სიძვირფასის გამო. ისეთი ძვირადღირებულია იმის ფასს ვერ გადაიხდი". არის ლეგენდაც, რომ თამარ მეფე ამ ხის ჯიშს არავის აძლევდა და ამიტომაც ეწოდა უთხოვარიო.

ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია დაკვირვება ამ ჯიშის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების შესახებ – გამძლეობა, ფიცხიანობა, ნელი ზრდა-განვითარება. ხალხის რწმენით იგი „უკვდავ-უბერებელი" ჯიშია. „ისეთი ძალა აქ, წყლიანში, შვილთაშვილებს ეყოფა, მაგრამ ნედლი მყიფეა და ადვილად ტყდებაო".

გამძლეობით ხალხი უთხოვარს ყოველთვის მუხას უდარებს, როგორც „ძლიერ" ხეს, მაგრამ ამავე დროს კარგად არჩევს მათ დამახასიათებელ ძირითად თვისებებს გამოყენების თვალსაზრისით. ეს კარგად ჩანს ფშავში ჩაწერილ ხალხურ ზეპირ გადმოცემის ერთ-ერთ ვარიანტშიც: „სოფელში ზვავი ჩამოწოლილა. ერთ სახლში ბავშვები მოყოლილან. ხალხი აწიოკდა იქვე მუხის ხარიხამ დაიძახა: „ნუ გეშინიათ იქ ჩვენი ჯურის ვინმე იქნება და ის გადაარჩენს, უთხოვარი კი არ არისო". მართლაც გამოთხარეს სახლი და ნახეს, მუხის კოჭი გაღუნულიყო და ბავშვები შიგ მიყუჟულიყვნენო".

მოთხრობილია გადმოცემით, უთხოვარი სამასალედ არ ვარგა. კარგია მისი გამოყენება იმ ადგილებში, სადაც დალპობის მეტი საშიშროება იყო, რადგან „წყალში უთხოვარი უფრო მაგრდება, რკინასავით ხდებაო". ამ თვისებების გამო უთხოვრის ხე ძვირად ფასობს სოფლის მეურნეობაში, მისი მერქანი გამოიყენება გემთმშენებლობაში. უთხოვრის ამ ძირითად თვისებაზე მიუთითებს სულხან-საბაც: „ურთხელი ძელი ულპოლველი. ხე. უთხოვარი, საჯი". სახარების ტექსტშიც „უდამპლოდ" არის ხმარებული.

მიუხედავად იმისა, რომ უთხოვარი ძვირადღირებულ ხის ჯიშად ითვლება ფშავის მოსახლეობა ერიდება მის გამოყენებას და საოჯახო დანიშნულებისათვის უთხოვრის ხის ხმარება აღკვეთილად არის გამოცხადებული.

ბეწინა ზურაბიშვილის (ს. ხილიანა) გადმოცემით, „ძველი წეს-ადათით უთხოვრის გამოყენება

ღობედ, შეშად, მასალად არც ვარგა და არც შეიძლება. ამბობენ ზოგმა იხმარა და სულ გაწყდაო". ბარემ კარგია უთხოვრის მსხვილი ხე, დედაბოძად, მაგალითად, ამბობენ ძველად ჩონგურიც უკეთებიათო და შვილთაშვილებს გადასულაო, ეგა ბარე ათ თაობასაც დააბერებს, მაგრამ ადათს ხომ ვერ გადახვალ, ამბობენ არ შეიძლება დაიწყევლებიო და ვინ მოკიდებს ხელს. მარტო ხატს არ წყენს თუ კირჩხად აუტან" (ზურაბიშვილი ბენინა 60 წ. ს. ხილიანა). „უთხოვარს რო ხელი წაავლო სოფელი აღსდგებოდა ძველად, ავს დაგვმართებსო" (პატარიშვილი მარიამ 100 წ. ს. მიგრიაულთა). ამ მოვლენის გაშუქების საშუალებას შემდგომი კვლევა-ძიება მოგვცემს.

ერთი სავარაუდო ახსნით კი შესაძლოა ხალხში უთხოვრის ხის ხმარების მავნებლობის შესახებ აზრის გავრცელებას, ხელი შეუწყო უთხოვრის ხის ნაყოფის მომწამვლელმა თვისებებმაც.

„უთხოვრის წითელი ნაყოფი აქ, საქონელი როგორც შეჭამს სულს გააფრთხობინებს ერთ დღეში" (ჩოხელაშვილი გიორგი 80 წ. ს. კუჭეჭი). სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღიარებულია, რომ უთხოვარს აქვს შხამის გამომუშავების თვისება, თანაც მხოლოდ იმ ნაწილებში, რომლებშიც შეიძლებოდა ცხოველების საკვებად გამოეყენებინა. მეორე მხრივ ამ რწმენამ, ბუნებრივია ხელი შეუწყო უთხოვრის უნიკალური ჯიშის გადარჩენას ფშავის ხეობაში.

„ფრაგმენტები ნადირობის ისტორიიდან"

რაც შეეხება დამჭერი ფრინველებით ნადირობას, არსებობს უამრავი მასალა ლიტერატურული ხასიათისა, რომელიც დაბეჯითებით მიგვითითებს ქართველ ტომებში ფრინველით ნადირობის არსებობას: ლიტერატურაში აღნიშნული ერთ-ერთი რეგიონი, სადაც ასეთი კვალი არ არის დამოწმებული – რაჭის ბუნებრივი პირობების თავისებურებით: ფრინველით ნადირობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ეფექტური იყოს, თუ ადგილი გაშლილია და მონადირე ფრინველს სანადირო ფრინველის დანახვა შეუძლია. გარდა ამისა, რაჭაში, რომელიც მდიდარია ძუძუმწოვარი ნადირით, არ იყო გავრცელებული ფრინველით ნადირობა (ა. რობაქიძე, 1941, გვ. 112).

ძველად საქართველოში სპორტის ეს შესანიშნავი და მიმზიდველი სახეობა – დამჭერი ფრინველებით ნადირობა, უმეტეს შემთხვევაში გართობის მიზნით, მასობრივ ხასიათს ატარებდა – განსაკუთრებით თავად-აზნაურთა წრეში. შავარდენი „ვეფხისტყაოსანშია" ნახსენები. X საუკუნის ერთ-ერთ გუჯაში კი ნათქვამია: „შვიდი ქორი კაპოეტი, შვიდი მაძებარი, შვიდი მწევარი". ი. ბატონიშვილს (ხსენებული თხზულება, გვ. 215) ჩამოთვლილი აქვს სანადირო ფრინველთა 13 სახეობა: მიმინო, ქორი, შავარდენი, გავაზი, ბარი, არწივი, სონღული (იგივე მელია), თონღრული, ალალი, მარჯანი, შავთვალი, სირკაჭკაჭი და ჯინხვა (ხაჟო). (როგორც მკვლევარების რ. ჟორდანიას „საქართველოს ფრინველების ტერმინოლოგიურ ლექსიკონში" (1960), ასევე ა. ჯანაშვილის, ლ. კუტუბიძის, დ. ზარქუას, „საქართველოს ფრინველების სარკვევში" სახელწოდებანი (ან სინონიმი) სონღული, მალია, თონღრული, შავთვალი, გარდა დ. ჩუბინიშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონისა (1984), სადაც მხოლოდ სონღული და ჯანხვაა შეტანილი, ამასთან პირველის სინონიმად შავარდენია მითითებული, მეორესი – ღაჟო. ტ. ჩ).

„მიმინო მწყერისა, ღალღისა და ლაპებისათვის არის სახმარი მის დროსა, ხოლო ზამთრით ჩიტსაც მოუტევს; და არს მრავალგვარი მიმინო: მწყაზარი, ჩალის წითელი, შავი მიმინო და ისე საზოგადო მიმინო. და მათში უმჯობესია მწყაზარი და შავი მიმინო, სიმალით.

ქორით ინადირებენ ხოხობს, კაკაბს, დურაჯს, გნოლს, იხვს და ოდესმე სავათს და კურდღელსაცა. ხოლო ქორის გვარნი არიან: თუღუნი მწყაზარი, ჩალის წითელი, შავბარდული, ჩვეულებრივი წითელი ქორი; გარნა ფრენით თუღუნი და მწყაზარი უკეთესია. ჩალის წითელიც ამას მისდევს, ხოლო შავბადური უფრო ბევრს ფრენას შესძლებს და წითელი ქორი უფრო ძალიერი შემბედავი და დაუღალავია, ვითარცა გლეხი მუშაობასა შინა; გარნა უნდა გაუშინჯო ენა, თუ შავი აქვს უკეთესი აღარ უნდა, და თუ თეთრი ენა აქვს ტყუვილად ნუ დაშვრები წითელს ქორზედ.

შავარდენი წეროსა, ბატსა და ესე ვითართა დიდთა ფრინველთათვის არის მოსატევად, გარნა ერთხელ უნდა მოუტიო. აგრეთვე ბავლის მოსატევად საამო არის, ოდესმე არწივსაც შეიპყრობს.

გავაზი დიდრონის ფრინველებისთვისაცა და ჯერნისთვისაცა გამართული კარგია, გარნა ორნი ერთად უნდა მოუტიო გავაზი: რომელიც რიგ-რიგ დაუწყებენ ცემასა და ისე შთამაგონებენ წეროსა, ხოლო ჯერანსა თვალებში დაუწყებენ კლანჭით ცემასა და დააბრკოლებენ მისსა სირბილსა, და მაშინ მოტეული მწევარი ადვილად შეიპყრობს მას ჯერანსა. ესსახედვე ბარიც გაიმართება, უფრო კურდღელისა და კაკბებისთვისაც და სხვათა ფრინველთათვის და ჟამსა ყვავის მოტევისასა კარგს თამაშს აჩვენებს.

არწივი გაიმართება და საკუთრად შეიპყრობს ჯერანსა, მგელსა და ირემსაცა დააყენებს, და ძაღლების შეწევნით შეიპყრობს კურდღელთა და ესე ვითართა ხოლმე ადვილად.

სონღული ასე მალია, რომ ორგზის უწინ დაჰკრავს შავარდენზედ, ვიდრე შავარდენი, და თითქმის ათსა და თორმეტს წეროს ერთის მიტევით ჩამოჰყრის, ეგრეთვე ბატთა, სავათთა და ყუისა.

თონღრული არის მიმინოს ოდენი, გარნა ყოველთა ზედა უძლიერესი, რომელ ყოველნი მის მიერ

იშიშვიან ფრინველნი; და ესოდენ ინადირებს, რაოდენსაცა მოახელებს ფრინველს, ეგოდენსავე ჩამოჰყრის და თითქმის დილიდამ საღამომდიდ არ დასცხრება ფრენისაგან. და ამისათვის ოდეს მოუტევენამ ფრინველსა, წინა ერთისა თვისთ შეატყობინებენ ყოველსა ადგილსა ხელმწიფენი თვისნი, და დღესაც დაუნიშნავენ მოტევისასაცა, სადაც რომ ჩამოვიდეს იგი ფრინველი, დაიჭირონ, რომ არ დაიკარგოს.

ალალიც გაიმართება, გარნა ოდეს წავლენ სამწყერაოთ, მაშინ გაუშვებენ, სადაც ნადირობენ. და იგი თან დაუწყებს დევნასა. და ოდეს წამოაფრენენ მწყერსა, იგი ზეიდამ დაუქნევს, ან შეიპყრობს და ანუ მუნვე შთამაგონებს.

მარჯანი უფრო კარგი შესაქცევია, ოდეს ტოროლას მოუტეობენ, ამისათვის რომელ ტოროლა დიაღ მაღლა წავა და ესეც თანა ჰყვება და დიდხანს თამაშით და შეტევით დაღალავს და უკანასკნელ შეიპყრობს; გარდა ამისა სხვა ვერავინ დაიჭერს ტორუას, აგრეთვე ორნი გამართულნი კაკაბთაცა შეიპყრობენ და მწყერთა და ჩიტებთა.

შავთვალაც წვრილი ფრინვეთათვის სანადიროდ კარგია და ჩქარი მფრინავიცა. სირკაჭკაჭი წვრილის ჩიტებისათვის და ჭივჭავის. და ოდესმე შაშვსაც შეიპყრობს.

ჯინხვა ანუ ხაჟო, ესეც სირკაჭკაჭის გვარია, გარნა მომცრო იმაზედ. ამას გამართავენ უფრო ყმაწვილებისათვის და მოუტევენ პეპელთა და შეიპყრობს მათ და ამით შეექცევიან. ხოლო კირკიტა თუმცა გაიმართება, მაგრამ ვერაფერს ფრინველს ვერას დაიჭერს, თვინიერ ჯოჯო-ბაყაყისა“ \.

რევოლუციის წლებში ფრინველით ნადირობა თითქმის შეწყდა – იგი თავადაზნაურობის სამარცხვინო საქმიანობად მიიჩნიეს. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან კვლავ დაიწყეს დამჭერ ფრინველთა დაგეშვა და მათი მეშვეობით ნადირობის აღდგენა გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთის რაიონებში. ამ წამოწყებას მტკიცედ დაუჭირა მხარი სქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობამ, რომელმაც განახორციელა მთელი რიგი ხელშემწყობი ღონისძიებები: ზედიზედ ორჯერ, 1969 და 1970 წ. სოფ. მუხრანში და თბილისში მოეწყო დამჭერ ფრინველთა რესპუბლიკური გამოფენა-შეჯიბრი. დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ ბაზიერები და ბაზიერთა გუნდები. აღინიშნა ნაკლოვანებები. დაისახა მათი აღმოფხვრის გზები. მსგავსი ღონისძიებები შემდგომშიც სისტემატურად ტარდება.

ძაღლით ნადირობასთან ერთად მიმინო-შავარდენით ნადირობა რომ უძველესია (ამიერკავკასიაში შავარდენით ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში რომ ნადირობდნენ), გათხრებისას ნაპოვნი ძველთ-აძველი ბრინჯაოს შავარდენიც ადასტურებს.

საქართველოში მტაცებელ ფრინველთა და ძაღლის დაგეშვის ხელოვნება ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა და იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ხშირად დაგეშილი ფრინველი (და ძაღლი) საზღვარგარეთ იგზავნებოდა: XIII საუკუნეში მონღოლ-თათართა შემოსევისას, მონადირე ფრინველები კონტრიბუციის (გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებს – ტ.ჩ.) სახით მონღოლეთში გაჰყავდათ; ქართველი მეფეები კი სპარსელებს უგზავნიდნენ, რის ფასად მათგან სხვა ძვირფასეულობას ღებულობდნენ. ცნობილია, რომ მე-17 საუკუნეში ირანის ერთ-ერთ შაჰს 800 შევარდენი ჰყავდა.

იტალიელი მისიონერის დონ კასტელის ცნობით „კოლხეთის მეფეს მოხერხებულად აქვს კავშირი გაბმული და მორჩილებს სპარსეთის ხელმწიფეს, რომელთაგანაც სამმაგი მზის ბრუნვის განმავლობაში უნდა გაგზავნოს ხოლმე ერთი დიდბატონთაგანი თავისი სამეფოს – კოლხეთის დესპანთან ერთად, ძალიან ძვირფასი და დიდებული საჩუქრებით. გარდა ამისა, უნდა გაუგზავნოს გაწვრთნილი მონადირე ძაღლები, დიდრონი ქორები; სპილოები და სხვა უამრავი ძვირფასეულობა“. მკვლევარი თ. კობახიძის იმავე წყაროს ცნობით მეფეთა ბრძანებით უამრავ ადგილას ჰქონიათ მოწყობილი შავარდენთა ბუდეები. ვახტანგ მეფის შავარდნები წითელკლდეში, ბეღლის ციხეში, აბუსალოში, ახალდაბაში, სატყიურაში და სვერში ბუდობდნენ. მათ საგანგებოდ მიჩენილი მსახურები უვლიდნენ. ვახტანგ VI დაადგინა, რომ შავარდენის დაკარგვისას მსახურს ერთიორად უნდა ეზღო დანაკარგი.

„დასტურლამალ”-ში (XVIII ს.) გვხვდება ქორისა და შავარდენის დაცვის ნორმები; აქ აღნიშნულია, რომ სადაც შავარდენი ბუდობს, ის „ალაგი ყორუღათ შეინახეთ, იქ ნურავინ გაივლის, ნურც ხეს მოჭრიან. სანამდის ჩვენი ბაზიერი არ მოვიდოდეს, ნურავინ ბუდეში ნუ ჩაეკიდება, ნურც კვერცხებს ნახავენ, ნურც ქულას ნახავენ, შორიდან თვალი ეჭიროს”. თურმე მას, ვინც ბუდეში ჩაიხედავდა, უნდა მოეყვანა შვიდჯერ უფრო მეტი შავარდენი, ვიდრე ბუდეში იყო.

XVII ს-ის ფრანგი მოგზაური ჟ. შარდენის ყურადღება მიუქცევია საქართველოში მტაცებელი ფრინველით ნადირობის ტრადიციას: „სამეგრელოში... ძირითადად ნადირობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და შემდეგ სანადიროდ იყენებენ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი: შავარდენი, მიმინო, მარჯანი და სხვა, როგორც ეს სამეგრელოშია. ეს ფრინველები კავკასიის მთებში ბუდობენ... აქ მას დიდი რაოდენობით იჭერენ და ხუთ-ექვს დღეში იშინაურებენ“ (ჟ. შარდენი, 1975, გვ. 113).

საინტერესოდ მოვიჩნიე და ამიტომაც მომაქვს ვრცელი ამონაკრები მკვლევარ ვ. მიხაილოვის ბაზიერებისა და კერძოდ შავარდენის ქცევისადმი მიძღვნილი სტატიიდან (1974, გვ. 4-8):

შავარდენი, ყოველ შემთხვევაში საუკეთესო შავარდენი, ჩრდილოეთის ფრინველია; თუ დაატყვევეს, ბნელში ჰყავთ, ნახევრად ბნელში, ყინულივით ცივ ლოდებზე. იჭერდნენ ძირითადად ჩრდილოეთში, ყინულოვანი ზღვების სანაპიროებზე. დოკუმენტებში მოხსენიებულია კანინის ნახევარკუნძული, ტერისა და დვინის მხარეები, ტიუნის სანაპირო, პეჩორის მხარე. უფრო მეტად ამ მხარეებიდან და ციმბირიდან ჩამოყავდათ საგანგებოდ გაჭედილი ყუთებით, რომელთაც შიგნით ცხვრის ტყავებს აკრავდნენ.

საიდან შემოვიდა რუსეთში ქორ-შავარდენით ნადირობა, ძნელი სათქმელია. შავარდენი უკვე იყო გამოსახული რიურიკის (მატიანეს მიხედვით რიურიკი ითვლება რუსეთის მთავართა დინასტიის ფუძემდებლად IX ს-ში) პირად გერბზე, ხოლო შავარდენთა დინასტიის ფუძემდებლად IX ს-ში-ტ.ჩ.) პირად გერბზე, ხოლო შავარდენთა საბაზიერო სახელი ჰქონდა ოლეგს, იგორის ვოევოდას (IX-X). ბაზების ხილვა შეიძლება სოფიის ტაძრის ფრესკებზე კიევში. შავარდენით ნადირობის დიდი მოყვარულია მატიანეში ვლადიმერ მონომახი. თურმე ცდილობდა ჩასწვდომოდა ამ ხელოვნების ყველა ხერხსა და საიდუმლოებას, თვითონ ზრუნავდა თავის საყვარელ ქორ-შავარდენზე.

შუა საუკუნეებში მოსკოვსა და მოსკოვის მიდამოებში, ცალკეულ პირთა ბაზიერობის გარდა, არსებობდა ორი სამეფო საბაზიერო სახელი: სემიონოვისა და კოლომნისა. ზამთრობით ფრინველი დარბაზებში ჰყავდათ, ზაფხულობით – ფარდულებში. ქორ-შავარდენებისა და გავაზისათვის საჭირო მტრედები, ცხადია, გლეხებს მოჰყავდათ. საუკუნეების განმავლობაში მათ ეკისრებოდათ „მტრედის გადასახადი". ახლანდელი სოკოლნიკის მიდამოებში, მოსკოვში, არსებობდა ადგილ-მამული, სადაც ცხოვრობდნენ მესონღულეები, მეშევარდნეები, მექორეები, აგრეთვე რამდენიმე დამგეშავი, ბაზიერი, ნადირთა მწვრთნელი. უფროსებიც იქვე ჰყავდათ – არსებობდა სპეციალური თანამდებობა მეშევარდნისა, ბაზისა, ბაზიერთუხუცესისა. დოკუმენტურად ეს პირველად ჩანს 1613 წლიდან. ამ როლში მაშინ გამოდის პუშკინის მამა-პაპათაგანი – დუმის (სათათბიროს) თავადი – გაბრიელ გრიგოლის ძე პუშკინი.

მაგრამ ფრინველთა ნადირობით შექცევა რუსეთში განსაკუთრებით განვითარდა პეტრე I მამის – ალექსი მიხეილის ძის დროს. მის დროს სამეფო საბაზიეროში სამი ათასამდე შევარდენი ჰყავდათ. თავის ბაზიერებს ალექსი მიხეილის ძე საკუთარი თითებივით იცნობდა. დედაქალაქიდან რომ გადიოდა, მეფე რეგულარულად უგზავნიდა წერილებს თავის ბაზიერთუხუცესს ათანასე ივანეს ძე მატუშკინს. შემონახულია 25 ასეთი წერილი. მეფე ხშირად შეახსენებს მატუშკინს, „ბიჭები", ე.ი. ბაზიერები ხელიდან არ გაუშვათ, ერთმანეთს შორის მეგობრულად იყონ, „ქიშპი არ იყოს არანაირი"...

ყველაფერი, რაც შევარდენით ნადირობასთან იყო დაკავშირებული, საიდუმლოებით მოცული გახლდათ. გარეშე კაცს ფიქრიც არ შეეძლო სამეფო საბაზიეროში მოხვედრაზე. წარჩინებული უცხოელი, ავსტრიელი ბარონი ნახევარი წელი ცდილობდა შეეშვათ და დაეხატა მეფის სონღულები. ფრინველები უჩვენეს, მაგრამ სპეციალურ ქოხში. ფრინველები მოიყვანა ექვსმა ფუფუნებით მორთულმა ბაზიერმა. მათ ძვრირფასი ხიფთანები ეცვათ. ფრინველებსაც ახალი ბარტყულები ედგათ, უძვირფასესი ქსოვილისა. ოქრომკერდის ზონარები თავიდან მარჯვენა წვივებზე ჩადიოდა. ყველაზე უკეთეს შავარდენს – დაწინწკლულს, თეთრი ფერისას – მარჯვენა წვივზე ოქროს ბეჭედი უციმციმებდა, ლალის თვალებით დამშვენებული. უცხოელი დაინტერესდა, სად არიანო სონღულები. დიდი ხელმწიფის მიწა-წყალზეო – იყო პასუხი...

დამგეშავ ფრინველმჭერთა შრომა მეტად მძიმედ ითვლებოდა. მათ მრავალი წლით ათავისუფლებდნენ ბეგარისა და ღალისაგან, ცხენებისა და ცხენთა საკვების მოწოდებისაგანაც კი, რაც ქვეშევრდომებს ევალებოდათ. აგრეთვე ქალაქის შენებისაგან, ციხე-სიმაგრეთა მშენებლობაში მონაწილეობისაგან. გაწვრთნილი შავარდენის ფასს ნუღაე იკითხავთ – ყოველ დროს ღირდა რამდენიმე ძროხად, სახლად და ა.შ.

ცხენით ნადირობა დამახასიათებელი იყო აზიის მომთაბარე ტომებისათვის, აგრეთვე ქართველი დიდებულებისა (კურდღელზე, ფრინველზე და სხვა. სანადიროდ) და სხვათათვის. არქანჯელო ლამბერტის სანადირო ფრინველად ითვლებოდა, მაგრამ იმაზე ნადირობას პატივს არ სცემენ არც მთავარნი და არც დიდებულები. მიზეზი ამისა ის არის, რომ ხოხობზე ცხენით ნადირობა შეუძლებელია და მას ფეხით უნდა სდიონ ქორით ხელში, რადგან ხოხობი იმყოფება ოხრად დატოვებულ მინდვრებში და დაბურულ ბუჩქნარებში, ამაებში სიარულით მონადირე ძალიან იღლება და გარდა ამისა, საშინელ ეკლებში ტანისამოსსაც და ხორცსაც იგლეჯს" (ა. ლამბერტი).

იტალიელი მისიონერის დონ კასტელის ცნობით სამეგრელოში „თითოეულ წარჩინებულის (თუ დიდებული) მამულში ხუთასი ცხენი ძოვს, კოლხეთის მთავარს კი ხუთი ათასამდე ცხენი ჰყავს" (დონ ქრისტოფორე დე კასტელი, 1977, გვ. 35).

ქართული ნადირობის სცენები ცხენის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, მით უმეტეს, როდესაც პრივილეგიური ფენის წარმომადგენელთა ნადირობაზეა საუბარი. ალბათ ამიტომ ჰყავდათ ასე ბევრი ცხენი სამეგრელოს წარჩინებულებს. „ბაკურიანის ეკლესიაში ქვაზე გამოკვეთილია ცხენოსანი მხე-

დარი, რომელსაც ხელში შავარდენი უზის... ადვილი შესაძლებელია, რომ ქვაზე გამოსახულება ადგილობრივ რომელიმე ფეოდალს ეკუთვნოდა, რაზედაც ნადირობის სცენა უნდა იყოს გამოსახული“.

ცხენი მოშინაურებულია ბრინჯაოს ხანიდან (ძვ.წ.ა. მე-3 ათასწლეულიდან). ცნობილია შინაური ცხენის 200 ჯიში. საქართველოში ცხენი ცნობილია უძველესი დროიდან (ძ.წ.ა. III და II ათასწლეულის მიჯნა). აქ ცნობილია ჯოგურ პირობებში მონაშენე ორი უძველესი ჯიში – თუშური და მეგრული. როგორც აკად. შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, არქეოლოგიური მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათში წარმოდგენილია ბრინჯაოს ხანაში ნადირობის მეტად რთული კომპოზიციები და ცხენოსანი მხედრის ფიგურა ხელოვნებაში ჩნდება უფრო გვიან, ვიდრე ცხენის ცალკე გამოსახულება. საქართველოს მრავალ არქეოლოგიურ ძეგლშია ასახული ნადირობის სცენები, სადაც სანადირო ცხოველების გარდა ასახულია ცხენი და ძაღლი.

1938 წ. თრიალეთის გათხრების დროს ნაპოვნ ვერცხლის სარწყულზე ასახულია ნადირობა. ნადირობის ამსახველი თემა მეტად მდიდრულადაა წარმოდგენილი ბრინჯაოს სარტყელებზე თრიალეთიდან და სამთავროდან.

სარტყელებზე ჭარბობს ირმების (ხარირემი და ფურირემი), ჯიხვის, ხარის, ცხენის, ძაღლის, ტახის, გველის, თევზის, ადამიანის (მონადირე) გამოსახულებები და ასტრალური ნიშნები, აგრეთვე ფანტასტიკური არსებანი: ცხენხარი, ფასკუნჯი, ორთავიანი ოთხფეხი ცხოველი და სხვ. ნადირობის რთული კომპოზიცია გაყოფილია ორ არათანასწორ ნაწილად. ფიგურები ორივე ნაწილზე განლაგებულია ორ მწკრივად მკაცრი სიმეტრიის პრინციპით. ორი მონადირე ესვრის ისრებს გაქცეულ ირმებს და ა.შ. იგი შესრულებულია ჩ.წ.ა.-მდე II და I ათასწლეულის მიჯნაზე. ნადირობის თემაზე შესრულებული კომპოზიციები სხვა არქეოლოგიურ ძეგლებშიც მრავლადაა.

ცხენმა და ნადირობამ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში. იმას რა ჯობია, „ჯიპის“ „მომთვინიერებელს”ცხენის შეკაზმვაც რომ ეცოდინება...

საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები

გეოგრაფიულ სახელწოდებებს (ქედების, მთიანეთების, მთების, მწვერვალების, მდინარეების, ტბების, დასახლებული პუნქტებისა და სხვა ობიექტების სახელებს) შეისწავლის ონომასტიკის[2] ერთ-ერთი დარგი–ტოპონიმიკა. გეოგრაფიული სახელწოდება ანუ ტოპონიმი არის ერთი გარკვეული ადგილის სახელი, რომელთა ერთობლიობას ტოპონიმიას უწოდებენ.

სიტყვა „ტოპონიმი“ ბერძულია: ტოპოს ნიშნავს „ადგილს“, ხოლო ონომოს – „სახელს“. ტოპონიმებიდან ცალკე გამოყოფენ ჰიდრონიმებს, რაც გულისხმობს მდინარეების, ტბების, ჭაობების, ზღვების სახელებს.

ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაში შემორჩენილია ძველი სიტყვა ან მისი ძველი გრამატიკული ფორმა, რომლებიც დღეს ხმარებაში აღარ არის. ტოპონიმი ხშირად ისტორიული ფაქტის „მატარებელია“, მიუთითებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის განსახლების ძველ არეალს, რაც წარსული პერიოდის ისტორიის ფურცლებს აცოცხლებს. ტოპონიმების შესწავლა ასევე მნიშვნელოვანია გეოგრაფიული თავლსაზრისითაც, ვინაიდან ისინი ხშირად მიუთითებენ ფლორისა და ფაუნის გარკვეული სახეობის გავრცელებაზე, მოსახლეობის მიგრაციაზე, მათ სამეურნეო საქმიანობაზე და ა.შ. ტოპონიმები სამი მეცნიერული დისციპლინის – გეოგრაფიის, ისტორიისა და ენათმეცნიერების კვლევის ობიექტია.

საქართველოს ტოპონიმების მრავალფეროვნება

საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. 4500-ზე მეტი სოფელია, ათეულობით ქალაქი და დაბა, 26 ათასზე მეტი მდინარე, 860-მდე ტბა, 700-მდე მყინვარი, 43 წყალსაცავი, ასეულ ათასობით მთა, მწვერვალი და სხვა გეოგრაფიული ობიექტი.

ტოპონიმების სიმრავლე განპირობებულია: ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და კულტურით; მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით; ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებებით; მიგრაციებით და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით.

ყოველ გეოგრაფიულ სახელწოდების წარმოშობას „საკუთარი“ ისტორია აქვს.

2 ონომასტიკა – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ყოველგვარ საკუთარ სახელს.

ტოპონიმების ტიპები

ტოპონიმები სხვადასხვა ტიპისაა. არსებობს მაკროტოპონიმები (მსხვილ გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებები), საკუთრივ ტოპონიმები და მიკროტოპონიმები. ისტორიულ წყაროებში უმთავრესად მოიხსენიება მაკროტოპონიმები და საკუთრივ ტოპონიმები, ხოლო მიკროტოპონიმები მხოლოდ ხალხის მეხსიერებას შემორჩა.

მიკროტოპონიმები მცირე ზომის გეოგრაფიული ობიექტების – საძოვრის, მინდვრის, ყანის, ღელის, ხევის წყაროს, უბნის, ქუჩის აღმნიშვნელია. მათი შესწავლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან თითოეულ დასახლებულ პუნქტებში და მათ შემოგარენში ასეულობით მიკროტოპონიმია. ამის გამო შეუძლებელია მიკროტოპონიმების მიახლოებითი რაოდენობის განსაზღვრაც კი. უმეტეს შემთხვევაში მათ არ გააჩნიათ გეოგრაფიული მნიშვნელობა. დროთა განმავლობაში მიკროტოპონიმები დიდ ცვლილებას განიცდიან. ზოგჯერ საერთოდ ქრებიან და თაობის ცვლასთან ერთად დავიწყებას ეძლევიან. ამას ხელს უწყობს ის, რომ მიკროტოპონიმები ზეპირსიტყვიერებით გადაეცემა თაობიდან თაობას და ნაკლებად არის ასახული ისტორიულ წყაროებში.

მიკროტოპონიმების ძირფესვიანი ცვლა დაკავშირებულია მოსახლეობის ადგილმონაცვლეობასთან, ტომებისა თუ გვარების მოსპობასთან, მიწის მფლობელის შეცვლასთან, ტყის გაჩეხვასთან და ა.შ. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ უბანს – ალექსანდროვის ბაღს – ორი საუკუნის მანძილზე რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. მას ერქვა: ყაბახი, სალაღობო, დიდი მოედანი, სამხედრო მოედანი, ასპარეზი, მუზეუმის ბაღი, ალექსანდროვის ბაღი და კომუნარების ბაღი.

მაკროტოპონიმები და საკუთრივ ტოპონიმები გაცილებით უკეთ არის შესწავლილი, ვინაიდან მოიხსენიებიან ისტორიულ წყაროებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში, სიგელ-გუჯრებში და ა.შ. ასეთებია: კოლხეთი, ეგრისი, იბერია, ქართლი, კახეთი, თბილისი, ქუთაისი, შორაპანი, მცხეთა, ცხენისწყალი, რიონი, ენგური და სხვ. ტოპონიმები ხშირად სხვადასხვა სახელწოდებითაა მოცემული ისტორიულ წყაროში, რაც გვიჩვენებს გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილების ისტორიას.

მაგალითად,

აია → კოლხა → კოლხეთი; ფაზისი → რიონი; კოტაია → ქოთათისი → ქუთათისი → ქუთაისი; ანარგია → ანაკრია → ანაკლეა → ანაკლია; დაბანისი → დბანისი → დმანისი.

საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოქმნა და განვითარება

თავდაპირველი ტოპონიმები უფრო მეტად ასახავდნენ ადგილობრივი ბუნებრივი პირობების თავისებურებებს (რელიეფს, კლიმატს, მცენარეულ საფარს, ცხოველთა სამყაროს). გეოგრაფიული სახელწოდებები წარმოიქმნებოდა ადამიანთა შთაბეჭდილების გავლენით. თუმცა ლექსიკა ჯერ კიდევ არ იყო მდიდარი, რაც ხშირად ტოპონიმების განმეორებადობას იწვევდა. ხშირად ერთი და იგივე სახელი ჰქონდა დასახლებას, მდინარეს, ტბას ან ადგილს. მოგვიანებით წარმოიქმნა მრავალი ახალი სახელი, გეოგრაფიული ობიექტების გაცილებით მეტი დეტალიზაციითა და ნაირგვარობით. გაჩნდა მეტაფორული, გადატანითი მნიშვნელობის სახელებიც. ამრიგად, თავდაპირველი გეოგრაფიული სახელწოდებების გვერდით გაჩნდა ტოპონიმები, რომლებიც უფრო ხშირად ასახავდნენ რაიმე ისტორიულ ფაქტს ან ადამიანთა საქმიანობას, ვიდრე გარემო პირობებს. გეოგრაფიული სახელწოდებების დარქმევამ მიიღო კანონზომიერი ხასიათი. ამავდროულად წარმოიქმნა ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებსაც დართული აქვთ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნიშნები: „ნი“, „თა“, „ეთ“, „ები“. მაგალითად, ორბეთი (სოფელი თეთრი წყაროს რაიონში), ურბნისი (სოფელი ქარელის რაიონში), წეროვანი (სოფელი მცხეთის რაიონში), თუშეთი, იმერეთი და სხვ. მკვლევართა აზრით, ეს ტოპონიმები არა მარტო „სიმრავლის“, არამედ „კოლექტივის სამოღვაწეო ტერიტორიის“ აღმნიშვნელია.

დროთა განმავლობაში დიდ ცვლილებას განიცდიდა ტოპონიმების ფუძეც. იგი ზოგჯერ იმდენადაა შეცვლილი, რომ მისი პირვანდელი სახის აღდგენა შეუძლებელია. მაგალითად, დაუდგენელია საიდან წარმოიშვა მდინარე მტკვრის სახელწოდება (არსებობს ვარაუდი, რომ სიტყვა „მტკვარი“ მომდინარეობს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის „კოლა“-ს სახელიდან).

ზოგიერთმა გეოგრაფიულმა სახელწოდებამ ისტორიულ ქარტეხილებს გაუძლო. ზოგიერთი მათგანი (მცხეთა, თბილისი, მტკვარი) ასწლეულებისა და ათასწლეულების მანძილზე არსებობს, ზოგიერთი შედარებით ახალია. უმეტესწილად სტაბილურია მაკროტოპონიმები – ქალაქების, მდინარეების, მთებისა და მწვერვალების სახელები.

ქართული ტოპონიმების უდიდესი ნაწილი ძველია (უძველეს და შუა საუკუნეებში წარმოქმნილი) და უცვლელი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი კი ახალია ან სახეცვლილი. ამგვარი ტოპონიმები ძირითადად დამახასიათებელია მესხეთ-ჯავახეთისათვის, ქვემო ქართლისა და აფხაზეთის ზღვისპირა ზოლისათვის.

ჯავახეთი და ქვემო ქართლი, რომლებიც საქართველოს განაპირა ზოლშია მოქცეული, საუკუნეების მანძილზე განიცდიდა უცხო ტომების თარეშს. ამის გამო, აქ ხშირია ნასახლარები, ნასოფლარები, ნაფუძრები, ნაქალაქევი და სხვ. შედეგად დავიწყებას მიეცა ძველი ქართული ტოპონიმები: ცურტავი, ურდი, არწივნი, აზეულა, ეძანი და სხვ. ამგვარი ფაქტები განსაკუთრებით მასიურია წალკის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და თეთრი წყაროს რაიონებში. ძირძველი საცხოვრებლიდან აყრილი მოსახლეობის ადგილას უცხო ეროვნების ტომები დასახლდნენ, რომლებმაც თურქული სომხური, რუსული, გერმანული ან სხვ. გეოგრაფიული სახელწოდებები დაამკვიდრეს. ასეთია: მუღანლო (სოფლები გარდაბნისა და დმანისის რაიონებში); ყიზილქლისა (სოფლები დმანისისა და წალკის რაიონებში); ხოჯაბეგი (სოფელი ნინოწმინდის რაიონში); ტამბოვკა (სოფელი ნინოწმინდის რაიონში); ბორჩალო (ისტორიული მხარე ქვემო ქართლში).

XIX საუკუნიდან მოყოლებული ჩნდება არაქართული გეოგრაფიული სახელწოდებები აფხაზეთის ზღვისპირა ზოლშიც. კერძოდ: სომხური ათარა (სოფელი ოჩამჩირის რაიონში), ანუხვა (სოფელი გუდაუთის რაიონში) და ხეობა (სოფელი გუდაუთის რაიონში); ერმოლოვსკი (გაგრის საქალაქო საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ლესელიძის ძველი სახელწოდება); კრასნი მაიაკი (კონცხი სოხუმის ყურეში) და ა.შ.

ამგვარი გეოგრაფიული სახელწოდებები სრულებითაც არ ასახავენ ტერიტორიის ბუნებრივ პირობებს, თუმცა ისინი გარკვეული ისტორიული ფაქტის მიმნიშნებელია.

ქართული ტოპონიმების უმნიშვნელო ნაწილი წარმოქმნილია XX საუკუნეში, მაშინ როცა ქვეყანაში ადგილი ჰქონდა დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ამ პერიოდში მრავალმა გეოგრაფიულმა სახელწოდებამ განიცადა ცვლილება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალ დასახლებულ პუნქტს გადაერქვა სახელი. ასე გაჩნდა: ოქტომბერი (ყოფილი სოფ. ზინობიანი ყვარლის რაიონში), განახლება (სოფლები გალის, გულრიფშის, დმანისის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის, ხულოს რაიონებში), განათლება (სოფელი ლაგოდეხის რაიონში), განთიადი (ყოფილი სოფ. ხუნდუკა ქედის რაიონში), შრომისკარი (ყოფილი სოფელი უფალკარი სენაკის რაიონში), წითელსოფელი (ყოფილი სოფელი ხატისსოფელი ბოლნისის რაიონში), ივანწმინდა (საჩხერის რაიონში) და შავსოფელი (ქარელის რაიონში), წითელწყარო (ყოფილი სოფლები ნათლისმცემელი გორის რაიონში და ნაცრიანი დედოფლისწყაროს რაიონში), წითელხევი (ყოფილი სოფ. მირონწმინდა ხარაგაულის რაიონში) და სხვ.

აღნიშნულ სახელწოდებათა უმეტესობამ სახეცვლილება განიცადა XX საუკუნის 90-იან წლებში. აღდგა ადრინდელი (გასაბჭოებამდელი) ძველი ქართული სახელები, მაგალითად ოზურგეთი, სენაკი, მარტვილი, ხონი, ბაღდადი, დედოფლისწყარო და სხვ.

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ხალხური ეტიმოლოგია

გეოგრაფიული სახელწოდებების შინაარსის ახსნის ორგვარი ეტიმოლოგია არსებობს: მეცნიერული და ხალხური. მეცნიერული ეტიმოლოგია ეყრდნობა ისტორიულად ჩამოყალიბებულ განმარტებებს, ენის კანონებს და ბუნებრივი მოვლენების განვითარების კანონზომიერებებს. ხალხური ეტიმოლოგია კი ხშირად რეალობისაგან საკმაოდ შორს დგას. ხალხური ეტიმოლოგია ხშირად მითოლოგიას უკავშირდება, თუმცა ტოპონიმების ამგვარ ახსნასაც აქვს თავისი მეცნიერული ღირებულება. მითოლოგიას უკავშირდება მრავალი გეოგრაფიული სახელწოდება. მაგალითად, დიოსკურია (ქ. სოხუმის ძველი სახელწოდება) – მის სახელს უკავშირებენ არგონავტების ლაშქრობის წევრების – ტყუპი ძმების (დიოსკურების) სახელს, რომლებსაც დაუარსებიათ ეს ქალაქი;

გეოგრაფიული სახელწოდებები დროთა განმავლობაში იცვლიან არა მარტო ფორმას, არამედ ადგილმდებარეობასაც. ზოგჯერ ამა თუ იმ ისტორიულ წყაროში მოცემული ტოპონიმი (დასახლებული პუნქტი) ამჟამად სულ სხვა ადგილს მიეკუთვნება, რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს. მაგალითად, სოფელი მაღლაკი (წყალტუბოს საქალაქო საკრებულო) და ქ. წალკა წარსულში სხვა დასახლებულ პუნქტს ერქვა. დასახლებული პუნქტების მონაცვლეობა, უფრო ხშირად, ისტორიული პროცესებით არის განპირობებული, ზოგჯერ კი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შედეგიცაა.

ერთი და იგივე ტოპონიმი ხშირად სხვადასხვა გეოგრაფიულ ობიექტს: ოროგრაფიულ ერთეულს (ქედს, მთას), ჰიდრონიმს (მდინარეს, ტბას) ან ეთნონიმს ჰქვია. მაგალითად, ბზიფის ქედი – მდ. ბზიფი – ბზიფის კანიონი; ახალქალაქის პლატო – ქ. ახალქალაქი – სოფ. ახალქალაქი; ლოქის ქედი – მ. ლოქი – ლოქის უღ. – მდ. ლოქისწყალი; ეგრისი – ეგრისის ქედი – მდ. ეგრისისწყალი (ენგურის ძველი სახელწოდება); ახალციხის ქვაბული – ქ. ახალციხე – სოფ. ახალციხე; მ. ზეკარა – ულ. ზეკარა – მდ. ზეკარა.

სოფლის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შედეგად ხშირად ადგილი ჰქონდა მცხოვრებთა ადგილმონაცვლეობას, რასაც შედეგად მოსდევდა ძველი სამოსახლო სახელწოდების გამეორება. მათ ხშირად ერთვოდა ისეთი მსაზღვრელებიც (ზედსართავი ან რიცხვითი სახელი), როგორიცაა ახალი,

ძველი, ზედა, ქვედა, ზემო, ქვემო, გაღმა, გამოღმა, პირველი, მეორე, დიდი, პატარა და სხვ. ასეთი გეოგრაფიული სახელწოდებები წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მაგალითად, ზედა ეწერი, ქვედა ეწერი, მაღალი ეწერი, დაბალი ეწერი (სოფლები ზუგდიდის, ოზურგეთისა და სამტრედიის რაიონებში); ზედა ღვარდია, ქვედა ღვარდია (სოფლები ამბროლაურის რაიონში); ზედა აგარა, ქვედა აგარა (სოფლები ქედის რაიონში); დიდი ატენი, პატარა ატენი (სოფლები გორის რაიონში) და სხვ.

გეოგრაფიული სახელწოდებების პირდაპირი თარგმანის დაკანონება დამახასიათებელი იყო XIX საუკუნეში რუსი მოსახლეობის განსახლების ადგილებისათვის. ასე იქცა, თეთრი წყარო (ქალაქი ქვემო ქართლში) ბელიკლიუჩად, ბიჭვინთა – პიცუნდად, ახალი ათონი – ნოვი აფონად და ა.შ.

ხშირად ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელწოდება სხვადასხვა ადგილას გვხვდება. რაც განპირობებულია მოსახლეობის მიგრაციით ან გეოგრაფიული გარემოს ერთფეროვნებით. ასე წარმოიქმნა 20 ახალსოფელი, 13 ახალშენი, 9 ახალდაბა, 5 ახალუბანი, 8 ეწერი.

ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები გვხვდება არაერთი ქვეყნის ტერიტორიაზეც, რაც უმეტესწილად იძულებითი მიგრაციის შედეგია. მაგალითად, ირანში არსებობს სოფლები: ქვედა მარტყოფი, ზედა მარტყოფი, ნინოწმინდა, თელავი, ვაშლოვანი.

მრავალი გეოგრაფიული სახელწოდებაა დაკავშირებული ქრისტიანობასთან ან რომელიმე საეკლესიო პირის საქმიანობასთან. ამგვარია: ნინოწმინდა (ქალაქი ჯავახეთში, სოფელი საგარეჯოს რაიონში), სტეფანწმინდა (დაბა ყაზბეგის ძველი სახელწოდება), მოწამეთა (სოფელი ტყიბულის საქალაქო საკრებულოში), გიორგიწმინდა (სოფელი საგარეჯოს, ახალციხის, გორის, დუშეთის რაიონებში), მთაწმინდა, მამადავითი (პლატო თრიალეთის ქედზე, თბილისის ფარგლებში), ხუცუბანი (სოფელი ქობულეთის რაიონში), ნიკორწმინდა (სოფელი ამბროლაურის რაიონში), ერთაწმინდა (სოფელი კასპის რაიონში), მარტყოფი (სოფელი გარდაბნის რაიონში), მარტვილი (ქალაქი დასავლეთ საქართველოში) და სხვ.

შემორჩენილია წარმართულ კერპებთან დაკავშირებული ტოპონიმებიც: არმაზი (სოფელი ახალგორის რაიონში), არმაზისხევი (მდინარე შიდა ქართლში), ზედაზენი (მთა საგურამოს ქედზე, მცხეთის რაიონში) და სხვ.

წარმომავლობისა და სადაურობის აღმნიშვნელი ტოპონიმები

მაკროტოპონიმებისა და საკუთრივ ტოპონიმების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი წარმომავლობისა და სადაურობის გამომხატველია. ამ მხრივ, უპირველესად აღსანიშნავია ტოპონიმი „საქართველო“, რომლის ფუძეშიც ფიგურირებს სატომო სახელი. კერძოდ, იგი მომდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული ქართველთა სატომო სახელიდან – ქართი, ქართუ (XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქის – ქართლოსის სახელიდან). თავდაპირველად „ქართლი“ შერქმევია ქართლოსის საცხოვრებელ, კუთვნილ ადგილს – მთას (მოგვიანებით არმაზი), რომელიც ახლ. მცხეთის მიდამოებში მდებარეობდა. ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ქართლის ტომმა ჰეგემონობა მოიპოვა და ჩამოაყალიბა ადრეკლასობრივი სახელმწიფო. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ კი სულ უფრო და უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართველურ ტომთა კონსოლიდაციის პროცესი და უკვე X საუკუნეში სიტყვა „ქართლი“ მთელი საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც ვკითხულობთ: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“, თვით ტერმინი „საქართველო“ დამკვიდრდა XI საუკუნიდან, როცა დასრულდა ქვეყნის კონსოლიდაციის პროცესი. სახელწოდება „ქართლი“ ხშირად მთელი ქვეყნის აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს არაერთი ისტორიული წყარო. აი, რას წერს ვახუშტი ბაგრატიონი: „საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილხდომილთა მისთა ეწოდა საქართველო“.

გვიანდელ შუა საუკუნეებში საქართველოს სამეფო, მართალია, დაიყო ცალკეულ სამთავროებად, მაგრამ არ გამქრალა ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის თვითშეგნება, ამიტომ ტერმინი „საქართველო“ მაინც ინარჩუნებდა თავის ფუნქციას: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იმერსა, მესხსა და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ ქართველი“... რამეთუ არა იტყვის, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

არც თუ იშვიათად, გეოგრაფიულ სახელწოდებებს სხვადასხვაგვარად იხსენიებენ მსოფლიოში. იგივე ითქმის საქართველოზეც.

მაგალითად, საქართველო რუსულად მოიხსენიება, როგორც გრუზია, აზერბაიჯანულად – გურ-

ჯისტანი, სომხურად – ვრასტან, ინგლისურად – ჯორჯია, ბერძნულად – გეორგია, ფრანგულად – ჟორჟი, ჟეორჟი, იტალიურად – ჯორჯა, ესპანურად – ხეორხია, არაბულად – ჯურჯიჲა და ა.შ. ყველა ამ სიტყვას ერთი ფუძე აქვს, თუმცა განსხვავებულად გამოითქმის.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ მრავალ გეოგრაფიულ სახელწოდებაში ფიგურირებს სატომო სახელები. მაგალითად, აფხაზეთი, მესხეთი, სვანეთი, გურია.

ტოპონიმები, რომლებიც ადგილობრივ პირობებს ასახავენ

საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა კუთხეში, გეოგრაფიული სახელწოდებების საფუძვლად უმთავრესად აღებულია ტოპონიმები, რომელთა წარმოშობაც დაკავშირებულია ადგილის გეოგრაფიულ პირობებთან (წიაღისეულ სიმდიდრეებთან, რელიეფურ პირობებთან, ჰიდროგრაფიულ ქსელთან, მცენარეულ საფართან და ცხოველთა სამყაროსთან). მათი მეშვეობით შეიძლება დახასიათდეს წარსული დროის გეოგრაფიული გარემო – რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები და ორგანული სამყარო.

ადგილის ოროჰიდროგრაფიული პირობები შედარებით ნაკლებად იცვლება, ამიტომ მათ საფუძველზე წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელწოდებები, უმეტეს შემთხვევაში, შეესაბამებიან კიდეც ბუნების თანამედროვე თავისებურებებს. თუმცა არის შემთხვევა, როცა სოფელს შეუცვლია ლოკალიზაციის ადგილი და მიუხედავად განსხვავებული გარე პირობებისა, მას შერჩენია ძველი სახელი. მაგალითად, სოფელი მაღლაკი (წყალტუბოს საქალაქრო საკრებულო) მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის წყალშუეთში. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სოფელი ადრე მდებარეობდა რომელიმე მახლობელ მაღლობზე და მცხოვრებთა მიგრაციის შედეგად აღმოჩნდა ვაკეზე, თუმცა შენარჩუნებული აქვს ძველი სახელი.

მრავალი ტოპონიმის წარმოქმნა დაკავშირებულია ადგილის რელიეფურ პირობებთან. მაგალითად, ბრტყელი, ვაკე რელიეფი ასახულია შემდეგ ტოპონიმებში: ვაკე (სოფლები დმანისის, კასპის, ოზურგეთის რაიონებში, გაგრის საქალაქო საკრებულოში), ვაკისა (სოფელი საჩხერის რაიონში), ვაკევისა (სოფელი ჭიათურის საქალაქო საკრებულოში), დიდვაკე (სოფელი ხარაგაულის რაიონში), ზენი (სოფლები ოჩამჩირის, ხობის, გალის რაიონებში. „ზენი“, „რზენი“ მეგრულად ნიშნავს „ვაკეს“), მერია და მერისი (სოფლები ოზურგეთისა და ქედის რაიონებში. ძველქართულად „მერია“ ნიშნავს „ვაკე ადგილს“), ნაკი (სოფელი მესტიის რაიონში. სვანურად „ნაკ“ ნიშნავს „ვაკეს“), მდ. ნაკრა და ნაკრის უღელტეხილი და სხვ.

შემაღლებულ ადგილზე მდებარეობა ასახულია შემდეგ ტოპონიმებში: გორი (ქალაქი შიდა ქართლში, სოფელი ამბროლაურის რაიონში), გორმაღალი (სოფელი სამტრედიის რაიონში), გორისა (სოფელი საჩხერის რაიონში), გორა (სოფელი დმანისის რაიონში), კაპნისთავი (სოფელი ხელვაჩაურის რაიონში. „კაპანი“ ნიშნავს „ფერდობს“, „დაქანებას“), კაცხი (სოფელი ჭიათურის საქალაქო საკრებულოში. „კაცხ“ სვანურად ნიშნავს „წვერს“, „თხემს“), კურზუ (სოფელი მარტვილის რაიონში. „კურზუ“ მეგრულად ნიშნავს „ამობურცულ“, „ამაღლებულ ადგილს“), ოზურგეთი (ქალაქი გურიაში. „ზურგ“, „სურკ“ სპარსულიდან კოლხურში ნასესხები სიტყვაა და ნიშნავს „მთის ზურგს“, „გორაკს“, „ბორცვს“. „ო“ არის კოლხური სუფიქსი, რაც თანამედროვე ქართულის „სა“-ს შეესაბამება) და სხვ.

შედარებით უფრო მობილურია **მცენარეული საფარი**, ამიტომ ხშირად მათ საფუძველზე წარმოქმნილი სახელწოდებები დღეისათვის სრულებით არ ასახავენ ადგილის თანამედროვე ბუნებრივ პირობებს. ამ თვალთახედვით აღნიშნულ ტოპონიმებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ტერიტორიის პალეოგეოგრაფიული შესწავლისათვის, ვინაიდან ისინი მიგვანიშნებენ წარსულში ამა თუ იმ რეგიონში გარკვეული მცენარეების გავრცელებაზე. მის არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ საქართველოს ტერიტორიაზე. მაგალითად, შიდა ქართლის ვაკის თითქმის მთელი ტერიტორია ამჟამად უკავია ურიოან-ვაციწვერიან და ჯაგეკლიან სტეპებსა და კულტურულ მცენარეულობას (ხეხილის ბაღებს, ვენახებს, ყანებს), თუმცა წარსულში იგი მუხის, რცხილის, ტირიფის, თელის ტყეებით ყოფილა შემოსილი. ამაზე მიგვანიშნებს აქ შემორჩენილი ტოპონიმები, როგორიცაა მუხნარი (სოფელი მცხეთის რაიონში), ტირიფონ-მუხრანის ვაკე (შიდა ქართლის ვაკის ნაწილი, კვერნაქის ქედის ჩრდილოეთით), ცხინვალი (ქალაქი შიდა ქართლში. მომდინაროებს სიტყვა „რცხილიდან“), თხინვალი (სოფელი მცხეთის რაიონში), თელათგორი (სოფელი კასპის რაიონში), რკონი (ყოფილი სოფელი კასპის რაიონში), ცხრამუხა (სოფელი ხაშურის რაიონში), იფნარა (სოფელი გორის რაიონში) და სხვ. მუხნარი ტყით ყოფილა შემოსილი თბილისის ქვაბული, დღეს კი მის ნაცვლად უმთავრესად ჯაგეკლიანი სტეპია გადაჭიმული. ამაზე მიუთითებს თბილისსა და მის შემოგარენში შემორჩენილი მრავალი ტოპონიმი: მუხიანი (თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი), მუხათგვერდი (სოფელი მცხეთის რაიონში, თბილისთან ახლოს), მუხათგვერდის ტბა (ტბა თბილისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) და სხვ. მდ. წავკისისწყლის (მდინარე თბილისის მიდამოებში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობა განთქმული ყოფილა ლეღვის ხეებით, საიდანაც წარმოიქმნა მდინარის მეორე სახელწოდება „ლეღვთახევი“).

მცენარის სახელის მიხედვით წარმოიქმნა, აგრეთვე შემდეგი ტოპონიმები: დიდი ჭყონი (სოფელი მარტვილის რაიონში. „ჭყონი“ მეგრულად ნიშნავს „მუხას“), თხინვალი (სოფელი ოზურგეთის რაიონში), ნიგვზნარა (სოფელი ონის რაიონში), ნეძონა (გულრიფშის რაიონის სოფელ ხიზარუხის ძველი სახელწოდება. „ნეძი“ მეგრულად ნიშნავს „კაკლის ხეს“, „ნიგოზს“), პანტიშარა (ადგილი ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე), ჭანდარა (სოფლები ახალგორისა და გურჯაანის რაიონებში. „ჭანდარა“ იგივე „ჭანდარს“ ნიშნავს), აჭანდარა (სოფლები გუდაუთისა და გულრიფშის რაიონებში. „ა“ აფხაზური პრეფიქსია), წაბლარისწყალი (მდინარე ბაღდადის რაიონში, ხანისწყლის მარცხენა შენაკადი), წაბლოვანა (სოფელი ხაშურის რაიონში), ბზიფი (მდინარე აფხაზეთში. არსებობს ვარაუდი, რომ იგი მომდინარეობს სიტყვა „ბზა“-დან), ბიჭვინთა (დაბა, კონცხი, ნაკრძალი გაგრის საქალაქო საკრებულოში), თელავი (ქალაქი კახეთში), აჯამეთი (სოფელი და ნაკრძალი ზესტაფონისა და ბაღდადის რაიონებში. „აჯამეთი“ არაბულად ნიშნავს „ტყეს“, „უღრანს“), თერჯოლა (ქალაქი იმერეთში. მომდინარეობს სიტყვებისაგან „თეთრ ბჟოლა“-საგან), შქმერი (სოფელი ონის რაიონში), შხელდა (მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე, მესტიის რაიონში. „შხელდა“ სვანურად ნიშნავს „წითელ მოცვს“).

საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ამა თუ იმ **წიაღისეულის** არსებობასთან ან ზოგიერთ შემთხვევაში – მათ მოპოვებადამუშავებასთან. ასეთი ტოპონიმებია: სარკინეთი (ყოფილი ქალაქი), ბაკურიანის ანდეზიტი (მუშათა დასახლება ბორჯომის რაიონში), ნავთლუღი (თბილისის ერთ-ერთი უბანი), ფოლადური (სოფელი ბოლნისის რაიონში), ტყირი (სოფელი სენაკის რაიონში. მეგრულად „ტკირი“ ნიშნავს „ფიქალს“, „ფიქალიან ადგილს“), ოცარცე (სოფელი გალის რაიონში) და სხვ.

მინერალურ წყლებთან დაკავშირებულია შემდეგი ტოპონიმები: აბანო (სოფელი ქარელის, ყაზბეგისა და ჯავის რაიონებში), ვეძისი (თბილისის ერთ-ერთი უბანი), მენჯი (კურორტი სენაკის რაიონში. მეგრულად „მენჯი“ ნიშნავს „ვეძას“, „მჟავე წყალს“), ვეძები (სოფელი ახმეტის რაიონში), თორღვას აბანო (კურორტი თელავის რაიონში), ვაჟას წყარო (კურორტი დუშეთის რაიონში) და სხვ.

ედაფიურ პირობებთან დაკავშირებული ტოპონიმებია: ეწერი (სოფელი აბაშის, გალის, მარტვილის, თერჯოლის, ლანჩხუთის, სენაკის, წალენჯიხის რაიონებსა და ჭიათურის საქალაქო საკრებულოში), მიწაწითელი (სოფელი წყალტუბოს საქალაქო საკრებულოში), მლაშე (სოფლები ადიგენისა და დუშეთის რაიონებში), დიხაზურგა (სოფელი გალის რაიონში. მეგრულად „დიხა“ არის მიწა), ლამისყანა (სოფელი კასპის რაიონში. „ლამი“ არის წყალში დანალექი სილა), ლამისხევი (მდინარე, ალგეთის მარცხენა შენაკადი), ლისი (ტბა ქ. თბილისის ფარგლებში და სოფელი მცხეთის რაიონში. „ლია“ არის ლამი, საფლობი ტალახი, ტალახიანი გუბე).

ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული ტოპონიმებია: საირმე (კურორტი ბაღდადის რაიონში), დათვისი (სოფელი დუშეთის რაიონში), ნუკრიანი (სოფელი სიღნაღის რაიონში), მელაური (სოფელი სამტრედიის რაიონში), ჯოღეჯიანი (ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ძველი სახელწოდება. მეგრულად „ღეჯი“ ნიშნავს ღორს), ლაილაში (სოფელი ცაგერის რაიონში. სვანურად „ილვ“ ნიშნავს „შველს“, ე.ი. „საშვლეს“), ოირემე (სოფელი ზუგდიდის რაიონში. ნაწარმოებია სიტყვა „ირემისაგან“, „ო“ კოლხური პრეფიქსია), ოკვინორე (სოფელი გალის რაიონში. ნაწარმოებია სიტყვისაგან „კვერნა“), საბუე (სოფლები ახმეტისა და ყვარლის რაიონებში), კაკაბეთი (სოფელი საგარეჯოს რაიონში), ქორეთი (სოფლები ახმეტისა და საჩხერის რაიონებში), ჩხიკვთა (სოფელი თეთრი წყაროს რაიონში), გავაზი (სოფლები ახალგორისა და ყვარლის რაიონებში), ორბეთი (სოფელი თეთრი წყაროს რაიონში) და სხვ.

საქართველოში მრავლად გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომლებიც საგზაო ტერმინებთანაა დაკავშირებული. ასეთია ზეკარი (უღელტეხილი და მწვერვალი მესხეთის ქედზე), ზეკარა (უღელტეხილი და მწვერვალი დვალეთის ქედზე), აჭარის აღმართი (სოფელი ხელვაჩაურის რაიონში), ჩასავალი (სოფელი ჯავის რაიონში), მისაქციელი (სოფელი მცხეთის რაიონში), ნებოძირი (სოფელი ხარაგაულის რაიონში. ძველქართულში „მებოძირი“ ნიშნავს „გზაჯვარედინს“, „გზასაყარს“). **მდინარეზე გადასასვლელს**, ფონს, ბოგირს უკავშირდება შემდეგი ტოპონიმები: ფონა (სოფლები ლაგოდეხისა და ხარაგაულის რაიონებში), ფონიჭალა (სოფელი გარდაბნის რაიონში), ცხრაფონა (სოფელი ქობულეთის რაიონში), ბოგა (სოფელი ახალციხის რაიონში), მიწაბოგირა (სოფელი სამტრედიის რაიონში) და სხვ.

არსებობს ისეთი ტოპონიმები, რომლებიც **წარმოშობილია ზოგადი სიტყვისაგან**, თუმცა დღეს იგი აღარ მოგვეპოვება თანამედროვე ქართულ ენაში. წარსულში გავრცელებული ზოგიერთი ეს სახელი შემორჩა მხოლოდ გარკვეულ (ერთ ან რამდენიმე) ადგილას და გეოგრაფიული ობიექტის საკუთარ სახელად ქცეულა. ასეთი ტოპონიმებია:

ზეკარი (უღელტეხილი და მწვერვალი დვალეთის ქედზე, უღელტეხილი მესხეთის ქედზე) – ძველ ქართულში „ზეკარი“ ნიშნავდა „უღელტეხილს“, „გადასასვლელს“, „დადაბლებას მთაზე“.

ჭოროხი (მდინარე აჭარასა და თურქეთში) – სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „ჭოროხი“ არის „მდინარისგან შეყრილი ქვიშა“

მერია (სოფლები ცხინვალისა და ოზურგეთის რაიონებში), მერისი (სოფელი და მდინარე ქედის რაიონში) – სიტყვა „მერე“ ერთ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელ საქართველოში, დღეს კი შემონახულია გურულ და აჭარულ დიალექტებში. იგი მდინარისპირა ვაკეს ნიშნავს.

მზვარე (სოფლები ხარაგაულისა და ქედის რაიონებში) – ნიშნავს „მზიან ადგილს“, „მზიან ფერდობს“.

ბრილი (სოფლები შუახევის, ცხინვალისა და ხაშურის რაიონებში) – ნიშნავს ჩრდილისაკენ მიქცეულ ფერდობს და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ტოპონიმი დღესაც არის შემორჩენილი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ეს კი მიუთითებს ხსენებული ზოგადი სიტყვის ფართო გავრცელებაზე მთელ საქართველოში.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები. ზოგიერთი ტოპონიმი ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაზე, ან მის მიერ მოყვანილ კულტურული მცენარეების ან მოშენებული ცხოველების ადგილსამყოფელზე მიგვანიშნებს. მაგალითად, ბოსტანქალაქი (ქ. რუსთავის ძველი სახელწოდება), ვაზიანი (სოფლები გარდაბნის, მცხეთის, ჩოხატაურის რაიონებში), ვაზისუბანი (სოფლები გურჯაანისა და სამტრედიის რაიონებში), ჩაისუბანი (სოფლები ქობულეთის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის რაიონებში), ციტრუსოვანი (სოფელი გუდაუთის რაიონში), ახო (სოფელი ქედის რაიონში), ლარილარი (სოფელი მესტიის რაიონში. სვანურად „ლარე“ ნიშნავს „სათიბს“, ე.ი. „პატარა სათიბს“), მარანი (სოფლები აბაშისა და გულრიფშის რაიონებში), ნაოჩი (სოფელი ოჩამჩირის რაიონში. მეგრულად „ოჩე“ ნიშნავს „ყანას“, ე.ი. „ნაყანევს“), აზავრეთი (სოფელი ახალქალაქის რაიონში. „აზავრეთი“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „ხარი საკიდარი“), ბოსლები (სოფელი დმანისის რაიონში), ნაბოსლევი (სოფელი ტყიბულის საქალაქო საკრებულოში), გომი (სოფლები კასპის, ონის, ოზურგეთის, ხაშურის რაიონებში, მთა მესხეთის ქედზე, ოზურგეთის რაიონში) და სხვ.

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება წარმოქმნილია სტრატეგიული **მნიშვნელობის ობიექტების** (გამაგრება, ციხესიმაგრე) სახელიდან და მიგვანიშნებს გარკვეულ პერიოდში ქვეყნის აღმავლობა-სიდიადეზე ან პირიქით, დაცემა-დაბეჩავებაზე.

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება სოფლის მცხოვრებთა წარმომალობას აღნიშნავს. მაგალითად, ხევსურთსოფელი (სოფელი თიანეთის რაიონში), ბორჩალო (ისტორიული მხარე ქვემო ქართლში), მუღანლო (სოფლები გარდაბნისა და დმანისის რაიონებში, სადაც აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, მუღანლოს ველიდან გადმოასახლეს მუსლიმანური მოსახლეობა), როდიონოვკა (სოფელი ნინოწმინდის რაიონში) და ა.შ.

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება გვარიდანაა წარმოქმნილი. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა დუშეთის, ხულოსა და ქედის რაიონები. მაგალითად, დუშეთის რაიონში არის სოფლები: ბუჩუკურთა, გოგოლაურთა, კაიშაურნი, ჩოხელნი, ქედის რაიონში: ბალახაძეები, გეგელიძეები, გოგინიძეები, ინასარიძეები, სირაბიძეები, სიხალიძეები, ჩეტკიძეები, ჭინკაძეები, ჯალაბაშვილები, ხულოს რაიონში – გელაძეები, გორგაძეები, დეკანაშვილები, დიაკონიძეები, დუაძეები და სხვ. ეს ტოპონიმები მიგვითითებს წარსულში (ზოგან დღესაც) კონკრეტული გვარის ფართოდ გავრცელებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ტოპონიმები შეურქმევიათ არა მარტო დასახლებულ პუნქტებისათვის, არამედ სხვა გეოგრაფიულ ობიექტებსაც. ასეთებია: ბუჩუკურთა (მდინარე დუშეთის რაიონში, ხევსურეთის არაგვის მარჯვენა შენაკადი), კაიშაურის ველი, კაიშაურის ლავური ღვარი (მდ. მთიულეთის არაგვის მარჯვენა მხარეს), ჩოხელთხევი (მდინარე დუშეთის რაიონში, არაგვის მარჯვენა შენაკადი), დიაკონიძეებისწყალი (მდინარე ხულოს რაიონში, აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადი).

მრავალი გეოგრაფიული სახელი წარმომდგარია ადამიანის სახელისაგან. ასეთებია: გრიგოლეთი (სოფელი და ტბა ლანჩხუთის რაიონში), სიმონეთი (სოფელი თერჯოლის რაიონში. წარსულში მას „სვიმონეთი“ ერქვა), გოდერძი (უღელტეხილი არსიანის ქედზე, ადიგენის რაიონში), ოქროპილაური (სოფელი შუახევის რაიონში. საფუძვლად უდევს ადამიანის სახელი „ოქროპირი“), ფარცხანაყანევი (სოფელი წყალტუბოს საქალაქო საკრებულოში. მომდინარეობს ადამიანის სახელისაგან „ფარსმანი“. სოფლის ძველი სახელწოდებაა „ფარსმანყანევი“). ამიტომ ხშირად ამ ტოპონიმების წარმოქმნა ისტორიული პირების სახელთანაა დაკავშირებული. ასეთებია: სააკაძე (სოფელი გარდაბნის რაიონში), გოდერძი (სოფელი და უღელტეხილი ადიგენისა და ხულოს რაიონებში. ვარაუდობენ, რომ გოდერძი იყო შუა საუკუნეების ლეგენდარული პოეტი), შოთა რუსთაველის მწვერვალი (მწვერვალი ბეზენგის კედელზე, მესტიის რაიონში), დავით აღმაშენებელი (მწვერვალი ყაზბეგის რაიონში), ვაჟას წყარო (კურორტი დუშეთის რაიონში), თორღვას აბანო (კურორტი თელავის რაიონში), ვახუშტი ბაგრატიონი (უფსკრული გაგრის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, არაბიკის მასივზე), შუშანიკი (მწვერვალი ცენტრალურ კავკასიონზე), კახაბერი (სოფელი და ზღვისპირა ვაკე ხელვაჩაურის რაიონში. სახელწოდება მომდინარეობს XV საუკუნის გურიის მთავრის კახაბერ გურიელის სახელიდან) და სხვ.

ისტორიულ პირებთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელმწოდებების წარმოქმნა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდში, როცა არაერთ დასახლებულ პუნქტს მიეცა

პოლიტიკური ან საზოგადო მოღვაწის სახელი (გვარი). ასე წარმოიქმნა ქალაქების სახელწოდებები: მახარაძე, გეგეჭკორი, წულუკიძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე, მაიაკოვსკი; სოფლები – ჟდანოვი (ნინოწმინდის რაიონი), კალინინო (ნინოწმინდის, გარდაბნის რაიონები); დაბები – ლენინგორი, ლესელიძე (წარმომდგარია II მსოფლიო ომის გმირის სახელიდან), ბორის ძნელაძე (მწვერვალი შანის ქედზე) და სხვ.

ადგილთა ვინაობა

წყარო: ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ? თბ., 1971.

ისევე როგორც ადამიანს, ყოველ ქალაქსა და სოფელს, ყოველ ქვეყანას, მთასა თუ კუნძულს თავისი სახელი ჰქვია. ამგვარ სახელებს ტოპონიმებს უწოდებენ (ტოპოს ბერძნულად ნიშნავს „ადგილს", ონომა – „სახელს"). ტოპონიმთაგან ცალკე გამოყოფენ ჰიდრონიმებს – მდინარეების, ტბების, ზღვების სახელებს. საერთოდ გეოგრაფიულ სახელთა კრებულს ტოპონიმია ეწოდება, მის შემსწავლელ დარგს კი ტოპონიმიკა.

ხალხს დიდი ხანია აინტერესებს გეოგრაფიული სახელების წარმომავლობა, მაგრამ ბევრ მათგანს დროთა განმავლობაში ისეთი ცვლილებები განუცდია, რომ მათი მნიშვნელობა დღეისათვის გაუგებარი გამხდარა. ასეთ სახელებს ხალხი ზოგჯერ თავისებურ ახსნას უძებნის, სხვადასხვა ლეგენდებს უკავშირებს მათ. ამგვარ ახსნას, რომელიც მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ხალხური ეტიმოლოგია ეწოდება.

ასე, მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთ კურორტს თითქოს იმიტომ დაერქვა აბასთუმანი, რომ იქ დიდი სიძვირეა და აბაზად ღირებული თუმნად ფასობს. მეორე კურორტს ბახმარო თითქოს იმიტომ ჰქვია, რომ იქ თათრებმა მოკლეს მოტაცებული ქალი, სახელად მარო, და ზედ დააწერეს ბახ მარო („ნახე მარო"). ქალაქის სახელი თელავი თითქოს მიღებულია სომხური გამოთქმისგან: თე ლავე („თუ კარგია") და ა.შ. ხალხური ეტიმოლოგია ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამგვარი მნიშვნელობანი („თუ კარგია", „ნახე მარო" და სხვანი) სრულიად შეუფერებელია გეოგრაფიული სახელებისათვის და ტოპონომიაში არსად გვხვდება. სინამდვილეში ამ სახელებს მოეპოვებათ სულ სხვა, ენის კანონებზე დაფუძნებული და ისტორიულად გამართლებული განმარტება ანუ მეცნიერული ეტიმოლოგია, რასაც ქვემოთ გავეცნობით.

ზოგჯერ გეოგრაფიული სახელწოდება დაკავშირებულია რომელიმე ისტორიულ მოვლენასთან ან პირთან. მაგალითად, ცნობილია, რომ ამერიკა ნაწარმოებია მოგზაურ ამერიგო ვესპუჩის სახელისაგან. მან კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ერთმა პირველთაგანმა იმოგზაურა სამხრეთ ამერიკაში და შეისწავლა იგი. თვითონ კოლუმბის პატივსაცემად ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანას ეწოდება კოლუმბია. მსოფლიოში განსაკუთრებით ბევრია ისეთი ქალაქი, რომლის სახელწოდებაც გამოჩენილ პირთა სახელისა ან გვარისაგან არის წარმოშობილი. მაგალითად. ეგვიპტეში ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებულ ქალაქს მის პატივსაცემად ალექსანდრია ეწოდა (332 – 331 წ. ძვ. წ. ა.). ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის პატივსაცემად ათზე მეტ ქალაქს (მათ შორის აშშ-ის დედაქალაქსაც) ვაშინგტონი ჰქვია. მეორე პრეზიდენტის – ვილსონის სახელს ატარებს ექვსი ქალაქი და ა.შ.

ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს ტოპონიმია წარმოადგენს. ჩვენში ძალიან ბევრია გეოგრაფიული სახელი, რომელიც ადგილმდებარეობის დახასიათებას შეიცავს; მაგალითად: გორი, გორისა, გორმაღალი, კლდეკარი, მთისძირი, ვაკისძირი, დიდვაკე, ველისპირი, ველისციხე, ჭალატყე, ღრმაღელე, რუსთავი, რუისპირი, წყალშავი, ქვათეთრი, ქვაციხე, რიყეთი, ზეგანი, ეწერი და სხვა.

ბევრ ჩვენს სოფელსა და ქალაქს სახელი მცენარეულობის ან ცხოველთა თუ ფრინველთა მიხედვით დარქმევია. ასეთია, მაგალითად: მუხიანი, მუხრანი, ცხრამუხა, რკონი, წიფლარი, ცაცხვნარი, დაფნარი, ვაზიანი, ნიგვზიანი, კაკლიანი, პანტიანი, თელეთი, თელოვანი, ვაშლევი, მსხალდიდი, ჩაისუბანი, საირმე, კურდღელაური, თაგვეთი, ქორეთი, კაკაბეთი, ჩხიკვთა, საბუე და მრავალი სხვა.

მრავალი გეოგრაფიული სახელი მიღებულია იქ მოსახლე ხალხის გვარისა ან სახელისაგან. ასეთებია: დიაკონიძეები, ზარნაძეები, თაბაგრები, ხიდეშლები, მღებრიანი, ბუჩუკურთა, მიგრიაულთა, კიმოთესუბანი, წინამძღვრიანთკარი, გრიგოლეთი, სიმონეთი და სხვანი.

გეოგრაფიულ სახელებად გვხვდება ცნობილ ისტორიულ პირთა გვარებიც: წულუკიძე, მახარაძე, ცხაკაია, გეგეჭკორი, მაიაკოვსკი.

იმის გამო, რომ გეოგრაფიული სახელების დარქმევა ხშირია ერთი და იმავე ნიშნის მიხედვით, მსგავსი ან სრულიად ერთნაირი სახელები გვხვდება სულ სხვადასხვა კუთხეში. გაშენდებოდა, მაგალითად, სადმე სოფელი და დაერქმეოდა ახალსოფელი ან ახალშენი. დღეისათვის საქართველოში

ახალსოფელი ჰქვია 24 დასახლებულ პუნქტს, ახალშენი – თოთხმეტს. არსებობს აგრეთვე 9 ახალდაბა, 5 ახალუბანი, 4 ახალციხე, 2 ახალქალაქი...

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრ სოფელს გადაერქვა ძველი სახელი და ეწოდა ოქტომბერი, განახლება, განთიადი, შრომა, წითელსოფელი...

საუბედუროდ, წინათ ჩვენს ქვეყანას მტრები არ ასვენებდნენ, ქალაქებსა და სოფლებს ანგრევდნენ, ხალხს აწიოკებდნენ. მტრისაგან დარბეულ სოფელს ზოგჯერ სახელი ეცვლებოდა და არაშენდა ერქმეოდა. ეს სახელი დღეისათვის რამდენიმე სოფელს შერჩა, თუმცა ისინი ახლა მშვენიერი და მჭიდროდ დასახლებული სოფლებია. რამდენიმე ადგილას გვხვდება აგრეთვე აგარა, აწყური, ეწერი, ვაკე, ვანი, ზეგანი, ვაზიანი, ვაშლოვანი, პანტიანი, სალხინო, მეტეხი, ნოღა, საბუე, შუამთა, ტბეთი, ჭალა და სხვანი.

ჩვენს ისტორიაში ძველთაგანვე ცნობილია რამდენიმე რუსთავი. მათგან ერთი ახლა განთქმული მეტალურგიული ქალაქია, მეორე – ლამაზი სოფელია მესხეთში. ეს ორი რუსთავი ერთმანეთს ეცილება, თუ რომელი მათგანია დიდი პოეტის შოთა რუსთაველის სამშობლო.

ამა თუ იმ შემთხვევის გამო ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა ქვეყანაშიც შეიძლება შეგვხვდეს. საქართველოში რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ალავერდი ჰქვია, იგივე სახელწოდება სომხეთში ქალაქის სახელად გვხვდება. ერაყის დედაქალაქია ბაღდადი. იგივე სახელი ჰქვია სოფლებს მახარაძისა და ლაგოდეხის რაიონებში, ხოლო წინათ ერქვა აგრეთვე მაიაკოვსკის რაიონულ ცენტრს. ყველას გაუგონია გმირი ქალაქი სევასტოპოლი; ამავე სახელით იხსენიება ანტიკურ ისტორიულ წყაროებში საქართველოს ულამაზესი ქალაქი სოხუმი. მთელ მსოფლიოში ცნობილია ლონდონის გარეუბანი გრინვიჩი, სადაც განთქმული გრინვიჩის ობსერვატორია მდებარეობს. გრინვიჩი ინგლისურად ნიშნავს „მწვანე ყურეს". ეს სახელი ჰქვია აგრეთვე რამდენიმე ქალაქს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამგვარი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

სხვადასხვა ადგილას ერთი და იმავე სახელწოდების არსებობა ზოგჯერ ხალხის გადასახლებით აიხსნება. სახელდობარ, ბევრი ევროპული ტოპონიმი ამერიკაში გადაიტანეს იქ ჩასულმა კოლონისტებმა. როცა შაჰ-აბასმა კახეთის მოსახლეობა აყარა და სპარსეთში გადაასახლა, იქ, ფერეიდანში, ახლად გაშენებულ სოფლებს ქართველებმა დაარქვეს თავიანთი მამაპაპური გეოგრაფიული სახელები: მარტყოფი, ნინოწმინდა, თელავი, ვაშლოვანი და სხვა.

ძველად საქართველოში ბარის სოფელს მთაშიც ჰქონდა საზაფხულო სადგომი, სადაც ამ სოფლის მცხოვრებნი ზაფხულობით ხანგრძლივად იმყოფებოდნენ, იალაღებზე მყოფ პირუტყვს უვლიდნენ, მეცხოველეობის საქმეს უძღვებოდნენ. ზოგი ასეთი საზაფხულო სამყოფელი დროთა განმავლობაში მუდმივ სამოსახლოდ იქცეოდა, ე.ი. ჩნდებოდა ახალი სოფელი მთაში. ბუნებრივია, ამ ახალ სოფელს ხშირად იგივე სახელი ერქვა, რაც ბარის სოფელს. ცხადია, ტოპონიმების დამთხვევა ზოგჯერ ამ მიზეზითაც აიხსნება.

როგორც ვხედავთ, ტოპონიმიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ მხარეთა წარსულის გასათვალისწინებლად. ასევე დიდია მისი როლი ენის ისტორიის აღსადგენადაც. აქვე უნდა ითქვას, რომ საყურადღებო და მნიშვნელოვანია არა მარტო დიდი გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებანი, არამედ ე.წ. მიკროტოპონიმებიც, როგორიცაა ყანის, მინდვრის, საძოვარის, ღელის, წყაროს, ქუჩის, უბნის და სხვა მისთანთა სახელები. ასეთები ხომ ყოველ სოფელში ასეულობით არის! მათი შეგროვება და შესწავლა დიდად საინტერესოა მეცნიერებისათვის. აი, მაგალითად, სალიტერატურო ქართულში ამჟამად არ იხმარება მდინარისპირა ვაკის აღმნიშვნელი სიტყვა მერე. იგი შემოგვენახა გურულსა და აჭარულ დიალექტებში, ტოპონიმიისა და მიკროტოპონიმიის შესწავლა კი გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვა ერთ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელ საქართველოში. მეორე მაგალითი: სალიტერატურო ქართულში არ მოგვეპოვება მზვარეს (მზიანი ადგილის) საპირისპირო ცნების აღმნიშვნელი სიტყვა. ეს სიტყვა – ბრილი დღემდე დაცულია იმერულში. ამავე დროს ბრილი ჰქვია სოფლებს ქართლსა და აჭარაში. აქედან ჩანს, რომ ეს სიტყვა გავრცელებული ყოფილა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მიკროტოპონიმიის შესწავლა უეჭველად ხელს შეგვიწყობს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ამ სიტყვის გავრცელების არე.

აბასთუმანი განთქმული კურორტია ბორჯომის რაიონში. ძველად ის ცნობილი ციხე-ქალაქი იყო და ერქვა ოძრხე (ოძრახე) ანუ ოცხე (აქედანაა გვარი ოცხელი). ძველი ოცხის ანუ ახლანდელი აბასთუმნისაგან სულ ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა სოფელი აბასთუბანი, რომლის სახელისგანაც ერთი ბგერის შეცვლის გზით მივიღეთ აბასთუმანი.

აბასთ-უბანი ნიშნავს აბასთა (აბასების) უბანს. აბასი კაცის სახელია. ეს სახელი ერქვა, მაგალითად, სპარსეთის ერთ-ერთ მეფეს, რომელმაც რამდენჯერმე ააოხრა საქართველო (შაჰ-აბასი ანუ შახ-აბაზი). ამ მეფის სახელისგან არის მიღებული ქართულში ხურდა ფულის ერთეულის (20 კაპიკის) აღმნიშვნელი სიტყვა აბაზი. აბასი სახელად საქართველოშიც რომ გვხვდებოდა, ამას ადასტურებს გვარები: აბასაშვილი, აბასაძე და აბაზაძე.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ აბასთუმანი სოფლის სახელია აგრეთვე სამეგრელოში (ზუგდიდის რ.).

აგარა ბევრ დასახლებულ პუნქტს ჰქვია საქართველოში. სახელდობრ, ორი აგარა ბათუმის რაიოშია, თითო – ხულოს, ახალციხის, ამბროლაურის და ქარელის რაიონებში. გარდა ამისა, ხაშურის რაიონში არის აგრეთვე სოფელი აგარები. აგრანი ერქვა ძველად თბილისის ახლომახლო საკურორტო ადგილებს, სადაც მეფე და დიდებულები ისვენებდნენ ზაფხულობით.

აკად. ი. ჯავახიშვილი აგარას მნიშვნელობას ძველ ქართულში შემდეგნაირად განმარტავს: „აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგომი იყო, ან სახნავ-სავენახე, რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურის მგდები ოჯახობა შეიძლებოდა ყოფილიყო.“ ჩანს, ზოგიერთი აგარის მოსახლეობა თანდათან მატულობდა და ცალკე სოფლად იქცეოდა.

აგარა და აგარაკი წარმოშობით ერთი და იგივე სიტყვაა (შეადარეთ: ბანა და ბანაკი, ჭალა და ჭალაკი, პიტნა და პიტნაკი და სხვა.). აგარაკი დღეს საზაფხულო დასასვენებელ ადგილს ნიშნავს, რაც აგარას ძველი მნიშვნელობის ცვლილების შედეგია. საქართველოს ტოპონიმიკაში აგარაკიც გვხვდება (ჰქვია სოფლებს გუდაუთის, მახარაძის და გარდაბნის რაიონებში).

ალავერდი ადგილია კახეთში, კავკასიონის ძირას გაშლილ ვაკეზე, რომელსაც მდინარე ალაზანი ჩამოუდის. აქ დგას ცნობილი ალავერდის ტაძარი (XI ს.), რომელიც საქართველოს ძველ ნაგებობათა შორის ყველაზე მაღალია, გარს ავლია გალავანი და იგი ომიანობის დროს მნიშვნელოვანი თავშესაფარი სიმაგრეც ყოფილა. XVII საუკუნეში, როცა ქართლ-კახეთი თურქთა ურდოებმა ააოხრეს, მათ აიღეს ალავერდიც და შიგ გამაგრდნენ, მაგრამ ქართველებმა განდევნეს მტერი და ალავერდი გაათავისუფლეს. სწორედ იმდროინდელი ბრძოლები აღწერეს ა. წერეთელმა „ბაში-აჩუკში“ და ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში”.

ზოგიერთის აზრით, ალავერდი მიღებულია არაბულ-თურქული გამოთქმისაგან: ალლაჰ-ვერდი – „ღმერთმა მოგვცა”. არსებობს სხვაგვარი ახსნაც: ალავერდი მდებარეობს სოფელ ალავნის ახლოს და მისი სახელი სწორედ აქედან წარმოდგაო: ალვან-გვერდი ან ალვართ-გვერდი (შეადარეთ სოფლის სახელი ქართლში: მუხათ-გვერდი).

აღსანიშნავის, რომ ალავერდი ჰქვია აგრეთვე სოფელს იმერეთში (ზესტაფონის რ.) და ქალაქს სომხეთში. ამავე სახელწოდების ფონეტიკური სახეცვლილებაა სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი ალერტი (გეგეჭკორის რ.). ცხადია, ამ ტოპონიმების მიმართ ზემოთ წარმოდგენილი მეორეგვარი ახსნა არ გამოდგება.

ამბროლაური და **ანანური** ცნობილი გეოგრაფიული პუნქტებია: პირველი რაჭაში მდებარეობს და ამჟამად ერთ-ერთი რაიონული ცენტრია, მეორე კი სოფელი და ძველი ციხესიმაგრეა არაგვის ხეობაში, საქართველოს სამხედრო გზაზე. ის იყო არაგვის ერისთავთა რეზიდენცია ანუ მუდმივი ადგილსამყოფელი.

ორივე ეს გეოგრაფიული სახელწოდება, ამბროლაური და ანანური, ნაწარმოებია ურ სუფიქსით, რომელიც ჩვენს ტოპონიმში არაიშვიათად გვხვდება (მისი მეშვეობით არის წარმოქმნილი, მაგალითად: ბედია-ურ-ი, კურდღელა-ურ-ი, ოსია-ურ-ი, ფასანა-ურ-ი და სხვანი). ურ სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ ამბროლაურში ფუძედ გამოიყოფა ამბროლა, ანანურ-ში კი – ანან (ანანა), რომლებიც პიროვნული სახელებია. ეს სახელები დღეს იშვიათადღა გვხვდება, მაგრამ წინათ კი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მათგან ნაწარმოებია გვარები ამბროლაძე და ანანიაშვილი.

არაგვი მტკვარს ერთვის მცხეთასთან. საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც დარიალის ხეობით მიემართება ჩრდილოეთისკენ, მცხეთიდან ჯვრის უღელტეხილამდე არაგვს მისდევს.

არაგვს ქება-დიდება უძღვნა აგრეთვე დიდმა ილიამ პოემა „აჩრდილში”.

არაგვი რემდენიმე მდინარის სახელია: ფასანაურთან ერთმანეთს ერთვის თეთრი და შავი არაგვი, ქვემოთ კი მას უერთდება ფშავ-ხევსურეთის არაგვი, რომელიც თავის მხრივ კიდევ ორი მდი-

ნარისაგან შედგება – ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვისაგან. წინათ არაგვი ერქვა აგრეთვე მდინარე თერგს. ამიტომ ფიქრობენ, რომ შესაძლოა არაგვი ძველად საერთოდ „მდინარეს“ ნიშნავდა.

არგვეთი სოფელს ჰქვია ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონში. სხვათა შორის, ამ სოფელში დაიბადა გამოჩენილი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი. საჩხერის რაიონშივე არის მეორე სოფელი არგვეთი (შედის გორისის სას. საბჭოში). გარდა ამისა, ზესტაფონის ახლოს არის კიდევ სოფელი და რკინიგზის სადგური არგვეთა.

არგვეთი ანუ მარგვეთი ისტორიული სახელწოდებაა, წინათ ეს სახელი რქმევია არა მხოლოდ ორ-სამ სოფელს, არამედ მთელ მხარეს, ქვეყანას, რომელიც, ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ლიხის მთიდან რიონამდე იყო გადაშლილი, ე.ი. დაახლოებით დღევანდელი ზემო იმერეთის ტერიტორიას მოიცავდა.

არგვეთ-ში გამოიყოფა ქართულ გეოგრაფიულ სახელებში გავრცელებული ეთ სუფიქსი, მარგვეთი კი ეთ სუფიქსთან ერთად მ პრეფიქსსაც შეიცავს. ამ თავსართ-ბოლოსართების ჩამოცილების შემდეგ რჩება ფუძე არგვ. იგივე ფუძე გამოიყოფა მ-არგ-ალ („მ-ეგრ-ელ”) სატომო სახელში.

ამრიგად, არგვეთი იგივეა, რაც „სამეგრელო“ (ეგრისი, აგრუეთი). ამ გეოგრაფიული სახელისაგან წარმოქმნილია გვარები: მარგველი, მარგველაძე, მარგველაშვილი.

არტანუჯი სამხრეთ საქართველოშია, ერთ დროს დიდი სატახტო ქალაქი იყო. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. მისი სახელწოდება კოლხურ (ლაზურ) მოსახლეობაზე მიგვითითებს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: არტაანიშ ყუჯი. არტაანი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონს ერქვა, ყუჯი კი „ყურ“ სიტყვის კოლხური ფორმაა. ამრიგად, არტანუჯი ნიშნავს „არტაანის ყურეს”.

ასპინძა – ცნობილი რაიონული ცენტრის სახელწოდება – წარმოშობით ირანულია, ნიშნავს „სადგურს”, „სასტუმროს”, „დასასვენებელ ადგილს”. ეს სიტყვა ირანულიდან ნასესხები აქვს რამდენიმე ენას, მათ შორის სომხურს, თურქულს, ბულგარულს. ქართულში იგი ამჟამად მხოლოდ გეოგრაფიულ სახელად გვხვდება, მაგრამ ძველად, როგორც ჩანს, საზოგადო სახელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ამას გვაფიქრებინებს ქართული სიტყვა მასპინძელი, რომელიც ასპინძ – „სასტუმრო“ – მ – ასპინძელ —ი „მსტუმრებელი“ („ასპინძის ანუ სასტუმროს პატრონი ან მოსამსახურე”, შემდეგ კი საერთოდ „სტუმრის დამხვდური”, „სტუმრის მიმღები”).

აჭარა – ეს გეოგრაფიული სახელწოდება VII საუკუნიდან გვხვდება. ასე ეწოდებოდა მდ. აჭარისწყალს და მის ხეობას. შემდეგ აჭარა მთელი მხარის სახელად იქცა, ხოლო მდინარეს მის მიხედვით აჭარისწყალი დაერქვა. აჭარა ჰქვია აგრეთვე სოფლებს ზესტაფონის და ცაგერის რაიონებში.

აჭარას ხალხი სხვადასხვაგვარად ხსნის: ზოგი მას უკავშირებს „ვაჭარას”, ზოგი – „ჭას”, ზოგიც – თურქულ სიტყვას „აჯას”. არც ერთი ეს ახსნა სწორი არაა.

ახალდაბა და **დაბაძველი** სოფლებია იმერეთში; დაბაძველი არის აგრეთვე აჭარაში, ხოლო ახალდაბა რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ჰქვია ქართლში, კახეთში, აჭარასა და აფხაზეთში. ამათგან მხოლოდ ერთი ახალდაბა, ბორჯომის რაიონში, წარმოადგენს ნამდვილ დაბს (ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით), დანარჩენები კი სოფლებია. სოფლის სახელად გვხვდება აგრეთვე დაბა – მსაზღვრელის გარეშე (ბორჯომის რაიონში). ამჟამად დაბა ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტს, მომცრო ქალაქს ეწოდება. მაშ რატომ დაერქვა ეს სახელი სოფლებს? იქნებ წინანდელი დაბები იქცა სოფლად? არა, საქმე სხვაგვარადაა: წინათ თვითონ სიტყვა დაბა აღნიშნავდა არა პატარა ქალაქს, არამედ სოფელს. ასე რომ, ახალდაბა ნიშნავს „ახალ სოფელს”, დაბაძველი კი „ძველ სოფელს”.

რაც შეეხება სოფელს, ესეც ძალიან ძველი სიტყვაა, მაგრამ წინათ იგი იხმარებოდა უფრო ფართო გაგებით და ნიშნავდა „ქვეყანას”, „წუთისოფელს”. გაიხსენეთ რუსთაველი: „ვაჰ, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!“ არათუ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძეც კი, რომელიც გასული საუკუნის მწერალია, „სოფელს“ ისევ ძველი გაგებით ხმარობს: „ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა”. მაგრამ ამ დროისთვის „სოფელს“ დღევანდელი მნიშვნელობაც ჰქონდა შეძენილი. სახელდობრ, მე-18 საუკუნეში უკვე გვხვდება გეოგრაფიული სახელწოდება ახალსოფელი (როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ამჟამად ახალსოფელი ჰქვია მრავალ დასახლებულ პუნქტს; გვხვდება აგრეთვე რამდენიმე ახალშენი, ახალუბანი, ახალციხე და ახალქალაქი).

ამრიგად, ახალდაბა და ახალსოფელი ერთი და იმავე მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელებია, ოღონდ წარმოშობით პირველი გაცილებით უფრო ძველია.

აჯამეთი სოფელი და რკინიგზის სადგურია ქვემო იმერეთში. იგივე სახელი ჰქვია აგრეთვე მუხის ტყეს, რომელიც ამ სოფლის მახლობლად არის გაშლილი და ძველთაგანვე განთქმული სანადირო ადგილი იყო. აქ ჰყვარებიათ ნადირობა გიორგი მეფეს (დავით აღმაშენებლის მამას), ლაშა-გიორგის (თამარ მეფის ძეს) და თამარის დროის დიდებულებს, რომელთაც, როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ სწერია, „მოინადირიან კეთილი იგი სანადირო – გეგუთი და აჯამეთი”. აჯამეთის ტყე ამჟამად სახელმწიფო ნაკრძალია.

სახელწოდება აჯამეთი სწორედ „ტყეს”, „უღრანს“ ნიშნავს არაბულად.

ბათუმი ერთ-ერთი უძველესი ნავსადგურია შავ ზღვაზე. მის დაარსებას ვარაუდობენ დაახლოებით პირველ საუკუნეებში, მაგრამ XV – XVI საუკუნემდე ბათუმი პატარა დასახლებული პუნქტი ყოფილა, ქალაქად იგი შემდგომ ხანებში იქცა.

პირველად ბათუმი მდინარის სახელად გვხვდება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში: ბათუმს ანუ ბათის მდინარეა კოლხეთშიო, – წერს პლიუსი (I ს. ჩვ. წ. ა.). ალბათ იგი ამ სახელით მდინარე ყოროლისწყალს ახსენებსო, – ფიქრობენ ჩვენი მეცნიერები.

ქართულ ტოპონიმიაში ომ დაბოლოებიანი სახელები საკმაოდ გვხვდება. ასეთია, მაგალითად: ბორჯომი, ღორჯომი, წრომი და სხვანი. ზოგან ომ დაბოლოება უმ-ად იქცევა: თორთომი/თორთუმი, ცხომი/ცხუმი... ბათომი და ბათუმი დღევანდლამდე იხმარება პარალელურად. თუ აქ ომ/უმ სუფიქსს გამოვყოფთ, გვრჩება ბათ. ბათუს ბერძნულად „ღრმას“ ნიშნავს და შეიძლება ბათუმის სახელწოდებაც მას უკავშირდებოდეს, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ აქ გვქონდეს რაღაც სხვა, ქართული სიტყვა, რომელიც შემდგომ ბერძნული ენის საფუძველზე იქნა გააზრიანებული. აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს სიტყვაა ბაჩ, რომელიც სვანურად „ქვას“ ნიშნავს.

ბაკურიანი ცნობილი კურორტია ბორჯომის ხეობაში. განსაკუთრებით მიმზიდველი დასასვენებელი ადგილია იგი ზამთრობით სათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის. სახელწოდება ბაკურიან-ი წარმოქმნილია ბაკურ პიროვნული სახელისაგან იან სუფიქსის მეშვეობით. როგორც ბაკური, ასევე ბაკურიანი ვაჟის სახელად გვხვდება ქართულში ძველი დროიდანვე. ასე, მაგალითად, ბაკური ერქვა ქართლის რამდენიმე მეფესა და ერისთავის IV – V საუკუნეებში, ხოლო „ბაკურეანი", ძეი ბალდადისი“ ქართლის ერისთავი იყო VII – VIII საუკუნეებში.

იან (ეან) სუფიქსი ქართულში თავდაპირველად იხმარებოდა: მხოლოდ წარმოშობის, შთამომავლობის, მიმდევრობის აღსანიშნავად; ასე რომ, ბაკურიანი ნიშნავდა „ბაკურის ძეს", „ბაკურის შთამომავალს“ (იან-ის ეს მნიშვნელობა დღევანდლამდე დაცულია გვარებში: დადიანი, ზურაბიანი, რატიანი....). შემდგომში იან სუფიქსის მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი იხმარება რისიმე ყოლის ან ქონების აღსანიშნავად. სწორედ ამ მნიშვნელობით არის იგი ნახმარევი გეოგრაფიულ სახელებში, როგორიცაა: ვაჩიანი, ვაზიანი, თელიანი, თხილიანი, ლელიანი, მუხიანი და მრავალი სხვა.

ბახმარო ცნობილი კურორტია, მდებარეობს აჭარა-გურიის ქედზე. იგი მოქცეულია მთებს შორის მცირე ვაკეზე, რომელსაც შუაში ჩამოუდის მდინარე ბახვისწყალი. ამ მდინარეს სახელი მიუღია ბახვისაგან, რომელიც ცნობილი სოფელია გურიაში, მახარაძის რაიონში.

ბახმაროს მახლობელ სოფლებს წინათ თავს ესხმოდნენ თურქები. ისინი ტყვეებსა და ნადავლ საქონელს თურქეთში მიერეკებოდნენ ნაბელღავის, ზოტისა და შემდეგ ბახმაროს მიდამოების გავლით. სწორედ ამითაა გამოწვეული ბახმაროს ხალხური ეტიმოლგია და მასთან დაკავშირებული ლეგენდა: თითქოს თურქებმა საქართველოდან გაიტაცეს ულამაზესი ქალი, სახელად მარო. მძარცველებს კვალდაკვალ მიჰყვა მდევარი, რომელიც დღევანდელი ბახმაროს მიდამოებში დაეწია მტერს. როცა ურჯულოებმა საფრთხე იგრძნეს, ქალი მოკლეს და ზედ დააწერეს: ბახ-მარო, ე.ი. „ნახე მარო“ (ბახ თურქულად ნიშნავს „უყურე", „შეხედე"), შემდეგ ტყეში მიიმალნენ და თავს უშველესო.

როგორც ვთქვით, ბახმაროს შუაში ჩამოუდის ბახვისწყალი, რომელიც ქმნის მთებს შორის ვაკე ადგილს. წყლის სანაპიროზე მდებარე ამგვარ ვაკე ადგილს ძველად მერეს უწოდებდნენ. ეს სიტყვა აჭარასა და გურიაში დღესაც იხმარება. სხვათა შორის, იგი გვხვდება ეგნატე ნინოშვილის რომანშიც: „დღეს მუხიან მერეში თავის ტრაი გვაქ".

მერეს პარალელურად იმავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე მარა. ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოებია სოფლის სახელი მარადიდი (აჭარაში). აქედანვე არის მიღებული ბახმაროს სახელწოდებაც. ბახმარო-ში ხ-სა და მ-ს შორის დაკარგულია ვ ბგერა ბაგისმიერი ბ-სა და მ-ს გავლენით. ბოლო ო გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება აჭარის ტოპონიმიაში (დანდალო, ჩანჩხალო, ჩხრიალო, ძირილო, ხულო...).

ამრიგად, ბახმარო თავდაპირველად ნიშნავდა მდინარე ბახვის (ბახვისწყალის) ნაპირას მდებარე ვაკეს (მარას ანუ მერეს).

ბეთანია და **ბეთლემი** ებრაული გეოგრაფიული სახელებია, გვხვდება პალესტინაში, იერუსალიმის ახლოს. ორივე სახელწოდებაში შედის ბეთ („სახლი") და პირველი ითარგმნება როგორც „სახლი მწუხარებისა (ან: მარცხისა, სიღარიბისა)", მეორე – „სახლი პურისა".

ძველად მორწმუნეებს საჩვეოდათ ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ სახელწოდებათა დარქმევა თავიანთი ქვეყნის ამა თუ იმ ადგილისათვის. ასე დაერქვა საქართველოში რამდენიმე ადგილს სიონი. ასევე არის გადმოტანილი ზემოხსენებული ტოპონიმებიც. ბეთლემი ჰქვია სოფელს ცხაკაიას რაიონში, ბეთანია კი სამონასტრო ადგილია თბილისის მახლობლად, სადაც დგას XII საუკუნის ქართული არქიტექტურის დიდებული ძეგლი – დიდი ტაძარი. ტაძარში დღემდე დაცულია შესანიშნავი ფრესკები თამარ მეფის, მისი მამის – გიორგის, შვილის – ლაშა გიორგის და სხვათა გამოსახულებით. სწორედ აქ თამარის ფრესკის ხილვამ შთააგონა გრ. ორბელიანს ცნობილი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში".

ბზიფი მდინარეა აფხაზეთში. მისი სახელწოდების შესახებ მეცნიერებაში ორგვარი აზრი არსებობს: ერთის მიხედვით, ბზიფი ბზები-ს სახეცვლილი ფორმაა. ბზა ჩვენი ტყეების დამამშვენებელი ძვირფასი მცენარეა, რომლითაც განთქმულია ბზიფის ხეობა.

მეორე თვალსაზრისით, ბზიფი წარმოქმნილია უბიხური სტყვისაგან: ბზი („წყალი"), რომელსაც დართული აქვს აფხაზური სუფიქსი ფ. ეს სუფიქსი ისევე იხმარება აფხაზურში გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად, როგორც, მაგალითად, ქართულში გვხვდება ეთ. ამრიგად, ბზიფი იგივეა რაც „წყალი", „წყლეთი".

ბიჭვინთა საქვეყნოდ განთქმული კურორტია შავი ზღვის პირას.

ბიჭვინთა დღესაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ აქ ზღვის პირს გასდევს შესანიშნავი ფიჭვნარი და ერთმანეთს ეზავება ზღვისა და ფიჭვის ტყის ჰაერი. ეს ფიჭვნარი წინათ საღმრთო ტყედ ითვლებოდა და მას კაცი მოსაჭრელად ვერ შეეხებოდა. სწორედ ამ ფიჭვნარისაგან მიუღია კურორტს სახელწოდება ბიჭვინთა.

ბორჯომი საქვეყნოდ ცნობილი კურორტია, განსაკუთრებით თავისი შესანიშნავი მინერალური წყლით. ეს კურორტი XIX საუკუნეში გაშენდა, მანამდე იგი არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არსად იხსენიება. სამაგიეროდ, უფრო ზემოთ, ახალციხის მახლობლად, იხსენიება მდინარე ბორჯომისწყალი და მის ხევში მდებარე სოფელი (ამჟამად ნასოფლარი) ბორჯომი. ჩანს, სწორედ ეს სახელწოდება გადმოუტანიათ და დაურქმევიათ შემდგომ კურორტისთვის.

რაც შეეხება თვით სახელწოდებას, იგი წარმოქმნილი ჩანს ომ სუფიქსით (ისევე როგორც ზემოთ განხილული ბათომი, აგრეთვე თორთომი, ცხომი და სხვა.). ძირად გამოიყოფა ბორჯ, რაც განტოტვილ რაიმეს აღნიშნავს (მაგალითად, ფესვს, რქას, ხეს...). შეადარეთ: ბორჯღალი, რქებ-ბორჯღალა (ირემი), ბორჯღლედი ანუ ბორჯღლიანი (ხე) და ა.შ.

თუ ეს ვარაუდი სწორია, ბორჯომი უნდა დარქმეოდა ადგილს, სადაც გზები იტოტება, გზაგასაყარია ანუ გზაჯვარედინია.

გაგრა ცნობილი საკურორტო ქალაქი და აფხაზეთის ერთ-ერთი რაიონული ცენტრია. გაგრასთან ზღვას ერთვის მდინარე გაგრიფში, რაც აფხაზურად „გაგრის წყალს" ნიშნავს. გაგი ალბათ პიროვნული ან სატომო სახელია. მისგანვე ჩანს მიღებული სახელწოდება გაგრა (ძველი ფორმით – გაგარი).

გავაზი კახეთის ერთ-ერთი მოზრდილი და კარგად ცნობილი სოფელია. ასევე ჰქვია სოფელს ქართლში. ისტორიულად ცნობილია აგრეთვე გავაზური, რომელიც ერთ დროს გიორგი სააკაძის კუთვნილება ყოფილა.

გავაზი მტაცებელი ფრინველია, რომელიც ნახსენებია, სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსანში": „ვითა გავაზი გაფრინდა, არ გაშვებული ზესითა". ამ ფრინველის სახელი გამოყენებულია ტოპონიმად ისევე, როგორც ბორი, წრომი, ბორითი, ორბეთი და სხვანი.

გორი – „ქართლის შუაგული" – ცნობილი ქალაქია, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. გორი ჰქვია აგრეთვე სოფელს ამბროლაურის რაიონში. იქვე არის სოფელი გორისუბანი. დმანისის რაიონში არის სოფელი გორა, კასპის რაიონში – გორკა, საჩხერის რაიონში – გორისა (აქაური იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი). სამ სოფელს ჰქვია გორანა (საგარეჯოს, თიანეთისა და სოხუმის რაიონებში). გარდა ამისა, ცნობილია გორისციხე – ხევში, გორმაღალი – იმერეთში, გორა-ბერეჟოული – გურიაში და სხვანი.

ყველა ეს ტოპონიმი ნაწარმოებია ერთი და იმავე გორი ანუ გორა სიტყვისაგან, რომელიც „დიდ ბორცვს", „მთას" აღნიშნავს (ფორმები გორი და გორა ისევე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც ზემოთ განხილული ბორი და ბორა, ძერი და ძერა და სხვანი).

გრაკალი სოფელი და რკინიგზის სადგურია ქართლში. ძველ ქართულ საბუთებში იხსენიება XIV საუკუნიდან. მიღებული ჩანს მცენარის სახელწოდებისაგან: გრაკალი ანუ გრაკლა დაბალი ფოთლოვანი მცენარეა, რომელსაც სხვაგვარად ეწოდება ბროწი (ფშავში) ან მაქაცი (ხევსურეთში).

გურია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. იგი ორი სხვა კუთხის სამეგრელოსა და ჭანეთის – შუა არის მოქცეული. მთელი ეს მხარე – შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია – ერთ დროს ცალკე ქვეყანა იყო, რომელსაც ეგრისი ერქვა (მისივე სახელწოდებაა აგრეთვე კოლხეთი). ეგრისის მკვიდრს ეწოდებოდა მეგრელი (ე.ი. „ეგრისელი").

ვარაუდობენ, რომ ეგრისი და გურია ნაწარმოებია ერთი და იმავე სატომო სახელისაგან – გურისაგან. მართლა ასეა თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი სარწმუნოა, რომ გურიაში ბევრი გეოგრაფიული სახელი უკავშირდება მეგრულ-ჭანურ გამოთქმას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგი სიტყვა ადგილთა სახელწოდებაში გვხვდება იმ სახით, როგორც მას გამოთქვამენ მეგრელები და ჭანები. ამის ნიმუშია, მაგალითად, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ოჩხამური, ოჭილაური, ჯიხანჯირი და სხვანი, რომელთაც ქვემოთ შევხვდებით.

დარიალი საყოველთაოდ ცნობილი ხეობაა, ნაქები ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის და ბევრი სხვა მწერლის ნაწარმოებებში. ამ ხეობით მიემართე-

ბა საქართველოს სამხედრო გზა. მდინარე თერგს თითქოს საგანგებოდ გაურღვევია კავკასიონის კლდოვანი მკერდი და გაუჭრია კარი ჩრდილოეთისაკენ.

ბუმბერაზ მთანი მდუმარედ
ცათამდის აყუდებულნი
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის
ყინულ გვირგვინით შემკულნი!
წყალნი, მთით დაქანებულნი,
ალმასებრ უბსკრულს ჰსცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან!

ასე აღწერს გრ. ორბელიანი დარიალის ხეობას; ერთ ხალხურ ლექსში კი ნათქვამია:

ტიალო დარიალო,
კლდენი ხარ ცარიალო!

დარიალი ანუ დარიალა იყო საქართველოს და საერთოდ მთელი ამიერკავკასიის ჩრდილოკავკასიასთან დამაკავშირებელი კარი. საჭიროების შემთხვევაში ამ კარის ჩაკეტვა ადვილად შეიძლებოდა. იქ, სადაც შიშველი კლდეებით მოზიდული ხეობა ყველაზე უფრო ვიწროვდება, იდგა ციხე და აქ იყო საქართველოსა და ოსეთის საზღვარი. სწორედ ამ ადგილს ეწოდა დარი ალან ანუ დარიალა, რაც სპარსულად „ალანთა“ (ოსთა) კარს“ ნიშნავს. ძველად ასეც უწოდებდნენ: „ალანთა კარი“ ან „ოვსთა კარი“ (მასვე რქმევია „არაგვის კარი”, რადგან წინათ თერგსაც არაგვი ერქვა). დარიალანი ნახსენებია ჯერ კიდევ „აბოს წამებაში“ (VIII ს.).

იგივე დარ გვხვდება კავკასიონის მეორე კარის სახელწოდებაში. დარუბანდი (იგივე დერბენტი) – „ჩაკეტილი კარი”, „მაგარი კარი“ („შუშანიკის წამებაში“ მას ჩორი ეწოდებოდა: „ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა”).

საერთოდ, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის, განსაკუთრებით ხეობის ვიწრო ყელში მდებარე პუნქტთა სახელებში, კარი ხშირად გვხვდება: კლდე-კარი, ტაშის-კარი, წილკნის-კარი, კობაანთ-კარი და მრავალი სხვა.

დმანისი დაბაა, ერთ-ერთი რაიონული ცენტრი, ცნობილი თავისი ისტორიული წარსულით. ასევე ჰქვია ერთ სოფელს თეთრიწყაროს რაიონში. ამ სახელწოდების ძველი ფორმაა დბანისი, სადაც გამოიყოფა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი ის სუფიქსი, ფუძედ კი, როგორც ფიქრობენ შეკუმშული ფორმით წარმოდგენილია დაბა (დაბან), რაც უძველეს ქართულში ნიშნავდა სახნავ-სათეს ადგილს, ყანას, შემდეგ კი – სოფელს (იხ. ახალდაბა, დაბაძველი).

ენგური დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარეა, მოედინება სვანეთის მთებიდან, გამოივლის მთელ ზემო სვანეთს, შემდეგ – სამეგრელოს და ერთვის შავ ზღვას.

მოჰქუხს, მოღელავს ენგურ-მდინარე,
მოაქვს ტალღები ნადავლიანი
აბობოქრებულ სახით მძვინვარებს,
მუდამ მრისხანე, ავდარიანი.

წერს ცნობილი ქართველი პოეტი ალიო მირცხულავა ენგურისადმი მიძღვნილ პოემაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ადამიანის ძალამ დაიმორჩილა მრისხანე ენგური. ამჟამად ენგურზე შენდება მძლავრი ელექტროსადგური.

სახელწოდება ენგური უკავშირდება ქვეყნის სახელს ეგრისს: ეს არის იგივე ეგერ-ულ-ი ე. ი. „ეგრისული (წყალი, მდინარე)”. რომ ასეა, დასტურდება ისტორიული წყაროებითაც, სადაც ენგურს ეგრისწყალი ეწოდება.

ეგრისი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ერქვა ძველად შავი ზღვის სანაპიროზე ვრცელ ტერიტორიას, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს. აქაურ მკვიდრს ეწოდებოდა მეგრელი, რაც „ეგრისელს“ ნიშნავს.

ვანი დაბაა, საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. ვანი ჰქვია აგრეთვე ოთხ სოფელს ორჯონიკიძის, ჭიათურის, ჩოხატაურისა და შუახევის რაიონებში. ამავე სიტყვისაგან არის ნაწარმოები ბევრი სხვა ტოპონიმიც; მაგალითად, იმ სოფელს, სადაც გაუძიძავებიათ პატარა აკაკი, სავანე ჰქვია. ცხინვალის რაიონში არის სოფელი ვანათი, თეთრიწყაროს რაიონში – ვანეთი, თელავის რაიონში – ვანთა. გარდა ამისა, ცნობილია კიდევ ვანისქედი, ვანისჭალა, სავანისუბანი და სხვა.

სიტყვა ვანი, საიდანაც ამდენი გეოგრაფიული სახელია ნაწარმოები, ძველ ქართულში ნიშნავდა ბინას, სახლ-კარს, სადგომს, დავანება ნიშნავდა დაბინავებას, ხოლო სავანე უნდა რქმეოდა დასასვენებელ ადგილს, სასტუმროს, დიდ საქარავნო გზებზე ღამის გასათევ ქარვასლას ანუ სადგურს.

ზესტაფონი. ამ ქალაქის სახელწოდება ორი ნაწილისაგან შედგება: ზესტა და ფონი. მეორე სი-

ტყვა ფონი, რაც წყალში გასასვლელ ადგილს ნიშნავს, ადვილი გამოსაცნობია, ზესტა კი მიღებულია ძველი ქართული ზესთა (ზეშთა) სიტყვისაგან და იგივეა რაც „ზედა", „ზემოთა". ამრიგად, ზესტა-ფონი ნიშნავს „ზედა ფონს".

ზუგდიდი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძველი და მნიშვნელოვანი ქალაქია. მის სახელწოდებაში ადვილად გამოიყოფა სიტყვა დიდი, მაგრამ რას ნიშნავს ტოპონიმის პირველი ნაწილი ზუგ? ფიქრობდნენ, რომ ეს არის გამოტოვებული ფორმა სპარსულიდან კოლხურში ნახსენები ზურგ (სურკ) სიტყვისა, რაც „(მთის) ზურგს", „ბორცვს" ნიშნავს. ამგვარი ეტიმოლოგიის მიხედვით, ზუგ-დიდი ნიშნავს „დიდ ბორცვს", „დიდ გორაკს". მაგრამ ეს ეტიმოლოგია მართებულად არ მიიჩნევა, რადგან ამ ქალაქის სახელწოდების ადრინდელი ფორმაა ზუბდიდი და არა ზუგდიდი.

თბილისი – საქართველოს დედაქალაქი – ათას ხუთასზე მეტი წლისაა. მისი 1500 წლისთავი დიდი ზეიმით აღინიშნა 1958 წელს.

თბილისის დაარსებას ხალხური ლეგენდა მეფე ვახტანგ გორგასალს მიაწერეს. როგორც არ-ქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, მოსახლეობა თბილისის მიდამოებში გაცილებით უფრო ადრეც ყოფილა, ვახტანგს კი თბილისი დედაქალაქად უქცევია და სამეფო ტახტი მცხეთიდან აქ გადმოუტანია.

თბილისი ქართულ მწერლობაში პირველად მოხსენებულია VI საუკუნეში. დაახლოებით იმავე ხანებიდან იცნობს ამ სახელს ბერძნულ-ბიზანტიური და სომხური მწერლობაც.

თბილისი ანუ ძველი გამოთქმით ტიფლისი დარქმევია ჩვენს დედაქალაქს გოგირდის ცხელი წყაროების გამო.

ძველ ქართულში იხმარებოდა ზმნა ტეფ (გან – ტეფ – „გათბი!"). ეს სიტყვა, მცირეოდენი ცვ-ლილებებით, სითბოს აღსანიშნავად მრავალ ენაში გვხვდება; მაგალითად: ძველი ინდური ტაპას – „სიცხე", ძველი სლავური ტეპლ – „თბილი", რუსული теплый — „თბილი", ლათინური tepo – „თბილი ვარ", tepor – „სითბო" (აქედანვეა მიღებული სიტყვა ტემპერატურა).

აი, ამ ტეფ ზმნისაგან ილ სუფიქსის დართვით მივიღეთ ტეფ-ილ-ი-ტფილი (ისევე როგორც ვ-შევ-შვილი, წერა – წერილი, გაყრა-გაყრილი და მრავალი სხვა), ხოლო ტფილ სიტყვისაგან გეო-გრაფიულ სახელთა მაწარმოებელი ის სუფიქსის დართვით წარმოდგა ტფილ-ის-ი.

ახალ ქართულში გამოთქმა ტფილი შეიცვალა და მივიღეთ თბილი. ამის მიხედვით იცვლება ჩვენი დედაქალაქის სახელწოდებაც: ტფილისი – თბილისი.

თეთნულდი ერთ-ერთი ულამაზესი და მაღალი მწვერვალია კავკასიონის მთაგრეხილზე. მისი კონუსისებური თავი მუდამ სპეტაკი თოვლითაა დაფარული და მზისა თუ მთავრის სხივებზე თვალ-ისმომჭრელად ქათქათებს. ეს მწვერვალი ზემო სვანეთშია და კარგად მოჩანს სვანეთის მრავალი სოფლიდან. სვანეთში ზოგან მას ეძახიან თვეთნულდს, ზოგან – თეთნულდს. – თვეთნე ანუ თეთნე სვანურად ნიშნავს „თეთრს", ულდ კი მოფერების, ალერსის გამომხატველი სუფიქსია (ისევე რო-გორც ქართული იკო ან უნა – შვილიკო, დედიკო, სულიკო, დათუნა, თაგუნა და სხვა ამგვარ მაგ-ალითებში). – ამრიგად, თეთნულდი ნიშნავს „თეთრიკოს", „თეთნურას".

თელავი ერთ-ერთი ძველი ქალაქია აღმოსავლეთ საქართველოში. როცა კახეთი ცალკე სამეფოს წარმოადგენდა, თელავი იყო მისი სატახტო ქალაქი.

ზოგიერთი თელავის სახელწოდებას გულუბრყვილოდ უკავშირებს სომხურ გამოთქმას: თე-ლავ – „თუ კარგია". მაგრამ ამგვარი გამოთქმები, ჩვეულებრივ, გეოგრაფიულ სახელებად არ გვხვდება და, ცხადია, ასეთ ახსნას ჭეშმარიტებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. თელავი უკავშირდება მცენარის სახელს – თელას. ბოლოში მას დართული აქვს სუფიქსი ვ (ავ), რომელიც გვხვდება სხვა გეოგრაფიულ სახელწოდებებშიც, როგორიცაა: ზანავი, მანავი, ცურტავი და სხვა.

საერთოდ, როგორც ცნობილია, ადგილის სახელწოდება ხშირად არის წარმოდგენილი ამა თუ იმ მცენარის სახელწოდებისგან. მათ შორის თელა-საგან ეთ სუფიქსით ნაწარმოებია თბილისის მახლო-ბელი სოფლის სახელი თელეთი, იან სუფიქსით – თელიანი (კახეთში), ოვან სუფიქსით – თელოვანი (ქართლში), ნარ სუფიქსით – თელნარი – თერნალი (იმერეთსა და აჭარაში). უბრალოდ თელა ჰქვია ერთ სოფელს ლაგოდეხის რაიონში. გეოგრაფიულ სახელებად გვხვდება აგრეთვე თელათგორი, თელათუბანი, თელაქმინდა, მუხრან-თელეთი და სხვა.

იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი მხარის სახელია. დასავლეთ საქართველოში იმერეთს უჭი-რავს ყველაზე ვრცელი და ხალხმრავალი ტერიტორია – სურამის ქედიდან ცხენისწყლის სანაპი-რომდე. იგი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად. ქვემო იმერეთი ძირითადად ვაკეზეა გაშლილი, ზემო იმერეთი კი მთაგორიანია.

სახელწოდება იმერეთი ნაწარმოებია ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ეთ სუფიქსით, რომელიც ძალზე ხშირად გვხვდება ქართულ ტოპონიმიაში. ამჯერად ეს სუფიქსი დართული აქვს იმერ სიტყ-ვას, რაც ნიშნავს: „იქით", „გადაღმა".

იმერი ანუ იმიერი უპირისპირდება ამერს ანუ ამიერს (ისევე როგორც იქ და აქ, იქაური და აქა-ური, გაღმა და გამოღმა). მათი ხმარება დამოკიდებულია იმაზე, თუ სად იმყოფება მოუბარი: დასავ-

ლეთ საქართველოში მყოფთათვის ქუთაისი სურამის ქედის გადმოღმა მდებარეობს, თბილისი კი – გადაღმა, აღმოსავლეთში მყოფთათვის, პირიქით, თბილისი ქედის გადმოღმა, ქუთაისი – გადაღმა.

ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ვაჟა-ფშაველას ლექსი „იმერეთს". 1913 წელს ვაჟა ქუთაისში მიიწვიეს სალიტერატურო საღამოზე. პოეტი ამ საღამოსთვის წინასწარ მომზადებულა და ჯერ კიდევ გამგზავრებამდე დაუწერია საგანგებო ლექსი, რომელიც ასე იწყება (შემონახულია თვითონ ვაჟას ხელნაწერი):

ერთხანად ჩემო მძრახაო,
ლიხს-იქითურო დედაო!
გხედავ, რომ შამრიგებიხარ,
მით შენთან სალამს ვბედაო.

ვაჟამ ქუთაისში სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა ეს ლექსი, მაგრამ მეორე სტრიქონი ასე შეცვალა: „ლიხს-აქათურო დედაო". ასევე დაიბეჭდა იგი ქუთაისის გაზეთ „თემში". ამრიგად, როცა პოეტი ჩარგალში იყო, იმერეთს ლიხს-იქითურ დედას უწოდებდა, თვითონ იმერეთში რომ ჩავიდა, მაშინ კი ასე მიმართა: „ლიხს-აქეთურო დედაო!"

მაშ, იმერეთი ნიშნავს იქითა, გადაღმა მხარეს (იგულისხმება ლიხის ანუ სურამის ქედის გადაღმა მხარე). პირველად მას განსაზღვრება ახლდა კიდეც და იხმარებოდა ლიხთ-იმერეთი (ასე უწოდებენ დასავლეთ საქართველოს, მაგალითად, თამარ მეფის დროინდელი ისტორიკოსები. მათ თხზულებებშივე „იმერელის" აღსანიშნავად გვხვდება ლიხთ-იმერი, ლიხთ-იმერელი). ასეთი სახელი იმერეთისთვის შეიძლებოდა დაერქმია მხოლოდ ლიხის (სურამის) ქედის აღმოსავლეთ საქართველოს. მათთვის გურულიც და მეგრელიც, რაჭველიც და ლეჩხუმელიც იმერელი იყო, რაკი ისინი სურამის ქედის გადაღმა ცხოვრობდნენ. ამგვარი გაგება კარგად გამოხატავს იმერეთ სიტყვის პირვანდელ შინაარსს.

ლიხთ-იმერ-ისა და ლიხთ-იმერეთ-ის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ საქართველოს აღსანიშნავად ჩვენს საისტორიო მწერლობაში გვხვდება ლიხთ-ამერი, ლიხთ-აქეთი. ამერი და ამერეთი (იმერ-ამერი, იმერ-ამერეთი) მწერლობაში აქა-იქ ახლაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ იგი ისე ფართოდ არ გავრცელებულა, და, მით უმეტეს, რომელიმე კუთხის სახელად არ ქცეულა. სამაგიეროდ, იმავე სიტყვის მეორე ვარიანტი ამიერ გამოყენებულია კავკასიონის ქედის აქეთა მხარის აღსანიშნავად: ამიერ-კავკასია (ე.ი. აქეთა, გადმოღმა კავკასია. შეადარეთ მისი რუსული სახელწოდება За-кавказие, ე.ი. კავკასიის იქითა, გადაღმა მხარე. რუსისთვის ჩვენი მხარე მართლაც გადაღმაა, ჩვენთვის კი გადმოღმა, აქეთაა). გეოგრაფიული ცნებებისათვის გამოყენებულია აგრეთვე იმერ: იმერ-კავკასია (კავკასიონის ქედის გადაღმა, აღმოსავლეთი მხარე), იმერ-კარპატი (კარპატის მთების გადაღმა), იმიერ-პოლარეთი (პოლარული წრის იქით) და ა. შ.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. მარის აზრით, იმერი იგივეა, რაც იბერი, ივერი, რომლისგანაც ნაწარმოებია ქვეყნის სახელი იბერია (ივერია). მაგრამ ეს მოსაზრება უკუგდებულია, რადგან იბერია ერქვა აღმოსავლეთ საქრთველოში არსებულ სახელმწიფოს, ხოლო დასავლეთ საქართველოს მიმართ ეს სახელწოდება არ ყოფილა გამოყენებული.

კაცხი ჭიათურის მიდამოების აღწერისას, XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი მოგვითხრობს: „...დასავლით არის ციხე კაცხისა, მთის ძირად, კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლეთით არს კლდე. ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არც უწყიან ხელოვნება აღსლვისა".

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, განთქმული თავისი სიუხვითა და დოვლათით. კახ-ეთ-ი ნაწარმოებია ჩვენთვის კარგად ცნობილი ეთ სუფიქსით. სხვათა შორის, ეს სუფიქსი ყველაზე ხშირად გვხვდება საქართველოს სხვადასხვა მხარის სახელწოდებებში, რომლებიც სატომო სახელებისგან არიან წარმოქმნილი; ასე, მაგალითად, მესხი, ჯახვი, ხევსური, თუში, სვანი, ჭანი ვინაობას აღნიშნავს. ამ სიტყვებზე ეთ სუფიქსის დართვით კი ვღებულობთ იმ კუთხის სახელწოდებას, სადაც ისტორიულად ცხოვრობდა ესა თუ ის ქართველი ტომი. ასე მივიღეთ მესხისაგან მესხ-ეთ-ი, ხევსურ-ისაგან ხევსურ-ეთ-ი, სვან-ისაგან სვან-ეთ-ი და ა. შ. ასევეა წარმოქმნილი კახ-ისაგან კახ-ეთ-ი. დღეს კახეთის მკვიდრს კახელს ვეძახით, მაგრამ ძველად ამ სიტყვას ელ სუფიქსი არ სჭირდებოდა, კახი ისეთივე სატომო სახელი იყო, როგორც მესხი, ხევსური ან სვანი. მთაში (ხევსურეთში, თუშეთში) კახელს ახლაც კახს ეძახიან. აქვე უნდა გავიხსენოთ მეფე ერეკლეს მეტსახელი პატარა კახი (ე. ი. „პატარა კახელი"). აი, ამ სატომო სახელისაგან არის მიღებული მხარის სახელწოდება კახეთი.

კოლხეთი. იმ დაბლობს, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს ფართო ზოლით იწყება, შემდეგ სამკუთხედივით თანდათან ვიწროვდება და ქალაქ ზესტაფონთან თავდება, კოლხეთის დაბლობი ჰქვია. კოლხეთი ანუ კოლხიდა ერთ დროს ვრცელი ქვეყანა იყო. იგი პირველად იხსენიება ბერძნულ წყაროებში ჯერ კიდევ 2700 წლის წინათ. გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (V ს. ძვ. წ.

ა.) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იხსენიებს მხოლოდ ერთ ხალხს – კოლხებს. ამ ხალხის სახელისაგან არის ნაწარმოები ქვეყნის სახელწოდება კოლხ-ეთ-ი.

თვით ხალხის სახელი კოლხი ანუ კოლხა, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, უკავშირდება ძველისძველი თემის სახელწოდებას – კოლას. კოლა მტკვრის სათავეებში მდებარე ოლქს ერქვა, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მის დაკავშირებას კოლხებთან და კოლხიდასთან, რომლის საზღვრებიც მისი ძლიერების ხანაში შორს ვრცელდებოდა.

კოლხი (კოლხა) შეიცავს სატომო სახელთა მწარმოებელ ხა დაბოლოებას, რაც დაახლოებით უდრის დღევანდელ ქართულში სადაურობის აღმნიშვნელ ელ სუფიქსს (ფიქრობენ, რომ იგივე ხ გამოიყოფა აგრეთვე ისეთ სატომო სახელებში, როგორიცაა მესხი, ჯავახი, ტაოხი, ჰენიოხი და სხვა). ამრიგად, კოლხი ნიშნავს „კოლას მცხოვრებს", „კოლაელს". ეს სახელწოდება გავრცელებულია შავი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ მთელ ხალხზე. აქედან კი თვითონ ქვეყანასაც მიუღია სახელწოდება კოლხეთი (კოლხიდა).

ლანჩხუთი რაიონული ცენტრია. დღეს ალბათ ბევრს გაუკვირდება რომ ამ ლამაზი ქალაქის სახელი საძროხეს ანუ ბოსელს უკავშირდება. ჩხუ (ჩხოუ) მეგრულ-ჭანურად ნიშნავს ძროხას, ლა თავსართი კი გამოხატავს დანიშნულებას, ისევე როგორც ქართული სა (სა-ირმ-ე, სა-ბუ-ე, სა-ვან-ე, სა-სირ-ეთ-ი...). თავსართსა და ფუძეს შორის ნ ბგერა გაჩენილა (ნ-ს განვითარება ხშირია ქართულში), ბოლოში თ სუფიქსი გამოიყოფა, რომელსაც ხმოვანი მოკვეცილი აქვს. ამრიგად, ლანჩხუთი ნიშნავს „საძროხეს". ეს სრულიადაც არაა გასაკვირი. ჩვენ ზემოთაც ვთქვით, რომ საქართველოში მშვენიერ სოფლებს ჰქვია ბოსლები, ნაბოსლევი, გომი, ნაგომევი, ნაგომარი, ნაბაკევი და სხვა ამგავრი სახელები. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ერთ დროს პირუტყვის უბრალო სადგომი ყოფილა, მაგრამ შემდეგ ხალხს მოსწონებია და მუდმივ საცხოვრებლად აურჩევია ეს ადგილები, გაუშენებია და გაუმშვენებია ისინი.

ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს მთაგორიანი კუთხეა, იმერეთსა და სვანეთს შორის მდებარეობს. ძველად მას თაკვერი ეწოდებოდა. როგორც ფიქრობენ, ახლანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე წინათ სვანებსა და ზანებს (მეგრელ-ჭანებს) უცხოვრიათ. სხვათა შორის, ამგვარი მტკიცების საფუძველს ყველაზე მეტად ტოპონიმიკა იძლევა.

ლეჩხუმის სახელწოდებას სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად ხსნის. აშკარაა, რომ აქ გამოიყოფა დანიშნულების გადმომცემი ქართული სა პრეფიქსის შესატყვისი ლე, მაგრამ რას ნიშნავს ფუძე ჩხუმ? ზოგის აზრით, აქ ჩვენ გვაქვს მეგრული სიტყვა ჩხომი „თევზი", ე. ი. ლე-ჩხუმ-ი ნიშნავს „სათევზაოს". ზოგი ფიქრობს, რომ ჩხუმ იგივეა რაც სვანური ცხუმ – „რცხილა". მაშასადამე ლეჩხუმი „რცხილიანს" ნიშნავსო. მესამე შეხედულების მიხედვით იგი უკავშირდება ძველ სატომო სახელწოდებას, რომელიც დაცულია აგრეთვე სოხუმის წინანდელ სახელწოდებაში (ცხომი, ცხუმი).

რომელია ამათგან უფრო სწორი, ან შეიძლება თუ არა, რომ ლეჩხუმს სრულიად სხვაგვარი ახსნა მოეძებნოს, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ლიახვი მარცხენა მხრიდან ერთვის მტკვარს ქალაქ გორთან. მას ძველ ქართულ დოკუმენტებში ლიეხუ ეწოდება, სომხურ საისტორიო წყაროებში – ლეხ და ლაეხ. ოსები კი ლევახს ეძახიან. ეს მდინარე მოედინება დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რომელსაც წინათ დვალეთი ერქვა. დვალები ხალხი იყო, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. მათი ენა, როგორც ფიქრობენ, ჩაჩნურ-ქისტურ ენათა მონათესავე ყოფილა. სწორედ მის მიხედვით შეიძლება აიხსნას ლიახვის სახელწოდება.

ლისი ჰქვია ტბას თბილისის მიდამოებში და აგრეთვე მის მახლობლად მდებარე სოფელს, რომელიც გარდაბნის რაიონში შედის. ამ სახელწოდებაში გამოიყოფა ქართული ტოპონიმიკისათვის დამახასიათებელი სუფიქსი ის, რომელიც დართული აქვს ლია სიტყვას. თავდაპირველად უნდა გვქონოდა ლი-ის-ი, შემდეგ კი ორი ი ხმოვანის შერწყმით მივიღეთ ლისი.

ლია ეწოდება „ლამს", „საფლობ ტალახს", ქართლში კი ნიშნავს აგრეთვე „წყლის ღვარს" ან „ტალახიან გუბეს". სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა დასდებოდა საფუძვლად ლისის ტბის სახელწოდებას, რომელიც შემდეგ მის გვერდით მდებარე სოფელზეც გასულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლია სოფელია სამეგრელოში, ხოლო ლისა-ლი-ის-ა – ქართლში.

მარტვილი მოწამეს, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ტანჯულს ნიშნავს. ამ სახელწოდებას პირველად ატარებდა მონასტერი (მარტვილის მონასტერი), შემდეგ კი იგი მახლობელი დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

მთაწმინდა იმ მთებს შორის, რომლებიც თბილისს გარს არტყია და რომელთა კალთებზეც არის შეფენილი ჩვენი დედაქალაქი, ერთ-ერთს – ყველაზე რჩეულსა და საყვარელს – მთაწმინდა ჰქვია. მთაწმინდიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი თბილისი. აქ გაშენებულია შესანიშნავი პარკი, რომელიც თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. მაგრამ მთაწმინდა ყოველი ქართველისათვის განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ მის კალთაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, განისვენებენ ჩვენი ხალხის საამაყო შვილები, რჩეულთა შორის რჩეული

ადამიანები: ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, დიმიტრი ყიფიანი, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჯანაშია და სხვანი. აქვეა დაკრძალული დიდი რუსი პოეტი ალ.გრიბოედოვი.

ბევრი ლექსია დაწერილი მთაწმინდაზე. მათ შორის განსაკუთრებით ბრწყინავენ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე", აკაკის „განთიადი", გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე"...

ქართულის მცოდნე ყველა მიხვდება, რომ მთაწმინდა „წმინდა მთას" ნიშნავს. საგულისხმო აქ მხოლოდ ის არის, რომ წინ საზღვრული დგას, უკან კი მსაზღვრელია მოქცეული. გვაქვს მთა-წმინდა და არა წმინდა მთა, როგორც დღევანდელი ენობრივი ნორმით იყო მოსალოდნელი. მსაზღვრელ-საზღვრულის ამგვარი წყობა დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. ასეთივე სურათი გვაქვს ბევრ სხვა ტოპონიმშიც, როგორიცაა: ერთა-წმინდა, ნიკორ-წმინდა, ნინო-წმინდა, სტეფან-წმინდა და სხვანი.

ამგვარად, სახელწოდება მთაწმინდა ძველია. თუ რატომ დაერქვა მთას ეს სახელი, ამის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: საქართველოს ისტორიაში ცნობილი არიან ე.წ. ასურელი მამები, რომლებიც შუამდინარეთიდან მოსულან ჩვენში მეექვსე საუკუნეში და აქ დიდი სამონასტრო მოღვაწეობა გაუჩაღებიათ სხვადასხვა ადგილას: გარეჯში, შუამთაში, ნეკრისში, მარტყოფში და სხვაგან. ამ მოღვაწეთაგან ერთ-ერთი, სახელად დავითი, თბილისის მახლობლად მთაზე დამკვიდრებულა, აუგია მონასტერი და აქ გაუშლია საეკლესიო მოღვაწეობა. სწორედ ამიტომ ეწოდა ამ მთას მთაწმინდა, ხოლო ამ მთაზე აგებულ მონასტერს მამადავითის სახელი ერქვა.

მტკვარი ჩვენი დედა-მდინარე სათავეს იღებს ძველი საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეში, რომელსაც კოლა ეწოდება. კოლას მცხოვრებს ერქვა კოლხი, საიდანაც ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი კოლხეთი (უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე საუბარი იყო ზემოთ კოლხეთთან დაკავშირებით).

სახელწოდება მტკვარი შესაძლოა სწორედ ამ კუთხის სახელს – კოლას უკავშირდება, მაგრამ დაბეჯითებით ამის მტკიცება ძნელია. მეორეგვარი შეხედულებით, იგი შეიძლება ზოგადად წყლის აღმნიშვნელ ფუძეს დაუკავშირდეს (შეადარეთ თქორ სიტყვა). ასეა თუ ისე, ერთი რამ აშკარაა: მტკვრის სახელის გააზრიანება და მასში რაიმე სიტყვის ამოცნობა უკვე ორი ათასი წლის წინათაც შეუძლებელი ყოფილა. ამიტომ ძველი ბერძნები უთარგმნელად ტოვებდნენ მას, მაშინ როცა ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, რომელთაც თარგმნა უხერხდებოდა, ისინი უეჭველად თარგმნიდნენ (მაგალითად: ვარდციხე – „როდოპოლის", მტკვრის ციხე – „კიროპოლის", ყვირილა – „ბოას", ცხენისწყალი – „ჰიპპოს" და ა. შ.).

მტკვარს პირველად ახსენებს ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (I ს. ახ. წ.), რომელიც უწოდებს მას კუროსს და თანაც შენიშნავს, წინათ კოროსს ეძახოდნენო. აქ ოს ბერძნული დაბოლოებაა, მისი ჩამოცილების შემდეგ კი რჩება კორ/კურ. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, მოგვაგონდება მტკვრის რუსული სახელწოდება კურა. მასვე ჰგავს სომხური სახელწოდებაც – ქურ, თურქული და აზერბაიჯანული – ქؤურ.

ქართულ ენას ახასიათებს თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის თავში. სწორედ ასეთივე აგებულება აქვს მტკვარ სახელს, სადაც დასაწყისში ერთად თავმოყრილია ოთხი თანხმოვანი. ამგვარი სიტყვის გამოთქმა არაქართველებს, კერძოდ, თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს უჭირთ და ან თანხმოვნებს შორის ხმოვანს ჩაურთავენ (მაგალითად, ტფილისი – ტიფლისი), ან ზოგიერთ თანხმოვანს გამოტოვებენ, არ გამოთქვამენ. სწორედ ასე, მტკვარ-ის ნაცვლად შეიძლებოდა გამოეთქვათ კვარ, ხოლო ამ უკანასკნელისაგან მიიღება კორ (ვა იქცევა ო-დ სხვა ენებშიც და თვითონ ქართული ენის დიალექტებშიც. გაიხსენეთ, მაგალითად, ალ. ყაზბეგის გმირები, რომლებიც გვარის მაგიერ ამბობენ გორს, ცხვარის მაგიერ – ცხორს და ა. შ.). კორ ფორმისაგან ო და უ ხმოვანთა მონაცვლეობით მიიღება კურ, კ და ქ თანხმოვანთა მონაცვლეობით – ქურ.

ამრიგად, მდინარე მტკვრის როგორც ქართული, ისე უცხოური სახელწოდება წარმოშობილია ერთი ფუძისაგან: მტკვარი – კურ/ქურკურა.

მუხრანი – ქართლის ერთ-ერთი ისტორიული სოფლის სახელი – აგრეთვე მუხრანს უკავშირდება. მუხრანი დიდი და განთქმული სოფელია მცხეთის ახლოს.

ზემოთ მანგლისის სახელწოდებაში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ შეუცვლია ადგილები ორ მსგავს ბგერას, მ-სა და ნ-ს. ასეთივე გადაადგილება მომხდარა მუხრან-შიც, სადაც გადასმულია ნ და რ: მუხნარი – მუხრანი (ძველი ფორმა მუხნარი დაცულია, მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში").

მუხა საქართველოში ძალიან გავრცელებული და დაფასებული მცენარეა. ამიტომ, ბუნებრივია, მისი სახელი ქართულ ტოპონიმიაშიც ხშირად გვხვდება: მუხრანის ახლოს არის სოფელი მუხათგვერდი, მუხრანი (ყოველგვარი ცვლილებების გარეშე) ჰქვია სოფელს გაგრის რაიონში; ცნობილია აგრეთვე სოფლები: მუხრანი (წყალტუბოს რ.), მუხათი (თეთრიწყაროს რ.), დიდმუხა (ზნაურის რ.), ცხრამუხა (ხაშურის რ.), მუხათწყარო (გარდაბნის რ.) და სხვა (იხ. აგრეთვე ჭყონდიდი, წყნეთი).

მცხეთა. იქ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს, ძველად თავს იყრიდა უდიდესი მნიშვნელობის გზები ქვეყნის ყველა მხრიდან. ამ ადგილას უხსოვარი დროიდან არსებულა დიდი ქალაქი ციხე-გალავნებით, სავაჭრო ფარდულებით, სასტუმროებით, აბანოებით, კერპთა სამლოცველოებით და ა. შ. ეს ქალაქი არის მცხეთა, რომელსაც კარგად იცნობენ და აგვიწერენ როგორც ძველი ქართული, ისე უცხოური საისტორიო წყაროები. მაგრამ კიდევ უფრო ძვირფას მასალას მცხეთის ისტორიისათვის იძლევა არქეოლოგიური გათხრები. მცხეთა დიდი ხნის განმავლობაში იყო ქართლის ანუ იბერიის სამეფოს დედაქალაქი. სატახტო ქალაქად თბილისის გადაქცევის შემდეგაც მცხეთა დარჩა საეკლესიო ცენტრად. XI საუკუნეში მცხეთაში აიგო ქართული არქიტექტურის მშვენება – სვეტიცხოვლის ტაძარი, რომლის ხუროთმოძღვარს, არსაკიძეს, ლეგენდის თანახმად, მკლავი მოსჭრეს (ეს ამბავი უძევს საფუძვლად სახელოვანი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანს „დიდოსტატის მარჯვენას").

სახელწოდება მცხეთა პირველად ნახსენებია ძველი ბერძნული მეცნიერის პტოლომეს „გეოგრაფიაში" (II ს.), ოღონდ პტოლომე ამ სიტყვას გადმოგვცემს თავისებური ფორმით: მესტელთა, მესლეთა. მეცნიერთა აზრით, აქ ჩვენ გვაქვს დამახინჯებით გადმოცემული მცხეთის სახელწოდების უფრო ძველი ფორმა მესხთა. ამ ფორმის შეკუმშვით უნდა მიგვეღო მსხეთა, აქედან კი – მცხეთა. მესხები აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად მცხოვრებლებად, ერთ-ერთ უმთავრეს ქართველ ტომებად მიიჩნევა. მათგან შერჩა სახელი სამხრეთ საქართველოს ერთ კუთხეს – მესხეთს. მესხ-ისგან არის ნაწარმოები აგრეთვე სახელწოდება სამცხე (ე. ი. სა-მესხ...ე). როგორც ირკვევა, მასვე უკავშირდება საქართველოს ძველი დედაქალაქის სახელიც: მცხეთა (- მესხეთა).

ოზურგეთი – ქალაქ მახარაძის ძველი სახელწოდება – ნაწარმოებია ო პრეფიქსით და ეთ სუფიქსით ზურგ სიტყვისაგან, რაც კოლხურად „მთის ზურგს", „გორაკს", „ბორცვს" ნიშნავს. კოლხურია ო პრეფიქსიც, რომელიც ქართული სა-ს ბადალია და დანიშნულებას გამოხატავს. ამრიგად, ოზურგეთი იგივეა, რაც „საბორძვეთი". მსგავსი აგებულების გეორგაფიული სახელებია გურიაში: ორაგვე, ოჩხამური, ოჭილაური, იმერეთში – ოკრიბა, ორაგვეთი, ოფურჩხეთი, ოჯოლა, ლეჩხუმი – ოფიტრა, ოფურეში, ონჭეიში, ოყალეთი და სხვანი. ბუნებრივია, ამგვარი სახელები ყველაზე უხვად დაცულია სამეგრელოს ტერიტორიაზე: ოირმეთი, ოკვინორე, ონტოფო, ოტობაია, ოტორონჯია, ოქუმი, ოჩხამური, ოცარცე, ოჭუბურე და ა. შ. ამგვარი გეოგრაფიული სახელების მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ კოლხური დიალექტის გავრცელების არე უძველეს ხანაში, რომლის შესახებაც წერილობითი ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. ხსენებულ ტოპონიმებთან ზოგს ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ.

რაჭა. საქართველოს ამ მშვენიერი მხარის სახელწოდებას ორგვარი ახსნა მოეპოვება. ერთი მოსაზრების მიხედვით, მას საფუძვლად უძევს პიროვნული სახელი რატი, რომელიც ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველად რაჭის ერისთავთა საგვარეულოში. ამ სახელისაგან თავდაპირველად გვექნებოდა რატიშა („რატისა"), ხმოვნის ამოღების შემდეგ – რატშა, აქედან კი საბოლოოდ მივიღეთ რაჭა. მაშასადამე, მისი მნიშვნელობა ასეთია: „რატისა", „რატიანთი", „სარატიო".

მეორეგვარი ვარაუდის მიხედვით, რაჭის სახელწოდება მიღებულია რაჭვ სიტყვისაგან, რაც სვანურად „კურდღელს" ნიშნავს. კურდღელი უნდა ყოფილიყო ამ მხარის მცხოვრებთა ტოტემი.

რიონი – დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარე – სათავეს იღებს კავკასიონის მთებში, გამოივლის რაჭა-ლეჩხუმს, ქუთაისსა და იმერეთის ცენტრალურ ნაწილს, შუაზე სერავს კოლხეთის დაბლობს და ერთვის შავ ზღვას ქალაქ ფოთთან. გზადაგზა რიონის უერთდება მდინარეები: ქვედურა, ლუხუნი, ლაუნჯა, ყვირილა, ცხენისწყალი, ტეხურა, აბაშა და სხვანი. ქუთაისის მახლობლად რიონზე აგებულია დიდი ელსადგური რიონჰესი.

რიონი ძველთაგანვე დიდ როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. რიონს და შემდეგ ყვირილას შორაპნამდე მოჰყვებოდნენ შავი ზღვიდან შემოსული გემები. ეს იყო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც შემდეგ მტკვარზე გავლით ინდოეთისკენ მიემართებოდა.

რიონი ბევრი ქართველი მწერლის ნაწარმოებში არის შექებული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძის პოემა „რიონის აპოლოგია".

ძველ ბერძნულ წყაროებში მდინარე რიონი მოხსენებულია სხვადასხვაგვარად: როანი, რეონი, ფაზისი, ფასიდი. პირველი ორი ამათგანი რიონ-ის ვარიანტებია. ფიქრობენ, რომ ეს სახელწოდება უკავშირდება რუ-ს, რომელიც ინდოევროპული ძირის სიტყვად მიიჩნევა (კელტური რო, ესპანური რიო, სპარსული რუდ „მდინარე". ამ ძირისაგან წარმოქმნილად ითვლება ევროპის მდინარეთა სახელები: რაინი, რონა და სხვა).

რაც შეეხება რიონის მეორე სახელწოდებას (ფაზის/ფასიდ), აქ ფუძედ გამოიყოფა ფას (ის და იდ ბერძნული დაბოლოებებია). შესაძლოა იგი ძველი ქართული სატომო სახელი იყოს. მეორე თვალსაზრისით, ფას – ფსა/ფშა ზოგადად წყლის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო იბერიულ-კავკასიურ ენებში (მას უკავშირდება სიტყვები ფშა, ფშანი, ფშტალა– და ამიტომ ბერძენ ისტორიკოსთა თხზულებებში ფაზისი ერქვა არა მარტო რიონს, არამედ სხვა მდინარეებსაც: ჭოროხს, არაქსს...

საგულისხმოა, რომ ეს სახელი ჰქვია იმ მთასაც, საიდანაც სათავეს იღებს რიონი (ფასის მთა). მასვე უკავშირდება ქალაქის სახელწოდება ფოთი (-ფას-თ-ი) და მხარის სახელწოდება ბასიანი (ფას-იან-ი).

დასასრულ, აქვე უნდა გავიხსენოთ ხოხბის ბერძნული სახელწოდება ფასიანოს – ფაზანოს (ეს სიტყვა სხვა ინდოევროპულ ენებშიც არის შესული, მათ შორის რუსულში: фазан – „ხოხობი"). ალბათ ჩვენი ბუნების დამამშვენებელი ეს ფრინველი ბერძნებს პირველად მდინარე ფაზისის ანუ რიონის ჭალებში უნახავთ და სახელიც ამის მიხედვით დაურქმევიათ.

რუისი, რუისპირი, რუსთავი ქართულ ენას მდინარი წყლის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი მოეპოვება: წყალი, წყარო, ღელე, რუ, ნაკადული, მდინარე. ამათ შორის ნაკადული და მდინარე გვიან არის არსებით სახელებად ქცეული და მათგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები არ მოგვეპოვება, დანარჩენთაგან კი ბევრი ჰიდრონიმი და ტოპონიმი არის წარმოქმნილი. აქ შევხვდებით მხოლოდ რუ-საგან ნაწამროებ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს.

რუისი ძველტაგანვე განთქმული სოფელია ქართლში (ქარელის რ.). იგი საისტორიო წყაროებში იხსენიება VI ს. დამდეგიდან (506 წ.). აქ იყო დიდი საეპისკოპოსო საყდარი, რომლის მეთაურსაც ერქვა მროველი (ე. ი. „რუისელი"; მ-როვ-ელ-ი ისევეა ნაწარმოები რუ-ის-ისაგან, როგორც მ-ეგრ-ელ-ი ეგრ-ის-ისაგან, მ-აჩაბელ-ი აჩაბ-ეთ-ისაგან და ა. შ.).

რუსთავი ყველასათვის კარგად ცნობილი მეტალურგიული ქალაქია, რომელიც დიდი სამამულო ომის შემდეგ აშენდა ძველი ნაქალაქარის ადგილას. ძველი რუსთავი ცნობილია აგრეთვე ბოსტანქალაქის, ნაგებისა და რიშყალას სახელით. მემატიანეს ცნობის თანახმად, რუსთავი IV საუკუნეში ყოფილა აგებული. რუსთავი ჰქვია აგრეთვე ორ სოფელს მესხეთში და ქართლში.

რუისპირი და **რუისბოლო** სოფლებია, პირველი – თელავის რაიონში, მეორე – გარდაბნის რაიონში. გარდა ამისა, რუ გამოიყოფა აგრეთვე სიქთარვა-ში (სოფელია იმერეთში) და ჰიდრონიმებში: რუშვა, რუწითელი, რუხმელა, რუა და ა. შ.). როგორც ითქვა, შესაძლოა ამავე სიტყვისაგან იყოს მიღებული რიონი.

რიონთან დაკავშირებით ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა და „მდინარეს" ნიშნავს. ქართულში დღეს იგი იხმარება მცირე მდინარი წყლის ანუ ნაკადულის, უმთავრესად – სარწყავად გამოყვანილი ნაკადულის აღსანიშნავად, ძველად კი რუ (რუვი) ერქვა დიდ სარწყავ არხსაც. არხი შედარებით გვიან შემოსული სიტყვაა და გეოგრაფიულ სახელებში არ გვხვდება, ხოლო რუ (რუვი) გაცილებით ძველია და ბევრი ქართული გეოგრაფიული სახელის შექმნაში მონაწილეობს. ზოგან გვაქვს რუ (რუსთავი...), ზოგან – რუვი (რუისბოლო...).

გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოში რუ უმთავრესად ბუნებრივ ნაკადულს, ღელეს აღნიშნავს (რუშვა, რუწითელი, რუა...), აღმოსავლეთ საქართველოში კი – ხელოვნურ სარწყავ სისტემას, არხს. ამ არხის პირას მდებარე სოფელს დარქმევია რუისპირი, არხი დასაწყისში მდებარეს – რუსთავი, ბოლოში – რუისბოლო.

საგარეჯო. ქართულ ტოპონიმიკურ სახელებში ძალიან ხშირად გვხვდება პრეფიქსად სა, რომელიც დანიშნულებას ან კუთვნილებას გამოხატავს. მასთან შეწყვილებულია სხვადასხვა სუფიქსი: ო, ე, ეთ, ის, ურ, ია და სხვაი; ამრიგად, ასეთ შემთხვევაში გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს ერთდროულად თავსართი და ბოლოსართი: სა-ო, სა-ე, სა-ეთ და ა. შ.

იმის გამოცნობა, თუ როგორ და რა სიტყვებისაგან არიან წარმოქნილი ასეთი გეოგრაფიული სახელები, მეტწილად ადვილია. მაგალითად, დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ სამეგრელ-ო ან სა-ინგილ-ო მიღებულია ქართველი ხალხის შემადგენელ ტომთა სახელებისაგან სა-ო აფიქსების მეშვეობით. ასეთივე გზით არის წარმოქმნილი თვით ჩვენი ქვეყნის სახელწოდება საქართველ-ო. სა პრეფიქსი და ო სუფიქსი ხშირად აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს ადამიანის სახელებისაგან ან გვარებისაგან (საგურამ-ო, სა-ბარათიან-ო, სა-მაჩაბლ-ო...), სა-ე გვხვდება მცენარეულობის, ფრინველების, ცხოველების სახელებთან და ა. შ. მაგრამ გვაქვს ზემოხსენებული აფიქსით წარმოქმნილი ისეთი ტიპონიმებიც, რომელთა მნიშვნელობის დადგენა არც ისე იოლია.

თბილისის მახლობლად ქალაქის სახელწოდება საგარეჯო სწორედ სა თავსართითა და ო ბოლოსართით არის წარმოქმნილი. მაგრამ რა სიტყვას დაერთვის ეს აფიქსები, რას ნიშნავს გარეჯ? ამ კითხვაზე სწორ პასუხს მხოლოდ მაშინ გავცემთ, თუ ვიცით, რომ გარეჯა აგრეთვე გეოგრაფიული სახელია. საგარეჯოს რაიონში არის გარეჯის უდაბნო, სადაც VI საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ერთ-ერთ ძველ და დიდებულ კერას – გარეჯის მონასტერს. ამგვარ მონასტრებს საკუთარი ადგილ-მამული ჰქონდათ, რაც მათი შემოსავლის წყაროს შეადგენდა. აი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ ადგილს (სოფელს), რომელიც გარეჯის მონასტერს ეკუთვნოდა, შერქმევია საგარეჯო.

საინგილო საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხეთაგანია, სარწმუნოებით ქრისტიანები იყვნენ. მაგრამ ირანსა და თურქეთის გაუთავებელი ომებითა და ლეკთა თავდასხმებით დაუძლურებული მოსახლეობის ნაწილი ბოლოსდაბოლოს XVIII საუკუნეში იძულებული გახდა რჯული გამოეცვალა და მაჰმადიანური სარწმუნოება მიეღო. გამაჰმადიანებულებს თურქულად ეწოდებოდა იანგილ, რაც „ახლად მორჯულებულს" ნიშნავს. აქედან წარმოდგა ამ კუთხის მცხოვრებთა სახელი ინგილო, ხოლო ამის მიხედვით თვითონ კუთხეს საინგილო დაერქვა.

სამეგრელო ჰქვია საქართველოს ერთ-ერთ ნაწილს მდ. ცხენისწყლიდან შავი ზღვის სანაპირომდე. წინათ მისი საზღვრები უფრო ვრცელი ყოფილა და თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ეს არის ძველი კოლხეთი. სხვაგვარად მას ეგრისი ეწოდებოდა. ამ უკანასკნელისაგან არის ნაწარმოები სატომო სახელი მეგრელი (ადგილობრივი გამოთქმით – მარგალი, ძველ უცხოურ წყაროებში – მაკრონ, მანრალ).

მ-ეგრ-ელ-ი (ე. ი. „ეგრისელი") ისევეა წარმოქმნილი ეგრე-ის-იდან, როგორც მ-არგვ-ელ-ი, არ-გვ-ეთ-იდან, მ-აჩაბ-ელ-ი აჩაბ-ეთ-იდან, მ-როვ-ელ-ი რუ(ვ)-ის-იდან და ა. შ.

შემდგომში მეგრელ-ისგან ხელახლა იქნა ნაწამოები მხარის სახელწოდება სა-მეგრელ-ო (შეადარეთ სა-ქართველ-ო, სა-ინგილ-ო, სა-ზან-ო და სხვანი).

რაც შეეხება ეგრი-ს, ფიქრობენ, რომ მისი ფუძეა ძველი ქართული სატომო სახელი გურ, რომ-ლიგანაც მიღებულია აგრეთვე მეორე მხარის სახელწოდება გურია. ასევე სატომო სახელებისაგან არის მიღებული ქართლი (ქართ-ისაგან), კახეთი (კახ-ისაგან), თუშეთი (თუშ-ისაგან) და სხვანი.

სამცხე ერქვა სამხრეთ საქართველოში – ტაო-კლარჯეთში – შემავალ მხარეს, რომელსაც დღეს მესხეთი ეწოდება. მესხ-ეთ-ი ნაწარმოებია ეთ სუფიქსით მესხ-ისაგან. მესხები აღმოსავლეთ საქა-ართველოს ერთ-ერთ ძირითად ქართველ ტომად ითვლება და მას უკავშირდება თვით საქართველოს ძველი დედაქალაქის სახელწოდება მცხეთა („მესხ-ეთ-ა"). თუ სამცხე-ში სა პრეფიქსსა და ე სუფიქსს გამოვყობთ, გვრჩება იგივე მცხ ძირი, რომელიც გვაქვს მცხეთა-ში, და რომელიც მესხ-ისაგან არის მიღებული: სა-მესხ-ე ხმოვნის შეკუმშვის შემდეგ მოგვცემდა სამსხე ფორმას, მაგრამ აქ კიდევ მომხდარა მცირე ცვლილება (ხ-ს წინ ს ქცეულა ც-დ) და საბოლოოდ მივიღეთ სამცხე (შეადარეთ: მესხ-ეთ-ა – მსხეთა-მცხეთა).

სიონი ებრაულად ნიშნავს ამაღლებულ ადგილს, მთას; სხვაგვარი განმარტებით – ადგილს, რომელსაც მზე აცხუნებს. ეს სახელი ჰქვია მთას იერუსალიმის მახლობლად. როგორც ადრე გვქონ-და აღნიშნული, ძველად მორწმუნეებს სჩვეოდათ ქრისტეს სახელთან დაკავშირებული ტოპონიმების გადატანა თავიანთ ქვეყანაში (იხ. ბეთანია და ბეთლემი). სწორედ ამით აიხსნება, რომ სიონი საქა-ართველოს რამდენიმე სოფლის სახელად გვხვდება (ყაზბეგის, თიანეთისა და მარნეულის რაიონებში). გარდა ამისა, თიანეთის რაიონში არის სოფელი სიონთგორი. სიონი ჰქვია აგრეთვე უძველეს ტაძ-რებს თბილისში და ბოლნისის მახლობლად. ბოლნისის სიონის კედლეზე შემონახულია უძველესი ქართული წარწერები (V ს.).

სიღნაღი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის იმ ნაწილში, რომელსაც ქიზიყი ჰქვია. სიღნაღი გაშენებულია მაღლობზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ალაზნის ველი და კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები. ქალაქს გარს ავლია სქელი გალავანი, რომელსაც წინათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავდაცვისათვის. ომიანობის დროს აქ თავს აფარებ-და მშვიდობიანი მოსახლეობა. სწორედ ამიტომ შერქმევია მას სიღნაღი. იგი წარმოშობით თურქული სიტყვაა და „თავშესაფარს" ნიშნავს (ეს სახელი თანამედროვე თურქეთშიც ჰქვია რამდენიმე გეო-გრაფიულ პუნქტს).

სოხუმი – ესაა ულამაზესი საკურორტო ქალაქი შავი ზღვის პირას, ნამდვილად ქალაქი-ბაღი, როგორც მას ხშირად ეძახიან. სოხუმი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრია.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ისტორიული წყაროები ახსენებენ ქალაქს, რო-მელიც ახლანდელი სოხუმის მიდამოებში არსებულა და სახელად დიოსკურია რქმევია. ამ ქალაქის ნაშთები უკანასკნელ ხანებში აღმოაჩინეს სოხუმის ახლოს, იქ, სადაც მდინარე კელასური ერთვის შავ ზღვას.

ორი ათასი წლის წინათ დიოსკურია, ალბათ სტიქიური უბედურების შედეგად, დანგრეულა და ზღვას წაულეკია. მისი ნანგრევები ახლა ნაწილობრივ წყლითაა დაფარული. მის ახლოს შემდეგ კვ-ლავ გაშენებულა ახალი ქალაქი, რომელსაც ბერძნები სებასტოპოლისს უწოდებდნენ. სახელწოდება სებასტოპოლისი იგივეა, რაც სევასტოპოლი და ნიშნავს „სებასტოს ციხეს (ქალაქს)". სებასტოს ანუ სევასტი ბერძნული სახელია, ნიშნავს „ღირსეულს", „პატივსადებს". ამიტომ სევასტოპოლი შეიძლება ითარგმნოს როგორც „დიდებული ქალაქი". ქართულ საისტორიო წყაროებში ამ ქალაქს ეწოდება ცხომი ანუ ცხუმი (აქედანაა გვარები ცხომარია და ცხომელიძე, ე. ი. „ცხომელი" ანუ „სოხუმელი"). აფხაზები მას აყუა-ს ეძახიან, მეგრელები – აყუ-ჯიხა-ს.

დღევანდელი სახელწოდება სოხუმი ცხუმ-ის უცხოური (თურქული) გამოთქმის შედეგად არის მიღებული. რას ნიშნავს თვითონ ეს ცხომი/ცხუმი, ნათელი არ არის. შესაძლოა აქ ომ გამოიყოს როგორც გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი (ასეთივე დაბოლოების მქონე სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი (აგრეთვე დაბოლოების მქონე სახელებია: ბათომი, ბორჯომი, თორთომი, პალიასტომი, წრომი და სხვა). თუ ასეა, მაშინ იქნებ იგი ციხე სიტყვისაგან იყოს ნაწარმოები (ციხ-იმ-ი-ცხ-ომ-ი, ე. ი. „ციხისი"). ამგვარი ვარაუდის დასაშვებად ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ „ციხეს" შეიცავს აგრეთვე სოხუმის ძველი ბერძნული სახელწოდება სებასტოპოლი და მეგრული აყუჯიხა („აყუს ციხე"). უცხო წყაროებშიც მას ეწოდება სოხუმ-კალე, ე. ი. „სოხუმის ციხე". სოხუმი ძველად მართლაც განთქმული იყო თავისი დიდი ციხე-გალავნით, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღ-

წია და, ისტორიკოსთა ვარაუდით, რომაულ-ბიზანტიურ ეპოქას განეკუთვნება.

მეორე მოსაზრების მიხედვით, სახელწოდება ცხომი/ცხუმი უკავშირდება სვანურს და „რცხილას“ ნიშნავს (ცხუმ – სვანურად: „რცხილა”).

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად ცხომი ძველი სატომო სახელწოდება უნდა იყოს (ისევე როგორც კახი, მესხი, ზანი, ჭანი და სხვანი). ასეა თუ ისე, საინტერესოა, რომ ფონეტიკურად მსგავსი გეოგრაფიული სახელები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ცხომრი – რაჭაში, ცხმორისი – აჭარაში, ცხომარეთი – ზემო იმერეთში, ცხუმარი – სვანეთში.

სურამი საკურორტო დაბაა, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფი სურამის ქედის კალთაზე მდებარეობს. ჩვენი ქვეყნის ამ ორი ნაწილის დამაკავშირებელი მთავარი გზა სურამის უღელტეხილზე გადის.

სურამში დგას ძველი ციხე, რომლის კედლებშიაც, გადმოცემის მიხედვით, ცოცხლად ჩაუტანებიათ დედისერთა ჭაბუკი, სახელად ზურაბი. ალბათ ყველას ახსოვს, როგორ დასტირის დედა თავის ზურაბს:

სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო,
ჩემი ზურაბ მანდ არის,
კარგად შემინახეო!

ცნობილმა ქართველმა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ ეს ლეგენდა გამოიყენა თავის მოთხრობა „სურამის ციხეში”.

სურამ თურქულად ნიშნავს „ციხეს“ და სწორედ ციხის მიხედვით უნდა დარქმეოდა გეოგრაფიულ პუნქტს ეს სახელი. მაგრამ ამავე დროს ადამიანის სახელი ზურაბ თურქულ გამოთქმაში იცვლება და გვაძლევს სურამ ფორმას. ამის გამო სახელი ზურაბი დაუკავშირდა სურამის ციხეს და ეს უკანასკნელი გაგებული იქნა როგორც „ზურაბის ციხე”.

სუფსა მდინარეა გურიაში. ასევე ეწოდება ამ მდინარის პირას მდებარე სოფელსაც ლანჩხუთის რაიონში. მდინარე სუფსა სათავეს იღებს სურების მთებში, სადაც გაშენებულია სოფლები ზემო სურამში, შუა სურები, თავსურები (ჩოხატაურის რ.). სურებ-ში ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანია, ასე რომ, მხოლობითში უნდა გვქონოდა სურ, რაც „წყალს“ ნიშნავს. ამრიგად, სურები ესაა იგივე „წყლები”. იმავე სიტყვისაგან არის მიღებული მდინარის სახელწოდება სუფსა (-სურ-ფსა). გურიაშივე პატარა მდინარის სახელია სუჭითა, რომელიც სურ-ჭითა-საგან მომდინარეობს და იგივეა, რაც „წყალწითელა”.

ფსა წყლის, მდინარის აღმნიშვნელი სიტყვაა ჩერქეზულ-ადიღეურში. ამგვარი მაგალითების მიხედვით მეცნიერები ვარაუდობენ, ძველისძველად ჩერქეზთა ტომებს უფრო სამხრეთით, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე უცხოვრიათო. ისიც არ არის გამორიცხული, რომ „წყლის“ აღმნიშვნელი იმავე ძირის სიტყვა ქართველ ტომთა ენაშიც გვქონოდა.

ამრიგად, სუფსა კომპოზიტია, ორი ნაწილისაგან შედგება და თითოეული ნაწილი ნიშნავს „წყალს”, „მდინარეს”.

ტაბაწყური, **ტაბახმელა** – ეს გეოგრაფიული სახელები შეიცავენ ტაბა ანუ ტბა სიტყვას.

ტაბახმელა რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტის სახელია, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია თბილისის ახლოს, კოჯრის მხარეს მდებარე სააგარაკო სოფელი. აქ იყო ქართველ მეფეთა საზაფხულო სადგომი. აქ ჰყვარებია ყოფნა თამარ მეფეს. ტაბახმელა ნიშნავს „ტბა-ხმელას“ ანუ „ამომშრალ ტბას”.

ტბასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ბევრი სხვა გეოგრაფიული სახელწოდება: ტბა (ბორჯომისა და ცხინვალის რ.), ტბეთი (ცხინვალის, ლენინგორის, ჯავის, ამბროლაურის, შუახევის, გულრიფშის რაიონებში), ტბისი (თეთრიწყაროს რ.), ტაბანათი (ლანჩხუთის რ.), სხალტბა (მცხეთის რ.), უკანტბა, ტბათანა და სხვანი. ტბა სიტყვის კოლხური ფორმაა ტობა, რომლისგანაც აგრეთვე რამდენიმე გეოგრაფიული სახელი იწერებოდა (იხ. ქვემოთ ტობათი).

ტყვარჩელი ცნობილი ქალაქია, განთქმული ქვანახშირის საბადოებით. მისი სახელწოდება შედგება ორი ნაწილისაგან: ტყვა-რჩელი. პირველი ნაწილი ტკვა ანუ ტყვია მეგრულად „კიბეს“ ნიშნავს, მეორე ნაწილს კი შეადგენს რჩელი, რომელსაც ორგვარი მნიშვნელობა აქვს: „თეთრი“ და „დაფენილი”. ამრიგად, ტყვარჩელის განმარტება ასეთია: „თეთრი კიბე“ ან „დამრეცი კიბე”.

შესაძლოა რჩელ სიტყვისაგან მომდინარეობს აგრეთვე სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი დარჩენილი („დაფენილი”, „დაგებული”).

ურეკი დაბაა გურიაში, ამჟამად განთქმულია დიდი საბჭოთა მეურნეობით. ურეკი კოლხური სიტყვაა, ნიშნავს გაუვალ, უღრან ტყეს. წინათ ბატონები სანადიროდ რომ წავიდოდნენ, ტყეში მარეკებს დაგზავნიდნენ ნადირის დასაფრთხობად და გამოსარეკად, თვითონ კი მოხერხებულ ადგილას ჩაესაფრებოდნენ და ასე ნადირობდნენ. ურეკი ერქვა ისეთ ტყეს, სადაც ასეთი რამ არ ხერხდებოდა, ე. ი. სადაც ნადირობა შეუძლებელი იყო ხშირი, გაუვალი ტყის გამო. ურეკში უღრანი ტყე დიდი ხანია აღარაა, მაგრამ ადგილს კი ეს სახელი შერჩა.

უფლისციხე ცნობილი ისტორიული სოფელია ქართლში, გორის მახლობლად. აქ მტკვრის პირას კლდეში ნაკვეთი ბუნებრივი გამოქვაბულები ჩვენს წინაპრებს შორეულ წარსულშივე უქცევიათ საცხოვრებელ ბინებად, გაუმაგრებიათ და იმ დროის შესაფერისად მოუწყვიათ. ასე წარმოქმნილა კლდეში გამოკვეთილი პირველყოფილი სოფელი, როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულთა მიჯნაზე, ე. ი. სამიათასზე მეტი ხნის წინათ.

საქართველოში ასეთი კლდეში ნაკვეთი ძეგლი სამია: უფლისციხე, გარეჯა და ვარძია. შემდეგში უფლისციხე ქალაქად ქცეულა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იბერიის სამეფოს ცხოვრებაში. მაგრამ მტრების ხშირი შემოსევისა და აოხრება-გაჩანაგების შედეგად ქალაქი უფლისციხე საბოლოოდ აღმოიფხვრა. ცხადია, მის მოსპობას საქალაქო პირობების შეცვლამაც შეუწყო ხელი. შემდგომში ამ კლდეში ნაკვეთი ქალაქის მახლობლად გაშენდა სოფელი, რომელსაც უფლისციხე ჰქვია. უფალი ძველ ქართულში ნიშნავდა ბატონს, ასე რომ, უფლისციხე – ესაა იგივე „ბატონის ციხე".

ქართლი. საქართველოს მიწა-წყალი ისტორიულად რამდენიმე ნაწილად იყოფა. ამ კუთხეების ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა როგორც ადგილმდებარეობა, ისე ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები. სხვადასხვა ისტორიულ ხანაში ეს კუთხეები სხვადასხვა სამეფოებში შედიოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი კუთხის მცხოვრები შორეულ წარსულშიც კარგად გრძნობდა, რომ მათ ერთმანეთთან აკავშირებდა საერთო წარმოშობა და საერთო ენა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა განუყრელი ერთიანობის გრძნობა განსაკუთრებით მკაფიოდ, უბრალოდ, მაგრამ გულში ჩამწვდომად გამოთქვა პოეტმა დუტუ მეგრელმა. ამიტომ ეს ლექსი ყველა ქართველმა ზეპირად იცის:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო —
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ეს სტრიქონები გასულ საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ ის არის გამოხატულება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გრძნობისა. ჯერ კიდევ X საუკუნეში გამოჩენილი ქართველი მწერალი და მოღვაწე გიორგი მერჩულე წერდა: ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, სადაც ქართულითა ენითა ჟამი შეინწირვისო, ე. ი. ქართლია მთლიანად ის ვრცელი ქვეყანა, სადაც წირვა-ლოცვა (და, მაშასადამე, ლაპარაკი) ქართულ ენაზე მიმდინარეობსო. ამრიგად, ქართლში აქ საერთოდ საქართველო იგულისხმება, მწერალი ქართლს ხმარობს საქართველოს გაგებით, რადგან ეს ტერმინი საქართველო იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. იგი იხმარება მხოლოდ XI საუკუნიდან, როცა ძირითადად დამთავრდა ქვეყნის გაერთიანების პროცესი და ერთ სახელმწიფოში პირველად გაერთიანებულ ქართულ ენაზე მოლაპარაკე მთელი ხალხი, რომელიც მანამდე რამდენიმე სამეფოს შეადგენდა (აღმოსავლეთით ქართლი და კახეთ-ჰერეთი, სამხრეთით – ტაო-კლარჯეთი, ხოლო დასავლეთით კოლხეთი ანუ ეგრისი, რომელსაც იმ ხანად აფხაზეთი ეწოდებოდა).

შემდგომში, ისტორიული ქარტეხილების გამო, საქართველოს ერთიანი სამეფო რამდენჯერმე დაიშალა, აღდგა და ისევ დაიშალა, მაგრამ ქართველი ხალხის ერთიანობის შეგნება არასოდეს გამქარალა. ქართველი მამულიშვილები ყოველთვის ესწრაფოდნენ ერთიანი საქართველოს აღდგენასა და შენარჩუნებას და ამ ბრძოლაში ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის შუაგული – ქართლი.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2.300 – 2.400 წლის წინათ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ძლიერი სამეფო – იბერია ანუ ქართლი, რომლის დედაქალაქი იყო მცხეთა. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ამ ქვეყნის დედაქალაქსაც ქართლი რქმევია. საინტერესოა, რომ მეგრულად თბილისს დღემდე ქართი ეწოდება.

სახელწოდება ქართლი მომდინარეობს ქართების ტომის სახელისაგან, რომელსაც დართული აქვს სუფიქსი ლ (ქართ-ლ-ი). ამავე ფუძისგან არის ნაწარმოები ქართვ-ელ-ი, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა ქართლის სამეფოს მცხოვრებს. ქართლის მცხოვრებთა მეორე სახელი ყოფილა იბერი ანუ ივერი, საიდანაც მომდინარეობს სახელწოდება იბერია – ივერია. ამ მეორე სახელის ძირია ბერ/ვერ, რომელსაც მეცნიერები უკავშირებენ ქართველთა წინაპრების წარმართული ღვთაების სახელს. ეს ძირი საფუძვლად უძევს ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის უცხოურ სახელწოდებებს: ვრაც – „ქართველი", ვრასტან – „საქართველო" (სომხურად), გურჯ – გურჯისტან (სპარსულად), გრუზინ – გრუზია (რუსულად), ჯორჯენ – ჯორჯია (ინგლისურად) და ა. შ.

ქიზიყი ეწოდება კახეთის ერთ ნაწილს, რომელსაც საზღვრავენ მდინარეები: იორი, ალაზანი და მტკვარი. ამ მხარის დახასიათებისას გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი წერს: „ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი კანბეჩთა სიმართლისათვის... არიან კაცნი მებრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა".

როგორც ვახუშტის სიტყვებიდან ჩანს, ქიზიყს ადრე კანბეჩოვანი ანუ კამბეჩოვანი რქმევია. ეს სახელწოდება ქართულ საისტორიო ძეგლებში IX საუკუნიდან გვხვდება. იგი აღნიშნავს როგორც მხარეს, ისე ქალაქსაც, რომლის მეორე სახელია ხორნაბუჯი. კიდევ უფრო ადრე კამბეჩოვანი იხსენიება

უცხოურ წყაროებში. მათ შორის უძველესია სტრაბონის გეოგრაფია (1 ს.). ამ ბერძენი გეოგრაფის ცნობით, იბერიიდან ალბანიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორმასწორო კამბისენეზე გადისო. აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელია ეს ადგილი ახლანდელი შირაქის მინდვრები იყოსო.

კამბისენე შეიცავს ბერძნულ ენე სუფიქსს, კამბის კი იგივე სიტყვა კამბეჩია. სტრაბონი კამბისის სახელით იხსენიებს აგრეთვე მდინარეს, რომელიც დღევანდელი იორი უნდა იყოს.

სიტყვა კამეჩი ანუ კამბეჩი წარმოშობით ინდურ-ირანულია. ძველ ირანულ ენებში გაუ, გავ ნიშნავს მსხვილფეხა პირუტყვს – ზროხას (ე. ი. როგორც ძროხას, ასევე ხარს; რუს. вол). ეს სიტყვა სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებით მრავალ ინდოევროპულ ენაში გვხვდება. სპარსულში გავ („ზროხა") სიტყვას ერთვის მეშ („ცხვარი") და ასე მიღებულია გავ-მეშ, რაც „კამეჩს" ნიშნავს. აქედან არის სიტყვა შემოსული ქართულში.

კამბეჩი (კამეჩი) უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ აშკარაა, რომ ორი ათასი წლის წინათ ეს სიტყვა უკვე ყოფილა დამკვიდრებული ქართულ ენაში. ამას ადასტურებს გეოგრაფიული სახელწოდება კამბეჩოვანი.

ქობულეთი ცნობილი საკურორტო ქალაქია შავი ზღვის პირას, აჭარაში. საისტორიო წყაროებში იგი იხსენიება XVII საუკუნიდან. გაცილებით უფრო ადრე ბერძენ ისტორიკოსებს ამ მიდამოებში მოხსენიებული აქვთ ქალაქი პეტრა. შესაძლოა ეს ქალაქი სწორედ ქობულეთი იყოს. ბერძნულად პეტრა ნიშნავს „კლდეს", ხოლო ქართული სიტყვა ქვაბი, საბას განმარტებით, არის „კლდე გამოკაფული", ე. ი. კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული. მას ძველად ადამიანი საცხოვრებელ ბინად იყენებდა. ქვაბ სიტყვისაგან იწარმოება მრავალი ქართული ტოპონიმი: ქვაბისხევი, ქვაბთახევი, ქვაბისმანი, ქვაბისღელე და სხვა. ერთ-ერთი ამათგანია ქობულეთი, სადაც ეთ გამოიყოფა როგორც გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებელი სუფიქსი. გვრჩება ქობულ ანუ იგივე ქვაბულ (როგორც ვიცით, ქართულში ვა-ს ხშირად ენაცვლება ო: თვალი – თოლი, კვამლი – კომლი, ცხვარი – ცხორი, ქვაბი – ქობი...).

დასაშვებია სხვაგვარი ვარაუდიც: ქობულეთი მიღებული იყოს არა უშუალოდ ქვაბ-ისა და ქვაბულ-ისაგან, არამედ ქობულ პიროვნული სახელისაგან, რომელიც ძველ ქართულში გვხვდებოდა და დღემდე შემორჩენილია გვარებში (ქობულ კაცის სახელად გვხვდება მცხეთის ჯვრის ერთ წარწერაში, რომლეიც VIII საუკუნით თარიღდება. დღეს გავრცელებული გვარებია: ქობულაძე, ქობულაშვილი, ქობულია).

ქუთაისი – საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი და თბილისის შემდეგ ყველაზე დიდი ქალაქი – მდებარეობს დასავლეთ საქართველოს შუაგულში, მდინარე რიონის პირას, უძველესი საზღვაო-სამდინარო და სახმელეთო გზების შესაყარში. მწვანეში ჩაფლული ქალაქი განსაკუთრებით ლამაზია გაზაფხულზე. ამიტომ დიდმა აკაკიმ მას „სავარდო და სამაისო ქუთაისი" უწოდა. ქუთაისი არა ერთი ქართველი მწერლის პოეტური აკვანი და შთაგონების წყაროა. იგი ძველთაგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ერთხანს, როცა თბილისი მტრებს ეპყრათ, ქართველ მეფეებს ტახტი ქუთაისში ედგათ.

ქუთაისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. როგორც ფიქრობენ, იგი დაახლოებით 3.500 წლისაა.

ქუთაისი (კჳიტაიის) პირველად იხსენიება აპოლონის როდოსელის „არგონავტიკაში" (III ს. ძვ. წ. ა.). საერთოდ, ძველ საიტორიო წყაროებში მისი სახელი მრავალგვარი ფორმით დასტურდება: კოტიაიონ, კვიტაიონ, ქუტეტისი, კოტაისი, კუტაია და სხვა. დღევანდელი სახელწოდების ადრინდელი ქართული ფორმა არის ქუთათისი (აქედანაა გვარი ქუთათელაძე). აქ გამოიყოფა ის სუფიქსი, რომელიც არაერთგზის გვხვდება ჩვენს გეოგრაფიულ სახელებში.

ის სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ გვრჩება ქუთათ (ქუთა). მისი მნიშვნელობის შესახებ დღევანდლამდე მრავალი ვარაუდია გამოთქმული: ზოგი მკვლევარი მას უკავშირებდა აფხაზურს, ზოგი მეგრულსა და სვანურს. ამის მიხედვით ფუძის მნიშვნელობა გამოდის „კლდე", „სოფელი" ან ადამიანის საკუთარი სახელი. ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი ქვა სიტყვისაგან არის წარმოქმნილი. მაგრამ საბოლოო და სარწმუნო ეტიმოლოგია ამ ქალაქის სახელწოდებისაა ჯერ კიდევ არ არსებობს.

ცაგერი რაიონული ცენტრია, მდებარეობს მდინარე ცხენისწყალის პირას დღევანდელი ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საზღვართან. ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, ლეჩხუმის ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება სვანურს უკავშირდებაო. ერთ-ერთი ასეთი სახელწოდებაა სწორედ ცაგერი. ცაგ სვანურად ნიშნავს ეკალს, ცაგერი კი იქნება „ეკლნარი" ანუ „ეკლარი" (შეადარეთ ეკლარა – შენობების მოსაპირკეთებელი თეთრი ქვის საბადოებით ცნობილი ადგილის სახელწოდება. გაიხსენეთ აგრეთვე ამა თუ იმ მცენარესთან დაკავშირებული მრავალი ტოპონიმიკური სახელი: მუხრანი, წიფლარი, თელიანი და სხვანი). სოფლების სახელად გვხვდება აგრეთვე ცაგერა (ცაგერისა და ოჩამჩირის რაიონებში).

ციხისძირი საქართველოში რამდენიმე გეოგრაფიულ პუნქტს ეწოდება, მათგან განსაკუთრებით ცნობილი და ისტორიულად საინტერესოა შავი ზღვის პირას, ბათუმსა და ქობულეთს შუა მდბარე კურორტი ციხისძირი, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს ძველ ბერძენთა მიერ მოხსენიებულ ციხე-

ქალაქ პეტრას. სახელდობრ, ციხისძირი შესაძლოა ყოფილიყო პეტრას ციხე, ხოლო თვითონ ქალაქი პეტრა ცოტა მოშორებით, იქნებ ქობულეთის მიდამოებში იყოო, – ფიქრობენ ჩვენი ისტორიკოსები.

ციხისძირის სახელით ცნობილია კიდევ სამი სოფელი (დუშეთის, მცხეთისა და ორჯონიკიძის რაიონებში). გარდა ამისა, სამ სოფელს ჰქვია ციხისუბანი (დუშეთის, ადიგენისა და ვანის რაიონებში), ორს – ციხისოფელი (ორივე ლენინგორის რაიონშია). გვხვდება აგრეთვე ციხია (ტყიბულის რ.), ციხიანი (დუშეთის რ.), ციხისფერადი (მახარაძის რ.), ციხისჯვარი (ბორჯომის რ.).

ციხე სიტყვის კოლხური ფორმაა ჯიხა, რომელიც აგრეთვე რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს (იხ. ქვემოთ ჯიხაიში, ჯიხანჯირი, ჯიხაშკარი).

ცხენისწყალი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარის სახელია. ეს მდინარე სათავეს იღებს სვანეთის მთებში, გამოივლის ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმს და მდინარე რიონს ერთვის იმერეთისა და სამეგრელოს საზღვრებზე.

არსებობს ლეგენდა, თითქოს ამ მდინარეში ცხენები დაეხრჩო შემოსეულ მტრის ლაშქარს, რაც მათი დამარცხების მიზეზი გახდაო. ამბობენ, მდინარეს ცხენისწყალი სწორედ ამიტომ დაერქვაო.

სხვა მოსაზრებების მიხედვით ამ მდინარეს ადრე ცხენისწყალი უნდა რქმეოდა, რადგანაც მის სათავეებთან, სვანეთში, მდებარეობს სოფელი ცხენა ანუ ცენა მდი (შეადარეთ მდინარეების სახელები: აჭისწყალი, ბახვისწყალი, გუბისწყალი და სხვა), შემდეგ კი ცხენისწყალი ცხენისწაყლ-ად გადაკეთდაო.

როგორც ძველი ბერძნული წყაროებიდან ჩანს, ამ მდინარეს უკვე შორეულ წარსულში ერქვა ცხენისწყალი, ბერძნები თარგმნიდნენ მას და ამ მდინარეს ჰიპპო-ს უწოდებდნენ (ჰიპოს ბერძნულად „ცხენს“ ნიშნავს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხენისწყალი სოფელსაც ჰქვია ოჩამჩირის რაიონში, რომელიც მდინარე ცხენისწყალისაგან საკმაოდ შორსაა.

ცხინვალი – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრის სახელწოდება – უკავშირდება მცენარის სახელს – რცხილას: რცხილოვანი (ძველი გამოთქმით კრცხილოვანი, ქრცხინვალი) – რცხლვანი – ცხინვალი.

წყალტუბო მთელ მსოფლიოში განთქმული კურორტია ქუთაისის მახლობლად. აქაური თბილი წყალები ძალიან უხდება რევმატიზმით დაავადებულებს და ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი (უძველესი წერილობითი ცნობა ამ სამკურნალო წყლების შესახებ XIII საუკუნეს ეკუთვნის. სწორედ ამ თბილის წყლისაგან არის მიღებული სახელწოდება წყალტუბო, რაც „თბილ წყალს“ ან უფრო ზუსტად „წყალ-თბილას“ ნიშნავს (ტუბუ მეგრულად ნიშნავს „თბილს”). ცხადია სახელწოდება იმდროინდელია, როცა ამ ტერიტორიაზე მეგრული დიალექტი იყო გავრცელებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყალტუბოს ზუსტი შესატყვისი წყალთბილა სოფლის სახელად გვხვდება ახალციხის რაიონში. წყალ სიტყვისაგან ნაწარმოებია აგრეთვე სოფლის სახელები: წყლები (ცხინვალის რ.), თეთრიწყლები (თელავის რ.), წყალწმინდა (ცხინვალისა და ლანჩხუთის რ.), წყალშავი (ჭიათურის რ.) და სხვანი. აღარას ვამბობთ მდინარის სახელებზე, რომელთა მეორე ნაწილს შეადგენს წყალი (აჭარისწყალი, ბახვისწყალი, ცხენისწყალი, ხანისწყალი და ა. შ.).

წყნეთი ცნობილი კურორტია თბილისის ახლოს. მისი სახელი ნაწარმოებია ქართულ ტოპონიმიაში ძალზე გავრცელებული ეთ სუფიქსით. ამ სუფიქსის დართვისას მოსალოდნელი იყო ფუძეში ხმოვნის კუმშვა. თუ დაკარგულ ხმოვანს აღვადგენთ, ფუძედ წარმოგვიდგება წყან. რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა? როგორც ფიქრობენ, ეს არის მუხის ერთ-ერთი სახელწოდება, რომელსაც მეგრულში შეესატყვისება ჭყონი. ამრიგად, წყნეთი იგივეა, რაც „მუხეთი“ ან „მუხნარი”.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მუხა საქართველოში ძალიან გავრცელებული და ჩვენი ხალხის უსაყვარლესი მცენარეა. ამიტომ მისი სახელი ტოპონიმიაშიც ხშირად გვხვდება. როგორც ჩანს, ამ მცენარის აღსანიშნავად ქართულში, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დიალექტში, გვქონია სამი სიტყვა: მუხა, რკო და წყანი (მეგრული ჭყონი). ყველა მათგანი დასტურდება გეოგრაფიულ სახელებში (მუხათი, მუხიანი, მუხნარი, რკონი, წყნეთი, ჭყონდიდი, ჭყონაგორა...).

ჭოროხი მდინარეა აჭარაში. იგი ხშირად იხსენიება ძველ საისტორიო წყაროებში, მაგრამ სულ სხვადასხვა სახელით: ძველ ბერძნულ მწერლობაში მას ეწოდება აფსარი, აკამფსის (ბერძნულად ნიშნავს „უდრეკს”, „მედგარს”), ბოას (ბერძნულად ბოაო ნიშნავს „ვყვირი”; სხვა წყაროების მიხედვით ბოას შეესატყვისება მდინარე ყვირილას), ლვიკე... ძველ სომხურ გეოგრაფიაში ამ მდინარეს ჰქვია იოჰ, ვოჰ. იქვე აღნიშნულია, რომ მას ქართულად კაკამარს ეძახიანო.

მწერალი გ. შატბერაშვილი თავის „თავადურ ლექსიკონში“ განმარტავს, რომ მოჭოროხებული ჰქვია „ადიდებული მდინარის ან დიდი ნიაღვრების მოტანილი ქვა-ღორღით, ნარიყით, ქვიშასილით მოფენილ ადგილს”. აშკარაა, მოჭოროხება წარმოქმნილია ჭოროხ-ისაგან, რაც ნიაღვარს, მდინარეს უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა აქ გამოიყოფოდეს ქართული წყალ ფუძის შესატყვისი კოლხური ჭორ.

ხერთვისი (ზემო და ქვემო) სოფლებს ჰქვია კასპის რაიონში. ეს სიტყვა წარმოშობით სპარსულია და თხრილის, სანგარის აღსანიშნავად ქართულშიც იხმარებოდა. როგორც ვხედავთ, იგი ტოპონიმიკურ სახელადაც ქცეულა

ენა, არქეოლოგია და საქალაქო ყოფა

ქართული დამწერლობა

წყარო 1. შ. ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, თბ., 1988.

წერის ხელოვნების საშუალებით ადამიანი თავის ნაფიქრ-ნააზრევს გადასცემს სხვა ადამიანს. დამწერლობის ცნება ფართოა და იგი მოიცავს არა მხოლოდ ნიშნებს, რომლებიც გამოხატავენ ენის ბგერით ელემენტებს – მთელ სიტყვებს, მარცვლებს ან ცალკეულ ბგერებს, არამედ ზოგი ხალხის წერის სისტემაში გამოსახავენ ნახატებსაც, გრაფიკულ სიმბოლოებსაც.

წერის გამოგონებით ადამიანმა თავისი აზრი უკვდავყო, რაკი ერთხელ ნათქვამი სამუდამოდ რჩება დაწერილის სახით და თაობიდან თაობას გადაეცემა. „რაც კალმით დაიწერება, ნაჯახით არ ამოიშლებაო“, – უთქვამს ხალხს, და ამ ანდაზით შესანიშნავად არის გამოხატული წერის განუზომელი ძალა და მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში.

წერა კულტურის დიდი მონაპოვარია. თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ცხოვრება ისე მჭიდროდაა დაკავშირებული დამწერლობასთან, რომ, შეიძლება ითქვას, უდამწერლობოდ არც შეიძლება იარსებოს ცივილიზაციამ. მთელი რიგი გენიალური აღმოჩენები, გამოგონებანი, წერის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული; წერის გარეშე არ შეიძლება არსებულიყო წიგნის ბეჭდვა, ტელეგრაფი, სტენოგრაფია – ეს განიალური გამოგონებანი, რითაც კაცობრიობა სამართლიანად ამაყობს. ძველი სიბრძნეა: „verba volant, scripta manet“, „ნათქვამი გაფრინდება, დაწერილი კი რჩებაო“. ამრიგად, წერის ისტორია იმავე დროს საკაცობრიო კულტურის ისტორიაა და ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პროგრესისა და ცივილიზაციის საერთო სისტემაში.

პირველყოფილი ადამიანი მიმართავდა საგნების სიმბოლიკას. საგნების საშუალებით ხდებოდა „აზრის გადმოცემა“. საგნები ანიშნებდნენ ადამიანებს იმას, რაც შეიძლებოდა გადმოცემულიყო ზეპირი მეტყველების გზით. ასე, მაგალითად, მონადირე თავის მიმართულებას ასე აღნიშნავდა: გზაზე ხის ტოტს დადებდა და ტოტის წვერის მიხედვით შეიძლებოდა მიხვედრა, საით წავიდა იგი. ზოგიერთმა ხალხმა, მაგალითად, ასეთი სიმბოლიკა შეიმუშავა: ქვა ნიშნავს მაგარს, გამძლეს, ნახშირი – შავს, მწუხარეს, პილპილი – მწვავეს, მოუთმენელს, ცნობისმოყვარეს. გამხმარი თავთავი – ტანჯვას, ტკივილებს, ჩვარი – ცუდ მდგომარეობას და მისთანანი. ხუთივე საგანი (ქვა, ნახშირი, პილპილი, გამხმარი თავთავი, ჩვარი) ერთ ტყვეს გაუგზავნია თავისი მეუღლისათვის და ამით უცნობებია: ჩემი სხეული გამძლეა. როგორც ქვა; მომავლის იმედი ნახშირივით შავია, ე.ი. უიმედო ვარ, ჩემი სხეული თავთავივით ხმება მწუხარებისაგან, გარეგნულად ჩვარს დავემსგავსეო ...

ქართული ანბანი, რომელიც ამჟამად იხმარება, „მხედრული ანბანის“ სახლითაა ცნობილი. თანამედროვე ქართული ასოების დაწერილობა უკვე მე-11 საუკუნეში ჩაისახა. მე-11 საუკუნემდე კი ჩვენი ქართული ასოები სხვადასხვაგვარი მოყვანილობისა იყო. მხედრული დამწერლობა მისგან არის განვითარებული. ამ წინა საფეხურის ასოთა დამწერლობას ნუსხა-ხუცურის სახელით ვიცნობთ. ნუსხა-ხუცური, თავის მხრივ, განვითარებაა, გაგრძელებაა წინა საფეხურისა, ე.წ. მრგვლოვანი ასოებისა. მრგვალოვანისაგან ნუსხა-ხუცური (ანუ მოკლედ: ნუსხური) უკვე მეცხრე საუკუნეში განსხვავდება.

ამრიგად, ქართულ ანბანს განვითარების სამი საფეხური გაუვლია: პირველი საფეხურია მრგვლოვანი, რომელსაც ვიცნობთ მეხუთე საუკუნის ძეგლებიდან მოყოლებული ვიდრე მეცხრე საუკუნემდის. ესაა ძველი საფეხური. მეორე საფეხურია ნუსხური, რომელსაც ვიცნობთ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნემდის. ესაა საშუალო საფეხური. მესამე საფეხურია მხედრული, რომელსაც ვიცნობთ მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდის. ესაა ახალი საფეხური.

ზემოთ ვთქვით, რომ ქართული ანბანის განვითარების სამი სახეობა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრგვლოვანი დამწერლობა შემდეგ საუკუნეებშიც არ გვხვდებოდეს, ასევე ნუსხურიც. არა, ქართული შრიფტის სახეობები ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა მეცხრე საუკუნის შემდეგაც, ოღონდ განსაზღვრული იყო მათი გამოყენების არე; მრგვლოვანს სულ ბოლო დრომდის ხმარობდნენ წარწერებისთვის (ქვებზე, კედლებზე) და სათაურისათვის წიგნებში. ნუსხური უმთავრესად გამოყენებული იყო საეკლესიო წიგნების ძირითადი ტექსტებისათვის, ე.ი. მრგვლოვანი და ნუსხური ბოლომდე შემორჩა ეკლესიას, ამიტომ დაარქვეს მას „ხუცური“. ტერმინი „მხედრული“ იმაზე მიუთითებდა, რომ ეს შრიფტი სამოქალაქო საჭირობისათვის იყო გამოყენებული.

მრგვლოვანი, ნუსხური და მხედრული ერთი შეხედვით სხვადასხვა ანბანად მოგვეჩვენება, მაგრამ როგორც მეცნიერულმა დაკვირვებებმა გამოარკვია, მეორე პირველის განვითარებაა, მესამე – მეორისა. ეს სახეობების გარდამავალი საფეხურები და ქართული შრიფტის ერთიანობა დაასაბუთა. იყო სხვა მოსაზრებაც: მხედრული დამოუკიდებელი დამწერლობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარ-

სულში აქვს. ეს მოსაზრება გამოთქვა ნ. მარმა ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ქართული პალეოგრაფია ძირფესვიანად არ იყო შესწავლილი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწერა ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებელი წიგნი „ქართული პალეოგრაფია“ (1926). აქ კი ნაჩვენებია, თუ რა ევოლუცია განიცადა ქართულმა ასოებმა მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული დღემდის.

ვიდრე გადავიდოდეთ საკითხებზე, თუ როგორია გენიზის ქართული ანბანისა, უნდა ვიკითხოთ: რა ხნოვანებისაა ის ქართული დამწერლობა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ; ქართული ანბანი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის წარმონაქმნია, თუ მას ფესვები შორეულ წარსულში აქვს.

როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნეზე ადრინდელი ქართული წერილობითი ძეგლები დღესდღეობით არ მოგვეპოვება: უტყუარი წერილობითი ძეგლები მხოლოდ ამ საუკუნიდან გვაქვს. ამრიგად, რეალური ისტორია ქართული მწერლობისა, აქედან იწყება.

უკანასკნელ დრომდის ჩვენთვის მოღწეულია პირველი ქართული წარწერა (ბოლნისის ტაძარზე შესრულებული; ბოლნისი თბილისიდან 60 კილომეტრითაა დაშორებული) განეკუთვნება 493-494 წლებს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს წარწერა იმდენად გამოკვეთილი და ჩამოყალიბებულია, რომ შეუძლებელია იგი მივიჩნიოთ პირველ ქართულ ნაწერ ძეგლად; უთუოდ მრგვლოვან დამწერლობას განვითარების გრძელი გზა უნდა გაევლოო. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა ნაწერის სრულყოფილობა პალოგრაფიული თვალსაზრისით. ივ ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ ქართული დამწერლობის განვითარების შესწავლა მისი წარმოშობიდან კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ იმ დროიდან, როდესაც მას უკვე განვითარების რამდენიმე, სულ ცოტა, ორი დიდ საფეხური მაინც ჰქონდაო გავლილი. ეს იყო 1926 წელს.

ამის შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში (პალესტინა, სირია, ეგვიპტე) აღმოჩენილ იქნა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომელებიც მეტყველებდნენ ჩვენი წინაპრების კულტურულ-შემოქმედებით მუშაობაზე ადრინდელ საუკუნეებში. ეს ძეგლებია – ცამეტი ეკლესია და მონასტერი. ეგვიპტის უდაბნოში აღმოჩნდა მე-5 საუკუნეში პეტრე იბერის მიერ აგებული ეკლესია. იტალიელმა მეცნიერმა კორბომ პალესტინაში აღმოაჩინა მონასტერი ქართული წარწერებით, რასაც თავისთავად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის თვალსაზრისით.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ხალხებთან თუ ეთნიკურ ჯგუფებთან. ეს კონტაქტები შეპირობებული იყო გეოგრაფიული მეზობლობით ანდა კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობით.

ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა მჭევრმეტყველურად აშუქებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ხალხებთან.

ამასთანავე, ქართულ ენასაც თავისი წვლილი შეუტანია სხვა ხალხის ისტორიულ განვითარებაში.

ბერძნული ენიდან შემოსული სიტყვების მარაგიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც განეკუთვნება ე.წ. საერთაშორისო სიტყვების წყებას და შესულია მსოფლიოს ყოველ კულტურულ ენაში. V-XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივია ისეთი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, კანონი, სქემა, ლავრა, პალატე, ეტიმოლოგია, სქოლასტიკა, ანგელოსი, ენტელექია, ისტორია, მათემატიკა, რიტორი, მუსიკა, სფერო, სილოგიზმი, სქოლიო, ფილოსოფია, გრამატიკა და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. კანონი გვხვდება, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ნაწამოებში (V საუკუნე). უხვადაა წარმოდგენილი ამგვარი „კულტურული ცნებები და ტერმინები“ ძველ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. განსაკუთრებით – ფილოსოფიური ხასიათის თხზულებაში.

ქართულ ენაში მრავლად არის შემოსული ბერძნული საკუთარი სახელები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ჭარბობს ბერძნული საკუთარი სახელები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – სპარსული.

სომხურიდან არის შემოსული ძველ ქართულში როგორც ძირეულად, სომხური, ისე სხვა ენების სიტყვები, როგორიცა, ავაზნი, ახოვანი, დალიმი, პატივი, სასტიკი, ბილწი, კატაბანი, ჟამი, კოლტი, ქურუმი, ხარკი და სხვა.

ისევე, როგორც სომხურს გაუმდიდრებია ქართული ენის ლექსიკა, მარაგი, ქართულ ენასაც მიუწოდებია სომხური ენისათვის არა ერთი და ორი სიტყვა.

სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების პროცესში ქართულიდან შემოსულა სომხურში ისეთი სიტყვები, როგორიცაა ველი, ყრმა, ცხოვარი, პირი, საუნჯე, ვარდნა და სხვა. (ნ. მარი, ჰ. ფოგტი). ამ ქართულ სიტყვებს სომხურში ფონეტიკური ცვლილებანი განუცდია.

ქართულ ენას შეხვედრები უნდა ჰქონოდა სემიტურ ენებთან ადრინდელ ეპოქებში. ასე, მაგალითად, ძველი ნასესხებია ქართულში სემიტური წარმოშობის ისეთი სიტყვები, როგორიცაა: აქლემი, თარგმანი, თარჯიმანი კუპრი, ზეთი და სხვა.

აზერბაიჯანულიდან ქართულში ნასესხებია სიტყვები: თოხლი, შიშაგიმ, ყოჩი, იალაღი, დოლი, ბუღა, დოში, ხიზილალა, ტოლმა, ბულღამა, ყაურმა, ბოზბაში, ოხუნჯი და სხვა.

ქუთაისის სახელწოდების შესახებ

წყაროები:
ვ. ჯაოშვილი. „ქუთაისი“, თბ., 1989.
ს. ყაუხჩიშვილი. „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“, თბ., 1964.

ქუთაისის, როგორც ქალაქის ჩამოყალიბებას ხელი რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო. ის წარმოადგენდა გეოგრაფიულ ცენტრს. მდ. რიონი, რომელიც ადრე სანაოსნოდაც გამოიყენებოდა, მას აკავშირებდა შავი ზღვის ნავსადგურებთან, აქ გამავალი სახმელეთო გზა კი – ქვეყნის სხვადასხვა კუთხესთან.

ქალაქის სახელწოდებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ქალაქის სახელწოდება მისი ამშენებლის სახელს უკავშირდება, მეორე თვალსაზრისით, ქალაქის სახელი დაკავშირებული უნდა იყოს ქვასთან. ვინაიდან აქ ადრე მეგრულ-ჭანური ტომები ცხოვრობდნენ ქალაქის სახელის ახსნაც მეგრულ დიალექტში უნდა ვეძებოთ. მეგრულში „ქვას“ შეესაბამებოდა „ქუა“, აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის სახელწოდებას საფუძვლად „ქუა“ უნდა სდებოდა. ძველი ბერძნები ქუთაისს „კუტაიას“ უწოდებდნენ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქუთაისის მიმდებარე მდ. რიონის კალაპოტი მთლიანად ქვიანია, ხოლო თვით ქალაქის მთავარი ციტადელი და უძველესი კვარტლები კლდოვან მაღლობზე იყო გაშენებული. აქედან გამომდინარე, მისი პირველდაწყებითი სახელი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: „ქუათა-ია“. შემდეგ ის თანდათან გარდაიქმნა, ბოლოს კი ბოლოსართი „თი“ – „ისით“ შეიცვალა (მსგავსი შემთხვევები სხვაგანაც გვაქვს: თბილ-ისი, ბოლნ-ისი, დმან-ისი და სხვ.). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძველად იმ მხარეს, სადაც აღნიშნული ქალაქი მდებარეობდა, „აია“ ეწოდებოდა.

ლევან სანიკიძის აზრით, ქ. ქუთაისი უნდა წარმოშობილიყო ქრ. შ-მდე II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში.

მეთოდური მითითებანი

საქართველოს რუკაზე მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ქუთაისი და მისი სხვა ქალაქებთან დამაკავშირებელი სამდინარო და სახმელეთო გზები.

წყალქვეშ მოქცეული არქეოლოგიური ძეგლები

წყარო: გ. გამყრელიძე. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1988, № 4, გვ. 44-50.

მეცნიერთა ვარაუდით, ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში, ზღვის დონე დღევანდელთან შედარებით 4-5 მეტრზე დაბლა იყო. დაახლოებით ძვ. წ. I საუკუნიდან დაიწყო ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ძველი დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა.

საქართველოს ზღვისპირეთში, წერილობითი წყაროების (სკილიქს კარიანდელი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, სტრაბონი, კლავდიოს პტოლემაიოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მთელი რიგი დასახლებები არის აღნუსხული: გონიო (აფსაროსი), ციხისძირი (პეტრა), ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფოთი-გრიგოლეთი (ფასისი), ანაკლია, ტამიში, ოჩამჩირე (გიენოსი), სოხუმი (დიოსკურია-სებასტოპოლისი), ბიჭვინთა (პიტიუნტი) და ა.შ. საქართველოს ისტორიის კვლევისათვის უაღრესად საყურადღებოა ხსენებული ნამოსახლარების ზღვაში მოქცეული ნავსადგურების, თავდაცვითი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების შესწავლა.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც სანაპირო 300 კილომეტრზე მეტზეა გადაჭიმული, დროდადრო აღმოჩნდება ხოლმე არქეოლოგიისათვის საინტერესო მასალები – კერამიკა, სამკაულები, ლითონის ნივთები, მონეტები. მათ ზღვა გამორიყავს ხოლმე. ამ რამდენიმე წლის წინათ ქობულეთ-ციხისძირის მონაკვეთზე ზღვაში მეთევზეების ბადეს დაუზიანებელი ამფორები (თიხის ჭურჭელი) ამოჰყვა. ისინი, ალბათ, რომელიმე ჩაძირული ხომალდის ტვირთს წარმოადგენდა. სოხუმის ყურეში მდ. ბესლეთის შესართავთან რელიეფური გამოსახულებით შემკული მარმარილოს ქვა აღმოჩნდა. ამავე ყურის ფსკერიდან ქალის სკულპტურული ბიუსტი და ამფორებია ამოღებული.

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში მოყვარული მყვინთავები მომრავლდნენ და დაიწყო წყალში სტიქიურად ანტიკვარულ ნივთებზე ნადირობა. წყალში ჩაძირული, ისევე, როგორც მიწის ქვეშ აღმოჩენილ, მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლა-დაცვა კი აუცილებელი და სავალდებულოა. ამ საქმეს ემსახურება არქეოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება – ჰიდროარქეოლოგია.

წყალქვეშა ანუ ჰიდროარქეოლოგია სხვადასხვა მიზეზით წყლის ქვეშ (ზღვა, ტბა, მდინარე) მოქცეულ მატერიალური კულტურის ძეგლებს, ნასახლარებს, ხომალდებს და მათ ტვირთს შეისწავლის. იგი „ჩვეულებრივი“ არქეოლოგიისგან მხოლოდ წყალქვეშ წარმოებული გათხრებისთვის დამახასიათებელი მეთოდიკით განსხვავდება.

წყალქვეშეთის შესწავლის საქმეს მძლავრი ბიძგი მისცა ორმოციან წლებში ფრანგი მკვლევარ-მყვინთავის ჟაკ ივ კუსტოსა და მისი კოლეგების მიერ მსუბუქი და მოხერხებული აკვალანგის შექმნამ. ამ გამოგონებას შემდეგ დაემატა შვეიცარიელი მეცნიერის გ. კელერის მიერ წყალქვეშ სუნთქვისთვის აირის სპეციალური შემადგენლობის დადგენა, რამაც კიდევ უფრო გაახანგრძლივა აკვალანგით წყალში ყოფნის დრო.

საქართველოს ისტორიის კვლევისას წყალქვეშა არქეოლოგია შეიძლება დაგვეხმაროს ზოგიერთი ისეთი ისტორიული საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა – ძველი ხალხების საზღვაო მიგრაციის საკითხები; ანტიკური ცივილიზაციის გავრცელების გზები კოლხეთში; ძველი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები შავი და ხმელთაშუა ზღვის ხალხებთან და სხვ.

წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ექსპედიციამ ზღვაში, ფოთის ნავსადგურთან სოფ. გრიგოლეთამდე შელფში და პალიასტომის ტბაში ჩაატარა. მდინარე რიონის სამხრეთი შტოს შესართავთან მუშაობა რთულია – ზღვა მღვრიეა და ხილვადობა ცუდია. მდინარეს დიდი რაოდენობით შლამი გამოაქვს. ზღვის ღელვის დროს წყალქვეშ წარმოიქმნება ქვიშის ბორცვები. აქ ჯერჯერობით ძველი კულტურის ნაკვალევს ვერ მივაგენით. გაცილებით შედეგიანი და საყურადღებო აღმოჩნდა ექსპედიციის მუშაობა პალიასტომის ტბაში. პალიასტომში, ზღვის შესართავიდან (მალთაყვა) დაახლოებით კილომეტრზე, ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, წყალში მივაკვლიეთ III-VIII საუკუნეების ნამოსახლარს. ამ ადგილზე ყურადღება მიგვაქცევინა ფოთელმა მებადურეებმა. მათი გადმოცემით, აქ მოსმულ ბადეს ქოთნების ნატეხები მოჰყვებოდა.

ტბაში ნაპირიდან შუაგულისაკენ, ორას მეტრამდე, სილა-ქვიშიანია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. ფსკერზე აკვალანგით ყვინთვისას მცირე მოძრაობისთანავე ლამი იმღვრევა და წყალი მუქი, მომწვანო-მოყავისფრო ხდება. სამოსახლოზე, ტბიდან დიდძალი კერამიკა ამოვიღეთ, მათ შორის არის სამშენებლო კერამიკა (კრამიტი, აგური). გვხვდება დამწვარი ბათქაშის ნატეხები, რაც აქ ნაგებობების არსებობაზე მიგვანიშნებს.

თიხის ჭურჭელში რაოდენობის მხრივ, პირველი ადგილი ამფორებს უჭირავს. ამფორების გარდა დადასტურდა ქვევრების, ქოთნების, ჯამების, წითელლაკიანი თეფშების ნატეხები. ადგილობრივი წარმოების კერამიკასთან ერთად უცხოური (ძირითადად მცირეაზიური და ჩრდილო შავიზღვისპირეთის) ნაწარმიც გვხვდება, რაც სავაჭრო ურთიერთობებზე მიგვითითებს.

წყალქვეშ ვიპოვეთ სამარხი, რომელშიაც ადამიანის ნეშტი, ბრინჯაოს სამი მშვილდსაკინძი, ერთი ქინძისთავი, მინის სასმისები და ბიზანტიური მონეტა აღმოჩნდა.

პალიასტომის ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ისეთივეა, როგორიც დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ ძეგლებზე, კერძოდ, პიტიუნტ-ბიჭვინთაში, არქეოპოლის-ნოქალაქევში, სოხუმ-სებასტოპოლში, გუდავაში.

სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ ფასისის შესახებ გადმოგვცემს: „მდ. ფასისზე არის მისი მოსახელე ქალაქი“', „გარშემორტყმული მდინარით (რიონი), ტბითა (პალიასტომი) და ზღვით. ბიზანტიელი ავტორი აგათია მოგვითხრობს: „იქ ხომ ერთი ტბაა, რომელსაც პატარა ზღვას ეძახიან და რომელიც ევქსინის პონტოს უერთდება“, „დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად“. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ზღვის კიდეზე არის ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქედამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის, ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“'.

პალიასტომის სამხრეთ მხარეს, ადგილ „ნაეკლესიარზე“ წყალში, რიყის ქვებით ნაგები შუა საუკუნეების კედელს მივაკვლიეთ. ის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ საქართველოს შავიზღვისპირა მხარეების (აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა) ისტორიას უკავშირდება არა მარტო ხმელეთზე, არამედ წყალქვეშ მოქცეული ძეგლებიც. ამიტომ მათი შესწავლაც აუცილებელია. მასწავლებელმა აქ მოცემული ინფორმაცია უნდა გააცნოს მოსწავლეებს, პალიასტომის ტბაში მიკვლეული ნამოსახლარის ასაკი მონიშნონ დროის ხაზზე და შეუდარონ ისინი სხვა ძეგლებს.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კვლევისას ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივთა გამოკითხვა. ამ მიზნით, მასწავლებელი ეკითხება მათ, რანაირად დაეხმარნენ ადგილობრივები მეცნიერებს ახლის მიგნებაში (პასუხი: „ამ ადგილზე ყურადღება მიგვაქცევინა ფოთელმა

მეზადურეებმა. აქ მოსმულ ბადეს ქოთნების ნატეხები მოჰყვებოდაო“ და ასე მიაკვლიეს მეცნიერებმა პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში წყალში მოქცეულ III-VIII საუკუნეების ნამოსახლარს). მოსწავლეებმა ასევე უნდა იმსჯელონ, თუ რაზე მიგვანიშნებს ტბაში აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა და მათი მსგავსება დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ ძეგლებთან.

და ბოლოს, მოსწავლეებმა ასევე უნდა იმსჯელონ მყვინთავების ქცევაზე, როცა მათ დაიწყეს სტიქიურად ნივთებზე ნადირობა. მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (2007 წ.) და ამ კუთხით შეაფასონ მყვინთავების ქმედება. შეიძლება მათ მივაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია ამავე კანონიდან (მუხლი 3) და ისინი იწყებენ მსჯელობას, თუ შეესაბამება ეს მუხლი წყაროში აღწერილ ძეგლს.

მუხლი 3. არქეოლოგიური ობიექტია 100 ან მეტი წლის წინ ნაწილობრივ ან სრულად განმარხებული ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად, ან რომელსაც ატყვია ადამიანის ზემოქმედების კვალი.

ძველი ქალაქი – არქეოპოლისი ნოქალაქევი

***წყარო:* ა. აფაქიძე. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი'“, 1969, № 19, გვ. 10-15.**

ქართულ და უცხოურ საისტორიო მწერლობაში შემონახულ ცნობათა მიხედვით ნოქალაქევი უძველეს დროიდანვე მნიშვნელოვანი და ცნობილი ცენტრი ჩანს; თანაც ისე დაწინაურებული, რომ იქ უკვე ამ 2000-2300 წლის წინ ქალაქი და ციხე-სიმაგრე იგულისხმება.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი – ამ უძველესი ქართული ციხე-ქალაქის მშენებლობას მიაწერს ქართველთა პირველი ქართლოსიანი მეფის ფარნავაზის ხანას. (ძვ.წ. III საუკუნის I ნახევარი). ეგრისისა და სვანეთის ერისთავად ფარნავაზის მიერ დამტკიცებულმა ქუჯიმ – ფარნავაზ მეფის სიძემ „აღაშენა ციხე-გოჯი“.

საისტორიო ტრადიციის ასეთ მითითებას მხარს უჭერს ბერძნული საისტორიო მწერლობაც. ასე მაგალითად, ნოქალაქევის ძველ, ბერძნულ სახელწოდებას („არხაიაპოლის“) გადმოგვცემს ორი ისტორიკოსი – პროკოპი კესარიელი და აგათია. ბერძნული ციხე-გოჯის სახელი ორი სიტყვისგან შედგება: „არხაია“ – „არქაია“' ნიშნავს ძველს, ხოლო „პოლის“ – ქალაქს ან ციხე-ქალაქს. ე.ი. ნოქალაქევის უძველეს სახელად „ძველი ქალაქი“' უნდა ვივარაუდოთ და „არქეოპოლისი“ („არხაიაპოლის“) ამ ქალაქის ადგილობრივი, ქართული სახელის ბერძნულ ენაზე ნათარგმნად უნდა მივიჩნიოთ. ბერძნები ჩვეულებრივ ასე იქცეოდნენ: გამოიკითხავდნენ ადგილობრივ სახელს, გაიგებდნენ მის მნიშვნელობას და თარგმნიდნენ ბერძნულად. ამ გზით ბერძნებმა ქართული ციხე-ქალაქი „ვარდ-ციხე“ აქციეს „როდოპოლისად“ („როდოს“ ბერძნულად ვარდსა ჰქვია), ცხენისწყალი – ჰიპოს-ად („ჰიპოს“ – ცხენი) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, მსგავსი ბედი ეწეია ჩვენს „ძველ ქალაქსაც“ და იგი „არქეოპოლისად“ მონათლეს.

არქეოპოლისის სიძველის შესახებ საუბრისას ყურადღებას იქცევს ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო წლებში ბერძენი მოგზაურის სკილაქს კარიანდელის მიერ ნახსენები „დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც მედეა იყო“. შესაძლებლად მიიჩნევენ სკილაქსის „დიდი ბარბაროსული ქალაქი“ ნოქალაქევად (არქეოპოლისად) ჩათვალონ.

თუ ამ თვალსაზრისს ანგარიშს გავუწევთ, ნოქალაქევი – არქეოპოლისი ერთ-ერთ უძველეს ქალაქად უნდა მივიჩნიოთ, საქართველოში მაინც.

როგორც ვხედავთ, „ძველი ქალაქი“ ბიზანტიელ ისტორიკოსთა ყურადღებას იქცევდა პირველყოვლისა იმის გამო, რომ ის ლაზიკის სამეფო დედაქალაქს წარმოადგენდა – „კოლხეთის ანუ ლაზიკის პირველ და უდიდეს ქალაქად, მაშასადამე, დედაქალაქად „ძველი ქალაქი“ (არხაიაპოლისი, ნოქალაქევი) იყო ცნობილი – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

პროკოფი კესარიელი და აგათია საიმედო საისტორიო წყაროებით რომ სარგებლობდნენ, ეს ეჭვს არ იწვევს. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, ძვ.წ. III საუკუნის I ნახევარში ქუჯი ერისთავის მიერ აშენებული ციხე-ქალაქი – ახ.წ. VI საუკუნეში, ე.ი. აშენებიდან თითქმის 1000 წლის შემდეგ, ისტორიკოსებს ძველი ქალაქის სახელწოდებით მოუხსენიებიათ – სწორედ „ძველი ქალაქისა და არა „ნაქალაქევის“, რადგან არქეოპოლისი პროკოფი კესარიელის დროს ქალაქი ყოფილა, თანაც მთავარი და უდიდესი ქალაქი და არა ნაქალაქევი – ნაქალაქარი.

„ნოქალაქევი“ უფრო გვიან შერქმეული სახელი ჩანს. ის არ არის „არქეოპოლისის“ თანადროული. ნათქვამის გასამაგრებლად საკმაო იქნება შევიხსენოთ მურვან ყრუს ლაშქრობის ეპიზოდი. შემთხვევითი როდი იყო, რომ მერვე საუკუნის პირველ ნახევარში, ჯუანშერის ცნობის თანახმად, მურვან ყრუმ ეგრისის ქვეყნის ყველა ქალაქსა და სიმაგრესთან ერთად გაანადგურა არქეოპოლისიც: „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“ „შემუსრნა“.

როგორც ჩანს, „ციხე გოჯი“, „ძველი ქალაქი“ (არქეოპოლისი) „ნოქალაქევი“ – ეს ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდის მოწმე და მონაწილე ყოფილა. მას დიდხანს არ დაუკარგავს პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემდეგაც.

უძველესი ქართული ციხე-ქალაქის – არქეოპოლისის დიდებული ნანგრევები: ზღუდეები, ჯიხა-კოშკები, გვირაბი მდ. ტეხურისკენ და გრანდიოზული გალავნები „სამზღუდე ციხე-ქალაქისა“ კვლავაც იზიდავენ მნახველებს, ელიან არქეოლოგთა ნიჩაბსა და წერაქვს. ნოქალაქევის არქეოლოგიური შესწავლა პრაქტიკულად დგას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სათანადო დაწესებულებათა დღის წესრიგში.

ახალმა ხიდმა მდ. ტეხურაზე ციხე-ქალაქს შარაგზა ააცილა. ციხე-ქალაქის ტერიტორიიდან ადრე აშენებული ფარდულიც გაიტანეს. წელს ეკლესიის შეკეთება დასრულდება. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა დააყენა საკითხი ციხე-ქალაქის ტერიტორიის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. ახლა ციხე-ქალაქის შიგნით გამართულ სასაფლაოს სასწრაფოდ გადატანა უნდა განხორციელდეს და უკვე მომავალ წელს ნოქალაქევი არქეოლოგიური კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი იქნება საქართველოში. ნოქალაქევი ამას ნამდვილად იმსახურებს.

ციხე გოჯი-ნოქალაქევი

წყარო: ირ. ციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1995. გვ. 50-51.

როგორც აღინიშნა, ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს დაიწყო რომის ექსპანსია აღმოსავლეთით. რომაელები დაეპატრონენ კოლხეთსაც და ეს გავლენას ახდენდა ქალაქების განვითარებაზე. ახ.წ. III საუკუნისათვის რომის იმპერიის დასუსტებამ საშუალება მისცა ეგრისელებს გააერთიანონ დასავლეთ საქართველო და შექმნან ეგრისის (ლაზიკის) სამეფო. თავის ცენტრად ახალი სამეფო ირჩევს ციხეგოჯს (მისი თანამედროვე სახელი ნოქალაქევი მომდინარეობს არქეოპოლისიდან, როგორც მას ბიზანტიელები უწოდებდნენ). ამჟამად მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა ჯერ ვერ მიაკვლიეს ქალაქის უძველეს ნაგებობებს, რომელთა ცალკეული კვადრები გვხვდება გვიანდელ შენობათა წყობაში – მეორადი გამოყენებით.

ქალაქი განლაგებული ყოფილა მაღალ მთის კალთებზე და ეკავა 20 ჰექტარი. იგი სამი ნაწილისაგან შედგებოდა – ქვედა ნაწილი, სადაც განლაგებული იყო ქალაქის ძირითადი ნაგებობები, მთის კალთები განკუთვნილი გარნიზონისათვის და შიდა-ციხე მთის პლატოზე. ქალაქი შემორტყმული იყო თავდაცვითი კედლებით. პირველი კედელი აგებული III და IV საუკუნეთა მიჯნაზე, სისქით აღწევდა 1.6 მეტრს. როგორც ჩანს, ამ კედლებმა ვერ გაუძლეს მტრის შემოსევას და V საუკუნის შუა წლებში სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან მათ დაემატა მეორე 2 მეტრის სისქის კედელი. მესამე, კოშკებიანი კედელი აგებულია ქალაქის ქვედა ნაწილში, ყველაზე შეუვალ ადგილას. ამ კედელმა გაუძლო VIII საუკუნემდე, სანამ იგი არ დაანგრია არაბთა მხედართმთავარმა მურვანმა. ქალაქის ქვედა ნაწილში გამოვლინდა ფართო თაღოვანი შესასვლელი, რომელიც შემდეგ ამოუქოლვიათ და კარი გაუჭრიათ ჩრდილოეთით. დასავლეთის მხარეს ქალაქს ჰქონია კლდეში ამოკვეთილი გვირაბი სიგრძით 50 მეტრამდე და სიგანით 2,2 მ. ხოლო სიმაღლით 5 მეტრამდე. გვირაბი ქალაქიდან მდინარე ტეხურამდე ჩადიოდა. ამ ნაწილში აღმოჩნდა ორი სასახლის, ოთხი ეკლესიის, ორი აბანოს და სხვა ნაგებობათა ნაშთები. პირველი ორსართულიანი სასახლე მდებარეობდა სამხრეთ -აღმოსავლეთის მხარეს. სასახლეს ჰქონია სწორკუთხა დარბაზი აივნებით ორი მხრიდან, დანარჩენ ორ მხარეს განლაგებული ყოფილა სამ-სამი ოთახი. სასახლე თარიღდება IV საუკუნით და დაინგრა V საუკუნეში. მას შემდეგ ქალაქი კვლავ აღადგინეს. ახალი სასახლე უფრო მცირე ზომისა აუგიათ, სამაგიეროდ იგი უკვე სამსართულიანი ყოფილა.

ეკლესიებიდან ყველაზე ძველი IV საუკუნით თარიღდება. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ორივე აღმოჩენილი აბანო. პირველი აბანო დიდი ზომისაა და რთული გეგმის. იგი განსხვავდება ამ პერიოდში გავრცელებულ აბანოებისაგან, სადაც შესასვლელი და გამოსასვლელი განცალკევებულია. აბანოში შესული ხვდებოდა ჯვარული გეგმის დიდ დარბაზში, აქედან ცივ აბანოში ორი ცივი აბაზანით, აქედან კარით გადის თბილ აბანოში, სადაც ნახევარწრიული ფორმის აბაზანაა. მარცხნივ ცხელი საბანაოა,

რომელიც ორი სათავსისაგან შედგება, ბოლოში არის საცეცხლე და საქვაბე. ჯვრის მოხაზულობის დარბაზი, ალბათ, დასასვენებელია. მისი იატაკი მოფენილია დიდი ზომის აგურით. კედლები თლილი ქვითაა ნაგები, კამარაც ამოყვანილია თეთრი ქვის კვადრებით. საფიქრებელია, რომ აბანო სამეფო ყოფილა და აგებულია IV- V საუკუნეებში. მეორე უფრო მცირე აბანო მდებარეობდა ნაქალაქარის სამხრეთ მხარეს. იგი სამოქალაქო დანიშნულებისაა და თარიღდება V-VI საუკუნეებით.

ნოქალაქევის თავდაცვითი კედლები სამი პერიოდისაა. უძველესი კედლის სისქე 180 სმ, მეორისა – 130 სმ, ხოლო მესამისა – 250 სმ. პირველი და მეორე კედელი აგებულია ოდნავ დამუშავებული ყორე ქვით, მესამე კედელი თლილი ქვისაა. პირველი კედელი აგებულია IV საუკუნეში, მეორე – IV-V საუკუნეებში, უკანასკნელი კედელი კი – V ს. ბოლოს, ან VI ს.-ის დასაწყისში.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა შეუდარონ ორი მეცნიერის (ა. აფაქიძის და ირ. ციციშვილის) თვალსაზრისი ნოქალაქევის შესახებ. მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ნარკვევი ციხე გოჯის შესახებ და წარადგინონ კლასის წინაშე. ისინი უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება მეტი ცნობები ასახონ ნარკვევში და თუ რომელიმე გამომსვლელს რაიმე ფაქტი დააკლდა, მას ამატებს მეორე, მესამე და ა.შ. ამასთან მასწავლებელს შეუძლია შერჩევით გააცნობს წყაროებში მოცემული ცნობები, დაფაზე ჩამოწერეს ძირითადი თარიღები და მნიშვნელოვანი მომენტები (რომელსაც თავად ჩათვლის საჭიროდ).

ქალაქი ბათუმი

წყაროები:
ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. ბათუმი. 1962.
ე. დავითაძე. სოფლის აღმაშენებელი. თბ., 1990.
თ. სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი, 1985.

ფრანგი მოგზაური და ორიენტალისტი ჟან მურიე, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში, ბათუმის შესახებ წერს, რომ ამ ქალაქის სახელი ახ.წ.-მდე 400 წლით ადრე მოიხსენიება ისტორიაშიო. ახ. წ.-ით II საუკუნეში აქ რომის იმპერატორის ადრიანეს ჯარები იდგა. V საუკუნეში ბათუმი ვახტანგ გორგასალმა თავის სახელმწიფოს საზღვრებში შეიყვანა. VI, VII-VIII საუკუნეებში კი მას კოლხეთისა და აფხაზეთის მთავრები მართავენ.

XII-XIII საუკუნეებში დავითისა და თამარის ეპოქაში ბათუმი სრულიად საქართველოს მეფეების გამგებლობაშია. ხალხში შემორჩენილი ლამაზი ლეგენდის მიხედვით, როდესაც აჭარაში გაიგეს თამარის გამეფება აქაურმა მრავალშვილიანმა დედებმა მისი მიპატიჟება გადაწყვიტეს. თამარი დიდ ამალასთან ერთად გაეშურა აჭარისაკენ. ხალხური ნათქვამია: „თამარი მუა ჯარითა, შექერი მუაქ ჯამითა“ (აჭარულ და გურულ დიალექტზე „მუა“ ნიშნავს მოვას, „შექერი“ – შაქარს, „მუაქ – მოაქვს). როდესაც მასპინძლებმა თამარს და მის მხლებელ ქალბატონებს ტალახიანი ქოშები გაუწმინდეს, თურმე იმდენი მხლებელი ჰყოლია, რომ ფეხსაცმლის გაწმენდის შედეგად დაგროვებულ ტალახს მოზრდილი გორა აღმოუცენებია. ამ გორაზე კი აქაურებმა ბჭემაგარი ციხე აღმართეს. ასე გაჩნდა აჭარაში „თამარის გორა“, „თამარის ციხე“.

XV საუკუნიდან, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ აჭარაში გახშირდა თურქთა შემოტევები და ისინი თანდათან ეუფლებიან მას. 1561 წელს როსტომ გურიელმა განდევნა ისინი, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში მათ მაინც შესძლეს აჭარაში, ბათუმში გაბატონება. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, რომელსაც უამრავი ქართველი შეეწირა, ბათუმი საბოლოოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს. გამოჩენილი ქართველი მამულიშვილები ენერგიას არ ზოგავდნენ, რათა „სულიერადაც დაებრუნებინათ“ ქართულ წიაღში თითქმის აქაური მოსახლეობა. მაგალითად, ი. ჭავჭავაძის ინიციატივით გაიხსნა ქართული სკოლა როგორც მაჰმადიანი, ასევე ქრისტიანი ბავშვებისათვის. 1883 წელს დამთავრდა ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა კასპიისა და შავი ზღვები. შემდეგ მას დაემატა ბაქო-ბათუმის მილსადენი. მალე ბათუმმა მიიღო ქალაქის სტატუსი. ქალაქში გაჩნდა ორ-სამ სართულიანი სახლები, მოიკირწყლა ქუჩები, გაჩაღდა ვაჭრობა გაიხსნა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები და სხვა სასწავლებლები, საკრედიტო დაწესებულებები, ქარხნები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნავთობგადა-მამუშავებელი ქარხნის მშენებლობას, მომრავლდა მოსახლეობა. ის თანდათან ემსგავსებოდა ევროპულ ქალაქს. პორტის მეშვეობით ბათუმში შემოდიოდა შალის ქსოვილი, ასანთი, შაქარი, კონსერვები, იარაღი, ჩვენი ქვეყნიდან გაჰქონდათ ტყავი, სიმინდი, ღვინო, თამბაქო, მანგანუმი, ნავთობი და სხვა. ნავთობის გადამუშავების მხრივ, ბათუმი მთელ ევროპაში ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრად იქცა.

დღეს ბათუმში არის საერთაშორისო აეროპორტი, საზღვაო პორტი, XIX საუკუნეში დაარსებული ბოტანიკური ბაღი, რომელიც 111 ჰექტარზეა გაშენებული და 5000-ზე მეტი სახეობის მცენარეს ითვლის, დელფინარიუმი, მუზეუმები, თეატრები, ათეულობით სკოლა, რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი. ის გადაიქცა მნიშვნელოვან საკურორტო და ტურისტულ ცენტრად, მოქმედებს მართლმადიდებლური, მუსლიმანური, კათოლიკური, იუდაისტური ეკლესიები.

მეთოდური მითითებანი

აჭარისა და ქ. ბათუმის ისტორიული განვითარების მაგალითზე, მოსწავლეებმა 3 მთავარი ამოცანა უნდა გადაჭრან. ისინი იყოფიან ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი მსჯელობს სხვადასხვა ამოცანაზე და შედეგებს წარადგენენ კლასის წინაშე. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს ინსტრუქციებს.

თემები და შესაბამისი ინსტრუქციები:

- *ბაქო–ბათუმის მაგისტრალის მშენებლობა.*
  მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ ამ მაგისტრალის მშენებლობის მნიშვნელობა ქ. ბათუმისა და საქართველოსათვის. ამ მიზნით ისინი რუკაზე ძებნიან ქ. ბათუმსა და შავი ზღვის იმ ქვეყნებს, რომლებთანაც აქვს და შეიძლება ჰქონდეს კავშირი. მსჯელობენ იმ გარემოებებზე, რამაც განაპირობა ქალაქის დაწინაურება და როლზე, რასაც ასრულებს ეს ქალაქი დღეს ჩვენი ქვეყნისათვის. მათ უნდა გაითვალისწინონ, თუ რა დიდ ცვლილებებს განიცდიდა საქართველოს ესა თუ ის მხარე ისტორიულად: ხან ძლიერდებოდა და შენდებოდა, ხან კი – სუსტდებოდა და ინგრეოდა. ეს კი გავლენას ახდენდა მთელი ქვეყნის განვითარებასა თუ უკანსვლაზე.
- *ხალხის მიერ პიროვნების როლის შეფასება.*
  მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ უნდა დააფასოს ხალხმა პიროვნება მისი დიდი დამსახურების გამო ქვეყნის წინაშე. საქართველოს ისტორიაში იყვნენ ისეთი პიროვნებები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქვეყნის წინაშე. მათ სახელზე აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, მათ სახელებს არქმევდნენ ადგილებს, მათ შესახებ ქმნიდნენ ლექსებს, თქმულებებს. ამის საუკეთესო მაგალითია თამარ მეფე და მის სახელთან დაკავშირებული კულტურის დღემდე შემორჩენილი მრავალი ძეგლი. მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და კლასს მოუთხრონ მათთვის ცნობილი ასეთი ძეგლების შესახებ (ლექსი, ლეგენდა, კულტურის ძეგლი და სხვა) და გამოთქვან აზრი, არის თუ არა ეს საკმარისი პიროვნების როლის ადეკვატურად შეფასებისათვის და რა შეიძლება ამის გარდა გაკეთდეს.
- *სხვადასხვა სარწმუნოების ეკლესიების არსებობა ერთ ქალაქში,*
  მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერთ დასახლებაში, მაგალითად, ქალაქში სხვადასხვა სარწმუნოების ეკლესიების არსებობას სხვადასხვა ხალხებს შორის კეთილგანწყობით ურთიერთობისათვის. ისინი ცდილობენ დაასახელონ მათთვის ცნობილი სხვა ფაქტები.

თბილისის ზოგიერთი ტოპონიმი

წყარო 3: თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახლებანი, თბ., 1985.

აბანოების უბანი – აბანოების უბანი თბილისის უძველესი ნაწილია. ამ ადგილზე წარმოიშვა, როგორც ჩანს, პირველი დასახლება. აქ დაირწა თბილისის აკვანი. ამ უბანს და მიმდებარე ტერიტორიას საკუთრივ ტფილისს უწოდებდნენ. იგი უშუალოდ ემიჯნებოდა ქალაქის ციხეს – კალას. აბანოების უბანში და მის მიმდებარე სეიდაბადში (დასახელება გვიანდელია) შუა საუკუნეებში უმეტესად სპარსელები სახლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანო ექვსნი...აქ დასხა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“. და შემდეგ „არიან მსახლობელნი ციხეს და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი“.

ვახუშტი ბაგრატიონი აბანოების უბანს სეიდაბადის ერთ ნაწილად წარმოგვიდგენს, პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ 1800 წლის გეგმაზე კი მხოლოდ ამ დროისათვის დასახლებული აღარა ჩანს და მთლიანად ბაღებითაა დაფარული.

თბილისის აბანოები იხსენიება ძველ საბუთებში და მოგზაურთა აღწერებშიაც. მე-10 საუკუნის არაბი გეოგრაფოსის აღწერით „აქ წყალი უცეცხლოდ დუღს“.

ვახუშტი ქალაქში ექვს აბანოს ითვლიდა. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებს შეეწირა, რადგან 1800 წლის გეგმაზე მხოლოდ ოთხი აბანოა ამ უბანში აღნიშნული. მე-19 საუკუნის შუახანის თბილისის გეგმაზე კვლავ ექვსი აბანოა დატანილი. საინტერესო ცნობებს ვპოულობთ მეფე გიორგი მეთორმეტის ერთ-ერთ სიგელში, სადაც, სხვათაშორის, მეთარის

და ბებუთას აბანოების ერთგვარი ლოკალიზაციაა მოცემული. ბებუთას აბანო მეითარის აბანოს დასავლეთით, თაბორის მხარეს ყოფილა. როგორც მე-19 საუკუნის გეგმებიდან ირკვევა, ციხის კართან ყველაზე ახლოს თბილისის (სიონის) აბანო იყო განლაგებული. მას გვიან ერეკლეს აბანოსაც უწოდებდნენ. მის დასავლეთით, ოდნავ მოშორებით კი მელიქის აბანო მდებარეობდა. ძველ აბანოთაგან, ერეკლეს აბანოს გარდა, აღნიშნულია მეითარის (მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი), ენალას (მე-17 საუკუნე), გრილი აბანო (მე-17 საუკუნე), ბებუთასი (ასევე მე-17 საუკუნე), მეითარის აბანოს სუმბათვისა ეწოდა. გრილ აბანოს, რომელიც მტკვრის სიახლოვეს მდებარეობდა, შიოევის აბანოსაც უწოდებდნენ. აბანო იყო ციხის გალავნის შიგნითაც, ე.წ. „ხოჯას აბანო". ეს ის აბანოა, სადაც აღამაჰმად-ხანს განკურნება უცდია და გაწბილებულს მისი დანგრევა უბრძანებია.

აბანოების სახელები ხშირად მისი მფლობელის სახელიდან ან თანამდებობიდან გამომდინარეობდა. ამიტომ იცვლიდა ხოლმე აბანო სახელწოდებას იმის მიხედვით, თუ ვის მფლობელობაში იყო. აბანოს სახელწოდება მისი დამახასიათებელი თავისებურებებიდანაც მომდინარეობდა (გრილი აბანო, პატრუქის აბანო). ენალა ქალაქის მელიქი იყო 1655-1672 წლებში. მას ხელახლა აუშენებია აბანო და წყალი დაუთხანის აბანოდან გამოუყვანია. ზოგიერთი მკვლევარი ენალას აბანოდ მე-19 საუკუნეში მირზოევის აბანოდ წოდებულ შენობას მიიჩნევს, რომელიც მირზოევამდე ზუბალაშვილს ეკუთვნოდა. ბებუთას აბანო კი დღევანდელი ე.წ. საგარნიზონო აბანო უნდა იყოს.

აბანოებს, ძირითადად, ირანული არქიტექტურის კვალი აჩნიათ (ეს მე-17 საუკუნის თბილისის არქიტექტურის ნიშანდობლივი თვისებათაგანია). მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლურ ყაიდაზე გადაკეთდა ე.წ. „ჭრელი აბანო". სახელწოდება მან მიიღო სხვადასხვა ფერის ფილებისაგან, რომლებითაც მოპირკეთებულია მინარეთისმაგვარი კოშკებით დაგვირგვინებული მისი პორტალი.

ძველი თბილისის აბანოებს მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულება როდი ჰქონიათ. ისინი გარკვეულწილად საზოგადოებრივ დანიშნულებასაც ასრულებდნენ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „წინათ აბანო მსურველთათვის ღია იყო. ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ ჩამოსული გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა. საქონელს ბაკში მირეკავდა, თვითონ კი, განბანილ-განსპეტაკებულს, ორშაურად მთელ ღამეს აბანოში არხეინად ეძინა... აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ და სადილობდნენ კიდეც... მერე ჩაის სმა იწყებოდა. ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც. გარდა ამისა, ქალებს საშუალება ეძლეოდათ აბანოში გამოეფინათ თავიანთი ტუალეტები და ძვირფასი სამკაულები... ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა... რასაკვირველია, მაჭანკალი ქალები არც აბანოში ივიწყებდნენ თავიანთ პროფესიას. ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი" გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოჩენია გატიტვლებულ ქალს.

აბანოებში დროსტარება ხშირად ფინალი იყო თბილისელი მოქეიფე ბოჰემისათვის. ბაღებში დაწყებული ქეიფი აბანოებში მთავრდებოდა ხოლმე.

ავლაბარი – ამჟამად ავლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, განლაგებული ვრცელი რაიონია. თავდაპირველად კი იგი ისნის (მეტეხის) ციხესიმაგრეს მიკედლებული (დაახლოებით 8 ჰექტარი ფართობის) უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, დღევანდელი შაუმიანის ქუჩასა და მეტეხის კედლის გასწვრივ. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე მეორის მეფობის ხანაში შემოიზღუდა გალავნით. დღეს ხშირად ისანსა და ავლაბარს აიგივებენ ხოლმე, რაც სავსებით როდი შეესაბამება ამ ნაწილების ჩამოყალიბების ისტორიას. დღევანდელი ავლაბრის მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ნაწილი ატარებდა ჯერ ისნისა და შემდგომში ავლაბრის სახელწოდებას. ავლაბარი, გარეუბნის სახით ვრცელდებოდა აწინდელი შაუმიანის ქუჩის გადაღმაც (ქუჩის ხაზზე ძველად თხრილი გადიოდა). ავლაბრის ეს გარეუბანი ნაჩვენებია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე. შემდგომში ამ ტერიტორიას „გარეთავლაბარს", ან „ავლაბრის უბანს" უწოდებდნენ. მას საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა. 1783 წლის აღწერით, იმ დროს შუდაავლაბარში 219, ხოლო გარეთავლაბარში 136 კომლი სახლობდა. გარდა ამისა, მეტეხში 73 კომლი ყოფილა.

ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ავლაბარი" მე-14 საუკუნიდან უნდა იყოს გავრცელებული. პირველი წერილობითი საბუთი – შეწირულობის სიგელი – სადაც, „ავლაბარია" მოხსენიებული 1392 წლით თარიღდება.

ბოლო დრომდე თვლიდნენ, რომ ავლაბარი „სასახლის მიდამოს" ნიშნავს. „ჰავალი" არაბულად მიდამოა, ხოლო „ბირ" – სასახლე. ამგვარი ახსნა საკმაოდ სარწმუნოდ გამოიყურებოდა, რადგან ისნის (გვიან – მეტეხის) ციხე-სიმაგრეში მართლაც მდებარეობდა მეფის სასახლე. ასეთ განმარტებაში ერთი გაუგებრობა კია. ცნობილია, რომ მე-13 საუკუნიდან ძველი ისნის ციხეს მეტეხი ეწოდებოდა, ავლაბარი კი გალავნის გარეთმდებარე უბნის დასახელება უნდა ყოფილიყო. ზემოთ მოყვანილი განმარტება კი ავლაბრის სახელწოდებას მეტეხზეც ავრცელებს, რადგან სწორედ აქ მდგარა სასახლე. „ავლაბრის" ეტიმოლოგიის დამაჯერებელ ახსნას იძლევა თბილისის ისტორიის მკვლევარი

თეიმურაზ ბერიძე. მის განმარტებით, სიტყვა „ბარე“ ნიშნავს სანგარს, ზღუდეს, გალავანს. მაშასადამე, სახელწოდება „ავლაბარი“ გალავნის იქითა მიდამოს, გარეუბანს ნიშნავს. ეს განმარტება მით უფრო სარწმუნოა, რომ იგი ზუსტად ასახავს შუასაუკუნოვანი თბილისის მარცხენა ნაპირის ქალაქთმშენებლობის სტრუქტურას.

ავლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. ამ უბანში განვითარებული იყო ხელოსნობაც. ავლაბარში ქართველების გარდა სახლობდნენ სპარსელები, ბერძნები და სომხები.

ალექსანდერდორფი – 1818 წელს სოფელ კუკიას მიმდებარე ტერიტორიაზე ვიუტენბერგიდან გადმოსული გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ. ბაღებითა და ბოსტნებით გარშემორტყმული სახლები ორ მწკრივად გასდევდნენ მთავარ ქუჩას (დღევანდელი პლეხანოვის პროსპექტის ხაზზე), დასახლებას რუსეთის იმპერატორის პატივსაცემად ალექსანდერდორფი ეწოდა. თბილისის ბაზარზე რძის ნაწარმისა და ბოსტნეულის დიდი ნაწილი გერმანელებს გამოჰქონდათ. შემდგომში ალექსანდერდორფში გერმანელთა ეკლესია – კირხე შენდება. აქედან მოდის მარჯანიშვილის მოედნის და ქუჩის პირვანდელი სახელწოდება – „კიროჩნაია“. კირხე აწინდელი მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ადგილზე იდგა. 1824 წელს კუკია და ალექსანდერდორფი ოფიციალურად ქალაქს მიაწერეს. გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან აქ არსებული გზა თანდათან ქუჩის სახეს ღებულობს, თუმცა დასახლება ჯერ დიდხანს ატარებდა სოფლის იერს. 1844 წლის გეგმაზე გერმანელთა დასახლება საგრძნობლად გაზრდილია მთავარი ქუჩის გასწვრივად. 1853 წელს ამ მიდამოებზე ვრცელდება ქალაქური განაშენიანების წესები. ტერიტორია შედის მე-4 საპოლიციო უბანში. მშენებლობის ტემპები განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ვერის ხიდი გაშენდა (დღევანდელი ელბაქიძის ხიდის ადგილზე). ამ ხანებში ალექსანდერდორფის ტერიტორია ჯერ კიდევ ბაღებით იყო დაფარული. თბილისის 1905 წლის გეგმარზეც კი ბაღებს საკმაოდ ვრცელი ფართობი უკავია. იმ დროის მწვანე მასივისაგან ჩვენამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოაღწია (ფილარმონიის საზაფხულო ბაღი, პიონერების ბაღი და ზოგიერთი შიდა ეზოს გამწვანება).

ანჩისხატი – ასე ეწოდება წმინდა მარიამის (ზარის) ეკლესიას, რომელიც აშენებულია ვახტანგ გორგასლის მემკვიდრის – დაჩი უჯარმელის მეფობის დროს (VI ს.) მემატიანე აღნიშნავს, რომ „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმინდაი ეკლესიაი აღაშენეს“. ბაზილიკური შენობა აწინდელი შავთელის ქუჩაზე გამოდის. დღევანდელი სახელწოდება, რომელიც ეკლესიამ XVII საუკუნეში მიიღო, იმ ხატის პატივისცემაა, რომელიც აქ გადმოიტანეს ანჩის ტაძრიდან (ანჩი მდებარეობდა კლარჯეთში – იმდროინდელი საქართველოს სამხრეთ პროვინციაში). ხატი დაცულია თბილისის ხელოვნების მუზეუმში. განსაკუთრებით გამოირჩევა ხატის მოჩარჩოება, რომელიც ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევართაგანია. მისი ავტორია განთქმული ქართველი ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი, რასაც მოწმობს მოჩარჩოების ქვედა ნაწილზე მოთავსებული წარწერა.

ანჩისხატის ეკლესია უძველესია თბილისში შემონახულ ძეგლთა შორის. იგი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. დროთა განმავლობაში მისმა ნაწილებმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე და განსაკუთრებით მე-17 საუკუნეში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოებისას (ამ პერიოდს განეკუთვნება აგურის ბოძები და თაღებიც). უძველეს ფრაგმენტებს წარმოადგენენ თარაზულნაკერიანი, კვადრებით ამოყვანილი ფასადების ცალკეული ნაწილები, სარკმლები აღმოსავლეთის კედელზე, მთავარი თაღის და საკურთხევლის სარკმლის ნალისებრი მოყვანილობა, აბსიდა. 1958 წელს ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც გვიანდელი (მე-19 საუკუნის) ფერწერის ქვეშ გამოვლინდა მე-17 საუკუნის კედლის მხატვრობის ნაწილი. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს დასავლეთის შემოსასვლელის თავზე გამოვლენილი ნალისებური ფორმის ლუნეტი. ლუნეტის მოხაზულობას და ამავე ფასადზე მოთავსებული ჯვრის გამოსახულებას მედალიონში პარალელები მოეპოვებათ ქართულ ადრექრისტიანულ ძეგლებს ამ და მათ შორის, მე-5 საუკუნის შესანიშნავ ბაზილიკაზე ბოლნისის სიონზე.

ბაზილიკის დასავლეთით, შავთელის ქუჩის პირას დგას აგურის სამრეკლო. იგი ცენტრში გაჭრილია შეისრული თაღით და ქუჩას აკავშირებს დაბალ ბაქანზე მდგარ ტაძართან. კარიბჭის თავზე მოქცეული წარწერა გვაუწყებს, რომ იგი აშენებულია ქართლის კათალიკოსის დომენტის მიერ 1675 წელს. სამრეკლოს არქიტექტურა (აგურის წყობის ხასიათი, შეისრული თაღები) დამახასიათებელია გვიანფეოდალური საქართველოსთვის, როდესაც ირანული გავლენა ხუროთმოძღვრებაშიც იკვლევს გზას.

გარეთუბანი – ფეოდალური თბილისის გალავნით შემოფარგლულ ძირითად ნაწილებს კალასა და ისან-ავლაბარს გარს ერტყა გაუმაგრებელი ნაწილები, გარეუბნები: კალას სამხრეთ-აღმოსვალეთით – აბანოების უბანი და სეიდაბადი, ისნის ჩრდილოეთით – გარეთ ავლაბარი, კალას ჩრდილოეთით და დასავლეთით – გარეთუბანი.

გარეთუბანს ეკავა ტერიტორია, რომელიც დღეს მოქცეულია ლენინის მოედნის (ამჟამად თავისუფლების) მიდამოებში, ბარათაშვილის ქუჩის, რუსთაველის პროსპექტის, ჯორჯიაშვილის ქუჩასა და მტკვარს შორის. გარეთუბანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ქაშვეთის ეკლესია იდგა. დაახლოებით აწინდელი ჯორჯიაშვილის ქუჩის გადაღმა ვახუშტი „თათრის სასაფლაოს“ უჩვენებს. ვახუშტის გეგმის მიხედვით გარეთუბანი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. აქ რამდენიმე ქართული და სომხური ეკლესია მდგარა. მათგან დღეს მხოლოდ სამების ეკლესიაა შემორჩენილი. წარჩინებულ პირთა სახლებს შორის გამოყოფილია ციციშვილის, არაგვის ერისთავის სახლები, „მეიდნის სასახლე“. სხვადასხვა ცნობით მე-18 საუკუნეში გარეთუბანში სახლები ჰქონიათ მუხრან-ბატონს, ამილახვარს, აბაშიძეს, ხერხეულიძეს, თუმანიშვილს. ოსმალათა შემოსევის შედეგად გარეთუბანი გაჩანაგდა. მოსახლეობამ ქალაქის გალავანს შეაფარა თავი. ამას 1770 წელს დაემატა შავი ჭირის ეპიდემია. მე-18 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან გარეთუბანი კვლავ იწყებს აღორძინებას, მაგრამ კვლავ ანადგურებს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევები.

გარეთუბნის ვრცელი ტერიტორია დაყოფილი იყო შედარებით მცირე უბნებად. დღევანდელი პროსპექტის დასაწყისში, მუზეუმსა და კეცხოველის ქუჩას შორის ქამაანთ უბანი მდებარეობდა. კედლით შემოზღუდული ქამაანთ წმ. გიორგის სომხური ეკლესია მდებარეობდა ისტორიული მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს, იქ, სადაც ახლა ნახევარწრიული ლოჯიანი დიდი საცხოვრებელი სახლი დგას. ამავე უბანში იდგა ღამბარაანთ ქარვასლა. გარეთუბნის ყველაზე ვრცელ ნაწილს კალოუბანი წარმოადგენდა. აწინდელი რუსთაველის კინოთეატრის და ქაშვეთის ხაზიდან თითქმის ძნელაძის ქუჩამდე. ამ უბანში სამი ქართული ეკლესია იდგა: ქაშვეთი, სამების და კალოუბნის წმ. გიორგის. გარეთუბნის შუაში დიდი ნაწილი დასახლებული არ იყო. იგი სასაფლაოებს, ბაღებს და ასპარეზს ეკავა. ასპარეზს, მტკვრის ტოტსა და დღევანდელ მტკვრის ქუჩას შორის მოქცეული სამკუთხედის ფორმის გალავნით დაცული ტერიტორია ორბელიანების უბანს ეკავა. ამ უბანშივე მდგარა მცირე ეკლესია. თხრილის გადაღმა, რომელიც დღევანდელი მტკვრის ქუჩის ხაზზე გადიოდა, იწყებოდა ვანქის მონასტრის გალავანი. მისი ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი. მონასტერს, სომხურ სასაფლაოს (აწინდელი კოლმეურნეობის მოედანი) და დღევანდელ ბარათაშვილის ქუჩას შორის ტერიტორიაზე ვანქის უბანს მიკედლებული იყო მცირე ბოშის უბანი. ბარათაშვილის ქუჩის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით შუაწელზე, იდგა ე.წ. „ტეკენამის“ ეკლესია. მე-18 საუკუნეში, მუხრან ბატონის საგვარეულოს სახლებმა გალავნის გარეთ დაიწყეს ტერიტორიის ათვისება. მუხრანთუბანი ვიწრო ზოლად მიჰყვებოდა გალავანს ავანანთხევის გასწვრივ.

გლდანი – სოფელი გლდანი ქართლის ქედის სამხრეთ ფერდობზე იყო განლაგებული, მდინარე გლდანისწყლის ნაპირზე. მდინარის კალაპოტი, რომელიც ზაფხულობით სრულიად გამშრალია, სოფელს ორ ნაწილად ჰყოფდა – ძველ და ახალ გლდანად. ეს უკანასკნელი საბჭოთა პერიოდში გაჩნდა.

გლდანს ადრე გრდანი ეწოდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, გლდანი (გრდანი) გარდაბნის მხარეს ეკუთვნოდა. შესაძლებელია, რომ „გრდანი“ ეწოდებოდა არა ერთ სოფელს, არამედ დასახლებათა ჯგუფს.

გლდანისკენ მიმართულ ერთ-ერთ მთის კლათაზე დგას მაღალი ეკლესია, რომელიც დასახლებისკენ სამხრეთი ფასადით გამოდის. სპეციალისტების აზრით, ეკლესია გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელზე IX და X საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ეკლესია წარმოადენს გრძელ და მაღალ სათავსს, რომელიც აბსიდით მთავრდება აღმოსავლეთ მხარეზე. ძირითად მოცულობას, სამხრეთ მხარეზე ეკვდერი მიუყვება. ეკვდერი, გვიან ხანაში, ჩრდილოეთ მხარეზეცაა აშენებული. შენობა ამოყვანილია ფლეთილი ქვით ხსნარზე. ეკლესიაში ბევრი გვიანდელი დროის გადაკეთების კვალი მოჩანს. საკურთხევლის სარკმლის თავზე მოთავსებულია ფილა, რომელზედაც წრეში ჩასმული ჯვარია ამოკვეთილი. მე-19 საუკუნეში ეკლესია შეულესავთ და შეუღებავთ. იგი ერთ დროს ჰაუპტვახტად ყოფილა გამოყენებული.

თბილისის შემოგარენის ერთ-ერთი სოფლის ტერიტორიის სიახლოვეს დღეს ინტენსიურად მშენებარე საცხოვრებელი რაიონია. საცხოვრებელი მასივი შენდება „თბილქალაქპროექტში“ დამუშავებული პროექტის საფუძველზე. საცხოვრებელი რაიონისთვის განკუთვნილი ტერიტორია (750 ჰა) მდებარეობს თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირას, იმ ხევებს შორის, სადაც პატარა მდინარეები გლდანი და ხევძმარა მოედინებიან. ჩრდილო-დასავლეთით მას თიანეთის გზატკეცილი ესაზღვრება. პროექტის მიხედვით, საცხოვრებელი მიკრორაიონები განლაგებულია ხაზობრივად განვითარებული საზოგადოებრივი ცენტრის ორივე მხარეს. ცენტრის სიგრძე 2,5 კმ-ს აღწევს. პროექტში ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის ნაკადები სხვადასხვა დონეზეა ნაგულისხმევი. ტრანსპორტი გაივლის საგანგებო ტრანშეებში, რომლებიც ტროტუარებთან შედარებით 3 მეტრით იქნებიან ჩაღრმავებული. სატრანსპორტო არტერიებს ყოველ 50 მეტრზე განშტოებები ექნებათ, რომლებიც ტერიტორიას რვა მიკრორაიონად დაყოფენ. ამასთან, ტრანსპორტის ნაკადები ერთმანეთს არ გადაკვეთენ. ზედა

დონე არქიტექტორთა ჩანაფიქრში წარმოადგენს ტროტუარების, გადასასვლელების და ბოგირების (პატარა ხიდები) სისტემას, რომელიც მთლიანად დათმობილია მოსახლეობის მომსახურებისათვის.

საცხოვრებელი რაიონის განაპირას (ჩრდილო-აღმოსავლეთით) არსებული ტბის ირგვლივ გათვალისწინებულია საერთო-საქალაქო მნიშვნელობის ვრცელი პარკის შექმნა.

ხსენებული რვა მიკრორაიონის გარდა, რომლებიც „აკინძულია" გრძივი ცენტრის გაყოლებით, გათვალისწინებულია მეცხრე მიკრორაიონში შექმნაც არსებული ორსართულიანი სახლების რეკონსტრუქციის ხარჯზე.

მიკრორაიონების მოცეულობრივ-დაგეგმარებითი წყობა დაფუძნებულია ვრცელი ეზოების გარშემო საცხოვრებელი სახლების ჯგუფების სივრცითი ორგანიზაციის პრინციპზე. მიკრორაიონებს კვეთენ ხეივნები, რომლებიც გადასასვლელი ხიდების მეშვეობით საცხოვრებელ ნაწილს საზოგადოებრივ ზონასთან აკავშირებენ. კომპოზიციურ აქცენტებს 16-სართულიანი სახლების მოცულობები შექმნიან.

დაპროექტებული რაიონი გათვალისწინებულია 147 ათას მაცხოვრებელზე.

დიდუბე – ადგილის დასახელება წარმოადგენილია ორი სიტყვისაგან „დიდი უბე". ეს უკანასკნელი ვაკე ადგილს ნიშნავდა. საბა ასე განმარტავს თავის „სიტყვის კონაში": „დუბე – დაბალი ადგილი". „ქართლის ცხოვრებაში" დიდუბე მოხსენიებულია თამარ მეფის ქორწილთან დაკავშირებით (1189 წ.), რომელიც მან დიდუბის ქალაქგარეთა რეზიდენციაში გადაიხადა, თუმცა ეს დასახლება უფრო ადრინდელ – IX საუკუნის სიგელშიც გვხვდება. შუა საუკუნეებში აქ არსებობდა დასახლება, სადაც განლაგებული იყო მეფის სასახლე, ეკლესია, ბაღები და სარწყავი არხი. საქართველოში მოგზაურობისას (1770-1772 წწ.) რუსეთის აკადემიის აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა ნახა ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც XVIII საუკუნის 50-იან წლებში უნდა იყოს აგებული ლეკთაგან დასაცავად, დაახლოებით იქ, სადაც ახლა „დინამოს" სტადიონია. სოფელი დიდუბე გაფართოებას იწყებს გასული საუკუნის შუა ხანიდან. ადგილი განსაკუთრებით ინტენსიურად იწყებს განაშენიანებას მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან, როდესაც დიდუბე თბილისს შემოუერთეს. 90-იან წლებში დაახლებამ რკინიგზას გადააბიჯა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის დიდუბე განაშენიანებული იყო საცხოვრებელი სახლებით, საწარმოო შენობებით, შემოსავლიანი და ე.წ. ავეჯგაწყობილი სახლებით. აქვე იყო იპოდრომი. ჩვენამდე მოღწეული დიდუბის ეკლესია 1844 წელს არის აგებული, ადრე (მე-17 საუკუნიდან) არსებულ და დანგრეული ღვთისმშობლის ეკლესიის ადგილზე.

ვაკე – თბილისის ამ ვრცელმა უბანმა სახელწოდება ადგილმდებარეობის ხასიათის გამო მიიღო. „ვაკე, ქვეყანა ბრტყელი" (საბა). იგი იფარგლება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ვარაზის ხევით, ჩრდილოეთიდან მდინარე ვერეთი, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან – მაღლობებით. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის წყნეთის (აწინდელი მელიქიშვილის) ქუჩის განაშენიანებამ მიაღწია ვარაზისხევს, რომელზედაც მცირე ხიდი იყო გადებული. თბილისის 1906 წლის გეგმაზე ხევის გაღმა მხოლოდ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაა აღნიშნული (ახლა – უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი). საუკუნის დასაწყისში გიმნაზიიდან დიდ მანძილზე შენდება სასულიერო სემინარია (გვიან აქ დიდი ხნის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო განთავსებული, ახლა – საავადმყოფოა), ხოლო ნაკვეთი, რომელიც ამჯერად ფიზიკულტურის ინსტიტუტს უკავია, კადეტთა კორპუსისთვის გამოიყო. ვაკის უბანი თბილისს 1907 წელს შემოუერთეს.

ვაკის ინტენსიური გაშენება საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. დიდი ხნის განმავლობაში ეს ვრცელი უბანი თბილისის ცენტრს მხოლოდ მელიქიშვილის ქუჩით უკავშირდებოდა. დღეს ის გმირთა მოედანზე ფართო ქუჩით გადის, რომელიც ხევში შევსების ხარჯზე წარმოიშვა. ვაკე ამჟამად თბილისის ერთ-ერთი დიდი საცხოვრებელი რაიონთაგანია. მაგრამ საცხოვრებელის გარდა აქ თავმოყრილია უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

თათრის მოედანი – თითქმის ჩვენ დრომდე ასე ეწოდებოდა დღევანდელი გორგასლის მოედნის ადგილზე მდებარე თბილისის ერთ-ერთ უძველეს მოედანს. ვახუშტი ბაგრატიონი მას „ციხის მოედანს", ხოლ ჟან შარდენი „სამხედრო მოედანს" უწოდებდა. ორი უკანასკნელი სახელი ასახავდა მოედნის ადგილმდებარეობას. მოედანი უშუალოდ ესაზღვრებოდა კედელს, რომელიც კალას გამოჰყოფდა ქვემო ციხისაგან. მოედანს სხვა სახელები ჰქონდა: „ქვემო მოედანი", „შეითანბაზარი", „მეიდანი". ამასთან, გვიან ფეოდალურ ხანაში ეს სახელწოდებები პარალელურად იხმარება. ციხეში საუკუნეების მანძილზე დამპყრობლები – სპარსელები და ოსმალები იდებდნენ ბინას. შემდეგშიც ამ უბნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სპარსელები შეადგენდნენ. აქედან უნდა მოდიოდეს ხალხში მიღებული სპარსელებისა და ოსმალების განზოგადებული სახელის „თათრის" გადატანა მოედნის სახელწოდებაზე.

1800 წლის გეგმით თუ ვიმსჯელებთ, მოედანი სწორი მართკუთხა ფორმისა იყო, გრძივი ღერძით სამხრეთ-აღმოსვლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. მოედანზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მეტეხის ხიდიდან, ირიბად შემოდიოდა ვიწრო ქუჩა. საერთოდ კი მოედანთან თავს იყრიდა მრავალი

ქუჩა, რომლებიც მოედანს აკავშირებდნენ აბანოს კართან, შუა ბაზართან, ზარაფხანის უბანთან, რასტაბაზართან, კლდისუბანთან და სხვა,

მოედანზე, ძირითადად, სურსათ-სანოვაგიანი სავაჭროები იყო განლაგებული. მოედნის ჩრდილო-დაავლეთით მხარე ალაფხანას ეკავა, მოპირდაპირე მხარე – მევახშეების რიგსა და სამეფო დუქნებს (ე.ი. დუქნები, რომლებიც მფეს ეკუთვნოდა და იჯარით იყო გაცემული სხვა პირებზე). ამ რიგების უკან, ე.წ. ბერძენხანა, ანუ ბერძნების უბანი იყო წარმოდგენილი ცენტრში ბერძნული ეკლესიით. სამხრეთ-დასავლეთიდან მოედანზე გამოდიოდა ე.წ. ციხის დიდი საყდარი „სურფგეორქა“, რომლის წინ მენაბდეებისა და მექუდეების დუქნები იყო განლაგებული. ამ მხარეზე მოედანს ერწმოდა ლილახანა, აწინდელი სამღებროს ქუჩა. ალაფების გარდა მოედანზე იყვნენ განლაგებულნი ბაყლები, მეთევზეები, ყასაბები (მოედანის უშუალო სიახლოვეს, მტკვრის ნაპირზე იყო სასაკლაო).

თათრის მოედანზე ვაჭრობის ერთ-ერთ საინტერესო წესს გადმოგვცემს ძველი თბილისის მცოდნე და მოტრფიალე იოსებ გრიშაშვილი: „თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანი – დიდი სასწორი. საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა. სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მაცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორ-ვაჭრებს. როცა ყაფანზე ბაირაღი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორ-ვაჭრებს. სრულ 12 საათზე ბაირაღს დაუშვებდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფლელთა აღებ-მიცემობა“.

დღეს მოედნის სახე სრულიად შეცვლილია. ერთ დროს ჩაკეტილი, ახლა სრულიად გახსნილია მტკვრის მხარეს. ძველ შენობათაგან მხოლოდ ციხის დიდი ეკლესია და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარის მოშენების ხაზიც არის შემორჩენილი.

ისანი – სახელწოდება „ისანი“ არაბული წარმოშობისაა და გამაგრებულ ადგილს, ციხეს ნიშნავს.

დღეს შეუძლებელია ისნის ციხის გეგმარების და საერთო სახის ზუსტი ადგენა. ფორტიფიკაციული კომპლექსი, როგორც ჩანს ორ დონეზე განლაგებული ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი, მთავარი ნაწილი, კლდის პლატოზე იყო აშენებული. მეორე კი დასავლეთიდან ეკვროდა, დამრეც რელიეფს ჩამოყვებოდა და ხიდთან მთავრდებოდა. კლდის ძირას ძველი ხიდის ყელის ადგილზე შემორჩენილია კვადრატული კოშკის ნარჩენები. (ისინი იხსნებიან ხოლმე მტკვირის დონის დაწევისას). ასეთი კომპოზიციაა ნაჩვენები ვახუშტი ბატონიშვილის 1775 წლის გეგმაზე. ისნის კარიბჭე აღმოსავლეთის მხრიდან გამოწეულ ნაწილში იყო გაჭრილი. მასთან იყრიდნენ თავს ავჭალისა და კახეთის გზები. მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში შიდა ავლაბარი გალავნით შემოზღუდეს, ეს კარი ფორტიფიკაციული სისტემის შიგნით აღმოჩნდა.

ისანი მეტად მიუდგომელი ციხესიმაგრე ყოფილა. 1045 წელს თბილისელთა მოწვევით ქალაქში მეფე ბაგრატ IV შემოვიდა, რომელსაც მიართვეს თბილისის გასაღები. მან ხელთ იგდო მთელი თბილისი, ისნის გარდა, „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისნი“ („ქართლის ცხოვრება“).

ბაგრატი მთელი ზაფხულის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ისნის დამორჩილებას. მიუხედავად იმისა, რომ „დაუდგეს ფალავანნი და ბრძოდეს ისნთა“.

ისნის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა XII-XIII საუკუნეებში, როდესაც აქ მდებარეობდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სასახლე. ამ სასახლეში გაიგო თამარმა მისი მამის, მეფე გიორგის გარდაცვალების ამბავი. სასახლისეულ ეკლესიაში ლოცულობს იგი მტერზე გამარჯვებისთვის 1152 წელს. 1278-1289 წლებში მეფე დიმიტრი თავდადებულს ყაენის კარზე გამგზავრებამდე ისანში, ღვთისმშობლის სახელზე აუგია ტაძარი.

დაახლოებით ამ დროიდან ისანში ჩნდება ახალი სახელი – „მეტეხი“. როგორც ჩანს, სახელწოდება ისანიც საბოლოოდ არ გამქრალა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მეტეხის მიდამოებს კვლავ „ისანს“ უწოდებს: „ისანს არს კიდეს მტკრუისასა კლდესა ზედა ციხესა შინა ეკლესია მეტეხი ღვთისმშობლისა“.

დღეს ხშირად ისნის სახელწოდებას ავლაბრის დიდ ფართობზე ავრცელებენ, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფარდება. ისანი განსაზღვრული იყო დღევანდელი ღვინის აღმართით, შაუმიანის ქუჩის დასაწყისითა და მუკუზნის შესახვევით.

აწინდელი მეტეხის ქუჩის გასწვრივად სანოვაგის ბაზარი ყოფილა. 1800 წლის გეგმაზე იგი №88-ით არის აღნიშნული. ისანშივეა ქარვასლები, თოფისწამლის ქარხანაც. 1800 წლის გეგმის მიხედვით ისნის ქუჩების ქსელი კალასთან შედარებით რეაგულარულ ხასიათს ატარებდა. შუასაუკუნეობრივმა ქსელმა ძირითადში დღემდე მოაღწია.

კალა – ასე ეწოდებოდა თბილისის გალავნით შემოსაზღვრულ უძველეს ნაწილს წავკის წყლის მარცხენა ნაპირზე, ნარიყალას ქვევით. მატიანე აღნიშნავს, რომ პიტიახში მოვიდაო „ტფილისად და კალა-ციხედ“. შემდგომში ეს სახელწოდება გავრცელდა თბილისის გალავნით შემოზღუდულ ძირითად ნაწილზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით გალავანი მიჰყვებოდა წავკის წყალს (მდინარის იმ ნაწილს, რომელიც დღეს მილებში მიედინება) და მთიან რელიეფზე განლაგებული რთული ფორტიფიკაცი-

ული სისტემის მეშვეობით ნარიყალას ბასტიონებს უერთდებოდა. ნარიყალადან კედელი ტეხილი ხაზით მიჰყვებოდა აღმოსავლეთისაკენ სალალაკის ქედს. შაჰტახტთან გალავანი მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთისაკენ და საფეხურეებად ეშვებოდა მთის ფერდობებზე. შემდგომ გალავანი კვლავ მკვეთრად იცვლიდა მიმართულებას და მტკვრისკენ ეშვებოდა. გალავანის ამ ნაწილის ფრაგმენტები გამოჩნდა ბარათაშვილის ქუჩის გაფართოებისას. სწორედ აქ ქალაქის ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლების გადაკვეთაზე იყო მოწყობილი ქალაქის ერთ-ერთი დიღმის კარიბჭე (სადაც ახლა ვერცხლის ქუჩა იწყება). ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის 1735 წლის გეგმაზე ერთმანეთის სიახლოვეს ორი კარიბჭე აქვს ნაჩვენები: „მეიდნის კარი ხიდით“ და „ქვემო კარი ხიდით“. თბილისის შემდგომ გეგმებზე კი მხოლოდ პირველ მათგანს უჩვენებენ „მუხრანის კარის“ სახელწოდებით. როგორც ჩანს, ქვემო კარი ამოაშენეს გასულ საუკუნეში ფორტიფიკაციული ნაგებობების შეკეთებისას. ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარი კოჯრისა („კოჟრის კარი“) მდებარეობდა დასავლეთ კედელში იქ, სადაც ლესელიძის ქუჩა ერწყმის ლენინის (ამჟამად თავისუფლების) მოედანს. ქალაქის გალავნის კიდევ ორი კარიბჭე იყო საწინააღმდეგო მხარეზე: აბანოების კარი, რომელიც აბანოების უბნიდან უშუალოდ კალაში მიდიოდა და განჯის კარი, რომელიც სამხრეთით ნარიყალას ძირში იყო განლაგებული. ამგვარად კალაში შემოსვლა შეიძლებოდა სამხრეთიდან განჯის, აღმოსავლეთიდან – აბანოების, დასავლეთიდან – კოჯრის, ჩრდილო-დასავლეთიდან – დიღმის, და ბოლოს, ჩრდილოეთიდან მუხრანის კარიბჭეებით.

გრაფიკულ საბუთს, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ფეოდალური თბილისის ქალაქმშენებლურ სტრქუტურას ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გეგმა წარმოადგენს. მართალია, ვახუშტი ბაგრატიონი არ იძლევა ქუჩების ზუსტ ქსელს, მაგრამ იგი მაინც გამოყოფს ზოგიერთ ქუჩას, რომელთაც, როგორც ჩანს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. კალაში ორი მოედანი გამოიყოფა: ციხის (თათრის) და ბატონის (მეფის). ბატონის მოედნის მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, როცა მეფე როსტომმა ახალი სასახლე ააშენა ამ მოედნის ერთ მხარეზე. გვიანფეოდალური ხანის კალას ქუჩების ქსელის ხასიათზე მკაფიო წარმოადგენას იძლევა მე-18 საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით, 1800 წელს შედგენილი თბილისის გეგმები, სადაც მკვეთრად არის გამოსახული ქალაქის მაგისტრალები. ერთ-ერთი მათგანი იწყებოდა დიღმის კართან და მიყვებოდა დღევანდელ ვერცხლის ქუჩას და შემდეგ სიონის ქუჩით გადადიოდა თათრის (დღევანდელი გორგასლის) მოედნისკენ.

მეორე ასეთ მაგისტრალს წარმოადგენდა გზა, რომელიც კოჯრის კართან იწყებოდა. საუბარია აწინდელი ლენინის მოედნიდან ვერცხლის ქუჩასთან გადაკვეთამდე. სწორედ ეს გზა ჰყოფდა კალას ორ „ზემო და ქვემო“, უბნად. ამიტომაც ერქვა მას შუა ბაზარი. „ზემო და ქვემო“ უბანი შერქმეული იყო არა რელიეფის თავისებურებების გამო, არამედ უბნების ურთიერთგანლაგების მტკვრის დინების მიმართულებით. ზემო უბანში იყო განლაგებული ქალაქის უმთავრესი ნაგებობები: სასახლეთა კომპლექსი, ქარვასლები (მეფის, თბილელის, მელიქის), ქართული ეკლესიები (სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისხატი, კვირაცხოველი, ქრისტეშობის და სხვა), კათალიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელები, თავადების (ამილახვარის, მუხრან-ბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანების, ციციშვილის, ზედგენიძის, აბაშიძის და სხვ.) სახლები. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ მე-18 საუკუნის დამდეგს აშენდა ზემო უბანში ერთადერთი სომხური ეკლესია სურფნიშანი.

ქვემო უბანში ქართველების გარდა დიდი რაოდენობით სახლობდნენ სომხები და მუსლიმანები. ამ უბანში ქართული და სომხური ეკლესიების, მეჩეთების გარდა კათოლიკური ეკლესიაც (ე.წ. „ფრანგთა საყდარი“) იდგა. ქუჩას, რომელზედაც კათოლიკური ეკლესია იდგა, ფრანგთა ქუჩას ეძახდნენ (აწინდელი პირველი მაისის ქუჩა).

ზემო და ქვემო უბნები თბილისის ძირითადი რაიონები იყო. ისინი თავისთავად მრავალ მცირე რაონებად იყოფოდნენ. ამა თუ იმ უბნის დასახელება ასახავდა მოსახლეობის უმრავლესობის ეროვნულ შემადგენლობას („ქართველთა უბანი“, „მოგვთა უბანი“, „ურიათა უბანი“), ხელოსანთა საქმიანობას („მჭედლის უბანი“, „სამღებროს უბანი“, „სარიმაჯის უბანი“), ამ ტერიტორიაზე განლაგებულ ნაგებობებს („ანჩისხატის უბანი“, „სიონის უბანი“, „ნორაშენის უბანი“, „ციხისკარის უბანი“), ამ უბანში მცხოვრებთა ვინაობას („ცოცხალაანთ უბანი“, „ფირყულაანთ უბანი“, „ყორღანაანთ უბანი“, „ორბელიანის უბანი“).

აღა-მაჰმად-ხანის ურდოებმა კალას დიდი ნაწილი დაანგრიეს და გადაბუგეს, თუ არ ჩავთვლით საკულტო ნაგებობებს. კალას დღევანდელი განაშენიანება (საცხოვრებელი სახლები), მთლიანად მე-19 საუკუნეშია ჩამოყალიბებული, თუმცა სარდაფები ბევრს შემთხვევაში ადრინდელია, ვინაიდან დანგრეულის აღდგენას ძველი საძირკვლების გამოყენებით აწარმოებდნენ.

მეტეხი. მეტეხის სახელწოდება გავრცელდა მე-13 საუკუნის დასასრულს, როდესაც ოთხმოციან წლებში აქ დიმიტრი თავდადებულმა მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია ააშენა.

გადმოცემით, თითქოს პირველი ტაძარი და ციხესიმაგრე ამ ადგილზე ჯერ კიდევ მე-5 საუკ-

კუნის მეორე ნახევარში აუგიათ ვახტანგ გორგასალის ზეობის ხანაში. ეს გადმოცემა უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი პლატონ იოსელიანს, როდესაც იგი ამასვე იტყობინებოდა. არსებობს გადმოცემა, რომ ამ ადგილებში დაკრძალულია წმ. შუშანიკი, მაგრამ ეკლესიის არსებობის თაობაზე იმ დროს რაიმე სარწმუნო მოწმობა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. თუმცა, ზოგიერთი მოსაზრებით აქ ძველი ტაძარი უნდა მდგარიყო.

სიტყვა „მეტეხი“ სასახლის ადგილსამყოფელს, სასახლის მიდამოს აღნიშნავს. მეტეხის სახელწოდებით ცნობილი იყო ღვთისმშობლის ეკლესია ქართლშიც, რომელიც ასევე სასახლისეული (კათალიკოსის) ყოფილა. ცნობილია, რომ დაახლოებით მე-12 საუკუნიდან ისანში ქართველ მეფეთა სასახლე მდებარეობდა.

სასახლე და ეკლესია დაინგრა მონღოლების პირველსავე შემოსევისას 1235 წელს. სასახლე აღუდგენიათ, ხოლო ჩვენამდე მოღწეული ეკლესია, როგორც უკვე აღვნიშნეთ 1278-1284 წლებს შორისაა აშენებული. სამაბსიდიანი, ოთხი ცალკე მდგომი ბურჯით, მეტეხის ტაძარი ამ ადგილზე ადრე მდგარი ეკლესიის გეგმას უნდა იმეორებდეს, რადგან ასეთი კომპოზიცია უჩვეულოა. დროთა განმავლობაში მეტეხის ტაძარი არა ერთხელ აღდგენილა და შეკეთებულა. უკანასკნელი სამშენებლო ფენები მე-18 საუკუნეს და მე-19 საუკუნესაც კი განეკუთვნება. სამხრეთის კედლის ვრცელი ნაწილი ერეკლე მეორის დროს არის აღდგენილი. ბურჯები, გუმბათის ყელი, კამარები კი XVI-XVII საუკუნეებშია აგურით ამოყვანილი. თავდაპირველი შენობიდან თლილი ქვის გარე კედლების ფრაგმენტებია შემორჩენილი აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხარედან.

მატიანე მიანიშნებს, რომ მეფე როსტომმა (XVII საუკუნე) „მოავლო მეტეხ ზღუდე და ვითარცა ციხე მტკიცე ხიდითურთ“. მეტეხის ციხესიმაგრეს დაახლოებით 0,8 ჰა ეკავა და ორ დონეზე იყო განლაგებული. ისტორიკოსები აღნიშნავენ მეტეხის, (როგორც ადრე ისნის) შეუღწევლობას. თურქი გეოგრაფოსი ევლია ჩელები (XVII საუკუნის 40-იანი წლები) აღნიშნავდა, რომ მეტეხი მცირე ოთხკუთხა სიმაგრე ყოფილა. ციხის შიგნით მდგარა სამასი სახლი, ეკლესია და სხვა შენობები. მცირე ციხე ქალაქი დიდ ციხეზე უფრო მტკიცე ყოფილა. იგივე ევლია ჩელების ცნობით მეტეხის სიმაგრეში სამი ათასი მცველი მდგარა.

1819 წელს დაანგრიეს ციხე-სიმაგრე და მისი ქვებით საპყრობილე ააგეს. ეს საპყრობილე 1938 წელს გააუქმეს, ხოლო სამამულო ომის შემდგომ წლებში იგი მოშალეს. მეტეხის ციხის კედლების უკანასკნელი ფრაგმენტები შთაინთქა 60-იან წლებში საყრდენი კედლების ამოყვანისას. მეტეხის კლდის წარბზე დაიდგა გორგასლის ძეგლი, მოქანდაკე ე. ამაშუკელის არქიტექტორობით, თ. კანდელაკის და დ. მორბედაძის პროექტით.

მთაწმინდა – მთა, რომელიც მკვეთრად გამოყოფს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს და ქალაქის სილუეტის მთავარ დომინანტს წარმოადგენს. მთა, მასზე აგებული ნაგებობებით თბილისის არქიტექტურულ-მხატვრული სახის სიმბოლოდ იქცა. პრაქტიკულად იგი აღიქმება თბილისის თითქმის ყველა უბნიდან და ქალაქის მისადგომებიდან.

საქართველოში მრავლადაა მაგალითები, როდესაც ქრისტიანულ ტაძრებსა და მათ მიდამოებს საბერძნეთისა და პალესტინის წმინდა ადგილებში სახელწოდებებს ანიჭებენ (ათენი, ანტიოქია, ნიქოზია, კაბენი და სხვ.). თბილისის საერთო ხედში გაბატონებულმა მთამ მთაწმინდის სახელი მიიღო ათონის „წმინდა მთის“ პატივსაცემად. დასახელების წარმოშობა მე-9 საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს, როდესაც ათონის მთაზე ქრისტიანული მონასტრები და სამლოცველოები, მათ შორის ქართულიც, გავრცელდა. ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისის ამ მთის სახელწოდება ათონის „წმინდა მთიდან“ მოდის, ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის.

თბილისის მთაწმინდის პლატოს ათვისების იდეა პირველად გასული საუკუნის მიწურულს აღმოცენდა. თავდაპირველად დააპირეს სააგარაკო მშენებელობა, ხოლო შემდგომ წარმოიშვა წინადადება აქ „ახალი ქალაქის“ მშენებლობის თაობაზე. პროექტიც კი იყო შედგენილი, სადაც ტერიტორია გაყოფილი იყო უბნებად და გაკვალული ქუჩებით. ამ იდეასთან არის დაკავშირებული საბაგირო რკინიგზის ფუნიკულიორის მშენებლობა. მთაწმინდის კალთაზე, მამადავითის ეკლესიის ირგვლივ, ქართველი ხალხისთვის წმინდათაწმინდა ადგილია: მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

წლების მანძილზე მთის პლატოზე იდგა ზედა სადგურის მცირე შენობა (ე.წ. როტონდა) და რამდენიმე დუქანი. ტერიტორია უკაცრიელი და კეთილმოუწყობელი რჩებოდა.

30-იან წლებში გადაწყდა მთაწმინდაზე პარკის მოწყობა. თავდაპირველად პარკის პროექტი შეადგინა 1935 წელს ცნობილმა არქიტექტორმა მ. გინზბურგმა. განზრახული იყო საზოგადოებრივი შენობების დიდი კომპლექსის შექმნა, რომელსაც ვერტიკალური კომპოზიციის მქონე შოთა რუსთაველის ძეგლი დააგვირგვინებდა. პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

შემდგომში პარკი გაშენდა ზ. და ნ. ქურდიანების პროექტით (დენდროლოგი ე. ციციშვილი).

თავდაპირველად პარკს გამოუყვეს მხოლოდ 9 ჰა. 1932 წლისათვის, როდესაც პარკის მშენებლობა ძირითადად დამთავრდა, მას 34 ჰა ეკავა. დღეს პარკის ნარგავებს 100 ჰა უკავია. გენერალ-

ური გეგმის მიხედვით მომავალში მთაწმინდის ტყე-პარკი უნდა შეუერთდეს კუს ტბის მიდამოებს, რითაც მწვანე სარტყელი იქმნება თბილისის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე. ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობა აშენდა 1938 წელს. სამანქანო სადგომებში გარდა აქ განთავსებულია რესტორანი და ბარი. შენობის მთავარი ელემენტი ტერასაა, რომელიც აერთიანებს ფასადებს. ტერასა წარმოადგენს აჟურული ჭერით გადახურულ მაღალ სვეტებზე შემდგარ თაღებს. მკვეთრად გამოტანილი კარნიზით დაგვირგვინებული შენობა კარგად არის შეხამებული გარემოსთან. შენობის გრძივ მოცულობას აწონასწორებს მის გვერდით აღმართული სატელევიზიო კოშკი (1974 წ.).

1959 წელს მწყობრში ჩადგა საჰაერო-საბაგირო გზა, რომელმაც მთაწმინდის პლატო უმოკლესი გზით დაუკავშირა რუსთაველის პროსპექტს.

ნარიყალა. „ნარიყალას ციხე“ არა მარტო თბილისის ციხე-სიმაგრეს, არამედ გორის, სურამის, ანანურის, ბორჯომის, გრემისა და სხვა ციხეებსაც ჰქონდათ. „ნარიყალა“ „ნარინ-ყალისგან“ უნდა იყოს წარმომდგარი და „უმცროს“ „მცირეს“ („ნარინ“ მონღოლური სიტყვაა და უმცროსს შეესატყვისება) ციხეს უნდა ნიშნავდეს. „მცირე“ ანუ „ნარიყალა“ ციხე განსხვავდებოდა ციხესიმაგრის „დედა ციხისგან“, ანუ „თავადი (მთავარი) ციხისგან“. ციტადელის ადგილმდებარეობა შემთხვევითი როდია. ამ ადგილას მდინარის კალაპოტი ვიწროა. აქ ერთმანეთს უახლოვდებიან მდინარის კლდოვანი ნაპირები და წარმოქმნიდნენ სტრატეგიულად მეტად ხელსაყრელ ადგილს. სწორედ სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა ციხე-სიმგარის დაარსება და შემდგომ ქალაქის განვითარება.

თბილისის ციტადელი საქართველოს დედაქალაქის მრავალსაუკუნოვანი თავგადასავლის მოწმე და მონაწილეა. მისი კედლები და კოშკები არაერთხელ დანგრეულა, აღდგენილა, გადაკეთებულა. დღემდე მოღწეული ფრაგმენტები სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის. ამას მოწმობს წყობის ხასიათი, საკედლე მასალა, დუღაბი. ყველაზე ძველ შემორჩენილ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე კოშკის ფრაგმენტი, რომელიც თლილი ქვითაა ამოყვანილი.

თბილისის ნარიყალა მიუდგომელი იყო. ამაზე მრავალი მოწმობა მიუთითებს. მთაგორიან რელიეფზე განლაგებული საციხო ნაგებობები რთულ სისტემას ქმნიდნენ. ნარიყალას კოშკებს შორის გამოირჩეოდნენ ე.წ. თავრიზისა და სტამბულის (დასახლებები გვიანდელია). ნარიყალაში შესასვლელი მოთავსებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში ამოყვანილი კოშკის თაღში. აქ იწყებოდა ცილინდრული კამარით გადახურული გასასვლელი, რომელიც ახლა ჩახერგილია. შედარებით ადვილად შესაღწევი გზა დასავლეთის მხრიდან იყო, რის გამოც ამ მხრიდან ციტადელი მეტად გაუმაგრებიათ.

ნარიყალას ორი მიწისქვეშა გასასვლელი ჰქონდა: მტკვრისა და წავკის წყლისკენ. ეს გასასვლელები დატანილია თბილისის 1800 წლის გეგმაზე. ნარიყალას წყლით მომარაგება საგანგებო სისტემით ხდებოდა. არხისა და აკვედუქის შემწეობით. ეს უკანასკნელი გამოსახულია თბილისის ტურნეფორისეულ ნახატზე. ნარიყალაზე ეკლესია იდგა. ეკლესია დატანილია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი თბილისის 1735 წლის გეგმაზე და უფრო გვიან ჩუიკოს მიერ გამოსახული 1800 წლის გეგმაზეც. იგი მე-19 საუკუნს დასაწყისში თოფისწამლის საწყობად უქცევიათ და 1827 წელს აფეთქებულა. ეკლესია გაიხსნა 1966 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ამასთან, გამოჩნდა უფრო ადრინდელი (მე-13 საუკუნის) ეკლესიის ნაშთები.

ორთაჭალა. სანამ სანაპიროები აშენდებოდა და მტკვრის კალაპოტი კედლებში მოექცეოდა, თბილისში და მის შემოგარენში რამდენიმე დიდი თუ მცირე კუნძული არსებობდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო და დიდხანს იარსება კუნძულმა ორთაჭალამ. ვახუშტი ბაგრატიონის თბილისის 1735 წლის გეგმაზე ორთაჭალა აღნიშნული აქვს ექსპლიკაციაში „კრწანისის ბაღის“ სახელწოდებით. ეს იმით აიხსნება, რომ ორთაჭალა სოფ. კრწანისს ეკუთვნოდა. კუნძული მდებარეობდა ქალაქის აღმოსავლეთით სეიდაბადის (შემოდგომში ხარფუხის) ქვევით.იგი მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტს შორის იყო მოქცეული. მისი მდებარეობით უნდა აიხსნას სახელწოდება „ორთა (წყლის) შორის მდებარე ჭალა“.

ორთაჭალის ბაღები მეფის ოჯახს და თავადაზნაურობას ჰქონდა გაყოფილი. XIX საუკუნეში ბაღებს კერძო მესაკუთრეები დაეუფლენ. ორთაჭალის ბაღებზე მრავალი დაწერილა. ამ ბაღებში გატარებულ დროს არაერთი სტრიქონი მიუძღვნეს თბილისელებმაც და ქალაქის სტუმრებმაც. ი. გრიშაშვილი წერდა: „ძველად ქალაქგარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა. მდაბიო ხალხისთვის ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის – მუშტაიდის ბაღები. ეს დღეობები ყარაჩოღელთათვის ერთი იმ გასართობთაგანი იყო, სადაც ჯანსაღი ბუნების წიაღში დაგუბებულ გრძნობას სრულ თავისუფლებას აძლევდნენ და მთელი სამი დღის განმავლობაში ჯიგრიანად ლოთობდნენ“.

გაზეთი „დროება“ 1869 წლს 19 ივნისს ერთ წერილში, რომელსაც „თბილისში გასეირნება“ ერქვა, ადარებდა რა ორთაჭალის ბაღებს ევროპულს, წერდა: „აბა, რა შეედრება ამ პოეტიკურ არეულ-დარეულობას, უსწორ-მასწრობას, ვაზის თალარს, მაღალ კაკლის წენგოთი დატვირთული

ხის საამურ სუნსა. თვალის შესაქცევარ და პირში წყლის მომგვრელ სხვადასხვა ხილს და ბოლოს ყურის გამაღვიძებელ ჩარხის ღრჭიალ-ხრჭიალსა. ახლა სიმღერა, ახლა დუდუკი, დაირა, ცივ-ცივი თუთა, ბალი. აბა, როგორც შეედრება ამას ზემოთ ხსენებული ბაღები, ხეივნებით, ერთი ხალიჩა რომ გინდოდეთ, ერთი მუთაქა იქ რომ გინდოდეთ ვერ იშოვით, რომ ორიოდე წუთით წამოწვეთ ან მუხლი მოიკეცოთ".

ორთაჭალის კუნძული მარჯვენა ნაპირთან ხის საცალფეხო ხიდით იყო დაკავშირებული, რომელსაც ვირის ხიდს უწოდებდნენ, რადგან ჭირნახული მასზე სახედრებს გადმოჰქონდათ.

ორთაჭალის რომანტიკა დღეს ისტორიაა. 50-იან წლებში აშენდა ორთაჭალჰესი, შემდეგ გაიყვანეს სანაპიროები, მტკვრის ტოტი მოისპო და კუნძულმაც შეწყვიტა არსებობა.

არგონავტები და კოლხეთი – მითი და სინამდვილე

წყარო: ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. ამონარიდები.

მეთოდური მითითებანი: *ო.ლორთქიფანიძე ის არქეოლოგია, რომელმაც აღმოაჩინა ქ. ვანსა და მის მიდამოებში კოლხური კულტურის უამრავი ძეგლი. ისინი მრავალფეროვნია (თიხის, ბრინჯაოს, ოქროს ნივთები) და მაღალი ოსტატობითაც არიან შექმნილნი. ამ მონაპოვარში ბევრია როგორც ადგილობრივი ნაწარმი, ისე უცხოეთიდანაც შემოტანილი. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ისტორიულ კოლხეთს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა გარე სამყაროსთან და პირველ რიგში ძველ საბერძნეთთან. დამტკიცდა ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული ცნობები „ორქომრავალი კოლხეთის" შესახებ. ო. ლორთქიფანიძე იყო ტიმ სევერინის მთავარი მასპინძელი, როცა იგი ჩვენს სამშობლოს ეწვია. სწორედ ამის შესახებ ჰყვება ამ წიგნში ავტორი.*

მოტანილი მასალა არაა ერთჯერადი გამოყენებისათვის შერჩეული. იგი შესაძლებელია გამოყენებულიქნას სხვადასხვა გაკვეთილზე და სხვადასხვა თემასთთან დაკავშირებით, როგორც დამატებითი ცნობების მომწოდებელი. ასევე აქ გადმოცემულია არგონავტების მითიც, რომელიც შესაძლებელია მიეწოდოს მოსწავლეებს, როგორც ამ მითის სრული ვერსია. ამით მოსწავლეებს მასწავლებლის დახმარებით შეეძლებათ მსჯელობა, თუ როგორი გნვითარებული ყოფილა კოლხეთის საზოგაოდოება და ასევე თუ რა იმალება ოქროს საწმისით გამოწვეული კონფლიქტის მიღმა.

ოქროს საწმისისთვის აიეტის ქვეყანაში არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულება ფართოდ იყო ცნობილი ძველ ბერძნულ მწერლობაში და მას არაერთი მხატვრული ქმნილება მიეძღვნა. სამწუხაროდ, არგონავტიკის თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან უმრავლესობა დღემდე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა მოღწეული.

ოდესღაც, ძველი ელადის (საბერძნეთის) ჩრდილოოეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ოლქის — ბეოტის დიდსა და სახელგანთქმულ ქალაქ ორქომენს განაგებდა ქართა მეფის ელეოსის ძე ათამანტი. ორი შვილი ჰყავდა მას: ასული ჰელე და ვაჟი ფრიქსე — ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ნაშიერნი. მაგრამ ათამანტმა შეიყვარა თებეს მეფე კადმოსის ვერაგი ასული ინო და ცოლად შეირთო იგი. სულ მალე ბოროტმა დედინაცვალმა მისთვის აგრე საძულველი ქალის — ატამანტის პირველი მეუღის შვილების თავიდან მოცილება განიზრახა და საამისოდ სასინელი მზაკვრბა ჩაიდანა: მისი შეგონებით მოხიბლული ხორბალი დათესეს, რასაც მოუსავლიანობა და საშინელი შიმშილი მოჰყვა. მეფე ათამანტმა რჩევისათვის დელფოს მისანთან გააგზავნა თავისი ქვეშევრდომნი. მაგრამ ინოს მიერ მოსყიდულმა ათამანტის შიკრიკებმა მეფეს აუწყეს, რომ თითქოს დელფოს მისანი ყოველისშემძლე ღმერთებისათვის ჰელესა და ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა. სასიკვდილოდ განწირულ შვილებს დედამ ღვთაება ჰერმესის ნაბოძები ოქროსსაწმისიანი გრძნეული და მფრინავი ვერძი მოუვლინა. ვერძმა ნეფელეს შვილები ზურგზე შეისვა და შორეული ქვეყნის აია-კოლხეთისკენ გაამგზავრა. გზად ჰელე ვერზის ზურგიდან გადმოვარდა და ზღვაში ჩავარდა იქ, სადაც დღეს დარდანელის სრუტეა. შემდეგ ზღვის ამ მონაკვეთს ბერძნებმა „ჰელესპონტი" უწოდეს. ფრიქსე კი ოქროსსაწმისიანმა ვერძმა უვნებლად მიიყვანა საწადელ ქვეყანაში, სადაც ამ დროს მეფობდა გოროზი და ძლიერი მეფე აიეტი — მზის შვილმა აიეტმა შეივრდომა უცხო ქვეყნიდან ლტოლვილი ჭაბუკი, შესაფერისად აღზარდა იფი და მერმე თავის ერთ-ერთ ქალიშვილზე ქალკიოპეზე დააქორწინა. ოქროსსაწმისიანი ვერძი თავის ღმერთებს შესწირა აიეტმა (სხვა ვერსიით, ვერძი ფრიქსემ შესწირა ზევსს — ბერძენთა უმთავრეს ღვთაებას), ხოლო ტყავი კი დასაცავად მიანდ გველეშაპს, რომელსაც არასოდეს ეძინა თურმე ...

მეფე აიეტის საბრძანებელში შენახული ოქროს საწმისის ამბავმა მიაღწია საბერძნეთს...

ამ დროს თესალიის ქალაქ იოლკოსში მეფობდა პელიასი, რომელმაც ვერაგულად წაართვა ტახტი თავის ძმას ესონს, ხოლო ტახტის კანონიერი მემკვიდრე ესონის ძე იასონი მშობლიური ქალაქიდან

გააძევა. მცირეწლოვანი იასონი თესალიიის ერთ-ერთ მთაზე პელიონზე გადამალეს, სადაც მას ბრძენი კენტავრი ქირონი ზრდიდა — სწორედ ის ქირონი, რომელსაც ელინური მითოლოგია მიაწერს აქილევსისა და სხვა გამოჩენილი გმირების აღზრდას.

ოცი წლის რომ გახდა იასონი მშობლიურ ქალაქ იოლკოსში დაბრუნდა და მეფე პელიასს ძალით მიტაცემული მამისეული სამეფო ტახტის დაბრუნება მოსთხოვა. ვერაგმა პელიასმა სამეფო ტახტის დათმობა არ მოისურვა და ამიტომაც იასონს საზღაურად აიეტის შორეულ ქვეყანაში დაცული ოქროს საწმისის დაბრუნება მოსთხოვა: „დავმორჩილდები შენ სურვილს; მაგრამ მე უკვე სიბერის მძიმე ასაკი მბორკავს, შენი ახალგაზრდობის ყვავილი კი ახლა ღაღანებს. შენ შეგიძლია დააცხრო ქვესკნეის ღვთაებათა რისხვა. ფრიქსე მოგიწოდებს, მივიდეთ აიეტის საბრძანებელში, რათა გამოვიხსნათ მისი სული და წამოვიღოთ იმ ვერძის სქელსაწმისიანი ტყავი, რომლის წყაობითაც ფრიქსე ოდსღაც გადაურჩა პონტოს და დედინაცვლის უღვთო ისრებს. ეს ჩემთან მოსულმა საოცარმა სიზმარმა გამომიცხადა. მე შევეკითხე კასტალიის სამისნოს, რათა გამეგო, რა მეღონა. მისანმა ამიხსნა, რაც შეიძლება ჩქარა მომეწყო ხომალდით ლაშქრობა. შეასრულე ეს საქმე თანხმობით და ვფიცავ, რომ მოგეკუთვნება ერთმმართველობა და მეფობა. ფიცის სიმტკიცის მოწმედ იყოს ზევსი ორთა ჩვენთა წინაპარი!“ ასე გალექსა პელიასის სიტყვა ძვ. წ. VI-V საუკუნეების ბერძნული საგუნდო ლირიკის უდიდესიმა წამომადგენელმა — პოეტმა პინდარემ თავის IV პითიურ ოდაში (თარგმანი აკაკი ურუშაძისა).

აიეტის საბრძანებლიდან ოქროს საწმისის დაბრუნებას რომ ავალებდა იასონს, ვერაგი პელიასი ღრმად იყო დარწმუნებული რომ ტახტის მოცილე ჭაბუკი უფლისწული ამ პირობას ვერ შეასრულებდა — შორეული და ერთობ საშიში ნაოსნობისას უთუოდ დაიღუპებოდა, რამეთუ ძალზე შორს იყო და ხომალდით ნაოსნობისათვის მიუწვდომელი აიეტის ქვეყანა. ამასთან ბერძნებში აიეტი უძლეველ მეფედ იყო მიჩნეული: „არავინაა კოლხთა მეფე აიეტზე უმძლავრესი, თუმც შორსაა ჩვენგან, მაგრამ თუ მოისურვა, თვით ელადაზეც კი წამოვა სალაშქროდ“ — ასე ათქმევინებს თავის სახელგანთქმული პოემის ერთ-ერთ პერსონაჟს ძვ. წ. III საუკუნის პოეტი აპოლონიოს როდოსელი.

ჭაბუკი იასონი მეფე პელიასს უმძიმეს დავალებას არ შეუშინდა და ოქროს საწმისის შორეული ქვეყნიდან ჩამოტანა ივალა. საამისოდ სამზადისს შეუდგა და პირველ რიგში აიეტის ქვეყანაში გასამგზავრებლად ხომალდის აგება დაიწყო. ეს ხომალდი პელიონის მთის ძირში შენდებოდა, სწორედ იქ, სადაც თვით იასონი იზრდებოდა. ამ ხომალს „არგო“ უწოდეს, თითქოს იმიტომ, რომ მისი მშენებელი იყო ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე — ქალღმერთ ათენას მსახური არგოსი, რომელსაც თვით ათენა აძლევდა რჩევა — დარიგებებს.

იასონმა ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის ამბავი მთელ ელადას აუწყა და მასში მონაწილეობა შესთავაზა. მის მოწოდებას თითქოს ორმოცდაათამდე სახელოვანი ვაჟკაცი გამოეხმაურა.

საზეიმოდ გააცილეს ბერძნებმა არგონავტები ქალაქ იოლკოსიდან აიეტის ქვეყნისკენ ოქროს სალაშქროდ მიმავალნი. კიდევ ერთხელ უნდა დავიმოწმო აპოლონიოს როდოსელი (აქც, და ისე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აკაკი ურუშაძის თარგმანით): იმ დღეს ყველა ღმერთები დაცქეროდნენ ზეციდან ხომალს და ღვთისადარ მამაც ვაჟკაცებს, რომლებიც ზღვაზე მიცურავდნენ.

იოლკოსიდან სწრაფმავალი არგოთი გამგზავრებულ არგონავტებს გზად მრავალი ხიფათიც გადახდებათ (დაიღუპებიან მესაჭე ტიფისი და იდმონი, ჩამოცილდებათ ჰერაკლე, დაკარგული მეგობრის ჰილასის საძებნელად რომ გაეშურება) და მრავალ გმირობასაც ჩაიდენენ: გაათავისუფლებენ უსინათლო მეფე ფინევსს მტაცებელი ფრინველებისაგან — ჰარპიებისაგან (საკვებს რომ უმოწყალოდ ართმევენ უმწეო მოხუცს); შეებრძოლებიან სპილენძისფრთებიან არსებებს — სტიმფილდებს და სხვ. არგონავტებმა დიდი ვაივაგლახით გასცურეს პირქუში „მოხეტიალე“ კლდეები, შავი ზღვისკენ მიმავალ სრუტესთან რომ იყვნენ აღმართული და რომელთა გადალახვა მანამდე ვერცერთმა მოკვდავმა ვერ შეძლო.

სრუტეების გაცურვის შემდეგ არგონავტები ჩაუვლიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და იქ მოსახლე ამორძალებს, აგრთვე სხვადასხვა ტომებს, რომელთა შორის არიან ხალიბებიც — რკინის დამუშავებით სახელგანთქმულნი...Dდა ბოლოს არგონავტები მიიაღწევენ მდინარე ფასისის შესართავს, შეაცურებენ თავის ხომალდს მდინარის ფართო კალაპოტში, მიადგებიან აიეტის მთავარ ქალაქს — კუტაიას. ვერ შეჰბედავენ ბერძენი გმირები დიდ ჭალაში მუხის ხეზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისის მოდარაჯე გველეშაპთან შებრძოლებას. ამიტომაც ეახლებიან მეფე აიეტს და სთხოვენ ოქროს საწმისს, სანაცვლოდ კი უცხო მტრებთან ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებიან.

მაგრამ მეფე აიეტი, რომელსაც ოქროს საწმისის დათმობა არ სურს, იასონს სთავაზობს სულ სხვა პირობის შესრულებას, აპოლონიოს როდოსელი რომ ასე გადმოგვცემს: „აიეტს ორი ზრახვა უტრიალებდა გულში: თავს დასხმოდა უცხოელებს და აქვე მოეკლა ისინი, თუ მათი ძალა

გამოეცადა. ფიქრის შემდეგ მეორე უმჯობესი ეჩვენა და იასონს შენაცვლებით მიუგო: „უცხოელო, რა საჭიროა ყველაფერს დაწვრილებით რომ მიამბობ. თუ მართლა ღმერთების შთამომავალი ხართ... მოგცემს წასაღებად შენ ოქროს საწმისს, ოღონდ, თუ ინებებ, უნდა გამოიცადო. მამაც ვაჟკაცებს არ ვეკიდები შურით, როგორც ის, მეფე ელადისა, თქვენ რომ ახსენეთ (ე. ი. მეფე პელიასი, იასონი შორეულ ქვეყანაში ოქროს საწმისისათვის რომ გამოგზავნა — ო. ლ.) ეს იქნება გამოცდა მამაცობისა და ღონისა იმ საშიშარ საქმეში, რომელსაც თვითონ საკუთარი ხელებით ვასრულებ. არესის ველზე საბალახოდ გაშვებულ მყავს ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, რომლებიც ხახიდან ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ უღელში ვაბამ და არესის ოთხი დღიური ხოდაბუნისაკენ მივრეკავ. ამ ხოდაბუნს სწრაფად ვხნავ ბოლომდე გუთნით და ხნულებში დეოს პურის თესლს კი არ ვყრი, არამედ საზარელი ვეშაპის კბილებს, რომლებიც იარაღასხმულ ვაჟკაცებად გადაიქცევიან; ჩემს წინაალმედ ყველა მხრიდან დაძრულთ იქ ვფანტავ და ჩემი შუბით ვაპობ. ხარებს უღელში დილით ადრე ვაბამ, ხოლო საღამოს ჟამს მკას ვწყვეტ. თუ შენც ასე შეასრულებ ამ საქმეს, იმავე დღეს წაიღებ საწმისს მეფესთან. სხვაფრივ კი არ მოგცემს და ნურც იმედს იქონიებ. უღირსი საქმე იქნება, მამაცად შობილმა ვაჟკაცმა უმდაბლეს კაცს დაუთმოს რამე ...“

ვერ ძალუძდა ბერძენ გმირთა წინამძღოლს კოლხთა მეფე აიეტის პირობის შესრულება... მაგრამ იასონი შეუყვარდება კოლხთა მეფის ასულს, სახემშვენიერ გრძნეულ მედეას და დაეხმარება ოქროს საწმისისათვის მოსულ ბერძენს. მედეა იასონს ჯადოსნური წამლებით აღჭურვავს, ურჩხულის კბილებიდან აღმოცენებული გოლიათებიის დახოცვის საშუალებასაც ასწავლის და იასონიც ასე, მხოლოდ მედეას შემწეობით შეძლებს მეფე აიეტის პირობის შესრულებას. მედეამ საშინელი ურჩხული მიაძინა, ბერძნებმა მოიტაცეს უკვე დაუცველი ოქროს საწმისი და თავის სამშობლოს მიაშურეს. მათ თან გაჰყვა მედეაც, რომელსაც იასონმა ცოლად შერთვა აღუთქვა... ზღვაში ბერძენ მეკობრეებს, ოქროს საწმისის მზაკვრობით გამტაცებლებს, დაეწია კოლხთა მეფის აიეტის მიერ წარგზავნილი კოლხთა ლაშქარი უფლისწულ აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ ბერძნებმა ვერაგულად მოკლეს ისიც. მრავალი ხეტიალსა და თავგადასავლის შემდეგ არგონავტები სამშობლოში ბრუნდებიან. ისევ და ისევ მედეას შემწეობით შეძლებს იასონი იოლკოსში სამეფო ტახტის დაბრუნებას...

ზემოთქმულის შეჯამებიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არგონავტების შესახებ თქმულების უძველესი ბირთვი შექმნილია მიკენურ ხანაში. მას საფუძვლად უნდა დადებოდა მიკენური ანუ აქეური პერიოდის ზღვაოსანთა პირველი მოზაგურობა ძალზე შორეულ ქვეყანაში, სადაც მანამდე ჯერ ხომალდით არავის მიუღწევია (გაიხსენეთ, ფრიქსემ მფრინავი ჯადოსნური ვერძის წყალობით მიაღწია მხოლოდ აიეტის საბრძანებელს). ეს მოგზაურობა ძველი ბერძნული ტრადიციის თანახმად, როგორც უკვე ითქვა, ტროას ომის, ე.ი. ძვ. წ. XIII საუკუნის 40-იანი თუ 30-იანი წლების უწინარესად უნდა განხორციელებულიყო.

ბერძნები აარსებენ სავაჭრო ფაქტორიებს, რომელთაც ემპორიონებს უწოდებდნენ და ეწეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან გაცხოველებულ აღებ-მიცემობას, უკვე როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორებთან. ასე იყო მაგალითად ეგვიპტეში, სადაც ბერძნებმა ნილოსის შესართავთან დააარსეს დიდი სავაჭრო ქალაქი ნავკრატისი. ასე მოხდა კოლხეთში, სადაც ბერძნებს დახვდათ სოციალ-კულტურული თვალსაზრისით მაღალგანვითარებული საზოგადოება, რომელსაც უკვე ჰქონდა პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა — სახელმწიფო, კოლხეთის სამეფო. ამავე დროს, როგორც არქეოლოგიური მასალები მოწმობენ მთელი ზღვისპირა ზოლი ჯერ კიდევ ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იყო მჭიდროდ დასახლებული და ფართოდაც ათვისებული. ასეთ პირობებში ბერძნებმა, ბუნებრივია, ვერ შეძლეს აქ დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების შექმნა და ძვ. წ. VI საუკუნიდან დააარსეს თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები დიდ კოლხურ სავაჭრო ქალაქებთან: ფასისსა (დღევანდეი ფოთის მახლობლად) და დიოსკურიაში (დღევანდელ სოხუმთან), ხოლო უფრო გვიან — დღევანდელ ქობულეთსა და ოჩამჩირის მიდამოებშიც.

მაგრამ რა იზიდავდათ ბერძნებს კოლხეთში, როდესაც ისინი აქ თავიანთ სავაჭრო ფაქტორიებს აარსებდნენ? პირველი პასუხი ჩვენ შეიძლება სწორედ არგონავტების შესახებ არსებულ მითში ვიპოვოთ, რაც ჯერ კიდევ სტრაბონმა განმარტა სავსებით სწორად და თვალსაჩინოდ: „ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა, რკინითა და სპილენძით იყო მიზეზი, რისთვისაც მოეწყო ლაშქრობა“.

სწორედ, პირველ რიგში ლითონით, კერძოდ რკინითა და ოქროთი სიმდიდრე იზიდავდა უთუოდ ბერძნებს კოლხეთში და ამ თემაზე შეიქმნა სახელგანთქმული მითიც არგონავტების შესახებ.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა შესანიშნავადაა ილუსტრირებული არქეოლოგიური აღმოჩენებით ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების მაღალი დონე ძველ კოლხეთში, რაც ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში ასასხული რეალური ვითარების უტყუარ დასტურად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ოქრო მაინც მთელ ბერძნულ და რომაულ მწერლობაში ძველი კოლხეთის ყველაზე უფრო თვალსაჩინო სიმბოლო და მისი დამახასიათებელი (ტიპიურს რომ ეტყვიან) ნიშანთაგანია.

ვნახოთ ჯერ, თუ როგორ ესმით ოქროს საწმისის შესახებ ლეგენდა თვით ძველ სამყაროში. ახ. წ. II-III საუკუნეების ბერძენ ევჰემერისტ-მითოგრაფს ხარაკს პერგამონელს მიეწერება ცნობის ავტორობა: „ოქროს საწმისი იყო ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოცო, ამბობენ, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო“. როგორც სამართლიანად ვარაუდობს აკ. ურუშაძე, ეს თავისებური გააზრებაა იმ შეხედულებისა, რომელიც ძვ. წ. IV-III საუკუნეების ევჰემერისტ პალეფატიდან მომდინარეობს და რომელსაც ბეჯითად იმეორებდნენ საშუალო საუკუნეების ბერძენი მოღვაწენიც (მაგ., იოანე ანტიოქელი, სვიდა და სხვ.): „კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილი ოქროს საწმისი კი არ იყო, ეს პოეტური მონაჭორია! არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით...“

უფრო საინტერესო (და ამასთან ერთად მნიშვნელოვანიც) იმ რიგის ცნობებია, რომლებიც კოლხეთში ოქროს მოპოვების თავისებური წესის შესახებ მოგვითხრობენ და მას ოქროს საწმისის ლლეგენდას უკავშირებენ. სტრაბონის ცნობით: „კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებითა და ტყავებით აგროვებენ. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავზე...“ ხოლო ახ. წ. II საუკუნის მწერლის აპიანეს გადმოცემით: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები სქელმატყლიან ცხვრის ტყავს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“.

ბერძენ მწერალთა ეს ცნობები, რომელნიც ოქროს საწმისის შესახებ მითის განმარტებას ისახავენ მიზნად, აგრეთვე სავსებით რეალურ საფუძველზეა აგებული: კოლხეთის მდინარეული ქვიშების ოქროს შემცველობა კარგად ცნობილი ფაქტია, ხოლო ბერძენ მწერალთა მიერ ოქროს მოპოვების წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა სვანეთში, ე. ი. ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის აღწერით, „ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებენ. ფიცარზე გაჭიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილს ცხვრის ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცნა. ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული: ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გადაივლიდა“, სველი ტყავი ოქროს კენჭებს მოიწებებდა“, რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ „ქვიშა ქვევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის“. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და „ოქროს კენჭებს“ გადმოჰყრიდნენ“.

ძნელია თითქოს მოიძებნოს სხვა უფრო მჭევრმეტყველური დადასტურება ძველ ბერძენ მწერალთა იმ ცნობებისა რომელნიც ოქროს საწმისის შესახებ მითის წარმოშობის ახსნას ცდილობდნენ. მაგრამ სწორედ არქეოლოგიამ მოგვცა დღეს კიდევ უფრო სარწმუნო დადასტურება კოლხეთის ოქროთი სიმდიდრისა, რის ხაზგასმასაც სხვადასხვა პოეტური ხერხებით ასე გულმოდგინედ ესწრაფოდნენ მუდამ ძველი ბერძნები ამ ქვეყნის აღწერისას. ასე, მაგალითად (ზემოთ მოტანილი ცნობები რომ აღარ გავიმეოროთ), ძვ. წ. III ს-ის პოეტის ლიკოფრონ ქალკიდელის თხზულებაში („ალექსანდრა“) კოლხი მეფის ასული მედეა „ნერევსის ნაშიერ ტრირტონს ოქროს დიდ თასს მიართმევს. აპოლონიოს როდოსელთან კოლხთა მეფე აიეტს ოქროს მუზარადი ახურავს; პლინიუსის ცნობით, კოლხთა მეფე სავლაკი „უამრავ ოქროსა და ვერცხლს იპოვნის ოქროს საწმისით განთქმულ თავის ქვეყანაში“ და ა. შ. ამ თვალსაზრისით კიდევ ერთი ძეგლია საინტერესო. ესაა ძვ.წ. IV საუკუნეში ბერძენთა მიერ შეთხზული ეპიტაფია (დიდხანს შეცდომით არისტოტელეს რომ მიეწერებოდა) კოლხეთში დაკრძალულ მეფე აიეტზე: „ოქრომრავალი კოლხების მეუფე აიეტი ღმერთების ყოვლისშემძლე სვემ აქ გააპატიოსნა“. აქ ყურადღებას იქცევს ეპითეტი „ოქრომრავალი“, რომლითაც ძველბერძნული მწერლობაში მხოლოდ სიმდიდრით სახელგანთქმული ქალაქები იხსენიება (მიკენი, სარდი და ბაბილონი). მიკენის „ოქრომრავლობა“, ჰომეროსმა რომ აგრე საგანგებოდ მოიხსენია, ჰენრიხ შლიმანის საყოველთაოდ აღიარებული არქეოლოგიური აღმოჩენებითაა ილუსტრირებული. ასევე არქეოლოგიური გათხრებითაა დადასტურებული სიმდიდრე სარდისა და ბაბილონისა. ზუსტად ასევე კოლხეთის „ოქრომრავლობა“ ახლა არქეოლოგიური კვლევა-ძიებით ხდება ჩვენთვის თანდათან ცნობილი.

ახალი „არგო“ ტიმ სევერინის ხელმძღვანელობით შენდებოდა საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე, რომელსაც სპეცი ჰქვია. ხომალდს კი აშენებდა საბერძნეთში სახელგანთქმული ნავთობმშენებელი ბასილისს დელიმიტროსი. მას დაუმზადებია ხომალდის კორპუსი, მტევენები, კიჩო და სხვა დეტალები. თითქმის ნახევარ წელზე მეტ ხანს — მთელ შემოდგომასა და ზამთრის მანძილზე გაგრძელდა „არგოს“ აგება. მარტში ხომალდი უკვე მზად იყო და დაიყო მისი გამოცდა არგოლიკოსის უბეში. ახალმა „არგომ“ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და მისი ძველი არგონავტების ნაკვალევზე გამგზავრება კოლხეთის სანაპიროსკენ 1984 წლის მაისის პირველი რიცხვებისთვის დაინიშნა.

ხომალდზე აღმართული იყო სწორკუთხა აფრა, რომელზედაც ფარ-შუბით შეიარაღებული სამი მუზარადიანი მეომარია წარმოდგენილი, მეომართა ფარებზე კი ვერძის თავის სტილიზებული

გამოსახულებაა. საჭის მოვალეობას ასრულებს ნავის კიჩოზე გამართული ორი საგანგებო ნიჩაბი, რომელსაც ჩვეულებრივ თვით ტიმ სევერინი ამოძრავებდა. ხომალდის ცხვირი დელფინის თავს მოგვაგონებს და მასზე ორივვე მხარეს დიდი თვალებია დახატული. საგანგებოდაა აღსანიშნავი ისიც, რომ ახალი „არგოს“ ასაშენებლად ლითონის არცერთი დეტალი არ გამოუყენებიათ. ყველაფერი აქ ხისაა, ლურსმნებიც კი. ასე რომ, ახალი „არგო“ შეძლებისდაგვარად იყო მიახლოებული მის პირველსახეს და აი, ახლა გამოსაცდელი იყო შეძლებდა თუ არა იგი იმის განმეორებას, რაც მითის თანახმად პირველმა არგონავტებმა დაახლოებით 3300 წლის წინ განახორციელეს, ე.ი. შავი ზღვის სრუტეების გაცურვას, კოლხეთის სანაპირომდე მირწევას და მდ. ფასისზე (დღევანდელ რიონზე) გადასვლას.

ტიმ სევერინის ჩანაფიქრით ახალი „არგოს“ ეკიპაჟი ინტერნაციონალური უნდა ყოფილიყო და ეს არის მისი იდეის კიდევ ერთი (მეცნიერულთან ერთად) კეთილშობილური ასპექტი. ახალი არგონავტებიდან 10 მუდმივი წევრი იყო. ესენი იყვნენ ძირითადად ინგლისელები და ირლანდიელები — კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ყოფილი და აწინდელი სტუდენტები. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომელთაგან ერთი კლასიკურ ფილოლოგიას — ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებსა და ლიტერატურას სწავლობს, მეორე კი — საშუალო საუკუნეების არქიტექტურას და ამ ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრებითაა დაინტერესებული. მენიჩბეთაგან დანარჩენნი ათნი იმ ქვეყნის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რომლის ტერიტორიულ წყლებში გაივლიდა ახალი „არგო“: საბერძნეთში — ბერძნები, თურქეთში — თურქები, ხოლო საბჭოთა კავშირში — საქართველოს სპორტსმენები.

მაისის პირველ რიცხვებში საბერძნეთის ქალაქ ვოლოსიდან (ე.ი. ძველი იოლკოსიდან) ახალმა „არგომ“ გეზი შავი ზღვის სანაპიროებისკენ აიღო. ძველი ბერძნული წეს-ჩვეულების თანახმად, ახალ არგონავტებს საზეიმო გაცილება მოუწყვეს.

ახალი „არგო“ ზუსტად იმეორებდა არა მარტო მარშრუტს, არამედ ცურვის წესსაც. ისინი მიცურავდნენ ნაპირ-ნაპირ და, მაშასადამე, ზუსტად ისევე, როგორც ეს ძველ მწერლებს აქვთ აღწერილი მიკენური ეპოქისათვის. ასე მაგ., ცნობილ ბერძენ გეოგრაფოს-მეცნიერს ერატოსნეთეს (ძვ. წ. 284-200 წწ.) ეკუთვნის მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ (1, 3, 2) შემონახული: „ძველი ხალხები ზრუნავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისთვის, მაგრამ შუაგულ ზღვაში კი არა, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იასონი...“ უნდა ითქვას, რომ ნაპირთან ახლო, ე.ი. კაბოტაჟური ცურვა გემებისათვის საკმაოდ სახიფათოა, რამდენადაც მოულოდნელმა ქარმა შეიძლება იგი ნაპირს მიახეთქოს და დაამსხვრიოს.

ახალი „არგო“ ძველის მსგავსად საკმაოდ „სწრაფმავალი“ აღმოჩნდა. უკვე მაისის ბოლოს ახალმა არგონავტებმა მიაღწიეს შავი ზღვის სრუტეებს და ტიმ სევერინის მონათხრობით სწორედ აქ დაიწყო ყველაზე ძლიერი განსაცდელი: სრუტეებში დინება ზოგჯერ იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი დაძლევა შეუძლებელი ხდებოდა — სწრაფი დინება ჩვენ ნავს უკან — სამხრეთისაკენ მიაქანებდაო. ამიტომაც უხდებოდათ ახალ არგონავტებს ნავის ნაპირზე გამოტანა და ლოდინი შედარებით ხელსაყრელი დინებისა. მხოლოდ 16 ივნისს შეძლო ახალმა „არგომ“ სრუტეების საბოლოოდ დაძლევა და შავ ზღვაში შემოსვლა. ამის შემდგომაც კიდევ მრავალი ფათერაკი გადახდა თავს ტიმ სევერინის ეკიპაჟს — ძლიერი წვიმები და ქარები. ერთხელ ქალაქ სინოპესთან ახლოს ძლიერმა შტორმმა უკუნეთ ღამეში ხომალდი აბობოქრებულ ზღვაში გაიტაცა. მიუხედავად მრავალი განსაცდელისა, როდესაც ეკიპაჟის წევრთა სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ტიმ სევერინმა მაინც არც კომპასი გამოიყენა და არც რაციისათვის მიუმართავს (თუმც ხომალდზე ორივვე ეს ხელსაწყო თან ჰქონდა). ტიმ სევერინმა, ძველი მოგზაურების მსგავსად, ტალღების მოყვანილობისა და ქარის მიმართულების მიხედვით ზუსტად განსაზღვრა ხმელეთის ადგილმდებარეობა და ხომალდი მტკიცედ მიაყენა სანაპიროს.

სწორედ ამიტომაც, ვიმეორებ, ტიმ სევერინმა თავის მეგზურად აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ მიიჩნია. აპოლონიოს როდოსელის თანახმად კი, როგორც კარგადაა ცნობილი, არგონავტებმა იასონის მეთაურობით მოგზაურობა დაიწყეს საბერძნეთის ქალაქ იოლკოსიდან, გასცურეს დარდანელის და ბოსფორის სრუტეები და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მიადგნენ შესართავთან მდინარე ფასისს, რომელიც კავკასიონის მთებში იღებსო სათავეს. აქედან სავსებით აშკარაა, რომ მდინარე ფასისი, სწორედ დღევანდელი რიონია. აქ არგონავტები მდინარეში შეაცურებენ თავიანთ ხომალდს და მიაღწევენ კოლხეთის მთავარ ქალაქ კუტაიას.

აპოლონიოს როდოსელის თხზულებიდან ისე ჩანს, რომ კოლხთა მეფის აიეტის საბრძანებელი ზღვის სანაპიროს მოცილებულია, იგი ქვეყნის შიდა ნაწილშია — „სწრაფმავალი“ არგოსთვის, თითქოს, ერთი ღამის სავალზე. ამასთან მდინარე ფასისს აყოლილი არგონავტებისათვის ხელმარცხნივ ჩანს ქალაქი კუტაია და კავკასიონის მთები, აპოლონიოს როდოსელის მიერ აგრეთვე ამარანტის (ე.ი. ამირანის!) მთებად წოდებული. ზუსტად ეს მარშრუტი გაიმეორა ტიმ სევერინმა, რომელიც აპოლონიოს როდოსელთანაა აღწერილი.

დღეს უკვე ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ტიმ სევერინის ექსპერიმენტი კარგად დამთავრდა. ახალმა „არგომ“ მისი ინტერნაციონალური ეკიპაჟით, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს მენიჩბეებიც, ზუსტად გაიმეორა აპოლონიოს როდოსელის მიერ აღწერილი გზა არგონავტებისა, დაძლია ყველა სიძნელე, გასცურა შავი ზღვის სრუტეები, მოადგა ძველი კოლხეთის სანაპიროზე ქ. ფოთს და განახორციელა თითქმის 8-საათიანი აღმასვლა ნიჩბით მდ. რიონზე. ამით ტიმ სევერინმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ბერძენთა პირველი მოგზაურობა კოლხეთში ნამდვილად შესაძლებელი იიყო ჯერ კიდევ ძვ. წ. XIII საუკუნეში, ე.ი. გვიანბრინჯაოს ხანაში. იმის გამო, რომ თანამედროვე ცივილიზაციის გავლენით (კაშხლები, ხიდები, საკომუნიკაციო ხაზები, ბორნები, ამასთან ხშირი მეჩეჩებინ) მდ. რიონზე ნაოსნობა საკმაოდ გართულებულია, ტიმ სევერინმა ნიჩბებით აღმასვლა რიონზე სოფ. ჭალადიდთან შეაჩერა. სოფ. ჭალადიდთან იმიტომ, რომ მდ. რიონის გაყოლებაზე სწორედ აქაა აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ნამოსახლარი „ზურგა“.

არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ თქმულებასთან დაკავშირებით ტიმ სევერინს მრავალი სხვა საკითხიც აინტერესებდა. ერთ-ერთი მათგანი, ბუნებრივია, იყო მდ. რიონზე ნავით ცურვა მდინარის დინების საპირისპიროდ, რამდენადაც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ თანახმად მეფე აიეტის სატახტო ქალაქი ქვეყნის შიგნით მდინარე რიონის გაყოლებაზეა საგულვებელი, ხოლო ახალმა „არგომ“, როგორც ვნახეთ ვერ შეძლო საკუთარი ძალებით ჭალადიდის შემდეგ ცურვის გაგრძელება, რასაც ხელი შეუშალა უაღრესად ცუდმა ამინდმა, იმ დროს მდინარის დაბალმა დონემ, კალაპოტის ხანგრძლივად გაუწმენდაობამ, თანამედროვე ხიდებმა და კაშხლებმა.

მდინარე რიონი რომ ძველთაგანვე სანაოსნოდ იყო მიჩნეული, ამის დასტურად ტიმ სევერინს ჩვენ შევახსენეთ კარგად ცნობლი ცნობა სტრაბონისა (XI, 2, 17): „ფასისზე (იგულისხმება რიონ-ყვირილა) აღმა ცურვა შესაძლებელია შორაპნამდე“ და რომაელი ისტორიკოსის პლინიუსისა („ბუნების ისტორია“, VI, 13): „პონტოს მდინარეთა შორის ყველაზე განთქმული ფასის სანაოსნოა უდიდესი ხომალდებისათვის 38500 ნაბიჯის (ე. ი. 53,5 კმ) მანძილზე და შემდეგ დიდ სივრცეზე — მომცროთათვის“. აკად. სიმონ ჯანაშიას გამოკვევით პლინიუსის მოცემულ მანძილებს „პირდაპირი ხაზით დაახლოებით ორპირამდე მივყავართ, ნამდვილად კი საძიებელი პუნტი შესაძლოა სუჯუნის რაიონში დაიდვას“. აკად. სიმონ ჯანაშია იმოწმებს აგრეთვე გვიანდელ ცნობებსაც, კერძოდ, 1650-1652 წწ. იმერეთში მყოფი რუსი ელჩებისას: „ნიჩბიანი ნავებით რიონზე ზღვიდან ყვირილას შესართავამდე დადიოდნენ“, აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონისას: „ვლანან ნავებით ზღვიდან ბაჟამდე“. რიონზე ნაოსნობის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს შეკრებილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტს, თამაზ ბერაძეს, რაც აგრეთვე მოხსენდა ტიმ სევერინს, კერძოდ: VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსისა და მდ. ტეხურისა და რიონის შესაყართან დაბანაკებულმა ბიზანტიელებმა „ჯარით აავსეს ტრირემები და რაც კი ოცდაათნიჩბიანი ნავები იყო მზად მდ. რიონში და სასწრაფოდ გაყვნენ მდინარის დინებას“, აგრეთვე სხვა მრავალი მონაცემიც (1737 წელს შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ს ბრძანებით რომ გაეგზავნა რუსეთის მთავრობას; ვახუშტი ბაგრატიონისა, ვ. მაევსის, არქანჯელო ლამბერტისა და სხვ.), რომელნიც უტყუარად მოწმობს ზღვიდან მდინარე რიონზე რეგულარულ მიმოსვლას ყვირილას შესართავამდე. ასე რომ, არსებობს სრული საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ არგონავტებს თავისუფლად შეეძლოთ ზღვიდან რიონზე აღმასვლა აიეტის სასახლემდე. ამაში, სხვათა შორის, ადვილად დარწმუნდა ისიც, ვინც თავისი თვალით ნახა, თუ როგორ სწრაფად და ლაღად მოცურავდა რიონზე ახალი „არგო“, რომელსაც ტიმ სევერინის მტკიცე ხელი მართავდა.

ძველი თბილისის ყოფა

წყარო 1. იოსებ გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986.
წყარო 2. თეიმურაზ ბერიძე, ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980.

მეთოდური მითითებანი: *ორივე ავტორი იყენებს ლიტერატურულ მასალებს, მაგრამ იოსებ გრიშაშვილი ძველი თბილისური ყოფის უშუალო შემსწრე და მონაწილეა. მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ორივე ავტორის ინფორმაციები და დაადგინონ მსგავსება-განსხვავებანი. ამის შემდეგ უნდა იმსჯელონ რომელი ავტორია უფრო ობიექტური? როგორ შეაფასებენ აღწერილ წეს-ჩვეულებებს? ისურვებდნენ თუ რომელიმე მათგანის აღდგენას? რატომ?*

ამონარიდები იოსებ გრიშაშვილის წიგნიდან.

ყეენობა!

ყეენობა იყო მასიური, გრანდიოზული გასართობი, რომელსაც საერთო დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა.

ჩვენი ყეენობა გარეგნულად გვაგონებს ევროპულ კარნავალს და ნაწილობრივად — მასკარადს.

გ. წერეთლის სიტყვით: „ამ თავის საყვარელი ჩვეულებით ყოველი ქართველი წელიწადში ერთხელ მსახიობობით გამოიხატავს თვალწინ წარსულ ისტორიულ სურათს. რაში მდგომარეობდა ეს სურათი! იმაში, რომ საქართველოს ერი, ვერც ერთ უცხოელ რჯულის ხალხს ხანგრძლივად ვერ დაუპყრია. ხშირად შემოსულან ძველ დროში სხვადასხვა ქვეყნის ყეენები, მაგრამ იმათი ბატონობა დღეგრძელი არ ყოფილა. ბოლოს მაინც, ადრე თუ გვიან, საქართველოს ერი ამდგარა, „განუხეთქნია აპეურნი მათნი და განუგდია უღელი მათი“.

იგივე „კვალი“ აღგვიწერს ერთ-ასეთ ყეენობის სურათს, რომელიც ერმოლოვის დროს მომხდარა:

„მაშინ ის იყო სოლოლაკის მხარე შენდებოდა. მთავარმართებლის გარშემო იბადებოდა ახალი უბანი ევროპული ხუროთმოძღვრების გეგმაზედ. დადგა ყველიერის უკანასკნელი დღეები, მთელი ტფილისის ქალაქი: ავლაბარი, ნარიყალი და ჩუღურეთი ყეენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული. ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებს და ხანჯლებს. საცერე რგოლებს და შურდულებს. მთელი ქალაქი გაყოფილია ორ უბნად, ერთი იყო ისანი და მეორე ნარიყალი. ნარიყალს ემხრობოდნენ ვერის მხარის მცხოვრებნი. ახალი სოლოლაკის უბანიც ამათკენ იყო. ისნის მხარეს შეადგენდა: ავლაბარი, ჩუღურეთი და გარეთუბანი ანუ კუკიის მხარე. ნარიყალის მცხოვრებნი იყვნენ: მუხრან-ბატონო, ორბელიანი, ბარათასვილი და ერისთავი. ისნის მხარეზედ იყვნენ: კახეთის მებატონეები: ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ვახვახიშვილი, ჯანდიერი, ჯორჯაძე დას ხვ. ერმოოვს ნარიყალების მხარე ეჭირა. ყეენი უნდა გამოსულიყო ისნელებთან და შემოსეოდა ქალაქს, დაეპყრო დილით მთელი ქალაქი და გზების გზაჯვარედინეზე ჩაეყენებინა თავის მოხელეები, ჯარის უფროსები, რომ გამვლელ-გამომლელებისათვის ხარჯი გამოერთმიათ. ამ დროს ნარიყალის მომხრენიც საიდუმლოდ ამზადებდნენ თავიანთ ჯარებს. ტფილისის ქალაქის დუქნები დაიკეტა და მცხოვრებნი ნახევარი ყეენისაკენ იყვნენ, ნახევარი სოლოლაკის ხევში დაიმალა. ყეენმა დაიდგა ტახტი სეიდაბადის მაღლობზე, სადაც დღეს ბოტანიკურ ბაღთან ძველი ციხის ნანგრევია; მისი მოხელენი იწერდნენ გამვლელ-გამომვლელებს და მიჰყავდათ ყეენთან თაყვანის საცემად. ამ სახით განაგრძო ყეენმა თავისი უფლება მთელს ტფილის ქალაქზედ შუადღემდის. ნაშუადღევს ყეენს მოახსენეს, რომ ქვეყანა აჯანყდაო, რომ ერი განუდგა მას და ქართველები სოლოლაკის მაღლობს გადმდგაო. მაშინვე ყეენი გაემგზავრა საომრად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ყეენი საქართველოს ჯარებს ტყვედ ჩაუვარდათ ხელში“

როგორც ვხედავთ, ყეენობა თავისი პირვანდელი სახით ომის მისტიფიკაციას წარმოადგენდა. ბევრი შეიძლება მაშინაც ამ მისტიფიკაციაში მხოლოდ მოცლილი ხალხის გათამაშებას ხედავდა, ბევრისთვის კი იგი იქნება ალეგორიული გამოხატულება იყო იმ საიდუმლო გულის ზრახვებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ განსაკუთრებით საქართველოს იმდროინდელს მოწინავე საზოგადოებაში. ის ინტერესი, რომელსაც ყეენობისადმი იჩენდა მაშინდელი დიდი გვარიშვილობა, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ყეენობა“ სურდათ პატრიოტული პროპაგანდის ალეგორიულ საშუალებად გაეხადათ ისევე, როგორც ისტორიული გმირული დრამები ხდებოდა პატრიოტული პროპაგანდის ერთ-ერთ ფორმად. ყეენი აქ შეიძლება იმდროინდელი მთავრობის კარიკატურულ გამოხატულებადაც ქცეულიყო. მთავრობას, აჯანყების გათამაშება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ტაკიმასხრული ყეენის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ მოსწონდა. და ამიტომ ომის მისტიფიკაცია აიკრძალა. ამის შემდეგ ყეენობას უბრალო პროცესებისა და ცეკვა-თამაშის ხასიათი მიეცა.

ყველიერის ორშაბათს, თბილისის თვითოეულ უბანს თავისი უბნის ყეენი გამოჰყავდა. ამ დღისათვის ყეენად ამოირჩევდნენ ისეთ კაცს, რომელიც ნ. ბერძენოვის სიტყვებით „გონება მახვილი, ოხუნჯი და მოძრავი უნდა ყოფილიყო“.

ამ კაცს მორთავდნენ კარიკატურულად: თავზე ეხურა შაქრის ქაღალდისაგან გაკეთებული წოწოლა ქუდი, ერთ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, მეორეში — ჟანგიანი შამფური, რომელზედაც ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული. ყელზედ ეკიდა თაღლითი მძივები, ტანთ ეცვა გადმობრუნებული ტყაპუჭი, რომელზედაც მოჭერილი ჰქონდა თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი (თულო); სახე გამურული ჰქონდათ და სხვ. აი, ამგვარად მორთული ყეენი იჯდა აქლემზე და თან „ბერიკულად“ გადაცმული ხალხი — ყეენის ამქარი — ზურნის დაკვრით და ხმაურით მისდევდა. პროცესია მიდიოდა ქუჩაში რამდენიმე ხელჯოხიანის წინამძღოლობით; ხოლო, რომელსაც დიდი ყავარჯენი ეჭირა, ის ამ ხელჯოხიანების უფროსი იყო (ეტიკი), ყეენის ამალა გამვლელ-გამომვლელებს გზას უღობავდა და ყეენის სასარგებლოდ ხარკს ახდევინებდა: რომელიმე ხელჯოხიანი წინ გადაუდგებოდა ქუჩაში გამვლელ კაცს, კომბალს წინ დაურჭობდა, ზანგალკებს დაუჟღარუნებდა და „ყეენის სალამს“ მიართმევდა: ეს იმას ნიშნავდა, რომ ფული გადაიხადეო. როცა ხაზინადარი ფულს ქისაში ჩააგდებდა, ხმამაღლა დაიძახებდა: „აა-შე-ნოს!“ ყეენი კი, რომელსაც ხელში დავთარი ეჭირა, აღნიშნავდა შემოსული ფულის რაოდენობას.

ეს წინამძღოლი დუქნებშიც შედიოდა და ყველა მოვაჭრე ვალდებული იყო გადაეხადა მასზე გაწერილი თანხა (ხშირად ხარკს ნატურითაც იხდიდნენ),.

ზოგჯერ ყეენს ზურგშებრუნებითაც დასვამდნენ სახედარზე და ხელში ამ „დიდყურა რაშის“ კუდს მისცემდნენ.

ზოგჯერ კი ყეენი არ მოგზაურობდა. იგი მოთავსებული იყო ცოტა მომაღლო ადგილას, ფეხმორთხმული იჯდა გოდორზე და ყალიონს სწევდა, გვერდით საღრჩობელა იყო აღმართული, ვინც გაწესებულ ხარკს არ გადაიხდიდა, იმას ამ საღრჩობელით ემუქრებოდნენ.

ზოგს ყეენს გვერდით დედოფალიც ჰყავდა (ქალურად გადაცმული ვაჟი) და ირგვლივ ნაზირ-ვეზირი ეხვია.

ერთი უბნის ყეენი მეორე უბნის ყეენს არ უნდა შეხვედროდა, თორემ თუ ძველად ხმლებით და საცერულებით იბრძოლდნენ, ახლა ბრძოლა ჰაერში კეტების ტრიალით იწყებოდა.

შემდეგში ყეენობას უფრო შეეცვალა ნირი და თავისი შინაარსით იგი მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრების ამსახველ კარიკატურად და შარჟად იქცა.

„ივერია“ გადმოგვცემს, რომ 1888 წელს, „ზოგიერთი უბნის ყეენი სამსახურიდან გადმოგდებულ „პიანიცა კაპიტნების“ მუნდირში იყვნენ ჩაცმული; ზოგს მურის მაგიერ ხელთქმნილი ნიღაბი ჰქონდა სახეზე ჩამოფარებული. თვითონ ყეენს გადმობრუნებული ტყაპუჭი ეცვა და სხვ. გუშინ, — განაგრძობს „ივერია“ — ერთი ყეენი აქლემზე შეესვათ და თავზედ შაქრის ქაღალდის ფაფახი დაეხურათ. ურმის თვლებზე კიდევ ლუგანის ქარხნის ზარბაზანი აედოთ; პოვოსკაში კამბეჩები ჰყავდათ შებმული, წინ მიუძღოდნენ შებორკილი ტუსაღები, რომელთაც გარს შუბიანი ჯარისკაცები მისდევდნენ. ქალაქის გამგეობის წინ, ყეენთა ჰყავდათ ჯვრიანი პოლკოვნიკი და ხარჯს ჰკრეფდა ვიღაც მუნდირიანი კაცი... ერთ რომელიღაც უბანს ევროპის პოლიტიკური გამწვავებული მდგომარეობა აუღია და კამეჩებით შებმულ პოვოსკაზე შეუსხამს გენერალი ბულანჟე და თავადი ბისმარკი ერთად, თითქოს იმის თქმა უნდოდათ, რომ გერმანია და საფრანგეთი შეერთდნენო“.

„ყეენობის“ ზეიმის დასასრული ასეთი იყო: ნაშუადღევს წაიყვანდნენ ყეენს და პირდაპირ მტკვარში გადაისვრიდნენ, რასაკვირველია, ისეთ ადგილას კი, რომ არ დამღრჩვალიყო. გრიმგაკეთებული ყეენიც სარგებლობდა ამ შემთხვევით და გამურულ პირს შეიბანდა. მერე ხარჯდადებულ მოქალაქეთაგან მოგროვილი ფულით ყეენობის მონაწილენი დაუსრულებელი ქეიფი ჰქონდათ ორთაჭალაში, მტკვრის პირას, ვერის ბაღებში, დიდუბეში და სხვა.

საგულისხმოა, რომ ეს ყეენობა იმართებოდა დიდმარხვის პირველ დღეს, ეგრეთწოდებულ შავორშაბათს. ამ ხალხურ სანახაობას თავისი ისტორიული სარჩული აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველ ხალხს ახსოვს არა ერთი შემოსევა სპარსელებისა და თურქებისა და, ალბათ, ეს ტიკიმასხარული ყეენი განსახიერება იყო იმ დამარცხებული მტრისა, რომელსაც ქართველი ხალხი დაცინვით იგონებს. თვით ეპიტეტიც, „შავი ორშაბათი“, ხალხური სიმბოლიკაა, დაკავშირებული იმ ორშაბათთან, რომელიც ყეენის შიშით შავად უნდა გასთენებოდა ქართველებს.

მეორე საჯარო გასართობი იყო კრივი. ყეენობა თუ ისტორიული მოგონებაა, კრივი — ფიზიკური ვარჯიშობაა; კრივი ჩვენებური თბილისური ჩვეულებაა. საგულისხმოა, რომ სხვა ერთს (ინგლისური ბოქსის გამოკლებით) მუშტი არ უყვარს, მაგ. რუსს სილა უფრო ემარჯვება. ყარაჩოღელსაც უყვარს სილა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგ., ამქრის დღესასწაულზე. ისე კი ყარაჩოღელი ჭკუის სასწავლებლად მხოლოდ „ბრმა სილას“ ხმარობს (სილა — ნელის ზურგის გარტყმით). კრივის დროს კი დოგადოგა მიდიონენ ერთმანეთზე: ჯერ ერთი მოკრივე შემოჰკრავდა ერთი ხელით მუსტს, ხოლო თუ მოპირდაპირე ისეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, რომ ამ ერთი მოქნეული მუშტით

წაბარბაცდებოდა, მაშინ მეორე მხრიდან მეორე მუშტსაც მიარტყამდა მისაშველებლად, ხომ ზეზე დამდგარიყო სწორად. მერე დაიჭერდა ორივე ხელით — შეაჯანჯღარებდა, შეასწორებდა და კვლავ იწყებოდა ახალი გამოცდა ბრძოლისა.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბრძოლის ხოშის მოსაკლავად ყოჩების მამლების და აქლემთა ჭიდაობას ეტანებოდნენ (ძველად, როცა ბაქოდან ნაცთი აქლემებით მოჰქონდათ, თბილისის მეთავლეები მართავდნენ ნარ-აქლემთა ჭიდაობას — აქლემები ჭიდაობდნენ კისრებით). მაგრამ ყველაზე ძლიერ გავრცელებული იყო ყოჩების ჭიდაობა. ჭიდაობის მოყვარულნი დაყოჩებულ ერკემალს სახლში ზრდიდნენ, განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდნენ, პურზედ ინახავდნენ და ჯაჭვითა ჰყავდათ დაბმული, რომ უბრალოდ არვის დასტაკებოდა. ყოჩაობის დროს კი ქერით ათრობდნენ, ყელზედ ფერადმძივებიან საყელოს უკკეთებდნენ, ქოჩორს ენდროთი უღებავდნენ და უკანგადატანილ რქის წვერებს კოპწიად გადაუხერხავდნენ. მამლების ძიძგილაობა უფრო დუქნის წინ მართებოდა, ყოჩების ჭიაოდაბა კი — გაშლილ ასპარეზზე. ჭიდაობის ადგილას პატრონებს ყოჩები „დროშკებით“ მიჰყავდა, თან აუარებელი ცნობისმოყვარე ხალხი მისდევდა. ჯერ ითათბირებდნენ, მერე აჭიდავებდნენ. დამარცხებული ყოჩის პატრონი გაჯავრებული ქეიფობდა. თუ ჭიდაობა მხარეთა შორის დამარცხების შედეგებს არ იძლეოდა, მაშინ ყოჩაობა კვირისთვის გადაიდებოდა ხოლმე. ჭიდაობას ხელმძღვანელობდნენ ყოჩების პატრონები. ხშირად ყოჩთა ჭიდაობა ძალიან მწვავდებოდა. უკანონობაც ხდებოდა ხოლმე (მაგ., როცა პატრონი თავის ყოჩს ჯაჭვს შეხსნიდა, ამ ჯაჭვს შეუმჩნევლად მოპირდაპირე ყოჩს სახეში მიარტამდა, — ამას ეძახდნენ „ყოჩის გაფუჭებას“). ამ ნიადაგზე ბებუთებიც ტრიალებდა. ბოლო მაინც ერთი იყო: ჭიდაობის გათავების შემდეგ, ყველანი „ჩასხდებოდნენ“ მტკვრის პირას ჩარხებთან და იმართებოდა მეგობრული ქეიფი.

კრივი იმართებოდა კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეები, აგრეთვე ნათლისღების მეორე დღეს, რადგან მიცვალებულთა სულის მოხსენიების გამო, ამ დროს ყველა დუქანი დაკეტილი იყო. ყველაზე დიდი კრივი — ეგრეთწოდებული „ავლაბრის კრივი“ — იმართებოდა კვირაცხოვლობის დღეს, ამ სახელწოდების ეკლესიის მახლობლად.

კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა. შემდეგ 18-20 წლის ჭაბუკები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს. ჭაბუკებს 25-30 წლის ვაჟკაცები მოსდევდნენ; ხოლო, როცა ბრძოლა გამწვავდებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა ძახილი: „ქომაგი!“, „ქომაგი!“ და ეშხში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალავნები უკვე ნამდვილ კრივს იწყებდნენ.

ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ მოკრივეთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ნაცემი და დაბეგვილი მოკრივენი სტოვებდნენ ასპარეზს და ნელი-ნელ უკან იხევდნენ (ეგრეთწოდებული „დამდგარი კრივი“ კი ხშირად ორ-სამ საათს გრძელდებოდა). მაგრამ ბრძოლა ამით არ თავდებოდა: დამარცხებულნი იშველიებდნენ ქვებს, აგურებს, ხის ნაჭრებს და ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. ამის გამო ხშირად იმსხვრეოდა მეზობელი სახლების კარ-ფანჯრები, აივნები, შუშაბანდები და სხვ.; ბევრი მოკრივე ბრძოლიდან დაჭრილი გამოჰყავდათ; ხშირად მოხვედრია დამსწრეებსაც, რომელთა შორის მაღალი თანამდებობის პირებიც იყვნენ.“

ამონარიდები თეიმურაზ ბერიძის წიგნიდან

ძველი თბილისური ყოფა-ცხოვრება წარმოუდგენელი იყო თულუხჩის გარეშე.

ქალაქელები ოდითგანვე სასმელ წყალს მტკვრიდან იღებდნენ. დახრამული და ფლატე ნაპირის გამო ეს ყველგან არ ხერხდებოდა. ამიტომაც გაკეთებული იყო მდინარეზე მისასვლელი თუ ჩასასვლელი საგანგებო ბილიკები. წყალი დაჰქონდათ ხარის ტყავისაგან საგანგებოდ შეკერილი რუმბით — თულუხით, რომელსაც ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული. მას წყლის ჩასასხმელად და გადმოსასხმელად უკეთდებოდა ვიწრო ყელი. თულუხი ცხენს ან ჯორს ჰქონდა აკიდებული ორივე გვერდზე. ცხენს, ზურგი რომ არ გახეხოდა და წყლის შხეფებისაგან დაცული ყოფილიყო, ბეწვიან ტყავს უფნდნენ. ვისაც ცხენი ან ჯორი არ ჰყავდა, თულუხს ზურგით ატარებდა. წყალი ზურგზე მოკიდებული კოკებით დაჰქონდათ და კასრებითაც. წყლის გამყიდველს თულუხჩი ერქვა.

თულუხჩები თან საწყაოსაც (ვედროს) ატარებდნენ. ვედრო წყალი ვერცხლით 1-3 კაპიკი ღირდა, იმის მიხედვით. რა სიშორიდან და მტკვრის რომელი ადგილიდან იყო აღებული. თულუხჩი გაყიდული წყლის ფულს მუშტრისაგან კვირის თავზე ღებულობდა. ანგარიში რომ არ არეოდა, მუშტარს ჯოხს — ღარტყას აძლევდა, რომელზეც ნაჭდევებს აკეთებდა წყლის ყოველ მიტანაზე.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაახლოებით 250 თულუხჩი იყო.

თბილისში გაზაფხულის დადგომა საყოველთაო სახალხო დღესასწაულით აღინიშნებოდა.

გაზაფხულის დღესასწაული ბუნების გაღვიძებას ეძღვნებოდა. მსოფლიოს ძველ ხალხებში სამყარო წარმოდგენილი იყო, როგორც ნაზავი ზესკნელისა და ქვესკნელისა, სიცოცხლისა და სიკვდილისა. გაზაფხული — კეთილი და ზამთარი —ბოროტი. ამ ბრძოლაში ყოველთვის, მართალია, დიდი ბრძოლისა და მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, სიკეთე — გაზაფხული იმარჯვებდა.

ნამდვილი გაზაფხულის თვე აპრილია, როცა თითქმის ყველაფერი ცოცხალი — ხე, ბუჩქი, მინდვრის ყვავილი — აყვავებულია და ხარობს.

ქართველები, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხი, ყოველთვის ზეიმით აღნიშნავდნენ ბუნების გაცოცხლებას, გაღვიძებას, წლის ამ მშვენიერ დროს.

ძველ თბილისელებს ჩვევად ჰქონდათ, აპრილში ქალაქგარეთ გასულიყვნენ და მინდვრად, ანდა რომელიმე ბაღში, ხის ჩრდილში გაშლილ ლურჯ სუფრასთან მოელხინათ. ხელიდან ხელში გადადიოდა აზარფეშა თუ ჯიხვის რქა, კულა თუ ჭინჭილა, თიხის ჯამი და ფიალა. ყოველი მხრიდან ისმოდა სიცოცხლისა და სიყვარულის სადღეგრძელო. იქით დუდუკი კვნესოდა და მომღერალი გულში ჩამწვდომ სიმღერას მღეროდა. აქეთ — საზანდარი და დაირა ართობდა ხალხს. მოქეიფეთ ჩოხის სახელოები აეკეცათ, ახალუხის საკინძე გეხსნათ, აყვავებული ნუშის რტოებით დამშვენებული წიწაკა-ქუდებით თავები დაემშვენებინათ და ბუნების, სიცოცხლის განახლების, გაზაფხულის სადღეგრძელოებს გრძნობით წარმოსთქვამდნენ.

აყვავებული ნუშის ტოტებით იყო მოფენილი მთაზე გაფენი ჭრელ-ჭრელი ნოხები და ფარდაგები. ჯიხვის რქის ყანწყებს ისე შემოეხვიათ ნუშის რტო, გეგონებოდათ, იმ დალოცვილი ჯიხვს რქასთან ერთად ნუშის ხეც ამოზრდიაო თავზე. ირგვლივ აყვავებული ნუშის საამო სურნელი იდგა.

თბილისში ამ დღესასწაულს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაერთო რუსების მიერ ევრპიდან გადმოღებული დღესასწაული, რომელსაც „გვირილების დღე“ ეწოდებოდა.

ეს დღესასწაული აპრილ-მაისში იმართებოდა. ეს იყო ყვავილების ზეიმი. ამ დღეს ქალაქის ქუჩებში დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს მკერდზე ყვავილი ჰქონდა მიბნეული. ამ ყვავილებს ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ პატარა გოგონები და ყიდდნენ. ყვავილებთან ერთად მათ პატარა თუნუქის კოლოფიც ეკავათ ხელში და „ნავაჭრ“ ფულს ყრიდნენ. ეს იყო საქველმოქმედო ღონისძიება. შეგროვილი ფული ხმარდებოდა ფილტვებით დაავადებულ, უპატრონო ავადმყოფებს. „გვირილების დღეც“ ამიტომ ერქვა — გვირილა ხომ ჭლექით დაავადებულთა, უფრო ზუსტად, ჭლექის ავადმყოფობის სიმბოლოა. ამიტომ გაზაფხულის ამ სადღესასწაულო დღეს ერთგვარი სევდაც ახლდა.

ქართული ჭიდაობაც, მუშტი-კრივის მსგავსად, თან ახლდა ყველა დღესასწაულს. ავლაბარში, ჩუღურეთში, ელიაზე, კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში, ახალ კუკიაში, მუშტაიდების ბაღის მოპირდაპირე მხარეს, სადაც იტალიელებს იჯარით ჰქონდათ აღებული მიწის ნაკვეთი, ე.წ. „იტლიელების ბაღი“ (დღეს ამ ადგილს ტრამვაის მუშაკთა საცხოვრებელი სახლებია აღმართული, პლეხანოვის გამზირზე; ვერაზე, ფიქრის გორაზე, ჭიდაობას ბაჭუჭუა და წვერიანი ალექსა მოთავეობდნენ.

დიდუბეში — ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად — ძველი იპოდრომის პირდაპირ, მტკვართან, თავად ციციშვილს თავის მამულში მოწყობილი ჰქონდა გადახურული საჭიდაო მოედანი, რომელსაც „კნიაზების კრუგს“ უწოდებდნენ.

ჭიდაობა ასე იწყებოდა. დღესასწაულზე, სადაც ხალხმრავლობა იყო, უცბად, მოულოდნელად ზურნა „აჭყვიტინდებოდა“ და გაისმოდა რომელიმე საცეკვაო ჰანგი. ეს იყო თავისებური ხერხი ხალხის ყურადღების მისაპყრობად. თანდათან დამკვრელის გარშემო შეიკრიბებოდა ხალხის წრე. სად იყო და სად არა, გამოჩნდებოდა „არბიტრი“ — მსაჯი, ხელში სახრით და მაყურებელს სთხოვდა, წრე გაეფრთოებინათ. თან ფეხებთან სახრეს ურტყამდა. შემდეგ ზურნა საცეკვაოდან საჭიდაო ჰანგზე გადადიოდა. და აი, გაირღვეოდა მაყურებელთა წრე და მის შუაგულში გამოჩნდებოდა საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი მოჭიდავე, მას მეორეც მოჰყვებოდა და ხალხისა და ერთმანეთის მისალმების შემდეგ იწყებოდა შერკინება.

საჭიდაოდ გამოდიოდნენ ცნობილი მოჭიდავეები. თითოეულ მოჭიდავეს თავისი მომხრეები (გულშემატკივრები) ჰყავდა, რომლებიც სანაძლეოს დებდნენ ერთმანეთში; ისინი თავიანთ ფალავნებს შეძახილებითა და ყიჟინით ამხნევებდნენ. ჭიდაობის შემდეგ შერკინებისაგან გახურებულ კუნთებს ჩაციებული ღვინით იგრილებდნენ. ეტლით მიეშურებოდნენ რომელიმე დუქანში და იქ ილხენდნენ.

ძველ თბილისში ქართული ჭიდაობის განთქმული ფალავნები იყვნენ: მეტივე დათა ხიზამბარელი, მედროგე ურეხა, ივანე ყირიმელაშვილი (კულა გლდანელი), ნიკა მეტეხელი, სარქისა ავლაბრელი, მეტსახელად თოხანა, პატარა მთაწმინდელი (ნასიბოვი), შაშო ვერელი (კახნიაშვილი), ლევან დიღმელი, დათა ავლაბრელი, კოლა იარმურკელი, ვანო გლდანელი (წამალაშვილი) და მრავალი სხვა.

ძველი თბილისის ერთ-ერთი საინტერესო სანახაობა იყო ყოჩების ჭიდილი, რომელიც ბაზრის მოედანზე იმართებოდა სადღესასწაულო ცერემონიალის ან მისი დამთავრების შემდეგ. საჭიდაოდ ყარაჩოღელი წინასწარ ყიდულობდა კარგ ერკემალს (სამი წლის ცხვარს) სახლში ჰყავდა დაბმული და ასუქებდა, თან ყოჩობას ასწავლიდა. როცა კარგად გაწვრთნიდა, რქებს გადაუხერხავდა, ქერით დაათრობდა, ყელზე ფერად ბაფთს შებამდა, შუბლს ენდროთი შეუღებავდა და მოედანზე დასაჭიდებლად წაიყვანდა. მოედნის შუაგულში ყოჩის პატრონი მეზობელი დუქნიდან საასპარეზოდ იწვევდა მეორე ყოჩის პატრონს.

ყოჩებს ერთმანეთისაგან დაშორებით აყენებდნენ. ისინი ერთხანს თავდახრილები ათვალიერე-

ბდნენ ერთმანეთს. მაყურებელი ყიჟინით აქეზებდა მათ. ხალხის ღრიანცელზე ყოჩები ელვასავით სწყდებოდნენ ადგილს და ერთმანეთს შუბლით ასკდებოდნენ.

ყოჩების ჭიდილი მთავრდებოდა ქალაქის რომელიმე დუქანში, სადაც გამარჯვებული და დამარცხებული ყოჩების პატრონებს ერთმანეთს „არიგებდნენ“.

ყოჩების გარდა ძველ თბილისში აჭიდავებდნენ აქლემბს, აძიძგილავებდნენ მამლებს.

საკინკლაო მამალს საგანგებოდ არჩევდნენ. მამლების ჩხუბი ეწყობოდა ბაზარში, ქუჩაში, სახლის ბანზე. მამლების პატრონები ერთმანეთში ნიძლავდებოდნენ, სანაძლეოს მაყურებლებიც დებდნენ.

ქართულ საწესო ჩვევაში მამალი ოჯახის ბარაქის, კარგად ყოფნის, მამრობითი სქესის სიძლიერის, მზის კულტის სიმბოლო იყო. ამდენად, ჩვენს ყოფაში მამლების კინკლაობის შემორჩენა შეიძლება უძველესი წეს-ჩვევის გადმონაშთი იყოს.

სანახაობათა თვალსაზრისით, ყველიერი თავის კულმინაციას, უმაღლეს წერტილს სახალხო კარნავალის — ყეენობის გამართვით აღწევდა.

ყეენობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მრავალჯერ იცვალა სახე.

ყეენობის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ერთ რამეში ყველას აზრი ერთმანეთს ემთხვევა: ეს უნდა იყოს ძველი ქართული წარმართული რელიგიიდან შემორჩენილი სანახაობა, რომელსაც ფორმა მეტ-ნაკლებად შემორჩა, შინაარსი კი მთლიანად შეეცვალა.

ივ. ჯავახიშვილი, ეხებოდა რა ზემო სვანეთში საყველიერო დღესასწაულს, მურყვამობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჩვევას: „კვირიაჲს“, „ადრეკელაჲს“, „მელია ტულეფიას“, ფერხულ „ჭიშხოს“ და ოთხ სხვადასხვა სიმღერას, ასკვნიდა, რომ სვანეთში დაცულ ამ ჩვევებში შეიძლება მეტნაკლებად დადგინდესო ყეენობის პირველყოფადობა. დროთა სვლას დაუმახინჯებია წულიანობისა და ნაყოფიერების ღვთაების „კვირიას“ დღესასწაულის პირვანდელი სახე. „კვირიას“ დღესასწაულის სახეცვლილებები ნათლად ჩანს დრესასწაულის მონაწილე ჯგუფის მეთაურის სახელის ცვალებადობაში „კესარი“ — კეისარი, „ყაენი“— ყეენი, „შაჰი“.

ალ. ხახანაშვილი ყეენობის საწყისს ხედავდა ძველ ქართულ წარმართულ რელიგიაში: „... წარმართული დღესასწაულის მოგონება შემორჩენილია ქართველი ხალხის ყველიერის დროს გატარებაში (დათო-დათვი, ბერიკაობა, ჩალიჩობა), დიდმარხვის ორშაბათს ყეენობის დაწყებით და სხვა. ყეენობა გვაგონებს ბრძოლას ზამთარისა და გაზაფხულისას, ბრძოლას, რომელიც თავდება გაზაფხულის გამარჯვებით, თვით სახელწოდება კი ამ დღესასწაულისა გვარწმუნებს, რომ ძველს წარმართულს ნაშთს დაერთო რაღაც ისტორიული მოგონება სპარსეთის გავლენის დროის...“.

XIX საუკუნის 10-იან წლებში, კავკასიის მთავრამართებელ ერმოლოვის დროს (1816-1827 წწ.) გამართულია ყეენობა, რომელშიც ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი ძველი ელემენტები. ყეენობაში მთელი ქალაქი მონაწილეობდა, როგორც მდაბონი, ისე — თავადაზნაურობა.

დიდარხვის ორშაბათის წინა დღეებში მთელი ქალაქის ხელოსნები, თითქოს სხვა საქმე არა ჰქონიათ-რა, ამზადებდნენ ხის ხმლებს, ხანჯლებს, საცერე რგოლებს და შურდულებს.

და აი, დადგა ნანატრი დიდი ორშაბათი. ქალაქი ორ ბანაკად იყო გაყოფილი — ისნელები და ნარიყალას უბნელები. ისნელებს ემხრობოდნენ ავლაბრელები, ჩუღურეთელები და კუკიელები, ნარიყალას უბნელებს — ვერე და გარეთუბანი.

ორ ბანაკად იყო გაყოფილი ქალაქის არისტოკრატიაც. ნარიყალას მხარეზე იყვნენ მუხრან-ბატონი, ორბელიანები, ბარათაშვილები, ერისთავები, მთავარმართებელი ერმოლოვი, ისნელთა მხარეზე — ჭავჭავაძეები, ჩოლოყაშვილები, ვახვახიშვილები, ჯანდიერები, ჯორჯაძეები.

ვთქვათ, სანახაობის მთავარი გმირი — ყეენი — ისნელია. ყეენის სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმა ასეთი იყოგ ის თავისი ჯარით ქალაქს დილით უნდა შესეოდა. ქალაქის დაპყრობის შემდეგ გზაჯვარედინებზე თავის მოხელეებს დააყენებდა, რომლებსაც გამვლელ-გამომვლელნი უნდა დაეხარკათ და ხარჯი, ფულადი გადასახადი აეკრიფათ. თვით ყეენი თავისი ჯარის — „მხედრიონის“ — მოქმედების სათვალთვალოდ, სეიდაბადის მაღლა მდებარე თაბორის ციხის ნანგრევებთან დაიბანაკებდა ცოლთან ერთად.

ყეენის ჯარს არა მარტო ქალაქი, მისი გარეუბნებიც უნდა გაეპყრო.

ამ დროს არც „მოწინააღმდეგე“ მხარე იდგა უქმად, იგი მომხვდურის დასახვედრად ემზადებოდა, თავიანთი „ჯარი“ მათ სოლოლაკის ხევში ჩაესაფრებინათ,

დაიწყო ყეენის ჯარის ახალი შემოტევა. მან დაიპყრო მთელი ქალაქი, მისი გზაჯვარედინები და გამვლელისაგან ხარკის — ფულის აკრეფა დაიწყო. ვისაც დაიჭერდნენ, ყეენთან მიჰყვდათა თაყვანის საცემად.

ქალაქზე ყეენის ბატონობა შუადღემდე გრძელდებოდა. ნაშუადღევს ყეენს მოახსენებდნენ, ქალაქი აჯანყდაო: ქართველები განდგომოდნენ და სოლოლაკის ქედი დაეკავებინათ.

და აი, ყეენი საომრად მოემზადა. ის და მისი მეუღლე სახედრებზე შესხდნენ და ჯართან ერთად განდგომილებს შეუტიეს,

ბრძოლა შურდულებით დაეწყო. ზუზუნი გაჰქონდა შურდული გატყორცნილ რიყის ქვებს. მერე „მოწინააღმდეგენი“ ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ; ზოგი მუშით იბრძოდა, ზოგი ხის ხანჯლებით და ხმლებით. ამ „ბრძოლაში“ ბევრი შავდებოდა, თავ და ცხვირგატეხილს ბევრს ნახავდით ქალაქის ქუჩებში.

ნარიყალელებმა დაიფრინეს ყეენის გუნდი. თვით ყეენი და მისი მეუღლე ტყვედ ჩაიგდეს, სახედარზე პირუკუღმა შესვეს, მტკვრის ნაპირზე ჩაიყვანეს და ორივენი მდინარეში ჩაყარეს. ამით თავდება ყეენობა. „ასე წარმოადგინეს მტრისაგან ქვეყნის დაპყრობა, მერე ქვეყნის განდგომილება და ბოლოს ყეენის ხელიდან ქვეყნის დახსნა“ (გიორგი წერეთელი).

თავისი არსებობის მანძილზე ყეენობამ მრავალჯერ იცვალა სახე. თუ XIX საუკუნის დასაწყისში ყეენობაში ქალაქის მოსახლეობა ორად იყო გაყოფილი, საუკუნის შუა ხანებში თითქმის ქალაქის ყველა უბანს თავისი ყეენი ჰყავდა. მათი მოქმედების არეც იმ უბნით შემოიფარგლებოდა, რომელი უბნიდანაც ის იყო. ერთი უბნის ყეენს მეორე უბანში გადასვლის უფლება არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ატყდებოდა აყალ-მაყალი და ხშირად ასეთ წესრიგის „დარღვევას“ ხელკეტებით ჩხუბიც მოჰყვებოდა ხოლმე.

XIX საუკუნეში თბილისური ყეენობა უკვე ჩამოყალიბებული თეატრალური სანახაობა იყო, რომელიც წარმოიქმნა ხალხური შემოქმედების მდიდარ ბაზაზე. ეს იყო ზეპირად შექმნილი წარმოდგენა, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, შემოქმედებითად გამოეყენებინათ თავიანთი სამსახიობო ნიჭი. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ყეენის როლის შემსრულებელს საგანგებოდ არჩევდნენ. ყეენი გამოირჩეოდა თავისი კომიკურობით და იუმორით.

ყეენობა პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე წარმოდგენა იყო, რომელსაც განასახიერებდა ხალხი და ყეენი-იმპროვიზატორი პანტომიმის საშუალებით. გასული საუკუნის 80-იან წლებში ყეენი ტყაპუჭის ნაცვლად იცვამდა კიტელს, რითაც ანსახიერებდა ლოთ და სამსახუიდან გადამდგარ ოფიცერს, მისი მოხელეებით ჩინოვნიკების ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი,

ყეენი ჰყავდათ ავლაბრელებს, კუკიელებს, სოლოლაკელებს, ხარფუხელებს და შუაქალაქელებს. ყეენს ხელოსნები ირჩევდნენ თავიანთი რიგებიდან. ამორჩეული უარს ვერ იტყოდა. რომელი ქვეყნიდანაც იყო ყაენი, იმ ამქრის დროშა მიუძღოდა წინ. ყეენს სახეს გაუმურავდნენ და ვირზე პირუკუღმა შესმულს მთელს უბანს შემოატარებდნენ, მერე მტკვარში ისეთ ადგილას გადააგდებდნენ, არ დამხრჩვალიყო, შემდეგ ფულს აგროვებდნენ, ქეიფობდნენ და ყეენისაგან დახსნასა და მისი სიკვდილს უქმობდნენ. ხალხური გადმოცემით, ამით განასახიერებდნენ ირანელი მოხელის ქალაქიდან განდევნას.

მაგრამ ყეენობამ თანდათან პოლიტიკური სახე მიიღო და XIX საუკუნის 90-იან წლებში ადგილობრივმა ხელისუფლებმ იგი აკრძალაა. მიუხედავად ამისა, ქართველი კაცის ძვალ-რბილში გამჯდარი ეს სანახაობა, შეცვლილი სახით, მაინც განაგრძობდა არსებობას. ყეენობის ნაცვლად გაჩნდა „ყეენობის კუდი“, ანუ „ისპანახობა“. „ისპანახობამ“ ყეენობის მხოლოდ ბოლო ნაწილი — ქეიფი — შემოინახა, ამიტომაც ეწოდა მას „ყეენობის კუდი“. მეორე სახელი — „ისპანახობა“ — იმიტომ დაარქვეს, რომ საქეიფო სუფრაზე მხოლოდ სამარხვო საჭმელი ჰქონდათ: ისპანახი, ჯონდოლი, ღანძილი და სხვა. მაგრამ ეს სამარხვო საჭმელები ქეიფს ხელს არ უშლიდა.

„ყეენობის კუდი“ ორთაჭალის ბაღში იმართებოდა. ქეიფი გვიან ღამემდე გრძელდებოდა. რომ დაბინდდებოდა, ჩირაღდნებით ხელში, ზურნა-დუდუკის დაკვრითა და ცეკვა-თამაშით მთელ ქალაქს შემოივლიდნენ ხოლმე, მერე ისევ საქეიფო ადგილზე მოიყრიდნენ თავს.

დღესასწაულის მონაწილეთ, გარდა იმისა, რომ ქეიფობდნენ და ლხინობდნენ, ერთი კარგი წესიც ჰქონდათ: ქეიფის დროს ფულს ჩამოდიოდნენ, აგროვებდნენ, შემდეგ კი ამ ფულით ქრომელიმე ქალქელის ღარიბ, გასათხოვარ ქალიშვილს მზითევს უმზადებდნენ და ათხოვებდნენ კიდეც.

„ყეენობის კუდში“ ეტობა, ამ მიზნით სოვდაგრები, ვაჭრები და გამოჩენილი პირებიც მონაწილეობდნენ. „წელს, — წერდა გაზეთი „კვალი“ 1894 წელს,Ã20-ს, — „ყეენობის კუდზე“ ჩვეულებრივად დიდ ვაჭრები და სოვდგრები აღარ დასწრებიან... მათ ნაცვლად სხვაგვარად შესანიშნავმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა და უფრო ბანკების წარმომადგენლებმა... ფოტოგრაფს გადაუღია იმათი სურათი და საუცხოვო სანახავიც არიან მოქეიფენი ქაღალდის გვირგვინებით თავზე, ანუ ჩაჩებით! ... რომ წესიერება დაცული ყოფილა, ამას ამტკიცებს ის, რომ იქვე თავზე ადგათ მათ პოლიციელის ბოქაული, რასაკვირველია, უგვირგვინოდ. ფოტოგრაფია საუცხოოდ არის გამოსული ასე, რომ ერთი შეხედვისთანავე იცნობ თითოეულს მათგანს, თუმცა ქაღალდის გვირგვინები კი ადგათ თავზე“.

„ყეენობის კუდის“ ერთ-ერთი აუცილებელი წესი ყოფილა თავზე ქაღალდის გვირგვინების, ჩაჩის დადგმა და ტანზე „პამპულას ტანისამოსის ჩაცმა“.

ერთ-ერთ „ისპანახობაში“ მონაწილეობა მიუღია დიდ ილიასაც. ეს უნდა მომხდარიყო იმ წელს, რომელსაც აღწერს დამოწმებული კვალი, კერძოდ, 1894 წელს.

ხალხის მოთხოვნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყეენობა, თავისი პირვანდელი სახით, დაუშვა 1914 წელს. ამიერიდან ყეენობა იმართებოდა არა ყველიერის ორშაბათ დღეს, არამედ შაბათს, და არა ქალაქში, არამედ მის გარეთ. მაგალითად 1914 წელს ყეენობა ნავთლუღში გამართულა.

ყველიერის კვირაში ძველ თბილისში ყეენობის გარდა იმართებოდა ბერიკაობა, ანუ დათოობა. ესეც ყეენობასავით სამასკარადო სანახაობა იყო. მოხუცის ტანსაცმელში გამოწყობილი ნიღბიანი ახალგაზრდა კაცი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და მანჭვა-გრეხით და ცეკვით გამვლელ-გამომვლელს თავს აწონებდა, რისთვისაც ჯილდოდ თხოულობდა ფულს.

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში გამართულ ყეენობა-ბერიკაობას, თავისი ხასიათით, თავისი საერთო-სახალხო სადღესასწაულო განწყობით უკვე აღარაფერი ჰქონდა საერთო რელიგიასთან. ამიტომაც ილაშქრებდა ეკლესია ყეენობა-ბერიკაობის წინააღმდეგ.

გაზაფხულზევე იმართებოდა მუსლიმთა ერთ-ერთი დდი დღესასწაული ნოვრუზ ბაირამი, ანუ საახალწლო ბაირამი.

მაჰმადიანი მლოცველები დილით იკრიბებოდნენ მეტეხის ხიდთან მდგარ შაჰ-ისმაილის დროინდელ მეჩეთში, სადაც დილის 11 საათზე იწყებოდა ლოცვა. შემდეგ მლოცველნი, ორ დიდ ჯგუფად მიემართებოდნენ სოლოლაკის უბნისკენ (დღევანდელი ჭონქაძის ქუჩა), სადაც იმყოფებოდა თბილისში სპარსეთის საკონსულო.

აი, როგორ აღწერს ამ დღესასწაულს გაზეთი „ივერია“ (1886 წ. №55): „კვირას, 9 მარტს, მუსულმან შიიტები თავიანთ ახალწლის პირველს დღესასწაულობენ. ეს დღესასწული ყოველთვის სამის დღით არის ხოლმე. ტიფლისში მცხოვრებნი სპარსელნი პირველად თავიანთ კონსულს მიულოცავენ ხოლმე, მოდის მთელი ამქარი ზურნითა და დაფითა. კონსულის სახლი იმ დღეს მორთულ-მოკაზმულია. შარბათით გამოეგებება კონსული და მათგან რამოდენიმე სიტყვის მოსმენის შემდეგ, თითონაც წარმოთქვამს ორიდე სიტყვას. წლეულსაც, როგორც ყოველთვის, დიდის ამბით იდღესასწაულეს მუსლიმანებმა თავიანთ იუ ახალი წელიწადი. კონსულის შემდეგ, ზოგი მუშტაიდის, ზოგი საბოტანიკო ბაღში გაემგზავრნენ სასეირნოდ. კონკის ვაგონები გაჭედილი იყო მათგან. ყოველს ნაბიჯზე შეხვდებოდათ პირ-მოცინარეს და მურტალს მუსულმანს“.

მაჰმადიანებს ბაირამის სახელით კიდევ ჰქონდათ დღესასწაული, ოღონდ მას ყურბან-ბაირამი (ყურბან მსხვერპლი) ეწოდებოდა და იმართებოდა აგვისტოს თვეში. ეს იყო მცირე ბირამი. იგი დღესასწაულობდა მარხვის — რამაზანის შემდეგ — და გრძელდებოდა სამი დღე. ყურბან-ბაირამის დროსაც ულოცავდნენ სპარსეთის კონსულს. ამ დღესასწაულის დროს იკვლებოდა ცხვარი მოლას თანდასწრებით. დაკლული ცხვრის ხორცს ქალაქში მცხოვრებ ღარიბ მაჰმადიანთა ოჯახებს უგზავნიდნენ.

რას მოგვითხრობენ კულტურის ძეგლები?

ძველი ქართული არქიტექტურა

გაკვეთილის მიზანი: გააცნოს მოსწავლეებს ქართული საეკლესიო არქიტექტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები.

ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურაში IV *საუკუნიდან* ვხვდებით საეკლესიო ნაგებობათა ორ უმთავრეს სახეობას 1. წაგრძელებული უგუმბათო შენობა ე.წ. ბაზილიკა 2. ცენტრული.

წყარო 1. ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1974წ.

ბაზილიკა – წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო შენობა, რომელიც შიგნით, სიგრძივი მიმართულებით, სვეტების ან ბოძების მწკრივით გაყოფილია ნავებად. შუა ნავი განაპირა ნავებზე უფრო ფართო და მაღალი, გადახურულია ორფერდა სახურავით, მის ზემო ნაწილში (ბოძების ან სვეტების ზემოთ) შეიძლება სარკმლები იყოს მოთავსებული; განაპირა ნავების სახურავი ცალფერდაა. საქართველოში ცნობილია სამნავიანი ბაზილიკები (ძველი შუამთა, ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ურბნისი) გვ. 197.

საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა „სამეკლესიანი ბაზილიკა“ უწოდეს....

სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკის გვერდით, საქართველოში იმთავითვე შემუშავდა უგუმბათო ნაგებობათა კიდევ ერთი, უმარტივესი სახე: ერთნავიანი (ანუ ცალნავიანი) ეკლესია, რომელიც იარსებებს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე.სოფლის მცირე სამლოცველოთა უმეტესობა ამ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა არსებობს საკმაოდ მოზრდილი ერთნავიანი ეკლესიებიც. გვ. 19.

ჩვენამდე მოღწეული ბაზილიკების უადრესი ნიმუშებია: ნეკრესის პატარა ეკლესია (IV ს). ძველი შუამთის პატარა ეკლესია და ბოლნისის სიონი (V ს) ე. წ. ანჩისხატი თბილისში, ურბნისი (VI ს)

სამეკლესიიანი ბაზილიკის ნიმუშებია ზეგანის, ქვ. ბოლნისის, დმანისის (VI–VII ს.ს.)

ამ ეკლესიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლნისის სიონი. ის მოპირკეთებულია ფირუზისფერი–მომწვანო ქვით. აქ პირველად ვხვდებით სკულპტურულ და ორნამენტულ სამკაულებს. მისმა კედლებმა შემოგვინახა საქართველოში გადარჩენილი უძველესი ქართული წარწერები.

VI საუკუნის შუა წლებიდან საქართველოში იწყება გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების განვითარება. ცენტრალურ გუმბათოვანი ნაგებობაა მცხეთის ჯვარი (VI–VIIსს). ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში. ტაძარი საოცრად ესადაგება გარემოს. VII საუკუნეში იქმნება მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრები: ატენის სიონი, მარტვილი.

წყარო 2. *ცენტრალური შენობა (ეკლესია და სხვა), რომლის გეგმაც თანაბარზომიერადაა განვითარებული ცენტრალური შვეული ღერძის გარშემო, უპირისპირდება ბაზილიკას და სხვა შენობებს რომელთაც მკაფიოდ გამომჟღავნებული ერთი (სიგრძივი) ღერძი აქვთ. საქართველოში ცენტრალური შენობის მაგალითებია ადრინდელი ტეტრაკონქები, ჯვარისა და ბანას ტიპის ტაძრები, X საუკუნის ექვს აბსიდიანი ეკლესიები და სხვ.*

რადგანაც ქვეყანაში იზრდებოდა მოსახლეობის (და შესაბამისად მორწმუნეთა) რიცხვი უკვე საჭირო გახდა უფრო დიდი ტაძრების მშენებლობა.

წყარო 3. *საკულტო არქიტექტურაში უმთავრეს ადგილს იჭერს გუმბათოვანი ტაძრის ტიპი მკაფიოდ ხაზგასმული სიგრძივი ღერძითა და მასებით, რომლებიც სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნის; ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას აღმართულია მაღალყელიანი გუმბათი, რომელიც ოთხ ბოძს ეყრდნობა; დასავლეთის მკლავი გრძელია და მასში შეიძლება კიდევ იყოს ბოძები. პირველად, Xს–ის მეორე ნახევარსა დაXI საუკუნის დასაწყისში, ხშირად მიმართავენ ტრიკონქის ტიპს, რომელიც ამის შემდეგ სრულიად ქრება. ამ ტიპის უმთავრესი ნიმუშებია ოშკისა და ალავერდის კათედრალები და ქუთაისის ბაგრატის ტაძარი.*

XI საუკუნის მესამე ფუძემდებელი ძეგლია – სვეტიცხოველი, ყველაზე დიდი მოცულობის ტაძარი ძველ საქართველოში.

მეთოდური მითითებები: მოსწავლეებმა ტექსტში მოცემული ტაძრები უნდა მოძებნონ დროის ხაზზე. მოაწყონ ექსკურსიები მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლომდებარე ტაძრებთან და განსაზღვრონ რომელ არქიტექტურულ ტიპს განეკუთვნებიან ისინი. იმსჯელონ, რამ განაპირობა ტაძრების მოცულობის ზრდა.

განმარტება: 1 ტეტრაკონქი – ოთხაბსიდიანი ეკლესია ან სხვა რაიმე შენობა.
2. ტრიკონქი – სამაბსიდიანი ეკლესია ან სხვა რაიმე შენობა.
3. აბსიდი, აფსიდი – ნახევარწრიული მოხაზულობის სადგომი. ქრისტიანულ ეკლესიაში. აბსიდში მოთავსებულია საკურთხეველი.

საქართველოს ძველი ხიდების მთავარი სახეები

ნიკო კვეზერელი-კოპაძე, „ძეგლის მეგობარი“, 1969, №19, გვ. 38-46.

საქართველო ძველად წარმოადგენდა იმ ხელსაყრელ ასპარეზს, სადაც ადამიანის საზოგადოების ჩასახვასთან ერთად ხიდებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის არსებითი, სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა მისცემოდა. მართლაც, მრავალრიცხოვანი ფაქტიური მასალის გამოყენებით და ზოგიერთი შემონახული, განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიმუშების გაშუქებით, ჩვენ თვალწინ იშლება ნათელი სურათი იმ მძლავრი და იმავე დროს მონესრიგებული საგზაო-სახიდე მეურნეობისა, რომელმაც ფართო განვითარება მიიღო საქართველოს ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ძველად ხიდების მშენებლობა ქართველი ხალხის ტექნიკურ შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად თვალსაჩინო დარგს წარმოადგენდა.

საკმარისია გავეცნოთ არსებულ წყაროებს და მატერიალურ ძეგლებს, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად განვითარებული და გავრცელებული ყოფილა საქართველოში სახიდე ნაგებობანი.

ამას ადასტურებენ ძველი ქვის ხიდები, რომელთა ცალკეულმა ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწიეს და ის აუარებელი ხიდების ნარჩენები და ნაშთები, რომლებიც ჩვენ გვხვდებიან წარსულ დროიდან საქართველოს თითქმის ყველა მდინარეზე. ამჟამად ისინი სრულუფლებიან კულტურის ძეგლებად გვევლინებიან და მათი შესწავლა-დაცვა ჩვენი ვალია.

ამასთან ერთად არსებობენ რეალური ცნობები შესანიშნავი ქართული ხიდების შესახებ, როგორც ანტიკურ მწერლობის ნაწარმოებებში, ისე უფრო გვიანდელ ავტორთა წერილებში. ყველა ისინი ადასტურებენ, რომ ძველად საქართველო, ხიდმშენებლობის ხელოვნებაში, მაღალ დონეზე იდგა.

ავიღოთ თუნდაც XII ს., მეფე დავით აღმაშენებლის (1084-1125 წწ.) ისტორიკოსის ცნობა, რომელიც წერს – მეფე დავითმა „აღაშენა რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა“ („ქართლის ცხოვრება“, წიგნი I, თბილისი, 1955 წ., გვ. 353).

შუა საუკუნის ქართველი ავტორის ხატოვან აღწერაში ჩვენ თვალწინ იშლება X-XI სს. საქართველო კეთილმოწყობილი გზებით და მკვიდრი ხიდებით, ეს იმ დროს, როდესაც მისი თანამედროვე ფეოდალური ევროპის გზები გაუვალ ტალახებში იფლობოდნენ და თითო-ოროლა ქვის კაპიტალური ხიდი ამშვენებდა მხოლოდ მსხვილ სავაჭრო ცენტრებს.

სავარაუდოა, რომ საქართველოს ისტორიის უფრო ადრეულ ხანაში უმთავრესად გავრცელებული იქნებოდა ხის ხიდები, რაც განპირობებული იქნებოდა ადგილობრივი მშენებლობისთვის ხელსაყრელი მაღალხარისხოვანი ხის მასალის დიდი მარაგით. მასთან ერთად მისი დამუშავების სიადვილით და სიმარტივით.

მაგრამ მათი ნარჩენები ჩვენამდე ვერ მიაღწევდნენ. ისინი უძველეს ხანაშივე განადგურდებოდნენ, თუმცა გამორიცხული არ არის მათი ნაშთების გაძლება ღრმა მიწის ფენებში.

მომდევნო ხანაში, ქართული სამშენებლო ხელოვნების განვითარების შემდგომ საფეხურზე, ადგილობრივი მაღალხარისხოვანი სამშენებლო ქვის და შემაკავშირებელი მასალის (უმთავრესად კირის) საფუძველზე შეიქმნა, გაჩნდა უფრო მტკიცე და ხანგამძლე ქვის, თაღოვანი და კამაროვანი ხიდების მშენებლობის პირობები.

ამგვარი ხიდები გამოირჩეოდნენ თავისი სილამაზით, მოხდენილობით, სიმტკიცით. პირველ ხანებში მდინარის გადახურვის მალი შეზღუდული უნდა ყოფილიყო, დაახლოვებით 10-15 მეტრის ფარგლებში. შემდეგში ისინი თანდათანობით მატულობდნენ და მიაღწიეს 25 და მეტ მეტრამდე („გატეხილი ხიდი“ და სხვა).

საქართველოში ხიდმშენებლობის ქვის ძეგლები შეიძლება აღვნიშნოთ ორი მთავარი სახის: ქვის თაღოვან-კამაროვანი ხიდები და ქვის ბურჯებზე (საყრდენებზე) დაყრდნობილი ხის კოწოვანი კონსტრუქციები.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ რამდენიმე ტიპიურ ნიმუშს ამ ორივე სახის ხიდებისა და დავასახელებთ უმთავრეს ლიტერატურას.

1. ქვის კამაროვანი ხიდი მდ. თეძამზე.

მეტად ლამაზი ერთმალიანი, თხელთაღოვანი ქვის ხიდი მდებარეობს ძველ მონასტერ რკონთან, კასპის რაიონში. იგი გადასტყორცნილია მდ. თეძამის ერთი ნაპირიდან მეორეზე. მისი განი უდრის 1,5 მეტრს.

ნაგებობა მეტად მარტივია, მაგრამ იმავე დროს დიდ შთაბეჭდილება სტოვებს, მეტადრე ადგილობრივ ბუნებრივ გარემოცვაში.

რკონის ხიდის შესახებ აღნიშნავს პროფესორ-არქიტექტორი ნ. პ. სევეროვი – „აქ ადგილი არა აქვს არავითარ მოპირკეთებას, იგი შთაბეჭდილებას ახდენს თავისი კონსტრუქციული და არა მხატვრული თვისებებით“.

მკვლევარი ბ. მ. ნადეჟინი ამგვარად ახასიათებს თეძმის ქვის ხიდს – კასპის რაიონის სოფელ რკონში, მეტეხიდან 10 კმ. დაშორებით მდინარე თეძამზე არსებობს ძველი ხიდი. ხიდის კამარა დაწყობილია არა სწორი ფორმის ბრტყელი ქვის ფილებისაგან.

თეძმის ხიდი ემსახურებოდა არა მარტო ადგილობრივ სამონასტრო დანიშნულებას, არამედ იგი მდებარეობდა მნიშვნელოვან გზაზე (ბილიკზე), რომელიც მიემართებოდა შუა ქართლიდან – მესხეთ-ჯავახეთისაკენ.

ქ. სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 6 კმ-ის დაშორებით, მდ. ბესლეთზე მდებარეობს მშვენიერი, ერთმალიანი ქვის თაღოვანი ხიდი.

ბესლეთის ხიდს დაწვრილებით აღწერს მრავალი მკვლევარი და მოგზაური. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ლ. რჩეულიშვილის, და ნ. ჩუბინაშვილის შენიშვნებს ამ ხიდის შესახებ.

წინათ ამ ხიდის მშენებლობას მიაწერდნენ ბერძენ ან გენუელ კოლონისტებს, რომელნიც ერთ დროს სახლობდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

მაგრამ 1936 წელს აკად. ნ. ჩუბინაშვილის მიერ ამ ხიდის დეტალურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეს ხიდი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართველი ხალხის ქმნილებას.

ხიდი აგებულია ქვისაგან, კირის დუღაბზე, შიგადაშიგ გამოყენებულია ქართული ბრტყელი აგურის ფენები.

ხიდის თაღი გამოხაზულია 2 წრიული მრუდით.
მისი სავალი ნაწილის სიგანე – 4,7 მ.
მანძილი ნაპირის ბურჯებს შორის – 13,3 მ.
თაღის სიმაღლე წყლის დონიდან – 8,4 მ.
ბურჯების სიმაღლე წყლის დონიდან – 2,5 მ.
თაღის სისქე წყლის დონიდან 0,5 – 0,6 მ.

მეტად საინტერესო დახასიათებას აძლევს ბესლეთის ხიდს არქიტექტორი ნ. პ. სევეროვი.

„სოხუმის აღმოსავლეთით, მდინარე ბესლეთზე, ხიდის თაღი მოწყობილია მსხვილ ქვაკირის ფილებისაგან 1 მ სიმაღლით და 30–35 სმ. სიგანით. ქვებს შორის 2 რიგი თხელი აგურის ფენაა, გაქვავებული დუღაბის სქელ შრეში. თვითეულ თაღის ქვაზე გამოკვეთილია, კარგი გამოხატულობის თითო ქართული ასო, ზომით 25 სმ. პოლიგრაფული ვარაუდის თანახმად, წარწერა მიეკუთვნება XI-XII საუკუნეებს (ნ.პ. სევეროვი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 209).

ხიდის თაღზე აღმოჩენილმა ქართულმა წარწერამ საბოლოოდ გააქარწყლა ის ყიჟინა და მითქმა-მოთქმა, რომელიც არსებობდა ამ ნაგებობის ირგვლივ.

„ვენეციელები“, „გენუელები“, ვინ გინდათ რომ არ იყო მისი მშენებელი გარდა ქართველებისა.

ამ შესანიშნავი ნაგებობის გარეგანი სილამაზე მომხიბლავ ლანდშაფტთან ერთად ქმნიან თვალწარმტაც და ნიშანდობლივ სურათს.

I. მახუნცეთის თაღოვანი ხიდი მდ. აჭარისწყალზე.

სოფ. მახუნცეთი მდებარეობს დაბა ქედიდან 10 კმ. დაშორებით, ჰიდროელექტროსადგურ „მახუნცეთჰესთან“.

მრავალ მნახველს აქვს აღწერილი ეს მშვენიერი ხიდი.

1913 წელს იგი ნახა ცნობილმა რუსმა ექიმმა – ა. ა. კისელმა, რომელიც წერს: – „მდინარე აჭარის წყალზე გადადებულია, ძველი, მეტად კოხტა ვენეციური ხიდი. ამგვარი ხიდები ამ მხარეს ცოტა არ არის, მაგრამ ყოველთვის უნებლიედ შეჩერდები ხოლმე მრავალ საუკუნეთა მსვლელობაში გადარჩენილ ხელოვნების მშვენიერი ქმნილების წინაშე. რა გასაოცარი სიმსუბუქეა ნაგებობისა – მეტად თხელი ნახევარწრიული კამარა, დაყრდნობილი ორივე ნაპირზე. პირველად დიდხანს ვერ ვბედავდი ამ ხიდზე გადასვლას“.

ამ ძველი ხიდით ამჟამადაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა.

აჭარის წყალზე მახუნცეთის ხიდის მახლობლად მდებარეობენ – ამგვარივე ძველი უნიკალური ხიდები, დანდალოსა და სხალთისა.

ჩვენ აქ დავასახელეთ რამდენიმე ტიპიური ქართული ქვის თაღოვანი ხიდი, რომელნიც დამაჯერებელ წარმოდგენას იძლევიან იმ დიდ გამოცდილებაზე, რითაც აღჭურვილნი ყოფილან ჩვენი წინაპრები ხიდმშენებლობის ხელოვნებაში.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით რამდენიმე ათეულ თაღოვან და კამაროვან ქვის ხიდს, მათ შორის იყვნენ 2,3,4, და 5 მალიანი ხიდებიც კი.

საქართველოს ძველი ხიდების მეორე სახეს წარმოადგენენ ქვის სანაპირო საყრდენებზე (ბურ-

ჯებზე) დაყრდნობილი ხის კოჭოვანი კონსტრუქციები, რომელნიც მეტად გავრცელებული ყოფილან ნაპირების დაბლობ ადგილებში – მდინარეების განიერ კალაპოტებზე.

აქაც აღვნიშნავთ მხოლოდ ამგვარ ორ ტიპიურ სახიდე გადასასვლელს.

1. მცხეთის მოგვთა ხიდი მდ. მტკვარზე. ამ ისტორიული ხიდის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვწერდით „ძეგლის მეგობრის“ №14-ში (1968 წ.).

I ქუთაისის ხიდი მდინარე რიონზე.

ეს შესანიშნავი ხიდი მეტად ტიპიურია ამგვარ ხიდებს შორის.

ქუთაისის ძველი ხიდის პირველი აღწერა ეკუთვნის ა. გიულდენშტედტს. იგი მოგზაურობდა საქართველოში 1770–1772 წწ. და ქუთაისის ხიდიც აღწერილი აქვს, მისი ზომების მოყვანით.

– „რიონზე არის 80 ნაბიჯი სიგრძისა და 8 ნაბიჯი სიგანის ხიდი. ორივე ნაპირზე არის ორი თაღი, რომლებიც მდინარეში აღწევენ 25 ნაბიჯამდე და შეერთებული არიან 30 ნაბიჯის სიგრძის ხის ხიდით“ (ა. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი I, თბილისი, გვ. 141).

როგორც ჩანს, 1853 წლისთვის საქართველოში ძველი ხიდი ჯერ კიდევ მოქმედებდა.

ამგვარი შერეული ხიდები (ხისა ქვასთან) კეთდებოდა უფრო ფართეკალაპოტიან დაბალნაპირებიან მდინარეებზე. თუმცა იქაც შეიძლებოდა გამოეყენებინათ რამდენიმე მთლიანი, ქვის თაღოვანი ხიდი, როგორც მაგალითად ახალდაბისა (ბორჯომის ხეობა), ყაურმის – (ჯავახეთში) 5 მალიანი „გატეხილი ხიდი“ – 4 მალიანი (ქვემო ქართლში) და სხვა.

მდ. მტკვრის ხეობა, რომელიც წარმოადგენს მრავალ საუკუნეთა მანძილზე ირან-თურქთა შემოსევების ასპარეზს, მთლიანად მოფენილი იყო ამგვარი შერეული კონსტრუქციების ხიდებით.

როგორც ჩანს, ეს იყო მთელი სისტემა ამგვარი მდ. მტკვარზე გადასასვლელებისა დაწყებული „გატეხილი ხიდის“ ძველი ხიდის ნანგრევების მიხედვით) – ვიდრე არტაანამდე (ამჟამად თურქეთის ფარგლებში) – თითქმის 330 კმ. მანძილზე. აქ შეიძლება აღინიშნოს 20-მდე ამგვარი ხიდი, გარდა ახალდაბისა, რომელიც მთლიანად ქვის თაღებისაგან შესდგებოდა.

შეიძლება აქ დავასახელოთ მტკვარზე ზოგიერთი ხიდი, რომლებმაც თავი ისახელეს შემოსეულ მტრისათვის გზის შეფერხების საქმეში. თბილისის, მეტეხის ხიდი – აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას (1795 წ.), მცხეთის ხიდი – პომპეუსის შემოსევისას (I ს. ძვ. წ.), გორისა – თათარ ხანის ლაშქრობისას (1609 წ.), ასპინძის ხიდი – თურქებთან მეფე ერეკლეს ბრძოლაში (1770 წ.).

კიდევ ბევრი ამგვარი შემთხვევა ყოფილა საქართველოს ისტორიის მანძილზე, მაგრამ ჩვენ აქ მოგვყავს მხოლოდ უმთავრესი ფაქტები.

უფრო ვიწრო კალაპოტიან და მაღალ კლდოვან ნაპირებიან მდინარეებზე კეთდებოდა ქვის კაპიტალური კამაროვანი ან თაღოვანი ხიდები. ვიწრო კამაროვანი-ფეხოსანი და სასაპალნე მოძრაობისათვის და განიერი-თაღოვანი ბორბლებიანი ტრანსპორტისათვის.

მთელი აჭარა, შავშეთი, ლაზეთი ძველ დროიდან მოფენილი ყოფილა ამგვარი, მეტად მკვიდრი და იმავე დროს გარეგნულად ლამაზი სახიდე ნაგებობებით. მათი ნაშთები და ნარჩენები დღესაც მოწმობენ მათ არსებობას. თუ მრავალი მათგანი დაინგრა და განადგურდა, დარჩენილები იწვევენ აღტაცებასა და განცვიფრებას.

ვაკვირდებით რა ძველი ქართული ხიდების ნაგებობებს, ვრწმუნდებით, რომ მათ მშენებლებს ჰქონიათ ხიდების მშენებლობის საქმეში დიდი გამოცდილება, ცოდნა და დაკვირვება. მათ მთლიანად შეუთვისებიათ სიმეტრიის პრინციპები, ცოდნა ჰარმონიული პროპორციებისა, ქვის მასალის და შემაკავშირებელი დუღაბის შერჩევის მაღალი ოსტატობა.

ისინი დაუმუშავებენ ქვის ფილებს და ლოდებს ერთმანეთთან აკავშირებდნენ დიდი ოსტატობით და ქმნიდნენ მეტად თხელ, დამრეც მტკიცე და ლამაზ თაღებს – განიერ და მჩქეფარე მდინარეებზე.

ამგვარი ჰაეროვანი, ცისარტყელად გადახურული კონსტრუქციები ჰქმნიდნენ შთაბეჭდილებას, თითქოს მათ შიგ ჩატანებული ჰქონდათ ხის ან რკინის შემაკავშირებელი ღეროები (არმატურე), რომელნიც აკავებდნენ მათ მდინარეში ჩავარდნისაგან. გასაოცარია ის არის, რომ ამ სახით ისინი დგანან გაშმაგებულ მდინარეებზე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

არსებული ძველი ხიდების ნაშთები ეკუთვნიან სხვადასხვა ისტორიულ ხანას, ე. ი. ძველ წელთაღრიცხვასაც, მაგრამ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მათი უმრავლესობა IX-XII და XVI-XVII საუკუნეებს მიეკუთვნებიან.

საქართველოს ძველი სახიდე ნაგებობანი წარმოადგენენ ჩვენი ეროვნული სიამაყის მატერიალურ ძგლებს, ისევე როგორც საკულტო ნაგებობანი, ციხეები, კოშკები და სხვა. ისინი წარმოადგენენ მრავალ თაობის სამშენებლო მოღვაწეობის შესანიშნავ ნიმუშებს.

სტანდარტის მისაღწევი შედეგები: (II).10.

მიზანი: სვეტიცხოვლის აგების ისტორიის გაცნობის საფუძველზე, მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რას მოგვითხრობს ესა თუ ის ძეგლი საქართველოს ისტორიის შესახებ.

სვეტიცხოვლის აგების ისტორია

წყარო 1: პარმენ ზაქარაია, თბილისი, ბორჯომი, ვარძია, თბ., 1977, გვ. 13-14.

სვეტიცხოვლის წარმოშობას მემატიანე და ლეგენდა, ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპს უკავშირებს. ძველი ხის ნაგებობის ნაშთი სვეტიცხოვლის იატაკის შეკეთების დროს აღმოჩნდა. ცხადია, IV საუკუნის ეს პატარა ეკლესია V საუკუნის მეორე ნახევრისათვის გაზრდილ მრევლს ვერ დაიტევდა. ამას ვახტანგ გორგასლის მიერ ქართული ეკლესიისათვის მოპოვებული დამოუკიდებლობაც მიემატა. სწორედ ამ პერიოდში ვახტანგ გორგასალმა ააშენა დიდი ზომის ბაზილიკა, რომელმაც XI საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია.

საქართველოს ისტორიაში ეს არის გარდატეხის ხანა, გაერთიანების ეპოქა, კულტურული ამაღლების პერიოდი. ძლიერ ქვეყანას სათანადო ტაძარი სჭირდებოდა. სვეტიცხოვლის ავტორის მხოლოდ გვარი ვიცით. ფასადების რელიეფიდან ვკითხულობთ: „ხელი მონისა არსუკიძისა შეუნდევთ“. ამ ხელთან დაკავშირებით მრავალი ლეგენდაა შექმნილი, ერთ-ერთი მათგანი ასეა გალექსილი:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია!“

ვინ იცის, მარჯვენის რელიეფში რამოდენა ტრაგედიაა ჩაქსოვილი!

სხვა წარწერით ტაძრის მშენებლობის დამთავრება და ოსტატის გარდაცვალება იხსენიება.

სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის აგებისას (1010-1029 წწ.) ვახტანგ გორგასლის დროინდელი ბაზილიკა ნაწილობრივ გამოუყენებიათ და მისი ფრაგმენტები შიგაა ჩაქსოვილი. მაგალითად, ორი ხარისთავის ქანდაკება აღმოსავლეთის ფასადშია ჩაშენებული.

სვეტიცხოველი გუმბათოვანი ტაძარია. ასეთი დიდი ზომის ტაძარი სულ სამია საქართველოში: ერთი – ქუთაისში ბაგრატის ტაძარი, მეორე – ალაზნის აუზში ალავერდი და მესამე მცხეთის სვეტიცხოველი. სამივე ტაძარი აგებულია XI საუკუნის პირველ ნახევარში.

სვეტიცხოვლის ტაძარი მრავალჯერაა დაზიანებული, ტაძარმა ყველაზე დიდი ნგრევა XIV საუკუნის ბოლოს, თემურლენგის შემოსევის დროს განიცადა. XV საუკუნის პირველ ნახევარში აღადგინეს, XVII საუკუნეში კი გუმბათის ზედა ნაწილი ხელახლა გადაკეთდა.

ტაძრის გარეგანი ქვედა თაღედი დაზიანებული იყო და XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მეფის მოლოდინში, ეკლესიის „მამებმა“ იგი დაანგრევინეს, „გაწმინდეს“, „შეალამაზეს“. დღეს ტაძრის ქვედა ტანი გაშიშვლებულად გამოიყურება. მაგრამ მთლიანაობაში ფასადები საკმაოდ მდიდრულადაა მორთული.

წყარო 2: ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 54-57.

XI ს-ის დასაწყისში გორგასლისეული შენობა იმდენად დაზიანებული იყო, რომ ქართლის კათალიკოსმა მელქიზედეკმა განიზრახა ახალი ტაძრის აგება. ხუროთმოძღვრად მან არსუკისძე მოიწვია. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ ამ ოსტატის, ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედის, არც ერთ სხვა ნაწარმოებს, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ სანამ სვეტიცხოვლის აგებას შეუდგებოდა, მან ხანგრძლივი გზა გაიარა, ბევრი სხვა შენობა ააგო და ამ დროისთვის უკვე სახელი მოიხვეჭა, როგორც გამოჩენილმა ხუროთმოძღვარმა: ასე რომ არ ყოფილიყო, კათალიკოსი მას ვერ მიანდობდა თავისი ქვეყნის უმთავრესი ტაძრის აგებას. დარჩენილი საბუთები მოწმობს, რომ მშენებლობა 1010 წელს დაუწყიათ და 1029 წელს დაუმთავრებიათ, მაგრამ არსუკისძე, როგორც ჩანს, ვეღარ მოესწრო სვეტიცხოვლის მთლიანად დასრულებას – აღმოსავლეთი ფასადის დიდი სამშენებლო წარწერა, რომელშიაც ნათქვამია, „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმინდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითაოა“. ასე მთავრდება „ღმერთმან განუსუენე სულსა მისსაო“. მისი სახელი კიდევ ერთხელ არის მოხსენებული ჩრდილოეთის ფასადის წარწერაში, ძალიან მაღლა, შუა დეკორაციული თაღის ქვეშ, ხელის რელიეფური გამოსახულების გვერდით: „ხელი მონისა არსუკისძისაი. შეუნდვეთ“

(ხელს გონიო უჭირავს) (ამ გამოსახულებამ წარმოშვა თქმულება იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის მშენებელს, რომელმაც ხელოვნებით თავის მასწავლებელს გადააჭარბა, მარჯვენა მოჰკვეთეს. „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო“).

წყარო 3. გიორგი ჩუბინაშვილი. სვეტიცხოვლის გალავანში XI საუკუნის კარიბჭის გახსნა. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1964, № 1. გვ. 6-10.

საქართველოს ძველმა დედაქალაქმა მცხეთამ, მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის თბილისში გადატანის შემდეგაც შეინარჩუნა უპირველესი ადგილი ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაში. მთელი მომდევნო ათასხუთასი წლის მანძილზე კათალიკოს-პატრიარქს რეზიდენცია მცხეთაში ჰქონდა. ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა ქალაქ მცხეთის მშენებლობაში.

კათედრალის და დასავლეთით გალავანში შესასვლელი გარე ბჭეთა პროექტი, შედგენილია თვით ხუროთმოძღვარ არსუკისძის მიერ, რომელიც კათედრალის მშენებლობის დამთავრებისთანავე გარდაიცვალა, ე.ი. მთელი დანარჩენი ნაწილი, მათ შორის კარიბჭის დეტალური გაფორმებაც, პირადად მან ვერ დაამუშავა და ვერ განახორციელა. ამას გვკარნახობს, ერთი მხრივ, სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებს და, მეორე მხრივ, თვით კარიბჭეზე სამშენებლო წარწერებს შორის არსებული სხვაობა.

კარიბჭეზე მოთავსებული წარწერა განადიდებს კათედრალისა და თვით კარიბჭის მშენებელს, საქართველოს კათალიკოსს მელქისედეკს, მაგრამ არც ერთი სიტყვით არ იხსენიებს კარიბჭის ხუროთმოძღვარს.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა სამივე ტაძარი უნდა მოძებნონ დროის ხაზზე და გააცნობიერონ, რომ სამივე ძეგლი (დიდი ტაძრები) XI საუკუნეში ქვეყნის აღმავლობის უტყუარი მოწმეა. იგი აგრეთვე, მოწმობს იმასაც, რომ მცხეთიდან თბილისში სატახტო ქალაქის გადატანის მიუხედავად, იგი დიდი ხნის მანძილზე დარჩა ქვეყნის მნიშვნელოვან ცენტრად.

ასევე მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ტაძრების აღდგენა ცვლიდა მათ თავდაპირველ სახეს. ახალი მინაშენი და რეკონსტრუქცია კი ასახავდა იმ პერიოდს, როცა ის გაკეთდა.

ექსკურსიაზე მოსწავლეების ყურადღება გადატანილი უნდა იყოს შემდეგ გარემოებზე: ტაძრის მდებარეობა არაგვის და მტკვართან შეერთების ადგილას, სამიმოსვლო გზების სიახლოვე, ტაძრის კედელზე გამოსახული მარჯვენა, ხარის ქანდაკებები, წარწერა მისი ამგებლის შესახებ. ამით ისინი გაიაზრებენ, მაგალითად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული დამწერლობის ცოდნას, ვინაიდან ძეგლებზე შემონახული წარწერების ამოკითხვა ქვეყნის ისტორიის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

მოსწავლეებს შეიძლება სიტყვა-სიტყვით წავუკითხოთ გიორგი ჩუბინაშვილის აქ მოცემული წყაროს III აბზაცი და დავუსვათ კითხვა: „რას უნდა ნიშნავდეს, რომ კარიბჭეზე მოთავსებულ წარწერაში არ იხსენიება ხუროთმოძღვარი?“ ისინი თვითონ უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კარიბჭე აგებულია სხვის მიერ, არსუკისძის გარდაცვალების შემდეგ. როდესაც ისინი ამ დასკვნას გააკეთებენ, მხოლოდ ამის შემდეგ გავაცნოთ მათ მეცნიერის დასკვნა (II აბზაცი).

გელათის მოზაიკა

წყარო: შალვა ამირანაშვილი. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“. კრებული მეოთხე, თბილისი, 1965. გვ. 11-13.

ქართული სახვითი ხელოვნება XII ს-ის პირველ ნახევარში დიდ აღმავლობას განიცდის. ამ ხანის კედლის მხატვრობა შესრულებულია მაღალმხატვრულად. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია გელათის კედლის მოზაიკა. იგი თარიღდება 1125-1130 წლებით. ცენტრში ოქროს ფონზე ღვთისმშობელია მთელი ტანით, რომელსაც ხელში ჩვილი ჰყავს. მის ორივე მხარეს მთავარანგელოზებია – მიქაელი და გაბრიელი. ღვთისმშობლის ფიგურა ოდნავ გადახრილია, რაც მას დინამიკურობას ანიჭებს. ეს არ არის დამახასიათებელი ბიზანტიური ძეგლებისათვის. ეს იყო სრულიად ახალი ხერხი, რომელიც პირველად იქნა სწორედ აქ გამოყენებული.

ამასთან მეორე განმასხვავებელი თავისებურება ისიცაა, რომ მთავარანგელოზები მეტყველი იერისაა და ძვირფასი სამოსით არიან შემოსილნი. არც ეს იყო დამახასიათებელი ბიზანტიური ხელოვნების მხატვრული ტრადიციისათვის იმ პერიოდში.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, ისტორიული და კულტურული თვალსაზისით, თუ რა მნიშვნელობა აქვს გელათის მოზაიკას, რომ იგი თვითმყოფადი ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია. ის ფაქტი, რომ იგი განსხვავდება ბიზანტიური ხელოვნების მხატვრული ტრადიციისაგან სწორედ ამაზე მიუთითებს. სასურველია, რომ მასწავლებელმა ჯერ წაიკითხოს შ. ამირანაშვილის მოსაზრება და შემდეგ აჩვენოს მოსწავლეებს გელათის მოზაიკის ფოტო. მოსწავლეებმა უნდა შეეცადონ ტექსტში აღწერილი ნიუანსები იპოვონ ფოტოზე და იმსჯელონ, რამდენად შეესაბამება იგი ნარატივს.

ასევე სასურველია, თუ გელათის მოზაიკის შესახებ ეს განხილვა მოეწყოს ექსკურსიისას (იხ. მარშრუტი 2. მდ. წყალწითელის ხეობა (ქუთაისი–გელათი–კურსები)).

ქვემო-ქართლის ზოგიერთი ციხესიმაგრე

წყარო: პ. ზაქარაია. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1970, № 20, გვ. 44-51.

ქვემო ქართლი, ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი დიდი ნაწილი, გამოყოფილი ცალკე ერთეულად არასოდეს არ ყოფილა, ამიტომ იქ ვერ ვნახავთ დაცვის ერთიან სისტემას. იქ ვერ ვხედავთ, როგორც ერთიანი საქართველოს, ისე გვიანი პერიოდის ცალკეული სათავადოების სიმაგრეებს. ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს ისეთი დიდი ნაქალაქარები, როგორიცაა სამშვილდე და დმანისი. ეს ქალაქებიც ფაქტობრივად ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. მრავლადაა ამ ტერიტორიაზე როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ციხეები, ისე ციხე-დარბაზები, საგუშაგო კოშკები და სხვა. ბლომადაა აგრეთვე ეკლესია-მონასტრები, რომელთა გალავანი დაცვისთვის იყო განკუთვნილი.

ცხადია, ამ მოკლე წერილში ჩვენ ზემოთ მოყვანილ მრავალფეროვან მასალას მთლიანად არ შევეხებით, არამედ მოკლედ მოვხაზავთ მხოლოდ რამდენიმეს.

ბირთვისის ციხე მდებარეობს ფარცხისის აღმოსავლეთით 6-7 კილომეტრზე და მდ. ალგეთის ჩრდილოეთით სამიოდე კილომეტრზე. ციხისკენ მიმავალი გზა მეტად ვიწრო ბილიკია, რომელიც მიყვება მაღალი კლდეებით შემოფარგლულ ნაპრალს. ბილიკი მიემართება სულ მაღლა, მაღლა და ბოლოს ადგება თითქმის შვეულად მიმავალ საფეხურებს, რომელსაც მივყავართ ვიწრო კარამდე. შიგნით, ხელოვნურად მოსწორებულ კლდეზე, პატარა ეზო იქმნება. აქედან იწყება ციხე. მაგრამ ბირთვისი არ არის ჩვეულებრივი გაგების ციხე, ე.ი. ციხე, რომელსაც გალავანი და კოშკები შემოფარგლავს. აქ თქვენს წინ გადაიშლება იშვიათი სილამაზის სანახაობა – ირგვლივ ცამდე აზიდულ მთებით შემოფარგლულ დიდ ტერიტორიაზე შემოსასვლელის დონის ქვემოთ კლდოვანი და წვეტიანი მთებია გაფანტული. აქედან, ამ წვეტიანი მთების ძირები ისე ღრმადაა, რომ ზემოდან ძლივს მოჩანს.

ჩვენს წინაპრებს სწორედ ეს ბუნებრივი სიმაგრე შეურჩევიათ, ამის შემდეგ მათ დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ ყველა გასასვლელის და საეჭვო ადგილების ხელოვნურად გამაგრებისთვის. ყველა საჭირო ადგილი კედლითაა გადაკეტილი და თავდაცვისთვისაა მოწყობილი. იქვე შესასვლელთან მაღლობზე სათვალთვალო ცილინდრული კოშკი დგას, რომლის კედლები სათოფეებითაა აღჭურვილი. ეს კოშკი, როგორც ეტყობა, გვიან პერიოდშია შექმნილი, მაგრამ სხვაგანაც გვხვდება გაცილებით უფრო ადრეული ფენები.

ბირთვისის ციხე პირველად XI ს. შუა ხანებში იხსენიება, მაგრამ იგი გაცილებით ადრე უნდა წარმოქმნილიყო. მას სიმაგრის მნიშვნელობა XVIII ს. ბოლომდე არ დაუკარგავს და აუღებლად ითვლებოდა. მართალია, სხვადასხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ბირთვისი რამდენიმეჯერ იყო აღებული, მაგრამ პირდაპირი იერიშით არასდროს აუღიათ, ყოველთვის მოტყუებით, მოსყიდვით, ეშმაკობით იღებდნენ ამ საოცარ ციხეს. ამ მრავალთაგან აქ მოგიყვანთ მხოლოდ ერთს.

თემურ-ლენგი ერთ-ერთი შემოსევის დროს მიადგა ბირთვისის ციხეს, რომელიც „იყო დიდად განმაგრებული“. ხოლო სპანი თემურ-ლენგისანი შიშით მძრწოლარენი ფრიად მჭვუნვარე იყვნეს და უარჰყოფდეს ციხისა მის აღებასა, რამეთუ მრავალგზის ვნებულ იყვნეს მათ მიერ და უწყოდენ ციხისა მის სიმტკიცე“'. თემურ-ლენგს, რომლის წინაშე მთელი აზია თრთოდა და აუღებელი ციხე არ დარჩენია, ცხადია, იქაც არ შეჩერებულა და ჯარი იერიშზე გადაიყვანა. ციხოსანნი გამოუხდნენ და სისხლის ღვარი დააყენეს, მტერი გააქციეს და ისევ შებრუნდნენ. გაბოროტებულმა თემურმა მთელი ჯარით ალყა შემოარტყა და „აღუშენა გარემოს ციხეები საფრად. და „თვით“ მიადგა წინა – კერძო ბჭესა მის ციხისასა, და მუნცა აღაშენა ციხე“. ამასთანავე, გასცა ბრძანება ეწარმოებინათ შეუპოვარი ბრძოლა. ამ ხერხმაც ვერ გასჭრა, რადგან მტკიცედ იყვნენ დამცველები.

პირდაპირი გზით, რომ ვერაფერი გააწყვეს სხვა გზა მოძებნეს, ვიღაცის საშუალებით გაიგეს ციხის სუსტი ადგილი, დაამზადეს თოკის კიბე და ვინმე „მეგვიპტელის“' საშუალებით კლდის წვერზე მოაბეს და ჩუმად შეიპარნენ. დამცველებმა, როცა შეიტყვეს გვიან იყო. თავდადებულმა ბრძოლამ ისინი ვერ იხსნა დამარცხებისგან, რადგან თემურის ჯარი უთვალავი იყოო.

კლდეკარი მდებარეობს თრიალეთის მთებში მაღლა, იმ წყალგამყოფ ქედზე, რომლის ერთ მხარეს წალკაა, ხოლო მეორე მხარეს თეძმისა და ტანას ხეობებით ქართლისკენ მიმავალი გზები.

კლდოვანი ქედი ორგანაა გახსნილი. ქვემოთ მდებარე უფრო ვიწრო და სალი კლდეებითაა შემოფარგლული. ზედა კი დაბალია და მისადგომადაც შედარებით ადვილი. ქართლიდან წალკა-თრიალეთისკენ მიმავალი მგზავრი ამ კლდეკარს ვერ აცდებოდა. აქ კი ბაღუაშთა ციხე-დარბაზი არწივის ბუდესავით იყო გაკრული კლდეზე და ფხიზლად დარაჯობდა საკუთარ სამფლობელოს.

კლდეკარში ბაღუაშთა ნასახლარიდან მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი. სადღაა ზვიად ბაღუაშთა სასახლეები, მათი მაგარი ციხე, რომლის აღებას ვერ ბედავდნენ? ესენი ისეთი ქედმაღლები იყვნენ, რომ მეფეებსაც არ ეპუებოდნენ. ამჟამად ზედა გასასვლელის გვერდით შემაღლებაზე რომელიღაც სიმაღლის უმნიშვნელო ნაწილია შერჩენილი. კლდეკარს მეტად რთული და მშფოთვარე ცხოვრება ჰქონია. აქ ციხის აგება, მთელი მისი არსებობა და დაქცევაც უშუალოდ ბაღუაშთა გვარის აღზევებასთან, ცენტრალური ხელისუფლებისა და მეზობელი ფეოდალების წინააღმდეგ მათ ბრძოლასთანაა დაკავშირებული.

კლდეკარის ციხის აგებაზე „მატიანე ქართლისას“ ავტორი წერს, რომ „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა“. ეს ამბავი მომხდარა IX ს. 70-იან წლებში. კლდეკარის ერისთავები შემდეგში ძალიან ძლიერდებიან. მათთან ბრძოლების მრავალი შემთხვევიდან ჩვენ აქ ერთს მოვიყვანთ.

მეთოდური მითითებანი

მოცემული მასალის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა დაანახოს მოსწავლეებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ციხესიმაგრეების მშენებლობას, რომ ამისათვის ჩვენი წინაპრები კარგად იყენებდნენ ადგილის რელიეფურ პირობებს. მოსწავლეებმა ასევე უნდა გააცნობიერონ, ბირთვისის ციხის მაგალითზე (როცა მომხდურმა ვიღაცის საშუალებით გაიგო ციხის სუსტი ადგილი), თუ რა უარყოფით როლს ასრულებდნენ ის პიროვნებები ქვეყნის განვითარებაში.

ჰუჯაბი

წყარო 1: დ. ბერძენიშვილი. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1988, № 3, გვ. 5-8.

ჰუჯაბის სამონატრო კომპლექსი მდ. ფოლადურის სათავეებში, მის მარჯვენა სანაპიროზე, თანამედროვე სოფ. ახ-ქერფის მახლობლოად მდებარეობს, ეს სოფელი მარნეულის რაიონშია, ძველად კი შედიოდა იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელსაც ბოლნისის ხევი ეწოდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ფოლადაურის ხეობის აღწერისას ჰუჯაბის მონასტრესაც იხსენიებს: „არს მონასტერი ჰუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს“. სოფლების სიაში ავტორი ამ სახელწოდების სოფელსაც ასახელებს, ფორმით „უჯაბი“, რომელიც მოქცეულია სოფ. ხანძუტსა და ჯარმეჩებს შორის.

სამონასტრო კომპლექსი სოფლიდან დაახლოებით 1 კმ-ზეა, ლალვარის მთის ძირში. გარედან მას გალავანი ერტყა, რომლის შიგნით სხვადასხვა ნაგებობათა კვალია, ყველაზე მნიშვნელოვანი იქ გუმბათიანი ეკლესიაა, რომლის კედლებში გამოყენებულია აგური და გათლილი ქვის ლოდები. მოპირკეთებაში ღია ფერის ქვებს ენაცვლება მუქი ფერის ლოდებიც, რაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. სარკმლები და გუმბათის ყელი უხვად ყოფილა შემკული ქართული წნული ორნამენტით, ასეთივე წნული ჩუქურთმითაა შევსებული მოზრდილი ჯვარიც. შიგნიდან ეკლესია მოხატული ყოფილა, რომლის კვალიც ჯერაც ეტყობა. ხელოვნების ისტორიკოსები ამ ნაგებობას XIII ს-ის I ნახევარს მიაკუთვნებენ.

გალავნის შესასვლელთან მეორე ეკლესიის ნანგრევიცაა. იგი დარბაზული ტიპის შენობა ყოფილა, საშუალო ზომის თანაბარი ლოდებით, ჰორიზონტულ წყობაზე ნაგები. გვიან გადაკეთებული ეს ნანგრევი, 1956 წლამდე თივის შესანახად იყო გამოყენებული. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, მცირე ეკლესია ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს. შირიმის ქვა, რომლითაც ის აუგიათ, ხევის აყოლებით, დაახლოებით 1 კმ-ზე მოიპოვება. ეზოში არსებული ნანგრევები მოწმობენ, რომ აქ იქნებოდა მონასტრის ბერთა სენაკები და სატრაპეზო, ასევე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს, ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროს ორი ხევის შესაყარში

ნასოფლარია საკუთარი ეკლესიის ნანგრევით შემორჩენილი. ჩვენ მხოლოდ აღმოსავლეთის კედელიღა დაგვხვდა, თუმცა ეკლესიის ბუდე კარგად ჩანდა. ეს უნდა იყოს ჰუჯაბის ნასოფლარი.

ჰუჯაბის მიდამოებში სხვაც ბევრი ნასახლარ-ნაეკლესიარია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც დოლადაურს აყოლილი გზა და მგლის კარის უღელტეხილია, რომელსაც ლორე-ტაშირში გადავყავართ. ახ-ქერფიდან იგი მე-13 კმ-ზეა, ზღვის დონიდან 1770 მ-ზე. ესაა დაახლოებით 80 მ სიგრძის კლდეში გამავალი დერეფანი, რომლის სიგანე ზოგან 10 მ-დეა. არ ჩანს, რომ კლდე ყველგან ხელოვნურად იყოს გაკაფული; იგი უფრო აქ გამავალ მოგზაურთა მიერაა საუკუნეების განმავლობაში დამუშავებული. აღსანიშნავია, რომ ამ გზით სარგებლობდა როგორც ფოლადაურის, ასევე შულავრის ხევიც, რომელსაც ლორისკენ სხვა გადასასვლელი არ აქვს; ეს გზა კი უფრო მოკლეა მაშავერ-ფინეზაურისა და დებედის ხეობათა გზებთან შედარებით. უღელტეხილის სიახლოვეს, გზისპირა კლდეზე, პატარა, სქელკედლებიანი, დარბაზული ეკლესიის ნანგრევი იყო, რომლის ნალისებური აფსიდა ნაგებობას ადრეული შუა საუკუნეებით ათარიღებდა. არ შევცდებით, თუ მგლის კარის უღელტეხილს მაშინ უკვე არსებულად მივიჩნევთ.

ასეთ პირობებში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნასოფლარად ქცეული ჰუჯაბი, ოდესღაც ეჯიბთა (ეჯუბიშვილთა) მიერ მოშენდა და სახელიც აქედან მიიღო სოფელმა. ვახუშტის რუკაზე სოფ. ჰუჯაბში აზნაურის რეზიდენციაა აღნიშნული. ეგების აქ იჯდა ეჯიბი, მეკარე, მცველი მგლის კარისა, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ. ასეთი სახელი XVII საუკუნის საქართველოში დადასტურებულია ხეობაში.

ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ფოლადაურის ზემო წელზედაც და მაშინ ჰუჯაბის სახელწოდება უფრო გასაგები გახდება.

წყარო 2: მ. ვარაზაშვილი. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1988, № 3, გვ. 9-10.

მეტი ყურადღება ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსს

მარნეულის რაიონის სოფელი ახ-ქერფიდან 800 მეტრის მანძილზე, მდებარეობს ჰუჯაბის მონასტერი. თვით ახ-ქერფამდე კი თბილისიდან 97,0 კილომეტრია. გზა თითქმის მთლიანად ასფალტირებულია, გარდა უკანასკნელი პატარა ნაწილისა, რომელზედაც ახლა მიმდინარეობს გზის ზედაპირის მოასფალტება. სოფელი ახ-ქერფი დიდია და ითვლის 500 კომლამდე მოსახლეს. ადგილმდებარეობა ჰუჯაბის მონასტრისა უაღრესად ლამაზია, იგი გარშემორტყმულია ხშირი ფოთლოვანი ტყით, იქვე მიედინება მდინარე ბოლნისის შენაკადი.

ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. მონასტრის მთავარი, XIII საუკუნის ეკლესია წმინდა ნინოს სახელობისაა. იგი გუმბათიანი ნაგებობაა და მოითხოვს სასწრაფო რესტავრაციას, რაც აუცილებელია ძეგლის სრული დანგრევისგან გადარჩენისთვის, დაზიანებული აქვს სახურავი, გუმბათიც შესაკეთებელია, არის ნიშნები ტაძრის განზრახ დაზიანებისა, სახელდობრ კარიბჭის ზღუდარზე, სადაც ზოგ ქართულ ეკლესიაზე კეთდება ვრცელი წარწერა, ქვის ფილა ამომტვრეულია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გუმბათისა და ფანჯრების ირგვლივ ნაკეთები ქართული განუმეორებელი ჩუქურთმები, აგრეთვე კედლის მთელ სიმაღლეზე და სიგანაზე ქვაზე ამოჭრილი ულამაზესი დიდი ჯვარი.

სამონასტრო კომპლექსში შედის კიდევ ერთი ეკლესია. იგი ბაზილიკის ტიპისაა და ნაშენია ადრე შუა საუკუნეებში, ე.ი. წინ უსწრებს წმინდა ნინოს ეკლესიას და უნდა დათარიღდეს V-VI საუკუნეებით. იგი კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია, ვიდრე ზემოხსენებული გუმბათიანი ეკლესია, ვინაიდან შემორჩენილი აქვს მხოლოდ ოთხი კედელი, სწორედ ამ ბაზილიკას მოითხოვენ ახ-ქერფის მონასტრის მსახურნი სამლოცველოს მოსაწყობად.

ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსიდან მოსახსენებელია აგრეთვე სატრაპეზო. თავის დროზე იგი, ალბათ, საკმაოდ დიდი შენობა უნდა ყოფილიყო, რაც მოწმობს წმინდა მამათა დიდ რიცხვზე მონასტერში. ახლა კი მისგან მხოლოდ ოთხი კედელია შემორჩენილი.

გარდა ამისა, მონასტრის ტერიტორიაზე კიდევ აღინიშნება მრავალ ნაგებობათა კვალი, ალბათ სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების ნარჩენები, მაგრამ მათგან გამოირჩევა ერთი უიმედოდ დაზიანებული ხის სახლი, სადაც, თავის დროზე დედათა სენაკები ყოფილა მოწყობილი.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობა და აუცილებლობა. მათ უნდა იმსჯელონ იმაზე, თუ რატომ უნდა დავიცვათ ისტორიული ძეგლები; როგორ გვეხმარება ისინი წარსულის რეტროსპექტიული სურათის შედგენაში; მოიფიქრონ, რა შეიძლება გააკეთონ მათი დაცვისათვის.

ქვის თაღიანი ხიდები – ძველი ქართული არქიტექტურის უმშვენიერესი ძეგლები

წყარო: შ. ვარშანიძე. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, 1982, № 59. გვ. 22-25.

აჭარაში დაცული ქვის თაღიანი ხიდები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლებია. მათი წყობის თავისებურება მოწმობს, რომ აჭარა-სამცხე-ჯავახეთში, შავშეთ-იმერხევსა და ტაო-კლარჯეთის სხვა რეგიონებში, ე.წ. ზღვისპირა კლარჯეთში, ანტიკურ და საწყის ფეოდალურ ხანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე დაახლოებით ერთნაირი იყო, ერთნაირი ჩანს არქიტექტურისა და ხიდმშენებლობის დონეც. აჭარაში, ისინი, ძირითადად სამი მთავარი მდინარის – აჭარისწყლის, კინტრიშის, ჭოროხის და მის შენაკად მაჭახლისწყლის აუზებსა და მათზე გამავალ ძველ სავაჭრო-სამიმოსვლო გზებზე იყრიან თავს.

როგორც ჩანს აჭარაში წინათ მდგარი ხიდების ერთი ნაწილი დაიქცა და წაილეკა.

თედო სახოკია თვლიდა, რომ აჭარაში ქვის თაღიანი 8 ხიდია. მეფის რუსეთის ოფიცერი ვ. ლისოვსკი 11-მდე ხიდს თვლიდა. სხვა ზოგიერთი ავტორი, კიდევ უფრო ნაკლებს ასახელებს. უკანასკნელ ხანს აჭარაში 25-მდე ქვის თაღოვანი ხიდია მიგნებული. შესაძლოა არც ეს იყოს ზუსტი. ჩვენს დროში უკვე აღარ არის ის ხიდები, რომლებიც ჭოროხის, კინტრიშისა და ჯოჭოს წყლების შესართავებთან იდგა. აღარ არის აგრეთვე სოფელ აჭარისწყალთან (ხელვაჩაურის რ.), დაბა ქედში მდ. აჭარისწყალზე, სოფელ ცხმორისში (ქედის რ.), შანთაძეებში (ხულოს რ.) არსებული ხიდები. დიდი ხანი არ გასულა რაც დაიქცა ბოღრათის (ქობულეთის რ.) და სხვა ხიდები. ბოლო დრომდე ცნობილი არ იყო სოფელ ცხემლარის, მირვეთის, აგრეთვე ქოქოლეთის (ხელვაჩაურის რ.) ხიდები. მოგზაურთა და მკვლევართა მიერ შედგენილ აღწერებში შეტანილი არ იყო სოფელ პირველი მაისის, წონიარისის (ქედის რ.) ხიდები და ა.შ.

იმ სავაჭრო-საქარავნო გზებს შორის, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე გადიოდა ერთ-ერთი ძირითადი უნდა ყოფილიყო ჩრდილო კავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი გზა, აჭარის ზღვისპირა ზოლში, რომ გაივლიდა. ეს ტრასა ჩრდილოეთის მხრიდან ქობულეთზე გადმოვლით ბათუმის ზონაში შემოდიოდა. მისი ერთი შტო მდ. აფსარს (გონიო) გადაკვეთდა და სამხრეთისაკენ მიემართებოდა. ამ ტრასაზე იყო განლაგებული ქვის თაღოვანი ხიდების ერთი ჯგუფი. ასეთივე იყო მდ. კინტრიშზე და მდ. ჭოროხზე არსებული ხიდები. ხიდების ერთი ნაწილი განლაგებულია იმ გზაზე, რომელიც ქობულეთის ზოლიდან ჩაქვის მთების გადავლით ქედში ჩადიოდა სოფელ მახუნცეთის, პირველი მაისისა და აგარის მეშვეობით. ყველა ეს ხიდი მხოლოდ ადგილობრივი დანიშნულების როდი იყო. ჭოროხის აუზს ხომ კოლხეთსა და ანტიკურ სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ანალოგიური სტილის ოთხი ხიდია დაცული ბათუმ-მაჭახლის გზაზე, რომელიც ართვინში შედიოდა. ეს ხიდები მაჭახლის თემის სოფლებსაც ემსახურებოდა. მათგან ექვსი სოფელი ჩვენს საზღვრებშია, ხოლო ამდენივე სოფელი თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული.

აჭარის ხეობაში გამავალ გზას მექარავნეები გოდერძის გადავლით სამცხეში გადაჰყავდა, ხოლო ცალკეული განშტოებებით ქარავნები არტანუჯსა და სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებში შედიოდნენ. სწორედ ამ გზაზე გვხვდება დახვეწილი კონსტრუქციის ძველი ქართული ქვის თაღოვანი ხიდები.

ამ ხიდების მშენებლობის საკითხებზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი ფიქრობს, რომ მათი მშენებლობა თამარის ხანას ეკუთვნის. აკად. ნიკო ბერძენიშვილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. იგი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი ხიდი უფრო ძველი ხანისაა. იური სიხარულიძემ სცადა მათი დათარიღება და მიუთითა, რომ ამ ხიდების ერთი ნაწილი შუაფეოდალურ ხანას, ნაწილი გვიან შუასაუკუნეებს, ნაწილი კი XVII – XVIII საუკუნეებს განეკუთვნება.

ამ საკითხებზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართველი ხალხის ცხოვრებაში IV-V საუკუნეებში მომხდარი დიდი მოვლენები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვის თაღიანი ხიდების მშენებლობის სათავე IV-V საუკუნეებიდან მაინც უნდა მომდინარეობდეს. როგორც ვიცით, ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად იქცა. ამის შედეგად რიგი ძვრები დაემჩნა მშენებლობას. ვახტანგ გორგასლის დროს კიდევ უფრო ახალ საფეხურზე ადის არქიტექტურა და სამშენებლო საქმე. ქ. თბილისის, უჯარმისა და სხვა ცენტრების მშენებლობამ ქართული არქიტექტურის ფართო განვითარებას შეუწყო ხელი.

და ბოლოს, ქვის თაღიანი ხიდების მასობრივი მშენებლობის საკითხზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ აჭარაზე გამავალი სავაჭრო-სამიმოსვლო გზების დიდი მნიშვნელობა ახ.წ. პირველი საუკუნეებისათვის. სწორედ ამაზე მეტყველებს IV საუკუნის რომაელი გეოგრაფ კასტორიუსის მიერ შედგენილი „პეიტინგერის“ რუკაზე იმ პუნქტების დატანა, რომლებიც აჭარის ზღვისპირა ზოლში აღინიშნება. ამ რუკის შესახებ, როგორც ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მიუთითებენ, იგი

არა მარტო VI საუკუნის, არამედ ახ. წ. I-II საუკუნეების ცნობებსაც ეყრდნობოდა. უფრო მეტიც, აღნიშნულ რუკას თინათინ ყაუხჩიშვილი ძირითადში II საუკუნისად, ხოლო IV-V სს-ში გადაკეთებულად და შევსებულად მიიჩნევს. ოთარ ლორთქიფანიძე მიუთითებს, რომ კასტორიუსის რუკა ახ.წ. I-II საუკუნეების მასალებზე დაფუძნებული და შესაბამისად, იმ ეპოქის ვითარების ამსახველიცაა. ცხადია, კასტორიუსს ხელთ ჰქონდა პტოლემეოსისა და არიანეს ცნობები. ამიტომ, არცაა გასაკვირი ის, რომ ქვის თაღიანი ხიდების მშენებლობა ადრევე დაეწყოთ.

ანალოგიური ხიდები, ცხადია შენდებოდა X-XII საუკუნეებში, ზოგიერთი ხიდი კი ჩანს უფრო გვიან პერიოდშიც შეიძლებოდა აშენებულიყო.

ზოგიერთი რუსი მკვლევარიც კი მიუთითებს იმაზე, რომ ქართველებმა ძალიან ადრე იპოვნეს ყველაზე რაციონალური ფორმა კამარებისა, რომლებმაც საშუალება მისცა მათ, ხიდები ეშენებინათ ძვირადღირებული სოლისებური ფილების გამოუყენებლად, მათი ზედაპირის გულდასმით გათლის გარეშე და თითქმის დამუშავებული ფილებისაგან.

აჭარაში დაცული ქვის თაღიანი ხიდები ჭეშმარიტად ქართული სტილის ხიდებია. წარსულში იყო ცდები იგი ხან ვენეციურად და ხან გენუელთა მიერ ნაგებ ხიდებად მიეჩნიათ. XX საუკუნის 80-იან წლებში გამოცემულ რუსულ პრესაში ამ საკითხზე ხშირად ვხვდებით მცდარ შეხედულებებს, მაგრამ შემდეგ უკვე მთელი რიგი რუსი მკვლევარებიც სწორ პოზიციებზე დადგნენ. ისინი მიუთითებდნენ, რომ ამ სტილის თაღების მშენებლობა იბერია-მესხეთში დაიწყო მეტად ადრეულ ხანაში, რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე დადგენილი იქნებოდა სტატიკის კანონები და რომ ქვითხუროობაში ქართველებს თვითმყოფადი კულტურა და სტილი აქვთ, ეს კულტურა მათი შემოქმედებითი განვითარების ნაყოფია და ამ დარგში მათ ბიზანტიელებსაც კი გადააჭარბეს.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებს განსხვავებული შეხედულება აქვთ და ისინი ერთმანეთის მოსაზრებას არ იზიარებენ. და რომ ეს აუცილებელიცაა, რათა მსჯელობასა და დისკუსიაში მიაგნონ სწორ პასუხს. ამ მიზნით მასწავ-ლებელი აცნობს ზემოთ ტექსტში მოცემულ ცნობებს ქვის ხიდების შესახებ და ხაზგასმით უკითხავს შემდეგ ფრაზებს:

„თედო სახოკია თვლიდა, რომ აჭარაში ქვის თაღიანი 8 ხიდია“.

„იმ სავაჭრო-საქარავნო გზებს შორის, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე გადიოდა ერთ-ერთი ძირითადი უნდა ყოფილიყო ჩრდილო კავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი გზა“.

„ზოგი ფიქრობს, რომ მათი მშენებლობა თამარის ხანას ეკუთვნის“.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვის თაღიანი ხიდების მშენებლობის სათავე IV-V საუკუნეებიდან მაინც უნდა მომდინარეობდეს“.

მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ და გასცენ დასაბუთებული პასუხი – ეს ფრაზები მეცნიერთა ვარაუდს, მოსაზრებას გამოხატავს, თუ მტკიცებას. შემდეგ ისინი უნდა შეეცადოთ, ეს ფრაზები გადააკეთონ მტკიცების ფორმაში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ქრონოლოგიურ ჭრილში გაიაზრონ ქვის ხიდების აგება, ამასთან გააცნობიერონ, თუ როგორ შეიძლება წარსულის რეტროსპექტიული სურათის აღდ-გენა კულტურის დღემდე შემორჩენილი ძეგლების შესწავლის მიხედვით და რომ თითოეული ძეგლი იმ ეპოქის ეკონომიკურ-კულტურული ვითარების გამომხატველია, როცა ისინი შეიქმნა.

ნიკორწმინდის ტაძრის ისტორიისთვის

წყარო: ც. ჩაჩხუნაშვილი. ჟურნალი: „ძველი მეგობარი“, 1986, № 1, გვ. 23-24.

ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით XI საუკუნის დიდებული ძეგლის ნიკორწმინდის ისტორიის ადრინდელი პერიოდის შესახებ. არ არის ცნობილი, მაგალითად, თუ ვინ იყო ამ ტაძრის ქტიტორი (ამშენებელი). ისტორიული ცნობები და თვითონ ძეგლი ამის შესახებ არაფერს გვაუწყებს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ნიკორწმინდის ამშენებელი საკმაოდ შეძლებული პირი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს როგორც ძეგლის მასშტაბი, ასევე მისი მდიდრული ორნამენტული დეკორი და მაღალი სამშენებლო ოსტატობა.

ძველი ქართული დოკუმენტი, ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის „დაწერილი“, ძვირფას ცნობებს გვაწვდის ტაძრის შესახებ. ამ საბუთის მიხედვით, ნიკორწმინდა რაჭის ერისთავების კახაბერიძეების საკუთრებას წარმოადგენდა.

იქნებ, კახაბერიძეთა მიერ იყო აგებული ნიკორწმინდა? რაჭის საერისთავოს არსებობა უკვე X საუკუნის ბოლოდან არის სავარაუდო. X-IX საუკუნეების მიჯნით დათარიღებული კაცხის საკურთხევლის წინა ჯვრის საქტიტორო წარწერაში მოხსენებულია რაჭის ერისთავი რატი.

კახაბერიძეები საქართველოში უძველეს ფეოდალთა ბაღვაშთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. ბაღვაშები კი, როგორც ცნობილია, კლდეკარის საერისთავოს დამაარსებლები იყვნენ. მაგრამ მამული მათ არგვეთში (დღევანდელი ზემო იმერეთი) ჰქონდათ. კაცხის ტაძარი იყო ბაღვაშთა მთავარი ეკლესია. იგი უეჭველად მათივე აშენებული უნდა იყოს. ასევე საფიქრებელია, რომ ნიკორწმინდა კახაბერიძეთა მიერაა აგებული. აღნიშნული ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ამ ორი შენობის მსგავსება, რაშიც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ქტიტორთა ნება-სურვილს.

ნიკორწმინდა და კაცხი შესწავლილი ძეგლებია. აღსანიშნავია, რომ მათი თარიღები ერთმანეთს ემთხვევა. ორივე 1010-1014 წლებშია აგებული. ისინი ერთი და იგივე ხუროთმოძღვრულ ტიპს – ექვსაფსიდიანი ძეგლების რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა ნიკორწმინდაში შენობის გარე მასები ექვსაფსიდიანი ტაძრებისგან განსხვავებულადაა გადაწყვეტილი.

კაცხის ეკლესიის მთავარი კორპუსის მთელი ზედა ნაწილის და გუმბათის ყელის მორთულობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებულ რემონტს შეეწირა, მაგრამ შენობის ქვედა ნაწილში, რომელიც გარშემოსასვლელით არის დაფარული, კედლის ძველი პერანგია შემორჩენილი. აქ, სამხრეთ ეკვდერში, წრიული მოხაზულობის სარკმლის ირგვლივ არის რელიეფი ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამაღლების სცენით. ამ კომპოზიციის ზუსტად იგივე მხატვრულ გადაწყვეტას და შესრულების მანერას ვხედავთ ნიკორწმინდის ტაძრის სამხრეთი შესასვლელის რელიეფში. მსგავსება კაცხისა და ნიკორწმინდის რელიეფებისა იმდენად დიდია, რომ საერთო პროტოტიპის არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ საქართველოში უძველესი ფეოდალები ბაღვაშები და მათი საგვარეული განშტოება კახაბერიძეები ერთდროულად აგებენ თავიანთ მთავარ ტაძრებს და სურვილი აქვთ, რომ ისინი ერთმანეთს დაემსგავსოს.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სხვადასხვა ობიექტის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ურთიერთშედარებას და ამის საფუძველზე მათ შორის კავშირის დადგენას. ამ მიზნით, მათ უნდა ჩამოწერონ ყველა ის ნიშან-თვისება, რომლებიც საერთოა ამ ორი ძეგლის – ნიკორწმინდისა და კაცხისათვის.

რატომ ითვლება, რომ თბილისი ისტორიული და კულტურული მრავალფეროვნების ქალაქია

სტანდარტის მისაღწევი შედეგები: (II).1, (II).3, (II).13, (II).14.

მიზანი: მოსწავლეები უნდა გაეცნონ და გააცნობიერონ, რომ თბილისში სხვადასხვა პერიოდისა და დანიშნულების მრავალი ძეგლია (საკულტო, თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშ-ნულების ნაგებობები). მათ უნდა გაიგონ, რომ ქვეყნის ისტორიულმა განვითარებამ განსაზღვრა თბილისის ეთნიკური და კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნება. ამიტომ ყველა ძეგლი სწორედ ამ კონტექსტში, კომპლექსურად უნდა იყოს გააზრებული.

თბილისის საკულტო ნაგებობების მრავალფეროვნება

ანჩისხატის ტაძარი

წყარო 1: პ. კარბელაშვილი. ძველი ანჩისხატის ტაძარი. ტფილისი, 1902.

საქართველოს დედა ქალაქმა ტფილისმა იმდენი წვა და დაგვა გამოიარა, რაც დაარსებულა მას აქეთ, რომ უცხოსა და შინაურს ყველას უკვირს, თუ დღემდე როგორ გადარჩა სრულიად გა-ნადგურებასა და დაღუპვასა. ძველი ტანჯვა-ვაება არ აკმარა ბედმა ტფილისსა და უკანასკნელად საშინელი განსაცდელი გადახდა თავსა: 1795 წ. ენკენისთვის (სექტემბერი) 11-13 სპარსეთის ყეენ-

მა აღა-მაჰმადხანმა მთლად მიანგრ-მოანგრია და ცეცხლით გადაბუგა. სრულიად დანგრევასა და დაღუპვას მარტო თითო-ოროლა საქრისტიანო ტაძრები გადურჩნენ და, მათ შორის, ანჩისხატის ტაძარიც. ეჭვი არ არის, ანჩისხატის ტაძარი მოწმე უნდა იყოს ტფილისის მრავალგზის აოხრებისა და სისხლის წვიმებისა მთელ საქართველოში. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ანჩისხატის ტაძარი არც ერთხელ არ დანგრეული მტრისაგან საფუძვლამდე. ქვემოთ მოყვანილი წარწერებიდან ჩანს, რომ კათალიკოზს დომენტის (1659-1676 წ.) აღუშენებია სამრეკლო, დღემდე მთლად შენახული, და თვით ტაძარი კი მხოლოდ აქა-იქა განუახლებია. სამრეკლო აშენებულია კარგად გამომწვარის აგურისაგან, ხოლო თვით ტაძარი კი ნაშენია კლდის უშველებელის, უხეიროდ ნათალი ქვისაგან, როგორც გარედან, ისე შიგნიდან. გარდა ამისა კლდის ქვები მრუდედ არის ნაწყობი და ყველგან შვეულში არ მოდიან. ერთის შეხედვით ეტყობა, რომ ტაძრის ირგვლივ აგურის საწვეთიც დომენტისგან არის განახლებული სამრეკლოს აშენების დროსვე. აღმოსავლეთის მხარე ტაძრისა ისეა გამოხატული ევროპიელ მოგზაურთა – შარდენის (1670-1673 წ.) და ტურნეფორის მიერ (1700 წ.) შედგენილ თბილისის გეგმაზედ, როგორც დღეს ვხედავთ. ტაძრის დასავლეთის კედლებზედ კარების გასწვრივ გამოხატულია უძველესის სახის ჯვარი გვერდზე მწოლარე კრავით.

ანჩისხატის ტაძარს ძველ დროში ეძახდნენ „ზარის საყდარს“, რადგან არაბების დროსვე ჰქონდა უფლება ზარის რეკისა, როგორც საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ტაძარს თბილისში. უამისოდ ვინ, რად დაარქმევდა „ზარის საყდარსა“, თუ დანარჩენ საყდრებშიც ექმნებოდათ ზარის რეკა? ჩვენ ვიცით, რომ X-XI საუკუნეების არაბების მეისტორიენი იხსენიებენ ზარის რეკასა ქრისტიანებისაგან ტფილისში. „ზარის საყდარს“ ეძახდნენ მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრამდე. ამ დროიდან კი, დაერქვა ანჩისხატისა, რაკი კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ აქ დაასვენა ქრისტიანობის უდიდესი სიწმიდე და სათაყვანებელი პირი ღვთის ხატი, სოფ. ანჩიდან მოსვენებული.

იყო ჟამნი, როდესაც მტერთა შემოსევისა და ბატონობისა გამო, ათი და ოცი წლობით შესწყდებოდა ხოლმე წირვა-ლოცვა ანჩისხატის ტაძარში. ამ დროს სამღვდელონი კათალკოზ-პატრიარქთან ერთად გაიხიზნებოდნენ ხოლმე მთიან ადგილებში – ლარგვისში, ან გუდამაყრის ხეობაში და თან მიჰქონდათ საეკლესიო სამკაულნი და სალოცავი – ხატი და ჯვარი.

სოფელი ანჩა მდებარეობს შავშეთსა და ლიგანის ხევს შუა ჭოროხის მარჯვენა ნაპირზედ, ქ. ტრაპიზონის მახლობლად (თურქეთი). აქ ქრისტიანობის პირველ დროშივე მოციქულებმა პეტრემ და მისმა ძმამ ანდრია პირველწოდებულმა დააარსეს მრავალი ეკლესიანი. ანჩაში საეპისკოპოსო ტაძარი უძველესია მთელ საქართველოში. აი, ამ ანჩის ტაძარში ესვენა თითქმის ცხრაასი წლის განმავლობაში პირი-ღვთის ხატი.

წყარო 2: რ. გვერდწითელი. ანჩისხატის რესტავრაცია. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი, 1966, № 7. გვ. 37-42.

ამა თუ იმ ქალაქის ხუროთმოძღვრულ სახეს, მისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ქმნიან იმ დროს აგებული შენობები. ბევრია მსოფლიოში ისეთი ძველი ქალაქი, რომლის მშენებლობის ისტორიის წაკითხვა ადვილია, ისე სრულადაა ის წარმოდგენილი სხვადასხვა ეპოქის ნაგებობებით, რომლებიც მის ქუჩებსა და მოედნებს ამკობენ. სულ სხვაა მდგომარეობა თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ მან დღემდე შემოინახა მხოლოდ მისთვის დამხასიათებელი იერი და განუმეორებელი ინდივიდუალორობა, იგი საოცრად ღარიბია ძველი ნაგებობებით. მათი რიცხვი ათსაც არ აღწევს. თუ არ ჩავთვლით, XVIII და XIX საუკუნეების შენობებს. თან მრავალი ეს შენობა არაერთხელ იქნა გადაკეთებული.

ასევე გადაკეთებული და გამოცვლილი იყო თბილსიის ერთ-ერთი უძველესი ნაგებობა – ანჩისხატის ეკლესია, შემონახული თავისი ორი XVII და XIX საუკუნეების სამრეკლოებით.

ჯერ კიდევ 1936 წელს გიორგი ჩუბინაშვილმა ეს ძეგლი დაათარიღა VI საუკუნის დასაწყისით და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს უნდა ყოფილიყო „მოქცევაი ქართლისაი“-ში მოხსენიებული წმ. მარიამის ეკლესია, აგებული ვახტანგ გორგასლის შვილის – დაჩის მიერ, რომელსაც წილად ხვდა თბილისში გადმოტანილ ქართლის დედაქალაქის მშენებლობის დამთავრება.

როდესაც დაიწყო მზადება თბილისის 1500 წლისთავისათვის, ანჩისხატი უყოყმანოდ შევიდა შესასწავლ და შესაკეთებელ ძეგლთა სიაში.

გახსნის გარეშეც, ამ ძეგლს აშკარად ეტყობოდა სამი სააღმშენებლო ფენა: VI ს. ბაზილიკა; XVII ს. აღდგენითი სამუშაოები და XIX ს. გადაკეთებები და მინაშენები. ეს უკანასკნელი ფენა ისე საიმედოდ ფარავდა ორ უფრო ძველს, რომ შეუძლებელი იყო თქმა იმისა, თუ სად მთავრდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. ხოლო იმისთვის, რომ გაგვეგო, თუ რა იყო დარჩენილი VI საუკუნის ნაგებობიდან, საჭირო იყო ყოველგვარი მხატვრულ და ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული XIX ს. ფენის თითქმის მთლიანად მოხსნა.

ამრიგად, საჭირო იყო კედლებიდან შელესილობის მოხსნა. საჭირო გახდა იატაკის დადაბლება ძველ დონემდე და ძეგლის ირგვლივ მიწის დადაბლება დაახლოებით 1.5 მეტის სიღრმემდე, რათა რაც შეიძლება სრულად გამოგვეჩინა ამ ნაგებობის ყველა ძველი შერჩენილი ნაწილი.

გაირკვა, რომ VI საუკუნის ბაზილიკისაგან დარჩენილია თითქმის ყველა კედელი. ასევე გაირკვა, რომ XVII საუკუნეში ძეგლი ისე დანგრეული ყოფილა, რომ მოუხდათ მისი ხელახლა აშენება. აღდგენა შესრულდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ფორმებში და იმ დროს გავრცელებული მასალით – აგურით. ეს სამუშაოები ხასიათდება საღი მიდგომითა და პატივისცემით ამ ძეგლისადმი.

სრულიად განსხვავებული მიდგომა გამოამჟღავნეს ამ ძეგლისადმი XIX საუკუნის მესვეურებმა. ყველაფერი რაც გაკეთდა ამ პერიოდში მიმართული იყო იმისაკენ, რომ როგორმე მიეჩქმალათ ის ძველი, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ამ ძეგლს, „გაელამაზებინათ“ იგი ისეთი თანამედროვე მასალებითა და ხერხებით, როგორიცაა გაჯის შელესილობა, ზეთის საღებავები და ა.შ.

გამოირკვა, რომ ეს იყო სამნავიანი ბაზილიკა სამხრეთის მინაშენით, აგებული კარგად გათლილი მოყვითალო ფერის ქვით.

წყარო 3: ვ. ბერიძე. თბილისის ანჩისხატი. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974. გვ. 25.

V საუკუნის მიწურულიდან დაიწყეს საქართველოში ნამდვილი ბაზილიკების შენება, თუმცა ეს ბაზილიკებიც სავსებით თავისებურია. ამ შენობათა პირველი და ყველაზე შესანიშნავი ნიმუშია ბოლნისის სიონი, მრავალმხრივ საყურადღებო, სახელგანთქმული ძეგლი, რომელსაც თავისი ისტორიული მნიშვნელობითაც და მხატვრული ზემოქმედების ძალითაც ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში. სხვა უმთავრესი ქართული ბაზილიკები VI საუკუნისაა. ერთი ამათგანი, ე.წ. ანჩისხატი, თბილისშია, მის ძველ უბანში მდებარეობს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე – ეს დედაქალაქის უძველესი შენობაა.

ანჩისხატი სამნავიანი ნაგებობაა, სამი შესასვლელი აქვს: თითო-თითო – გვერდის კედლებში და დასავლეთით. ეს ეკლესია უფრო გვიან ძლიერ გადააკეთეს და დაამახინჯეს. ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა. აშენებულია VI საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ გორგასლის ძისა და მემკვიდრის დაჩი უჯარმელის დროს. „მოქცევაი ქართლისაის“ მატიანე მოგვითხრობს, რომ იმ დროს „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდაი ეკლესიაი აღაშენეს“. ანჩისხატი ეკლესიას XVII ს-ში ეწოდა, როცა აქ დაასვენეს სამხრეთ საქართველოში თურქების დამკვიდრების დროს ანჩის მონასტრიდან წამოღებული ძველი „ხელთუქმნელი ხატი“, მოჭედილი ბექა ოპიზარის მიერ XII ს-ის ბოლოს.

მოგვიანებით ანჩისხატის ეკლესია მნიშვნელოვანი კულტურული კერა იყო. XVII ს-ში სამცხიდან ანჩისხატს ჩამოჰყოლია მღვდელი პეტრე მესხი ოჯახითურთ. დომენტი კათალიკოსმა მას ანჩისხატის კანდელაკობა უბოძა. პეტრეს ერთი შვილი გრიგოლი მხატვარი იყო, ხოლო მეორემ, ალექსიმ, საფუძველი ჩაუყარა შესანიშნავ კალიგრაფთა – მესხიშვილთა მთელ დინასტიას (ალექსის პატივსაცემად, ისინი ალექსი-მესხიშვილებად იწოდებოდნენ). ალექსიმაც და მისმა ძე სოლომონმაც უამრავი წიგნი გადაწერეს.

საუკუნეთა მანძილზე ძველი ეკლესია ბევრჯერ შეაკეთეს და გადააკეთეს: ჯერ XVII ს-ში, როცა აღადგინეს მთელი ზემო ნაწილი, მერე XIX ს-ში: ეკლესიას ზემოდან ულაზათო გუმბათი შეასკუპეს, დასავლეთიდან ზედ მიადგეს უშნო და ტლანქი სამრეკლო, შიგნით მოხატეს და გადააკეთეს, კედლებში ახალი სარკმლები გაჭრეს.

აგურის სამრეკლო, რომელიც დღესაც დგას ეკლესიის დასავლეთით, შავთელის ქუჩის პირს, 1675 წელს ააშენებინა დომენტი კათალიკოსმა. 1958 წლიდან, 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დაიწყო ძეგლის რესტავრაცია. მას ჩამოაშორეს XIX ს-ის დანამატები. იატაკი თავდაპარველ დონემდე დაადაბლეს, XIX ს-ის კარ-სარკმელები მოსპეს, კედლებს შეძლებისდაგვარად დაუბრუნეს ძველებური სახე. ახლა შენობა, თუმც კი სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენებს შეიცავს, მაინც უფრო მთლიანია, ვიდრე რესტავრაციამდე იყო, და ბევრი ძველი დეტალიც, XIX ს-ში დაფარული, ახლა კვლავ ჩანს.

წყარო 4: ირ. ციციშვილი. ანჩისხატი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1995. გვ. 128.

ძველი თბილისის ტერიტორიაზე, ანჩისხატის ტაძრის სიახლოვეს დგას 1675 წელს აგებული სამრეკლო. საყურადღებოა სამრეკლოს მარჯვე დაკავშირება რელიეფთან და გარემოსთან. იგი აგებულია ქუჩის პირას, როგორც შესასვლელი და დამაკავშირებელი ქუჩისა, მასზე ოთხი მეტრით დაბლა მდებარე ეკლესიის ეზოსთან. თვით სამრეკლოს კუთხით დაყენება და მასზე მოთავსებული

ფანჩატურის გადაწევა მარჯვნივ, ითვალისწინებდა მის აღქმას ვიწრო ქუჩიდან და ეკლესიის წინ შექმნილი პატარა მოედნიდან. სამრეკლო წარმოადგენს კუბურ მასას, რომლის ცენტრში გასასვლელის შეისრული თაღის გვერდებზე ორ სართულად განლაგებულია დეკორატიული ნიშები. მათ ზემოთ კი, კონტრასტული ყვითელი ქვის ფილა სამშენებლო წარწერით.

მეთოდური მითითებანი

მასწავლებელს შეუძლია შერჩევით გააცნოს მოსწავლეებს წყაროებში მოცემული ცნობები ანჩისხატის ტაძრის ისტორიის შესახებ. ის ავალებს მოსწავლეებს, ოთხივე წყაროს საფუძველზე, შინ დაწერონ ნარკვევი „ანჩისხატის ისტორია“. მასწავლებელი მათ აძლევს მითითებას, რომ გზადაგზა გააკეთონ ჩანაწერები და ამ ჩანაწერებით ისარგებლონ ნარკვევის შედგენისას. ამასთან წყაროების გაცნობისას, მასწავლებელმა უნდა ეცადოს მოსწავლეებს მიუთითოს მნიშვნელოვან მომენტებზე, რაც მათ გაუადვილებთ ნარკვევის შედგენას. შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეები კლასს აცნობენ თავიანთ ნარკვევს.

სასურველია, რომ მასწავლებელმა გაამახვილოს ყურადღება იმ გარემოებაზეც, რომ ძველად ითვალისწინებდნენ შენობის მდებარეობასაც, რომ იგი კარგად ჩამჯდარიყო საერთო ხედში, ხილული ყოფილიყო სხვა ნაგებობებთან მიმართებაში, როგორც ეს ანჩისხატის სამრეკლოს შემთხვევაშია: იგი „ითვალისწინებდა მის აღქმას ვიწრო ქუჩიდან და ეკლესიის წინ შექმნილი პატარა მოედნიდან“. მოსწავლეებს უნდა დავუსვათ შეკითხვა, ხომ არ სმენიათ, ან თვითონ ხომ არ აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე ნაგებობის მიმართ ქ. თბილისში, ან სხვაგან და უნდა ვთხოვოთ, გვიამბონ მათზე.

თბილისური აივნები

წყარო: კ. მელითაური. ჟურნალი: ძეგლის მეგობარი, 1967 წ. № 12. გვ. 46-53.

მეცხრამეტე საუკუნის თბილისი იმდენად დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა ადამიანზე, რომ ბევრ მის მნახველს განცდილი გრძნობით აღტაცებული სტრიქონები დააწერინა. ბუნებრივი მდებარეობის გარდა ქალაქი წარმტაცი იყო მთის კალთებზე შეფენილი, აივნებით დამშვენებული სახლებით.

ბუნებრივმა გარემომ ძგელთაგანვე შეამუშავებინა ადამიანს დერეფნის, ქორედის (შენობის ზედა ნაწილი, მანსარდის ტიპის) და აივნის ბინის გეგმაში ჩართვის აუცილებლობა. საუკუნეთა მანძილზე ქართველმა ხით ხუროებმა არ დაზოგეს თავიანთი უნარი ბინის ამ ნაწილის შესანიშნავ მოკაზმვისათვის. აივნებს თბილისელი ხუროები განსაკუთრებული სიყვარულით ამუშავებდნენ და ეზოს მხარეზე მოთავსებულ აივნებთან შედარებით, მათი მრავალფეროვანი ნიმუში შეჰქმნეს. სწორედ ეს აივნები ამშვენებდნენ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, მთის კალთებზე წამოჭიმულ სახლებს შნოს აძლევდნენ. მაგრამ ეს აივნები ქუჩის ცხოვრების წიაღშიაც იჭრებოდა. აივანზე გამოსული შეიძლებოდა ქუჩაში მომხდარი ყოველი ამბის მონაწილე გამხდარიყო.

აღსანიშნავია, რომ გადმოკიდებული და გადახურული აივანი საქართველოში შორეული წარსულიდან იყო ფეხმოდგმული, რის უტყუარ მაგალითს უბისის მონასტრის 1141 წლის „სვეტი“ წარმოადგენს. საქართველოს რუსეთთან შეერთებამ და თბილისის მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად გახდომამ ხელი შეუწყო აღა მაჰმად ხანის მიერ დანგრეული ქალაქის სწრაფ აღდგენას. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე დაიწყო თბილისში გვიან რუსული კლასიციზმის ნაგებობის შენება, როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეთა მიერ. რადგანაც კერძო მშენებლებს მხოლოდ დამტკიცებული პროექტით შეეძლოთ მშენებლობის წარმოება, საჭირო გახდა სათანადო საბუთების შედგენა ტექნიკოსების საშუალებით. პროექტი მეპატრონის მოთხოვნილებას ითვალისწინებდა, მათ შორის ქუჩისკენ გადმოკიდულ და გადახურულ აივანსაც.

მცირე მასშტაბში შესრულებული ნახაზი მხოლოდ, ძირითად ხუროთმოძღვრულ დეტალებს ასახავდა და აივანიც ამიტომ ძალზე სქემატურად იყო წარმოდგენილი. ასეთ ვითარებაში ხით ხუროები ხორცს ასხამდნენ შიშველ სქემას და ამით საკუთარ შემოქმედებას გზას აძლევდნენ. სახლების მშენებლობის ამგვარმა წესმა ხალხური შემოქმედების მძლავრი ნაკადი შეიტანა ქალაქის მშენებლობაში, რასაც თავისი თბილისური ელფერი დაადო.

აივნის გამშვენებაში დიდი მნიშვნელობა მოაჯირსაც ენიჭება. მისი მრავალსახეობა კონსტრუქციის მიხედვით სამ ნაწილად ჯგუფდება: რიკულებიან, ძელებისაგან შედგენილ და ფიცრულ მოაჯირად.

თბილისური ხის აივნები სიცოცხლეს და შნოს აძლევენ ქალაქის ძველ უბნებს, ქუჩებსა და თვით სახლებს. ძველი სახლი, სადაც აივანი მოაცილეს, გაშიშვლებული და უბადრუკი გახდა, რადგანაც

თვით შენობის ხუროთმოძღვრული დამუშავება უმეტესად ღარიბი იყო და გამშვენების მთელი ძალა აივნის მოკაზმვაში გამოიხატებოდა. ამიტომ ძველი ქალაქის სახის დაცვა-შენახვა უდრის ხის აივნების შენარჩუნებას. ჩვენ დიდი ერთგულებით უნდა დავიცვათ თბილისის ძველი უბნების ამსახველი სახლები აივნებითურთ და ისეთივე გულმოდგინებით მოვეკიდოთ მათ დაცვას, როგორც ამას თბილისის უძველესი ტაძრის – ანჩისხატის, ანდა უძველესივე საერო ნაგებობის როსტომ მეფის აბანოს მიმართ ვაკეთებთ. თბილისის ძველი სახლების დაცვას, რომ ერთგვარი ყურადღება ექცევა ეს ცხადია, მაგრამ იგი არც საკმარისი და არც სრულფასოვანია.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობა ასი წლისაა

წყარო: მ. მირიანაშვილი, ქ. მუშკუდიანი. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“', 1987, №1, გვ. 67-70.

თბილისში ბევრი მნიშვნელოვანი და ამავე დროს საინტერესო ისტორიული წარსული მქონე არქიტექტურული ძეგლია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთაველის პროსპექტის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობა. მას 1987 წელს ასი წელი უსრულდება. შენობის ფასადს სამი თაღი ამკობს. შუა, დიდი ზომის ცენტრალური თაღის მარცხენა მხარეს, ზედა კუთხეში, ადამიანის თვალისათვის ძნელად შესამჩნევად, ხვეული ჩუქურთმების ქარგაში, ქვაში ამოკვეთილია ციფრი „18“, მეორე კუთხეში – „87“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ 1887 წელი თეატრის შენობის გარეგანი მხარისა და ფასადის მოპირკეთების დამთავრების თარიღია (შიდა სამუშაოები გვიან დამთავრდა). შენობა რუსთაველის პროსპექტზე 1887 წ. დგას.

დღევანდელი შენობის აგებამდე, თბილისის თეატრი თამამშევის ქარვასლაში იყო მოთავსებული (იგი ლენინის მოედანზე, დღეს თავისუფლების მოედანი, სადაც დგას წმინდა გიორგის ქანდაკება). ეს პატარა და მშვენიერი თეატრი საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. ქალაქში ჩამოსული უცხოელი სტუმრები თეატრის შენობის ნახვისას აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ცნობილია, თუ როგორ მოხიბლა ფაქიზი გემოვნებით შესრულებულმა სათეატრო შენობამ დიდი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელმაც განაცხადა: თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი სხვაგან არსად მინახავსო.

თბილისის თეატრში იდგმებოდა ოპერები, მათ შორის „ნორმა“, „ტრუბადური“ და სხვა. საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ ცნობილი იტალიელი მომღერლები. ერთი სიტყვით, ქალაქში ყვაოდა და ჩქეფდა საოპერო ცხოვრება. 1874 წელს თეატრი მოულოდნელად ხანძარმა შთანთქა. თეატრის მოყვარულ საზოგადოებას, ცხადია, გაუჭირდა მის გარეშე ცხოვრება. სწორედ ამიტომ, ახლის აშენების იდეა მაშინვე გაჩნდა. თამამშევმა ძველ ადგილას თეატრის აღდგენაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ადგილის საფასურად მან ხაზინას 150000 მანეთი გადაუხადა. ეს თანხა დაედო შემდეგ საფუძვლად ახალი თეატრის აშენებას. იგი სახაზინო ხარჯით უნდა აეგოთ, რისთვისაც 250000 მანეთი გამოიყო. იმ დროისთვის გრანდიოზული მასშტაბის, კარგად ნაშენი ახალი თეატრი უნდა აგებულიყო შესაფერის თავისუფალ ადგილზე, რომელიც სავაჭროებითა და დუქნებით აღარ იქნებოდა გარშემორტყმული. ამისთვის ქალაქის ცენტრში ოთხი სხვადასხვა ადგილი შეარჩიეს, რომელთანაც უპირატესობა თეატრის დღევანდელ მდებარეობას მიეცა. იგი კერძო მესაკუთრეებისაგან – ზუბალაშვილებისა და სხვა პირთაგან შეიძინეს.

1880 წლის 30 მაისს თბილისში თეატრის შენობის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალი შედგა. ამის შესახებ გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა, რომ ცერემონიალის დროს, რასაც ბევრი ხალხი ესწრებოდა, საძირკველში საზეიმოდ ჩადგეს პირველი ქვა და მეტალის ზოდი – მასზე ამოტვიფრული სათანადო წარწერით. 1881 წლიდან დაფინანსების შემცირების გამო თეატრის მშენებლობის ტემპები საგრძნობლად დაეცა. დამაბრკოლებელი მიზეზი სხვა ბევრი გამოჩნდა. არქიტექტორი შრეტერი მშენებლობას პეტერბურგიდან ხელმძღვანელობდა, რაც პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელი იყო. 1893 წლიდან მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. 1895 წელს დასრულდა თეატრის თაღოვანი გადახურვა. 1896 წელს შიდა სამუშაოები მთლიანად დამთავრდა. მაშინდელი გაზეთები ხოტბას ასხამდნენ ახლად დამთავრებულ თბილისის თეატრის შენობას. განსაკუთრებით აქებდნენ ფასადის ცენტრალურ ნაწილს, რომელიც მთლიანად ქვაზე კვეთილ ჩუქურთმების ქარგაშია ჩასმული.

განსაკუთრებით მდიდრულად გამოიყურებოდა ცენტრალური სადარბაზო შესასვლელი თავისი კიბეებით. საფეხურები იტალიური მარმარილოსგან დაამზადეს, მოაჯირები – ქუთაისური მშვენიერი ხატოვანი მარმარილოთი. მნახველს ხიბლავდა ვარდისფერი ქვის ორი, მცირე სიდიდის, სვეტი,

რომელიც იმეორებს შესასვლელ სვეტებს. სამაგიეროდ, მაყურებელთა დარბაზის შიდა გაფორმება გაცილებით უფრო ღარიბულად გამოიყურებოდა, რაც მშენებლობის პროცესში ფულადი სახსრების შემცირებამ გამოიწვია, პროექტით გათვალისწინებული ჩუქურთმების ნაცვლად დარბაზი ცივი მონაცრისფრო-მოცისფრო ტონის საღებავებით მოიხატა. ჭერი და ლოჟები ამავე ფერის ნახევრად აბრეშუმის ქსოვილით იყო გადაკრული. მიუხედავად ამისა, მაყურებელთა დარბაზი თავისი ფორმითა და მოხერხებულობით დიდ მოწონებას იმსახურებდა. აქ სავარძლები და სკამები ისე იყო განლაგებული, რომ სცენა ყველა ადგილიდან კარგად ჩანდა. დარბაზს ნალისებრი ფორმა მისცეს.

თეატრში სულ 1000 ადგილი იყო. აქედან პარტერსა და ამფითეატრში – 400, ზედა იარუსებზე – 200, დანარჩენი – ლოჟებში ნაწილდებოდა. ლოჟებში ვენური სკამები იდგა. პარტერსა და ამფითეატრში განლაგებული მშვენიერი სავარძლები ძვირფასი ხავერდით იყო გადაკრული, რომლის ფერი დარბაზის მდარე მოხატულობას ნაკლებად შეეფერებოდა. სავარძლები და სკამები დამზადებული იყო პეტრაკოვსკის გუბერნიაში, „ძმები კონების“ ფირმის ავეჯის ფაბრიკაში. საორკესტრო ნაწილში 50 მუსიკოსი ეტეოდა. დარბაზის კარგი აკუსტიკის (სმენადობის პირობები) შესახებ, გაზეთი „კავკაზი“ საგანგებოდ აღნიშნავდა: „ამ მხრივ, თბილისის თეატრის მსგავსი სხვაგან არსად მოიპოვება, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენთან რუსეთში“. „დარბაზს ამშვენებდა უზარმაზარი ჭაღი, რომელიც ასობით ნათურისგან შედგებოდა. თეატრის დანარჩენ ნაწილს ანათებდა შედარებით მცირე ზომის ჭაღები და კანდელები. ელექტროგანათება მოაწყო „სიმენსისა და გალკეს“ ცნობილმა ფირმამ. თეატრს ელექტროდენს აწვდიდა დინამო-მანქანები, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის მანქანას. ეს დანადგარი მაზუთით მუშაობდა და შენობის გარეთ იყო მოთავსებული.

თეატრს ჰქონდა საკმაოდ დიდი სცენა, თავისი ექვსი კულისით. სცენის უკანა ნაწილი უკავშირდებოდა არიერ სცენას და ეზოს, რაც ცხენების შემოყვანისა და დიდი ზომის საგნების შემოტანის შესაძლებლობას იძლეოდა. სცენის ქვეშ მოწყობილი იყო ორი ტრიუმი, იატაკზე – რამდენიმე ჩასაშვები ორმო, რომელთა საშუალებით სპექტაკლის მიმდინარეობის დროს რამდენიმე ათეული კაცის შთანთქმა-ჩავარდნა შეიძლებოდა. სცენა მოაწყო საიმპერატორო თეატრების ცნობილმა მემანქანემ და დეკორატორმა ვალცმა. მაყურებელთა დარბაზის თავზე მოწყობილი იყო დიდი ზომის დეკორაციების გასაფორმებელი ვრცელი დარბაზი.

თეატრში ცენტრალური გათბობა იყო. მაყურებელთა დარბაზის ქვეშ თბებოდა ჰაერი, რომელსაც შემდეგ დაბერვის წესით დარბაზში უშვებდნენ. თეატრს კარგი ვენტილაცია ჰქონდა. წესრიგში იყო ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ონკანები. გარდა ამისა, სათადარიგოდ, მუდმივად ინახებოდა 1000 ვედრო მოცულობის ორი ავზი წყალი.

თეატრი ცენტრალურ ქუჩაზე ისე დგას, რომ მისი დანახვა მთლიანობაში გვერდიდანაც შეიძლება. იგი ააგეს საკმაოდ კარგი და გამძლე მასალით, რისთვისაც გამოიყენეს ადგილობრივი თლილი ქვა, ქუთაისის კირქვა, ალგეთის ქვიშაქვა. შენობა თეთრი და ვარდისფერი თლილი ქვით მოაპირკეთეს, რომელიც ლამაზ ჰორიზონტულ ხაზებს ქმნის. დარბაზის თაღოვანი გადახურვა რკინისგან გაკეთდა, სახურავი კი – თუთიისგან. მშენებლობა სულ 870000 მანეთი დაჯდა.

1954 წელს რეკონსტრუქციის დროს სახე უცვალეს ფოიესა და მაყურებელთა დარბაზის მიმართულებას, თეატრის მთელი ხუროთმოძღვრული სტრუქტურა კი უცვლელი დარჩა. 1974-1977 წლებში თეატრი მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნა, გარეგნულად თეატრმა დღემდე შეინარჩუნა თავდაპირველი სახე.

ერთი საუკუნის ძეგლი, ჩვენი დედაქალაქის მშვენება – ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, დღესაც ხიბლავს მნახველს თავისი განახლებული სიმშვენიერით და კვლავინდებურად დგას ხალხის სამსახურში.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ თბილისის აივნები კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია და მათაც ისევე დაცვა და მოვლა-პატრონობობა სჭირდება, როგორც ეკლესია-მონასტრებს. ამ მიზნით, მათ უნდა გაიაზრონ რაში მდგომარეობს თბილისური აივნების უმთავრესი ღირსება. ამასთან მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ როგორ იცვლებოდა ქალაქის იერსახე ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის (აღა მაჰმად ხანის შემოსევა, XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში მოქცევა) კვალდაკვალ.

საქართველოს ყოფა–ცხოვრების მოზაიკა

წყარო 1. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1996 წელი

თუ გავიხსენებთ, რომ ვახუშტს საქართველოს მოსავლიანობა-ნაყოფიერების მხრივ თურინჯ-ნარინჯისა, ვენახიან-ხილიანის, უვენახო და ხილიანსა და უვენახ-უხილო არეებდ აქვს დაყოფილი და ამასთანავე ქართულ-უცხოური წყაროების მიხედვით ამ არეების ზოგადად შემოსაზღვრას შევ-ეცდებით, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

1. თურინჯ-ნარინჯის არე საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ყოფილა მხოლოდ: ოდიშში ადგილ-ადგილ, ხოლო ბათომის მიდამოებში, გონიას, ერგეს და ლიგანის ხეობაში თურინჯი ნარინჯი და ზეთისხილი ყველაგან ხარობდა და იყ.

2. ბრინჯ-ბამბის არე დასავლეთ საქართველოშიც ყოფილა, მაგრამ უფრო მეტი სივრცე ამ კულ-ტურას ლიხთ-ამერეთში აღმოსავლეთ სანაპირო თემში ჰქონია დაკავებული. ბრინჯ-ბამბის არედ კუთხის ბარი, გაღმა-მხარი, მეტადრე ენისელი, გარე-კახეთში ივრის სანაპიროები ითვლებოდა.

ქართლში მხოლოდ ქვემო-ქართლის დაბლობში მოდიოდა ბრინჯ-ბამბა, სახელდობრ: დებედას ხეობაში, ალგეთის ხაობაში მტკვრის შესართავიდან მოყოლებული იაღლუჯამდის და ქციის ხეობაში ნახიდურითგან ნაჯბადინამდის.

დასავლეთ საქართველოში ბრინჯ-ბამბის მოყვანას მარტო ოდიშში და გურიაში მისდევდნენ. გურიაში შედარებით ნაკლებ ყოფილა გავრცელებული, სამაგიეროდ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოდიშის ნიადაგიცა და ჰავაც ბრინჯის კულტურისათვის იმდენად კარგი აღმოჩენილა, რომ ეს მცენარე თურმე აქ მოურწყავადაც ხარობდა.

3. ვენახ-ხილიანს არეს თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეებზე შეუდარებლად უფრო ფართო ასპარეზი ეკავა საქართველოში. ამერეთითგან რომ დავიწყოთ, ვენახიან-ხილიან არეს ეკუთ-ვნოდა:

გარეთ კახეთში მანავითგან მოყოლებული ქიზიყამდე, შიგნით-კახეთში ცივ-გომბროის მთის შუა კალთამდე, გაღმა-მხარეში პანკისის ხეობის დაბლობი პანკისამდე, ერწო-თიანეთის მთებამდე, მარტყოფი და საგურამო.

ქართლში ვენახიან-ხილიან არედ იყო: მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილთაგან, ქვემო-ქა-რთლითგან, დებედას ხეობის ზემო ზოლი, კუმისის მინდორი, ქციის ხეობა ნახიდურიდან სამშ-ვილდემდე, დიის ველის მინდორი ქცია-მაშავერას შორის, დბანისის ხეობა ქციითგან მტკვრითგან ვანათამდე, ფოცხვერიანისა, ირგასა და ჭივჭავას ხეობათა ქვედა ნაწილი, ხუნანის საერისთაო, ანუ სომხითი, ბალიჭის ხეობა აბულმუგს ქვევით, ისევე, როგრც გეტისა, ქვეშისა და კაზრეთის ხეობანი.

შიდა ქართლის მტკვრის გასწვრივ და სამხრეთით მდებარე ნაწილში ვენახ-ხილიან არეს ეუ-თვნოდა დამჩხერლოთგან ტიფლისამდე გადაჭიმული ზოლი, თეძმის ხეობა მტკვრითგან რკონამდე, მეტეხ-სასირეთისა, დოესისა და ხოვლის მინდვრები, ტანის ხეობა მტკვრითგან ბობნავამდე, სკრისა და ხვედურეთის ხეობანი და ძამის ხეობა გვეძინეთამდე.

შიდა ქართლის მტკვირს ჩრდილოეთით მდებარე ნაწილში ვენახიან-ხილიან არეს ეკუთვნო-და: ბაზალეთის თემი გრემის ხეებამდე, ნარეკვავის ხეობა უჟანამდე და ებნის-ჭილურთას ქვე-ვით, მუხრანის ველი მთლიანად, ქსნის ხეობა მტკვირთგან ზებეყურ-წირქვალამდე, მეჯუდის ხეობა ბგონებ ბიყრამდე, გვერდის-ზირი ჯარიაშენითგან ვანათამდე, პატარა ლიახვსა და კვერნაქს-შორისი მინდორი, დიდი ლიახვის ხეობა მტკვითგან სვერამდის, ტინისხიდ-თედოწმინდითგან სასირეთ-მტ-კვრამდე, გორითგან სურამამდე გადაჭიმული ზოლი, დვანის ხეობა, მოხისი და ქვიშხეთისა და მის დასავლეთით მდებარე ხეობა.

ზემო ქართლის, ანუ მესხეთის აღმოსავლეთ ნაწილი თავისი მდებარეობის გამო უმთავრესად უვენახ-უხილო არეს წარმოადგენდა, მაგრამ ვენახიან-ხილიანი ზოლიც იყო. სახელდობრ, ვენახ-ხილიან არედ ყოფილა: მტკვრის ხეობა სადგერითგან ლიკანამდე ვიწრო ზოლად, სამცხის დაბლობი ადგილები ახალციხითურთ, შემდეგ შავი ზღვისკენ აჭარა, ბორჩხის ხეობა, შავშეთისა და კლარჯე-თის თემები მცირეოდნან, გამოსადეგი მიწის ნაკლებობის გამო, ოლთისის ხეობა ნარუმაკამდე, ტაოს დაბლობები და თორთმის ხეობა ხახულამდე.

ლიხთ-იმერეთში ვენახ-ხილიან არეს ეკუთვნოდა: ჩხირიმელისა ჩრდილისა და ნუნიას ხეობანი, ფერსათი საჩხეიძეო-სალომინაოანად, საჩინო და მთელი გურია (საჯავახო, ჯუმათის ხეობა, ხინოს ხეობა), არგვეთი, სამოქალაქო, ოკრიბა, ვაჯე (საჭილაო-სამიქელაო), სალიპარტიანო (ჭყონდიდიდან უნაგირამდე), რაჭა კუდარომდე და ჭიდროთამდე, ლეჩხუმი და აფხაზეთი. დანარჩენი შავი ზღვის სანაპირო ზოლი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ბრინჯ-ბმბისა და თურინჯ-ნარინჯიან არეს წარ-მოადგენდა.

4. უვენახ-ხილო არეს კახეთში ცივ-გომბორის მთების შუა კალთას ზევით მდებარე ნაწილი შეადგენდა. ხოლო გაღმა მხარეში პანკისს ზევით მყოფი ადგილები იმგვარადვე, როგორც თიანეთის ზევით მდებარე მთები, შემდეგ უჯარმითგან მოყოლებული ბოჭორმამდე გადაჭიმული მთელი მანძილი, გრდანითგან ჯვრის მონასტრამდე და, რა თქმა უნდა, ზემოდასახელლებული მთა ადგილებზე უფრო ჩრდილოეთით მდებარე მაღლობი თემები, ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი.

ქვემო ქართლში უვენახ-ხილო და შემდეგ უტყეო, ბალახოვან-ყვავილიანი არე ვენახ-ხილიანად ზოლს ზემოთ იწყებოდა. ამ უვენახო ზოლის საზღვრის აღნიშვნას რომ იმავე მიმართულებით შევუგდეთ, როგორითაც ვენახ-ხილიანი არე გვქონდა განსაზღვრული, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ქციის ხეობაში უვანახ-ხილო არე სამშვილდითგანვე იწყებოდა, დბანისის ხეობაში დბანისითგან მოყოლებული სათავემდე, სკვირეთის, ანუ ვერეს ხეობაში ვანათს ზევით მდებარე ნაწილი სათავემდე, კლდეისისა და ძველი გომარეთის ხეობანი მთლიანად, ირიგას ხეობა ტორნითურთ ბენდერსკენ, ჭივჭავის ხეობის ზედა ნაწილი, ფინეზაურის ხეობა, ბლიჭის ხეობა აბულმუგს ზევით და ზურტაკერტის ხეობა მთლიანად.

ამ უვენახ-ხილო არეს ზემოთ უკვე ბალახოვან-ყვავილოვანი უმთავრესად საზაფხულო საზოვრების არე იწყებოდა. ამ ზოლს ეკუთვნოდა: ტაშირი ლორეს მაღლობითა და ველითურთ და შემდეგ ბამბაკის ხეობა, აგრეთვე აბოციც, შემდეგში ყაიყულად წოდებული.

შიდა ქართლის მტკვირს სამხრეთით მდებარე ქვეყნის უვენახ-ხილობის ზოლის საზღვრის დასაწყისი ხაზი იყო თეძმის ხეობაში რკონს ზევით, მთელი ჭვარები და თრიალეთი, ტანის ხეობა ბობნავს ზევით ძამის ხეობა გვეძინეთს ზევით. თრიალეთი უტყეო, ბალახოვან-ყვავილოვან საზაფხულო საძოვარს წარმაოდგენდა.

შიდა ქართლის მტკვირს ჩრდილოეთით მდებარე ნაწილში ჯერ უვენახ-ხილო, ხოლო შემდეგ თვით უტყეო, ბალახოვან-ყვავილოვანი ზოლი იწყებოდა: ნარეკვავის ხეობაში უჟანითგან დამ ის ზევითი მთელი არე, გრემის-ჴევი ებნის-ჭილურთას ზევით, ქსნის ხეობა ზებეყურ-წირქვალს ზევით, ცხრაზმის ხევი ქარჩოხ-ჟამურითურთ, მეჯუდის ხეობა ბიყრს ზევით, პატარა ლიახვის ხეობა ვანათს ზევით და დიდი ლიახვის ხეობა სვერს ზევით.

უტყეო-ბალახიან-ყვავილიან არეს გუდამაყრის ხეობა, ხევი და დვალეთი წარმოადგენენ მთლიანად.

მესხეთის უდიდესი ნაწილიც უვენახ-ხილო არეს წარმოადგენს. სადგერის ხეობა თორ-არტანუჯის ხეობა, შაორი, თავკვეთილი, ჴევღრმა, ტაბისყური და ირჯანის, ანუ ყარარაჯისა ისევე, როგორც სამცხის, ანუ ღაოდ მთები მთლიანად უვენახ-ხილო არე იყო.

უტყეო და ბალახიან-ყვავილიან სივრცეს ჯავახეთი, ფოსო, ერუშეთი, არტაანი და კოლა წარმოადგენდნენ.

ასეთივე თვისებისა იყო ოლტისის ხეობა ნარუმაკს ზევით, ტაოს მაღლობები, იდი და ნარუმაკი, ბასიანი, თორთომის ხეობა ხახულს ზევით. აქ მთური ზოლი იყო და მთური კულტურა ხარობდა მხოლოდ. ბალახიან-ყვავილიანობის წყაობით აქ ვრცელი და საუცხოვო საზაფხულო საძოვრები იყო. დასავლეთ საქართველოში უვენახ-ხილო არე, ბუნებრივი პირობებისა და ჰავის გამო, გაცილებით უფრო ნაკლებ იყო, ვიდრე ამერეთში. აქ უვენახ-ხილო ზოლს ეკუთვნოდა უმთავრესად ღადოსა და გურიის მთების ზედა, ტყიანი ხაზი და რაჭაში შქმერი, ჯეჯორის ხეობა კუდუროს ზევით, რიონის ზეობა ჭიდროთას ზევით და მთიანი ადგილები, დასასრულ, რასაკვირველია სვანეთიც მთლიანად.

ხეობის დაღარულობისა და ვრცელი ველობების უქონლობის გმო ლიხთიმერეთის უტყეო და ბალახიან-ყვავილოვანი ხაზი არც საზაფხულო საძოვრებად იყო სათანადოდ ფართოდ გამოსადეგი. ამ არეს მხოლოდ ადგილობრივი მესაქონლეობის დაკმაყოფილება შეეძლო.

ტფილისიდან ბარდავამდე და ივრის სანაპიროებზე ზამთრის საძოვრების არე იყო. ისევე, როგორც გარეკის მთებსა და უდაბნოს მიდამოებში. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა, სარწყავი რუს გამოყვანამდე, სამგორის ველსა და ჩადივარსაც, რადგან უწყლობის გამო უმთავრესად თავისი ბალახოვნობის მხრით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული.

საკმარისია ადამიანმა არეების ზემოთმოყვანილი ჩამონათვალი გადაიკითხოს და აქ დართულ რუკაში ჩაიხედოს, რომ დარწმუნდეს, რომ თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეები საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კიდეებზე მოეპოვება. მთელი დანარჩენი ტერიტორია ორ მთავარ დიდს, ვენახ-ხილიანსა და უვენა-ხილო არეს უკავია. ამასთანავე, დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქეთ კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს. ოდენობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური, ზოლი ვენახიან-ხილიან არეს საგრძნობლად სჭარბობს.

უვენახ-ხილო არე პირობების წყლობით ერთის მხრივ ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურებისათვის იყ განკუთვნლი, მეორეს მხრით, ვრცელი საუცხოვო, საზაფხულო საძოვრების დიდი

სიუხვის გამო, ამასთანავე მრავალრიცხოვანი მესაქონელობისთვის იყო გამოსადეგი. აღსანიშნავის, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთით მდებარე საზაფხულო საძოვრებს კი, საქართველოს ამ საზღვრებში მიწისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

თავიანთი წინანდელი სამშობლოთგან ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულ ქართველთა ტომებს თან მაღალხარისხოვანი მიწისმოქმედებისა და ინტენსიური მესაქონლეობის კულტურა მოჰქონდათ: მეღვინეობით და მესაქონლეობით განთქმული იყვნენ ტუბალებისა და მოსოხთა ტომები ისევე, როგორც კასკ-კოლხების ტომებიც. ამიერ-კავკასიაში მათ მიწა-წყლისა და ბუნების სრულებით სხვა პირობები დახვდათ: მთა-გორიანობისა და ბარის გასაოცარი კონტრასტები, სითბო-სიცივის არეების სიახლოვე და სხვა ბევრი გარემოებაც ახალმოსულ ქართველებისათვის მათი წინანდელი სამშობლოს მიწა-წყლის ერთფეროვნების შემდგომ ძალზე საგრძნობი უნდა ყოფილიყო.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გარემოება ის გახლდათ, რომ ამ ახალი მიწა-წყლის, ახალი საქართველოს, სხვადასხვა თემის ბუნებრივი თვისებები ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავდებოდა, რომ ზოგი მათგანი ინტენსიური და მაღალხარისხოვანი მიწისმოქმედების ისეთი დარგებისათვისაც, როგორიც მეხელეობა და მეტადრე მევენახეობა არის, საუკეთესო ასპარეზს წარმოადგენდა, ზოგი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, თეების ნიადაგი და ჰავა კი – მეხიელობა-მევენახეობისათვის სრულიად უვარგისი იყო. სამგიეროდ აქ ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურებსიათვის ფართო ასპარეზი არსებობდა.

ასეთი განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტნიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მაცხოვრებლებს სწირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინოს და არც ხილი შეიძლებოდა ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრით, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქრთილეულის ის სიუხვე უნდა შეჰშურებოდათ, რომელიც საქართველოს მაღლობ თემებს გააჩნდათ.

ამას გარდა, წვრილფეხა საქონელს მაღლობი ადგილების სუსხიანი ზამთრისა და თოვლიანი, უბალახო პირობების ატანა არ შეეძლო. ამიტომ მესაქონლეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დატოვებდა. მას თავის საქონლისთვის ბარის თბილი და ზამთრის საზოვრიანი ადგილი აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრით ბარის მცხოვრებსაც საკუთარი წვრილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რადგან ცხვარს არც აქაური სიცხსი ატანა შეეძლო და არც საკმაოდ საძოვარი ექნებოდა. ამის გამო ბარრელს ზაფხულში თავის ცხვრის ფარა უნდა მაღლობ, გრილოსა და კარგ-საძოვრიან თემში წაესხა, რომ იქ გამოეკვება.

ამგვარად, ბარელს მთა სჭირდებოდა, მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმო მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა.

ამიტომ, გასაკვირია არაფერია, თუ რომ ამ გეობოტანიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი ვითარცა მტკვირს აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთენ ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოც გაერთიანდა.

წყარო 2. გ. ჩიტაია. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. გვ. 3-7.

ყოველგვარი ეთნიკური (ეთნოსი) ერთობლიობის კულტურის სტრუქტურა შეიცავს: ბუნებრივ გარემოს სადაც ესეთნოსი ცხოვრობს ან უცხოვრია, მატერიალურ კულტურასა და მეურნეობას, სოციალურ ურთიერთობასა და სულიერ კულტურას. თითოეული მათგანი თავის მხრივ მოიცავს ცალკეულ ელემენტებს. მაგ., ბუნებრივ გარემოში შედის, ოროგრაფია, ჰიდროგრაფია, ჰავა, ფლორა, ფაუნა, წიაღისეული ნამარხები, ნიადაგები, ტრასები და სხვა. მატერიალურ კულტურაში წარმოდგენილია: საკვები, ტანსაცმელი, საცხვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დასახლება, შრომისა და ბრძოლის იარაღი, ტრანსპორტი და ა.შ. მეურნეობის დარგში: შემგროვებლობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, ხელოსნობა და სხვ.

კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით საქართველოსათვის ვერტიკალური ზონალობაა დამახასიათებელი. საქართველოში მთას უჭირავს საერთო ფართობის 58,6 %, გარდამავალ ზოლს – 33.4%, ხოლო 13 % დაბლობს უკავია. ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად საქართველო იყოფა:

მთად (თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ზემო რაჭა, სვანეთი), ზეგანი იგივე გარდამავალ ზოლად (მესხეთი, ჯავახეთი, წალკა, ტაო-კლარჯეთი, ბასიანი, შავშეთ-იმერხევი, აჭარა) და ბარად (სამეგრელო, ლაზეთი, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ჰერეთი-მინგეჩაურამდე).

საქართველოსთვის ვერტიკალური ზონალობაა დამახასიათებელი, ეს ჯერ კიდევ შემჩნეული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. ის წერს: ლიგანის ხეობა „ფრიად ნაყოფიერია ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნე-ბურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს გარნა სივიწროვით ვერ სთესავენ ბრინჯ-ბამბას. ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლობენ მთანი თოვლიანნი და აგარაკნი, შვენიერებით აღმკულნი, ჟამისა და ნახევარ ჟამის სავალთა, პირუტყვნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი, და ყოველითა ნაყოფიერებით აღვსილი.

ამგვარი ვერტიკალური ზონალობა ასახულია სამეურნეო ვითარებაში (ბარის, გარდამავალი ზო-ლის და მთის მიწათმოქმედება; ბარის ფერდისა და მთის მესაქონლეობა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ზოლს შიგნით თავისი ბარი, თავისი ფერდა და თავის „მთა“ გააჩნია ისე, რომ მთავარი დაყოფის მაჩვენებელი მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მჟღავნდება. ასე, მაგ., ხევ-სურეთის ისეთი უკიდურეს მთას, როგორიცაა არხოტის თემი, აქვს თავისი ბარი (საქერეები), ზეგანი (სასავილები) და მთა (სახაროვნე).

სამეურნეო თვალსაზრისით თუ მაჩვენებლად თუ ვაზსა და ღვინოს ავიღებთ, დავინახავთ, რომ ბარში ვაზიც ხარობს და ღვინოსაც აყენებენ, ხოლო ზეგანში თუმცა ვაზი არ ხარობს, მაგრამ ბარის ვენახებიდან ტკბილი აქვთ და ღვინოდ აყენებენ. მთაში კი არც ვაზი ხარობს და არც ტკბილი ააქვთ ღვინისათვის (შდრ. მენა წალკაში და აფიონი ხევსურეთში). ასეთივე თვალსაჩინო მაჩვენებელია სახ-ვნელი იარაღები: ბარში გაბატონებულია დიდი გუთანი (8-9 უღელ-ხარ-კამეჩი, 20 კილოგრამი რკი-ნის ნაწილაკები, დიდი მოდგამით, შეხამებული დასახლების გარკვეულ ტიპებთან, სახლის გარკვეულ სახეობასთან და სხვ.) ორხელა (ორი – ოთხი უღელი ხარით) – ზეგანში; ხოლო აჩაჩა (სახვნელი ერთი უღელი ხარით) – მთაში. ასეთივე დიდი ურემი – ბარში, ჩოჩიალა ურემი და ბოლოთრია – ზეგანში და მარხილი – მთაში; კევრი – ბარსა და ზეგანში, ხოლო მაღალ მთაში ლეწვა საქონლის ფეხით. ასევე ითქმის ნაგებობების შესახებაც: ბარში ნაგებობები ჰორიზონტალურ ჭრილშია მოცემული, მთაში ვერტიკალურ განლაგებაში, ხოლო ზეგანში – შერეული სახის ნაგებობებია წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზეგანი, გარდამავალი ზოლი, ისტორიულად შუამავლის როლს ას-რულებდა მთასა და ბარს შორის. დამახასიათებელია, რომ ამ ზოლში იყო წარმოდგენილი მსხვილი დაბური დასახლების პუნქტები, სადაც ბაზრობაზე თავს იყრიდა მთისა და ბარის საქონელი. ამ სახის დაბები ჯაჭვებით გასდევს საქართველოს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (ლაგოდეხი, ყვა-რელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, ჟინვალი, წილკანი, მუხრანი, ახალგორი, ქვემო ქალა, მეჯვრისხ-ევი, ცხინვალი, ონი, ამბროლაური, ცაგერი, ჩორდი, წალენჯიხა, ჯვარი, ბედია, დურიფში და სხვ.).

ზემოთქმულს იმასაც დავსძენთ, რომ ზეგანი, გარდამავალი ზოლი, როგორც ცნობილია სათა-ნადო სპეციალური ლიტერატურიდან, ყველაზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული სხვა ზოლთან შედარებით. ასეა საქართველოშიც.

ვერტიკალურ ზონალობის საფუძველზე ატლასში ივარაუდება სამი ძირითადი ზოლი: ბარის, ზეგანისა და მთისა, რაც მდინარეების აუზების მიყოლოებით მკვეთრად ჩამოყალიბებული ჩანს. ამასთანავე აღსანიშნავია რომ თითოეული მდინარის აუზის შიგნით გამოიყოფიან ცალკეული მიკ-რორაიონები (დუშეთი, ქაისხევი და სხვა).

წყარო 3. ნ. აბესაძე. სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. გვ. 23-36.

საირიგაციო მიწათმოქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უშუალოდ წყ-არის წყლებს. წყაროებით მორწყვა უმეტესად მარტივ ხასიათს ატარებდა. მაგრამ ასეთი მორწყვის უმარტივესი ხვედრითი წონაცა და სამეურნეო მნიშვნელობაც საკმარისად დიდი იყო. წყაროს წყალს მოსარწყავად იყენებდნენ იქვე, სადაც ის ამოდიოდა. წყაროდან გამოყვანილი პატარა რუებით ახლო მდებარე ბაღ-ბოსტანს რწყავდნენ. ამავე წყლით ირწყვებოდა შედარებით შორს მდებარე ნაკვეთე-ბიც. ასეთ შემთხვევაში გამოიყენებოდა ერთი ან რამოდენიმე წყაროს წყლისაგან შემდგარი ნაკად-ულები, ან მცირე ხევები. როგორც უშუალოდ წყაროს წყლით, ისე წყაროს წყლებიდან შემდგარი ნაკადულებით მორწყვა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული.

წყარო ნაკადულების და ხევის წყლების ფართო სამეურნეო მნიშვნელობა და თავისებურება ძალზე საყურადღებო სურათს იძლევა საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვითაც. ამ თვალ-საზრისით სარწყავი მიწათმოქმედება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში წარმოდგენილია საქა-

რთველოს ოთხი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სამეურნეო-გეოგრაფიული და ეთნიკურ-ისტორიული ზონის მიხედვით, კერძოდ ქართლ-კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის, კოლხეთისა და სვანეთის საირიგაციო თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე.

ქართლში ხალხური რწყვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა მდინარეებიდან გადმოყვანილი სარწყავი წყლის თვითდინების გამოყენების წესი.

დახრილი გეზის შერჩევისათვის ხალხი მიმართავდა ფართო სათავის მოწყობის წესს, რაც ჯებირებიდან ან გოდორყურებთან ერთად წყლის თვითდინებას საგრძნობლად უწყობდა ხელს. რუს სათავე თვით რუს შუაწელის კალაპოტზე უფრო განიერი უნდა ყოფილიყო.

მდინარეებიდან გამოყვანილი მთავარი რუ მიემართებოდა იმ სოფლების სარწყავი ნაკვეთებისკენ, რომელთა საჭიროებისათვის იყო ის გაყვანილი. გზადაგზა თავი რუდან საყოფელების საშუალებით გაყვანილი იყო ჩვეულებრივი რუები ამა თუ იმ სოფლის ან სოფლის ამა თუ იმ უბნებისათვის.

მესხეთი (ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის რაიონები) მორწყვის თვალსაზრისით გამოირჩევა საქართველოს დანარჩენი კუთხეებისაგან. მესხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილში (ქვაბლიანის, მტკვრის, ურაველის ხეობების მცირე ნაწილის გამოკლებით) მორწყვის თითქმის ერთადერთი ფორმაა მთის წყლების სარწყავად გამოყენება. ამ შემთხვევაში სარწყავი წყალი ზემოდან ქვემოთ ჩამოჰყავთ. მესხეთში მორწყვა მთის პირობებს პასუხობს და მსგავსებად პოულობს საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი რეგიონისათვის დამახასიათებელ წყლის სამეურნეო გამოყენებასთან (სვანეთი, ზემო რაჭა, ქართლის მთიანეთი, ხევი და სხვ.).

მესხეთში მორწყვის ეს საერთო თავისებურება თავის მხრივ ორ განსხვავებულ სარწყავ მეურნეობაში ჰპოვებს გამოხატულებას. ერთი გვხვდება ახალციხისა და ნაწილობრივ ადიგენის რაიონებში, მეორე – ასპინძის რაიონში. პირველი ფორმა მორწყვაა, დაკავშირებული ზეგანის გაშლილ მიწათმოქმედებასთან, მეორე ფორმაა – მორწყვა, დაკავშირებული ძირითად ტერასულ მეურნეობასთან.

ტერასებს (ოროკოებს) გვერდებზე სარწყავი წყლის სადინარი უკეთდებოდა. რუდან სარწყავი წყალი თითოეულ ტერასში ცალკე ნაკადულით შეჰყავდათ. ამჯობინებდნენ მის სათითაოდ მორწყვას. რწყვას იყენებდნენ ზედა ტერასებიდან. ტერასაზე წყლის გასაყვანად გვერდითა სადინარს ჩაკეტავდნენ და წყალი ტერასის ნაკადულში შევიდოდა. როცა იგი მოირწყვებოდა, ისევ გახსნიდნენ, ხოლო მომდევნო ტერასის სანაკედლო იკეტებოდა. ამავე წესით ირწყვებოდა დანარჩენი ქვედა ტერასები.

კოლხეთის დაბლობის რწყვის თავისებურ ფორმასთან გვაქვს საქმე. ფაქტიურად ეს არის დაბლობის დიდ ნაწილში ჭარბ წყალთან წყლით ბრძოლა. დაჭაობებულ ზედაპირზე აქ ხშირად მიმართავდნენ წყლის გადატარებას, რომელიც თავისი ნალექებით ანუ შლამით ერთდროულად ნესტიან ზედაპირსაც ფარავს და ამავე დროს ნათესებისთვის მეტად ნოყიერ ნიადაგსაც ქმნის. ეს წესი კოლმატაჟის სახელით არის ცნობილი. არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური კოლმატაჟი.

ბუნებრივი კოლმატაჟი წარმოებს მდინარეების ადიდებისა და ნაპირიდან გადმოსვლი დროს, როცა წყლით დროებით დაფარული ტერიტორია შლამით იფარება, რაც ნიადაგს განსაკუთრებით ანოყიერებს. ხელოვნური კოლმატაჟის დროს ნაკვეთს ზღუდეებით შემოფარგლავენ, შლამი დაილექება, დაწმენდილ წყალს საგანგებო სადინარებით ნაკვეთიდან გაიყვანენ. ხელოვნურ კოლმატაჟს მიმართავენ ნაკლებ ნაყოფიერ ნიადაგსა და დაჭაობებულ ადგილებზე.

დასავლეთ საქართველოს უმთავრესი მდინარეების აუზში, როგორიცაა რაიონი, ცხენისწყალი, ხობისწყალი, ერთმანეთისაგან ასხვავებენ ლეკსა და დილას. ლეკი ბევრად წმინდაა სილაზე და მასთან შედარებით გაცილებით უკეთ ანაყოფიერებს ნიადაგს.

ნიშანდობლივია აგრეთვე აქაური მდინარეების ლეკის ერთმანეთთან შედარება და მისი დახასიათება, რომლის მიხედვით ამ მდინარეთა შორის ყველაზე მეტ ლეკს ანუ შლამს, და ამასთან ერთად ნოყიერს, შეიცავს მდინარე რიონი.

მორწყვა ზემო სვანეთში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი ფართოდ არის გავრცელებული ზემო სვანეთის ცენტრალურსა და დასავლეთ ნაწილში, არ გვხვდება აღმოსავლეთ ნაწილში (კალისა და უშგულის თემი). საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემო სვანეთში ირწყვება მხოლოდ სათიბები. აქ მეურნემ კარგად იცის, თუ როგორ ბალახს როგორი რწყვა სჭირდება. ყანებს არ რწყავდნენ. გამონაკლისს შეადგენს ფეტვის ნათესები, რომლებიც ირწყვება იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებით ცხელი ზაფხულია და გვალვები დგას.

აქაური სათიბები ერთი ზაფხულის განმავლობაში ორჯერ ითიბება, ცალკეულ შემთხვევაში – სამჯერაც. ამ გარემოებას კი მხოლოდ მორწყვა განაპირობებს.

სარწყავად გამოიყენებოდა მახლობლად ჩამომდინარე ხევის წყალი, საიდანაც გამოტანილია სარყავი არხი. ცალკეულ ადგილებში სარწყავად გამოიყენება აგრეთვე მიწიდან წყაროს სახით ამომდინარე წყლები, ზოგან კი უშუალოდ ჭაობის წყალი.

ხევის წყლებიდან ჰორიზონტალური კვეთით გამოყვანილია სარწყავი არხები. თუ სათიბები ერთ ფერდობზე მდებარეობს, მაშინ დაახლოებით ერთნაირ სიმაღლეზე მდებარე რამდენიმე სათიბისთვის ერთი არხია გამოყვანილი, სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე სათიბებისთვის კი რამდენიმე არხის გამოყვანაა საჭირო, რის გამოც წყალი არხში თვითდინებით მიედინება, არხის ტრასა მთელ მანძილზე მცირეოდენი დაქანების მქონეა. ეს თვალით არის განსაზღვრული ისევე, როგორც წყლის მცირე სადინარები სარწყავ ნაკვეთში. რუს გეზის საჭირო დახრილობას წყლის მიდევნებით ამოწმებენ.

სარწყავი ნაკვეთიდან გამავალი წყალი არხიდან საგანგებო მოწყობილობით გადადის ნაკვეთებში. სარწყავი წყლის შეყვანა ნაკვეთებში და წყლის თანაბარი განაწილება გამიზნულია ყოველი მტკაველის დასასველებლად. რადგან ნაკვეთებს წყალი მხოლოდ ზედაპირული გადავლებით რწყავს, საჭიროა წყლის მომცრო სადინარების ქსელის მოწყობა, რომელთაც თავისი განტოტებები აქვს. თუ წყალი კარგად არ ვრცელდება, განტოტებებს ახლო-ახლო აკეთებენ, ზოგჯერ თითო მეტრის დაშორებითაც. სადინარებს ნაკვეთის რელიეფის შესაბამისად თვალის ზომით აწყობენ და დიდ სიზუსტეს აღწევენ.

სარწყავი წყლის მთის ერთი კალთიდან მეორეზე გადასაყვანი ხელოვნური სადინარი ხის ღარებით ეწყობოდა და სხვადასხვა სიგრძისა იყო. ზოგიერთ ადგილას ასეთი სადინარის სიგრძე 1 მ აღწევდა.

საერთო არხებიდან წყლის ხმარებაში რიგი იყო დაცული. რიგს სოფელი აწესებდა და სოფელივე იცავდა. სხვადასხვა თემის სოფლები საერთო არხებით არ სარგებლობდნენ. ისიც ნიშანდობლივია, რომ აქ სპეციალური მერუეების ინსტიტუტი არ არსებობდა. რწყვასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს სოფლის უფროსი (მამასახლისი) აწესრიგებდა, ხოლო ცლკეულ შემთხვევაში აგრეთვე – საერთო არჩეული ან დასახელებული, სხვაზე მეტად მცოდნე პირი. საერთო არხიდან ცალკე ნაკვეთებში ეწყობოდა საყოფელები.

გელაზი

გიორგი ჩიტაია, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
„ძეგლის მეგობარი“, 1970 №20, გვ. 19-21

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში“ (აღწერაი სამეფოისა საქართველოისა, თბილისი 1941) არაერთგზის აღნიშნავს, რომ ქვემო ქართლში „სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა...“ ამგვარივე ცნობა მოიპოვება მეტნაკლები სიმრავლით აღმოსავლეთ საქართველოს რიგი კუთხეების შესახებ. მაგრამ წერილობით წყაროსთან ერთად სელისგან ზეთის გამოხდას ადასტურებენ ის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ზეთის გამოხდასთან არიან დაკავშირებულნი.

ერთ-ერთი ასეთი ძეგლია – გელაზი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა დამოწმებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით (თბილისი 1966) „გელაზი – ზეთის სახდელი ქვა“-ა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი ვერ გარკვეულა ძეგლის დანიშნულებაში და ზეთის სახდელი ქვა – წისქვილის ქვად მიუჩვევია. მაგალითად, აკად. მარი ბროსეს, რომელიც საქართველოში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობდა 1848-49 წწ. ყანჩაეთის მონასტრის გალავანში მდებარე ქვა-ბორბალი წისქვილის ქვად შეუცვნია. ასევე, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ბორჯომის პარკში მახლობელი რაიონიდან გადმოტანილი გელაზი (ძეგლების გადმოტანის ინიციატორი იყო ვინოგრადოვ-ნიკიტინი) – მიჩნეული იყო წისქვილის ქვად. ასეთივე ქვა-ბორბალი ამ რამოდენიმე წლის წინათ ჩვენ ვნახეთ უბისის ტაძრის გალავანში.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სელი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, რომელსაც მოსახლეობა სელის ჯიშის მიხედვით ან ქსოვილის დასამზადებლად ან კიდევ მისი მარცვლიდან ზეთის მისაღებად იყენებდა. ზემოთქმულს დავძენთ, რომ სელის კულტურის უძველეს კერად დასავლეთ საქართველო – კოლხეთი ითვლება.

ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე აღნიშნავდა, რომ კოლხეთში დამზადებული სელის ქსოვილი დიდად იყო მოწონებული იმდროინდელ სამყაროში. ასევე X საუკუნის არაბი მოგზაური იბნ ჰაუკალის მიხედვით აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებნი განთქმულნი იყვნენ სელის ქსოვილით, რომელსაც ადგილობრივ ენაზე ეწოდებოდა ტალ. ეჭვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „ტალ“ ქართულ „ტილოს“ ენათესავება და შეიძლება კავშირში იყო ხევსურულ კილოში შემონახულ ტალ-ავ-არ-თანაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მიწა წიაღში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის სელის ქსოვილის ნაშთები. ასევე ფართოდ იყო

ჩვენში გამოყენებული სელის ის ჯიში, რომელიც ზეთის გამოსახდელად გამოიყენებოდა. საამისო ფაქტიურ მონაცემებს უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველო იძლევა, ხოლო განსაკუთრებით ზეგანი მხარეები – თრიალეთი და ჯავახეთი.

როგორც თრიალეთში, ასევე ჯავახეთში ბოლო დრომდე იყო მოღწეული სელის ზეთის სახდელი სარეწაოები. ზეთის სარეწი სამი ნაწილისგან შედგებოდა, თითოეული მათგანი განკუთვნილი იყო ზეტის გამოხდის სამი სხვადასხვა საფეხურისათვის: 1. მარცვლის მოხალვა, 2. მოხალულის დაწნეხვა და 3. დაწნეხილი მარცვლისგან ზეთის გამოწურვა.

გელაზი ზეთის გამოხდის მეორე საფეხურთანაა დაკავშირებული. იგი მთლიანი ქვისგან გამოთლილი ბორბალია, რომელსაც წისქვილის ზედა ქვის მსგავსად შუაში გამჭოლი ნაჩხვრეტი აქვს ამოჭრილი, ხოლო წისქვილის ქვისგან განსხვავებით ნაჩხვრეტის ირგვლივ ოთხკუთხედი მოყვანილობის ღარია დატანებული. ნაჩხვრეტში გაყრილია უღლის ერთი ბოლო; ხოლო უღლის მეორე ბოლოში ტაბიკების შემწეობით ხარი ან კამეჩია შებმული. გამწევი ძალა ატრიალებს ფიქალი ქვებისგან აგებულ კალოზე ვერტიკალურად მდგარ გელახს, რომელიც დაცერებული ძგიდის მეშვეობით წნეხავს მოხალული სელის მარცვალს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ნახული გელაზები არც ერთი 1 1/2-2 მ ნაკლები დიამეტრისა არ ყოფილა. უფრო ხშირად კი ორისა და მეტი დიამეტრიც მქონე გელაზების მნახველი ვართ. ერთი ასეთი გოლიათური ზომის გელაზი ჩამოვატანინეთ სოფ. გუნიაყალიდან 1938 წელს. ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ფონდშია შესული, ხოლო მისი ოირი ექსპონირებულია იმავე მუზეუმის ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. ეს გელაზი წონით დაახლოებით ორი ტონაა. მას ამკობს ქართული მხედრული წარწერა, მასზე გამოსახულია გუთნეული, ბოლოთრია, ადამიანი, ჯვრები და ზოგი რამ სხვაც, რაც ჟამთა სრბოლის გამო წაბღალულია.

ჩვენთვის ნათელია, რომ გელაზები თრიალეთსა და ჯავახეთში ძველი მოსახლეობის ნაკეთობაა. მათზე ადრე, სანამ XIX საუკუნის 30 წლებში აქ თურქეთიდან ჩამოყვანილი სომხები, ოვები, კროები და ურუმები დასახლდებოდნენ. XIX საუკუნის მანძილზე აქ არც ერთი გელაზი მოსულებს არ უკეთებიათ, ხოლო ძველად დამზადებული ზეთის სახდელი იარაღები კი გამოუყენებიათ.

თავისთავად ცხადია, რა მასშტაბის მეურნეობა უნდა ყოფილიყო, თუ კი საჭირო იყო ასეთი ზომისა და წონის გელაზები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ისიც გვაგონდება, თუ რამდენად მასშტაბურია ქართული დედა გუთანი, რომელშიც 8-10 უღელი ხარ-კამეჩი ებმობა. გუთნისთვის საჭირო ღვედის დამზადებას ოთხი ხარისა და ოთხი კამეჩის ტყავი უნდებოდა, ხოლო სახნისი და საკვეთელი 20 კილოგრამ რკინას იწონიდა, თავი რომ დავანებოთ, გუთნეულისთვის საჭირო მუშა-ხელს (გუთნის-დედა, დღისა და ღამის მეხრეები, მჩეკელი) და სხვა.

ასევე დიდი მასშტაბის მეურნეობის არსებობას გულისხმობს დიდი ქვევრები, რომელთაგან თითოეულში ორი მრეცხავი კიბის შემწეობით ჩადიოდა, ან საწნახელი, რომელშიც 4-6 კაცი ჩადგებოდა ყურძნის დასაწურად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გოლიათი გელაზი აღმოჩენილია დმანისის გათხრების დროს, რომელიც დათარიღებულია XI საუკუნით (არქეოლოგი ვ. ჯაფარიძე), აგრეთვე ისიც, რომ გელაზი ჩართულია იმ შესანიშნავ ხალხურ ბალადაში, რომელსაც თაფარავნელი ჭაბუკი ეწოდება.

ტერასული სოფლის მეურნეობა სამცხე-ჯავახეთში

წყარო: ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ლ., ლაღიძე ლ., ტრაპაიძე., ნანობაშვილი თ. სამცხე-ჯავახეთი. ცნობარი. თბ., 2016.

სამცხე-ჯავახეთი – საქართველოს ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარე და ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულია. დღეს იგი შეწყვილებული ორი ტერმინით იხსენიება, მაგრამ ძველად ერთი გამაერთიანებელი სახელით იყო ცნობილი – მესხეთი, რომელიც უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე დღევანდელი სამცხე-ჯავახეთია. მასში, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის გარდა, შედიოდა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ისტორიული მიწებიც მდინარეების – მტკვრისა და ჭოროხის – ზემო წელში: არტაანი, ერუშეთი, კლარჯეთი, კოლა, ტაო, შავშეთი და სხვ. სხვაგვარად სამცხე-ჯავახეთი ზემო ქართლის სახელითაც იხსენიება.

ტერასული სოფლის მეურნეობა რთულ ოროგრაფიულ პირობებში ვითარდება და გარემოში არსებულ ეკოლოგიურ წონასწორობას უწყობს ხელს. საქართველოში ყველაზე კარგად მეურნეობის ეს დარგი სამცხე-ჯავახეთში განვითარდა. მიწის სიმცირის პირობებში მეტად ხელსაყრელი იყო ფერდობების ათვისება, რამაც სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთის ვარგისი მიწები მნიშვნელოვნად გაზარდა და ამასთან ბუნებათსარგებლობის მეტად მდგრადი და რაციონალური

პრაქტიკა განაპირობა. ამ გარემოებამ უდიდესი როლი შეასრულა რეგიონის და საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. თანამედროვე გადასახედიდან, სამეურნეო ათვისების ეს ფორმა მეტად გონებამახვილურ და მდგრადი პრინციპების შესატყვისად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან, ერთის მხრივ, მიღწული იყო აგროკულტურების მაღალი მოსავლიანობა, ხოლო მეორეს მხრივ, შენარჩუნებული იყო ბუნებაში არსებული ეკოლოგიური წონასწორობა. ყოველივე ეს კი მიღწეული იყო ბუნებრივი პირობების ღრმა ცოდნით, რაც მათზე მრავალწლიანი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგი უნდა ყოფილიყო.

ფერდობების სასოფლო-სამეურეო ათვისება სრულიად განსხვავებულია და მეტ ცოდნა-გამოცდილებას ითხოვს, ვიდრე ეს ვაკე ტერიტორიებისათვისაა დამახასიათებელი. სასურველი მოსავლის მისაღებად, მარტო არსებული ბუნებრივი პირობების გამოყენება საკმარისი არ არის. საჭიროა ბუნებრივი პირობების გათვალისწინება და მისი მართვა, ერთი მხრივ სათანადო ღონისძიებებით თავიდან აცილებულ იქნას ბუნების არასასურველი ზემოქმედება და, მეორე მხრივ, ხელოვნური ჩარევით გაიზარდოს ეფექტიანობა. ორივე ეს ღონისძიება სხვადასხვა აგროტექნიკურ ღონისძიებაში გამოიხატება: ნიადაგის დაცვა ჩამორეცხვისა და ეროზიისაგან, ორგანული სასუქის შეტანა, მავნებლებისაგან დაცვა, აგროწესების ზუსტი დაცვა და სხვა.

ტერასული სოფლის მეურნეობა სამცხე-ჯავახეთში უმთავრესად სამცხის ტერიტორიაზე განვითარდა, რისი მიზეზიც ამ მხარის მრავაწლიანი ნარგავებისათვის გაცილებით ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. მეცნიერებმა დააადგინეს, რომ ადგილობრივები ითვალისწინებდნენ მზის ენერგიის სამეურნეო მნიშვნელობას. ისინი ერთმანეთისაგან არჩევდნენ მზიან და ჩრდილიან ნაკვეთებს და მათ შესაბამის კულტურებს მიუსადაგებდნენ. კერძოდ, ვაზისთვის მხოლოდ „მზიგული“ ანუ სამხრეთის ექსპოზიცია იყო საჭირო. მეურნის დაკვირვებით, როცა ვაზს დილის სხივი (ანუ ვაზი გაშენებულია აღმოსავლეთის ექსპოზიციაზე) ხვდებოდა, მისი ფოთლები ზიანდებოდა, რადგანაც დილის ნამი ჯერ გამშრალი არ იყო. ხოლო როცა ვაზი სამხრეთის ექსპოზიციაზე იყო გაშენებული, მაშინ, როცა მას მზე მიანათებდა ნამი ფოთლებიდან უკვე გამშრალი იქნებოდა.

აგროტექნიკური ღონისძიების გათვალისწინების შემდეგ სამცხეში სამეურნეო ნაკვეთის დახრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან სამცხე არაა სწორი და ვაკე ადგილი, არამედ დახრამული ფერდობებითაა წარმოდგენილი, სამეურნეო მოქმედებებიც შესაბამისად უნდა წარმართულიყო. პირველ რიგში უნდა მიეღოთ სამეურნეოდ ვარგისი ნაკვეთი და მერე უნდა უზრუნველეყოთ მისი ხანგრძლივი დაცვა. სამეურნეოდ ვარგისია მიწის ზედაპირი, როცა მისი დამუშავება შესაძლებელია და ამისათვის უმჯობესია მას სწორი ზედაპირი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხრივ, გაძნელდება დამუშავების პროცესი და მეორე მხრივ, ნალექები ადვილად ჩამორეცხენ ნიადაგს. ასე რომ, რამდენიმე წელიწადში არსებული ნაკვეთი სამეურნეოდ უვარგისი გახდება. ამიტომ მეურნემ დაიწყო ფერდობის დავაკება. ამით მან სამეურნეო პროცესი გააიოლა, მაგრამ ახლა საჭირო გახდა მიღწეულის ანუ დავაკებული ნაკვეთის ხანგრძლივად შენარჩუნება. მთელი ეს პროცესი ფერდობის დატერასებაა.

ტერასებზე აშენებდნენ მრავაწლიან ნარგავებს და მოჰყავდათ ერთწლოვანი კულტურებიც – ხეხილი, ვაზი, ბოსტნეული და მარცვლეული. ხშირად ასეთი ტერასები ხეობის, ან მთის ძირიდან 100-200 მ შეფარდებითი სიმაღლით საფეხურს იკავებდა. ზოგან ტერასების რაოდენობა 50-საც კი აჭარბებდა.

ტერასებს სამცხე-ჯავახეთში სხვადასხვა ტიპისას აგებდნენ. ეს სხვადასხვაობა განპირობებული იყო გარემო პირობებით. აგებდნენ კედლიან (დარიჯი, ოროკი) და აკეთებდნენ უკედლო (ლარი) ტერასებს. განსხავებული იყო მათი სამეურნეო გამოყენებაც. ტერასები ისე იყო აგებული, რომ გათვალისწინებული იყო ქარის მიმართულება და სოლარული (მზის) ენერგია. სამეურნეო ფორმისა და აგროკულტურის შერჩევას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ფერდობის ექსპოზიცია. მეურნე გონივრულად იყენებდა ფერდობების მიხედვით სოლარული ენერგიის მიღების განსხვავებებს. კერძოდ, აგროკულტურებს შერჩევით თესავდნენ სხვადასხვა ექსპოზიციის ფერდობებზე. სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობებზე სინათლისა და სიმშრალის მოყვარულ, ხოლო ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე – სინოტივის მოყვარულ აგროკულტურებს თესავდნენ. როგორც წესი, სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე უფრო უხვ მოსავალს იღებდნენ, თუმცა ქერის დათესვა უფრო მომგებიანი იყო ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე. სამცხე-ჯავახეთში ტერასების დიდი ნაწილი სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზეა მოწყობილი. თუმცა მათ აწყობდნენ ასევე ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზეც. ტერასების თანაბარი მორწყვის მიზნით, მოწყობილი იყო საირიგაციო და საწვიმარი არხები და ღარები – წყლის სადინარები, რომელთა ძირი და გვერდები ქვით იყო ამოყვანილი. ამით მიწის ჩამორეცხვა არ ხდებოდა. დღეს ძველი ხელოვნური ტერასების უდიდესი ნაწილი განადგურებულია და მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი. მათზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ტერასების ფრაგმენტების, ტოპონიმების, გადმოცემების,

ისტორიული წყაროებისა და ჯერ კიდევ შემორჩენილი გაველურებული ვაზის ნაშთების მიხედვით. თანამედროვეობამდე უფრო მეტად მოაღწია დარიჯებმა, თუმცა შეცვლილია მათი გამოყენების დარგობრივი სტრუქტურა, კერძოდ, მაღლარი ვენახების ნაცვლად, სადაც წარსულში ასევე ხეხილიც უნდა ყოფილიყო შერეული, დღეს მხოლოდ ბაღნარებითაა წარმოდგენილი (ვაშლი, თუთა, კენკროვნები).

ლარი – ხელოვნური ტერასის ტიპი, უკედლო. აგებდნენ, როგორც წესი, მცირე დახრილობის დამრეც ფერდობებზე, სადაც ტერასის კედელი დაბალი, თუმცა ფართო იყო. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ამ ტიპის ტერასებზე, რომლებსაც დარიჯს, დარეჯს, ორორკს ეძახდნენ, უმთავრესად აშენებდნენ ხეხილს, ან მაღლარ ვენახს (ჭანჭურის, ან ჭერმის ხეზე ასულ ვაზს). დარიჯი დიდი ფართობისა (სიგანე 5-10 მ, სიგრძე 30-35 მ) და შედარებით დაბალი (1-1.5 მ სიმაღლის) ტერასაა და განლაგებული იყო მდინარეთა დინების გაყოლებით მაღალ ნაყოფიერ ნიადაგებზე.

დარიჯი, დარეჯი – ხელოვნური ტერასის ტიპი, ქვისკედლიანი, რომელსაც აგებდნენ მცირე დახრილობის, თუმცა ფართო ფერდობებზე. იგი დიდი ფართობის (სიგანე 5-10 მ, სიგრძე 30-35 მ) და შედარებით დაბალი (1-1.5 მ სიმაღლის) ტერასა იყო. აგებული იყო მდინარის ხეობის გასწვრივ მაღალნაყოფიერ ნიადაგებზე. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ამ ტიპის ტერასებზე უმთავრესად აშენებდნენ ხეხილს ან მაღლარ ვენახს (ჭანჭურის ან ჭერმის ხეზე ასულ ვაზს). დარიჯების აგებამდე წინასწარ საგულდაგულოდ შეარჩევდნენ ადგილს და განსაზღვრავდნენ სარწყავი წყლის მიყვანის შესაძლებლობას. ბაქნის შენება იწყებოდა ფერდობის ძირიდან მიწის გამოთხრითა და ქვებისაგან განთავისუფლებით. მიწის გამოთხრისას ტერასის კედლის საძირკვლად დებდნენ დიდი ზომის ქვებს, ლოდებს, რომელსაც შემდეგ მიწით ავსებდნენ. ასე აგრძელებდნენ შემდეგი ზედა საფეხურის აგებასაც. ქვისკედლიანი ტერასები შემორჩენილია სოფლების აწყურის, გოგაშენის, ვარგავის, თმოგვის, ნიჯგორის, საროს, ტოლოშის, ხერთვისის, ხიზაბავრისა და სხვათა მიდამოებში.

ხერთვისის ტერასები მტკვრისა და ფარავნის შესართავთან მდებარეობს. ალ. ფრონელი ხერთვისის ტერასებზე წერდა: „ადამიანი განცვიფრდება, ხერთვისის ბაღებს რომ ნახავს. ბაღები კლდეკლდე მიდიან და გარეგანი სახით ძველ ბერძენთა ამფითეატრს წააგავან. ბაღებს ასე აშენებენ: ჯერ მოჩეხავენ კლდეს, შემდეგ ქვემოდან გაუვლებენ კედელს ისეთი დიდრონ-დიდრონი ლოდებით, რომ ზოგის წონა 10,000 ფუთი იქნება. სწორედ გასაოცარია, რა ხელმა და მარჯვენამ მიაგორა ეს უშველებელი ლოდები კედლის ამოსაყვანად? როცა კედელს გაავლებენ და ადგილს მიასწორ-მოასწორებენ, ზურგით აზიდავენ მიწას, მოფენენ, შემდეგ დაყრიან პატივს და მხოლოდ ამის შემდეგ დარგავენ ხეს, ან დათესენ თესლს. დიდი ჯაფა და შრომაა საჭირო ამისთანა ბაღის გაშენებისათვის“.

ხიზაბავრაში წარსულში სოფელში განვითარებული იყო ტერასული სოფლის მეურნეობა. ხეხილთან ერთად აქ ვაზიც მოჰყავდათ. ამაზე ხალხური ლექსიც მეტყველებს. სოფლის მიდამოებში ხელოვნური ტერასებია. გადმოცემის მიხედვით, სოფლების – ხიზისა და ბავრისაგან გადასახლებულებმა დააარსეს და სახელიც აქედან მიუღია. ხიზაბავრაში 884 წელს აშოტ კურაპალატს დაუმარცხებია არაბი სარდალი ხალილა. ეს ცნობა შემონახულია სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის მიერ, რომელიც ხიზაბავრას ხოზაბირშის სახელით იხსენიებს. 1770 წელს, ხიზაბავრის ეკლესიაში, გადაიხადა მეფე ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების პარაკლისი, ხოლო ადგილობრივებმა, თურმე, გამარჯვებულ მეფეს დიდი ნადიმი გაუმართეს.

ხიზაბავრის ტერასები – კედლიანი ტერასები ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიზაბავრასთან, მდ. ჭობარეთისწყლის ნაპირზე, ასპინძიდან 19 კმ-ზე. სოფელი მაღლა მდებარეობს, ხოლო ტერასული ბაღები და ვენახები გაშენებული იყო ქვემოთ, ფერდობის დაბალ ადგილას, სოფლის შემოგარენში, მეტწილად მის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში. ლარული სახნავების ადგილობრივი სახელწოდებები: სახიზრები, ბაშაურები, ბეგოლარები, ბეგოთ-ლარები, დგნალები, დედოფალა-ღელე, დედოფლეთი, ვარანტები, ვერხვნალი, იდაყვა, კეხიები, კლდეწითლები, კოჩვანახეები, ლარეები, ოდის-წყარო, ოსპანური, საბურთილები, სამადლოები, სანაქრები, ჭალისხევი, ხმელ-ხევი და სხვ. ს. მაკალათიას მოწმობით „ძველად მტკვრის ხეობაში, ხერთვისის ზემო არტაანამდის ვენახებიც ყოფილა. ვაზი მესხეთში დღესაც ხარობს, განსაკუთრებით ხიზაბავრაში, სადაც წინათ ბევრი ვენახები ჰქონიათ და ღვინოსაც კარგს აყენებდნენ“.

აწყურის ტერასები უკედლოა, მდებარეობს სოფ. აწყურთან მდ. მტკვრის ნაპირებზე, აბანოსღელის შესართავთან, ზ.დ. 900 მ სიმაღლეზე, ახალციხიდან 22 კმ მანძილზე. შემორჩენილია მრავალსართულიანი დაბაქნებული ადგილები და მესხეთის ადგილობრივი ვაზის უძველესი ჯიშები: როკეთულა, ხარისთვალა, ბეჟანა.

ნ. კეცხოველი წერდა, რომ „ჯავახეთის სოფლებს აფნიას და გოგაშენს და სხვებს ბაღები ჰქონდათ ვარძიის მიდამოებში, მის პატარა ხევებში და საერთოდ მტკვრის გასწვრივ. ეს ვენახები ფრიად საინტერესონი არიან თავის არქიტექტურით, ბევრი მათგანი ციცაბო კლდეზეა გაშენებული, მაგრამ კლდე ფრიად ოსტატურად არის დატერასებული. ტერასის შუბლი ამოყვანილია ქვის კარგი კედლით.

ტერასის უკანა მხარეზე დარგულია ხეხილი: თუთა, ჭანჭური, ღოღნოშო, ქლიავი, მსხალი, ვაშლი, წინამხარეზე ვაზი – ერთი მწკრივი დაბლარი, მეორე – ხეხილის მწკრივზე (მაღლარი) გაშენებული. ვაზებს შორის ფართობი გამოყენებულია მწვანილის მოსაყვანად, კლდის პირით ტერასამდე მიყვანილია სარწყავი არხი. ეს ერთი-ერთი ტიპია მრავალსართულიანი ბაღ-ვენახ-ბოსტნისა".

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ ის მთავარი განსხვავებანი, რაც არსებობს უკედლო და კედლიან ტერასებს შორის, როგორ აგებდნენ მათ გარემო პირობების გათვალისწინებით. მათ უნდა შეადგინონ ცხრილი (შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფებმა).

გარემო პირობები	უკედლო ტერასები	კედლიანი ტერასები
ფერდობის დახრილობა		
ტერასის ზომები		
ძირითადი აგროკულტურები		

ამასთან, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ხელოვნური ტერასები ისტორიულ-კულტურული მეკვიდრეობაა და მათ დაცვა-აღდგენა ესაჭიროება და რომ ისინი საქართველოს სხვა მხარეებშიც იყო განვითარებული. ამ მიზნით ისინი ამზადებენ პრეზენტაციებს საქართველოში გავრცელებული ხელოვნური ტერასების შესახებ და კლასში აწყობენ მინიკონფერენციას ამ თემაზე.

სასარგებლო ბმულები:

http://saunje.ge/index.php?id=187&lang=ru
http://vinoge.com/მევენახეობა/მესხური-მევენახეობის-ნაშთის-კვალდაკვალ
http://www.vinoge.com/მევენახეობა/ტერასული-მევენახეობა-საქართველოში

მესხური დარბაზი

წყარო: ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ლ., ლაღიძე ლ., ტრაპაიძე ., ნანობაშვილი თ. სამცხე-ჯავახეთი. ცნობარი. თბ., 2016.

დარბაზი მესხური – საცხოვრებელი ნაგებობის ტიპი, ფართოდ გავრცელებული ძველ მესხეთში. წარმოადგენს ოთხკუთხა ძელებით კონუსურად ამოყვანილი გვირგვინის გადახურვის სისტემას. გვირგვინის ცენტრში ღიობია (ერდო), საიდანაც სინათლე და ჰაერი შემოდის, გარეთ კი კერაზე დანთებული ცეცხლის კვამლი გადის. ამ სპეციფიკური ნიშნების გამო ასეთ ნაგებობებს ერდოიან-გვირგვინიან სახლებსაც უწოდებენ. გვირგვინიანი ნაგებობის კედლებზე კი არაა დაყრდნობილი, არამედ საგანგებოდ შექმნილ ბოძებზე, რომელთაც დედაბოძი ეწოდება. დარბაზს შეიძლება ჰქონოდა 2 ან 4 დედაბოძი. სამცხე-ჯავახეთში ასეთ საცხოვრებელს ერთობის სახლს ეძახდნენ, ვინაიდან მასში 3-4 თაობის წარმომადგენელი ერთად ცხოვრობდა. ერთობის სახლი არა მარტო საცხოვრებელი ნაგებობა იყო, არამედ სამეურნეო კომპლექსიც. ზამთარში აქ ჰყავდათ შინაური პირუტყვი, აქვე ინახავდნენ მათ გამოსაკვებ პროდუქტსაც. საცხოვრებლის მთავარი სათავსი, ცენტრალური ოთახი იყო დარბაზი, სადაც ოჯახი ცხოვრობდა და სადაც სტუმრის მიღება-გამასპინძლება ხდებოდა, იმართებოდა ყველა სადღესასწაულო სუფრა. ამ ოთახს აუცილებლად გვირგვინიანი გადახურვა ჰქონდა. სხვა სათავსებსაც შეიძლება ჰქონოდა გვირგვინიანი სახურავი. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი უფრო საჭირო იყო – სინათლე და განიავება, თუ ზამთარში ცეცხლის დაუნთებლად სითბოს შენარჩუნება. გვირგვინი ჰქონდა მხოლოდ იმ სათავსს, სადაც ადამიანი ცხოვრობდა, სამეურნეო სათავსს კი, განსაკუთრებით პირუტყვის სადგომებს – არა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ადგილობრივი მკაცრი ზამთარი ქართველ მეურნეს აიძულებდა პირუტყვისათვის თბილი სადგომი მოემზადებინა. ეს კი ყველაზე უკეთესად, მაშინდელ პირობებში სწორედ მიწის სიღრმეში იყო შესაძლებელი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი შეშის დეფიციტს განიცდის. ამიტომ ამ ადგილებში ისეთი ნაგებობა უნდა შექმნილიყო, სადაც შეშის თუ წივის მინიმალური დანახარჯით, მაქსიმალური ეფექტი იქნებოდა მიღწეული. დარბაზის ცენტრში, ერდოს ქვემოთ მოწყობილი იყო კერა. მოგვიანებით იგი ბუხარმა შეცვალა და კედლის სიღრმეში გადაინაცვლა. ამიტომ ერდოს მხოლოდ განიავებისა და განათების ფუნქცია დარჩა. ყოველ საცხოვრებელ

კომპლექსს პურის გამოსაცხობად ჰქონდა თავ-თავისი სათონე ან ფურნის ოთახი. ასევე აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა ზამთარში შინაური პირუტყვის დასაბინავებელი ბოსელი (ახორი) და თივა-ბზის შესანახი სათავსი – საბძელი. დარბაზული ნაგებობები თითქმის მიწაში იყო ჩამჯდარი და თანაც მიწითვე იყო დაფარული, უცხო თვალისათვის ძნელად შესამჩნევი იყო.

მესხეთში ამგვარ სახლებს ერთმანეთის გვერდი-გვერდ აშენებდნენ და ფაქტობრივად მიწისქვეშა კვარტალებს ქმნიდნენ. მათ ერთმანეთთან დამაკავშირებელი კარებიც კი ჰქონდათ, ისე რომ არ უხდებოდათ გარეთ გამოსვლა და ქუჩების გავლა, რომ მეზობელთან მოხვედრილიყვნენ. თ. ჩიქოვანი ამ ფაქტს თავდასხმის საშიშროების არსებობით ხსნის: „უბნის ამგვარი კომპაქტურობა ავბედობით იყო ნაკარნახევი, ყველა სახლი ერთმანეთს საიდუმლო კარებით უკავშირდებოდა. მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, უბნის მოსახლეობა ამ საიდუმლო კარებით ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა და იქ იყრიდა თავს, რომელიც უფრო საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. სახლებს არც თუ იშვიათად გვირაბებიც ჰქონდა, რომლის საშუალებითაც ლტოლვილი მოსახლეობა სოფლიდან იპარებოდა და ციხესიმაგრეებს აფარებდა თავს“. ამასთან მესხური ტიპის დარბაზი ადგილობრივი ბუნებრივი პირობების და სამეურნეო საქმიანობის შესატყვისად ჩამოყალიბდა. კერძოდ, შედარებით მშრალი კლიმატის პირობებში შესაძლებელი იყო ნაგებობათა მიწის სიღრმეში აგება – მშენებლობისათვის გამოყენებული ხის მასალა დიდხანს ძლებდა და ნესტის სიმცირეც ადამიანებს ხიფათს არ უქმნიდა. ოჯახს თუ დასჭირდებოდა ნებისმიერი ოთახიდან გაჭრიდა კარს, გამოიღებდა მიწას, ამოიყვანდა კედელს და ახალი სათავსიც მზად იყო. ამიტომაც იყო რომ მესხური დარბაზის გეგმა ყველგან არაპროპორციულია. მიწისზედა ნაგებობების შემთხვევაში კი მეტი ძალისხმევაა საჭირო, როგორც კედლების ამოყვანის ისე მისი გამაგრების მხრივაც. დარბაზულ ნაგებობა გარემო პირობების კარგად ცოდნისა და მისი შემოქმედებითი გამოყენების კლასიკური მაგალითია. ამასთან იგი ახალი კულტურულ-ისტორიული ფენომენის – ქართული ჯვარ-გუმბათიანი ხუროთმოძღვრების წარმოშობის წინაპირობაცაა. მიჩნეულია, რომ ქართული საკულტო ნაგებობების განვითარების გარკვეულ საფეხურზე სწორედ დარბაზული საცხოვრებლის ძირითადი ელემენტი – გვირგვინი იქნა გამოყენებული ახალი სტილის ე.წ. ჯვარ-გუმბათოვანი საკულტო ნაგებობების შესაქმნელად. კერძოდ, ქართველმა ხუროთმოძღვარმა დარბაზიდან აიღო კვადრატული ფორმიდან მრგვალ ფორმაზე გადასვლის იდეა.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა მესხური საცხოვრებელი სახლი უნდა შეადაროს მანამდე ნასწავლ საცხოვრებელ სახლებს საქართველოში.

ქართული სამოსი

წყარო: ჩვენი ღირსებანი, ტომი 8. თბ., 2016.

სამოსი

საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ ჩაცმულობას, რომელსაც განვითარების ხანგრძლივი პერიოდები აქვს.

კოსტუმის ისტორია საზოგადოებრივი ისტორიის კვლევის აუცილებელ ფაქტორადაა მიჩნეული.

ქართული კოსტუმის შესახებ ცნობები მეტად მწირია; მისი აღდგენა ძირითადად სტელებისა და ფასადების რელიეფთა წყალობით ხერხდება.

კოსტუმი, მიღებული განსაზღვრების თანახმად, გულისხმობს ცალკეული ეპოქების, ქვეყნებისა და სოციალური ფენებისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელს ქსოვილის, თარგის, თმის ვარცხნილობის, წვერის დაყენების, ძალაუფლების ნიშნებისა და სამკაულების ყველა თავისებურების გათვალისწინებით, რაც თითოეულ ერს განსაზღვრული აქვს ბუნებრივი პირობებით, ცხოვრების წესით და ეკონომიკური მდგომარეობით.

ძველი კოსტუმის აღსადგენად მდიდარ მასალას იძლევა წერილობითი წყაროები და მატერიალური კულტურის ნიშნები: რელიეფები, მონეტები, ფრესკები და არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ნივთები.

ქართულ ტანსაცმელში გემოვნება და ზომიერება შეიმჩნევა. სამოსს ესთეტიკური ფუნქციაც აქვს დაკისრებული; ამას, რელიეფებისა და ფრესკების გარდა, წერილობითი წყაროები და ლიტერ-

ატურული ძეგლებიც ადასტურებს. „ვისრამიანის“ ავტორი გაზაფხულსაც კი სამოსს ადარებს.

„ვეფხისტყაოსანში“ ხატაელებთან გამარჯვებულ ტარიელს დარბაზობისას, ქართული წესის თანახმად, სამოსი უნდა უბოძონ, მაგრამ შენიშნავენ:

„აწ თუმცა გვმართებს შემოსვა, ვის მორჭმით მოგივლენიან,
არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგხდით, ტურფად გშვენიან.
აწ გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქნი მოგიფენიან,
თვით შეიკერე, რაცა გწადს, ჩვენგან ნუღარა გრცხვენიან“.

საქართველოში ერთი და იმავე თარგის სამოსი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გვხვდება. სამეფო სამოსიც კი, პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ხანისა, ზომიერებით გამოირჩევა.

რელიეფებსა და ფრესკებზე გამოსახულ ქტიტორებს ხელში დავიწროებული, მსუბუქი ან მძიმე ქსოვილის მოკლე და გრძელი კაბები აცვიათ. კაბები შემოსალტულია ტანზე, რაც სხეულის ლამაზ აგებულებას უსვამს ხაზს.

ქართველი ხალხი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ტანსაცმლისათვის ქსოვილის შერჩევას და მის სათანადო მორთულობას. ჩაცმის კულტურა გულისხმობს როგორც მასალის მაღალ ხარისხსა და გამოჭრა-შეკერვის ოსტატობას, ასევე ტანსაცმლის ხმარება-ტარების ცოდნასაც.

ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ხანის ქალაქებში (მცხეთა, უფლისციხე, თბილისი და სხვა) გვხვდება მეწაღეების, თერძების, ჭონების ამქრები, რომელთა მეშვეობით იქსოვებოდა და იკერებოდა სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმელი.

ქართული ტანსაცმელი მამაკაცისათვის ჩოხა-ახალუხი იყო, სათანადო ფეხსამოსით, ცხვრის ტყავის ქუდით, ვერცხლისნაწილებიანი ქამრით და ქარქაშიანი ხანჯლით, რაც განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა მთელ კომპლექსს.

ქალის „ქართული ჩასაცმელი“ გრძელი და სარტყელგულისპირიანი კაბა იყო, რომლის გარედან ქათიბი უნდა სცმოდათ. ქათიბი მეტად ლაზათიან და საპატიო ჩასაცმელად ითვლებოდა; მისი ზედატანი ტანზე კარგად მომდგარი უნდა ყოფილიყო. ქართული თავდახურვა თავისებურ ვარცხნილობას თხოულობდა: წინ მოკლედ შეჭრილ, დახვეულ კავებს და უკან ნაწნავებს. თმებზე მაგრდებოდა ჩიხტი მორკალური კოპით, რათა მასზე ქინძისთავით ლეჩაქი დაემაგრებინათ.

გლეხის კაბა და თავდახურვა უფრო მოკრძალებული იყო, განსხვავებით მაღალი წოდების ქალთა მდიდრულად შემკული კაბისაგან. კაბა სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი (წელიანი, ყურთმაჯიანი, სარტყელ-გულისპირიანი და სხვა). მამაკაცთა ქართული კაბის სახელოებს უწოდებდნენ ყურთმაჯებს, ქალისას – ენიანს ან ყოშიანს.

ქალის ჩაცმულობაში ადრე ყურთმაჯების მაგივრობას პერანგის სახელოები ასრულებდა, ხოლო გულისპირისას – პერანგის გული. ამიტომ იყო, რომ ძველად ქალები იკერავდნენ ფერადი აბრეშუმის ქსოვილის პერანგებს. პერანგის გული მორთული იყო აბრეშუმის გრეხილით, ოქრომკედით, თვალ-მარგალიტით ან მძივით. ვახუშტი ბაგრატიონი იუწყება, რომ მის დროს ქართლსა და კახეთში ერთნაირად იცვამდნენ: „შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთგვარად“.

საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების მიუხედავად, ქართული ტანსაცმლის სამი სახესხვაობა შეინიშნება: მთიელთა, აღმოსავლეთ-ქართული, დასავლურ-ქართული. ყოველი კუთხის ჩაცმულობას თავისებური ნიუანსები გააჩნია, რომლებიც გენეტიკურად უკავშირდება ძველი ქართული ჩაცმულობის საწყის ფორმებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ხევსურული ტალავრის ისეთი ელემენტი, როგორიცაა პერანგი, რომელიც თავისი ორიგინალური თარგით და მდიდარი ნაქარგობით გამოირჩევა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის სხვა ხალხთა ჩაცმულობისაგან.

დასავლეთ საქართველოში (აჭარა, ლაზეთი, გურია და ნაწილობრივ – სამეგრელო) გავრცელებული იყო მამაკაცის ჩაცმულობის თავისებური სახე, რომელიც „ჩაქურას“ სახელწოდებას ატარებს.

სამეფო სამოსის განხილვა **ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა**, კერძოდ აშოტ კურაპალატის, სამოსით უნდა დავიწყოთ, ვინაიდან IX საუკუნემდე ქართველი მეფის გამოსახულება არა გვაქვს. IX-XIV სს. საქართველოს ყველა მეფის გამოსახულებას არ მოუღწევია ჩვენამდე, ამიტომ უნდა შემოვიფარგლოთ ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ლაშა გიორგის, დავით ნარინის, დემეტრე II-ის, ბაგრატ V-ის გამოსახულებებით. სამეფო სამოსის ყველა კომპონენტს ერთნაირი დანიშნულება როდი ჰქონდა; ნაწილი განკუთვნილი იყო შესამოსად, ნაწილი – შესამკობლად. შესამოსელი იყო: პოდირი (სამოსი), ბისონი, მოგვები, შესამკობელი – დიადემა, სამკლავე.

ბისონი გრძელი და ვიწრო სამოსია, მოძრაობის გასაადვილებლად წინა კალთა მუხლამდე შეჭრილია, ყელთან ღრმად ამოჭრილი. ბისონი მარგალიტებით შემკული სარტყელითაა შემოჭერილი. საამისოდ იყენებდნენ როგორც მძიმე, ასევე მსუბუქ ქსოვილს. დიადემა მდიდრული ქსოვილით მზადდებოდა, ბუდეში ჩასმული ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით.

მეომრის საჭურვლის აღსადგენად მწირი მასალაა შემორჩენილი. ფრესკები და ვერცხლის ხატე-

ბი, რომლებზეც წმინდა გიორგია გამოსახული, ორგვარია: ფეხზე მდგარი და ამხედრებული წმინდა გიორგი. ფეხზე მდგარი მარცხენა ხელით ფარზეა დაყრდნობილი, მარჯვენაში შუბი უჭირავს, ამხედრებული კი შუბით გმირავს ფიგურას, რომლებსაც სამეფო სამოსი აცვია. ეს ფიგურა, წარწერების მიხედვით, მეფე დიოკლიტიანეა, „უღმერთოს", „უშჯულოს" ეპითეტების მატარებელი. ეს მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ ქართულ ხელოვნებაშია წმინდა გიორგი ამგვარად წარმოდგენილი.

V-XIV სს-ის წერილობით წყაროებში საჭურვლის ცალკეული ნაწილები იხსენიება, რამდენადმე სრულად კი – „ვეფხისტყაოსანში":

„კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვინ შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი,
ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი, -
ზურმუხტისა ბუდებითა იყვნეს, ვითა ლუსკუმანი".

აბჯარი – „ზოგადი სახელი ყოველთა საჭურველთა" (საბა) – შეიცავს ჯაჭვს ან ჯავშანს (თორს), მუზარადს, ქაფს, საბარკულს. ამ სიას, ხატების მიხედვით, ემატება კაბა და მოსასხამი (მაზარა). მეომრის შეჭურვილობას ასეთი თანმიმდევრობით განვიხილავთ: დასაფარებელი საჭურველი – კაბა, ჯავშნი, მოსასხამი; სამკერდე სარტყელი – ქაფი, საბარკული, ფეხსაცმელი და ფარი; იარაღი – ხმალი, შუბი, მშვილდი, ოროლი, მახვილი, ლახვარი.

ქართული სამოსი, როგორც უძვირფასესი საგანძური, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ის ქცევის ნორმების, ურთიერთობის, თავდაჭერის განმსაზღვრელი გახდა.

წინდა

ქართული ტრადიციით, ქალი საზოგადოებაში თავისი ხელსაქმით და ქცევით ფასობდა. გოგონები ხელსაქმის სწავლას წინდის ქსოვით იწყებდნენ. ძველად ქალები წინდებს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას ქსოვდნენ; წინდები დიდი რაოდენობითა და სიყვარულით იქსოვებოდა ქმარშვილის, ნათესავის, საქმროსათვის. სასურველის ქალის მოქსოვილი წინდა ბევრი ჭაბუკისათვის სანატრელი იყო:

„ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამოდის წმინდაო,
ნეტავი, ქალო, ჩამაცო
შენინაქსოვი წინდაო."

ძველებური თუშური წინდა ფერადნაჭრელია და მას „ჯარანაიან" წინდას უწოდებენ. დღეს უფრო მოსწონთ ფერადზოლიანი და სადა წინდები. უსახოსა და სადა წინდას სამეცხვარეო და სამინდვრე წინდას უწოდებენ, ზოლიანს კი – სასტუმროს.

წინდას აქვს წვერი, ტერფი, კოჭი და ყელი. აჭრელებდნენ წინდის ტერფსა და ყელს, დანარჩენი ნაწილები სადაა. წინდები – როგორც ყელდაბალი, ისე გრძელყელიანი – იქსოვება ჩხირებით. ქალის წინდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, კაცისა კი – სადა ორნამენტებით და თავშეკავებული ტონით.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ თუშები ნაქსოვი ფეხსაცმლის ზოგიერთ სახეობას ქსოვდნენ შალის ძაფით, წინდის ჩხირებით ან ყაისნაღით. გამოიყენებოდა სამწვერა დაგრეხილი მატყლის ნართი. წინდას ძირზე ტყავს აკერებდნენ ან ძირი იქსოვებოდა მჭიდროდ, სქელი ძაფით და უკეთდებოდა გარემო. ნაქსოვ ფეხსამოსს „ჩითებს", ხოლო ხევსურეთში – „თათას" უწოდებდნენ. ჩითებს იცმევდა ქალიც და კაციც. საკაცო ჩითებს ყელს წაღმა-უკუღმა, ან „შიბაით" ქსოვდნენ, საქალო ყელს – რეზინულად.

წინდის ქსოვა ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ფშავში, ქართლში, კახეთში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და სხვაგან.

საწინდე ძაფისათვის საუკეთესოდ ითვლება „კრაველი" – ბატკნის მატყლი. მთიელი ქალები ძაფს თვითონ ღებავდნენ; შესაღებად ძირითადად მცენარეულ საღებავებს იყენებდნენ.

ქალამანი

ქალამანი მწყემსის, მენახირის, სოფლის უბრალო მცხოვრების ყოველდღიურ ფეხსაცმელს წარმოადგენდა. მის დამზადებას თავისებური ოსტატობა სჭირდებოდა. დიდი სირცხვილი იყო, გლეხკაცს ქალამნის ამოსხმა არ სცდოდნოდა. ქალამნის დასამზადებლად ძროხის, ხარის, იშვიათად – ღორის ტყავს იყენებდნენ; ცხვრის ტყავს ბავშვებისათვის თუ ამოასხამდნენ, რათა რბილი ყოფილიყო.

ახლად დაკლული საქონლის ტყავს გატყავებისთანავე მოაყრიდნენ მარილს, ჯოხებით დაბეგვავდნენ და შიგნითა პირს მზეს მიუფიცხებდნენ. ტყავი რამდენიმე დღეში გაშრებოდა და გამაგრდე-

ბოდა. ამის შემდეგ საჭირო იყო წყალში დალბობა. თუ ტყავი საქალამნედ უნდოდათ, ბეწვს გაფხეკდნენ, ტანისამოსს კი ბეწვიანად კერავდნენ.

მამაკაცის ფეხსაცმლისათვის საუკეთესო იყო ძროხის ან ხარის მუცლის არედან აღებული ტყავი. ტყავს დასარბილებლად დებდნენ შრატის, სიმინდის ფქვილისა და მარილისაგან დამზადებულ მჟავე ფაფაში. ამ ფაფაშივე გასძვრებოდა ტყავს ბეწვი. შემდეგ დანით გაფხეკდნენ, კარგად გარეცხავდნენ და ზომაზე დაჭრიდნენ. ტყავი ფეხის ზომის მიხედვით გამოიჭრებოდა, ნაპირებს დაუხვრეტდნენ ყოველ ერთ სანტიმეტრში.

ქალამნის შესაკრავად საჭირო მასალა მზადდებოდა ისევ ტყავისაგან, რასაც „კოპს“ ეძახდნენ. კოპი იჭრებოდა უფრო თხელი ტყავისაგან; დაალბობდნენ, დაგრეხდნენ და ჩხირზე დაახვევდნენ. ასე გამზადდებოდა შესაკერად ქალამანი.

ქალამნის ამოსხმა იწყებოდა თითების მხრიდან. გარშემო უმზადდებოდა რამდენიმე ყულფი: თითებთან, გვერდებზე და ქუსლის ორივე მხარეს. წინ უკეთდებოდა ოთხი ფანჯარა. ჩაცმის დროს ყულფებში ამოუყრიდნენ თასმებს. თასმები კოპივით დაჭრილი ტყავი იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ იყო დაგრეხილი. თუ ქალამნის ძირის ტყავი გაფხეკილი იყო (ბეწვგაცლილი), მაშინ სითბოსთვის წმინდა თივას ჩააგებდნენ.

დღეს მივიწყებას მიეცა ეს უბრალო, მაგრამ ერთ დროს აუცილებელი ფეხსაცმელი.

ქართლელი ქალის ჩაცმულობა (XIX ს).

გ. ჯალაბაძე, „ძეგლის მეგობარი", 1984, №66.

ქართლელი ქალის ჩაცმულობის მთლიანი ტანი წარმოგვიდგება შემდეგი სახით: 1. თავისებურებები და თავსაფრები; 2. მოსასხამები; 3. ჩასაცმელი სათბუნებლები; 4. კაბები; 5. საცვლები; 6. ფეხსამოსები; 7. ფეხსაცმელები.

თვითეული ეს სახეობა შეიცავს როგორც ცალკე ელემენტებს, ისე კომპლექსებს. ცალკე ელემენტები ყოველდღიურად სახმარია, ხოლო კომპლექსები უფრო გამოსასვლელ და საზეიმო ჩაცმულობის მთლიანობას ქმნიან.

თავსაბურავები

ქართლელი ქალის თავსაბურავების და თავსაფრების შემადგენლობაში შედიოდა ხილაბანდი, თავშალი, შიგნითა თავსაკრავი, ნაკერი თავსაკრავი, პირის ასახვევი, ლეჩაქი, ჩიხტი, კოპი, ბაღდათი, შალი, ნაქსოვი ქუდები და შლაპა.

ხილაბანდი, თავზე მოსაკრავი სამკუთხა გამოჭრილი მიტკლის ნაჭერი, რომელსაც ორი ყური საკმაოდ ჰქონდა წაგრძელებული შუა მესამე მოკლე იყო. სალეჩაქე ქსოვილი XIX საუკუნეში საქართველოში გარედან შემოდიოდა. ლეჩაქის სახელებში შემონახული ტერმინები „ბლონდი", „ტრუპოი", „ბურსო“ და „ტულა". ამ ქსოვილის სადაურობაზე უნდა მიუთითებდეს ნაქსოვის და ქსოვილთა მიხედვით მოხსენება „ლეჩაქი ხეებიანი ატლასისა", „ლეჩაქი ძაფით ნაკერი ატლასისა“, „ლეჩაქი საია ატლასისა", „გარსის ლეჩაქი", „ჩაქსოვილი ლეჩაქი".

ლეჩაქებს ამზადებდნენ საქართველოს ქალაქებში (თბილისი, გორი, თელავი). ლეჩაქისათვის იღებდნენ სამკუთხედად აჭრილ ქსოვილს, რომლის საშუალო ანაზომია 150X150X190 სმ, რომელსაც ირგვლივ შემოაკერებდნენ მაქმანს – არშიას. აწარმოებდნენ ლეჩაქის დაბასმვას და სცოდნიათ აგრეთვე მისი შემკობა აბრეშუმის ძაფით ამოყვანილი სახეებით.

დაბასმისათვის გამოყენებაში ყოფილა სპეციალურად ყდა, რომელსაც ლეჩაქის ფიხცარი ეწოდებოდა.

1826 წლის მზითვის წიგნში მოიხსენიება „ლეჩაქის ფიცრები ანუ დაფა დახატული“ (მ. იაშვილი, მასალები, გვ. 188) და სხვა. ფიცარზე გადაჭიმულ ლეჩაქს, რომელიც წინასწარ შაქრის წყალში იყო გახამებული სხვადასხვა ყვავილოვანი სახით მორთავდნენ. ყვავილოვანი სახეების გამოსაყვანად იყენებდნენ სახამებელს, რომელსაც ზოგჯერ პურის ფქვილისაგან ამზადებდნენ.

ლეჩაქის ფიცარი წინასწარ მოხატულიც ყოფილა და ამის შესაბამისად სცოდნიათ ლეჩაქის დაბასმვა. გარდა აბრეშუმის ძაფით მოქარგვისა იცოდნენ ლეჩაქის მოქარგვა ოქრომკედით.

ლეჩაქებს განასხვავებდნენ, იყო სადა და სახიანი. მზითვის წიგნებში გვხვდება „ლეჩაქი ოქრომკერდით ნაკერი საცხენოსნო", განთქმული იყო თელავური ლეჩაქი, თელაველები ლეჩაქს საგანგებო მაქმანით ამკობდნენ და ნემსით ზედ სახეებიც ამოყავდათ ხოლმე.

ლეჩაქი დამოუკიდებლად არ იხმარებოდა, იგი შედიოდა ქართველი ქალის თავხურვის კომპლექსში, მთელი ეს კომპლექსი წარმოადგენდა რთული კომპონენტების ერთობას. თვით ტერმინი XVIII საუკუნეზე ადრე არ ჩანს. თავხურვის შემადგენელი მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია თავსებადი ანუ თავსაკრავი, თავსაკრავის საშუალო ზომა 45X3 სმ. ან 50X3 სმ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თავსაკრავს ტერმინი ჩიხტი შეენაცვლა.

თავსაკრავი მზადდებოდა სხვადასხვა მასალისაგან, მაგ. მზითვის წიგნებში მოიხსენიება: ოქრომკერდი ნაკერი, დახატული, სტერნოს, ყალამქრის, ხავერდის.

თავსაკრავებში აქცენტირებული იყო მისი ცენტრი, რომელიც ცხვირის ასწვრივ შუბლზე მოდიოდა, თუ სადა ქსოვილისა იყო მას შუაში ამკობდნენ შუბლის ქინძისთავით, ხშირად იგი ოქროსაგან მზადდებოდა შემკული იყო ძვირფასი თვალებით.

თავსაკრავი მუყაოს რკლაზე იყო ქინძისთავებით გადაკრული. მუყაოს დამოუკიდებლად ჩიხტა ეწოდებოდა. უფრო გვიან ამ ტერმინმა ორივე გააერთიანა.

კოპი – თავხურვის ერთი შემადგენელი ელემენტი, რომელიც წარმოადგენდა თითის სიმსხო რკალის ფორმაზე, მაგრად დახვეულ ბამბას გამოკერილს ატლასში, ან აბრეშუმის ნაჭერში, კოპი შუა ნაწილში უფრო შემსხვილებული იყო, მისი ბოლოები თანდათან მოვიწროვებული. კოპი იკერებოდა ჭრელი ქსოვილისაგან, XIX საუკუნის მზითვის წიგნებში კოპი მოიხსენიებოდა „ნაკერი ოქრომკერდისა, ფარჩისა და ლენტებისა". კოპი იდებოდა ჩიხტში, ავსებდა თმასა და ჩიხტს შორის დარჩენილ არეს. კოპი ჩიხტის კიდეზე ქინძისთავებით მაგრდებოდა, ხოლო კოპზე ლეჩაქი დაეფინებოდა და მასაც ასევე ქინძისთავებით ამაგრებდნენ.

კოპის გაჩენა ჩიხტის ხმარებას უნდა მოყოლოდა.

ბაღდადი – თავხურვის ერთი შემადგენელი ელემენტია. ბაღდადი აბრეშუმის ქსოვილისაგან იყო დამზადებული, უმთავრესად შავი, მუქი ლურჯი, ან იასამნის ფერად შეღებილი, ოთხკუთხედად აჭრილი, რომელსაც მოხვევის დროს უბეურად გადაკეცავდნენ.

ლეჩაქით თავდახურულ ქალს ბაღდადი ისე უნდა მოეხვია, რომ სამკაულად გადაქცეული ჩიხტი და მასზე დაფენილი ლეჩაქის არშია არ დაფარებულიყო.

ბაღდადის ორი ბოლო ნიკაპ ქვეშ იკერებოდა.

ბაღდადს უმეტესად ხანდაზმული მანდილოსნები ატარებდნენ.

შალი, შალის ძაფისაგან ყაისნაღით მოქსოვილი მოსასხამი, რომელსაც იყენებდნენ ზამთრის პირობებში. შალს ქსოვდნენ როგორც სამკუთხა ფორმისას, ისე ოთხკუთხა ფორმაზე. თავზე იხვევდნენ უბეურად მოკეცილს.

ქუდი – ქართლში ქალები იხურავდნენ ქუდებსაც, რომელსაც ყაისნაღით ქსოვდნენ აბრეშუმის, ბამბის და მატყლისაგან. ქუდის ხმარება უფრო ხშირი გახდა 1921 წლის შემდგომ პერიოდში, ამას ხელი შუწყო ქალთა ემანსიპაციამ. ქალებმა თმების შეჭრის შემდეგ უფრო მოუხშირეს ქუდების ხმარებას.

ქუდი – შლიაპა – XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართლელ დიდებულთა ქალების სამოსში ჩნდება ქუდი – „შლიაპა" (1826 წ.), შლიაპა ოქრომკერდით მოქარგული ყოფილა, წლის დროსა და დანიშნულების შესაბამისად ქალებს უხმარიათ „ზამთრის", „ზაფხულის" და „ვიზიტის" შლიაპები. შლიაპის ხმარება ხშირი იყო ქალაქის მოსახლეობაში (თბილისი, გორი, ხაშური, დუშეთი).

ხილაბანდს იფენდნენ თავზე, შემდეგ ორი გრძელი ყურით თავის უკან იკრავდნენ და მოჰქონდათ წვერები წინ და შუბლზე ორმაგად გაინასკვავდნენ. ხილაბანდით იმაგრებდნენ თმებს, ხილაბანდს ხმარობდნენ ქალები გათხოვების შემდეგ. ხილაბანდის ხმარება ქართლში საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

მგლოვიარე და მოხუცი ქალები უმეტესად შავ ხილაბანდს ატარებდნენ. ხილაბანდი ხმარებაში იყო როგორც XIX ს I ნახევარში, ისე მეორე ნახევარში, ასევე იხმარებოდა შემდეგ პერიოდშიც, განსაკუთრებით მას ხმარობდა სოფლის მოსახლეობა.

თავშალი – თავზე მოსახვევი, მიტკლის ან ჩითისაგან სამკუთხად გამოჭრილი ნაჭერი. იმის მიხედვით თუ როგორ იყო გამოჭრილი თავშალს თავისი სახელები ჰქონდა. ასე მაგ. სამკუთხად გამოჭრილ თავშალს, ცალპირა თავშალი ეწოდებოდა, ოთხკუთხად გამოჭრილს უბერი თავშალი, როგორც მასალებიდან ირკვევა, უბერ თავშალს ხანდაზმული ქალები ატარებდნენ, ცალპირას კი ახალგაზრდები. თავშალის მოხვევის წესი, როგორც ცალპირასი, ისე უბერისა ერთნაირია. სამკუთხა თავშალი სწორკუთხა სამკუთხედის ფორმისა იყო. სწორი კუთხე თავს უკან უნდა დაფენოდა, ხოლო ორი ყურით ნიკაპის ქვეშ ყურებს ორგზის მსუბუქად გადანასკვავდნენ, მოხვევის დროს საფეთქლებთან იცოდნენ თავშალის ნაოჭის ჩაგდება.

თავშალის მოხვევის წესში არის განსხვავება. ქვემო ქართლის და თბილისის სამხრეთის სოფლებში თავშალს ინასკვავდნენ კეფის უკან.

მენაბდეობა (სახიანი ანუ დეკორატიული და სამეურნეო დანიშნულების ნაბდები)

ქართული დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგია საფეიქრო და ქსოვილთა მორთვის ხელოვნება.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ადამიანები შალის სხვადასხვა ნაწარმს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ამზადებდნენ – ბრინჯაოს ხანაში, მეორე ათასწლეულში ჩვენს ერამდე. ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნითაა დათარიღებული ბედენის აკლდამა, რომელშიც სხვა ნივთებსა და ქსოვილის ნაშთებთან ერთად, მოთელილი ნაწარმის ფრაგმენტებიცაა შემორჩენილი.

შუა საუკუნეებში ქსოვილებთან ერთად ნაბდებიც გაჰქონდათ საქართველოდან.

საქართველოში მატყლს თელავდნენ სამეგრელოში, ზემო რაჭაში, იმერეთში, სვანეთში, ჯავახეთში, ხევში, ფშავში, თუშეთში, ქართლში, კახეთში. მოთელილი ნაწარმის აღმნიშვნელი იდენტური ტერმინებია ნაბადი, ქეჩა, თექა.

საბას განმარტებით, ნაბადი არის „შეთელილი“.

ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით მთიელთა შორის, ნაბდისა და მატყლის ნაწარმთა ერთად, დიდად იყო გავრცელებული თექის წარმოება. ამ საქმეში ერთ-ერთ საინტერესო და თვითმყოფად რეგიონად ითვლება თუშეთი. მეცხვარეობამ, მატყლის ნედლეულმა, ბუნებრივ საღებავთა სიუხვემ და ქალის შრომის გამოყენებამ თანდათან განავითარა საფეიქრო საქმე.

კავკასიის მდიდარმა ბუნებამ განსაზღვრა მთიელ ოსტატთა ნაწარმის ხასიათი. მიუვალ ხეობებში მცხოვრები ადამიანები მოწყვეტილნი იყვნენ გარესამყაროს, ასეთ პირობებში კი დიდხანს შეინარჩუნეს მამაპაპური ადათ-წესები, ხელოვნების თავისებური ტრადიციები.

თუში ქალების ნახელავი თვალს გვტაცებს ორნამენტის თავისებურებით, შესრულების მხატვრული და ტექნიკური საშუალებების ორიგინალურობით. თუშური თექების განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ, მიუხედავად ორნამენტის სტილისტური იერის დაცვა-შენარჩუნებისა, ნიმუში არასოდეს მეორდება.

მხატვრულ-დეკორატიული თექის კომპოზიციური შინაარსი მრავალფეროვანია; გეომეტრიული ორნამენტების სიუხვესთან ერთად ვხვდებით მცენარეულ ორნამენტსაც, რომლის ელემენტები შერწყმულია გეომეტრიულთან, ასევე ცხოველების, ფრინველებისა და ადამიანების სტილიზებულ ფიგურებთან.

თექის ფონს ზოგჯერ სუფთა თეთრი მატყლისაგან ამზადებენ, რომელსაც ფერადი ორნამენტებით რთავენ. მატყლი ირეცხება გამდინარე წყალში ყოველგვარი სარეცხი საშუალების გარეშე. მატყლის შესაღებად უმეტესად ბუნებრივ საღებავებს იყენებენ (ენდრო, თუთუბო, ვაშლის ხის ქერქი, თუთის შემოდგომის ფოთლები, კაკლის მწვანე წენგო, ინდიგო, ლეღვის ფოთოლი და სხვა), საღებავთა გამძლეობისთვის მატყლს მზეზე აშრობენ. შეღებილი და გამშრალი მატყლისგან იწყება მხატვრულ-დეკორატიული თექის მომზადება, რაც შემდეგ ოპერაციებს მოიცავს: მატყლის ხელით დახარისხებას, გაპენტვას, სავარცხელზე გაჩეჩვას, გაფენას ტილოზე ან ჭილოფზე, წინასწარ და შემდგომ მოთელვას, გამზადებული თექის გარეცხა-გაშრობას.

მთიელი ოსტატები მხოლოდ კედლისა და იატაკის თექებს აფორმებდნენ მხატვრულად; რაც შეეხება ტახტისა და საწოლის გადასაფარებლებს იშვიათად რთავდნენ. ქართულმა თექამ მხატვრული თავისებურების, მოხდენილი ზომისა და სიიაფის წყალობით დიდი გავრცელება პოვა.

თუშური ნაბდები გამოიყენება ცხენის, ჯორის და სახედრის აღკაზმულობისათვის, შესამოსავად, ასევე ხალხურ მედიცინაში.

ნაბადი

ნაბადი მამაკაცის ზედა ტანსაცმელია, იგი განუყოფელი თანამგზავრი იყო მწყემსების, მეომრების, მგზავრებისა.

საქართველოში მისი დამზადების ძირითადი ეთნოგრაფიული ცენტრები იმერეთსა და სამეგრელოში იყო წარმოდგენილი. სოფელ ჩკვარელში (კვარის ერთ-ერთი უბანი) მაღალი ხარისხის ნაბდებს თელავდნენ. ნაბდისათვის იყენებდნენ შემოდგომის მატყლს. მატყლს საჩეჩელზე ჩეჩავდნენ, ჭილობზე ნაბდის თარგზე ორი სანტიმეტრის სისქეზე დააწყობდნენ; მოკლებეწვიან მატყლს – „ომოშერს“ მდუღარე წყალს ასხურებდნენ, ჭილოფს დაგრაგნიდნენ და ერთი საათის განმავლობაში აგორავებდნენ. შემდეგ გაშლილ ნაბადს დააყრიდნენ ოთხ სანტიმეტრ სისქეზე გრძელბეწვიან მატყლს და იმავე წესით თელავდნენ. ნაბადს გრძელბეწვიანი მატყლის მხარეს ვარცხნიდნენ და ბეწვს უკეთებდნენ. მოთელილი ნაბადი მეტწილად შავფრად იღებებოდა. ნაბდის თელვის რთულ პროცესს ქალები ასრულებდნენ; მხოლოდ მდინარეზე რეცხავდენენ მას.

ნაბდის ქუდებს ამზადებდნენ თუშეთში, დუშეთის რაიონში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში.

XIX საუკუნის მიწურულს ფართო გავრცელება პოვა ე.წ. თუშურმა ნაბდის ქუდმა. ნაბდის

ქუდებს შორის საუკეთესოდ სვანური ქუდი იყო მიჩნეული. ნაბდის ქუდები დღესაც საყოველთაოდაა გავრცელებული; მოსათელად იყენებენ მოკლებეწვიან მატყლს.

ფარდაგი

ხალხური საფეიქრო ხელოვნების ძირითადი ელემენტები საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და თაობებს გადაეცემოდა. საფეიქრო წარმოების აღმავლობა მეცხვარეობამ, მატყლის ნედლეულმა, ბუნებრივ საღებავ-ნივთიერებათა სიუხვემ განაპირობა. ეს ტრადიციული კულტურა საკუთარ თავში აერთიანებს ღებვას, დართვას და ქსოვის ნაირგვარ ხერხს თუ ტექნიკას.

საქართველოში მეხალიჩეობა-მეფარდაგეობის მრავალი კერა არსებობდა (ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, თუშეთი, ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი, ქვემო ქართლი, აჭარა, ქიზიყი, სამეგრელო, ლეჩხუმი). ჯერ კიდევ უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში – „წმინდა შუშანიკის წამება“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ – მოიხსენიება სპეციალური სალოცავი ხალიჩები. მეცხვარეობის განვითარების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ძველბერძნული მითი არგონავტებზე.

ქართული მეხალიჩეობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ფარდაგი; იგი იქსოვება ვერტიკალურ დაზგაზე. დამახასიათებელი ქსოვის ჭვირული ტექნიკა (როდესაც ორ მოსაზღვრე ფერს შორის ღიობია დატოვებული) და გეომეტრიული ორნამენტული დეკორი.

ბარში მოქსოვილი ფარდაგებისათვის დამახასიათებელია ნაჭრელის აგების მკაცრად დაკანონებული ხერხი: გამოიყოფა გული, კომპოზიციის ცენტრი და მას ევლება ფართო ჩარჩო ანუ არშია.

გვხვდება გადახლართული მისაქსელით ნაქსოვი ფარდაგებიც: ხშირ შემთხვევაში ფარდაგში ჩაქსოვილია ავტორის ვინაობა და თარიღი. ყველა ქალმა იცოდა მატყლისაგან ნართის დამზადება, მისი ღებვა, ქსოვა. ყოველივე ამას ბავშვობიდან სწავლობდნენ. მატყლს სამად ახარისხებდნენ: კრაველისა, შემოდგომისა და გაზაფხულისა. საუკეთესოდ ითვლებოდა შემოდგომისა და კრაველის მატყლი.

ხალხური რწმენის თანახმად, მატყლი სიმდიდრისა და სიუხვის სიმბოლოდ ითვლება. ქართული ფარდაგის ერთ-ერთი ძირითადი ღირსებაა მისი თავშეკავებული, დახვეწილი კოლორიტი, რომლისთვისაც იხმარებოდა ძირითადად შემდეგი ფერები: შავი, თეთრი, ლეგა, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ღვინისფერი.

შავი ფერისათვის გამოიყენებოდა თავშავა, კაკლისა და ლაფნის ფოთლები, ლურჯ ფერს იღებდნენ თრიმლისა და თავშავას მეშვეობით; ყვითელი ფერის მისაღებად იყენებდნენ კოწახურს, თრიმლს, ღოლოს, მწვანედ ღებავდა ჯანგარი, კოწახური; წითლისა და ღვინისფერის მისაღებად ენდროს მიმართავდნენ.

რთვისა და ქსოვის კულტურას საქართველოს მიწა-წყალზე დაახლოებით შვიდი ათასი წლის ისტორია აქვს. საფეიქრო ნაწარმის კულტურით საქართველო, როგორც ითქვა, მთელ ანტიკურ სამყაროში იყო ცნობილი.

ძველ საქართველოში ხელსაქმის დაწინაურებას უმაღლესი ხელისუფლება და არისტოკრატული წრე აძლევდა სტიმულს. თვით მეფე თამარი ხელსაქმობდა და თავის ნამუშაკევს გლახათ ახმარდა.

ჩვენში უხსოვარი დროიდან არსებობდა ორი ტიპის დაზგა: ჰორიზონტალური, რომელზეც ძირითადად ტანსაცმლის შალი იქსოვებოდა, და ვერტიკალური, რომელზეც ხალიჩებს, ფარდაგებს, მაფრაშებს, ხურჯინებს ქსოვდნენ.

ქსოვდნენ გლეხის ქალები ზეპირად, საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობაზე გადაცემული ნახატის მიხედვით. ფარდაგის ორნამენტი მჭიდრო კავშირში იყო ხალხურ ნაქარგობასა და ხეზე კვეთასთან.

ფარდაგებს იყენებდნენ შიდა ინტერიერის მოსაწყობად. ესთეტიკურის გარდა, ფარდაგს აქვს უტილიტრული დანიშნულებაც – ათბობს და ამყუდროებს საცხოვრისს. გასული საუკუნის 40-50-იან წლებამდე ურმებს ფარდაგებით აჩარდახებდნენ.

ტოლი

ქართველი ქალები ქსოვდნენ შალს. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მას ტოლს უწოდებდნენ და ამით ოჯახი იმოსებოდა. ის მხოლოდ ოჯახის საჭიროებისათვის იქსოვებოდა. სატოლე მატყლი ჯერ ირეცხება, შემდეგ იჩეჩება, ტარზე ირთვება და ეს ტარი სახრელზე ტრიალებს. ტარზე ნაგრეხ ძაფს უწოდებენ ნართს; მას თხორად ახვევენ.

გამზადებულ თხორს საქსოვ ყდაზე გააბამენ. ხევსურეთში ორგვარი ტოლი იქსოვება – ერთშიანი (უბრალო) და ორშიანი (სადიაცო). ერთშიანი იოლი საქსოვია და უმეტესად ამ სახის ტოლი იქსოვება; ორშიანი უფრო რთულად იქსოვება, ნაქსოვი კარგი და მტკიცეა, მას იშვიათად ქსოვენ.

ხევსურული ტოლის ბუნებრივი ფერებია: თეთრი, შავი, ლეგა და წითელი. ხმარობენ ბუნებრივსა და ქიმიურ საღებავებს.

ქართული ჭილობი

მ, ხაზარაძე, „ძეგლის მეგობარი“, 1983, №64

ჭილობის საინტერესო ნიმუშები საქართველოს ეთნოგრაფიულმა სანამდვილემ დღემდე შემოინახა.

ჭილობის წვნის ხელოვნება საკმაოდ განვითარებული ყოფილა საქართველოში, რასაც არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები ადასტურებენ. შულავერის გორაზე და დიხა გუძუაზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭლის ძირებზე შემონახულია წმინდა ჭილობის ანაბეჭდები (V ათასწლეულის II ნახევარი).

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ჭილობი ჭილის სახელით მოიხსენიება. „დაჯდა ჭილსა ერთსა ზედა“.

ჭილობს საფენად და მარცვლეულის გასახმობად იყენებდნენ. მას ჭილის, ლელის, ისლის, სიმინდის ფუჩეჩსა და პურის ნამჯისაგან წნავდნენ.

პურეულის ნამჯისაგან დაწნულ ჭილობს ქვემო სვანეთსა და სამეგრელოში ჩაჩაბი, ჩოჩები ეწოდება. ზემო იმერეთში იგი ჩიჩობის სახელითაა ცნობილი და მას ღომის ღეროებისაგან წნავდნენ. საბას ლექსიკონში ჩიჩობი განმარტებულია როგორც მწბერის ჭილობი.

ჩაჩაბი ერთმანეთის გვერდით პარალელურად დალაგებული ჭვავის მანააშ გრძელი ღეროებია – წუარ კანაფის თოკით შეკრული. ქვემო სვანეთში ჩაჩაბი დღეისათვის ყოფაში ჯერ კიდევ შემორჩენილია, მას სოფელ სასაში გოგუცა თეოფანეს ასული ლობჟანიძე-ონანისა ამზადებს. თუ ჩაჩაბს ძველად ძირითადად საფენად იყენებდნენ, დღეს მას საარყე ჭურჭელს – ხორგოს ზემოდან სითბოსათვის აფარებენ. სვანეთის ყოფის შესწავლით დაინტერესებული ერთი მოგზაური ჩაჩაბის შესახებ წერდა: „სვანეთში ჭვავს ცოტას თესენ და უმეტესად ჩალისათვის. მას კონებად კერავენ და ამზადებენ საფენს, რომელიც მოსახერხებელი იაფი, და ჰიგიენურია; საფენი პურეულის ღეროებისაგან შედგება, რომელშიც ჰაერი თავისუფლად ცირკულირებს”.

ჩაჩაბის დამზადების წესი მარტივია: ჭვავის ღეროების კონას თავშექცევით აწყობენ, თითოეულ კონას კანაფის ძაფით შეკერავენ. ჩაჩაბს ორი ან სამი ქალი ამზადებს. ერთი ჭვავის ღეროებს აწვდის, ორი კი წნავს. დამზადების ამ წესს თითქოს წვნასთან საერთო არაფერი აქვს, რადგან აქ კონების თოკით შეერთება ხდება მხოლოდ, წვნა კი წნელის რამდენიმე წვერის ჩაგრეხაა. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ჩაჩაბის დამზადების ზემოთ აღწერილი წესი ე. წ. გადაბმულ წვნის ტექნიკას განეკუთვნება, რომელიც შუალედური ფორმაა ნამდვილ წვნასა და ქსოვას შორის. საფენი ჩაჩაბის ღეროები დაუგრეხავია, საარყე ჩაჩაბის კი დაგრეხილი. განსხვავებულია საარყე და საფენი ჩაჩაბების ღეროების დალაგების წესი. პირველის – ჩვეულებრივ ეწყობა და არა თავშექცევით. საფენი ჩაჩაბი უფრო გრძელია, ვიდრე საარყე.

ჩოჩებიც ჭვავის ღეროებისაგან იწვნება, ოღონდ მისი ფორმა და დამზადების ტექნიკა ჩაჩაბისაგან განსხვავებულია. ჩოჩების შემდეგი წესით ამზადებდნენ. ერთ ჩოჩობს 7-8 კონა ლუნჩორი ჭირდებოდა. დაწნულ სრუგს ჩიშტათი შეკერავდნენ. ჩიშტა თელას ქერქის „ძაფია”. ქერქს გაზაფხულზე აძრობდნენ, და მას ზოლებად ხუაცირე წნავდნენ. დაწნულ სტუგს მრგვალად კერავდნენ. ჩოჩები სხვადასხვა ზომის იყო. დიდი, ნახევარ კალოს ფარავდა. თითოეულ ოჯახს 3-4 ჩოჩები ჰქონდა. იგი 4-5 წელიწადს ძლებდა. ამგვარ ჭილობს მესხეთში სიმინდის ფუჩეჩისაგან წნავდნენ. მას გოგორდინა ეწოდებოდა. მისი ორი ეგზემპლარი (კოლ. 46-24/30, 42-24/5) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოტანილია ახალციხისა და ადიგენის რაიონებიდან აკად. გ. ჩიტაიას მიერ 1924 წელს.

ჭილისა და ლელისაგან დაწნული ჭილობი ყველაზე მეტად იყო გავრცელებული საქართველოში და მას ივნისის თვეში აგროვებდნენ, ხელით გლეჯდნენ, ზოგჯერ ნამგლითაც ჭრიდნენ. მოგლეჯილ ჭილს კონებად აწყობდნენ და ჩრდილში ან მზეზე ახმობდნენ. ჩრდილში – ჭილი მწვანე ფერს ინარჩუნებდა, მზეზე გამხმარი ყვითლდებოდა.

ჭილობის დასაწნავად ქსელი და მისაქსელი იყო საჭირო. ქსელისთვის ჭილის გულს ამჯობინებდნენ. შიდა ქართლში დამბალ ჭილს, ორ ან სამ წვერს ფეხის თითებს შუა დაიმაგრებდნენ და ერთმანეთზე გადაგრეხავდნენ, თანდათან უმატებდნენ ჭილის ღეროებს. როდესაც ჭილს საკმაო სიგრძისას დაგრეხდნენ, მას ფეხზე შემოიხვევდნენ და გორგალს ამზადებდნენ.

მესხეთში ქსელს ხელის თითებზე შემოიხვევდნენ და ისე დაგრეხდნენ. დაგრეხილ ქსელს დაზგაზე დაჭიმავდნენ – ჩამოქსელავდნენ.

დაზგა ხის ოთხკუთხა ვერტიკალური ჩარჩოა. ზედა და ქვედა ბოძზე ქსელის დასაჭიმად და წვნის პროცესში ჭილობის სამოძრაოდ დამაგრებულია სოლები. ქართლში დაზგას ყდა, მესხეთში ხანა, რაჭა-ლეჩხუმში ქსელი, სამეგრელოში რობაგი ეწოდებოდა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

ჭილობის საქსოვი ყდა (კოლ. № 19-47/109) ქართლის სოფელ მლაშედან არის ჩამოტანილი (სიმაღლე 194 სმ, სიგანე 177 სმ.).

ჭილობი ყველგან ვერტიკალურ დაზგაზე იწვნებოდა. ქსნის ხეობის ზოგიერთ სოფელში (ლამისყანა, ქსოვრისი) ჰორიზონტალური ტიპის ჭილობის საქსოვ დაზგასაც იყენებდნენ.

ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებულ დაზგებს ქსელის გამყოფი ხელსაწყო არ გააჩნდა, მეგრულსა და რაჭა-ლეჩხუმურს – ასეთი მოწყობილობა ჰქონდა. პროფ. გ. ჩაჩაშვილი ამ უკანასკნელთ, მიუხედავად სიმარტივისა, უფრო დაწინაურებულად მიიჩნევდა.

ქსელს დაზგაზე ისე დაჭიმავდნენ, რომ წვნისას თითებს თავისუფლად ემოძრავა. მესხეთსა და ქართლში ქსელი ჭილის, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში – კანაფის ძაფი იყო. ქსელს ზედა და ქვედა ბოძზე გადაახვევდნენ. დაუგრეხავ ჭილს – მისაქსელს ორ წვერად აქსოვდნენ, ერთს შიგნიდან – მეორეს გარედან. როდესაც ჭილობს სასურველ სიმაღლემდე დაწნავდნენ, სოლებს გამოიღებდნენ, ჭილობი მოეშვებოდა – დაფონდებოდა, მას ისე ჩამოსწევდნენ, რომ მოსაქსოვი ნაწილი ქვემოთ ჩამოსულიყო. წვნის დროს ჭილობს რამდენჯერმე დააბრუნებდნენ. დამთავრებისას, ჭილობის მოუქსოველ ნაწილს, დაახლოებით ერთ მტკაველს თანდათან გადაჭრიდნენ ორ-ორ ქსელს ერთად და ნაწიბურს გაუკეთებდნენ. ქართლში ამას ჭილობის პირის გადაქნას, ხოლო მესხეთში მოკვეთას ეძახდნენ. ჭილობის წვნის ეს წესი საფუძვლად დაედო ფეიქრობის ტექნიკას.

ხალხური შემოქმედების ეს დარგი დღეისათვის თითქმის გამქრალია. მაგრამ შეიძლება აღორძინდეს და განვითარდეს ქართული ხალხური დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების სუვენირების სახით წარმოებისათვის.

ფილი და როდინი

ჯ. რუხაძე, „ძეგლის მეგობარი", 1983, №64

ფილი და როდინი საჭმლის საკმაზი სუნელის და მარილის დასანაყი ხელით სამუშაო იარაღია, მაგრამ ოდნავ განსხვავებული მოცულობის ფილს და როდინს სხვა ფუნქცია აქვს.

ფილი და როდინი ძირითადად რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული, რიტუალური დანიშნულების საკვების – კორკოტის მოსამზადებლად იხმარება.

აღნიშნულ სანაყებს დღეს ძირითადად დაკარგული აქვთ თავიანთი ფუნქცია და თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიან.

რა არის კორკოტი, რატომ და როგორ აკეთებენ მას. კორკოტისათვის საუკეთესო ხორბალი იყო დოლის ან უფხო პურის რომელიმე სახეობა. კორკოტის ფაფას „მაძღარი – სრული" მარცვლისაგან აკეთებდნენ. ამიტომ მას კალოზე გადაარჩევდნენ და მისთვის განკუთვნილ ჭურჭელში შეინახავდნენ; ხოლო როდესაც ფაფის გაკეთება დაჭირდებოდათ ხორბალს ღამე წყალში დაალბობდნენ (ზოგი თბილ წყალში დაალბობდა), დილით ამოიღებდნენ, გარეცხავდნენ და მზეზე ან ცეცხლთან გასაშრობად გაფენდნენ. გამშრალ ხორბალს „მოფშვნიტავდნენ", ტაბაკით აბერტყავდნენ – „ფერფლს" მოაშორებდნენ და მერე დანაყავდნენ. კორკოტის ხორბალი ქვის ან ხის ფილთაქვით//სანაყით ნაწილ-ნაწილ მზადდებოდა. ერთ ჯერზე ნახევარი ჯამი უნდა დაენაყათ და შემდეგ გადაებერტყათ. თუ ხორბალი კარგად არ იყო კანგაცლილი, მას ისევ დაამუშავებდნენ და გადაბერტყავდნენ. შემდეგ „უსმელ წყალს" უმძრახად მოიტანდნენ, ხორბალს გარეცხავდნენ და ვიდრე „ფრინველი გადმოვიდოდა" ამ წყლით მოსახარშავად დადგამდნენ. დიასახლისი ქვაბში მიცვალებულის სახელზე მუჭით ხორბალს ჩაყრიდა. ხორბალი იმდენი უნდა ჩაეყარათ რამდენი მიცვალებილისათვისაც იყო შესახელებული. ზოგი კორკოტის პირველ ნადუღარ წყალს გადაღვრიდა, მას სხვა ადუღებულ წყალში გადაიღებდა და დუღილის დაწყებიდან მოხარშვამდე ციცხვით ნელა მოურევდა.

კორკოტი, წესის მიხედვით, ორი დღე მზადდებოდა. პირველ დღეს ხარშვის დროს, ზოგჯერ მასთან ერთად დაჭრილ ხახვს მოხარშავდნენ. გადმოცემით ხახვიანი ხორბალი „ლაბოს უშვებს" და კორკოტი უფრო გემრიელი გამოდის. მოხარშულ-"გადაშლილ" ხორბალს ცეცხლიდან გადმოდგამდნენ და მეორე დილით კვლავ ნელ ცეცხლზე დადგამდნენ. მერე კი ხახვს ერბოში, ზეთში, ცხვრის ან ღორის ქონში „დაღადავდნენ" – მოწვავდნენ და კორკოტს მარილით და ცხიმით შეაზავებდნენ. ცხიმს იმისდამიხედვით იხმარდნენ თუ რომელი დღისთვის იყო კორკოტი გათვალისწინებული. მარხვაში კორკოტი ზეთით ან ზეთით და ნიგვზით მზადდებოდა. სახსნილო კორკოტს კი სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით შეანელებდნენ.

კორკოტის ხარშვის დროს წესად იყო მიჩნეული მიცვალებულის სახელზე ქვაბის ნაპირზე ან მის ახლოს სანთლების ანთება. ოჯახის დიასახლისი სანთელთან მივიდოდა და იტყოდა „მიაგებოს ჩვენ მკვდრებსო", ხოლო შემდეგ ხმაამოუღებლივ იმ მიცვალებულის სახელს ჩაუთქვამდა, რომლისთვი-

საც კორკოტი იყო განკუთვნილი. მეორე დილით დამზადებულ კორკოტს პატარა ჯამით მეზობელს მიუტანდა, რომ მიცვალებულისათვის შენდობა ეთქვათ.

კორკოტს ყველა ოჯახი ამზადებდა შობას, დიდ სულთმოფენობას, აღდგომის სწორზე – კვირაცხოვლობას; ზოგი კორკოტს აღების შაბათსაც აკეთებდა. კორკოტს ხარშავდნენ აგრეთვე მიცვალებულის „რიგებზე", – ორმოცზე, წლისთავზე. იგი ზოგმა მიცვალებულის დაკრძალვის დღესაც იცოდა.

მიცვალებულისათვის კორკოტის მომზადების აუცილებლობაზე უნდა მიუთითებდეს საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ თითქოს კორკოტზე მიცვალებულს უთქვამს, „თუ ხორბალი არ გაქვთ ბაგა ამოწმინდეთ, ჩემ სამყოფ ხორბალს იქ იპოვით და კორკოტი გამიკეთეთო".

კორკოტი ხვავისა და ბარაქის ბედობაზე მზადდებოდა. შობას კორკოტის მომზადების დროს ყურადღებას აქცევდნენ ფაფის „ნაღებს", საითაც „ნაღები" „გაიჩეხებოდა" – შეგროვდებოდა, მათი აზრით იმ მხარეს მეტი და კარგი ყანები იქნებოდა. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ კორკოტი წლის მოსავლის ბედობისათვის იყო განკუთვნილი.

ზოგჯერ მიცვალებულის კორკოტის მიხედვითაც მსჯელობდნენ წლის მოსავალზე. თუ აღების შაბათს კორკოტი ხარშვის დროს „დიდ ქუსდ" – „ნაღებს", „დაიყენებდა", იტყოდნენ, რომ იმ წელს კარგი მოსავალი მოვაო.

ვინ იცის კიდევ რა მნიშვნელობას მიაწერდნენ ჩვენი წინაპრები კორკოტის მომზადებას და ამ კერძით მიცვალებულების სულების გამასპინძლებას.

შესაძლებელია ამ წეს-ჩვეულებას და რიტუალს, რომელიც ნაყოფიერების დასაბევებლად მიცვალებულის სახელზე და შობას ამავე დანიშნულებით სრულდებოდა, ერთი კონკრეტული მიზანდასახულობა ჰქონდა. ორივე შემთხვევაში კორკოტის მომზადება ალბათ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიმართული შეწირულობა იყო, რომელიც მიწასთან, სულეთთან, მუდმივ კვდომა-განახლებასთან და ამდენად სწორედ მიცვალებულთან იყო დაკავშირებული. სულეთის ღვთაებების ნაყოფიერებასთან კავშირი გამართლებულია ძველი აღმოსავლეთის, ეგვიპტისა და ანტიკური ანალოგიური რელიგიური შეხედულებების ფონზე, სადაც მომაკვდავი და აღმდგომი ღვთაებები მიცვალებულთა ღვთაებებადაც არიან ცნობილი (შრდ. ბერძნული დემეტრე, პერსეფონე და სხვ.).

ვ. ბარდაველიძემ ლიფანელის მხატვრობის დანიშნულების გარკვევის დროს აღნიშნა, რომ ლიფანელი მიცვალებული კულტის და ბუნების ძალები აღორძინებასთან დაკავშირებული დღეობაა. ალბათ ამიტომ იყო, რომ მიცვალებულის კორკოტი და ახალიწლის დასაწყისის დღესასწაულზე – შობას მომზადებული კორკოტი ბუნების ძალების აღორძინებას, მთელი წლის სიკეთის დაბევების საქმეს ემსახურებოდა.

ამ მოსაზრების ხასიათი დამატებითი არგუმენტაციის გარეშეც ცხადია, მაგრამ მაინც საინტერესოა ასეთი დეტალიც.

ჯავახეთში ბავშვს კბილის ამოსვლის დროს ძირს დასვამდნენ და თავზე მოხარშულ მშრალ კორკოტს დააყრიდნენ, ხშირი და კარგი კბილები ამოუვიდესო.

აი ასეთი რიტუალური დანიშნულება ჰქონდა კორკოტს და ალბათ იმ იარაღს, რომელშიაც ის ინაყებოდა. ამ სანაყს შიდა ქართლში „მკვდრის როდინი" ერქვა.

ისტორიულ ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში კორკოტისათვის დიდი როდინი იხმარება. მაგრამ ეს როდინი მარტო მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალის და შობის დროს კი არ არის გამოყენებული, არამედ კორკოტი ისევე, როგორც ხელსაფქვავში დაღერღილი კორკოტისაგან მომზადებული სხვადასხვა კერძი ამ რეგიონების მოსახლეობის ძირითადი საკვებია. ალბათ სანაყებს შორის ასეთი სხვაობაც ამით უნდა იყოს გამოწვეული.

ჩვენ არ ვიცით რისთვის იყენებდნენ ჩვენი შორეული წინაპრები პატარა ქვის სანაყებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე (გვიან ნეოლითი – ადრე ენეოლითი) კერძოდ, ხრამის დიდ გორაზე აღმოჩნდა.

პატარა ქვის სანაყები ცნობილია ნეოლითის ხანის ძეგლზე ანასეულში (ანასეული II, გურია) და ოდიშშიც.

ლეგენდა და რეალობა

ქ. სიხარულიძე, „ძეგლის მეგობარი“, 1994, №1, გვ. 33-34

თუ ქართულ სამედიცინო კარაბადინებში ჩაიხედავთ, ნახავთ, რომ არსებობდა სამედიცინო-კოსმეტიკური ბალახეული. აღნიშნულმა ბალახეულმა ლეგენდა „თამარ დედოფალზე“ მოგვაგონა, სადაც ვკითხულობთ: ულამაზესი დედოფალი თამარი დამახინჯდა „ავი ჭირის“ იარებისგან, ისე რომ მკურნალებმა ვერ უშველეს, ბოლოს მეფის ბრძანებით, იგი მაღალი მთიდან ძირს გადმოაგდეს და, აი, მოხდა სასწაული იმ ბალახებით, რომელიც მას შეეხო, თამარი განიკურნა, მას კვლავ დაუბრუნდა სილამაზე და მშვენიერება.

მართალია, ავი ჭირი//ჟამნი, როგორც ეპიდემიური დაავადება მოხსენიებულია XI საუკუნის ძეგლში „უსწორო კარაბადინში“, მაგრამ შესაძლებელია ლეგენდაში ერთგვარ პოეტურ ჰიპერბოლასთან გვქონდეს საქმე. „ავი ჭირის სახელით სახის კანის სხვა დაავადება ხომ არ იგულისხმება? შესაძლოა დავუშვათ, რომ ეს ნაირსახის ბალახები კანის იმ დაავადებასაც შველოდა, რომლითაც თამარ დედოფალი იყო დაავადებული.

ყოფაში, ჩვენ მიერ სახის კანის გამონაყარის სამკურნალოდ პიტნის ნახარშია დამოწმებული. საგულისხმოა რომ პიტნას პირსაბანი საპნის დასამზადებლადაც იყენებდნენ. ასეთი საპნის ძირითადი კომპონენტები იყო ცხიმი, ნაცარი//სოდა, წყალი და ბაღის პიტნა. პიტნით ნამზადი საპონი, გარდა ესთეტიკური მხარისა (საპონი გამოდიოდა მწვანე ფერის და სასიამოვნო სურნელებისა) სახის კანზე კარგად მოქმედებდა.

სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში სამკურნალო საშუალებად პიტნის სხვადასხვა სახეობაა მითითებული. აღნიშნული მონაცემებით სავარაუდოა, რომ იმ ბალახთა შორის, რომლითაც თამარი განიკურნა, ერთ-ერთი პიტნა იყო. ლეგენდაში, ბალახების სამკურნალო თვისებები იგულისხმება. ჩანს, რომ მკურნალობას ორი მხარე ჰქონდა, როგორც სამედიცინო, ასევე – კოსმეტიკური.

ზემოთქმულისთვის მოვიხმობთ ფშაურ ლეგენდას „თამარ აქიმ დედოფალის შესახებ“. „თამარის სალოცავთან – თამარ აქიმ დედოფლის წყაროა. ამ წყაროს ხალხი სამკურნალო თვისებებს მიაწერს „დოყვიანი (მუწუკები ამ წყაროში თუ განიბანებოდა „სასხმოები“ (მუწუკები) მოშორდებოდა“.

თამარის ხატს დამიზეზებაც სცოდნია, იგი ხშირად დოყვს//სასხმოებს გაუჩენდა დამნაშავეს.

ხევსურული მასალის თანახმად... დოყვს მრავალნაირი წამლებით მკურნალობენ. უპირველესი წამალია „სასუქაის ჯოვარი“ (მცენარეა), რომელსაც გამხმარს მოკრეფენ და დაწვავენ, დანახშირებულს კარაქში ან ძროხის თავის ტვინში მოზელავენ და ასეთი წესით დამზადებულ მალამოს დოყზე წაუსვამენ.

აქვე დავძენთ, რომ თუ თამარის ხატი დამნაშავეს „სასხმოებით“ სჯიდა, მისსივე წყარო ადამიანს ამ სენისგან ათავისუფლებდა.

საყურადღებოა, რომ არა ერთი სამკურნალო წყლის აღმოჩენას ხალხი თამარ დედოფალს მიაწერს (გორიჯვარი, ნუნისი).

კურორტ ნუნისის წყალი კანისა და სხვადასხვა ალერგიულ დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენება.

ფშაური ლეგენდის მიხედვით, მკურნალობაში კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება ივარაუდება (სამკურნალო წყლით სახიდან გამონაყრის მოცილება).

ლეგენდის ძირითადი აზრის გამოსაკვეთად დავუბრუნდეთ გამოცემას „თამარ აქიმ დედოფლის შესახებ“.

ამ საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული.

ნ. ხიზანიშვილი მიუთითებს, რომ „ფშაველებს მკურნალობა თამარ დედოფლის განსაკუთრებულ ხელობად მიაჩნდათ და ეგონათ, რომ დიდებული მეფე, ეხლაც პატრონობდა თავის ერს, არჩენდა ავადმყოფებს, სპობდა ყველა გვარის ჭირს“.

ცნობილია, რომ თამარის ხატი ფშავში ძლიერ სალოცავად ითვლება, მას განსაკუთრებით ქალები ლოცულობენ და „აქიმ დედოფალს“ უწოდებენ, რომელსაც წამლის სახსრად ერთ ცხვარს სწირავდნენ“...

აღნიშნული ლეგენდა მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი ერთგვარ პარალელს პოულობს ფშაურ გადმოცემასთან „თამარ აქიმ დედოფლის შესახებ“.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თამარმა ხალხის მკურნალობა მას შემდეგ დაიწყო, როცა ბალახებით თავად განიკურნა.

ლეგენდა ქრონოლოგიურად ასახავს თამარის აქიმამდელ პერიოდს.

რაც შეეხება გადმოცემას, „თამარ აქიმ დედოფლის შესახებ“, აქ თამარი უკვე „აქიმად“ გვევლინება და მის ფუნქციაში შედის, როგორც ბალახებით, ასევე სამკურნალოდ წყლებით მკურნალობა.

ამდენად, ლეგენდები (გორიჯვარის, ნუნისის და სხვ.), რომელშიც თამარი სამკურნალო წყლის აღმომჩენად მის მფარველად ითვლება სავარაუდოა, რომ იმავე დროისაა.

ჭურის თავდახურვის წესები იმერეთში

წყარო: ლ. გაბუნია. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1983, № 64. გვ. 30-33.

იმერეთში, სადაც უპირატესად ღია მარნებია გავრცელებული და ჭურები ღია ცის ქვეშ იმარხება, ჭურის თავდახურვის მთელი სისტემაა გამომუშავებული.

ჭურს თავზე ეხურება ფარფლის ზომაზე მრგვალად გამოჭრილი ხის ფირფიტა, რომელსაც ზემო იმერეთში **სარქველს** და **ბადიმს**, ხოლო ქვემო იმერეთის სოფლებში **ორგოს** უწოდებენ. XIX საუკუნის ერთ-ერთ ნარკვევში იხსენიება „სარქვიელიც“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სარქუელი ეწოდა ჭურის პირსაფარს“. ფიქრობენ, რომ სარქუელი მომდინარეობს სარქმელისაგან, რომელიც თავის დასაფარებელს, დასახურავს ნიშნავს. „ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“, – ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანში.

სარქველს ამზადებენ მუხის, წაბლის, ცაცხვის, წიფლის და სხვა მასალისაგან. წაბლის სარქველმა გაშავება იცის. სანაქებოა მუხის სარქველი. საუკეთესოდ კი ურთხლის სარქველი ითვლება, რომელიც კარგად ძლებს მიწაში და როგორც ამბობენ, „ორ დგამს დააბერებს“. ხმარების წინ სარქველს ცეცხლის ალზე მოატარებენ, „მორუჯავენ“ და შემდეგ გაფხეკენ. ასეთი სარქველი გამძლეა, სუფთაა და აყალოც (ერთგვარი თიხა) არ ედება. ძველად იცოდნენ სარქველის ქვედა მხარეს (სადაც ღვინოა მომდგარი) ნიგვზის ლებნის მოსობა. ზეთწასმული სარქველი, მთხრობელთა მტკიცებით, წყალს არ მიიკარებს, ჭუჭყს არ მიიღებს და ღვინოც ჭურში უკეთ ინახება.

სარქველზე დასაგლესად იხმარება საგანგებოდ შერჩეული წითელი ან ყვითელი ფერის „წეპოიანი აყალო“. ე.წ. „**ჭურის მიწა**“, რომელიც წყალს არ ატარებს. ამგვარი აყალო ყველგან არ არის. ზოგჯერ უხდებოდათ მისი საკმაოდ შორი მანძილიდან (მეზობელი სოფლებიდან) მოტანა ურმით ან ზურგით. ჭურის თავზე დასაგლესი აყალო ხმარების წინ უნდა წყალში დალბეს და კარგად მოიზილოს. აყალო ბარით, კეტით და ფეხებით იზილება ოთხი მხრიდან, ფიცრებით შემოზღუდულ საზელში. შემდეგ, „მოფსკვნილ-მოზელილ“ აყალოს სარქველზე მოათავსებენ, კვეჟოთი ან საგნესით ზედ დააგლესავენ და შიშველი ფეხებით მოტკეპნიან. **კვეჟო** ხის მომსხო გადანაჭერია ზედ დაგებული ტარით, ხოლო **საგლესი** – მთლიანი ხისგან გამოთლილი ურო. დაგლესილ აყალოს ზემოდან უბარ, ფხვიერ მიწას (ე.წ. „სამთავრავს“) მოაყრიან – „დამაშნავენ“. ზაფხულის სიცხისაგან ჭურისთვის დასაცავად, მას ნეშოთი ან წამლის კონებით ფარავენ. იციან აგრეთვე ჭურისთავის ხის ნახეთქების შემოწყობა.

ზემო იმერეთში, ქართლის მახლობლად მდებარე ზოგიერთ სოფელში (ხარაგაულის რაიონი), ჭურს თავზე აფარებენ ბლის ან წაბლის ქერქს, ხოლო ზემოდან ადებენ ხის ან ქვის სარქველს. ჭურის თავდახურვის მსგავს წესს მიმართავენ ქვემო იმერეთის ზოგიერთ სოფელშიც (ხონის რაიონი). აქ ბლის ქერქს უწოდებენ **ქერფერჩოს**, ხოლო მასზე დაფარულ ხის ან ქვის სარქველს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორგოს.

სარქველზე დაგლესილი აყალოს ფენის სისქე შეიძლება იყოს განსხვავებული იმის მიხედვით, თუ რამდენად ღრმად არის ჭური მიწაში ჩასმული. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ღვინის საცავის“ მიწაში ღრმად ჩასმა მხოლოდ მშრალნიადაგიან ადგილას შეიძლებოდა. იქ, სადაც ნოტიო მოჭარბებული იყო, მეღვინე უნდა ცდილიყო, რომ მიწის ნოტიობას ღვინო არ დაეზიანებინა“.

იმერეთში ჭურები ნაკლებ ღრმად იმარხება მიწაში მთის სოფლებში, სადაც სიგრილე იცის, და უფრო ღრმად – დაბლობზე, სადაც მოჭარბებული სიცხის გამო არსებობს ღვინის მოძმარების საშიშროება. ჭურები უფრო ღრმად „ირგვება“ აყალო და ალიზ მიწაში და უფრო ზერელედ სილა და თირ მიწებში, რომლებიც გრილად ინახავს ღვინოს.

იმერეთის ზოგიერთ რაიონში ღრმად ჩასმულ ჭურს, რომელსაც აყალოს სქელი ფენა ჭირდება, უწოდებენ **თავდაბალს**, ამბობენ, რომ „თავდაბალი ჭური კარგად ინახავს ღვინოს, მაგრამ ავი დასაგოზია, დიდ მუშაობას, ხელობას მოითხოვს. დიდი ჭურის დაგოზვა ლამის ერთი დღის მუშაობას უტოლდება“. ზოგჯერ მიმართავენ სარქველზე აყალო მიწის ორ ფენად დაგლესვის ხერხს. თითოეული ფენა **სახადის** სახელით აღინიშნება. ჯერ სარქველს პირველ (ქვედა სახადს) დააგლესავენ, ურითი მოტკეპნიან და ზემოდან ცოტაოდენ სილას მიაყრიან ან, როგორც ზოგან ამბობენ, „მიაცავენ“. შემდეგ მეორე ფენა (ზედა სახადი) დაედება და ისიც მოიტკეპნება. ორსახადიანი ჭურის მოხდის დროს აყალოს ასევე ფენა-ფენად იღებენ. ზედა სახადს ჯერ თოხით „სამთავრავს“ გადააცლიან, შემდეგ ძელბარით „გრულეშემო“ შემოუვლიან, შემოჭრიან და აიღებენ. სახადი ძელბარით იოლად ადის, რადგან კარგად მოტკეპნილ და სილით მომშრალებული ქვედა სახადზეა დაგლესილი. ხშირ შემთხვევაში მეურნე ერთი სახადითაც კმაყოფილდება. მთხრობლის სიტყვით, „მთავარ ჭურს ორი სახადი ჭირდება, საიოლოდ მოსახდელს, კი, რომელსაც ყოველდღიურად ხარჯავენ – ერთი. სახადის სისქე დაახლოებით ერთი ციდიდან ერთ მტკაველამდეა. იმერეთში ანსხვავებენ მაღალ და დაბალ სახადს. მაღალ სახადიან ჭურში ღვინო ცივად ინახება, ამიტომ ე.წ. „**საძველო ჭურს**“, რომელშიც დასაძველებელი ღვინის შენახვა აქვთ განზრახული, მაღალ სახადს უკეთებენ.

ჭურის სარქველზე დაგლესილი აყალო თანდათან ცვდება, თხელდება. ზოგიერთმა აყალომ იცის მალე „დაშაშვა“ (დაფხნა). ჭურს აყალოს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ უცვლიან. უფრო ხშირად ეს ხდება შემოდგომაზე ახალი ღვინის ჩასხმის დროს, ან გაზაფხულზე ღვინის გადაღებისას. ღია მარანში შეიძლება გამოცვლა დაჭირდეს აგრეთვე ჭურისთავზე ზემოდან დაყრილ ფხვიერ მიწასაც (ე.წ. „ხვერეფს“), იმ შემთხვევაში თუ ის „განარწყულდა“, ე.ი. დასველდა და ატალახდა.

მეთოდური მითითებანი

მასწავლებელმა უნდა გაამახვილებინოს მოსწავლეთა ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ რა დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობები ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე. ეს გავლენა გამოიხატება მრავალი კუთხით, მათ შორის თვით ქვევრების თავდახურვის წესზე, მათი მიწაში დაფლის სიღრმეზე და სხვა. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ადგილის ბუნებრივი პირობების კარგი ცოდნა ნებისმიერი წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის საწინდარია.

ამასთან ასევე შეიძლება მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილოთ იმერული დიალექტის ზოგიერთ სიტყვასა და მათ მნიშვნელობაზე. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ახსნან, თუ საიდან წარმოიქმნა ეს სიტყვები.

„რუ“ და „რუსხმული“ XVII-XVIII სს. ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში

წყარო: ა. ნარიმანიშვილი. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1987, № 1. გვ. 71-72.

ცნობილია, რომ მორწყვა განვითარებული მემინდვრეობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. შიდა და ქვემო ქართლის ველები ოდითგანვე ირწყვებოდა.

არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. V – IV ათასწლეულებში უკვე არსებობდა მარტივი სარწყავი რუები, ხოლო თავდაპირველად რწყვა ხევისწყლებით ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, ადრე ფეოდალურ საქართველოში სარწყავი სისტემების ნაკლებობა შეინიშნება და მხოლოდ თამარის ეპოქაში, საქართველოს ცენტრალიზებულმა სამეფომ შესძლო რამდენიმე არხის გაყვანა. ვახუშტის თქმით: „რუისის მთის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის – წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი“.

სოფ. რუისში მცხოვრები 92 წლის დ. ეგნატაშვილის გადმოცემით (ჩაწერილი 1969 წ.) „წინათ დიდი წყალი იყო. თამარ მეფის მიერ გამოყვანილი იყო ორი რუ – ერთი ურბნისამდე ჩადიოდა, მეორე რუისიდან ბებნისში და საღოლაშენში მიდიოდა. ეს რუები განივრები იყო. **მერუეს** დიდი ბარის ტარი უნდა გაეკეთებინა, რომ დაერჭო ეს ბარის ტარი, დაყრდნობოდა და ისე გადმომხტარიყო მშრალზე, ე.ი. რუს ერთი ნაპირიდან მეორეზე, თუ რუ სამი მეტრი სიგანის იქნებოდა. ერთი რუ ეხლაც არის რუისში, მხოლოდ იქ წყალი პერიოდულად მოდის, რადგან ზაფხულისა და გაზაფხულის თვეებში ამ წყალს იყენებს ყველა სოფელი, რომელსაც ხელი მიუწვდება დაწყებული ლიახვის მდინარიდან“.

იმის შემდეგ, რაც საქართველო ცალკეულ სამეფოებად დაქუცმაცდა, მუდმივმა თავდასხმებმა და ეკონომიკურმა სიძნელეებმა სარწყავი არხების გაყვანა-მოწესრიგების საქმეც შეასუსტა. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში ვახტანგ VI ქართლის მეფემ შესძლო მისი ხელახალი აღორძინება, რადგან მას სარწყავი არხების საკითხი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების წყაროდ მიაჩნდა. მისი აზრით. „როცა ხელმწიფე რუს გაყვანას მოინდომებს, ქვეყნის შენობისა და პურის მოსავლისათვის იქმს, რომე კოდის პური (მარცვლეულით გადასახადი) არ დააკლდესო“.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „რუ ეს არს: წყალ-სარწყავად გადებული“.ნ. ჩუბინაშვილი „რუ“-ს „ ხელოვნებით გატანილ ნაკადულს“ უწოდებს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით კი, „რუ“ – სარწყავად გაყვანილი არხია.

ტერმინი „რუ“ ქართული წარმოშობის არ უნდა იყოს, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს. ის სპარსულიდან ნასესხებად უნდა ჩაითვალოს.

„რუ“ საქართველოში მცირე მდინარის ზოგად სახელადაც ჩანს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამოწმებული დასახელებები: **რუ წითელი** – ჩოხატაურის, **რუშავა** ოზურგეთის რაიონებში, **რუა** – ქუთაისის მიდამოებში, სოფელი **სიქთარუა, რუსთავი** – ქვემო ქართლსა და სამცხეში, **რუისი** – შიდა ქართლში და სხვა ამაზე მეტყველებს.

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „რუ“-ს „წყაროს“ ანუ მცირე მდინარის ტერმინად შენაცვლებისა იმის მაჩვენებლი შეიძლება იყოს, რომ რწყვა აღმოსავლეთ საქართველოში წყაროს წყლით, ანუ ხევის სათავიდან მომდინარე წყაროთი ხდებოდა.

„რუ“-ს შემოსვლამდე მდინარე წყლის („მდინარის“) და სარწყავი წყლის, აგრეთვე წისქვილის წყლის საერთო სახელი იყო „წყალი“, რომელიც ნაკადის თუ ნაკადულის საშუალებით ნაკადულებად შეჰყადათ სარწყავ „მიწებში“.

როგორც უკვე აღინიშნა, მემინდვრეობის განვითარებისათვის მორწყვას საკმაოდ დიდი როლი ენიჭება. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონია მას მევენახეობისათვის. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სოფ. ატენი, სადაც მევენახეობა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო, რომელიც მდ. ტანადან გამოყვანილი რუს მეშვეობით ირწყვებოდა.

გორის რაიონის ძველი სარწყავი არხები გაყვანილი იყო მდინარე დიდი და პატარა ლიახვიდან. დიდი ლიახვიდან გაყვანილი ძველი არხებიდან აღსანიშნავია, როგორც ზევითაც ითქვა, ურბნისისა და ხალთვისის არხები, რომლებსაც ვახუშტი თამარ მეფის დროს გაყვანილად მიიჩნევს, ხოლო შემდეგ ხალთვისის რუ ვახტანგ VI-ს განუახლებია. ურბნისის რუს შესახებ ვახტანგ VI გარკვეული დადგენილებაც განუწესებია, თუ რომელმა სოფელმა სადამდე უნდა გამოიღოს სარუე არხი.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ შიოსუბნის ჩრდილოეთით არის „ქსოვრისი. მუნ არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მთათა შორის – მინდორთა, სარკინეთისა და ციხე ბოდავის მთათა შორისსა და ნაყოფიერებს მით ფრიად“. სწორედ ამ ქსოვრისიდან აღებულ რუს გულისხმობს ნ. ბერძენიშვილი, როდესაც აღნიშნავს, რომ მუხრანის ველზე მან მორწყვის სხვა საფეხურიც დაადასტურა. ეს არის **რუსხმული**ს ტექნიკა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, რუსხმული არის „მაღლა შეშენებული რუ“. გ. ჯალაბაძის განმარტება ასეთია: „ახალ გატანილ რუებს ხშირად ხევების გადაკვეთა უხდებოდა. აქ გამოყენებული იყო ბოძებზე შედგმული ღარი, რომელსაც „რუსხმულას“ უწოდებდნენ. დიდი არხების მშენებლობა თავის მხრივ ფეოდალური საქართველოს აღმავლობის მაჩვენებელი და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პირობა.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რა მნიშვნელობა და საჭიროება ჰქონდა სარწყავ სისტემებს იმერეთის მხარის და ზოგადად, მთელი საქართველოსათვის. ტექსტის გაცნობის საფუძველზე, მათ ქრონოლოგიურ ჭრილში უნდა გაიაზრონ სარწყავი არსების აგება-მოწესრიგების საკითხი ძველ საქართველოში, დროის ხაზზე მონიშნონ მნიშვნელოვანი თარიღები. ამ მიზნით, მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ ცხრილი.

პერიოდი	სარწყავი სისტემის გაყვანა-მოწესრიგება

ამასთან მოსწავლეებმა ანალოგიურადვე უნდა შეაფასონ დღევანდელი პერიოდიც და იმსჯელონ საკითხზე: „სარწყავი არხები – ქვეყნის სამეურნეო ძლიერების წყარო“.

ჭივჭაველი გუთნისდედა

წყარო: გ. ჯალაბაძე. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1970, №20, გვ. 31-35.

ახლა **ჭივჭავას** სახელწოდებით ქვემო ქართლში დასახლებული სოფელი აღარ არსებობს.

ჭივჭავას სახელი პატარა მდინარეს შერჩა, რომელიც ბედენის მთას გამოუდის და სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ მიემართება. სწორედ ამ მდინარის პირას იყო გაშენებული ძველისძველი სოფელი ჭივჭავა. აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, სოფელ ჭივჭავას XVI საუკუნის ბოლოს შეუწყვეტია ცხოვრება. მას შემდეგ ჭივჭავა **ნაჭივჭავებად** მოიხსენიება ხალხში და სამეცნიერო ლიტერატურაში. ჭივჭავას ნამოსახლარი მიდამო მეტად საინტერესო სურათს იძლევა. პირველ რიგში, აქ ყველაზე გამოკვეთილად ნაკალოვარი ადგილებია შემორჩენილი. მნახველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს 3 საუკუნის წინ კი არა, რაღაც 20-ოდე წლის წინ იყო მიტოვებული.

ნაჭივჭავების ტერიტორია არქეოლოგიური კვლევის ობიექტი 1949 წლიდან გახდა. უფრო ადრე ამ მიდამოებში ახლო-მახლო სოფლის განძის მაძიებლებს უწარმოებიათ თხრა.

განძის მაძიებელთა დაინტერესება, როგორც სოფ. ვარხუნოელმა დარჩო აღალოს ძე ახიჯანოვმა (70 წლისა, 1953 წ.) გადმოგვცა, შემდეგ გარემოებას მოჰყოლია, ერთ ვარხუნოელ კაცს თბილისში ქარვასლა ჰქონია. ამ ქარვასლაში ერთხელ ასე 60 წლის წინ (მასალა 1953 წელშია ჩაწერილი) გაჩერებულა ერთი კახელი მოხუცი კაცი. მას თან ჰყოლია თავისი შვილებიც. ქარვასლის პატრონისთვის სადაურობა უკითხავს, მას ჭივჭავა დაუსახელებია. აღსანიშნავია, რომ ვარხუნოელები დღესაც

ჭივჭაველობას იტყვიან, ვიდრე ვარხუნოელობას, თუმცა ვარხუნოც ისეთივე ძველი სოფელია, როგორც ჭივჭავა.

1706 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ვარხუნოელი გლეხი საკმაოდ მოძლიერებულია. მაგალითად, ვარხუნოელ ერთ საკვამლო ნურალაშვილს გააჩნდა თავისი მამული, მიწა-წყალი, მთა, ბარი, სახნავ, უხნავი, სახლ-კარი, ჭურ-მარანი, წისქვილი, ტყე და ველი. ანალოგიური მდგომარეობა იყო ჭივჭავაში. არც ჭივჭავაში და არც ვარხუნოში ვენახი არა გვარობს, მაგრამ საბუთში ჭურ-მარანი მაინც მოიხსენიება. საბუთში მოხსენიებული მამულიც ვენახს უნდა გულისხმობდეს და შესაძლებელია ის მამული ვარხუნოელ და ჭივჭაველებს ასევე სხვა სოფლებსაც დაბლა ბარში ჰქონდათ. ძირითადი, რაც ჭივჭაველების სამეურნეო ცხოვრებას განსაზღვრავდა, როგორც ჩანს, მაინც მემინდვრეობა იყო. ამას ნათლად ადასტურებს ჭივჭავას ნასოფლარის არქეოლოგიური მასალები და მიწის ზედა ძეგლები, რომლის შესახებ ვარხუნოელი მექარვასლესათვის იმ მოხუც კახელს უამბნია: ,,ჩვენი წინაპრები ჭივჭავადან არიან კახეთში გამოქცეულები. მანდ ჩვენ ძალიან დიდი სიმდიდრე დაგვრჩა და თუ შევიძელი უნდა წავიდე მოვიძიოვო“, მაგრამ ეს კაცი ისე ყოფილა დაუძლურებული, რომ ქალაქშივე გარდაცვლილა და შვილებს ჭივჭავასთვის აღარ მიუკითხია, მექარვასლე კი შესდგომია ჭივჭავას ნასოფლარის თხრას და ძიებას, რომელსაც შემდეგ სხვა ვარხუნოელებმაც თურმე მიბაძეს. „მოხალისე არქეოლოგებმა“ ალბათ, ბევრი რამ იმსხვერპლეს, მაგრამ გადარჩა რამდენიმე მიწის ზედა ნაშთი, რომელთაგან აღსანიშნავია „გუთნის დედის“ საფლავის ქვა.

გუთნის დედობა იმთავითვე საპატიო ხელობად იყო აღიარებული და გარდაცვალების შემდეგ მისდამი პატივისცემა **საფლავი ქვის მხატვრობაშიც** გამოუხატავთ. ჭივჭავას საფლავის ქვებიდან ერთი „გუთნისდედაა“ მხოლოდ შემორჩენილი. ერთი ქვა, რომელზედაც ექვსულლიანი სახვნელი ყოფილა გამოხატული გუთნისდედით, ხელი მანჭაზე (გუთნის ნაწილი) ეკიდა და ფეხი კბილაზე ჰქონდა თურმე დადგმული, ის თეთრიწყაროელ ქვის მოხელეებს წაუღიათ და სამშენებლო დანიშნულებით გაუთლიათ. სამწუხაროდ, ამ გზით და ამ მიზნით ქვემო ქართლში არაერთი ძეგლი ნადგურდება. ნადარბაზევის ნაგებობის პერანგი სავალალოდ არის შემოძარცული.

ჭივჭავას საფლავის ქვაზე, რომ **ჯილღა** სახვნელია წარმოდგენილი, ეს კარგად ჩანს გამწევი ძალისათვის გამოხატულ უღელთა რაოდენობიდანაც. სახელდობრ, მასში ოთხი უღელია გაბმული, რაც ჯილღა სახვნელისთვის საკმარის გამწევ ძალად ითვლებოდა.

ჯილღა სახვნელი ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში საკმაოდ გავრცელებული იარაღი იყო. სახვნელის ეს სახეობა სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ ის ზეგნის მიწათმოქმედების საანეულო სისტემასთან (ანეული არის მინდორი, რომელიც მთელი წლის მანძილზე თავისუფლდება სარეველებესაგან) არის დაკავშირებული. იგი ბარის საანეულო სისტემისაგან მრავალი ნიშნით გამოირჩეოდა. სახელდობრ, ნიადაგი იხვნებოდა მრავალგზის, თან ნიადაგის მსხვრევით, ნაცვლად ფრთიანი სახვნელით და უწყვეტ ლენტად მიწის გადაბრუნებით. ზეგანზე ასეთი ხვნა იწვევდა მზის სხივების ნიადაგში უხვად და მრავალგზის შეღწევას, რაც ზეგანის გრილი ნიადაგებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ჯავახეთში ამბობდნენ: „მიწას ერთხელ მოხნავ – ერთ მოსავალს მოგცემს, ორჯერ მოხნავ – ორ მოსავალსო“. ეს პირობა ქვემო ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში საუკუნოვანი ტრადიციებით იყო განმტკიცებული.

ქვემო ქართლის მემინდვრეობაში ფართოდ იყო გამოყენებული **ფორჩხი**, რომელიც საანეულო სისტემის აუცილებელ იარაღს წარმოადგენს. ფორჩხის სიკეთე მემინდვრეობაში იმდენად დიდი იყო და იმდენად ძველი იარაღი ყოფილა, რომ იგი მეზობელ ქვეყნებსაც გადაუღიათ, ქართული სახელითვე მიუღიათ.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ სწორი და არასწორი ქმედებები, რომლებიც შეიძლება ადამიანმა ან ადამიანთა ჯგუფმა განახორციელოს ისტორიული ძეგლების მიმართ. მათ უნდა ჩამოთვალონ და იმსჯელონ მექარვასლესა და ზოგიერთი ვარხუნოელის იმ არასწორ ქმედებებზე, რომლებზეც საუბარია წყაროში. ასევე ახსნან, რატომ ახსენებს ტექსტის ავტორი „მოხალისე არქეოლოგებს“ უარყოფით კონტექსტში.

შემდეგ გაკვეთილებზე (V კლასში სვანეთის და VI კლასში სამცხე-ჯავახეთის გავლისას) მოსწავლეები გაეცნობიან და ასევე იმსჯელებენ საქართველოს კანონზე კულტურული მემკვიდრეობის (2007 წელი) შესახებ და ამ კანონის ცალკეული მუხლების მიხედვით, შეაფასებენ სხვა წყაროებში მოცემულ ქმედებებს. ამჯერად კი, მოსწავლეები მხოლოდ გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებსა და დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქმედების მიმართ, ასაბუთებენ, თუ რატომ არის ეს ქმედებები არასწორი.

ამ საკითხის განხილვისას (ისევე როგორც საუბარი იყო აქვე, „ჭურის თავდახურვის წესები იმერეთში“) მასწავლებელმა უნდა გაამახვილებინოს მოსწავლეებს ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ

რა დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობები ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე. ამ შემთხვევაში ეს გავლენა გამოიხატება შრომის იარაღების ფორმასა და აგებულებაში. მოსწავლეები იწყებენ მსჯელობას, რატომ თქვა ჯავახმა კაცმა: „მიწას ერთხელ მოხნავ – ერთ მოსავალს მოგცემს, ორჯერ მოხნავ – ორ მოსავალსო“.

უშგულის კოშკები

წყარო: არჩილ ფავლენიშვილი. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1986, №1, გვ. 34-41.

სვანური კოშკები ძირითადად გეგმაში ოთხკუთხა ფორმისაა და სიმაღლით 20 მეტრს აღემატება. შესასვლელი მიწის დონიდან არანაკლებ ოთხი მეტრი სიმაღლეზე მდებარეობს. ნაგებობის ქვედა ნაწილი მთლიანად წყობითაა შევსებული. სართულების რაოდენობის მიუხედავად, ბოლო სართული ყოველთვის ე.წ. საბრძოლო სართულს წარმოადგენს, რომელიც ამ სადა მკაცრი არქიტექტურის ერთადერთი მხატვრული ელემენტია.

საბრძოლო სართული გადახურულია ორფერდა სახურავით. მისი კედლები გარეთ არის გამოწეული და კოშკზეა გადმომჯდარი. სწორედ ამიტომ მას „კოშკის ქუდსაც“ უწოდებენ. კოშკის ქუდი შედგება სალოდეების რიგისაგან, რომელიც გარს ერტყმის ბოლო სართულს მთელს პერიმეტრზე. სალოდე ღიობები ყოველთვის თაღოვანია, თუმცა სხვადასხვა კოშკისათვის იგი განსხვავებულია. ზოგი თაღი ნახევარწრიულია, ზოგი დაბალი ნალისებური და ზოგსაც წაგრძელებული ფორმა აქვს. სალოდე ღიობების რაოდენობა კოშკის გვერდის სიგანეზეა დამოკიდებული. გვხვდება ძირითადად სამ და ოთხ სალოდე ღიობიანი კოშკები (სალოდე ღიობის რაოდენიბა აღებულია ერთი გვერდისათვის). იშვიათად გვხვდება ორ-ორი ან ხუთ-ხუთი ღიობი. ასევე იშვიათად გვხვდება კოშკები, რომლებსაც მიმდებარე გვერდებზე სხვადახვა რაოდენობის სალოდე ღიობები აქვთ.

ასეთია სხვანური კოშკების ძირითადი სახე. მთელს ზემო სვანეთში აღნიშნული ტიპისგან განსხვავებული კოშკები მხოლოდ უშგულის თემში გვხვდება. მთავარი განმასხვავებელი ნიშანია საბრძოლო სართული. მას ტრადიციული სვანური ქუდისაგან განსხვავებით თითოეულ საფასადო მხარეზე, გარდა კოშკის შესასვლელი მხარისა (მთავარი ფასადისა), თითო გამოწეული სალოდე აქვს. სალოდეს ასეთი არქიტექტურული გადაწყვეტა გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა სხვა მთიანი რაიონების კოშკურ არქიტექტურაში.

უშგულში მკვეთრად განსხვავებული ორი სახეობის კოშკი გვხვდება: I – კოშკები, რომლებიც ნაგებია ღვინისფერი ფიქლით, სიმაღლე 16-18 მეტრია, არ ემჩნევა შელესილობის კვალი და აქვს თითო სალოდე სამ საფასადო მხარეზე, მთავარი ფასადის გარდა; სართულშუა გადახურვები მოწყობილია ხის კოჭებზე და ბრტყელია, ხშირად პირველი სართულის გადახურვა კამაროვანია; II – „ქუდიანი კოშკები“, რომლებიც ნაშენია შავი ან რუხი ფიქალით, ან შერეული წყობით, სიმაღლე (მცირე გამონაკლისის გარდა) არ აღემატება 20 მეტრს. ქვების სისქე მერყეობს 10-25 სმ-ს შორის, აქვს შელესილობის კვალი, შესასვლელი კარი ხშირ შემთხვევაში თაღოვანია და სართულშუა გადახურვები ორფერდაა.

მეთოდური მითითებანი

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია უშგულის კოშკების შესახებ. შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს ეს ახალი ინფორმაცია შეადარონ სახელმძღვანელოში არსებულთან (სურათებთან და მათ მინაწერებთან). მოსწავლეებმა უნდა ჩამოთვალონ ყოველი ის ახალი ინფორმაცია, რომელიც მათ სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხეს. აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ***მოსწავლეებმა დაინახონ კოშკების ის მახასიათებლებიც, რომელთა ამოკითხვა სურათიდან ვერ შეძლეს, თუმცა ეს შესაძლებელი იყო.*** *ასეთი მიდგომა მოსწავლეებს დაეხმარება გამოიმუშავონ სურათებიდან მეტი ინფორმაციის მიღების უნარი.*

ამასთან მოსწავლეებმა სურათზე უნდა ამოიცნონ კოშკის ის ელემენტები, რომლებზეც ტექსტშია საუბარი, მაგალითად, „კოშკის ქუდი“, სალოდე ღიობები, მათი ფორმა და სხვა.

სვანური ქუდი

წყარო: ციალა ბეზარაშვილი. ჟურნალი: „ძეგლის მეგობარი“, 1981, № 58. გვ. 53-

ქართული ტრადიციული ტანსაცმლიდან „სვანურის“ სახელწოდებით ცნობილი ნაბდის ქუდი ჩაცმულობის ისეთი ელემენტი გამოდგა, რომელმაც გაუძლო თავსაბურავის ფორმათა მონაცვლეობას, და დღესაც, თანამედროვე ყოფაში, არ დაუკარგავს ფუნქცია. ეს მართლაც მოხდენილი თავსამკაული, თუშურ ქუდთან ერთად, ისეთი მოხერხებული ფორმაა – ზამთარში თბილი, ზაფხულში მზის მხურვალებისაგან თავის დამცველი და ამასთანავე ეროვნული, რომ გვჯერა, დროის გამოცდას მომავალშიც გაუძლებს.

წლის ყოველი სეზონის დროს ერთნაირად მოხმარებული სვანური და თუშური ქუდების გავრცელების არე ძველად მკვეთრად იყო შემოსაზღვრული, პირველი დასავლეთ საქართველოს ფარგლებით, მეორე აღმოსავლეთ საქართველოთი. მათი გავრცელების მასობრივი ხასიათი კი იმის მანიშნებელია, რომ წარსულში მრავალი ქალი იცნობდა და ზოგიერთი კარგადაც ფლობდა ქუდების დამზადების ხალხურ ტექნოლოგიას.

სვანურ ქუდს სვანეთის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეში მცხოვრები ქალებიც ამზადებენ, მაგრამ მათ ნახელავში სვანი ქალის ნაოსტატარს ეძლევა უპირატესობა, როგორც საუკეთესო მასალის, ასევე დამზადების კარგი ხარისხის გამოც.

სვანური ქუდის მასალად ცხვრის მატყლის საგანგებოდ შერჩევაა საჭირო. „ღარიბი“ ცხვრის მატყლი სუსტია და ძაგარასავით სქელი. „მდიდრად“ დაწმენდილსა და უკრაველო ცხვარს თვლიან. ასეთი ცხვრის ზურგისა და ფერდებიდან აღებული მატყლი საუკეთესოდაა მიჩნეული. ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოტანილ მატყლს განსხვავებული დანიშნულებით იყენებდნენ: ზოგი მატყლი საქუდედ იყო კარგი, ზოგი მოსაქსოვად და ლოგინის გასაწყობად. ასე მაგალითად, სამეგრელოდან მოტანილი წმინდა და გრძელბეწვიანი მატყლი ჩხირებში საქსოვად იყო გამოყენებული, ქვემო და ზემო სვანეთის მატყლი ცნობილი იყო როგოგრც საუკეთესო მასალა სვანური ქუდების დამსამზადებლად.

ცხვარს წელიწადში სამჯერ პარსავდნენ. პირველ ნაპარსს იღებდნენ ფეხგასულზე, ცხრა მარტის მერე. ეს მატყლი ზამთარგამოვლილია და ამიტომ თებოიანი. მეორე ნაპარსი კვირიკობის თვისაა (იგივე ივლისი), მას „ნამაშარი“ ჰქვია და დაბუმბულებული და ნაზარდი მატყლი იცის. მესამე ნაპარსს „ნალოკს“ ეძახიან. დასამუშავებლად ყველას მწიფობის თვეში მიღებული მატყლი სჯობია. პირველ ნაპარსიდან მიღებული ძაფი წინდა-პაჭიჭების საქსოვად იყო კარგი, მეორე ნაპარსის ძაფი საქუდედ და ნოხ-ფარდაგების მოსაქსოვად, შემოდგომის მატყლის ძაფიდან კი საქსოვ დაზგებში შალის ქსოვილებს ამზადებდნენ. ისე დასაქსელად „ნალოკის“ ძაფს ამჯობინებდნენ და მისასხამად კი – გაზაფხულის ნაპარსს. თვლიან, რომ საყაბალახედ საუკეთესო მასალა – „კრაველი“ საქუდედ არ გამოდგება, რადგან ეს მატყლი კარგად არ ითელება.

სვანური ქუდის მასალად სამი კვერცხის წონა ე.ი. 150 გრამი მატყლია საჭირო. გამოცდილ ოსტატს აწონვაც არ დასჭირდება, იგი ორ მუჭში მომწყვდეულ მატყლს ივარაუდებს. ქუდის დამზადება რამდენიმე საათშიც მოხერხდება, მაგრამ თუ ყველა წესებს ზუსტად დაიცავენ და ქუდსაც კალაპოტზე გაშრობას დააცდიან, შეიძლება ერთი ქუდის დამზადებაზე ორი დღეც დასაქმდნენ.

სვანური ქუდი ტრადიციულად ნაცრისფერია, რომლის მრავალ ტონალობას შერეული მატყლის შეფარდება იწვევს. კარგი ნაცრისფერი, რომ გამოვიდეს – „ქისონი“, რასაც ლეჩხუმ-სვანეთში დიდი მოწონება და გასავალიც აქვს, ორი წილი თეთრი და ერთი წილი შავი მატყლი უნდა შეურიონ ერთმანეთს. თუ უფრო ჩამუქებული ფერის მიღება სურთ, მაშინ შავი მატყლის ზომა უნდა გაიზარდოს. შავი ქუდი მხოლოდ მგლოვიარეთ ახურავთ.

სვანური ქუდის დასამზადებლად იყენებდნენ უბრალო ხელსაწყო-იარაღებს: ხის პატარა მაგიდას ან ფიცრებს მატყლის შესათელად და მაღალ ფეხზე შემდგარ სოკოს ფორმის ხის კალაპოტს, რომელსაც ადგილობრივ ამზადებდნენ თხემლისა და წიფლის ხეებისაგან.

ქუდის დამზადება შემდეგი თანამიმდევრული პროცესის შესრულებას ითვალისწინებს. ჯერ მატყლს დაწეწავენ და დაჩეჩვის დროს ფერებს ერთმანეთში შეურევენ. თუ სადმე გრძელი ბეწვი გამოჩნდა, იმის შეჭრაც აუცილებელია.

პატარა ხის მაგიდაზე ნახმარ თავსართს ან ქსოვილის ნაჭერს გადააფენენ, რომელიც წინასწარ დასველებული აქვთ. ზედ სამი მტკაველის სიგრძე-სიგანით გარჩეულ მატყლს სამ ფენად დააწყობენ იმდაგვარად, რომ კარგი მატყლი აუცილებლად გარე ფენაში მოხვდეს. მატყლდაფენილ ნაჭერს მერე ბარათივით დაკეცავენ, ისე რომ შუაგული ღიად დარჩეს და გრძელ ჯოხზე გადაახვევენ დასაზელად. ზელვის დროს ბევრჯერ გახსნიან თბილი წყლის დასასხმელად. მაგრამ ვიდრე წყლის დასხმას დაიწყებდნენ მანამდეც უნდა ზელვა, რომ მატყლი „შეგუვდეს“. თუ მატყლი სუფთაა საპნით

გარეცხვა არ არის აუცილებელი, თუ ჭუჭყიანია, როცა ნარეცხი წყალი დაიწმინდება, საპნის წასმას თავს დაანებებენ. ნაბადის ქუდად ამოღუნვის მერე თბილ წყალს ცხელით შეცვლიან. გადახვევის დროს ხშირად აბრუნებენ. როცა გახსნის დროს ნახავენ, რომ აღებულმა ზომამ მტკაველით მოიკლო, ამოღუნვას დაიწყებენ. ნაჭერს ჯოხს გამოაცლიან, მოთელილს ერთი წვერისაკენ ამოღუნავენ და ნაჭრით ისევ გადაახვევენ: ჯერ ორად გადაკეცავენ, მერე სამად შეახვევენ და ხელით დააგორგოლავებენ. ამ პროცესის დროს რამდენჯერმე შეასხამენ ცხელ წყალს. ზელვის დამთავრების მერე ნაბადს კალაპოტზე გადასჭიმავენ; თუ ნაბადის ნაჭერი კალაპოტს არ მოერგო, სიდიდის შემთხვევაში ისევ დაზელვაა საჭირო, სიპატარავის დროს კი ცხელ წყალში დაჭიმვა. მერე ნაბადს გაპარსავენ.

ქუდის შესამკობად იყენებენ აბრეშუმის სირმებს და ძირითადად კი ბამბის ძაფის ყაითანს, რომლის მქსოველადაც ხშირად ქუდის მკეთებელი ქალი გვევლინება. ყაითანისათვის ორი მსხვილი – შვიდწვერა ძაფის შეგრეხაა საჭირო. ზოგი ოსტატი ქუდის ნაპირებს მხოლოდ „ამაშინებს“, ზოგი პირდაპირ ნაპირს შემოაყოლებს ყაითანს და ზედ საკერავი მანქანით დაამაგრებს. ნაპირსმოვლებულ ყაითანს გადაზომავენ და შუაში განასკვავენ, მერე გადაჯვარავენ. დასამაგრებლად კოჭის ძაფისვე გრეხილს ხმარობენ, რომელიც ქუდის შიგნითა მხრიდან მაგრდება და ბოლოში ფერადი ძაფის ფოჩით მთავრდება. როცა აბრეშუმის სირმით უნდათ მორთვა, მაშინ ამ შესამკობს ნაპირიდან გოჯის დაცილებით შემოავლებენ.

მეთოდური მითითებანი

სვანური ქუდის დამზადების მაგალითზე მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ნებისმიერ საქმეს, რაც არ უნდა მარტივი ჩანდეს ის ერთი შეხედვით, ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ამ მიზნით, მოსწავლეებმა უნდა ჩამოწერონ სვანური ქუდის დამზადების ძირითადი ეტაპები, ანუ ***ტექსტში აღწერილი დეტალებიდან გამოყონ ძირითადი საქმიანობები****. ქვემოთ ჩამოთვლილია ეს ეტაპები: ცხვრის გაკრეჭა, მატყლის გარეცხვა, მატყლის დაწეწვა და დაჩეჩვა, მასალად მატყლის საჭირო რაოდენობის აღება, სველ ქსოვილში გახვეული მატყლის დაზელა, ნაბდის კალაპოტზე გადაჭიმვა და გაპარსვა, ქუდის შემკობა. შესაძლებელია მოსწავლეებმა ეტაპები განსხვავებულად წარმოადგინონ, მაგრამ მთავარია, რომ მათ შეძლონ გამოყონ საქმიანობის ძირითადი ეტაპები.*

მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ნებისმიერი საქმიანობისას მნიშვნელოვანია ***წინაპართა გამოცდილების გათვალისწინება****. ამ შეთხვევაში კი, მათ ეცოდინებათ, რომ სვანური ქუდის დამზადება ნებისმიერად არ შეიძლება. მოსწავლეები მსჯელობენ 4 უმთავრეს გარემოებაზე, რაც უზრუნველყოფს კარგი ხარისხის სვანური ქუდის დამზადებას. მასწავლებელი ჩამოწერს თანამიმდევრობით ამ გარემოებებს ცხრილის სახით, მოსწავლეები კი ცდილობენ გასცენ სწორი პასუხები და შეავსონ იგი.*

საქართველოს მხარე	ცხვრის ტიპი	ცხვრის სხეულის ადგილი	წლის სეზონი
ქვემო სვანეთი ზემო სვანეთი	„მდიდარი“ ცხვრის მატყლი	ზურგი და ფერდი	ივლისი

ქართული ვაზი

წყარო: ა. ლეკიაშვილი. შენ ხარ ვენახი. თბ.

უძველესი ლურსმნული წარწერები გვამცნობენ, რომ სამხრეთ შუამდინარეთის მიწა-წყალზე უკვე ხუთი ათასი წლის წინათ მისდევდნენ მევენახეობას. შუმერთა ქვეყნის ჰავა არა სწყალობდა „სიცოცხლის ხეს“, მაგრამ ამ ქვეყნის ხელისუფალნი ძალას არ იშურებდნენ ვაზის კულტურის დასანერგად. ხელოვნურ ტერასებზე გაშენებულ ვაზებს დასტრიალებდნენ შუმერი მევენახეები, რათა მათ მბრძანებლებს სუფრაზე არც ღვინო დაჰკლებოდათ და არც სანუკვარი ხილი.

პირამიდების ქვეყანაშიც უძველესი ხანებიდან იცნობდნენ ვაზის კულტურას. ჭურჭელი, რომელშიც ოდესღაც „სამეფო ვენახების“ ღვინო ესხა, საწნახელის გამომხატველი იეროგლიფი, სამარხში ჩაყოლებული ყურძნის ჩხავერი ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მინჯაზე განვითარებული მევენახეობის უტყუარი საბუთია.

მართალია, მევენახეობის უძველეს კვალს ეგვიპტესა და მესოპოტამიის მიწა-წყალზე მივყავართ, მათი მკვიდრნი მაინც ვერ დაიჩემებენ ამ დარგის პიონერთა სახელს. ვაზის კულტურა მათ სხვებისაგან აითვისეს: არც შუამდინარეთში და არც ნილოსის ველზე არასოდეს ხარობდა ველური ყურძენი.

მაშინ, სად უნდა ვეძებოთ ვენახისა და ღვინის თავდაპირველი სამშობლო? სადაა მაღალი სამიწათმოქმედო ცივილიზაციის ის უძველესი კერა, რომლის მკვიდრმა პრეისტორიის გარიჟრაჟზე ტყეს ველური ყურძენი გამოსტაცა და ვენახის მოშენებას მიჰყო ხელი? ისტორია ადასტურებს, რომ მევენახეობა დამოუკიდებლად არ ჩასახულა ყველგან, სადაც საამისო პირობები იყო. ამის მაგალითია დასავლეთ ევროპა, სადაც ტყიური ყურძენი უხსოვარი დროიდან ხარობდა. ამაოდ გვიწევენ ძველი ელადის მითები საბერძნეთში, „ბახუსის წვენის“ თითქოსდა უპირველეს სამშობლოში. ბერძნებმა, ევროპული მევენახეობის პიონერებმა, ვაზის კულტურა მეზობელი ქვეყნებიდან, სირიიდან ან მცირე აზიიდან გადაიღეს.

მცირე აზიას მევენახეობის ისტორიაში უფრო მნიშვნელოვანი როლიც ენიჭება: ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მისი ტერიტორია მევენახეობის წარმოშობის ერთ-ერთ უმთავრეს კერად აღიარეს მკვლევარებმა. მაგრამ მხოლოდ მცირე აზიას არა ხვდა წილად ასეთი პატივი. ის წინა აზიის ზოგ ქვეყანაში სხვა ქვეყანასთან ერთად საქართველომაც გაიზიარა.

სწორედ რომ სავენახედ იყო დალოცვილი ეს ქვეყანა. რა უხვად ხარობდა აქ ველური ყურძენი. მკლავის სიმსხო, გიგანტური სიმაღლის კრიკინა ვაზი ერთიანად მოსდებოდა ტყეებსა და ჭალებს, კოლხეთსა და კახეთში, დაბლობებსა თუ მთის პირებში. საქართველოს ზოგ მხარეში თითქმის თავის ნებაზე მისვებული ვაზები იმდენად უხვად ისხამდა ყურძენს, რომ მის დაკრეფას ვერც აუდიოდნენ. ამ პატარა ქვეყნების ვენახები ყურძნის ჯიშების არნახული სიმრავლით გამოირჩეოდა, ხოლო ღვინოები — უბადლო ღირსებით. ბოტანიკოსებს, კულტურის ისტორიკოსთ ისიც კარგად მოეხსენებათ, თუ რა ღრმად მიდის ქართული მევენახეობის ტრადიციები. ძველბერძნული წერილობითი ძეგლები ხომ ანტიკურ კოლხეთს მევენახეობის ქვეყნად წარმოგვიდგენენ. და განა საქართველოში დამკვიდრებული ვაზის მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენების წესები განსაკუთრებული სიძველის დაღს არ ატარებს?

გასული საუკუნის გამოჩენილმა შვეიცარიელმა ბოტანიკოსმა დეკანდოლმა მცირე აზიასთან ერთად საქართველოც მოიქცია იმ არეალში, სადაც ვაზის კულტურა თავდაპირველად ჩაისახა. ასევე, ცნობილ გერმანელ კულტურის ისტორიკოსს ჰენს „ვენახის ჭეშმარიტი სამშობლო“ ეგულებოდა „კახეთისა და სამეგრელოს“ მიწა-წყალზე, იქ, სადაც „უღრან ტყეებში მკლავის სიმსხო ვაზი ვეება ხეთა კენწეროებამდე აცოცებულა და თვალს იზიდავს ზორბა მტევნები“, სადაც „დღემდე ცოცხლობს ისეთივე ძველთაძველი წესები, მევენახეობა-მეღვინეობისა, როგორც ბერძენთა და რომაელთა თხზულებები გვაცნობენ... იქ ხარობს ქარვისფერი, თაფლივით ტკბილი ყურძნის ჯიშები, ხოლო უკეთილშობილესი კახური საფერავი იძლევა იმდენად მუქი წითელი ფერის წვენს, რომ ქალები წერილებს წერენ...“

მკვლევარები დღესაც იმავე აზრს ადგანან მევენახეობის თავდაპირველი სამშობლოს შესახებ. „სამხრეთ კავკასია“, საქართველო — აი, ის უმთავრესი კერა სადაც პირველად მოაშინაურეს ველური ვაზი და ყურძნის წვენისაგან ღვინო დააყენეს.

კულტურულ-ისტორიულ ხასიათის ზოგი ფაქტი კიდევ უფრო განამტკიცებს ამ შეხედულებას.

ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თავის წიგნს „სამეგრელოს აღწერის“ ფურცლებზე იმოწმებდა ნოეს შესახებ ბიბლიურ გადმოცემას, როგორც საქართველოში მიწათმოქმედების შორეული ტრადიციების დამადასტურებელ საბუთს. ამ გადმოცემის თანახმად მევენახეობა თავდაპირველად ამიერკავკასიაში ჩაისახა. აქ, არარატის მთის სანახებში, გადმოვიდა თუ არა კიდობნიდან, „იწყო ნოე კაცმან საქმედ ქვეყნისა, და დაასხა ვენახი და სვა ღვინოსაგან და დაითრო“ — გვაუწყებს ბიბლია „შესაქმეთა წიგნი“.

ლეგენდები ვაზისა და ღვინის წარმოშობის შესახებ არაერთ უძველეს ხალხს შეუქმნია. ამ ლეგენდებში ძველი ხალხები მევენახეობა-მეღვინეობის პირველაღმომჩენთა დამსახურებას ჩემულობენ. ეგვიპტური თქმულების მიხედვით, მევენახეობა პირველად პირამიდების ქვეყანაში ჩაისახა. ბერძნული გადმოცემების თანახმად, ვაზის, ღვინის სამშობლო საბერძნეთის რომელი მხარეა. ერთ-ერთი გადმოცემით ყურძენს პირველად ცხვარმა მიაგნო. კალედონიის მეფის ოინეუსის მწყემსმა შეამჩნია თურმე, რომ ერთი ცხვარი ხშირად ფარიდან გარბოდა და ფარეხშიც გვიან ბრუნდებოდა. მწყემსმა ცხვარს თვალთვალი დაუწყო და ნახა, რომ უცხო მცენარის ნაყოფს კორტნის. ერთხელ თვითონაც დაკრიფა უცნობი მცენარის ნაყოფი, დაწურა და წვენი წყაროს წყალი შეურია. სითხემ რამდენიმე ხანში გემო იცვალა და მისგან მათრობელა სასმელი დადგა. მწყემსმა სასმელი მეფეს მიართვა ძღვნად. მეფე ოინეუსს იმდენად მოეწონა სასმელი, რომ მას თავისი სახელი დაარქვა.

თუ სპარსულ გადმოცემას დავუჯერებთ, ირანია ღვინის სამშობლო. ღვინის გაჩენას გადმოცემა

მეფე ჯემშიდის სახელს უკავშირებს. ყურძნის მოყვარულმა მეფემ ვაზირს უბრძანა, ბლომად დაეწურათ ყურძენი და წვენი თავდახურულ ქვევრებში შეენახათ, რომ ზამთარშიაც არ მოჰკლებოდა ირანის მბრძანებელს საყვარელი ხილის წვენი.

ერთხელ მსახურებმა მეფის სასმელის მოპარვა განიზრახეს. შეიპარნენ მარანში, სადაც ქვევრები ინახებოდა, მაგრამ მოდუღარი ტკბილის ოხშივარმა ქურდები დახოცა. ამის შემდეგ „მომაკვდინებელ“ სასმელს შიშით აღარავინ ეკარებოდა. მხოლოდ სასომიხდილმა გულნარამ, მეფის ასულმა, გაიმეტა თავი და „საწამლავს“ დაეწაფა, ვინაიდან მამამ მას მიჯნურზე გათხოვების ნება არ დართო. მოგეხსენებათ, რაც ამას მოჰყვებოდა. მეფის ასული გვარიანად გამოიბუჟა, გულს მწუხარება გადაეყარა და მხიარული სიმღერით მიაშურა მამას. როცა მეფემ მხიარულების მიზეზი შეიტყო, თვითონაც იგემა ჯადოსნური სასმელი. ღვინომ გაახალისა პირქუში მბრძანებელი და ასულს გათხოვების თანხმობა მისცა. თვითონ კი მას შემდეგ ღვინის მოტრფიალე გახდა.

ასე რომ, მრავალრიცხოვან ლეგენდათა შორის ერთადერთი ბიბლიური გადმოცემაა, რომელიც მევენახეობის წარმოშობას ამიერკავკასიას უკავშირებს...

მაგრამ, აი, ამ ცოტა ხნის წინ უძველეს სპარსულ ხელნაწერთა კრებულში კიდევ ერთი გადმოცემა აღმოჩნდა. „სპარსეთში ღვინის გაჩენის ამბავი“ შემდეგს მოგვითხრობს: ხორასნის მეფის შემირანის ვაჟმა, უბადლო მშვილდოსანმა, სიკვდილს გადაარჩინა არწივი, რომელსაც ყელზე გველი შემოჰხვეოდა. თავის მხსნელს ფრინველმა მადლობის ნიშნად უცხო მცენარის თესლი მოუტანა. თესლიდან მეფის ბაღში ხეები წარმოიზარდა, ნაყოფიც დაისხა. შემოდგომაზე უცხო მცენარე ფერადი მტევნებით დაიხუნძლა. მაგრამ მწიფე ნაყოფს შიშით პირი არავინ დააკარა. მტევნები დაწურეს და წვენი თიხის ჭურჭელში ჩაასხეს, ცოტ ხანში წვენმა დუღილი დაიწყო, შემდეგ კი დაშოშმინდა და ლალისფერი მიიღო. რადგან ნებით მისი დამლევი არავინ აღმოაჩნდა, სასმელი სიკვდილმისჯილ პატიმარს დაალევინეს. პატიმარმა პირველი თასი გამოსცალა და მეორე მოითხოვა, მერე მესამეც მიაყოლა და ღრმა ძილს მიეცა. როცა გონს მოვიდა, მეფეს მოახსენა: სასმელის დალევის შემდეგ ჩემს თვალებს განაჩენის აჩრდილი, გულს კი მწუხარება მოსცილდა. ასე მომეჩვენა, თითქოს ჩემსა და მეფეს შორის არავითარი განსხვავება არ იყოო. მეფის სწავლულებმა აღიარეს ღვინის უპირატესობა სხვა სასმელებთან შედარებით და მეფემაც წესად შემოიღო ღვინის სმა და ნადიმების გამართვა...

ამ გადმოცემაში უჩვეულო თითქოს არაფერია. ის იმასვე იმეორებს, რასაც სხვა სპარსული ლეგენდები: ღვინის სამშობლო ძველი ირანიაო. მაგრამ მკვლევარის თვალებმა ამ თქმულებაში უჩვეულო, თავისებური მაინც დაინახა.

ეს მეფე შემირანია, რომელსაც თქმულება ქალაქ შემირანის დაარსებასაც მიაწერს: „აქ ჩვენს წინაშეა იმავე შამირანის სახელი, რომელიც ორგანულად უკავშირდება ურარტულ სამყაროს, რომელსაც მიეწერება ურარტუს დედაქალაქის აგება, დიდი არხების გაყვანა და სხვა. ამიტომ ეს ლეგენდა შეიძლება თავდაპირველი სახით მევენახეობის სამშობლოდ სწორედ ძველი ურარტუს მინაწყალს მიიჩნევდა“, — წერს აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი. ურარტუ კი სამხრეთ ამიერკავკასიის ძლიერი სამეფო იყო (ძვ. წ. IX-VII სს.), რომელსაც ნაწილობრივ თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაც ეკავა.

ახლა მეცნიერების განკარგულებაში უკვე ორი ძველთაძველი გადმოცემაა, რომელიც შეიცავს უაღრესად საგულისხმო მითითებას მიწათმოქმედების ამ უმაღლესი დარგის წარმოშობის შესახებ.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ კულტურულ მონაპოვარს ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, ხალხიდან ხალხში გადასვლის დროს მისი აღმნიშვნელი თავდაპირველი სახელწოდებაც თან მიჰყვება. საუკუნეთა მანძილზე წარსული ვითარების კვალი წაიშლება, დარჩება მხოლოდ სახელი, როგორც წარსულის უტყუარი მოწმე. იქნებ ღვინის წარმოშობის საიდუმლოსაც ენობრივმა მონაცემებმა მოჰფინოს შუქი? ეს კითხვა კარგა ხანია ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. მით უმეტეს, რომ მათ წინაშე მართლაც საგულისხმო ფაქტია; თვით განსხვავებული სისტემის ენებშიც კი ღვინო მსგავსი სახელებით აღინიშნება. არასპეციალისტისათვისაც ადვილი დასანახია ამ სიტყვათა მსგავსება. ინდოევროულ ენებში: ბერძნული იონოს, ლათინური ვინუმ, ხეთური ვიანა, სომხური გინი, რუსული ვინო, გერმანული ვაინ, და ა.შ. სემიტურ ენებში: არაბული ვაინუნ, ებრაული იაინ, ასურულ-ბაბილონური ინუ და სხვა. ამ სახელწოდებათა საერთო წარმოშობა უდაო იყო. გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ ის, თუ საიდან მომდინარეობდნენ ისინი. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ა. მეიე ინდოევროპისტთა საერთო აზრსაც გამოხატავდა, როცა „ღვინის“ სახელწოდება ინდოევროპულ ენებში ნასესხებად მიიჩნია. სემიტური ენების მიმართ ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ სემიტოლოგებიც. იქნება ღვინის აღმნიშვნელი სიტყვა ქართული წარმოშობისაა? — გამოთქვა მრავალმა მკვლევარმა ერთი და იგივე აზრი.

ასეთი მოსაზრება საფუძვლიანი აღმოჩნდა. აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარებითმა ანალიზმა მიიყვანა საგულისხმო დასკვანდე: ქართველურ ენებში ღვინის აღმნიშვნელი სახელწოდების სომხურიდან, აგრეთვე სემიტური ენებიდან

შესატანად კარი დახშული იყო, სამაგიეროდ გზა ხსნილი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელებულიყო „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებლი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო“.

კველა-ძიება გრძელდება, ვენახის თავდაპირველი სამშობლოს საკითხი კვლავ მეცნიერთა ცხოველი ინტერესის საგანია. ახალ ფაქტებსაც მოუთმენლად ელის მეცნიერება.

უთუოდ, კულტურის ისტორიის ამ საიდუმლოს საბოლოოდ ფარდას ახდის ის ნივთიერი ნიშნები, რომელსაც არქეოლოგის ბარი მიწის წიაღში წააწყდება.

ამ ოციოდე წლის წინათ შუაგულ კახეთში არქეოლოგებმა გათხრების დროს მოღუნული ბრინჯაოს დანები იპოვნეს. მათ მაინცდამაინც არ გაძნელებიათ პატარა ნამგლისებური იარაღის დანიშნულების გამოცნობა. ამგვარ რკინის დანას უკანასკნელ ხანებამდე ვაზის სასხლავად იყენებდა კახელი მევენახე. ჟანგმოდებულ ბრინჯაოს სასხლავთა ხნოვანება დაახლოებით სამი ათასი წლით განისაზღვრა.

სამი ათასი წელი ის ქრონოლოგიური მიჯნაა, სადამდეც მივყავარათ მევენახეთა თაობების უტყუარ ნაკვალევს. თუმცა ცოტა როდია საგრძნობლად უფრო ძველი განათხარი მონაპოვარი, რომელიც ალბათ ღვინის კულტურას უკავშირდება. მიწის წიაღში აღმოჩენილია მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი, სამნახევარი-ოთხი ათასი წლის წინ საქართველოს მკვიდრთა სუფრას რომ ამშვენებდა. ნუთუ ღვინო არ უგემია ამ მოხდენილ დოქებსა და ხელადებს, ჯამებსა და ფიალებს? თრიალეთის ყორღანულმა სამარხმა იმავე ხანების ვერცხლისა და ოქროს ორი ულამაზესი თასი შემოგვინახა. საფიქრებელია, რომ ვერცხლის თასზე გამოსახულია ღვინის კულტთან დაკავშირებული რიტუალური სცენა: ნიღბოსან მამაკაცებს საკარცხულზე მჯდომი ღვინის ღვთაებების სადიდებლად აღუმართავთ მაღალი კათხები.

უეჭველია, მომავალი გათხრები საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობის უფრო შორეულ კვალსაც გამოავლენს. სადღეისოდ კი ჩვენთვის ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულია ის უძველესი ხანა, რომელიც მთელი ხმით აამეტყველა განათხარმა ნაშთებმა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ხანაში მევენახეობა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც მეურნეობის დაწინაურებული რგოლია. მრავალ ადგილას თვით ყურძნის წიპწებია ნაპოვნი. უძველესი მათგანი დაახლოებით სამი ათასი წლისაა. უფლისციხის სანახების მკვიდრს სამსხვერპლოზე პატარა დოქით ფშატის კურკებთან ერთად ყურძნის ხუნწკალიც მიუტანია. თუმცა ოცდაათ საუკუნეს იმდენად უცვლია წიპწისათვის თავდაპირველი სახე, რომ გაურკვეველია, კულტურული ყურძნისაა თუ მისი ველური წინაპრისა. ხუთი-ექვსი საუკუნით უფრო ახალგაზრდა წიპწები შემოგვინახა კახეთისა და აფხაზეთის მიწა-წყალმა: ამჯერად ეჭვს არ იწვევს, რომ წიპწები კულტურული ჯიშის ნაშთებია. კახეთში მოპოვებულ წიპწებში ყურძნის ორი სხვადასხვა ჯიში გამოირჩევა, აფხაზეთში ნაპოვნი ყურძნის წიპწები კი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ყურძნის სახეობას — კაჭიჭს ემსგავსება.

არქეოლოგის ბარმა ვენახის უმთავრესი იარაღიც — სასხლავიც — მრავალგან აღმოაჩინა. დროთა განმვლობაში სასხლავს არსებითი ცვლილება განუცდია: თუ პირველ ხანებში მევენახე ბრინჯაოს დანას ხმარობდა, მოგვიანებით მას უკვე რკინის სავაზე აუღია ხელში.

კლდეში ნაკვეთი საწნახლებია მიკვლეული უფლისციხეში. აქ ანტიკური ხანის „შიდაქალაქის“ გათხრების დროს არქეოლოგთა ყურადღება მიიქცია კლდეში გამოკვეთილმა რამდენიმე ვეებერთელა აუზმა. თითოეული მათგანი ვიწრო ღარით იქვე საგრძნობლად უფრო პატარა აუზს უკავშირდება. დიდი აუზი ყურძნის საწნახელია, მცირე კი — „სატკბილე“ — გამოწურული წვენის, ტკბილის დასალექი. საწნახლებს ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებს მიაკუთვნებენ. ეს მონაპოვარი არქეოლოგებს იმდროინდელი უფლისციხის სანახებში თვალუწვდენელი ზვრების არსებობას აფიქრებინებს.

სუფრის ჭურჭელი ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მონაპოვარში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ ხანიდან თიხის წვრილი ჭურჭლის გარდა მოზრდილმა ქვევრებმაც მოაღწია. როგორც სხვა უძველესი ქვეყნის მაგალითიდან ვიცით, ქვევრში ღვინის გარდა მრცვლეულს ან ზეთს ინახავენ. უცილობელი დანიშნულება მხოლოდ ერთი ქვევრისა, რომელიც იმერეთის ტერიტორიაზე (ვანში) იპოვეს (ძვ. წ. III ს.) მის ფსკერზე დარჩენილ ნალექში დიდი რაოდენობით ღვინის მჟავა აღმოჩნდა: ქვევრში ოდესღაც ღვინო მდგარა, სასმელი დროთა განმავლობაში დამშრალა და ჭურჭლის ფსკერზე დალექილა.

ამ ხანის კიდევ ერთი განათხარი საგანი დაგვრჩა მოსახსენებელი. ეს არის სამარხში ჩატანებული ბრინჯაოს ქამარი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნით თარიღდება. ქამარზე სმის სცენაა გამოსახული. ორი მამაკაცი ერთმანეთს სასმისებს უჭახუნებს.

ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე უძველესი წერილობითი ცნობები, რომლებიც ძველი ბერძნული მწერლობის ძეგლებმა შემოგვინახა. ეს ცნობები ეხმაურება და თავისებურად ხორცს ასხამს არქეოლოგიის მონაცემებს.

ტრადიციული შეხედულების თანახმად, უკვე ჰომეროსის „ოდისეაში“, სამი ათასი წლის წინანდელ პოემაში, იხსენიება ღვინოები. პოემის ერთ-ერთი „ქება“ კუნძულ აიაზე ოდისევსის სტუმრობის ამბავს მოგვითხრობს. ოდისევსმა მთელი წელი დაჰყო გრძნეულ კირკეს კუნძულზე. თორმეტი თვის მანძილზე ყოველდღიურად საუკეთესო ხორცითა და „საამო სასმელით“ უმასპინძლდებოდა კირკე ოდისევსსა და მის თანამგზავრებს. ვერცლის თასებით „ლალისფერ ცქრიალა ღვინოს“ შეექცეოდნენ ბერძნები კირკეს სასახლეში. თვით ჰომეროსი გვამცნობს ოდისევსის პირმშვენიერი მასპინძლის ვინაობას: ჯადოქალი დაა მრისხანე აიეტისა. აიეტი კი ბერძნულ მწერლობაში მრავალგზის მოხსენიებული კოლხთა მეფე ანუ წინამძღოლია. მკვლევარებს კოლხი ასულის სამკვიდრებელი კოლხეთშივე ეგულებათ. ისიც საგულისხმოა, რომ კირკეს კუნძულის სახელწოდება იმეორებს კოლხეთის უძველეს ბერძნულ სახელწოდებას — აიას.

ანტიკური ხანის კოლხეთის მიწა-წყალზე მივყავართ აგრეთვე აპოლონიოს როდოსელის მითოლოგიურ პოემას „არგონავტიკას“ (ძვ. წ. III ს.), რომელიც კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცების უძველეს ბერძნულ მითს ემყარება. პოემაში აღწერილია კოლხთა მეფის აიეტის ზღაპრული სასახლე ქალაქ აიაში (დღევანდელ ქუთაისში). აქ საწმისის მაძიებელმა არგონავტებმა იხილეს მრავალი საოცრება და მათ შორის ვაზის ტალავერი, რომლის ქვეშ ღვინის „დაუშრეტელი შადრევანი მოჩუხჩუხებდა“. პოემაში კონკრეტული სინამდვილე ზღაპრულ-ფანტასტიკური საბურველით წარმოგვიდგება: აიეტის სასახლის აღნიშნული საკვირველება კოლხეთში ღვინის სიუხვის თავისებური ანარეკლია.

საგულისხმო ცნობას გვაწვდის მოსინიკების ღვინის შესახებ ქსენოფონტის სახელგანთქმული ისტორიული თხზულება „ანაბაზისი“. ქსენოფონტი თვით წინამძღოლობდა ბერძნეთა ლაშქარს, რომელმაც დაახლოებით ოცდახუთი საუკუნის წინ სამხრეთ-ქართველური ტომის — მოსინიკების მიწა-წყალზე გაიარა. ჭანების უშუალო წინაპართა სოფლებში ბერძენ მეომრებს სხვა პროდუქტებთან ერთად დიდძალი რაოდენობით ღვინოც დახვდათ. ქსენოფონტის სიტყვით, ბერძნეთ ის „უწყლოდ ძელგი და მწკლატე ეჩვენათ, წყლით განზავებული კი — სურნელოვანი და სამო“. ეს თითქოსდა უცნაური შეფასება მოსინიკების ღვინისა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ძველ საბერძნეთში წყალნარევი ღვინის სმა ჰქონდათ წესად.

მეთვრამეტე საუკუნის ქართული მწიგნობრობის ბრწყინვალე ძეგლში, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის, საქართველოს გეოგრაფულ თავისებურებებთან ერთად მის მკვიდრთა ცხოვრების სხვადასხვა საგულისხმო მხარეებიც აისახა. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მევენახეობა-მეღვინეობაზე.

„სამეფო საქართველოსა“ არს ნაყოფიერებითა და ჰავით შემკული“. აქ ხარობს „ყოველნი თესლმარცვალნი“, „მტილოვანნი“, „ხილნი მრავალნი“. მეტადრე ყურძენი „ნაყოფიერებს“. „ვენახოვანი“, „ვენახ-ხილიანი“ მითითებულია, ჩვეულებრივ, თხზულებაში ამა თუ იმ მხარის, ხეობის, ადგილის დახასიათების დროს.

თუმცა ამ მთიან ქვეყანაში ვაზის გავრცელების ფარგლები ბუნებრივად განსაზღვრულია. ვახუშტისათვის მთისა და ბარის განმასხვავებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სწორედ ვაზის გავრცელებაა: ქვეყნის ის ნაწილი, სადაც ვენახს აშენებენ — ბარია, ხოლო იქ, სადაც ვაზი ვერ ხარობს — მთა. თუმცა უვენახო მთისათვის სულ უცხო არ არის მეღვინეობა. თრიალეთში, სადაც „ვენახი, ხილი და მტილოვანნი არარაი არს ... ტკბილს მოიტანენ ბარიდან, ჩაასხამენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“. ასევე მთიულეთში: ბარიდან მოტანილ ტკბილს „შთაასხამენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“.

ვახუშტის აღუნიშნავი არ რჩება დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება: „ვენახი დაბლარი“ დ „ვენახი მაღლარი, ანუ ბაბილო“. ვახუშტი ნაწილობრივ მათი გავრცელების ფარგლებსაც გვაუწყებს. თუ გურიასა და სამეგრელოში მხოლოდ „ხეთა ზედა ასული“ ვაზია „მრავლად“, იმერეთში ბაბილოს გვერდით ხშირია აგრეთვე „ვენახნი დბლარნი“.

ქვეყნის ცალკეულ მხარეთა თავისებურებების აღნიშვნის დროს ვახუშტის არც ადგილობრივი ღვინოების დახასიათება ავიწყდება. წიგნში ზოგჯერ მეღვინეობით განთქმული პუნქტებიც არის მითითებული.

კახეთის ღვინო, ვახუშტის დახასიათებით, არის „კეთილი და კარგი“. კონდოლის ღვინო — „წარჩინებული“, ახმეტისა და მანავის — „კეთილი“.

ქართლში ღვინო „თხელია და მომჟაო“, თუმცა „სასმელად საამო“, „მშვენი“. ზოგან აქაც იცის „კეთილი“ ღვინო, ხოლო ატენის ღვინო „უმეტესია ყოველთა საქართველოს ღვინოთა“.

იმერეთში იცის „კეთილი“, ზოგან „მსუბუქი, მხე-გემოიანი“, ზოგან კი „თხელი“ ღვინო.

გურიის ღვინო არს „კეთილი, მსუბუქი, და სემრგო, გემოიან-სუნიანი“.

სამეგრელოს (ოდიშის) ღვინო — „მსუბუქია და კარგი“. აქ საუკეთესოა ღვინო ზარდაგი: — „ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“.

წიგნის პირველი თავი, სადაც დახასიათებულია „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, მოკლედ სუფრის წესებსაც გვაცნობს. ქართველნი ძველთაგან „ტაბლასა ზედა სჭამენდიან და ნადიმობდიან, სკამთა ზედა სხდიან... სმიდიან ღვინოსა“. იქვე ნათქვამია, „ნადიმობდინენ მეფესა თანა და ურთიერთ თანა, და ამისათვის უწოდნენ მოყვსობა, ნათესაობა... ლხინთ-ლხინობა და ჭირთ-ჭირობა“.

სამეფო ნადიმების გამართვა, როგორც ამავე თავში მოტანილი ცნობები მოწმობს, მეფის კარის მრავალრიცხოვან მოხელეთა ერთ-ერთი უმტავრესი მოვალეობაა. „კარსა ზედა ხელისუფალთა“ შორისა „მეღვინეთუხუცესი“, რომელსაც ექვემდებარებიან „მეწდენი და მესასმისენი მეფისა და ღვინისა მნენი“.

შემთხვევითი არ არის, რომ სულხან საბა ორბელიანის ქართული ენის ლექსიკონში, რომელიც იმავე საუკუნეშია შედგენილი, დიდი ადგილი დაეთმო მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

ქართული ენის ამ უძვირფასეს საუნჯეში შეტანილი სახელები გვაცნობს ათეულობით ყურძნის ჯიშს, ვაზისა და მისი ნაყოფის ანატომიას, ვენახის — „ვაზის ბაღის“ — სახეებს, ვაზის საყრდენებს.

„სიტყვის კონაში“ მითითებულია მოკლედ, მაგრამ ზუსტად განმარტებულია ვენახის სამუშაოები, მევენახის ხელსაწყო-იარაღი.

აქვეა წარმოდგენილი მარნისა და ჭურისთავის ინვენტარი: ყურძნის დასაწური, ღვინის დასადუღებელი, გადასაღები, ასაწყავი, შორს მანძილზე გადასატანი ჭურჭელ-ხელსაწყო...

ლექსიკონი გვაცნობს სხვადასხვა სახის ღვინოებს, ღვინის დაავადებებს, ტკბილის პროდუქტებს.....

ათეულობით სპილენძის, თიხის, ხის, ძვირფასი ლითონის საღვინე სასმისს ჩამოთვლის „სიტყვის კონა“.

ლექსიკონში არაერთი მწიგნობრული სიტყვაა შესული, უმთავრესად კი მასში ცოცხალი სამეტყველო ენა აისახა, და ეს ენა, როგორც ლექსიკონის გაცნობა გარწმუნებს, მევენახე კაცის ენაცაა.

XV საუკუნის შუა ხანებში ვენეციელმა დიპლომატმა ბარბარომ შავიზღვისპირეთი შემოიარა. ამ მოგზაურობის დროს ის დასავლეთ საქართველოსაც ეწვია და თავის დღიურში აქაურ შთაბეჭდილებებსაც დაუთმო ადგილი.

„ეს ქვეყანა, — იუწყება ბარბარო, — მშვენიერია და ნაყოფიერი. ბლომად მოდის პური, ღვინო- და სხვადასხვა ნაყოფი. ვაზი უმეტესად ხეებზეა აშვებული...“ ქართველების გარეგნობით აღფრთოვანებული მოგზაური მათი სტუმრთმოყვარეობითაც მოიხიბლა. ბარბარო მოკლედ აღგვიწერს ნადიმს, რომელიც ერთ-ერთ დიდებულს მისთვის გაუმართავს. სადილზე შეექცეოდნენ ღომსა და ტახის მწვადს: „გარეული ღორის ხორცი შამფურზე ისე ცვრიანად იყო შემწვარი, რომ როცა სჭრიდნენ, სულ სისხლი სდიოდა“, სუფრას სასმელი არ აკლდა: „ღვინო უხვად იყო და განუწყვეტლივ გვაწვდიდნენ მერიქიფენი“.

ოცდაათიოდე წლის შემდეგ ირანს მიმავალ ვენეციის ელჩს ამბროზიო კონტარინის საქართველოზე მოუხდა გავლა. როგორც კონტარინის დღიური მოწმობს, მასაც გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს ქართველებმა. რამდენჯერმე ნადიმზეც მიუწვევიათ. ქუთაისში ყოფნისას კონტარინი თვით მეფე ბაგრატმა მიიწვია სადილად. მოგზაური საჭმელებიდან ასახელებს ქათმის ხორცსა და ცვრიან („ცუდად შემწვარ“) მწვადს. სუფრაზე განსაკუთრებით უხვადაა სასმელები. „ქართველებში, — შენიშნავს უცხოელი, — ღვინის სიუხვე საუკეთესო მასპინძლობად მიაჩნიათ“.

მეჩვიდმეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოს რომის პაპის მიერ წარგზავნილი კათოლიკე მისიონერები ესტუმრნენ. ქრისტეფორე კასტელიმ და არქანჯელო ლამბერტიმ ოცი წელი დაჰყვეს ლიხთიმერეთში. სამისიონერო მოღვაწეობა უცხო ქვეყნის შესწავლასაც ავალებდა ბერებს და მათაც დრო უქმად არ დაუკარგავთ: კასტელიმ, რომელიც რიგიანი მხატვარიც იყო, მრავალრიცხოვანი ჩანახატები, ხოლო ლმბერტიმ, ვრცელი თხზულება — „სამეგრელოს აღწერა“ დაგვიტოვა. რაღას არ ვხედავთ კასტელის ალბომში. მხატვრის კალამს აღუბეჭდავს დასავლეთ საქართველოს ქალაქები და სოფლები, ციხეები და ტაძრები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მეფედიდებულთა პორტრეტები, აქვეა სხვადასხვა გართობა სანახაობანი; სამეურნეო ცხოვრების დამახასიათებელი სურათები: ხვნა-თესვა, მოსავლის აღება, რთველი და ყურძნის წურვა. ეს უკანასკნელი კასტელის ქუთაისის მახლობლად ჩაუხატავს. ისლით გადახურული ფარღალალა მარნის ქვეშ მოჩანს ვეება საწნახელი, შიგ ორი მწურავი ჩამდგარა. მაღალ საწნახელს კიბე აქვს მიდგმული. გოდორწამოკიდებული მამაკაცები კიბეზე ადიან და ისე ცლიან საწნახელში ყურძენს. ალბომში ხშირად გვხვდება ნადიმობის, „დროსტარების“ სურათები, ერთ-ერთი მათგანის სახელწოდებაა — „ღვინის ზეიმი აღმოსავლეთში“. სურათზე წარწერილია აგრეთვე მონადიმეთა სიმღერის სიტყვები: „ვსვათ და ვჭამოთ, საიქიოს, ვინ იცის რა გველის“. „აღმოსავლელთა“ შორის, ერთ-ერთი წარწერის თანახმად მამაკაცი ყველა მსმელია. ბევრის დალევა დიდ ვაჟკაცობად მიაჩნიათ. ამის შემდეგ არც ენა ერევათ,

არც გონებას ჰკარგავენ და არც ფეხი ეშლებათ“. ერთ-ერთ ნახატს იმერეთის მეფის — ალექსანდრე მესამის „მეფური ნადიმი“ აღუბეჭდავს. წარწერა იუწყება: „ზოგჯერ მეფე თავისი ხელით პირთან მომიტანდა ჭიქაში ჩატოვებულ ღვინოს, რაც აქ ერთობ დიდი პატივისცემად ითვლება“. სურათზე მონადიმეთა შორის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებსაც ვხედავთ. გრძნობას აყოლილი მამაკაცები ქალების წინაშე მუხლმოდრეკილნი შეექცევიან სასმელს და ზოგჯერ ჭიქის ნაცვლად მათი ფეხსაცმელით სვამენ ღვინოს...“ თვით ქალები, მხატვრის სიტყვით, „სმაში ძალზე თავშეკავებულნი არიან. მრავალ ლხინს დავსწრებივარ და არასოდეს მინახავს მსმელი ქალი...“

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერის“ დასაწყისშივე გვაუწყებს: „კოლხიდა მდიდარია ღვინით“. ამ წიგნში რომელიც მეგრელთა მთელ ცხოვრებას გადაგვიშლის, შემდეგაც არაერთხელ მოიხსენიება ღვინო. თხზულების ერთი თავი ოდიშის მკვიდრთა „ჭამა-სმისა და წვეულების“ წესებს გვაცნობს. მეგრული სუფრის სხვადასხვა ტრადიციებთან ერთად „სმის“ ჩვეულებებიც დაწვრილებით არის აღწერილია „მეგრელებს სადღეგრძელოების სმაც აქვს ჩვეულებად, — ვკითხულობთ წიგნში, — მაგრამ მათი სადღეგრძელოები ჩვენსას არა ჰგავს. ვისაც უნდა სხვას დაულიოს სადღეგრძელო, ასე უნდა მოიქცეს: მერიქიფე რომ მიართმევს თასით ღვინოს, სადღეგრძელოს მსმელი უბრძანებს მერიქიფეს, ეგ თასი ამა და ამ მიართვიო. ეს კაცი გამოართმევს მერიქიფეს თასს, ჯერ თავს მდაბლად დაუკრავს იმას, ვინც სადღეგრძელებლად მოდის, თასს ოდნავ მიაკარებს ტუჩს და ცოტას მოსვამს. მერე ხელით მოსწმენდს თასს იმ ადგილს, სადაც პირი მიაკარა, მეორედ დაუკრავს თავს და დაუბრუნებს თასს. სადღეგრძელოს მსმელი რომ მიიღებს ამ თასს, მთლად გამოსცლის და იმავე წესით გადასცემს იმას, ვისი სადღეგრძელოც დალია და ამით მოიხდის თავის მოვალეობას“. მხოლოდ ამგვარი სადღეგრძელოების შესმით არ ამოიწურება მეგრული ნადიმი. „ნადიმის დასაწყისიდან კარგა ხნის შემდეგ სმაში თავისებური შეჯიბრი იმართება. მასპინძელი ამოირჩევს რამდენიმე მსმელს, რომელთაც მის წინაშე უნდა სვან ღვინო. ერთად დგება ექვს-ექვსი ან რვა-რვა მსმელი. მათი რიცხვი დამოკიდებულია სტუმართა ოდენობაზე. თუ პირველი წყება მსმელებისა იქნება რვა, ამ რვას უნდა ჰყავდეს თავისი რვა მოპირდაპირედ. მეორე წყება რვას — კიდევ მესამე რვა და ასე შემდეგ, ვიდრე არ შესრულდება დანიშნული რიცხვი“.

„მასპინძლის წინ გაშლილ სუფრაზე, — განაგრძობს ლამბერტი, — მერიქიფე აწყობს შვიდ თუ რვა ვერცლის თასს, თავში სულ პატარას, მერე უფრო მოზრდილს და ბოლოში სულ დიდს“.

„მერიქიფე პირველ წყებას გაუვსებს თასებს და მიართმევს ჯერ პატარას და მერე უფრო და უფრო მოზრდილს. რამდენიმე მომღერალი იწყებს „შეწყობილ სიმღერას“. ამ სიმღერის დროს მსმელები ცლიან თასებს და მერიქიფე ისევ უვსებს. სმას რომ დაამთავრებენ, თასებს დადგამენ და თითოეული მათგანი იპოვნის თავის მოპირდაპირეს, რომელიც მის ადგილას უნდა დადგეს და დალიოს. ერთმანეთს მუხლმოდრეკილი მიესალმებიან და სიყვარულით ეამბორებიან. ამის შემდეგ პირველი წყება დასხდება და მათი მოადგილეები დაიწყებენ სმას. ესენი შემდეგ ამავე წესით გამოიწვევენ სასმელად მესამე წყებას. მესამენი — მეოთხეს და ასე ბოლომდე, ვიდრე ყველა შერჩეული მსმელი არ შეასრულებს თავის მოვალეობას. ამის შემდეგ ხელახლა დაიწყებს სმას პირველი წყება და მას იმავე წესით მიჰყვება სხვები. ასე მოხდება სამჯერ ან ხუთჯერ იმისდა მიხედვით, თუ რამდენი სტუმარია და რამდენად დიდებულია წვეულება“.

მეგრული წვეულება დროსტარებასთან ერთად სმაში თავისებური შეჯიბრია. „ვინც ყველას დალევს, ისე, რომ გონება არ დაჰკარგოს, ის ღირსეულ კაცად მიაჩნიათ“.

ლამბერტი აქვე მოგვითხრობს განთქმული მსმელის შესახებ, რომელსაც ამ მხრივ მისი სამშობლოს გარეთაც უსახელებია თავი. „ჩემს დროს იქ იყო ერთი დიდებული, რომელიც ისე გამოჩენილი იყო სმაში, რომ მისი სახელი მთელ ირანში გავრცელდა. მისი ქება თვით ირანის სახელმწიფოს, შაჰსეფის ყურამდეც მივიდა. ხელმწიფემ ასეთი გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ გამომიგზავნოო. დადიანმა დაუყოვნებლივ გაატანა იგი შაჰის ახალგაზრდა საცოლეს, რომელიც ირანში მიემგზავრებოდა. ირანში რომ ჩავიდნენ, შაჰმა ერთიორად გაიხარა, რადგან ჩამოუვიდა ახალგაზრდა ცოლი და შესანიშნავი მსმელიც. ქორწილის გამო მრავალი წვეულება გაიმართა, სადაც მუდამ პატიჟებდნენ შედან ჭილაძეს. ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. მან იქაც ისახელა თავი და ყველას სჯობნიდა სმაში. ამის გამო მუდამ ჯილდოებს იღებდა: ხან ოქროთი გაწყობილ უნაგირს, ხან ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკულ თოფს და ხან სხვა საჩუქარს. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით შაჰმა მოინდომა მასთან შებმა და იქამდე სვა, ვიდრე არ დასნეულდა და სული არ განუტევა. ჭილაძე კი, — დასძენს ლამბერტი, — საჩუქრებით გამდიდრებული სამშობლოში დაბრუნდა“.

მეჩვიდმეტე საუკუნეში კიდევ ერთმა უცხოელმა ინახულა საქართველო და ევროპაში გაიტანა მეღვინეობის გასაოცარი ქვეყნის ამბავი. 1672 წელს ირანისაკენ მიმავალმა ფრანგმა ვაჭარმა და იუველირმა შარდენმა საქართველოშიც გაიარა. ექვსი თვის მანძილზე ის საქართველოს მხარეებს გაეცნო და აქაური ღვინოებიც იგემა. შარდენმა, რომელსაც სხვა ქვეყნებიც ჰქონდა მოვლილი, ქართული ღვინო საუკეთესოდ აღიარა. „დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ არსად არ მოიპოვება

იმისთანა ქვეყანა, სადაც ამდენსა და ასეთ შესანიშნავ ღვინოს სვამდნენ“, წერდა თავის მემუარებში შარდენი საქართველოზე. აქვე მის მიერ აღწერილი ქორწილი იმაშიც დაარწმუნებს მკითხველს, თუ რა დიდებული ნადიმობა იცოდნენ საქართველოში.

ვახტანგ მეფემ ფრანგი ვაჭარი თბილისში ჩამოსვლისთანავე მიიპატიჟა სადილად თავის სახლში, მტკვარს რომ გადაჰყურებდა. ერთი კვირის შემდეგ მეფემ უცხოელი ძმისწულის ქორწილშიც მიიწვია. სასახლის ტერასაზე სეფა იყო გამართული. მრავლის მნახველი ვაჭარი გააოცა მდიდრულად მორთულმა სეფამ. მის ჭერს ოქრო ვერცლით ნაკერი ფარჩა, ხავერდი და ჭრელი ტილო ამკობდა, ხოლო იატაკზე მშვენიერი ხალიჩები დაეფინათ. სეფა განათებული იყო ორმოცი ოქროსა და ვერცხლის დიდი მაშხალით.

დაიწყო საჭმელის მორთმევა. სამნაირ პურს ვერცლის ლანგრებით მოჰყვა ხორცი. შემდეგ ერთმანეთის მოყოლებით შემოაქვთ სამი თავი საჭმელი: „ყველა ჯურის ფლავი, ბრინჯი, ხორცთან ერთად მოხარშული; კუპატები, ყაურმა, მშვენიერი მომჟაოდ მოხრაკული ხორცი..... მესამე თავი შემწვარია“.

იუველირის დაკვირვებულ თვალს სუფრაზე არც სასმისთა სიმრავლე დარჩა შეუმჩნეველი. აქ იყო ასოცამდე — ვერცხლის, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სასმისები: ბადიები, თასები, ყანწები, კულები აზარფეშები.

სმა თანდათან გაძლიერდა. „ჯერ ყველანი ცოტას სვამდნენ, მხოლოდ მესამე თავი საჭმელი რომ შემოვიდა, მაშინ შეხურდნენ და საკვირვლად დაიწყეს სმა“. ჩამოურიგეს მეფესთან ახლოს მსხდომ რვა მამაკაცს, ოთხს მარჯვნივ და ოთხს მარცხნივ ღვინით სავსე ერთნაირი თასი. რვანივე ფეხზე წამოდგნენ, „მემარჯვენეებმა“ ერთად დალიეს და გადასძახეს „ალავერდი“ „მემარცხენეებს“. მემარცხენეებმა უპასუხეს „იახშლიო“ თურქულად — „კარგად იყავი“) და დაცალეს თასები. შემდეგ ყველანი ისევ დასხდნენ. იმავე თასებით ღვინო მიართვეს მათ შემდგომ მსხდომთ და ასე ჩაჰყვნენ ბოლომდე. ახალი სადღეგრძელო უფრო დიდი თასებით შეისვა. ჩვეულება მოითხოვს, უფროსების სადღეგრძელო დაილიოს ბოლოს და უფრო მოზრდილი თასებით. „ამგვარად სვეს ჩემ იქ ყოფნის დროს, — განაგრძობს შარდენი, — და როგორც გავიგე, გათენებამდე ვსვით ასე“.

შარდენს ქართლის მეფესთან პირველი წვეულების დროსაც თვალში ეცა სუფრაზე მონადიმეთა „წესიერება და დიდი თავდაჭერა“, ამ მხრივ საქორწილო ზეიმმაც მოხიბლა უცხოელი — „სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ყველა ის ასორმოცდაათი კაცი, რომელიც სეფაში იყო“, — წერდა შარდენი.

თბილისში ყოფნის დროს შარდენს ყურადღებას არ აკლებდა მეფე. რამდენჯერმე მან მოსაკითხიც გაუგზავნა უცხოელ სტუმარს. საჭმელთან ერთად მეფის მარნიდან ღვინოსაც ღებულობდა დროდადრო შარდენი.

„იმ ღვინოზე უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია“, — ირწმუნება მოგზაური.

შარდენის მემუარების თანახმად, ღვინო საქართველოს დედაქალაქში გაცხოველებული ვაჭრობის საგანია. მოგზაურს ქართული ღვინის ექსპორტის შესახებ საყურადღებო ცნობასაც უნდა ვუმადლოდეთ. ამ ცნობის თანახმად, მის დროს თბილისიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ღვინო სომხეთში, მიდიასა და სპარსეთში.

ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავს: „თუ ასეთი ვითარება ყოფილა შაჰ-აბაზისაგან განადგურებულსა და გაღატაკებულ საქართველოში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენი მნიშვნელობა ექნებოდა ღვინის ექსპორტს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმ დროს, როდესაც იგი პოლიტიკურადაც ძლიერი იყო და კულტურულადაც“.

მომდევნო საუკუნეებშიც არაერთი სტუმარი ეწვია ვაზისა და ღვინის კლასიკურ ქვეყანას. საქართველოს ბუნების სილამაზით, ისტორიული ძეგლების სიდიადით, ქართველების გარეგნობითა და სტუმართმოყვარეობით მოხიბლული უცხოელები ქებას არ აკლდებდნენ აქაურ ღვინოებსაც. კახურმა ღვინომ აღტაცებაში მოიყვანა ალექსანდრე პუშკინი. პოეტმა „მშვენიერი კახური“ მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებულ ფრანგულ (ბურგუნდიულ) ღვინოებს დაუყენა გვერდით. კახურ ღვინოს ქებით იხსენიებს გრიბოედოვიც.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძეს დიახაც ჰქონდა შესაძლებლობა, კარგად გასცნობოდა წინანდლის ღვინოებს. ფრანგი სწავლული დიუბუა დე მონპერე, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველო შემოიარა, აქაური ღვინოებითაც მოიხიბლა: „აქ ისევე მშვენიერია ღვინო, როგორც ჰომეროსის დროს“, — ვკითხულობთ მის „მოგზაურობაში“. ქართული ღვინის მოტრფიალეთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ გამოჩენილი მწერალი ალექსანდრე დიუმაც. „სამი მუშკეტერის“ ავტორს საქართველოში ყოფნის დროს არა ერთხელ უგემნია „საუცხოო კახური“, იმერეთისა და გურიის ღვინოები. დიუმას საამაყო დარჩა, რომ თბილისში მის პატივსაცემად გამართულ ერთ წვეულებაზე ღვინის სმაში მასპინძელს აჯობა.

მათ, ვისაც წლობით მოუხდა საქართველოში ცხოვრება, შეუმჩნეველი არ დარჩათ, რომ ღვინის ამ კლასიკურ ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და მიუტევებელ ცოდვად ლოთობა ითვლებოდა.

კავკასიის მეღვინეობისადმი მიძღვნილ მიმოხილვაში, რომელიც გასული საუკუნის მიწურულს გამოქვეყნდა, რუსი ავტორი საქართველოს შესახებ, სხვათა შორის, წერდა: „აქ სვამენ ზამთარ-ზაფხულ, სვამენ ყველგან და ყოველთვის, მაგრამ არავინ თვრება და ერთხელ დამთვრალი უკვე ლოთად ითვლება. სმას აქ არ ძრახავენ, თქვენ მოგმართავენ: — „დალიე“, და თქვენც სვით, თუ შეგიძლიათ, სვით ბევრი და მაშინ თქვენსას გაიკვირვებენ, მაგრამ ვაი, თუ დაკარგეთ გრძნობა, უზომოდ მსმელს შერჩება წაუხოცელი დაღი ლოთისა. ერთი სიტყვით, — განაგრძობს წიგნის ავტორი, — აქ ბევრს სვამენ, იმდენს, რამდენსაც არ სვამენ და არც შეუძლიათ დალიონ არც ფრანგებს, არც ესპანელთ, არც იტალიელთ, არც ბერძნებს და მიუხედავად ამისა, არ ყოფილა შემთხვევა ლოთობის გაჩენისა...“

ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა თავის გეოგრაფიულ თხზულებაში დაახლოებით შემოხაზა საქართველოში მევენახეობის გავრცელების ფარგლები. მან გამოჰყო „ვენახ-ხილიანი“ ზოლი და ის უვენახო მთას დაუპირისპირა. დღეისათვის მოპოვებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ვაზის გავრცელების შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

ვენახის სამკვიდრებელი თითქმის ზღვის დონიდან იწყება. კოლხეთის დაბლობზე, გურია-სამეგრელოს ზღვისპირა სოფლებში ციტრუსების ბაღებთან ერთად აქა-იქ პატარა ვენახებსაც ვხვდებით. შავი ზღვის სიახლოვით გამოწვეული ჰავის მოჭარბებული ტენიანობა მეტ გასაქანს არ აძლევს ვაზს — მზის შვილს.

რაც უფრო ვშორდებით ზღვას და მაღლა მივდივართ, მით უფრო მატულობს ვენახი. სამოცდაათი მეტრის სიმაღლიდან გურია-სამეგრელოში უკვე მხრებს შლის ვაზი. ვენახი ხშირია ლიხთიმერეთის ზეგნებზე, უფრო მეტად კი მთის კალთებსა და სერებზეა მოძალებული.

მევენახეობის გავრცელების ანალოგიური სურათი იშლება აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლ-კახეთის ვაკე-ველზე ვაზი ნაკლებადაა. ვენახები უმთავრესად მთის კალთებზე გადაჭიმულა. აქაური ღვინოებიც განსაკუთრებული ღირსებით გამოირჩევა. კახეთი — მეღვინეობის კლასიკური მხარე — ცივგომბორის კალთებზე შეფენილ ვენახებს უნდა უმადლოდეს თავის საუკეთესო ღვინოებს.

საქართველოში მევენახეობის ეს ინსტენსიური ზოლი ზღვის დონიდან დაახლოებით ათასი მეტრის სიმაღლემდე აღწევს. შემდეგ კი მკაცრ ჰავას თავისი გააქვს. თანდათან მცირდება ვენახი. აქ მხოლოდ საადრევო ყურძნის ჯიშები გვხვდება, რომლებიც შემოდგომამდე ასწრებენ დამწიფებას. ორასი მეტრით მაღლა კი ვაზი სრულიად ქრება, იწყება „უვენახო მთა“.

საგულისხმოა, რომ თუმცა მთამ ვაზის გავრცელებას ასეთი მკაცრი საზღვარი დაუდო, ზოგან მთიელები მაინც არ დარჩენილან უვენახოდ. ზემო რაჭის უვენახო სოფლების მკვიდრთ გაუშენებიათ ვენახ-მამული. რაჭველ მთიელთ მეზობელ იმერეთის სოფლებშიც აქვთ ვენახი. ყურძენს იქვე, ვენახში წურავენ, ხოლო ტკბილი სოფელში მიაქვთ და იქ მარნებში აყენებენ ღვინოს.

უვენახო მთაში ღვინის დაყენების ეს თავისებური ტრადიცია ძველად სხვა მხარეებშიც ყოფილა დამკვიდრებული. ვახუშტის გეოგრაფიული თხზულების მიხედვით, „ღვინოს ამგვარადვე აყენებდნენ მთიულეთში, კოჯორსა და თრიალეთში: „ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“.

ვენახებში ჩაფლულა ქართლ-კახეთის სოფლები. ყოველ სახლს პატარა ვენახი ეკვრის. ეს კარის მამული ანუ შინა-ვენახია. რა მარჯვე მოსავლელ-საპატრონოა კარის მამული! მისი მოვლა-დახელვაც ძალზე მოსახერხებელია, დაკრეფაცა და ყურძნის დაბინავებაც. აქ ქოხსაც არ უნდა გამართვა სიცხესა თუ ავდარში თავშესაფრად. თუმცა ნაკლიც აქვს კარზე გაშენებულ ვენახს: ყურძენს შინაური ფრინველი ეტანება:

კარგი ხარ, კარის მამულო,
რომ არა გჭამდეს ქათამი...

მხოლოდ კარზე გაშენებული პატარა ვენახის იმედად როდია ამ მხარის მკვიდრი. სოფლის ბოლოზე, ხშირად მისგან ათეული კილომეტრის დაშორებით დიდ ვენახებს მიადგებით. სწორედ ეს მამულებია ქართლ-კახეთის ქვევრ-მარნის ბარაქის მთავარი წყარო. ღვინოც სანაქებო იცის ამ ადგილებმა — „წარაფებმა“ თუ „ახოებმა“, „ქინძმარაულმა“ თუ „გრძელმა მინდორმა“.

თვალუწვდენელი საკოლმურნეო ზვრები, ჩვეულებრივ, შემოუღობავია, კერძო ვენახებს კი ხშირად ღობე იცავს საქონლისა თუ სხვა დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან. რანაირ ღობეს არა ნახავთ აქ: ფიჩხისა თუ წნელის, ლატნისა თუ მარგილის, ძეძვისას თუ ცოცხალს.

„არსად არ არის მინდვრებისა და ბაღების შემოღობვის ხერხები ისე ნაირგვარი, როგორც კახეთში. მე შევნიშნე აქ ყოველნაირი სახის ღობე, მოყოლებული უხეში ლასტიდან, ვიდრე ოსტატურად დაწნულ წნელის ღობემდე: ღობე ლატნისა და ლამფისა, ღობე ცოცხალი თუ ყორის გალავანი. ყველაზე უცნაური იყო ღობე ფესვების, ძირკვებისა და დაბრეცილი ტოტებისაგან, რომლებიც ისე გადახლართულიყო, რომ ქმნიდა განსაცვიფრებელ სახეებს, ერთმანეთში შეზრდილ გველებს და სხვა ურჩხულებს“, — წერდა გასული საუკუნის გერმანელი მეცნიერი, ჰაქსჰაუზენი.

ბოლო დროს მავთულით შემოღობილი ვენახიც მომრავლდა ქართლ-კახეთში.

ლასტის ან ფიცრის კარით შევდივართ ვენახში.

მსხვილ ბოძებზე გაბმული მავთულების გაყოლებით ჩამწკრივებულან.ორი ან სამი წვერი მავთული ბოძებს გარდა შიგადაშიგ სარებსაც ეყრდნობა. ვაზის მწკრივებს, სარებს შორის საკმაო მანძილია ვაზებთან თავისუფლად მისადგომად. მიწის ადვილად გასათოხნ — დასაბარად.

აქა იქ კიდევ შემორჩენილია მამაპაპური ვენახი შვინდის, თხილის, წაბლის ან მუხის ჭიგოსარზე აკრული ვენახებით.

ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაში გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა,
შუაზე გადაგტეხია.

ძველებური ვენახიც, ჩვეულებრივ, მწკრივზეა გაშენებული.

როგორც მოხუცები გვარწმუნებენ, უწინ უწესრიგოდ დარგული, „არეული“ ვენახი სცოდნიათ,

არა მარტო ვაზების ბაღია ვენახი. მამულში ნაირგვარი ხილიც ხარობს. ლეღვის, ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ატმის ხეები უდგათ ვენახის თავსა და ბოლოში. ხეხილი ხშირად ვენახის კიდეებზე, ღობის გადაყოლებითაც ჩამწკრივებულა. მცირეჩრდილიანი, წვრილფოთლებიანი ატმის ხე აქა-იქ ვაზებს შორისაც წამოზრდილა. ვენახის ბარაქას ინახავს ხეხილი. შემოდგომაზე ხილი იჭმევა, ყურძენი კი იზოგება, „კაცი კაცითაო და ვაზი ჩემითაო“, — უთქვამს ატამს.

ვენახში, ჩვეულებრივ, ბოსტნეულიც მოჰყვთ. მამულის თავსა და ბოლოში ხშირად მოჰკრავ თვალს პამიდორსა და კიტრს, ჭარხალსა და კომბოსტოს, საზამთროსა და ნესვს... მათ ზოგჯერ ვაზის მწკრივებს შორისაც უთმობენ ადგილს.

მამულის თავში, ჩვეულებრივ, „მევენახის ქოხია“ გამართული. ის ზოგჯერ უბრალო საჩრდილობელს, ფანჩატურს წარმოადგენს. მიწაში ღრმად ჩასობილ მუხის მაღალ ბოძებზე ხეებია გადებული. ზედ კავებია გაწყობილი და ჩალით, წალმით ან კრამიტით არის გადახურული. გვხვდება უფრო მკვიდრი ქოხიც: წნული კედლებით, მეტი სიმტკიცისათვის ბზენარევი ტალახით შელესილი. ასეთი ქოხი, რომელსაც ლასტის ან ფიცრის კარი აქვს შებმული, ვენახის სხვადასხვა იარაღ-ჭურჭლის შესანახადაც საიმედოა.

ძველად დიდ ვენახში ქვიტკირის მარნებიც ედგათ. დაკრეფილი ყურძენი იწურებოდა. ახლაც ხშირად შეხვდებით ნავენახევში ქვიტკირის მარან-საწნახელის ნაშთებს...

ქართლ-კახეთში მრავალი სოფლის ვენახ-მამულს ჩაუდის სარწყავი რუ. ასეთი ვენახები, ჩვეულებრივ, მთელ სიგრძეზე კვლებით არის დასერილი, მორწყვის დროს ამ კვლებში მიუშვებენ წყალს.

სარწყავ ვენახებში, შესასვლელთან, ხშირად მიწაში საგუბარია გათხრილი. მასში ვენახთან მიყვანილი რუს წყალი იჟურება. აქ დაგროვილი წყალი ვენახის წამლის გასახსნელად, ბოსტნეულის მოსარწყავად, საქონლის „დასამწყურვალებლად“ მოიხმარება, გუბის სიახლოვეს, ქვის ან ბეტონის აუზია აშენებული წამლის დასაყენებლად.

ურწყავ ვენახს ზოგჯერ ძველებური ჭა-ბულაყი ამარაგებს სახარჯო წყლით. ჭა მოხერხებულ ადგილასაა გაჭრილი. მიწის პირთან სიმტკიცისათვის ჭას ირგვლივ ქვა-აგური აქვს შემოწყობილი. ჭის თავზე ჩარხია გამართული, რომელზედაც თოკით კასრია მობმული. მიწის სიღრმიდან სახარჯო წყალი ჩარხის მეშვეობით ამოაქვთ.

ქართლ-კახეთში დიდი ვენახი, არცთუ იშვიათად, ალაგ-ალაგ ბილიკებითაა დასერილი. ისინი ტახტებად, ქუსმებად ყოფენ ვენახებს. ამგვარად ვენახის დაყოფა მის ნაწილ-ნაწილ დამუშავებას და დაკრეფვას აადვილებს.

ხშირად ვენახებს ბილიკი ირგვლივაც შემოუყვება. მათი შემწეობით ერთმანეთს ემიჯნება საერთო ღობით შემოზღუდული ვენახები. ხანდახან ვენახების ნაპირებში ჩაფლულია მოზრდილი ქვები — სამნები. ეს სამიჯნო ქვები, ჩვეულებრივ წყვილ-წყვილია. ზოგჯერ კი მათ შორის მესამე ქვაც, „მოწამეც“ აღმართულა.

აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე უძველესი დროიდან დაბლარმა ვენახმა მოიკიდა ფეხი. აქაურმა მშრალმა, კონტინენტურმა ჰავამ იმთავითვე მევენახეობის ამ უფრო ინტენსიურ კულტურას მისცა გასაქანი.

მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, აღმოსავლეთ საქართველოში არც მაღლარი ვაზი — ბაბილო — იყო სრულიად უცხო. მეცხრე საუკუნის საისტორიო ძეგლის — „ქართლის მოქცევის“ — თანახმად, ქართლის უძველეს სატახტო ქალაქში, მცხეთაში მეფის „სამოთხეს“, ბარს, ნაძვის ხეზე გასული ბაბილო ამშვენებდა. ბაბილოთი დაჩრდილული ადგილები იშვიათი არ იყო ქვემო ქართლის, შავშეთ-კლარჯეთის მონასტერთა მიწა-წყალზე. ზოგი მონასტრის მარანში სხვა ქვევრებს გარდა ჰქონდათ „ბაბილოს ჭურიც“, რომელიც მაღლარი ვაზისაგან დაყენებული ღვინისათვის იყო განკუთვნილი.

შარდენს, მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგ მოგზაურს, კოლხეთის გარდა ქართლშიც უნახავს ხეებზე მაღლარად გაშვებული ვაზი. მეცხრამეტე საუკუნის უცხოელ მოგზაურსაც შეუნიშნავს ქართლ-კახეთში „დიდი რაოდენობით გაშენებული ვენახის“ გარდა „მაღალი ხეების კენწეროებამდე გასული ვაზები, ბუნების საჩუქარი, რომელიც ადამიანისაგან არავითარ მოვლას არ მოითხოვს.“

ქართლ-კახეთში მაღლარ ვაზს რამდენიმე ათეული წლის წინ აქა-იქ კიდევ ნახავდა კაცი. კახეთში მეტადრე ქიზიყში მრავლობდა „შაშობილი“, ანუ „მხევანი“ ვაზი. შემთხვევითი როდია, რომ აქაური ქალების ნაქსოვ-ნახელავს წინდებსა თუ ფარდაგებს, ხშირად „მხევანი“ ვაზის გამოსახულებაც ამკობს.

ახლა კი დასავლეთ საქართველოს ვენახებს ვეწვიოთ.

სად არ ნახავთ ლიხთიმერეთში ვენახს, სოფლად თუ სოფლის გარეთ. აქაური მეურნის სიტყვით:

> სოფლად გარემო ვენახია, ანუ შიგნით ვენახი;
> სოფლის ზემოთ — წვერზე ვენახი, ანუ გორი ვენახი;
> სოფლის ბოლოზე — ძირი ვენახი, ანუ ბოლოვენახი;
> სოფლის გვერდზე — განივენახი;
> ფერდობზე — ფერდი ვენახი; მდინარისპირად — ჭალივენახი, ანუ ვაკევენახია.

აქაური ვენახიც საიმედოდაა შეკრულ-შემოკავებული მესერით, ხიმით, შქერისა თუ კოპიტის, თუთის, აკაციის თუ ტირიფის ხეების ცოცხალი ღობით.

თანამედროვე მავთულიან ვენახს ლიხთიმერეთშიც მოუკიდია ფეხი, მაგრამ არც ტრადიციული მოსარული ვენახია იშვიათი. ძველებური სახნავი ვენახი მწკრივზე, წკიპაზეა დარგული. ადვილად გაივლი წკიპებს შორის: აქ ფართე გასასვლელი, შაკია დატოვებული, სათოხარ წკიპის ვენახში კი „ხარი არ შეიყვანება“. აქა-იქ შემორჩენილია ძველთაძველი „რეული“ ვენახი. აქ ვაზები ხშირადაა დარგული, „სარი სართანაა მისული“. ეს ვენახიც თოხით მუშავდება.

ვენახებში ხშირადაა ხეხილი. ვახუშტი ბაგრატიონიც ხომ მიუთითებს იმერეთის ვენახებთან დაკავშირებით. „ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი...“ „ხურმა, წაბლი და ვაშლ-ატამი ქართლზედ მეტი...“

აქაური ვენახ-მამულის ერთი თავისებურება მოგხვდებათ თვალში: ვაზის მწკრივებს შორის, ჩვეულებრივ, სიმინდი აქოჩრილა. ზოგჯერ ვაზის ძირებში ლობიოც ან ძაძაც თესია.

ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, იმერული ვენახის მახლობლად ვერ ნახავთ სარწყავადგანკუთვნილ რუებს. ამ მხარის ტენიანი ჰავა, ზამთარ-ზაფხულ ნალექების სიუხვე დიახაც უზრუნველყოფს ბაღ-ვენახებს საჭირო წყლით. მხოლოდ ვენახის წამლობა მოითხოვს აქ სახარჯო წყალს. ამიტომაც არის, რომ სახლ-მოშორებით გაშენებულ ვენახს ხშირად იქვე ღელე ჩამოუდის.

მთიან მხარეებში, მეტადრე კი რაჭაში ვენახ-მამულს ციცაბო ფერდობებზედ დაინახავთ. თითქმის დაკიდებულ მთის კალთაზე მიწის დასაკავებლად ვენახებში მთელ სიგრძეზე ქვის ყორეები ამოუშენებიათ. დარყეული მიწა გრძელ-გრძელი მორებით არის გამაგრებული. წვიმებით დახრამულ მამულში კი ხრამის სათავე და კალაპოტი სარებით დამაგრებული წალმის ან ხის ნაკაფის ჯარჯებით ამოუვსიათ.

ზოგან ვენახი „საზღვარებითაა დასარტყლული“. ავდარში მოვარდნილ ნიაღვარს მიწაში ღრმად გაჭრილ კვალში აქვს სადინარი.

დამეწყრილ ადგილებში სწრაფად მზარდი ხეები — ტირიფი, ვერხვი, თხმელა ან ალვის ხე, ხოლო დიდი ხრამების ნაპირებში — თხილის, შვინდის, კვიდიდისა და კვრინჩხის ეკლოვანი ბუჩქნარია დარგული.

ხშირად ვენახი ტყეს ემეხობლება. ტყის სიახლოვე მრავალმხრივ არის სისაიკეთო მამულისათვის. ტყე მას ნიაღვარისაგან, ქარებისაგან იცავს. ვენახის თავში მოქცეული ტყიდან ჩამონაჟონ წყალს „სისუქნე“ ჩამოაქვს, ნიადაგს ანოყივრებს ვენახში, სასარე,სახარდნე ხეებიც ხომ ულევია ტყეში.

მაგრამ ტყისპირ ვენახი ტყის მრავალრიცხოვან ბინადართაგან დაცვასაც საჭიროებს.

ფრინველების დასაფრთხობლადაა ვენახის ბოლოში კიდეზე აღმართული კაცის მსგავსი „საშინობელა“, მოკლული ქორით, თუ ჩიტით ხელში, ანდა მაღალ სარებზე ჩამოკიდებული აყიროები, ქათმის ან ინდაურის ფრთებით შემკული. ნიავის ქროლვაზე აყირო წაღმა-უკუღმა ბრუნავს და აკრთობს ფრთოსანს.

წყლისპირა ვენახებიდან აქა-იქ კიდევ შეხვდებით „სარახუნოს“, ანუ „დათვის საშინობელას“. ეს გონებამახვილური ხელსაწყო ხისაგანაა გაკეთებული. მიწაში დასობილ ორ მანჭოში (პალოში) გაყრილია ბორბლიანი ღერძი, რომელსაც გაგრძელებაზე „მკლავი“ აქვს დამაგრებული, თავზე ხის მოძრავი ურითი. საშინობელა ხის ღარის ცხვირთანაა გამართული. ღარზე გადმომჩქეფარე წყალი ბორბალს აბრუნებს, გრძელი მკლავი მასიურ ურეს, კვეჟოს, მის ქვეშ მოთავსებულ რიყის ქვას ან ხის ნამოს (ბაცონს) დროდადრო მძლავრად ურტყამს და იქაურობას ხმაურით აყრუებს.

იმერეთსა და ლეჩხუმში დაბლარ ვენახს თუ ყანას ზოგჯერ ზემოდან დასცქერის ვაზები, რომელთაც მსხვილი და მაღალი ხის საყრდენი უსვია. ეს ოლიხნარია, ანუ ხარდნის ვაზი. ოლიხი, ხარდანი, ჩვეულებრივ, კაპებიანია. ზოგჯერ მათ მაგივრობას ეწევა ტანდაბალი ცოცხალი ხეები საგანგებოდ წაჭრილი, გადაბელილი ტოტებით.

დაბლართან შედარებით ოლიხნარი უფრო თხელი ვენახია, ვაზის თითოეულ ძირს მეტი კალო აქვს დატოვებული. ოლიხნარი ზოგჯერ მწკრივზეა, წკიპზეა დარგული, ხან კი — არეულად, „უავკარგო“. ოლიხნარად მხოლოდ ზოგი ჯიშის ყურძენს აშენებენ.

იმერეთსა და გურია-სამეგრელოს სოფლებში იშვიათია კარმიდამო, რომ თითო-ოროლა მაღლარი ვაზი არ მოგხვდეს თვალში. ხეებზე, უმთავრესად, გაშვებულია უცხოური იზაბელა, „ადესა“, იშვიათად, ძველებური, ადგილობრივი მაღლარის ჯიშებიც გამოერევა. მთის სოფლებში ზოგჯერ ათეულობით დაითვლება ეზო-გარემოში მაღლარი ვაზი. მათი ცოცხალი საყრდენი თხმელის, ხურმის, ან ვაშლის ხეა. ამ ხეებს ტოტები თხლადა აქვს, ზედ უკეთ მწიფდება ნაკლებ დაჩრდილული ყურძენი.

მოხუცებს ჯერაც ახსოვთ უწინდელი მაღლარობა. ტყეს მიაგავდა ეზო-გარემოსა თუ მინდვრად ჩარიგებული ხეები ზედ მიშვებული ვაზით. თხლად დარგული ხეების ქვეშ ზოგჯერ ღომის ან სიმინდის ყანა ბიბინებდა. მაღლარი ვაზი, დობილო, ხშირად მოსდებოდა დაბალ ადგილებს, მდინარის პირებს. ამ ადგილებს, დღესაც „დობილოების“ სახელით მოიხსენიებენ, თუმცა კარგა ხანია, რაც იქ ვაზი გადაშენდა.

თუ ქართლის მიწა-წყალი ძველთაგან დაბლარი მევენახეობის სამკვიდრებელს წარმოადგენდა, დასავლეთ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის შუახანებამდე მაღლარი ვენახი იყო გაბატონებული.

„აქ ყველგან მაღლარს აშენებენ და უკანასკნელ ხანებამდე არ ყოფილა შემთხვევა არც ერთი ქცევა დაბლარის გაშენებისა“ — აღნიშნულია გურია-სამეგრელოს შესახებ აგრონომიულ ნარკვევში, რომელიც დაახლოებით ერთი საუკუნის წინ არის დაწერილი, იქვე ამის მიზეზიც არის ახსნილი, „სამგრელოში, ისევე, როგორც ქუთაისის გუბერნიის უდიდეს ნაწილში, ხეზე შეშვებული ვაზი უკეთეს ღვინოს იძლევა, ვიდრე ... ვინაიდან ნიადაგი ძალზე ნესტიანია და რაც უფრო დაშორებულია მისგან ყურძნის მტევნები, მით უკეთესად მწიფდებიან ისინი“.

ლიხთიმერეთში მხოლოდ ზოგან პოვებდა დაბლარი ვენახი ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. იმერეთის ზოგ მხარეში, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული თხულებიდან ვიცით, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ხშირი იყო „ვენახნი დაბლარნი“. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით გასული საუკუნის შუახანებიდან ლეჩხუმშიც მაღლართან ერთად ნაწილობრივ დაბლარსაც აშენებდნენ. დაბლარი მევენახეობა მეტადრე რაჭაში ჰპოვებდა გასაქანს, სადაც უკანასკნელი საუკუნეებისათვის მაღლარი ვენახის კვალიც არა ჩანს.

ლიხთიმერეთში მაღლარ მევენახეობას გასული საუკუნის შუახანებიდან ვაზის სოკოვანი დაავადებების გავრცელებამ მოუღო ბოლო. მეტად ჭირდა უზარმაზარ ხეებზე ვაზების „აქიმობა“. აქაური მეურნე იძულებული იყო დაბლარ ვენახს მოჰკიდებოდა. დროთა განმავლობაში ტყეებიც გაიკაფა, ჰავის ტენიანობამაც იკლო. ამიტომაც იყო, რომ თანდათან გაჩეხეს მაღლარი ვენახი და მის ნაცვლად გურია-სამეგრელოს, თუ იმერეთის სერებს ტანმორჩილი ხელნაშენი შეეფინა.

მეაბრეშუმეობა საქართველოში

წყარო: ჩვენი ღირსებანი. ტ. 2. თბ., 2012.

საქართველოს ბუნება თავისი მრავალფეროვანი ფლორით ხელს უწყობდა და უწყობს მეაბრეშუმეობის განვითარებას ქვეყანაში.

გადმოცემის თანახმად, საქართველოში აბრეშუმის გრენა შემოიტანა და მეაბრეშუმეობას სათავე დაუდო ვახტანგ გორგასალმა, როდესაც ის, როგორც ვასალი, ინდოეთში ახლდა სპარსეთის მეფე — პეროზს საბრძოლველად.

წყაროები ადასტურებენ საქართველოში მეაბრეშუმეობის უფრო ადრეულ არსებობასაც: აბრეშუმის ძაფისა და ქსოვილის ნაშთები ნაპოვნია არმაზის ხევში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას. აქ აღმოჩენილი მასალა ჩვ. წღ. II საუკუნით თარიღდება.

XIX საუკუნემდე ჩვენში ჯერ კიდევ ახსოვდათ აბრეშუმის კუსტარული წესით დამუშავება და ქსოვა, კერძოდ: ამოსახვევად გადარჩეულ პარკს მზეზე ყრიდნენ, რომ მასში ჭუპრი ჩაეკლათ. შემ-

დეგ გამომშრალ პარკს ნაწილ-ნაწილ მდუღარეში ყრიდნენ. აშრობდნენ და შემდეგ ახვევდნენ ძაფს საგანგებო ხელსაწყოთი, რომელსაც სამეგრელოში ერქვა „ელართაშე“ ან „ოგიდაშე“, გურიაში — „ოგვადო“, — იმერეთში — „სამუხლველი“; კახეთში — „მანჯავი“.

შულოებად ახვეულ ძაფს, კიდევ ერთხელ გადაახვევდნენ ხოლმე ფირფიტაზე და ართავდნენ თითისტარით.

ცალწვერად ამოხვეულ ძაფს თითისტარითვე შეძახავდნენ ხოლმე ორ-სამ წვერად: დაძახულ ძაფს მუხლებზე (შდრ.: იმერული „სამუხლველი“) შულოებად ამოახვევდნენ და დასარბილებლად და გასათეთრებლად ნაცარწყალში ხარშავდნენ.

გამშრალ ძაფს ბუნებრივი საღებავებით ღებავდნენ.

XVII საუკუნის ბოტანიკოსი ტურნეფორი აღნიშნავს, რომ საქართველოდან ქარავნებით გაჰქონდათ ენდრო ერზრუმსა და ინდოეთშიც კი. მისი ლათინური სახელწოდებაა „Rubia Iberica“.

აბრეშუმის საქსოვ დაზგაზე ქსოვდნენ ტაფტას, მერდინს, დარაიას; ჩხირებითა და ყაისნაღებით — თავსაფრებს, წინდებს, ტოლაღებს, ქისებს, ხელთათმანებს, ბადეებს; ფირფიტებით — ჩახსაკრავებს, სახიან სარტყლებს, ყაითნებს, ჩავარიშებს და ტანსაცმლის სხვა საოლველს. ქსოვდნენ ნაირფერ ხალიჩებს და ჯეჯიმებს, — ქარგავდნენ; იყენებდნენ სხვა დანიშნულებითაც.

ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი, ვახუშტი ბაგრატიონი ამის შესახებ წერს: მეგრელები აბრეშუმის ძაფისაგან ამზადებენ კარგსა და იაფფასიან ქსოვილს, რომელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს ბაზარზე.

1899 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „სოფელ ლესიჭინეში (ზუგდიდის მაზრა) არსებობს აბრეშუმის საფეიქრო, რომელიც 1860 წელში ადგილობრივ მცხოვრებს, აწ უკვე განსვენებულ, ბასა სიჭინავას გაუმართავს. ამ საფეიქროში იგი ყოველ წელს ახვევდა 70-80 ფუთამდე აბრეშუმს და გზავნიდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მარსელსა და ლიონში“. ეს იყო აბრეშუმის პირველი ფაბრიკა ქუთაისის მთელ გუბერნიაში. მასვე 1882 და 1887 წლებში გაუგზავნია მოსკოვისა და ხარკოვის გამოფენებზე აბრეშუმისა და პარკის ნიმუშები. იგი საუკეთესო თვისებების ექსპონატთა გამოგზავნისათვის და სააბრეშუმო საფეიქროს დაარსებისათვის ვერცხლის მედლითა და ქების ფურცლით დაუჯილდოებიათ.

V საუკუნეში თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ იაკობ ხუცესი ასეთ მხატვრულ სახეს ქმნის: „წმინდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა... ხელთა აღიხუნა „დავითნი“ და... ას ერგასისნი იგი ფსალმუნნი ზეპირად დაისწავლნა“. ანუ: შუშანიკმ, რომელიც საპყრობილეში იყო გამომწყვდეული, „ჭიჭნაუხტის“ საქმის ნაცვლად 150 ფსალმუნი დაისწავლა ზეპირადო.

„ჭიჭნაუხტი“ ძველ ქართულში აბრეშუმს ნიშნავს. „საქმე“ კი, ამ შემთხვევაში, ქსოვას. საბოლოოდ, მხატვრული სახე ასეთია: 150 ფსალმუნის კითხვით ისე მშვენდებოდა, ივსებოდა ბნელი საკანი სულიერებით, როგორც ნაქარგით ქსოვილი.

ძველი ქართული ხელნაწერების ეტრატზე გადაწერილ ფურცლებს ყდაში ჩასმა და რვეულებად აკინძვა-შეკერვა ესაჭიროებოდა. ასაკინძად ე. წ. კაპტალს იყენებდნენ. მას ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: უნდა ყოფილიყო ლამაზი და მაგარი.

კაპტალი ასე მზადდებოდა: აბრეშუმის ძაფს ღებავდნენ ბუნებრივი საღებავებით, გრეხდნენ თოკთან ერთად და ჭიმავდნენ დაზგაზე. კაპტალით კერავდნენ ფურცლებს რვეულებად. ასეა შეკერილი მწვანე, შინდისფერი, აგურისფერი, ლურჯი და შავი აბრეშუმის კაპტალით ათონის (XII ს.), მესტიის (1030 წ.), იენაშის (XIII ს.) სახარებები და სხვა ხელნაწერი წიგნები.

ქ. გრაცში გამოცემულ კაპტალის მსოფლიო ნიმუშების კატალოგში შეტანილია ქართული ხელნაწერების კაპტალის ერთი ნიმუშიც, როგორც ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი.

ქართველებისათვის ცნობილი იყო ქსოვის სხვადასხვა სახეობებიც, რასაც ადასტურებს გენიალური „ვეფხისტყაოსანი“: ბრძოლაში გამარჯვებულმა ტარიელმა ხატაეთის მეფის საგანძური რომ გახსნა, უამრავ სიმდიდრესთან ერთად ნახა „საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე“; იგი გაოცებული დარჩა, რადგან რიდეს „ჰებოდა... ქსელი“ უჩვეულო, ნაქსოვი იყო „არცა ლარულად“, „არცა ორხაულადა“, ხოლო სიმტკიცით „ჰგვანდის ნაჭედსა“. ცნობილია, რომ ქსელი ერთი მიმართულებით ნაქსოვს ნიშნავს; ორხაულად კი, ხალიჩა იქსოვებოდა.

დრომ მოიტანა და მოგვიანებით საქართველოში შეიქმნა მეაბრეშუმეობისათვის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი საწარმოები: აბრეშუმსაქსოვი და ჟაკარდის ფაბრიკები თბილისში; აბრეშუმის კომბინატი ქუთაისში; აბრეშუმსახვევი ფაბრიკა სამტრედიაში; ხაოიანი ქსოვილების (ხალიჩების) საქსოვი ფაბრიკები თბილისში, სენაკში, კულაშსა და სოხუმში; აბრეშუმის სახვევ-საგრეხი ფაბრიკები თელავში, ოზურგეთსა და ხონში.

ქართული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე და არაერთი აღიარება მოუპოვებია:

1850 წელს ტურინში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე განსაკუთრებული ქება და მედლები დაიმსახურა.

1862 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზეც ასეთივე წარმატება მოიპოვა.

1887 წელს თბილისში დაარსებული სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური პირველი იყო ამიერკავკასიაში. მას ფილიალები ჰქონდა ქ. განჯაში, ქ. ტაშკენტში, ქ. პიატიგორსკში; იყო ერთ-ერთი ყველაზე კარგად მოწყობილი მეაბრეშუმეობის დაწესებულება მსოფლიოში. აქვე გაიხსნა: მეაბრეშუმეობის ლაბორატორია აბრეშუმხვევიას სხვადასხვა ჯიშების მიერ ახვეული პარკის, ძაფის და ქსოვილის შესაფასებლად; ლაბორატორიას ჰქონდა პარკსახვევი და აბრეშუმის საქსოვი სახელოსნოები; ქიმიური, ბიოლოგიური და ბაქტერიული კვლევის ლაბორატორიები; მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის შემსწავლელი კურსები, სადაც მზადდებოდნენ ინსტრუქტორები და მიმდინარეობდა პრაქტიკული სამუშაოები თუთის ნერგების გამოსაყვანად.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი. ამ დროიდან მეაბრეშუმეობაში დაიწყო მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული სასელექციო მუშაობა. ჯერ შეისწავლეს ადგილზე გავრცელებული უცხოური ჯიშები, მათგან ჰიბრიდები შექმნეს და წარმოებაში დანერგეს; შემდეგ გამოიყვანეს პირველი ქართული სელექციური ჯიშები: „თბილნიიშ-1“ და „თბილნიიშ-2“. მათი ჰიბრიდები გავრცელდა წარმოებაში რამაც მკვეთრად გაზარდა პარკის მოსავლიანობა და აამაღლა ხარისხი.

მას შემდეგ ყოველ 5-7 წელიწადში ერთხელ გეგმაზომიერად ხორციელდებოდა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა და მათ ბაზაზე მორიგი ჯიშთა ცვლა. ყოველი ახალი ჯისი და ჰიბრიდი ბიოტექნოლოგიური მაჩვენებლებით დამაჯერებლად სჯობნიდა მის წინამორბედებს.

აბრეშუმის მუზეუმი თბილისში

მეაბრეშუმეობას საქართველოში ოდითგანვე მისდევდნენ და გასაკვირი არაა, რომ ჩვენში ეს დარგი კარგად იყო განვითარებული. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ეკავა და მის სამეცნიერო და კულტურულ ცენტრადაც ითვლებოდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ XIX საუკუნეში სწორედ საქართველო გახდა კავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარების ცენტრი.

მეაბრეშუმეობის კრიზისთან დაკავშირებით, 1884 წელს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოების კომიტეტის წევრი, ახალგაზრდა მეცნიერი ნიკოლაი შავროვი ჯერ კავკასიაში მოავლინეს ვითარების შესასწავლად, მერე კი ევროპაში გააგზავნეს მოწინავე გამოცდილების ასათვისებლად.

ამ პერიოდში ევროპამ აბრეშუმის კვლევის თვალსაზრისით დიდ წარმატებებს მიაღწია: 1867 წელს ავსტრო-უნგრეთში, ქალაქ გერცში შეიქმნა მსოფლიოში მეაბრეშუმეობის პირველი საცდელი სადგური (მმართველი, დოქტორი ბოლე), 1871 წ. — იტალიაში პადუას მეაბრეშუმეობის სადგური (დირექტორი, დოქტორი ვერსონი), საფრანგეთში — მონპელიეს სადგური დოქტორ მალოს და დოქტორ ლამბერის ხელმძღვანელობით. შესაბამისად, პებრინასთან ბრძოლის მეთოდების შესწავლის გარდა, კოლეგებთან შავროვის ურთიერთობა მრავალი ასპექტით იყო მნიშვნელოვანი. მან მოიარა შესაბამისი დაწესებულებები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი და გაეცნო იმ დროის მოწინავე მიღწევებს მეაბრეშუმეობის დარგში.

1886 წელს მივლინებიდან დაბრუნებულმა შავროვმა თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მოწყობის პროექტი წარადგინა და მას შემდეგ წელს თავისი ჩანაფიქრი განახორციელა კიდეც. სადგური ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა: ავრცელებდა აბრეშუმხვევიას ახალ, ჯანმრთელ გრენას (კვერცხებს), თუთის ხის ნერგებს; ასწავლიდა და რჩევას აძლევდა გლეხებს. პარალელურად სადგურში ინტენსიური კვლევითი მუშაობაც მიმდინარეობდა.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც იმ დროს 4 ჰექტარზე იყო მოწყობილი მუშტაიდის და ახლანდელი დინამოს სტადიონის ტერიტორიაზე, მოიცავდა სხვადასხვა დანიშნულების შენობებსა და ნაკვეთებს, მათ შორის, — საცდელ სადგურს, სპეციალიზებულ ლაბორატორიებს, სანერგეს.

სადგურის კომპლექსში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მუზეუმის განსათავსებლად აგებულ მთავარ შენობას, რომელიც 1892 წელს აშენდა ცნობილი არქიტექტორის, ალექსანდრე შიმკევიჩის პროექტით. შენობის დეკორში აისახა აბრეშუმის თემატიკა, რაც, უდავოდ, მისი ხიბლის ერთ-ერთი განუყრელი ნაწილია. შიმკევიჩი არაერთი მნიშვნელოვანი ნაგებობის ავტორიცაა, მათ შორის — თბილისში. ალბათ, ყველას მიუქცევია ყურადღება კონსერვატორიის და რუსთაველის თეატრის შენობებისათვის (ეს მან ტატიშჩევთან ერთად დააპროექტა). არაა გასაკვირი, რომ აბრეშუმის მუზეუმი შენობას კულტურის მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურთან ერთად დაარსებული მუზეუმი არა მხოლოდ ერთადერ-

თია კავკასიაში, არამედ ერთ-ერთი უძველესთაგანიც მთელ მსოფლიოში აბრეშუმისადმი მიძღვნილ მუზეუმებს შორის.

შავროვის მიერ ჩამოტანილი კოლექციების დიდი ნაწილი კოლეგების საჩუქარი იყო მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დასაარსებლად. რასაკვირველია, კოლექციები დროთა განმავლობაში მდიდრდებოდა ახალი ექსპონატებით. ამიტომაა, რომ მუზეუმი განსაკუთრებული იყო XIX საუკუნეშიც და დღეს კი მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. საქმე ისაა, რომ მრავალრიცხოვან აბრეშუმის მუზეუმებს შორის ის არა მხოლოდ სიძველით, არამედ კოლექციების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა, მოკლედ მისი განსაზღვრა ასე შეიძლება, ყველაფერი, რაც კი დაკავშირებულია აბრეშუმთან: ჭიის და მისი უმთავრესი საკვების — თუთის ხის, ბიოლოგია, ძაფები, შინ მოქსოვილი და ინდუსტრიული ქსოვილები, ნაქარგობა და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, საღებავები, მოდელები, ინსტრუმენტები და დაზგები... მეტად საინტერესო ფოტოარქივი. ერთი სიტყვით, ის, რაც მუზეუმში შემოსულ ადამიანს სრულ წარმოდგენას შეუქმნის იმ შესანიშნავი, განსაკუთრებული მასალის შესახებ, რომელსაც აბრეშუმი ქვია და რომელსაც არა მხოლოდ უძველესი ისტორია აქვს, არამედ მრავალგვარი გამოყენებაც, კოლექციების მსგავსი მრავალფეროვნება სრულიად უნიკალურია: არსად არის ეს ყველაფერი თავმოყრილი ერთ მუზეუმში, მხოლოდ ჩვენთან, თბილისში.

განსაკუთრებით არის აღსანიშნავი აბრეშუმის პარკების კოლექცია — მისი ტოლფასი მსოფლიოში არ მოიპოვება. ამ კოლექციაში დაცულია 5 ათასზე მეტი ჯიშისა და ვარიაციის პარკები, მათ შორის ბევრია ნიმუშები, რომელიც სხვაგან უკვე აღარ არსებობს — ჯიშები იცვლება, ბევრი გადაშენდა.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს მუზეუმის ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება არა მხოლოდ კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის შრომების გამოცემები, არამედ მეტად მრავალფეროვანი და მრავალენოვანი ლიტერატურა, დაკავშირებული აბრეშუმსა და მის მომიჯნავე სფეროებთანაც.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თბილისში თითქმის უცვლელად შენარჩუნდა XIX საუკუნის მუზეუმი. მუზეუმისა და მისი ბიბლიოთეკის საგამოფენო ავეჯიც კი სპეციალურადაა დამზადებული შენობის არქიტექტორს ესკიზების მიხედვით. ამის გამო მუზეუმი დაფასებულია არა მხოლოდ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების მიერ, რომელთა შორის უპირველეს ყოვლისა, არიან სამუზეუმო საქმის, მხატვრული ტექსტილის და რასაკვირველია — აბრეშუმის ექსპერტები, არამედ ყველა განათლებული ადამიანი, რომელსაც კი უნახავს ან სმენია ამ მუზეუმის შესახებ.

1998 წლიდან მუზეუმი ევროპის ტექსტილის ქსელის ნუსხაშია შეტანილი როგორც საქართველოში ამ ქსელის საკონტაქტო პუნქტი.

მუზეუმით დაინტერესებულთა რიცხვი მატულობს წლიდან წლამდე, ამას ხელი შეუწყო არა მხოლოდ მუზეუმის დამოუკიდებლობამ (2006 წ.), რომელმაც ბიძგი მისცა საერთაშორისო კონტაქტებს, არამედ ინტერნეტ გვერდის შექმნამაც (www.silkmuseum.ge) და მუზეუმის ბოლო წლების საგანმანათლებლო საქმიანობამაც, მხატვრებთან და სხვადასხვა სახელოვნებო თუ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ.

თუშეთი

წყარო: ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983.

თუშები მომთაბარე ხალხია და მათი მოსახლეობაც მოძრავია. ზაფხულში თუშები მთაში ბინადრობენ, ზამთარში კი ბარში ჩამოდიან და ცხოვრობენ კახეთში ალონის, ანუ ალვანის ველზე, სადაც გაშენებულია მათი ორი დიდი სოფელი – ქვემო და ზემო ალვანი. ამიტომ, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თუშთა საცხოვრისი ორად არს გაწყვეტილი: თუშეთი და ალვანი. მაგრამ თუშური მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიად დღესაც ითვლება თუშეთი, სადაც მათი ძველი სოფლებია გაშენებული.

მცენარეულობით მდიდარია თუშეთის ბუნება, რომელიც ქმნის ლამაზ პეიზაჟებს. მთები შემოსილია სუბალპური ტყით, რომელშიც ფიჭვნარი სჭარბობს, განსაკუთრებით, პირიქით ალაზნის ხეობაში. ფიჭვის გარდა, აქაურ ხეობაში იზრდება ცაცხვი, არყის ხე, ჭნავი, ბოკვი, მურყანი, ვერხვი და სხვა. ტყის ზემო სარტყელი შემოსილია სუბალპური მაღალი ბალახით; იგი მდიდარია სათიბით და იძლევა კარგი ხარისხის თივას. სუბალპების ზოლის ზემოთ გადაჭიმულია ალპური მდელო, რომელიც წარმოადგენს ფართო და ნოყიერ იალაღებს, სადაც ზაფხულის პერიოდში თუშების ცხვრები იკვებებიან. აქაურ ტყეებში ბუდობენ ფრინველები: როჭო, შურთხი, არწივი, ქორი, მიმინო, ყვავი, ყორანი, სოია (სვავი), ჩხიკვი, ტყის ქათამი, გუგუტა, ოფოფა, შაშვი, ჯღართვი (ჭროღა შაშვი), ბულბული, მწყერი, ქერა ციტი (მოწითალო ფერისაა), ტოროლა, იელელა (ტანი ლეგა და ყელი თეთრი),

ღალღა, ქედანი, ხის კოდალა; ნადირი: ჯიხვი, თხა, ვაცი, ირემი, დათვი, მგელი, აფთარი, მაჩვი, მელა, კვერნა (ტყის კატა), კურდღელი; ქვეწარმავალნი: ყვარტი (ბაყაყია), შხამინი გველი, შიტყორი (ხვლიკი), თაგვი, დეოფალა (ციყვის მსგავსია), ლიფოშქინქა (ლოკოკინა). თევზთაგან აქ ორივე ალაზანში კალმახი ბუდობს; მათ ბადით და ჩანგლით (ანკესით) იჭერენ.

მიწის ეს ნაკვეთები ასეა დაჯგუფებული: სასოფლო, საზიარო, წილის მიწა, ბოსლის კარის მიწა, ბარის მიწა, მთის მიწა და სახატო მიწა. მიწა აქაც დღიურობით იზომება და თუშეთის მიწის დღიური მესამედი უდრის ერთ მესამედს ბარისას. საყანე მიწებში ყველაზე დიდი ფართობი უკავია ბოსლის კარისას, სადაც სოფლის საზამთრო ბოსელია გაშენებული. ამ ბოსლებს თუშეთის სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

იმ სოფლებში, რომლებიც საზამთროდ ალვანში არ ჩადიან, შემოდგომიდანვე ამ ბოსელში გადადიან საცხოვრებლად და გაზაფხულამდე აქ რჩებიან. აქვეა მოთავსებული მათი მსხვილფეხა საქონელიც. განსაკუთრებით დიდია სოფ. ომალოს და შენაქოს ბოსლები, რომლებიც იქვე მახლობელ მთის დავაკებაზეა გაშენებული. ამ ბოსლებში გლეხობას საშუალება ეძლევა ზამთრის განმავლობაში საქონლის სკორე (ნეხვი) ჯინებით იქვე მდებარე ყანებში გაზიდოს და ნიადაგი გაანოყიერროს. მით უმეტეს, აქაური მიწები ფიცხია და, თუ ის სისტემატიურად არ ნოყიერდება, ჭირნახულსაც არ იძლევა. ამიტომ თუშეთის მიწათმოქმედებაში მიწის განოყიერებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გაუნოყიერებელ მიწას აქ ყოველ მესამე წელიწადს დასვენება სჭირდება.

ამასთან, ბოსლის კარის ყანები დაბლობზეა, ჰავაც შედარებით ნაკლებ სუსხიანია და ძლიერი ქარიც არ ხვდება. შუა ზაფხულში, დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებიდან, თუშეთის გლეხობა მინდვრის სამუშაოზე გადის. ამასთან შეუდგებიან თესლის გარჩევას „სათრობაც“-საგან (სარეველა). თესლს არჩევენ რიჭით და ცხავით. მიწას ხნავენ ხის „სახნუელით“, რომელშიც ერთი უღელი ხარია შებმული. რბილი და ვაკე მიწა მარტო ამ სახვნელით არ იხვნება. თუ ნიადაგი მაგარი და ბალახიანია, მაშინ სახვნელს წინ მიუძღვის ხის კავი, რომელიც თავისი საკვეთელით მიწას ჭრის. ამ კავს სახვნელი მისდევს და გასერილ ნიადაგს ყურიანი ქუსლით აბრუნებს.

მოხნულ მიწაზე თესავენ, დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში, დიკას (იგივე „იფქლი“), შემდეგ მაისში ითესება „ქერველი“ (ორპირა ქერი) და ქერი (ექვსპირა ქერი). ითესება აგრეთე „შრუა“ – შვრია, რომელსაც საქონელს აჭმევენ და არაყსაც ხდიან. ქუმელი, სელი და ოსპი. აგვისტოში თუშეთში ითესება სვიი (ჭვავი), რომელიც მეთორმეტე თვეში პურდება.

მკიან ნამგლით, რომელსაც თუშები „ცელს“ უწოდებენ. თუ ყანა დაბალია, მაშინ ჭირნახულს ხელით გლეჯენ. ერთი ნამგლის მოსმა ერთი „მჯიღია“. ძნა შედგება სამი-ოთხი მჯიღისაგან. ძნებს ერთად აქუჩებენ და „სერკვს“ აკეთებენ. სერკვს ზურგით, ვირებით და მარხილებით ბოსლებში ეზიდებიან და აქ კალოზე ზვინებად აყენებენ. სოფელიც ბოსელში ჩამოდის. ბინავდება და პურეულის ლეწვას შეუდგება. ქერს კალოზე ლეწავენ ხარებით, სვილს კი ფიცარზე ბერტყავენ და მარცვლებს ისე აყრევინებენ. გალეწილ პურს რიჭით ანიავებენ და ცხრილით გაცხრილავენ. „ნაკუდს“ (ნაბოლარას) გადაარჩევენ და საარყედ ინახავენ, გალეწილ მარცვლეულს ჰყრიან გოდორში, კოდში და კიდობანში. ჭირნახულის გოდორი სკორით ილესება და ნაპირიც მაგრად გადაეკვრის. ჭირნახულის გაცემა კალოდან შეუძლებელია, ხოლო როცა ჭურჭელში მოექცევა, გიორგობამდე არ გაიცემა. საზამთროდ ჭირნახულის დაფქვას მაშინვე შეუდგებიან, რადგან თოვლში ძნელია ტვირთის წისქვილში გადაზიდვა და ძლიერი ყინვისაგან წისქვილის წყლებიც კი იყინება. აქაური წისქვილი ჩვეულებრივი ტიპისაა. ჭირნახულის დაფქვაში კერძო მეპატრონეები მინდს არ იღებენ, არამედ მის ანგარიშში მოითხოვენ შრომას, რომელიც გამოანგარიშებულია ჟამობით. ჟამი უდრის დღე და ღამის 24 საათს. ჟამი იანგარიშება დილიდან დილამდე. კარგად გამართული წისქვილი ერთ ჟამში დაფქვავს 11 კოდს. წინათ ერთი ჟამით წისქვილის სარგებლობისთვის ერთი დღის მუშაობა იყო დაწესებული. ჟამის განაღდება ფულითაც შეიძლება მუშა ხელის ქირის კვალობაზე. ჟამში აგრეთვე აძლევენ ყველსა და მატყლს.

ჭირნახულის აღებისა და დაბინავების შემდეგ თუშეთის სოფლები იცლება. მოსახლეობის უმრავლესობა საზამთროდ ალვანში ჩადის, ნაწილი კი ბოსელში ბინავდება. ბარში მიმავალ თუშებს მთიდან ჭირნახული ალვანში არ მიაქვთ. თუშეთში მოწეულ სარჩოს ზაფხულისთვის ინახავენ აქვე, თავიანთ სახლებში, რომელსაც დარაჯობს ზამთრის ყარაულად დარჩენილი მეკომური. ალვანში მათ უდგათ იქ მოყვანილი პურის ძნები და სიმინდი, რომლითაც ზამთრის განმავლობაში იკვებებიან.

რაჭა-ლეჩხუმი

წყარო 1: ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ., 1987.

რაჭა

ბუნების სიმშვენიერესთან ერთად მთის რაჭა მდიდარია ტყით, საძოვრებითა და მინერალური ბუდობებით. წიწვიანი ტყე, მთის საღი ჰაერი და მჟავე წყლების შუშხუნა ნაკადები მას ხელს უწყობენ ახლო მომავალში საქართველოს კურორტებში დაიკავოს ღირსეული ადგილი.

ბუნების სიმდიდრეთა შორის აქ არის ნახშირმჟავიან-რკინა მტუტიანი მჟავე წყაროები. შოვში კი სხვადასხვა თვისების რადიოაქტიური ნაკადებია.

რაჭველები მისდევენ ***მიწათმოქმედებას*** და ***მესაქონლეობას***. მიწის დამუშავება აქ ჯერ კიდევ პრიმიტიული წესებით წარმოებს. მიწის ხელოვნური სასუქით განაყოფიერებას აქ არ მისდევენ. ხნავენ ხის უბრალო „სახვნელით“ ერთი ან ორი უღელა ხარით. იქ, სადაც ხარი და სახნისი არ უდგება, მიწას თოხით ამუშავებენ. ამ ბოლო წლებში აქაც გუთანი შემოდის. აქ მიწის მცირე ნაკვეთიც კი, მიუხედავად მისი სიშორისა და მიდგომის სიძნელისა, საყანედაა გამოყენებული. ზოგ გლეხს ფორთხვით უხდება მაღალ წვერზე ასვლა და განსაცდელ პირობებში საარსებო სარჩოს მოპოვება. საყანე მიწები დაყოფილია „შინა ყანებად“ (ნაფუძარი) და გარე-ყანებად. შინა ყანა სოფლის მახლობლად არის, უკეთესად მუშავდება და მეტი ფასიც აქვს, ვიდრე გარე ყანას, რომელიც სადღაც ციცაბო მთაზე მდებარეობს.

ამ ბოლო ხანებში ხელი მიუყვიათ კარტოფილის მოყვანისათვის, რომელიც შედარებით კარგ მოსავალს იძლევა და კარგს დახმარებას უწევს ღარიბ მოსახლეობას. ამასთანავე, რაჭის უდიდესი სივრცე დაფარულია ტყეებით, კლდეებით და ყინვარებით, ამიტომ საყანედ ვარგისი მიწა აქ მეტად მცირეა და რაც მოეპოვებათ დროთა განმავლობაში ისიც იფიტება და ნაკლებ მოსავალს იძლევა. მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან შეფარდებული არ არის საყანე ადგილების სივრცის გაფართოება და მისი ინტენსიური დამუშავებაც, ამიტომ მთის რაჭველები მიწის სიმცირესთან ერთად განიცდიან ჭირნახულის დიდ ნაკლებობას. მოსახლეობის წლიური სარჩო აქ არ მოდის, იძულებულია ის სხვაგან შეიძინოს.

მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი აქ მესაქონლეობაა. მისდევენ უმეტესად მსხვილი საქონლის მოშენებას, მაგრამ რადგანაც ზამთრის საძოვრები არა აქვთ და ზამთარიც თითქმის 8 თვე გრძელდება, საქონელსაც განსაზღვრულ რაოდენობას ინახავენ. მართალია ზაფხულის საძოვრები და სათიბები აქვთ, მაგრამ ეს ადგილები ისეთი შორი კლდეების მწვერვალებზეა, რომ გლეხი ვერ ასწრებს მათ მოთიბვას და მარხილით ჩამოტანას, ისინი უკვე თოვლით იფარებიან. ამის გამო გლეხი იმდენ სულ საქონელს ინახავს, რამდენის გამოკვებაც მას შეუძლია, დაახლოებით ოც სულს, რომელშიაც უმეტესი ძროხებია. წვრილფეხა საქონელიდან ჰყავთ ცოტა ცხვარი, თხა და ღორი. ზაფხულობით ეს საქონელი ირეკება სხვა საძოვრებზე, სადაც ნოყიერი ბალახი იზრდება.

საძოვრებისა და გარე-ყანების მიდამოში გლეხს საზაფხულო სადგომი და ბოსელი აქვს გამართული, სადაც ის აგროვებს და თავს უყრის წლიურ სარჩოს. აქვე აბინავებს მინდვრის საქონელს. დედაკაცები წველიან ძროხებს და სხვ. რძის პროდუქტებში აქ ამზადებენ მცირე რაოდენობით კარაქს და ერბოს.

ზოგი ***ოჯახი*** მრავალ წევრს ითვლის. ამგვარ დიდ ოჯახებს შორის სოფ. ღებში ცნობილია მამუკო მახარას ძე ლობჯანიძის და ხათუკიანთ ორდანეშვილები (გავაშელიშვილები) ოჯახი. ამ დიდ და ჯერ გაუყოფელ ოჯახებში დღესაც დაცულია გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი წესი. მაგალითად, სოფ. ღებში დიდი ოჯახის სათავეში დგანან უფროსი მამაკაცი „ბაბუა“ და უფროსი რძალი „ბებიად“ წოდებული. ოჯახის ბაბუას ეკითხება სასოფლო და სამეზობლო საქმეები, რომელსაც ემორჩილებიან ოჯახის მამაკაცები. თავიანთ მონაგებ ფულს თუ ნივთს მამაკაცები უკლებლივ ამ ბაბუას აბარებენ, რომლის განკარგულების ქვეშ იმყოფება ოჯახის თანხები და ის საჭიროების მიხედვით ოჯახს ახმარს. ბაბუას თავისი საპატიო სავარძელიც აქვს „საკარცხულად“ წოდებული, რომელიც კერის თავთან დგას და მასზე დაჯდომა სხვას არ შეუძლია. სადიასახლისო საქმეები კი ბებიას აბარია, რომელსაც ოჯახის ყველა ქალი ემორჩილება. რძლებს შორის ბებია ერთი წლის უფროს-უმცროსობის დაცვით ირჩევს თანაშემწეს – ვეზირად წოდებულს. ვინც ვეზირობს, ოჯახის ყველა გასაღებიც მას აბარია, რომლებიც რგოლშია ასხმული და ვეზირს წელზე ჰკიდია. ვეზირს ოჯახის ბებიის ზედამხედველობით ევალება ჭირნახულის აკრეფა და დაბინავება, რომლის დაუკითხავად ოჯახიდან არაფერი გაიცემა. დანარჩენი ქალ-რძლები ვეზირის თანამოსამსახურეებად ითვლებიან, რომლებიც შველიან მას კერძის განაწილება-მიწოდებაში, გაგზავნა-გამოგზავნაში და სხვა საოჯახო საქმეებში.

ქალებს პირადი შრომით მონაგები საბრუნავი თანხაც აქვთ, რომლითაც თავიანთ გოგოებს მოსავენ, ბიჭებს კი მამაკაცები აცმევენ. ბაბუასა და ბებიას თაოსნობით ოჯახში ყველაფერი თანაბრად ნაწილდება, ყველანი ერთად და თანხმობით მუშაობენ. ჩხუბს და უსიამოვნებას ქალებს შორის ბებია აწესრიგებს, კაცებს შორის კი – ბაბუა. თუ ოჯახური აყალ-მაყალი დარიგებით არ მოგვარდა, მაშინ ბაბუა დამნაშავეს ჯოხსაც უთავაზებს. მაგრამ თუ ოჯახის მშვიდობიანობისათვის აუცილებელია მისი რომელიმე დამნაშავე წევრის გამორიცხვა, მაშინ იწვევენ ოჯახის ყველა წევრს და საერთო ბჭობის შემდეგ წყდება უღირსი წევრის ოჯახიდან გაძევებისა თუ შეწყალების საკითხი.

გაყრის დროს ქონება ყველა მამაკაცზე თანაბრად ნაწილდება. ამ შემთხვევაში უფროსი ვაჟის განსაკუთრებული უფლება და წილი არ არსებობს. ქალებს კი მამულში და საზოგადოდ ოჯახში წილი არ აქვთ. საოჯახო მუშაობა განაწილებულია.

მამაკაცები მიწას ამუშავებენ, თიბავენ, შეშას ეზიდებიან და სხვ. დედაკაცები კი საოჯახო საქმეეებს უძღვებიან, საქონელს მწყემსავენ და ყანებსაც მკიან.

ზოგიერთი კომლი აქ ჯერ კიდევ მამა-პაპურ ***დუროიან სახლში*** ცხოვრობს, სადაც კერაა გამართული. კერაზე დადებულია „ყვერბი“, რომელიც ბრტყელი ფილაქანია, რომელსაც თავთან მიყუდებული აქვს მოგრძო და შუაში ამოკვეთლი ქვა, „ქვა-კერად“ წოდებული. მის ორივე თავზე ამოჭრილია სვასტიკა (მზის სიმბოლო). კერაზე ჩამოკიდებულია საკიდელი – „საქვაბე“, რომელიც „ოჯინჯალით“ ან „საფუნებელით“ სხვენზეა მიმაგრებული. საკიდლის მახლობლად „სამკერე“ ჰკიდია, რომელზედაც კვარი ანთია. კერასთან საპატიო ადგილას დგას უფროსების გრძელი საჯდომი, „სკამ-საკაცედ“ წოდებული. სახლის თახჩებში (თაროებზე) ინახება ოჯახის სახმარი ჭურჭელი და სხვა წვრილმანი.

კედლის ერთ მხარეზე გამართულია საწოლი „სკამ-ლოგინი“. ის კუთხედი ფორმისაა და აქვს დაჭრელებული მოაჯირი. მეორე კედელთან მოთავსებულია „არმანი“, რომელშიაც გამომცხვარ პურს და კერძს ინახავენ. არმანზე დგამენ ვარცლს. წყლის ჭურჭლად იხმარება კოკა, თუნგი და განსაკუთრებით „საგომელა“, რომელიც მთლიანი ხისაგან არის გამოთლილი. ტანისამოსს და თეთ-რეულს ინახავენ ჩუქურთმებითა და ლამაზი სახეებით დაჭრელებულ სკივრებში. ორნამენტისა და მოჩუქურთმების მხრივ ძველი სკივრები გაცილებით უფრო მხატვრულადაა შესრულებული, ვიდრე შემდეგი დროის, რომლებსაც ახასიათებს ორნამენტის სისადავე და ამოჭრის დაბალი ტექნიკა.

ტანთჩაცმულობის და მოკაზმულობის მხრივ, რაჭა უკვე თანამედროვე ფორმაზეა გადასული. მხოლოდ მოხუცი ქალები ატარებენ ძველ რაჭულ კოსტიუმს, განსაკუთრებით სოფ. ღებში, სადაც დღესაც მრავალი ასეთი კოსტიუმია სკივრებში ჩალაგებული.

ეს კოსტიუმები შედგება მრავალი ნაწილებისაგან: გრძელი და გვერდებჩაჭრილი პერანგი, რომელსაც ქვეშ იცვამენ. მასზე იცვამენ ფერად დაბამბულ საგულეს. საგულე პერანგზე უფრო მოკლეა. ზემოდან იცვამენ ყუთმაჯიან „კაფთარას“ (კაბა), რომელიც თავისი ჭრილობით წააგავს ქართულ ყუთმაჯიან მამაკაცის კაბას. წელზე იკრავენ გრძელ სარტყელს და იფარებენ წინსაფარს. გულმკერდს იმკობენ: ნიშნის ბალთით, ვერცხლის ღილით, ჟინჟღილით, ფიფინდურეებით, „ანგაროზი“ და სხვა სამკაულებით.

თავზე ხურავთ თეთრი მატყლისაგან შეკერილი და უკან ირიბად ჩამოგრძელებული „ჩიქილა“, რომელსაც ქვემოთ მოყოლებული აქვს „ფოჩი“ და „ჩიმჩიყი“. ჩიქილაზე იხვევენ თავშალს, „თავსაკონად“ წოდებულს.

ფეხზე იკეთებენ საწვივეებს, რომელსაც „წვივსაკონით“ – „ლეკვერთხებით“ იკრავენ. იცვამენ წინდებს, წუღებს „კვახუჯებს“ (უბრალო ქალამანი) და ბანდულებს. ხელის თითებს იმკობენ სარდიონის თვლებიანი ბეჭდებით.

ამ რაჭული კოსტიუმების უმეტესი ნაწილი შავი სატინისაა, მაგრამ აქ მოიპოვება აგრეთვე ფერადი ფარჩა-ატლასისაგან შეკერილი და მდიდრულად მორთული კოსტიუმებიც. ქსოვილები ადგილობრივი არ არის. ყველა ფაბრიკულია და სხვადასხვა შორეული ქალაქიდანაა შემოზიდული. საყურადღებოა, რომ ამ რაჭულ ტანისამოსს თავისი წარმოშობით უეჭველი კავშირი აქვს ძველებულ ქართულ კოსტიუმთან. და ეს რაჭული „კაფთარიც“ თავისი ფორმითა და ჭრილობით ქართული ყუთმაჯიანი კაბის პროტოტიპია.

დღეს ეს ძველებური კოსტიუმები უკვე ისპობა. მას ატარებენ მხოლოდ მოხუცი დედაკაცები. ახალი თაობა იმოსება თანამედროვე ფორმისა და მოდის ტანისამოსით. მამაკაცები ატარებენ ჩვეულებრივ იმერულ ჩოხა-ახალუხს და შარვალ-ხალათს. სოფლის ქალები იცვამენ შავი სატინის მოკლე კაბას და გრძელ ზედატანს. თავპირს იხვევენ შავი ან თეთრი მოსახვევით, ტანისამოსი სადაა, უსამკაულო და გაუწყობელი. ყველაფერი ეს ფაბრიკულია.

ახალ წელიწადს მთის რაჭველი დიდი მოწიწებით ეგებება, რომლისაგანაც ის მოელის თავისი წლიური სურვილების განაღდებას. ახალი წლის წინა დღით თითოეული გლეხი ოჯახში ერთ მარხილ შეშას მოიტანს. ამ მარხილზე დებენ ჩიჩილაკს, „ნეკერს“ (თხილის ბიბილო) და „თომს“ (ფეხის თივა).

ამავე დღეს საახალწლო ღორს კლავენ. ვისაც ღორი არა ჰყავს „ნებიერს“ (ნასუქი მოზვერი). ღამე აცხობენ საახალწლო „ბაჭულებს“, მათში ერთს ძველი წლისათვის. აგრეთვე აცხობენ ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს „კერია-ბერიად“ წოდებულს, რომელიც პატარა რკალებითაა დაჭრელებული. ამ ნამცხვრებს ოჯახის მეკვლე „მაკვრიელი“ ცხრილზე დაალაგებს, გვერდში საზედაშედ ერთ ბოთლს ღვინოს მოუდგამს და ბეღელში შეინახავს.

მამლის ყივილისას მეკვლე ადგება და ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გადის და მარხილზე დაწყობილ ნაკერს, თომს და ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა. აქ ცხრილს აიღებს და ყველა ამით უკანვე სახლში შემობრუნდება. აიღებს „კერია-ბერიას“ პურს და საფუარზე დადებს, აბრუნებს მას მარჯვნივ და ხმამაღლა მეტყველებს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, დიამც მოგივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგათ ყოფნის, ღვინიანობის, პურიანობის, საქონლის გამრავლების. ღმერთო, ბედნიერი წელიწადი მოგვიბრუნეო“. ბოლოს, ხმის აწევით დაიძახებს: „მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოთ ღმერთმანო“.

შემდეგ ოჯახის მეკვლე ცხრილს ვარცლზე დაადგამს და წყლის მოსატანად წავა, რომლის დაბრუნებამდე ლოგინიდან ყველანი დგებიან და მეკვლეც მათ ხელ-პირს აბანინებს. ხალხის რწმენით, ამით ძროხებს მთელი წლის განმავლობაში კარგი წველა ექნებაო.

მეკვლე აგრეთვე ბოსელში შედის და იქ ახალ წელიწადს საქონელსაც მიულოცავს და თან თივასაც დაუყრის. საუზმის წინ „კერია-ბერია“-ს პურიდან ბეჭდებს ამოჭრიან და ყველას სათითაოდ დაურიგებენ, დანარჩენს კი ბეღლის თითოეულ თვალში ჩადებენ, ბარაქიანი მოსავალი იქნებაო. ახალ წელიწადს ყველანი ფუსფუსებენ და მხიარულობენ, რომ სიზარმაცე და სიავე არ დაეკვებოთ. მეკვლეს ირჩევენ კარგი ფეხისას, რომელზედაც დამოკიდებულია ოჯახის ბარაქიანობა. მეკვლეს მოლოცვამდე ოჯახში არავის უშვებენ.

ამ დღეს მონადირეები „იმზნიან“, ე.ი. ნიშანში ვარჯიშობენ და ამის მიხედვით მომავალზე წინასწარმეტყველებენ. იციან ერთმანეთის ძღვენით მოკითხვა და ახალი წლის მილოცვა.

ერთი სიტყვით, ახალი წლის ეს რიტუალი დაკავშირებულია მზის ღვთაების რწმენასთან, რომლის მკრთალ ანასახს აქ წარმოადგენს ადამიანის სახიანი ნამცხვარი „კაც-ბასილა“. და ამ ახლად მოქცეულ მზეს მთიელი მეკვლე შესთხოვს ჭირნახულის დოვლათიანობას, საქონლის გამრავლებას, ოჯახის ბედნიერებას და საერთოდ მშვიდობიანი წლის მობრუნებას. რაც შეეხება საახალწლო პურს „კერია-ბერიას“, როგორც მისივე სახელი მოწმობს, ის დაკავშირებული უნდა იყოს ოჯახის კერის თაყვანისცემასთან, რომელიც ოჯახის უხუცესი წევრის სადგომად ითვლებოდა. და ამ ოჯახის მფარველ ბერს (უხუცესს) რაჭველი მეკვლე, მისი გამოსახულების „კერია-ბერიას“ პურზე შესთხოვს ოჯახის ბარაქიანობას.

წყარო 2: დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი. თბ., 1983

ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებები ლეჩხუმში ბარული ტიპის მეურნეობას ქმნიდა, განვითარებული ***მეღვინეობა-მევენახეობით, მემინდვრეობით***, ***მესაქონლეობით***.

ცაგერის საყდრის გამოსავლის დავთარში, რომელიც XVII ს-ის ბოლოს ეკუთვნის, ჩამოთვლილია გლეხებზე შეწერილი გადასახადები, რომლებშიც კარგად ჩანს ლეჩხუმელი გლეხის მაშინდელი მეურნეობის დარგები. აქ იხსენიება ღვინო, პური, ღომი, ცერცვი, ძროხა, ცხვარი, ტახი, ბატი, ქათამი, თევზი, სანთელი. XVII-XVIII საუკუნეებიის საბუთებში ჩანს საზღვრები და სათიბი, ქერი და სიმინდი, ცხენები, ხარ-ძროხა და თხა. მეფუტკრეობის განვითარებაზე მეტყველებს ხშირად ნახსენები თაფლი და სანთელი.

ღვინოს ლეჩხუმში იმდენს ამზადებდნენ, რომ მას ადრევე ჭარბად ჰყიდდნენ. XV ს-ის მიწურულის ერთ საბუთში საუბარია აქ ნაყიდ 400 საპალნე ღვინოზე, რომელიც სვანებს წაუღიათ. XIX ს-ში ცნობილი იყო ორბელისა და ჩხუტელის, ჭყვიშის, უსახელოსი და ოყურეშის, ალპანა-ზოგიშის, ტვიშის, ორხვისა და დერჩის ვენახები. ყურძნის მრავალგვარ ჯიშებში, რომლებსაც აქ ახარებენ, საირმულა და ორხულა. შესაძლოა აქაურ სოფელთა სახელები ჰქონდეთ ყურძნის ჯიშებს – უსახელაურს, მურს. ყურძენი და ღვინო ლეჩხუმში ახლაც ბევრია და საუკეთესო ხარისხის. ორბელი, ოყურეში, უსახელო, ტვიში თუ დერჩი ღვინის ძირითადი მწარმოებლები არიან.

ხორბალს ლეჩხუმში ახლა აღარ თესავენ. XX საუკუნის 20-იან წლებში კი ჯერ კიდევ იყო იფქლის, ზანდურის, მახას ყანები. ეს უკანასკნელი ველურიდან კულტურულ პურეულში გარდამავალი ჯიშია. საინტერესოა, რომ ლეჩხუმში დადასტურებულია ზანდურისა და მახას „საკრეფავი“ იარაღი – შნაკვი, რომლითაც ნამგლისაგან განსხვავებით, მხოლოდ თავთავის მოგროვება ხდებოდა. ზანდური და მახა რაჭა-ლეჩხუმისათვის ენდემური (მხოლოდ აქ გავრცელებული) მარცვლეულია; მათთან ერთად შნაკვის თანაარსებობა კი აშკარად მიუთითებს, რომ „მსოფლიოში პურეული

მცენარეების აკულტურაციის ერთ-ერთ წრეში რაჭა-ლეჩხუმიც შედის“.

XIX საუკუნესა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში ლეჩხუმში უმთავრესად მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ღომი, ფეტვი, ლობიო, ცერცვი, მუხუდო, ოსპი, კარტოფილი. მარცვლეულის ნათესების უმეტესობა ცხენისწყლიპირას, ცაგერსა და სარეწკელას შორის იყო. მემინდვრეობის ხარჯზე ახლა ძალიან იმატა მეხილეობამ, რომელსაც უკვე საბაზრო მნიშვნელობაც აქვს. ხილი აქ კარგი იცის და ძალზე გემრიელი.

ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, ლეჩხუმში აქლემისა და ვირის გარდა, ყოფილა ყოველგვარი პირუტყვი, ოღონდ არცთუ მრავალი. მესაქონლეობას, ჩანს, იმთავითვე მეურნეობის დამხმარე როლი ჰქონია. ეტყობა გავლენა იქონია საძოვრების ნაკლებობამ და ტყეების სიხშირემ. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი სანადიროდ იყო ხელსაყრელი და მოსახლეობაც მესაქონლეობის პროდუქტს ნანადირევით ივსებდა. ლეჩხუმის ზოგიერთი ტოპონიმი აქაურ მესაქონლეობას ეხმიანება. ასეთებია, მაგალითად, ლაილაში – რაც სვანურად საცხვრეს ნიშნავს, ლეკურა – ძროხის საძოვარს, ლახამეილასი – „საღორიას“, ოკრიბა – საბატკნეა ზანურად და სხვა.

ნიშანდობლივია ამ მხრივ ლაბეჭინაში დამოწმებული ბურვაკის მსხვერპლად მიტანის ჩვეულება. ეს მოვლენა ღორის კულტს უკავშირდება, რომელიც ქართველი ტომების უძველესი სარწმუნოების კომპლექსში შედიოდა. ღორის დაკვლა შესაწირავად ახლაც წესია კახეთში, ნეკრესის უძველეს ტაძართან.

ლეჩხუმელთა რაციონში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თევზს, განსაკუთრებით ძველად, როცა მარხვას ინახავდნენ. თევზი, აქ, მთის მდინარეებში ყოველთვის ბევრი იყო. ზოგი მკვლევარი იმასაც კი ვარაუდობს, რომ თვით ქვეყანამაც სახელწოდება მიიღო მეგრული სიტყვისაგან „ჩხომი“ თევზი. XVII-XVIII საუკუნეების აქაურ საბუთებში ეკლესიის სასარგებლოდ შეწერილია თევზი. ამას გარდა, აქ ჩანან შერჩეული მეთევზე გლეხები, რომელთაც სხვა არაფერი ევალებათ გარდა ეკლესიის სასარგებლოდ კალმახის ჭერისა ბაბუშერას ტბასა და ასკის წყალში.

ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრეებიდან ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხისა და ქვის საშენ მასალას, საჭურჭლე თიხას. საშენი ხე იყო ხვამლის, ზოგიშის, ქულბაქის ძველ ტყეებში და ლეჩხუმლებიც ცნობილი ***ხის ოსტატები*** იყვნენ. ზოგჯერ მასალად იყენებდნენ ვაზსაც, მაგალითად, კარისათვის.

ცხენისწყალზე საუბრისას, რომელიც ლეჩხუმის აღწერას უძღვის წინ, ვახუშტი გვაწვდის კიდევ ერთ საინტერესო ცნობას ვაზის გამოყენების შესახებ: „არამედ წყალი ესე ვინაიდან არა უტევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთვის შესწვნენ ვაზისაგან და გააბამენ ამიერ კიდით იმერამდე, და დაუბამენ ვაზისგანვე საჴელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქვეითნი მას ზედა“.

მეჭურჭლეობით განთქმული იყო საირმე, რომლის არე-მარეზე – უთილაშში კახურაშსა და არმოდიაში საუკეთესო ხარისხის თიხა მოიპოვებოდა. აქ ამზადებდნენ ყოველგვარ ჭურჭელს, რომლის შესაძენად მოდიოდნენ რაჭა-ლეჩხუმიდან, ქვემო სვანეთიდან.

საირმის უდაბნოში იჭრებოდა ე.წ. ბაღდადის ქვა, თეთრი ფერის, ადვილად საჭრელი, კარგი ***საშენი მასალა***. ამიტომაც აქაური კალატოზები ფართოდ იყვნენ ცნობილნი. საერთოდ კი ქვით ხურობის ძველი მშვენიერი ნიმუშევრები ახლაც არაერთია ლეჩხუმში, რაც ამ საქმის ტრადიციულობას ადატურებს. კირის ფართოდ გამოყენების მოწმობა ტოპონიმიასაც შემორჩენია: ნასაკირები ადგილის სახელად გვხვდება ლუხვანოში, ლეშკაშში, ორხვში, ალპანასა, ლახეფაში და სხვაგან.

მურის ციხე თავისი მდებარებითა და მიუვალობით ერთ-ერთი შთამბეჭდავი ციხეა მთელს ლეჩხუმში. იგი მდებარეობს ზუსტად სვანეთ-ლეჩხუმის საზღვარზე, ცხენისწყლის ვიწრო გასასვლელში, კლდოვანი ქედის თხემზე, რომელიც პერპენდიკულარულად ებჯინება მდინარის მარცხენა ნაპირს. ეს დიდი მნიშვნელობის სიმაგრე ყოველთვის მოქმედი იყო; გვიან პერიოდში დადიანებს მურში სამთავრო-სასახლე ჰქონდათ; 1770 წ. ამ სასახლეში გარდაიცვალა ერეკლე მეორის და – ელისაბედი, რომელიც კაცია დადიანის მეუღლე იყო. იგი ცაგერის ეკლესიაში დაკრძალეს. მურის ციხე გზაჯვარედინს კეტავდა: ლაჯანურას ხეობიდან ცხენისწყლის ხეობაში გადმოსული გზა, ორბელსა და ჩხუტელზე გამოვლით, ციხის ქვეშ ხიდთან გამოდიოდა. ამის შემდეგ ერთი გზა ლენტეხისგან აყვებოდა მდინარეს, მეორე კი, მარჯვენა სანაპიროთვე ცხენისწყალს ქვემოთ ჩამოყვებოდა.

ციხის გაღმა, მარჯვენა, კლდოვან ნაპირზე მდგარა ერთი კოშკი, რომელსაც ***რაგვის ციხე***, ანუ ***ლაწუნდარა*** რქმევია. იგი მურის მდინარისპირა კოშკის სიმაღლეზეა და მისი თანადროული ნაგებობა უნდა იყოს. ცხადია, სიმაგრეთა ამ სისტემით, მურის გასასვლელი ცხენისწყალთან საიმედოდ იკეტებოდა.

ორბელის ციხე ლეჩხუმის ერთ-ერთი დიდი და ძლიერი სიმაგრეა. იგი გაბატონებულია ლაჯანურის მთელ ხეობაში ლაშიჭალიდან ორპირის კლდეკარამდე. ციხე დაშენებულია მაღალ კლდეზე, მისასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს. აქედან ციხე ადვილად მისადგომია და ამიტომაც ეს მხარე ყველაზე უკეთ არის გამაგრებული მაღალი, კოშკებიანი გალავნით. ერთი კოშკი შესასვლელს

იცავდა. მისი კედლები მაშიკულებით მთავრდებოდა. ყორე ქვით ნაგები გალავანი დიდ ტერიტორიას ზღუდავდა ყველა მხრიდან. ციხეში შესვლა კარის კოშკის გავლით შეიძლებოდა. ციხე ორ დონეზეა განლაგებული. ზედა ციხე, ანუ ციტადელი აგებულია კლდოვან შემაღლებაზე. იგი ეზოს შუაგულისაკენ წრიული ფორმის, საბჯენი კედლით შემაგრებული ბაქნით იკვრება. ამ ბაქნიდან არაჩვეულებრივად მდიდარი ხედი იშლება: მთაგრეხილებით, ხეობებით, სოფლებით, ზვრებითა და მთებზე, ხეებში შემალული სალოცავებით. აღსანიშნავია ორბელის ციხის განუმეორებელი მხატვრული სახეც. მისი მნიშვნელობა სცილდება ადგილობრივ საზღვრებს და იგი ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს უმნიშვნელოვანეს ციხე-სიმაგრეთა შორის. ორბელის ციხე, მურის ციხის მსგავსად, შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნეში მოქმედი ციხე-სიმაგრე იყო. ამას განაპირობებდა მისი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა და ღონიერი სამეურნეო რაიონი.

1263-64 წლებში საქართველოში ორმეფობის შექმნისას, ნარინ და ულუ დავითმა „განყვეს სამეფო და საჭურჭლენი, გარნა ***ხვამლისა*** ქუაბსა რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვნეს, და უფროსი ქუაბსავე დაუტევესო“, მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი. ცხადია, ეს ფაქტი რომანტიკულობის ბურუსს მატებდა ხვამლის მთას და ხალხურ თქმულებებს ასაზრდოებდა. 1940-იან წლებში ხვამლის ქვაბები ალპინისტურ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია. აღმოჩნდა, რომ კარსტული წარმოშობისა და შემდეგ გაფართოებული მთავარი გამოქვაბული, რომელშიაც წყარო გადმოდის, წინიდან მოზღუდული ყოფილა ქვითკირის მკვიდრი კედლით. აქ სხვადასხვა სიმაღლეზე დატანებულია სარკმელები და საჭვრეტები. შიგნით ორი სამი სართულია გამართული. ამ ქვაბის ზემოთ, კლდეში გამოჭრილია მცირე, უაღრესად ძნელად შესასვლელი გამოქვაბული, რომელშიც საჭურჭლე უნდა შენახულიყო. ქვემოთაც გრძელი და განიერი ბაქანია გამოკვეთილი. ეს მრავალსენაკიანი, ქვეთკირ-აგურით ამოყვანილი ნაგებობა, მცველი რაზმის სადგომად არის მიჩნეული. ამ ბაქანზე თხრისას თავი იჩინა კერათა ნაშთებმა და ჩვეულებრივმა მოუჭიქავმა კარამიკამ. ესოდენ მიუვალი საგანძურის მოწყობა უფრო XIII საუკუნეში უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც საქართველოში განუწყვეტელმა შიშიანობამ დაისადგურა (ჯალალ ედ-დინი, მონღოლები).

მეთოდური მითითებანი

წყაროში რაჭის შესახებ მოცემულ ამ ვრცელი ინფორმაციიდან მასწავლებელი ირჩევს 1 ან რამდენიმე თემას და მის შესახებ ესაუბრება მოსწავლეებს. ეს თემებია: მეურნეობა, ოჯახი, საცხოვრებელი სახლი, ტანსაცმელი, ახალი წელიწადი, ციხე-სიმაგრეები. ასევე შესაძლებელია ამ თემების გადანაწილება მთელ კლასზე ჯგუფების მიხედვით. მაგრამ მასალის სიდიდიდან გამომდინარე, მას ცალკე უნდა დაეთმოს მთელი გაკვეთილი.

თითოეული ეს თემა უნდა დაეფუძნოს სწავლებას შედარებითი მეთოდის მიხედვით – იხ. ცხრილი.

სასარგებლო ბმულები:

http://saunje.ge/index.php?id=1273&lang=ru
http://saunje.ge/index.php?id=794&lang=ru

თემები	**შესადარებელი ობიექტები**	**შესადარებელი საკითხები**
მეურნეობა	რაჭა და ლეჩხუმი	მეურნეობის დარგები და ძირითადი აგროკულტურები
ოჯახი	რაჭა, სვანეთი და იმერეთი	ქცევის წესები
საცხოვრებელი სახლი	რაჭა და სვანეთი	შიდა სივრცე
ტანსაცმელი	რაჭა და შიდა ქართლი	ტრადიციული სამოსი და მისი მორთულობა
ახალი წელიწადი	რაჭა, შიდა ქართლი, გურია-სამეგრელო	ახალი წლის შეხვედრის ტრადიციები
ციხე-სიმაგრეები	ლეჩხუმი და სამცხე-ჯავახეთი	მისადგომობა და გარეგნული იერსახე

წყარო: პ. გიორგიძე (ჭარაია). აფხაზეთი და აფხაზნი. თბ., 2011.

აფხაზი მეტად თავაზიანი, დარბაისელი და პატივისმცემელია უფროსთა. ყველა ეს გამოიხატება ათას სხვადასხვა ცხოვრების წვრილმანში. აქ ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, ყოველდღიური საზოგადოდ, საჭმლის მიღების წინ და შემდეგ, აფხაზებში მუდამ ხელს იბანენ. ამ შემთხვევაში პირველად ხელს იბანს უფროსი და შემდეგ სხვები, რიგ-რიგად, უფროს უმცროსობის მიხედვით. აგრეთვე იგივე წესია დაცული ღვინის სმის დროს. ამიტომ, ყოველ ამგვარ შემთხვევაში აფხაზები ერთმანეთს ეთავაზებიან და ეპატიჟებიან, რომ ერთმა მეორეზე უწინ მიირთვას ღვინო, ან დაიბანოს ხელი. ამ თავაზიანობასა და პატიჟობაში მართლაც ბევრი დარბაისლური და თავაზიანი სიტყვები იხარჯება: „შენი ჭირიმე, შენ არ მომიკვდე“, ყველა ესენი არ მომიკვდეს“, გამჩენი ღმერთის მადლმა“. გაზრდილის სახელსაც ფიცულობენ.

როდესაც ერთი ვინმე პირველ ღვინოს დალევს ან ხელს დაიბანს, შემდეგ იგივე ცერემონია იწყება დანარჩენებში და ასე ბოლომდის. გარდა ამისა, როდესაც უფროსი ხელს იბანს, უმცროსნი ფეხზე წარმოდგებიან. უფროსი ამ დროს ცდილობს ჩვეულებრივი დარბაისლური სიტყვით დააჯეროს, რომ დაბრძანდნენ. თუ ამგვარი სიტყვის ძალითაც ვერა გააწყო რა და არ დაჯდა ის, ვისაც არ ეკადრება ფეხზე დგომა მის ხელის ბანის დროს, მაშინაც თვითონაც დგება და ფეხზე მდგომარე იბანს ხელს. აგრეთვე სახლში შესვლის დროს კარებთან იმართება თავაზი და პატიჟობა სტუმრებს შორის, ანუ სტუმართა და მასპინძელთა შორის, რომ ერთი მეორეზე წინ შევიდეს. ცხენზე შეჯდომის დროს უფროსს უმცროსი უჭერს აბზინდას, უზანგს, პირველი კი ეხვეწება ნუ სწუხდებიო. ორი ცხენოსანი შეიყარნენ, ვთქვათ, თუ გინდა, ტყეში. უმცროსს მათგანს სათქმელი აქვს რამე. არ შეიძლება ცხენზე იჯდეს და ისე უთხრას, ჩამოხტება და დაიწყებს ლაპარაკს. მეორეც, თუ შესაფერისად დაინახავს, ცხენიდან ჩამოხტება, ან არადა ეტყვის, რად შესწუხდი, მჯდარიყავიო. ვთქვათ, ორნი მიდიან და ერთი მიუახლოვდა თავის სახლს, მეორემ არ გადაუხვია თავისი თანამგზავრის სახლში, თუმცა თხოვნა ბევრი დაახარჯა. ეს მეორე თავის თანამგზავრს უცერემონიოდ როდი დაანებებს თავს და როდი შევა შინ; უთუოდ გაჰყვება, გააცილებს და მანამ არ დაბრუნდება უკან, სანამ თავისი ამხანაგი ჩვეულებრივი თხოვნით არ შეაწუხებს და ასჯერ არ ეტყვის: დაბრუნდიო, ნუღარ სწუხდებიო.

ძღვენით მისვლა-მოსვლა, „ძღვნობა“ მეტად გავრცელებულია აფხაზთა შორის. მაგალითად, აფხაზს არა ჰყავს ცხენი, უნდა კი შეშინოს, მაგრამ ფასი არა აქვს, გადასაცვლელი საქონელი არა ჰყავს. ფასად ასში ერთი ცხენი არ იყიდება და არც გაიყიდება აფხაზეთში, თუმცა, საზოგადოდ, განსაკუთრებით თავადაზნაურობა, დღეობით კი არა, საათობით იცვლის ცხენს. ამ შემთხვევაში უქონელს მიჰყავს ვერძი, ანუ ვაცი და მიაქვს სხვა ხორაგეულობაც, რომელსამე თავადთან, აზნაურთან ან შეძლებულ გლეხთან და იქ შოულობს ცხენს. ასე თუ ისე, აფხაზს კარგად შეუგნია აზრი იმ ლექსისა, რომელიც ამბობს: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია“.

ისე არა უყვარს რა, როგორც ცხენი და იარაღი, აფხაზურად „აბჯარ“, არა მარტო მაღალ წოდებას, არამედ დაბალსაც. ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ყმაწვილი მაღალი წოდებისა, ჩინებულად ხმარობს ცხენსა და იარაღს, თითქოს დედის მუცელშივე ესწავლოს. იარაღი: დამბაჩა, ხმალი, ხანჯალი, დანა, სადგისი, და სხვ. განუშორებელი მეგობარია აფხაზისა. როდესაც აფხაზი ასეა შეიარაღებული, ზის ცხენზე, ნაბადი გვერდზე აქვს გადმოგდებული და მიდის, მიიმღერს, ცხენს მიათამაშებს თავის ტოლ-ამხანაგებში, მაშინ არის მისი აღდგომა, დღესასწაული. აფხაზს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება უცხენოდ იცხოვროს კაცმა და ამიტომაც ნახევარზე მეტ სიცოცხლეს ცხენზე ატარებს.

საზოგადოდ, ცხენოსნობა და ცხენზე თამაში გავრცელებულია არათუ მაღალ, არამედ დაბალ წოდებაშიც. პირველად ყველა საერთო თამაშობათა შორის, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სულისა და ხორცის ვარჯიშობაში, ცხენოსნობა და ჯირითი უნდა დავასახელოთ.

ამრიგად, ცხოვრების უმთავრეს სახსარს, მუდამ საზოგადოებაში გართული და თავის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე ნაკლებად მზრუნავი აფხაზისას, შეადგენს მიწათმოქმედება და პირუტყვთა მოვლა. ფუტკრის ყოლასაც მეტად ხელს უწყობს აფხაზეთის მდიდარი ბუნება. მთის კალთებზე მდებარე სოფლებში მცხოვრებთ ბევრს ორასი და მეტი სკა უდგათ.

აფხაზები თესენ მარტო სიმინდს და სალოცავებისთვის ასში ერთჯერ პურს. სიმინდმა სრულიად გააძევა აფხაზეთიდან ღომი. გარდა სიმინდისა, შინ სახმარებლად აფხაზებს მოჰყავთ თამბაქო, ბამბა, სელი, კანაფი და მცირეოდენი ბოსტნეულობა.

უმთავრესად დოვლათს აფხაზისას შეადგენს ოთხფეხი შინაური საქონელი. საქონელი და მხოლოდ საქონელია სიცოცხლის ბურჯი, კაცის მკვებავი, მისი აღმზრდელი და შემნახველი, აფხაზისავე აზრით. უსაქონლოდ აფხაზს ვერ წარმოუდგენია ცხოვრება. უპურობასაც უფრო ადვილად გაუძლებს. აფხაზის აზრით, მწყემსები, რომლებიც უხვად ხმარობენ მარტო ხორცეულობას და რძითა და ერბოთი იკვებებიან, ნამდვილ ნეტარებაში არიან. ამიტომ აფხაზი ორიოდე საქონლის გულისათვის, როდესაც საძოვარი საკმაოდ არ ეგულება, გადადის ერთი ალაგიდან მეორეზე. მას

ამ აყრა-დასახლებას ისიც უადვილებს, რომ აფხაზებს არაფრად მიაჩნიათ ფაცხის დადმა. ისიც მოხდება ხოლმე, რომ როცა ახლო სოფელში გადასახლდება, თან მიაქვს დაურღვევლად ფაცხა სხვების შემწეობით.

სახლი – ფაცხა აფხაზისა, დიდ შესანიშნაობას არ წარმოადგენს. იგი ორგვარია გარეგანი შეხედულებით: მრგვალი დ ოთხკუთხა. კედელი ფაცხისა გეზად ამაღლებულია და თხილის მომსხო წნელები განით დაწნულია უფრო მოწვრილო წნელით. სართული კაკუტები ამ დაწნულ კედელზეა დაყრდნობილი, ხოლო ზევით თავსები ერთი-ერთმანეთზეა მიკრული ვენახით ანუ წირეხით. ლარძაყინებზე კი განით კვენდღის შემწეობით დაკრულია აქა-იქ რტყები (ფინები). ეს არახელოვნური შენობა დახურულია გვიმრით, ჩალით ან ისლით. ამგვარ ფაცხას, როგორც აღწერილობიდან ჩანს, სართული (და საერთოდ თვით ფაცხაც) კონუსისებრი ფორმისა აქვს. მეორეგვარ ფაცხას, რომელიც უსწორო ოთხკუთხოვანია, წინა კარებთან აქეთ-იქით წაბლის ხის ორი პალო აქვს ჩასობილი, რომელიც ცოტად გადახრილია ერთიმეორეზე და მათი ორპირიანი (კავებიანი) წვერები ერთიმეორეს უერთდება. ამ ხეებს, რომლებიც ცოტა არ იყოს მაკრატელსა ჰგავს, აფხაზები ეძახიან „ამარკატლ ქვას“. ამ „მაკრატელებსა“ და მეორე მხრით ერთ დირეზე გადებულია გასაყარი, რომელიც სართულზეა დამაგრებული. სართული ამ ფაცხას უფრო ჩამოშვებული, პირველისაზე უფრო მობრტყელო, ესე იგი იმერული ფორმისა აქვს. ამგვარ ფაცხას, რომელიც გაკეთდება რა სიდიდისაც გნებავთ, წინ დიდი დერეფანიც ექნება და უკან მეორე განყოფილებაც შეიძლება ჰქონდეს, რომელშიაც კაცი არა დგას, მხოლოდ სახის სხვადასხვა ხიბაკი აწყვია, და ზამთრობით საქონელსაც აბინავებენ. ფაცხას ტიხით და სხვა რათიმე არ ლექავენ, ზამთარში იქნება გვიმრა შემოაკრან და, მაშასადამე, ქარი თავისუფლად შეასისინებს და, თუ გნებავთ, წვიმაც შეატანს ხოლმე შიგნით.

ფაცხის შუაგულ ალაგას ბუნებით თლილი ქვის ან შეზელილი ნაცარ-თიხისაგან გაკეთებული კერაა (ახუთშაარა). ამ კერაში ცდილობენ გაუქრობლად ცეცხლი შეინახონ. ცეცხლის ბოლო მაღლა სახურავში გადის, ანუ ქარის კვალობაზე ტრიალებს შიგ ფაცხაში. ამიტომ მთელი ფაცხა და, განსაკუთრებით, ზედა ნაწილი ჭვარტლისაგან ისე ბრწყინავს, თითქოს განგებ შავად შეღებილი იყოს... ფაცხაში ერთ მხარეზე ტახტია გამართული, ცეცხლის პირზე დგას გრძელი და ცოტათ ფართო სკამი, რომელიც საჭიროებისამებრ ტახტობასაც ასრულებს. ტახტზე ალაგია ქვეშსაგებ-სახურავი, გამზადებული სახლის უფროსი ქალის ხელით; იქვე დგას ერთი უბრალო სკივრი (კიდობანი), რომელშიაც აწყვია კაცისა და ქალის უსაჭიროესი ნივთეულობა. ზევით კედელზე ჩამოკიდებულია უნაგირი, მათრახი და ზოგიერთი იარაღი. კუთხეში კედელთანვე დაინახავთ ღომის სამზად იარაღებს, ჩამოკიდებულ პატარა კალათას, რომელშიაც ინახება სანოვაგე, ხის ან რქის კოვზებს, ჯამებს, საწველს, გობს და სხვა წვრილმან ნივთებს. ხედავთ თუნგსა და ტაშტს, ხოლო ბევრს უკანასკნელი სულაც არა აქვს და თუნგის მაგივრობას ასრულებს გამოქვაბული მწარე კვახი, აყირო. ამას დავუმატოთ საჭრელი იარაღები, დიდი ფართე ქვა და მასზე მრგვალი ქვაც (მარილის სანაყი) და სადმე იქვე დაგდებული სალესი ქვა. აი, აფხაზის სახლის ყველა ავეჯეულობა შუათანა მოსახლისა.

ყოველდღიური და ჩვეულებრივი საჭმელი აფხაზისა ყველი, სიმინდის ღომი და მაწონია. უბრალო ღომის გარდა აკეთებენ ახალყველგარეულ ღომს (აელაჯ), რძითა და ყველით (აჩამუქუა). ზამთრობით აფხაზის საჭმელი უბრალოდ მოხარშული ხორცია. ყველა ხორცზე მეტად აფხაზს თხის ხორცი უყვარს. ღვინოსაც სიამოვნებით მიირთმევს, თუმცა უამისოდაც კი სძლებს, ხოლო უმაწვნოდ კი ვერა. კინოს და სხვ. აფხაზი არ მიეკარება. თევზსაც ძალიან ერიდება, მხოლოდ ახლა ცოტ-ცოტა შეეჩვია. ზოგიერთ ბოსტნეულ მცენარეთა ჭამა, როგორც ბალახია, აფხაზს სასაცილოდ მიაჩნია. საზოგადოდ, აფხაზს მწარე და პილპილმორეული საჭმელი უყვარს.

აფხაზის ქალი დამწყვდეული არ არის: იგი სარგებლობს დიდი თავისუფლებით. მართალია, ოჯახზე მამაკაცივით ზრუნავს და თითქმის მომეტებულადაც. აფხაზი ქალი თავის ზურგით დაათრევს წისქვილში საფქვავს, არა მარტო იმიტომ, რომ აფხაზი დაუდევარია, არამედ იმიტომ რომ ებრალება თავისი თავი და თავისი ცხენიც კი. ზოგიერთ ადგილას აფხაზი ქალი დღესაც თავისი ხელით ყოველ დილა-საღამოზე ატრიალებს პატარა ხელის წისქვილებს და ამით ჰკვებავს მთელ სახლობას. ეს კიდევ არაფერი. იგი მოცლილ დროს აკაბიწებული გვერდზე უდგას მამაკაცს და შველის თოხნა-მარგვლაში. აგრეთვე კეთილშობილთა ქალები კაცებზე ნაკლებ შრომაში არ არიან. მართალია, ყველა ეს, ცოლ-ქმრობის უღლის სიმძიმეს ოდნავ ქალისაკენ გადაჰხრის, მაგრამ ასევე აძლევს აფხაზის ქალს უფლებას და თავისუფლებას. ქალი პატივდებული არსებაა. პატარაობიდანვე სიბერემდე ყველა შესაფერ სალამს აძლევს. ქალი დადის ყველა ყრილობაზე და აღაპზე; იგი თავისუფლად ტრიალებს მამაკაცებში, ღებულობს მონაწილეობას მათთან ერთად ცეკვაში. არაერთი მაგალითი ყოფილა იმისა, რომ ხშირად ქალი წინამძღოლად ჰყოლიათ ღამით სიარულის დროსაც.

გურია

წყარო: თედო სახოკია, მოგზაურობანი. ბათუმი, 1985. ამონარიდები.

თანახმად ბატონიშვილი ვახუშტის აღწერისა, ძველ გურიას დიდი ადგილი სჭერია, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ახლა უჭირავს.

„მზღვრის ამ გურიასა: აღმოსავლეთით — მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი; სამხრეტით — ჭოროხის მდინარე და მტა მცირე ფერსათიდან ჩამოსული; დასავლეთით —აჭარა-გურიის შორისი; ჩრდილოეთ — რიონი, გურია-ოდიშს შორისი; და დასავლეთით — შავი ზღვა“.

დღეს კი, როდესაც ქობულეთი ჩამოცლილი აქვს გურიას, წინანდელი სივრცე შესამჩნევად დაპატარავებულია, სახელდობრ, მთელი გურიის სივრცე, რომელიც შეადგენს ერთ ოზურგეთის მაზრას, შეიცავს 1980,16 კვადრატულ კილომეტრს, ზედ დასახლებულია 88,760 სული მკვიდრი ანუ 43,8 კაცი კვადრ. კილომეტრზე. ახლანდელილ საზღვრები შემდეგია: სამხრეთით — მდ. ჩოლოქი და აჭარა-გურიის მთა; დასავლეთით — შავი ზღვა; ჩრდილოეთით — რიონი, რომელიც სამეგრელოდან გამოჰყოფს გურიას და აღმოსავლეთით — ნიგოითის მთა, აჭარა-გურიის მთიდან გამომავალი, რომელიც გურიას იმერეთისაგან ჰყოფს.

ოზურგეთს მთა-გორიანი მდებარეობა აქვს. ერთ ისეთ წერტილს ვერ ნახავთ, რომ იქიდან შეიძლებოდეს მთელ ქალაქს მიმოავლოთ თვალი. სამხრეთ-დასავლეთით მოსჩანს აჭარა-გურიის მთა, მდიდარი ტყეებით შემოსილი, ჩრდილოეთით — კავკასიის ქედი; დასავლეთიდან აღმოსაველთ-სამხრეთისაკენ მთაგორები იწყება აჭარის მთებამდე.

ჰავა აქ ნესტიანია. ხშირი წვიმაც იცის, თუ ერთი პირი მოიხსნა ცამ, მერე გადაღება არ მოაგონდება. სინესტის შიშით ქვითირის სახლებს აქ იშვიათად აშენებენ. უფროსერთი აქაური სახლი ფიცრისაა, კედლებს გარშემოკრული აქვთ სიმაღლეზედ თხელი ლამფები, ლურჯად შეღებილი, რაიცა თავისებურ ელფერს აძლევს იქაურ სახლებს. იშვიათად შეხვდებით აგრეთვე ორსართულიან სახლებსა, — თითქმის ყველას ერთსართულიანი ოდები უდგათ, გადახურული კრამიტით, ან როგორც აქ ეძახიან, „ქერაბინით“, რომელსაც გურიაშივე, სოფ. აკეთში, აკეთებენ. აქაური სახლის საძირკველი ადლნახევარის სიმაღლეზედა დგას, დედამიწიდან აშორებული.

ამგვარად, ნიადაგს აშორებულ სახლს ტენი არ ეკარება, კედლები მშრალად ინახება. ზამთარში ცივა ასეთ სახლებში, ქარს შემოსვლა არ უჭირდება. ბუხარი მარტო იმის ახლო მიმჯდარს თუუ გაუთბობს წინა ტანს, ზურგი კი ისევ ყინულივითა რჩება.

დუქნები აქაური ორ რიგად არის ჩამწკრივებული, ქალაქის შუა ალაგას, ეგრეთწოდებული ბაზრის-წყლის მარჯვენა მხარეს. შენობები დუქნებისა სულ ქვიტკირისაა. ამ ჩვიდმეტი წლის წინად კი სულ ხის დუქნები ყოფილა აქა. ერთ მშვენიერ დღეს ოზურგეთს ცეცხლი გასჩენია და ერთ ღამეში თავიდან ბოლომდე გადაბუგულა აქაური დუქნები. ხალხი დაშინებულა და ხის დუქნები აქ აღარავის დაუდგამს.

ვაჭრობა სულ გურულების ხელშია. მათ შორის ორი ლაზიც ურევია. მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც ბატონიშვილი ვახუშტი მოგვითხრობს თავის „საქართველოს ღეოღრაგიაში“, ოზურგეთში ებრაელები და სომხებიც ყოფილან ვაჭრებად. პლატონ იოსელიანიც ამბობს „საქართველოს ქალაქების აღწერაში“, რომ ოზურგეთის მკვიდრთა შორის ურიები და სომხებიც არისო. არ ვიცით, ამ საუკუნის დასაწყისში იყვნენ თუ არა ოზურგეთში ისინი, მაგრამ 1850 წელს კი, როცა პატივცემულმა ისტორიკოსმა შეადგინა თავისი წიგნი („საქართვეოს ქალაქების აღწერა“) ოზურგეთში რომ არც სომეხი იყო და აღარც ებრაელი — ეს ეჭვს გარეშეა. ამას მოწმობენ თვით დროული კაცები, ოზურგეთის მკვიდრნი. თუ ისინი როდესმე იყვნენ ოზურგეთში, ახლა კვალ-წმინდად ამოუკვეთნიათ ფეხი აქედან. უცხო თესლის ვაჭარს გურულები თავიანთ შორის არ აბოგინებენ. ამ შემთხვევაში ძალიანა ჰგავს გურულები მეგრელებსა და იმერლებს. ყოველგვარი ხელობაც სულ გურულების ხელშია. ზეინკალი, მეწაღე, მეთუნუქე, მისუსე, კალატოზი, დურგალი, ხურო, ხარაზი, მჭედელი, მღებავი, ყასაბიც კი, — სულ გურულები არიან.

დიდი ხანი არ არის, რაც გურულებს ვაჭრობისათვის ხელიმოუკიდნიათ. ამ ოცდაათ, ორმოცი წლის წინათ ერთ გურულსაც ვერ ნახავდით თურმე ვაჭარს ოზურგეთში. მთელი ვაჭრობა ხელში ჰქონიათ ლაზებს. იმდროინდელი კომერსანტები ყოფილან ქართველი კათოლიკე თუმანიშვილები-ცა, რომლებიც დღემდე ცხოვრობენ ოზურგეტში, მხოლოდ არა ვაჭრობენ, არამედ მოქალაქეებად ირიცხებიან. მაშინ გურულებს სირცხვილად მიაჩნდათ ვაჭრობა. არც გული მიუწევდათ, იმიტომ, რომ კანონი არ არსებობდა მშვიდობიანი ცხოვრების მფარველი, ძალმომრეობა იყო გამეფებული. ბატონს შეეძლო თავისი ყმა-ვაჭრისათვის ყველაფერი წაერთმია. თუ ერთი-ორი ვინმე გულს არ იტეხდა და მაინც ვაჭრობდა, უეჭველად თოფ-იარაღში უნდა მჯდარიყო, კბილით ეჭირა ვაჭარს საქონელიცა და სიცოცხლეცა. გარეშე მტერიცა და შინაური უსაქმური მებატონეებიც ვაჭარსა და

ფულიანს ემტერებოდა, ისე რომ ათასგვარ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული ვაჭრის ბედი. როგორც მოგეხსენებათ, ასეთ პირობებში ვაჭრობა ველარ ბოგინებს, უფრთხის ასეთ პირობებსა. ხოლო როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, რაკი პატივი დაედო პიროვნებას, ძველებური, ბატონ-ყმური შეხედ-ულება მოისპო, არა თუ მსწრაფლ შეითვისა საიდუმლოება ვაჭრობისა, არამედ ისეთი შნო და უნარყ გამოიჩინა, რომ სხვას, მასზე ადრე სავბაჭრო სარბიელზე გამოსულს, გადააჭარბა, წინ გაუსწრო და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ თავისი მეტოქე იძულებულყო აბორგებულიყო, გასცლოდა. ახლა გუ-რულ ვაჭარს არა მარტო ოზურგეთში შეხვდებით, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში და თვით რუსეთშიც. თან, წინდახედულისა, ანგარიშიანისა და გაბედული ვაჭრის სახელიცა აქვს განთქმული.

აქაური ვაჭრები ქართულად არიან ჩაცმულნი, ათასში ერთი თუ ატარებს ევროპულ ტანისამოსს. მაგრამ ისე კი აცვიათ, რომ მაშინვე შეატყობთ, მოქალაქეთა რომელ კლასს ეკუთვნიან. აი, ჩაცმულობაც დარბაისელი ვაჭრისა: შალის ან მაუდის ჩოხა კოჭებზედა სცემს, ვერცხლის ქამარი არტყია, ვერცხლისავე ცატი ჰკიდია გრძელძეწკვიანი, შარვლის ტოტები წაღებზე გადმოშვებული აქვს, თავთ ხურავს, თუ ზაფხულია, ჭილოფის ქუიდ და დასასრულს ხელთ უჭირავს ქარვისა ან გიშრის კრიალოსანი. აი, გარეგანი სახე აქაური ვაჭრისა. ზამთარში ამ ტანისამოსს უმატებს პალტოს, რომლის ქვეშიდან ჩოხის ტოტები ურცხვად გამოიყურება, და მხრებზედ წამოსხმული აქვს პლედი. გურულ ვაჭარს ჩაცმულობაში ძალიანა ჰგვანან მისი ძმები — მეგრელები და იმერლები.

პარასკეობით ბაზრობა, ანუ, როგორც აქ ეძახიან, „პარასკეობა“, იციან. გარშემო სოფლებიდან შემოაქვთ გასასყიდად ყოველგვარი ნაწარმოები სოფლისა: ხილი, მწვანილი, ფრთოსანი, ოთხფეხი, სხვადასხვა ნაქსოვები, როგორც აბრეშუმისა, ისე მატყლისა, თიხის ჭურჭელი, ქვევრები, კოკები, დოქები, მჭადის საცხობი კეცები. ბაზარშივე გამოქვთ გათლილი ფიცრები.

თუ საზოგადოდ საქართველოს შესახებ ითქმის — მეურნეობის დედააო, ამ სახელის ღირსია კერძოდ მისი ერთი საუკეთესო ნაწილი — გურია. ყველაფრით არის შემკული ეს მხარე: ნაყოფიერი ნიადაგით, უხვი მცენარეულობით, ზომიერი ჰავით. ყველა ეს ისეთი პირობებია, რომ მეურნე თავისი შრომისათვის ერთი-ასად ჯილდოვდება. მხოლოდ ეს ბუნებრივი სიმდიდრე შემმუშავებელს მოელის, მოელის შეგნებულ მუშას, რომელიც გონივრულად გამოიყენებს ბუნებისაგან მუქთად მოწვდილ სიუხვეს. მეურნეობა კი ამ სამეურნეო მხარეში ჯერ ისევ პირველყოფილ მდგომარეობაშია. იქ, სადაც ყოველ უმაღლეს კულტურას, ჩაის მცენარისა და ფორთოხალ-ზეთისხილიდან მოკიდებული, შეიძლება მოჰკიდოს ხელი, მთელი მეურნეობა მარტოოდენ სიმინდის თესვით განისაზღვრება; იქ, სადაც საუკეთესო ჯიშის ვაზის მოშენება და შამპანისებური ღვინის დაყენება შეიძლება, მწკლატე „ადესის“ ღვინის კეთებას სჯერდებიან. იქ, სადაც ბუნება ხელს უწყობს მეოჯახეს აბრეშუმის ჭია წელიწადში ორჯერ გაიჩინოს და საუკეთესო აბრეშუმეულობით უცხო ქვეყნებს კონკურენცია გაუწიოს, სწორედ ამ უცხო ქვეყნიდან შემოტანილ აბრეშუმეულობას აქვს ბაზარი.

გზა აქეთ-იქეთ ნაპირებზე ჩამოყოლებული აქვს ქვის ყორის გალავანი ღობის მაგივრად, რაიცა მოწმობს, რომ ქვა აქ უხვადაა. ხეები უფრო და უფროხსირდება, მზოს სხივი ველარც კი ატანს შიგ. ასე გგონიათ, სახლები ტყეში დგასო. ყველა მხრით რუების ჩხრილი გესმით, ყანები და ეზოები სიგრძე-სიგანეზე ირყვის; უეჭველია, გვალვა აქ საშიში არ იქნება. სახლებიც ახლო-ახლო დგას, ეტყობა, მიწა ძვირობს. ხეებივაზებით არის დაბანდული. ზოგ ხეზე ლობიოც კი გასულა და მისი წითელი ყვავილი ლამაზად არის შეხამებული ხის მწვანე ფოთლებთან. ლობიოს მოკრეფვა რომ მოუნდეს ა პატრონს, — 7-8 მხარის სიმაღლეზე უნდა ავიდეს ხეზე.

ღობეების სარებზე თითქმის ყოველ მოსახლეს,, გამოჩინებულ ადგილას, ცამოცმული აქვს ცხენის გამხმარი ტავები. არ შეიძლება კაცმა ამ თავებს ყურადღება არ მიაქციოს. ეს გახლავთ დარაჯი და მცველი აქაური კარ-მიდამოსი და აგრეთვე ჭირნახულია. თუ ვინიცობაა ავი თვალის პატრონს შეშურდა თავისი მოყვასის ჭირნახული, განა კარმიდამო და რაიმე სიბოროტე გაივლო გულში, ცხენის თავის დანახვაზე ყოველსავე მზაკვრობას ძლა ეკარგება და ნიშანში ამორებულ მოსახლეს ვერარას ავნებს. რა ადვილი საშუალებაა ჭირნახულის დაზღვევისა ყოველგვარი ხიფათისაგან.

სახლები გზის იქეთ-აქეთ არის ჩარიგებული; ყოველი მათგანი თუ სამთვლიანი არა, ორთვლიანი მაინც არის. ყველა სახლს სამზარეულო უეჭველად ცალკე უნდა ჰქონდეს, მთავარ სახლიდან 15-20 მეტრის მოშორებით. უმეტესი ნაწილი დღე-ღამისა აქაური გლეხის სახლობა ამ სამზარეულოში, ან როგორც აქ ეძახიან „სამზადისში“ ატარებს. იქა ხარშავს საჭმელს, ისვე შლის სუფრას, იქვე აქვს თათბირი ოჯახის განკარგების შესახებ. მთავარ სახლში, ან ოდაში, მარტო დასაძინებლად და სტუმრის მისაღებად მოდიან. როგორც სამეგრელო იმერეთში, ცეცხლი აქაც შუა ალაგას უნთიათ, კერაზე. იმის თავზე დაკიდულია საკიდელა, რომელზედაც თუჯის ქვაბსა ჰკიდებენ ხოლმე ღომის მოსახარშავად; აქვე იპოვება კეცი, მჭადის გამოსაცხობად და რამდენიმე სხვადასხვა სიდიდის ქოთნები ლობიოს ან სხვა რისამე მოსახარშავად. საჯდომად „ჯორჯოს“ — ტლანქად გათლილ ჯირკვებს ხმარობენ. სუფრა იგივეა, რაც სამეგრელო-აფხაზეთში — გრძლად გათლილი 1/2 ალაბის სიგრძის ფიცარი, თითო ალაბიან ოთხ-ფეხზე დაყენებული, რომელსაც წინ ისე იდგამენ, რომ ზედ არაფერს აფარებენ.

მდ. ბჯუჟი ამ სოფელზე გადის. სოფლელთ ამ მდინარედან ტოტები გადმოუდგიათ და თითქმის ყოველ მსოახლეს თავისთვის პატარა, ერთთვლიანი წისქვილი აქვს. წისქვილის გვერდითვე გაკეთებულია წყლის ჩამურბი, ღომის საცეხვავად. მეტად სადა კონტრუქციისაა ეს ჩამურები და, ვგონებ, მეტი არ იქნება მისი მექანიზმი მკითხველსაც გავაცნოთ,

გრძლად ამოთხრილია მიწა; იქითაქეთ დასმულ ბურჯებზე გადებულია ძელი, რომელზედაც დაკრულია ხუთი-ექვსი ალაბიანი ძელი კოვზის ფორმისა. ამ ძელს ერთი ბოლო ამოღრუტნული აქვს კოვზივითა და შიგ ეტევა 5 საწყავამდე (საწყავი ადგილობრივი ზომაა სითხისა, უდრის 2 ფუთს) წყალი. სახელად ან ნაწილს ცამურისას ჰქვიან „კოვზი“. მეორე ბოლოზე ამ ძელს გაყრილი აქვს პერპენდიკულარულად მოკლე, 1 მეტრიანი სამი მკლავის სიმსხო ჯოხი — „წირისთავი“, რომელსაც თავზე ქვა აკრავს, ორი ოყის (ოყა — 3 გირვანქა) სიმზიმე, რომ როცა „კოვზი“ წყლით გაივსება ად ძირს დაიწევს და წყალი გადმოიღვრება, „წირისთავი“ მაგრად წამოვიდეს ქვეითკენ. წირისთავის ქვეშ, დაუცვეთელობისათვის, თუნუქი ან რკინა აკრავს. ქვეშ უდგას ამოჭრილი ჭურჭელი ქვისა, ქვევრის სახისა, მხოლოდ თავი უფრო ფართო აქვს, და შიგ ეტევა ორი ქილა ღომი. ამას ჰქვიან „საცეხველი“. წირისთავი ან ურთხმელისა უნდა იყოს, ან თელისა ანკიდევ სხვა რამ მაგარი ხისა. საცეხველებს უფრო ადგილობრივ აკეთებენ. მთლად, ყველას ერთად, ზემოაღწერილს, ცამური ჰქვიან. თუ წყალი არ აკლია ჩამურს, დღე-ღამეში ორ ქილა ღომს გაცეხვავს, თუ არა და, ერთს ზივს მოერევა,

გარდა ამისა, აქეთკენვე ხმარობენ მნეორ ნაირ ცამურს, ეგრეთწოდებულ „ფეხის ჩამურს“. აი მისი სახეცა: ერთმანეთზე ორ-სამ ალაბის მოშორებით დასმუია ორი ბაჯგი, თითო ალაბის სიმაღლეზე, ზედა დევს ლატანი, „ლივლივად“ (ღერძად წოდებული, ამ ლატანზედ დაკრულია ჰორიზონტალურად ზემოაღწერილი ძელი, მხოოდ უკოვზოდ; ამ ძელს აქვს მარტო წირისთავი, რომელიც საცეხველს ჰხვდება. ეს ძელი რერზიდან ერთ მხარეს ნახევარ ალაბზე ცოტა მეტია გადმოშვრეილი და ცალი ფეხი იქ უდგას მცეხველს (აქედან სახელწოდება მისი — „ფეხის ჩამური“), ხოლო მეორე ფეხი გალახჯული აქვს ისე, რომ „ლივლივი“ შუაში ხვდება. მცეხველის ტანის დასამაგრებლად კაცის სიმაღლეზე ბარჯგებზე ლატანია გადაგებულია — „სახელური“, თავის სისწვრივ, ორსავ ხელი მოსაკიდებლად. ჯერ დააწვება ფეხით ბოლოს, რომ თავის, სადაც წირისთავებია გაყრილი, აღიმართოს; წირისთავი რომ აღიმართება, მცეხვავი მეორე ფეხით ძირს დასწევს და დაჰკრავს საცეხველს ჩაყრილ ჩხოს (გაუცეხველი ღომის მარცვალს) და მარცვალსა და ნახორს (ჩენოს) ერთმანეთს აშორებს.

ღომის თავთავებს გაცეხვამდე ლასტზედ გაშლიან და დაჰკიდებენ კერის ზემოთ, ცეცხლზე. ერთი დღე ჰყოფნის გასახმობად,. მერე ჩამოიღებენ და ზოგი ხელით და ზოგიც ჯოხით თაველებს მარცვალს აცლიან. ამ მარცვალს ჯერ „გადაურევენ“ (გაანიავებენ) გასანიავებლად ჰხმარობნ „ვარცლსა“ — ერთი ალაბის სიგრძე და ერთი ნიშან (4 გოჯი) ხის გოჯას. მეორე ვარცლსაც ქვეშ დაუდგამენ. ერთი ქალი (გურიაში ღომის ცეხვა საქალო საქმედ ითვლება, მამაკაცი ამ საქმეში მონაწილეობას არ იღებს). ხელში იღებს ღომით სავეს ვარცლს და ქვეშ დადგმულ ვარცზედა ჰყრის ნელ-ნელა. მეორე ქალი კაბის კალთებს აიკრეფს და უქნევს გასანიავებლად. ასე განივებული, მაგრამ ჩენჩოიანი (ნახორიანი) ღომი მიაქვთ ჩამურში გასაცეხვავად.

დიდი შრომა სჭირდება ღომის გაცეხვას, მაგრამ უფრო დიდშრომა სჭირდება მის შემუშავებას. ჯერ ერთი, ნიადაგი, სადაც ღომსა სთესავენ, უეჭველად მშრალი უნდა იყოს. თუ ქვიშიანი ნიადაგი არ არის, ჯერ თოხით უნდა მოიჩიჩქნოს მიწა, მერე მერულით (სამკაპიანი სამუშაო იარაღია ხისა, ორთითის მსგავსი) უნდა „გაამერულონ“ (გააფხვიერონ) მოთხნილი მიწა, შემდეგ გაფორცხონ და მხოლოდ მაშინ ჩაჰყარონ თესლი მიწაში. დიდი სიფრთხილე ჰმართებს მთესველს ღომის დატესვის დროს: საჭიროა თესლის თხლად ჩაყრა, თორემ, სქელ ღომში თოხის შეტანა ძნელია. თუ თავის დროზე მზიანიდღეები არ დაუდგა, ღომი ფუჭდება. შემოსულ ღომს თუ ავდატმა უსწრო, გამოდარებამდე თუნდაც ერთმა თვემ გაიაროს, პატრონი ხელს ვერ ახლებს, ვერ მომკის.

ვთქვათ, მომკო. ახლა მისი „გამოწყობა“ გაუხდება გლეხს თავსი საცემი. თუ ამ დროს ხელი დააკლო, მთელი მოსავალი წყალში გადასაყრელი გაუხდება. უნდა შეიტანოს ცარიელ ნალიაში (სასიმინდეში) და ყველგან თანაბრად გასალოს. მერე ნალიას გვერდები უნდა შემოუბუდნოს გვიმრით ან ფეშერით და ქვეშიდან კადონი (დიდი, გაგანია ცეცხლი) შეუნთოს, რომ ზევით ასულმა ალმა გააშროს, სინესტე თუ რამე აქვს, სულ გააშოროს ღომსა. ამავე დროს, ღომს ზემოდან თხმელის ნედლ ფოთლებს მოაყრიან. ცეცხლი ქვეშიდან მანამდე უნთია, სანამ თხმელის ფოთლები არ დაჭკნება, მხოლოდ მაშინ აიღებენ ამ სახით „გაწყობილ“ ღომს და კალათებით შინ ხულაში შეიტანენ. თუ ამ შემთხვევაში ზომიერი კადონი არ შეუნთეს და ღომს ერთი ბეწო სინესტე შერჩა, გაფუჭდება და ღირსებას დაჰკარგავს: არც ფერი ექნება კარგი ღომისა და არც გემო.

სანთლისაგან ხდიან საუკეთესო სუნისა და სიმაგრის არრაყს. ტაფლს რომ გასწურავენ, ფიჭს აადუღებენ, სანთელს გარდა რაც დარჩება, ჩაჰყრიან ქვაბში დასამჟავებლად. მერე დამჟავებულ ნივთიერებისაგან ჭაჭასავით ხდიან არაყსა. უფრო ერთ ნახადსა ხმარობენ სასმელად, ორჯერ იშვიათად ხდიან, რადგან ისედაც კარგი არაყი გმოდის. გემრიელია, სურნელოვანი და მაგარი. კაცი სმით ვერა ძღება.

დღეობას აქ ტავისი ძველებური ელფერი და ხასიათი დაუკარგავს. ახლა მხოლოდ მოდიან, მუხის ძირას ვახშმობამდე რცებიან და მერე თავტავიანთ სახლებს მიაშურებენ და საძინებლად. ღამის თევა გადავარდნილა. სხვა სოფლებიდან მოსული მლოცველები სტუმრებად ითვლებიან. ყველა მათგანს თავისი „მასპინძელი“ ჰყავს: ნათესავი, ან მოკეთე, ან კიდევ უბრლოდ კარგი ნაცნობი. ესენი თვით დღეობა დღეს მოდიან, წირვას ისმენენ და სადილად „მასპინძლისას“ მიდიან. თვით ეკლესიის გალავანში საკლავის კვლა და იქვე სმა და დროის გატარება, როგორც ქართლ-კახეთის დღეობებში იციან, აქ არ არის. ნაწირვებს ცოტ ხანს მუხის ძირში დარჩებიან, ნაცნობებს, ახალმოსულებს მოიკითხავენ, „თვალს წყალს ასმევენ“, როგორც აქ ამბობენ ხოლმე, და სოფელს მოეფინებიან. თამაშობა და სიმღერა ძველად თვით ეკლესიის კარწინა ცოდნიათ, გაშლილ ჰაერზე, მაგრამ ახლა გადავარდნილა. მთელი მხიარულება სახლებშია. ყველა სახლიდან გამოისმის ცოცხალი ხმა გურული სიმღერებისა.

მემინდვრეობა კახეთში

წყარო: ჯალაბაძე გ. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1986. ამონარიდები

კახეთი მინდვრის კულტურებით საკმაოდ მდიდარი კუთხეა. კახეთის ბუნებრივი გარემო მინდვრის ყველა კულტურისათვის ერთნაირად ხელშემწყობ პირობებს არა ქმნის. სახელდობრ კახეთის ზოგ რაიონში ურწყავობის გამო პურეულის გარვეულ სახეობას ტესდნენ. ნიადაგების ერთი ნაწილი ურწყავობისა და ხსირი ქარების შედეგად გაალქატებულია. მაგრამ ასეთი მიწები მაინც მუშავდება. ალქატი და ურწყავი მიწების მემინდვრეობა რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა. მაგალიტად, გრე კახეთში სადაც, მიწის ბევრი ფართობი ეროზირებული და გაალქატებული იყო, ითესებოდა ისეთი კულტურები, რომელიც გვალვებს უძლებდა და ასწრებდა შემოსვლას ზაფხულის მკაცრი სიცხეების დაწყებამდე. ამის შესაბამისად ალქატებს გაზაფხულზე ხნვდნენ და ძირითადად საგაზაფხულო ხორბლეულს თესდნენ.

შესაბამისად კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებისა და ეთნიკური ერთელების ტავისებურებებისა, კახეთის მემინდვრეობა შეიძლება რამდენიმე ზონად დავყოთ, მაგ., გარე კახეთის, ივრის ხეობის დავაკების, ქიზიყის (შირაქის ჩათვლით) შიგნით კახეთისა და გაღმა მხარის მემინდვრეობა. დასახელებულ კუთხეებში წარმოებული მემინდვრეობა მეტ-ნაკლები განსხვავებების შემცველია. ეს ვლინდება მინდვრის კულტურების რაოდენობაში, ხელით სამუშაო იარაღების ფორმებში, გამწევი ძალით მომუშავე იარაღის სახეობებში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში და მემინდვრეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებში საბოლოო ჯამში, ყველა აღებულ ზონაში აღებული ნიშნები მემინდვრეობის კახურ წეს-ჩვეულებებზე ერთ მთლიან სურათს გვაძლევს.

საერთო კახური მემინდვრეობისაგან პირველ რიგში მკვეთრად გამოიყოფა ქიზიყური მემინდვრეობა. მასთან მსგავსებას იჩენს გარეკახური მემინდვრობა. საერთო კახურისაგან აქ წარმოდგენილი განსხვავებული ნიშნები ძირითადად ორმა ვითარებამ განაპირობა. ერთი იმან, რომ აქ ორივე შემთხვევაში ურწყავ მიწათმოქმედებასთან გვაქვს საქმე. მეორე,რითაც ქიზიყი გამოირჩევა, საზოგადოებრივ — ეკონომიკური გარემოება, სადაც მიწის თემური სარგებლობა სხვა კუთხეებთან შედარებით უფრო მეტად იყო ძალაში.

კახეთში გავრცელებული მინდვრის კულტურები იყო: დოლი წითელი და თეთრი, თავთუხი, შავფხა, შემოდგომის ქერი, სავი ქერი, სიმინდი, ლობიო, მუხუდო, ცერცვი, უგრეხელი, ფეტვი და ბრინჯი. დასახელებული კულტურებისაგან დიდი გავრცელება ჰქონდა დოლის პურს, თავთუხს, ქერებსა და ფეტვეულს. ბევრი ითესებოდა უგრეხელი და მუხუდო. ტექნიკური კულტურებიდან უთესიათ ბამბა და ენდრო. შუა საუკუნეებში დიდი ყურადღება ექცეოდა ბრინჯის მოყვანას. ბრინჯი კახეთის ისტორიულ საბუთებში ჩელთუქის სახელით მოიხსენიება, ხოლო ნაკვეთი, რაზედაც ბრინჯი მოგყავდათ, საჩელთუქე ალაგად.

კახეთში რომ ბრინჯი დიდ რაოდენობით მოჰყავდათ, ამაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი. იგი კახეთიდან განსაკუთრებით გამოჰყოფს გაღმა მხარის მეურნეობას, რომელსაც შემდეგ დახასიათებას აძლევს: „და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლითა და, უმეტეს კახეთის ადგილთა წყლითა, წყაროთა, მდინარითა, ტყითა, ხილითა, რამეთუ ტყენიცა ხილნარიტა სავსენი არიან... არამედ უფროს გაღმამÃრს შინა და უმეტეს ელისენში; აგრეთვე ბამბასა და ბრინჯსა სთესენ, გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესავენ ბრინჯ-ბამბასა.“

გარეკახეთის ვეკლებზე, განსაკუთრებით სამგორ-ვაზიანის მინდორში ითესებოდა დოლისპური, თავთუხი, ქერი და ფეტვი, გლეხთა დაკვირვებით, თავთუხს გადაგვარება სცოდნია. იგი ყოველ მესამე წელს სათესლედ უნდა აეღოთ, რომ კვლავ სუფთა თავთუხი მიეღოთ. უკიდურეს შემთხვევაში იგი დადოლდებოდა, ანუ, როგორც ადგილობრივები უწოდებდნენ, დადოლმიშდებოდა. დადოლება

— დადოლმიშების საწინააღდეგო ღონისძიებებს ასე ახორციელებდნენ: მესამე ან მეოთხე წლის თავთუხის მოსავლიდან იღებდნენ სრულ თავთავებს, წვერს წაატეხავდნენ და ქვედა ნაწილს გადადებდნენ სათესლედ, ამ წესით მირებული თავთუხის თესლი კვლავ სამ წელიწადს თავთუხობდა, მეოთხე წლისათვის კი თუ — დადოლება არ უნდოდათ, იგივე ღონისძიება უნდა ჩაეტარებინათ, ამ წესს სამგორში პურის ან თავთავის დაკოდვას უწოდებდნენ.

ელდერის ველებზე ძირითადად ორი კულტურა ითესებოდა: დოლის პური და ქერი. აღსანიშნავია, რომ გაღმა მხარეში დიდი რაოდენობით ითესებოდა შავი ქერი, რომელსაც, როგორც ადგილობრივნი იუწყებიან, დიდი მაწივრობა გააჩნდა და ძირითადად საფურაჟედ იყო გამოყენებული. უნდა აქვე შევინიშნოთ, რომ შავ ქერს ბოლო ხანებში უმნიშვნელო რაოდენობით თესდნენ და შემდეგ სულაც აიღეს ხელი მასზე. მთხობელთა დაკვირვებით შავი ქერი მხურვალეა და ზამთრის პერიოდსი ცენებისათვის საუკეთესო საკვებად იყო მიცნეული. როგორც ჩანს, მეცხენეობის მოშლას ამ კულტურაზე ორიენტაციის დაკარგვა მოჰყვა.

კახეთის თითქმის ყველა კუთხეში დიდი რაოდენობით ითესებოდა ფეტვი საფურაჟე დანიშნულებით. იგი სიმინდთან შედარებით უფრო მეტ მოსავალს იძლეოდა. მაგ., ერთ დესეტინაზე თუ პური 60 ფუთი მოდიოდა, ქერი — 66, ხოლო სიმინდი — 72 ფუთი, ფეტვი — 78 ფუთი დგებოდა.

ის გარმოება, რომ გარე კახეთში ასეთი დიდი ზომის გუთნები იყო საჭირო, მოითხოვდა პირუტყვის გარდა ადამიანთა შრომით გაერთიანების დიდი ორგანიზაციასაც, სადაც ოთხი-ხუთი ოჯახი ერთიანდებოდა. ეს გაერთიანება არ იყო უბრალო, მხოლოდ შრომისათვის შეყრილი. თუ მოდგამის შემადგენლობა ახლო ბიძაშვილებით არ შესრულდებოდა, მხოლოდ ამის მერე იწყებდა გუთნისდედა კარგი მეზობლის ძებნას, რომ მოდგამში შეეყვანა ან რომელიმე მისი ნათლიმამა, თუნდაც იგი სხვა შორეული უბნის მცხოვრებიც ყოფილიყო.

კახეთის იმ სოფლებში, სადაც მიწა სარყავი იყო, შედარებით მცირე გაბარიტიანი დიდი გუთნები ყოფილა ხმარებაში. მაგ., ყვარელის რაიონის სოფლებში აქაური დიდი გუთანი 4-8 უღლამდე გამწევ ძალას კმარობდა.

საყურადღებოა, რომ დიდი გუთნით მუშაობის დროს მეხრეები უღელზე სხდებოდნენ. უღელზე მხოლოდ ველის მხარეზე შეიძლებოდა ჯდომა. ველის მხარეზე მავალი ხარი 15-25 სანტიმეტრით მაღლა მოდიოდა, ვიდრე კვალში მავალი; ამიტომ ველის მხარის დატვირთვით გამწევ ძალას ერთგვარად უწონასწორდებოდა საერთო მძიმე ტვირთი. საჯდომი უღლები წასაკრავი უღლებისათგან განსხვავებით ფართო უკეთებიათ. განსაკუთრებით ფართო უღელი კეთდებოდა „გუთნისდედისათვის“, სადაც გუთნისთავის“ მეხრეს უხდებოდა ჯდომა.

გუთნის მუშის (გუთნისდედის და მეხრეების) დაპურების საკითხი საქართველოს პირობებში სხვადასხვა ხასიათის მატარებელია. ბარში, სადაც სოფელი სახნავ მიწებთან ახლოს იყო, „გუთნის დედ-მეხრე“ ორ ჯერს ღებულობდა — სადილს და სამხარს (სადილის დილის 8-9 საათზე და სამხარი 12-13 საათისათვის). სადილ-სამხარი ჩვეულებრივ ვისი ხვნაც იყო, იმას უნდა ეჭმია, მაგრამ როგორც ფშავური მოდგამის მაგალითიდან გავეცანით, ადრეული ხანის მოდგმობასი ყველა მეხრეს თავისი სადილ-სახარი თვითონ მიჰქონებია. თუ სახნავ-სათესი იმდენად შორს იყო, რომ მოდგამის წევრებს მინდვრად უხდებოდათ დარჩენა, მაშინ ვისი მიწაც იხვნოდა, მას უნდა გაეწია მასპინძლობა, როგორც სადილ-სამხარით, ისე ვახშმითაც. შორ მანძილზე სახნავ-სათესად წასული მოდგამი, სამხრის შემდეგ სამხრის კუდსაც ჭამდა (ყველი, პური, ნიორი). ძირითადი საკვები ანეულობაში გარე კახეთის სოფლებში მაწონი ყოფილა.

ლეწვის დამთავრებისთანავე დღის წესრიგში დგებოდა ხორბლის შენახვის საკითხი. კახეთის პირობებში ხორბალს ინახავდნენ როგოც მიწაში, ისე მიწის ზევით.

ხორბლის შესანახი ორმო მიწაში 2 მეტრის სიღრმეზე იყო ამოთხრილი. ფორმა წაკვეთილი კონუსის მაგვარი ჰქონდა. ძირის ფართი 1,5-2 მეტრიან რადიუსს შეადგენდა, პირისა კი 50-70 სანტიმეტს არ აღმატებოდა. ანალოგიური ფორმისა იყო ხარო, იმ განსხვავებით, რომ ხარო ქვითკრირით იყო ნაგები და ამდენად უფრო საიმედო ნაგებობას წარმოადგენდა, ვიდრე ორმო. ორმო ისე, როგორც ხარო, გავრცელებული იყო მშრალი ნიადაგების რაიონებში კახეთში, გაღმამხარის ზოგიერთ სოფლისა და ქართლში, ზოგი სარწყავი სოფლების გამოკლებით,

ხორბლის შესანახი ორმო და ხარო აღმოსავლეთ საქართველოს ძველი დასახლების კომპლექსისათვის ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. ამ ორ, ერთი და იგივე დანიშნულების ობიექტს ქვემო ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის სამეურნეო ყოფაში დღეს ახალი დანიშნულების შესრულება უხდება, მასში ახლა კარტოფილს ინახავენ,

ხორბლეულის შესანახად გამოყენებული იყო აგრეთვე ბეღელი. ბეღელი ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენს, რომელი ორიგინალური კონსტრუქციითა და დაგეგმარებით ხასიათდება. ჩვეულებრივ, საშუალო ზომის საჩეხიანი ბეღელი 10-30 კვადრატული მეტრია.

ბეღელს გეგმაში მოგრზო ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. გააჩნდა საჩეხი და გადახურული იყო ორფერდა სახურავით. ბეღელი ჩვეულებრივ მიწიდან შემაღლებულ ბოძებზე იყო შემდგარი ან მაღალ

ქვებზე იყო დადგმული. ისე რომ, იგი თავისი აგებულებით ხიმინჯიან სახლს წააგავდა. ბეღელს წინიდან დაბალი და განიერი კარი ჰქონდა. ფიცრის ტიხრების საშუალებით ბეღელი შიგნიდან რამდენიმე განყოფილებად იყო დანაწილებული. თითოეულ ამ განყოფილებას, კახეთის გაღმა მხარის სოფლებში ორმოს უწოდებდნენ. ორმოები სხვადასხვა ზომისა და ხორბლეულის სახეობათა მოსავლიანობის სიდიდის მიხედვითაა ნავარაუდევი. მაგ., სოფ. საბუეში ჩვენ მიერ აღწერილი, ვანო ყანჩაველის ბეღელში მეტფართიანი ორმო პურისათვის იყო განკუთვნილი, მომდევნო ორმო ქერის ჩასაყრელად ჰქონიათ, მესამე ფეტვისათვის ყოფილა განკუთვნილი და ა. შ. ბეღლის სხვენი ღია საბძლური გადახურვით ხასიათდება, რომელიც გამოიყენებოდა ზამთრის სანოვაგე ხმელი ხილისა და სანელებელი ბოსტნეულის შესანახად (ჩურჩხელა, ჩირეული, ნაიორი, ხახვი, ღოღოს გალები, კაკალი, გოგრები). მთხრობელის გადმოცემით: „კარგი ბეღლის აშენება სახლისოდენა ამაგსა და მასალას თხოულობდა. ამ სიძნელის გამო ბეღელი ყველა ოჯახს არ გააჩნდა. თუმცა ქიზიყში აბანოზის ხის ფიცრისაგან აშენებული ბეღლებიც კი ჰქონიათ. ქ. სიღნაღის რაიონული არქივის მასალებში დაცულ გაყრილობის წიგნებში არაერთხელ არის მოხსენიებული „ამბარი (ბეღელი) აბანოზის ხისა და აბანოზის მასალა ამბრისათვის).

ოჯახები, რომელთაც ბეღელი არ ჰქონდათ, ხორბლის შესანახად იყენებდნენ კოდებს. პურის კოდი როგორც ამას კახეთის გაღმა მხარის სოფლებში უწოდებენ, ბეღლის შემდეგ ყველაზე გავრცელებული სათავსო ავეჯია. კოდი წარმოადგენს მრგვალი ფორმის გულგამოღებულ ხის დიდ მორს, რომელსაც ძირი აქვს ჩადგმული. კოდები ძირითადად ვერხვისა და ცაცხვისაგან მზადდებოდა. სცოდნიათ აგრეთვე კოდების დამზადება თხილის ხისაგანაც. თხილის ხისგან დამზადებული ერთი დიდი ზომის კოდი ამჯერად გელათის მონასტერშია დაცული.

კოდის დამზადება მეტყად შრომატევად საქმეს შეადგენდა. ამ სამუშაოს ადგილობრივი კახელი ხელოსნები არ ასრულებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით: „კოდებს უფრო ფშაველი მხვეწელები ამზადებდნენ. ისინი თურმე შემოდგომობით ჩამოდიოდნენ ბარში და კახეთის ტყეებში მებატონეებისაგან ნებართვის მიღების შემდეგ ჭრიდნენ სათანადო ჯიშისა და შესაფერი დანიშნულების ხეებს. ძირითადი იარაღი ამ საქმისათვის ჩულუხი, სატეხი, ხვედა, ხერხი და ცული ყოფილა. დიდი ზომის კოდის ამოთხრას ზემოდან იწყებდნენ და თანდათან ძირისკენ ჩადიოდნენ.

საველ ხის მხვეწელებს, რომლნიც სამუშაოდ ჯგუფებად მოედინებოდნენ, დიდი ზომის კოდების დამზადება შეკვეთით უწარმოებით, ხოლო მცირე ზომის კოდებისა დაკვეთის გარეშე, საერთო ბაზრისათვი. მცირე ზომის კოდები ფშაველებს მთის მოსახლეობის სამეურნეო დანიშნულებისათვის უმზადებიათ, ბარში თუუ თავის ნამზადს ხორბლეულზე ცვლიდნენ, მთიდან ხის კასრებით ერბო და ყველი მოჰქონდათ. კოდი, როგორც საქართველოს ბარის, ისე მთის ყოფისათვის ერთ აუცილებელ მუდამ და ხშირად საჭირო სახმარ-სათავსო ჭურჭელს წარმოადგენდა. მცირე ზომის კოდები მრავალი დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა (რძის პროდუქტების, მარილის, ლობიოს, მუხუდოსა და სხვათა შესანახად).

ქსოვის ტრადიცია

წყარო: ც. ყარაულაშვილი, ქსოვის ხალხური წესები კახეთში. ამონარიდები

კულტურის ისტორიაში ქსოვილების დამზადება ნართის საშუალებით, ე. ი. წვნიდან ქსოვაზე გადასვლა, ნეოლითური საზოგადიებსი მიღწევად ითვლება.

როგორც ცნობილია, ქსოვის წარმოშობას წინ უსწრებდა გრეხვისა და წვნის ხელოვნება. ქსოვამ თავისი საწყისი ფორმები წვნიდან აიღო და მთელი რიგი პროცესები ქსოვისა, იმავე პრინციპზეა აგებული. ქსოვის ყველა წესი თავისი საწყისი ფორმებით, უშუალო კავშირშია წვნის სხვადასხვა წესთან, ზოგ შემთხვევაში მისი ანალოგიურია, ზოგჯერ კი იგი წვნის განვითტარებულ ფორმას წარმოადგენს. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ზოგიერთ ტერმინში შემონახულია ქსოვის თავდაპირველი მნიშვნელობა, მისი საწყისი ფორმის შინაარსი.

როგორც ცნობილია, რთვა და ქსოვა ისტორიულად შორეულ ეპოქასი ცაისახა და განვითარდა, კერძოდ, ქსოვას დაეუფლა ჯერ კიდევ ნეოლითური ეპოქის ადამიანი, რასაც მოწმობს იმ ეპოქის განათხარ მასალაში აღმოჩენილი ძაფის დასამზადებელი ხელსაწყო-იარაღები (კვირისტავი), საქსოვი იარღი და ქსოვილის ნიმუში.

ხალხური ქსოვის ერთ-ერთი სახეობა — „ჩხირებით წინდურად ქსოვა“, (რომელიც ფაბრიკატულ-ტრიკოტაჟული ქსოვის შესატყვისია), ფართოდ იყო და არის გავრცელებული საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

ჩხირებით ქსოვა წარმოადგენს მარყუჟული თვლების რიგს, რომელიც წარმოქმნილია ერთი უწყვეტი ძაფისაგან. ყოველი მომდევნო რიგი მარყუჟების საშუალებით უკავშირდება წინა რიგს.

თვლები ერთმანეთში გადახლართულია, ე.ი. თვლები ერთმანეთთან (თითოეული თვალი წინა თვლებთან) გარკვეული კანონზომიერებითაა დაკავშირებული, რითაც შექმნილია თვლების რიგი, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად.

ჩხირებით ქსოვა ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდიდან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა შორის უკვე ცნობილი იყო. ამ ფაქტით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული წესით ქსოვილების დამზადებას ადრეც მისდევდნენ. მაგრამ ამგვარი ქსოვილის უფრო ადრინდელი ნიმუშების ჩვენამდე მოუღწევლობის გამო, ამის დამტკიცება შეუძლებელია. როგორც აკად. გ. ჩიტაია შენიშნავს, „პირველად ხმარებული სამოსლის მასალამ, ცხადია, ჩვენამდე ვერ მოაღწია. იმ ხანის ქსოვილებმა ვერ გაუძლეს მიწის სინოტივეს და დროთა სრბოლას“. გამორიცხული არ არის, რომ შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, ამგვარი ქ სოვილის უფრო ადრინდელი ნიმუშიც გამოავლინოს, მაშინ, რა თქმა უდა, ჩხირებით ქსოვის თარიღი უფრო შორს გადაიწევს.

ჩხირებით ქსოვის დროს, საქოვ მასალაც, ძირიტადად მატყლი იყო გამოყენებული, აგრეთვე „თივთიკი“, აბრეშუმი და ბამბა. ნაქსოვზე სახეების გამოყვანის მიზნით, ზოგჯეროქროსა და ვერცხლის ძაფსაც (ოქროს — თმას, ზეზს, ოქრომკედს) ხმარობდნენ.

საბა ძაფის შესახებ შემდეგნაირ განმარტებას იძლევა: ძაფი არს წვრილად დართული აბრეშუმი, ყაჭი, სელი და მისთანანი; ხოლო მკედისთანა(თა)ვე ხოროშად დასთული; სითი წვრილი მატყლის ძაფი და ღაზლი — სხვილი; აშკი — რკინისა და სპილენძის ძაფი და ოქროსთმა — ოქროსა და ვერცლის ძაფი. წვრილი ნასთი და წმინდა ნასთი წვრილი.

მატყლის ნარტით [„ბაწარი“ (კახეთი),„ღაზლი (ქართლი, აჭარა), „ნასთი“ (ხევი)] ქსოვდნენ: წინდებს (როგორც დაბალყელიანს, ისე მაღალყელიანს), პაჭიჭებს, ფეხსაცმელს (თათებს, ჩარუხს, ჩიტას), ხელთათმანებს, ქუდებს, ქვედატანს (ჩიხორას), შარვალს, ზედატანს, მხრის შალს, თავშალებს და სხვა; ხოლო აბრეშუმის,ყაჭისა და ბამბის ძაფისაგან — ზოგიერთ მათგანს, უმთავრესად, მაღალყელიანი წინდები, პაიჭები, ხელთათმანები, ქისა და თავსაფარი.

საქსოვ ძაფს მეტწილად სახლში ამზადებდნენ. მატყლს რეცხავდნენ, ჩეჩავდნენ, ართავდნენ თითისტარზე ან ჯარაზე, შემდეგ ორ ან სამწვერ ნართს ერთად ძახავდნენ საძახ ტარზე, ან ჯარაზე, ნართის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქსოვილის ავკარგიანობისათვი. ამიტომ, მის დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამისათვის საჭირო იყო ძირითადი პირობა: 1. ნართი თანაბრად უნდა ყოფილიყო დართული, რადგან არათანაბარი სისქის ნართიდან ქსოვილიც არათანაბარი გამოდის. ნართი არ უნდა ყოფილიყო ზედმეტად შეგრეხილი. ნართი რომ ზედმეტად არ დაიგრიხოს ზომიერებსი დაცვაა საჭირო როგორც რთვის, ისე ძახვის დროს. ზომაზე მეტდ დართული (დგრეხილი) ნართი ჩხირებით ქსოვისას „იკენწებოდა“ — იგრიხებოდა და ქსოვილიც მაგარი, „ხმელი“ გამოდიოდა. რაც არ იყო სასურველი. გარდა ამისა, ნართი რომ რბილი გამოსულიყო, სპეციალურად რბილ მატყლს არჩევდნენ. ამ მხრივ საუკეთესო იყო ბატკნის მატყლი. თუ ასეთი ნართისათვის ზრდადამთავრებული ცხვრის მატყლს იყნებდნენ, მაშინ ჩეჩვისას გრძელ ბეწვებს მოაშორებდნენ. ძაფის სისწორისა და დასუფთავების მიზნით (ზედმეტი „კვირწლების“ და შეუგრეხავი გრძელი ბეწვების მოსაცილებლად); იცოდნენ ნართის დახვეწა-დასუფთავება სპეციალური ლითონის ჩხირით, რომელსაც „სახვეწი“ ეწოდებოდა. სახვეწი ლითონის წვრილ ჩხირს წარმოადგენდა, მის ნაცვლად ზოგჯერ წინდის ჩხირსაც იყენებდნენ.

ჩხირებით ქსოვისას ზოგჯერ დაუძახავ ნართს იყენებდნენ. მაგალითად: მხარის შალების, თავშალები და ზოგიერთი ტანისამოსის დასამზადებლად. ზოგჯერ წინდასაც დუნედ დართული ძაფისაგან ქსოვდნენ, რომელიც საპონწყალში გარეცხვის დროს კარგად ითელებოად. ასეთ წინდას კახეტში „მოთელილი წინდა“ ეწოდებოდა და მას მხოლოდ ქალები იცვამდნენ.

რაც შეეხება თხის ბალანს, იგი ორნაირი ხარისხის საქოვ მასალას იძლევა — „თივთიკს“ და უხეშ ბეწვს. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ტერმინი თივთიკი წარმოდგენილია ფონეტიკური სახესხვაობით „თიფიკი“ (ქართლი), „თივთიკი“ (ხევი), „თიმთიკი“ (რაჭა), „თინ“ და „თინთიჭი“ (თრუსოს ხეობა).

თივთიკისაგან ამზადებდნენ რბილ და ნაზ ქსოვილებს: მხრის შალებს, თავშალებს, ხალათებს, ზედა ტანსაცმელს, მამაკაცის ყელსახვევებს. ამის გარდა, მოხევეები და თრუსოს ხეობის ოსები თივთიკისაგან ამზადებდნენ საყაბალახე ქსოვილს, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა.

საქართველოში აბრეშუმისაგან ორნაირი ხარისხის ძაფს ორი წესით ამზადებდნენ: 1. აბრეშუმის პარკიდან „წმინდა ძაფის“ ამოხვევას „მანჯანიკის“ საშუალებით ახდენდნენ. 2. ყაჭის ძაფი“ მზადდებოდა წუნდებული (რბილი, ანუ ჩუტე, ბოყვი ან გახვრეტილი) აბრეშუმის პარკიდან, ან ძაფის ამოხვევის შემდეგ დარჩენილი პარკის ნაწილებიდან, რომლებსაც საპონწყალში გამოხარშვის შემდეგ გაწეწდნენ, ხელზე იხვევდნენ და ისე ართავდნენ.

საქსოვ მასალად გამოყენებული იყო აგრეთვე ბამბა, რომელიც საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მოჰყავდათ (ქიზიყი საინგილო და სხვა) ბამბის დამუშავების ხალხური წესების შესახებ ადგილობივ მოსახლეობაში ცნობები ჯერ კიდევ კარგადაა შემონახული. ბამბის დასამუშავებლად იხმარებოდა

შემდეგი იარაღ-ხელსაწყოები: „ჩიხრიხი“ (თესლის გამოსაცლელად), საპენტი (ბამბის გასაპენტად), ჯარა და თითისტარი, რომლებზედაც გაპენტილ ბამბას ართავდნენ და შემდეგ ზახავდნენ,

დართულ-დაძახულ ნართს, რა მასალისაგანაც არ უნდა ყოფილიყო დამზადებული, საჭირო შემთხვევაში წინასწარ ღებავდნენ სხვადასხვა ფერად. ამისათვის იყენებდნენ ბუნებრივ (ძირითადად მცენარეულ) საღებავებს: ენდროს, კაკლის წენგოს, კაკლის ფოთოლს, ხახვის ფურცელს, ბროწეულის ქერქს, მუხის ქერქს, თავსავას და სხვა. შესაღებ ძაფს შულოებად ახვევდნენ, შეღებილს კი — გორგლებად. ღებავდნენ უმთავრესად სახლში ან სამღებრო — სახელოსნოებში.

საქსოვი ჩხირები ორნაირი იყო: 1. „წინდის ჩხირები“ — 5 ცალი, დაახლოებით ერთი მტკაველი სიგრძის ლითონის ჩხირი, რომელთა წვერები გლუვია (სიგლუვე ხელს უწყობს, რომ ქსოვის დროს ნართი არ გაიძენძოსს და თითები არ გაიკაწროს). 2. „შალის ჩხირები“ // „ჩხირები“ (ორი ცალი) წინდის ჩხირებზე თითქმის ორჯერ გრძელია და მას სიმსხოთიც აღემატება. მას ლითონის, შინდის ხის ან ბამბუკისაგან ამზადებდნენ. შალის ჩხირის ერთი ბოლო (საქსოვი თავი) გლუვი წვერით თავდება, მეორე ბოლო მოკაულია, ან გამსხვილებული.

კახეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ტრადიციული ქსოვის წესების შესწავლამ ნათლად გამოვლინა როგორც კახეთის ბარისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი (რომელიც საერთო საქართველოს ბარისათვის ნიშანდობლივია, მაგალითად, აბრეშუმისა და ბამბის ძაფის მოხმარება ქსოვილების დამზადების საქმეში, როგორიცაა: წინდები, პაიჭები, ქისები, არშიები და სხვა ნაწარმი), ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვადასხვა რეგიონებთან გარკვეული კულტურული კავშირების შედეგად მიღებული ნიშნები (საერთოა ქსოვის წესები, ხოლო ლოკალური თავისებურება მჟღავნდება სახების გამოსახვის დროს გამოყენებულ ფერთა განწყობის წესში, სხვადასხვა მასალით შემკულობის მხრივ და სხვა).

ქართული სახვნელი იარაღის გუთნის დანიშნულება

წყარო: გ. ჩიტაია, გუთანი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. ამონარიდები.

გუთანი ითქმის ინდუსტრიამდელ საქართველოში გავრცელებული რთული სახვნელი იარაღის ერთ-ერთ სახეობაზე, რომლს ფუნქციასაც შეადგენს ხვნის პროცესში ღრმა და განიერი კვალის გავლება, ბელტის აჭრა, გადაბრუნება და დაფშვნა. გუთნის გამოყენების შედეგად ნიადაგის სტრუქტურა იცვლება, მცენარეულის ფესვები იშლება, გადაბრუნებულ დაფშვნილ ბელტზე კარგად მოქმედებს მზის სხივი და წვიმის ცვარი. გუთანს ახასიათებს ასიმეტრიული აღნაგობა. იგი ცალმხრივი იარაღია, ცალფრთიანი, მართკუთხა სახნისითა და არატოლფერდა თვლებით. მასში ებმის რვა და მეტი უღელი ხარ-კამეჩი. გამოიყენება გრძელი მინდვრის მოსახნავად, ყამირზე, სადაც გადის ბელტი და სადაც ანეული ითესება. მისი გამოყენების არეალია შუა და ქვემო ქართლის (გორი, ტიროფონი, მუხრანი, საგურამო, აშურიანი, ქარელი, წითელქალაქი, კოდა, გარდაბანი) ველები, კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის, თრიალეთის ველები, ხოლო დასავლეთ საქართველოში ჭიათურისა და საჩხერის რაიონების მინდვრები (რუკა №11). ღრმა მოხვნა — ანეულად, „საყანედ“, „პურად“, ნიადაგს სინესტეს უნარჩუნებდა და ამით გვალვის გავლენას ანელებდა. მცდარია შეხედულება იმის შესახებ, რომ გუთანი მხოლოდ ბარული სახვნელი იარაღია, იგი კარგად მუშაობს ზღვის დონიდან 1800-1900 მ-ის სიმაღლეზე, თუ შესაფერისი მინდვრებია მოსახნავად.

პურეულის ქართული ჯიშები მისი სამკალი იარაღი შნაკვი

წყარო: გ. ჩიტაია, შნაკვი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. ამონარიდები.

საქართველოში გავრცელებულ სამკელ იარაღთა შორის აღსანიშნავია შნაკვი. ეს იარაღი შედგება თითისტარის სისქისა და 50 სმ სიგრძის ორი ჯოხისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ერთ თავში გადაბმულია მოძრავად. ეს მარტივი ხელსაწყო თავისუფალ ბოლოებში იშლება და თავთავები შეიკრიბება ჯოხის გასწვრივ ხელის მოჭერით, შემდეგ ოდნავ გვერდზე გადაწვენით თავთავი ძირში ტყდება და ცვივა დადგმულ კალათაში. ეს იარაღი განკუთვნილია გარკვეული ჯიშების საკრეფად.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში გავრცელებული 16 სახეობის ხორბლიდან 12 სახეობა საქართველოშია დადასტურებული. ბევრი მათგანი ენდემურია, აქვე შემონახული კულტურული ხორბლის ევოლუციის ინიციალური, პრიველადი ფორმები.

ნ. ვავილოვმა დაადგინა პურეულის მოშინაურების ექვსი კერა. ერთ-ერთი მათგანია წინა აზია მასში შემავალი ამიერკავკასიით. ამ მოსაზრებას ასაბუთებს ხსენებულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის მთიან ზოლში გარეული ჯიშების არსებობით.

მახა არის ველურიდან კულტურულ პურეულში გარდამავლი ჯიში. მახას ახასიათებს ღეროს მტვრევადობა, თავთავის ცვენადობა, თვითთესვადობა (ველური ჯიშის დამახასიათებელი ნიშნები). ამიტომ, ამ პურეულის მკა ჩვეულებრივი სამკალი იარაღით — ნამგლით ვერ ხერხდება და მისთვის მისადაგებულია შნაკვი || შამკვი.

პურეულის სალეწი იარაღი – კევრი

წყარო: გ. გასიტაშვილი, კევრი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. ამონარიდები.

ქართული კევრის სამუშაო პირი მრგვალი, ოთხკუთხა და რომბისებური კოხებით იყო გაწყობილი, ხოლო სწორი და ბრტყელი კოხები თრიალეთურ კევრებს ჰქონდათ. მოსახლეობა უპირატესობას მრგვალკოხიან კევრს ანიწებდა, რადგან იგი უფრო კარგად ფშვნიდა თავთავს. ამავე დროს მრგვალკოხიანი კვერით გალეწილი ბზე რბილი და წმინდა იყო, რასაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, უპირატესობა ჰქონდა. იგი საქონლის საკვებად გამოიყენებოდა.

ლეწვა — „ყანის დარბევა“ — (საბა) კალოზე ხდებოდა. კალო ეწყობოდა სახლის ბანზე, ეზოსი და ყანასთან ახლოს. საქართველოში ორი სახის კალო იყო: 1. გარეთ || ველისა და ფეხის || სახლის || დახურული|| დაფარული|| ბანიანი კალო. ველის || გარეთ კალოზე ყნის გალეწვა კევრით ხდებოდა. იგი შემაღლებულ სანიავო ადგილზე ეწყობოდა (ქართლი, კახეთი, სვანეთი, იმერეთი, რაჭა). 2. დახურული კალოები გავრცელებული იყო მთის ზოლში (ქსნის ხეობა), სადაც ძნა საქონლის ფეხით ილეწებოდა.

კალოობისთვის არჩევდნენ მზიან „ფიცხ დღეს“, რადგან ამ დროს თავთავი უკეთესად ილეწებოდა. როდესაც შესაფერისი ამინდი დადგებოდა, კალოზე ძნას თავთავით შიგნიდან ჩაშლიდნენ. კალოზე ხშირად ორი, სამი, ოთხი კევრი მუშაობდა. მათი რაოდენობა განისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ურემი ძნა იყო კალოში ჩაშლილი. თუ ცხარე მზიანი დღე იყო, ორი ურემი ძნა გაილეწებოდა, ოღონდაც თავთავი ჭანარი (ნედლი) არ უნდა ყოფილიყო.

კევრი, ჩვეულებრივ, ხარს, მოზვერს ან ცხენს აბამდნენ, კამეჩის შებმა იშვიათი იყო.

კევრი ფართოდ იყო გავრცელებული კახეთში, ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, ზემო იმერეთში, ქვემო ქართლსა და სვანეთში. შედარებით ნაკლებად იყენებდნენ მას ქვემო იმერეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთსა და აჭარაში, იშვიათად კიდევ უფრო გურიასა და სამეგრელოში (რუკა №13), სადაც ეს იარღი ხმარებიდან ამოვარდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს გლეხობამ, სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, უხვმოსავლიანი სიმინდის მოყვანას მოჰკიდა ხელი.

ზეთის გამოხდის ტარადიცია

წყარო: ლ. მოლოდინი, ზეთსახდელი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. ამონარიდები.

ხელსაფქვავი მრგვალი და ბრტყელი ზედა და ქვედა ქვისაგან შედგენილი საფქვავია. ქვედა ქვის ცენტრში ხის მარგილია გაჭედილი, ზედა ქვა ამ მარგილზეა ჩამოყვანილი, რომელიც მის ზედაპირზე დაგებულ ხის ტარის საშუალებით მარგილის ირგვლივ თავისუფლად ბრუნავს. ორივე ქვის შემხები — მოსაფქვავი პირი დასაფქვავად სათანადოდ არის გამოთლილი და დამუშავებული.

საცეხველი შედგება ქვის ან ხის ჯამის, ძელის ბოლოზე სწორკუთხად ჩამაგრებული წრის თავის, რერზის — ლილვისა და ბოძებისგან; დამხმარე ნაწილია ლილვზე შემდგარი მცეხველისათვის ხელის მოსაკიდებელი ჯოხი — გაძირა. გაძირაზე ხელებჩაკიდებული მცეხველის მიერ ღერძზე და ძელზე ფეხების ურთიერთშენაცვლებულ რიტმულ დარტყმას ღერძის აწევ-დაწევა და საცეხველში მოთავსებული წირისთავის ნაყვა მოჰყვება.

ზეთსახდელი ხალხურ ყოფასა და ისტორიულ წყაროებში სახდელის ან საზეთეს სახელით არის ცნობილი.

ზეთსახდელი ოთხკუთხა მოყვანილობის ბაზალტის ქვით ნაშენი მიწური ნაგებობაა. ზეთსახდელის ღუმელიც ბაზალტის ქვითაა ნაგები, იგი ზეთსახდელის კედელთან არის მიშენებული, მასში გამოიყოფა

ქვის ფილებით მოფენილი მარცვლის მოსახალავი ზედაპირი და საწვავის მოსათავსებელი ნაწილი; ღუმელის საკვამური ზეთსახდელის კედელშია დატანებული. ზეთსახდელის ღუმელი საქართველოს მთიანეთში გავრცელებული პურის საცხობი ღუმელის ანალოგიურია.

წისქვილი ზეთსახდელის ნაგებობის ცენტრშია გამართული, იგი შედგება ორი ნაწილისაგან — კალოსა და მომუშავე გელაძისაგან.

წრიულ, ბრტყელ ქვას გარშემო ხის ან ოთხკუთხი ქვის ფილებისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს შემოვლებული, რომელიც ცენტისკენ არის დაქანებული. კალოს ცენტრში ჩასმულია ხის ბოძი, ბოძში ჩამაგრებულია რკინის სოლი. სოლზე ჰორიზონტალურად გრძელი ღერძია ჩამოყვანილი. ღერძის თავი ბოძის გვერდით მდგარ ურმის თვალივით ცერად შეყენებულ გელაძის ქვის გულშია გატარებული (ხარი ან კამეჩი) გელაზს სალეწ კალოზე აგორებს, რის შემდეგაც სელის მარცვალი ქუცმაცდება, ხოლო ცხელი წყლის დასხმის შემდეგ ისრისება — იზილება.

გელაზი ბაზალტის ქვისაგან გამოთლილი, დოლაბის ფორმის ქვა არის, ოღონდ განსხვავებული დიამეტრისა, რის გამოც პირი ირიბადაა აჭრილი და კალოს ლავგარდანის დაქანებას ემტხვევა,

გელაზი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავის ზემოთ, მისი დიამეტრი უმეტეს შემთხვევაში ორ მეტრზე მეტია, გელაზის ზედაპირი ხშირად სადაა, ზოგჯერ კვეთილი ორნამენტებით და წარწერებით შემკულიც გვხვდება.

წნეხი სელის ქუმელისაგან ზეთის გამოსაწნეხი მოწყობილობაა. იგი ზეთსახდელის კედლის გასწვრივაა გამართული წნეხში გამოიყოფა საწნეხი ძელების, ხრახნების, დოლაბის და დათვის კომპლექტით შედგენილი ნაწილი და მეორე — დასაწნეხი ქუმელის მოსათავსებელი ჭურჭელი. 19-20 მეტრის სიგრძის ოთხი, ორ-ორად შეკრული ფიჭვის ხის ძელი ერთი ბოლოთი ზეთსახდელის კედლის ნიშაშია ჩამაგრებული, მეორე მხრეს, ძელებს შორის ხის ხრახნია ამოტარებული. ხრახნი ბოლოთი ქვაზე დაგებულ ღარიან ლითონზე ბრუნავს. ის ადგილი, სადაც ხრახნია გამართული, იატაკის დონეზე დაბალია. იატაკიდან 40 სმ-ის დაცილებით ხრახნზე დოლაბია ჩამოკიდებული, ხრახნზევე — ძელებს ზევიდან, ხის მოგრძო კუნძი — დათვია ჩამოხრახნილი. ნიშიდან 40-50 სმ-ის დაშორებით, ძელების პირდაპირ, იატაკში საწნეხი ქუმელის მოსათავსებელი ხის ყუთია ჩადგმული.

ეს წნეხი ანალოგიურია რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთ-გურია სამეგრელოში არსებული ყურძნის წნეხისა, ხოლო ამგვარი ზეთის საწარმო — ზეთსახდელი ცნობილია სომხეთში, იტაიაში, უნგრეთში, საბერზნეთში, მცირე აზიაში, პლაესტინაში, ალჟირსა და ტუნისში.

ზეთსახდელში ერთ ჯერზე გამოიხდებოდა ერთი შეგდება, ანუ 16 კოდის სელის თესლი. ღუმელზე მას 3-4 ნაწილად ხალავდნენ. დახალულ და გაცხრილულ მარცვალს გელაზით წისქვილის კალოზე აქუცმაცებდნენ. ამ დროს წისქვილთან ორი მეხრე მუშაობდა — ერთი კამეჩს მირეკავდა, ხოლო მეორე — კალოში ჩამდგარ ქვას მიჰყვებოდა და მარცვალს ურევდა. დაქუცამაცებულ სელს ცრიდნენ, ანაცერს სალეწ კალოზე დასაფქვავად დაყრილ სელს დაამატებდნენ. ამის შემდეგ იწყებდნენ მეორე კალოს ლეწვას.

სამი კალოდან მიღებულ, კოდებით აწყულ ქუმელს ცხელ წყალს ასხამდნენ (ერთიდან ორ ოყამდე). წყვის რაოდენობა სელის ჯიშის მიხედვით განისაზღვრებოდა. მსუყე და ნოყიერი ბრტყელი სელი მეტ წყალს იტანს, ვიდრე შავი „მჭლე“ სელი. წყლის დოზირების დარღვევა იწვევდა ზეთის გამოსავლიანობის შემცირებას. სათანადოდ დამუშავებული სელის ცომის მასა მუჭის მოჭერის შემდეგ უნდა შეკრულიყო. წისქვილში სელის ცომის დასაზელად, ღერძის თავსა და ბოლოში კამეჩებს აბამდნენ, წისქვილთან სელის დამუშავების ამ ეტაპზე სამი მეხრე და ოსტატი მუშაობდა: ორი გელაზში შებმულ კამეჩებს მიერეკებოდა, მესამე ნიჩბით ცომს აბრუნებდა, მასვე ეხმარებოდა კალოს გარშემო მოსიარულე ოსტატიც. როდესაც ცომი გელაზის კედლიდან ჩამოცვივდებოდა და ქვაც გაპრიალდებოდა, ქუმელის დაზელვა დამთავრებულად ითვლებოდა.

დაზელილ სელის მასას თხის ბალნით ნაქსოვ ოთხკუთხა ქსოვილებზე ან თხილის ტოტისაგან მოწნულ მრგვალ ხახლებზე დაანაწილებდნენ და შემდეგ წნეხის ყუთში ჩაალაგებდნენ.

საწნეხი ძელების მოძრაობას, რაც ხრახნის დოლაბში შებმული გამწევი ძალისა და მეხრის დახმარებით ხორციელდებოდა, წნეხის დაწოლის ძლის გადიდება ან შემცირება მოჰყვებოდა.

ყურძნის საწური ჭურჭელი – საწნახელი

წყარო: ლ. გაბუნია, საწნახელი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. ამონარიდი.

ყურძნის დაწურვა საქართველოში უმთავრესად მამა-პაპური წესით, ფეხით წარმოებს საგანგებო ჭურჭელში, — საწნახელში საწნახელი გვხვდება ხის, ქვისა და ქვიტკირის. ქვიტკირის საწნახელი განსკუთრებით დამახასიათებელია ქართლ-კახეთისათვის. აქვეა გავრცელებული ხის საწნახელი, რომელიც არც თუ იშვიათად იმერელი ოსტატების მიერაა დამზადებული. დასავლეთ საქართველოში უმთავრესად ხის საწნახელი გამოიყენება, თუმცა აქა-იქ მთლიანი ქვისაგან (მონოლითისგან) გათლილი საწნახელიც დასტურდება.

ღვინის შესანახი სათავსი – მარანი

წყარო: ა. ლეკიაშვილი, მარანი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980. ამონარიდები.

„ქვამარანი“. იქ, სადაც „ქვა უფრო ეშოვებოდათ“ დასტურდება ქვის მარანი, როგორც სამი მხრიდან, ისე მთლიანად დახურული. რაჭა-ლეჩხუმში ქვის მარნებსაც ტრადიციისამებრ ზემოდან ადგას ბეღელი. ხის მარნებთან შედარებით ქვიტკირის მარანი „მუდმივია“ და ამიტომაც უფრო მოწონებული. გავრცელებულია იშვიათად იმერეთში, ხშირია რაჭა-ლეჩხუმში.

ღია მარანი სავსებით შეესაბამებოდა დაავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობების თავისებურებებს. ლიხთ-იმერეთის ჰავისა და ნიადაგის მოჭარბებული ტენიანობის გამო, „გადახურულში“ ჭურების დამარხვა საზიანოა ღვინისათვის: მუდმივი „ჩერო“ და უმზეობა ღვინოს „დაცდის“, შმორის სუნს მისცემს. ღია ჭურისთავზე კი სასურველი სიმშრალეა; მას დილა-საღამოს მზე უდგება, ნიავიც უვლის. ხოლო ზაფხულის მოჭარბებული სიცხისაგან ჭურისთავს, აქ გამართული საჩრდილობელი იფარავს; გარდა ამისა, ჭურისთავს ნიავი და წვიმაც აგრილებს; „სიგრილეში ინახავს ღვინოს“. მხოლოდ აქაური მთიანი მხარეების მკაცრი ჰავა და აგრეთვე სამეგრელოს გადაჭარბებული ნალექიანობა აიძულებს მეურნეს, რომ ქვევრს „გადახურულში“ მიუჩინოს ბინა.

დახურული მარნის გავრცელების არეალი ზოგადად მოიცავს ქართლ-კახეთს და, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს მთის ზოლს. ღია ჭურისთავთან შედარებით, აქ, უპირატესობა ენიჭება დახურულ მარანს, რაც ამ მხარეთა გეოგრაფიული თავისებურებებით აიხსნება.

ასე, მაგალითად, ქართლ-კახეთში დახურული მარანი ღვინოს იცავს ზაფხული მოჭარბებული სიცხის, ხოლო ზამთარში ყინვა-სიცივის მავნე ზეგავლენისაგან.

ლიხთ-იმერეთის მთიან მხარეებში, უმთავრესად აქაური მკაცრი ჰავის გამო, ამჯობინებენ ჭურების გადახურულში შენახვას, ხოლო სამეგრელოში ამის მიზეზია ჰავის მოჭარბებული ნალექიანობა.

ქართული მარნის ამ მეორე ძირითად ტიპში გამოიყოფა ორი მთავარი სახეობა: ა) მარანი, როგორც განცალკევებით მდგომი ნაგებობა, და ბ) მარანი, საცხოვრებეი სახლის კომპლექსში.

განცალკევებული მარანი მასალის მხრივ ორგვარია: ქვიტკირისა და ხისა.

ქვიტკირის მარანი

ეს სახეობა ძირითადად დამახასიათებელია ქართლ-კახეთისათვის, სადაც მისი რამდენიმე ქვესახეობა დასტურდება. მრავალ სოფელში თითო-ოროლად გვხვდება ძველებური ქვიტკირის მარანი, რომელიც განსაუთრებული სიდიდით გამოირჩევა. ზოგი მათგანის სიგრძე ათ მეტრს აღემატება. მარნებს თავდაპირველად ჰქონია მიწურებიანი სახურავი, გვიან კი ორფერდა სახურავი დაუშენებიათ. არაერთი მათგანი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საუცხოო ნიმუშად გვევლინება. თვალს იზიდავს კედლების ლამაზი წყობა, წინამხრიდან (ფასადის მხრიდან) ჩაყოლებული აგურის ჯვრები და ზოლები, აგურით ამოყვანილი თაღოვანი შესასვლელი — მუხის მასიური ორფრთიანი კარებით.

გამოჩენილი მოღვაწენი

მეფე ფარნავაზი

წყარო: ჩხარტიშვილი მ. ისტორიული პორტრეტები. თბ, 1992.

ძვ.წ. IX ს. II ნახევარი: ხანა დიდი საერთაშორისო ძვრების. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად ირღვევა წარსულში ძლევამოსილი აქემემნიდური ირანის იმპერია. საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ვხედავთ: აღმოსავლეთში (მას მცხეთის მამასახლისი უდგას სათავეში), სამხრეთში (ესაა ირანს დაქვემდებარებული ქართველურ ტომთა გაერთიანება – არიან-ქართლი, ე.ი. ირანის ქართლი), დასავლეთში.

მაკედონელთა ლაშქრის ერთ-ერთმა მარბიელმა ამიერკავკასიასაც მიაღწია და ირანის გავლენისაგან გაათავისუფლა არიან-ქართლი, რომლის წინამძღოლის ძემ აზომ ისარგებლა შექმნილი ვითარებით, მაკედონელთან ზურგმომარაგებულმა ილაშქრა ჩრდილოეთში და გამეფდა მცხეთაში. აზოსთან ბრძოლას შეეწირა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა.

სწორედ ასეთ ვითარებაში მოვიდა მცხეთაში ფარულად მამასახლის სამარას ძმისწული ფარნავაზი, რომელიც მამის დაღუპვის შემდეგ სამი წლის ასაკიდან დედასთან და ორ დასთან ერთად მთებში იმალებოდა. ფარნავაზის დაბრუნება, რომელიც ამ ხანისათვის უკვე მოწიფული ვაჟკაცი ჩანს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო: მას შური უნდა ეძია მამისა და ბიძისათვის, ამასთან, როგორც შთამომავალს „თავთა მათ ქართლისათა“, თვით ჰქონდა ქართლის გამგებლობის პრეტენზია.

მემატიანეს მინიშნებით განგების ნებით ფარნავაზმა განძი იპოვა. ახალგაზრდა ტახტის მაძიებელს ამ სიმდირით ჯარის დაქირავება შეეძლო. ამით გამხნევებულმა მან მიმართა ქუჯის, ჩანს, ასევე რეპრესირებულ ეგრისელს (ე.ი. დასავლელქართველ) ხელისუფალთა შთამომავალს და აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა შესთავაზა. ქუჯიმ ითავა ეგრისიდან „ურიცხუნი სპანის“ შეკრების პრაქტიკული საქმე. ძალი მოირთეს ხარკით შეწუხებულ კავკასიელ მთიელთაგან, თანამოაზრენი იპოვნეს თვით აზოს უახლოეს პირთა შორისაც. გადამწყვეტ მომენტში ეს უკანასკნელნი განუდგნენ აზოს, ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მოსახლეობა. ამიტომ იყო, რომ აზო შეთქმულთათვის წინააღმდეგობის გაუწევლად გაიქცა სამხრეთში და თავის მამულში გამაგრდა. ფარნავაზი გახდა მთელი ქართლის გამგებელი, კლარჯეთის, ე.ი. აზოს მამულის, გამოკლებით. მეორე წელს ბერძნებისაგან გაძლიერებულმა აზომ შემოუტია ფარნავაზს, მაგრამ ფარნავაზმა უხმო ქუჯის, მთიელებს, უცხოელები მანაც მოიშველია. აზო დამარცხდა და ამ ბრძოლაში დაიღუპა. ფარნავაზმა კი „დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა, ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუასტაგი აზონისცა. და იქმნა სიმდიდრე გარდარეული.

ფარნავაზმა თვისტომთაგან ყველაზე უწინარესად ქართული ეთნოსი მოიაზრა როგორც განსაკუთრებული, სხვათაგან განსხვავებული ფენომენი. ამიტომაც, სახელმწიფო შენობისათვის დულაბად გამოიყენა ქართული ენა, რომელიც გაავრცელა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აქცია საყოველთაოდ: „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა“. ამგვარად, პროცესი ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისა, მის დრომდე უკვე დაწყებული, გახადა შეუქცევადი. ამასთან, ამ, მართლაც ღმერთკაცური განსჯის გამგებელმა, ახალი ეთნიკური სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაბადების ისტორიულობა გააცნობიერა და ეს ფაქტი დააფიქსირა წერილობით.

ვახტანგ მეექვსე

წყარო: კ. ხარაძე. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, 1996.

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ვახტანგ მეექვსე. იგი თავისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ქმნიდა მეცნიერებისა და კულტურის საგანძურს. განსაკუთრებულად დიდია ვახტანგის როლი მეცნიერების აღმავლობის საქმეში და, კერძოდ, ისტორიისა და გეოგრაფიის განვითარებაში. ვახტანგმა თავის გარშემო შემოიკრიბა გამოჩენილი ადამიანები, სწავლულები და შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“. მათ მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრება“ კი, თავის მხრივ, შეიცავს მრავალფეროვან გეოგრაფიულ ცნობებს, სწორედ მათი მუშაობის შედეგი უნდა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიული აგეგმვა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ პერიოდში რუკათა შედგენას და საქართველოში კარტო-

გრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვან განვითარებას. ცნობილია, რომ ვახტანგმა დაამზადებინა ასტროლაბი — ასტრონომიული ხელსაწყო (ამჟამად ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში), რომლის დახმარებითაც ახდენდნენ საქართველოს სხვადასხვა პუნქტების გეოგრაფიულ კოორდინატთა განსაზღვრას. სწორედ ვახტანგის მიერ ჩატარებული კოორდინატების გამოთვლებიც (მასალები ინახება მოსკოვში, ცენტრალურ სამხედრო ისტორიულ არქივში) დაედო საფუძვლად იმ დროის შედგენილ რუკებს. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის რუკები აღმოცენდა და შეიქმნა ვახტანგის მიერ შედგენილ მკვიდრ საფუძველზეც. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ არქივებში დაცულია ცნობები ვახტანგის კარტოგრაფიულ ცოდნაზე. ასე მაგალითად, საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების არქივში (სანკტ-პეტერბურგი) ინახება ძველი საბუთი (ჯგუფი 52, აღწ. I, ფურც. 70), რომლის მიხედვითაც ვახტანგ მეექვსე თვითონ ადგენდა საქართველოსა და სომხეთის რუკებს. მიუხედავად ამისა, ვახტანგის მიერ შესრულებული კარტოგრაფიული ნამუშევრები ვერ იქნა მიკვლეული. თუმცა, მოსკოვის ძველი საბუთების არქივში დაცულია ერთი სქემატური რუკა, რომელიც ვახტანგის შესრულებული უნდა იყოს. რუკა მოსკოვში გადაუცია საქართველოს მეფეს 1725 წელს. ეს თარიღი კი ემთხვევა ვახტანგის ჩასვლას მოსკოვში. აღნიშნული რუკა წმინდა სტრატეგიული ხასიათისაა. რუკის შედგენა და გადაცემა დაკავშირებული უნდა იყოს პრაქტიკულ მოთხოვნასთან, კერძოდ, ვახტანგ მეექვსის ჩანაფიქრთან რუსეთის მთავრობასთან ერთად ამიერკავკასიაში ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. სქემატური რუკა მოიცავს მდ. მტკვრის ხეობას მცხეთიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე, რაც მიუთითებს საომარი ოპერაციის ჩატარების არეალს.

XVIII საუკუნის დასაწყისის ქართულ კარტოგრაფიულ ნამუშევარს წარმოადგენს 1733 წლის გენერალ ლევაშევის მიერ მოსკოვში გადაცემული ხევის რუკა (მდ. თერგის ზემო წელი). საარქივო ცნობების საფუძველზე ვ. გამრეკელმა (1968) გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული რუკა შედგენილი უნდა ყოფილიყო ჯამასპი ხერხეულიძისა და გიორგი გარსევანიშვილის (ვახუშტის ძმის ბაქარის) აღმზრდელის მიერ.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში თბილისში იმყოფებოდნენ იტალიელი მისიონერები, რომელთაც განათლება შემოჰქონდათ. მათი გავლენით ამ დროს კვლავ გაძლიერდა საქართველოსი ინტერესი ციური სამყაროს შესასწავლად.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი XVIII საუკუნის დასაწყისში შეიტანა ვახტანგ მეექვსემ. იგი დიდი ინტერესით სწავლობდა ასტრონომიას, ეცნობოდა სხვადასხვა ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებს. ამით ვახტანგი ძლიერ გათვითცნობიერებულა ამ დარგში და მალე ასტრონომიის გაკვეთილებიც მიუღია. ამის შესახებ პატრირეჯინალდო 1709 წელს რომში წერდა: „ეს ბატონი მთავარი საკმაოდ მაღალ ნიჭიერია და სწავლის მოყვარე, ...ამ უკანასკნელ დროებში იგი ძრიელ დაგვიახლოვდა და დაგვიმეგობრდა. იმის გამო, რომ პატრი უფროსი ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს, ისიც კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“ (თამარაშვილი, 1902, გვ. 339).

ამავე პერიოდში, ვახტანგს სპარსეთში ყოფნის დროს უთარგმნია უზბეკი მეცნიერ ასტრონომის ულუღ-ბეგის (XV ს.) ასტრონომიული შრომები. ეს შრომებია პლანეტის ასტრონომიული ცხრილები, ვარსკვლავთ კატალოგი და გეოგრაფიული კოორდინატების ცხრილი. შრომაში მოცემულია 700-მდე პუნქტის გეოგრაფიული კოორდინატი. შემდგომისთვის ევროპაში შეგროვებულ მასალებთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, იგი გამოიყენა სულხან-საბამ თავის ლექსიკონში შედგენისას.

ვახტანგ მეექვსემ მუშაობა გასწია „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის“ ქართულად თარგმნისათვის. ამავე დროს, დაბეჭდა ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული თხზულება „აიათი“, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი. ამასთან იგი პრაქტიკულ მუშაობასაც ეწეოდა. ამ მიზნით მან დაამზადებინა სტროლაბი — ასტრონომიული ხელსაწყო, იგი გასულ საუკუნეში თელავში უნახავს ვინმე გ. ბურჭულაძეს (1888), რომელიც გაზეთ „ივერიაში“ წერდა, რომ იპოვნა ვახტანგ მეფის დროის ქართული რუკა, რბილ სპილენძზე ამოკვეთილი, რაც დიდ საგეოგრაფო და საისტორიო განძს წარმოადგენსო. სინამდვილეში ეს იყო სტროლაბი, რომელზეც ქართულად ჩართული ხელით აწერია „ვახტანგი“ და გვერდებზე ქართულადვე ახსნილია, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ ამ ხელსაწყოთი. ამ ხელსაწყოს ვრცელი სტატია მიუძღვნა გ. გიორგობიანმა (1965). ეს ხელსაწყო, როგორც აღვნიშნეთ, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ვახტანგ მეექვსის ასტრონომიული და გეოგრაფიული მოღვაწეობის, ორიგინალური ნაშრომებისა და თარგმანების შესახებ ვრცლად მიმოხილვას აკეთებს რაულ ჩაგუნავა თავის მონოგრაფიაში (1990, გვ. 155-199).

ლ. მენაბდის (1966) სამართლიანი შენიშვნით, ვახტანგის ასეთი ნაყოფიერი მუშაობა ასტრონომიაში განსაზღვრა ერთი მხრივ, ქართული კლასიკური ხანის თხზულების შესწავლამ და ძველ საქართველოში ასტრონომიის განვითარების მაღალი დონის გაცნობამ და, მეორე მხრივ, უცხოელი მეცნიერების სპეციალური შრომების ანალიზმა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ასტრონომიის განვი-

თარებამ ვახტანგს აგრძნობინა მისი დროის ქართული ასტრონომიის ჩამორჩენა და სტიმული მისცა ამ მიმართულებით ფართო საგანმანათლებლო მუშაობის წამოსაწყებად.

ლ. მარუაშვილის (1954) თქმით კი, ვახტანგ მეექვსე საქართველოს კარტოგრაფიის განვითარების წამომწყები იყო. ამავე დროს, საფიქრებელია, რომ ტოპოგრაფიული აგეგმვა ისევე, როგორც ეს დოკუმენტურად გამორკვეულია მოსახლეობის სტატისტიკური აღწერის მიმართ, შეადგენდა ვახტანგის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად გამიზნულ ღონისძიებათა ნაწილს, ხოლო ვახუშტი, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა წავიდა რუსეთში, თავისი მამის ამ განზრახვის ერთ-ერთი შემსრულებელი უნდა ყოფილიყო.

ვახტანგ მეექვსემ დიდი შრომა გასწია საკანონმდებლო წიგნის „დასტურლამალის“ შექმნაზე. ეს წიგნი 1886 წელს დაიბეჭდა. მასში აღნიშნულია: „...განუწესა მოხელეთ, „რათა წესითა და შემსგავსებითა იქცეოდენ თავის თანამდებობის ასრულების დროსა. ამისთვის ეს წიგნი შეიცავს წესს, რიგს, რა გვარად უნდა ემსახურნათ მოხელეთა მეფის კარისათვის, რა სახელმწიფო შემოსავლიდამ რა უნდა აეღოთ და როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში; რა სახელმწიფო სამსახური ედვათ მცხოვრებელთ ფულად, ანუ მოსავლით, ანუ მუშაობით“ (გვ. III-IV).

„დასტურლამალი“ შეიცავს ძვირფას მასალას წარსული საუკუნეების ისტორიის გამოკვლევისათვის. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან და სანდო წყაროს საქართველოს ძველი ტოპონიმების შესასწავლად. დასახელებულია არა მარტო პუნქტების სახელები, არამედ ხშირად მათი მდებარეობა და გავრცელება. მით უფრო, მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ იმ დროის ტოპონიმთა დიდი ნაწილი დღეისათვის გაუქმებულია. მასში დასახელებულია 300-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება.

„დასტურლამალი“ გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა. მასში მოცემულია ქართლის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების საზღვრები და მათი მდებარეობა. არის ცნობები მოსახლეობის რაოდენობისა და სიმჭიდროვეზე. ხეობებისა და მხარეების მიხედვით აღწერილი დასახლებული პუნქტების თანმიმდევრული განლაგება და მათი გეოგრაფიული დახასიათება იმაზე მიგვითითებს, რომ მას ზედმიწევნით სცოდნია ქართლი. მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერს გეოგრაფიული ობიექტების საზღვრების შესახებ: „...გელაძის ქუა რომ ძეს, იმის გასწორ კ უ კ ი ა ს ა (ლაპარაკია თრიალეთის სოფელ კუკიაზე — კ. ხ.) და ს ა მ ე ხ რ ე ო ს (ახლანდელი წინწყარო — წალკის რაიონში — კ. ხ.) — შუა დიდი სამძღუარი ქუა მთიდან ცოტა წყლიანი ჴევი ჩამოვარდება გზამდისინ...“ (გვ. 37). ასევე, „...იმას იქით (ანდრაპი — ახლანდელი ედიქილისა — კ. ხ.) სათიბში ა კ უ თ ს ეძახიან, იმას გარმა ლ ო შ ს ა კ ე ნ (ამჟამად ნასოფლარი სოფ. კუშჩთან — წალკის რაიონი — კ. ხ.) დიდი სამანი ქუაზის, ზ ე მ ო ა ნ დ რ ა პ ს ა და ზ ე მ ო ფ ა რ ე ხ ა ს (ახლანდელი დარაკოი — კ. ხ.) შუა ეს არის, და პ ა ტ ა რ ა ს ა ბ ა ტ ე ს (ახლა წალკის წყალსაცავითაა დაფარული — კ. ხ.) ქციის გაღმა სამანი ვიპოვეთ...“ (გვ. 38). კიდევ, „...ტბის იქით (ნაგულისხმევია ბარეთის ტბა — კ. ხ.) პირს ბეშქენაშენის (ახლანდელი ბეშტაშენი — კ. ხ.) სამძღუარი ზის; იმას გასწორ ზემოთ დიდი ფლატო არის, ფლატოს გამოღმა სათიბის პირს მაღლობი მისდევს, მაღლობს აქეთ წყარო ჩამოდის, მას ქვევით დარჩათ ვ ა რ დ ი ს უ ბ ნ ე ლ თ (ახლანდელი სოფ. თეჯისის სანახები — კ. ხ.) და ტ ა მ ა ლ ი ა ს (ახლანდელი სოფ. ხადიკი — კ. ხ.) შუა გზის პირას სამძღუარი ქუა ზის...“ (გვ. 38-39).

„დასტურლამაში“ განსაკუთრებით უხვი ცნობებია იმ დროის ეკონომიკის შესახებ. კერძოდ, მასში დასახელებულია სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც გავრცელებული იყო ქვემო ქართლში. თავის დროზე ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი ეს ნაშრომი ერთ-ერთ წყაროდ გამოუყენებია ვახუშტი ბაგრატიონს თავისი გეოგრაფიული თხზულების შედგენისას.

ვახტანგ მეექვსის დროს მოხდა ქვემო ქართლის მოსახლეობის აღწერა, რომელიც 1907 წელს ე. თაყაიშვილმა გამოსცა. აღწერა მომხდარა ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბაგრატიონისა და გივი თურმანიშვილის მიერ 1721 წელს. სავარაუდოა, რომ ასეთი აღწერები იმ დროს სხვა მხარეებისაც უნდა ყოფილიყო. თვით ვახტანგი ლაპარაკობს „დასტურლამალში“, თუ ვის უნდა შეესრულებინა ზემო ქართლის ხეობის, საამილახვროს, საციციანოს, მუხრანის და სხვა მხარეთა აღწერა. მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული არ არიან, გადარჩენილი მასალა კი მრავალმხრივაა საინტერესო. აღნიშნული მასალა გამოვიყენეთ ქვემო ქართლის მოსახლეობის რეტროსპექტული კარტოგრაფირებისათვის (ხარაძე, ქართველიშვილი, 1979, გვ. 105-113).

ვახტანგ მეექვსე დიდი ინტერესს იჩენდა აგრეთვე სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი, ეს დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის თხზულებიდანაც, სადაც ნათქვამია, რომ ვახტანგი აგროვებდა მინერალოგიურ და პალეონტოლოგიურ მასალას.

ამრიგად, ვახტანგ მეექვსემ პირადად თუ მისი ხელმძღვანელობით თვალსაჩინო მუშაობა გასწია XVIII საუკუნეში გეოგრაფიული მეცნიერების წინსვლისა და აღორძინებისათვის, რაც ვახუშტი ბაგრატიონმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა და გეოგრაფიული ცოდნა მეცნიერებად აქცია.

ვახუშტი ბაგრატიონი

წყარო: ელიზბარაშვილი ნ., მაჭავარიანი ლ., ნიკოლაიშვილი დ., მელაძე გ. და სხვ. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 2000.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 1997 წელს აღინიშნა გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 3000 წლისთავი.

უსაზღვროა ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლი მეცნიერების არაერთი სფეროს განვითარებაში.

საქართველოს გეოგრაფიული აღწერის ისტორიაში უპირველესი ადგილი ვახუშტი ბაგრატიონის სახელგანთქმულ ნაშრომს – „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“ უჭირავს. იგი უპირველესია ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, დღემდე მოღწეულ შრომათაგან არსად ისეთი სისრულით არაა აღწერილი საქართველოს ბუნება, მოსახლეობა და ეკონომიკა, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში; მეორე, მის ნაშრომში გეოგრაფიული მოვლენები და ობიექტები მიზეზ-შედეგობრივ, კომპლექსურ და რეგიონულ ჭრილშია განხილული, რაც გეოგრაფიული ანალიზს საუკეთესო საშუალებაა. „წერილობითი ძეგლების, რუკებისა დემოგრაფიული წყაროების მიხედვით დაწერილ და ავტორისაგან საქართველოს ადგილობრივს ყოველმხრივს პირად შესწავლაზე დამყარებული ვახუშტის თხზულება ყოველი მკვლევარისათვის, რა მხრივაც იგი საქართველოს წარსულსა და ნაწილობრივ აწმყოს გამოკვლევას არ აწარმოებდეს, ყოველთვის აუცილებლად საჭირო წყარო იქმნება“, – აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

ბიოგრაფიული ცნობები. ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი იყო. იგი სამეფო კარზე აღიზარდა, მიიღო ფართო განათლება და რამდენიმე უცხო ენას დაეუფლა. ვახუშტი ბატონიშვილი ბევრს მოგზაურობდა, მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვაში, იღწვოდა პოეზიაში, თარგმნიდა მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. მისი უშუალო მონაწილეობით 1712 წელს დაარსდა პირველი ქართული სტამბა, სადაც დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

1723 წელს საქართველო თურქეთის გავლენის ქვეშ მოექცა. 1724 წელს ქვეყანა დატოვა ვახტანგ VI და მისმა ამალამ 1200 კაცის შემადგენლობით. მეფე და მისი ამალა გურძიევცეკის უღელტეხილით გადავიდა ჩრდილო კავკასიაში, მიაღწია ასტრახანს და ექვსი თვის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, ჩავიდნენ მოსკოვში. აქვე დასახლდა და სიცოცხლის ბოლომდე აქ ცხოვრობდა. რუსეთში მოღვაწეობისას ვახუშტი ბაგრატიონმა შეადგინა „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, შექმნა „საქართველოს ატლასი“, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1744 წ.) და სხვა.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ნაშრომში მოცემულია როგორც XVIII საუკუნის პირველი ნახევრის, ასევე წინა პერიოდების საქართველოს კომპლექსური ანალიზი. საქართველოს ყველა მხარე დახასიათებულია შემდეგი გეგმით: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა, ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლები, ეთნოგრაფიული ნიშნები. იგი წარმოადგენს არა მარტო გეოგრაფიისა და ისტორიის, არამედ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პირველწყაროსაც. ვახუშტიმ პირველმა დაუკავშირა ბუნებრივი პირობები და რესურსები სამეურნეო საქმიანობას, განსაზღვრა მეურნეობის ფორმები. ნაშრომში შედარებით ანალიზის საფუძველზე გამოყო ბარისა და მთის სამეურნეო ტიპები.

ვახუშტიმ პირველმა განასხვავა მოსახლეობისა და მეურნეობის რეგიონალური თავისებურებანი, ეთნოკულტურული განვითარების ტენდენციები და ა.შ.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი საქართველოს რელიეფი XII-XIII საუკუნეების საზღვრებში. იგი მოიხსენიებს იმერეთის მღვიმე-გამოქვაბულებს, რომლებიც მურვან ყრუს შემოსევათა პერიოდშია გამოკვეთილი მდ. ყვირილის ხეობაში. ის მათ ბუნებრივ წარმონაქმნებად მიიჩნევს, რომლებიც მოსახლეობამ სახიზრად გადააკეთა. მღვიმე გამოქვაბულები კარგად ყოფილა დაცული, მათში მოწყობილი ყოფილა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სისტემები, ზოგან კი (მღვიმევის – ჭიათურასთან) მონასტრებიც კი ჩაუშენებიათ. ამგვარად გამაგრებული გამოქვაბულები მტრისათვის შეუღწევლად ითვლებოდა.

ვახუშტი არაერთხელ ახსენებს ბუნებრივ ჭებს, რომელთაც ქართლსა და რაჭაში საყინულეებად, სამაცივროდ იყენებდნენ. ამგვარ ჭებში ზამთარში ჩამდგარი ცივი ჰაერი და ჩაფენილი თოვლი ზაფხულშიაც ინარჩუნებდა მიკროკლიმატურ თავისებურებებს. დადგენილია, რომ თუ ზაფხულში, საყინულეს შესასვლელში ჰაერის ტემპერატურა +18+20^0 იყო, მის სირღმეში იგი 0-2^0-ს არ აღემატებოდა. ყინულოვანი მღვიმეები, რომელიც ერთ ათეულამდე აქვს აღწერილი ვახუშტის მარტო თბილისის მიდამოებში, სამაცივრო, სასაწყობო და სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა. სწორედ აქედან მარაგდებოდა ზაფხულობით ყინულით საქართველოს სამეფო კარი.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებითაა დახასიათებული მღვიმოვანი ციხე-ქალაქები – უფლისციხე და ვარძია. უფლისციხე ანტიკურ და ელინისტურ, ხოლო ვარძია თამარის ეპოქაშია გამოკვეთილი, აქ მოწყობილი ყოფილა სრული სახის საქალაქო ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო სამეურნეო, თავდაცვისა და რელიგიური ნაგებობანი და სხვ. ვახუშტი ასევე მიმოიხილავს ხვამლის მასივის, ბეთლემის, შიომღვიმის, ქცია-ხრამის ხეობის, მჭიშთისა და კელასურის გამოქვაბულებს, განძსაცავებს, წიგნსაცავებს და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული საქართველოს ჰავის მკვლევართათვის. მისი დაკვირვებანი ჰავაზე ვიზუალური იყო, ხოლო ჰავის ანალიზისათვის მაღალ-მეცნიერულ დონეზე გამოიყენა „წიგნი სააქიმონი“, „კარაბადინი“, „სიტყვის კონა“ და სხვა. ამა თუ იმ ადგილის ჰავა მას ხატოვანი ენით აქვს აღწერილი. მაგალითად, თბილისის ჰავის შესახებ წერს, რომ იგი „არს მშვენი და მხიარული“. ქართველ მეცნიერთა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ვახუშტი არაფერს ამბობს თბილისის ქარიანობაზე, რასაც იმით ხსნიან, რომ ასე გავრცელებულ ჩრდილო-დასავლეთის ქარს იმ პერიოდში ხელს უშლიდა ტყეები, რომლებიც ფართოდ იყო წარმოდ-გენილი ქალაქის პერიფერიებში.

გაკვირვებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ ვახუშტი ბაგრატიონი, ახასიათებს რა სეტყვის უარყოფით ზეგავლენას საქართველოს მთელ რიგ რაიონებზე, ეს ფაქტიც ალაზნის ველის ტყიანობით აიხსნება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ჰაერის მასების აღმავალ დინებას და შესაბამისად სეტყვიანობასაც.

ვახუშტის ნაშრომში დეტალურადაა განხილული არაერთი მდინარე, ტბა თუ მყინვარი. იგი განსაკუთრებული ყურადღებით მდინარე მტკვარს აღწერს, მიმოიხილავს მის სათავესა და შესარ-თავებს, წყლის თვისებებს და ცხოველთა სამყაროს. საინტერესოა, რომ მისი მონაცემებით, მდინარე მტკვარს თბილისამდე კასპიის ზუთხი ამოუყვებოდა.

საინტერესოა მდინარეთა ეტიმოლოგიის საკითხებიც. მაგალითად, ტეხურა – „ტეხს ხიდებს“, გუბისწყალი – „გუბედ მოედინების“, ექცია – „დამაქცეველი ხიდთა“ და ა.შ. ვახუშტიმ ადვილად შეამჩნია საქართველოს ზოგიერთი ტბაში (მაგალითად, ფარავნის) წყლის ხარისხის გაუარესება და შესაბამისად თევზის გემოვნების გაფუჭება, რაც მესაქონლეობას დაუკავშირა. მან არაერთხელ აღინიშნა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა უმნიშვნელოვანის როლი სარწყავი მიწათმოქ-მედების და საერთოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. „რომელნი ველნი ირწყვიან ლიახ-ვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობენი, და გემოიანი, და სპეტაკი“ – წერს ვახუშტი. იმ პერიოდში სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში წყლისადმი ისეთი მომთხოვნი კულტურებიც მოიყვანებოდა, როგორიცაა ბამბა და ბრინჯი. ვახუშტის ნაშრომში საკმაოდ დიდია ინფორმაცია საქართველოს სამკურნალო – თერმული თუ სამკურნალო-მინერალური წყლების შესახებ. იგი დე-ტალურად აღწერს იმ კეთილ თვისებებს, რომლის მიხედვითაც არაერთი ავადმყოფის განკურნებაა შესაძლებელია.

ვახუშტის ნაშრომში რამდენიმე ათეული კულტურა, შინაური თუ გარეული ცხოველია მოხ-სენებული და დახასიათებული, ჩვენთვის განსაკუთრებთი საინტერესოა ის კულტურები, რომლებ-მაც თანდათან დაკარგეს სამეურნეო მნიშვნელობა, ეს განსაკურთებით ეხება აბრეშუმს, ბამბასა და ბრინჯს, ზოგიერთ სუბტროპიკულ, ტყისა და სუბალპურ მდელოთა მცენარეულობას. იმ პერიოდში ნატურალური გაცვლის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი ღვინო ყოფილა, გავრცელებას იწყებს სიმ-ინდი, ლობიო და თამბაქო, დიდი რაოდენობით მოიყვანება ხორბალი (თავთური, დოლის პური, საგა-ზაფხულო დიკა), ღომი, ქერი და შვრია, არაერთი ტექნიკური კულტურა. ქვემო ქართლში შემორ-ჩენილი იყო მეაქლემეობა. ველურად მზარდ („უმუშაკო“) კვების პროდუქტთაგან ვახუშტი ხურმას, საზამთროს (მელსაპენონი), ნესვს, ვაშლ-ატამს, კაკალს და სოკოს მოიხსენებს.

როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში, იმ პერიოდში მეურნეობის მთავარ დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. ამის გამო, ვახუშტი ბაგრატიონი შედარებით ნაკლები გულ-მოდგინებით განიხალავს მრეწველობას, ტრანსპორტს, მომსახურების დარგებსა და ვაჭრობას. მისი მონაცემებით, მარტო თბილისში 60-მდე ხელოსნობას ეწეოდნენ, რისთვისაც ამუშავებდნენ რკინის, სპილენძის, ტყვიის, გვარჯილისა და საჩახმაკე კაჟის საბადოებს, გადაამუშავებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ხე-ტყეს. ფართო გამოყენება ჰქონია ქვისა და თიხის ნაწარმს; იაღლუ-ჯას სერზე მოპოვებული ბალახისაგან (რომელსაც კალიას ეძახდნენ) საუკეთესო ხარისხის საპონი მიიღებოდა. ლითონის დამუშავებას მისდევდნენ ქვემო ქართლში, იმერეთსა და რაჭაში, აბრეშუმისა და ბამბის წარმოებით გამოირჩეოდა სამეგრელო, აფხაზეთი და იმერეთი, შინამრეწველობით კი – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი.

ვაჭრობას ძირითადად სომეხი და ებრაელი მოსახლეობა მისდევდა. ფულის ერთეული „თე-თრი“ ყოფილა, რომელიც დიდი ბრუნვით არ გამოირჩეოდა. ნატურალური გაცვლა მიმდინარეობდა როგორც მთასა და ბარს, აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის. ვაჭრობდნენ როგორც კვების

პროდუქტებითა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებით, ასევე ტყვეებით, რომელთა კერებიც ბაღდათსა და შავიზღვისპირეთის ნავსადგურებში იყო განთავსებული.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა მთელ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებულია. მან გამოსცა საქართველოს ხელნაწერი ატლასი (შედგება 8 რუკისაგან, 1735 წელი), საქართველოს ატლასი (19 რუკა და 2 გენეალოგიური სქემა, 1745 წ.) და 9 საქართველოსა და 2 კავკასიის რუკა, განკუთვნილი რუსეთის არმიისათვის. საქართველოს ატლასის შესაქმნელად ვახუშტიმ არაერთი ლიტერატურული წყარო და კარტოგრაფიული მასალა გამოიყენა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია სულხან-საბა ორბელიანის გრაფიკული ნაწარმოები კავკასიის შესახებ (1723 წ.), ტომითე გაბაშვილის იმერეთის რუკა (1737 წ.) და სხვ.

ვახუშტი ბაგრატინის ატლასის შესახებ, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა, ევროპისათვის ცნობილი გახდა 1837 წელს, რუსეთისათვის 1851 წელს, ხოლო საქართველოში მის შესახებ პირველად გაიგეს 1880 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული ანალიზი მოცემულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ ლევან მარუაშვილის შრომებში.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ხუთი გეოგრაფიული რუკის მიღება ყაზანის უნივერსიტეტიდან (რუსეთი)

წყარო: გაზეთი „დროება“, 1880 წელი, 6 აპრილი, № 75. გვ, 3.

ჩვენ ვნახეთ გუშინ ხუთი გეოგრაფიული რუკა საქართველოსი ჩვენის გამოჩენილის გეოგრაფის ვახუშტის ხელით დახატული და დაწერილი. ეს რუკები აქაურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა მიიღო ყაზანის უნივერსიტეტიდან, სადაც სულ 8 თაბახი ყოფილა, მაგრამ, საუბედუროდ, სამი ამათში დაკარულია.

როგორც ზედ წარწერიდან ჩანს, ეს რუკები 1735 წელს შეუდგენია ვახუშტის. არავინ იცის, საიდან გაჩნდა ეს რუკები ყაზანში.

მშვენიერადაა შესრულებული რუკები, თითქმის ყველა სოფელია გამოხატული, მთა-ველი, ტყეები და პატარა მდინარეებიც. ერთი რუკა თბილისისაცაა, რომელზედაც გამოყვანილი ქუჩები, ეკლესიები და ზოგიერთი დიდ-კაცის სახლებიც.

ზოგიერთმა პირმა იკისრა ამ რუკის ფოტოგრაფიულად გადაღება და იმის პირის დატოვება ჩვენში. თვითონ დედანი ისევ ყაზანის უნივერსიტეტში უნდა გაიგზავნოს. ამბობენ, ფოტოგრაფმა ერმაკოვმა ას მანეთად იკისრა ყველა ხუთი რუკის გადაღება.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რა როლი შეასრულა ვახუშტი ბაგრატიონმა ქართლის და საერთოდ, მთელი საქართველოს გეოგრაფიულ და ისტორიულ შესწავლაში, საქართველოს დეტალური რუკების შედგენაში. ამასთან მოსწავლეებმა უნდა ჩამოთვალონ მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ვახუშტისდროინდელ საქართველოში იყო დაწინაურებული საქართველოს 3 მხარეში, ანუ მხარეებში, რომლებიც უკვე ნასწავლი აქვთ. ამ მიზნით, მათ უნდა შეავსონ ცხრილი.

იმერეთი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი

მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა შეუდარონ ეს ჩამონათვალი და დაუკავშირონ ისინი თანამედროვე მონაცემებს, დაადგინონ განსხვავებები.

ეს საკითხი მოსწავლეებმა ამავე სტილში კიდევ უნდა განიხილონ, სამეგრელოს შესწავლის შემდეგ, აგრეთვე VI კლასში: როცა ისინი შეისწავლიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს, რაჭალეჩხუმსა და აფხაზეთს, და ბოლოს, კიდევ ერთხელ, როცა შეისწავლიან თბილისს.

დავით სარაჯიშვილი

წყარო: თეიმურაზ ბერიძე, ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980.

აღსანიშნავია, რომ თბილისში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. უმაღლესი განათლების მისაღებად უნდა გამგზავრებულიყავი ან რუსეთში, ანდა საზღვარგარეთ, რასაც ფული ესაჭიროებოდა. ბევრი ახალგაზრდა დარჩა უსახსრობის გამო უმაღლესი განათლების გარეშე.

მე-19 საუკუნის საქართველოში სულაც არ იყო, ან ძალიან ცოტა იყო ისეთი ქართველი, რომელსაც მეცენატობა შეეძლო და დახმარების ხელს გაუწვდიდა ქართველ ახალგაზრდობას.

ყოველვარ ეროვნულ წამოწყებას ფული ესაჭიროებოდა. ფული კი არსაიდან ჩანდა. ცარიზმის იმედი ამ მხრივ არ უნდა ჰქონოდათ. იგი ყოველგვარ ეროვნულ წამოწყებას ხელს უშლიდა. იმპერიის პერიფერიებში მცხოვრები ხალხები რაც უფრო მეტ ხანს იქნებოდნენ სიბნელესა და უმეცრებაში, მას ის უნდოდა.

მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდა ქართველთა შორის ადამიანი, რომელმაც ეს მეტად დიდი ეროვნული საქმე იტვირთა.

ეს ადამიანი იყო დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი.

დ. სარაჯიშვილი დაიბადა თბილისში 1848 წელს საპატიო მოქალაქის ოჯახში.

თბილისში გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1866 წელს, სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგს სადაც შევიდა უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაულტეტზე. მაგრამ ერთი წლის შემდეგ დატოვა პეტერბურგი და გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ჯერ მიუნხენში სწავლობდა, ხოლო შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. 1871 წელს დაამთავა და მიიღო ქიმიის დოქტორის ხარისხი. 1878 წელს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის შესაძენად სწავლა განაგრძო ჰოპენჰეინსა და საფრანგეთში, სადაც 1878-79 წლებში სწავლობდა მევენახეობას.

დავით სარაჯიშვილი სამშობლოში დაბრუნდა ევროპულად განათლებული.

ყველასათვის მოულოდნელად დავით სარაჯიშვილმა არყის დამზადების საქმეს მიჰყო ხელი. შეიძინა არყის სახდელი ქარხანა და მთლიანად იმდროინდელი ტექნიკის მიხედვით გადააკეთა. შემდეგ თბილისში გახსნა არყის საწყობი და ლიქიორის ქარხანა, ხოლო 1888 წელს — კონიაკის ქარხანა. იგი ამ საქმის პიონერია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი რუსეთის იმპერიაში.

დავით სარაჯიშვილმა დიდი გამჭრიახობით, შრომისმოყვარეობით და საქმის კარგი ცოდნით დიდძალი ქონება შეიძინა. ასე რომ, იგი ერთ-ერთ უმდიდრეს პიროვნებად ითვლებოდა მთელ ამიერკვაკასიაში. მაგრამ დავითს მხოლოდ სიმდიდრის შეძენა არ ხიბლავდა. ეს სიმდიდრე მას თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა გამოეყენებინა. დავით სარაჯიშვილი უძეო იყო, მაგრამ ამ უმდიდრეს კაც ეს სულაც არ ადარდებდა. იგი ხშირად ამბობდა: „რას მიქვიან უშვილობას! განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ჩემი შვილი არ არისო“. 1905 წლის 3 აპრილს, დავით სარაჯიშვილის ახალი სახლის (დღეს მწერალთა სახლი) კურთხევის დღეს დიდმა აკაკიმ ასეთთი ლექსი უძღვნა დავით სარაჯიშვილს:

განგებამ მოგცა სუყველაფერი!
ნუ სწუხართ იმას, რომ ხართ უშვილო,
ნუთუ არ კმარა შვილად და ძირად
თქვენთვის სამშობლო და საქართველო!

დავით სარაჯიშვილი დიდი გულისყურით ექცეოდა ყველა ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველს, რომელსაც სწავლა სწყურობა, მფარველობდა მათ.

მე-19 საუკუნის მოწინავე ქართველ ინტელიგენციას დიდად აფიქრებდა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმე. ამიტომ ყოველი მათი შეკრების მთავარი საკამათო და სასაუბრო თემა იყო ახალგაზრდებისათვის წესიერი განათლების მიცემის საკითხი. დავით სარაჯიშვილის სახლი ერთ-ერთ სალონს, იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციისათვის სათავყრილობო ადგილს წარმოადგენდა. ამ სახლის ხშირი სტუმრები იყვნენ დიდი ილია, აკაკი იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე და მრავალნი სხვანი. მართლაც 1888 წელს დავით სარაჯიშვილის მთავარ კანტორასთან დაარსებულა კომიტეტი ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით, რომელიც მარტო სტიპენდიების სახით დახმარებას უწევდა სკოლებს, ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნების გამოცემას. დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტები სხვადასხვა დროს იყვნენ ია კარგარეთელი, მელიტონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მოსე თოიძე და სხვა

მე-19 საუკუნის დაახლოებით 80-იან წლებში იწყება ქართული კულტურის აღორძინება. არსდება „ქართული გალობის აღმდგინებელი კომიტეტი“, სამუსიკო სასწავლებელი, ლადო აღნიაშვილის და ი. რატილის გუნდები, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა. დავით სარაჯიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ კულტურულ წამოწყებას.

დავით სარაჯიშვილის ბინაზე ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული შეკრებები. აქ თავს იყრიდნენ როგორც ქართველი ისე უცხოელი მწერლები და პოეტები. შეკრებილნი კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს, იმართებოდა სჯა-ბაასი სხვადასხვა საკითხებზე.

1882 წელს, ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე ილიას წაუკითხავს პოემა „განდეგილი"; აქვე ილიას პირველად წაუკითხავს „ოთარაანთ ქვრივი".

1911 წლის 20 ივნისს დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1910 წლის 3 ივნისს დონის როსტოვში ყოფნისას, ადგილობრივ ნოტარიუსთან დავით სარაჯიშვილს შეუდგენია ანდერძი, რომელიც მისი დიდსულოვნების უტყუარი საბუთია. ანდერძის შედგენისას მას არ გამორჩენია არავინ და არაფერი მისი უზარმაზარი ქონებიდან თითქმის ყველას ხვდა წილი. დიდმა ქველმოქმედმა და მეცენატმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" ანდერძით დაუტოვა 300000 მანეთი, აქედან ქართული მუზეუმის აგებას უნდა მოხმარებოდა 150000 მანეთი, დარჩენილი 150000 მანეთი კი — სტიპენდიებს; თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიას — 10•000 მანეთი; თბილისის მართლმადიდებელ სემინარიას 5000 მანეთიი; პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს — 5000 მანეთი; მხატვარ გიგო გაბაშვილს — 1000 მანეთი; მწერალ არტურ ლაისტს — 1000 მანეთი. მას არ დავიწყებია თავისი მუშა-მოსამსახურენიც, რომელთაც 125 000 მანეთი დაუტოვა. 1918 წელს დავითის ნების აღმსრულებელმა ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილმა დავით სარაჯიშვილის უმდიდრესი ბიბლიოთეკა გადასცა ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს.

სამოქალაქო აქტივობები

რა უნდა გაკეთდეს სამეწარმეო საქმიანობის წარმატებისა და საერთოდ, ქვეყნის სამეურნეო დაწინაურებისათვის?

სტანდარტის მისაღწევი შედეგები: (II).6, (II).7.

მიზანი: მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სამეწარმეო საქმიანობის წარმატებისა და საერთოდ, ქვეყნის სამეურნეო დაწინაურებისათვის.

წყარო 1: გაზეთი „დროება“, 1883 წელი

საგურამოს მემამულეებსა და გლეხებს არ შეუძლიათ თავიანთი მეურნეობა გააუმჯობესონ, რის გამოც მათი ეკონომიური კეთილდღეობა უკან მიდის. მართალია, მაგრამ აქვთ ბუნების სიმდიდრე, მათ არ შეუძლიათ ამით სარგებლობა. გარდა ძველისა, მათ არ იციან არავითარი სხვაგვარი ბაღ-ვენახის გაუმჯობესების საშუალებები. არ არის საჩვენებელი ფერმა, სადაც შეეძლებათ მიწისა და სამეურნეო იარაღების შეკეთება. ისინი წელში წყდებიან, მაგრამ მათ მძიმე შრომას მაინც არ მოაქვს ჯეროვანი ნაყოფი. ჩვენს მემამულეს სიძველის ჟანგი ხრავს.

მარტო წერა-კითხვის ცოდნა ვერ შეუცვლის მათ ცხოვრების ეკონომიურ პირობებს. ვერც უწიგნოდ, მარტო მიწის დამუშავების ცოდნა ვერ მოიტანს ნაყოფს. მხოლოდ ორივეს, მათ ერთმა-ნეთთან შეკავშირებას შეუძლია ჩვენი მეურნეობის წარმატებისა და გაუმჯობესების კვალში ჩაყენება.

წყარო 2. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021
http://gov.ge/files/275_38364_967251_136417.09.13%E2%80%931.pdf

შიდა ქართლი საქართველოს იმ მხარეებს მიეკუთვნება, სადაც მაღალია სოციალურად მოწყვლადი (განსაკუთრებულად ზრუნვისა და საჭიროების მქონე) მოსახლეობის რაოდენობა. ისინი მოსახლეობის თითქმის ნახევარია. აქ ასევე ბევრია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობაც, მათ შორის უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებნიც. ასეთი ვითარება გარკვეულწილად დევნილთა დიდი რაოდენობით შეიძლება აიხსნას.

აქ ხორციელდება ყველა სამედიცინო და სოციალური პროგრამები, თუმცა ისინი ვერ მოიცავენ მოსახლეობის მოწყვლად მთლიან ნაწილს.

შიდა ქართლის განათლების სფერო ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებით არის წარმოდგენილი. გორში მდებარეობს 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: გორის სასწავლო უნივერსიტეტი, გორის სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტი და ეროვნული თავდაცვის აკადემია. რეგიონში 7 პროფესიული სასწავლებელია, 172 საჯარო სკოლა, 6 სპეციალური (სამუსიკო) სკოლა და 99 სკოლამდელი დაწესებულებაა.

სოფლის მეურნეობის სუსტ მხარეებად დასახელებულია: უმაღლესი და პროფესიული აგრარული განათლების სიმწირე, კვალიფიციურ სპეციალისტთა ნაკლებობა, ცოდნის ნაკლებობა მეურნეობის წარმართვის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენების სფეროში.

მეთოდური მითითებანი

ამ ორი წყაროს საფუძველზე მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, ცალკეული სამეწარმეო საქმიანობის წარმატებისა და საერთოდ, ქვეყნის სამეურნეო დაწინაურებისათვის აუცილებელია 2 მთავარი რამ: კარგი განათლების მიღება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება მეურნეობის წარმართვისათვის. ეს ორივე ერთმანეთის ურთიერთშემავსებელია, რაც ცხადი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ არსებობს „პროფესიული აგრარული განათლების სიმწირე, კვალიფიციურ სპეციალისტთა ნაკლებობა, ცოდნის ნაკლებობა მეურნეობის წარმართვის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენების სფეროში“, ანუ დღესაც იგივე პრობლემების წინაშე დგას შიდა ქართლი, როგორც ეს იყო XIX საუკუნეში. ამაზე თუნდაც ერთი ფრაზა მიგვანიშნებს: „ჩვენს მემამულეს სიძველის ჟანგი ხრავს“-ო. მოსწავლეთა ყურადღება სწორედ ამაზე უნდა გამახვილდეს, რომ განახლება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ყოველთვის აქტუალური და აუცილებელია წინსვლისათვის.

მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, წყაროებში ასახული ვითარება მხოლოდ შიდა ქართლს შეეხება, თუ იგი ზოგადია მთელი ქვეყნისათვის. ამასთან მათ არა მარტო უნდა იმსჯელონ რა შეიძლება გაკეთდეს ვითარების გამოსასწორებლად, არამედ დაგეგმონ თავიანთი საქმიანობაც.

პასუხისმგებლობის გაცნობიერება

წყარო: გაზეთი „ივერია“, 1889 წელი

სოფ. ვაყა (გორის მაზრა): 18 თებერვალს შუადღისას ხალხი მდინარის ნაპირას უცქერდა ადიდებულ წყალს. ამ დროს ჩამოირბინა გამოქცეულმა ცხენმა თოკით. თოკი გამოედო ფეხზე იქ მდგომ 9 წლის ბიჭს, გაიტაცა ბიჭი ცხენმა, შევარდა წყალში და ბიჭიც შიგ შეათრია. წყალმა ნახევარ ვერსზე (1 ვერსი = 1.06 კმ) წაიღო ცხენი, დაახრჩო გვეგონა ბიჭი, მაგრამ როცა დამხვჩალი ცხენი წინ მოექცა, მაშინ ბიჭმა თავი ამოყო ზევით. ამ დროს გამოჩნდა გამბედავი კაცი სინო კაპანაძე, შევარდა წყალში და გამოგლიჯა ონავარ წყლის ზვირთებს ცოცხალ-მკვდარი ყმაწვილი. დღეს ბავშვი ცოცხალია. სინო კაპანაძეს რამდენიმე კაცი გადაურჩენია დახრჩობისაგან.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა შეეცადონ, ამ ამბის შეფასება და სინო კაპანაძის ქმედებას მოუძებნონ შესატყვისი ეპითეტები, ვთქვათ, გამბედაობა, მოყვრის სიყვარული და სხვა.

როგორ უნდა დავიცვათ ჰიგიენის წესები?

სტანდარტის მისაღწევი შედეგები: (II).2, (II).7, (II).9, (II).10.

მიზანი: მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ პირადი ჰიგიენის მნიშვნელობა და მისდიონ მას.

წყარო 1: შ. გოგლაძე. ჰიგიენისა და თავის მოვლის ტრადიციები საქართველოში. გაზეთი „ახალი თაობა“, 2010 წელი.
http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2010&art=19312

საუკუნეების მანძილზე ეძებდა ადამიანი სხეულის სისუფთავის დაცვის, პირისახის მოვლა-გალამაზების საშუალებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში უმჯობესდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ასე შეიქმნა არაერთი ჰიგიენური წესი თუ კოსმეტიკური ნორმა.

ქართველი ხალხის ჰიგიენური კულტურის მაღალი დონის ერთ-ერთ საბუთად არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში (ძალისა, არმაზისხევი, მძორეთი, ურბნისი) აღმოჩენილი უძველესი აბანოებია მიჩნეული. აბანოებს ჰიგიენურ-პროფილაქტიკურის გარდა, სამედიცინო დანიშნულებაც ჰქონდა, რადგან ზოგან სამკურნალო წყლითა და ტალახით მკურნალობდნენ. არქეოლოგიურ მასალათა შორის მრავლადაა აბანოს ინვენტარი, კოსმეტიკური იარაღ-ჭურჭელი (II ს.), სანელსაცხებლე ნედლეული – ფერუმარილი, სანელსაცხებლე ბოთლები და სხვა.

კოლხმა **მედეამ** პირველმა იპოვა ისეთი ყვავილი, რომლითაც თეთრ თმას შავად იღებავდნენ. მასვე მიეწერება ადამიანის „გაახალგაზრდავების“, ანუ ბუნებრივი საშუალებებით კანის მოვლის კოსმეტიკური რეცეპტების შემუშავება. დადგენილია, რომ დასავლეთ საქართველოში არსებობდა „სამკურნალო მცენარეთა წალკოტი“, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი „წალკოტი“ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში მდებარეობდა.

საქართველოში არსებობდა სხეულის ჰიგიენის დაცვის თავისებური რეჟიმი: ყოველდღიური, ყოველკვირეული და სადღესასწაულო. ყოველდღიური ჰიგიენური რეჟიმი გულისხმობდა მუშაობის დროს სავალდებულო წესებს.

ძველად სოფლის მოსახლეთა უმრავლესობას ეზოში წყალი არ ჰქონდა. პირადი ჰიგიენის დასაცავად და საოჯახო მოთხოვნილებისათვის ჭის, წვიმის, წყაროსა და მდინარის წყალი გამოიყენებოდა. ხალხში გავრცელებული იყო რწმენა თმის მოსავლელად „**7 მაისის წვიმის წყლის**“ განსაკუთრებული სარგებლობის შესახებ. სწამდათ, რომ „7 მაისის წვიმის წყალი“ ხელს უწყობდა თმის ზრდას, მის სიხშირეს. ეს დღე „დიდ და ძლიერ დღედ“ ითვლებოდა. ხალხი ამბობდა: „ნეტარება იმას, ვინც ამ წყალს შეაგროვებს და ნეტარება იმ მინდორ-ველს, სადაც ეს წვიმა მოვაო“.

საოჯახო ჰიგიენის აუცილებელი შემადგენელია სარეცხის რეცხვა, რისთვისაც თავსაბან მიწას, საპონსა და „ნაცარწმენდილს“ იყენებდნენ. სარეცხს ოჯახის უფროსი დიასახლისი რეცხავდა, გასაფენად ღობეებს იყენებდნენ. თავად-აზნაურებს საგანგებო მრეცხავები ჰყავდათ. გარეცხვას უკავშირდებოდა რიგი აკრძალვა: მაგალითად, ღამით, უქმე და სამარხვო დღეებში გარეცხვა- გაფენა იკრძალებოდა.

ჰიგიენურ წესებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი **თმის მოვლას** უჭირავს. იგი გულისხმობს ვარცხნილობისა და თავდახურვის წესების დაცვასაც. გათხოვილი ქალისათვის თავდახურვა აუცილებელი იყო. თმის ჰიგიენაში იგულისხმებოდა დაბანა, შეღებვა და მკურნალობა. თმას იბანდნენ კვირაში ერთხელ, ძირითადად, სამშაბათს ან ხუთშაბათს. ეს დღეები ითვლებოდა „ბედნიერ დღეებად“.

თმის დასაბანი მარტივი საშუალებებია: 1. ნაცარწმენდილი (ნაცარტუტა, ნაცრისთვალი, ნაცარწმული, ნაცრისძალი) ყველაზე დაბალი ხარისხის დასაბან, გასარეცხსა და შესაღებ საშუალებად ითვლებოდა. მას ღარიბი და შეჭირვებული ადამიანი იყენებდა. ნაცარწმენდილით იღებავდნენ ქერა, ღია ფერის თმას, მუქსა და თეთრ თმას კი იგი მხოლოდ ერთგვარ შეფერილობას აძლევდა. ნაცარი ავი სულების საწინააღმდეგო საშუალებადაც ითვლებოდა; 2. მარილწყალი. თმის დასაბანად გამოიყენებოდა მარილით გაჯერებული წყლის ნაზავი; 3. ნახადის წვენი, არაყის ქაფი. 4. მახოხი. ხაშით აფუებული, მოზელილი და დამჟავებული ცომის ნაჟური (იგულისხმება ცომზე წყლის დასხმა); 5. ტყემალი, ტყემლის ნახარში და მისგან დამზადებული ტყლაპი და 6. რძე და რძის ნაწარმი (დო, მაწონი, არაჟანი, შრატი). ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებანი, ნაცარწმენდილისა და მარილწყლის გარდა გამოიყენებოდა როგორც თმის დასაბანად, ასევე სახის გასაწმენდად. თმის დასაბანი რთული საშუალებები კი საპონი და თავსაბანი მიწაა.

საპონს საქართველოში უძველესი დროიდან იყენებდნენ. მისი დამზადების წესები დღემდეა შემონახული. იშვიათად, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩნენ ე.წ. საპნის დამამზადებელნი, რომლებიც უპირატესობას „შინა საპონს“ ანიჭებენ. საპონს ამზადებდნენ ქონის მოდუღებით. ყოფაში დასტურდება საპნის ორი სახეობა – ტუალეტისა (პირსაბანი) და საოჯახო საპნები, რომლებსაც სხვადასხვანაირად ამზადებდნენ: არსებობდა შინაური ფრინველების ცხიმისაგან ნამზადი საპნები, საოჯახო-სარეცხი დანიშნულების საპნები კი ძირითადად მსხვილფეხა საქონლის ცხიმისაგან მიიღებოდა. სოფლად საკუთარი მოხმარებისათვის შინ ნამზადი საპონი გამოიყენებოდა. საპონს თბილისის აბანოებშიც ხარშავდნენ. მას პატარძალს მზითვშიც ატანდნენ.

საპნის დასამზადებლად იყენებდნენ სხვადასხვა ბალახოვან მცენარეს: საპონა, საპონელა, ყოჩივარდა, ქაფუნა, ხელსაბანი, კალია, თავსაბანი მიწა, რომელთაც ახასიათებს აქაფების თვისება.

დასაბანი რთული საშუალებაა, როგორც უკვე ვწერდით, თავსაბანი მიწა, რომელიც გუმბრინის სახელითაა ცნობილი. თავსაბანი მიწა თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული და სხვადასხვა ფერისაა: თეთრი, წითელი, ლურჯი. იგი ძირითადად ოჯახში მზადდებოდა. თავსაბანი მიწის დამზადების წესი ასეთია: მიწის ერთ ნაწილს გახსნიდნენ წყალში და მიღებულ ფაფისებურ მასას ახმობდნენ მზეზე „გუნდებად“ ან „კალაპოტებად“. დაბანის წინ მას წყალში გახსნიდნენ, ააქაფებდნენ, როგორც საპონს. სცოდნიათ თავსაბანი მიწის ღვინოში დალბობაც. ის სასიამოვნო ბზინვარებას აძლევდა თმას, აქრობდა ქერტლს, შველოდა თმის ცვენას.

ამრიგად, საპონი ზოგადი სახელია იმ ჰიგიენური საშუალებებისა, რომლებიც სხვადასხვა ნედლეულისაგან მზადდებოდა: 1. ბალახებისა და მცენარეებისგან: 2. თიხა-მინერალებისაგან; 3. ფრინველთა და ცხოველთა ცხიმებისაგან.

ლეგენდის თანახმად, მესხეთის ერთ-ერთ ციხეში ომიანობის დროს ინახებოდა არა მხოლოდ იარაღისა და სურსათ-სანოვაგის, არამედ წყლისა და თავსაბანი მიწის ანუ საპნის მარაგიც.

ჰიგიენის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება **აბანოა**. აბანოები ქალაქური ყოფისთვისაა დამახასიათებელი. ისინი, ძირითადად, მოსახლეობის მაღალი წრისათვის იყო განკუთვნილი და ხელმისაწვდომი. აბანოებში, გარდა ჰიგიენურ-სამკურნალო პროცედურებისა, სახის კოსმეტიკასაც მისდევდნენ: „აქ ისვამდნენ ფერ-უმარილს, იქნიდნენ და იხატავდნენ წარბებს, იღებავდნენ ფრჩხილებსა და თმას“.

აბანოები ძირითადად ისეთ ადგილებში შენდებოდა, სადაც თავდაპირველად სამკურნალო წყალი იყო. ასეთებია ნუნისი, გორიჯვარი და მრავალი სხვა. მათ შორის ცნობილია თბილისური აბანოებიც. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ თბილისის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ VI-V ათასწლეულებში ყოფილა დასახლება. სავარაუდოა ისიც, რომ მისი პირველი მაცხოვრებლები სწორედ აბანოთუბნის ანუ თბილისის თბილი წყლების ტერიტორიაზე სახლობდნენ. XVIII საუკუნეში თბილისში იყო ე.წ. გრილი, ორბელიანის, ერეკლეს, ბებუთას (ბებუთოვის) და სხვათა აბანოები. XIX საუკუნეში ქალაქში უკვე ათამდე აბანო მოქმედებდა.

საქართველოში ჩამოსული უცხოელები გაოცებული იყვნენ თბილისური აბანოების სამკურნალო თვისებებით. XVIII ს-ში ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი წერდა თბილისის აბანოებზე: „აბანოების წყალი გოგირდიანი და ძალიან ცხელია. კარგად მყოფების გარდა, აქ ბანაობენ სნეულები“. ერთ-ერთი მისი თანამედროვე კი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს: „თბილისის აბანოები საუცხოოა, ცხელი წყალი გადმოჩქეფს კლდიდან აუზებში. წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით გოგირდს. სამკურნალოა რევმატიზმის, ნეკრისის ქარის, სირსველისა და ჭრილობის მოსარჩენად“.

ძველთბილისელთა ყოფა-ცხოვრებაში აბანო შეხვედრებისა და დროსტარების ადგილიც იყო. აბანოში კოლექტიურად მიდიოდნენ. მთელ დღეს იქ რჩებოდნენ და ზოგჯერ ქეიფსაც იქ მართავდნენ. აბანოში საპატარძლოს, გასათხოვარ ქალს მუშტრის თვალით სინჯავდნენ სასიძოს ახლობლები, მაჭანკლები. ბევრი ახალგაზრდა ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში.

თბილისის აბანოები

წყარო 2: აბანო. თბილისი, ენციკლოპედია, თბ., 2002. გვ. 260-261.

აბანო, სახლი დასაბანებელი (ს.-ს. ორბელიანი). თბილისის საქვეყნოდ ცნობილ აბანოებს სახელი გაუთქვეს ცხელმა მინერალურმა წყლებმა, რომელთა აღმოჩენას ლეგენდა ვახტანგ გორგასალს მიაწერს. აბანოების უმრავლესობა თავმოყრილი იყო წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე და მთელი უბანი ეკავა, რის გამოც მას აბანოთუბანი შეარქვა. ერთი არაბი გეოგრაფი გადმოგვცემს, რომ ქალაქში არის აბანოები, რომელთა წყალიც ცხელია უცეცხლოდო. XIII საუკუნის ერთ-ერთ თხზულებაში დასახელებულია სამოცდახუთი აბანო. შუა საუკუნეებში და მომდევნო ხანაშიც თბილისში ნამყოფი თითქმის ყველა მოგზაური, პოეტი თუ მეცნიერი გაოცებული რჩებოდა თბილისის აბანოებით და ხოტბას ასხამდა მათ.

XVII ს. საქართველოში ჩამოსული რუსი ვაჭარი ვასილ გაგარა მოგვითხრობს თბილისის აბანოების შესახებ: „იმ წყაროებზე ძალიან ლამაზი პალატებია აგებული, ცხელ ჭებში (წყაროები) ბანაობენ ქრისტიანები და მაჰმადიანები, ხოლო ტანს იხეხავენ ქისებით და არა ცოცხით, ცოცხები აქ არ იციან“.

1829 წ. ა. პუშკინს თბილისში ყოფნისას ორბელიანების ჭრელ აბანოში უბანავია. თავის ნარკვევში „მოგზაურობა არზრუმში“ წერს: „ჩემს სიცოცხლეში არც რუსეთში, არც თურქეთში არაფერი შემხვედრია თბილისის აბანოებზე დიდებულიო.

XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო აბანოთუბნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რის შედეგადაც ძველმა აბანოებმა განიცადეს როგორც შიდა, ისე გარე სახეცვლილება. დღეს თბილისში 30-ზე მეტი აბანო მუშაობს. ცხელი წყლის გარდა, ზოგ აბანოში იყენებენ ცხელ ჰაერს ან ორთქლს, აქვეა ფიზიოთერაპიული და სადეზინფექციო კამერები. ცხელი, ტენიანი ჰაერი და მაღალი ტემპერატურა, ტანის დაბანა და დაზელა ორგანიზმში იწვევს ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, აუმჯობესებს კანის ფუქნციას.

ჰიგიენის წესების დაცვა სკოლაში

წყარო 4: წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სააგენტო, 2013.
http://unicef.ge/uploads/Standards_Water_Sanitation_and_Hygiene_in_School.GEO_1.pdf

მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი სკოლაში:

- სკოლას უნდა გააჩნდეს სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების სისტემა;
- სკოლის წყალმომარაგების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისათვის (ხელების დაბანა, საკვების მომზადება, ტუალეტების ჩარეცხვა, სათავსების დასუფთავება);
- სკოლაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის;
- წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის, ან წყლის შეფერხებებით მოწოდების შემთხვევაში, სკოლას აუცილებლად უნდა გააჩნდეს წყლის რეზერვუარი (ავზი);
- წყლის რეზერვუარი საკმარისი მოცულობის, თავდახურულ ავზს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება და ჩაუტარდება დეზინფექცია (დეზინფექციის ჩატარების შემდგომ ავზს აუცილებლად უნდა გამოევლოს სუფთა წყალი);
- წყლის ავზების დამუშავება ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს, ხოლო სასმელი წყლის რეზერვუარში წყლის ცვლა ყოველ 48 საათში უნდა ხდებოდეს.

თუ სასმელი წყლის წყარო არის ჭა, ისიც საჭიროებს განთავსების, მოვლისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვას, კერძოდ,

- ჭა უნდა განთავსდეს არანაკლებ 30 მეტრის დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან;
- დაუშვებელია პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100 მეტრის რადიუსში;
- ჭა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად;
- ჭის გარშემო უნდა მოეწყოს ღობე, ცხოველებისაგან დასაცავად;
- ჭის გარშემო უნდა მოეწყოს სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;
- წყლის ამოსაღები ჭურჭელი სუფთად უნდა ინახებოდეს;
- ჭა თავდახურული უნდა იყოს.

მეთოდური მითითებანი

თავდაპირველად მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ჰიგიენის დაცვის აუცილებლობა უძველესი პერიოდიდან მოდის. ამ მხრივ, საკმაოდ მდიდარი ტრადიციები გვაქვს. მოსწავლეებმა უნდა ჩამოთვალონ და ერთმანეთისაგან გაარჩიონ ჰიგიენის დაცვის რეალური და არარეალური ხერხები, შეავსონ ცხრილი. მაგალითად, არარეალურია ის, რომ 7 მაისის წვიმას განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდა.

ჰიგიენის წესები ძველად	
რეალური	არარეალური

მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ მათთვის ცნობილი ჰიგიენის დაცვის არარეალური წესები თანამედროვე პერიოდში.

ამასთან მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ თბილისურ აბანოებზე არა მარტო როგორც კულტურის ძეგლებზე, არამედ მათზე როგორც ჰიგიენის საშუალებებზე. მათ ერთმანეთს უნდა შეუდარონ სხვადასხვა წყაროში არსებული ცნობები და იმსჯელონ მსგავსებებსა და განსხვავებებზე.

და ბოლოს, მოსწავლეებმა შეიძლება ჩაატარონ ***გამოკითხვა*** *სკოლაში დაცული ჰიგიენის წესებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ უნდა დაადგინონ, რამდენად არის დაცული სკოლაში ჰიგიენის წესები და როგორ აფასებენ ამას თვით მოსწავლეები. ამგვარად, ისინი უკეთ გააცნობიერებენ ჰიგიენის წესების და საერთოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას და უკეთ მოტივირებული იქნებიან მისდიონ მათ.*

მასწავლებელმა მოსწავლეებს ზედმიწევნით კარგად უნდა გააცნოს წყაროში ის მოთხოვნები (ან მათი ნაწილი), რომელიც წაყენებულია წყლით უზრუნველყოფისადმი სკოლაში, ვინაიდან სწორედ ამ მოთხოვნების შესაბამისად მათ უნდა გასცენ პასუხები ანკეტაში დასმულ 2 შეკითხვას. ამასთან მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ.

გამოკითხვისათვის მოსწავლეები უნდა მოემზადონ წინასწარ. აირჩიონ კომისია და თავმჯდომარე (ხელმძღვანელობს მთელ პროცესს), ქულების დამთვლელი კომისია (ითვლის შედეგებს და აცნობს კლასს). გამოკითხვა ფარულია და მასში მონაწილეობენ თვით კომისიის წევრებიც. კომისია ამზადებს ანკეტებს, სადაც წინასწარ ჩამოწერილია შეკითხვები და სავარაუდო ქულები. კომისია შეიმუშავებს გამოკითხვის წესებს და მას აცნობს გამოკითხვაში მონაწილეებს, კერძოდ, რომ ერთ შეკითხვაზე უნდა შემოიხაზოს მხოლოდ მათთვის მისაღები ერთი ქულა და თუ ისინი ერთ შეკითხვაზე შემოხაზავენ რამდენიმე ქულას, მათი ანკეტა გაუქმდება და არ იქნება გათვალისწინებული საერთო ჯამში. ასევე გაუქმდება ანკეტა, თუ მასზე იქნება რაიმე მონიშვნა, ან გადაკეცილია სხვაგვარად – სხვა ანკეტებისაგან განსხვავებით.

თითოეული შეკითხვა ფასდება 5-ქულიანი სისტემით. მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო მინიმალური – 1. თითოეულ შეკითხვას წინასწარ მიწერილი უნდა ჰქონდეს ეს ქულები და მოსწავლეები შემოხაზავენ მათთვის მისაღებს.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ ქულების დამთვლელი კომისია ითვლის ქულების განაწილებას, აჯამებს და შედეგებს წარადგენს კლასში. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, თუ ასეთის საჭიროება არსებობს, ამზადებენ პეტიციას (წერილობით კოლექტიურ თხოვნას) სკოლის ადმინისტრაციისადმი – გაუმჯობესდეს წყლით უზრუნველყოფა სკოლაში.

სავარაუდო შეკითხვები ანკეტისათვის:

- *უზრუნველყოფილია უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით სასმელი წყლის მიწოდება.*
- *უზრუნველყოფილია უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით სამეურნეო წყლის მიწოდება.*

არჩევნები

სტანდარტის მისაღწევი შედეგები: (II).7, (II).12.

მიზანი: მოსწავლეს ზოგადი წარმოდგენა შეექმნას საარჩევნო პროცესზე, გაიგოს, რა ტიპის არჩევნები ტარდება საქართველოში და რომელი კანონით წესრიგდება აღნიშნული საკითხები.

ამასთან მოსწავლეები თვითონ ჩაატარებენ არჩევნებს და ამით გაეცნობიან საარჩევნო კამპანიის ძირითად მომენტებს.

წყარო: მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5.

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.
2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

არჩევნები პირდაპირი დემოკრატიის გამოვლინების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. საქართველოს კონსტიტუციაში დიდი ადგილი ეთმობა არჩევნებთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, კონკრეტული წესები კი ჩამოყალიბებულია საქართველოს ორგანულ კანონში – საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

კონსტიტუცია განამტკიცებს 2 ტიპის საარჩევნო უფლებას: აქტიურს და პასიურს. აქტიური უფლება მოიცავს ხმის მიცემის უფლებას, ხოლო პასიურია ადამიანის უფლება, კენჭი იყაროს არჩევნებში. საარჩევნო უფლება არაა შეუზღუდავი და მისი განხორციელება გარკვეულ წინაპირობებს უკავშირდება. თითოეული სახელმწიფო თავისი კანონმდებლობით აწესრიგებს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოში ტარდება: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – მერის არჩევნები.

საქართველოში არჩევნები ტარდება შემდეგი პრინციპებით: არჩევნებში მონაწილეობის საყოველთაობა, საარჩევნო უფლების თანასწორობა, არჩევნების პირდაპირობა, კენჭისყრის ფარულობა და ამომრჩევლის ხმის თავისუფალი გამოვლენა.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლენა. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

არჩევნებისთვის იქმნება მონაწილეთა ერთიანი სია. არსებობს ამომრჩეველთა სპეციალური სიაც. ძირითადად, ის შედგება ამომრჩევლებისაგან, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ საარჩევნო უბანზე გამოცხადება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. გარკვეულ შემთხვევებში, მოქალაქის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია ხმის მიცემა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობითაც.

საქართველოში არჩევნების ჩატარების მიზნით, იქმნება საარჩევნო ადმინისტრაცია. საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

საარჩევნო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობას იხილავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, აღნიშნულზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხვა გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საარჩევნო კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია არჩევნების სამართლიანად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფა.

საპარლამენტო არჩევნები

პარლამენტი წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან.

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოში არჩევნები არ ტარდება.

პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნოს მისი უფლებამოსილება.

საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი შეადგენს არჩევნებში მონაწილეთა 5%-ს. დაგროვებულ ხმებზეა დამოკიდებული პარტიისა თუ საარჩევნო ბლოკის მიერ შემდეგ არჩევნებში დაფინანსების მიღებაც, რასაც დეტალურად აწესრიგებს საარჩევნო კოდექსი.

საპრეზიდენტო არჩევნები

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. სავალდებულოა ამომრჩეველთა ხელმოწერების წარდგენაც, რასაც დეტალურად ორგანული კანონი არეგულირებს.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულია კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემს არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტი. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საკმარისი მხარდაჭერა, მაშინ ინიშნება არჩევნების მეორე ტური საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. გამარჯვებულია ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს. თუ მეორე ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, არჩევნების დღიდან ორი თვის განმავლობაში იმართება ხელახალი არჩევნები.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს **რეფერენდუმსა** და **პლებისციტს**. რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა, ტარდება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე და მის შედეგს სავალდებულო ხასიათი აქვს. პლებისციტის შედეგები კი ხელისუფლებისთვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

მეთოდური მითითებანი

*მოსწავლეებს შეუძლიათ დაგეგმონ **საექსკურსიო საბჭოს არჩევნები**, რომელთაც დაევალებათ ექსკურსიების დაგეგმვა და მოწყობა. ასეთი ტიპის არჩევნებით თვითონვე დაინახავენ მათ მიერ არჩეული საბჭოს/კანდიდატების უნარიანობასა და პასუხისმგებლობას. მათ მიერ არჩეული ორგანო*

უნდა იყოს დროებითი და არა მუდმივი. გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ შეუძლიათ კიდევ ახალი არჩევნები დანიშნონ. სასურველია, რომ ეს არჩევნები მოსწავლეებმა ჩაატარონ V და VI კლასებში. ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება მაშინ, თუ იგეგმება მრავალი ექსკურსიის ჩატარება წლის მანძილზე.

საბჭოში შემავალ კანდიდატთა რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე კლასში. საორიენტაციოდ, 8-10 მოსწავლეზე უნდა მოდიოდეს საბჭოს 1 წევრი.

ამ მიზნით, მოსწავლეებს შეუძლიათ შეიმუშავონ ***საკლასო საექსკურსიო დებულება****, სადაც გაწერილი იქნება საექსკურსიო საბჭოს არჩევნების წესები და სხვა რიგითი საკითხები, მაგალითად, მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი ექსკურსიაზე. კლასის ყველა მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში როგორც კანდიდატმა, აგრეთვე ხმა მისცენ მათთვის სასურველ კანდიდატს. ამ მიზნით, ისინი გამოხატავენ თავიანთ სურვილს მონაწილეობის მიღების შესახებ. მოსწავლეები ადგენენ კანდიდატთა სიას. საექსკურსიო საბჭოს არჩევის შემდეგ ეს სია გადაეცემა მათ.*

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს ფარულად, ყველას თავისუფალი ნების გამოხატვით. დაუშვებელია მასწავლებელმა ან ადმინისტრაციამ დაუსახელოს კონკრეტული კანდიდატი, მათ შეიძლება მხოლოდ ზოგადად აუხსნას ის თვისებები, რაც უნდა ჰქონდეს საექსკურსიო საბჭოს წევრებსა და მით უფრო, მის კოორდინატორს. კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ ორგანიზატორული თვისებები, კარგი მსჯელობის უნარი, უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ სხვათა მოსაზრებებს.

არჩევნების დაწყებამდე სასურველია მოეწყოს საზეიმო განწყობილება. მოსწავლეებს შეიძლება მიმართოს დირექტორმა, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელმა, მოწვეულმა სტუმრებმა.

არჩევნებისათვის მზადება და მისი განხორციელება საექსკურსიო საბჭოს მოვალეობაა:

- *საარჩევნო ბიულეტენების მომზადება, სადაც მითითებული იქნება კანდიდატთა გვარები. ბიულეტები უნდა იყოს ერთნაირ ფურცლებზე, მათზე არ უნდა იყოს არანაირი აღნიშვნა და არც რაიმე ფორმით სახეცვლილი;*
- *საარჩევნო კაბინა/კუთხე, სადაც ჩამოფარებული იქნება მოკლე ფარდა, განთავსებული იქნება მაგიდა და პასტა. თუ კაბინა რამდენიმეა, პასტები უნდა იყოს აბსოლუტურად ერთნაირი;*
- *არევნების დამთავრების შემდეგ საბჭო ითვლის ხმებს და შედეგებს აღნუსხავს ფურცელზე, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს ყველა წევრი.*

არჩევნების დამთავრების შემდეგ არჩეული საბჭო უნდა შეუდგეს ექსკურსიების დაგეგმვასა და მათ განხორციელებას.

სახელმწიფო საზღვარი

სტანდარტის მისაღწევი შედეგები: (II).6.

მიზანი: მოსწავლეებს შეექმნათ ზოგადი წარმოდგენა საზღვრის კვეთისთვის საჭირო პროცედურების შესახებ, გაეცნონ თანამედროვე საქართველოში მოქმედ წესებს უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით, ასევე რა მინიმალური სტანდარტია დაწესებული უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში შემოსასვლელად.

წყარო 1: მომზადებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული მასალების მიხედვით. http://mfa.gov.ge

სავიზო საკითხები საქართველოს მოქალაქეებისთვის

2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის, ასევე ევროკავშირის არაწევრ – ე.წ. შენგენის სივრცის ქვეყნებთან (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია) და ევროკავშირის წევრ, შენგენის კანდიდატ ქვეყნებთან (ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია) უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოქმედებს.

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია.

საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ გადაადგილება შეუძლიათ ასევე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად: არგენტინა, ბრაზილია, ბაჰამა, დომინიკის თანამეგობრობა, ეკვადორი, ინდონეზია, ირანი, კოლუმბია, ურუგვაი, ჩილე და სხვა.

უვიზო რეჟიმი ორდინალური პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის გულისხმობს იმას, რომ მოქალაქეს შეუძლია უვიზოდ იმყოფებოდეს ამა თუ იმ ქვეყნაში 180 დღიდან 90 დღის განმავლობაში (რაც გულისხმობს 90 დღეს მიყოლებით ან დღეების გადანაწილებით), თუმცა, ზოგი-

ერთ შემთხვევაში ეს დრო 21 დღემდე მცირდება, ან 6 თვემდე იზრდება, მაგალითად, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში კი უვიზოდ ყოფნის დრო საქართველოს მოქალაქეებისთვის შეუზღუდავია.

მიმოსვლის ოდნავ უფრო განსხვავებული რეჟიმია დაწესებული დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტის მფლობელთათვის.

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით გამგზავრების სურვილის შემთხვევაში (მაგალითად, სასწავლებლად), ისევ მოქმედებს სავიზო რეჟიმი.

აღნიშნულ ქვეყნებში შესვლის აუცილებელი პირობაა ბიომეტრიული პასპორტის ფლობა. პასპორტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი თვის მოქმედების ვადა.

უცხო ქვეყნის საზღვარზე ნებისმიერი მოქალაქე გადის სასაზღვრო კონტროლს, რომლის შედეგად მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება შესაბამის ქვეყანაში მისი შესვლის თაობაზე.

ამიტომ, რეკომენდებულია მგზავრმა თან იქონიოს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მგზავრობის მიზანს.

ასეთი დოკუმენტებია: დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი;

- სასტუმროს მოქმედი ჯავშანი;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება: მაგალითად, ნაღდი ფული, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათი, დაფინანსების შესახებ ცნობა, მასპინძლის საგარანტიო წერილი.

ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხა ევროკავშირის/შენგენის წევრი თითოეული ქვეყნის შიდა კანონმდებლობით განისაზღვრება.

სასტუმროს ხარჯის გარდა, ეს თანხა, როგორც წესი, არ აღემატება დღეში 50 ევროს.

კონფერენციაში, სემინარში მონაწილეობის მიზნისთვის წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი პროგრამა ან მოწვევა,

ახლობლის მონახულების სურვილის შემთხვევაში – უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები მასპინძლის საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.); ასევე, მასპინძლის ბინადრობის ნებართვის ან შესაბამის ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი.

სამედიცინო სერვისებით სარგებლობისთვის, სასურველია, გამგზავრების მსურველს თან ჰქონდეს ასევე იმ სამედიცინო დაწესებულების თანხმობა, რომელშიც გეგმავს მკურნალობას ან/და საქართველოს სამედიცინო დაწესებულების რეკომენდაცია.

საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყანაში შესვლაზე უარი ეთქმება თუ:

- ვერ შეძლებს მგზავრობის მიზნობრიობის ან ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურებას;
- საფრთხეს უქმნის ევროკავშირის/შენგენის რომელიმე წევრი ქვეყნის საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას ან შიდა უსაფრთხოებას;
- ნასამართლევია ევროკავშირის/შენგენის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით;
- არსებობს დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები;
- აკრძალული აქვს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა ან არსებობს გადაწყვეტილება მისი გაძევების შესახებ.

საქართველოში შემოსვლის წესები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის

2014 წლის 1 სექტემბერს საქართველოში ამოქმედდა ახალი სავიზო პოლიტიკა. განისაზღვრა იმ ქვეყნების სია, რომელთა მოქალაქეებს (მოქალაქეობის არმქონე პირებს) მოკლევადიანი ვიზიტების შემთხვევაში, საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება აქვთ.

ხოლო იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არ სარგებლობენ უვიზო რეჟიმით საქართველოს ვიზის აღება შეუძლიათ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მოქმედებს ვიზის გაცემის ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ ვიზაზე განაცხადის შევსება და შემდგომი წარმოება ხორციელდება ელექტრონულად. საქართველოს ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, დაინტერესებული პირის მიერ უარის გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი 1 (ერთი) თვის ვადაში.

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ვიზები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- A – დიპლომატიური,
- B – სპეციალური,
- C – ორდინალური,
- D – საიმიგრაციო და
- T – ტრანზიტული.

უცხოელს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე, თუ მას აქვს ქვეყანაში შემოსვლაზე აკრძალვა; არ გადაუხდია ჯარიმა, რომელიც დაწესებულია საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისათვის; არ გააჩნია ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა; არ აქვს საქართველოში ცხოვრებისათვის და უკან დასაბრუნებლად საკმარისი ფინანსური სახსრები; არ იძლევა ან იძლევა ყალბ ინფორმაციას თავისი პიროვნებისა და მგზავრობის მიზნის შესახებ და სხვა.

წყარო 2. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. დემეტრაშვილი ო. საქართველოს საზღვრები. თბ., 2009.

ისტორიულად ცნობილია, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტი მისი საზღვრებია. ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვევობა პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა ყველა ქვეყნისათვის. მის გარეშე წარმოუდგენელია სუვერენული სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის ობიექტის არსებობა. სახელმწიფო საზღვრის დადგენასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური შესწავლის აუცილებლობა განპირობებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ისეთი ძირეული პრინციპებით, როგორიცაა მშვიდობიანი თანაარსებობა, ერის სუვერენიტეტის პატივისცემა, თვითგამორკვევა, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა, ერებს შორის დავის მშვიდობიანი რეგულირება.

ტრადიციულად სახელმწიფოთა ტერიტორიული გამიჯვნის საკითხებით პოლიტიკოსები არიან დაკავებულნი, რომლებიც დიპლომატიური გზით აწესრიგებენ საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებს. ისტორიკოსები, გეოგრაფები და კარტოგრაფები კი განაზოგადებენ და სისტემაში მოჰყავთ სახელმწიფო საზღვრების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებული საარქივო, ლიტერატურული, კარტოგრაფიული და სხვა წყაროები.

დღეს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია ახლო აღმოსავლეთში, აფრიკის კონტინენტზე. ეს პრობლემა მთელი სიმწვავით დგას ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც, რაც ძირითადად არც ისე შორეულ წარსულში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრის ადგილზე მონიშვა-მარკირების უგულებელყოფამ განაპირობა.

ნებისმიერი ქვეყნის **სახელმწიფო საზღვარი** გულისხმობს სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და წიაღის სივრცის შემოფარგვლას და ამ ქვეყნის „კუთვნილი“ ტერიტორიის განსაზღვრას. ე.ი. სახელმწიფო საზღვარი არ არის მხოლოდ რუკაზე ნაჩვენები სახმელეთო სასაზღვრო კონტური. სახელმწიფოს „კუთვნილ“ ტერიტორიად ითვლება ასევე საზღვაო, საჰაერო და წიაღის სივრცის გარკვეული ნაწილიც. შესაბამისად არსებობს საზღვრის სხვადასხვა ტიპი: სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და წიაღის. მეზობელ სახელმწიფოებს შორის გამავალი საზღვარი ვერტიკალურად აღმართული წარმოსახვითი სიბრტყეა, რომელიც ერთი ქვეყნის ტერიტორიას გამოყოფს მეორისაგან.

1998 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საზღვრის დაცვის შესახებ“. ამავე წელს შეიქმნა სანაპირო დაცვის სამსახური, ხოლო ერთი წლის შემდეგ – სასაზღვრო ავიაცია. 2006 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, რომლის უმთავრესი მიზანია ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის დაცვა, აგრეთვე სახელმწიფოს, საზოგადოების, მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და ქონების დაცვა, სასაზღვრო ზონაში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია (წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად), გამოვლენა-აღკვეთა.

სახმელეთო დაცვის სამსახურის ძირითადი მიზანია ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის დაცვა და კონტროლი, საკონტროლო-გამტარ პუნქტებზე სასაზღვრო კონტროლის განხორციელება. სანაპირო დაცვის სამსახურის ძირითადი ფუნქციაა საზღვაო სივრცის რეჟიმის კონტროლი, ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოება, საპასპორტო კონტროლის განხორციელება საზღვაო პორტებში. მათზე დაკისრებულ მოვალეობებს იგი ასრულებს რადიოტექნიკური დაკვირვების სისტემებისა და მცურავი საშუალებებით.

ქვეყნის ტერიტორისა და საზღვრების დარღვევა, ცხადია, უკავშირდება სასაზღვრო ზონაში კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, საზღვრის ხაზის უკანონო გადაკვეთას, კონტრაბანდული ტვირთის

გადაზიდვას და ა.შ. გარდა ამისა, არსებობს სახელმწიფოს ტერიტორიისა და მისი გარემოს ხელყოფა სხვა სახელმწიფოებისაგან იმგვარად, რომ საზღვარი მათ შორის ხელშეუხებელი დარჩეს. ასეთი შემთხვევები უკავშირდება ტექნიკურ ავარიებს (ატომური რეაქტორის დაზიანება, აფეთქება გაზსადენებზე და ქიმიურ საწარმოებში, ტანკერების შეჯახება, სარკინიგზო კატასტროფები, კაშხლის დანგრევა, ტოქსიკური ნივთიერებებით ატმოსფეროს დაბინძურება და სხვ.), რომელთა სიხშირეც საგრძნობლად მომატებულია უკანაკსნელ პერიოდში მთელს მსოფლიოში. მაგალითად, 1986 წელს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ გავლენა მოახდინა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის (უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, საქართველოს), არამედ სხვა ქვეყნების – პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის გარემოზეც.

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ხელყოფად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ტრანსასაზღვრო მდინარეების (მაგალითად, ამაზონის, ნილოსის, დუნაის, მტკვრის და სხვ.) გაჭუჭყიანებაც, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ამ მდინარეთა აუზებში მდებარე სხვა ქვეყნებსაც.

ქვეყნის ფლორა და ფაუნა სახელმწიფოს საკუთრებაა. თუმცა ცოცხალი სამყარო სახელმწიფოს საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს მანამ, ვიდრე ისინი იმყოფებიან ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ე.ი. ვიდრე ისინი არ გადალახავენ საზღვარს.

თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მიგრირებადი ცხოველები და გადამფრენი ფრინვილები მრავალგზის კვეთენ ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვარს. მაგრამ ყველა მათგანი როდი განიხილება „ვინმეს“ საკუთრებად. ცნობილია, რომ კოლხეთის დაბლობსა და პალიასტომის ტბის მიდამოებში ჩრდილოეთის ქვეყნებიდან სხვადასხვა ფრინველი მოფრინავს და აქ იზამთრებს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება ამ ფრინველების დაჭერა, დახოცვა, მათი საბუდარი ადგილების დაზიანება-მოსპობა. ამ ფრინველებს საერთაშორისო კონვენცია იცავს. 1979 წელს ქ. ბონში (გერმანია) მიიღეს კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ. ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, ვალდებულია დაიცვას მიგრირებადი სახეობები.

მეთოდური მითითება

- *მოსწავლემ მოიძიოს ინფორმაცია, თუ რომელი ქვეყნები შედიან ე.წ. შენგენის ზონაში და რა უპირატესობებით სარგებლობენ ისინი.*

ვებგვერდები:

ttp://www.ipress.ge/new/27905-29-qveyana-sadac-saqartvelos-moqalaqeebi-uvizo-momosvlas-shedzleben

ttps://eeas.europa.eu/sites/eeas/files/shengenis_zona_-_xshirad_dasmuli_kitxvebi.pdf

- *თუ მოსწავლეს ოდესმე გადაუკვეთავს საზღვარი, მას შეუძლია კლასს გააცნოს თავისი გამოცდილება.*

მოქალაქეობრივი ვალის შესრულება

სტანდარტის მისაღწევი შედეგები: (II).8, (II).11.

წყარო: წყალში ჩავარდნილის გადარჩენა. გაზეთი „ივერია“, 1889 წელი.

სოფ. ვაყა (გორის მაზრა): 18 თებერვალს შუადღისას ხალხი მდინარის ნაპირას უცქერდა ადიდებულ წყალს. ამ დროს ჩამოირბინა გამოქცეულმა ცხენმა თოკით. თოკი გამოედო ფეხზე იქ მდგომ 9 წლის ბიჭს, გაიტაცა ბიჭი ცხენმა, შევარდა წყალში და ბიჭიც შიგ შეათრია. წყალმა ნახევარ ვერსზე (1 ვერსი = 1.06 კმ) წაიღო ცხენი, დაახრჩო გვეგონა ბიჭი, მაგრამ როცა დამხვჩალი ცხენი წინ მოექცა, მაშინ ბიჭმა თავი ამოყო ზევით. ამ დროს გამოჩნდა გამბედავი კაცი სინო კაპანაძე, შევარდა წყალში და გამოგლიჯა ონავარ წყლის ზვირთებს ცოცხალ-მკვდარი ყმაწვილი. დღეს ბავშვი ცოცხალია. სინო კაპანაძეს რამდენიმე კაცი გადაურჩენია დახრჩობისაგან.

მეთოდური მითითებანი

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ პასუხისმგებლობა სხვათა დასახმარებლად.

წყაროდან გამომდინარე, მათ უნდა შეაფასონ სინო კაპანაძის ქმედება და მოუძებნონ მას შესატყვისი ეპითეტები, ვთქვათ, გამბედაობა, მოყვრის სიყვარული, მოვალეობის გრძნობა და სხვა.

დანართები

დანართი 1. საქართველოს მუზეუმები

იმერეთი

აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი (სოფ. სხვიტორი, საჩხერის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=131
http://places.georgia.travel/index.php?layers_id=3&lang=geo&record_id=15698&lookups_id=10
http://akakimuseum.blogspot.com/

გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი (სოფ. ჭყვიში, ვანის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=119

დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი (სოფ. ზედა სიმონეთი, თერჯოლის მუნიცი-პალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=126

დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=111

ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=135

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი (სოფ. დიდი ჯიხაიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი)
http://georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=121

საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=130
http://places.georgia.travel/index.php?layers_id=3&lang=geo&record_id=15697&lookups_id=10&currency=GEL

უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი (ქ. ზესტაფონი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=136

ქუთაისის სპორტის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=113

ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=127
http://places.georgia.travel/index.php?layers_id=3&lang=geo&record_id=15697&lookups_id=10&currency=GEL

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=137

ხონის ისტორიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=4&th_id=132

შიდა ქართლი

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი (სოფ. ქვიშხეთი, ხაშურის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=213

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ვარიანი, გორის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=210

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ხოვლე. კასპის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=214

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=206

ლესია უკრაინკას მუზეუმი (დაბა სურამი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=216

ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=212

ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=209

სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=204
http://www.qwelly.com/group/gori/forum/topics/muzeumi
http://travelingeorgia.ge/region/region362/

უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=205

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=207

ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი (სოფ. ლამისყანა, კასპის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=8&th_id=211

ქვემო ქართლი

ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=6&th_id=236

გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=6&th_id=238
http://places.georgia.travel/index.php?layers_id=3&sortName=location&sortType=asc&lang=geo&wImages=false&record_id=20240&lookups_id=10

თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=6&th_id=239
http://betravel.ge/index.php?hide=mk5&lang=ge
https://ok.ru/group55539705446458/topic/62037946280762

რუსთავის ისტორიული მუზეუმი
http://rustavi.gov.ge/page/168
http://www.dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/111643/1/Rustavis_Istoriuli_Muzeumis_Krebuli.pdf

რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://rustavimuzeumi.blogspot.com/

სვანეთი

ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=10&th_id=194

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
http://www.szs.gov.ge/rus/static/186

სამეგრელო

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=247

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=243

თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი (სოფ. ეკი, სენაკის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=258

კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი (სოფ. ძველი აბაშა, აბაშის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=250

პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=244

ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=248

ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=246

ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=252
http://www.chkhorotsku.gov.ge/ge/aaip-chxorocqus-municipalitetis-istoriuli-muzeumi

წალენჯიხის ეთნოგრაფიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=253

ხობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (სოფ. ხეთა, ხობის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=11&th_id=251

აჭარა

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი (ქ. ბათუმი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=83
http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=253973&gid=6

აჭარის ხელოვნების მუზეუმი (ქ. ბათუმი)
http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=253976&gid=6
http://www.artmuseum.ge/

ახალშენის მუზეუმი (სოფ. ახალშენი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი)
http://betravel.ge/index.php?hide=madj8

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი (ბათუმი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=85
www.bam.ge www.adjaramuseums.ge
http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=253971&gid=6
http://www.bam.ge/

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი (სოფ. გონიო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=90
http://betravel.ge/index.php?hide=madj6

თანამედროვე ხელოვნების სივრცე
http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=254023&gid=6

თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი (სოფ. თხილვანა, ხულოს მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=98

კვიახიძეების მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (კვიახიძეები, შუახევის მუნიციპალიტეტი)
http://betravel.ge/index.php?hide=madj12

მაჭახელის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=91
http://betravel.ge/index.php?hide=madj7

მეჯინისწყლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (სოფ. მეჯინისწყალი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი)
http://betravel.ge/index.php?hide=madj9

პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი (სოფ. ციხისჯვარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)
http://betravel.ge/index.php?hide=madj5

ქედის ისტორიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=100

შუახევის ეთნოგრაფიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=94

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი (ქ. ბათუმი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=87
http://gobatumi.com/ge/what-to-do/sightseeing-and-culture/dzmebi-nobelebis-sakhelobis-batumis-teqnologi-uri-muzeumi/194

ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=97

გურია

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. არჩეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=5&th_id=109

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=5&th_id=108

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=5&th_id=104

ნიკო მარის სახლ-მუზეუმი (სოფ. დაბლაციხე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=5&th_id=106

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი
http://www.sakartveloo-lamazo.narod.ru/guria/nodar_dumbaZe.htm
https://tushetiland.wordpress.com/2011/10/31/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%94/

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=5&th_id=101
http://betravel.ge/index.php?hide=mg1&lang=ge

სამცხე-ჯავახეთი

ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=9&th_id=200
http://places.georgia.travel/index.php?layers_id=3&sortName=name&sortType=asc&lang=geo&wImages=false&record_id=106131&lookups_id=10

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
https://travelinborjomi.ge/ka/sights/9/borjomi-museum-of-local-history

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=9&th_id=198

ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმი (სოფ. განძა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=9&th_id=202

ვიქტორ ოვსეპიანის სახლ-მუზეუმი
https://tushetiland.wordpress.com/2011/11/02/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A-%E1%83%9B/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის მუზეუმი (სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=9&th_id=197
http://museum.ge/?lang_id=GEOENG&sec_id=49
https://archive.is/20130630123235/lomsia.ucoz.com/index/muzeumi/0-9

კახეთი

ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (სოფ. ქვემო ალვანი, ახმეტის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=172
http://betravel.ge/index.php?hide=mkh8&lang=ge

გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი (სოფ. პატარძეული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=177

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=173
http://betravel.ge/index.php?hide=mkh9&lang=ge

თელავის ისტორიული მუზეუმი
http://betravel.ge/index.php?hide=mkh2&lang=ge

ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=169
ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=174

ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი (სოფ. გურჯაანი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=176

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი (სოფ. მირზაანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=170
http://jako.fm/ka/niko-firosmanis-sakhelmtsifo-muzeumi

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=175

ქვევრისა და ქვევრის ღვინის მუზეუმი (სოფ. ნაფარეული, თელავის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=263
http://www.cellar.ge/ka

ქისტაურის რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი (სოფ. ქისტაური, ახმეტის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=227

ყვარლის მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=171

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (სოფ. წინანდალი, თელავის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=3&th_id=164

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=7&th_id=186

დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=7&th_id=188

თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=7&th_id=189

ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზემი (სოფ. ჩარგალი, დუშეთის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=7&th_id=191
http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/v/vaja_fsahvela.html
https://burusi.wordpress.com/2009/11/29/vazha-pshavela-%E2%80%93-chargali/

კორშას ეთნოგრაფიული მუზეუმი (დუშეთი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=7&th_id=191

მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი (თიანეთი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=7&th_id=191

რაჭა-ლეჩხუმი

ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=10&th_id=192

ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=10&th_id=195
http://pinpoint.ge/ge/bo/9642_varlam-maxaroblidzis-saxelobis-cageris-istoriuli-muzeumi

ლადო ასათიანის მემორიალური სახლ-მუზეუმი (სოფ. ბარდნალა. ცაგერის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=10&th_id=265

ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=10&th_id=194

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=10&th_id=193
http://pinpoint.ge/ge/bo/9638_onis-mxarethmcodneobis-muzeumi

ფუსტელთა სკოლა-მუზეუმი (სოფ. ფუტიეთი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=10&th_id=196

თბილისი

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=39

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=27
http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=42

დენდროლოგიური მუზეუმი (ბოტანიკური ბაღი)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=55
https://nbgg.ge/greenexpo.html

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=43

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=26
http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=47

მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=51
http://www.azmuseum.ge/geo/

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლე
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=36
http://www.artpalace.ge/ge/

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=19
http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=44

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=1&th_id=25
http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=45

დანართი 2. სასარგებლო ბმულები

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული საქმე. http://unesco.ge/?page_id=570
მოცემულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი სია, რომელშიც წარმოდგენილია 3 ქართული ნომინაცია.

ბაზიერი. http://www.bazieri.ge/
მოცემულია ცნობები საქართველოში გავრცელებული ცხოველების, მათზე ნადირობისა და ტრადიციების, დაცვის შესახებ, აგრეთვე ფოტოები, ფილმები, სტატიები მათ შესახებ.

ექსპონატებით მოყოლილი ისტორია. დმანისის ნაქალაქარი. National Geographic საქართველო.
http://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2&fotocat=432&id=513
მოცემულია ინფორმაცია დმანისის აღმოჩენის შესახებ

ზეზვა და მზია. http://reading.ge/ka/sectoral-directions/29-zezva-da-mzia
მოცემულია ინფორმაცია დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ.

ნიადაგის დეგრადაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.
http://eiec.gov.ge/News/Brochures/1%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.aspx
მოცემულია ნიადაგის დეგრადაციის მიზეზები, მასთან ბრძოლის ხერხები და ვითარება საქართველოში.

მე პატარა ქართველი ვარ. ეძღვნება უცხოეთში მცხოვრებ პატარა ქართველებს.
http://children.dsl.ge/
მოცემულია მრავალმხრივი ინფორმაცია საქართველოს მხარეების, ისტორიის, ტრადიციების, კულტურის, ღირსშესანიშნავი ადგილების, უცხოეთში ქართული სავანეების, სახელოვანი წინაპრების, გამოჩენილ მოღვაწეების და სხვათა შესახებ. მოცემულია აგრეთვე ქართული ლექსები, რებუსები, გამოცანები და სხვა სახალისო შემეცნებითი თამაშები.

ნაკრესი. სახეობათა კონსერვაციის ცენტრი. http://www.nacres.org/
მოცემულია ინფორმაცია საქართველოში გავრცლებული ფლორისა და ფაუნის, კვლევების მათ შესახებ.

როგორ ვიმოქმედოთ საგანგებო სიტუაციების დროს.
http://phase1.pprdeast2.eu/assets/files/Family%20guide/Family%20Guide_GEO.pdf
http://drm.cenn.org/index.php/ka/2012-03-28-07-09-00/2012-06-08-07-43-00
http://bsea.ge/ka/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%97-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1

ფოტოგრაფიის ქართული მუზეუმი. http://www.photomuseum.org.ge/index_ge.htm
მოცემულია XIX-XX საუკუნეების ფოტოები, ფოტოზე ასახული ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები.

ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის ვებრესურსები. http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors.htm
მოცემულია ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები (აკაკი წერეთლის, გიორგი ქუჩიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, შიო მღვიმელის და სხვათა)

ქართული გენეალოგია. http://geogen.ge/ge/history_surnames/
მოცემულია ინფორმაცია ზოგიერთი ქართული გვარის შესახებ.

ქართული ხალხური საკრავები. http://www.hangebi.ge/
მოცემულია ცნობები და ჩანახატები ხალხურ საკრავებზე, ლეგენდები მათზე, ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერები

ჩვენი საუნჯე. http://saunje.ge/
მოცემულია მეცნიერთა ნაშრომები საქართველოს ბუნების, ეკლესია-მონასტრების, ციხე-ქალაქების, ენისა და დამწერლობის, ლეგენდებისა და მითების, სიმღერებისა და საგალობლების და სხვათა შესახებ.

დანართი 3. ვიდეოები, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები

სასურველია სწავლების პროცესში აქტიურად იყოს გამოყენებული ქვემოთ მოცემული ვიდეოები, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები. ეს მოსწავლეებს დაეხმარება გაკვეთილზე გაგონილი და წაკითხული რეალურად წარმოიდგინოს. სწავლების პროცესში ექსკურსია უმნიშვნელოვანესი, მაგრამ შეუძლებელია მოსწავლეებმა მოინახულონ საქართველოს ყველა მხარე და მისი ყველა კუთხე-კუნჭული, მით უმეტეს რთული და ძნელად მისადგომი ადგილები. ამაში შეუცვლელი როლი შეუძლია შეასრულოს ქვემოთ მოცემულმა ვიდეოებმა და ფილმებმა. მათი ხანგრძლივობა უმეტესად რამდენიმე წუთია, რაც აიოლებს მათ გამოყენებას ინტენსიურად თითქმის ყველა გაკვეთილის მიმდინარეობისას.

ვიდეოებისა და ფილმების შერჩევა მასწავლებელმა უნდა განახორციელოს სასწავლო გეგმის შესაბამისად. მაგალითად, როცა საუბარია ხერთვისის ტერასებზე, მოსწავლეებმა უნდა ნახონ ვიდეოები და ფილმები მათ შესახებ, რომლებიც გვიჩვენებს და მოგვითხრობს რა მდგომარეობაშია დღეს ისინი და როგორ მიმდინარეობს მათი აღდგენა. ნანახმა არა მარტო უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და მოიხიბლონ, არამედ გააღვივოს მათში ბუნებრივი და კულტურული გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულების სურვილი და ინიციატივა.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, როგორ განსხვავდება საქართველოს მხარეები ბუნებით, ყოფა-ცხვრებით, კულტურით. ვიდეოკადრებიდან ამოიცნონ მათთვის ნაცნობი ადგილები, ბუნებისა და კულტურის ძეგლები.

ასევე მნიშვნელოვანი იქნება, ეს მასალები გამოყენებულ იქნას საექსკურსიო მზადებისათვის და მოსწავლეები, ექსკურსიაზე წასვლამდე, ნახავენ მარშრუტის გასწვრივ მდებარე ადგილებს.

- სალაშქრო აღჭურვილობა: https://www.youtube.com/watch?v=bs8greRhr_U
- ანიმაციური ფილმები არგონავტებზე.
  http://www.myvideo.ge/v/2512783
  https://www.youtube.com/watch?v=WoEoMRPdVz
  https://www.youtube.com/watch?v=WoEoMRPdVzc (პირველი ქართული ანიმაციური ფილმი „არგონავტები“. 1935 წელი)
  https://www.youtube.com/watch?v=-9ADs8Hz2Lc
  https://www.youtube.com/watch?v=sZUZUUZeAhM
  https://www.youtube.com/watch?v=xe3MSstyw2Y (subtitrebi azerbaijanul enaze)
  https://www.youtube.com/watch?v=X7AkEdXWNtg
- ტიმ სევერინი სვანეთში: https://www.youtube.com/watch?v=6_t6B1xiOKs
- საქართველოს კუთხეები: https://www.youtube.com/watch?v=YAu3le_s2gY
  https://www.youtube.com/watch?v=EcHqHOq4M_Y
  https://www.youtube.com/watch?v=kUBaPY-wA4w
- ქართული დამწერლობის ისტორია: https://www.youtube.com/watch?v=Lgmsgrzgdnw
- ქართული სამოსი: https://www.youtube.com/watch?v=6sruAKxa5PM
  https://www.youtube.com/watch?v=oXzNkCY321M
  https://www.youtube.com/watch?v=IVgETDPkXLA
- ქართული ხორბალი: https://www.youtube.com/watch?v=_9E9xDjniXc
- საქართველოს კულტურის ძეგლები
  https://www.youtube.com/watch?v=THXhkPCn_Vc
  https://www.youtube.com/watch?v=MZn7aSoUQY4
  ნაჩვენებია საქართველოს კულტურის ძეგლები (ტიტრებით)
- შავი ზღვა: https://www.youtube.com/watch?v=1STTd45arCU
  https://www.youtube.com/watch?v=_LJtVQlym9A

იმერეთი

იმერეთი და სამცხე-ჯავახეთი: https://www.youtube.com/watch?v=DgvEzIvtEOE
აკაკიწერეთელი. ჩემი თავგადასავალი (ფრაგმენტები): https://www.youtube.com/watch?v=fKOHVKOAGHs
https://www.youtube.com/watch?v=1aqv5q9PXes
აკაკი წერეთლის ბიოგრაფია. ფოტოალბომი: https://www.youtube.com/watch?v=Ar2Rzfow74Y
ვანის ნაქალაქარი: https://www.youtube.com/watch?v=RV042uSxrxE
ქუთაისი: https://www.youtube.com/watch?v=vQ3-DKNlpLY

თეთრი ხიდის აგების ისტორია და საინტერესო ფოტოები წარსულიდან.
https://www.youtube.com/watch?v=B9vs2hHRErA
გელათი: https://www.youtube.com/watch?v=r36U4m24CyQ
გელათის საიდუმლო: https://www.youtube.com/watch?v=hq-kUt_artM
ბაგრატის ტაძარი: https://www.youtube.com/watch?v=wJFapOTpdRY
https://www.youtube.com/watch?v=BIAbjmOQgxI
შორაპნის ციხე: https://www.youtube.com/watch?v=-_2ioFowjCo
https://www.youtube.com/watch?v=Aw4R9pxQJYk
საჩხერე. არის ასეთი ქვეყანა: https://www.youtube.com/watch?v=WCIQcIfPonE
ჭიათურა: https://www.youtube.com/watch?v=PmdjwzoeW8k
ჭიათურა. არის ასეთი ქვეყანა: https://www.youtube.com/watch?v=xHMJxGMA6JI
ჭიათურა. მანგანუმის ქალაქი: https://www.youtube.com/watch?v=W179DlHrFUA
ზესტაფონი: https://www.youtube.com/watch?v=R7KuHM-dTfE
დაბა კულაში: https://www.youtube.com/watch?v=2y3M4UiovPQ
კაცხის სვეტი: https://www.youtube.com/watch?v=RV_a8xNUN6c
https://www.youtube.com/watch?v=BwzAl8K1OlU
სათაფლიის მღვიმე: https://www.youtube.com/watch?v=PeKogOZfUdA
https://www.youtube.com/watch?v=0qBwiLDCGcs
პრომეთეს მღვიმე: https://www.youtube.com/watch?v=QjIbDwSS9k0
ოკაცეს კანიონი: https://www.youtube.com/watch?v=eJEsauFGQg8
https://www.youtube.com/watch?v=6S9Cdo0_IHc
ოკაცეს კანიონი, კინჩხას ჩანჩქერი: https://www.youtube.com/watch?v=l2Kj53WP_eA
ხვამლი: https://www.youtube.com/watch?v=0Pf7wEYVwCU&t=127s
https://www.youtube.com/watch?v=eP9M88oP9RQ&list=PLVxBvDyGVSVM4co5-N6wXhyu7zZSrYe9h
ადიდებული რიონი, ქუთაისი: https://www.youtube.com/watch?v=JCTM6-J1OGA

შიდა ქართლი

უფლისციხე: https://www.youtube.com/watch?v=M4ADEuULCYw
https://www.youtube.com/watch?v=J9xcdYBHI9E
სვეტიცხოველი: https://www.youtube.com/watch?v=IX3KN8XzTm0
https://www.youtube.com/watch?v=zV8GdiArO8I
ჯვრის მონასტერი: https://www.youtube.com/watch?v=UmLZSGmjGT8
სურამი: https://www.youtube.com/watch?v=pLmdupOs9Ls
ხაშური: https://www.youtube.com/watch?v=HYH__Nej0to
სამთავრო: https://www.youtube.com/watch?v=BbLy0VvnNuY
ლიახვის ხეობა, 2011 წელი: https://www.youtube.com/watch?v=ZeCXMBiloTk
ნიქოზის ეკლესია: https://www.youtube.com/watch?v=0pWKMGpfCro
ყინწვისი: https://www.youtube.com/watch?v=2sOy1Ei4EiM
სამთავისი: https://www.youtube.com/watch?v=4b5mamMH8n4
https://www.youtube.com/watch?v=pHZrfisFOIQ
სხვილო ციხე: https://www.youtube.com/watch?v=9v9dINoWY9M
https://www.youtube.com/watch?v=Rycvksh2Gdw
ქსნის ციხე: https://www.youtube.com/watch?v=JpI5y1pOFS4
აგარა: https://www.youtube.com/watch?v=ldLBxm7YhTk
https://www.youtube.com/watch?v=Y_gtLKLywEU
https://www.youtube.com/watch?v=Gor-E9LD6WY
ხოვლე. ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი: https://www.youtube.com/watch?v=XZhux4dl6ow
ხოვლეგორა. არქეოლოგიური გათხრები: https://www.youtube.com/watch?v=4jgyapjDyiY

ქვემო ქართლი

ქვემო ქართლის მხარე: https://www.youtube.com/watch?v=HeDJjL2QjxE
ტბები და წყალსაცავები: https://www.youtube.com/watch?v=AxujDunGAwA
ბერთა, კალმახები: https://www.youtube.com/watch?v=xILssvWo-rA
ალგეთის ეროვნული პარკი, ფოტოხაფანგი: https://www.youtube.com/watch?v=lEl53phKXuY
მდინარე ალგეთი, დაბინძურებული მდინარე: https://www.youtube.com/watch?v=3ma8BTpMcK0

ბირთვისის კანიონი: https://www.youtube.com/watch?v=cYmSOO8Bo_Y
https://www.youtube.com/watch?v=XS_D_otkGIs
https://www.youtube.com/watch?v=va3TMFUMyqU
სამშვილდის კანიონი: https://www.youtube.com/watch?v=xldPcY-jEOo
დაშბაშის კანიონი: https://www.youtube.com/watch?v=nqHCrnR59XQ
ლაშქრობა ფიტარეთში: https://www.youtube.com/watch?v=o6azyHMOJq4
ბეთანიის მონასტერი: https://www.youtube.com/watch?v=ZBvx1hB1UCE
https://www.youtube.com/watch?v=9jqE_YDo-sw
რუსთავი: https://www.youtube.com/watch?v=u6Nn5gEWIfU
https://www.youtube.com/watch?v=YnUOizIOxVc
https://www.youtube.com/watch?v=M8obhNb5yOU
ასურეთი, გერმანული კოლონია: https://www.youtube.com/watch?v=p7VAdmZILSM&t=220s
https://www.youtube.com/watch?v=p7VAdmZILSM
https://www.youtube.com/watch?v=5s1GTf1Etwo
მარნეული: https://www.youtube.com/watch?v=_UnMMLKr-3U
https://www.youtube.com/watch?v=Q_P8t0CgHbY
ბაირამობის დღესასწაული ქვემო ქართლში: https://www.youtube.com/watch?v=gpq7HbE7MHU
ეკომიგრანტები: https://www.youtube.com/watch?v=zSxpU4ungg4
მარნეულის საწარმო: https://www.youtube.com/results?search_query=%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98
რუსთავის მეტალურგიული ქარხანა: https://www.youtube.com/watch?v=MxegJGS3wuA
ლორე-ტაშირი: https://www.youtube.com/watch?v=zbY76-cuN2o

სვანეთი

სვანეთი: https://www.youtube.com/watch?v=MdTYqD0f7mY
https://www.youtube.com/watch?v=Cd54f4kHf5A
https://www.youtube.com/watch?v=EA8qUnVVKVQ
https://www.youtube.com/watch?v=62BWFJtndDM
https://www.youtube.com/watch?v=pF6O6L0GTpw
https://www.youtube.com/watch?v=FQh6soVfm4M
სვანეთი, ძველი ჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=-KfuyUearfs
უცხოელის თვალით დანახული სვანეთი: https://www.youtube.com/watch?v=GFpeLINzXS0
ლამარია: https://www.youtube.com/watch?v=StzYC6b9JkU
შხარა: https://www.youtube.com/watch?v=xb2ccR14bs8
შხარა, ალპინისტური ასვლა: https://www.youtube.com/watch?v=OC2j7j4Qazs
https://www.youtube.com/watch?v=ytjl0vJs21I
უშბა, ალპინისტური ასვლა: https://www.youtube.com/watch?v=ulNXtJrfO3o
უშბა, ალპინისტური ასვლა, 1973 წელი: https://www.youtube.com/watch?v=xTpEibo7Mso
თეთნულდი: https://www.youtube.com/watch?v=vQXFKTz8yQI
https://www.youtube.com/watch?v=FI1l14CrJkw
მიხეილ ხერგიანი, დოკუმენტური ფილმი: https://www.youtube.com/watch?v=GNusbJGlUWs
სვანურ ტრადიციულ ხელობას ახალგაზრდები ეუფლებიან:
https://www.youtube.com/watch?v=WdVFzbVcfds

სამეგრელო

ტური სვანეთსა და სამეგრელოში: https://www.youtube.com/watch?v=62BWFJtndDM
მოგზაურობა სამეგრელოში: https://www.youtube.com/watch?v=8xSkLYOQ_c0
სამეგრელოს ხედები მეგრული სიმღერების ფონზე: https://www.youtube.com/watch?v=P6vUxqns5jA
ფოთი: https://www.youtube.com/watch?v=WjWfaefbE0o
https://www.youtube.com/watch?v=oINHXfQg6wM
მარტვილი: https://www.youtube.com/watch?v=VvZYSyszZP4
ეთნოგრაფიული ტური სამეგრელოში: https://www.youtube.com/watch?v=GARxDTjVysM
დადიანების სასახლე: https://www.youtube.com/watch?v=CwRU1uQGJJg
ნოქალაქევი: https://www.youtube.com/watch?v=gXb85Nl_F-E
https://www.youtube.com/watch?v=jEg-QOXfKZo

https://www.youtube.com/watch?v=byIcr6NfM1E
მარტვილისა და ოკაცეს კანიონები: https://www.youtube.com/watch?v=KYUY70tkMdY
სალხინოს დადიანების სასახლე: https://www.youtube.com/watch?v=JYpVrEZY6g0
მარულა: https://www.youtube.com/watch?v=48Ybuun2Ep0
https://www.youtube.com/watch?v=A5ZvPBlDV-8
კოლხეთის ეროვნული პარკი: https://www.youtube.com/watch?v=-hxqoUhrj1w

აჭარა

აჭარა: https://www.youtube.com/watch?v=sHFpWgPAhAU
https://www.youtube.com/watch?v=clGx6NQeTlc
ბათუმი: https://www.youtube.com/watch?v=xIe9NnJ2YDE
ბათუმის დელფინარიუმი: https://www.youtube.com/watch?v=bbXa3FX9cic
ქობულეთი: https://www.youtube.com/watch?v=gCHmghma8hk
გონიო: https://www.youtube.com/watch?v=dliRibxvmqA
მწვანე კონცხი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი: https://www.youtube.com/watch?v=93SvF2KvM98
https://www.youtube.com/watch?v=1H0xpd1-tWs
https://www.youtube.com/watch?v=Ab7im1sBNSw
მტირალას ეროვნული პარკი: https://www.youtube.com/watch?v=5-Tc-LlCo34
ბეშუმი: https://www.youtube.com/watch?v=hghVxqKy0Dg
ბეშუმი, რბოლა მანქანებით: https://www.youtube.com/watch?v=BDhuJd4gYtc
სხალთის ტაძარი: https://www.youtube.com/watch?v=j9LLgvrzUls
გოდერძის უღელტეხილი: https://www.youtube.com/watch?v=7DNvb9r9zho
https://www.youtube.com/watch?v=edJ3HdKMY_Y
სიმონეთიდან მდ. ჭოროხის ხეობამდე: https://www.youtube.com/watch?v=NhWVjWTUq_Q
თოვლი და მეწყერი გოდერძის უღელტეხილზე: https://www.youtube.com/watch?v=hvO8TEvp3UE
ლაზეთი: https://www.youtube.com/watch?v=s7CFGTauBuw
https://www.youtube.com/watch?v=4Lp0XSSF40s
https://www.youtube.com/watch?v=f-Uw50EoHEQ
ლაზეთი და ლაზები: https://www.youtube.com/watch?v=2UduroGOYzE

გურია

გურია: https://www.youtube.com/watch?v=bdjfSarNqvo
გურული სიმღერები: https://www.youtube.com/watch?v=koxW7adQqlw&t=676s
ბახმარო: https://www.youtube.com/watch?v=O2FIpFWr76s
გრიგოლეთი: https://www.youtube.com/watch?v=Yf75UDHcwew
ერკეთი: https://www.youtube.com/watch?v=7E8mqNCULzA
ასკანა: https://www.youtube.com/watch?v=zUKmaZP7kkI
გურულები ამერიკაში: https://www.youtube.com/watch?v=OIe3eGrhZYE
კალანდობა: https://www.youtube.com/watch?v=GWUdwHjxB0M
https://www.youtube.com/watch?v=KfuiPgxyFKU
https://www.youtube.com/watch?v=HtM61TVHD3Y

სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთი: https://www.youtube.com/watch?v=IHrYYwyOAPk
https://www.youtube.com/watch?v=k5oYGFeoYQo
ახალციხე: https://www.youtube.com/watch?v=btkBGY6SzpQ
უდე: https://www.youtube.com/watch?v=MPhneoZEdcY
ხერთვისის ციხე: https://www.youtube.com/watch?v=vufPCWztkcY
https://www.youtube.com/watch?v=qh9samGGdQM
https://www.youtube.com/watch?v=Quc5HJeO264
აწყურის ციხე: https://www.youtube.com/watch?v=GgQ74OZJkuo
თმოგვის ციხე: https://www.youtube.com/watch?v=dK1hKQuyXRQ
ფოკა: https://www.youtube.com/watch?v=UTo_0pP0-ww
ვარძია: https://www.youtube.com/watch?v=-FkH3_YPLnM

https://www.youtube.com/watch?v=3hClaNNzqhs
https://www.youtube.com/watch?v=EUwBB9X14DY
ზარზმა: https://www.youtube.com/watch?v=WOzCQTf0Bxs
საფარის მონასტერი: https://www.youtube.com/watch?v=sz2kmidok4o
https://www.youtube.com/watch?v=Ht2VB9C_FDs
ბორჯომის ხეობა: https://www.youtube.com/watch?v=5m-j_FB_bX4
https://www.youtube.com/watch?v=1-7bySVj_ic
ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა „კუკუშკა“:
https://www.youtube.com/watch?v=ELXd6hSkVAA
ხანძარი ბორჯომის ხეობაში: https://www.youtube.com/watch?v=EvXrW-awhUo
https://www.youtube.com/watch?v=a-VLY5Lvi94
კუმურდო: https://www.youtube.com/watch?v=ugx0xK7nfzo
https://www.youtube.com/watch?v=zKdoaKKQJIY
მესხური დარბაზები: https://www.youtube.com/watch?v=cjjTxu3snu8
მესხური ტერასები: https://www.youtube.com/watch?v=zKepwC1JHpY
https://www.youtube.com/watch?v=QzXTueVoc3E
https://www.youtube.com/watch?v=j47Ye767IBI
ფარავნის ტბა: https://www.youtube.com/watch?v=O4OvpxsA8uI
https://www.youtube.com/watch?v=2ZL_txBjYoY

კახეთი

ვაშლოვანი – ქართული სავანე: https://www.youtube.com/watch?v=zHyDxEcBk8Y
https://www.youtube.com/watch?v=8hzqi5yGpCY
ლაგოდეხის ნაკრძალი: https://www.youtube.com/watch?v=I_ljtrUt_fQ
https://www.youtube.com/watch?v=s-tDXeJpDnE
წინანდალი: https://www.youtube.com/watch?v=abp8cvddVdI
https://www.youtube.com/watch?v=Ffton-bjy8M
გურჯაანი: https://www.youtube.com/watch?v=hBBxFv0mmCY
ახტალის ტალახი: https://www.youtube.com/watch?v=dsMOIhSlRzU
https://www.youtube.com/watch?v=eyf3GzsJe34
https://www.youtube.com/watch?v=ppuM3cmLUvA
თელავი: https://www.youtube.com/watch?v=A2thVZ-AiHM
ყვარელი: https://www.youtube.com/watch?v=5TD922NIPgM
მდინარე დურუჯი: https://www.youtube.com/watch?v=H9xI2epc7UE
საგარეჯო: https://www.youtube.com/watch?v=WnEq0O689lY
https://www.youtube.com/watch?v=dZgF0dL8Oz4
სიღნაღი: https://www.youtube.com/watch?v=iP1Nj8YqPeA
https://www.youtube.com/watch?v=0Kz3dmQr4y8
https://www.youtube.com/watch?v=tp0MYNQ9L00
გომბორი: https://www.youtube.com/watch?v=kQ_7ygCwxHI
არწივის ხეობა: https://www.youtube.com/watch?v=NuuhK1p0WjE
საინგილო: https://www.youtube.com/watch?v=R6VdWz4pw48
https://www.youtube.com/watch?v=gipC80p8EFQ
ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია: https://www.youtube.com/watch?v=-dxMiF7KaOg

აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთი

ფშავი: https://www.youtube.com/watch?v=uD4rtxeLvp4
https://www.youtube.com/watch?v=4WLrkDpthuQ
ვაჟა-ფშაველა: https://www.youtube.com/watch?v=HEqSNWdeH7M
ხევსურეთი: https://www.youtube.com/watch?v=ikURRlFN2SE
https://www.youtube.com/watch?v=7yZV8IB-Xus
დათვისჯვრის უღელტეხილი: https://www.youtube.com/watch?v=xTd2RVSrkZg
ხევი: https://www.youtube.com/watch?v=mekQTep6IpA
https://www.youtube.com/watch?v=wziklwXcVUs
მყინვარწვერი, ალპინისტური ასვლა: https://www.youtube.com/watch?v=5RsXDOUr2bo

https://www.youtube.com/watch?v=WIyg_7w0KbA
გერგეტის სამება: https://www.youtube.com/watch?v=Tj2Qva7jpHg
თრუსოს ხეობა: https://www.youtube.com/watch?v=vp97xBxdZOs
https://www.youtube.com/watch?v=J5eBZlPgsvY
https://www.youtube.com/watch?v=n6CrANnr_Ek
თუშეთი: https://www.youtube.com/watch?v=meYFVDr-494
https://www.youtube.com/watch?v=xVzxuDmhuc0
https://www.youtube.com/watch?v=v9Zjzbje-t8
https://www.youtube.com/watch?v=SUZFlgVraro
ჯვრის უღელტეხილი: https://www.youtube.com/watch?v=vy_ktagvbz0
გუდაური: https://www.youtube.com/watch?v=FFEoNGnndUE
ანანური: https://www.youtube.com/watch?v=-5a_6mXn1po
ანანურის ციხე: https://www.youtube.com/watch?v=VoJQO9I_6w0
https://www.youtube.com/watch?v=aI5XnMrGnPc
https://www.youtube.com/watch?v=-eV6jo8uIkg

რაჭა-ლეჩხუმი

რაჭა: https://www.youtube.com/watch?v=le3J8HqLB70
შაორის წყალსაცავი: https://www.youtube.com/watch?v=d0VSIwEdNXQ
https://www.youtube.com/watch?v=9nuIVujj8AA
https://www.youtube.com/watch?v=fnvTj2xgsgw
რაფტინგი მდ. რიონზე, 1996 წელი: https://www.youtube.com/watch?v=chJIv2XuiFM
ღები: https://www.youtube.com/watch?v=JWgokHFwseI
ლეჩხუმი: https://www.youtube.com/watch?v=vUwfGvFNXAs
ონი: https://www.youtube.com/watch?v=0IO5OodkqmQ
უწერა: https://www.youtube.com/watch?v=9ekIfLoyn60
შოვი: https://www.youtube.com/watch?v=nBNZVotj1Tk
ბარაკონის ტაძარი: https://www.youtube.com/watch?v=8UekkoJqRU0
ნიკორწმინდის ტაძარი: https://www.youtube.com/watch?v=xib5x-SvmnI
https://www.youtube.com/watch?v=-iBT80tWCgM

აფხაზეთი

აფხაზეთი: https://www.youtube.com/watch?v=9VU2HB41JfM
სოხუმი: https://www.youtube.com/watch?v=cdA7cnwrdqc
ახალი ათონი: https://www.youtube.com/watch?v=gHenv1W2Suw
კრუბერის მღვიმე: https://www.youtube.com/watch?v=Zu5W79-QaFE
ბედიისა და ილორის მონასტრები: https://www.youtube.com/watch?v=BJn2MsPQLM0
გაგრა: https://www.youtube.com/watch?v=DVgrESEY_ss
https://www.youtube.com/watch?v=DD9lJBI0btk

თბილისი

თბილისი: https://www.youtube.com/watch?v=nFYVYKxzg6U
https://www.youtube.com/watch?v=BCQ4aWqFXOc
ძველი თბილისი: https://www.youtube.com/watch?v=MMhjtuN1OP4
https://www.youtube.com/watch?v=bVTGTMHSwhk
https://www.youtube.com/watch?v=1-qKb1dfnjE
https://www.youtube.com/watch?v=1zBtPVlfIu8
https://www.youtube.com/watch?v=lHiKue9BRfE
ძველი თბილისი, 1926-1930 წლები: https://www.youtube.com/watch?v=Cw4Ffntw0j0
სამება: https://www.youtube.com/watch?v=D3VWkPMfw0A
ქარვასლა: https://www.youtube.com/watch?v=vAfFzht5X_Y
ვერეს ტრაგედია, 2015 წელი: https://www.youtube.com/watch?v=vUXfMs6RBjw
https://www.youtube.com/watch?v=lohCqU6NSxg

დანართი 4. ვიდეოები, რეკომენდირებული ლიტერატურის მოკლე სია

1. აბაშიძე ბ. ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი, 1991.
2. აბულაძე ვ. ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო. თბ, 1983.
3. ანდრიაძე გ. უცნობი ისტორიული საქართველო (ქრისტიანული ლაზეთი). თბ., 2012.
4. არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია. წყალტუბო. https://www.youtube.com/watch?v=SS136mVDro8
5. ბარისაშვილი გ. ტერასული მევენახეობა საქართველოში. მცხეთა, 2011. http://saunje.ge/index.php?id=1054&lang=ka
6. ბერიაშვილი ლ. ნიადაგის ათვისებისა და დაცვის ტრადიცია საქართველოში. თბ., 1989.
7. ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1974.
8. ბერიძე თ. ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980.
9. ბერიძე მ. გვარები და ტოპონიმები მეტყველებენ. თბ., 1985.
10. ბერიძე მ. თურქეთში შემორჩენილი ქართული ტოპონიმები. თბ., 2009.
11. ბერიძე მ. ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი). თბ., 1992.
12. ბერულავა კ. აფხაზეთის ისტორიული ადგილები. თბ., 1951.
13. ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ. ლეჩხუმი. თბ., 1983.
14. ბერძენიშვილი ლ., გარაყანიძე ი, გორდეზიანი რ. და სხვ. ბერძნები საქართველოში. თბ., 1990.
15. ბოძაშვილი ლ. ფშავი და ფშავლები, თბ., 1988.
16. ბოჭორიძე გ. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1992.
17. გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 15-21 აგვისტო 2003.
18. გამყრელიძე ბ. ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები. თბ., 1989.
19. გეოგრაფიული ეტიუდები. თბ., 1990.
20. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (მოკლე სიტყვარ-ცნობარი). შედგენილი გ. გეხტმანის, ნ. გეხტმანის, გრ. ზარდალიშვილისა და ე. მესხის მიერ. თბ., 1965.
21. გიორგიძე (ჭარაია) პ. აფხაზეთი და აფხაზნი. თბ., 2011.
22. გოგატიშვილი შ. სასკოლო გეოგრაფიული მხარეთმცოდნეობა. თბ., 1979.
23. გოგატიშვილი შ. საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი. თბ., 1981.
24. გოგატიშვილი შ. სახალისო გეოგრაფია. თბ., 1973; 1983.
25. გრიშაშვილი ი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. ბათუმი, 1986.
26. დიუმა ა. კავკასია. თბ., 1964.
27. ებრაელებისაგან დაცლილი „ებრაელების უბანი ქუთაისში“. http://netgazeti.ge/life/13658/
28. ედუარდ აიხველდი საქართველოს შესახებ. თბ. 2005.
29. ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში: აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხები და მუსულმანი მესხები // მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკას. ინ-ტი. თბ., 2002.
30. ეთნოსები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოტეკა. თბ., 2008.
31. ელიაშვილი ვ. ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პრდაგოგიკა. თბ., 1989.
32. ვარძია. თბ., 1959.
33. ზაქარაია პ. თბილისი. ბორჯომი. ვარძია (ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი). თბ., 1977.
34. ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები. თბ., 1988.
35. ზუხბაია ვ. აფხაზეთის მომხიბვლელი ბუნება. თბ., 2001.
36. ზუხბაია ვ. განძი ქართული მიწისა. თბ., 1984.
37. ზუხბაია ვ. რას გვიამბობს საქართველოს მიწა? თბ., 1959.
38. ზუხბაია ვ. მხარეთმცოდენობა. თბ., 1988.
39. ზუხბაია ვ. საქართველოს დეკორატიული და ფერადი ქვები. თბ., 1974.
40. ზუხბაია ვ. ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში. თბ., 2000.
41. ზუხბაია ვ. ქართული ოქრო. თბ., 1995.
42. ზუხბაია ვ. ქვის კულტურა საქართველოში. თბ., 1965.
43. თანდილავა ზ. ლაზური ხალხური პოეზია. ბათუმი, 1972.
44. თედიაშვილი ნ., ექსკურსიით საქართველოს გარშემო. თბ., 2005.
45. თეთვაძე შ. სომხები საქართველოში. თბ., 1998.
46. თეთრი ხიდის აგების ისტორია და საინტერესო ფოტოები წარსულიდან. https://www.youtube.com/watch?v=B9vs2hHRErA
47. თოფურია ნ. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან. თბ., 1984.
48. ითონიშვილი ვ. ხევი. თბ., 1979.

49. კათოლიკე ეკლესია საქართველოში. http://www.catholicchurch.ge/index.php/ge/2013-11-28-10-24-17/2013-11-24-10-27-53
50. კაკაბაძე ც. შროშული კერამიკა. თბ., 1982.
51. კვირკველია თ., ძველთბილისური დასახლებანი. თბ., 1985.
52. ლეკიაშვილი ა. შენ ხარ ვენახი. თბ., 1972.
53. ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი. XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე. თბ., 1975.
54. ლორთქიფანიძე მ. აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990.
55. ლორთქიფანიძე ო. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986.
56. მათურელი ი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ., 1990.
57. მაკალათია ს. თეძმის ხეობა. თბ., 1959.
58. მაკალათია ს. თუშეთი. თბ., 1987.
59. მაკალათია ს. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938.
60. მაკალათია ს. მთის რაჭა, 1987.
61. მაკალათია ს. ფშავი. თბ., 1934; 1985.
62. მაკალათია ს. ხევსურეთი. თბ., 1935; 1984.
63. მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფი. თბ., 1941; 2006.
64. მარუაშვილი ლ. კვლევა წყვდიადში. სპელეოლოგიური ჩანაწერები. თბ., 2017.
65. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1970-1971.
66. მარუაშვილი ლ. უჭკნობი წალკოტებიდან მარადთოვლიან მწვერვალებამდე. გეოგრაფ-მკვლევარის ჩანაწერები. თბ., 2017.
67. მეტრეველი კ. ჯავახეთი. თბ., 2010.
68. მივიწყებული კულტურები. აგრარული მრავალფეროვნების დაცვის პროგრამა. ბიოლოგიურ
69. მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, 2008.
70. ნიკოლაიშვილი დ., ახალაია მ. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ახსნა-განმარტებანი. თბ., 2000.
71. ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ა., ლაღიძე ლ. ტრაპაიძე ვ., ნანობაშვილი თ. სამცხე-ჯავახეთი. თბ., 2016.
72. პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი.
https://mbasic.facebook.com/UnknownKutaisi/photos/a.383266495072249.86649.310094492389450/311404068925159/?type=1
73. პეტრიაშვილი ო. მოგზაურობა საქართველოს რუკაზე. დამხმარე მასალა გეოგრაფიაში. თბილისი, 1983.
74. რაინეგსი ი. მოგზაურობა საქართველოში. თბ. 2002.
75. რუხაძე ჯ. ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა. თბ., 1980.
76. სამცხე-ჯავახეთი – ბუნების საგანძური. ავტორები: გ. სოფაძე, დ. თარხნიშვილი, ი. მიქელაძე, ნ. ნათენაძე. თბ., 2008.
77. სამცხე-ჯავახეთის გზამკვლევი. „ელკანა“. თბ., 2012.
78. სართანია დ. ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის. თბ., 2017.
79. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე ა. ჩხიკვიშვილი გ., თოლორდავა რ., უჯმაჯურიძე ა. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა თბ., 2016.
80. საქართველოს ატლასი. თბილისი, 1964; 2012.
81. საქართველოს ატლასი მოსწავლეთათვის. თბ., 2003.
82. საქართველოს გეოგრაფია. ნაწილი I-Iი. თბ., 2000; 2003.
83. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდი.
http://www.apa.gov.ge/ge/protected-areas
84. საქართველოს მეგზური. I. ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. თბ., 2000.
85. საქართველოს კურორტები. თბ., 1987.
86. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი 5, თბ., 1990.
87. საქართველოს ძეგლები. ისტორიულ-არქიტექტურული აღწერა. http://www.dzeglebi.ge
88. საქართველოს ღირსებანი, თ. 1-8. თბ., 2012-2017.
89. სახოკია თ. მოგზაურობანი. ბათუმი, 1985.
90. სონღულაშვილი ა. ბერძნები საქართველოში. თბ., 2004.
91. სონღულაშვილი ა. გერმანელები საქართველოში. თბ., 1995.
92. სონღულაშვილი ა. ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში. თბ., 2005.
93. სონღულაშვილი ა. ირანში ქართველთა ნაკვალევზე. თბ., 2005.
94. ფრონელი ა. დიდებული მესხეთი. თბ., 1991.
95. ქართლის ცხოვრება IV ტომი. ბატონიშვილი ვახუშტი. თბ., 1973.

96. ყავრიშვილი ბ. სვანეთი. ტფ., 1926.
97. ჩართოლანი მ. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961.
98. ჩიქოვანი თ. ზემო ქართლი. თბ., 1987.
99. ჩიჯავაძე ნ. ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში. ბათუმი, 1976.
100. ჩხარტიშვილი მ. ისტორიული პორტრეტები. თბ., 1992.
101. ცაგარეიშვილი თ. მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1987.
102. ცაგარეიშვილი თ. ფერეიდნელები საქართველოში. თბ., 1981.
103. ძიძიგური შ. სიტყვის ცხოვრება. თბ., 1988.
104. ჭიჭინაძე ზ. ქართველი ებრაელები საქართველოში. თბ., 1994.
105. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ., 1987.
106. ზუმბურიძე ზ. რა გქვია შენ“ თბილისი, 1971.
107. ძველაია მ. ბუნება საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. თბ., 1983.
108. ხარატიშვილი მ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1990.
109. ხარაძე კ. გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში. თბ., 1988.
110. ხარაძე კ. მიწისქვეშეთის მამაცი მკვლევარი. არსენა ოქროჯანაშვილი. თბ., 2017.
111. ხარაძე კ. საქართველოს ბუნების ძეგლები. თბ., 2014.
112. ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. თბ., 1991.
113. ხარაძე რ., რობაქიძე ა. მთიულეთის სოფელი ძველად. თბ., 1965.
114. ხარაძე რ., რობაქიძე ა. სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.
115. ხარაძე კ. XII-XV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები. თბ., 1987.
116. ჯალაბაძე გ. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ., 1986.
117. ჯავახეთი. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.
118. ჯავახეთი. გზამკვლევი. თბ., 2014.
119. ჯანაშვილი დ. ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა. თბ., 2000.
120. ჯაოშვილი ვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. თბ., 1996.
121. ჯაოშვილი ვ. ქუთაისი. თბ., 1989.

დანართი 5. მოკლე ცნობები სახელმძღვანელოშიდამოწმებული ავტორებისა და წყაროების შესახებ

1. **აიხველდი ედუარდი** – (1795-1876), გერმანელი მოგზაური და მეცნიერი, 1825-1826 წწ. იმოგზაურა კავკასიაში. მან თითქმის საქართველოს ყველა მხარე მოიარა და აღწერა.
2. **ამირანაშვილი შალვა** – (1899-1975), ქართველი ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი.
3. **ბაგრატიონი ვახუშტი** – (1757-1784), ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი. იგი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ს შვილი იყო. მან მოიარა საქართველოს უმეტესი ნაწილი და დაწერა კაპიტალური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მანვე შეადგინა საქართველოს რუკები.
4. **ბაქრაძე დიმიტრი** – (1826-1890), ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი. გარდა საისტორიო ნასრომებისა საყურადღებოა მისი შემდეგი შრომები: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ და „შენიშვნები ბათუმის ოლქის შესახებ“.
5. **ბოროზდინი კორნელი** – (1828-1896), რუსი მოხელე, მოღვაწეობდა საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში. იყო სენაკის მაზრის მმართველი. აჭერა მის დროინდელი სამეგრელოს ცხოვრება.
6. **ბოძაშვილი ლევანი** – ქართველი მკვლევარი, რომელსაც ეკუთვნის წიგნი „ფშავი და ფშავლები“.
7. **გამბა ჟაკ ფრანსუა** – (1763-1833, ფრანგი მოგზაური და ვაჭარი. საქართველოში იმოგზაურა და აღწერა 1821-24 წლებში. იგი იყო საფრანგეთის კონსული თბილისში. მან არა მარტო აღწერა საქართველოს სხვადასხვა მხარეები, არამედ დაგვიტოვა რუკებიცა და ჩანახატებიც. მისი ცნობები, როგორც თვითმიხილველისა, სანდოა.
8. **გელანტია რაფიელი** – (დაიბადა ????) ქართველი პუბლიცისტი. ???
9. **გვრიტიშვილი დავითი** – (1915-1969), ქართველი ისტორიკოსი.
10. **გიულდენშტედტი იოჰანი** – (1745-1781), გერმანელი სწავლული, რომელიც რუსეთის აკადემიის მიწვევით 1768-1774 წწ. კავკასიაში იყო მივლინებული. მან 1772 წ. მოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი და რაჭა. ამ მხარეების აღწერილობანი დაგვიტოვა წიგნის – „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“ – სახით.
11. **გიორგაძე (ჭარაია) პეტრე** – (1861-1919), პედაგოგი და პუბლიცისტი. ეკუთვნის ნაშრომი „აფხაზეთი და აფხაზნი“.
12. **გოგებაშვილი იაკობი** – (1840-1912), ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მან სათავე დაუდო ქართულ პედაგოგიკას და დაგვიტოვა საეტაპო მნიშვნელობის წიგნები: „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და სხვა.
13. **გრიშაშვილი იოსები** – (1889-1965), ნამდვილი გვარი მამულაშვილი. საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი. იცნობდა და შეყვარებული იყო ძველი თბილის ყოფაზე. შეკრიბა თბილისური ყოფის მასალები და 1927 წ. გამოსცა წიგნი „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“.
14. **დიუმა ალექსანდრე** – (1802-1870), ფრანგი მწერალი. 1858 წ. ჩამოვიდა საქართველოში და დაწერა სქელტანიანი წიგნი „კავკასია“. მასში ბევრი პირველხარისხოვანი და სანდოა ცნობებია მოყვანილი, რომლებიც გვაცნობენ საქართველოს ისტორიასა და ყოფას.
15. **დუმბაძე ნოდარი** – (1928-1984), ქართველი მწერალი.. როგორც რეპრესირებული მშობლების შვილმა გამოიარა მძიმე ბავშვობა. 1950 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველი ლექსები სტუდენტურ ალმანახში დაიბეჭდა. 1975 წ. მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია.
16. **ედილი (ედილაშვილი) ზაქარია** – (1873-1956), ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. გამოაქვეყნა რამდენი საისტორიო ნარკვევი და მათ შორის გამორჩეულია ინგილოთა ყოფისადმი მიძღვნილი ნაშრომი „საინგილო.
17. **ვაგნერი მორიცი** – (1813-1887). გერმანელი მოგზაური, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი. მან 1843-46 წწ. მოიარა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები და მათ შორის საქართველოც. ტავისი შტაბეჭდილებანი გადმოსცა წიგნებში „კავკასია და კაზაკთა ქვეყანა“, „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში“ და სხვა.
18. **ვაჟა-ფშაველა** – (1861-1915), ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის ფშავ-ხევსურეთის შესახებ დაწერილი არაერთი ეთნოგრაფიული ნაშრომი.
19. **კასტელი ქრისტოფორო დე** – (1597-1659), იტალიელი მისიონერი. საქართველოში იმყოფებოდა 1628-1652 წწ. დაგვიტოვა თავისი ჩანაწერებისა და ჩანახატების დიდი ალბომი, რომელიც ძვირფას ცნობებს გვაწვდის საქართველოს ისტორიაზე და ყოფა-ცხოვრების შესახებ.
20. **კოხი კნუტ** – (1809-1879), გერმანელი ბოტანიკოსი. 1836, 1843-44 წწ. იმოგზაურა კავკასიასი. ხუთჯერ იყო თბილისში. ნანახი აღწერა წიგნში „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში“.
21. **ლამბერტი არქანჯელო** – (XVII ს.), იტალიელი მისიონერი. 1631 წ. ჩამოვიდა საქართველოში.

1655 წ. დაბრუნდა სამშობლოში და დაწერა წიგნი, სადაც აღწერილია სამეგრელოს ყოფა და კულტურა.

22. **მაკალათია სერგი** – (1893-1974), ქართველი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი.
23. **მარკოვი ევგენი** – (1873-1953), რუსი ბიოლოგი და იურისტი. გარკვეულ წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა აფხაზეთში. მან ჩამოაყალიბა თბილისში ზოოლოგიური პარკი და იყო მისი პირველი დირექტორი. კითხულობდა ლექციებს ნადირობისმცოდნეობაში. აქვს ნასრომები სამონადირეო მეურნეობასა და ნაკრძელების შესახებ.
24. **მარუაშვილი ლევანი** – (1912-1992), ქართველი გეოგრაფი, მთამსვლელი, ჟურნალისტი.
25. **მესხია შოთა** – (1916-1972), ქართველი ისტორიკოსი.
26. **ნიკოლაძე გიორგი** – (1888-1931), ქართველი მათემატიკოსი, სპორტსმენი და გეოგრაფიული საზოგადოებისა და ალპინიზმის ფუძემდებელი. დაამტავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1928 წ. სორბონში დაიცვა დისერტაცია. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ფეროშენადნობთა სადნობი საცდელი ღუმელი, რომლის გამოყენებით შემდეგში აიგო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.
27. **ნიკოლაძე ნიკო** – (1843-1928), ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც რევოლუციური მოღვაწეობისათვის გარიცხეს. სწავლა განაგრძო ევროპასში – ჟენევასა და ციურიხში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაარსა გაზეთი „დროება“, შემდეგ ხელმძღვანელობდა „კრებულს“, გამოსცემდა რუსულენოვან გაზეთს „ობზორს“.იყო საქართველოს დემოკრატიული საქართველოს ერთ-ერთი მშენებელი.
28. **ნიჟარაძე ბესარიონი (თავისუფალი სვანი)** – (1852-1919), ეთნოლოგი, პუბლიცისტი და სასულიერო პირი.
29. **პუშკინი ალექსანდრე** — (1799-1837) — რუსი მწერალი. იყო საქართველოში. გაეცნო მის ბუნებას, მეირნეობას, ხალხთა ყოფას. ეს ასახა თავის ნარკვევში: „მოგზაურობა არზრუმში“. საქართველოს უძღვნა რამდენიმე ლექსი.
30. **ჟამთააღმწერელი** – XIV ს. ქართველი ისტორიკოსი. მისი სახელი და გვარი უცნობია, ჟამთააღმწერელი ზედწოდებაა. მისი თხზულებას, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ კრებულშია შესული „ასწლოვან მატიანეს უწოდებენ“.
31. **რაინეგსი იაკობი** – (1744-1899), გერმანელი მეცნიერი, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა. 1882 წ. მოავლინეს საქართველოში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა და იმერეთის მეფის სოლომონის გადმოსაბირებლად. იცოდა რამდენიმე ენა და სამკურნალო საქმე. მოიარა თითქმის მთელი საქართველო და დაგვიტოვა ძვირფასი ცნობები ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიის, ისტორიის, ეკონომიკისა და ყოფის შესახებ.
32. **რეხვიაშვილი სპარტაკი** – (დაიბადა 1927), ქართველი ისტორიკოსი. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები „ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან“, „სად მონადირე სდევს ჯიხვსა“.
33. **სახოკია თედო** – (1868-1956), ეთნოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ჟენევისა და სორბონის უნივერსიტეტებში. თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას და 1908 წ. საქართველოში იარაღის ჩამოტანის გამო დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. თარგმნიდა იტალიურიდან, შეკრიბა და გამოსცა ქართული ანდაზები და ხატოვანი სიტყვათქმანი.
34. **სტრაბონი** – (ძვ. წ. 64/63-ახ. წ. 23/24), ძველიბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი.
35. **ფრონელი (ყიფშიძე) ალექსანდრე** – (1862-1916), ქართველი პუბლიცისტი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე.
36. **ქართული დიალექტოლოგია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. III, წიგნი I. თბ., 1961 წ.
37. **ყავრიშვილი ბესარიონი** – (1895-1943), ქართველი გეოგრაფი. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. იკვლევდა საქართველოს შიგა წყლებს და ამავე საკითხებზე აქვს შრომები. მასვე ეკუთვნის ნაშრომები სვანეთის, თრიალეთისა და ბორჯომის ხეობის შესახებ, სადაც საინტერესო ცნობებია მოცემული საქართველოს ამ მხარეების ბუნების, მეურნეობისა და ადგილობრივთა ყოფის შესახებ.
38. **ყაზბეგი ალექსანდრე** – (1848-1893), ქართველი მწერალი, რომელსაც აღწერილი აქვს მოხევეთა ყოფა-ცხოვრება.
39. **ყაზბეგი გიორგი** – (1839-1921), რუსეთის არმიის გენერალი, წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე. მან იმოგზაურა აჭარაში, სავშეთში და ჭანეთში და დეტალურად აღწერა ისინი. ამ მოგზაურობის შემდეგ მან გამოაქვეყნა ნაშრომები: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“.

40. **შინამრეწველობის მასალები** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად. 1935 წ. ივანე ჯავახიშვილმა შეკრიბა ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფი და მთელი ზაფხულის განმავლობაში მიავლინა საქართველოს სხვადასხვა მხარეში მის მიერ მომზადებული კითხვარით. მათ შეკრიბეს მოსახლეობაში დარჩენილი ცოდნა-გამოცდილება ხალხური ყოფის თითქმის ყველა საკითხზე. მათ მიერ ფიქსირებულია ისეთი მასალები, რომელიც დღეს არავის ახსოვს და არ იცის.
41. **ციციშვილი ირაკლი** – (1918-2001), ქართველი არქიტექტორი და ხელოვნებათმცოდნე.
42. **ცოცანიძე გიორგი** – (დაიბადა 1937 წ.), ქართველი ენათმეცნიერი.
43. **წერეთელი აკაკი** – (1840-1915), ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. დაამტავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი. არსად უმუშავია, მხოლოდ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. მან, როგორც ერთ-ერთმა თერგდალეულმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველტა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში.
44. **წერეთელი გიორგი** – (1842-1900), ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1893 წ. დაარსა გაზეთი „კვალი“.
45. **წულაძე აპოლონი** – (1864-1942), ქართველი ჟურნალისტი და ეთნოგრაფი. გამოსცა წიგნი „ეთნოგრაფიული გურია“ სადაც გურიის ყოფაცხოვრების სხვადასხვა საკითხებია განხილული.
46. **ჭიჭინაძე ზაქარია** – (1953-1931), ქართველი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე. გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ და სხვა საისტორიო დოლუმენტები. ადგენდა საისტორიო და ეთნოგრაფილი ხასიათის შრომებს და თავდვე გამოსცემდა.
47. **ჯავახიშვილი ივანე** – (1876-1940), ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა პეტებურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, სადაც დაიცვა სამაგისტორო დისერტაცია. 1918 წელს დაარსა თბილისში პირველი ქართული უნივერსიტეტი. სათავე დაუდო მრავალ სამეცნიერო დისციპლიმას (პალეოგრაფია, უმიზმატიკა, დიპლომატიკა) და შექმნა მონოგრაფიები სხვადასხვა საკითხებზე – საქართველოს ისტორია, ხელოვნება, სამართალი, ეკონომიკა, მუსიკა და სხვა.
48. **ჯანაშვილი მოსე** – (1855-1934), ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.
49. **ჯაოშვილი ვახტანგი** – (1914-1997), ქართველი გეოგრაფი.
50. **ჯუდიჩე მილანელი** – (XVII ს.), იტალიელი მისიონერი. საქართველოში ცამოვიდა 1631 წ. დაგვიტოვა რამდენიმე წერილი რომის პაპისადმი, სადაც საყურადღებო ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ.
51. **ჰამსუნი კნუტი** – (1859-1952), ნორვეგიელი მწერალი, რომელმაც იმოგზაურა კავკასიაში 1899 წ. მან თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები გადმოსცა წიგნში „ზღაპრული ქვეყანა“, რომელიც 1903 წ. დანიასა და გერმანიაში გამოსცა.
52. **ჰიპოკრატე** – (ძვ. წ. 460- ძვ. წ. 337), ძველი ბერძენი ექიმი, მედიცინის ფუძემდებელი. მან აღწერა ძველი კოლხეთის ბუნებრივი პირობები.

53. გაზეთები:
„ალიონი“ – ამ სახელით გაზეთი გამოდიოდა 1917-1918 წწ. და იგი იყო ქართველ სოციალ-დემოკრათების ერთი ჯგუფის პარტიული ორგანო. შემდეგ იგივე დასახელებით გამოვიდა 1931 წელს და რაიონული გაზეთი იყო. დღეს გამოიცემა ოზურგეთში.
„ცნობის ფურცელი“ – გამოდიოდა 1896-1906 წლებში.
„ივერია“ – 1877 წ. დაარსა ილია ჭავჭავაძემ. გამოდიოდა ხან გაზეთის და ხან ჟურნალის სახით 1906 წლამდე.
„დროება“ – დაარსადა 1866 წ. გამოდიოდა 1885 წლამდე.
„ახალი თაობა“ – დაარსადა 1993 წ. და დღესაც გამოიცემა.

54. **საქართველოს კონსტიტუცია**
1921 წ. რედაქცია. http://constcommission.parliament.ge/1921
1995 წ. რედაქცია.
http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68
2017 წ. რედაქცია. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811818

55. **კანონები**
საქართველოს კანონი კოლხეთის დაცული ტერიტორიის შესახებ, 1998 წ.
http://www.moe.gov.ge/res/docs/310019_kanoni_kolkhetis_daculi_teritoriebis_sheqmnisa_da_martvis_shesakheb.pdf

საქართველოს კანონი კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ, 2007 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076
საქართველოს კანონი საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ, 2003 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16126
საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, 2015 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386
საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ, 1996 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506
საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამსახურის შესახებ, 1997 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31780
საქართველოს კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ, 1998 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/31966
საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ, 2013 წ.
https://www.georoad.ge/uploads/files/kanoniusafrtxoebaze.pdf
საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ, 2014 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552
საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ, 2001 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2240352
საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და მისი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ, 2007 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/14938

56. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948 წ.
http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf
ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია, 1977 წ.
http://gspsa.org.ge/wp-content/uploads/2016/01/cxoveltauflebebismsofliodeklaracia.pdf
ჰაგის კონვენცია შეიარაღებულ კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ, 1954 წ.
http://blueshield.ge/wp-content/uploads/2017/03/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-1954%E1%83%AC.-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90.pdf
კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, 1989 წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 200 220.

დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში



მოსწავლის წიგნი
V კლასი



მოსწავლის წიგნი
VI კლასი



მასწავლებლის წიგნი
V-VI კლასები